ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები

— ა ტ ლ ა ნ ტ ა —

ტომი II

V საუკუნე - 1877 წელი

ტომის რედაქტორი — ნოდარ კახიძე

გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
ბათუმი 2009

UDC (უაკ) 94(479.22)+94(479.223)
ს-249

ტომის ავტორები – ისტ. მეცნ. დოქტორები, პროფესორები: **†დავით ხახუტაიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ნოდარ შენგელია, მიხეილ სვანიძე, ნოდარ ლომოური, ბიჭიკო დიასამიძე, ამირან კახიძე, ვახტანგ შამილაძე, ნოდარ კახიძე, იური სიხარულიძე, ფრიდონ სიხარულიძე, †ანრი ბოგეერაძე, †აბელ სურგულაძე, შოთა მამულაძე, ნუგზარ მგელაძე, ნანული მაისურაძე,** მედიცნ. მეცნ. დოქტორი **რამაზ სურმანიძე,** ფილოლ. მეცნ. დოქტორები, პროფესორები: **მიხეილ ქამადაძე, თინა შიოშვილი,** ისტ. მეცნ. კანდიდატი **†იზოლდა სამსონია,** ისტ. აკად. დოქტორები: **ჯემალ ვარშალომიძე, ჯემალ მიქელაძე, რევაზ უზუნაძე, ციური ქათამაძე,** სრული პროფესორი **მარინა გიორგაძე,** ასოც. პროფესორები: **მერაბ ხალვაში, მაია ჭიჭილეიშვილი,** მეცნ. თანამშრომლები: **ნანული ნოღაიდელი, ეთერ ზოიძე, ზაურ ლაზიშვილი.**

მთავარი რედაქტორი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **†დავით ხახუტაიშვილი**

მთავარი რედაქტორის მოადგილე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ამირან კახიძე**

სარედაქციო კოლეგია – საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორ., პროფესორი **ვახტანგ შამილაძე** (თავმჯდომარე), ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ნოდარ კახიძე** (მდივანი), ფილოს. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **მიხეილ მახარაძე,** ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ოთარ თურმანიძე,** ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **მალხაზ სიორიძე,** ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ბიჭიკო დიასამიძე,** ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **შოთა მამულაძე,** ისტ. აკად. დოქტორი **როინ მალაყმაძე**

სარედაქციო საბჭო – საქ. მეცნ. აკად. წ/კ, პროფესორი **ვახტანგ შამილაძე** (თავმჯდომარე), ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ნოდარ კახიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), ისტ. მეცნ. დოქტორი **მალხაზ სიორიძე,** ისტ. აკად. დოქტორი **ნინო ინაიშვილი,** ისტ. აკად. დოქტორი **ნაილა ჩელებაძე,** ისტ. აკად. დოქტორი **ნანა ხახუტაიშვილი,** ფილოლ. მეცნ. დოქტორი **მიხეილ ქამადაძე,** ფილოლ. მეცნ. დოქტორი **თინა შიოშვილი,** ფსიქ. მეცნ. დოქტორი **გურამ ჩაგანავა,** ეკონ. აკად. დოქტორი **ჟანი მიქაშავიძე,** ხელოვნ. აკად. დოქტორი **მაია ჭიჭილეიშვილი**

რეცენზენტები – ისტ. მეცნ. დოქტორი **†დეკი ბერძენიშვილი**
ისტ. მეცნ. დოქტორი **როლანდ თოფჩიშვილი**

© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი - 2009
© გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ 2009
© შპს „Art+“ - 2009
ISBN 978-9941-409-30-1 (საერთო ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-412-19-6 (II ტომისათვის)

სარჩევი

შესავალი

ეპოქის ზოგადი დახასიათება (ნ. კახიძე, ბ. დიასამიძე) 7
წყაროები და ისტორიოგრაფია..... 17

§1. წერილობითი წყაროები (ნ. კახიძე, ფრ. სიხარულიძე) 17
ა) ქართული წერილობითი წყაროები 17
ბ) უცხოური წერილობითი წყაროები 24
§2. არქეოლოგიური მასალები (შ. მამულაძე) 25
§3. ეთნოგრაფიული მონაცემები (ნ. კახიძე) 32
§4. ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ტოპონიმიკური მასალები (მ. ქამადაძე) 36
§5. ისტორიოგრაფია (ნ. კახიძე, ფრ. სიხარულიძე) 41
ა) ქართული ისტორიული ლიტერატურა..... 41
ბ) უცხოური ლიტერატურა..... 53

თავი I. აჭარა ადრეფეოდალურ ხანაში

§1. ქრისტიანობა აჭარაში (ბ. დიასამიძე) 59
§2. ბიზანტია-ირანის ომების ეპიზოდები აჭარის ტერიტორიაზე (ნ. ლომოური) 85
§3. არაბობა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (მ. ლორთქიფანიძე) 90
§4. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (მ. ლორთქიფანიძე) 93
§5. აჭარის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება ადრეფეოდალურ ხანაში 98
ა) ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. ვაჭრობა. კულტურა (ა. კახიძე, მ. ხალვაში) 98
ბ) სოციალური ურთიერთობანი. წოდებანი (თ. ბოგვერაძე) 115

თავი II. აჭარა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში

§1. ხიხაია საერისთავო (მ. ლორთქიფანიძე, ი. სიხარულიძე) 131
§2. თურქ-სელჩუკები და აჭარა (ნ. შენგელია) 137
§3. აჭარა მონღოლთა ბატონობის ხანაში (ი. სიხარულიძე) 143

თავი III. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა განვითარებულ ფეოდალურ ხანაში

§1. სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში (შ. მამულაძე) 149
§2. სოციალური ურთიერთობანი. წოდებანი (თ. ბოგვერაძე) 167
§3. გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი (შ. მამულაძე) 171
§4. მეცნიერება და კულტურა (ხდ. ხახუტაიშვილი) 184
§5. ხელოვნება (მ. ჭიჭილეიშვილი) 190
§6. საეკლესიო ხუროთმოძღვრება (მ. ჭიჭილეიშვილი) 198
§7. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები (შ. მამულაძე) 206

თავი IV. აჭარა ოსმალთა მფლობელობაში

§1. სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის მიტაცება ოსმალეთის მიერ (მ. სვანიძე) 227
§2. ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში XVI-XVIII საუკუნეებში (ნ. შენგელია) 238
§3. ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა აჭარაში XVI-XVIII საუკუნეებში (ნ. შენგელია) 244
§4. ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების ცდები XVII-XVIII საუკუნეებში (თ. სურგულაძე, ფრ. სიხარულიძე) 249
§5. განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის დამდეგს. სელიმ ხიმშიაშვილი (თ. სურგულაძე, ფრ. სიხარულიძე) 280
§6. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულები აჭარაში (ქობულეთი) (ც. ქათამაძე) 289

თავი V. მეურნეობა და სამეურნეო ყოფა

§1. მეფინდვრეობა (ნ. კახიძე) 299
§2. მეფეფახეობა-მელეინეობა და მეხილეობა (ნ. კახიძე) 312
§3. მესაქონლეობა (ვ. შამილაძე) 319
§4. მეფუტკრეობა (ნ. კახიძე) 328
§5. ხელოსნობა და შინამრეწველობა (ნ. კახიძე) 334

თავი VI. მატერიალური კულტურა

§1. დასახლების ფორმები (ნ. მგელაძე) 393
§2. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (ჯ. მიქელაძე) 403
§3. ხალხური ტრანსპორტი (ნ. კახიძე) 408
ა) სახმელეთო ტრანსპორტი 408
ბ) საშდინარო და საზღვაო ტრანსპორტი 411
§4. ტანსაცმელი და ფაცმულობა (ი. სამსონია) 417
§5. ხალხური სამხარეულო (ი. სამსონია, ნ. ნოღაიდელი) 421
§6. ხალხური დეკორატიული და სახეითი ხელოვნება (ჯ. ეარშალომიძე) 425

თავი VII. სულიერი კულტურა

§1. ხალხური დღესასწაულები (ნ. კახიძე) 481
§2. ხალხური მუსიკალური კულტურა (ნ. მაისურაძე) 492
§3. ხალხური ქორეოგრაფია (ს. ლაზი'შვილი) 497
§4. საისტორიო ზეპირსიტყვიერება (თ. შიოშვილი) 501
§5. საყოფიერო და საწესჩვეულებო პოეზია (ვ. ზოიძე, მ. გიორგაძე) 512
§6. ანარული დიალექტი (ნ. ნოღაიდელი) 521
§7. ხალხური მედიცინა (რ.სურმანიძე) 528

VIII. საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა

§1. ოჯახი და საოჯახო ყოფა (ნ. მგელაძე) 553
§2. საზოგადოებრივი ყოფა (ნ. მგელაძე) 567
§3. ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება (XII ს. – XIX ს. I ნახევარი) (რ. უსუნაძე) 573

თავი IX. გვარსახელები. ონომასტიკა

§1. გვარსახელები (მ. ქამადაძე). 581
§2. ონომასტიკა (მ. ქამადაძე) 593

შემოკლებანი 607

შესავალი

ეპოქის ზოგადი დახასიათება

ნარკვევების მეორე ტომი, რომელიც თითქმის თხუთმეტ საუკუნეს მოიცავს, იწყება V საუკუნიდან და გრძელდება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე. ეს პერიოდი შეიძლება დაიყოს სამ ქვეპერიოდად. პირველი მოიცავს V-X საუკუნეებს, მეორე – XI-XVI საუკუნის პირველ ნახევარს, ანუ ოსმალთა მიერ აჭარის ინკორპორაციამდე პერიოდს. მესამე ქვეპერიოდი გრძელდება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე, რომელიც ოსმალთა ბატონობის პერიოდად იწოდება. შემდგომი პერიოდის აჭარის ისტორიის საკითხები XX საუკუნის 20-იან წლებამდე განხილულია ნარკვევების მესამე ტომში.

აჭარის ისტორიის თხუთმეტსაუკუნოვანი პერიოდი მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ ძირითად ხაზებში იგი მთლიანად შეესაბამება საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციას. ბუნებრივია, აჭარა უძველესი პერიოდიდან იყო და რჩება ერთიანი საქართველოს შემადგენელ ნაწილად და მისი სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ მონაწილედ. გამონაკლისს წარმოადგენს ოსმალთა ბატონობის პერიოდი, როდესაც აჭარა დროებით მოწყდა ერთიან საქართველოს, მაგრამ მას არც ამ დროს შეუწყვეტია კავშირი დედასამშობლოსთან.

აჭარის ისტორიის პირველი პერიოდი, ისე, როგორც მთელი მაშინდელი საქართველოსი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოვლენებით აღინიშნა.

VII საუკუნის ერთი უცხოური წყაროს („სომხური გეოგრაფია"[1]) მიხედვით, მკვლევრები მიუთითებენ, რომ სახელწოდება „აჭარა" პირველად ამ პერიოდიდან მოიხსენიება. თუმცა, სავარაუდებელია ამ ტერმინის არსებობა უფრო წინარე ხანაში. VII საუკუნიდან აჭარა ბაგრატიონთა, ანუ „ქართველთა სამეფოს" შემადგენელი ნაწილია.[2] ბიზანტიელი მწერლები აჭარას „აგარის" სახელწოდებით იცნობდნენ და X საუკუნეში (ბიზანტიელი კეისრის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა) იბერიის ოთხი პრეფექტურიდან ანუ პროვინციიდან ერთ-ერთს აჭარა შეადგენდა.[3] ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარა ორად გაყოფილი ჩანს. მისი ქვემო ნაწილი (ქვემო აჭარა) დასავლეთ საქართველოს სამეფოში შედიოდა. XI საუკუნიდან კი აჭარა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაშია, რომელსაც კლარჯეთთან ერთად განაგებდნენ აბუსერისძეთა ერისთავები.[4] საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნაში აჭარამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

---

[1] Анания Ширакаци. Армянская география VII века. Под редакцией К.Пятоянова. СПБ, 1877, с. 39.

[2] ქართლის ცხოვრება. I თბილისი, 1955, გვ. 253.

[3] დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა ბურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 71.

[4] ფეოდალურ და მის წინა ხანაში აჭარის გეოგრაფიულ-ისტორიული ლოკალიზაციისა და საზღვრების შესახებ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა. ამ საკითხებზე ის: დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. – სდსინ, I, ბათუმი, 2007; გ.შამილაძე. აჭარის ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1933.

ადრეფეოდალური ურთიერთობის პირველი ნაბიჯები აჭარაში საქალაქო ცხოვრების შემდგომ დაწინაურებაში გამოიხატა, რასაც საფუძველი მოუმზადა ანტიკურმა ეპოქამ. ამ ქალაქების რიცხვს მიეკუთვნება პეტრა-ციხისძირი და გონიო-აფსაროსი. ადრე შუა საუკუნეებში ციხისძირი (ანუ ძველი პეტრა) წარმოადგენდა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ-რელიგიურ ცენტრს. ს. ჯანაშიას დახასიათებით, პეტრა იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს სასოფლოდ-რიე ცხოვრებაში ისეთივე დიდ როლს ასრულებდა, როგორსაც თბილისი აღმოსავლეთ საქართველოსათვის.[5] პეტრას კლასიკური ტიპის ციხე-ქალაქად თვლიან, რომლის ისტორია იუსტინიანეს (527-563 წწ) ეპოქიდან იწყება. იგი, როგორც ციხე-ქალაქი, ოსმალთა ბატონობის ხანაშიც განაგრძობდა არსებობას.[6]

გონიო-აფსაროსი, რომელიც გვიანანტიკურ ხანაში ერთობ დაწინაურებული ქალაქი იყო, შემდგომ დაქვეითებას განიცდის, მაგრამ VI საუკუნეში გამოცოცხლების გზაზე დგება. როგორც პეტრა-ციხისძირი, ასევე გონიო-აფსაროსი, მნიშვნელოვან საეკლესიო და სტრატეგიულ ცენტრს წარმოადგენდა. ეს როლი პეტრა-ციხისძირსა და გონიო-აფსაროსს ოსმალთა ბატონობის პერიოდშიც არ დაუკარგავს.[7] აღნიშნულ ქალაქებს ქალაქური ცხოვრების თითქმის ყველა ის ატრიბუტი გააჩნდა, რაც ამ პერიოდის საქართველოს სხვა ქალაქებს ახასიათებდა.

განხილულ პერიოდში აჭარა (აფსაროსის, ციხისძირისა და სხვა კერების არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით) ვაჭრობა-ხელოსნობის მხრივაც დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. ხელოსნობის ყველაზე განვითარებულ და წამყვან დარგს მეთუნეობა შეადგენდა, რომლის ნაწარმსაც სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდა. აჭარას შაიზღვისპირეთის სხვა კუთხეებთან ერთად საეკლესიო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები გააჩნდა აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან.[8] ადრეფეოდალურ ხანაში დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე (აფსაროსი, ფიჭვნარი) ნაპოვნი ბიზანტიური ხანის მონეტების არსებობაც ამგვარი ურთიერთობის მაჩვენებელია. ამდენად, ადრეფეოდალური ხანა აჭარისათვის ამ მხრივაც გამორჩეულია.

საქართველოში ადრეფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისა და განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევენ ფეოდალაზნაურთა ფენის დაწინაურებასა და გაძლიერებას, რასაც ქრისტიანობის წარმოშობა-გავრცელებამაც შეუწყო ხელი. მართალია, აჭარაში ამ სოციალური მოვლენების დამადასტურებელი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეების, კერძოდ, სამცხის მაგალითზე აღნიშნული მოვლენების არსებობას აჭარაშიც დასაშვებად მიიჩნევენ. მხედველობაშია მთავარისა თუ დიდებულთა ქვეშევრდომების („საკუთარნი", „ერმები", „ჭაბუკები"), მიწის საკუთრების კატეგორიების („აგარაკები", „შეწირული", „მამული", „ლედული") საძმო თემების, აზნაურების თუ სხვათა არსებობა.[9]

ჩამოთვლილი კატეგორიებიდან აჭარაში აგარაკების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს სოფლის სახელი აგარა (ორი ხელვაჩაურის რაიონშია, ორი — ქედის რაიონში, ერთიც — ხულოს რაიონში).[10]

---

5 ს.ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. — შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 30.

6 ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირის 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. — სდსძ, III, თბილისი, 1974, გვ. 130-132.

7 შდრ: ეკლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". თბილისი, 1971, გვ. 94, 323, 329.

8 ა.ინაიშვილი.- ციხისძირი ის.ფ. I-VI საუკუნეებში. ბათუმი, 1993, გვ. 101.

9 ა.ბოგვერაძე. სოციალური ურთიერთობანი, ფოდებანი (იხ ფინამდებარე ნარკვევების II თავი).

10 ი.სეხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. I. ბათუმი, 1958 (იხ. საძიებელთან „აგარა").

ადრეფეოდალური ხანა აჭარაში და მთელ დასავლეთ საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა, როგორიცაა ახალი რელიგიური იდეოლოგიის – ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება. ქართველი საეკლესიო წერილობითი წყაროებით, აჭარაში ქრისტიანობა ერცელდება მის პირველ მოციქულთა (ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა) მიერ.[11]

ქართლის ცხოვრების ჩანართების თანახმად, ანდრია პირველწოდებული სვიმონ კანანელთან ერთად ჯერ ტრაპიზონის მხარეს ეწვია. შემდეგ „ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების." აქედან კი ანდრია სამცხეს გადასულა და იქაც ახალი სარწმუნოების წესი დაუდგენია. ფიქრობენ, რომ მოციქულთაგან ერთი – მატათა გონიოშია დაკრძალული. ქრისტეს პირველ მოციქულთა მოღვაწეობამ ნიადაგი მოამზადა აჭარაში ქრისტიანობის შემდგომი გაერცელება-დამკვიდრებისა და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისათვის. აჭარაში, ეგრისსა და ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება თანადროული პროცესი შეიძლებოდა ყოფილიყო (ე.ი. IV საუკუნის 20-30-იანი წლები). ეს პროცესი ადრე აჭარის ბარის ზონაში უნდა დაწყებულიყო. პეტრა-ციხისძირის მოსახლეობა IV საუკუნეში ეზიარა ქრისტიანობას. ამაზე საუკუნით თარიღდება ქრისტიანული სიმბოლიკის ნაშთები, სამლოცველოები ფიჭვნარიდან, ბობოყვათიდან. უფრო მეტიც, V-VI საუკუნეებში პეტრა-ციხისძირში საეპისკოპოსო კათედრალიც არსებობდა. მისი ეპისკოპოსი 553 წელს მსოფლიო საეკლესიო შეხვედრაშიც მონაწილეობდა, რომელიც კონსტანტინოპოლში შედგა. პეტრას საეპისკოპოსოს არსებობა, ბუნებრივია, მის დაქვემდებარებაში მყოფ არაერთ საეკლესიო ცენტრს გულისხმობს. საეპისკოპოსო მომდევნო საუკუნეებშიც ფუნქციონირებდა. მსგავს მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საკუთრივ აჭარაში, არამედ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადრეული ქრისტიანობის ისტორიის შესწავლისათვის.

ადრეფეოდალური ხანა აჭარაში მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური მოვლენებითაც აღინიშნა, რაც დაკავშირებული იყო ბიზანტია-ირანის ომების ეპიზოდებთან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არაბების შემოსევასთან. ამ ომების ერთ-ერთ ასპარეზად იქცა ციხე-ქალაქი პეტრა, სადაც ამ დროს ბიზანტიის მეციხოვნეები იდგნენ. ლაზიკის მეფის, გუბაზ მეორის მცდელობა – ირანელებთან ერთად განედევნა ბიზანტიელები პეტრადან, ერთხანს მარცხით დამთავრდა. მართალია, ბრძოლა პეტრას დამორჩილებისათვის ირანელთა მხრივ ამით არ დასრულებულა, მაგრამ ბოლოს მათ ხელი აიღეს პეტრაზე და საერთოდ, ეგრისზე, რომელიც ამ დროს (VI საუკუნე) ეგრის-ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ბიზანტიელთა ბატონობის ხანაში პეტრა-ციხისძირი მნიშვნელოვან საქალაქო და საეპისკოპოსო ცენტრად აღსდგა.[12]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად აჭარამ მეორეან ერუს (VIII საუკუნე) ამაოხრებელი შემოსევაც განიცადა. არაბი მარბიელები აჭარაში მაშინ უნდა გამოჩენილიყვნენ, როდესაც ანაკოფსიასთან მარცხის შემდეგ რბევითა და, ბრძოლით გურიიდან სპერში, ანუ ისპირში (ჭოროხის ხეობა) გადაიყარნენ. სპერში კი აჭარის გაელით უნდა შესულიყვნენ.

შუა საუკუნეების აჭარის ისტორიაში განსაკუთრებული პერიოდი იყო მისი მეორე ეტაპი (XI საუკუნე – XVI საუკუნის პირველი ნახევარი), რომელიც

---

11 ბ.დიასამიძე. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ზოგიერთი საკითხი. – ჯვარი ვაზისა. I. თბილისი, 1988; მისივე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 2001, გვ. 33-34; ი.ბექაურიშვილი. ქრისტიანობა აჭარაში. ბათუმი, 1991; ს.ყაზიტიძე. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა. ბათუმი, 1997.

12 ნ.ლომოური. ბიზანტია-ირანის ომების ეპიზოდები აჭარის ტერიტორიაზე (იხ. წინამდებარე ნარკვევების თავი I, §2)

განეითარებულ ფეოდალურ ხანას ემოხვევა. აჭარა, რომელიც საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ სახელმწიფოს – ტაო-კლარჯეთის შემადგენლობაში შედიოდა და მას VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ქართველი ბაგრატიონები მართავდნენ, XI საუკუნიდან აბუსერისძეთა საგვარეულოს გამგებლობაში ექცევა.[13]

ბაგრატ IV დროს ამ გვარის წარმომადგენლები აჭარასთან ერთად ფლობდნენ აგრეთვე არტანუჯს, ციხისჯვარს, აწყურის ციხეს. XII-XIII საუკუნეებში აბუსერისძეები მხოლოდ აჭარის ერისთავთერისთავებად იწოდებოდნენ. მათი რეზიდენცია სხალთის ხეობაში, კერძოდ, ხიხანში იყო ციხითა და ეკლესიით, ხილო სასახლე და საძვალე კი – სოფელ თხილვანაში.[14]

აბუსერისძეები ყოველთვის ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიისა და პირადად მეფის ერთგულნი იყვნენ, განსხვავებით სხვა მთავრებისაგან, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას ღალატობდნენ და მისგან განდგომას ცდილობდნენ.

აბუსერისძეთა საგვარეულოს ყველაზე გამორჩეული და ღირსეული წარმომადგენელი იყო XIII საუკუნის ცნობილი მწერალი და მოაზროვნე. მეცნიერი აბუსერისძე ტბელი. მის საისტორიო თხზულებაში დაცულ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრებისა და, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლაში.[15]

XIII საუკუნის შუა წლებიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში მოექცა და მისი გამგებელი აბუსერისძეებიც XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა და სათავადოთა სიაში მოიხსენიებიან. თუმცა, ეკლესიურად აჭარა მაინც ორად იყო გაყოფილი. „აჭარა დანდალოს ზეითი" – ტბელის, ხოლო „დანდალოს ქვეითი აჭარა" – ქართლის სამწყსოში შედიოდა.[16] აბუსერისძეები აჭარას ოსმალთა ბატონობამდე განაგებდნენ.

განეითარებულ, ანუ შუა ფეოდალურ ხანაში აჭარა კიდევ უფრო დაწინაურდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. განეითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება; მრავლად აშენდა ხუროთმოძღვრული ძეგლები (ეკლესია-მონასტრები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ქვის თაღიანი ხიდები) და ა.შ.

აღნიშნული პერიოდის აჭარის მაგალითზე სახეზე გვაქვს ყველა ის ნიშანი, რაც საერთოდ ახასიათებდა განეითარებული ფეოდალური ხანის საქართველოს. აჭარა ამ პერიოდში იყო ერთიანი ფეოდალური საქართველოს შემადგენელი ნაწილი და, როგორც ითქვა, ყოველთვის აქტიურ როლს თამაშობდა მის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ფეოდალური ხანის აჭარაში მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით გვიხდება მსჯელობა. ბარის ზონაში წამყვანი იყო მიწათმოქმედება. მთის ზონაში მიწათმოქმედება მესაქონლეობასთან კავშირში იყო, ანუ სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ ფეტვი, ქერი, ღომი, ჭვავი, ხორბალი, ცოტა რაოდენობით ბრინჯი. ფართოდ მისდევდნენ სელისა და კანაფის მოყვანას. ვახუშტის (XVIII საუკუნის I ნახევარი) ცნობით, აჭარა „ყოველითა მარ-

---

13 დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბილისი, 1980, გვ. 84.

14 ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. ბათუმი, 1981, გვ. 48 (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.სიხარულიძემ).

15 ივ.ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბილისი, 1979, გვ. 242; კ.კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბილისი, 1980, გვ. 330

16 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

ცელითა“ მდიდარი და მოსავლიანი მხარე იყო.[17] ზღვისპირა ზოლში (ბათუმი, გონიო, ერგე) მოჰყავდათ ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული.[18]

მეეენახეობა-მეღვინეობის მაღალგანვითარებულ დონეზე მიუთითებს მთის და ბარის ტერიტორიაზე არსებული ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაგები საწნახლები, მიწაში მრავლად ჩამარხული სხვადასხვა ტევადობის საღვინე ქვევრები, ვაზის ძველისძველი საღვინე და საჭმელი ჯიშები (ჩხაკერი, კოლოშა, ხარისთვალა, ცხენიძუძუ, მისკეთი, ბოსტნური, საქმიელი, დუდღი, შავშური, ლიკანური, კლარჯული და სხვა). აჭარაში ძირითადად გავრცელებული იყო მაღლარი ვენახი, ანუ, ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველგან „ყენახნი მაღლარნი“ ხარობდა. განვითარებული იყო მეხილეობა, მისდევდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობას,[19] ტყიურ და შინაურ მეფუტკრეობას.

საყოველთაო ხასიათი ჰქონდა ხელოსნობას (მჭედლობა, ხითხუროობა, ქვითხუროობა, მეთუნეობა, ფეიქრობა). ამაზე მიგვითითებს როგორც აღნიშნული პერიოდის წერილობითი წყაროები (მაგალითად, აბუსერისძე ტბელის საისტორიო თხზულება), ასევე არქეოლოგიური მონაცემები, ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლები. როგორც ირკვევა, მჭედლობა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ეთარდებოდა. ამის მანიშნებელია აჭარის ბარისა და, განსაკუთრებით, მთის ზონაში (თაგო, ყინნაური, ფაჩხა, წაბლანა, ყიშლა – ხულოს რაიონი) მრავლად ნაპოვნი რკინის წიდები, რომლებიც ადგილზე მოპოვებული რკინის შემცველი მადნის სპეციალურ რკინისსადნობ ღუმელებში გამოდნობის გზით მიიღებოდა.

ხელოსნობის ერთ-ერთი დაწინაურებული დარგი იყო ქვითხუროობა, რაც ქვის ეკლესიების, ციხე-კოშკებისა და მარან-საწნახლების მშენებლობითაც იყო გამოწვეული. ისტორიამ (აბუსერისძე ტბელის თხზულება) შემოგვინახა XII საუკუნის ცნობილი აჭარელი ქვითხუროს – ბასილის სახელი, რომელიც ეკლესიებს აშენებდა აჭარასა და მის ფარგლებს გარეთ.

აბუსერისძე ტბელის საისტორიო თხზულების მიხედვით, XII-XIII საუკუნეებში (ასე იყო მომდევნო საუკუნეებშიც) ხელოსნობის გავრცელებული ფორმა იყო ხელოსანთა საშოვარზე სიარული, რასაც ეწოდებოდა „უცხოობაში მუშაობა“, ანუ „მოსარეწლად რაისამე სიარული“. ასეთ ხელოსანთა რიგს ეკუთვნოდა თვით ბასილი. საშოვარზე წასვლა მხოლოდ პროფესიონალ ხელოსანთა პრივილეგია იყო.

აბუსერისძე ტბელის თხზულების მიხედვით ისიც ირკვევა, რომ XII-XIII საუკუნეების აჭარაში ხელოსნობის ისეთ წამყვან დარგში, როგორიც ქვითხუროობაა, შრომა დანაწილებული იყო. ამაზე მიუთითებს ტერმინები – „ქვის მხდელნი“, „ქვის მკუეთელნი“, „ქვის მზაკველნი“ და ა.შ. საშოვარზე სხვა დარგის ხელოსნებიც დადიოდნენ, რაზეც ცნობას გვაწვდის აბუსერისძე ტბელის თხზულება, რომელშიც კონკრეტულადაა მითითებული ორ ცხმორისელზე.

თხზულებაში ცხმორისი დაბად იხსენიება,[20] რაც აჭარის მაგალითზე ერთეული შემთხვევა არ უნდა იყოს. ასეთი დაბები ფეოდალური ხანის აჭარაში სხვაგანაც იქნებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ პერიოდში დაბები მოიაზრება, როგორც სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, ხელოსნობის გარდა, ვაჭრო-

---

17 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941, გვ. 134.

18 იქვე, გვ. 176.

19 ნ.კახიძე. მეეენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში. – ამეკს, თბილისი, 1971; ვ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა აჭარაში. თბილისი, 1969.

20 ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროსა ბასილისა, გვ. 10.

ბასაც მისდევდა და ცალკეული ეაჯრებიც არცთუ იშვიათად დადიოდნენ „უცხოობაში სამუშაოდ“.

საკელეი პერიოდის აჭარაში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე მონაცემები მწირია. ამ მხრივ გამორჩეულია XII-XIII საუკუნეები. XIII საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეცნიერი, მწერალი და მოაზროვნე. მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება აბუსერისძე ტბელი, რომლის მეცნიერული თუ სამწერლო შემოქმედება XI-XII საუკუნეების ქართული საერო თუ სასულიერო მწერლობიდან და მეცნიერებიდან იღებს სათავეს. ჩვენამდე მოღწეულია მისი საისტორიო თუ სხვა ხასიათის თხზულებები, რომლებმაც თავისი მნიშვნელობით თვალსაჩინო კვალი დაჩნია შემდგომი პერიოდის ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ტბელის საისტორიო-აგიოგრაფიული თხზულება „სასწაულნი წმინდა გიორგისანი“, რომელიც XIII საუკუნის 30-იან წლებში დაიწერა. თხზულებაში დაცული მდიდარი ისტორიული ცნობები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის აჭარისა და, მთლიანად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად.

აბუსერისძე ტბელმა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, შუა საუკუნეების მეცნიერებაში მთელი ეპოქა შექმნა თავისი ასტრონომიულ-მათემატიკური ტრაქტატით, რითაც სისტემაში მოიყვანა იმდროინდელი ქართული და საერთაშორისო წელთაღრიცხვების სისტემა. აბუსერისეული ტრაქტატი გახდა საფუძველი ახალი კალენდრისა, რომელიც 300 წლის შემდეგ რომის პაპის გრიგოლ XII კომისიამ შეიმუშავა. ამით აბუსერისძე ტბელმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო შუა საუკუნეების ქართული ასტრონომიულ-მათემატიკური აზროვნების განვითარებას. აბუსერისძე ტბელი თავისი მეცნიერული თუ სხვა ხასიათის ქმნილებებით ქართული მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო.[21] ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით (2002 წლის 17 ოქტომბერი), აბუსერისძე ტბელი სხვა ცხრა პიროვნებასთან ერთად წმინდანთა დასში შერაცხა (მათ შორის იყვნენ მღვდელმონაზონი თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX საუკუნეები) და ექვთიმე თაყაიშვილი (XIX-XX საუკუნეები)).[22]

წარმოშობით აჭარიდან იყო XVII საუკუნის პირველი ნახევრის დაბით გარეჯის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი და საეკლესიო მოღვაწე მარკოზი, რომელიც მარკოზ აჭარელის სახელითაა ცნობილი. იგი იმ ქრისტიან ქართველთაგანია აჭარიდან, რომელიც გამუსლიმანების პროცესს განერიდა და ქართულ-კახეთს შეაფარა თავი. მარკოზ აჭარელის სალიტერატურო მოღვაწეობა XVII საუკუნის პირველ ნახევარს – როსტომის (1632-1658) მეფობის პერიოდს უკავშირდება. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როსტომის მეუღლესთან – მარიამთან, რომელიც ქართულ მწიგნობრობას მეცნიერობდა. იგი თავისი სულიერი მამის – მთავარეპისკოპოსის ელისე თბილელის დავალებით კრებულების გადაწერასაც ეწეოდა.[23]

წყაროებში შემონახულია აგრეთვე ცნობები XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე სასულიერო და საე-

---

21 აბუსერისძე ტბელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცლად იხ: ნ.ბოგუნაძე, ბ.ქაჯარია, რ.ჩაგუნავა. აბუსერისძე ტბელი. ბათუმი, 1998.

22 საპატრიარქოს უწყებანი. 2002, №43, გვ. 5-6.

23 შ.ვარშანიძე. აჭარის შუა საუკუნეების ისტორიიდან. ბათუმი, 1974, გვ. 112-115; ი.სიხარულიძე. XVII ს გამოჩენილი ქართველი მწიგნობარი. – გაზ. „საბჭოთა აჭარა“. 1973, 3 სექტემბერი; რ.სურმანიძე. ვინ იყო მარკოზ აჭარელი? – სსიგს, X, ბათუმი, 1978, გვ. 173-185.

რო მწერლის — პეტრე ჩხატარაისძის შესახებ, რომელიც ქობულეთ'ში დაბადებული და ტრაპეზუნტში მიუღია განათლება. პეტრე, მარკოზის მსგავსად, გამუსლიმანების პროცესს გაშორებია და ერთხანს გურიის მთავრის კარ'სე ეწეოდა მწიგნობრობას. იგი დაკრძალულია მცხეთის საკათედრო ტაძრის ეზო'ში.[24]

აჭარა მდიდარი იყო განვითარებული შუა საუკუნეების ხელოვნებისა და საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებით. ხელოვნების ძეგლებიდან ჩვენამდე მხოლოდ რელიეფური ქანდაკებების, მონუმენტური კედლის მხატვრობისა და ჭედური ხელოვნების ცალკეული ნიმუშები შემორჩა. ასეთებია: ქალოთის ეკლესიის რელიეფი ჯვრისა და ხელებაღმართული ოსტატის ფიგურით, რომელიც ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა; აღსანიშნავია ხინოწმინდის ეკლესიის სკულპტურული თავები, რომელიც რელიეფური ქანდაკების განვითარების მოგვიანო საფეხურის ნიმუშია; ეერნების ეკლესიაში ნაპოვნი სპილენძის ჭედური ხატი ღვთისმშობლის გამოსახულებით; განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია აგარის ეკლესიის დეკორატიულად შემკობილი კანკელი, რომელიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება; სხალთის ეკლესიის ფერწერული ანსამბლი, რომელიც ბოლო წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა. სხალთის, ისე როგორც ხიხანის ეკლესიის ფერწერული და ჭედური ხატები, აბუსერისძეთა დაკვეთით მზადდებოდა, რომლებიც განსაკუთრებული ღვთისმოსაობითა და ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ.[25]

სახვითი ხელოვნების დასახელებული ნიმუშების არსებობა იმა'სე მიუთითებს, რომ აჭარას თავისი წვლილი შეჰქონდა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების განვითარებაში.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბევრი საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრული ძეგლი მთლიანად დაინგრა და გაქრა, ნაწილიც ნანგრევების არ დაზიანებული სახით შემორჩა. ერთადერთია XIII საუკუნეში აშენებული სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის არქიტექტურული ანსამბლი თითქმის მთლიანადაა დაცული. დაზიანებული სახით მოაღწია ხინოს ეკლესიამ, რომელიც დიდი ნაგებობა ყოფილა. მშენებლობის ტექნიკის მიხედვით იგი IX-X საუკუნეების განეკუთვნება, რომელსაც მოგვიანო პერიოდის (XIV საუკუნე) მინაშენებიც ამშენებდა. თავდაპირველად ეკლესია სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ყოფილა. ამ ტიპის სალოცავებს ქართულ არქიტექტურაში ადრექრისტიანული ხანიდან ვარაუდობენ. განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიის დიდი ნაწილი დარბაზულს განეკუთვნება. მის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად მიჩნეულია ზენდიდის ციხის ახლოს მდებარე სამლოცველო, რომელიც თითქმის პირვანდელი სახითაა მოღწეული. დიმიტრი ბაქრაძე ხინოს ეკლესიას დარბა'ხ'ელ ტიპს აკუთვნებდა.[26]

აჭარაში განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის სხვა საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან აღსანიშნავია თიკანაურის, კვატიის, ეერნების, თხილვანის, ცხმორასის ეკლესიები.[27]

'აჭარაში იშვიათია სოფელი, სადაც ამ პერიოდის ეკლესია-მონასტერი არ არსებულიყო. მათი ნაკვალევი ტოპონიმიკამაც შემოგვინახა ნაქისელეების, ნასაყდრალისა თუ ნამონასტრევის სახელწოდებით. ამ მონაცემების მიხედვით ცხადი ხდება, რომ განვითარებულ ფეოდალურ ხანაში აჭარა, განსაკუთრებით კი აჭარისწყლის ხეობა, ქრისტიანობის დაწინაურებული კერა იყო.

---

24 დ.ხახუტაიშვილი. კულტურა და მეცნიერება (იხ: წინამდებარე ნარკვევების III თავი).

25 მ.ბეჟანელიშვილი. საეკლესიო ხუროთმოძღვრება (იხ: წინამდებარე ნარკვევების III თავი).

26 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 83-84.

27 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 72-90.

შუა საუკუნეების აჭარის ისტორიის მეორე ეტაპი საგარეო ცხოვრების საყურადღებო მომენტებითაც აღინიშნა, რომელიც თურქ-სელჩუკთა (XI საუკუნე) და მონღოლთა (XIII საუკუნე) საქართველოში შემოსვლებთანაა დაკავშირებული.

თურქ-სელჩუკები აჭარაში შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს დამორჩილების შემდეგ გამოჩნდნენ XI საუკუნის 60-იან წლებში და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს მისი მოსახლეობა. მნიშვნელოვნად მოიშალა მეურნეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება. წერილობითი წყაროების მიხედვით სელჩუკები აჭარაში XII საუკუნის შუა წლებშიც გამოჩენილან და ერთხანს ხიხათა ციხესაც დაპატრონებიან. თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში აჭარის მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობდა.[28]

XIII საუკუნის 60-იან წლებში აჭარაში სამცხისა და შავშეთ-ლიგანის გავლით ირანის ილხანთან წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ უკან დახეული მონღოლებიც გამოჩენილან. თუმცა, მათ ლაშქრობას დასუსტების გამო მარბიელი ხასიათი არ ჰქონია.[29]

განვითარებული ფეოდალური ხანის აჭარაზე, მოსახლეობის სტრუქტურაზე, სოციალურ ურთიერთობაზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ საკითხებზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი მსჯელობა გვიხდება მხოლოდ აბუსერისძე ტბელის საისტორიო თხზულებისა და საქართველოს სხვა კუთხეების შესაბამისი წერილობითი მონაცემების შეჯერების საფუძველზე.

მოსახლეობის ძირითად მასას თავისუფალ თუ ყმურ მდგომარეობაში მყოფი მწარმოებლური გლეხობა და ვაჭარ-ხელოსნები შეადგენდნენ, დანარჩენს — დიდებულები და აზნაურები, ეკლესია-მონასტრების მსახურნი. დიდებულთა სიაში მოიაზრება ერისთავთერისთავები, რომლებიც მათ დაქვემდებარებაში მყოფ ერისთავებსაც გულისხმობს. ყველა მათგანი კი აბუსერისძეული „ქოველი ერის" ცნებაში ერთიანდებიან, რომელსაც სათავეში ედგა აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი.

ვაჭარ-ხელოსნები ამ დროსაც სოფლებშიც შრომობდნენ და დაბებშიც. როგორც ითქვა, ერთ-ერთ ასეთ დაბად, აბუსერისძე ტბელის ცნობით, ითელებოდა ცხმორისი. დაბის ცნებაც, პირველ რიგში, ვაჭარ-ხელოსნებს გულისხმობს. დაბის მოსახლეობის სწორედ ამ ფენის წარმომადგენლები საშოვარისთვის სილარიბის გამო მოგზაურობდნენ შორეულ კუთხეებში. მათ შორის იყვნენ ზეგმოთ დასახელებული „ქვითხურო-გალატოზი" ბასილი და კიდევ ორი ცხმორისელი, რომელთა საშოვარზე სიარული თავიანთი სახლეულის რჩენას ისახავდა მიზნად. ხელოსნები იმ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ, რომელთაც ეკონომიკური სიდუხჭირე აიძულებდა საშოვარზე შორეულ კუთხეებში ეველოთ.[30]

სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, აჭარისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა მესამე ეტაპი, ანუ ოსმალთა ბატონობის ხანა, რომელიც მოიცავს პერიოდს XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთ-თურქეთის 1877-1978 წლების ომამდე. იგი სამი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

ნარკვევების წინამდებარე ტომში (თავი IV) შესულია სტატიები, რომლებშიც ნათლადაა ასახული აღნიშნული პერიოდის ძირითადი მახასიათებლები. ესენია: თურქეთის სხვადასხვა არქივსაცავში ადრე მოძიებული თუ სრულიად ახალი დოკუმენტური წყაროები — ზემო და ქვემო აჭარის, ბათუმის ლივების (სანჯა-

---

28 ნ.შენგელია. თურქ-სელჩუკები და აჭარა (იხ: წინამდებარე ნარკვევების II თავი, §2); ი.სიხარულიძე. თურქ-სელჩუკთა შემოსვლები აჭარაში. — ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1958, №3.

29 ი.სიხარულიძე. მონღოლი უფლისწულის ურდო აჭარაში. — ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა". I, ბათუმი, 1960, გვ. 83.

30 ტბელ აბუსერისძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ყების) მცირე და დიდი დავთრები, სხვა სახის წერილობითი მონაცემები, რომლებშიც ახლებურადაა გაშუქებული ოსმალთა მიერ აჭარისა და მეზობელი კუთხეების (ჭოროხის მხარე, ლაზეთი) დაპყრობის ისტორია, XVI-XVIII საუკუნეების აჭარის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და მმართველობის დღემდე ნაკლებად ან სრულიად უცნობი საკითხები. დავთრები მნიშვნელოვანი წყაროა ოსმალთა ბატონობისდროინდელი აჭარის დემოგრაფიული სიტუაციის, ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის, საგადასახადო სისტემის შესწავლისათვის.[31]

ერთ-ერთი ოსმალური დოკუმენტის მიხედვით, რომელიც დაცულია სტამბოლის თოფკაფის სასახლის არქივში და თარიღდება 1561 წლის თებერვალ-მარტით, ირკვევა, რომ აჭარის ხეობის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი ყოფილა ეინმე ბეჟანი. იგი დაეთარში იწოდება, როგორც „ქრისტიანი ბეჟანი", რომელიც „აწყობდა არეულობებს და დაუმორჩილებელი" იყო. ოსმალებმა ბოლოს მოახერხეს აჭარის ხეობა ჩამოერთვათ ქრისტიანი ბეჟანისათვის და გადაეცათ ის ადრე დამორჩილებული ისპირის (სპერის) სანჯაყ-ბეგ მეჰმედ ბეგისათვის.[32]

მეორე ოსმალური დოკუმენტის მიხედვით (თარიღდება 1563 წლის 15 დეკემბრით), ბეჟანი იძულებული გახდა ისლამის ერთგულების ფიცი მიეღო და სანაცვლოდ ოჯაქლიკის წესით დაებრუნებინა თავისი საგამგებლო აჭარის ლივა (სანჯაყი). 1566 წლის 10 მაისით დათარიღებული ოსმალური წყაროს მიხედვით, ბეჟანი მეჰმედად მოინათლა. იგი აჭარის სანჯაყ-ბეგად მოიხსენიება,[33] რომლის ძალაუფლებაც შესაძლოა ქვემო აჭარის სანჯაყზეც ვრცელდებოდა.

ჯერჯერობით ზუსტად არ არის დადგენილი, თუ რაში გამოიხატებოდა ახლად გამოცხადებული აჭარის სანჯაყ-ბეგისა და სანჯაყის დამოკიდებულება ოსმალო ხელისუფლებისადმი, მაგრამ ზემო და ქვემო აჭარის ვრცელი დავთრების მიხედვით (შედგენილია სულთან სულეიმან მეორის (1566-1576 წწ) დროს) ცხადი ხდება, რომ აჭარა ფისკალურად ემორჩილებოდა ოსმალებს და მასზე ოსმალეთის ინკორპორაცია ვრცელდებოდა.

დასახელებული აღწერის დავთრების მიხედვით ჩანს, რომ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მეტად მტკივნეულად აღიქვამდა ოსმალთა მოძალებისა და მუსლიმური რეჟიმის საფრთხეს, ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს და საქართველოს სხვადასხვა ქრისტიანულ კუთხეს აფარებდა თავს. ამის გამო ზემო და ქვემო აჭარის ზოგიერთი სოფელი მთლიანად დაცლილა მოსახლეობისაგან. ეს პროცესი აჭარაში ოსმალთა გაბატონების შემდეგაც გრძელდებოდა.

ოსმალთა ბატონობის პერიოდი აჭარაში ხასიათდება უცხო რეჟიმის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ხშირი აჯანყებებით, რომლებიც განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ეროვნულ დამო-

---

31 დავთრების შესახებ ვრცლად იხილეთ: ზ.შაშიკაძე. ოსმალური გადასახადები აჭარაში („ზემო და ქვემო აჭარის ვრცელი დავთრის მიხედვით). – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. III, ბათუმი, 2002; მისივე. ზემო აჭარის ვრცელი დავთარი როგორც ისტორიის წყარო. – იგ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 341, თბილისი, 2002.

32 ოსმალთა მოძალება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მათ შორის აჭარისადმი განსაკუთრებით მაშინ იწყება, როდესაც ირან-ოსმალეთს შორის ამასიაში 1555 წელს დადებული ზავით ირანი აღიარებდა ოსმალეთის გავლენას დასავლეთ საქართველოზე, ოსმალეთი კი ცნობდა ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე.

33 ზ.შაშიკაძე. ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიის შესახებ. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შრომები. III, ბათუმი, 2002.

უკიდებლობას. ამგვარი გამოსვლები რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე გრძელდებოდა, ვიდრე აჭარამ საბოლოოდ არ დაალწია თავი ოსმალთა ბატონობას და დედასამშობლო საქართველოს არ დაუბრუნდა. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის იყო, რომ ოსმალებმა აჭარაში ისე მტკიცედ ვერ მოიკიდეს ფეხი, როგორც სხვა დაპყრობილ ქვეყნებში. მათ ვერ მოახერხეს აჭარაში სრულად დაემკვიდრებინათ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. ამის შესახებ მოთხრობილია წინამდებარე ნარკვევების მეოთხე თავის შესაბამის სტატიებში.

ნარკვევში ცალკე სტატიები ეძღვნება აჭარის განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს, რომლებიც მოიცავს პერიოდს XVII საუკუნიდან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე. მკითხველი აქვე იპოვის ცნობებს სულიმ და შერიფ ხიმშიაშვილების შესახებ, რომლებიც რუსულ ორიენტაციას ემხრობოდნენ და აქტიურად იბრძოდნენ აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისა და დედასამშობლო საქართველოსთან დასაბრუნებლად.

ნარკვევების მთავარი სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, წინამდებარე ტომში შევიდა აჭარის მეურნეობისა და კულტურის (V თავი), აჭარის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის (VI თავი) საკითხები, აჭარის საგვარეულოები (VII თავი). ამდენად, V-VII თავები მთლიანად მოიცავს ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის) საკითხებს. ტომის ამგვარი სტრუქტურა იმითაცაა ნაკარნახევი, რომ მასში შესული აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი საკითხების დიდი ნაწილის კვლევა ძირითადად შუა საუკუნეების პერიოდის მონაცემებს ეყრდნობა. ეს მონაცემები, არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, პირველხარისხოვანი წყაროა აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის საკითხების კვლევაში.

წყაროები და ისტორიოგრაფია

§1. წერილობითი წყაროები

ა) ქართული წერილობითი წყაროები

შუა საუკუნეების აჭარის ისტორიის შესწავლა სხვადასხვა მონაცემს ემყარება. ქართული წყაროები აჭარაზე, სამწუხაროდ, მცირედ შემორჩა, მაგრამ ისინი მრავალმხრივ ცნობებს შეიცავს მხარის იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ქართული წერილობითი წყაროების მიმოხილვას „ქართლის ცხოვრების" ქრონიკებიდან დაეიწყებთ. მართალია, ეს ცნობებიც ფრაგმენტული და მწირია, მაგრამ ისინი რამდენადმე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობდა აჭარა მოციქულთა ხანიდან ქრისტიანობის ქადაგება-გავრცელებაში, იმდროინდელი ქართლის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ ლეონტი მროველის თხზულების („ამბავი მეფეთა, პირველთა მამათა და ნათესავთა") მიხედვით ირკვევა, რომ ქართლის მეფის, ფარნავაზის დროის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული დაყოფით აჭარა შედიოდა ოძრხის საერისთაოში.[1] მოგვიანო წერილობით წყაროებში კი აშოტ ბაგრატიონის დროს დასახელებულია შავშეთ-კლარჯეთის სამთავროს შემადგენლობაში შავშეთთან, კლარჯეთთან, ნიგალთან, ტაოსთან, სპერთან, სამცხესთან, ჯაველეთთან და არტაანთან ერთად.[2]

აჭარა მოიხსენიება დავითის ისტორიკოსის ცნობაშიც და იგი უკავშირდება გიორგი II დროს თურქ-სელჩუკთა ამაოხრებელ შემოსევებს, რაც ცნობილია „დიდი თურქობის" (1080 წ.) სახელწოდებით. მემატიანის ცნობით, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აჭარა და სხვა მეზობელი კუთხეები (შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე) „აღიკვნო თურქითა, მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქვეყანათა მკვდრი ყოველი", „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოჭრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა", „წაიბილწა წმინდა ადგილები" და დაიხოცნენ ეკლესიის მსახურნი.[3]

შემდეგი ცნობა აჭარაზე „ქართლის ცხოვრებიდან" გვხვდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მონღოლთა უფლისწულის – თეგუდარის შემოსევის დასასიათებისას. ჟამთააღმწერლის გადმოცემით, თეგუდარის ურიცხვი ლაშქრის შემოსევამ დაუსარალა აჭარა და მეზობელი კუთხეები. მემატიანე წერდა: თეგუდარმა „მომართა მთათა დადოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შავშეთსა და აჭარას და დადგა მთასა შავშეთისასა ფიჭვთას".[4]

იმავე ჟამთააღმწერლის ცნობით, XIII საუკუნეში აჭარა მონღოლთა ეგის დაქვემდებარებულ სამცხის ხასინჯეში შედიოდა სარგის ჯაყელის დროს. სამთავროს საზღვრები მაშინაც და მისი მემკვიდრის – ბექას დროსაც ტაშისკარიდან შავ ზღვამდე ერცელდებოდა.[5] საინტერესოა კიდევ ერთი ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან", რომელიც გიორგი III მეფობის პერიოდს უკავშირდება და ხიხანის ციხეს შეეხება. კერძოდ, აქ მოხსენიებულია „პატრონი ხიხათა",[6] რაც ხიხანის მმართველზე უნდა მიუთითებდეს.

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 24-32.

[2] იქვე, გვ. 253.

[3] იქვე, გვ. 319.

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 257-258.

[5] იქვე, გვ. 270, 273.

[6] იქვე, გვ. 363.

სხვა ადრეული ქართული წერილობითი წყაროებიდან ჩვენამდე მოღწეულია XIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის, ზემო აჭარის მკვიდრის, აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებები. პირველ რიგში, აღსანიშნაცია მისი ჰაგიოგრაფიული საისტორიო თხზულება „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისანი“, რომელიც დაწერილია 1233 წელს.[7]

თხზულებაში დაცული ცნობები მეტად მნიშვნელოვანი და სანდო წყაროა ისეთი საკითხების შესასწავლად, როგორიცაა: XII-XIII საუკუნეების აჭარის ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, სოციალური ურთიერთობა, აბუსერისძეთა საგვარეულოს გენეალოგია, სამონასტრო ცხოვრება და სამონასტრო მშენებლობა, ქრისტიანული იდეოლოგია, ისტორიული გეოგრაფია და ონომასტიკა, ქვითხუროობა, ხელოსანთა და სხვა დარგის წარმომადგენელთა საშოვარზე სიარული და ა.შ. თხზულების ეს მნიშვნელობა სხვათა გამოკვლევებშიცაა გაშუქებული.[8] მაგრამ ამ მხრივ მაინც ის შეფასებია მნიშვნელოვანი, რაც აბუსერისძე ტბელის თხზულებებს მისცეს ქართული მეცნიერების პატრიარქებმა — ივ. ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „თანამედროვე მკვლევარი ამ პატარა თხზულებაშიც ძვირფას ცნობებს ი.პოეტის მრეწველობის და ხელოვნების შესახებ საქართველოში. მრავალს საალმშენებლო ხელობის და იარაღების ტერმინებს და სხვას“,[9] კ. კეკელიძის დახასიათებით „ეს ეს შრომა საყურადღებო საისტორიო წყაროა იმდროინდელ საქართველოს ყოფა-ცხოვრების შესწავლაში.[10]

დასახელებული თხზულება მეტად მდიდარია ფოლკლორულ-მითოლოგიური ცნობებით. მწერალმა უხვად გამოიყენა ქართველთა მფარველ წმინდანზე — გიორგიზე გავრცელებული გადმოცემები და შეძლო ორიგინალურად გადმოცემა მისი სასწაულები.[11]

აბუსერისძე ტბელს სხვა ნაწარმოებებიც ეკუთვნის. ასეთებია: „ბალობანი წმიდათა იოანეთანი“, „ბალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“, „ბალობანი წმიდისა ღმრთისშობელისანი“, „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“. ბალობანი მიუთითებს ავტორის ღრმად განსწავლულობაზე შუასაუკუნეობრივი ჰიმნოგრაფიული მუსიკალური კულტურის, საეკლესიო სიბრძნისმეტყველების, პოეტური აზროვნებისა და მხატვრული კულტურის განვითარებაში.[12]

---

[7] თხზულების ორიგინალი დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. მისი ტექსტი ჯერ კიდევ 1879 წელს გამოაქვეყნა თ.ორდანიამ („ქრონიკები“. II. თბილისი, 1879, გვ. 112-122). შემდეგ ძველი კომენტარებით გამოსცეს ლ.მუსხელიშვილმა („აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. თბილისი, 1941). ი.სიხარულიძემ („ცხოვრება ქეთხუროისა ბასილისა“, ბათუმი, 1981). ნ.ბოგუაძემ, გ.კავთარიამ და რ.ჩაგუნავამ („აბუსერისძე ტბელი“, ბათუმი, 1998, გვ. 58-70). ტექსტი უკომენტაროდაც დაიბეჭდა სხვადასხვა გამოცემაში („ქართული პროზა“, I, თბილისი, 1981; „ქართული მწერლობა“, III, თბილისი, 1988).

[8] გ.ფულეკაშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ-ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1973, გვ. 75-76; პ.ჩარტიანი. აბუსერისძე ტბელის მოთხრობა როგორც საისტორიო წყარო. — „მნათობი“, 1979, II; მ.ბაქრაძანი. აბუსერისძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები. - საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. V, 7, 1944; ნ.ახალაძე. აბუსერისძე ტბელის ნაწარმოები — ხელოსნობის შესწავლის წყარო. — ჟურნ. „ჭოროხი“, 1992, 2-3; მისივე. შუა საუკუნეების ხელოსნობის ისტორიიდან. - სდსკ. XV, თბილისი, 1988; რ.ხალვაში. ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება. ბათუმი, 1998; გ.აბუსელიძე. ტბელ აბუსერისძის ეპოქის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და ეკონომიკური მდგომარეობა. თბილისი, 2004.

[9] ივ.ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად. ტ. XIII, თბილისი, 1979, გვ. 242.

[10] კ.კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 330

[11] მ.ბაქრაძანი. დასახ. ნაშრომი.

[12] აბუსერისძე ტბელის ჩამოთვლილ თხზულებათა დასახასიათებისთვის ერცლად იხ.: აბუსერისძე ტბელი, ბათუმი, 1998; რ.ხალვაში. ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, ბათუმი, 1998; მისივე: ტბელ აბუსერისძის გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი, ბათუმი, 2003; მისივე: აბუსერისძის ცხოვრება და შემოქმედება. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2006; მისივე: წმ. ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღვაწლი. ბათუმი — სხალთა. 2006.

„ქორონიკონი“ ფილოსოფიურ-ასტრონომიული, ანუ პასქალურ-კალენდარული ხასიათის თხზულებაა, რომელმაც გადატრიალება მოახდინა შუასაუკუნეობრივი კალენდარული სისტემის სრულყოფაში. კ. კეკელიძის შეფასებით, ეს არის ერთადერთი ტრაქტატი, რომელიც მდიდარია სხვადასხვა კალენდარული, არითმეტიკული და, განსაკუთრებით, ასტრონომიული ტერმინებით.[13] ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსე, რომელმაც პირველმა გამოსცა „ქორონიკონი“, წერდა: „ქართველებმა 1233 წელს (როდესაც დაუწერია იგი 1233 წელს) უკეე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1583 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შედგომოდა კალენდრის შესწორებას.[14] „ქორონიკონით“ აბუსერისძე ტბელი (ცდილობდა ერთიმეორისათვის შეეფარდებინა და შეეთანხმებინა ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვა.[15]

აბუსერისძე ტბელი თავისი ორიგინალური ნარკვევებით, პასქალური ქრონიკებით, ერისთავთერისთავ აბუსერისძეთა გენეალოგიით გვეელინება იმდროინდელი ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლ პიროვნებად, ფართოდ განსწავლულ და მოაზროვნე მწერლად, რითაც იგი შთამომავლობისათვის მემატიანედ იქცა. არც მანამდე და არც შემდეგ იმ ეპოქაში არ შექმნილა ქართველი საზოგადოების მდგომარეობა-მისწრაფების ამსახველი ისეთი დიდი და შთამბეჭდავი თხზულებანი, როგორიც აბუსერისძე ტბელისაა. მისი ხელნაწერები დიდად გვშველის არა მარტო აჭარის, არამედ მთლიანად შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის შესწავლაში. წინამდებარე ტომში შედარებით სრულადაა წარმოჩენილი აბუსერისძე ტბელის, როგორც მრავალმხრივი შემოქმედის წელილი ქართული საისტორიო მწერლობის ისტორიაში.

შუა საუკუნეების აჭარის და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მესახებ მდიდარ მონაცემებს შეიცავს შავშეთის ტბეთის ეკლესიაში შედგენილი მატიანე („ტბეთის სულთა მატიანე“), რომელიც XII-XVII საუკუნეებს განეკუთვნება.[16] მატიანეს სხვა საბუთებთან ერთად მიაკელია გ. ყაზბეგმა 1874 წელს შავშეთში მოგზაურობის დროს.

გ. ყაზბეგს ხელნაწერი გადაუცია დ. ბაქრაძისათვის, რომელმაც მისი პირველი მოკლე აღწერილობა მოგეცა.[17] დ. ბაქრაძეს კი იგი ფრანგი ორიენტალისტისთვის — მარი ბროსესათვის გადაუცია. ხელნაწერი ამჟამად ინახება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში, სადაც იგი მარი ბროსეს კოლექციებიდან უნდა მოხვედრილიყო.

დ. ბაქრაძის შემდეგ მატიანის შინაარსით დაინტერესებულა პაველე ინგოროყვა. თუმცა, იგი ძეგლს შეცდომით XIV-XV საუკუნეებით ათარიღებდა და მიჭიხიანის (მაჭახლის) ხევის სულთა მატიანედ ასახელებდა.[18] მოგვიანებით მატიანის ეს სახელწოდება გაიზიარა ი. სიხარულიძემ და მას ცალკე სტატიაც უძღვნა.[19] ხელნაწერის ფრაგმენტული აღწერა გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ.[20]

---

[13] იქვე, გვ. 161-271; ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე — XIII საუკუნის ქართველი მწერალი, თბილისი, 1963; აღნიშნული შრომა პირველად გამოსცა მარი ბროსემ.

[14] კ.კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1980, გვ. 330.

[15] იქვე.

[16] „ტბეთის სულთა მატიანე“. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ენუქიძემ. თბილისი, 1977.

[17] დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987 (ნაშრომი პირველად რუსულ ენაზე გამოიცა სანკტ-პეტერბურგში 1878 წელს).

[18] პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954, გვ. 96.

[19] ი.სიხარულიძე. მაჭახლის სულთა მატიანის ონომასტიკონისა და ტოპონიმიკისათვის. — აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VI, 1961, გვ. 123-131.

[20] Какабадзе С.С. Грузинские документы Института Народов Азии, М., 1967, с. 351-352.

„ტბეთის სულთა მატიანე“ პირველად სრული მეცნიერული კომენტარებითა და საძიებლების დართვით გამოსცა ხელნაწერთმცოდნე თ. ენუქიძემ.[21] მანვე დაადგინა მატიანის შედგენის ზუსტი ადგილი (შავშეთის ტბეთის საეპარქიო საჯდარი), სახელწოდება და ქრონოლოგიური საზღვრები (XII-XIII საუკუნეები) პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

მატიანე-ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ეტრატის 18 კეფისაგან შემდგარ გრაგნილს, რომელიც ძირითადად დაწერილია ნუსხა-ხუცურით (გვხვდება მთავრული ასოებიც). ზოგიერთი სტრიქონი შესრულებულია სინგურით.[22] ძეგლის ძირითადი ფენა შედგენილია არა უგვიანეს XII-XIII საუკუნეებში,[23] მომდევნო კი — XIII-XVII საუკუნეებში. ამდენად, მატიანე XII-XVII საუკუნეების მანძილზე შექმნილი მოსახსენებლების ერთად თავმოყრილი ნუსხაა, რომლის მსგავსი შუა საუკუნეებში ყველა მნიშვნელოვან ეკლესია-მონასტერს ჰქონდა. მატიანე არის სულის მოსახსენებელთა ნუსხა. შემწირველები მატერიალურად უზრუნველყოფდნენ ეკლესია-მონასტრებს და თავიანთი შეწირულობით სრულიადნენ როგორც საკუთარი, ისე თავიანთი ახლობლების (ოჯახის წევრების) სულის მეოხებაზე.[24]

„ტბეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებულ შემწირველთა დიდი ნაწილი ისტორიული მიგიხინის ხევზე, ანუ მაჭახლის ხეობაზე მოდის, რომელიც მაშინ ტბეთის ეპარქიაში შედიოდა; ნაწილიც შავშეთ-კლარჯეთზე, ლიგანის ხეობაზე, მცირე ნაწილი — ქვემო აჭარაზე.

ჩვენამდე მოღწეული მატიანე შედგება 588 მოსახსენებლისა და 350-მდე გვარისაგან. მატიანე ძირითადად მოსახსენებელთა ნუსხაა, მაგრამ მასში დაცული ცნობები საშუალებას იძლევა ამოვიკითხოთ XII-XVII საუკუნეების აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიისა და ანთროონომასტიკონის მეტად საინტერესო საკითხები, რომელთა შესახებ სხვა წყაროები ასეთი სრული სახით თითქმის არ მოგვეპოვება. მატიანე დიდ ყურადღებას იქცევს გვართა სუფიქსური წარმოების თვალსაზრისითაც. მასში მოხსენიებულია 19 სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები გვარი. მათ შორისაა -ძე-ზე (აბესლამისძე, ბალასძე, ბასილისძე, გორგასძე, გუანისძე, გუნდანისძე, კახაბერისძე, კირკიტისძე, მეფუტკრისძე, ფოთელისძე, ქოქოლისძე, ოსანასძე, შუშანისძე, ძნელასძე, ხინკილასძე...), -ეთ-ზე (აბესლამეთ, გორგასძეთ, გუიანეთ, გუნდარეთ, კეჯერეთ...), შვილ-ზე (მალეყმასშვილი, კოკოპინასშვილი, ქავთარასშვილი), -ურ-ზე (აბესლამურთ, გვიანაური, სიკილაური, ქოქოლაური, ქუაბელური, ხინკილაური, ფოთელაური), -ულ-ზე (აკრიელი, ერგელი, კიბელი, ოღლაურელი, ქუაბელი, ჩრდილაელი...), აგრეთვე -ფხე-ზე, -ნა-ზე, -ია-ზე და ა.შ. დაბოლოებული გვარები. ცნობილია ისიც, რომ -ეთ სუფიქსით ნაწარმოები გვარები ყველაზე უძველესია. მათი რიცხვი 109-მდე აღწევს. მატიანე შეიცავს მონაცემებს გვართა სოციალურ კუთვნილებაზე, სოფლების გვარსახელურ წარმომაელობაზე, მიგრაციულ პროცესებზე, ხელოსნურ საქმიანობაზე, ქორწინებაზე, ნათესაურ ტერმინოლოგიაზე და ა.შ. საყურადღებოა მატიანეში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელები: ზედეაკე, ეფრატი, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ხერთვისი, აკრია, ერგე, ზენდიდი, კირნათი (კილნათ ფორმით), ჯოჯო და სხვა, რომლებიც დღესაც სოფლებად იწოდებიან.

მნიშვნელოვანი წყაროა XVI საუკუნის დამდეგის წერილობითი დოკუმენტი — სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და საეპისკოპოსოთა აღწერილობა, რომელიც აჭარის საეკლესიო დაყოფა-დაქვემდებარებაზე მიუთითებს. ძეგლის მიხედვით,

---

21 თ.ენუქიძე. დასახ. ნაშრომი.

22 იქვე. გვ. 9.

23 იქვე. გვ. 12.

24 იქვე. გვ. 10.

ზემო აჭარა, ანუ „აჭარა დანდალოს ზეითი“ შაე'შეთთან და მასში შემავალ მიქიხიანთან (მაჭახელთან) ერთად მტბევარის სამწყსოში შედიოდა, ხოლო ქვემო, ანუ „დანდალოს ქვეითი აჭარა“ ქუთათლის სამწყსოს ეკუთვნოდა.[25]

პირველი ცნობა ამ ძველი ხელნაწერი დოკუმენტის შესახებ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1871 წელს. ჟურნალის რედაქციისათვის ხელნაწერი მიუწოდებია ჯახუტა ეაჩნაძეს, რომელსაც იგი „ერთი აჭარაში მცხოვრებლისაგან“ მიუღია. ამ ცნობის მიხედვით აშკარაა, რომ აღნიშნული ხელნაწერები აჭარაში ინახებოდა. არ არის ვამორიცხული, რომ მსგავსი ხელნაწერები აჭარაში სხვაც მრავალად იქნებოდა, მაგრამ ისტორიული ეაებედობის გამო ისინი უკვალოდ დაიკარგა.

მწიგნობრული კულტურის ერთ-ერთი მშვენიერი ძეგლია იოანე მახარობლის ქადაგებანი, რომლის მნიშვნელობა დიდია ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების ისტორიაში. ხელნაწერი საყურადღებოა როგორც შინაარსით, ისე მინაწერებით.[26]

წიგნზე სხვადასხვა დროს გაკეთებული წარწერები გვამცნობს ამ შესანიშნავად გადარჩენილი წიგნის კალიგრაფის ვინაობას და მხარეში არსებულ კალიგრაფიულ საგვარეულო კერის არსებობას. ამასთან ერთად, წიგნის კიდეებზე არსებული შენიშვნებით და სხვა მინაწერებით ირკვევა მხარის გამოჩენილ საერო და სასულიერო მოღვაწეთა ვინაობა, მათი მაღალი განათლებისა და კულტურის დონე. კულტურისათვის, ასევე, ფასდაუდებელია აბუსერისძეთა სასახლისა და კერის ეკლესიისათვის შექმნილი კრებული, რომლის მრავალი მინაწერი შეიქმ ,ყენის მხარის გამოჩენილ მოღვაწეთა მსოფლმხედველობას, პოლიტიკურ მიმართულებას, მათი ცხოვრება-საქმიანობის სხვადასხვა მხარეს და სხვა. გამოელენილია სასულიერო შინაარსის თხზულებათა მინაწერებიც, რომლითაც ირკვევა გადამწერთა ვინაობა, წიგნის გადაწერის თარიღი და სხვა.

სასულიერო ხასიათის წიგნებში დაცულია საისტორიო მნიშვნელობის წერილობითი ცნობებიც. მაგალითად, ხრესილზე 1758 წლის ბრძოლაში ახალციხის ლაშქარში აჭარელთა ბრძოლაზე ცნობას იძლევა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერი.[27]

სასულიერო შინაარსის წიგნებთან ერთად, აჭარაში მრავალად გამოიყენებოდა საერო ლიტერატურის ნიმუშები, ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებები.

მეტად პოპულარული იყო მკურნალობისათვის გამიზნული შელოცვები. ხელნაწერი კარაბადინები, რომელთაც სამ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს.[28]

საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიული წარსულის შესახებ საკულისხმო მონაცემებს შეიცავს საისტორიო ზეპირსიტყვიერების პროზაული და პოეტური ნიმუშები, ხალხური გადმოცემები მათი სხვადასხვა ვარიანტით. ისინი აჭარაში მრავლადაა შემორჩენილი და სათანადოდაც არის შესწავლილი. მათში ასახულია საგმირო-საისტორიო ცხოვრების მომენტები, გაშუქებულია ხალხის ბრძოლა სოციალური უსამართლობისა და დამოუკიდებლობისათვის, გამოელენილია სახალხო გმირები. ამ საკითხების შესწავლას XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ამაგი დასდეს პ. უმიკაშვილმა, გ. წერეთელმა, გრ. გურიელმა, ი. ნათაძემ, თ. სიხარულიძემ და სხვებმა. მათ ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თამარ მეფესთან დაკავშირებულ და ოსმალთა ბატონობისდროინდელი პერიოდის ამსახ-

---

25 ჟურნალი „ცისკარი“, 1871, №4, გვ. 204; თ.ყორდანია. ქრონიკები. II, 1897, გვ. 53; დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 77; ქართული სამართლის ძეგლები. III, 1970, გვ. 245.

26 ფ.სიხარულიძე. იოანე მახარობლის ქადაგებანი. გაზ. „აჭარა“, 2001, 15 დეკემბერი.

27 კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, №252.

28 რ.სურმანიძე. მცირე კარაბადინი. I (აჭარული ვარიანტი). ბათუმი, 1990, გვ. 16-28.

ველ ნიმუშებს, თქმულება-გადმოცემებს.[29] ჩამოთვლილ აეტორთა ჩანაწერებში დაცული მასალები ახალი მონაცემების დამატებით გამოყენებულია და გაანალიზებულია ჩვენი დროის მკვლევართა ნაშრომებში.[30]

აჭარაში გამოვლენილია წყლის კულტის ამსახველი მასალები,[31] აგრეთვე მთავარმოწამე წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებული გადმოცემები, რაც შესულია აბუსერისძე ტბელის საისტორიო თხზულებაში.[32]

თითქმის ყველა სოფელშია შემორჩენილი გადმოცემები ძლიერი საქართველოს სიმბოლოზე — თამარ მეფეზე, მის ნამოღვაწარზე. თამარ მეფის აშენებულად თელიან კუთხის დამამშვენებელ ქვის თაღიან ხიდებს, ციხე-კოშკებს, ეკლესია-მონასტრებს, ქვის მარან-საწნახლებს.[33] პირველად აჭარელთაგან იქნა ჩაწერილი თამარ მეფის ნათქვამი ლექსი „ათას კაბა ყმა მყავდა."[34] ზენდიდის ციხის არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე კვლავ გაცოცხლდა თქმულება-გადმოცემა თამარ მეფის კარზე ზენდიდელ პირმსახურისძეთა საქმიანობაზე.

ბევრი საისტორიო ლექსია ჩაწერილი ოლქთაზე, უცხოურ (ოსმალთა) ჯარში გაწვევაზე[35] და ა.შ. ლექს-სიმღერებში შარავანდედით შეიმოსნენ სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლნი.

წყაროს მნიშვნელობას იძენს საველე საექსპედიციო ეთნოგრაფიული მასალები, რომელთა საფუძველზე დიდძალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა დაიწერა. ეთნოგრაფიული მასალების შედარება-შეჯერებამ შესაბამისი ისტორიული ლიტერატურისა და წყაროების მონაცემებთან შესაძლებელი გახადა შედარებით სრულად წარმოჩენილიყო შუა საუკუნეების აჭარის სამეურნეო ცხოვრება, მიწათმოქმედება-მემინდვრეობა, ტერასული და სარწყავი სისტემა,[36] მეკვლეობა-მეღვინეობა,[37] მესაქონლეობა,[38] მეფუტკრეობა,[39] მრავალდარგიანი ხელოსნობა (ხალხური მეტალურგია და მჭედლობა, ცეცხლსასროლი და ცივი საბრძო-

---

29 პ.უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. I, ტფილისი, 1937; ზ.ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1931; მისივე: ქართველების გამაჰმადიანება. ტფილისი, 1907; ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. ტფილისი, 1916; თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით. ტფილისი, 1918; თ.სახოკია. ზოგზაურობანი, თბილისი, 1950.

30 ქს. სიხარულიძე. თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში. თბილისი, 1943; მისივე. ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. თბილისი, 1949; ჯ.ნოღაიდელი. აჭარის ხალხური სიტყვიერება. I, ბათუმი, 1936; მისივე. ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან. თბილისი, 1935; ა.ახალედიანი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჭარის საისტორიო სიტყვიერება. — ამყკს, თბილისი, 1965; მისივე. აჭარის საგმირო საისტორიო სიტყვიერება. ბათუმი, 1970.

31 ზ.თანდილავა. წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი. ბათუმი, 1996.

32 ნ.ჯოგუაძე, გ.ქავთარია, რ.ჩაგუნავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 58-70.

33 ჯ.ნოღაიდელი. თქმულებები და გადმოცემები აჭარაში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე. — „ლიტერატურული აჭარა", 1962, №4.

34 ლექსი პ.უმიკაშვილმა ჩაიწერა 1878 წელს თბილისში ხუსეინ-ბეგ ბეკანიძისგან, რომელიც მაშინ აჭარის დეპუტაციაში შედიოდა (1878 წლის 20 ნოემბერი).

35 ერცლად იხ: ა.ახვლედიანი. აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. ბათუმი, 1970 (თავი III — „ოლქა-ოლქობა").

36 ნ.ჩიჯავაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბილისი, 1971; მისივე. მემინდვრეობა აჭარაში. აჭარის სოფელი. თბილისი, 1969; ვ.მგელაძე. ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი. — ამყკს, თბილისი, 1965.

37 ნ.კახიძე. მეკვლეობა-მეღვინეობა აჭარაში (იხ. წინამდებარე ნარკვევების V თავი); მისივე. მეკვლეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში. — ამსყს, თბილისი, 1971; ც.ჯოხია. მასალები მეკვლეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის ხულოს რაიონში. — სდსყკ, XII, თბილისი, 1986.

38 ვ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარა). თბილისი, 1969; ნ.კახიძე. მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში. — სდსმყკს, I, თბილისი, 1973.

39 ნ.კახიძე. მეფუტკრეობა აჭარაში (წინამდებარე ნარკვევების V თავი); ალ.დავითაძე. მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ხის იარაღ-ინვენტარი აჭარაში. — სდსმყკს, I, თბილისი, 1973.

ლო იარაღების დამზადება, ქვით და ხით ხუროობა, კერამიკული წარმოება, ფეიქრობა).[40]

ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში შესწავლილია დასახლების ფორმები აჭარაში,[41] მატერიალური კულტურა (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ტანსაცმელი, ხალხური კულინარია),[42] ხალხური ორნამენტი და დეკორატიული ხელოვნება,[43] ქორწინება,[44] ნათესაური ურთიერთობის, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის,[45] სულიერი კულტურის (ხალხური დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები),[46] საოთმო მიწათმფლობელობის[47] და სხვა საკითხები.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის საველე-ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც აჭარაში შეიკრიბა პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს – 1933 წელს და შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის ამსახველი მასალები – 1935 წელს.

1933 წელს ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა შემდგომში ფართოდ ცნობილი მეცნიერი-ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. რომელშიც იმყოფებოდნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების განაგებდა. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები (ეთნოგრაფები – ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, კ. გარდაფხაძე, ენათმეცნიერი – ს. მენთეშაშვილი, ასევე ბათუმში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერები (ფოლკლორისტ-ეთნოგრაფი ჯ. ნოღაიდელი, ისტორიკოსი ე. იაშვილი). ექსპედიციის მასალების ნაწილი დაბეჭდილია გ. ჩიტაიას ხუთტომეულის მესამე ტომში,[48] აგრეთვე ს. მენთეშაშვილის სტატიაში.[49]

1935 წელს ივ.ჯავახიშვილის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით და მის მიერ შედგენილი გეგმა-კითხვარის მიხედვით მასალები იკრიბებოდა მთელ საქართველოში. აჭარაში მასალებს კრებდნენ ენათმეცნიერი ქეთევან ლომთათიძე და მასწავლებელი თამარ ანდღულაძე. მასალები დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით მომზადებულ ხუთტომიან ნაშრომში სახელწოდებით „მასალები

---

40 ნ.კახაძე. ხელოსნობა აჭარაში. – სდსყკ, XVII, თბილისი, 1990; მისივე. ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიიდან აჭარაში. – სდსყკ, II, თბილისი, 1974.

41 ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხები ზემო აჭარაში. – ბსკიშ, I, ბათუმი, 1960; მისივე. დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობები აჭარაში. – ამყკს, თბილისი, 1967; ვ.მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973; თ.ჩიქოვანი. ზემო აჭარული სახლი. – ბსკიშ, I, ბათუმი, 1960.

42 ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომები; ჯ.მიქელაძე. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1977; მისივე. ლაზური საცხოვრებელი სახლი. - სდსყკ, XV, თბილისი, 1988; გ.ეანელიში. ლაზური სახლი და სამეურნეო ნაგებობანი. – სდსყკ, IV, თბილისი, 1978; ი.სამსონია. მამაკაცის კოსტიუმი საცხურიდან. - სდსყკს, I, 1973; მისივე: აჭარული ქალის კაბა. - სდსყკ, III, თბილისი, 1975; ხალხური სამზარეულო აჭარაში. - სდსყკ, XII, თბილისი, 1986; ხანდაზმულთა კვების კულტურა აჭარაში. - სდსყკ, XV, თბილისი, 1988.

43 ჯ.ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე (აჭარა), ბათუმი, 1979; მისივე. ბუხრის შემკულობა. – სდსყკ, თბილისი, 1985.

44 მ.ბექაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში. ბათუმი, 1974; ვ.მგელაძე. ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები აჭარაში. - კიეკს, ბათუმი, 1996.

45 Мгеладзе Н. Система кровного родства в Аджарии. Батуми, 1988; თ.ბერეგა. ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში. ბათუმი, 1990; ნ.კახაძე. საოჯახო მეურნეობის ისტორიიდან აჭარაში. – აჭარის სოფელი. თბილისი, 1969; გ.ეანელიში. ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან. - სდსყკ, VII, თბილისი, 1979.

46 ზ.თანდილავა. შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი. თბილისი, 1980; ნ.კახაძე. ეთნოგრაფია და ფოლკლორი ძველი და ახალი ტრადიციების შესწავლის სამსახურში. - სდსყკ, VI, თბილისი, 1978; თ.ლომთათიძე. მემინდურეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები აჭარაში. - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი მონოგრაფია და ავტორეფერატი. თბილისი, 2002.

47 ნ.მგელაძე. მასალები სათემო მიწათმფლობელობის საკითხისათვის აჭარაში. - სდსყკ, XI, თბილისი, 1985.

48 გ.ჩიტაია. შრომები. ტ. III, თბილისი, 2001.

49 ს.მენთეშაშვილი. აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. – ენიმკის მოამბე, II, თბილისი, 1937.

საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის" (გამოიცა 9 წიგნად 1977-1992 წლებში).

დასახელებული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, რომლებიც აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხს შეეხება, დახმარებას გეიწევს XIX-XX და წინა საუკუნეების ყოფითი კულტურის რიგი მნიშვნელოვანი რეალიების რეკონსტრუქციაში.

საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის შესწავლის წყაროებს შორის გამოირჩევა არქეოლოგიური გათხრების გზით მოძიებული ნივთიერი მასალები, რომელთა საფუძველზე არაერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა დაიწერა მონოგრაფიების, კრებულების, საურნალო და საგაზეთო სტატიების სახით. სწორედ არქეოლოგიურმა მასალამ გახადა შესაძლებელი შესწავლილიყო აჭარის ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური ხანის მიწისზედა თუ მიწისქვეშა კულტურის ძეგლები (ნასოფლარები, ნაქალაქარები, სამაროვნები და სამარხეული ინვენტარი, ყოფაცხოვრებითი ხასიათის იარაღ-ინვენტარი), მის ყოფასა და კულტურაში მომხდარი ცვლილებები.

არქეოლოგიური მასალების, როგორც წყაროს მნიშვნელობა ფეოდალური ხანის აჭარის შესწავლაში, განხილულია წინამდებარე ნარკვევების შესავალი ნაწილის ცალკე პარაგრაფში („არქეოლოგიური მასალები"), ლიტერატურის დართვით და ამდენად, მათ ჩამოთვლაზე აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ.

ბ) უცხოური წერილობითი წყაროები

ოსმალური წყაროები (დავთრები). უკანასკნელ წლებში სტამბოლისა და ანკარის არქივებში დაუნჯებული დღემდე უცნობი დოკუმენტებიდან ისეთებიც გამოვლინდა, რომლებიც აჭარას შეეხება. ესენია XVI-XVIII საუკუნეებით დათარიღებული შემდეგი დავთრები: „ზემო და ქვემო აჭარის ლივის ერცელი დავთარი", შედგენილი სულთან სელიმ I დროს (1566-1574), „ზემო აჭარის ლივის ერცელი დავთარი" ბათუმის ლივის მოკლე დავთარი" (ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში).

ზემო და ქვემო აჭარის, ბათუმის ლივების ერცელი და მოკლე დავთრები პირველხარისხოვანი წყაროა XVI-XVIII საუკუნეების აჭარის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. მათში დაცულია ცნობები იმდროინდელი აჭარის მოსახლეობაზე, სოფლების რაოდენობაზე, გამუსლიმანების პროცესზე, ქრისტიანი და გამუსლიმანებული მოსახლეობის საგადასახადო ვალდებულებებზე, ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებზე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაზე და ა.შ.[50]

ბათუმის ლივის სანჯაყის შემოსაელებისა და მოსახლეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული იმ დავთარში, რომელიც XVII საუკუნეების დამდეგს (1610-16511 წწ) ეკუთვნის. ეს დავთარიც ინახება თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში და პირველად შეისწავლა თურქმა ისტორიკოსმა, წარმოშობით ქართველმა ახმედ ოზკანმა (მელაშვილმა).[51]

---

[50] ნ.შენგელია. ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში; მისივე. ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI-XVIII საუკუნეების აჭარაში. - ის. წინამდებარე ნარკვევები. თავი IV; ზ.შაშიკაძე. ზემო აჭარის ერცელი დავთარი, როგორც წყარო აჭარის ისტორიისათვის. - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 341, თბილისი, 2002; მისივე: ოსმალური გადასახადები აჭარაში. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. IV, ბათუმი, 2002: მისივე. ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული III, ბათუმი, 2002.

[51] ა.ოზჯანი (მელაშვილი). გურჯისტანი. სტამბოლი, 1968 (თურქულ ენაზე).

აჭარის შესახებ სხვა სახის ოსმალური წყაროებიც მოგვეპოვება. მხედველობაშია სოფიის (ბულგარეთი) კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში არსებული ასეული დოკუმენტი (XVI-XIX საუკუნეები), რომლებიც აქ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაუტანიათ ოსმალების სტამბულის ცენტრალური არქივიდან. დოკუმენტები მნიშვნელოვანი წყაროა ბათუმის, გონიოს, ციხისძირის ციხეებში იანიჩართა ნაწილების განლაგებისა და რაოდენობის, მათი შენახვის ხარჯების, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და ონომასტიკონის შესასწავლად.[52]

აჭარის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას. შეიცავს „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი", რომელიც შედგენილია 1694-1732 წლებში.[53]

დავთრის ცნობები შეეხება ქვემო და ზემო აჭარის ლივების ცალკეული სოფლების შემოსავალს, რომელიც ახჩებში ინგარიშებოდა. აქვე დასახელებულნი არიან ოჯაქლიკის, ზეამეთის, საერთო სარგებლობისა თუ სხვა წესით გაცემული მამულების მფლობელები სახელისა და გვარის ჩვენებით, აგრეთვე სოფლები — დავთარში ჩამოთვლილია ქვემო და ზემო აჭარაში შემავალი სოფლები: კეაშტა, აქუცა, მერისი, წონიარისი, ზვარე,[54] მელიქწინდა, რაბათი, უჩამბა, სამუალეთი, ჭალინა, ღურტა, ნიგოზეული, კეატია, ჯვარისახევი, ახალდაბა, ხულო.[55] დავთარი მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის, აგრეთვე მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევაში.

შუა საუკუნეების აჭარის ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებისათვის წყაროს მნიშვნელობისაა XV-XIX საუკუნეების დასავლეთევროპულ (იტალიელ, ფრანგ, გერმანელ, ინგლისელ) და რუს მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერები, რომლებიც ცალკე წიგნებადაც გამოიცა. ბევრი ქართულ ენაზეც ითარგმნა და გამოქვეყნდა. მათ შესახებ ჩვენ უცხოური ლიტერატურის მიმოხილვისას გვექნება საუბარი.

§2. არქეოლოგიური მასალები

შუა საუკუნეების აჭარის შესახებ მნიშვნელოვან მასალას იძლევა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მონაცემები.

ადრე შუა საუკუნეებიდან აღსანიშნავია ციხე-ქალაქ პეტრა-ციხისძირში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი. ცნობილია, რომ პეტრამ VI საუკუნეში განსაკუთრებული როლი შეასრულა, ერთი მხრივ, რომისა და ლაზიკის, მეორე მხრივ, — რომისა და სასანური ირანის ურთიერთობაში.

XIX ს ბოლოდან მოყოლებული, ჩვენს დრომდე პეტრას ტერიტორიაზე აღმოჩენილია შემთხვევითი განძები, რომლებიც განეკუთვნება როგორც ადრეულ, ისე გაანვითარებულ შუა საუკუნეებს.[1] 1962-1965 წლებში პეტრა-ციხისძირში აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

---

52 ნ.შენგელია. ოსმალური დოკუმენტური წყაროები აჭარის შესახებ. — მაცნე. №4, 1978; მისივე. XV-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თბილისი, 1987.

53 ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (1694-1732). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცაბულაძემ. გამოკვლევა დაურთო მ.სვანიძემ. თბილისი, 1979.

54 იქვე, გვ. 129-130, 165, 174, 178-179, 190, 194.

55 იქვე, გვ. 117, 129, 132, 137, 140, 180, 185, 188, 200.

1 სჯანაშია. შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 43-44; ნ.ხოშტარია. ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. — თვ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1953; მისივე. ციხისძირი, თბილისი, 1962.

ექსპედიცია, რის შედეგადაც გამოვლინდა აღნიშნული პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, აბანოები და სხვა. ეს ძეგლები შემდეგ შეისწავლეს რ. გვერდწითელმა, კ. მელითაურმა, ვ. ლექვინაძემ და ა. ინაიშვილმა.[2]

პეტრას შიდაციხის ტერიტორიაზე 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად (დ. ხახუტაიშვილი) დადგინდა, რომ ყველაზე გვიანდელი ფენის (XVIII-XIX სს) მასალები დაკავშირებულია აქ ოსმალური გარნიზონის არსებობასთან. ადრეული ფენა (X-XIV სს) შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი. ამ პერიოდისაა დარბაზული ეკლესია და მისგან ჩრდილოეთით გამოვლენილი სამეურნეო საოთაესოს კედლების ნაშთები, აგრეთვე, აბანოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრები. სხვა არქეოლოგიური მასალებიდან აღსანიშნავია ქვევრების, დერგების, სადა თუ მოჭიქული კერამიკის ნიმუშები, მინის სამაჯურის ნატეხი, ეერცხლის თასის ფრაგმენტები და ა.შ.

ამაზე ადრეულია VI საუკუნის ფენა, რომელშიც წარმოდგენილია ციხის კედლების ადრეული ნაშთები, სამნაციანი ბაზილიკა, აბანო, ცისტერნა და სხვა არქეოლოგიური მასალები (წელშეზნექილი და ტანდაღარული ამფორები, წითლად გაპრიალებული დოქები, წითელლაკიანი თეფშები, დოქები, ქოთნები და სამშენებლო კერამიკის (აგური, კრამიტი) ნატეხები, მინის ნაწარმი და სხვ.)[3]

ამ პერიოდის საინტერესო მასალები აღმოჩნდა აგრეთვე პეტრას ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე. წ. ბობოყვათის დაბლობზე. აქ გამოვლენილია სამნაციანი ბაზილიკა, სასახლე, აბანოები, კარის ეკლესია და აბანო, დრენაჟი, ამფორები, საამშენებლო ნაწარმი, კრამიტი, აგური, სასარკმელ მინა, მინის ჭურჭელი, მოზაიკის ნაშთები, კაპიტელები, მარმარილოს სვეტის ნატეხები, „ბოლნურჯერიანი" ქვა, აკლდამა და ა.შ.[4]

მსგავსი მასალები გამოვლინდა აღნიშნულ ტერიტორიაზე 1983-1987 წწ ჩატარებული გათხრების შედეგადაც (არქიტექტურული ნაგებობანი, კერამიკული და მინის ნაწარმი, სამარხები, მონეტები და სხვა), რომლებიც მოიცავს ერცელ ქრონოლოგიურ პერიოდს წინარე ანტიკური ხანიდან ადრეული შუა საუკუნეების ჩათვლით.[5]

1988 წლიდან ბობოყვათის სანერგეს ცენტრალურ ნაწილში გაითხარა დიდი ზომის (600 კვ.მ) ფართობი, სადაც აღმოჩნდა ახ.წ. IV-V სს საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები (აბანო, ეკლესია).[6] აქვე რამდენიმე წლის წინ გაითხარა კიდევ ერთი ეკლესია სამარხებითურთ.

ზღვისპირა ზოლის ადრე შუა საუკუნეების ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნულ ნეაროპოლზე აღმოჩენილი IV ს სამარხები. მათი რაოდენობა ჯერჯერობით შეიდია. ყველა მათგანი ინვენტარიანია. სამარხეულ მასალებში გვხვდება კერამიკული ნაწარმი (ქოთნები, დოქები; ერთ-ერთი მათგანის ძირზე მოცემულია ჯერის რელიეფური გამოსახულება), რკინის ნაკეთობანი (რკინის შუბის პირები, რკინის ცულები, რკინის დანები), სამკაულები (სხვადასხვა სახის მძივები, ეერცხლის სამაჯური), გლიპტიკური ძეგლები, ტანსაცმელ-

---

[2] ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წ.წ. ჩატარებული გათხრების შედეგები. — სდსძ, IV, თბილისი, 1974, გვ. 102-153; მისივე: ციხე-ქალაქ პეტრას ნაგსადგურის საკითხისათვის. — სდსძ, I, თბილისი, 1971; პეტრას საეპისკოპოსოს საკითხისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების შუქზე. — სდსძ, II, თბილისი, 1971 და სხვ.; Мелитаури К.Н. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. Тбилиси, 1971, с.16-19; В.А.-Леквинадзе. О постройках Юстиниана в Западной Грузии. - ВВ, 34, 1973, с. 169-186.

[3] ა.ინაიშვილი. ციხე-ქალაქ პეტრას ნაგსადგურის საკითხისათვის, გვ. 137-138; ნ.ინაიშვილი. ადრეშუასაუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხისძირიდან. — სდსძ, X, თბილისი, 1981, გვ. 122-136; მისივე: მინის ჭურჭელი პეტრა-ციხისძირიდან. — სდსძ, XIX, თბილისი, 1991, გვ. 62-87; ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. — სდსძ XVII, თბილისი, 1988; ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები. — სდსძ, XXI, თბილისი, 1993; ლ.ჩხაიძე. მინის ნაწარმი ციხისძირიდან. — სდსძ, VII, თბილისი, 1978, გვ. 59-66 და ა.შ.

[4] ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

[5] ნ.ინაიშვილი. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993; მისივე. ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. — სდსძ, XVII, 1988, გვ. 76-84.

[6] ნ.ინაიშვილი. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 43.

თან დაკავშირებული რკინის ფიბულები, ბრინჯაოსა და რკინის აბსინდები, მონეტები, კაჟის იარაღები და ა. შ.[7] ამ სამარხებისა და მათში ჩაყოლებული მასალის მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგანაც ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები მთავარი წყაროა მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკურ-კულტურული სურათის გასარკვევად. სწორედ IV ს შუახანებში მოხდა ფეოდალური რეფორმაცია საქართველოში[8] და ამაეე პერიოდში მკვიდრდება ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია. ამიტომაც, IV ს ფიჭვნარის სამარხები ცალკე უნდა გამოიყოს, როგორც ზღვარი ორ ისტორიულ ეპოქას შორის. ამ დროს კელაე ეხებებით ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეს მასალა მომდევნო ეპოქის არქეოლოგიური ძეგლებიდან განსაკუთრებულია. ის ნათელ სურათს იძლევა ანტიკურიდან IV საუკუნეზე და შემდეგ – გარდამავალ ხანაზე გადასვლის ისტორიული პროცესების გააზრებისათვის.

ზღვისპირა ზოლის ადრე შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურიდან ასევე უნდა გამოიყოს ფიჭვნარის („ნაპურვალას") ტერიტორიაზე შესწავლილი მცირე ზომის ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევები და მის გარშემო განლაგებული სამარხები. ნაგებობა მდგარა ძველკოლხურ სამაროვანზე. ეკლესიასთან გამოვლენილია მისი თანადროული ადრექრისტიანული ხანის 12 სამარხი, ამათგან 11 ორმოსამარხია. იქვე ნაპოვნია მარმარილოს მინიატურული ჯვარი ჯვარცმის სცენით, ახ.წ. V-VI სს კერამიკული თუ მინის ნაწარმი.[9]

საეკლესიო ნაგებობებისა (ბობოყეათი, ციხისძირი, ფიჭვნარი) და მათ გარშემო არსებული სამარხების მიხედვით შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენა ეიქონიოთ ადრე შუა საუკუნეების მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებზე, სამარხთა ტიპებზე, დაკრძალვის წესებზე. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, აქ გაცილებით ადრე, VI-VII საუკუნეებიდან, დასტურდება საეკლესიო ნაგებობების გარშემო მიცვალებულთა დასაფლავება.

საინტერესო არქეოლოგიურ სურათს იძლევა ფიჭვნარის სამარხებს შორის თითქმის ორსაუკუნოვანი გარდამავალი ხანა. არქეოლოგიური მასალისა და დაკრძალვის წესის თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ არქეოლოგიურ ნივთთა მონაცვლეობას და, შესაბამისად, განსხვავებული თავისებურებანი შევნიშნოთ, რაც ახალ რელიგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ ეითარებასთან არის დაკავშირებული.

ბათუმის ციხეზე ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა 1963-1964 წლებში. აქ ანტიკური ხანის მასალებთან ერთად[10] აღმოჩნდა განეითარებული შუა საუკუნეების სადა და მოჭიქული კერამიკის ნაწარმი.[11] აგრეთვე გეიანი შუა საუკუნეების (ოსმალთა ბატონობისდროინდელი) საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები, კერამიკული ნაკეთობანი და სხვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გონიო-აფსაროსსა[12] და მის შემოგარენში აღმონენილი მასალები.

---

[7] ა.ახბიძე, მ.ეიკერსი, შ.მამულაძე. ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, ბათუმი, 2000, გვ. 70-89. Кахидзе А., Мамуладзе Ш. Погребения раннесредневекового периода из Пичвнари. – PA, 1, 2001, с. 76-87.

[8] ს.ჯანაშია. ფეოდალური რეფორმაცია საქართველოში, შრომები I, გვ. 1.

[9] ა.ახბიძე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარში. – გაზეთი „საბჭოთა აჭარა", №188. 16. IX. 1976; ლ.ჩხაიძე. ფიჭვნარის ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალები. – სდსძ, IX, თბილისი, 1980, გვ. 39-54; ნ.ინაიშვილი. მინის ჭურჭელი პეტრა-ციხისძირიდან. – სდსძ, IX, თბილისი, 1991, გვ. 62-87.

[10] ა.ახბიძე, დ.ხახუტაიშვილი. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, I. - სდსძ, XVIII, თბილისი, 1989.

[11] მ.მიწიშვილი. ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან, თბილისი, 1976, გვ. 10.

[12] ე.იაშვილი. გონიოს ციხე. – ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955; მ.შაბიდელი. კავკასიის საზღვარი. II ს-ის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. – „მაცნე", I, თბილისი, 1985.

გონიო-აფსაროსით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ტროას, მიკენისა და ოლიმპიის შემსწავლელი ჰ. შლიმანი დაინტერესებულა. იგი საკუთარი სახსრებით ცდილობდა განეხორციელებინა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი, მაგრამ უშედეგოდ. 1904 და 1917 წლებში გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური სამუშაოებების ჩასატარებლად „ლია ფურცელი" მიუღიათ ნ. მარსა და თ. უსპენსკის, მაგრამ ვერც მათ მიაღწიეს მიზანს. მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეძლო XX საუკუნის 60-იან წლებში წამოეწყო მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები.[13]

არქეოლოგიური მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1974 წელს გონიოს ციხის მახლობელ ფერდობზე გზის გაკეთებისას შემთხვევით აღმოჩენილი ახ.წ. პირველი საუკუნეების ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები, რომლებიც ცნობილია გონიოს განძის სახელწოდებით.[14]

გონიო-აფსაროსის კვლევაში ახალი ეტაპი იწყება 1994 წლიდან, როცა შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი და მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. 1995 წლიდან გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე ინტენსიურად ტარდება არქეოლოგიური გათხრები.

დადგენილია, რომ გონიო-აფსაროსი მრავალფენიანი ძეგლია და ფუნქციონირებდა დიდი დროის მანძილზე. პირველი სამოსახლოები აქ ძ.წ. VIII-VII სს განეკუთვნება. გონიო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კლასიკურ, გვიანელინისტურ, განსაკუთრებით — რომაულ ხანაში (ახ.წ. I–III სს), როგორც ადრე, ისე განეთიერებულ და გვიან შუა საუკუნეებშიც. გათხრების შედეგად მოპოვებულია დასახელებული ეპოქების მდიდარი და მრავალფეროვანი სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობაები (აბანოები, ე.წ. თერმები, მონუმენტური ნაგებობები, წყლის ცისტერნები, წყალსადენები, სანიტარიულ-ჰიგიენური სადენები, სამეურნეო-სახელოსნო უბნები, კერამიკის გამოსაწვავი ქურები) ნაშთები, ქვის ფილებით და ბრტყელი კრამიტით მოპირკეთებული ქუჩები, მარნები, პრეტორიუმი (ე.წ. გარნიზონის უფროსის რეზიდენცია) და სხვა. მოპოვებულია, აგრეთვე, სხვადასხვა ეპოქის სხვა ნივთიერი მასალებიც, რომელთა შორის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა კერამიკული ნაკეთობანი (აგური, კრამიტი, წყალგაყვანილობის მილები, ქვევრები, დერგები, ქოთნები, ჯამები, ლანგრები, ლუთერიები, სასანთლეები, ჭრაქები, მოჭიქული კერამიკისა და ფაიანსის შესანიშნაები ნიმუშები), ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულები, სხვა დანიშნულების ნივთები (კოვზები, მახათები, ნემსები, დანები, სამფეხები, ბულა, ნალები, ოქრომჭედლის ჩაქუჩი, ყალიბები და ა.შ.) ხელსაფქვავები, ქვის ჭურეები, შურდულის ქვები, სალესები, საპრიალებლები, მორგვი და სხვა. აგრეთვე რკინის საბრძოლო იარაღები, მინის ნაწარმი და ა.შ.

გონიო-აფსაროსისა და საერთოდ, აჭარის ზღვისპირა ზოლის საეკონომიკური ურთიერთობების კვლევისათვის მეცნიერული ღირებულებების მასალას იძლევა ნუმიზმატიკური მონაპოვარი. მონეტათა კოლექციაში გვხვდება რომაული, იუდეური, ბიზანტიური, ასევე ევროპული და ოსმალური მონეტები.[15]

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური მონაპოვრები უძვირფასესი წყაროა აფსაროსის, საერთოდ კი, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკურ, კერძოდ, რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა თუ აგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, ყოფისა და კულტურის შე-

---

[13] ა.ბაქალიშვილი, დ.სახუტაიშვილი. რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. — სდხმ, I, თბილისი, 1964.

[14] ო.ლორთქიფანიძე, თ.მიქელაძე, დ.სახუტაიშვილი. გონიოს განძი. თბილისი, 1980.

[15] ი.ვარშალომიძე. სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.წ. I ს-დან 1453 წლამდე. — საკანდიდატო დისერტაცია; მისივე: რომაული ხანის ვერცხლის მონეტების განძი გონიო-აფსაროსიდან. — ძიებანი, 5, თბილისი, 2000; გონიო-აფსაროსი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. — ლიტერატურული აჭარა, 7, ბათუმი, 1999.

სწავლის თვალსაზრისით. ნიეთიერი მასალების წერილობით წყაროებთან შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ აქ მიმდინარე ისტორიულ პროცესებს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან მოკიდებული, თითქმის ჩვენს დროამდე.[16]

არქეოლოგიური მასალებით მდიდარია აჭარისწყალის ხეობა. აქაური მატერიალური კულტურის მიწისზედა ძეგლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში პირველად აღწერეს დ. ბაქრაძემ[17] და გ. ყაზბეგმა,[18] მოგვიანებით კი — ა. უვაროვამ,[19] თ. სახოკიამ,[20] ზ. ჭიჭინაძემ,[21] გ. ყაზბეგმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვა აგარის, ხეულოს საეკლესიო ნაგებობებზე, სხალთის, ხიხანის, ეარდციხის ციხეებზე, გ'სებსა და საგზაო ნაგებობებზე. ა. უვაროვამ სოფ. ვანაძეების (აგარის) ეკლესიის ნანგრევებიც გათხარა და საყურადღებო ნიეთიერი მასალები მოიპოვა.[22] მოგვიანებით ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები სხვადასხვა ასპექტით შეისწავლეს ლ. მუსხელიშვილმა,[23] რ. მეფისაშვილმა,[24] ი. სიხარულიძემ,[25] ხ. ახველედიანმა[26] და სხვებმა. ლ. მუსხელიშვილმა ხიხანის ციხე და თხილვანის ეკლესიაც დაათვალიერა.

ადრეფეოდალური ხანის ძეგლებს განეკუთვნება გვარას ციხე (ხელვაჩაურის რაიონი), რომელიც დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი. იგი მდებარეობს სოფ. გვარასთან, მოხერხებულ სტრატეგიულ ადგილას, სადაც მდ. მაჭახელა ჭოროხს ერთვის. აქ გადიოდა ძველი საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი საქარავანო გზა, რომელიც ზღვისპირეთიდან შავეშეთისა თუ, საერთოდ, ტაო-კლარჯეთისაკენ მიემართებოდა და ამ რეგიონებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები აჭარისწყალის ხეობაში შედარებით სუსტადაა შესწავლილი. იგი დაიწყო ბეშუმის „ნაქალაქარის" გამოკვლევით, სადაც 1972 წელს მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები განხორციელ-

---

16 დ.ხახუტაიშვილი, ა.კახიძე, შ.მამულაძე, მ.ხალვაში და სხვ. გონიო-აფსაროსი. — ლიტერატურული აჭარა, 2, ბათუმი, 1999, გვ. 111-117; შ.მამულაძე, ა.კახიძე, ე.კახიძე. გონიო-აფსაროსი. თბილისი, 2007; ა.კახიძე, შ.მამულაძე, ტ.ტბრალიძე. 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. - გონიო-აფსაროსი, III, თბილისი, 2002, გვ. 44-71; ა.კახიძე, შ.მამულაძე. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუნნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. — გონიო-აფსაროსი, IV, ბათუმი, 2004, გვ. 4-107; მ.ხალვაში. კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. — გონიო-აფსაროსი, II, ბათუმი, 2002; მისივე. გონიო-აფსაროსის შიდა ციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. — გონიო-აფსაროსი, III, თბილისი, 2002, გვ. 134-168; ტ.ტბრალიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში. — გონიო-აფსაროსი, IV, ბათუმი, 2004; მისივე. იმპორტული კერამიკა. - გონიო-აფსაროსი, IV, ბათუმი, 2004, გვ. 108-119; თ.შალიკაძე. გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. — გონიო-აფსაროსი, V, ბათუმი, 2004; ე.ჯაფარიძე. არქეოლოგიური სამუშაოები აფსაროსის ზღუდის სამხრეთის მონაკვეთში. — გონიო-აფსარისი, III, თბილისი, 2002, გვ. 184-191; გ.ლორთქიფანიძე, ა.ნონეშვილი. გონიო-აფსაროსის კასტელის №2 კოშკის გათხრების ძირითადი შედეგები. — გონიო-აფსაროსი, III, თბილისი, 2002, გვ. 168-183; გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი, 2009 და ა.შ.

17 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.

18 გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1994.

19 Уварова П. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Поцховский участок. М.,1981.

20 თ.სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი, 1985.

21 ზ.ჭიჭინაძე. გაზეთი „ივერია", №№55, 157,172; 1995.

22 Уварова П. დასახ. ნაშრომი, გვ. 223-231.

23 ლ.მუსხელიშვილი. ბოლოკბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. თბილისი, 1941.

24 რ.მეფისაშვილი. სხალთის ტაძარი. — ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955.

25 ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I. ბათუმი, 1955; მისივე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962.

26 ხ.ახველედიანი. ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის. — ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955.

და.[27] ნაქალაქარი გინლაგებულია კურორტ ბეშუმის ირდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტყის მასივში, ერთი სწორი ხაზის გასწვრივ ოთხ შემაღლებულ გორაზე, რომელთაც საერთო ქვაყრილიანი გზა აკავშირებდა. შენობები ნახევრად მიწურია, უმთავრესად ბანური გადახურვით. სათავსოთა ფართობი 44-126 კვ.მ. აღწევდა. მცირე სათავსები და დერეფნები ქვის ფილებით ყოფილა გადახურული. მასალები მიუთითებენ დარბაზული, პირამიდული და თაღოვანი გადახურვის არსებობაზეც.

საყურადღებო არქეოლოგიური მასალები გამოელინდა გოდერძის უღელტეხილის სხვა სამოსახლოთა ტერიტორიაზე, კერძოდ, მდ. ბეშუმის მარჯვენა მხარეს ტყის მასივში („ვაშლობი", „ყვერული"), რომელიც ბეშუმის ნაქალაქარიდან 2-3 კმ-ით არის დაშორებული. ანალოგიური ძეგლები ნაპოვნია აჭარის სუბალპური და ალპური ზონის სხვა დასახლებებში. კერძოდ, სხალთის ხეობის სათავეებში, ჩირუხისა და სარიჩაირის იაილებზე, აჭარა-გურიის მთებზე — პერანგას გადასასვლელზე („სარბულა"), მარეთისწყლის ხეობის ზემო ნაწილში („პანტნარი") და სხვა. ეს ნამოსახლარები ძირითადად ადრეფეოდალური ხანით თარიღდება[28] და იმ მესაქონლე მოსახლეობას უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც მოცემულ ეპოქაში ინტენსიურად იყენებდა ალპურ და სუბალპურ საძოვრებს.[29]

აჭარისწყლის ხეობაში მრავალადაა გამოელენილი ადრეფეოდალური ხანის (VI-X სს) საეკლესიო თუ სხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთებიც, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი. მათგან მხოლოდ ზენდიდის VIII ს დარბაზული ტიპის საეკლესიო ნაგებობა და მის გარშემო განთავსებული რამდენიმე ორმოს ტიპის სამარხია გათხრილი.[30] შედარებით უკეთაა გამოკვლეული განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლები. მოპოვებული მასალებით ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობა, სხვა კუთხეების მსგავსად, ფეოდალურ ხანაში ციხესიმაგრეების, საფორტიფიკაციო სისტემების ფართო ქსელით იყო დაფარული. გაჰყავდათ გზები, შენდებოდა თაღიანი ხიდები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები და სხვა. ხეობის კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობა XI საუკუნიდან უკავშირდებოდა ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეების მოღვაწეობას. „მატიანე ქართლისაის" მიხედვით, აბუსერ I აბუსერისძე XI საუკუნის შუა ხანებიდან ხიხანის ციხის მფლობელად იხსენიება. ხიხანი XI-XIII საუკუნეებში ერისთავთერისთავების რეზიდენცია იყო.

ხიხანის ციხეზე არქეოლოგიური დაზვერვებით (1977-1978 წწ) ირკვევა, რომ იგი სხვა თანადროულ ციხეებთან ერთად ქმნიდა აჭარისწყლის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის უწყვეტი ჯაჭვის გვირგვინს, წარმოადგენდა მეთაურ ციხეს და მომხდურის პირველ დარტყმას თავის თავზე იღებდა.[31] ციხისა და აქ არსებული ეკლესიის შესახებ მდიდარი ცნობებია დაცული აბუსერისძე ტბელის თხზულებაში.[32]

საინტერესო მასალები გამოელინდა ვერნების, თხილვანის, თიკანაურის, კალოთის, ვანაძეების (აგარის), საციხურის (ჯვართანის) საეკლესიო ნაგებობათა და სამაროვნების, აგრეთვე სხალთის ეკლესიის ტერიტორიაზე, შუახევის, წაბლანის, დარ-

---

27 ა.ინაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები. - სდსმ, IV, თბილისი, 1974, გვ. 154-160.

28 ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 155-158.

29 ბეშუმის ნაქალაქარის შესახებ პროფ. ე.ტრიფოლიას მიერ მომზადებულია ცალკე ნაშრომი, რომელიც ახლო მომავალში გამოქვეყნდება.

30 ვრცლად იხ. შ.ბამულაძე, დ.მინდორაშვილი, მ.სალვაში, ტ.ებრალიძე. სოფ. ზენდიდში 1999 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, ხელნაწერი.

31 ს.ხახვლედიანი. ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის; შ.ბამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993, გვ. 48-51; ი.ხიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, გვ. 162-167.

32 ლ.მუსხელიშვილი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ბათუმი, 1998; რ.ხალვაში. ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, ბათუმი, 1998.

ჩიძეების (გოგოლაურის) (მარეთის ხეობა) ციხე-კოშკის, ციხისყელის (სოფ. ხიხა-ძირი) საფორტიფიკაციო ნაგებობის გათხრების შედეგად. კალითის შუა საუკუნეების ეკლესიის ახლომდებარე ბორცვზე წარმართული ხანის (ძვ. წ. პირველი ათას-წლეული) მეგალითური ძეგლი-ტაძარიც აღმოჩნდა თავისი საკურთხეველითა და სამსხვერპლოთი.[33]

სასიმაგრო კომპლექსში და ეკლესიათა ნანგრევებზე არქეოლოგიური ძიებით გამოვლინდა მრავალრიცხოვანი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (მარ-ნები, თონეები, ხაროები), საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობანი, რომელთა შორის ჭარბობს თიხის ნაწარმი, შუა საუკუნეების საქართველოსთვის დამახასია-თებელი მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშები. ისინი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ მსგავსი ჭურჭლების წარმოების დასავლურ-ქართულ ცენტრებთან და ნაწილობრივ ბიზან-ტიური წრის მასალებთან. განსაკუთრებით ბევრია სამეურნეო ჭურჭელი (ქვევრები, ქოცოები, დერგები, ქილებ-ქთონები, ჩაფები, ქოთნები, დოქები, სადღეებლები, ქილები და სხვა), რაც მიუთითებს მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაზე.

შესწავლილი ძეგლებით ჩანს, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში აჭარის-წყლის ხეობა იყო ქრისტიანობის დაწინაურებული მსხვილი ცენტრი. თითქმის ყველა სოფელში მდგარა ერთი ან რამდენიმე ეკლესია თუ დარბაზული ტიპის საკულ-ტო ძეგლი, რომლებიც ნაგები ყოფილა დახვეწილი ხელოვნებით და მაღალმხატვ-რული სტილით. ყურადღებას იქცევს სამშენებლო მასალის მაღალი ხარისხი და საკმაოდ მდიდარი არქიტექტურული დეკორი. რეგიონში არსებული ეკლესიები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ქართული კულტურის სხვა თანადროულ ძეგლებთან. რო-გორც საფორტიფიკაციო, ისე საეკლესიო ნაგებობანი ძირითადად XI-XIII სს განე-კუთვნება.

საეკლესიო ნაგებობების გარშემო გამოვლენილი სამაროვნები შეიცავს რო-გორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ სამარხებს. ქრისტიანული წესით გაჩარ-თულ ამ სამარხებში დაცულია დაკრძალვის კანონიკური წესი. აჭარისწყლის ხეო-ბის სამაროვნებზე შესწავლილი 180 სამარხიდან 169 ორმოსამარხია, 6 — ქვის სა-მარხი, 4 — ამოშენებულკედლიანი სამარხი. სხალთის სამაროვანზე ერთი აკლდამაც აღმოჩნდა. სამარხეულ ინვენტარში უპირატესად გვხვდება სასმისების თუ ჯამების მაღალმხატვრული ნიმუშები, ჯვრები, საკინძი, მონეტები, რკინის რგოლები, ბეჭდები და ა.შ.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა სამ-ეურნეო საქმიანობის დაწინაურებული დარგი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედება, კერძოდ, მეშინდვრეობა, მეყვრახეობა-მეღვინეობა. ასევე დაწინაურებული ჩანს მეცხო-ველეობის უძველესი ტრადიციული დარგი — მესაქონლეობა. მატერიალური კულ-ტურის ძეგლებისა და წერილობითი ცნობების მიხედვით ისიც ირკვევა, რომ აქაუ-რი მკვიდრნი სამშენებლო საქმეშიც დახელოვნებული ყოფილან. მათ მიერ აგებ-ული ციხეები, ეკლესიები, მარნები, ქვის თაღიანი ხიდები და სხვა ნაგებობანი შესულია ქართული კულტურის ოქროს ფონდში.

განვითარებული ჩანს მეტალურგიაც, რომლის ლოკალური კერები არქეოლო-გიური დაზვერვების შედეგად ფიქსირებულია აჭარის მთიანეთში (თაგო, ძმაგულა, ფაჩხა, წაბლანა, ჭერი და სხვ.).

---

33 აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებზე იხ: შამანულაძე. სხალთისწყლის ხეო-ბაში 1977-1978 წწ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსმ, X, თბილისი, 1981; მისივე: სოფ. თხილვანაში 1979 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსმ, XI, თბილისი, 1982; ღორვკომისწყლის ხეობის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსმ, XVIII, თბილისი, 1988; აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ჭვანის ციხე). - სდსმ, XIX, თბილისი, 1991; აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993; აჭარისწყლის შუა საუკუნეების სამაროვნები, ბათუმი, 1998; აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი, 2000; აკახიძე, შამანულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993; აკახიძე, შამანულაძე. ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი, 2000 და ა.შ.

ასეთია მოკლე დახასიათება შუა საუკუნეების იმ მატერიალური და ნიეთიერი კულტურის ძეგლებისა, რომლებიც შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ კეგმა'ხომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით ფასეულია, მით უფრო, რომ ამ ეპოქის აჭარის შესახებ წერილობით წყაროებში ძალზე მწირი ცნობები გვხვდება. მათზე დაყრდნობით, სხვა საკითხებთან ერთად, გვეძლევა შესაძლებლობა შეეისწავლოთ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა შრომის იარაღები, საწარმოო ძალები ადამიანთა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რეწვა და ხელოსნობა, გაცვლა და ვაჭრობა, იდეოლოგია, პოლიტიკური სისტემები და სოციალური სტრატიფიკაცია, ეთნოგენეტიკური პროცესები და ა.შ.

§3. ეთნოგრაფიული მონაცემები

ეთნოგრაფიული მონაცემები შუა საუკუნეების აჭარის შესახებ სხვადასხვა წერილობით წყაროებშია გაბნეული. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი წყაროა XIII საუკუნის მწერლისა და მოაზროვნის აბუსერისძე ტბელის საისტორიო თხზულება.[1] მასში დაცული ცნობები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საკვლევი პერიოდის აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფეოდალური ხანის საქართველოში დაწინაურებული ხალხური ხუროთმოძღვრება, პირველ რიგში, ქვითხუროობა და მათთან დაკავშირებული შრომითი პროცესები, ხალხური ტრანსპორტი და სამშენებლო მასალის ტრანსპორტირება, ხელოსანთა (ქვითხუროთა) პროფესიული შემადგენლობა (ხელოსანთა კატეგორიები), ხელოსანთა და სხვათა „მოსარეწლად", ანუ საშოვარზე სიარული, საოჯახო ურთიერთობა, გვარსახელები, ადგილთა სახელები და ა.შ.

იე. ჯავახიშვილის სიტყვით, „თანამედროვე მკვლევარი ამ პატარა თხზულებაშიც ძვირფას ცნობებს იპოვის მრეწველობისა და ხელოვნების შესახებ საქართველოში. მრავალს საყმშენებლო ხელობისა და იარაღების ტერმინებს და სხვას".[2] ხოლო ქ. კეკელიძის თქმით, აბუსერისძე ტბელის შრომა საეურადღებო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს, რომელშიც იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების საკითხებია წარმოდგენილი.[3] თხზულების საისტორიო, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ასპექტები აჭარასთან მიმართებაში სხვა ქართველმა მკვლევრებმაც განიხილეს და მას თავიანთი შეფასებები მისცეს.[4]

როგორც ზემოთაც ითქვა, შუა საუკუნეების აჭარის, კერძოდ, მაჭახლის ხეობისა და საეროოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლაში ფასდაუდებელი წყაროს მნიშვნელობისაა „ტბეთის

---

[1] აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. 1233 წლის ტექსტი. გამოსცა ლ.მუსხელიშვილმა. თბილისი, 1941; ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.სიხარულიძემ. ბათუმი, 1981; აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს: ნ.გოგუაძემ, მ.ქავთარიამ და რ.ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998.

[2] ივ.ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. VIII. თბილისი, 1979, გვ. 242.

[3] კ.კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბილისი, 1980, გვ. 330.

[4] პრატიანი. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. აბუსერისძე ტბელის მოთხრობა როგორც საისტორიო წყარო. - ეურნ. „მნათობი", №11, 1979; მ.ჩიქოვანი. აბუსერისძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები. – საქ. სსრ მეცნ.აკად.მოამბე, V, №7, 1997; ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი; ი.სიხარულიძე. ცხოვრება ქვითხურო ბასილისა. ბათუმი, 1981; აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ბათუმი, 1998; ნ.კახიძე. შუა საუკუნეების ხელოსნობის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. – სდსკ, XV, თბილისი, 1988.

სულთა მატიანე",[5] ანუ შემწირველთა სია, რომელიც XI–XVII საუკუნეების განეკუთვნება. იგი მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს აჭარაში, კერძოდ, მაჭახლის ხეობაში მაშინ გაერცელებულ გვარსახელებზე, მათ სუფიქსურ წარმოებაზე, საოჯახო ყოფასა და ოჯახის სტრუქტურაზე, ტოპონიმიკის, ისტორიული გეოგრაფიის, სულიერი ყოფის და სხვა საკითხებზე.

მატიანისეული გვარსახელებისა და გვარსახელური წარმოშობის ტოპონიმების დიდი ნაწილი დღემდე უცვლელი ფორმით შემორჩა ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში, ჭოროხის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში (შავშეთი, იმერხეული, ტაო, კლარჯეთი). ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ამ გვარსახელთა ისტორიული განვითარების საფეხურები.

„ტბეთის სულთა მატიანე" იშვიათი წყაროა შუა საუკუნეების აჭარაში მიგრაციული პროცესების, გვართა მოძრაობის, მეზობელი თემების ურთიერთობის, სამიმოსვლო გზების შესასწავლად.

საკვლევი პერიოდის აჭარაზე მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ცნობებია დაცული ვახუშტის (XVIII საუკუნე) ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მესაქონლეობის განვითარებისა და რძის პროდუქტების დამზადების, აგრეთვე, ხითხუროობის მაღალ დონეზე. ვახუშტი წერდა: „აქ აკეთებენ ყველს, ერთი იქნების ი, იე და კ ლიერა. აროდესვე წახდების, არცა დაობდების, რა ჟამს გნებავს შემგბარი კეთილ სახმარ არს".[6] ზემო აჭარის მაგალითზე მოგვიანებით მსგავს ფაქტზე ამახვილებდა ყურადღებას ს. ჭიჭინაძე, რომელიც წერდა: „აქ ისეთ „სმეტანას" აკეთებენ, რომ ტფილისის ნემცების გაკეთებული ამათთან ვერაფრით გამოჩნდება".[7]

არქეოლოგიური მონაცემებითაც (ძველოვანი მასალის ანალიზი) შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში (ზემო აჭარა) წამყვანი ჩანს მსხვილფეხა მესაქონლეობა. რძის პროდუქტების დასამზადებლად თიხის სადღვებლებს იყენებდნენ.[8] მათი დამზადების შუასაუკუნეობრივი ტრადიცია ზემო აჭარაში (შუახეევი) ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე შემორჩა.[9]

ვახუშტის დახასიათებით, აჭარლები იყენენ „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა".[10] აჭარელთა „ხის მუშაკობით" დახელოვნება ქარგად ჩანს საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაში, სახლის ორნამენტაციაში,[11] ხარატულ და წნულ ნაკეთობათა დამზადებაში.[12]

შუა საუკუნეების აჭარაში ქვითხუროობისა და სამშენებლო ხელოსნობის შესწავლისათვის ძვირფას მასალას იძლევა ნიეთიერი კულტურის ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, მარან-საწნახლები, საცხოვრებლები, განსაკუთრებით კი ქვის თაღიანი ხიდები, რომელთა რიცხვი XIX საუკუნეში ოცზე მეტი აღირიცხებოდა. ამათგან აღსანიშნავია დანდალოს, მახუნცეთის, ფურტიოს (აჭარისწყლის

---

[5] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ჟანუქიძემ. თბილისი, 1977. წერილობითი წყაროს მნიშვნელობის შესახებ იხ. ლიტერატურა: დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 116; პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954, გვ. 96; ი.სიხარულიძე. მაჭახლის სულთა მატიანის ონომასტიკისა და ტოპონიმიკისათვის. – აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, V, ბათუმი, 1961; ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974 (იხ. თავი I); მისივე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსულიდან. – „ჭოროხი", 1978, №4; Какабадзе С.С. Грузинские документы Института народов Азии. Москва, 1967, с. 351.

[6] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941, გვ. 134.

[7] ს.ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თბილისი, 1913, გვ. 167.

[8] შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 144.

[9] ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში. – სდსკკ, XIII, თბილისი, 1990, გვ. 74.

[10] ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[11] ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46; ჯ.ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე. ბათუმი, 1979, გვ. 32-33; ჯ.მიქელაძე. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში. თბილისი, 1982, გვ. 51-54.

[12] ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 60-63.

ხეობა), ცხემლარის, ჩომახისურის, ჩხერის, ძეარიას (მაჯახლის ხეობა), ცხემერის, ვარჯანაულის (კინტრიშის ხეობა), მახოს და სხვა ხიდები.[13]

შუა საუკუნეების აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის გაშუქებაში ორიენტირს იძლევა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მკვლევართა[14] და თანამედროვე ეთნოგრაფთა ნაშრომები, სადაც ურთიერთშეჯერებულია სხვადასხვა ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები, საარქივო და სამუზეუმო მასალები. ეს მონაცემები გვაძლევს წარმოდგენას შუა საუკუნეების აჭარის სამეურნეო ცხოვრების (მიწათმოქმედება, მეექვსეობა-მეფუტკრეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მონადირეობა, მეთევზეობა, მრავალდარგოვანი ხელოსნობა) განვითარების დონეზე, ტრადიციულ საოჯახო და სასოფალოებრივ ურთიერთობებზე, განრიდების თავისებურებებზე, მატერიალურ და სულიერ კულტურაზე.[15] ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეურნეობის ჩამოთვლილ დარგებთან, მატერიალურ და სულიერ კულტურასთან დაკავშირებულ ლექსიკურ მონაცემებს, ტოპონიმებს, რომლებიც წინა საუკუნეების დანაშრეგების შეიცავენ. ჭეშის ციხის (XII-XIII სს) არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი მასალების ლაბორატორიული ანალიზით გაირკვა, რომ აჭარაში იმ დროს მოსარგებდათ ფოლის ჰური, დიკა, ასლი. აგრეთვე ღომი და ოსპი.[16] გვიან შუა საუკუნეებშიც, კერძოდ, XVIII საუკუნეში, ვახუშტის ცნობას თუ ეერწმუნებით, აჭარა იყო „ყოველითა მარცვლითა“ მდიდარი „მოსაელიანი მხარე“.[17] საველე-ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მონაცემებით, ჩამოთვლილი მარცვლეული კულტურები წამყვან მნიშვნელობას ინარჩუნებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ე.ი. აჭარაში სიმინდის გაბატონებულ მოსოკულტურად გადაქცევამდე, როდესაც აჭარის მოსახლეობის ძირითადი საკვები სიმინდის მჭადი გახდა. სიმინდის კულტურა აჭარაში გვიან შუა საუკუნეებში უნდა შემოსულიყო პატარა ტაროებიანი წვიტა და შეიდკვირა ჯიშების სახით. ჩვენი აზრით, ამ ჯიშებს უნდა გულისხმობდეს თურქულენოვანი ტერმინი იელლი (იერლი), რაც ადგილობრივს ნიშნავს. ეს ჯიში წინ უსწრებდა

---

[13] ნ.კვეზერელი-კოპაძე. საქართველოს ძველი ხიდები. თბილისი, 1972, გვ. 103-155; ი.სიხარულიძე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962; შ.ვარშანიძე. გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში. ბათუმი, 1979.

[14] დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში. ბათუმი, 1987; გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. — გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1962; თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბილისი, 1950; ზ.ჭიჭინაძე. სამცხე-საათაბაგო. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზე, ვაჭრობაზე, კათოლიკობასა და მათ სამფლებელოებაზე. თბილისი, 1906; მისივე: ისტორია. ოსმალეთის ყოფილ ქართველთა საქართველო. ბათუმი, 1911; ქართველების გამაჰმადიანება. თბილისი, 1907; მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თბილისი, 1913; ფან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962; Лисовский В.Я. Чорохский край. Тифлис, 1887: Френкель А. Очерки Чурук-су и Батуми. Тифлис, 1879; Отчёт консула Пальгрева за 1872 года. - ИКОИРГО, т. VII, ч. II, Тифлис, 1882-1883 და სხვ.

[15] ბ.ჩიტაია. აჭარული დათვა-ბოყვა. — სსმმ, თბილისი, №3, 1940. მისივე. ქვის კუბო ქვემო ალმეფდან. — ენამეს მოამბე, 8, თბილისი, 1940; ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. — ბსკმშ, I, 1960; მისივე. დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი აჭარაში. — ამკკს, თბილისი, 1967; ვ.ზამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბილისი, 1969; ნ.ჩიტაია. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში. თბილისი, 1971; ნ.ცაბიძე. მაჯახლის ხეობა. ბათუმი, 1974; მისივე. ხელოსნობა აჭარაში. — სდსყ, XIX, თბილისი, 1990; მ.ბექაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში. ბათუმი, 1972; ჯ.ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე. ბათუმი, 1979; ჯ.მიქელაძე. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში. ბათუმი, 1982; ვ.მგელაძე. ზემოაჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973; გ.ჩაგანავა. გარნიდების ჩვეულების გენეზისის საკითხისათვის. — სდსყ, XVI, თბილისი, 1989; ნ.მგელაძე. ოჯახი და საოჯახო ყოფა (იხ. წინამდებარე ტომი, თავი VI). Мгеладзе Н. Система кровного родства в Аджарии. Батуми, 1988; მისივე. აჭარული ნოგრო და გვარი. ბათუმი, 2004; ნ.ჩელებაძე. ქალი და ოჯახი (აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). თბილისი, 2005 და ა.შ.

[16] შ.ამაშელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[17] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

დიდტარიანი და უხვმოსავლიანი სიმინდს, რომელიც აჭარაში ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში შემოუტანიათ ბულგარეთიდან.[18] სიმინდის ამ ჯიშებიდან უნდა მიეღოთ ის პოპულაციებიც, რომლებიც აჭარაში დღეს მოყავთ.

მეევნახეობა-მეხილეობის შესახებაც საინტერესო მასალას შეიცავს ეახუშტის ცნობები. იგი აჭარას გვიხასიათებს, როგორც ევნახოვან-ხილიან და თურინჯ-ნარინჯოვან მხარეს. მეცნიერი წერდა: „და არს აჭარის ხეობა ევნახოვანი, ხილიანი“.[19] როგორც ირკვევა, „ევლანი „ევლანი მაღლარნი“ ბატონობდა.[20] ხოლო ბათუმის, გონიოს, ერგეს მიდამოებში მოჰყავდათ ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი და სხვა ხილი.[21] დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ აჭარის გარდა თურინჯ-ნარინჯი და ზეთისხილი საქართველოში მხოლოდ ლიგანის ხეობასა და ოდიშში ხარობდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი აჭარას განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენდა ეახუშტის გეობოტანიკურ კონცეფციაში.[22]

შუა საუკუნეების აჭარაში მეევნახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე მიუთითებს აჭარის მთისა და ბარის ტერიტორიაზე არსებული ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლები, ვაზის ძველისძველი ადგილობრივი ჯიშები, მიწაში ჩაფლული სხვადასხვა ტევადობის ქვევრების სიმრავლე. მეევნახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული იარაღ-ინვენტარი და ტერმინოლოგია, ზეპირსიტყვიერი და ტოპონიმიკური მონაცემები.[23]

აჭარის ისტორიაში მეტად მძიმე იყო ოსმალთა ბატონობის პერიოდი, რამაც გარკვეული დაღი დაასვა მხარის მოსახლეობის ყოფასა და კულტურას, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს ეპოულობთ XIX საუკუნის ისტორიულ წყაროებში, განსაკუთრებით, ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია, ს. მესხი, ვ. ლისოვსკი, ა. ფრენკელი, ე. მურიე და სხვ.), ქართულ და რუსულ პრესაში. ეს საკითხები საგანგებოდაა შესწავლილი ჩვენი დროის ქართველ ისტორიკოსთა (მ. სვანიძე, შ. მეგრელიძე, ნ. შენგელია, ე. ავალიანი, ხ. ახვლედიანი, ვ. იაშვილი, ა. სურგულაძე, ო. თურმანიძე, შ. ჯაფარიძე) და ეთნოგრაფთა (ე. შამილაძე, ვ. მგელაძე, ნ. ჩიჯავაძე, მ. ბექაია, ნ. კახიძე, ნ. მგელაძე, ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე, ი. სამსონია, ნ. ჩელებაძე, თ. ლომთათიძე, ვ. ჯოხია) გამოკვლევებში, რომელთა ნაწილი შესულია ნარკვევების წინამდებარე და მომდევნო ტომებში.

---

18 Лисовский В.Я. Чорохский край. Тифлис, 1887, с. 93.

19 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

20 იქვე, გვ. 176.

21 იქვე.

22 ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. I, ტფილისი, 1930, გვ. 293, 312-314.

23 ვრცლად იხ. ნ.კახიძე. მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა (იხ.: წინამდებარე ტომი, თავი V, §2).

§4. ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ტოპონიმიკური მასალები

აჭარის მოსახლეობის და, საერთოდ, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების უძველესი წეს-ჩვეულებებია ასახული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ და ტოპონიმურ მასალებში.

აჭარის ფოლკლორში ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ყველა ჟანრია წარმოდგენილი თავისი მრავალფეროვანი თემატიკითა და მოტივებით. ფოლკლორულ მასალებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შრომის პოეზიას, რომლის დიდი ნაწილი სასიმღეროა და დაკავშირებულია მხარის მრავალპროფილიან სამეურნეო ცხოვრებასთან. გამოიყოფა სამიწათმოქმედო (ყანური), ფეიქრობასთან, მეეენახეობასთან, მესაქონლეობა-მემთევრობასთან, ხელხვავისა და მძიმე ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. ყველაზე მდიდარია სამიწათმოქმედო ხასიათის შრომის პროცესებთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები („დიეელი", „ყარანა", „რაშა", „ყანური", „მოვიდოდა მშვიდობაო", „ქალი ვიყავ ბუნაური", „შავი შაშვი ნიოდაო", „ელია თუ მეელიაო", „ჩიორ ჩიტო", „ცხელეზურაა", „ალორჯო ირემს გაკიდია", „მთას ხოხობი აფრენილა", „შარშანდელსა ნაყანეელსა", „ეაფთუ ფიდეიი ყურდღელმაო", „ქალო შავო შავითაო", „ალვის ხეი მოხეთქილა" და სხვ.).[1]

სამიწათმოქმედო (ყანური) სიმღერების მუსიკალური ანალიზით ირკვევა, რომ აჭარაში გავრცელებული ნადური (ყანური) სიმღერები ქართული ხალხური მუსიკის უძველესი ნიმუშებია და საუკუნეთა განმავლობაში დახვეწილი სახით მოაღწია ჩვენამდე. სიმღერების დიდი ნაწილი ოთხხმიანია, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკისა და, საერთოდ, მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებადაა აღიარებული.[2] განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთხხმიანი ნადური სიმღერები სწორედ აჭარის ფოლკლორმა შემოგვინახა.

აჭარაში გავრცელებული ოთხხმიანი ნადური სიმღერების მეცნიერული შესწავლის პრიორიტეტიც სწორედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეკუთვნის. ამ საქმეში ფასდაუდებელია აჭარაში მომუშავე მკვლევრის ჯ. ნოღაიდელის ღვაწლი. აჭარაში მოძიებული ოთხხმიანი სიმღერები მონოგრაფიულადაც არის შესწავლილი.[3]

აჭარაში ნაწერილ შრომის ლექს-სიმღერებში ასახულია უძველესი ქართული ყოფის ფრიად საყურადღებო ელემენტები, მისი თავდაპირველი ნიშან-თვისებანი, რაც თან სდევდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ მხარეს განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.[4]

აჭარის ფოლკლორში შემონახულია უძველესი ქართული საოჯახო ყოფის ამსახველი წეს-ჩვეულებანი, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში შვილის, განსაკუთრებით, ვაჟის გაჩენასთან. ეს მოვლენა საზეიმო ძეობით აღინიშნებოდა. მოგვეპოვება ძეობის ლექს-სიმღერები, რომლებიც ცეკვის თანხლებით სრულდებოდა. ასეთია „ნაი-ნაი, ნაი-ნაი, ნინაინა".[5]

---

[1] ზ.თანდილავა. ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1958-1982 წწ. მოკლე ანგარიში). — აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბილისი, 1983, გვ. 80-81; მ.ჩიქოვანი, ჯ.ბარდაველიძე. ფოლკლორული საქმიანობა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. — ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა, თბილისი, 1986, გვ. 47.

[2] ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

[3] ალინაშვილი, ჯ.ნოღაიდელი, გრ.ჩხეიძე. მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან. ბათუმი, 1961.

[4] ჯ.ჩხეიძე. შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში. ბათუმი, 1973, გვ. 31.

[5] ალ.ფსალაძე. აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია. ბათუმი 1969, გვ. 29.

აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალები ძვირფასი წყაროა საქორწილო ლექსი-სიმღერების შესასწავლად. მათში ნათლად ჩანს მშობლებისა და ბიძების როლი ქალ-ვაჟის ბედის გადაწყვეტაში. ამ სახის ლექს-სიმღერებიდან გამორჩეულია სამხმიანი „მაყრული“: „მოქმელი“, „მომძახნელი“ და „ბამეიანე“.[6]

დადგენილია, რომ საერთოდ ძველ საქართველოში „მაყრული“ სამხმიანი („მთქმელი“, „მობანე“, „მომძახებელი“) ყოფილა.[7]

„მაყრულის“ ლექსებში გადმოცემულია ძველი საოჯახო და საქორწინო ყოფის ისეთი ელემენტები, როგორიცაა სასიძო-პატარძლის ქება, ორივე მხარის მაყრის ქება-გაკიცხვა, სადედამთილოსა და სხვა დამხედურთა დახასიათება, ვაჟის ეზოში დედოფლისათვის საჩუქრის მიცემის ჩვეულება, ქალის მაყრის გამომშვედობება პატარძალთან, სამყოფ ოთახში პატარძლის შეყვანა და შეგონება-დარიგება ლექსით და ა.შ. მრავალი ყოფითი დეტალია მოცემული სუფრულ სიმღერებში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ცეკვაააყოლებული“ გართობა-სანახაობა „ფადიკო“, რომელიც ბერიკაობის აჭარულ ეარიანტს წარმოადგენს.[8] იგი ხალხური დრამის ერთ-ერთ არასრულყოფილ ნიმუშადაა მიჩნეული[9] და ქართული ხალხური დრამის ისტორიის შესწავლაში დიდ მნიშვნელობას იძენს.

ფოლკლორულ მასალებში გეხვდება მოთქმა-დატირების ტექსტები, რომლებიც რიტმული ხასიათის იყო და ლექსის ფორმა მათ არ გააჩნდა.[10] ზოგიერთ ლექსში ასახულია დასაფლავების უძველესი წესი და ა.შ.

აჭარის ხალხური შემოქმედების პოეტურ ნიმუშებში დიდი ადგილი უჭირავს საყოფიერო ლექს-სიმღერებს, რომლებშიც ასახულია ოჯახური ზნეობისა და ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ტრადიციები. მრავალფეროვანია რძალ-დედამთილიანის ციკლის ლექსები, რომლებშიც ნაჩვენებია, ერთი მხრივ, რძალ-დედამთილს შორის არსებული კონფლიქტი, მეორე მხრივ, სიყვარულით, პატივისცემით გამსჭვალული ურთიერთობა.[11]

აჭარაში შეკრებილ ხალხურ ლექსებში კარგადაა წარმოჩენილი მესაქონლეობა-მემინდერეობის ტრადიციები, დარგის წლიური სამეურნეო ციკლი.[12]

აჭარის ხალხური პოეზიის ნიმუშები ამდიდრებს ლექსის პოეტური ენის საკითხებზე მსჯელობას, რამდენადაც მათში აშკარად ჩანს ქართული ხალხური ლექსის განვითარების ზოგიერთი საფეხურის არსებობა. მაგალითად, „ოჰოდ ნანა“, ფერხული, სუფრული სიმღერების თხრობითი დასაწყისი და მოთქმა-დატირებათა ტექსტები იმ საფეხურს უნდა ასახავდეს, როდესაც ლექსი ჯერ კიდევ არაა ნამოყალიბებული და მთქმელ-შემსრულებელი მელოდიას რიტმულ წამოძახილებისა და გაბმულ თხრობით ფორმას უქვემდებარებს.[13]

აჭარის ფოლკლორში, ისე როგორც სხვა ეანრის ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, მდიდრულად აისახა წყალთან, როგორც სამყაროს ერთ-ერთ პირველსაწყისთან, დაკავშირებული მაგიურ-სასწაულებრივი მხარე, წეს-ჩვეულებები და რელიგიურ-მითოლოგიური შეხედულებანი, რომლებიც საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარეობს და წარმართული რელიგიის მატარებელია. მისი ელემენტები დღემდე შემორჩა.[14] უეჭველად წყლის კულტთანაა დაკავშირებული ზემო აჭარაში ჩაწერილი

---

6 ჯ.ნოდაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები, I (კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები ლექსიკონითურთ დაურთო პროფ. ი.მეგრელიძემ). ბათუმი, 1971, გვ. 39.

7 თეიმურაზ II. თხზულებათა სრული კრებული. თბილისი, 1939, გვ. 71.

8 ჯ.ნოდაიდელი. აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები. თბილისი, 1967, გვ. 70-71.

9 მ.ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი, 1956, გვ. 519.

10 ალ.მსხალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

11 ე.ზოიძე. რძალ-დედამთილიანი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. - სდსზ, IV. თბილისი, 1978, გვ. 44-52.

12 ზ.თანდილავა. მემთვერობის ტრადიციები და ხალხური პოეზია. - სდსზ, V. თბილისი, 1980, გვ. 29-49.

13 ალ.მსხალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 115-129.

14 ზ.თანდილავა. წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი. ბათუმი, 1996, გვ. 5.

„საქონლის წყალზე გაყვანის“ ჩვეულება, რომელიც სრულდებოდა ახალი წლის დილით.[15]

აჭარაში შეკრებილ ზღაპრებში, ლეგენდებში, თქმულება-გადმოცემებში ასევე კარგად აისახა წყლის გამგებლისადმი და ცა-ღრუბლების ღვთაებისადმი მსხვერპლთშეწირვის მოტივები.[16] ამათგან საყურადღებოა ზემო აჭარაში (ჭვანის ხეობა) გავრცელებული ლეგენდა-თქმულება, რომლის მიხედვით აქაური მკვიდრნი საზაფხულო საძოვრების ტერიტორიაზე არსებულ ერთ „წმინდა ტბას“ ხარს ან ცხვარს სწირავდნენ. ანალოგიურია ქედის რაიონში (სოფ. გეგელიძეები) ჩაწერილი მასალა — ყოველი წლის ივლისის თვეში სოფლის წყაროსადმი („გეგელიძეების წყარო“) მსხვერპლად ხარის შეწირვისა. ხარის ხორცს ხალხს დაურიგებდნენ. წელიწადში ერთხელ ცის გახსნის და ამ დროს ყველაფრის გაჩერების (მათ შორის, წყლისაც) მოტივს ემყარება ხულოს რაიონში (სოფ. ხიხაძირი) მოძიებული მასალა, რომელიც უკავშირდება ადგილის სახელწოდებას „მძინარე წყარო“.

ზემოაჭარულ ფოლკლორულ მასალებში დიდი ადგილი უკავია ლაზარობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც საყურადღებოა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფითი რეალიებისა და ქართველი ხალხის რელიგიურ-მითოლოგიური აზროვნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.[17] ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ელემენტებია შემონახული შუამთობის ხალხურ დღესასწაულში, რომელიც ზემო აჭარაში (ალპური საძოვრების ზონა) დღესაც ტარდება.[18]

აჭარული ლეგენდების მიხედვით შეიძლება მსჯელობა აქაური მოსახლეობის სხვა უძველესი რწმენის შესახებ. ასეთებია ლეგენდები სოფელ ეერნებზე, „ბუღაგოლის“ („ბუღას ტბა“ — არსიანის მთების მიდამოებშია), ხინოს ტბის, ჭინჭაოს ტბის (ჭვანის ხეობა) შესახებ, რომელთა მიხედვით იკრძალებოდა და დიდ ცოდვად ითვლებოდა ღვთაება-გამგებლის ხელყოფა, მისი პატივ-დიდების შელახვა.[19]

აჭარის მითოლოგიურ გადმოცემებში ასახულია მყარი სამონადირეო ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, რომლის დაცვაც უხდებოდა მონადირეს (ნანადირევის განაწილება, ნადირობაში ზომიერება — არ უნდა დაეხოცა ზედმეტი ნადირი და ტაბუდადებული, ღვთაებრივი ცხოველები და ა.შ.). ნადირობის ტრადიციებია ასახული თქმულებებში: „ღვერთქალი“, „მონადირე“, „წერაქვეთას მითი“.[20]

დღემდე აჭარაში საკმაოდ სოლიდური ფოლკლორული მასალაა (ზღაპრები, ლექსები, თქმულება-გადმოცემები და სხვ.) შეკრებილი, რომელიც ეურადღებას იქცევს ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, რადგან ფოლკლორული ტექსტების ჩაწერისას მკაცრადაა დაცული ენობრივი მხარე. ეს მასალები დიალექტოლოგიურადაც სანდოა და აჭარული კილოს თავისებურებების სრულყოფილი შესწავლისათვის ღირებულია. ამ მასალების საფუძველზე შეიძლება აგრეთვე აჭარული მეტყველებისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ზოგიერთი ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების გარკვევა. აქვე ჩანს საინტერესო ლექსიკური ერთეულები, ხატოვანი გამოთქმები და ა.შ.

აჭარული მეტყველება ერთადერთი მსხვილი კილოური ერთეულია, რომელიც „ცოცხალი მოწმეა“ ქართული ენის სამხრული დიალექტური ჯგუფის ისტორიული განვითარებისა. ამიტომ აჭარული კილო განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართული ენის დიალექტებს შორის.[21]

---

15 ზ.თანდილავა. შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი. თბილისი, 1980, გვ. 54-55.

16 ქართული (აჭარული) ზღაპრები. ბათუმი, 1973, გვ. 42-46, 119-124.

17 ზ.თანდილავა. წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, გვ. 69-70.

18 ზ.თანდილავა. შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, 1980.

19 ზ.თანდილავა. წყლის კულტი..., გვ. 84-90.

20 ხ.თავდგირიძე. მითოლოგიური გადმოცემები აჭარაში. ბათუმი, 2001, გვ. 9-13.

21 შ.ძაძიგური. დიალექტოლოგიური კვლევა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. — ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა. თბილისი, 1986, გვ. 29.

აჭარის ფოლკლორის პირველი ნიმუშები („სოლოლაყე სიმღერები“ და „ჩახალოღლის ლექსი“) პ. უმიკაშვილმა 1859 წელს ჩაიწერა. ამ ნიმუშებში აჭარული მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ენობრივი თავისებურებებიც აისახა. დ. ბაქრაძემ 1874 წელს გურიასა და აჭარაში მოგზაურობის დროს აჭარული კილოური ლექსიკის სამ ასეულზე მეტი სიტყვა ჩაიწერა (აეტორს ცალ-ცალკე აქვს წარმოდგენილი ქობულური (იგივე ქობულეთური – მ.ქ.) და აჭარული ნიმუშები. ლექსიკური ერთეულები შედარებულია ქართული ენის სხვა დიალექტების (ქართლ-კახური, იმერული, გურული) მასალასთან.[22] დ. ბაქრაძის მიერ ჩატარებული ეს მუშაობა აჭარულის ლექსიკური მასალის შეკრებისა და შედარებით ჭრილში კვლევის პირველი ცდაა. ეს მასალები საინტერესოა ისტორიული დიალექტოლოგიისათვისაც.

XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დაიწყო აჭარული კილოს მეცნიერული შესწავლა და სათანადო დიალექტოლოგიური მასალის შეკრება, რომელსაც უფრო სისტემატური ხასიათი მიეცა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. შედეგიც სახეზეა: შეკრებილია მხარისათვის დამახასიათებელი საოჯახო და სამეურნეო ყოფის, სულიერი კულტურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ამსახველი ლექსიკური მასალა. ამ მასალებში დახასიათებულია აჭარის მოსახლეობის შრომა-საქმიანობის ისეთი მხარეები, როგორიცაა: მიწათმოქმედება, მშენებლობა, შინამრეწველობა და ხელოსნობა, შრომის იარაღები, ნიეთები, ტანსაცმელი და შემკულობა, ხალხური ტრანსპორტი, მესაქონლეობა, თიბვა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, ნაოსნობა-მეთევზეობა, ხალხური კულინარია, ხალხური მედიცინა, საოჯახო და ნათესაური ურთიერთობა, წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები, ხალხური მმართველობა, რელიგია და კულტმსახურება და ა.შ.[23]

აჭარული კილო განსაკუთრებით მდიდარია მრავალმხრივ საინტერესო ლექსიკით, რომელშიც გეხვდება ძველი ქართული ფენა, ზანური ფენა, ახალი წარმონაქმნები, უცხო ენობრივი ნასესხობანი და ა.შ.

აჭარული დიალექტური მასალა საინტერესოა ქართული ენის ისტორიისა (ისტორიული დიალექტოლოგიის) და ენის განვითარების საკითხების შესწავლის თვალსაზრისითაც. ამჟამად აჭარულში შემონახული ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, ერთი მხრივ, დიალექტოლოგიურია, მეორე მხრივ, ძველი ქართული ენის კუთვნილებაცაა. აჭარული დიალექტური მასალა მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ქართული ენის ისტორიული სამხრული კილოების ძირითადი ენობრივი თავისებურებების გარკვევისათვის.

ამა თუ იმ რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ენობრივი პრობლემების კვლევის თვალსაზრისით, ტოპონიმიის მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად აჭარის ტოპონიმია სრულადაა შეკრებილი და გაანალიზებული. შეკრებილ მასალებში მრავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტია შემონახული, რომლებიც დიდ ინტერესს აღძრავს, აგრეთვე, ენობრივი თვალსაზრისითაც.

აჭარის გეოგრაფიული ნომენკლატურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყაროა აჭარაში ისტორიულად გავრცელებული გვარსახელების შესასწავლად. წერილობითი წყაროები აჭარაში ამის შესახებ ძალზე მწირია. ასეთ შემთხვევაში ტოპონიმი ერთადერთი „საბუთია“ წარსულში აქ გავრცელებული გვარების თუ საკუთარი სახელების აღსადგენად. მაგალითად, მაჭახლის ხეობაში ამჟამად დასტურდება ტოპონიმი სიკალეთი, რომელიც გვარსახელიდან უნდა მომდინარეობდეს, რაზედაც მეტყველებს შუა საუკუნეების წერილობით ძეგლში მოხსენიებული „სიკა-

---

22 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 145-162.

23 ზ.თანდილავა. ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1958-1982 წწ მოკლე ანგარიში). – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბილისი, 1983, გვ. 87; შ.ძიძიგური. დიალექტოლოგიური კვლევა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, გვ. 29.

ლაეთი"//„სიკალაური".[24] როგორც ირკვევა, აქედან წასული სიკალიძეები ამჟამად თურქეთში ცხოვრობენ.[25]

სოფ. მარადიდის (ხელეაჩაურის რაიონი) ერთ-ერთი უბნის სახელია ფანჩეეთი. მაგრამ ამჟამად აქ ფანჩიძე არავინ ცხოვრობს. ფანჩეიძეებიც (ნაწილი) თურქეთში გადასახლებულან.[26] ამ გვარიდან უნდა იყოს წარმოქმნილი ფენჩიძე, რომელიც ამჟამად გვხვდება ხელეაჩაურის რაიონში. ანალოგიური მაგალითები აჭარის ტოპონიმიაში ბევრია.

საერთოდ, აჭარის ტოპონიმიაში ისეთი ფონეტიკური თუ გრამატიკული თავისებურებანი გვხვდება, რაც დამახასიათებელია აჭარული კილოსათვის.

აჭარის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ასევე ტოპონიმური მასალების შეკრება-შესწავლა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ამ საქმეში ფასდაუდებელია ქართველი (პ. უმიკაშვილი, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ს. ჭიჭინაძე, თ. სახოკია, ა.პ. წულაძე, გ. წერეთელი, გრ. გურული, ნ. მარი, ი. ყიფშიძე) და უცხოელი (ვ. ლისოვსკი, ა. ფრენკელი, ჟან მურიე...) მკვლევრების ღვაწლი. მათ მიერ შეკრებილი მასალები სათანადო კომენტარებით ქვეყნდებოდა რევოლუციამდელ პრესაში, ბევრიც მონოგრაფიების სახით გამოიცა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შემკრებლობითი მუშაობა აჭარაში უფრო გაფართოვდა. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრამ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ, აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიურომ (შემდგომში მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა და ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ. გამოქვეყნდა არაერთი გამოკვლევა, ტექსტობრივი მასალა. შეკრებილი მასალები ინახება აღნიშნული სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების არქივებში.

აჭარაში ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ასევე ტოპონიმური მასალების შეკრება-შესწავლასა და პუბლიკაციების გამოცემას სისტემური და ორგანიზებული ხასიათი მიეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების (1958) შემდეგ. დღემდე შეკრებილია დიდძალი უნიკალური მასალა, რომელიც ინახება ინსტიტუტის ხელნაწერთა არქივში. ამ მასალების შეკრება-პუბლიკაციაში დიდი წვლილი მიუძღვით ინსტიტუტის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში თუ უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მკვლევრებს (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე, მ. ხუბუა, სტ. მენთეშაშვილი, ა. ინაიშვილი, ალ. რობაქიძე, მ. ჩიქოვანი, შ. ძიძიგური, ზ. თანდილავა, ჯ. ჩხეიძე, ალ. მსხალაძე, ი. სიხარულიძე, ნ. ცქიტიშვილი, ა. ახალედიანი, ჯ. ჯაველი, ე. დაეითაძე, ე. ზოიძე, თ. შიოშვილი, მ. გიორგაძე, ხ. თავდგირიძე, შ. ფუტკარაძე, ნ. ნოღაიდელი, თ. კუკულაძე, ნ. სურმავა, ც. ნარაკიძე, ნ. ახალედიანი, მ. ქამადაძე, მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ნ. ცეცხლაძე და სხვ.).

ენათმეცნიერული (დიალექტოლოგიური), ასევე ონომასტიკური თვალსაზრისით, აჭარულისათვის დამახასიათებელი მრავალი საინტერესო მონაცემი გვხვდება ეთნოგრაფებისა (ელ. მგელაძე, ნ. ჩიჯავაძე, ვ. შამილაძე, ნ. კახიძე, თ. ფუტკარაძე, ჯ. ეარშალომიძე, ჯ. მიქელაძე, ნ. ჩელებაძე, თ. ლომთათიძე, ნ. მგელაძე...) და არქეოლოგების (ა. ინაიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე, ს. გოგიტიძე, ნ. ინაიშვილი, ნ. ხახუტაიშვილი, შ. მამულაძე) შრომებში.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივში დაცული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ტოპონიმური მასალები ფასდაუდებელი განძია აჭარის ზეპირსიტყვიერების, აჭარული კილოსა და ონომასტიკის შესწავლისათვის.

---

[24] იხ. „ტბეთის სულთა მატიანე" (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ენუქიძემ). თბილისი, 1977 (იხ. საძიებლები).

[25] შ.ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993, გვ. 346.

[26] იქვე (იხ. საძიებლები).

§.5 ისტორიოგრაფია

ა) ძართული ისტორიული ლიტერატურა

ფეოდალური ხანის აჭარაზე არსებული ადრეული ლიტერატურიდან კვლავ აბუსერისძე ტბელის თხზულებები უნდა დავასახელოთ. ამ თხზულებებს წყაროსა და ლიტერატურის თვალსაზრისით ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. აბუსერისძე ტბელზე უადრესი აეტორი და აჭარაზე დაწერილი ქართული ხელნაწერი ძველი თუ ლიტერატურა ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, შუა საუკუნეების ამ გამოჩენილი მწერლის, მეცნიერისა და მოაზროვნის ხელით დაწერილი თხზულებები, განსაკუთრებით მისი ჰაგიოგრაფიული და პასქალური ქმნილებები, გვეკარაუდებინებს. რომ მას წინამორბედებიც უნდა ყოლოდა. მათ შესახებ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერი ვიცით. არ არის გამორიცხული, რომ აბუსერისძე ტბელის მსგავსად, „ტომით აჭარელი" თუ მაჭახლელი ყოფილიყო „ტბეთის სულთა მატიანეში" მოხსენიებული ვინმე მწერალი ნიკოლოზ კომსიძე (იგი, როგორც მწერალი-შემწირველი, მატიანეში ერთადერთია და XII-XIII საუკუნეების შემწირველთა სიაში მოიხსენიება[1]). მწერალი ნიკოლოზი, ბუნებრივია, რაიმე სახის ნაწარმოების ავტორიც იქნებოდა. ასე რომ, აბუსერისძე ტბელი, რომელმაც XIII საუკუნეში მთელი ეპოქა შექმნა ოავისი თხზულებებით, იმდროისათვის გამონაკლისად არ უნდა წარმოვიდგინოთ და მას არა მარტო წინამორბედები, არამედ თანამედროვენიც უეჭველად ეყოლებოდა.

აბუსერისძე ტბელი და მისი თხზულებები, პირველ რიგში – ჰაგიოგრაფიული საისტორიო ხასიათის ქმნილება, სასწაულად რომ გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია. შთამომავლობისათვის მემატიანედ იქცა.

ფეოდალური ხანის აჭარის ისტორიის შესწავლაში განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულებისაა ვახუშტი ბაგრატიონის, დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის ნაშრომებში დაცული ცნობები, რომლებსაც დღეევანდელი მკვლევრისათვის პირველხარისხოვანი წყაროების მნიშვნელობა აქვს.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მეცნიერ ისტორიკოს-გეოგრაფთაგან ვახუშტი პირველი იყო, რომელმაც მაშინდელი საქართველოს ცალკეული ხევებისა (ხეობებისა) თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების პარალელურად, აჭარის აღწერილობაც მოგვცა. მართალია, აჭარაში, ისე როგორც მთელ სამცხე-საათაბაგოში (რომელშიც აჭარაც შედიოდა), მას უშუალოდ არ უმოგზაურია, რადგან მხარე მაშინ ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ მანამდე არსებული მონაცემებისა და „სმენილთა კაცთა", ანუ სხვათა მიერ მიწოდებული მასალების ანალიზის საფუძველზე აჭარაზე მეტად ფასეული ცნობები დაგვიტოვა.[2]

პირველ რიგში ვახუშტი აჭარისწყლის ხეობის (მისეული ტერმინოლოგიით: „აჭარის ხეობის") ბუნებრივ-სამეურნეო ცხოვრების დახასიათებას იძლევა. იგი წერს: „არს აჭარის ხეობა, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოველითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამოვან-ღრანტოიანი, მთანი ტყიან-ნადირიანნი. კაცნი ხელოვანი ხის მუშაკობითა."[3] აქვე მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა აჭარლების დაწინაურებაზე რძის პრო-

---

[1] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ენუქიძემ. თბილისი, 1977, გვ. 15, 80.

[2] ვახუშტის ცნობები აჭარაზე წინამდებარე ნარკვევების ეთნოგრაფიული ნაწილის შესაბამის პარაგრაფებში სათანადოდ აისახა, მაგრამ ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში მათი ჩართვა განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ.

[3] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941, გვ. 134.

დუქტების (ყველის) დამზადების საქმეში.[4] ძალზე საინტერესოა ვახუშტის ცნობა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი აჭარის დაბლობ თუ ზღვისპირა ზოლის სამეურნეო ინფრასტრუქტურაზე, სამეურნეო დარგების განლაგება-განვითარებაზე. ასე მაგალითად, მისი ცნობით, ბათუმის მიდამოებში, გონიოსა და ერგეში მოჰყავდათ ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული. „ზღვის კიდეს" ხარობდა მაღლარი ვენახი. ყურძნისაგან კი მზადდებოდა „ღვინო ქეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი."[5] მკელევარი მოკლე ცნობებს გვაწვდის „მცირე ქალაქების მსგავს" ქედაზე, ქობულეთზე, გონიოსა და ბათუმზე, აგრეთვე პეტრას ციხეზე.[6] აჭარა ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზეც აისახა.

დ. ბაქრაძე და გ. ყაზბეგი პირველები იყვნენ, ვინც აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს იმოგზაურეს და ამიტომაც მათ შრომებს შედარებით ერცლად მიმოვიხილავთ.

დ. ბაქრაძემ აჭა ში ორჯერ იმოგზაურა. პირველად 1879 წელს, აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ. პირველი მოგზაურობისას მან გურიაც მოინახულა და ორივე კუთხე ისტორიულად, არქეოლოგიურად და ეთნოგრაფიულად აღწერა.[7] მეორე მოგზაურობის დროს დ. ბაქრაძეს დაეალებული ჰქონდა ახლად შემოერთებული ბათუმის ოლქის საადგილმამულო ურთიერთობის შესწავლა (იგი ამ ურთიერთობის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე იყო). მას ამჯერადაც მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა შეუკრებია აჭარისა და მთელი ბათუმის ოლქის შესახებ.

დ. ბაქრაძის აჭარაში მოგზაურობის შესახებ საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ მოსამზადებელ მუშაობას, რომელიც წინ უძღოდა ამ მოგზაურობას. მას დაბრკოლებებიც შეხვდა ბათუმში ოსმალო მოხელეების მხრიდან თავისი მისიის განხორციელებაში.

დ. ბაქრაძემ გურია-აჭარაში მოგზაურობის წინ ერცელი მოხსენებითი ბარათი დაწერა, რომელიც წარუდგინა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას. მასში დასაბუთებული იყო ამ მოგზაურობის მიზანი და ამოცანები. მომავალი მოგზაური მკელევარი რუსეთის აკადემიის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ყოფილი სამცხე-საათაბაგოს, ანუ ოსმალოს საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე. მოხსენებით ბარათში დ. ბაქრაძე „ოსმალთა საქართველოს" შესახებ, რომელშიც აჭარაც შედიოდა, ასე წერდა: „არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მდიდარია ოსმალოს საქართველო. საქართველოს ეს ნაწილი ჩვენი ახალციხის მაზრითურთ ქართულ მატიანეებში ცნობილია მესხეთის, ზემო ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს სახელით. იგი უფრო ახლოს იყო ბერძნული ცივილიზაციის ცენტრთან და ამიტომ თავისი კულტურით გაუსწრო საქართველოს ყველა სხვა კუთხეს. საქართველოს საუკეთესო საერო მწერლები, ძველი და ახალი აღთქმების, საღვთო და საეკლესიო წიგნების მთარგმნელთა უმეტესობა წარმოშობით ზემო ქართლიდან იყვნენ. ყველაზე განვითარებული ქართული ენა ზემოქართლური იყო. ქართული ენა დღემდე ისმის მთელ ოსმალეთის საქართველოში ბაიბურთამდე და ტრაპიზონის სანღვრამდე. ზემოქართლი VIII საუკუნეში ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის აკვანი იყო და ის ცენტრი იყო, რომელმაც საქართველოს მიანიჭა ერთიანობა და ძლიერება აფხაზეთ-საქართველოს მეფეების დროს X-XIII საუკუნეებში. ქართული მატიანეები აქ აღნიშნავენ ყველაზე ძველ, დიდძალ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, რომლებსაც, რამ-

---

[4] იქვე.

[6] იქვე, გვ. 175-176.

[7] Бакрадзе Д.З. Археологическое путешествие по Гурии и Ачаре. СПБ, 1878. წიგნი დაიბეჭდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ. იგი ქართულადაც ითარგმნა (დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987).

დენადაც ვიცით, დღემდე იცავს სანახევროდ მუსლიმანი, სანახევროდ ქრისტიანი ადგილობრივი მოსახლეობა."[8]

ასე იყო აჭარაშიც, მაგრამ ოსმალთა ბატონობის შემდეგ აქაც, როგორც დ. ბაქრაძე აღნიშნავდა, ბევრი რამ შეიცვალა. ისლამის სარწმუნოების დამკვიდრების შედეგად ქრისტიანობა თანდათანობით სუსტდებოდა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას ქრისტიანობისადმი მოკრძალება დიდხანს არ დაუკარგავს. დ.ბარაძე ამასთან დაკავშირებით წერდა: „თუმცა აჭარასა და ჩურუქ-სუში ქრისტიანული ტაძრები ღიდი ხანია დაანგრიეს, მოსახლეობა მათ დღემდე შიშითა და კრძალვით ეპყრობა და მათ გარშემო კორომები ხელშეუხებლად მიაჩნია. ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით მოხუცებულები, თაეის ძველ ხატებზე ლოცულობდნენ თაეისთეისა და თაეისი აეადმყოფებისათეის, მსხვერპლად სწირავენ ცხვარსა და ქათამს, უნთებენ ცვილის სანთლებს და სხვ. ისინი ახლაც ჰყვებიან, სად რომელი წმინდანის პატიესაცემად იყო აგებული ეკლესია, ვინ და რომელი გვარიდან იყო მისი უკანასკნელი მღვდელი, სად წაიღეს ხატები."[9]

დ. ბაქრაძე აჭარლებს იმ კულტუროსან ხალხებთან ერთად განიხილავდა, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, ბერძნული ცივილიზაციის ზეგავლენას განიცდიდნენ. აჭარის ამ მაღალი კულტურის მაჩვენებლად მკვლეეარი ასახელებდა უხსოვარი დროიდან შემორჩენილ ისეთ ძეგლებს, როგორიცაა სხალთის ტაძარი, ქვის თაღიანი ხიდები და ა.შ.[10]

აი, ამიტომ იყო ღირსი მეცნიერებისათეის აჭარა და მთელი ჭოროხის მხარე, რომლის შესწავლისათეისაც მიისწრაფოდა დ. ბაქრაძე და რისთეისაც იგი რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან ხელშეწყობას ითხოვდა. მაგრამ მოგზაურის მიზანი გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა ლაზისტანის ფაშასათეის, რომლის რეზიდენციაც ბათუმში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფაშამ დ. ბაქრაძე ალერსიანად მიიღო და ყავითაც გაუმასპინძლდა, საფაშოში მოგზაურობასა და თაეისი მიზნის განხორციელებაზე უარით უპასუხა კონსტანტინეპოლთან და ადგილობრივ მეჯლისითან შეთანხმების გარეშე. ამ საქმეში შემდგომ დადებითი როლი ითამაშა რუსეთის კონსულმა ბათუმში ბ. ჯუდიჩმა.

დ. ბაქრაძესა და ფაშას შორის შედგა დიალოგი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს მოგზაურობის მიზანს და ოსმალო ხელისუფალთა დამოკიდებულებას მისდამი. დ. ბაქრაძე წერდა: „საინტერესო საუბარი გაიმართა. მის შეკითხვაზე, რისთვის ჩამობრძანებულხართო, ავუხსენი: ჩურუქ-სუს, აჭარასა და ჭოროხის აუზის ძველი ძეგლების შესასწავლად გამომგზავნეს-მეთქი. გაიოცა, რომ ჩვენ ასეთი წერილმანები გვაინტერესებს. „მერე აქედან რა სარგებლობა გექნებაო?" – მკითხა ფაშამ. „ჩვენ გვინდა ვიცოდეთ,– ვუპასუხე მე,– როგორია ეს ძეგლები და შემორჩა თუ არა მათზე წარწერები. ეს წარწერები საშუალებას მოგვცემს ეიმსჯელოთ, როდის და ეინ ააშენა ისინი. გარდა ამისა, მათ შეიძლება გაგეიმეღლაენონ რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტები, ისტორიისათეის ნაკლებად ან სულაც უცნობი. საერთოდ, – დაეძინე მე, – ძველი ციხეების, მეჩეთებისა და ეკლესიების წარწერები ისტორიის მასალაა და ამიტომ ევროპელი „მეცნიერნი ქეეენის ყველა კუთხეში აკროეებენ მათ."[11] ეერც ამ პასუხმა დააკმაყოფილა ფაშა და იგი კელაე უარს ეუბნებოდა დ.ბაქრაძეს აჭარაში მოგზაურობაზე ამ ძეელი ძეგლების შესასწაელად, სანამ კონსტანტინეპოლიდან ნებართვას არ მიიღებდა.

ნებართვას რამდენიმე დღე სჭირდებოდა, თუმცა დ.ბაქრაძემ ეს დრო ნაყოფიერად გამოიყენა – შემოიარა და აღწერა ბათუმისა და მისი შემოგარენის ეკლესია-მონასტრები, სხვა ძეგლები. ბათუმის მიდამოების გასაცნობად მას დახმარება

---

8 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 11.

9 იქეე, გვ. 72.

10 იქეე, გვ. 74.

11 იქეე, გვ. 21-22.

გაუწია ძველმა მეგობარმა, ქართულად მოლაპარაკე ხასან-აღა მურადოღლიმ (მურავიშვილმა), რომელიც წარმოშობით ორთახოფელი ლაზი იყო და ბათუმის ფაშასთან არსებული მეჯლისის უხუცეს წევრად ითვლებოდა.[12] მისგან ბაქრაძეს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებიც ჩაუწერია, რომლებიც მკვლევარმა თავის ნაშრომში შეიტანა.

1873 წლის 10 აგვისტოდან დ. ბაქრაძე შეუდგა უშუალოდ აჭარის (აჭარისწყლის ხეობის) შესწავლას. 21 აგვისტოს ხულოდან ჭვანაში გამგზავრებულა. აქედან კი ხიხოში გადავიდა და ხიხოს ეკლესია და ხეობა აღწერა, ჭახათის გავლით კი გურიაში გაემგზავრა.

დ.ბაქრაძემ წარმატებით განახორციელა აჭარაში მოგზაურობა. მან შეკრიბა მეცნიერებისათვის მეტად ღირებული მასალა, რომელშიც ასახულია აჭარის ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული წარსული, იმდროინდელი თანამედროეობა, ანუ, როგორც თავად ამბობდა, „ისტორია და ცხოვრება“, „აჭარული ცხოვრების წესები“. არ დარჩენილა აჭარის იმდროინდელი სამეურნეო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის არც ერთი საკითხი, რომელსაც იგი არ შეხებოდეს. მან აღწერა და შეისწავლა ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საცხოვრებელი ნაგებობანი, საგვარეულოები, ბეგების ცხოვრება, ხელოსნობის, ნაქმშენებლობისა და ნაოსნობის, სტუმართმოყვარეობის ტრადიციები, სწავლა-განათლების საკითხები, ჩაიწერა გადმოცემები, გაშიფრა სამებისა და სხალთის ეკლესიების წარწერები.

მეცნიერული ღირებულების შემცველია „ქობულური (ჩურუქ-სული) და აჭარული კილოების მოკლე შედარებითი ლექსიკონი“ (ქართულ-კახურ, იმერულ და გურულ კილოებთან მიმართებაში), რომელშიც ასახულია ნათესაური ურთიერთობა, ტანსაცმელი, შეიარაღება, ცხენის აღკაზმულობა, საცხოვრებელი სახლი და აქეჯი, სამზარეულო და კერძები, საოჯახო მეურნეობა, მემინდვრეობა, მებოსტნეობა, ცხოველთა სამყარო, ოროგრაფიული და ტოპოგრაფიული თავისებურებანი.[13]

დ. ბაქრაძემ აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში ორგზის (1878-1879 წლებში) მოგზაურობის შედეგებზე, „გურიასა და აჭარაში არქეოლოგიური მოგზაურობის“ გარდა, რუსულ და ქართულ ენებზე სხვა ნაშრომებიც დაწერა ცალკე მონოგრაფიებისა და სტატიების სახით. მათი ნაწილი ქართულ და რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა,[14] ნაწილიც დღემდე გამოუქვეყნებელია. ამ ნაშრომების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად იქნეს შესწავლილი აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსული და იმდროინდელი თანამედროვე ცხოვრება. დ. ბაქრაძის ნაშრომების სახით, ფაქტობრივად,

---

12 იქვე, გვ. 26.

13 იქვე, გვ. 145-162 (დამატება I).

14 Бакрадзе Д.З. Краткий очерк Гурии, Чурук-Су и Аджарии (Предварительный отчёт). – ИКОИРГО, 1874, т. VIII, №5; Ф ъ о зе: Заметка о Батумской области. – ИКОИРГО, т. VII, №1, 1882-1883; Исторический очерк турецкой системы землевладения (Приложение к протоколу Кавказского юридического общества), №9, 1889; Кинтришский участок (Батумской области) (ხელნაწერი ქართულად პირველად გამოქვეყნდა კრებულში „ქართული ისტორიოგრაფია“, III, თბილისი, 1975. მას ერთვის ქ.ჩხატარაშვილის შესავალი წერილი „დიმიტრი ბაქრაძის მეცნიერული მემკვიდრეობიდან“). დ.ბაქრაძის აღნიშნულ სტატიაზე დართულია თავდგირიძეთა ქობულეთური შტოს გენეალოგია. ქართული საგაზეთო სტატიებიდან იხ: „ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ყოფაცხოვრებაზე და სხვა. ოსმალო საქართველო ანუ არქეოლოგიური მიმოხილვა.“ გაზ. „დროება“, 1880, №10, 11; „ბათუმი“. გაზ. „დროება“, 1873, №166; „ბათუმის მაზრა. გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მიმოხილვა“. გაზ. „დროება“, 1880, №74, 80, 82; აჭარა-ქობულეთზე არსებული მისი ბევრი ხელნაწერი მასალა ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულია. მის დღიურებში საინტერესო ცნობებია დაცული აგრეთვე აჭარის, მაჭახლის, ასევე შავშეთის, ლიგანის (ლივანა) ქართულ არისტოკრატიულ საგვარეულოთა გენეალოგიაზე (ქ.ჩხატარაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 152).

საფუძველი ჩაეყარა აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსულის მეცნიერულ შესწავლას.[15]

ბაქრაძის შემდეგ, 1874 წელს, აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში (შავშეთი, არტანუჯი, ლივანა, ლაზეთი) იმოგზაურა გიორგი ყაზბეგმა. აჭარაში იგი ქვაბლიანის ხეობის სოფელ დერცელიდან (ადიგენის რაიონი) შემოვიდა და აქ 9 ივნისამდე დაჰყო. აქედან იგი შავშეთში გადავიდა, შემდეგ კი — არტანუჯსა და ლივანში. აქ მოგზაურობა დაასრულა, საიდანაც ზღვით (ორთახოფიდან) ბათუმში ჩავიდა. მთელ მოგზაურობას კი სამი თვე მოანდომა.

აჭარაში დ. ბაქრაძის მოგზაურობისაგან განსხვავებით, გ. ყაზბეგის, როგორც სამხედრო პირის, რუსეთის არმიის ოფიცრის (იგი ამ დროს ამიერკავკასიის გენერალური შტაბის წევრი იყო) მოგზაურობა წმინდა სადაზვერვო და სამხედრო სტრატეგიულ მიზნებს ისახავდა და ამდენად, სრულიად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა. ყაზბეგმა აჭარასა და სხვა კუთხეებში რუსეთის არმიის გენერალური შტაბის დავალებით იმოგზაურა.[16] ეს მოახლოებულ რუსეთ-თურქეთის ომთან იყო დაკავშირებული, რასაც აჭარისა და მთელი „ოსმალოს საქართველოს" განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. ასეთ რთულ და საიდუმლო ვითარებაში მოიარა გ. ყაზბეგმა აჭარა, სხვა დასახლებული კუთხეები და შეკრიბა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული და სტატისტიკური ცნობები, არამედ ამ კუთხეთა ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ეთნოგრაფიული მასალები. ამავე დროს, გ. ყაზბეგის მოგზაურობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა შეესწავლა ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა-დამოკიდებულება ოსმალეთის ხელისუფლებისა და რუსეთ-საქართველოსადმი.

გ. ყაზბეგმა თავისი მოგზაურობის შედეგებს ორი ძირითადი ნაშრომი უძღვნა. ერთია „სამი თვე თურქეთის საქართველოში", მეორე — „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევები". ორივე წიგნი თბილისში გამოქვეყნდა რუსულ ენაზე.[17] პირველი წიგნი (ჯერ მისი აჭარის მონაკვეთი,[18] შემდეგ კი — მთლიანად[19]) ქართულადაც ითარგმნა.

პირველი წიგნის შესავალ ნაწილში გ. ყაზბეგი წერდა: „თურქეთის საქართველოს აღწერა მკითხველს შეიძლება შევთავაზოთ მხოლოდ დღიურების სახით".[20] სინამდვილეში ეს მასალა მარტო დღიურების ხასიათს არ ატარებს. იგი მეტწილად მეცნიერულადაა გაანალიზებული ზოგიერთ სხვა ავტორთა შესაბამისი მონაცემების საფუძველზე და სათანადო დასკვნებსაც შეიცავს. ამავე დროს, ეს ცნობები, თვით გ. ყაზბეგის სიტყვებით რომ შევეფასოთ, „თავისი სიახლით არის საინტერესო. ამ ინტერესს აძლიერებს ჭოროხის აუზის ისტორიული მნიშვნელობა წარსულში და, რაც მთავარია, ის როლი, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს მომავალში".[21]

---

15 მ.დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950.

16 თურქეთის მეორ მიტაცებულ ქართულ რაიონებში, ანუ „ოსმალოს საქართველოში" სამხედრო მიზნით მოგზაურობა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ გ.ყაზბეგი ბაირაქცა გრიგოლ გურიელის ამალაში, როგორც გურიელის პირადი მოსამსახურე. გურიელს კი ახლო ნათესაობა აკავშირებდა აჭარისა და შავშეთის მმართველებთან შერიფ-ბეგ და ნურიბეგ სიმშიაშვილებთან, რაც მოგზაურობის მიზნებსა და ამოცანებში ოსმალო ხელისუფლების მხრივ ეჭვს არ გამოიწვევდა.

17 Казбек Г. Три месяца в турецкой Грузии. – ИКОНИГО, кн. X, Тифл., 1876.

18 გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. — გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960. თარგმნა ნ.ნაჭყებიამ. წიგნს ერთვის ნ.ნაჭყებიას და მ.სვანიძის სტატიები: „ტოგრაფიული ცნობა აჭარაზე", „გიორგი ყაზბეგის ცნობები აჭარის წარსულზე".

19 გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1996 (წიგნში შესულია ცნობები ზემო აჭარაზე, შავშეთზე, არტანუჯზე, ლივანასა და ლაზეთზე).

20 გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 29.

21 იქვე.

ჭოროხის აუზის ამ ისტორიულ მისიაში დიდი იყო მასში შემავალი აჭარის როლი. ამიტომაც გ. ყაზბეგმა თაეის ორიეე ნაშრომში შედარებით ერცლად აღწერა იგი. მკელეეარი-მოგზაურის დღიურებში ასახულია აჭარის ისტორიული წარსული ოსმალთა ბატონობამდე და შემდგომი პერიოდის სამეურნეო ცხოერება (მიწათმოქმედება, მეევნახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა და ეაჭრობა), ადმინისტრაციული წყობა, ოსმალური საგადასახადო სისტემა და სწავლა-განათლება, დასახლების სტრუქტურა, მატერიალური და სულიერი კულტურა, ხიმშიაშეილთა საგვარეულოს წარმომაელობა და საქმიანობა, სამიმოსალო გზები და გადასასალელები, ფლორა, ჰიდროგრაფიული ქსელი. დასახელებულ ნაშრომებში საინტერესო ცნობებია დაცული აჭარის მოსახლეობაზე, მის ეთნიკურ შემადგენლობაზე, ტოპონიმიკასა და ისტორიულ გეოგრაფიაზე.

დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის შემდეგ, საკელეეი პერიოდის აჭარის შესწავლაში დიდი წელილი შეიტანეს სხვა ქართეელმა მოგზაურმა მკელეერებმა. მართალია, ისინი აჭარაში მხარის საქართეელოსთან დაბრუნების შემდეგ — 70-90-იან წლებში მოგზაურობდნენ, მაგრამ მათ ნაშრომებში, იმდროინდელ საეურნალო თუ საგაზეთო სტატიებში მეტად საეურადღებო ცნობებია დაცული ოსმალთა ბატონობამდელი და ამ ბატონობის პერიოდის აჭარის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოერებაზე.

ქრონოლოგიური თანმიმდეერობით თუ განეიხილაეთ, პირველ რიგში დაეით წერეთელი და მისი საგაზეთო სტატიები უნდა მოეიხსენიოთ. იგი იყო აკაკი წერეთლის უფროსი ძმა, რომელიც, როგორც სამხედრო პირი — შტაბს-კაპიტანი, 1878-1881 წლებში მაჭახლის საპოლიციო უბნის უფროსად მუშაობდა. სამსახურებრივი მოეალეობის პარალელურად, იგი დადიოდა ხეობის სოფლებში, ხვდებოდა მოსახლეობას და მათგან კრებდა ცნობებს ხეობის ისტორიაზე, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე, მათ ბრძოლაზე ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. მისი დაკეირეების სფეროში მოექცა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხებიც, გვარსახელები, ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, სტატისტიკური ცნობები მოსახლეობის რაოდენობაზე და ასე შემდეგ. ამ საკითხებზე იგი სისტემატურად აქეეინებდა სტატიებს გაზეთ „დროებაში" „მაჭახელას" ფსეედონიმით.[22] მას ეკუთვნის სიტყვები: „ეს პატარა მაჭახელი არის ცოცხალი ისტორია საქართეველოსი".[23]

დ. წერეთელმა გაზეთ „დროებაში" დაბეჭდილი სტატიებით ფართოდ გააცნო ქართველ საზოგადოებრიობას მაჭახლის ხეობის წარსული და თანამედროეეობა.[24]

აჭარის წარსულის შესწავლას ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თეალსაზრისით დიდი ამგი დასდო ქართული წიგნის რაინდად წოდებულმა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დავალებით რამდენჯერმე შემოიარა ფეხით სამხრეთ-დასაელეთი საქართველო, მათ შორის — აჭარა-ქობულეთის მხარე, მაჭახლის ხეობა. ქართული წიგნის გავრცელებასთან ერთად, მან ძეირფასი მასალა შეკრიბა ჩამოთელილი კუთხეების ისტორიულ წარსულზე, მათ ყოფა-ცხოერებაზე, გეოგრაფიაზე, ეთნოგრაფიაზე, ფოლკლორზე. ეს მასალები შესულია არა მარტო აჭარა-ქობულეთ-მაჭახლის, არამედ მთლიანად სამხრეთ-დასაელეთ საქართველოსადმი მიძღვნილ მის ცალკეულ ნაშრომებსა და საგაზეთო-საეურნალო სტატიებში, რომელთა რიცხვი ასზე მეტს აღწეეს.[25] მართალია, ზ. ჭიჭინაძის ცნო-

---

22 გაზ. „დროება", 1878, №№47, 187, 198, 299, 238, 255, 267; 1879, №№35, 37, 41, 187.

23 გაზ. „დროება", 1878, 21 ნოემბერი.

24 ნ.კახიძე, ლ.კახიძე. დავით წერეთელი და მაჭახლის ხეობა. — საისტორიო მაცნე. ბათუმი, №9, 2000.

25 ზ.ჭიჭინაძე. ქართველების გათათრება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოში (XVII-XVIII საუკუნეები). თბილისი, 1901; მისივე: სამცხე-საათაბაგო (ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზე, ვაჭრობაზე, კათოლიკობასა და მათ სამღვდელოებაზე. თბილისი, 1906; ქართველთა გამაჰმადიანება. თბილისი, 1907; მუსლიმან ქართველთ საქართველო. თბილისი, 1909; თამარ მეფე ქართველ

ბები, აღწერილობანი ზოგჯერ გაზეიადებულია (იმდროისათვის ამას შეიძლება გამართლებაც ჰქონდა), მაგრამ კრიტიკული განხილვის შემდეგ მეცნიერულ ლიტერატურულებას მოკლებული არ არის, განსაკუთრებით ფასეულია ხალხში შეკრებილი ზეპირსიტყვიერი გადმოცემები, რომლებიც არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თედო სახოკიას მოგზაურობის ჩანაწერები და მის საფუძველზე შედგენილი წიგნი „მოგზაურობანი", რომელშიც დიდი ადგილი აჭარის შესახებ ცნობებსაც უჭირავს. თ. სახოკია აჭარაში XIX საუკუნის 90-იან წლებში მოგზაურობდა. მისი ჩანაწერები დროდადრო იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში" (1898-1901 წლები). შემდეგ კი შეკიდა დასახელებულ წიგნში გურია-აფხაზეთ-სამურზაყანოში მოგზაურობის მასალებთან ერთად.[26]

თ. სახოკიას ნაშრომი წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ მასთან ერთად მასში საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ტოპონიმიკის ბევრი საინტერესო საკითხიცაა განხილული. ამასთან, ეს საკითხები შესწავლილია აჭარის ცალკეული ხეობების მიხედვით, რითაც ავტორი საქართველოს ხეევების (ხეობების) მიხედვით შესწავლის ვახუშტისეულ ტრადიციას აგრძელებს.

აჭარაზე თხრობას თ. სახოკია იწყებს მხარის ოსმალთა ბატონობამდელი პერიოდის ისტორიული დახასიათებით. შემდეგ ცალკეული ხეობების მიხედვით აღწერს (თანადროულობის პარალელურად) შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლებს (სხალთის ტაძარი, ხირხათის (ხიხანის) ციხე, ფურტიოს ქვის თაღიანი ხიდი, სხალთის მარანი, მიწაში ჩამარხული ქვევრები), სხვა არქეოლოგიურ სიძველეებს. მოგზაური მკითხველის ყურადღებას მიაქცევდა აჭარის წარსული დიდების ისეთ ნაშთზე, როგორიცაა მეცენახეობა-მეღვინეობა. „მაჰმადის რჯულს, — წერდა იგი, — ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისთვისაც ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის წინათ ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმასლა მოწმობს, რომ მეღვინეობას აქაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ-ერთ სახსართაგანს შეადგენდა."[27]

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ყურძნის ლექსი", რომელიც მოგზაურს ქედაში ჩაუწერია გულა დიასამიძისგან. მასში აღწერილია ყურძნის კრეფის სურათი, ღვინის დაყენების ძველი ქართული წესი. თ. სახოკიამ ჩაიწერა მდიდარი ფოლკლორული (გადმოცემები, ლეგენდები) და ტოპონიმიკური მასალა, რომლის დიდი ნაწილი თამარ მეფის სახელს უკავშირდება. ქედაში ყოფნისას მოგზაურს პირადად უნახავს აჭარელი ქალების დამწერლობის ნიმუშები (დედაბრული), რომელიც წიგნს ერთვის.[28]

თ. სახოკიას მიერ XIX საუკუნის 90-იან წლებში შეკრებილი ცნობები წინა პერიოდის აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ბევრი მხარის შესასწავლად მნიშვნელოვან მასალას იძლევა. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ მოგზაურ-მკვლევარს ხალხმა „მთის ამწერი" შეარქვა. აჭარის მთის მოსახლეობის ეფა და კულტურა, ანუ ეთნოგრაფიული წარსული XIX საუკუნის მოგზაურ-მკვლევართაგან ისე ყოველმხრივ არავის შეუსწავლია, როგორც ეს თ. სახოკიამ შეძლო.

მაჰმადიანთა ზეპირი ცნობებით. თბილისი, 1911; ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთ საქართველოში, 1911; ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში. თბილისი, 1913; ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბილისი, 1917; ყოფილი ოსმალეთის საქართველოსა და ლაზისტანში გემებისა და ნავების კეთება, ბათომი, 1917; ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი. თბილისი, 1927.

26 თ.სახოკია. მოგზაურობანი. თბილისი, 1950 (თ.სახოკიას მოგზაურობის ჩანაწერები საგაზეთო-საჟურნალო სტატიების სახით შეკრიბა და წიგნად გამოსცა გ.ჩიტაია). 1985 წელს წიგნი მეორედ გამოიცა ქალაქ ბათუმში.

27 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, 1950, გვ. 174.

28 იქვე. გვ. 245

აჭარის ოსმალთა ბატონობის პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების საკითხებია ასახული ს. მესხისა და პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ წერილებში.

ს. მესხი მომსწრე და მონაწილე იყო იმ პოლიტიკური მოვლენებისა, რომლებიც წინ უსწრებდა ოსმალთაგან აჭარის განთავისუფლების ცდებს. მას ეკუთვნის წერილები ბათუმსა და აჭარაზე, ქრისტიანთა და მაჰმადიანთა ცხოვრებასა და ურთიერთობაზე, ხალხის აზრზე ომისადმი დამოკიდებულების საკითხში, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების მძიმე პირობებზე, მუჰაჯირობაზე, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში".[29] საინტერესოა მისი წერილი „ორი კვირა მაჰმადიანურ საქართველოში", რომელიც გაზეთ „ფოლოსში" დაიბეჭდა 1879 წელს. წერილში დაცული ცნობები რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინა პერიოდის მდგომარეობის გაგებისა საშუალებასაც იძლევა.[30] ს. მესხი რუსეთის ჯარს ქალაქ ბათუმში შემოყვა და ახლო ურთიერთობა დაამყარა ადგილობრივ გაელჯინიან პირებთან. ამან საშუალება მისცა მას სწორად აესახა ომის წინა და ომის პერიოდში აქ შექმნილი ვითარება.

1879 წლის ზაფხულში აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა, მწერალმა და ფოლკლორისტმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ – პეტრე უმიკაშვილმა. მას სურდა ენახა აჭარა ოსმალთა ბატონობის დროს, რათა გაეგო, როგორ ცხოვრობდნენ აჭარლები, რა აწუხებდათ და რა დახმარება სჭირდებოდათ მათ, მაგრამ მაშინ მან ეს ვერ მოახერხა. პ. უმიკაშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ქართველი ინტელიგენციის მოწოდებას აჭარისა და მთელი სამუსლიმანო საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნის თაობაზე. 1877 წელს მან გაზეთ „იბერიაში" დაბეჭდა წერილების სერია სათაურით „ოსმალეთის საქართველო", რომლებშიც მაჰმადიანი ქართველების ეკონომიკური და კულტურული განვითარების ამოცანებზე საუბრობდა, წუხილით აღწერდა აჭარლების მძიმე მდგომარეობას ოსმალთა ბატონობის დროს.

პ. უმიკაშვილმა აჭარის ხალხურის სიტყვიერების ბევრი ნიმუში შეკრიბა არა მარტო 1879 წელს, არამედ ადრეც. ერთი ნიმუში – „სოლაღას ლექსი" – მას 1859 წელს ჩაუწერია კახეთში სოფელ მერისიდან (ქედის რაიონი) გადასახლებული ეინმე თაქალგირიძისაგან. პ. უმიკაშვილის ცნობით, ეს ლექსი მაშინ იმღერებოდა არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც.[31] მას თბილისში ჩაუწერია ლექსები „ფირალი" და „ალი კიდი, ჩახალოღლი", რომლებიც ეინმე აჭარელისა და ეინმე მერისელის[32] შეთხზული ყოფილა. ჩახალოღლი სელიმ ხიმშიაშვილის თანამედროვე იყო.

1906 წელს ბათუმში რუსულ ენაზე გამოიცა ერცელი კრებული – „ბათუმი და მისი შემოგარენი", რომელიც მიეძღვნა ბათუმის დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების 25 წლისთავს.[33] კრებულში დაბეჭდილ სტატიებში ასახულია არა მარტო განვლილი პერიოდში ქალაქ ბათუმში, აჭარასა და მთლიანად ყოფილი ბათუმის ოლქში მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები, არამედ ის საერთო ვითარებაც, რაც რეგიონში ოსმალთა ბატონობამდე და ამ ბატონობის დროს არსებობდა. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს ქართველ და რუს ავტორთა – ნ. დერჟავინის, მ. ჯანაშვილის, ს. ტიმოფეევის, ნ. წერეთლის, ს. მესხის

---

[29] ს.მესხი. თხზულებანი. III, თბილისი, 1968; მისივე. წერილები აჭარაზე (1875-1882). შეადგინა, შენიშვნები და საძიებელები დაურთო რ.სურმანიძემ. ბათუმი, 2000.

[30] ს.მესხი. ორი კვირა მაჰმადიანურ საქართველოში. - ფურნ. „ჭოროხი", 1970, №1 (ჟურნალში რუსული ორიგინალი წერილი ქართულად პირველად დაიბეჭდა. თარგმანი ჟურნალის რედაქციას მიაწოდეს შ.ბეგრელიძემ და შ.სანთაძემ).

[31] პ.უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. I, თბილისი, 1973, გვ. 78. იხ. აგრეთვე: გაზ. „იბერია", 1877, 38.

[32] პ.უმიკაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

[33] Батумъ и его окрестности (к 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи). Издание Батумского городского общественного управления. Батум. Типография В.Киладзе и Г.Таварткиладзе.

სტატიები, რომლებშიც განხილულია ქალაქ ბათუმისა და აჭარის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკური ცხოვრების (სავაჭრო-სამრეწველო განვითარება, საქალაქო მეურნეობა) სხვადასხვა საკითხი.[34]

საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა XX საუკუნის 40-იან წლებში, ხოლო 50-იანი წლებიდან ინტენსიურად გაიშალა ყოველმხრივი მეცნიერული კვლევა-ძიება, რაც დღესაც წარმატებით გრძელდება. აჭარაში, აგრეთვე თბილისსა და სხვა ქალაქებში მოღვაწეე ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევრებმა საყურადღებო ნაშრომები შექმნეს, რომლებიც დაფუძნებულია მდიდარ ქართულ და უცხოურ წყაროებსა და საარქივო მონაცემებზე, სხვა სახის დოკუმენტურ მასალებზე. შესაბამისად, ახლებურად გაშუქდა საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის ბევრი პრობლემური საკითხი.

მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ ამოცანად იქცა ოსმალთა ბატონობამდელი და ამ ბატონობის დროინდელი აჭარის ისტორიის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხები. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ხ. ახალლდიანის,[35] ე. იაშვილის,[36] შ. ყარშანიძის,[37] შ. მესხიას[38] სპეციალური გამოკვლევები. ოსმალთა ბატონობის პერიოდის აჭარის ისტორიის ბევრი საინტერესო საკითხია განხილული სხვა ავტორთა მონოგრაფიებსა და სტატიებში.[39] რამდენიმე ნაშრომი დაიწერა ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა შესახებ.[40]

შეიქმნა მონოგრაფიები ოსმალთა ბატონობისდროინდელი მიწისმფლობელობის ფორმებსა[41] და საადგილმამულო ურთიერთობის საკითხებზე,[42] ოსმალურ საგადასახადო სისტემაზე.[43]

ქართველ ავტორთა მნიშვნელოვანი გამოკვლევები დაიწერა შუა საუკუნეების ბათუმის ისტორიაზე.

---

34 Державин Н.С. Историко-географический очерк Батумского края, с. 1-32; Джанашвили М.Г. Историко-археологический очерк Гурии, Чорохского бассейна и Чанети (Лазистана), с. 33-86; Тимофеев С.Н. Сельско-хозяйственный очерк Батума и его окрестностей, с. 195-252; Церетели Н.В. Очерк торгового-промышленного развития Батума, с. 349-456. Месхи С. Очерк развития Батумского городского хозяйства, с. 457-636.

35 ხ.ახალლდიანი. ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები). ბათუმი, 1944; მისივე: აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბათუმი, 1946; სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. თბილისი, 1956.

36 ე.იაშვილი. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი, 1948; მისივე. Краткая история Аджаристана. Батуми, 1929.

37 შ.ყარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან. ბათუმი, 1974; მისივე. აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე. ბათუმი, 1995.

38 შ.მესხია. აჭარა ოსმალთა უღელქვეშ. - საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე (კოლექტიური ნაშრომი). I, თბილისი, 1958.

39 გ.ტივაძე. ოსმალთა დეერეშობა და გლეხთა აჯანყებები მე-16 საუკუნის საქართველოში. თბილისი, 1946; შ.მეგრელიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი, 1963; ჯ.ნოღაიდელი. აჭარლების ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის. თბილისი, 1945; ქ.ჩხატარაიშვილი. სამხრეთ საქართველო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში. – სინ, IV, თბილისი, 1973, გვ. 485-493; მ.სვანიძე. სამხრეთ საქართველოს ბრძოლის ისტორიიდან თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, 1957; ზ.ჩიტაძე. დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან. ბათუმი, 1974.

40 ხ.ახალლდიანი. სამხრეთ საქართველოსათვის მებრძოლნი. ბათუმი, 1972; ა.სურგულაძე. სელიმ ხიმშიაშვილი. ბათუმი, 1986.

41 ა.აკაფლიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1940.

42 ი.ბარამიძე. საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 1959; ო.თურმანიძე. საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში. ბათუმი, 2001.

43 ზ.შაშიკაძე. ოსმალური გადასახადები აჭარაში (ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთრის მიხედვით). – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათუმი, 2002,

ბათუმის, ანუ ძველი ბათუსის შესახებ პირველი ცნობა გვხვდება არისტოტელეს (ძვ.წ. IV საუკუნე) ნაშრომში „მეტეოროლოგია“.[44] ძველი პერიოდის ქართველ ისტორიკოსთაგან კი ბათუმი მოხსენიებულია ვახუშტისთან (XVIII საუკუნე) და იგი დახასიათებულია, როგორც „მცირე ქალაქი“ „აკარგი ციხით“.[45] ბათუმი ამ დროს ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. ბათუმის დასახლების ისტორიას შედარებით ერცლად მიმოიხილავს XIX საუკუნის I ნახევრის ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე.[46]

როგორც უცხოური წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, ბათუმის, როგორც ქალაქისა და გამაგრებული ადგილის, შესახებ ცნობები მრავალად გვაქვს ანტიკური ხანიდან.[47] ოსმალთა ბატონობისდროინდელი ბათუმის მხარისა და ციხის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ოსმალურ დოკუმენტებში (ბათუმის ლივის დაფთარი), რომელიც XVI-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. მასში აღწერილია ქალაქის ადმინისტრაციული წყობა, ოსმალური გადასახადები, მიწისმფლობელობის ფორმები.[48]

ციხისძირის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, ქალაქ ბათუმის წარსულს შეეხო ს. ჯანაშია.[49] ანტიკური ხანისა და მომდევნო პერიოდის წყაროების მიხედვით, ძველი ბათუმის ლოკალიზაციის საკითხები განხილულია ს. ყაუხჩიშვილის, თ. ყაუხჩიშვილისა და ს. კაკაბაძის გამოკვლევებში.[50] კონკრეტულად, საკვლევი პერიოდის ბათუმის ისტორიის საკითხებს ეძღვნება ი. სიხარულიძის, ა. სურგულაძის, ჯ. ჩხეიძის, ვ. სიჭინავას, ვ. ჯაოშვილის, ა. ინაიშვილის, თ. ღვინიანიძის, რ. უსუნაძისა და ა. ბოლქვაძის ნარკვევები.[51] შუა საუკუნეებისა და წინა პერიოდის ბათუმის, მისი განაშენიანება-განვითარებისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხები ახლებურადაა გაშუქებული ა.ინაიშვილის, ა.ახახიძისა და დ.ხახუტაი-

---

გვ. 215-225; მისივე: ზემო აჭარის ერცელი დავთარი, როგორც წყარო აჭარის ისტორიისათვის. — ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის შრომები. თბილისი, 2002; აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მოსახლეობა მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში. — გაზ. „აჭარა“, 2004, 17-21 იანვარი.

44 თ.ყაუხჩიშვილი. ანტიკური წყაროები ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის. — სდსმ, თბილისი, 1987, გვ. 109

45 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება, IV, 1973.

46 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987; მისივე. Краткий очерк Гурии, Чурук-Су и Аджарии. - ИКОИРГО. № 2, 1973, с. 201-224.

47 ს.ყაუხჩიშვილი. ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. კუთაისის ალ.წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის შრომები, X, 1950, გვ. 718.

48 ბათუმის და სხვა ციხეებზე (პეტრა, გონიო) არსებული ოსმალური დოკუმენტები შეკრიბა და გამოსცა ნ. შენგელაიამ (ნ.შენგელია. ოსმალური დოკუმენტური წყაროები აჭარის შესახებ. - „მაც
“. №4, 1878, გვ. 124-143; მისივე. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ოსმალური წყაროები. თბილისი, 1974. სოლო რუსეთის საცავებში არსებული ზოგი დოკუმენტი გამოაქვეყნა ალ.ცაგარელმა (Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии. II, вып. 1, 1893, с. 3).

49 ს.ჯანაშია. შრომები, VI, თბილისი, 1988, გვ. 267.

50 ს.ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 718; თ.ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 109; ს.კაკაბაძე. ძველი ქართველთა IV-VII საუკუნეების ისტორიის შესახებ. — საისტორიო კრებული, წიგნი II, 1928, გვ. 27.

51 ა.სიხარულიძე. ბათუმის წარსულიდან. — შრუსთაველის სახელობის ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი, 1956, გვ. 85; ა.სურგულაძე. ბათუმის ისტორიისათვის. - ამკკს, თბილისი, 1965, გვ. 239-248; ჯ.ჩხეიძე. ბათომი, 1959; ვ.სიჭინავა. ბათუმის ისტორიიდან. ბათუმი, 1958; ვ.ჯაოშვილი. ბათუმი. თბილისი, 1966; ა.ღვინიანიძე. ბათუმის ადრეული და თანამედროვე ადგილმდებარეობის შესახებ. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXXII, თბილისი, 1969; რ.უზუნაძე. ბათუმის ისტორიიდან (XIX ს. დამდეგი — 70-იანი წლები). ბათუმი, 1987; მისივე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში. ბათუმი, 2001; ს.გოგიტიძე. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში. — ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1999, №6. მისივე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. ბათუმი, 2002, გვ. 215-219.

შვილის არქეოლოგიური ხასიათის გამოკვლევებში.[52] არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, რომლებიც შეჯერებულია ძველი ბათუმის შესახებ მანამდე არსებულ წყაროებთან და ლიტერატურის მონაცემებთან, დადგენილია, რომ ბათუმის სამოსახლო ფართოვდებოდა სამხრეთით და ნავსადგურმაც დღევანდელი ნავსადგურის მიდამოებში გადმოინაცვლა, რადგან ყოროლისწყლის თხელი შესართავი, სადაც ძველი ბათუმი მდებარეობდა, საზღვაო მიმოსვლისათვის ტექნიკურად გამოუსადეგარი იყო. დღევანდელი ნავსადგურისა და მისი შემოგარენის ქალაქური ტიპის დასახლებად ჩამოყალიბება, ანუ ბათუმის დაწინაურება XVIII საუკუნიდან იწყება.[53]

აჭარაში მოციქულთა ხანიდან, ანუ პირველი საუკუნიდან ეზიარნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამაზე მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ აჭარაშიც მრავალი სამლოცველო, ეკლესია-მონასტერი აშენდა. აჭარა ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ დაწინაურებულ კუთხედ იქცა. ამ ფაქტმა მოგვიანებით (XIII საუკუნეში) ნათელი ასახვა ჰპოვა აბუსერისძე ტბელის აგიოგრაფიულ თხზულებაში „სასწაულნი წმინდა გიორგისანი", შემდეგ კი ხინოს საეპისკოპოსო ცენტრის დაარსება-ფუნქციონირებაში, რომლის შესახებ მოთხრობილია ვახუშტი ბაგრატიონთან, დ. ბაქრაძესთან და სხვა ავტორებთან. აჭარასა და საერთოდ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საკითხები თანამედროვე მკვლევართა ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ისტორიკოსმა ბ. დიასამიძემ.[54] მსგავსი საკითხები გაუშუქებულია ს. გოგიტიძისა და ი. ბექირიშვილის ნაშრომებში.[55] სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ეკლესიის როლის ჩვენებას ეძღვნება ფ. სიხარულიძის ნარკვევები.[56]

მნიშვნელოვანი გამოკვლევები დაიწერა ადრე, შუა და განვითარებული ხანის აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლებზე. ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ყურადღების სფეროში მოექცა ეკლესია-მონასტრები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ქვის თაღიანი ხიდები, ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლები და ა.შ. ზემო და ქვემო აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების პირველი აღწერილობანი მოგვცეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, თ. სახოკიამ, აგრეთვე ზ. ჭიჭინაძემ. ძეგლების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა გვიან დაიწყო. 1955 წელს გამოქვეყნდა სპეციალური კრებული „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები", რომელშიც შესწავლილია გონიოსა და ხიხანისა და სხალთის ციხეების, ხიხანის ეკლესიების ისტორია.[57] 1962 წელს გამოიცა ი. სიხარულიძის წიგნი, სადაც ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის ძეგლებთან ერთად მიმოხილულია აჭარის ფეოდალური ხანის საკულტო ძეგლები, ციხეები და ხიდები.[58] აჭარისწყლის ხეობის შუა სა-

---

52 ა.ინანიშვილი. ბათუმის უძველესი ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. — კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი, 1966, გვ. 69-75; ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. — სდსძ, XVIII, თბილისი, 1989.

53 იქვე.

54 ბ.დიასამიძე. ქრისტიანობის ისტორია დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 1997; მისივე: უძველესი საეკლესიო ცნობები დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 2000; ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეებრ). ბათუმი, 2000; ადრეფეოდალური ხანის მთავარი საეკლესიო ცენტრები. — სდსიეს, ბათუმი, 1981.

55 ს.გოგიტიძე. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა. ბათუმი, 1999; ი.ბექირიშვილი. ქრისტიანობა აჭარაში (მეორე შესწორებულ-შევსებული გამოცემა). თბილისი, 1991.

56 ფრ.სიხარულიძე, დ.თავდგირიძის წერილი სოლომონ I-სადმი. — გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1998, 22 ივლისი; ბათუმის ისტორიიდან. — „ჯეკარი ეაზისა", 1998, №1; გზები და ტაძრები. — გაზ. „ახალი ეპოქა", 2001, 8 მაისი.

57 ე.ინაშვილი. გონიოს ციხის ისტორიისათვის, გვ. 6-7; ხახელედიანი. ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის, გვ. 29-84; რ.მეფისაშვილი. სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი. გვ. 85-105.

58 ი.სიხარულიძე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962.

უკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლები არქეოლოგიურად დახასიათებულია შ. მამულაძის მონოგრაფიებში.[59] აჭარის ქვის თაღიანი ხიდები არსებული მონაცემების საფუძველზე აღწერილია ნ. კვეზერელი-კოპაძისა და შ. ეარშანიძის მიერ.[60] ცალკე სტატიები დაიწერა დარჩიძეებისა და შუახევის ციხეების, დანდალოს ქვის თაღიან ხიდზე და ციხე-კოშკზე.[61] მაჭახლის ხეობის ქვის თაღიანი ხიდები, ქვის მარან-საწნახლები განხილულია და დახასიათებულია ნ. კახიძის ნაშრომში.[62] აჭარის მატერიალური კულტურის ცალკეული ელემენტები (ხის საკეტი „დათვა-ბოყვა", ქვის კუბო) შესწავლილია გ. ჩიტაიას ნაშრომებში.[63]

რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა აჭარის ცალკეულ ხეობათა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას. ამ ტრადიციას საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ვახუშტიმ, რომელმაც მთელი საქართველო ხეობების მიხედვით აღწერა.[64] იგივე ტრადიცია გააგრძელა თ. სახოკიამ რომელმაც თავის „მოგზაურობაში" ზემო აჭარა ღორჯომის, მარეთის, სხალთის ხეობების მიხედვით განიხილა.[65]

ხეობების მიხედვით აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის მეცნიერული შესწავლისადმი ინტერესი არც ჩვენს დროში დარჩენილა ყურადღების გარეშე. დღეისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ ჭრილში შესწავლილია ღორჯომის, ჭვანის, კინტრიშის, მაჭახლის, ლიეანის (ძველი ლიგანის), აჭარისწყლის ხეობები.[66]

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და შემდგომი პერიოდის ქართველ და უცხოელ აეტორთა ნაშრომებში შესწავლილია აჭარაში გაერცელებული ცალკეული გვარები – აბაშიძეთა, ბეჟანიძეთა, თავდგირიძეთა, ხიმშიაშვილთა, კომახიძეთა და სხვათა საგვარეულოები,[67] აჭარის გეოგრაფიული წარსული,[68] ტოპონიმიკისა და

---

59 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993; მისივე. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 2000.

60 ნ.კვეზერელი-კოპაძე. საქართველოს ძველი ხიდები. თბილისი, 1972; შ.ეარშანიძე. გზები და საგზაო ნაგებობანი აჭარაში. ბათუმი, 1979; მისივე. ქვის თაღიანი ხიდები ფეოდალური აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. – სსიეს, VIII, ბათუმი, 1975.

61 შ.რუსაძე. დანდალოსა და შუახევის ციხეები. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. III, ბათუმი, 1957; მისივე. დანდალოს თაღიანი ქვის ხიდი და ციხე-კოშკი. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. IV, ბათუმი, 1960.

62 ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974.

63 გ.ჩიტაია. აჭარული დათვა-ბოყვა. – სსმმ, ტ. X- , თბილისი, 1940; მისივე. ქვის კუბო ალმედან. – ენიმკის მოამბე, თბილისი, 1940, №8.

64 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941.

65 თ.სახოკია. მოგზაურობანი. თბილისი, 1950.

66 გ.მგელაძე. ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი. – ამყკს, თბილისი, 1965, გვ. 137-166; ალ.დავითაძე. ჭვანის ხეობა. – სსიეს, VIII, ბათუმი, 1975, გვ. 177-192; ალ.ქათამაძე. კინტრიშის ხეობა. – აჭარის სახ.მუზ. შრომები, IV, ბათუმი, 1960; ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974; შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993.

67 ი.აბაშიძე. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების შესახებ ცნობები. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ხელნაწერთა ფონდი, №48, 1946; ს. ჯანაშია. აბაშიძენი. – შრომები, VIII, თბილისი, 1998, გვ. 223-226; ს. ბერსამია. მემედ აბაშიძე (ნარკვევი). ბათუმი, 1960; თ.კომახიძე. მემედ აბაშიძე. ბათუმი, 1993; მისივე: მამულიშვი-ლი. ბათუმი, 1994; ერთი გვარის ისტორია. ბათუმი, 1996; გ.შარაძე. მემედ აბაშიძე. თბილისი, 1995; მ.ქამადაძე. აჭარის საგვარეულოები (იხ. წინამდებარე ტომი, თავი IX); თ.ბექირიშვილი. ასი აჭარული გვარსახელი. ბათუმი, 1996; მისივე: აჭარის ისტორია გვარსახელებში. ბათუმი, 1996; ხიმშიაშვილები. ბათუმი, 2003 (გამოსცა ი.ხიმშიაშვილმა).

68 ნ.ნიჟარაძე. აჭარის ალპური მეურნეობა. ბათუმი, 1943; ნ.ნიჟარაძე, ნ.ჯიბუტი. აჭარის ასსრ. ბათუმი, 1957; Нижарадзе Н. Советская Аджария (Экономико-географическая характеристика. Глава I); ი.ჯიბლაძე ბათუმის რაიონი. ბათუმი, 1960; გ.ბეგელესიანი, ე.ნეიმე. აჭარის ასსრ ზოგადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. – ვახუშტის სახელობის ინსტიტუტის შრომები, XIX, თბილისი, 1962; კ.ანთაძე. აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი (დასახ. ინსტიტუტის შრომები); ვ.ჯაოშვილი. ბათუმი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი). თბილისი, 1966.

ისტორიული გეოგრაფიის საკითხები,[69] მიგრაციული პროცესები.[70] საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი განხილულია საქართველოს ისტორიის რვატომეულის მეოთხე-მეხუთე ტომებში. მეოთხე ტომში საუბარია აჭარაში ოსმალთა შემოსევაზე, არის ცდა აჭარის დაპყრობის თარიღის დადგენისა.[71] მეხუთე ტომში კი მინიშნებულია ქობულეთის მიდამოებში ბრძოლაზე ყირიმის ომის პერიოდში და ოსმალთა მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დედასამშობლოსთან დაბრუნებაზე.[72]

ბ) უცხოური ლიტერატურა

აჭარის ისტორიის მოცემული პერიოდის შესახებ არანაკლებ საინტერესო ცნობები მოგვეპოვება უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში, რომელთა დიდი ნაწილი ქართულადაც ითარგმნა.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ რუსი მოგზაური მკვლევრები – ა. ფრენკელი და ე. ლისოვსკი, რომელთა ნაშრომებში „ჩურუქ-სუსა და ბათუმის ნარკვევები“,[73] „ჭოროხის მხარე“[74] ობიექტურად და მრავალმხრივაა გაშუქებული ოსმალთა ბატონობისდროინდელი და წინა პერიოდის აჭარის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებანი. დახასიათებულია მხარის სამეურნეო ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურა, ტრადიციები და წესჩვეულებები, ვაჭრობა და ხელოსნობა, საგვარეულოები, სამიმოსვლო გზები. მოყვანილია დიდძალი სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობაზე, მეურნეობაზე, საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაზე. ორივენი სამხედრო კორესპონდენტები და ისტორიკოსები იყვნენ და ყველაფერს თვითმხილველის თვალით აღწერდნენ. აჭარის წარსულის შესასწავლად ა. ფრენკელისა და ე. ლისოვსკის დასახელებულ ნაშრომებს ისეთივე მრავალმხრივი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, როგორც დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის ზემოთ დასახელებულ გამოკვლევებს. ამ ნაშრომების გარეშე შეუძლებელია სრულად იქნეს შესწავლილი არა მარტო აჭარის, არამედ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსული, მისი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები.

სხვა რუს მკვლევართაგან აჭარისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ჭოროხის მხარე, ლაზეთი) შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ე. ვეიდენბაუმის, პ. უვაროვას, ე. მასალსკის, ი. კანევსკის, ი. დაკიშვილის, გ. სტეპანოვის, ნ. დერეკოინის, ი. პროსკურიაკოვის, ნ. შავროვის, ი. ეორონოვის, ნ. ეერუს, ლ. ვილკონსკის და სხვათა ნაშრომებში.[75] დასახელებულ ავტორთაგან პ. უვაროვა (გრაფ უვაროვის მეუღლე) პირველი იყო, რომელმაც ზემო აჭარის არქეოლოგიური

---

69 ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. წიგნი I, 1958. წიგნი II, ბათუმი, 1959; ს.გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. ბათუმი, 2002.

70 თ.ფუტკარაძე. თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში. ბათუმი, 1995, გვ. 5-10; მისივე: აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები (სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი, თავი I). თბილისი, 2002.

71 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 298.

72 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბილისი, 1970.

73 Френкель А. Очерки Чурук-Су и Батума. Тифлис, 1879.

74 Лисовский В.А. Чорохский край (Военно-статистический очерк). Тифлис, 1887.

75 Вейденбаум Е.Г. От Батума до Артвина. - Кавказские этюды. Тифлис, 1901 (პირველად დაიბეჭდა გაზ. „ბოლოსნი 1878 წელს“); Уварова П. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Поцховский участок. Москва, 1891; Масальский В.И. Очерк Батумской области. - ИКОИРГО, т. 22, вып. IV, Тифлис, 1886; Каневский И. Любопытные уголька Кавказа Бамумского округа. Очерки жизни природы. Тифлис, 1886; Дакишевич И.М. Батум. Тифлис, 1890; Степанов Г. Древности Батумского края. - «Сборник сведений о Кутайской губернии», т. III, 1879; Державин Н.С. Историко-географический очерк Батумского края. - «Батум и его окрестности». Батум, 1906; Проскуряков Д.С. Заметка о Турции. - ИКОИРГО, т. 25, вып. I, Тифлис, 1906; Шавров Н.Н. Из путевых впечатлении от Батума до Артвина. -ИКОИРГО, т. XIX, Тифлис, 1907; მისივე. Краткое описание маршрутов от Батума до Бенары и до Орджоха и от Артвина до Ардануча. - ИКОИРГО, XXVI,

ძეგლები მოინახულა და აღწერა. იგი განსაკუთრებით სოფელ ეანაძეების ნასაყდრალით დაინტერესებულა, რომელსაც შეცდომით აგარის ეკლესია უწოდა. პ. უვაროვამ აქ არქეოლოგიური გათხრებიც ჩაატარა. თ. სახოკიას ცნობით, სიძველეების ძიებაში მას გასათხოვარი ღორჯომელი გოგონებიც დაჰყვებოდნენ. ნაპოვნი ძვირფასი ნივთები უვაროვამ რუსეთში გაზიდა, რომელთა ბედი დღემდე გაურკვეველია. მანვე აღწერა ზემო აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაც.

რუს ავტორთა ნაშრომებში აჭარის გეოგრაფიული წარსულის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ასპექტიც (წიაღისეული სიმდიდრეები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ფლორა, ფაუნა და სხვ.) აისახა.[76]

შუა საუკუნეების აჭარის შესახებ სხვადასხვა ხასიათის ცნობები გვხვდება დასავლეთევროპელ — იტალიელ, ფრანგ, ინგლისელ, გერმანელ მოგზაურ-მკვლევართა და სხვა ავტორთა ჩანაწერებში, რომელთა ნაწილი ცალკე წიგნებისა თუ სტატიების სახით ქართულ და რუსულ ენებზე ითარგმნა.

შედარებთან უადრესია XV საუკუნის 70-იანი წლების იტალიელი (ენენციელი) მოგზაურების იოსაფატ ბარბაროსა და ამბროჯიო კონტარინის ჩანაწერები. ირანის შაჰის კარზე მიმავალმა ელჩებმა გზად საქართველო გამოიარეს და ქვეყნის სხვა კუთხეებთან ერთად ბათუმი და მისი შემოგარენიც აღწერეს. კონტარინი ბათუმში შავი ზღვით კაფადან (ფეოდოსია) ჩამოვიდა.[77] ბარბარო შავი ზღვის პირას სამ ციხეს ასახელებს — ბათუმს, გონიოსა და სებასტოპოლისს ((ცხუმი).[78] ბათუმი და გონიო მოხსენიებულია „ეატისა" და „გორის" სახელწოდებით. ეატი ანტიკურ წყაროებში დასახელებული ბათუსის დამახინჯებული ფორმაა. „ეატისის" სახელწოდებით გვხვდება ბათუმი აგრეთვე კონტარინთან.[79] იგი თანამედროვე პეტრას ციხესაც აღწერს და მას კალთიხეას უწოდებს. პეტრა მაშინაც საველრო ქალაქი ყოფილა, სადაც ძვირფასი ქსოვილებითა და სანთლით ვაჭრობდნენ.

ქალაქ ბათუმისა და ზოგადად აჭარის საკელეი პერიოდის ყოფითი კულტურის საინტერესო მომენტები მოიაზრება ცნობილი იტალიელი ბოტანიკოსის ემილ ლევიეს კავკასიაში მოგზაურობის დღიურებში.[80] მან იტალიელ ანთროპოლოგ სომიესთან ერთად აჭარაში 1899 წელს იმოგზაურა. ლევიემ დიდი ოსტატობით აღწერა აჭარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული თავისებურებანი, საქმიანობა, მათი კულტურის დამახასიათებელი ნიშნები, ბუნება, ფლორის მშვენიერება. „ასეთი მშვენიერი მცენარეულობა, — წერდა იგი, — მხოლოდ ფოტოგრაფიულ სურათში მინახავს. ამან გვაგრძნობინა, რომ ნამდვილ კავკასიაში ვიყავით." ლევიე აჭარას პატარა კავკასიად მოიხსენიებს. მოგზაურობის შთაბეჭდილებებში ლევიემ ასე ჩაწერა: „როგორც ჩანს, აჭარლები უმშვენიერესი უნდა იყვნენ კავკასიის ხალხთა შორის". ამ მოგზაურებმა საქართველოს სხვა კუთხეებიც მოინახულეს.

вып. 2. Тифлис, 1907; Воронов Ю.Н. Батумская область. - ИКОИРГО, т. XXI, вып. I, Тифлис, 1910; Веру Н.А. Батум и его окрестности. Батум, 1910: 1912; Лисовский Л.В. История Батумского края (краткий очерк). - «Русские субтропики». Батум, 1911.

[76] Бацевич Л.Ф. Геологическое описание Батумского и Артвинского округов. Тифлис, 1887; მისივე. Геологическое исследования в бывшей батумской области. - Исследования 1883 годы. - МГК, серия I, кн. 12, 1884; Раковиц Г.Г. Ценность Батумской области. - Труды съезда деятелей черноморского побережья Кавказа. 1914; Горбунов С.C. Полезные ископаемые Аджарский АССР, Батум, 1941

[77] იტალიელი მოგზაურები საქართველოში. — ჟურნ. „მოამბე", 1894, №11 (გამოკრებითი თარგმანი იტალიურიდან აღგ.ქეთნისა).

[78] XVI საუკუნის იტალიელი მოგზაურები საქართველოს შესახებ (იტალიურიდან თარგმნა შესავალი და სამეცნიერო დაურთო ემამისთვალაშვილმა). თბილისი, 1981, გვ. 55.

[79] იქვე, გვ. 64. როგორც XV საუკუნის მოგზაურის ო

ფრანგი მოგზაურებიდან აღსანიშნავი არიან ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833) და ცნობილი ორიენტალისტი ჟან მურიე. გამბა XIX საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთის კონსულად მუშაობდა თბილისში. მისი ამიერკავკასიაში მოგზაურობის ორტომიანი წიგნიდან პირველი დასავლეთ საქართველოს ეძღვნება. მასში ავტორი სხვა კუთხეებთან ერთად მოკლედ აღწერს ბათუმსა და მის ნაესადგურს, ქალაქის მდგომარეობას, მოსახლეობას, ეკონომიკას, ნაწილობრივ ზემო აჭარას, ანუ „აჭარის ხეობას", სადაც მას ხუთი დღე დაუყვია.[81] მიუხედავად იმისა, რომ გამბა უშუალოდ მოგზაურობდა ბათუმსა და აჭარაში, იგი აღწერისას იყენებს მისი წინამორბედის ანდრიან დიუპრეს ცნობებს (დიუპრე იყო საფრანგეთში ფრანგი კონსულის შვილი, რომელიც მამას თან ახლდა და აღწერა შაეი ხლეის ზოგიერთი ქალაქი და ნაესადგური, მათ შორის, ბათუმი).

ჟან მურიემ 1884 წელს საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ყოფილი ბათუმის ოლქი მოიარა და მისი წარსულიც აღწერა.[82] თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჟან მურიეს ცნობები ბათუმისა და მთლიანად აჭარის წარსულის შესწავლად, ამაზე მისი წიგნის სარჩევში შეტანილი საკითხების ჩამონათვალიც ემარა: „ბათუმის ისტორია", „ქალაქი ბათუმი", „მოსახლეობა", „სამების ეკლესიის ნანგრევები", „აჭარის წარსული", „ბათუმიდან ჩურუქ-სუმდე (ქობულეთი)", „ზნეობა, ადათი და ჩვეულება", „აჭარის გზები", „ბათუმიდან ზემო აჭარის სოფელ ხულომდე" და ა.შ.

აჭარის ისტორიული წარსულის შესახებ ცნობები გვხვდება აგრეთვე წინა პერიოდის ფრანგ მისიონერთა — ლუი გრანჟესა და ჟან შარდენის საქართველოში მოგზაურობის წიგნებში. გრანჟე საქართველოში 1614 წელს მოგზაურობდა, შარდენი კი — 1672 წელს.[83] ისინი აჭარაშიც იყვნენ. გრანჟემ მოინახულა გონიო და ბათუმი და აქედან გურიაში წავიდა. გრანჟეს ცნობით, აჭარლების ნაწილი ჯერ კიდევ ქრისტიანობდა და მისი მმართველებიც ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას. ბათუმს კი საქართველოს ნაესადგურად აცხადებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქი ოსმალებს ამ დროს დაპყრობილი არ ჰქონიათ.

შარდენი, ისევე, როგორც გრანჟე, აჭარაში ზღვით შემოვიდა და პირველად გონიოში გაჩერდა, სადაც იგი ოსმალთა საბაჟოს მოხელეებს გაუძარცვავთ. გონიოდან შარდენი აჭარისწყლის ხეობის გაყოლით ახალციხეში ჩავიდა. დამე მას გონიოდან ხუთი ეჯის მოშორებით მდებარე ერთ აჭარულ სოფელში გაუთევია (სოფლის სახელს არ ასახელებს), სადაც ქრისტიანები და მუსლიმანები ცხოვრობდნენ.[84] ამ სოფლის თავზე ეკლესიისა და ციხის ნანგრევები უნახავს. შარდენი წერდა: „იქაურები ამბობენ, რომ ბევრი ციხე და ეკლესია იყო, მაგრამ ოსმალებმა დაანგრიეს".[85] მოგზაურის ცნობით, აჭარის მთის მოსახლეობა ქოხებში ცხოვრობდა, რომლებსაც შუაცეცხლი ჰქონია. შარდენი აღფრთოვანებული დარჩენილა ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობით. იგი მოკლედ აღწერს მათ სამეურნეო და საოჯახო საქმიანობას.[86]

ყველაზე უხვი ცნობები ოსმალთა ბატონობისდროინდელი აჭარის შესახებ დაგვიტოვა ინგლისელმა დიპლომატმა ჯეფორდ პალგრევმა, რომელიც XIX საუკუ-

---

81 ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში (თარგმნა მ.მგალობლიშვილმა). თბილისი, 1987, გვ. 262-265.

82 ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი (ფრანგულიდან თარგმნა ალ.ორთქიფანიძემ). ბათუმი, 1962.

83 გრანჟეს ნაწერების ნაწილი რუსულადაც ითარგმნა და 1915 წელს გამოქვეყნდა კრებულში: „СМОМПК", вып. 44, Тифлис, 1915; 1915; ჟ.შარდენი. მოგზაურობა საქართველოში (ფრანგულიდან თარგმნილი ეგბარნოვის მიერ). თბილისი, 1935.

84 იქვე. გვ. 50. შარდენის ამ ცნობის საფუძველზე გ.ქიქოძე წერდა: „აჭარის მოსახლეობა შარდენის მოწმობით მე-17 საუკუნის 70-იან წლებში ჯერ კიდევ ქრისტიანული იყო" (გ.ქიქოძე. თხზულებანი, 3, თბილისი, 1965, გვ. 117).

85 ჟან შარდენი. დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

86 იქვე. გვ. 54-55.

ნის 60-70-იან წლებში კონსულად მუშაობდა ტრაპიზონში. სამსახურებრივი მოვალეობის პარალელურად, 1867-1869 და 1872 წლებში, იგი ხშირად მოგზაურობდა აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგადაც მან შეკრიბა დიდძალი სტატისტიკური და სხვა ხასიათის მასალა. ეს მასალები „ანგარიშების" სახელწოდებით 1882 წელს რუსულადაც ითარგმნა და გამოიცა.[87]

ანგარიშებში დახასიათებულია ლაზისტანის სანჯაყში შემავალი ცალკეული კუთხეების, მათ შორის ქალაქ ბათუმის, ზემო აჭარის (აჭარა-ალია), ქვემო აჭარის (აჭარა-სუფლა), ჩურუქ-სუს (ქობულეთის), მაჭახლისა და გონიოს ნაჰიების (თემების) ადმინისტრაციული მმართველობა, მოსახლეობა და მისი სამეურნეო საქმიანობა (მიწათმოქმედება-მეცხვარეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა), ვაჭრობა, ოსმალური საგადასახადო სისტემა, სამიმოსვლო გზები, ბათუმის ნავსადგური და ნაოსნობა, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება და ბრძოლა ოსმალური რეჟიმისადმი. პალგრევის 1872 წლის მონაცემებით, ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ ერთეულებში შედიოდა 138 სოფელი 9 516 კომლით, რაც 44 134 სულს შეადგენდა. საკუთრივ ბათუმის ნაჰიე (თემი) მოიცავდა 18 სოფელს 1 057 კომლით, სადაც 7 616 სული ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ 1864 და 1867 წლებში აფხაზეთიდან ჩამოსახლებული ჩერქეზები (300 კაცი) და 1876 წელს ჩამოსახლებული აფხაზები, რომლებიც ასევე ბათუმის შემოგარენში ცხოვრობდნენ.[88]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოსა და კავკასიაში ორჯერ იმოგზაურა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, იენის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ ჰაინრიხ ემილ კოხმა. 30-იან წლებში მან დასავლეთ საქართველოც მოინახულა და სხვა კუთხეებთან (სამეგრელო, გურია, ლაზეთი) ერთად მოკლედ აღწერა ჩურუქ-სუ (ქობულეთი), ციხისძირი, ბათუმი, გონიო. მიუხედავად იმისა, რომ კოხი სეციალობით ბოტანიკოსი (დენდროლოგი) იყო და მოგზაურობის ძირითადი მიზანიც ქვეყნებში ნანახი ფლორის აღწერა იყო, მის დღიურებში ამ ქვეყნების და, კერძოდ, აჭარის მოსახლეობის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები გვხვდება. ეს ცნობები შესულია მისი მოგზაურობის იმ ნაწილში, რომელსაც ჰქვია „მოგზაურობა რედუტკალედან ქ. ტრაპეზუნტამდე" (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა, თავი II-III).[89] აქ მოკლედ აღწერილია ბათუმი და მისი ნავსადგური, „აჭარლები და მათი ქვეყანა", აგრეთვე ლაზები. როგორც კოხის ჩანაწერებიდან ჩანს, მას „ყველაზე მეტად აჭარლები და ლაზები" აინტერესებდა. „აჭარლები, – წერდა იგი, – საყოველთაოდ არიან ცნობილი თავისი მამაცობითა და სილამაზით."[90] აღწერდა აჭარლების დამოკიდებულებას ოსმალური რეჟიმისადმი და მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. იგი ცნობებს გვაწვდის ბათუმის მაზრის მცხოვრებთა ჩაცმულობაზე, მათ სამეურნეო საქმიანობაზე და ა.შ.

აჭარის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი და დღემდე ნაკლებად ან სრულიად უცნობი დოკუმენტური წყაროებია თავმოყრილი ინგლისელი მკვლევრის, მწერლისა და გამომცემლის რობერტ ლესლი ჯარმანის სამტომეულში „ბრიტანეთის არქივები აჭარის შესახებ". იგი გამოიცა ინგლისურ ენაზე ინგლისში 2003 წელს. აჭარის ისტორიის ნარკვევების მეორე ტომისათვის ქრონოლოგიურად საინტერესოა სამტომეულის პირველი ტომი „აჭარა და ოსმალეთის იმპერია", რომელიც 1830-1878 წლებს მოიცავს. სამტომეულში ძირითადად თავმოყრილია საარქივო მასალები (მეორე ტომში „აჭარა და რუსეთის იმპერია" შესულია 1878-1917, ხოლო მესამეში

---

87 **Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области. Отчёты В.Джифорда Пальгрева о провинциях Анатолии за 1867-68, 1869 и 1872 годы. - Приложения к VII тому ИКОИРГО. Тифлис, 1882.**

88 **Отчёт консула В.Джифорда Пальгрева за 1872 года, с. 49.**

89 **კოხისა და ოსპენსკის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ.ბამაცაშვილმა). თბილისი, 1981.**

90 **იქვე, გვ. 184-185.**

„აჭარა და ბრიტანეთის იმპერია“ 1918-1921 წლების საარქივო მასალები).[91]

აჭარის, ბათუმის, მაჭახლის, ჩურუქ-სუს ოსმალთა მიერ დაპყრობისა და მხარეებში ოსმალთა ბატონობისდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ მრავალი დოკუმენტური წყარო და ლიტერატურა მოგვეპოვება საკუთრივ ოსმალურ-თურქულ ენებზე, რომელთა ავტორები თვით თურქი ისტორიკოსები არიან. ადრეული ცნობები აჭარის შესახებ გვხვდება XVII საუკუნის მოგზაურის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის ევლია ჩელების ათტომიანი ისტორიის მეორე ტომში.[92] მისი ცნობით, ამ დროს ცალკე სანჯაყებად (ლივებად) ითვლებოდა ზემო და ქვემო ბათუმი, გონიო, რომელიც ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა[93] და მაჭახელი, რომელიც ლივანას და სხვა სანჯაყებთან ერთად ჩილდირის ვილაიეთში ერთიანდებოდა.[94] მის ნაშრომებში მოკლე ცნობები გვხვდება აჭარის, გონიოს, მაჭახლის ციხეებზე.

XVII საუკუნის პირველი ნახევრის ბათუმის საბეგლარბეგოზე (მისი ბეგლარბეგი ეოფილა ვინმე ომერ-ფაშა) ცნობებს ეხვდებით ამავე პერიოდის თურქი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ქათიბ ჩელების (1609-1657) ოხზულებებში.[95] ავტორი აჭარის, ასევე გურიის, სამეგრელოს, იმერეთის გეოგრაფიულ დახასიათებასაც იძლევა. მისი ცნობით, გონიოს ლივა (სანჯაყი) საქართველოს სახლვრებში მდებარეობდა და მას „გურიისა და სამეგრელოს ტომები“ ესაზღვრებოდნენ.[96] ბათუმის საბეგლარბეგოს შესახებ არსებითად ქათიბ ჩელების ცნობებს იმეორებს სულთნის კარის პირველი ოფიციალური ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა (1655-1716).[97] ბათუმის, აჭარის (აჭარისწყლის ხეობის), მაჭახლის, ქობულეთის მხარის ოსმალთა მიერ დაპყრობის, ოსმალურ მფლობელობაში გადასვლისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაქვემდებარების საკითხებზე ცნობები დაცულია თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა – ფ. ქირზოღლის, ბ. ქუთუქორლუს, ი. დანიშმენდის, ი. უზუნჩარშილის, ნ. ოზდემირის და სხვათა ნაშრომებში.[98]

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული და სხვა თანამედროვე თურქი ისტორიკოსები, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობენ არქივისაცვებში დაცულ ძველ ოსმალურ წყაროებს და მათ ბევრი საინტერესო გამოკვლევებიც შექმნეს, მეტწილად ტენდენციურად, არაობიექტურად, ცალმხრივად აშუქებენ აჭარის, ბათუმის, მაჭახლის, ქობულეთის მხარის და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის, ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლის საკითხებს. ასეთივე ტენდენციურობითა და ცალმხრივი შეფასებებით ხასიათდება იმ თურქ ისტორიკოსთა ნაშრომები, რომლებიც 1878-1921 წლების სა-

---

91 2003 წლის 25 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა ჯარმანის სამტომეულის წარდგინება, რომელსაც ესწრებოდნენ თავად ავტორი და სამტომეულის რედაქტორი. ამავე დღეს ჯარმანი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს (გაზ. „აჭარა“, 2003, №298).

92 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ნაკვეთი I. ქართული თარგმანი (თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ.ფუთურიძემ). თბილისი, 1971.

93 იქვე, გვ. 82.

94 იქვე, გვ. 299.

95 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ.ალასანიამ). თბილისი, 1978, გვ. 221-222.

96 იქვე, გვ. 173.

97 მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ.შენგელიამ). თბილისი, 1981.

98 Kirzioğlu F. Osmanlılar'in Kafkas-Elleri'ni fethi (1451-1590 yy.). Ankara, 1998, s. 410–422; Kıtıskoğlu B. Osmanli-Iran Siyasi Mınasebetleri 1578-1590 yy. Istambul, 1962; Aynısı. smanli-Iran Siyasi Mınasebetleri 1578-1612 yy. Istanbul, 1993; Danismend M. ოსმალეთის ისტორია, III. Stambul, 1956, s. 33; Uzuncarcili I.H. Osmanli Tarihi. III cilt, II Kisim. Ankara, 1954, s. 290; Ozdemir H. Artvin Tarihi. Artvin, 2002; Aydin Dındar. Erzurum Beylerbeyiliği ve Teckilati, Kuruluc ve Genicleme Devri (1535-1566 yy.). Ankara, 1998

ქართველო-თურქეთის ურთიერთობების გაშუქებას ეძღვნება. ქართველი ისტორიკოსები, პირველ რიგში, თურქოლოგიის სპეციალისტები, დღეისათვის შედარებით კარგად იცნობენ თურქეთის სხვადასხვა საცავში დაცულ ოსმალურ დოკუმენტებსა თუ ნარატიულ წყაროებს და ობიექტურ, კრიტიკულ შეფასებებსაც იძლევიან. აჭარის მაგალითზე ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. შენგელიას, მ. სვანიძის, ზ. შაშიკაძის გამოკვლევები, რომლებიც წინამდებარე ნარკვევების მეორე თავშია შესული.

თავი I

აჭარა ადრეფეოდალურ ხანაში

§1. ქრისტიანობა აჭარაში

ქრისტიანობის გავრცელება. საქართველოში ქრისტიანობის ახ.წ. I საუკუნეში ქადაგების შესახებ არსებობს როგორც III-IV და მომდევნო საუკუნეების უცხოელი ავტორების ცნობები,[1] ისე „ქართლის ცხოვრების“ მოგვიანო ჩანართი, სადაც ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობაა აღწერილი. ამ მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, ქრისტიანობის პირველ მქადაგებლად ანდრია პირველწოდებული, სვეშინ კანანელი და მატთია დასახელებული.[2] წყაროებსა და ლიტერატურაში არ არის თანხმობა იმ ადგილთა დასახელებაში, სადაც იქადაგეს მოციქულებმა. ამავე დროს, ეს მოვლენები ასახული არ არის V-VIII საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს პირველმოციქულთა ამ ქადაგებას და, შესაბამისად, ამ ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის სანდოობას. თუმცა, არ უარყოფენ დასავლეთ საქართველოში პირველი საუკუნეებიდან ქრისტიანობის გაერცელების შესაძლებლობას.[3]

III-IV საუკუნეების საკლესიო მოღვაწე ევსევი კესარიელი (260-340 წწ) „საეკლესიო ისტორიაში“ წერს: „როდესაც ჩვენი მაცხოვრის წმინდა მოციქულები და მოწაფეები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, თომას, როგორც გადმოცემა გვეუბნება, პართია ხვდა წილად, ანდრიას – სკვითია, იოანეს – აზია...“[4] III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის შეორე ნახევრის მოღვაწეებს – დიოფანეს ტეირელს და ეპიფანე კვიპრელს ექუთვნით ცნობა იმის შესახებ, რომ „ანდრია... მივიდა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე (პარემბოლე – ჯარის „ბანაკ სამყოფელი“) და მდინარე ფაზისი, სადაც ცხოვრობენ უშინაგანესი ეთიოპები („ოქროსნი“).“ ეს ცნობა დიოფანეს ტეირელის სახელით დაცულია X საუკუნის ქართულ ხელნაწერებშიც.[5]

სხვა ძეგლებში, სახელდობრ, იერონიმეს თხზულებების დამატებაში, რომელიც IV საუკუნის ავტორს – სოფრონის მიეწერება, ნათქვამია: „ანდრიამ, როგორც გადმოგვცეს წინაპრებმა, იქადაგა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და მდინარე ფაზისი“. ამავე ტექსტში ანდრია პირველწოდებულის თანამოღვაწის მატათას შესახებ ნათქვამია: „მატათამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში („ოქროსნთა“), სადაც

---

1 ევსევი კესარიელი. გეორგიკა. I, თბილისი, 1961, გვ. 29-30; ეპიფანე კვიპრელი, იქვე, გვ. 41-42; თეოდორიტე კვირელი, იქვე, გვ. 209-213; ეპიფანე კონსტანტინოპოლელი. გეორგიკა. IV, ნაკ. I, თბილისი, 1941, გვ. 57-59.

2 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. I, თბილისი, 1955, გვ. 36-43.

3 ი.ჯავახიშვილი. თხზ. ტ. I, თბილისი, 1979, გვ. 271; ს.ჯანაშია. შრომები. V, თბილისი, 1987, გვ. 95.

4 გეორგიკა. I, გვ. 29-30.

5 პინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954, გვ. 223.

არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰუისის ნავსადგური. იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე".[6]

V საუკუნის მოღვაწე თეოდორიტე კვირელი მოუთითებს: „...მიმოსველასა შინა წმინდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგება შორის აკაზიასა, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წარვალა ოსეთად, და კუალად ბართლომეს მიერ მიმაველა ჩრდილოეთისა, რომელ არს ქართლი".[7]

„საეკლესიო ანალების" მიხედვით, „იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხეთად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი პაპის წმინდა კლიმენტის შემწეობით მიიღო. ეს უკანასკნელი იმ მხარეში გადასახლებაში იყო."[8] იმპერატორი ტრაიანე 98-117 წლებში მმართველობდა, ხოლო პაპი წმ. კლიმენტი ზეობდა 88-97 წლებში.

VIII საუკუნის დასასრულის მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, რომელსაც ეკუთვნის „მარიამის ცხოვრება" და „ანდრიას ცხოვრება", წერს: „ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და ბორსინები დიდს სებასტოპოლ'ში, სადაც არის აფსარის ციხე, პისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიელები, ს'ესები, ფისტელები და ალანები." აქვე ავტორი განაგრძობს, რომ პენტეკოსტის (ე.ი. სულიწმინდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროსთან; დანარჩენებმა კი მოიარეს ქალაქები... მათე მოწაფეებითურთ იმ ქვეყნებში ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა, ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში"...[9]

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ევსევი კესარიელი ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო საქმიანობის რეგიონად ასახელებს სკვითიას, დიოროთეოს ტვირელი და ეპიფანე კვიპრელი – დიდ სებასტოპოლისს, აფსარის ციხეს და მდინარე ფაზისს; თეოდორიტე კვირელი – აბაზგიას, აფხაზეთს, ქართლს; „დიდ სებასტოპოლისს, სადაც აფსარის ციხე, პისოსის ნავსადგური და მდინარე ფაზისი".[10] ევსევი კესარიელის მიერ დასახელებული სკვითიის გარდა, რომელშიც შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე გადაჭიმული ტერიტორია იგულისხმება, ყველა დასახელებული პუნქტი დასავლეთ საქართველოშია. მართალია, ამ ავტორების თხზულებათა ავტოგრაფიულ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწეია, მაგრამ პ. ინგოროყვას აზრით, აქ მოხსენიებული გეოგრაფიული ნომენკლატურა (აკსი-სუსურმენე-სურმენე V საუკუნიდან) უდავოს ხდის, რომ მათი დედანი III-IV საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდესო.[11]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართულ წყაროებში მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ ცნობები მხოლოდ X საუკუნიდან ჩნდება.[12] ესაა ჩანართი „ქართლის ცხოვრებაში", რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიამ შეიტანა, თუმცა იგი თარიღდება X საუკუნით. პ. ინგოროყვას აზრით, ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის შესახებ უნდა სცოდნოდა გიორგი მერჩულეს, რადგან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" იგი დასავლეთ საქართველოს

---

6 იქვე. გვ. 223-224.

7 იქვე. გვ. 214.

8 ი.ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. თბილისი, 1984, გვ. 65-71.

9 გეორგიკა. IV, ნაკ. I, გვ. 57-58.

10 გეორგიკა. I, გვ. 30. საინტერესოა, რომ IV საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი ლიბანიოსი (314-393 წწ) კოლხთა ქვეყანას „სკვითთა ქვეყანად" მოიხსენიებს (გეორგიკა. I, გვ. 68).

11 პინგოროყვა გიორგი მერჩულე. გვ. 224-225.

12 ივ.ჯავახიშვილი. თხზ. ტ. I, გვ. 226.

(„აფხაზეთის“) საზღვრებად იმ პუნქტებს ასახელებს, რომლებიც იმ გადმოცემაშია ფიქსირებული.[13] როგორც იგი ფიქრობს, გადმოცემას მოციქულთა შესახებ იცნობდა აგრეთვე ანონიმი, რომელსაც ეკუთვნის პოემა მიქაელ საბაწმინდელზე (IX საუკუნე). მასში ქართლი მოციქულთა წილხვდომილ ქვეყნად არის აღიარებული.[14] მაგრამ X საუკუნეზე ადრინდელი ქართული წყარო საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება. ი. ჯაფარიძეს აზრით, „პირველად ამ თქმულების შესახებ ქართველ და ბერძნულ ფართო წრეებში საუბარი და მისი დასაბუთება XI საუკუნეში დაუწყიათ. ამის თავგამოდებული მებრძოლი კი გიორგი მთაწმინდელი ყოფილა“.[15] აქედან გამომდინარე, იგი ფიქრობდა, რომ „ამ თქმულებას ქართველთა გაქრისტიანების ისტორიისათვის რეალური მნიშვნელობა არა აქვს“.[16]

XI საუკუნეში ბიზანტიასა და საქართველოში შექმნილი ვითარებისა და ეკლესიათა შორის ურთიერთობების გამწვაევების გამო ბიზანტიაში მოღვაწე ქართველები – გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე და სხვები სისტემატურად აშენებენ ცნობებს საქართველოში ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ. პირველმოციქულთა ქადაგების საქართველოში აღიარებენ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები (თ. ბატონიშვილი, ს. ჯანაშია, კ. კეკელიძე, ჰ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ჯაფარიძე, ე. ყოლიაძე და სხვები). ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების საკითხები ასახულია ი. ბექერიშვილის, შ. ვარშანიძისა და ს. ფოფიტიძის პუბლიკაციებში.

ქრისტიანობის გავრცელება ამა თუ იმ ქვეყანაში და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მისი ახსნა ერთი რომელიმე ფაქტით, ან პიროვნების მოღვაწეობით, შეუძლებელია. იგი შემზადებული უნდა ყოფილიყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორებით.

ძვ.წ. II საუკუნეში კოლხური სამეფო დაეცა. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა პონტოსა და რომს შორის. ძვ.წ. I საუკუნის 60-იან წლებში ეს ბრძოლა რომის გამარჯვებით დამთავრდა.

ჯერ პონტოელთა, ხოლო შემდეგ რომაელთა ბატონობამ მოშალა ადგილობრივი მმართველობა, რის გამოც ქვეყანა ანარქიამ და ძალმომრეობამ მოიცვა. ამით ისარგებლეს მთიელმა ტომებმა (ჯიქები, პენიოხები, აქაველები) და ნელ-ნელა დაიკავეს ბარის მიწები. სტრაბონის ცნობით, ჩრდილო კოლხეთის სანაპიროზე ჩამოსახლება იწყეს ადიღეელმა ტომებმა – ჯიქებმა და განდეველებმა ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა – „აერკეტები“.[17] მთებიდან ჩამოსახლებული ტომები მეკობრეობენ ზღვაზე, არბევენ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებსაც კი. პლინიუსი მიუთითებს, რომ პენიოხებმა გაანარცვეს პიტიუნტი (ბიჭვინთა). მისივე ცნობით, დიოსკურიაც „დაცარიელებულია“.[18]

ჩრდილოეთიდან მოზღვავებული ეს ტომები გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესს განიცდიან და შესაბამის გაელენას ახდენენ ადგილობრივ სოციალურად განსხვავებულ მოსახლეობაზე. ამავე პერიოდში უნდა გამოინილიეენენ ცენტრალური კოლხეთის სანაპირო ზოლში სანიგები (დიოსკურიის რაიონში), აბაზგები (მათ სამხრე-

---

13 პინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 221.

14 პინგოროყვა. ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. – მნათობი, 1939, №9, გვ. 116-119; №10-11, გვ. 249-254.

15 ი.ჯაფარიძე. თხზ. ტ. I, გვ. 226.

16 იქვე.

17 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, თბილისი, გვ. 539.

18 იქვე, გვ. 539.

თით) და აფშილები (კიდევ უფრო სამხრეთით).[19] ძვ.წ. II საუკუნიდან ამ ტომთა გააქტიურებას ბევრად შეუწყო ხელი იბერიის სამეფოს დასუსტებამაც, რომლის ხელშიც კოლხეთის მხოლოდ უკიდურესი აღმოსავლეთი რაიონები იყო დარჩენილი.

ცენტრალურ კოლხეთში მთიელი ტომების ჩამოსახლება ხდებოდა სამხრეთიდანაც — სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მთიანეთიდანაც. ესენი იყვნენ უმეტესწილად დასავლურქართული (ჭანური) ტომები. ახ.წ. II საუკუნის 30-იანი წლებისათვის შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან ვიდრე დიოსკურია-სებასტოპოლისამდე ექვსი ნახევრად დამოუკიდებელი გაერთიანება ჩანს (მაკრონებისა და ჰენიოხების, ძიდრიტების, ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების).[20]

ახ.წ. I საუკუნის ბოლოსათვის თითქმის დასრულდა მთიელ ტომთა ჩამოსახლება. ისინი განეითარების დონით ჩამოუვარდებოდნენ ბარის მოსახლეობას და იმყოფებოდნენ პირველყოფილი თემური წყობილების სტადიაში. რომი ცდილობდა აქ თავისი გავლენის შენარჩუნებას, რისთვისაც ზღვისპირა ციხეებსა და ქალაქებში (ტრაპეზუნტი, აფსარი, ფაზისი, დიოსკურია-სებასტოპოლისი) გარნიზონები ნაყენა.[21] ასე რომ, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ეთნიკური, რომელიც ძალიან ჰგავდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე რომის აღმოსავლურ პროვინციებში, კერძოდ, პალესტინაში შექმნილ მდგომარეობას (ანარქია, რომაელთა თვითნებობა, მოსახლეობის ეკონომიკური და სულიერი გაღატაკება), რამაც წარმოშვა ქრისტიანული იდეები. ამან ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა აქ ქრისტიანული იდეების გავრცელებას. სოხუმში, პეტრა-ციხისძირისა და გონიო-აფსაროსის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ ამ პერიოდში საქართველოს ზღვისპირა ცენტრების რომის იმპერიის აღმოსავლურ რეგიონებთან აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაზე, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იყო კოლხეთში ქრისტიანული იდეების გავრცელებისათვის.[22] ქრისტიანული იდეების აქ გავრცელების ხელს უწყობდა აგრეთვე ციხეებსა და ქალაქებში ჩაყენებული რომაული გარნიზონებიც, რომელთა ძირითად კონტინგენტს მცირეაზიელები შეადგენდნენ. მცირე აზია კი ამ დროს რომის იმპერიის ის რეგიონია, სადაც ჩაისახა და გავრცელდა ქრისტიანული იდეები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ტერიტორიებიდან წამოყვანილ ლეგიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ნაზიარები იყო ქრისტიანულ იდეებს.

ასეთ პირობებში გამოჩნდნენ საქართველოში, კერძოდ, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები — ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა და სხვ. მოციქულების შემოსვლას კოლხეთში ქართული წყაროებიდან ეხება „ქართლის ცხოვრების“ ერთი ჩანართი, რომლის მიხედვით ანდრია პირველწოდებული სვიმონ კანანელთან ერთად ეწვია ჯერ ტრაპიზონის მხარეს, შემდეგ „ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების“. „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ამბავი ასეა აღწერილი: „და იწყო ქადაგებად სახარებისა, რამეთუ კაცნი პირუტყვთა უშჯულოთა იყვნეს და არა იცოდეს შემოქმედსა ღმერთსა, ყოველსა სადაგელსა და არა-

[19] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, თბილისი, გვ. 539.1970, გვ. 539.

[20] ნ.კეკელიძე. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თბილისი, 1961, გვ. 42, 43.

[21] Лекиндзе В.А. Понтинский лимес. - ВДИ, 1969, №2, gv. 185-187.

[22] ი.ტბელიშვილი, დ.სახუტაიშვილი. რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. - სდსძ, I, თბილისი, 1964, გვ. 77-78; ნ.ინანიშვილი. ციხისძირი ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993, გვ. 114; ა.ალფაიძე, ო.ლორთქიფანიძე. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. — მაცნე, 1965, №3, გვ. 110-114; Галенко К.В. Денежное обращение Колхиды в римские время. Л., 1964, с. 34; Закарая П.П. Археологические раскопки в Сухуми. — „მაცნე“, 1966, №1, გვ. 120-135.

წმიდასა წესსა აღსრულებდეს, რომელი სათქმელადაცა უჯერო არს. და მრავალნი ქორნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან. და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნიე მადლობით მოითმინნა, ეიდრემდის ყოველნიე მოაქციენა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოეკვნა წყარო ფრიად შეუნიერი და დიდი, რომელი-იგი ეიდრე დღესცა დაუწყუეველად აღმოსდის... და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდგა წესი და სახლეური სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა სულა ყოველად წმინდისა ღეთისმშობლისასა".[23] როგორც მოყვანილი ადგილიდან ჩანს, საქართველოში პირველად აჭარაში იქადაგეს მოციქულებმა. უპირველესად აქაური მოსახლეობა ეზიარა ქრისტიანულ მოძღვრებას, აჭაურობას მოეფინა ღეთის მადლი. პირველად აქ დაადგინეს მოციქულებმა მღვდლები და დიაკვნები, აქ აღაშენეს პირველი სამლოცველი ყოველადწმიდა ღეთისმშობლისა. შემდეგ მოციქულები სამცხეს გადასულან და ღეთისმშობლის ხატი ანდრია პირველწოდებულს აწყურში დაუსვენებია, ქადაგებასთან ერთად მრავალი სასწაულიც მოუხდენიათ. მეხსენი ქრისტეს რჯულზე მოუქცეეიათ. აქეე ანდრიამ მათ „დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი".[24] ამის შემდეგ მოციქულები ყოფილან ტაოში, კლარჯეთში, გადასულან დასავლეთ საქართველოში, მოუქცეეიათ მეგრელი, სვანნი და შესულან აფხაზეთს. აქ ანდრია პირველწოდებულს სვიმონ კანანელი მსლებლებითურთ დაუტოვებია და თვითონ ჯიქეთს გადასული საქადაგებლად. მაგრამ ჯიქებს სახარება არ მიუღიათ, მოციქული ძლივს გადარჩენია სიკვდილს და აფხაზეთს დაბრუნებულა. სვიმონ კანანელი აქეე გარდაცვლილა და დაუსაფლაეებიათ ანაკოფიაში. ქართველი ეროვნული წერილობითი ტრადიციის შესაბამის ამ მონათხრობში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ჯიქებმა არ მიიღეს სახარება და მოციქული ძლიეს გადაურჩა სიკვდილს: „ხოლო კაცნი მის ქუეყანისანი ჯიქნი. იყვნენ კაცნი ფიცხელნი გულითა და საქმეთა შინა ბოროტთა განფრდილნი. ურწმუნონი და უძღებნი. რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკვლა მისი".[25] აქ აშკარად ჩანს, რომ ქრისტიანობის ქადაგება, მისი იდეების მიღება-არმიღება ამა თუ იმ ხალხის მიერ, არა იმდენად მოციქულებზე იყო დამოკიდებული, რამდენადაც ამ ქვეყნებსა თუ მხარეებში არსებულ ვითარებაზე. იქ შექმნილ სიტუაციაზე. მთიან ჯიქეთში, თემური წყობილების პირობებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ქრისტიანული იდეები მიუღებელი იყო, ხოლო ბარის კოლხეთში, სადაც კლასობრივი საზოგადოებაა ფორმირებული, ეს იდეები უფრო ახლობელი და მისაღები აღმოჩნდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ეირწმუნოთ, რომ მოციქულების, შესაძლოა, მართლაც ემოგზაურათ და ექადაგათ ქრისტიანული იდეები. როგორც აკად. კ. წერეთელი ფიქრობს, ქრისტიანობის გავრცელების კიდეე ერთი არხი დასავლეთ საქართველოში შეიძლება ყოფილიყო ახ.წ. I საუკუნის ბოლოს ებრაელთა ახალი მასობრივი მიგრაცია. სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. იგი წერს, რომ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი შემოსელა საქართველოში ებრაელებისა და მათი აქ დასახლება ახ.წ. I საუკუნეში უნდა მომხდარიყო რომის იმპერატორ ვესპასიანეს დროს, ტიტუსის მიერ იერუსალიმის აღებისა და ტაძრის დანგრევის შემდეგ (ახ.წ. 70 წ).[26] ასე

---

23 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 39; ხსენებულ „დიდ-აჭარას" ზოგიერთი მკვლევარი ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარასთან აიგივებს, რაც, ჩვენი აზრით, მართალი არ უნდა იყოს. აქ უნდა იგულისხმებოდეს ისტორიული მხარე აჭარა ისე, როგორც იქეე მოხსენიებული სამცხე, ტაო, კლარჯეთი...

24 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 41.

25 იქეე, გვ. 48.

26 კ.წერეთელი. ქრისტეს შობამდე და მის შემდეგ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995, 17 ივლისი.

რომ. I საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება. ქრისტეს პირველმოციქულთა მოგზაურობა და მისიონერული მოღვაწეობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ რით უნდა ავიხსნათ ქართული წყაროების დუმილი აქ ქრისტიანობის მოციქულთაგან ქადაგების შესახებ მაშინ, როცა გვაქვს III-IV საუკუნეების უცხოური წყაროები. ამ მხრივ საინტერესოა VIII საუკუნის ქართველი მწერლის – იოანე საბანისძის ცნობა(ვ. იგი წერდა, რომ ხუთას წელზე მეტია, რაც ქართველთა შორის ქრისტიანობა გავრცელდა.[27]

IV საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქრისტიანობა რომის იმპერიაში უფლებრივად ჯერ სხვა რელიგიებს გაუტოლდა (311-313 წწ), ხოლო ნიკეის 325 წლის საეკლესიო კრებაზე იგი სახელმწიფო რელიგიად გამოცადდა, იმპერიის ხელისუფლებაც და ეკლესიაც დაინტერესებულნი იყვნენ ქრისტიანობის სხვა ქვეყნებშიც გაძლიერებით, რაც იმპერიის გაელენის სფეროს გაფართოებას შეუწყობდა ხელს. იმპერია შინაგან ტაციელებთან ერთად (პროვინციების აჯანყებები), „ბარბაროსი" ტომების თავდასხმების მუდმივი საფრთხის ქვეშ იყო. ასეთ პირობებში იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სხვა ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. ამიტომ გასაგებია, რომ სწორედ ბერძენ და რომაელ მემატიანეებთან ეხვედებით პირველ ცნობებს ქართველთა მოქცევის შესახებ. ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ რატომ დარჩა მოციქულთა საქართველოში ქადაგების ამბავი აღრეული ქართველი მემატიანეების ყურადღების მიღმა?

IV საუკუნის დასაწყისიდან რომის იმპერიის გაყოფა დამთავრდა. 330 წლიდან კონსტანტინეს ქალაქი (კონსტანტინეპოლი) ფაქტობრივად აღმოსავლეთ იმპერიის (ბიზანტიის) პოლიტიკურ ცენტრად იქცა. იმპერია ამ დროს, მართალია, საგრძნობ დაწოლას განიცდის ირანელებისა და ბარბაროსი გუთებისაგან, მაგრამ ცდილობს თავისი გავლენა შეინარჩუნოს მახლობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ლაზიკაში; მან შეცვალა ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება. „ბიზანტიის ხელისუფლებას აღმოსავლეთში მორჩილ ვასალზე უფრო ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა და იგი იძულებულია არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას, არამედ ხელიც შეუწყოს და მხარი დაუჭიროს".[28]

IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაზიკა (ეგრისი) გაძლიერდა და მის საზღვრებში მთელი დასავლეთი საქართველო მოექცა. მისი მეფის ვასალური დამოკიდებულება ბიზანტიისადმი იმაში გამოიხატება, როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს.[29]

ბიზანტია-ეგრისის ასეთი დამოკიდებულება დიდხანს არ გაგრძელებულა. V საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტია ცვლის თავის დამოკიდებულებას ეგრისთან, იგი აქტიურდება, რასაც VI საუკუნეში მოჰყვა ეგრისელთა ხანგრძლივი ბრძოლა როგორც ბიზანტიელების, ისე ირანელების წინააღმდეგ. ხოლო VII საუკუნეში იწყება ეგრისის დაქუცმაცება-დანაწევრება, მისგან აფხაზეთის ჩამოცილება და უშუალოდ ბიზანტიის გამგებლობაში მოქცევა.

ასეთ სიტუაციაში ქართველი მემატიანეები, როგორც ჩანს, შეეცადნენ დუმილით აეცილოთ გვერდი ქრისტეს მოციქულთა დასავლეთ საქართველოში სამისიონერო საქმიანობისათვის, რადგან, საეკლესიო ნორმებით, ამით ბერძნელ ეკლესიას ეძლეოდა მოციქულთა მიერ მოქცეული ქვეყნების საეკლესიო ცხოვრებაში ჩარევის უფლება.[30] 357 წლიდან კი, როცა იმპერატორმა კონსტანტინ ანდრია პირველწოდებულის ნეშტი კონსტანტინო-

---

27 იოანე საბანისძე.

28 ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი, 1968, გვ. 74.

29 პროკოპი კესარიელი. ომი სპარსელებთან. – გეორგიკა, I, გვ. 72

30 ი.ბეკქირიშვილი. ქრისტიანობა აჭარაში. თბილისი, 1991, გვ. 29.

პოლში გადაასვენა, იგი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პატრონად ითვლებოდა. თუ დასავლეთ საქართველო ანდრია პირველწოდებულის მიერ მოქცეულად იქნებოდა აღიარებული, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც ჩაერეოდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეებში და შესაბამისად, აქ ბიზანტიელ ხელისუფალთა ბატონობაც კანონიერად ჩაითვლებოდა. როგორც ჩანს, ქეჯნის პოლიტიკურმა ინტერესებმა ჩრდილში მოაქცია წმინდა საეკლესიო ინტერესები. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართული წერილობითი წყაროების დუმილი დასავლეთ საქართველოში ანდრია პირველწოდებულისა და მისი თანამოღვაწეების სამისიონერო საქმიანობის შესახებ. მაგრამ ქართული წერილობითი წყაროების დამოკიდებულება IX-X საუკუნეებში შეიცვალა. ამასთან, იმ პერიოდში ბერძნულ ენაზე დაიწერა თხზულება „პირველმოციქულთა საქართველოში ქადაგების შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შედეგად (არაბთა სახალიფოს შესუსტება, ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება, ახალი სამეურნეო, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრების გაჩენა) ჩნდება ახალ საფუძველზე მოწყობილი სამეფო-სამთავროები. ეს გარემოება ხელს უწყობდა ქვეყნის ცალკეული მხარეების (კახეთი, ჰერეთი, ეგრის-აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი) დაწინაურებას, მათი მატერიალური თუ სულიერი რესურსების წარმოჩენას, ადგილობრივი ეკონომიკური და კულტურული ცენტრების აღმშენებლობა-დაწინაურებას და საბოლოოდ ქვეყნის ძლიერების მტკიცე საძირკვლის შექმნას. ქვეყნის მშვიდობიან შესვენებას მოჰყვა მისი ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებაც. იზრდება და მშვენდება ქალაქები, ფართოდ იშლება საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა. ეითარდება მეცნიერება, მწერლობა, იწყება ბრძოლა საქართველოს ფეოდალური გაერთიანებისათვის.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით დასავლეთ საქართველომ ნაკლებად განიცადა არაბთა ბატონობის დამანგრეველი ზემოქმედება. ეს განსაკუთრებით აფხაზეთზე ითქმის, რომელმაც თავის გაკვლენა ჯერ მთელ დასავლეთ საქართველოზე გააერცელა, შემდეგ კი ხაზართა მხარდაჭერით ბიზანტიის უღლისგანაც განთავისუფლდა. ამაში მას ხელი შეუწყო ბიზანტიაში განვითარებულმა მოვლენებმაც. მემატიანის სიტყვით, „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელითა ლეონ. ძმისწული ლეონ ერისთავისა. რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფსახეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა. და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდგა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებული იყო იოანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ, და შემდგომად ამისა ჯუანშერცა მიიცვალა".[31]

აი, ასეთ დროს ბიზანტიისათვის აუცილებელი გახდა შეეხსენებინა, რომ ქართველები პირველმოციქულთა მიერ მოქცეული ხალხია, მით უმეტეს, რომ ეგრის-აფხაზეთის სამეფომ, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიიღო, დაიწყო ბრძოლა ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის — დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოსაყოფად. შემთხვევითად არ უნდა ნაითვალოს ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ნაშრომი (IX საუკუნის დასაწყისი) „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულთა ანდრეასი". საქართველოში განვითარებული მოვლენების შუქზე შეიძლება ეიფიქროთ, რომ ქართველებისათვის ახლა ხელსაყრელი ჩანდა უცხოურ წყაროებში ადრე გაჩენილი ცნობების „გახსენება" პირველმოციქულთა

[31] ქართლის ცხოვრება. I, გვ. 251.

მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ.[32] ახალ პირობებში ქართული საზოგადოებრივი აზრი, გამოღვიძებული ეროვნული ფენომენით შთაგონებული ქართული მეცნიერება, ხელოვნება. ლიტერატურა ცდილობდა მხარი გაუწიოს ბიზანტიურისთვის, ხოლო „ქებაჲ და დიდებაჲ ქართველისა ენისაჲ" ქართულ ენას ბერძნულზე მაღლა აყენებდა. აქვე უნდა გაეხსენოთ, რომ სომხურ და ქართულ ეკლესიათა გათიშვის შემდეგ აუცილებელი გახდა იმ იდეის შემუშავება, რომლის მიხედვითაც ქართველებსა და სომხებს სხვადასხვა განმანათლებლები ჰყავდათ, რომ ქართველთა მოქცევა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე სომხებისა. ასეთ ვითარებაში ქართულ ისტორიოგრაფიასაც თავისი პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა. გაჩნდა ცნობა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, რომელიც შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში" შეყოდა ჩანართის სახით. მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა (IX საუკუნის პირველი ნახევარი), დღის წესრიგში დადგა მისი ავტოკეფალურობის კანონიერების დასაბუთებაც. ქრისტიანული კანონმდებლობის მიხედვით, იმ ეკლესიების ავტოკეფალურობა მიიჩნეოდა კანონიერად, რომელთა მრეველიც პირველმოციქულთა მიერ იყო მოქცეული. ასე რომ, X საუკუნეში გაერთიანების გზასე შემდგარი საქართველოს ინტერესებისათვის აუცილებელი ჩანს ქრისტეს პირველმოციქულთა მიერ ქართველთა მოქცევის დასაბუთება, რაც აისახა კიდეც მხატვრულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში. რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ ქართული წყაროები IX-X საუკუნემდე არაფერს ამბობენ პირველმოციქულთა მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ, არ ამცირებს III-IV საუკუნეებისა და მომდევნო ხანის უცხოელი ავტორების ცნობათა ღირებულებას. ამდენად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ახ.წ. I-III საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ქმნიდა პირობებს, რომ აქ ქრისტიანული იდეები ექადაგათ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ ვითარდება მოვლენები ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე. აქ ქრისტიანობის გავრცელების ორი მთავარი მარშრუტი იკვეთება. პირველი, ზღვისპირის გაყვლით (ტრაპიზონი-გონიო-აფსაროსი-ფაზისი...) და, მეორე, ტრაპიზონი-დიდაჭარა-სამცხე...

ზღვისპირა რაიონების მჭიდრო ურთიერთობა მცირეაზიურ სამყაროსთან დასტურდება როგორც წერილობითი, ისე არქეოლოგიური წყაროებით. ქრისტიანობაც აქ დაახლოებით სირია-პალესტინაში გავრცელების პერიოდიდან უნდა იკიდებდეს ფეხს. მთიან აჭარაში კი სხვა ვითარება გვაქვს, სადაც „ქართლის ცხოვრების" ჩანართის მიხედვით, მოციქულმა „მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინა ურწმუნოთაგან... ვიდრემდის ყოველივე მოაქცინა და მოიყვანნა სარწმუნოებად". შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ არსებული ვითარება წყაროში შეენებულადაცაა გამძაფრებული და დამძიმებული, პირველმოციქულთა დამსახურების კიდევ უფრო მეტად წარმონების მიზნით. მარშრუტი კი, რითაც მოციქულებს უნდა ესარგებლათ, შეიძლებოდა ყოფილიყო აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობები.[33]

ბოლო ათწლეულებამდე ისტორიოგრაფიაში გაზიარებული იყო აზრი, რომ ეგრისში, რომლის სასაზღვრებშიც შედიოდა ისტორიული აჭარის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად VI საუკუნის 20-იან წლებში, კერძოდ, 523 წელს გამოცხადდა. ამ მტკიცებას აფუძნებდნენ, ერთი მხრივ, VIII-IX საუკუნეების ბიზან-

32 ბ.ბერაძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები). ბათუმი, 2001, გვ 43.

33 ნ.ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბილისი, 1966, გვ. 10-12; ი.სიხარულიძე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962; შ.ვარშანიძე. გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში. ბათუმი, 1979.

ტიელი ქრონისტის თეოფანე ჟამიაალმწერლის ცნობა'ხე 523 წელს ეგრისის მეფის წათეს სპარსელებისაგან განდგომის, კონსტანტინეპოლ'ში ჩასელისა და ქრისტიანულად მონათელის შესახებ,[34] ხოლო, მეორე მხრივ, იმდროინდელი ეგრისის პოლიტიკური ეითარების ანალი'ზ'ე, რომ, თითქოს ეგრისის მეფეები ინტირომაული განწყობის გამო აყოვნებდნენ ამ პროცესს,[35] ხოლო ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილე ბიჭვინთის ბერძნულენოვანი კოლონიის ეპისკოპოსი იყო და არა ადგილ-ბრივი მოსახლეობის (მრეულის) მოძღვარი და საეკლესიო წინამძღოლი.[36]

ჯერ კიდევ XX საუკუნის 10-იან წლებში ს. გორგაძე ამ მოელენისადმი განსხვავებული 'შეხედულება გამოთქვა. იგი თელიდა, რომ ქრისტიანობა, დასავლეთ საქართველოში იმარჯვებს თუ უფრო ადრე არა, იმავე წლებში მაინც, როცა ებერიაში, კერძოდ, IV საუკუნის პირველ ნახევარში. ასევე, 40-იანი წლების დასასრულს ამ აზრს ასაბუთებდა ს. ყაუხ'ი შვილიც. მისი მტკიცებით, 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობა მანიშნებელია იმისა, რომ იმ დროისათვის იქ ძლიერი ქრისტიანული ორგანიზაცია არსებობდა და მასში ბერძნებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც იქნებოდა გაერთიანებული. ამასთან, მისი აზრით, ბიჭვინთის ეპისკოპოსის ბერძნული სახელი „სტრატოფილე" სულაც არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ბერძენი იყო. ამ დროს, ბერძნულ სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობის გამო, საქართველოში ბერძნული სახელები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მკვლევარი მიუთითებს, რომ IV-V საუკუნეებში აგებული ტაძრის მოზაიკურ წარწერაში ქტიტორად მოხსენიებულია ქართველი წარჩინებული „ორელი".[37] ეგრისში ქრისტიანობის რელიგიად IV საუკუნეში გამოცხადების შესახებ მოსაზრებას მრავალი საინტერესო მასალის მოშველიებით ასაბუთებს ნ. ლომოურიც.[38] ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღს სხვადასხვა ისტორიული მასალის გამოყენებით კიდევ უფრო აზუსტებს ვ. გოილაძე. იგი თელის, რომ ეგრისში ამ მოელენას ადგილი ჰქონდა ქართლის თანადროულად 318 წლის ახლოს, არა უგვიანეს 325 წლის იელისამდე, კაპადოკიის ქალაქ კესარიის ეპისკოპოსის ლეონტის — გადაყენებამდე.[39] იგი V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის აგატანგელოსის „გრიგოლ პართელის ცხოვრებაში" მოყვანილი ცნობების საფუძველ'ზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას ეგრისის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსის ვინაობის (იბირ-ბ-ზ-ხუა-იბერის-ძე) და მისი რეზიდენციის შესახებ (ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი, ძველი არქეოპოლისი — ახლანდელი ნოქალაქევი).

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქართლის თანადროულად, IV საუკუნის 20-იან წლებში.

ქართლსა და ეგრის'ში ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ახ.წ. I საუკუნეში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების შედეგი იყო. სამართლიანად მიუთითებს ა. ბოგვერაძე, რომ „ევროპის რიგი ქვეყნებისგან განსხვა-

---

34 თეოფანე. ქრონოგრაფია. — გეორგიკა, IV, 1, გვ. 77-78.

35 ს.ჯანაშია. შრომები, V, თბილისი, 1987, გვ. 95.

36 ივ.ჯავახიშვილი. შრომები. I, თბილისი, 1949, გვ. 229-235; ნ. ბერძენიშვილი, ს.ჯანაშია და სხვები. საქართველოს ისტორია. ნაწ. I, თბილისი, 1946, გვ. 112-113; კ.კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. III, 1955, გვ. 16-22.37 ს.ყაუხ'ი შვილი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. თბილისი, 1948, გვ. 42. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. გეორგიკა, I, გვ. 6-10.

38 ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი, 1968, გვ. 120; მისივე. ეგრისის სოციალური და კულტურული ეითარება. ქრისტიანობის მიღება. — სინ, II, თბილისი, 1973, გვ. 187-188.

39 ვ.გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბილისი, 1991, გვ. 112-113.

ვენით, ქართლის გაქრისტიანება კლასთა წარმოქმნის პროცესის დაწყების მაუწყებელი კი არ ყოფილა ჩვენში, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში მიმხდარი იმ ცვლილებების შედეგი, რომელმაც იდეოლოგიისა და კულტურის სფეროში მომხდარ ძირფესვიან გარდაქმნაში იჩინა თავი. თავის მხრივ, ქრისტიანობამ დიდი სამსახური გაუწია ახალ ფეოდალურ წყობილებას, რომლის შემდგომმა წინსვლამ განსაზღვრა მისი ოფიციალურ კულტად მიღების მიზანშეწონილობა".[40] ეს პროცესი ერცელდება აჭარაზეც.

ამაზე მიგვანიშნებს შესაბამისი არქეოლოგიური მონაცემები აჭარის ბარის ზონიდან (ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო), ეკლესიის ნაშთები ქრისტიანული სიმბოლიკით (ტემიანი ბეკეული თეკუსების გამოსახულებით, ჯვრის გამოსახულება და ქრისტიანული შინაარსის გრაფიტო ამფორებზე), რომლებიც ახ.წ. IV საუკუნით თარიღდება.[41] მართალია, ამ პერიოდის მოიან აჭარაში აღრეული ქრისტიანობის შესახებ მსგავსი მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს უფრო ამ რეგიონის სუსტად შესწავლილობით აიხსნება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ზღვისპირა ცენტრებთან ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებს უძველესი დროიდან ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა და, ფაქტიობრივად, ერთ ეკონომიკურ და კულტურულ არეალში თავსდებიან.[42] ამდენად, ბარის აჭარაში მოპოვებული მასალების მიხედვით გაკეთებული დასკვნები მოიან აჭარაზეც შეიძლება გავაკრცელოთ. მითუმეტეს, რომ ამას მხარს უჭერს აქ ფიქსირებული ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური, ონომასტიკური, ქრისტიანული საკულტო და სხვა სახის მასალები.[43] ეს კი ამყარებს იმ თვალსაზრისს, რომ ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა „ქვეყანა აჭარის" შემადგენელი სტრუქტურული ელემენტებია, „ხევებია".[44] ჩვენთვის საინტერესო დროში „ქვეყანა აჭარის" ტერიტორია ორი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა: ბათუმ-ქობულეთის მხარე – ეგრისში, ხოლო შიდამთიანი აჭარა – ქართლში და ეკლესიურადაც ბათუმ-ქობულეთის მხარე პეტრას საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა, ხოლო შიდამთიანი აჭარა ჯერ ახიზის, შემდეგ ანჩის საეპისკოპოსოს.[45]

ქრისტიანული ეკლესია IV-X საუკუნეებში. ქრისტიანობის გავრცელებას და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ეგრისში (I-IV საუკუნეები) თან მოჰყვა ცვლილებები საეკლესიო აღმშენებლობაში, მთელ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ მხრივ გამონაკლისი არც აჭარა ყოფილა, განსაკუთრებით, მისი ბარის ნაწილი (ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი, ქალაქ ბათუმის შემოგარენი, გონიო), სადაც ადრეული ხანიდან შენდებოდა სამლოცველოები, ტაძრები.

არქეოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ციხისძირში არსებობდა უძველესი ნამოსახლარი, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა ქალაქი პეტრა. ნამოსახლარი

---

40 ვ.გოილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 120-122; ა.ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ახალციხე, 1983-1988, გვ. 192. იგი იზიარებს გოილაძის მოსაზრებას.

41 ა.ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, 1979, გვ. 8.

42 ა.კახიძე, შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 81-82; შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 177; შ.ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან. ბათუმი, 1994, გვ. 40-42.

43 ი.ბექირიშვილი. ქრისტიანობა აჭარაში. თბილისი, 1991, გვ. 88-118; მ.ქამადაძე. ზემო აჭარის ტოპონიმია. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VIII, თბილისი, 1992; ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. I, ბათუმი, 1958.

44 დ.მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. – სდსინ, I, ბათუმი, 2007, გვ. 103.

45 ი.სიხარულიძე. ჭოროხის აუზის საეპარქიო ცენტრები, გაზ. „ალაბერი", №9, 1996.

შეიცავს გეიანბრინჯაო-ადრერკინის, ადრეანტიკური, ელინისტური და გეიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ხანის კულტურულ ფენებს.[46] ამასთან, ყურადღებას იქცევს ბორცვზე აგებული ციხესიმაგრე და მის შიგნით განლაგებული ნაგებობა, რომელიც მიჩნეული იქნა პეტრას შიდაციხედ.[47] სწორედ ქ, შიდაციხის ცენტრში, აღმოჩნდა მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც X-XIV ს.-უკუნეებით დათარიღდა. აღმოჩნდა, რომ ამ ადგილზე უფრო ადრე სამნავიანი ბაზილიკა არსებობდა.[48] ტაძრის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით, ხოლო აფსიდა გარედან ბოჯირკეთებული ყოფილა თანაბარი ზომის თლილი ქვებით. ნაგებობა, როგორც ჩანს, გადახურული იყო კრამიტით, კოჭებისა და ნივნიეებისაგან შექმნილ კონსტრუქციაზე.[49] იგი VI საუკუნით თარიღდება და მას პეტრას საკათედრო ტაძრად მიიჩნეევენ.[50]

სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთი ნავის ქვეშ აღმოჩნდა კიდევ უფრო ძველი ნაგებობის კედლები, რომლის ნანგრევებსეც დგას ზემოაღწერილი სამნავიანი ბაზილიკა.[51] შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული საკულტო ნაგებობის არსებობა აქ ადრე თუ არა, V საუკუნეში მაინც უნდა ვიგარაუდოთ.

ამ დროს ქალაქი პეტრა გაშლილი ყოფილა აკროპოლიდან ჩრდილოეთით, სადაც ქალაქის ცალკეულ უბნებს ჰქონიათ თავიანთი სამლოცველოები.[52] აქვე გამოვლენილია მოზაიკის ფრაგმენტი ორნამენტებით და ბერძნული წარწერით „უფალო შემეწიე".[53] ეს ფაქტი ქრისტიანული სამლოცველოს აქ არსებობას სავარაუდოს ხდის IV საუკუნისათვის.

ციხისძირში მოძებული ეკლესიების ნაშთები, სამარხებში და კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნივთები ქრისტიანული სიმბოლიკით მიუთითებენ, რომ პეტრა-ციხისძირი ახ.წ. III საუკუნიდან მნიშვნელოვანი დასახლება იყო, რომლის მოსახლეობაც IV საუკუნეში ქრისტიანობას ეზიარა, აგებს ეკლესიებს, ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს მცირეაზიურ და ბიზანტიურ სამყაროსთან.

III-V საუკუნეების პეტრა-ციხისძირის შესახებ გაგვანია მხოლოდ არქეოლოგიური მასალები, მაგრამ VI საუკუნის შუა ხანების პეტრას საეკლესიო ცხოვრების შესახებ საინტერესოა ერთი წერილობითი წყარო, რომელიც შესულია თ. ყორდანიას ქრონიკებში. წყარო გვამცნობს, რომ პეტრას ეპისკოპოსი 553 წელს მონაწილეობდა V მსოფლიო საეკლესიო (კონსტანტინოპოლის მეორე) კრების მუშაობაში. კრების მოწვევა დაკავშირებული იყო ბიზანტიის იმპერიაში მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის შეურიგებელ ბრძოლასთან. იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565 წწ) საბოლოოდ მხარი დაუჭირა დიოფიზიტებს და ახლა სურდა მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით საბოლოოდ გადაეჭრა ეს პრობლემა. კრებაზე მიიწვიეს როგორც დასავლეთის, ისე აღ-

---

46 ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. — სდსძ, 1974, IV, გვ. 102-153.

47 Мелитаури К.Н. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. Тбилиси, 1971, с. 16; Леквинадзе В.А. О постройках Юстиниана в западной Грузии. — ВВ, 1973, №34, с. 174; ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

48 ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 130-132.

49 იქვე, გვ. 176.

50 ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 135-138; Леквинадзе В.А. დასახ. ნაშრომი, გვ. 179; Мелитаури К.Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18.

51 ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 133-134.

52 ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. — სდსძ, IV, გვ. 147.

53 გ.თავამაიშვილი, ნ.ინაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ციხისძირის რაზმის 1988 წლის ანგარიში, გვ. 8.

მოსაელვეთის ავტორიტეტული საეკლესიო ცენტრების წარმომადგენლები. იმპერატორი ცდილობდა კრებაზე მრავალად ეყოფილიყვნენ წარმოდგენილი დასავლეთის ეკლესიის წარმომადგენლები. მაგრამ ეს არ მოხერხდა და უმრავლესობას აღმოსავლელი ეპისკოპოსები შეადგენდნენ. რომის პაპი კრებას არ დასწრებია.[54] კრების მასალებში დაცული ცნობებით, საქართველოდან ჩასულ ეპისკოპოსთა შორის იყო პეტრონის, ანუ როგორც თ. ჟორდანია შენიშნავს, აწინდელი ციხისძირის ეპისკოპოსი იოანე.[55]

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ 553 წლისათვის პეტრაში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა და მისი მესაჭე უსწრებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებას. ამიტომ პეტრას საეპისკოპოსოს არსებობა V საუკუნით თუ არა, VI საუკუნის პირველი ნახევრით მაინც შეიძლება დათარიღდეს. ბუნებრივია, საეპისკოპოსოს გააჩნდა თავისი სამწყსო და მის ირგვლივ არაერთი ეკლესია ფუნქციონირებდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ბობოყვათისა თუ ფიჭვნარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ბაზილიკების ნაშთები.

ფიჭვნარში „ნაპერვალას" ანტიკური ხანის სამაროვნის გათხრებისას დაფიქსირდა ადრეფეოდალური ხანის ფენა. ეს ჩვენთვის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ ფიჭვნარში კვლავ შეიმჩნეოა ცხოვრების გამოცოცხლება. კერძოდ, აქ გამოვლენილი იქნა ქვის ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები, რომლებიც ბაზილიკური ტიპის ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს. იგი მდგარა ძველკოლხურ სამარხეულზე. ნაგებობის შიგნით და გარშემო ნაპოვნია ძეგლის თანადროული, ადრექრისტიანული ხანის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა სამკაულები (მძივები, მშვილდსაკინძები, ქამრის ბალთები, რკინისა და ვერცხლის ბეჭდები, მინის ვრაფინი და სხვა). აქ, რიგითი ორმოსამარხების გარდა, მიკვლეულია ე.წ. კენოტაფური სამარხიც, რომელიც 17 ცალი აგურით იყო გადახურული. აგურის ქვეშ იყო ადამიანის ჩონჩხის ნაშთები, რომლებიც გროვად ჩაულაგებიათ. ჩანს, რომ აქ გადმოუსვენებიათ სასულიერო ან საზოგადოების სხვა მაღალი ფენის წარმომადგენელი.

ამ ნაგებობის საკულტო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს აქვე ნაპოვნი მარმარილოს უნიკალური მინიატურული ჯვარი, რომელზედაც ჯვარცმის სცენაა გამოსახული.[56] ნაგებობის საკულტო ხასიათზე უნდა მიუთითებდეს, იგივეთვე, ამ უბანზე გამოვლენილი სასარკმლე მინის ფრაგმენტებიც. ასეთ მინას როგორც ჩრდილოეთ, ისე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადრეული ბაზილიკების გათხრების დროს პოულობენ.

ფიჭვნარში გამოვლენილი ნივთიერი მონაკვეთები პეტრას საეპისკოპოსოს არსებობას უკავშირდება და ქრონოლოგიურად IV-VI საუკუნეებით თარიღდება.[57] ანალოგიური ეთარება სხვაგანაც გვაქვს. 1996 წელს გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე სამხრეთ კარიბჭესთან, აბანოთუბანზე აღმოჩნდა მარმარილოს მოზრდილი ჯვრის ნაშთი, რომელსაც VII საუკუნით ათარიღებენ.[58] ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში ადრეული ქრისტიანობის ისტორიის შესასწავლად.

გონიო-აფსაროსთან ახლოს, სარფსა და მის შემოგარენში დ. ბაქრაძეს დაუფიქსირებია არაერთი ეკლესია და ეკლესიის ნანგრევი. მისი სიტყვით, „ლაზისტანში საკმაოდ ბევრია ძველი ეკლესიები, თუმცა, მათი უმეტესობა დანგრეულია... სარფის ტყეში დგას ერთი ოლილი ქვის ეკლესია. მაკრილში, სვანბაიას სახლის მახლობლად, მაღლობზე

---

54 Кулаковский Ю. История Византии. II, (518-602). Киев. 1912.

55 მ.ბერძენიშვილი. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბილისი, 1969, გვ. 178.

56 ა.ალხაზიე. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარში. – გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1969, 16 სექტემბერი.

57 იქვე; ლ.ჩხაიძე. ფიჭვნარის ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალები. – სდსმ, IX, 1980, გვ. 54.

58 ა.ალხაზიე, შ.მამულაძე. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ. წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. – გონიო-აფსაროსი, IV, 2004.

დგას მშვენიერი დიდი გუმბათიანი ტაძარი, ირგვლივ მაღალი გალავანი აკლია... იქვე დგას სვეტებზე შემდგარი ორსართულიანი სამრეკლო... იმაეე სოფელში მახსოვს ძველი მომცრო ეკლესია. იქვე მინახავს ტყეში მიმობნეული ნანგრევები სხვა ეკლესიებისა– ქვემოთ კიდევ იყო მოხატული ეკლესია– ორთახოფაში მაღლობზე ეკლესია იდგა. იგი დანგრეულია, მაგრამ საძირკველი არ ჩანს. დიმიტრეთშიც არის დანგრეული ეკლესიები– ქისის მთებში კლდეზე დგას ეკლესია, რომელზაც ჯიხას ეზახიან– ლაზისტანის ზოგიერთ ეკლესიასთან არის ქვის საწნახელი და მიწაში ჩაფლული ქვევრები, ხოლო მათ აკლდამებში მიწაში პოულობენ სხვადასხვა საგნებს... ბალუქლის ეკლესიაში ოთხი წლის წინათ ვერცხლის აკვანი იპოვეს, რომელიც ვიდაც ბერძენმა იყიდა".[59] ასეთივე ცნობებს მკვლევარი გვაწვდის ბათუმის შესახებაც: „ბათუმის მიდამოებში, – წერს დ. ბაქრაძე, – ბევრი დანგრეული ტაძარია– სარაიას ზემოთ ოთხი ეკლესიაა. ერთი მათგანი ზედ ყოროლისწყლის სათავეესთან, იგი კარგა დიდი იყო და გუმბათოვანი... ახლანდელი ბათუმის ახლოს, მაღალ გორაზე, დგას მოზრდილი ეკლესია სამებისა, ჩამოვარდნილი გუმბათით. სამებაში იყო წარწერიანი საფლავის ქვები, მათგან ორი – მარმარილოთი. ერთ მათგანზე ეწერა: „ღმერთო აცხონე მარიამ", მაგრამ ეს ქვები გაზიდეს და საშენად გამოიყენეს, უფრო ახლოს, ახალშენსა და კვესელაურში არის ეკლესიების ნაშთები."[60]

ამ მონაცემებით ჩანს, თუ რაოდენ ფართოდ იყო გაშლილი დღევანდელი ლაზეთის და აჭარის ტერიტორიაზე საეკლესიო მშენებლობა და როგორ ჩქეფდა აქ სამონასტრო ცხოვრება.

VI საუკუნის დასაწყისიდან ეგრისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. თუ IV და V საუკუნეების მანძილზე იგი ფორმალურად მაინც დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, VI საუკუნის 20-იანი წლებიდან საცილობელ ობიექტად იქცა ორ დიდ სახელმწიფოს – ბიზანტიასა და ირანს შორის. ეგრისი და, შესაბამისად, მის შემადგენლობაში მყოფი ბარის აჭარის ტერიტორია, ბრძოლის ასპარეზად იქცა. ჯერ კიდევ ბრძოლების დაწყებამდე იმპერატორმა იუსტინიანემ პეტრა „გარეზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და გაამშვენიერა კიდეც".[61] პეტრა გახდა ბიზანტიელ სტრატეგოსთა რეზიდენცია და მთავარი შტაბი. იგი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს სამხედრო სტრატეგიულ ცენტრს. პეტრა ხელიდან ხელში გადადიოდა და პარტახდებოდა, მაგრამ მისი საეპისკოპოსო კათედრა განაგრძობდა არსებობას. პეტრას საეპისკოპოსოს შემდგომი ბედის შესახებ მსჯელობა შეიძლება საეკლესიო ნუსხებზე (ეკთესიებზე) დაყრდნობით, რომლებშიც აღწერილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი საეპისკოპოსოები. საარქიეპისკოპოსოები და სამიტროპოლიტოები.[62] ეკთესიების პირველი წყების ნოტაციათაგან უადრესი (VII ნოტაცია) VII საუკუნით თარიღდება, ხოლო უგვიანესი (I ნოტაცია) – 820-829 წლებით. ყველა ამ ნოტაციაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ლაზიკის ეპარქიიდან მოხსენიებულია მიტროპოლიტი ლაზიკეში (ფასისის მიტროპოლია). ეპისკოპოსებიდან კი როდოპოლისის, აბისენის, პეტრას და ძიგანეფისა. ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები ყოფილა: აფხაზეთში სებასტოპოლის, ხოლო ჯიქეთში ქერსონის, ბოსფორის, ნიკოფსიის.[63] როგორც ვხედავთ, VII საუკუნის ლაზიკა-ეგრისში ფუნქციონირებდა სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და ფასისის სამიტროპოლიტო, რომელშიც სხვა სამ საეპისკოპოსოსთან ერთად პე-

59 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.

60 იქვე. გვ. 27.

61 პროკოფი კესარიელი. ომი სპარსელებთან. – გეორგიკა, II, თბილისი, 1965, გვ. 83.

62 სყაუხჩიშვილი. გეორგიკა, IV, ნაკ. II, თბილისი, 1952, გვ. 181-193.

63 იქვე. გვ. 187.

ტრას საეპისკოპოსოცკაა გაერთიანებული. ჩვენ არ ვიცით, როდის, რომელ წელს შეიქმნა ფაზისის სამიტროპოლიტო. ვიცით მხოლოდ, რომ პეტრას საეპისკოპოსო VI საუკუნის შუა ხანებშიც ფუნქციონირებდა და მისი ეპისკოპოსი იოანე მონაწილეობდა 553 წლის V მსოფლიო (კონსტანტინოპოლის II) საეკლესიო კრების მუშაობაში. საქართველოდან კიდევ სამი ეპისკოპოსი აწერს ხელს ამ კრების დადგენილებას. მათგან ფაზისისა და სებასტოპოლის წარმომადგენლებიც ეპისკოპოსის ხარისხში არიან მოხსენიებული. ასე რომ, სებასტოპოლის საეპისკოპოსოს საარქიეპისკოპოსოდ და ფაზისის საეპისკოპოსოს სამიტროპოლიტოდ ამაღლება 553 წლის შემდეგაა საეარაუდო.

წერილობით წყაროებში პეტრას საეპისკოპოსო VII საუკუნის 80-90-იან წლებშიც ჩანს. კერძოდ, 692 წელს კონსტანტინოპოლში შედგა V და VI (680-681 წწ) მსოფლიო საეკლესიო კრებების „გადაწყვეტილებათა შემსები" საეკლესიო კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ და დადგენილებებს ხელს აწერდნენ თეოდორე – „ლაზთა ეპისკოპოსი ფაზისელი" და იოანე – ლაზთა ეპისკოპოსი პეტრელი".[64] იოანე სწორედ პეტრას ეპისკოპოსი უნდა იყოს. ეს კრება იხილავდა დისციპლინარულ საკითხებს. შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ არ მოხერხდა იმპერიაში და მის საზღვრებს გარეთ ეკავრცელებული მანიქეველობისა და მონოთელიტობის ამოძირკვა. გადაწყდა ერესების წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკლესიაში წესრიგის განმტკიცებისათვის ყოველწლიურად მოწვეიათ კრებები ეპარქიების მიხედვით.[65] ასეთი ხასიათის კრებაზე მონაწილედ დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ ორი – ფაზისისა და პეტრას ეპისკოპოსები ჩანან, რაც პეტრას საეპისკოპოსოს გაელენასა და ავტორიტეტზე უნდა მიუთითებდეს.[66]

პეტრას საეპისკოპოსოს შემდგომ ბედზე შეიძლება მსჯელობა ეკსთესიების მეორე წყების ნოტაციების მიხედვით, რომელთაგან უადრესია X ნოტაცია; იგი 901-907 წლებით თარიღდება. ამ ნოტაციაში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო ცენტრთა შორის აღარაა მოხსენიებული ლაზიკის ეპარქია და მასში შემავალი ზოგიერთი ცენტრი. კერძოდ, ფასისის სამიტროპოლიტო მისი შემადგენელი საეპისკოპოსოებით: როდოპოლისის, აბისენის, პეტრას, ძიგანეეის და ჯიქეთის. ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსთაგან კი – ნიკოფსიის.[67] ამ ნოტაციით დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრთაგან სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო კელავ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმია დაქვემდებარებული.

საეკლესიო ეკსთესიებიდან ჩანს, რომ პეტრას საეპისკოპოსო ფასისის სამიტროპოლიტოში შემავალ სხვა საეპისკოპოსოებთან ერთად კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულა 820-829 და 901-907 წლებს შორის. ამ ფაქტს უკავშირებენ დასავლეთ საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოკიდებულების მოპოვებას (VIII საუკუნის ბოლო), თუმცა, სხვადასხვანაირად ათარიღებენ: მ. ლორთქიფანიძე და პ. ინგოროყვა – IX საუკუნის პირველი ნახევრით,[68] ნ. ბერძენიშვილი – IX საუკუნის მეორე ნახევრით,[69] ს. ჟაუხიშვილი – X საუკუნის დასწყისით,[70] კ. კეკელიძე – X საუკუნის მეორე ნახევრით.[71]

---

64 Кулаковский Ю. История Византии. III, Киев, 1915. с. 277-278.

65 История Византии в 3-х томах. II, М., 1967, с. 43.

66 ბ.ფიასამიძე. უძველესი საეკლესიო ცენტრები დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2000, გვ. 106.

67 ეგორგიკა, IV, ნაკ. II, გვ. 185.

68 მ.ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – სინ, II, გვ. 422; პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 244.

69 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. III, თბილისი, 1966, გვ. 48.

70 ს.ჟაუხიშვილი. ეგორგიკა. IV, ნაკ. II, გვ. 193-201.

71 კ.კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV. თბილისი, 1957, გვ. 357.

ცხადია, X საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) ეკლესია და, შესაბამისად, პეტრას საეპისკოპოსოში შემავალი სამწყსო აღარ ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ეს ის დროა, როცა ტაო-კლარჯეთსა და საერთოდ ქართულ „ქვეყნებში" VIII-IX საუკუნეებში ფართოდაა გაშლილი თეოლოგიური, სამეცნიერო-ფილოსოფიური და საერთოდ მწიგნობრული საქმიანობა. თარგმნილ სასულიერო და საერო თხზულებების გვერდით იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომებიც. ამის პარალელურად, სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა წინსვლა-განვითარებამ ხელი შეუწყო VIII-IX საუკუნეებში წარმოშობილ სამეფო-სამთავროებში გამაერთიანებელი მოძრაობის ტენდენციების გაჩენას. მის გაძლიერებას განაპირობებდა ამ პოლიტიკური ერთეულების მოსახლეობის მაღალი ეროვნული თვითშეგნება და მისი დიდი ნაწილის რელიგიურ-კულტურული ერთიანობა.

ამ დროის ადმინისტრაციულ ერთეულ „აჭარაში", მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, წერილობითი წყაროებისა (ლეონტი მროველი, კონსტანტინე პორფიროგენეტი...) და ბოლო პერიოდის გამოკვლევების მიხედვით, იგულისხმებოდა აჭარისწყლის ხეობისა და ბათუმ-ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიები.[72]

იგი ადრე შუა საუკუნეებში ორი ქართული სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული: ზღვისპირა ტერიტორიები (ბათუმ-ქობულეთის მხარე) ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა,[73] ხოლო შიდამთიანი აჭარა (აჭარისწყლის ხეობა) — „ქართველთა სამეფოს" შემადგენლობაში.[74]

IX საუკუნის დასაწყისს ეგრის-აფხაზეთის სამეფო დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით — ბიზანტიის ვასალობიდან განთავისუფლებული შეხვედა.[75] მალე განთავისუფლდა მისი ეკლესიაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დამოკიდებულებისაგან.[76] ამ დროს აჭარის ზღვისპირა მოსახლეობა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა, ხოლო შიდამთიანი აჭარისა — ანჩის საეპისკოპოსოში.[77]

სამეფო-სამთავროთა ტერიტორიების გაფართოებისათვის ბრძოლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიის პოზიციას, თუ ვის მიემხრობოდა ის. მართალია, კახეთი, ჰერეთი, „ქართველთა სამეფო" ცალკე პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი საეკლესიო ეპარქიები მცხეთას, მის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელ პოლიტიკურ ერთეულს დაუჭერდა მხარს მცხეთის საკათალიკოსო. ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მცხეთის პოზიციას ეგრის-აფხაზეთის საერო ხელისუფლებისთვისაც. ასეთ პირობებში ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება ვაითვალისწინებდა მცხეთის ეკლესიის დაინტერესებას ეგრის-აფხაზეთის ეკლესიით და დათანხმდებოდა მას მისი იერარქიის გაერცელებაზე ამ უკანასკნელის მიმართ. სწორედ ამას გულისხმობდა აკად. ნ.ბერძენიშვილი, როცა წერდა: „ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწვევდა, აფხაზთა მეფეები კი იმერეთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს".[78] ასე, რომ ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება მზად

---

72 დ.მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

73 ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 789.

74 კონსტანტინე პორფიროგენეტი. — გეორგიკა, IV2. თბილისი, 1952, გვ. 291.

75 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, გვ. 418.

76 ბ.დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 2001, გვ. 218-219

77 ი.სიხარულიძე. ჭოროხის აუზის საეპარქიო ცენტრები. — გაზ. „ახალბერი", №9, 1996.

78 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III. თბილისი, 1966, გვ. 50.

იყო მისი ეკლესია მცხეთისადმი დაქვემდებარებინა სამეფოს ტერიტორიის გაფართოებაში მხარდაჭერის სანაცვლოდ. საკვირაველია, რომ ასეთ გარიგებას ეგრის-აფხაზეთის ეკლესია, მისი საკათალიკოსო („აფხაზეთის საკათალიკოსო") მხარს არ დაუჭერდა, არ ისურვებდა ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვას. ამიტომ, ეფიქრობთ, სწორედ ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ძველ საეპისკოპოსოთა ცვლა ახალი საეპისკოპოსოებით, ხელისუფლების პოზიციის მხარდამჭერი საეპისკოპოსოებით, რომელიც მიმდინარეობდა მთელი X საუკუნის განმავლობაში. გაუქმდა ფაზისის, ეარციხის, ძიღანეთის (ბუდაქეთის), სებასტოპოლის, ნიკოფსიის საეკლესიო ცენტრები და დაარსდა ახალი: ჭყონდიდის, მოქვის, ბედიის, დრანდის, ნიკორწმინდის, ხიონის საეპისკოპოსოები. ამ პროცესს აკად. ნ. ბერძენიშვილი შემდეგნაირად ხსნიდა: „საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ უნდა გაიგოთ, რომ ეს ბერძნული კაოედრების მარტივი ცვლილება იყო ქართველით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიკური) წარმოისახა, ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც გაჩნდა, ხოლო ძველი, დროწასული და შინაარსმოკლებული, დაკნინებული – გაუქმდა".[79]

ამავე პერიოდში გაუქმდა პეტრას საეპისკოპოსოც. მართალია, სოგიერთი მკვლევარი ძველ საეპისკოპოსოთა ცვლას (გაუქმებას) მათი ბერძნულენოვნებით ხსნის, მაგრამ ეგრის-აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ანალიზით ჩანს, რომ მათი გაუქმების მიზეზი საერო ხელისუფლების მიერ მათ მიმართ ჩაფიქრებული პოლიტიკისადმი დაპირისპირება იყო.[80] სხვა შემთხვევაში მათი გაუქმება თუ შეცვლა უფრო ადრე, IX საუკუნეში, კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების ახლო წლებში უნდა მომხდარიყო და ეს ისტორიულ წყაროებშიც იქნებოდა მინიშნებული.

წყაროებში არ ჩანს, პეტრას საეპისკოპოსო რომელმა ახალმა ცენტრმა შეცვალა. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ პეტრას შემდეგ ეპარქიის ცენტრი ხიონწმინდა უნდა ყოფილიყო.[81] ხოლო ი. სიხარულიძეს მიაჩნია, რომ ხიონის საეპისკოპოსო გვიან – XV საუკუნიდან გაჩნდა, შემოქმედისა და ჯუმათის ეპარქიების შექმნის პარალელურად.[82] მანამდე ამ ტერიტორიების მოსახლეობა ქუთათელის სამწყსოში შედიოდა.[83]

1989-1990 წლებში ხიონწმინდის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ ეს ძეგლი VIII-IX საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიშნებს ატარებს. ამავე პერიოდით (X-XI საუკუნეები) თარიღდება შენობის სამხრეთის ფასადის შესამკობად გამოყენებული მამაკაცის თავის სკულპტურული ნიმუშებიც. ეს კი მიანიშნებს ამ საკულტო ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ამიტომ დამაჯერებელი ჩანს ვარაუდი, რომ X საუკუნეში პეტრას საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ ეპარქიის ცენტრი ხიონწმინდა უნდა ყოფილიყო.[84] ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხიონს არს ეკლესია გუმბათოვანი კეთილ დიდ-შენი. კარგს ადგილს, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხიონსწყლის სამხრეთისა ჭოროხამდე".[85]

---

79 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბილისი, 1990, გვ. 525.

80 ბ.დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, გვ. 228.

81 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 82.

82 ი.სიხარულიძე. ჭოროხის აუზის საეპარქიო ცენტრები. – გაზ. „კახაბერი", №9, 1996.

83 იქვე; თ.ბერაძე. აჭარის საეკლესიო იერარქიის ისტორიიდან. – კრ. „დიდაჭარობა", 2008, გვ. 22.

84 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 598; გ.თავამაშვილი. ხიონწმინდა. ბუკლეტი. ბათუმი, 2008, გვ. 3-5.

85 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 175.

IX-X საუკუნეებში სერიოზული ცვლილებები გატარდა აგრეთვე აჭარის მიმიჯნავე მხარეების — შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიებში. იქ მიმდინარე პროცესები იმდენად საინტერესოა ჩვენთვის, რამდენადაც მიღებულია, რომ შიდამთიანი აჭარის ტერიტორია V საუკუნიდან ჯერ ახიზის, ხოლო IX საუკუნის შუა ხანებიდან — ანჩის ეპარქიაში შედიოდა.

ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონთა საგვარეულო მიწა-წყლის გაყოფის შემდეგ, IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში, ტაოს ბაგრატიონი და არტანუჯელი კლარჯი მმართველებიც აარსებდნენ ახალ ეპარქიებს. ამ დროს შეიქმნა შავშეთში ტბეთის საეპისკოპოსოც (914 წელი). მემატიანე წერს: „აშოტ, ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი ბავშეთს და განასრულა იგი ყოველითა განგებითა, და დასცა პირველად ეპისკოპოსად ზანატრელი სტეფანე, უწყებითა სულისა წმიდისითა".[86] როგორც ჩანს, X საუკუნის მეორე ნახევარში, სამეფო-სამთავროთა შორის „ქართლსა ზედა" ბრძოლებისას ყველა პოლიტიკურ ერთეულში საერო ხელისუფალნი ხელს უწყობდნენ მათი პოლიტიკის მხარდამჭერი საეპისკოპოსოების წარმოშობას. ამ დროის პირმშო უნდა იყოს ტბეთის საეპისკოპოსოც, რომლის საზღვრებში შედიოდა მთელი შავშეთი და ზემო აჭარა, რომლებიც ადრე ანჩის საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა.

შიდამთიანი აჭარა, უძველესი ქრისტიანული მხარე, რომლის ადმინისტრაციულ და რელიგიურ ცენტრს პირველ საუკუნეებში დიდაჭარა წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი საეკლესიო გზებით იყო დაკავშირებული სამცხესთან. მას შემდეგ, რაც აღორძინდა და განვითარდა ტაო-კლარჯეთის მხარე, მეტი მნიშვნელობა მიეცა სხალთის ხეობაზე გამავალ გზას, რომელიც აჭარას, მის ზღვისპირეთს ამ მხარესთან აკავშირებდა. ამან გამოიწვია ადმინისტრაციული ცენტრის დიდაჭარიდან ხიხანს გადაადგილება.[87] ამ დროს დაწინაურდა აბუსერისძეთა გვარიც, რომლის წარმომადგენლები XI-XIV საუკუნეებში ამ მხარის ერისთავები იყვნენ. ეს მოვლენები ემთხვევა ტბეთის საეპისკოპოსოს წარმოშობის ხანას და, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, X საუკუნის შუა ხანებიდან შიდამთიანი აჭარა ტბეთის ეპარქიაშია შესული.

X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა საქართველოში. საფეოქველი საეყარა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნას. ბაგრატ III გამეფებით დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ამავე ხანებში მოხდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიათა გაერთიანება მცხეთის საკათალიკოსოს გარშემო, რამაც მოამზადა პირობები კათოლიკოსის ტიტულის პატრიარქის ღირსებისა და სახელის შემოსაღებად. პირველი პატრიარქი („აღმოსავლეთის პატრიარქი"), რომელიც ამ ტიტულითაა ცნობილი, მელქისედეკ I იყო.[88]

ამ პერიოდს ემთხვევა აჭარაში აბუსერისძეთა გვარის პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებაც. XI საუკუნის 20-იან წლებში ამ გვარიდან პირველი ერისთავი ფლობს არტანუჯს. „ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა,— ეკითხლობთ „ქართლის ცხოვრებაში".[89] ცოტა მოგვიანებით, 1046-1047 წლებში ერისთავ იოვანეს შვილი აბუსერი არის „ერისთაი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყვერისა ციხისა პატრონი".[90]

---

86 სუმბატ დავითის ძე. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 380.

87 დ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

88 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 282.

89 იქვე, გვ. 293.

90 იქვე, გვ. 300.

სწორედ აბუსერისძეთა ფეოდალური საგვარეულოს ოთხსაუკუნოვანი მმართველობის ხანაში გაიშალა ფართოდ კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა აჭარაში, რამაც თავისი შედეგები გამოიღო მომდევნო საუკუნეებში.

ქრისტიანული ეკლესია XI-XVI საუკუნეებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას წინ უსწრებდა და მყარ საფუძველს უქმნიდა VIII-X საუკუნეების საქართველოში ფართოდ გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობის ზრდა-განვითარება X საუკუნეში, რომლის გვირგვინს წარმოადგენდა იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". მასში მწერალმა წარმოაჩინა ქართული ენის განსაკუთრებულობა და გამორჩეული ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ამ საუკუნეებში შეიქმნა მაღალი დონის ჰაგიოგრაფიული თხზულებები, როგორიცაა ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". განსაკუთრებულია ამ დროის სასულიერო პოეზია – ჰიმნოგრაფია მიქაელ მოდრეკილის ლექსების სახით. განვითარდა მთარგმნელობითი საქმიანობა, რასაც ხელს უწყობდა როგორც საზღვარგარეთ ქართველთა მიერ დაარსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები (პალესტინაში – საბაწმინდის ლავრა (VI ს), ათონის იერუთა მონასტერი (X ს)), ასევე საქართველოს ტერიტორიაზე – ტაოკლარჯეთში შექმნილი ეკლესია-მონასტრები: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა და სხვები. ყველაფერმა ამან შეამზადა საფუძველი ისეთი დიდი ქართველი მოღვაწეების წარმოსანენად, როგორებიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები (ათონი) და ეფრემ მცირე (სირიაში – შავ მთაზე), რომელმაც ქართულად თარგმნა 70-მდე წიგნი.[91] ახალ სიმაღლეზე ავიდა საისტორიო მწერლობა, ფილოლოგია, სამართლის თეორია, განსაკუთრებულად დაწინაურდა ხუროთმოძღვრება. დღესაც აღტაცებას იწვევს ბაგრატ III დროს აგებული ქუთაისისა და ბედიის დიდებული ტაძრები, მცხეთის სვეტიცხოველი, ნიკორწმინდისა და სამთავისის ქმნილებანი და სხვ.

ასე, რომ X-XI საუკუნეები საქართველოსთვის კულტურისა და ხელოვნების აღმაღლობის წლებია. სწორედ ამ პერიოდში გადაინაცვლა შიდამთიანი აჭარის ადმინისტრაციულ-კულტურულმა ცენტრმა დიდჭარიდან ხიხანში (სხალთისწყლის ხეობა),[92] რასაც, როგორც ჩანს, მოჰყვა ამ ხეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი საქმიანობის გააქტიურება. X-XI საუკუნეებით თარიღდება თიკანაურის, სხალთის მცირე და თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესიები. პირველი ორი დარბაზული ტიპის ნაგებობებია, თხილვანის ეკლესია კი ბაზილიკური ტიპისაა.

დარბაზული ტიპის სამლოცველოები საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ტრადიციის საცხოვრებელი სახლის – „დარბაზის" განვითარებაა. „დარბაზმა" არსებითი როლი შეასრულა ქართული მონუმენტური საეკლესიო ხუროთმოძღვრების შემუშავების საქმეში.[93] თიკანაურის ეკლესია სხალთისწყლის სანაპიროსე, ხიხაძირიდან 1,5 კმ-ის დაშორებით, შემაღლებულ ტერასაზეა აგებული, რომელსაც მოსახლეობა „ნასაყდრალს" უწოდებს. ამჟამად საძირკვლის დონემდეა დანგრეული. იგი მცირე ზომის (7,7-5,1 მ) ყოფილა. ტაძრის ეზოში გამოვლენილია ქრისტიანული სამარხები.

სხალთის მცირე დარბაზული ეკლესია შედარებით დიდია (9,9-6,6 მ). ამჟამად გა-

---

91 საქართველოს ისტორია (შემდგენელ-რედაქტორი გ.მელიქიშვილი), თბილისი, 1980, გვ. 96.

92 დ.მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. – ხდსინ, ტ. I, თბ., 2007, გვ. 99.

93 საქართველოს ისტორია, ტ. I (რედაქტორი ნ.შოშიაშვილი), თბილისი, 2008, გვ. 344.

დარჩენილია საძირკველი და ერთსაფეხურიანი ცოკოლი, აგრეთვე, კედლის წყობის რამდენიმე რიგი (1,5 მ). ტაძარს ეტყობა აღდგენისა და ხადაკეთების კვალი. მას ერთი შესასვლელი ჰქონდა სამხრეთიდან, რომელიც მოგვიანებით, ამოუქოლავთ და ჩრდილოეთით გაჭრილი კარით შეუცვლიათ, საფიქრებელია, დიდ ტაძართან უშუალოდ დაკავშირების მიზნით.[94]

ამავე პერიოდის დარბაზული ტიპის კიდევ ერთი ეკლესიაა შეკეწალილი ღორჯომისწყლის ხეობაში, ხულოდან 15 კმ დაშორებით, რომელიც საციხურის (ჯვართონის) ეკლესიის სახელითაა ცნობილი. ეკლესია აღმართულია ე.წ. ჯვარისქედზე არსებულ ქვეყლაზე შემაღლებულ ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ჯვართანს" უწოდებს. მართალია, ეკლესია დანგრეულია, მაგრამ მისი პერანგშემოცლილი კედლები საკმაოდ კარგადაა დაცული. აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ეკლესიის ირგვლივ დიდი დასახლება ყოფილა, რასაც სამაროვნის სიდიდე, მრავალფენიანობა და კოლექტიურ სამარხთა სიხშირეც ადასტურებს. რამდენად უკავშირდება დარბაზულ ეკლესიათა მშენებლობა აბუსერისძეთა საგვარეულოს მოღვაწეობას, ჩვენთვის ცნობილი არ არის. ერთი კი ცხადია, რომ ამ დროიდან აქ საფუძველი ეყრება დიდ მიღწევებს კულტურულ სფეროში, განსაკუთრებით, საკულტო დაწესებულებათა მშენებლობაში. ამის დასტურია XI საუკუნით დათარიღებული თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია, რომელიც არქეოლოგებმა სამეკლესიან ბაზილიკად მიიჩნიეს.

ბაზილიკური მშენებლობის სტილი ერთ-ერთი უძველესია. ამ სტილით აგებდნენ საქართველოში როგორც მცირე ზომის სამლოცველოებს, ისე გრანდიოზული იერით გამორჩეულ ქრისტიანულ ტაძრებს. მაგრამ X საუკუნიდან ძირითადად შეწყდა ამ სტილით ეკლესიების მშენებლობა. ასეთ ეკლესიებს გარედან ჩვეულებრივი ბაზილიკური პროფილი აქვს – მაღალი შუა ნავი ორფერდა გადახურვით, გვერდის ნაკეები ცალფერდა გადახურვით. შიგნით ნაკეები ერთმანეთისაგან ბოძებით კი არ არის გამოყოფილი, არამედ კედლებით. არსებითად საქმე გვაქვს სამ დამოუკიდებელ სამლოცველოსთან და არა ნავთან. როგორც ზემოთ ითქვა, ამ სტილისაა თხილვანის ეკლესია. შენობის გადარჩენილი ნაწილისა და გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური დეტალების მიხედვით ჩანს, რომ იგი წარმოადგენდა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. როგორც ჩანს, ეკლესია აიგო აბუსერისძეთა ძლიერების ხანაში (XI საუკუნის პირველი ნახევარი) და შემდეგ იქცა მათ საძვალედ.[95]

ეკლესიათა მშენებლობა განსაკუთრებით გააქტიურებულა XII საუკუნეში, ქვეყნის საერთო აღმავლობა-გაძლიერების ხანაში. XII საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქვეყანას დავით IV მართავდა, ცხოვრების ყველა სფეროში გატარდა რეფორმები, აღიკვეთა თურქთა თარეში, ქვეყანა აღმშენებლობა-განვითარების გზას დაადგა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურის, განათლების განვითარებას. დავით მეფის უშუალო ინიციატივით გელათის ტაძარში დაარსდა მონასტერი, რომელიც მეფის გადაწყვეტილებით მეორე ათინად უნდა ქცეულიყო. აქ მან თავი მოუყარა სწავლულებს. აქ მოღვაწეობდა ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, აქვე გაიშალა ფართოდ სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობა.

დავითის დროს აშენდა ცნობილი საგანმანათლებლო ცენტრი შიომღვიმის დიდი მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი მოაზროვნე, მწერალი არსენ იყალთოელი, არ-

---

94 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 2000, გვ. 90.

95 შ.მამულაძე, ნ.ვერულაშვილი. თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია. – „ტბელობა", 2008, გვ. 243.

ხენ სალირისძე. გიორგი ხუცეს-მონაზონი და სხვ. ასე რომ, შიომღვიმე, სხალტბის ქედის ძირს გაშენებული ძველთაძველი ქართული მონასტერი, მნიშვნელოვან კულტურულ-შემოქმედებით ძალებს აერთიანებდა.[96] მეფე მფარველობდა და ყოველგვარ პირობებს უქმნიდა უცხოელ კულტურის მოღვაწეებსაც, მათ შორის მაამადიან მწერლებსა და მეცნიერებს. მეფე ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე, გზების, ხიდების, ეკლესიების მშენებლობას.

ყველაფერი ეს აისახა აჭარისწყლის ხეობის, ანუ აბუსერისძეთა საგამგეო მხარის ცხოვრებაშიც. უნდა ვიფარაუდოთ, რომ აჭარისწყლის ხეობაში გამოვლენილ თაღიან ხიდთაგან უმრავლესობა იმ პერიოდშია აგებული, რადგან სწორედ დავით IV ხანაში მიექცა საგანგებო ყურადღება სავაჭრო-სატრანსიტო გზების შეკეთებას, მდინარეებზე ხიდების აგებას და გზებზე ფუნდუკების (სასტუმროები) მშენებლობას. აჭარაში დღეისათვის 25 თაღიანი ხიდია აღრიცხული, თუმცა ნაწილი დანგრეულია.

აჭარაში ასეთი ხიდები აგებულია სამი ძირითადი მდინარის – კინტრიშის, აჭარისწყლის, ჭოროხისა და მისი შენაკადის მაჭახელის – წყლის აუსებისა და მათზე გამავალ სავაჭრო-სამიმოსვლო გზებზე, რომლებითაც აჭარა უკავშირდებოდა ამ დროს დაწინაურებულ ტაო-კლარჯეთის და საერთოდ, ისტორიული მესხეთის მხარეებს. აჭარისწყლის ხეობაში დღემდე მოქმედი თაღიანი ხიდები (მახუნცეთის, დანდალოს, ფურტიოს, უნხოს, ჭყანის) აშკარად ანიშნებს შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის სამიმოსვლო გზების მთავარ მიმართულებებს და ეკონომიკურ-კულტურულ კავშირებს საქართველოს სხვა მხარეებთან. შემთხვევითი არაა, რომ ამ გზებზეა აგებული შედარებით მეტი საფორტიფიკაციო ნაგებობანიც (ხიხანის ციხე, ციხისყელი, ვარდციხე, კაციანის (ხიჭაურის) ციხე, საღორეთის, ცივასულას და სხვა ციხეები).

განსაკუთრებით შესამჩნევია ამ პერიოდში საკულტო ნაგებობების – ეკლესიების მშენებლობა. ბოლო წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მყოფ მოგზაურ-მკვლევართა (დ.ბაქრაძე, გ.ყაზბეგი, ზ.ჭიჭინაძე, თ.სახოკია და სხვები) ჩანაწერები ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებდა ქრისტიანული სალოცავები. მარტო ზ.ჭიჭინაძის მონაცემებით, აჭარის სოფლებში 100-მდე ეკლესიაა აღრიცხული,[97] თუმცა ჩვენს დრომდე სრული სახით მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია.

სხალთის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ხულოს რაიონში, სხალთისწყლის ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდის მოვაკებულ ტერასაზეა განლაგებული. კომპლექსის მთავარი ნაგებობა შვერილაბსიდიანი დარბაზული ეკლესიაა. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამლოცველო – საძვალე, ე.წ. სხალთის მცირე ეკლესია, ნანგრევების სახითაა მოღწეული, ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვითკირით ნაგები მარანია დაცული. ძეგლის ხუროთმოძღვრება XIII საუკუნით თარიღდება, ხოლო მოხატულობა – XIV-XV საუკუნეების მიჯნით.[98] შუა საუკუნეებში ტაძრების ფრესკებით შემკობა დამკვეთის, საერო თუ სასულიერო პირებისა და მხატვართა ამქრის თანამშრომლობით ხდებოდა.[99] ამდენად, საფიქრებელია, რომ ისე როგორც ტაძრის აგება, მოხატულობაც აბუსერისძეთა მოღვაწეობას, მათ სახელს უნდა უკავშირდებოდეს, რადგანაც XIV საუ-

96 ლ.მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკ. I, თბილისი, 1962, გვ. 195.

97 ზ.ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913, გვ. 164-186

98 შ.ამამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

99 მ.ჭიბალეიშვილი. სხალთის მხატვრობის ოდეური გადაწყვეტის ერთი ასპექტი. – სამეცნიერო კონფერენცია „ანდრია პირველწოდებულის გზით“, 2007, გვ. 39.

კუნის მეორე ნახევარში აბუსერისძეთა გვარი კვლავ აღსანეულია. მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ივანე აბუსერისძე საქართველოს ამირსპასალარია და ეს გვარი მართავდა აჭარის საერისთავოსაც.

სხალთის დიდი დარბაზული ტაძარი შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის ერთადერთი ნიმუშია აჭარაში. მისი მოხატულობის უმთავრესი იდეა უფლის დაბადებისა და მეორედ მოსვლის თემას უკავშირდება.[100] მოხატულობის პროგრამა გარკვეულწილად აღიქმება, როგორც ტბელის თხსულების „სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი" შესავალი ნაწილის ვიზუალური სურათი, რომელიც აღსავსეა ქრისტიანული მრწამსის დოგმატებისა და წმინდანთა მეოხების რწმენით. სხალთის ფერწერულ ანსამბლში გამოხატული თეოლოგიური შეხედულებებისა და საერთო იდეური გადაწყვეტის საფუძველს, როგორც ჩანს, საერთო ეპოქისეული სულისკვეთება, ქრონოტოპთა მოთხოვნები და აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობა განსაზღვრავდა.[101]

X-XIII საუკუნეებით თარიღდება და აბუსერისძეთა კულტურულ მოღვაწეობას უკავშირდება ხიხანის, ვერნების, კალოთის, ვანაძეების (აგარის) და სხვა ეკლესიათა მშენებლობებიც. ამათგან ხიხანის ეკლესიის მშენებლობის შესახებ მოთხრობილია ტბელ აბუსერისძის თხსულებაშიც.[102] ტბელი წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის შესახებ თხრობას იწყებს, გვაუწყებს ეკლესიის მშენებლობის დამკვეთებს, იმასაც, ვისი სულის სახსენებლად შენდებოდა ეკლესია. ავტორი წერდა: „მე ... აბუსერისძე ტბელი ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი და დიოფალთ-დიოფლისა ხათუთაისაი... ძმაი ერისთავთ-ერისთავთა აბუსერისი და ვარდანისი, რომელთა ბრძანებითა ხელვყავ შენებაი ეკლესიისაი სალოცველად გარდასულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა". ამის შემდეგ იგი განმარტავს, თუ რატომ ვერ აშენდა აქამდე ეკლესია და ახლა რამ გახადა აუცილებელი მისი აგება: „მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა მათ (მხედველობაშია წინაპრები – ბ.დ.) მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუაი კადნიერმან. და მაიძულა ეკლესიისამ მცირეობითა ერისა ვერდატევნამან და ძუელი სახლოვანი დაშლილი იყო".[103] მწერალი ყურადღების გარეშე არ ტოვებს იმათ დამსახურებასაც, ვინც ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო: „მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაებრ, დიდ ჭირი ნახეს, გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა ხელ-ვეყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაი მუნ შინა მისულთა სალოცავად მჭიდროებისა მათისა ნუგეშინისსაცემლად".

თხსულების ავტორი მოსახსენიებელ პირთა ჩამოთვლისას უაღრესად საინტერესო ინფორმაციასაც იძლევა იმათ შესახებ, ვისაც სალვთო საქმე გაუკეთებია, შესაწირავი გაუცია ეკლესიათა მშენებლობა-შემკობისთვის. ასეთებად ჩამოთვლის: თაეის დას ვანენს, „რომელმან ეკლესიაი აღაშენა წმინდისა იოვანე მახარებლისაი და ღმრთისმეტყველებისაი, სამკვიდრებელი ჩუენი და აღაესო საწყაული კეთილი"; თაეის მეუღლეს ბაგულის, რომელმაც „პაშტაი წააგო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისა"; ძმას აბუსერს, რომელმაც „მრავალნი კარგნი ხატნი დაასუენნა დიდრუანნი: ერთი წმიდისა გრიგოლ პართელისაი და მეორე წმიდისა დიმიტრისი, მესამე წმიდისა გიორგისა, მეოთხე

100 იქვე, გვ. 40.

101 იქვე, გვ. 41.

102 აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ტექსტი გამოსცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998, გვ. 68

103 იქვე.

წმიდისა იოვანე ოქროპირისაი. რომელსა ზედა წმიდაი მოწაფე პროკლე ხატავს სახითა მთავარდიაკონობისაითა მსახურებად მაღლისა მღვდელთმთავრობითისა ჯვარის აღპყრობისა მისისა.“[104]

საინტერესო ცნობას გვაწვდის ტბელი საკუთარი თავის შესახებაც, გარდა იმისა, რომ ძმების დავალებით ხელმძღვანელობდა წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობას, იგი გვაუწყებს: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დაესხენ ამით ყოველითა შემატებულითა და ვიდრე ცოცხალი ვარ, ოდესცა მინდან. მე მოვიხმარებ და დასაგულებლად განაღამცა.“ ეს ინფორმაცია იმის საფუძველს იძლევა, რომ ვამტკიცოთ ტბელის სასულიერო საქმიანობის შესახებ. ის რომ სასულიერო პირი არ ყოფილიყო, მას „ძლისპირნი და სტიქარონნი“ არ დაჭირდებოდა. ამდენად, გამოთქმული მოსაზრება ტბელის სასულიერო საქმიანობის შესახებ სარწმუნო უნდა იყოს.[105]

აბუსერისძეთა საგვარეულოს უკავშირდება ვერნების ეკლესიის მშენებლობაც. ვერნები ერთ-ერთი უძველესი სოფელი ჩანს სხალთისწყლის ხეობაში. ამაზე მიუთითებს სოფლის ცენტრში (მადიძირი) დაცული ეკლესიის ნანგრევები.[106] 1896 წელს აჭარაში მოგზაურობისას ცნობილმა მკვლევარმა და მოგზაურმა თედო სახოკიამ ვერნების ეკლესიის ნანგრევების დათვალიერებისას ნახა ჩუქურთმებიანი და წარწერებიანი ქვა, რომლის ტექსტი გადაიღო, წასაკითხად და გასაშიფრად გადასცა ცნობილ ისტორიკოსს თ. ჟორდანიას. ტექსტში მოხსენიებული პირების (აბუსერისძეების) შესახებ თ. სახოკია წერდა: „შეიძლება ვერნების წარწერაში მოხსენიებული აბუსერისძენი შემდეგი დროისანი იყვნენ (XIV-XVI საუკუნეები), რომელთაც ჩვენი ისტორია არ იცნობს, და ან სულ უძველესი დროისანი (IX-XI საუკუნეები), რომელნიც ნაკლებად არიან ცნობილი.“[107] 1933 წელს ვერნების წარწერა გადაიღო აკად. გ. ჩიტაიამ და წაიკითხა აბუსერისძეთა ისტორიის მკვლევარმა ლ. მუსხელიშვილმა. ტექსტის შინაარსი ასეთია: „ქრისტე ადიდნენ ერისთავთ-ერისთავნი გრიგოლ და აბუსერი და გიორგნი და შვილნი მირიან, გრიგოლ, ქავთარ.“

ლ. მუსხელიშვილი პალეოგრაფიულად ამ წარწერას XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს,[108] ხოლო ი. სიხარულიძე ტაძარს უფრო ძველ სამლოცველოდ თვლის და XI საუკუნეს მიაკუთვნებს.[109]

ტბელის დის ვანენის აშენებულია თხილვანის იოვანე მახარობლის ეკლესია, აბუსერისძეთა საგვარეულო საძალე. ამას ტბელ აბუსერისძეც ადასტურებს.[110] ამავე სოფელში ეკლესიის ნანგრევებიდან 50 მეტრის დაშორებით, 1948 წელს აღმოჩნდა ორნამენტებით შემკული დიდი ზომის ქვა წარწერით: „ქრისტე, წმიდაო იოანე მახარობელი დაიცვენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათნი და მოხაიმნე ექმენ. დღეს იმისა სასჯელისა ნუ დასჯი. ამინ.“[111] საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ამ წარწერაში ნახსენები პირებიც თხილვანის ეკლესიის მშენებლობასთან უნდა იყვნენ დაკავშირებულნი, რადგან,

104 იქვე. გვ. 69.

105 იქვე. გვ. 87.

106 თ.კომახიძე. რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობანი აჭარაში. ბათუმი, 2001, გვ. 246.

107 თ.სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი, 1985, გვ. 296.

108 ლ.მუსხელიშვილი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე.თბილისი, 1941, გვ. 23.

109 ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე. თბილისი, 1963, გვ. 14-15.

110 აბუსერისძე ტბელი, გვ. 68.

111 თ.კომახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 246-247.

ანდერძის მიხედვით, ვანენია იოანე მახარობლის სახელობის თხილვანის ეკლესიის აღმშენებელი. მაგრამ ერთმანეთს არ ეთანხმება ტბელის თხზულებაში ნახსენები ვანენისა და აბუსერის ურთიერთობა ეპიგრაფიკულ ძეგლში ნახსენებ ვანენ-აბუსერის ურთიერთობას. კერძოდ, წერილობით ძეგლში და-ძმად ჩანან („ლისაიე ჩვენისა – ვანენისა"), ეპიგრაფიკულ ძეგლში ცოლ-ქმრად („ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ‘საქარია"). როგორც ჩანს, ამ წყაროებში სხვადასხვა პირებზეა ლაპარაკი. ასევე მიჩნეული დღემდე.[112] აბუსერ II და მისი ძე საქარია აბუსერისძეთა მეოთხე-მეხუთე თაობებად არიან აღიარებული. თუ ამ ვარაუდს ვირწმუნებთ, მაშინ დღეს არსებული თხილვანის ეკლესიის აშენებლად ტბელის დის ვანენის მიჩნევა ეჭვის ქვეშ დგება, რადგან აბუსერ II მოღვაწეობდა XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე. ასევე განსხვავებულია თხილვანის ეკლესიის მშენებლობის დათარიღება (XI საუკუნე) არქეოლოგთა მიერ.[113] გამოდის, რომ იოვანე მახარობლის ეკლესიად მიჩნეული სალოცავი ადრეული პერიოდისაა (XI საუკუნე), ხოლო ტბელის დის ვანენის მიერ აგებული ეკლესია სხვგანაა საძიებელი. როგორც ჩანს, საკითხი შემდგომ ძიებასა და დაზუსტებას საჭიროებს.

ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბუსერისძეთა მმართველობის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარისწყლის ხეობაში ინტენსიური ეკონომიკური და კულტურული ძვრები ხდებოდა. შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, ხიდები და ყველა საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ერისთავთერისთავთა დიდი ოჯახის წარმომადგენლები.

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში მონღოლ-თათართა გაბატონებამ, მძიმე გადასახადებმა, ქვეყნის დაყოფამ, მონღოლთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში ქართველთა იძულებითი მონაწილეობით გამოწვეულმა დიდმა მსხვერპლმა და მატერიალურმა ზარალმა ქვეყანა დააუძლურა და დაასუსტა, დაინგრა და გაპარტახდა სოფლები და ქალაქები, დაინგრა ეკლესია-მონასტრები. მართალია, XIV საუკუნის დასაწყისიდან, გიორგი V მმართველობის პერიოდში (1314-1346 წწ) ქვეყანამ გადაიკვეთა მონღოლთა ბატონობის უღელი, შედარებით წესრიგი დამყარდა ქვეყანაში და დაიწყო აღმშენებლობითი საქმიანობა, მაგრამ თემურ-ლენგის რეაგსის ლაშქრობამ (1386-1403 წწ) საბოლოოდ წელში გატეხა ქვეყანა და მოამზადა ნიადაგი მისი სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცებისათვის. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ფორმალურად ჯერ კიდევ ერთიან საქართველოს თურქმანებმა და ოსმალებმა შემოუტიეს. ქართველთა თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად, XVI საუკუნის შუახანებიდან ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოიკიდეს ფეხი. XVI საუკუნის ბოლო მესამედიდან ოსმალთა მფლობელობაში აღმოჩნდა აჭარა. ეს მოხდა სულთან სელიმ II მმართველობის ხანაში (1566-1574 წწ). ამაზე მიუთითებს ამ პერიოდში შედგენილი „ზემო აჭარის ვრცელი დავთარი."[114]

დავთრის მიხედვით, XVI საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს აჭარისწყლის ხეობაში 94 სოფელი ითვლებოდა 540 კომლით. ამათგან 35-მდე სოფელი დაცლილი ყოფილა მოსახლეობისაგან. დანარჩენში 2-5 კომლი იყო. ისმება კითხვა, რამ გამოიწვია 94 სოფლიდან მესამედზე მეტის დაცარიელება, მათი ნასოფლარებად ქცევა? მისაწვი შეიძლება ყოფილიყო შაავ ჭირი, მსხვერპლი დიდი ომიანობისას და მოსალოდნელი საფრთხის გამო მოსახლეობის აყრა.

---

112 რ.ხალეაში. ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღვაწლი. ბათუმი, 2006, გვ. 6.

113 შ.მამულაძე, ნ.ვერულაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

114 ზ.შაშიკაძე. აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 1.

მახობრიეი ავადმყოფობა. შავი ჭირი, რომელსაც შეეძლო მხარისათვის ასეთი ხიანის მიეცნება. XIV საუკუნის შუა ხანებში ევროპაში ცნობილია „შავი სიკვდილის“ სახელით, რომელმაც ამ კონტინენტის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა გაანახევრა. იგი საქართველოშიც მძვინვარებდა და მას 1366 წელს მეფე ბაგრატ V მეულლე დედოფალი ელენეც უმსხვერპლია.[115] მაგრამ მაშინ დაცარიელებულ-დაცლილი სოფლები XVI საუკუნის 60-იანი წლების ოსმალურ დავთარში ეურ ათასობოდა. ასეთი რამ ოსმალებს არც დააინტერესებდათ. საკარაუდოა, რომ ამ სოფლების დაცარიელება, მოსახლეობის შემცირება აქ ოსმალთა გამოჩენის წინა ხანებში მოხდა. როცა ჯერ კიდევ არსებობდა ნასოფლარები და ხსოვნა მათ შესახებ. ამ ასრს სარწმუნოს ხდის 1573 წლის ერთი ოსმალური დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლები დაცლილია მოსახლეობისაგან და ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ არის ქცეული.“ სულთანი ავალებს ლივანას, მაჭახლის და ფერთუკრეკის სანჯაყ-ბეგებს ყველაფერი იღონონ გაქცეული მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად.[116] ამიტომ სოფლების დაცარიელების ორი მიზეზი რნება — ხშირი ომიანობა, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან მუსრს ავლებდა მოსახლეობას და ამასთან დაკავშირებული მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შეადარებით უსაფრთხო ადგილებში.

XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან ირან-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ საქართველოსათვის ხშირად ბრძოლის ასპარეზად აქცევდა აჭარისწყლის ხეობას, აქ გადიოდა სატრანზიტო გზები სამხრეთ საქართველოს პროვინციებისაკენ. აჭარისწყლის ხეობაში ამჟამად არსებული ათობით სოფლის მკვიდრმა იცის მათი სოფლის წარსული, წინაპართა საფლავები. ხშირ შემთხვევაში ამ სოფლების ასაკი 300 წელს არ აღემატება. ამაეე სოფლებში არის ძველი სამარხეენები, რომელთა ფართობი თანამედროეე 300-წლიანი სოფლის სამარხეენების ფართობს უტოლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი XVII და უფრო ადრინდელი საუკუნეების მცხოვრებთ უნდა ეკუთვნოდეს.

დავთრის მიხედეით, დაცლილია კაეიანისა და ოთოლთას ციხის რაბათები, მაშინ, როცა მიმდებარე სოფლებში ადრიცხულია: ჭეანაში 20, ბარათაელში 5 კომლი. დაცლილი ყოფილა ხისაძირის ციხის რაბათი და მისი მიმდებარე სოფლებიც (კალოთა, ქოჩაკი, რაქეთა). ორი კომლი დარჩენილა თხილვანაში. მოსახლეობისაგან მიტოეებული ჩანს სხვა სოფლებიც. ზემო აჭარის ნაპიეში ყველაზე დიდ სოფლებად ითვლებოდა ხულა (37 კომლი), ღორჯომი (32 კომლი), ჭეანა (20 კომლი). ქვემო აჭარის ნაპიეში დასახელებულია მერისი (26 კომლი), ორცკა (26 კომლი), საღორეთის რაბათი (24 კომლი).

აღნიშნული პერიოდის ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის შესახებ შეიძლება მიახლოებითი სურათი მოგეცეს სამარხეენების არქეოლოგიურმა შესწაელამ. ასეეე საინტერესო მეცნიერული ინფორმაციას მიეიღებთ საქართველოს სხვა მხარეებში ადრე გაწეენილი ე.წ. „აჭარული სოფლების“ (სესტაფონის რაიონის სოფ. „აჭარა“, ღეწხუმის „აჭარა“) ეთნოლინგეისტური შესწაელითაც.

დაეთრების მიხედეით ისიც ირკვევა, რომ ოსმალები დაპყრობილ ადგილებში შესაფლისთანაეე ცდილობდნენ მათი მმართველობისა და ცხოვრების წესის დანერგვას, მუსლიმანური რელიგიის გაერცელებას და ასიმილაციების მშენებლობას. ამან გარკეეული გაელენა იქონია კუთხის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განვითარებაზე.

არსრუმის მეზეთის საკაეკუფო მიწების შესწავლისას ირკვევა, რომ მეზეთის აუცილებლად სჭირდებოდა ვაკუფები.[117] არსრუმის ახლად აშენებული მეზეთისათვის მუსტაფა

115 ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III, თბ., 1966, გვ. 107.

116 ზ.შაშიკაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

117 ზ.შაშიკაძე. არზრუმის მეზეთის ქართული საკაეკუფო მიწები. — აღმოსაელეთი და კაეკასია, №4, თბილისი, 2006, გვ. 129.

ფაშას მიერ (XVI საუკუნის 60-70-იანი წლები) მიწების შესყიდვის თაობაზე ნათქვამია, რომ მიწები თითქმის მთლიანად შეძენილია ქართველი მფლობელებისაგან. როგორც ჩანს, ოსმალთა გაბატონებას მოჰყვა მესხეთების მშენებლობა და მათთვის მიწების (ვაყუფების) შეძენა ძირითადად ქართველთაგან. საფიქრებელია, რომ მსგავს პროცესს ექნებოდა ადგილი აჭარაშიც. XIX საუკუნის 70-90-იან წლებში აჭარაში მოგზაურობისას ცნობილ მკვლევარებს (გ. ყარბეგი, დ. ბაქრაძე, ნ. ჯიჭინაძე, თ. სახოკია) აღრიცხული აქვთ 100-ზე მეტი ეკლესია-მონასტრის ნანგრევი. ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიის ნანგრევია დაფიქსირებული (ოროთახიანი, სალორეთი, დარჩიხეული). მარტო ღღვეანდელი ქედის რაიონის ტერიტორიაზე 40-მდე, ხოლო შუახევის რაიონის ერთ – მარეთის ხეობაში 20-მდე ეკლესია-მონასტრის ნანგრევია აღრიცხული.[118] საეჭვოა, რომ ოსმალთა გაბატონების და მესხეთების მშენებლობის პარალელურად, ინარჯოდა ქრისტიანული სალოცავები. სხვანაირად ვერ აიხსნება ის, რომ ათობით ეკლესია-მონასტრიდან ჩვენს დრომდე მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია მეტ-ნაკლებად სრულ სახით. ნიშანდობლიეა, რომ ღღესაც შემორჩენილია ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ბზის კორომები და შესაბამისი ტოპონიმები.

ამ დროს, როგორც XVI საუკუნის წყაროდან („კათალიკოზის ხელქვეშეთი ზედელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“) ჩანს, დანდალოს ზემოთ აჭარა მტბევარის სამწყსოში შედიოდა, ხოლო დანდალოს ქვემოთ ტერიტორიები – ქუთათელის სამწყსოში.[119] თუ რომელი ტერიტორიები იგულისხმებოდა „დანდალოს ქვემოთ აჭარაში“, ამის გასარკვევად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის „ზემო აჭარის ლიეის ერცელი დაეთარი“, საიდანაც ჩანს, რომ ოსმალები დაპყრობილი ადგილების ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისას ანგარიშს უწევდნენ ადრინდელ ეითარებას, ძველ ადმინისტრაციულ სასზღვრებს. დაეთრის მიხედვით აჭარის ლივა ორ ნაპიად (რაიონად) იყოფოდა (ზემო და ქვემო აჭარის ნაპიები). დავთრის სახელწოდებიდან („ზემო აჭარის ლივა“) გამომდინარე შეიძლება დაისვას კითხვა: რადგან არსებობდა ზემო აჭარის ლივა, ხომ უნდა არსებულიყო ქვემო აჭარის ლიეაც? თუ ეს ასე არ იყო, დაეთარს რატომ ეწოდა „ზემო აჭარის“ და არა საერთოდ „აჭარის ლივა“ მაშინ, როდესაც მასში შემავალი ორი ნაპიე მთელ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა? ხომ არ იგულისხმებოდა ქვემო აჭარის ლიეაში ბათუმის ლივა, რომელიც სხვა – ტრაპიზონის ვილაიეთში იყო ეაერთიანებული მასთან ტერიტორიულად მომიჯნავეობისა და საერთიერთობოდ მოხერხებულობის გამო?

ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ლეონტი მროველის (XI ს) ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა (ძვ. III ს) ქვეყანა დაყო საერისთავოებად და „მეექუსე გაუზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარიდან. ვიდრე არსეანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.“[120] აქედან გამომდინარე, აჭარის სასზღვარი ზღვამდე ერცელდებოდა.

ვფიქრობთ, იგივე აზრი იკითხება ვახუშტი ბატონიშვილის ცხოვრებაშიც. გურიის აღწერისას ჯუმათის ეკლესიაზე საუბრისას განმარტების სახით იგი სქოლიოში მიუთითებს: „ჯუმათი მაღალს გორსა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფერსათამდე, აგრეთვე გურია, ბათომის მხარე, შავი ზღვა, ფოთი.“[121] აქ აეტორი ბათუმს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად წარმოეიდგენს და არა გურიის შემადგენელ ნაწილად. თუმცა, ვახუშტი სხვა ადგილას ღღვეანდელ ქობულეთის რაიონს, ბათუმს, გო-

118 ზ.ჭიჭინაძე. მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, გვ. 161-186.

119 ი.დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, III. თბილისი, 1979, გვ. 245.

120 ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 24.

121 ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი, 1904, გვ. 313.

ნიოს და ერგეს გურიის შემადგენლობაში განიხილავს და გურიის საზღვრებს ასე განმარტავს: „ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მოის თხემიდან ზღვამდე და განი ჭოროხიდან რიონამდე."[122] როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი აქ გურიის საზღვრების სხვანაირ განმარტებას იძლევა, მაგრამ საკითხის გარკვევაში სიცხადე შეაქვს ისევე მისივე ნაშრომის სხვა ადგილას გამოთქმულ აზრს. კერძოდ, ჭოროხის ხეობის დახასიათების შემდეგ, როცა აღწერს აჭარისწყლის ხეობას, იგი წერს: „არამედ ვინადგან აღვწერენით ბათომი, ფონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის წყლის შესართავიდან". ყოველრობთ, აქ იმის განმარტებაა, თუ რატომ იწყებს აჭარის დახასიათებას „აჭარისწყლის შესართავიდან".[123] ამას მოკლება აკადემიკოსის კიდევ სხვა განმარტება გურიის დახასიათების დასასრულს: „ფანა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა." აქ პასუხი ნათელია. ჩვენი აზრით, ვახუშტი ბატონიშვილი იმიტომ განიხილავს ბათუმს, ფონიას და ერგეს გურიის აღწერისას, რომ ისინი ერთხანს გურიელს ეპყრა, ხოლო აჭარა და ჭანეთი განიხილა სამცხესთან ერთად, რადგან ისინი ყოველთვის სამცხის ნაწილებად მიისნეოდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი მეცნიერის დ. ბაქრაძის XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში მოგზაურობის ნანაწერები. აჭარის ტერიტორიულ საზღვრებზე მსჯელობისას, ჩურუქ-სუსა (ქობულეთი) და ჩაქვის კაზებს იგი აჭარისაგან ხელოვნურად გამოყოფილად თვლიდა. იგი წერდა: „ეტყობა ეს ხაზეარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა."[124] აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი საქართველოში მთისა და ბარის ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კანონზომიერების შესაბამისად თვლის: რადგანაც „ოდესღაც არსებობდა „ქვეყანა დიდაჭარა", რომელიც აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, ცხადია, ეს გულისხმობს „მცირე აჭარის" არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი („მცირე აჭარა") სწორედ დღევანდელი ბარის აჭარის უძველესი სახელწოდება იყოს. რაც შეეხება სახელწოდება „ქობულეთს", იგი შედარებით გვიანდელია".[125] ნაშრომის სხვა ადგილას მკვლევარი მიუთითებს, რომ „ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა „ქვეყანა აჭარის" ის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებია, „ხეებია", რომელთა წარმოქმნაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ეიეარაუდეთ.[126]

თუ ყველა ზემოთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ უძველესი დროიდან ისტორიის ყველა ეტაპზე, აშკარად იკვეთება აჭარისწყლის ხეობის ზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის არსებობა,[127] მაშინ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება XVI საუკუნის დოკუმენტიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნა: XVI საუკუნის 70-იან წლებში ადმინისტრაციულ ერთეულში „აჭარა" შედიოდა დღევანდელი ქობულეთისა და ხელვახაურის რაიონების და აჭარისწყლის ხეობის ტერიტორიები ქალაქ ბათუმით.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მთელ ამ ტერიტორიაზე XVI საუკუნის ბოლო ათწლეულებში ისლამთა ბატონობა დამყარდა, მოსახლეობა, რომლისთვისაც ქრისტიანობა ერთვნულ რელიგიად იყო ქცეული, ძნელად ეგუებოდა გამუსლიმანების პროცესს და შეუპოვრად სისხლის ფასად იბრძოდა ქრისტიანული სარწმენოების შენარჩუნებისათვის.

---

122 იქვე, გვ. 323.

123 იქვე, გვ. 325.

124 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 69.

125 დ.მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 74.

126 იქვე, გვ. 103.

127 ა.ინანიშვილი. დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – სდსძ, V, 1975, გვ. 48, 49; ა.ალხაზიძე, შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 5-6; დ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 90-01.

მოსახლეობის ერთი ნაწილი განიერიდა ოსმალთა ბატონობას, ისლამის რელიგიის და თავშესაფარი ჰპოვა საქართველოს სხვა კუთხეებში (გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი). ზოგიც ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით კათოლიკობას დებულობდა.[128] ზოგიც ოსმალთა მძიმე გადასახადებით შეეწროებული, იძულებული ხდებოდა გამუსლიმანებულიყო და დათმობების ფასად თავი გადაერჩინა სასტიკი ანგარიშსწორებისაგან. თუმცა ძალად რიდი თმობდა ქრისტიანულ ტრადიციებს და სხვადასხვა ფორმით ცდილობდა მის დაცვას და შენარჩუნებას.[129] კერძოდ, ცნობილია არაერთი აჯანყება და შეთქმულება, რომელთაც დამპყრობლები მთელი სისასტიკით ახშობდნენ. ქრისტიანობის დაცვა-შენარჩუნების განსაკუთრებით შეეწყო ხელი ქრისტიანული ცხოვრების წესის. ქრისტიანული ტრადიციების ფარულად შესრულებამ. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტია დაფიქსირებული XIX საუკუნის ბოლოს აჭარაში მოგზაურთა მიერ. საქართა ჭიჭინაძეს სოფ. დერეხეხნაში (ქედის რაიონი) მოხუცისაგან ჩაუწერია, რომ მის ბაბუმეობაში სოფლის მოსახლეობის ნახევარი ფარულად ქრისტიანობდა. ღამით ერთად იკრიბებოდნენ სახლში და ჭრაქის სინათლეზე ლოცულობდნენ.[130] ქრისტიანული დღესასწაულის დღეებში კერცხებს ღებავდნენ, სალოცავად ეკლესიათა ნანგრეევებთან იკრიბებოდნენ და სხვ.

აჭარაში ოსმალთა გაბატონებისა და ისლამის გავრცელების შემდეგაც დიდხანს ქრისტიანობდა ხიროს მოსახლეობა. დ. ბაქრაძის თქმით, აქაური მოხუცები თურმე ხატებზე ლოცულობდნენ, მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარს და ფრინველებს, ეკლესიის ნანგრეევებთან ანთებდნენ სანთლებს და სხვ. შემოქმედის ეკლესიის მღვდელს. 90 წლის გიორგი დუმბაძეს მისთვის უამბია, რომ XIX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩურუქსუში ქრისტიანობა ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ და ეკლესიებიც ხელუხლებელი ყოფილა.[131] მსგავსი სიტუაცია ყოფილა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე აჭარისწყლის ხეობაშიც.

ასე რომ, XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის, როცა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა საქართველოს. მიუხედავად ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობისა, აქაურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ხსოვნა ქრისტიანული წარსულის შესახებ.

§2. ბიზანტია-ირანის ომების ეპიზოდები აჭარის ტერიტორიაზე

IV საუკუნის ბოლოდან ლაზიკის სამეფოს წამყვანი როლი ეჭირა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ V საუკუნეშიც ფორმალურად დამოკიდებული იყო ბიზანტის იმპერიასგან. მემკვიდრეს ტახტზე ბიზანტიის იმპერატორი ამტკიცებდა. ეგრისის მმართველი წრეები არც ამგვარ დამოკიდებულებას ურიგდებოდნენ და ხელსაყრელ სიტუაციაში ცდილობდნენ მისგან თავის დახსნას. თანაც, იყენებდნენ ირანსა და ბიზანტიას შორის არსებულ წინააღმდეგობებს და თვით იმპერიაში არსებულ შინაგან გართულებებს.[1] ლა-

128 ეთაყაშვილი. სამუსლიმანო საქართველო. – ეთნოგრაფიული ნაშრომები, ტ. I. თბილისი, 1991, გვ. 216.

129 ნ.კახიძე. ფარულ ქრისტიანთა საკითხისათვის ჭოროხის ხეობასა და აჭარაში. – ჩვენი სულიერების ბალავარი, ბათუმი, 2009, გვ. 9.

130 ზ.ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება. თბილისი, 2008, გვ. 85.

131 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 42.

1 ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი, 1968, გვ. 79-86; მისივე: საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბილისი, 1989, გვ. 75-85; К истории взаимоотношений Лазского (Эгрисского) царства и Византии в V в. – Византийские очерки, Москва, 1982, с. 23-26.

ზიკის სამეფოში შემდგომში კიდევ უფრო სუსტდება და ბიზანტიისგან მისი დამოკიდებულება უფრო რეალურ ხასიათს ღებულობს. ასეთ პირობებშიც ეგრისის მმართველი წრეები მაინც არ ამბობენ უარს ბიზანტიური ფლის გადაგდების ცდებსე. ამასთან, გუბაზის მსგავსად, ისინი ეცდებიან სასანური ირანის მხარდაჭერა გამოეყენებინათ. ასე იყო VI საუკუნის 20-იან წლებშიც, როცა ლაზთა მეფე დამნაზე სპარსეთის მეფე კავადის ქვეშევრდომი ხდება, ხოლო მისი ვაჟი ზათე ქრისტიანობასაც კი უარყოფს. ეს ცდაც უშედეგოდ მთავრდება და ლაზეთი კელავინდებურად ბიზანტიის იმპერიის ვასალი რჩება.[2]

ეგრისის მეფეთა მცდელობა, განთავისუფლებულიყვნენ ბიზანტიის გავლენისაგან, იმითაც იყო გამოწვეული, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ წარემატებელი იყო იმპერიის საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთში. 506 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივი ომამდელი კეთილობა.[3]

ამ დროიდან ირანმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში, 523 წელს იბერიაში მეფობა გააუქმა და იგი საკუთარ მარზპანს დაუქვემდებარა. ირანელები ეგრისშიც გადაიდგნენ და სკანდისა და შორაპნის ციხეებში თავისი გარნიზონებიც ნაიყვანეს.[4] საპასუხოდ ბიზანტიამ ჯარები ლაზიკაში შეიყვანა.

527 წელს დაიწყო ირან-ბიზანტიის ახალი ომი. თავდაპირველად იგი ირანის უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ ს.აერთოდ, ორივე მხრიდან საკმაოდ დუნედ წარიმართა. ირან-ბიზანტიის ომი შემდგომაც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ხოსრო I ანუ შირეანმა (531-579) ბიზანტიასთან დაზაეება არსია და 532 წელს დაიდო ე.წ. „უკეადო ზავი", რომლითაც იბერია სასანიდების გავლენის სფეროში დარჩა.[5]

ორივე მხარე კარგად ითვალისწინებდა, რომ ეს ზავი მოკლეევადიანი იქნებოდა და საკმაოდ ინტენსიურად ამზადებდა პოზიციებს მომავალი სამხედრო მოქმედებებისათვის. 530 წელს ბიზანტიის ხელისუფლებამ საგანგებო ოპერაციები ჩაატარა ჭანეთში და შესძლო მათი დამორჩილება. ამიერიდან ჭანები რომაელთა ჯარშიც იწყებენ სამსახურს და ქრისტიანდებიან კიდეც.

ჭანეთისადმი ასეთი ყურადღება მნიშვნელოვნად ზრდიდა მისი უშუალო მომიჯნავე სამხრეთ ეგრისის, ანუ აჭარის მხარის როლს, რომლის ტერიტორიაზე იუსტინიანემ დააფუძნა თავის მთავარი საყრდენი პუნქტი და ადმინისტრაციის რეზიდენცია.

საგანგებო ღონისძიებები გააატარა იუსტინიანემ ლაზიკაშიც, თუმცა მისი პოლიტიკა მაინცდამაინც წინდახედული არ აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, მან აქ ბიზანტიური ჯარი შეიყვანა და მისი მოამარაგებაც ადგილობრივ მოსახლეობას დააკალა, რასაც მძაფრი უკმაყოფილება გამოუწვევია.[6] ლაზები აღაშფოთა ლაზიკაში სტრატეგოსად დანიშნულმა ციბემ, რომელმაც ეაჭრობის მონოპოლია შემოიღო. თუ ადრე საგარეო ვაჭრობას დიდი სარგებლობა მოჰქონდა ადგილობრივი ვაჭრების, მეფისა და წარჩინებულებისათვის, ახლა ძველი მოგება ციბეს ხელში რჩებოდა.[7] შექმნილი ვითარების გამო ლაზიკის მეფემ გუბაზ II ელჩები გაუგზავნა შაჰან შაჰ ხოსროს და ბიზანტიელთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. 542 წელს ირანმა დაარღვია „უვადო ზავი" და ხოსრო

---

[2] Joann Malala. Chronogr. XVII, გეორგიკა, III, გვ. 263-264; ნ.ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 115-119.

[3] Procop., De BP, I, 6-7; Дьяконов М.М. Очерк истории древнего Ирана, Москва, 1961, с. 307.

[4] Procop., De BP, I, 12. — გეორგიკა, II, გვ. 51-52; История Византии, I, с. 325-326.

[5] Дьяконов М.М. Очерк..., გვ. 309; გეორგიკა, II, გვ. 60-63.

[6] Procop., De BP, II. — გეორგიკა, II, გვ. 72, 73-75, 77-78.

[7] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ.: გეორგიკა, II, გვ. 82-87.

ქართლის გზით ეგრისში შეიჭრა. გუბაზი თავისი ამალითა და სამხედრო რაზმებით ეარდციხესთან (ბიზანტიური წყაროებით რიდიპოლისთან) შეეგება შაჰან შაჰს და ლაზიკის სიღრმეში შეუძღვა. პირველი იერიში გაერთიანებულმა ძალებმა ბიზანტიელთა მთავარ დასაყრდენ ჯუნქტზე – ციხე-ქალაქ პეტრაზე მიიტანეს, სადაც ციხე იმყოფებოდა.

ხოსრომ აქ თავდაპირველად ჯარის ნაწილი გაგზავნა სარდალ ანიაბედის მეთაურობით, შემდეგ კი თავადაც მიეცა. ანიაბედის პირველი იერიში უშედეგო აღმოჩნდა. ირანელებმა სერიოზული მარცხი განიცადეს. შემდგომი პირდაპირი იერიშებიც ბიზანტიელებმა უკუაგდეს. ციხეს დალეკვის შემდეგ ირანელებმა კოშკის ქვეშ ვეირაბი გათხარეს და იგი დაანგრიეს. ბიზანტიელებმა ხოსროსთან მოლაპარაკება გაიმართეს და იარაღი დაჩარეს.[8] ამრიგად, ბიზანტიელთა მთავარი რეზიდენცია ირანელებმა ხელთ იგდეს და ლაზიკაში შემოსახელელი ყველაზე მოხერხებული გზა გადაუკეტეს ბიზანტიელებს. ამით გაინელდა შიდა ლაზიკაში იმპერიის ჯარების მომარაგება და შეესება. ამის შედეგად ბიზანტიელთა ძალაუფლებას ლაზიკაში ბოლო მოელო.

გუბაზისათვის მალე ცხადი გახდა, რომ მოკავშირედ მოწვეული ირანის შაჰინშაჰი უფრო საშიში იყო, ვიდრე ბიზანტია. მან გაიგო ხოსროს ფარული ზრახვაც: საბოლოოდ დაპყრო ეგრისი, ლაზები აეყარა და გადაესახლებინა. ხოლო თვით გუბაზი მოეკლა. ეგრისის მეფემ დაეეჭვებლივ იცალა ორიენტაცია და ბიზანტიასთან ურთიერთობა აღადგინა. იუსტინიანემ ეგრისში ახალი ჯარი გამოაგზავნა, რომელშიც ათასი ჭანი მეომარიც იყო გაერთიანებული ახალგაზრდა სარდლის – დაგისთეს მეთაურობით. ბიზანტიელებმა პეტრას გამოხსნა სცადეს და დაგისთეც მის კედლებს მიადგა. მეფე გუბაზი კი ლაზთა ჯარით და მისთვის დაგისთეს მიერ გამოგზავნილი რაზმით იბერიიდან შემოსაბალ გზაზე არსებულ ციხეებს იცავდა.

პეტრაში ირანელების მცირერიცხოვანი ჯარი მდგარა. ამის მოიმედე დაგისთემ ქალაქზე იერიში მიიტანა, მაგრამ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, თანაც ვერც სათანადო ოპერატიულობა და შემართება გამოიჩინა ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო. ამასობაში ლაზიკაში ირანელთა ახალი ძლიერი არმია შემოვიდა. ციხეებში მდგომი ლაზთა და ბიზანტიელთა რაზმები უკუაგდო და პეტრაში ჩაკეტილი გარნიზონის დასახმარებლად გამოემართა. ეს რომ ბიზანტიელებმა გაიგეს, პეტრას ალყა მოხსნეს და რიონისკენ დაიძრნენ, მაგრამ ჭანების ათასეული მათ არ გაჰყვა. ამასობაში პეტრაში მდგომი ირანელები ციხიდან გამოვიდნენ და დაუცველად დატოვებულ ბიზანტიელთა ბანაკს შეესივნენ. მოულოდნელად მათ თავს დაესხნენ ჭანები და ციხეში შერეკეს. ჭანებმა ბანაკი დაარბიეს და სამშობლოში დაბრუნდნენ.

დაგისთეს აჭარიდან წასვლის შემდეგ მეცხრე დღეს პეტრას მერმეროე მოადგა. მას დახვევა დაჭრილი და ომისათვის გამოუსადეგარი 350 და უენებლად გადარჩენილი 150 ირანელი. მისი ბრძანებით სახელდახელოდ შეაკეთეს პატრას ჩამონგრეული კედელი, 3000 მეომარი დატოვეს, სურსათით მოამარაგეს და შუაგულ ლაზიკისკენ გაემართნენ ლაზ-ბიზანტიელთა ჯარებთან საბრძოლველად.[9]

ირანელები შემდგომაც არ ივიწყებდნენ პეტრას და ცდილობდნენ ლაზთა სოფლების აოხრებით მოპოვებული სურსათი იქ მდგომი მეციხოვნეებისათვის მიეწოდებინათ. ცხადია, ეგრისში შეგროვებული სურსათი არ ჰყოფნიდა მერმეროეს ჯარს და პეტრას მეციხოვნეებს. რამდენადაც პეტრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა, მერმეროემ გადაწყვიტა ლაზიკაში მხოლოდ 5000 მეომარი დატოვებინა. ხოლო თვითონ იბერიაში გადასულიყო. 549 წელს მხოლოდ პეტრა-ციხისძირში იდგა მათი გარნიზონი.

---

[8] Procop., De BP, II, 7; გეორგიკა, II, გვ. 82-87.

[9] Procop., De BP, II, 30; გეორგიკა, II, გვ. 106-112.

550 წელს ხოსრომ ახალი ჯარი გამოგზავნა ლაზიკაში სარდალ ხურიანეს სარდლობით, მაგრამ ეს ჯარი ბიზანტიელებმა და ლაზებმა გაანადგურეს. შეტაკებაში ხურიანეც დაიღუპა. მოულოდნელად ვითარება გართულდა: ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ ჯერ აბაზგები, შემდეგ აფსილები. მაგრამ აჯანყება ჩაახშეს. ბიზანტიამ დამატებითი ჯარი შემოიყვანა ბესას სარდლობით, რომელმაც კელაე პეტრას მიაშურა. ბესას კარგად ესმოდა, რომ სანამ ეს ქალაქი ირანელთა ხელში დარჩებოდა, კავშირი მეზობელ ბიზანტიურ ბაზებთან (ათინა, რიზე, ტრაპეზუნტი) დაირღვეოდა, რაც ლაზიკაში მყოფი ჯარის შევსება-მომარაგებასაც გაართულებდა. მეორე მხრივ, ამ ქალაქის მნიშვნელობა ირანელებსაც კარგად ესმოდათ.

ბესას გაუჭირდა პეტრას აღება. თანაც საქმეს ისიც აძნელებდა, რომ ირანელებმა ქალაქის ზღუდის ის ნაწილიც აღადგინეს, რომელიც მაო მიერ პეტრას აღებისას დაინგრა. ძნელდებოდა კედლის სანგრევი მანქანების გამოყენებაც, რადგან ზღუდესთან მისასვლელი საკმაოდ ციცაბო იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბესას ჯარი საკმაო ჰყავდა, მეციხოვნეთა წინააღმდეგობა მაინც ვერ გატეხა. ბიზანტიელებმა მოახერხეს ირანელთა ჯარში მყოფი პუნი-საბირების მოსყიდვა და გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. თვით ბესა, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, წინ მიუძღვებოდა თავის ჯარს და კინალამ დაიღუპა იერიშის დროს. ბოლოს, დიდი მსხვერპლის ფასად, ქვედა ქალაქი აიღეს და ირანელთა გარნიზონის ნარჩენებმა ზედაციხეს (აკროპოლისს) შეაფარეს თავი. ბიზანტიელებმა ალყა შემოარტყეს ზედა ციხეს, მოლაპარაკებაც გამართეს დარჩენილ ირანელებთან. მაგრამ მათ არც შეთანხმება ისურვეს და არც ბრძოლა შეწყვეტეს. როდესაც სტრატეგოსის ბრძანებით ბიზანტიელებმა ცეცხლში გაახვიეს აკროპოლისი, მაშინ მეციხოვნეებმა დანებება ხანძარში დაღუპვა არჩიეს. ასე აიღეს ქალაქი პეტრა. ბესას განკარგულებით იგი მიწასთან გაასწორეს.[10] ზედაციხის დანგრევის მიუხედავად, ქალაქი შემდგომაც ფუნქციონირებდა.

დასავლეთ საქართველოში ირანელი სარდალი მერმეროე ჯერ პეტრას დასახმარებლად გამოემართა, მაგრამ გზაში შეიტყო მისი დაცემის ამბავი და ფაზის-რიონის სანაპიროებისაკენ იბრუნა პირი.

ეგრისში სპარსთა წარმატებების მიზეზი ბიზანტიელ სარდალთა გაუბედავი და ენიათო მოქმედებაც იყო, რაც გუბაზ მეფის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა. კონფლიქტი გაღრმავდა და მას ბოლოს მეფე გუბაზიც შეეწირა: იგი 553 წელს მდ. ხობის ნაპირას მოკლეს. ამან ლაზთა საერთო აღშფოთება გამოიწვია. ლაზებმა კელაე ირანის მხარეზე გადასელა დააპირეს, მაგრამ ბოლოს ბიზანტიის ქვეშევრდომებად დარჩნენ. იუსტინიანემ მათ გუბაზის მკელელების სასტიკად დასჯა აღუთქვა, რაც მოგვიანებით შეასრულა კიდეც.[11] მანვე შეძლო ომში გარდატეხის შეტანა. ხოსრო იძულებული გახდა ზავზე დათანხმებოდა. 562 წელს ქალაქ დარაში დაიდო 50 წლიანი ზავი, რომლითაც ირანელები ხელს იღებდნენ ეგრისზე.

ამრიგად, VI საუკუნეში აჭარის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი შედიოდა ეგრის-ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში. ბიზანტია-ირანის ომების პროცესში მისი მიწა-წყალი მძაფრი შეტაკებების ასპარეზი იყო. რაც შეეხება სამხრეთ აჭარას, ჭოროხის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას, იგი პოლემონის პონტოს პროვინციაში შედიოდა, ხოლო ქალაქი აფსაროსი (გონიო) ამ პერიოდში, როგორც ჩანს, კარგავს მნიშვნელობას. მისი

---

10 **Prokop. De BC, VIII, 11-12; გეორგიკა, II, გვ. 115-180; აქვე იხ. პეტრას აღების დაწერილებითი აღწერა.**

11 **Agathias, Hist., III, 19. გეორგიკა, III, გვ. 63-65; გ.ფოზალიშვილი. ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში. თბილისი, 1973, გვ. 33 და შემდ.**

ფუნქციები ნაწილობრივ, ალბათ, პეტრაში ინაცვლებს, რომელიც ლაზიკის მნიშვნელოვან ცენტრად რჩება. იგი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ საეპისკოპოსო კათედრალი იყო.

ჩვენამდე მოღწეულია კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო კათედრათა ნუსხები — „ეკთესიები" ან „ნოტაციები", რომლებიც სხვადასხვა დროსაა შედგენილი. დათარიღებულ ნოტაციათაგან ყველაზე ადრეულია ეპიფანე კვიპრელის მიერ VII საუკუნეში შედგენილი ნოტაცია №VII[12]. ამ ნოტაციაში 27-ე აეტოკეფალურ მღვდელმთავრად მოხსენებულია ლაზიკის მიტროპოლიტი, რომლის რეზიდენცია ფაზისშია; მას ექვემდებარებოდა 4 ეპისკოპოსი: როდოპოლისის, საესენის, პეტრასი და ძიგანევისა.[13] ე.ი. ყველა ამ ნოტაციებით, რომლებიც VII საუკუნიდან IX საუკუნეებს მიეკუთვნება, კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ლაზიკის მიტროპოლიტს ექვემდებარება 4 ეპისკოპოსი. ამათგან ერთი ზის ეარდციხეში (როდოპოლისი), მეორე — ცაიშში (საისენონი), მესამე — გუდავაში (ძიგანევში), მეოთხე კი — პეტრაში. მკვლევართა უმეტესობას ეჭვი არ ეპარება, რომ პეტრა ციხისძირთან უნდა იქნას გაიგივებული და ციხისძირის ჩრდილოეთ ბორცვზე აღმოჩენილი დიდი სამნაოსანი ბაზილიკა უნდა იყოს სწორედ პეტრას ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი.[14]

რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე ადრეული ნოტაცია VII საუკუნეშია შედგენილი, ვარაუდობენ, რომ ლაზიკის და საერთოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საეკლესიო მოწყობა იუსტინიანეს ხანაში უნდა მომხდარიყო.[15] საესებით კანონზომიერია, რომ სწორედ იუსტინიანეს დროს აღსანიშნული, საგანგებოდ გამაგრებული და ბიზანტიული ადმინისტრატორის რეზიდენციად ქცეული პეტრა-ციხისძირი გამხდარიყო ამავე დროს ლაზიკის სამიტროპოლიტოს ერთ-ერთი საეპისკოპოსო.[16]

აღსანიშნავია, რომ პეტრას საეპისკოპოსო კათედრა იხსენიება იმ „ნოტაციებშიც", რომლებიც თარიღდება IX საუკუნის პირველი ნახევრით. როგორც ცნობილია, სწორედ IX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველო ანუ ე.წ. აფხაზთა სამეფო ეკლესიურადაც გამოეყო ბიზანტიას და ჯერ დამოუკიდებელი ეკლესია ჩამოაყალიბა, შემდეგ კი მცხეთის კათალიკოსს დაექვემდებარა. ამ დროიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამწყსოში შემავალ კათედრათა ნუსხებში აღარ იხსენიება ფაზისის მიტროპოლიტი მისდამი დაქვემდებარებული ოთხი საეპისკოპოსოთი.[17]

ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო XI საუკუნის შემდეგ პეტრა-ციხისძირის საეკლესიო სტატუსი. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფის შემდეგ აფხაზთა მეფეები, მცხეთის კათალიკოსის თანხმობით, ძველების გვერდით და მათ ნაცვლად ქმნიან ახალ ქართულ საეპისკოპოსოებს, რითაც საბოლოოდ სპობენ მოსახლეობისათვის უცხო ბერძნული ეკლესიის გავლენას.[18] უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს მოხდა

---

[12] ნოტაციის ნუმერაცია მოცემულია „Purthrey" გამოცემით: Hie roc-us Sunekdemus et Notitae graece episcopatum, Beroini, 1886.

[13] ეკსთესიების ტექსტები და მათი დაწერილებითი ანალიზი იხ.: სყაუხჩიშვილი. — გეორგიკა, IV, ნაკ. 2, 1952, გვ. 123-202.

[14] აინანიშვილი. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. — სდსძ, II, გვ. 91-109 (აქვე იხ. ლიტერატურა).

[15] H.Celser. Ungedructe und ungentgend veröffentlichte Texste der Notitia opiscopetum, "Abhandlung der Berlines Akkad", XXI, 1893, გვ. 533.

[16] Лекавнадзе В.А. О постройках Юстиниана в Западной Грузии. - ВВ, т. 34, 1973, с. 174-179.

[17] ნ. ბერძენიშვილი. საეაზირო ფეოდალურ საქართველოში. — საქართველოს ისტორიის საკითხები. III, 1966, გვ. 41-52. სყაუხჩიშვილი. გეორგიკა, IV, 2, გვ. 198-200; მ.ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 182-184.

[18] ნ.ბერძენიშვილი. საეაზირო.., გვ. 51-52.

პეტრა-ციხისძირის საეპისკოპოსოს გაუქმება და მისი, როგორც საქალაქო ცენტრის, თანდათან დაკნინება;[19]

VI-IX საუკუნეებში პეტრა დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო ცენტრი იყო და შესაბამისად, მას გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციებიც უნდა დაეკისრებოდა. პროკოპი კესარიელის ცნობით, როცა ბიზანტიელებმა ირანელთაგან პეტრა დაიბრუნეს, ბესას განკარგულებით, მისი ზღუდეები მიწასთან გაასწორეს. როგორც ითქვა, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ აკროპოლისის საფორტიფიკაციო ნაგებობები. თანაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დროებითი ღონისძიება იყო, რადგან სწორედ ამის შემდეგ „ნოტაციებში" იხსენიება პეტრას საეპისკოპოსო. ამას გარდა, ლაზიკა-ეგრისში ბიზანტიის საბოლოო დამკვიდრების შემდეგ, პეტრას საშიშროება აღარ ემუქრებოდა. ამრიგად, ციხისძირის ბექობებზე და ბიბოყვათის დაბლობზე განლაგებული ქალაქი პეტრა რნებოდა ლაზიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. თუ გავითვალისწინებთ ს. ჯანაშიას დაკვირვებას, რომ საეპისკოპოსო კათედრები, როგორც წესი, თან ემოხვეოდნენ ფეოდალურ ცენტრებს,[20] შეიძლება ვიფიქროთ, რომ პეტრა VI-IX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ცენტრსაც წარმოადგენდა.

როგორც ირკვევა, პეტრა-ციხისძირის საეპისკოპოსოს იურისდიქცია მხოლოდ ლაზეთის სამხრეთ ზონაზე არ ვრცელდებოდა. ლოგიკურია ერთადერთი დასკვნა, რომ ჭანებს მღვდელმთავრებს სწორედ პეტრას ეპისკოპოსი უწესებდა. პეტრა-ციხისძირი იყო ის პლაცდარმი, საიდანაც ბიზანტიის ხელისუფლება არა მარტო პოლიტიკურ კონტროლს ახორციელებდა ჭანურ ტომებზე, არამედ გარკვეულ იდეოლოგიურ-რელიგიურ ზემოქმედებასაც ახდენდა.

IX საუკუნის შუა წლებიდან, მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლმა დაკარგა დასავლეთ საქართველოს ეკლესია, მან მანამდე პოლემონის პონტოს ეპარქიაში შემავალი ტრაპეზუნტის საეპისკოპოსო გამოაყო. აქაური მღვდელმთავარი მიტროპოლიტად აღასვეა და მას „ლაზიკის სამიტროპოლიტო" უწოდა.[21]

ამის შემდეგ ჭანეთი გამოეყოდა ლაზიკის, ანუ ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის იურისდიქციიდან და, საფიქრებელია, რომ დაექვემდებარა რიზეს ეპისკოპოსს, რომელიც ტრაპეზუნტის მიტროპოლიტის ერთ-ერთი ხელქვეითი გახდა.[22]

§3. არაბობა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო

VII საუკუნის დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ისტორიის ასპარეზზე გამოეცხადნენ არაბები.

632 წელს, მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ, არაბთა სამხედრო-თეოკრატიულ სახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩნდნენ ხალიფები და სახელმწიფოს ეწოდა სახალიფო. იმპერის ხალიფობის (634-644 წწ) დროს დაიწყო არაბთა დაპყრობითი ომები, რომელმაც ფართო მასშტაბი მიიღო. VII საუკუნის 40-იან წლებში მათ დაიპყრეს ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები: სირია, პალესტინა, ეგვიპტე. არაბებთან ბრძოლაში უმძიმესი

---

19 არც „მატიანე ქართლისა"-ში, სადაც გვაქვს ცნობები ძველ საეპისკოპოსოთა ახლით შეცვლის შესახებ (ქცა, I, გვ. 270, 281) და არც სხვა ქართულ წყაროებში ციხისძირში საეპისკოპოსო X საუკუნის შემდგომ ხანებში არ იხსენიება.

20 ს.ჯანაშია. შრომები, I, გვ. 20.

21 ნ.ლომოური. ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის. — „მაცნე", 1965, №5, გვ. 85.

22 გეორგიკა, IV, 2, გვ. 184-185.

მარცხი განიცადა სასანურმა ირანმაც. ამის შემდეგ არაბებს გზა გაეხსნათ ამიერკავკასიისკენ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ მათი სამფლობელოების საზღვარი ჩრდილოეთით კავკასიონის ქედზე გადიოდა. ამ ბრძოლაში მათი ერთ-ერთი მთავარი პლაცდარმი აღმოსავლეთ საქართველო და თბილისი იყო.[1] ამ დროს საქართველოში ორი სახელმწიფო არსებობდა: ქართლი და ეგრისი. არაბთა შემოსვლისას უზენაესი ადგილობრივი ხელისუფალი ქართლში ერისმთავარი იყო, რომელსაც პატრიკოსის ბიზანტიური ტიტული ჰქონდა. ამავე ტიტულს ატარებდა ეგრისის მმართველიც.

ქართლის საზღვართან მდგარ არაბთა მხედართმთავართან ,ababi იბნ მასლამასთან მიეგზავნა ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის მოციქული ძღვენითა და დასაბეების წინადადებით. ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, როგორიც შეიძლებოდა მიეღო იმდროინდელი ქართლის მეთაურს.[2] წყაროებში არაბთა ამ ლაშქრობის და მისი შედეგების შესახებ ცნობები არ არის. ქართული წერილობითი წყაროებით არაბთა პირველი შემოსვლა საქართველოში VIII 30-იან წლებში მურვან იბნ მუჰამედის (მურვან ყრუს) ლაშქრობასთანაა დაკავშირებული.

საქართველოს სხვა რეგიონებთან (ხერკი, ქსოვრისი, ქსანი და სხვ.) ერთად არაბებმა დასარკვეს სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, არტაანი.[3] ისინი კარგად იცნობდნენ „გათიშე და იბატონე"-ს მეთოდს და ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულებებს დებდნენ ცალკეულ ადგილობრივ მმართველებთან. არაბთა ხელისუფლება გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილსაც, მათ ვერ დაიპყრეს ეგრისი, რომელიც ბიზანტიის ხელისუფლებას აღიარებდა. აჭარა ამ დროს, დ. მუსხელიშვილის აზრით, იმყოფებოდა ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში.[4]

აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, სადაც მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ მყარდება არაბთა სტაბილური ხელისუფლება, დასავლეთ საქართველოში დამკვიდრება არაბებმა ვერ მოახერხეს, ჩანს, იმ დიდი ზარალი გამო, რაც არაბთა ლაშქარმა ანაკოფსიასთან ბრძოლაში განიცადა, ციხე ვერ აიღო, ხოლო მურვან ყრუ „აღიყარა მუნით".[5] რბევით და ბრძოლით „შემოვლო გზა გურიისა და გან

ე.წ. აფხაზთა სამეფო. ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების გაერთიანების შედეგად აშოტ ბაგრატიონმა საფუძველი ჩაუყარა ქართველთა სამთავროს (ტაო-კლარჯეთი). რომლის შემადგენლობაში შედიოდა აჭარაც. ის ფართოდ გაშლილი სამინისტრო მშენებლობა, რომელიც VIII საუკუნის ბოლოს იწყება ტაოსა და კლარჯეთში. მოიცავდა აჭარასაც. აშოტ კურაპალატის დროს ქართველთა სამთავრო დიდ მიწა-წყალს მოიცავდა.

ქართველთა სამთავროს დამაარსებლის, აშოტ ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები კარგაენ სამთავროს ტერიტორიის დიდი ნაწილს: „და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა გვაუწყებს სუმბატ დავითის ძე, – რომელ გარეთ ძუელნი ჰქონდათ ძეთა აშოტისთა, – წარეღეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკთა“. აშოტის მცირეწლოვანი შვილები იმავე ავტორის ცნობით, „იზარდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა. და იყვნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნი-ვე ევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი“.[7]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის ყველაზე მძიმე აბულ კასიმ იუსუფ აბუსაჯის ძის ლაშქრობა იყო, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის ეარაუდით, 914 წელს მომხდარა. აბულ კასიმმა დაიბანაკა თბილისს და კახეთს ილაშქრა, მოაოხრა ქართლი, „შეეიდა მუნით სამცხეს და მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგუისასა, და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით და მოვიდა ყველს, მოადგა ვარე და იწყო ბრძოლად“. სამშობლოსათვის ბრძოლაში, მემატიანის ცნობით, გამოირჩეოდა გობრონი, რომელიც ებრძოდა შიგნით გამოღმართ ყოველთა დღეთა მოყუასთა თვისთა თანა. და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმინდა გობრონ და აწამეს“.[8] აბულ კასიმის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დარბევა და გობრონის (იგივე მიხეილი) წამების ამბავი აღწერილია სტეფანე მტბევარის მიერ.

არაბობის ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო საგრძნობლად დაზარალდა. როგორც უკვე ითქვა, ანაკოფიის ბრძოლიდან მობრუნებულმა მურვან ყრუმ მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მათ შორის, აჭარაც აოხრა. ამ რბევა-აოხრების გამოძახილი უნდა იყოს ის უმძიმესი მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, საკუთრივ აჭარაში, რომლის შესახებაც მოგვითხრობს X საუკუნის დასაწყისის ავტორი. მისი სიტყვით, აბულ კასიმის ლაშქრობის დროს „ერიცხუნი იგი ერნი მარადმადიდებელნი აჭარასა და შავშეთს შეწუხებულ იყვნეს, რომელნი ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწვანილოვანსა ქუეყანისასა“.[9]

ამ მძიმე მდგომარეობაში მყოფნი დამპყრობელმა ადვილად დახარკა. ჩანს, აჭარა-შავშეთისა და სხვა ხეეების მცხოვრებნი ხარკს IX საუკუნის 60-იან წლებამდე იხდიდნენ.

არაბთა მფლობელობამ, მათმა ამაოხრებელმა ლაშქრობებმა მძიმე შედეგები მოუტანეს მთელ საქართველოს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ რეგიონებს, საგრძნობლად დაზარალდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც.

რაც შეეხება არაბთა რელიგიურ პოლიტიკას, უნდა ითქვას, რომ მართალია, ჩვენთვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც მაომადიანი მბრძანებლები ქრისტიანი ქართველებისაგან ისლამის მიღებას მოითხოვდნენ და წინააღმდეგობის შემთხვევაში სიკვდილით სჯიდნენ მათ, მაგრამ ეს საგანგებო შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც არაბებს მათ წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მთავრები თუ მეფენი უგარდებოდნენ ხელი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაბი მბრძანებლები მათ ტყვეობაში ჩავარდნილ მთავრებს ჯერ ის-

---

7 **სუმბატ დავითის ძე, „ქართლის ცხოვრება“, I, 178.**

8 **მატიანე ქართლისა. „ქართლის ცხოვრება“, I, 263-264.**

9 **სტეფანე მტბევარი. გობრონის მარტვილობა. – ძველ, I, გვ. 177.**

ლამის მიღებას და სამსახურს სთავაზობდნენ და მხოლოდ უარის მიღების შემთხვევაში სჯიდნენ. ასე დაისაჯა, მაგალითად, გოგრონი (X საუკუნის 10-იანი წლები), რომელიც არაბთა სამსახურზე უარს არ ამბობდა, მაგრამ რწმენას არ თმობდა. იგი აბულ ჯასიმს ეკითხება: „რა მიზეზი არს ესე მიზეზი სიკუდილისა ჩემისა? მრავალ არიან შენ ქუეშე ქრისტეანენი და მეცა არა დაეაკლო მონება ჯულმწიფეებასა შენსა, ყოველითა სახითა, რომლითა გენებოს შენ".[10] რაც შეეხება მოსახლეობაში ისლამის გავრცელებას, ეს არაბთა მფლობელობის დროს მასობრივად ვერ განხორციელდა, რაც განპირობებული იყო როგორც ქართველი ხალხის უკვე ჩამოყალიბებული მაღალი ეროვნული და სარწმუნოებრივი თვითშეგნებით, ისე დამპყრობლებისადმი დიდი წინააღმდეგობით.

თითქმის ოთხსაუკუნოვანი მფლობელობის მიუხედავად, არაბებმა ქვეყნის განვითარებაზე, მის კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინეს და ვერც ისლამი გავრცელეს საქართველოში.

§4. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო

უძველესი დროიდან მომდინარეობს ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ტენდენცია. ეს აშკარად გამოვლინდა ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისში, მეფე ფარნავაზის მიერ შექმნილ ქართლის (იბერიის) სამეფოში, რომლის შემადგენლობაში დასავლეთ საქართველოს ნაწილიც შედიოდა. ქვეყნის გაერთიანებას და შემდეგ ამ ერთიანობის შენარჩუნებას, როგორც წესი, სხვადასხვა საგარეო თუ საშინაო ფაქტორი უშლიდა ხელს.

ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი იყო. VIII-X საუკუნეებში გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში შექმნილი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროები ქვეყნის გაერთიანებას ცდილობდნენ.

ერთიანობისათვის მისწრაფებაში მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მონაწილეობა და როლი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციების გაერთიანების შედეგად შეიქმნა სახელმწიფო, რომელიც ცნობილია „ქართველთა საკურაპალატოს", იგივე ქართველთა სამეფოს თუ ტაო-კლარჯეთის სახელწოდებით.

უცხო ძალის ბატონობის პირობებში (აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის გავლენა) ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლა პერიფერიებში იწყება, რაც საქართველოს გაერთიანების ისტორიული პროცესის ერთ-ერთი თავისებურებაა.[1]

VIII საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დამსიმდა არაბთა უღელი, დაჩაგრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელი სახალიფოს მასშტაბით გაიშალა.

ქართული საისტორიო ტრადიცია გადმოგვცემს რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ისტორიას. ვახუშტი ბატონიშვილის კონცეფციით, VII-VIII საუკუნეების

---

[10] იქვე, გვ. 181.

[1] მ.ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბილისი, 1963, გვ. 135-137; Лордкипанидзе М.Д. Предпосылки объединения грузинских земель. – Очерки истории Грузии, II, Тб., 1988, с. 367-373.

საქართველო ერთიანი ქვეყანაა. VIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ამ სახელმწიფოს მეფეა არნილი. მისი შვილების – იოანესა და ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა იშლება. ვახუშტის ეს კონცეფცია დამყარებულია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსების ჯუანშერისა და „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორთა ნაშენებებზე.[2] ვახუშტის თანახმად, არნილის ეაჟი ჯუანშერი გარდაიცვალა 786 წელს და დაიწყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა. ნამოყალიბდა კახეთის, ჰერეთის, დასავლურ-ქართული ანუ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოები, რომლებიც VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. ასევე ფაქტობრივად დამოუკიდებელი ერთეული გახდა თბილისის საამირო, რომლის მიწა-წყალი ამ დროისათვის საკუთრივ ქართლით შემოიფარგლებოდა და ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება აქ გაუქმებული იყო.

იმ დროს, როდესაც კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოთა ორგანიზაცია ძირითადად არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მიმდინარეობდა, დასავლეთ საქართველოს ბრძოლა უპირატესად ბიზანტიის წინააღმდეგ უხდებოდა. ამასთანავე, ჯერ ამ სახელმწიფოთა შესაქმნელად შიგნით დაიწყო გაერთიანების პროცესი, შემდეგ კი მათ შორის იწყება ბრძოლა გაერთიანებისათვის. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის იმპერიისათვის სასურველი უნდა ყოფილიყო საქართველოში ქრისტიანი მოკავშირე. ამიტომ ის ხელს უწყობდა იმპერიის ვასალის, აფხაზთა საერისთავოს გაძლიერებას.

VII საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც არაბთა სახალიფოს ქვეშ მოექცა ეგრისის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი, კოდორის ხეობის ციხეები და ბიზანტიელთა გამგებლობაში მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ციხეები და მაოი მიმდგომი მიწა-წყალი დარჩა, ამ დროს, ჩანს, არაბები ხელს უწყობდნენ მათ ქვეშევრდომ ქართლის ერისმთავართა (ქართული წყაროები მეფეს რომ უწოდებენ) ხელისუფლების გაერცელებას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრისის ნაწილზე. შემდეგ მდგომარეობა იცვლება და ეგრისში დამკვიდრებული ქართლის ერისმთავრები, აფხაზთა ერისთავთან ერთად, სათავეში უდგებიან ანტიარაბულ ფრონტს დასავლეთ საქართველოში. ანაკოფიის ბრძოლის შემდეგ (735 წელი) ერისმთავარი არნილი ემშვიდობება ლეონ აფხაზთა ერისთავს, მაგრამ ლეონი თავის მხრივ არნილის ყმობაში შესვლას სურვილს აცხადებდა. უდაოა, რომ ეს აქცია, რომელიც შეასაუკუნოვანი კომენდაციის ტიპური მაგალითია, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების კარნახით თუ არა, დასტურით მაინც განხორციელდა. ეს მისნაირ ისახავდა ორი ქრისტიანული ძალის მაამადიანური სახალიფოს წინააღმდეგ უფრო ეფექტურად გამოყენებას. ეგრისში დამკვიდრებულ არნილს ეგრისის უძველად დარნენილი ტახტის მემკვიდრედ შემოსავს ლეონ აფხაზი და მას ცოლად აძლევს თავისი უფროსი ძმის, მირის (მეფის) ასულს. ამ დინასტიური აქტით ლეონ აფხაზი იღებს ეგრისის გვირგვინს და თავის სამკვიდრო აფხაზეთთან ერთად მემკვიდრეობით იღებს თვით ეგრისს, რომლის დედაქალაქიც ქუთაისი იყო. ასე შეიქმნა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებული დასავლურ-ქართული სახელმწიფო. ლეონი იღებს მეფის ტიტულს. ამ სახელმწიფოს სამხრეთი სასაზღვარი ჭოროხის ხეობებამდე აღწევდა. ლეონის მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმით სამეფო რვა საერისთაოსაგან შედგებოდა: აფხაზეთის (აერთიანებდა აფხაზეთს და ჯიქეთს), ცხუმის (ეგრის იქით ანაკოფია ალანითურთ), ბედიის,

[2] მ.ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან. – მსკი, 31, თბილისი, 1954, გვ. 24.

გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის (ცენტრით შორაპანში), ეგრეთ იმერეთის (ცენტრით ქუთაისში).[3]

„აფხაზთა" მეფეების აქტიური ბოქმედებით და მცხეთის საკათალიკოსო ტახტის მხარდაჭერით დასავლეთ საქართველოს ეკლესია X საუკუნისათვის მოლიანად გამოეყო კონსტანტინოპოლის სამწყსოს და ერთიანი ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შეეყარა. ეს ქართული სახელმწიფო თავიდანვე აქტიურად ჩაება ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფო გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

IX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა წერილი ყველაზე სამყლობელოების გაერთიანების და სამთავროს სამოყალიბების პროცესი. ამ სამთავროს შექმნის ორგანიზატორი ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი იყო.[4]

აშოტის მამა ადარნასე ბაგრატიონი კლარჯეთში იყო დამკვიდრებული. ისტორიკოსის სიტყვით „იცვალა ადარნასე ბაგრატიონისაგან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ჭუმოსა ტაოსა და ციხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკვდა". ამ ადარნასეს შვილია აშოტ ბაგრატიონი. ადარნასე ფლობდა შავშეთს, აჭარას, ნიგალს, ასისფორს, არტანს. ქვემო ტაოს და სხვა ციხეებს. მაგრამ შემდეგ მან „ნასამალი" იცვალა, წავიდა „კლარჯეთად და მუნ მოკუდა". ჩანს, რომ აშოტის მამა კლარჯეთში მკვიდრობდა და მისი შვილი აშოტიც ფლობდა კლარჯეთს.

აშოტ ქართლის ერისმთავრისა და არაბების ხელისუფლება დაუპირისპირდა ერთმანეთს. აშოტი მარცხდება არაბებთან ბრძოლაში, იძულებულია გაეცალოს ქართლს და IX საუკუნის დასაწყისში ოჯახის წევრებითა და ამალის თანხლებით ბიზანტიელთა საეასალო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოლქვის, სახლდება თავის სამკვიდრო მამულს არტანუჯს და აქედან იწყებს სამთავროს ორგანიზაციას.

აშოტ ბაგრატიონმა თავისი ხელისუფლება, როგორც ქართლის ერისმთავარმა, ქართლსე განაკრცო. ჩანს, მის მიზანს არაბთა ხელისუფლებისაგან განთავისუფლება შეადგენდა, მაგრამ დამარცხდა და არაბებმა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება გაუქმეს.[5] აშოტი შავშეთ-კლარჯეთში, ბიზანტიის იმპერიის ვასალურ ქვეყანაში მყოფ მხარეში, მკვიდრდება.

წყაროს ცნობით, მისი ხელმწიფება განმტკიცდა „ნებითა ბერძენთა მეფისათა". თავის მოკავშირე აშოტს ბიზანტიის კარი კუროპალატის მაღალ ტიტულს უბოძებს. აშოტმა ბიზანტიისგანვე მიიღო თავისი ხელისუფლების იურიდიული დადასტურება. აშოტი რეზიდენციად არტანუჯს ირჩევს, ანახლებს ციხეს, აშენებს ქალაქს, სასახლეს, კარის ეკლესიას, იქმნის საფლავს.[6] მის დროს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტანი. აშოტი თანდათან აფართოებს თავისი სამფლობელოს ფარგლებს.

საერთაშორისო ეითარება თანდათან აშოტ ბაგრატიონის სასარგებლოდ იცვლება. საგრძნობი ხდება არაბთა სახალიფოს დასუსტება. აშოტი იწყებს ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ ერთ-ერთ შეტაკებაში მარცხდება და ეკლესიაში აფარებს თავს, სადაც „მოწყალეს იგი მახულითა საკურთხეველსა ხედა".[7]

---

[3] ვახუშტი ბაგრატიონი. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 796. ვახუშტი ბაგრატიონის ეს ცნობა რომ ნდობას იმსახურებს, ამას ადასტურებს საკუთრივ ცხუმის ერისთავის მოხსენიება თამარის ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") („ქართლის ცხოვრება", II, გვ. 33).

[4] მატიანე ქართლისა. ქცა, I, გვ. 251.

[5] იქვე, გვ. 252.

[6] სუმბატ დავითისძე. ქცა, I, გვ. 377.

[7] მ.ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო"). – სინ, II, თბილისი, 1973, გვ. 499. ერცლად იხ.: დმუსხვლიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თავი VII, §1 და §3.

აშოტის სიკვდილის შემდეგ „რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისათა წარუელს სარკინოზთა, რამე

საზოგადოების მოწინაეე და პროგრესულად მოაზროვნე იმ ნაწილის პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლის იდეური ხელმძღვანელი იოანე მარუშისძე იყო. მან მიმართა დავით კურაპალატს, ქართლი ან „დაიმჭიროს თჳით, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი".[10] როგორც ისტორიკოსი აღნიშნავდა, იოანე მარუშისძე „ეძიებდა ბაგრატს მეფედ".[11]

ეს იყო დიდი მნიშვნელობის დიპლომატიური სვლა. იოანე მარუშისძე არჩევანის უფლებას თვით დავითს აძლევდა. დავითმა კარგად იცოდა, რომ მას, როგორც ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელს, სრული უფლება ჰქონდა ქართლზე, მაგრამ დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთზე) — არა. მაგრამ როდესაც დღის წესრიგში დადგა ქართლისა და აფხაზეთის გაერთიანების საკითხი, მან საკუთარ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის საერთო ინტერესები დააყენა, მხარი დაუჭირა ბაგრატის კანდიდატურას, რომელსაც მემკვიდრეობით ეკუთვნოდა აფხაზთა მეფობა.

ივანე მარუშისძესთან ერთად, მემატიანეს სიტყვით, „ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან".[12] ისიც ირკვევა, რომ დავით კურაპალატი თავს იკავებდა ცოცხალი თეოდოსის დროს ბაგრატის გამეფებისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, ივანე მარუშისძისა და მის მომხრეთა საბუთიანობამ გაჭრა.

ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს ბაგრატს მძიმე პირობებში მოუხდა მოღვაწეობის დაწყება. მას თავისი რეალური ხელისუფლების დამკვიდრება როგორც ქართლში, ისე დასავლეთ საქართველოში ბრძოლით დასჭირდა. მან XI საუკუნის დასაწყისში ბრძოლით შემოიერთა კახეთი და ჰერეთი.

X საუკუნის 80-იან წლებში გაერთიანდა ორი უდიდესი ქართული სახელმწიფო — „აფხაზთა სამეფო" საკუთრივ ქართლთან ერთად და „ქართველთა სამეფოს" დიდი ნაწილი. XI საუკუნის დასაწყისში მას შეუერთდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი (ბიზანტიის მიერ მიტაცებული იმერ-ტაოს გარდა), აგრეთვე, კახეთი და ჰერეთი.

ქართული ქვეყნების ეს გაერთიანება თავისი შინაარსით პრინციპულად განსხვავდება იმ სამხედრო-პოლიტიკური კავშირებისაგან, რომელნიც VIII-X საუკუნეებში იქმნებოდა ურთიერთშორის თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში. ეს კავშირები დროებით აერთიანებდა ისეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომელთაც ურთიერთშორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი ჰქონდათ. X საუკუნის ბოლოს მომხდარი ფაქტი ახალ ეტაპს ქმნის ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ეს ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის ტიპის სახელმწიფოს შექმნას ნიშნავდა.

ცალკეულ სამეფოთა დამოუკიდებლობის საბოლოო ლიკვიდაციის პროცესი და მმართველობის აპარატის შეცვლა უკვე ახალი სახელმწიფოს შიგნით მიმდინარეობდა. ახალი გაერთიანება, რასაკვირველია, ვერ მიიყვანდა ქვეყანას შინაგან წინააღმდეგობათა სრულ ლიკვიდაციამდე, მაგრამ ახლა წინააღმდეგობები ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის, ერთი სახელმწიფოს შიგნით არსებობდა.

IX-X საუკუნეებში ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში რეალურ ძალას დასავლურქართული სახელმწიფო, „აფხაზთა სამეფო" და „ქართველთა სამეფო" ქმნიდა. მართალია, გარკვეულ ეტაპზე შიდა ქართლი

---

[10] მატიანე ქართლისა. ქცა, I, გვ. 272.

[11] იქვე

[12] იქვე. გვ. 275.

დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და აქ „აფხაზთა“ მეფეების ერისთავები ისხდნენ, მაგრამ ბრძოლა შიდა ქართლისათვის არასოდეს შეწყვეტილა. საბოლოოდ შიდა ქართლის და მისი პოლიტიკური ცენტრის – უფლისციხის, საერთოდ საქართველოს გაერთიანების ბედი „ქართველთა სამეფოს“ და დავით ტაოელის პოზიციამ გადაწყვიტა. მეფე დავით III X საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს დიდი სახელმწიფო მოღვაწეა. შემთხვევითი არ არის, რომ ბაგრატიონთა გვარის მემატიანე სუმბატ დავითის ძე ეპითეტით „დიდი“ მოიხსენიებს აშოტს, სამთავროს დამაარსებელს, დავით ტაოელს და ბაგრატს, ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს. სწორედ ამ დროს, X საუკუნეში, ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოში შედიოდა აჭარის საერისთავოც, რომლის გამგებლები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულებით.

§5. აჭარის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება ადრეფეოდალურ ხანაში

ა) ძალაძები და საძალაძო ცხოვრება. ვაჭრობა, კულტურა

ადრეული შუა საუკუნეები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია: გაიმარჯვა ფეოდალურმა ურთიერთობამ, განმტკიცდა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული ქრისტიანობა, დაიწყო მოძრაობა ქვეყნის გაერთიანებისათვის. ამავე დროს ქართველი ხალხი გმირულად იბრძოდა სასანიდური ირანის, ბიზანტიისა და არაბების წინააღმდეგ.

ქვეყნის შემდგომ განვითარებაში ქრისტიანობამ დიდი როლი შეასრულა. საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. ქრისტიანობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული ხელოვნების, დამწერლობისა და მწიგნობრობის შემდგომ განვითარებას.[1] ამ პერიოდში ადგილობრივი, ძველი კოლხეთის კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად ერწყმის დასავლურ რომაულ-ბიზანტიური კულტურის ელემენტებს.[2]

ახ.წ. IV-V საუკუნეებში გაძლიერდა ლაზთა სამეფო, გაფართოვდა მისი ტერიტორიული საზღვრები, რომელიც თითქმის მთლიანად დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. სამხრეთით იგი აჭარამდე, მდინარე ჭოროხის შესართავამდე აღწევდა. აჭარას ემეზობლებოდნენ დამოუკიდებელი მთის ტომები – ჭანები, რომლის შემდეგ იწყებოდა ბიზანტიის სამფლობელოები (ათინა, ფაზარი და რიზე). მაკრონ-ჰენიოხები და ძიდრიტები ახლა უკვე აღარ მოიხსენიებიან. იბერიის ზღვის სანაპირო ზოლიდან გაძევებული არიან ძიდრიტები და მათი კუთვნილი ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი ლაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.[3] ამიერიდან ბიზანტია მოკავშირეობას, პარტნიორობას ეძებს ლაზებთან. პროკოფი კესარიელის ცნობით, ლაზები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ

---

[1] შ.მესხია. ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. – სინ, II, თბილისი, 1973, გვ. 14.

[2] ნ.ლომოური. დასავლეთ საქართველო ახ.წ. IV-V სს. – სინ, II, თბილისი, 1973, გვ. 181; ნ.ლომოური. ბიზანტიის იმპერიის ფორმირება და აჭარა. – სდსინ, I, თბილისი, 2007, გვ. 356-360.

[3] Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, сс. 387-391.

საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკაზე გამოვლით რომაელთა მიწა-წყალზე არ შემოჭრილიყვნენ.[4]

წინა ეპოქების მსგავსად, ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. წერილობითი ცნობების, ასევე მიწისზედა თუ მიწის წიაღში დამარხული მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ ყველა ზემოთ დასახელებულ სიახლეთა თანამონაწილე და შემოქმედი აქაური მკვიდრი მოსახლეობა იყო.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება სხვადასხვა წერილობითი წყარო. ამიანე მარცელინეს მიხედვით ვგებულობთ, რომ IV საუკუნეში ლაზიკა უკვე რომის იმპერიის მორჩილება-მოხარკეობიდან გამოსულია. ეს, ბუნებრივია, პირველ რიგში შეეხება ლაზიკის სამხრეთით მდებარე თანამედროვე აჭარის ტერიტორიასაც. მარცელინე წერდა: სომეხთა მეფემ, პაპმა და მასთან ერთად მისმა კარისკაცებმა „სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს (ე.ი. რომაელთა მიწებს) ლაზიკისგან ჰყოფენ".[5]

ახ.წ. V საუკუნის ანონიმი ავტორი მიუთითებდა, რომ აფსარის წყლიდან ვიდრე მდინარე არქაბამდე წინათ ცხოვრობდნენ ე.წ. ბიზირები, რომლებიც ძიდრიტებმა შეცვალეს.[6] შემდეგ ანონიმი გვამცნობს: „აფსარის წყლიდან მოკიდებული ვიდრე აკამფსისამდე, სანაოსნო მდინარემდე, 15 სტადიონია ანუ ორი მელიონი. ხოლო მდინარე აკამფსისიდან ვიდრე ბათვისის წყლამდე 75 სტადიონი, ანუ 10 მელიონი".[7] ამ პერიოდში აკამფსისი ანუ ჭოროხის სანაოსნო მდინარეს წარმოადგენდა.[8] საინტერესოა მარცელინეს სხვა მინიშნებაც: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლისი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდა და [მერე] გადაერქვათ ლაზები".[9] ძიდრიტებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოსახლე უძველესი ტომები უნდა იგულისხმებოდნენ. ამავე ავტორის დახასიათებით „მაქელონებსა და ჰენიოხებს მოსდევენ ძიდრიტები, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან. ძიდრიტებს მოსდევენ ლაზები, ხოლო ლაზთა მეფე მალასაა... ლაზებს მოსდევენ აფსილები, ხოლო აფსილების მეფეა იულიანე... აფსილების მოსაზღვრენი არიან აბაზგები..."[10]

იუსტინიანეს ნოველების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აფსაროსის შემდეგ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა მხოლოდ ციხისძირში დასტურდება. ნოველებში ეკითხულობთ: „პოლემონის პონტოში შედის ხუთი სხვა ქალაქი: ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი და პოლემონიონი (პიტიუნტი და სებასტოპოლისი ხომ უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში), მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელსაც ჩვენგან ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო და რომელსაც მიენიჭა ჩვენი უზენაესობის სახელიც და ეწოდა იუსტინიანე."[11]

---

[4] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სკ.ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი, 1965, გვ. 72.

[5] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ.გამყრელიძემ და სკ.ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1961, გვ. 82.

[6] გეორგიკა, II, გვ. 3.

[7] იქვე. გვ. 3.

[8] იქვე. გვ. 4. მდ. ჭოროხზე ინტენსიური ნაოსნობა XIX ს ბოლომდე გრძელდებოდა (იხ: რ.უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში. ბათუმი, 2001, გვ. 206-225).

[9] გეორგიკა, II, გვ. 6.

[10] იქვე. გვ. 8.

[11] გეორგიკა, II, გვ. 33-35.

ან კიდევ: „ამ მხარის (იგულისხმება ლაზიკის სამხრეთი საზღვრები – ავტორები) მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწა-წყალზე იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა."[12]

ანონიმ ავტორთან და პროკოფი კესარიელთან დაცულ ამ ცნობებს აშკარად ეწინააღმდეგება არქეოლოგიური მონაცემები. პეტრასა და გარე ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძ.წ. I ათასწლეულის ნამოსახლარი და ერცელი სამაროვანი, ახ.წ. II საუკუნით დათარიღებული განძი, რომელიც ერმიტაჟშია დაცული და სხვა მასალები.[13] პროკოფი კესარიელი დასახელებულ ნაშრომში განმეორებით წერს: „ევროპის ნაწილშია ლაზთა ყველა საბინადრო ადგილი, ხოლო მეორე ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა."[14] ეტყობა, მის დროს ეს მაროლაც ასე იყო, რადგან განსხვავებულ სურათს ხატავს მიმდებარე ადგილების აღწერისას: „ქალაქ პეტრადან პირდაპირ რომ მიდიხარ სამხრეთისაკენ, გვხვდება რომაელთა საზღვრები. აქ კი ადგილები მჭიდროდ არის დასახლებული: რიზედ წოდებული და ათინა და ზოგი სხვა ვიდრე ტრაპეზუნტამდე..."[15]

გასაზიარებელია და მეტად მნიშვნელოვანია პროკოფი კესარიელის სხვა ცნობაც: „ათინის შემდეგ მდებარეობს არქაბე და აფსარუც, რომელიც კაი სამი დღის სავალი გზით არის რიზეს მოშორებული. ის ძველად აფსურტად იწოდებოდა. მას კაცის სახელი დაერქვა ერთი შემთხვევის გამო: „ამბობენ, რომ ... აფსირტეს საფლავი ქალაქის აღმოსავლეთით არის. ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უელიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და პიპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაგებობათა საძირკველებისა..."[16]

წერილობით ცნობებს, ბუნებრივია, ამდიდრებს შემთხვევით აღმოჩენილი თუ არქეოლოგიური გათხრების გზით მოპოვებული მასალა. არსებითად, ჩვენი თხრობაც ამ სახის მონაპოვრებზეა დაფუძნებული. პირველ რიგში შევჩერდებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ზოგიერთ საკითხზე. ამასთან დაკავშირებით არ არის გასაზიარებელი მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ახ.წ. IV-VI საუკუნეებისათვის საქართველოში გაქრა საქალაქო ცხოვრება და ჩანს მხოლოდ ორი ქალაქი – უჯარმა და თბილისი.[17] ახალი აღმოჩენების საფუძველზე გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებაც. აღნიშნული პერიოდისათვის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში რამდენიმე საქალაქო ცენტრი არსებობდა. ესენია: რუსთავი, უჯარმა, ჟალეთი, ნეკრესი, ბოლნისი, სებასტოპოლისი, ვაშნარი, ანაკოფია და ა.შ.[18] ბუნებრივია, ამ პერიოდის ქალაქების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ციხისძირიც.

ადრე შუა საუკუნეებში ციხისძირი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს. აკადემიკოსი ს.ჯანაშია წერდა: „პეტრამ იმდროი-

---

12 იქვე, გვ. 101.

13 ნ.ინაიშვილი. ციხისძირი ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. – სდსძ, XXI, თბილისი, 1993, გვ. 15-41.

14 გეორგიკა, II, გვ. 127.

15 იქვე, გვ. 102.

16 იქვე, გვ. 123.

17 შ.მესხია. დასახ. ნაშრომი

18 რ.რამიშვილი. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ფეოდალური ქალაქის გენეზისთან დაკავშირებით არქეოლოგიური მასალების მიხედვით. – ფსაძ, VI, თბილისი, 1998, გვ. 11-29.

ნდელი დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენიმე მსგავსი თბილისის როლისა აღმოსავლეთ საქართველოსათვის."[19]

ციხისძირი მდებარეობს ქობულეთის სამხრეთით, 7 კმ დაშორებით. არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, რომ ციხისძირის მიდამოები უძველესი ეპოქიდან იყო დასახლებული. ამის ნათელი დადასტურებაა აქ აღმოჩენილი კოლხური ცულების, თოხების, წალდებისა და სხვა სახის სამეურნეო იარაღების შემცველი განძები.[20] მიკვლეულია როგორც რკინის სადნობი უძველესი ქურა-სახელოსნოები, ასევე ძ.წ. I ათასწლეულის ნამოსახლარი. ძეგლი შეიცავს წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური და ადრეშუასაუკუნეების ხანის კულტურულ ფენებს.[21] გარდა ამისა, გარექალაქის ტერიტორიაზე გაითხარა ანტიკური ხანის მეტად საინტერესო სხეადასხვა ინვენტარის შემცველი 315-მდე სამარხი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ციხისძირსა და მის მიდამოებში ცხოვრება უწყვეტად გრძელდებოდა ანტიკურ ხანაშიც. ამასვე ადასტურებს 1907 წელს ციხისძირის მიდამოებში აღმოჩენილი რომაული ხანის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი მდიდრული კოლექცია, რომელიც ახ.წ. II-III საუკუნეებით თარიღდება.[22]

ციხისძირის როლი ეგრისის სახელმწიფოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით (ირანისა და ბიზანტიის ბრძოლა ლაზიკაში დამკვიდრებისათვის) განსაკუთრებით იზრდება ადრე შუა საუკუნეებში, რაც შესანიშნავად ჩანს არა მარტო წერილობითი ცნობებით, არამედ მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებისა და სხვა უახლესი არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით. ციხისძირი წარმოადგენდა ტიპურ ციხე-ქალაქს, რომლის ციტადელი – აკროპოლისი გაშენებული იყო დედაციხეზე, შემაღლებულ ბორცვზე, ხოლო გარე ქალაქის ერცელი ტერიტორია მდებარეობდა ბობოყვათის ეაკე დაბლობზე ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით. დღეისათვის ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვის ფსკერზეა მოქცეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობაა პეტრა-ციხისძირის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენ, მოგვეპოვება იერუსალიმის პატრიარქის უფალი დოსითეოზის (1659-1660-1677 წწ) ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერები, რომელშიც ქობულეთის აღმოსავლეთით, ერთი-ერთნახევარი საათის სავალ მანძილზე, მითითებულია ციხის ნანგრევები. ავტორი ამას ბიზანტიური ხანის ციხე-ქალაქ პეტრას ნაშთად მიიჩნევს.[23] მართალია, ამ ჩანაწერებში არ არის პირდაპირი მითითება, თუ კონკრეტულად რომელ პუნქტთან ახდენს დოსითეოზი პეტრას იდენტიფიკაციას. მაგრამ, გ. გრიგოლიას აზრით, აქ სწორედ ციხისძირის ციხის ნაშთები უნდა იგულისხმებოდეს.[24] მეორე უცხოელი მკვლევარი, რომელიც შეეხო ციხე-ქალაქ პეტრას ლოკალიზაციის საკითხს, იყო ფრან-

---

19 ს.ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. – შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 30.

20 Иессен А.А. К вопросу о дреснейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, 120, Москва, 1953, с.122; – დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი, 1965, გვ. 23, 47; არაბიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 28, 32.

21 ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962-65 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. – სდსძ, IV. თბილისი, 1974, გვ. 102-153.

22 ნ.ხოშტარია. ციხისძირი, თბილისი, 1962, გვ. 27-28; ნ.ინაიშვილი, ციხისძირის განძი. – სდსძ, XVI, თბილისი, 1987, გვ. 118-146; მისსივე, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს, გვ. 17-41; ნ.ინაიშვილი, აჭარა ახ.წ. I-IV საუკუნეებში (ნივთიერი კულტურა). – სდსინ, I, თბილისი, 2007, გვ. 347-355.

23 Селезнев М. Руководство к познанию Кавказа. Путешествие патриарха Досифея с религиозным и политическим состоянием Грузии до XVII века, Санкт-Петербург, 1847, с. 37.

24 გ.გრიგოლია. ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბილისი, 1994, გვ. 12.

გი არქეოლოგი და მოგზაური დიუბუა დე მონპერე.[25] მისი აზრით, პეტრა უჯენარში (ეაშნარში) მდინარე ნატანების და მის მარჯვენა შენაკადთა სურდუმის შესაყართან უნდა არსებულიყო. პეტრას ლოკალიზაციის დიუბუასეულ მოსაზრებას მკვლევართა დიდი ნაწილი (კ. კოხი,[26] მ. ბროსე,[27] დ. ბაქრაძე,[28] ი. კალფოღლუ,[29] ე. ვეიდენბაუმი[30] და სხვ.) არ იზიარებს და ციხისძირს, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, პროკოფისეულ პეტრასთან აიგივებს.

ციხისძირის ადგილისა და როლის გარკვევაში დიდი წვლილი შეიტანა ს. ჯანაშიამ, რომელმაც ბერძნულ-რომაული და ქართულ-სომხური წერილობითი წყაროების შესწავლის, არქეოლოგიური და ფოლკლორული მონაცემების გათვალისწინებით მეცნიერულად დაასაბუთა ციხისძირის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრის მნიშვნელობა. მისი მტკიცებით, ციხისძირი უნდა იყოს ციხე-ქალაქი პეტრა,[31] რაც სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს (ნ. ხოშტარია,[32] პ. ინგოროყვა,[33] ნ. ლომოური,[34] მ. სულეიმანოვი,[35] ვ. სიჯინავა,[36] ი. სიხარულიძე,[37] ნ. ბერძენიშვილი,[38] ალ. ქათამაძე,[39] ა. ინაიშვილი,[40] დ. ხახუტაიშვილი,[41] დ. მუსხელიშვილი,[42] კ. მელ-

---

25 Dubois de Montpereux F. Vogage autour du Caucase t. II, Paris, 1939, p. 85; t. III, p. 86.

26 რ.კოხი და ო.სპენსერი. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარი დაურთო ლ.მამულაიშვილმა. თბილისი, 1981, გვ. 183-184.

27 M.Brosset. Aldditions et ecbaircissements a l histoire de la georgie, St-pet, H51, p. 98-103.

28 Бакрадзе Д. Археологическое путешествие по Гурии и Ачаре. – СПБ, 1878, с. 275-277.

29 Калфоглу И.И. Город Петра-Цихисдзири. Историко-Археологическая заметка. – ИКОИРГО, т. XVIII, 1905-1906, №3, с. 198, 212.

30 Вейденбаум Е.Г. От Батума до Артвина (путевые заметки). – Кавказские Этюды, исследования и заметки Е.Г.Вейденбаума, Тифлис, 1907, с. 320.

31 ს.ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 32-44.

32 ნ.ხოშტარია. ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. – ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1953, გვ. 17; მისივე, ციხისძირი, თბილისი, 1962.

33 პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 230, 234.

34 ნ.ლომოური. ქალაქი პეტრა და მისი მიდამოები. – თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ნაწ. I, თბილისი, 1948, გვ. 24.

35 მ.სულეიმანოვი. პეტრა (ციხისძირი). – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, 1957, გვ. 5-41.

36 ვ.სიჯინავა. ახალი ცნობები (ციხისძირი) პეტრას ისტორიისათვის (ადგილის ლოკალიზაციის საკითხი). აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. II, ბათუმი, 1957, გვ. 51-52.

37 ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ. 97-103; მისივე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962, გვ. 25-26.

38 ნ.ბერძენიშვილი, ს.ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე (რეცენზია). მიმომხილველი, III, თბილისი, 1953, გვ. 201.

39 ალ.ქათამაძე. პეტრა ციხე-ქალაქის შესახებ. – გაზ. „საბჭოთა აჭარა", №178, 9 სექტემბერი, 1963.

40 ა.ინაიშვილი. ციხე-ქალაქი პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. – სდსძ, II, თბილისი, 1971, გვ. 74-88; მისივე: პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. – სდსძ, II, 1971, გვ. 91-107; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები (1959-1971). – სდსძ, III, თბილისი, 1973, გვ. 3-7.

41 დ.ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. – სდსძ, XV, თბილისი, 1982, გვ. 9-17.

42 დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1977, გვ. 102, 104, 108, 128.

ითაური,[43] ე. ლექვინაძე[44]). ბოლო წლებში პეტრას ლოკალიზაციის სრულიად განსხვავებული და ახლებური ინტერპრეტაცია მოგეცა გ.გრიგოლიამ. მკვლევარი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური თუ საისტორიო გეოგრაფიის მონაცემების ანალიზის საფუძველზე პეტრას არსებობას ხოფას სანახებში (თურქეთის რესპუბლიკა) ვარაუდობს,[45] ხოლო ციხისძირს პტოლემაიოსის მიერ აფსაროსსა და ფასისს შორის მოქცეულ მეორე სებასტოპოლისთან აიგივებს.[46]

წერილობითი წყაროებისა (პროკოფი კესარიელი) და ციხისძირის ტოპოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების შეუსაბამისობაზე მიუთითებს ნ. ინაიშვილიც, რის გამოც მას პეტრა-ციხისძირის იგივეობაში ეჭვი შეაქვს. მისი აზრით, პეტრას ლოკალიზაციის საკითხი არ შეიძლება დღეისათვის ჩაითვალოს გადაჭრილად. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ V საუკუნის დასაწყისის ძეგლში (Notitia dignitatum) მოხსენიებულ მოხორაში, შესაძლებელია, ციხისძირი იგულისხმებოდეს.[47] აღნიშნულ საკითხს საბოლოოდ მოაფენდა შუქს ციხისძირთან ერთად ხოფას არქეოლოგიური შესწავლა.

ციხისძირის დედაციხის კოშკებმა თუ დამცველმა კედლებმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმის ნაესადგურის მშენებლობისათვის მთის ძირში მოწყობილმა კარიერმა დააზიანა ციხის კედლები. დასავლეთი ფერდობი ციხის კედლებისაურთ აფეთქების შედეგად დაინგრა.[48] სამხრეთ ბორცვზე მდებარე საფორტიფიკაციო სისტემის ერთ-ერთი კოშკი აგარაკის მშენებლობის დროს, ადგილის მოსწორების მიზნით, ააფეთქეს. XX საუკუნის 30-იან წლებში ბორცვის აღმოსავლეთ და ჩრდილო ფერდობებზე ლიმონარიუმის მშენებლობის შედეგადაც განადგურდა კულტურული ფენები. დაზიანდა ციხის კედლებიც.

ციხე-ქალაქი გაშენებულია ორ ბორცვზე. მისი კედლების მშენებლობაში ორი პერიოდი გამოიყოფა – ადრე შუა საუკუნეების და ოსმალთა ხანისა. იუსტინიანეს (527-563 წწ) ეპოქას მიაკუთვნებენ ჩრდილოეთი ბორცვის აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილ ციხის კედლებსა და კოშკებს.[49] დროთა განმავლობაში აღნიშნული კედლები მნიშვნელოვნად გადაკეთდა. საფორტიფიკაციო სისტემა ნაგებობებითურთ, მიჩნეულია პეტრას შიდაციხედ, რომელიც შედარებით მომცრო სამხრეთ ბორცვზე არსებულ კოშკთან დაკავშირებული იყო ორმაგი ძირითადი კედლით.[50] მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა კარიბჭე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან სწორკუთხა კოშკი აქვს მიშენებული.[51] ვ.ლექვინაძის აზრით, კედლების ადრეულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მსგავსი უფრო რთული სისტემის თავდაცვითი კედლები აგებული იყო კონსტანტინოპოლშიც იმპერატორ თეოდოს II მიერ.[52] შეინიშნება ბიზან-

---

43 Мелитаури К.Н. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, III, Тбилиси, 1971, сс. 16-20.

44 Леквинадзе В.А. О постройках Юстиниана Западной Грузии. – ВВ, 34, Москва, 1973, сс. 169-186

45 გ.გრიგოლია. დასახ. ნაშრომი, გვ. 11-78.

46 იქვე, გვ. 78-144.

47 ნ.ინაიშვილი. ციხისძირი ახ. I-VI სს. გვ. 115-116.

48 ვ.სიჭინავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 42-60.

49 Мелитаури К.Н. დასახ. ნაშრომი გვ. 16-17, სურ. 12/3,7; ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირის 1962-1965 წწ. ჩატარებული ..., გვ. 122-124.

50 ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები, გვ. 125; ი. ინაიშვილი, ი.ჩაველეიშვილი, ახალი აღმოჩენები პეტრა-ციხისძირის აკროპოლისზე – ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, II, სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები, თბილისი-ბათუმი, 2000, გვ. 6.

51 Мелитаури К.Н. დასახ.ნაშრ ომი, გვ. 18; Леквинадзе В.А. დასახ. ნაშრომი, გვ. 174; ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 124-130.

52 Леквинадзе В.А. დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

ტიური საფორტიფიკაციო მშენებლობისათვის დამახასიათებელი წყობა "pus mixtum", ანუ ქვითკირის წყობაში აგურის სწორ ფენებად განლაგება.

შიდა ციხის მიწისზედა ნაგებობიდან ადრიდანვე ყურადღებას იქცევდა ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილი ნაგებობის ნაშთები. დადგინდა, რომ იგი წარმოადგენდა მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიას ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც ოსმალებს სამეურნეო სათავსოდ გადაუკეთებიათ. ფიქრობენ, რომ ეკლესია გადახურული იყო კამარით, აფსიდი კი — კონქით. ნაგებია დამუშავებული ქვებით კირხსნარზე. ჩრდილო-დასავლეთი კუთხის გაწმენდისას აღმოჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ იგი ფრესკებით ყოფილა მოხატული. ეკლესია X-XIV საუკუნეებით თარიღდება.

ეკლესია აუშენებიათ ძველი სამნავიანი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ.[53] ამავე პერიოდის ჩანს დუღაბში ჩასმული ქვეყრების ნაშთები. აქვე ნაპოვნია მოჭიქული კერამიკა, მინის სამაჯურის ნატეხი, ვერცხლის თასის ფრაგმენტი, ქვის ემბაზი.[54] საყურადღებოა X-XI საუკუნეებით დათარიღებული შეკიდული ტყვიის ბეჭედი წმინდა გიორგის გამოსახულებით.[55] ციხის ყველაზე გვიანდელი ფენები XVIII-XIX საუუნეებს განეკუთვნება. ამ დროს აქ თურქული გარნიზონები იდგა. ნაპოვნია ზარბაზნის ჭურვები, აგურის, კრამიტის, ფაიფურის, მოჭიქული ჭურჭლისა და ჩიბუხების ნატეხები.[56]

საინტერესო აღმოჩნდა 1962-1963 და 1991-1994 წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები შიდა ციხის ტერიტორიაზე.[57] დადასტურდა, რომ დედაციხეს აღმოსავლეთითაც ჰქონია კარები, რაც არ ჩანს პროკოფი კესარიელის აღწერილობაში. პროკოფი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ პეტრას მხოლოდ ერთადერთი ეიწრო შესასვლელი ჰქონდა დაბლობში.[58] აღმოსავლეთი კარიბჭის გაწმენდისას გამოვლინდა ციხის კედლების ყველაზე უფრო ადრეული წყობა, რომლებიც, სპეციალისტთა დაკვირვებით, VI საუკუნეს განეკუთვნება. ციხის კარები ურდულით იკეტებოდა, რაზეც ორივე მხარის ურდულის დასამაგრებელი ხვრელები მიუთითებს. კარიბჭეს ორივე მხარეს ჰქონია დამცავი კოშკები. საყურადღებოა აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭის ჩრდილოეთი კედლის წყობაში დარიანი კრამიტით გამოყენანილი ბოლოებგაფართოებული ჯვრის გამოსახულება, რომელიც ოსმალებს კირით დაუფარავთ. ანალოგიური გამოსახულება გეხვდება კონსტანტინოპოლში იუსტინიანეს ეპოქის კარიბჭის კედლებზე.[59]

აკროპოლისის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენაა რიგს მიეკუთვნება სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც აქვს წაგრძელებული პროპორციები და ხუთწახნაგა აფსიდი. შიდა საყრდენებიდან გადარჩენილია სვეტის რამდენიმე საძირკველი. ვარაუდობენ თითო რიგში ხუთი ასეთი სვეტის არსებობას. ბაზილიკის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით დუღაბზე. აფსიდი გარედან მოპირკეთებულია თანაბარი ზომის თლილი ქვებით. ფიქრობენ, რომ იგი გადახურული იყო ხის კოჭებითა და ნივნივებიანი კონსტრუქციით. ბაზილიკა, რომელიც წარმოადგენდა პეტრას საკათედრო ტაძარს, დათარიღებულია VI

---

53 ალანაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 130-132, 137, ტაბ. VI-2; ნინაიშვილი, ციხისძირის..., გვ. 10, ტაბ. I-10, II-1.

54 ალანაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 130, 134, 137, 138; ლ.ჩხაიძე, მინის ნაწარმი ციხისძირიდან. — სდსძ, VII, თბილისი, 1978, გვ. 62-63.

55 ი.ია შვილი. ტყვიის ბულა პეტრა-ციხისძირიდან. — სდსძ, XIII, თბილისი, 1985, გვ. 117, სურ. 1.

56 ალანაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 130-134.

57 შიდაციხეს ამჟამად უკავია ტერიტორია, რომლის სიგრძეა 200 მ, სიგანე — 100 მ, ვარაუდობენ, რომ თავდაპირველი სიგანე 200 მ აღწევდა.

58 გეორგიკა, II, გვ. 85.

59 Мелитаури К.Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17, სურ. 12/3; ალანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138-140, ტაბ. IV-5,6/4; ნინაშვილი, ციხისძირის..., გვ. 9. ტაბ. I,4; II.

საუკუნით. გამოირჩევა დიდი ზომებით, რითაც იგი განსხვავდება დასავლეთ საქართველოს თანადროული ბაზილიკური ტიპის ეკლესიებისაგან (ბიჭვინთა, ვაშნარი).[60]

ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა თანადროული აბანოს ნაშთები. აბანო მეცხოვნეთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.[61]

1991-1994 წლებში წარმოებული გათხრების დროს შიდა ციხის ტერიტორიაზე გამოვლინდა რიყის ქვითა და აგურით კირხსნარზე ნაგები, აგურითვე მოპირკეთებული იატაკიანი შენობა (სიგრძე 6,20 მ, სიგანე 3,30 მ, სიმაღლე 3 მ, დერეფნის სიგრძე 1,70 მ, სიგანე 1,55 მ). მისი კედლები შელესილი იყო კირხსნარით, ხოლო თაღოვანი გადახურვის მქონე ჩრდილოეთი ნაწილი შიგნიდან დაფარული იყო პიდრავლიკური ხსნარით. არაა გამორიცხული, რომ იგი გამოყენებული იყო მეცხოვნეთათვის განკუთვნილი პროდუქტების შესანახად. სარდაფის ტიპის სქელკედლებიან ნაგებობაში ტემპერატურის ცვალებადობას ადგილი არ ექნებოდა. მისგან სამხრეთით აღმოჩნდა აუზისები ღია ნაგებობა, რომელსაც ვარაუდით სამეურნეო დანიშნულებით იყენებდნენ (დამარილებული ხორცის ან თევზის შესანახად). მსგავსი ნაგებობა აქ 1962 წელსაც იქნა გამოვლენილი. გალავნის ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა ხის ძელური ნაგებობის ნაშთები (4X4 მ-ზე), რომელიც კრამიტით ყოფილა გადახურული. ნაგებობა საკუჭნაოდაა მიჩნეული და ახ.წ. VI საუკუნითაა დათარიღებული. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ტყვეის ბუსა, ვერცხლის ბეჭედი, ვერცხლის საყურის ფრაგმენტები, ბრინჯაოს ანქესი, ადრე შუა საუკუნეების კერამიკული ტარის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტი.[62] ნაგებობის შიგნით ელაგა ათამდე მთლიანად დაცული ამფორა და ამდენივე პითოსი, ფრინველის, საქონლის ძვლებისა და ზღვის მოლუსკების ნაშთები. აღსანიშნავია დოქის ფრაგმენტი, რომელზედაც ღუნაა გამოსახული. აქვე ნაპოვნია რამდენიმე რკინის ისრისპირი, ვერცხლისა და ბრინჯაოს ფულები, ბრინჯაოს ბალთები.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდა გარექალაქის ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობდა აკროპოლისის ჩრდილოეთით დაახლოებით 500 მ-ის მოშორებით. ზღვის სანაპირო ზოლში.[63]

შესწავლილია ადრე შუა საუკუნეების კიდევ ერთი სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები (აღმოჩნდა მარმარილოს დეტალი, ქვის კაპიტელი, მოზაიკის ფრაგმენტები, ჯვრის გამოსახულებიანი კვადრი, აკლდამა და სხვადასხვა სახის არქეოლოგიური ნივთები).

კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა ახალმშენებლობასთან დაკავშირებული 1983-1988 წლების გათხრები, რომლის შედეგად გამოვლინდა რიგით მცხოვრებთათვის განკუთვნილი აბანო.[64] მ'ხის სითბოს წყაროს მაქსიმალურად გამოყენების მიზნით ნაგებობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენაა დამხრობილი და შედგება ანფილადურად განლაგებული ექვსი განყოფილებისაგან: ე.წ. აპოდიტერიუმი, ფრიგიდარიუმი, ტეპიდარიუმი, კალდარიუმი და პრეპურნიუმი. მეექვსე განყოფილების დანიშნულების ზუსტად განსაზღვრა არ ხერხდება. აბანოს სიგრძეა 20 მ, სიგანე – 10 მ. შემორჩენილი კედლების სიმაღლე – 0,25-0,3 მ. გადარჩენილია მხოლოდ ქვედა სართული – სარდაფის განყოფილებები. საძირკველი და კედლები ნაგებია დუღაბზე დამუშავებული ბაზალტის

---

60 Леквинадзе В.А. დასახ. ნაშრომი, გვ. 176, 179, სურ. 5; ა.ინაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133, 138; Мелитаури К.Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18; ნ.ინაიშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VI ს, გვ. 10, ტაბ. I2, II2.

61 Леквинадзе В.А. დასახ. ნაშრომი, გვ. 173-176, სურ. 5; ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 141-146, ტაბ. VI-3, X, XI; ნ.ინაიშვილი, ციხისძირის ..., გვ. 11, ტაბ. I3; II3.

62 ნ.ინაიშვილი, ო.ჩავლეიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 7-9.

63 ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 147-148.

64 ნ.ინაიშვილი. ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. – სდსძ, XVII, თბილისი, 1988, გვ. 76-85

ქვებით. წყობაში შეიმჩნევა აგურის პორიზონტალური რიგები. შესასვლელი პორტიკით იყო გადაწყვეტილი. იატაკი რიყის ქვითაა მოფენილი, რომელსაც ზემოჟან დაფშვნილი კერამიკის ფენა ადევს. აბანოს გააჩნდა ცივი და ცხელი წყლის აბაზანები. კალდარიუმი ანუ ცხელი წყლის აბანო მთლიანად მოკირწყლული ყოფილა აგურის ფილებით. იატაკის საყრდენებად გამოყენებულია მოგრძო აგურისაგან შედგენილი სვეტები და კერამიკის მილისებრი ნასერეტიანი სადგრები. აბანოში კედლების გასათბობად გამოიყენებოდა კედლებშიეე ჩაშენებული სპეციალური კერამიკული დეტალები. აბანოს ჰქონია კოლექტორი. გათხრების დროს დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ბრტყელი გვერდაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები, რაც მკვლევართ აფიქრებინებს, რომ ისინი აბანოს სახურავად იყო გამოყენებული. უნიკალურ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება რკინის ორი ცალი სამშენებლო ქაფჩა, რომელიც აღმოჩნდა აპოდიტერიუმის აფსიდის წყობაში.

აკროპოლისის ჩრდილოეთით, ზღვის სანაპიროსთან ახლოს, აღმოჩნდა სასახლე (ფართობი 600 მ^2, სიგრძე 27,8 მ, სიგანე 20 მ), რომელიც სხვადასხვა ფუნქციის შენობათა ერთობლიობას წარმოადგენს. ესენია კვადრატული კოშკისებური სათაესოებით აღჭურვილი „შიდა ეზო“, ინფილადურად განლაგებული აბანო, ერთნაციანი ეკლესია, მარანი და ა.შ. სასახლე მდიდრულად გამოიყურება. მას ჰქონდა პორტიკიანი შესასველი. აბანოს აპოდიტერიუმისა და ფრიგიდარიუმის კედლები და იატაკი მოპირკეთებული იყო მარმარილოს ფილებით. კედლის წყობაში მარმარილოს ფილების ჩასამაგრებლად გამოუყენებიათ ბრინჯაოს ბრტყელი, ბოლოებმოკეცილი ლარტყები. მარმარილოს ზოგიერთ ფილას გვერდებზე აქვს ფოსოები, რომელშიც ბრინჯაოა ჩარჩენილი. ფრიგიდარიუმის განყოფილებაში შემორჩენილია მარმარილოსა და სხვა ქვების დიდი ზომის ფილებით შედგენილი მოზაიკა, რომელიც აწყობილია ექვსკუთხა, მონაცრისფრო მარმარილოს ფილებისა (ზომები: 17,5X8,5X2,6 სმ) და თიხის კვადრატული ფორმის (10X9X3 სმ) ფირფიტებით. მოზაიკის მარმარილოს ერთ-ერთ ფილაზე შემორჩენილია ამოკაწრული ბერძნული წარწერა „ΚΚΥΡΙΕΒ|ΟΗΘΕΙ“ („უფალო შემეწიე“). ციხისძირის მოზაიკა სიახლოვეს იჩენს ძალისისა და ბიჭვინტის ძეგლებთან, ასევე შუხუთის აბანოს აპოდიტერიუმის ორნამენტულ დეკორთან.[65] სასახლე ციხისძირის სხვა ძეგლების თანადროული უნდა იყოს, საკარაუდოდ, იგი ფუნქციონირებდა ახ.წ. IV-VI საუკუნეებში. როგორც ჩანს, დედაციხის გარდა მმართველი არისტოკრატია გარე ქალაქის ტერიტორიაზეც სახლობდა.

როგორც ვხედავთ, ციხისძირი წარმოადგენდა ადრე შუა საუკუნეების ციხე-ქალაქის კლასიკურ ნიმუშს. მას ჰქონია დედაციხე, გარექალაქი უბნებითა და ნაგებობებით. მაღალ დონეზე იდგა მშენებლობის ხელოვნება, სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურება და წყალმიმარაგება-კანალიზაციის სისტემები. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოდ გამოიყურება პროკოფი კესარიელის ცნობები: „როდესაც ხოსრომ პეტრა აიღო და იქ მცველი რაზმი ჩააყენა, მან კარგად იცოდა, რომ რომაელები ყოველი ღონით შეეცდებოდნენ წყალსადენის გადაჭრას და ამიტომ მოიაზრა შემდეგი: ის წყალი, რომელიც ქალაქში შედიოდა, სამ ნაწილად გაპყო, საკმაოდ ღრმა თხრილი ამოიღო და ჩააშენა სამი მილი; ერთი ქვემოთ, თხრილის ძირში, რომელიც მან ნეხვითა და ქვებით დაფარა შუა თხრილამდე; აქვე მეორე მილი ჩადვა და დამალა, ხოლო ზედა მესამე დაუშენა, მიწის ზემოთ და ყველასათვის დასანახავად. ამრიგად, არხი ფარულად, სამსართულიანი გამოვიდა. თავდაპირველად ალაჯა რომ შემოარტყეს, რომაელებმა ეს არ

[65] N.Inaishvili, G.Tavamaishvili. Tsikhisdziri villa. – Abstracts, Second International Congress on Black Sea Antiquities, Birlent University, Ankara, Turkey – 2001, გვ. 36. უფრო დაწვრილებით იხ: ნ.ინაიშვილი, გ.თავამაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ციხისძირის რაზმის 1988 წლის ანგარიში (ხელნაწერი), ბათუმი, 1989, გვ. 1-12.

იცოდნენ და ის მილი რომ გადაჭრეს, რომელიც ჩანდა, მეტი კი აღარ გაუგრძელებიათ მუშაობა თხრილში, არამედ შეწყვიტეს მუშაობა, სანამ შემდეგ მილს მიაღწევდნენ, და ფიქრობდნენ, რომ ალყაშემორტყმულნი უწყლოდ დარჩნენ: შეცდომაში ჩაეარდნენ იმის წყალობით, რომ მუშაობა უთაებოლოდ ჩაატარეს. გარემოცვა რომ გაგრძელდა, რომაელებმა ტყვედ ჩავარდნილი სპარსელებისგან შეიტყვეს, რომ ალყაშემორტყმულები წყალსადენიდან ღებულობდნენ წყალს. და, აი, მათ გათხარეს მიწა და აღმოაჩინეს იქ მეორე მილი, მაშინვე გადაჭრეს ის და ფიქრობდნენ, რომ ამით მათ საბოლოოდ გასტეხეს მტრის ძალა. ასე რომ, მეორეჯერაც წარსულის გაკეთილმა მათ ვერაფერი ასწავლა. ხოლო როდესაც ქალაქი აიღეს და დაინახეს, როგორც ეთქვი, წყალსადენიდან მომდინარე წყალი, გაუკვირდათ და დიდ საგონებელში ჩავარდნენ. ტყვეებისაგან რომ საქმის ვითარება მოისმინეს, მიხვდნენ ნაგვიანებად, თუ რაოდენი სიბეჯითე გამოუჩენია მტერს საქმეში და როგორ დაუდევრობით მოკიდებიან თვითონ მუშაობას".[66]

გვიანანტიკურ ხანაში, როგორც ვიცით, გონიო-აფსაროსი წარმოადგენდა არა მარტო საქართველოს ხღვისპირეთის, არამედ რომის აღმოსავლეთი იმპერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ ცენტრს. ადრეფეოდალურ ხანაში მისი როლი გარკვეულად დაკნინებული ჩანს. აფსაროსის ნაქალაქარის სტრატიგრაფია გვიჩვენებს, რომ ციხეს ახ.წ. III საუკუნის მიწურულს შეუწყვეტია ფუნქციონირება. თანადროულ კულტურულ ფენებს ემჩნევა ნგრევისა და ხანძრის კვალი. მართალია, წყაროები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან, მაგრამ ცნობილია, რომ ამ პერიოდში პონტოსპირეთის მრავალი ქალაქი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან შემოჭრილმა გუთებმა ააოხრეს (Zos., Hist. Nova, 1,31-33). დიოკლეტიანეს მმართველობის პერიოდში უკვე სარმატები შეესივნენ ლაზეთს (Const. Porphyr.. De Admin. Imp., 53). ახ.წ. IV საუკუნეში აქ აღარ იდგა რომაული გარნიზონი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კასტელების ჩამონათვალში აღარ ჩანს აფსაროსი (Amm.marc., Res Gastae, XXII, 8,24; Notitia dignitatum, Or, 38). უფრო მეტიც, ახ.წ. V საუკუნის ანონიმი ავტორი ფსევდოარიანე აფსაროსს სოფლად მოიხსენიებს (PPE, 41). საინტერესოა ის მომენტიც, რომ ბიზანტიელებს ეს პუნქტი სრულიად გაპარტახებული დახვდათ (St. Byz., S.V. Ἀψυρτίδες; Proc., BG, VIII,2). დაახლოებით ამავე პერიოდისაა აგათია სქოლასტიკოსის ცნობაც, რომლის თანახმადაც სენატორმა ათანასემ გუბაზ მეფის მკვლელები იოანე და რუსტიკე ქალაქ აფსარუნტში გაგზავნა და იქაურ სატუსაღოში დაამწყვდევინა.[67]

აფსაროსი ერთ ადგილას ქალაქად პროკოფი კესარიელთანაცაა დასახელებული.[68] აქ საქმე გვაქვს წერილობითი წყაროების ერთგვარ შეუსაბამობასთან. როგორც ჩანს, ამ პერიოდში აფსაროსი უმნიშვნელო როლს ასრულებდა, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს.[69] აფსაროსის ციხე-ქალაქის ცხოვრების მორიგი გამოცოცხლება ახ.წ. VI საუკუნის შუა ხანებიდან იწყება, რაც დაკავშირებულია ბიზანტიელთა გააქტიურებასთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ახ.წ. VI საუკუნის შუა წლებში სპარსეთ-ბიზანტიის ომების დროს სებასტოპოლისი, პიტიუნტი და პეტრა ბიზანტიელებს უნდა მოეშალათ, რის გამოც, ბუნებრივია, აფსაროსის სტრატეგიული მნიშვნელობა გაიზარდა. აუცილებელი გახდა ციხის აღდგენა. სავსებით შესაძლებელია, რომ ბიზანტიე-

66 გეორგიკა, II, გვ. 179.

67 გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1936, გვ. 82-83.

68 გეორგიკა, II, გვ. 96.

69 დაწვრილებით იხ: ე.კახიძე, მ.ხალვაში. გონიო-აფსაროსის წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (I-VI სს). – კულტურის ისტორიის საკითხები, V, თბილისი, 1998, გვ. 29-33.

ლთა უკიდურესმა საზღვარმა აღმოსაელეთ შავიზღვისპირეთში მდ. ჭოროხთან-აფსაროსის ციხესთან გადმოინაცვლა. შესაბამისად, ახ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიური წყარო „პასქალური ქრონიკა“ აფსარს-ს უწოდებს.[70] მას, როგორც სამხედრო ბანაკს, იცნობს ახ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი მწერალი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი: „ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსინეები დიდს სებასტოპოლისში, სადაც არის აფსაროსის ციხე, პისოს ნაკადგური და მდინარე ფაზისი...“[71] აფსარს აფსარეას სახელით იხსენიებს აგრეთვე VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე – დასავლეთ საქართველოს „საზღვარი არის ზღვაი პონტოსაი, სამკეიდრებელი ყოელადვე ქრისტიანეთაი, მოსაზღვრამდე ქალდიასა, ტრაპეზუნტაი მ'ეს არს, საყოფელი იგი აფსარეაისაი და ნაფსაი (ე.წ. ნიკოფსის) ნაეთსადგური“.[72]

უკანასკნელ ხანებში აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ადრე შუა საუკუნეების (უფრო VI საუკუნე) ნაგებობათა ნაშთები, წყალგაყვანილობის სისტემები, თიხისა და მინის მრავალფეროვანი ჭურჭელი, მონეტები და ა.შ.

ყურადღებას იქცევს ფიჭვნარის ადრეფეოდალური ხანის მონაპოვრები. პირველ რიგში აღსანიშნაეია ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნაშთები. იგი წარმოადგენდა მოგრძო სწორკუთხა ნაგებობას (ზომები: 12X11,2 მ-ზე, კედლების შემორჩენილი სიმაღლე 30-40 სმ. სიგანე 70 სმ), რომელსაც აღმოსაელეთ ნაწილში ჰქონია აფსიდა. ნაგებია ნაგლეჯი, დაუმუშაეებელი ქვებით კირხსნარზე.[73]

ფიჭვნარის ბაზილიკა ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ როგორც ნაგებობის შიგნით, ასევე მის გარეთ აღმოჩენილია თანადროული სამარხები. ბაზილიკის გათხრებისას ნაპოვნია სარკმლის მინის ნატეხები, მინის ჭურჭელი, აბზინდები, ბეჭდები, აგრეთვე, მარმარილოს მინიატურული ჯვარი, რომელზედაც ჯვარცმის სცენაა გამოსახული. ამათ ემატება ადრე შუა საუკუნეების სამშენებლო, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კერამიკის, მინის ჭურჭლის ნატეხები, რომელთა ნაწილი უცხოური წარმომაელობისაა.[74] ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის ფიჭვნარის მიდამოებში მოზრდილი დასახლება გაჩენილა, რომელსაც საკუთარი ეკლესიაც ჰქონია. დასავლეთ საქართველოში მეორე ძეგლი არც გეგგულება, სადაც წარმოდგენილი იყოს ასე ადრეული ბაზილიკის ნაშთები და სამარხები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ყოფის, კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლისათვის მეტად საინტერესო მასალებს იძლეეა ფიჭვნარისა და პეტრა-ციხისძირის სამაროვნები. დაკრძალვის წესებისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით ორივე სამაროვანი დიდ სიახლოვეს იჩენს.[75] სამარხები ინჰუმაციურია. კრემაციის ფაქტები ჯერჯერობით არაა დადასტურებული. ქრისტიანული ადათ-წესების შესაბამისად მიცვალებულს კრძალავდნენ თავით დასავლეთისკენ.

სამარხის ზომებისა და ინვენტარის მიხედვით ჩანს, რომ მიცვალებული იკრძალებოდა გაშოტილ პოზაში, ზოგჯერ გულხელდაკრეფილი. წინა ეპოქებისაგან განსხვა-

---

70 გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სკ.ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, გვ. 19.

71 გეორგიკა, IV, გვ. 15.

72 კ.კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბილისი, 1935, გვ. 66.

73 Кахидзе А.Ю. Восточное Причерноморье в античную эпоху, Батуми, 1981.

74 ა.კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბილისი, 1971, გვ. 70-72.

75 ნ.ინაიშვილი. ციხიძირის ახ.წ. I-VI სს., გვ. 81-98; ა.კახიძე, მ.ეიკერსი, შ.მამულაძე. ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, ბათუმი, 2000, გვ. 70-82.

ეებით, ხის კუბოსა და ხის გადახურვის მანიშნებელი რკინის ლურსმნები ციხისძირის გარდა სხვაგან არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, მიცვალებულთა დაკრძალვა ხდებოდა უშუალოდ ორმოსამარხებში, სუდარაში გახვეული (რამდენიმე შემთხვევაში შემორჩენილი იყო ქსოვილის ნაშთები).

სამარხებში ინვენტარი შემდევნაირად იყო განლაგებული: თავს იქით ‘სოგჯერ უდგამდნენ თიხის დოქებს; ორ შემთხვევაში ამათზე თიხის ნატეხები იყო დაფარებული, რაც გვაუწყებს, რომ მიცვალებულისათვის საიმქვეყნიო საგზალი გაუტანებიათ. აქვე ეწყო მინის ჭიქები, პირქვე ჩამხობილი წითელლაკიანი ლანგარი და მის ქვემოთ მინის სანელსაცხებლე ჭურჭელი. თავთან ახლოს ეწყო სამ-სამი ცალი, როგორც ჩანს, საავგაროზე მძივები, კაჟის ანამტვრევები, მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამები, კბილის ემალის ნაშთები, ვერცხლის მონეტები, თიხის დოქები, ქოთნები, მინის სასმისები და სანელსაცხებლე ჭურჭელი, ოქროს შესანიშნავი ყურსაკიდები, ვერცხლისა და ბრინჯაოს აბზინდები, მშვილდსაკინძები, რკინის სატევარი. ერთ შემთხვევაში ვერცხლის რგოლსაკიდ‘სე თითო ცალი ლურჯი და ყავისფერი მძივი იყო მორგებული; გულმკერდის არეში აღმოჩნდა ვერცხლისა და რკინის ფიბულები, რომელზედაც ქსოვილების ნაშთები იყო შეწებებული: ხელებთან ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, მინის სანელსაცხებლე, ვერცხლის სამაჯური, რკინის მშვილდსაკინძი და ცული, აგრეთვე, მონეტა და კაჟის იარაღი; რკინის ბეჭედი, ფიბულა. ინვენტარი ქვედა კიდურებთანაც ეწყო. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს რგოლი, ე.წ. წებელდური მოზრდილი დოქები, თიხის ჯამი. განსაკუთრებით საინტერესოა ციხისძირის ერთ-ერთ სამარხში ჩადგმული ამფორა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შესწავლილი წინა ეპოქების დაკრძალვის რიტუალის მიხედვით ვიცით, რომ ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედისათვის ამფორებით მიპქონდათ სა‘სედაშე ღვინო თუ ზეთუნის ზეთი აღაპის რიტუალის შესრულებასთან დაკავშირებით. ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებიდან ხშირად შეინიშნება კერამიკული ტარის – ამფორების სამარხეულ კომპლექსად გამოყენება. ამფორების სამარხებში ჩაყოლება გრძელდება ძვ.წ. IV საუკუნეშიც. ელინისტური ხანისათვის ამფორების სამარხეულ ინვენტარად გამოყენების შემთხვევები არაა ფიქსირებული. ციხისძირის მაგალითზე ამ უძველესმა წესმა ადრე შუა საუკუნეებში იჩინა თავი. უძველესი ტრადიციის გაგრძელებად გამოიყურება, აგრეთვე, მიცვალებულისათვის კაჟის იარაღების ჩაყოლების ფაქტიც.[76] ასევე ითქმის მონეტების ჩატანებაზეც. ისინი გვხვდება როგორც პირის, ისე ხელის არეში. ადრე შუა საუკუნეების სამარხეულ კომპლექსებში სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღებიც ხშირად ჩნდება.

ინპუმაციური ორმოსამარხების გარდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ადრე შუა საუკუნეებისათვის გავრცელებული იყო ახალშობილთა ამფორებში დაკრძალვის წესიც. პეტრა-ციხისძირის გათხრებისას აღმოჩნდა შვიდი ამფორასამარხი, ხშირ შემთხვევაში ინვენტარის გარეშე. მხოლოდ ერთ-ერთში იყო ბრინჯაოს მშვილდსაკინძი.

როგორც ცნობილია, ახალშობილთა ამფორაში დაკრძალვა წმინდა ბერძნულ ადათს წარმოადგენდა, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა არა მარტო მატერიკულ საბერძნეთში და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, არამედ ანტიკური სამყაროს პერიფერიებშიც. დაკრძალვის ეს წესი იჭრება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც. უძველესი ამფორასამარხები (მხედველობაშია გვეიანარქაული, ადრეკლასიკური ხანა) აღმოჩენილია ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლსა და ციხისძირის სამაროვნებში. ამავე ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ კლასიკური და ელინისტური ხანისათვის დაკრძალვის ამ რიტუალს იშვიათად ადგ-

[76] ა.კახიძე, მ.ვიკერსი, შ.მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

ილობრიეი მკვიდრნიც მიმართეადნენ. ამფორასამარხები ფართოდ ჩანს გავრცელებული რომაულ სამყაროშიც. მაგალითად, ბიჭვინტაში 65 ასეთი სამარხია აღმოჩენილი. მსგავსი ამფორასამარხები გონიო-აფსაროსშიც შეინიშნება. ადრე შუა საუკუნეების ამფორასამარხები კი მხოლოდ ციხისძირშია აღმოჩენილი. სადა ორმოსამარხების გარდა ყურადღებას იქცევს ფიჭვნარში ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე, კერძოდ, ადგილ „ნაპუალაზე“.ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკური ნაგებობის შიგნით აღმოჩენილი სამარხი, რომელიც დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. სამარხი 18 მთლიანი ოთხკუთხა მოყვანილობის აგურით იყო გადახურული. სახურავის ქვემოთ აღმოჩნდა ერიად შეგროვებული ადამიანის ძვლის ნაშთები. სამარხში გარდაცვლილი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, რომლის ნეშტი მოგეიანებით გადმოასვენეს. აქვე ბაზილიკური ნაგებობის ირგვლივ ნაპოვნია ორიოდე თანადროული ორმოსამარხი ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით, მინის კოლბისებური ბალსამარით. „ნაპურვალა“ ჯერ ჯერობით რჩება ერთადერთ ძეგლად დასავლეთ საქართველოში, სადაც ადრექრისტიანული ხანის ბაზილიკისავე ტერიტორიაზე თანადროული სამარხებიცაა ფიქსირებული.

ფიჭვნარისა და ციხისძირის ცალკეულ სამარხეულ კომპლექსებში წარმოდგენილია საკმაოდ საინტერესო ინვენტარი. მიუხედავად იმისა, რომ ახ.წ. IV-V საუკუნეებიდან ფეხს იკიდებს დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალი, კვლავაც გრძელდება წარმართული სარწმუნოებისათვის დამახასიათებელი ადათ-წესები, რაც უპირატესად მიცვალებულისათვის ინვენტარის ჩაყოლებით განისაზღვრება. აჭარისწყლის ხეობაში შესწავლილი სამარხების მიხედვით ვიცით, რომ დაკრძალვის ეს წესი გრძელდებოდა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც კი.[77]

სამარხეულ ინვენტარში წამყვან ადგილს სამეთუნეო ნაწარმი იკავებს. ტრადიციული ფორმებიდან აღსანიშნავია თიხის დოქები, ჯამები, ქოთნები და ა.შ. განსაკუთრებით კი ფიჭვნარის მე-5 სამარხში აღმოჩენილი დოქი, რომლის ძირზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. მსგავსი დოქები აღმოჩენილია წებელდის სამარხეულ კომპლექსებში.[78]

იშვიათია თიხის იმპორტული ნაკეთობანი. მხოლოდ თითო წითელლაკიანი ლანგარია აღმოჩენილი ციხისძირისა და ფიჭვნარის სამაროვანზე, რომელთაც პარალელები ეძებნება სოხუმის მიდამოების, ბიჭვინტისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის (ქერსონესი, ტანაისი, ტირიტაკი, ილურატი, კეპი, პანტიკაპეიონი და ა.შ.) მონაპოვრებში. ფიქრობენ, რომ ეს ნიმუშები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მზადდებოდა. ზოგიერთ სახეობას ჩრდილო აფრიკის საწარმოო ცენტრს უკავშირებენ.[79]

განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე აღმოჩენილ მინის ნაწარმს. საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდის მინის ჭურჭელი რომაულ ხანასთან შედარებით შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ მცირე რაოდენობითაა ცნობილი. ახალი არქეოლოგიური გათხრებით ეს ხარეეზი საგრძნობლად შეივსო. სახეზეა სამი დანიშნულების მინის ჭურჭელი: სანელსაცხებლეები, ფიალები და ჭიქები, რომელთაც პარალელები ეძებნება შავიზღვისპირეთის შესაბამის მასალებთან (წებელდა, ქერსონესი, ოლბია, პანტიკაპეიონი, კეპი, ტომი და ა.შ.).[80] ციხისძირში აღმოჩენილი

---

77 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993; შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების სამაროვნები. ბათუმი, 1998.

78 Гунба М.М. Новые памятники Цебельдинской культуры. Тбилиси, 1978, с. 68-69; Трапш М.М. Культура Цебельдинских некрополей. – Труды, 3, Тбилиси, 1971, с. 133.

79 ნ.ინაიშვილი. ციხისძირის ..., გვ. 82, ტაბ. 32/2; ტ.ებრალიძე. წითელლაკიანი კერამიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. – ლიტერატურული აჭარა, 4, ბათუმი, 1999.

80 ა.ალახიძე, მ.ვიკერსი, შ.მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 76-77, სურ. 2/2, ტაბ. IV/I, სურ. 5-2,4; ნ.ინაიშვილი. ციხისძირის..., გვ. 61-80; თ.შალიკაძე. გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი

ერთ-ერთი ფიალა ნახევარსფერული მოყვანილობისაა, რომლის ტანის შუა ნაწილი შემკულია რელიეფური ოვალებით. აქ აღმოჩენილ მინის ჭურჭლებს ანალოგები ეძებნება ხმელთაშუაზღვისპირეთში, გალიაში, კვიპროსზე, ჩრდილოშავიზღვისპირეთში (ოლბია, ქერსონესი, პანტიკაპეიონი), წებელდის ნეკროპოლზე.

ადრე შუა საუკუნეების სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი ნივთების ცალკე ჯგუფს რკინის საბრძოლო საძგერებელი და შრომის იარაღები ქმნიან. მიცვალებულის მარჯვენა თუ მარცხენა მხარეს ჩადებული ხისტარიანი რკინის შუბები წარმოდგენილი იყო როგორც ფიჭვნარის, ისე ციხისძირის სამარხებში.

შუბების თანმხლებია სხვადასხვა სახეობის რკინის ცულები. ყუაკვერიანი და მრგვალყუიანი ცულების გარდა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მესამე სახეობის ცულები, რომელთაც აქვთ ოთხკუთხა წაგრძელებული სატარე ხვრელი. ბრტყელი მომაღლო ყელი და ფართო, ოთხკუთხა მოყვანილობის პირი. მსგავსი ცულები „ლაზური ცულის" სახელწოდებით დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში, რომელიც კონსტრუქციულად განსხვავდება სხვა ტიპის ცულებისაგან. ფუნქციის მიხედვით ისინი ძირითადად სახლის მშენებელთა იარაღია. მსგავსი იარაღი დღესაც ფართოდაა გავრცელებული ლაზებში, ჭოროხის მხარის ქართველ მოსახლეობაში, აჭარაში.[81] ეთნოლოგები ფიქრობენ, რომ „ლაზური ცული" იგივე „ტრაპიზონის ცული" უნდა იყოს,[82] რომელსაც იხსენიებს XVI საუკუნის ისტორიკოსი ეელია ჩელები. იგი წერდა: „აქ ერთი სახის ცულებს აკეთებენ, რომლებსაც ტრაპიზონის ცულებს უწოდებენ და სხვა ქვეყანაში მისი მსგავსი არ არის".[83] შრომის იარაღები ჩაყოლებულია წებელდის სამარხებშიც. ეს წესი დამახასიათებელი ჩანს ჩრდილო შავიზღვისპირეთის რომაული ხანის სამარხებისათვისაც.[84]

ცული უძველესი ეპოქებიდან იყო თაყვანისცემის საგანი. იგი უკავშირდება მზის, ნაყოფიერების კულტს. მას იყენებდნენ საქორწინო რიტუალებშიც, ავადმყოფთან და მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში. ძველ სლავებში ცული პერუნის კულტთან იყო დაკავშირებული.[85]

აღმოჩენილია ზურგსწორი და ოდნავ მოხრილი რკინის დანები. წებელდაში მსგავსი დანები გვხვდება როგორც მამაკაცების, ასევე ქალების სამარხებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დამუშავებული კაჟის იარაღების ჩაყოლების ფაქტი, რაც ფიჭვნარის და ციხისძირის გარდა დასტურდება წებელდისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სამარხეულ ინვენტარშიც. ციხისძირში ქარქაშიანი რკინის სატევარიცაა აღმოჩენილი.

ადრეშუასაუკუნეების სამარხეულ ინვენტარში მეტ-ნაკლები რაოდენობით სამკაულებიც გვხვდება. თითქმის ყველა სამარხში აღმოჩნდა ნაირ-ნაირი მძივები, რომლებიც გამოყენებულია ყელსაბამებად, ტანსაცმლის შესაკრავ ღილებად, ავგაროსებად. ფიჭვნარის ეერცხლის ყურსაკიდებზე თითო ცალი მძივიც იყო ჩამოკიდებული. მძივების დიდი ნაწ-

---

ფიჭვნარის სამაროვნიდან. – კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, VIII, თბილისი, 2000, გვ. 36-44; ა.კახიძე, თ.შალიკაძე. მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. – ფიჭვნარი IV-გონიო-აფსაროსი IX, ბათუმი-ოქსფორდი, 2009.

81 ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში. – სდსკ, XVII. თბილისი, 1990, გვ. 16.

82 იქვე.

83 ეელია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ქართულად თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ.ფუთურიძემ, ნაკვ. II. თბილისი, 1971, გვ. 90.

84 Зубарь В.М. Некрополь Херсонеса Таврического I-IV вв. н.э., Киев, 1982, с. 64.

85 Даркевич В.П. Топор как символ Перуна в древнерусском язычестве. – СА, Москва, 1961; Смирнов К.А. Новые данные о погитании топора древними славянами. – СА, 3, Москва, 1973.

ილი იყო ჩამოკიდებული. წარმოდგენილია ე.წ. მოზაიკური მძივები, რომელთა დამზადება ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ალექსანდრიაში დაიწყო პტოლემეების ხანაში. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული ჩანს ახ.წ. IV-V საუკუნეებში.[86] სამკაულების გარკვეულ ჯგუფს ოქროს ნაკეთობანი ქმნიან. ამ მიმართებით პირველ რიგში აღსანიშნავია ფიჭვნარის მონაპოვრები. საიუველირო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ოქროს ბეჭედი თვალბუდიანი – ჩასმულია მუქი წითელი ფერის შესანიშნავად დამუშავებული ძოწის თვალი, რომელიც ცრუგავარსით შემკული ოდნავ წაგრძელებული რელიეფური წრეხაზითაა შემოფარგლული. რკალი მიღებულია ცრუგავარსით დაფარული წვრილი მავთულების მირჩილვის გზით, რომლის ბოლოები თვალბუდესთან სამად იტოტებიან.

ახლად აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი წარმოადგენს ამ ეპოქის საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. მაღალმხატვრულობის თვალსაზრისით, მას უშუალო პარალელი არც ეძებნება. ფორმისა და გარკვეულად შემკობის მოტივების მიხედვითაც ჩვენს მონაპოვარს ემსგავსება და მისი თანადროული ჩანს სოფ. ვაშლიჯვარის,[87] თელოვანის,[88] არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანზე,[89] ურბნისის ნაქალაქარზე[90] აღმოჩენილი ოქროს ბეჭდები.

შესანიშნავია ოქროს საყურეებიც, ვერცხლის ნაკეთობა, რომლის ოქროს ერთმანეთთან დაკავშირებულ თვალბუდეში ჩასმულია სამი მუქი წითელი მინის თვალი.

თავსამკაულებიდან აღსანიშნავია ციხისძირში აღმოჩენილი ოქროს რგოლი, რომელიც დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან.

ფიჭვნარში აღმოჩენილია ვერცხლის სამაჯურები, ილარი, სხვადასხვა სახის ბეჭდები. ე.წ. გლიპტიკური ძეგლები – გემა-ინტალიოები. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი მარცხენა პროფილში. იგი ემსგავსება ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ბეჭედს.[91] მეორე ბეჭედზე ფრინველის (მტრედის?) გამოსახულებაა მოცემული.

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან გამოიყოფა რკინის, ვერცხლის თუ ბრინჯაოს ფიბულები და აბზინდები. ციხისძირის ამფორასამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს მშვილდსაკინძზე მიჯაგული იყო ქსოვილის ნაშთები, ჩანს, რომ ბაევში ფიბულით შეკრულ სუდარაში იყო გახვეული.

გვიანანტიკურსა და ადრეშუა საუკუნეების ხანაშიც გრძელდება მიცვალებულისათვის ე.წ. „ქარონის ობოლის", მონეტის ჩაყოლების წესი. მათი დიდი ნაწილი ადრეულ პერიოდს, კერძოდ, რომაულ ხანას განეკუთვნება. როგორც ჩანს, სამარხეულ ინვენტარად გამოიყენეს მიმოქცეულიდან გამოსული მონეტები. ფიჭვნარში მოპოვებულია ანტონინე პიუსის, ხოლო ციხისძირში – ადრიანეს და სეპტიმუს სევერიუსის სახელზე მოჭრილი მონეტები.

სამაროვნების გარდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და კულტურის საკითხების კვლევისა-

---

86 Деопик В.Б. Классификация бус северного Кавказа. – СА, 3, Москва, 1959.

87 ვ.ნიკოლაოშვილი. ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. თბილისი, 1978, გვ. 92, ტაბ. 41/7.

88 რ.აბრამაშვილი, ვ.ნიკოლაოშვილი, ა.რამაშვილი. დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის ანგარიში. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბილისი, 1972, გვ. 14.

89 ა.აფაქიძე, გ.გობეჯიშვილი, ა.კალანდაძე, გ.ლომთათიძე. მცხეთა, I. თბილისი, 1955, გვ. 104-128, ტაბ. XCVII/7[a], CV/9-21. სურ. 136/5.

90 ლ.ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი, 1964, სურ. 34.

91 ქ.ჯაფარიძეშვილი. ფიჭვნარის სამაროვანზე 1998 წელს მოპოვებული გლიპტიკური ძეგლები (ხელნაწერი). თბილისი, 1999, გვ. 4 (ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში).

თვის საინტერესო მასალაა მოპოვებული ფიჭვნარის („ნაპურვალას ბორცვი"), ციხისძირისა და გონიო-აფსაროსის ნაქალაქარების კულტურული ფენების შესწავლის დროს. ესაა მრავაფეროვანი სამეთუნეო ნაწარმი, მინის ნაკეთობანი და ნუმიზმატიკური ძეგლები.

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლების დიდ ჯგუფს ქმნის ქვევრები (ზოგიერთზე ბერძნული ასოებისაგან შედგენილი მონოგრამაა ამოკაწრული). სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია ქოთნები, დოქები, ტუნიანი ღრმა ჯამები, ე.წ. ლუთერიები, წითელი წერნაქით დაფარული ხელადები, წითელლაკიანი ჯამები და თეფშები. უცხოური წითელლაკიანი ლანგრები ტიპოლოგიურად შეესაბამებიან ხმელთაშუაზღვისპირეთში ახ.წ. IV საუკუნის მიწურულსა და V საუკუნეში გავრცელებულ ფორმებს.[92] მრავალფეროვნებით ხასიათდება აფსაროსში მოპოვებული კერამიკული ნაკეთობანიც. აქაც სჭარბობს ამფორები. ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ გარესამყაროსთან ურთიერთობაში წამყვან ადგილს აღმოსავლეთ შუაზღვისპირეთის სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრები იკავებენ, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთი მცირე აზია და ჩრდილოეთი სირია (ანტიოქია, სელევკია). ბევრია ადგილობრივი ამფორა.[93]

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს 2003 წელს დაბა ხელვაჩაურში მ. ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩენილი შესანიშნავად დაცული არაბული ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც საგანგებოდ დამზადებულ თავსახურიან თიხის ჭურჭელში იყო ჩაწყობილი. აქვე იყო ვერცხლისაევე ბეჭედიც. წინასწარეულად ხელვაჩაურის განძი VII-VIII საუკუნეებით თარიღდება. მათი რიცხვი 150-ს შეადგენს.[94]

ბუნებრივია, საქართველოში ამ სახის მონეტების გავრცელება არაბთა ცნობილ ლაშქრობებს უკავშირდება. ადრე არაბული მონეტები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იყო აღმოჩენილი. ახალი მონაპოვრებით დასტურდება, რომ არაბთა ბატონობა მეტ-ნაკლები ინტენსიურობით დასავლეთ საქართველოსაც შეეხო. აღმოსავლეთ საქართველოში არაბული მონეტები ორ განსხვავებულ სექტორშია დალექილი. პირველში ექცევა თბილისი-მცხეთა-სამთავრო-ავჭალა-კასპი, სამგორი, რუსთავი; მეორეში კი ისტორიული ჰერეთის პროვინცია მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო – ლაგოდეხი, ყვარელი, ახმეტის რაიონი.[95]

ხელვაჩაურის განძის აღმოჩენამდე დასავლეთ საქართველოში არაბული მონეტები იშვიათად ჩნდებოდა. 2 ცალი ქუფური დირჰემი ცნობილია ოზურგეთის რაიონის სოფ. მერიიდან, ერთიც – გელათიდან.[96] ზღვისპირა ზოლში ისინი ცნობილია ბიჭვინტიდან.[97]

XX საუკუნის დასაწყისისათვის არაბული მონეტების განძი აღმოჩნდა არხაევში (300 ცალი). სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ლაზისტანში, კერძოდ, არხაევში ქუფური მონეტები სავაჭრო-ეკონომიკური არხებით უნდა შემოსულიყო. როგორც ცნობილია, არაბთა სახალიფო ბიზანტიის იმპერიასთან სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებდა სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქ ტრაპიზონთან. შესაძლოა, რომ არხაევში არაბული მონეტებიც ამ გზით გავრცელებულიყო. იგივე ითქმის ხელვაჩაურის მიმართაც, რომელიც არხაევდან არცთუ ისე დიდი მანძილითაა დაშორებული.

---

92 ნინაშვილი. ციხისძირი ახ.წ. I-VI სს., გვ. 51-61.

93 ბ. ხალვაში. კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. – გონიო-აფსაროსი, II. ბათუმი, 2002, გვ. 42-52, სურ. 34.

94 ხელვაჩაურში აღმოჩენილი განძი შეიძინა ბათუმის არქეოლოგიურმა მუზეუმმა.

95 Джалагания И.Л. Иноземная монета в денежном обращении Грузии С-XIII вв.. Тбилиси, 1979, с. 48.

96 იქვე, გვ. 35.

97 Шамба С.М. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. - XIII в. н.э.). Тбилиси, 1987, с. 97.

ფიჭვნარში, ციხისძირსა და აფსაროსში ნაპოვნია ასევე მრავალფეროვანი მინის ნაკეთობანი: ფეხიანი სასმისები, წვეთისებრძირიანი ლამპრები, ფიალები, ჭიქები, ხალიანი მინა. მათი დიდი ნაწილი სირიულ-პალესტინური წარმომავლობისაა, რაც მიუთითებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მჭიდრო პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირ-ურთიერთობაზე აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციებთან.[98]

კერამიკული და მინის ნაკეთობების გარდა ფიჭვნარში, ციხისძირსა და აფსაროსში აღმოჩენილია ბიზანტიური ხანის ფულებიც. ციხისძირში ამ პერიოდის 72 მონეტაა ნაპოვნი. მათგან ახ.წ. VI საუკუნეს განეკუთვნება 39 მონეტა. ადრებიზანტიურ მონეტებს შორის ერთი ცალი იუსტინიანე I (527-565 წწ) ოქროს სოლიდია. არის ანასტას I (491-518), იუსტინე I (518-527), იუსტინე II (565-578 წწ) და მავრიკის (582-602 წწ) სახელზე მოჭრილი სპილენძის მონეტები.[99] აფსაროსში ჯერჯერობით ბიზანტიური ხანის მხოლოდ ექვსი ცალი მონეტაა (იუსტინიანე I სახელზე) ნაპოვნი,[100] ხოლო ფიჭვნარში – ერთი ცალი. მონეტების ძირითადი ნაწილი კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის (თეოპოლისი) ზარაფხანებშია დამზადებული.

ამრიგად, განხილულ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, განსაკუთრებით მისი ზღვისპირეთი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი უშუალო მონაწილეა იმ მსოფლიო-ისტორიული პროცესებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ეპოქაში. განსაკუთრებით დიდია ციხისძირის როლი ლაზიკის სამეფოს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრეს პლაცდარმს ირან-ბიზანტიას შორის წარმოებულ ომებში, რომლებიც საქართველოს ზღვისპირეთის დაპატრონებას ისახავდა მიზნად. გარკვეული ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული ფიჭვნარისა და გონიო-აფსაროსის უძველეს დასახლებებს. ამ ადგილებში გადიოდა საერთაშორისო მაგისტრალები. წინა პერიოდის მსგავსად, კვლავაც მჭიდრო კონტაქტები შეინიშნება ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან. ირანის ექსპანსიამ წარმატება ვერ პოვა. ასევე ითქმის არაბთა შემოსევების შესახებაც. ახალ საფეხურზე ადის ხუროთმოძღვრება. იმდროინდელი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა გადაწყვეტილი ქალაქის დაგეგმარება და კომუნიკაციები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ, კერძოდ კი აჭარამ, ადრეული ეპოქებიდანვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქრისტიანობის გავრცელებასა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საქმეში. ამაზე ნათლად მეტყველებს ციხისძირისა და ფიჭვნარის ბაზილიკური ეკლესიები, კედლებში ჩაშენებული ჯვრის გამოსახულება და ა.შ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრალი ციხისძირში არსებობდა.

ეჭვგარეშეა, რომ ადრე შუა საუკუნეების ბოლო ეტაპისათვის ტაო-კლარჯეთთან ერთად აჭარა წარმოადგენდა იმ მხარეს, სადაც სათაევ დაედო ქვეყნის გაერთიანებისათვის დაწყებულ ბრძოლას. ბუნებრივია, უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის საკვლევი რეგიონის ადრე შუა საუკუნეების ისტორიისა და კულტურის შესახებ.

---

98 ნ.ინაიშვილი. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს..., გვ. 61-89; თ.შალიკაძე. გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. – გონიო-აფსაროსი, V. ბათუმი, 2004.

99 იქვე, გვ. 101.

100 ი.ვარშალომიძე. გონიო-აფსაროსი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. – „ლიტერატურული აჭარა", ბათუმი, 1999, 2, გვ. 98-99.

ბ) სოციალური ურთიერთობანი. წოდებანი

ადრეფეოდალურ ხანაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვითარდებოდა.

ამ ეპოქის დასაწყისში ადრეკლასობრივი ურთიერთობიდან ფეოდალურზე გადასვლის ერთ-ერთი ნიშანსვეტია ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადება და მისი თანდათანობით გავრცელება ქვეყნის მასშტაბით.

ქართული საეკლესიო წერილობითი ტრადიციით ქრისტიანობის პირველ მოციქულთა (ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი, მატათა) ძალისხმევით, ქრისტიანობა ვრცელდება ქართლის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში – აჭარაში.[101]

პირველ მოციქულებს ამ მხარეში დახვდათ ძველი, ადრეკლასობრივი მმართველობის ადგილობრივი ფორმები. ახალი სოციალურ-ეკონომიკური ძერები აქაც ხელს უწყობდა ფეოდალიზაციის პროცესს. ქრისტიანობამ საფუძველი მოუშალა წარმართული პერიოდის სატაძრო მიწათმფლობელობას. ს. ჯანაშიას აზრით, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება საზოგადოებრივი განვითარების ამ საფეხურის გამოვლინება იყო.[102]

ქრისტიანობის მიღება, ცხადია, ახალი, უფრო მაღალი საფეხური იყო აზროვნებასა და იდეოლოგიაში, რამდენადაც მან წარმართული პანთეიზმი მონოთეისტური რელიგიით შეცვალა. ქრისტიანობამ ხელი შეუწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის მთისა და ბარის მოსახლეობის კულტურულ დაახლოებას და ეთნიკურ კონსოლიდაციას ერთიანი რელიგიის, ერთიანი დამწერლობისა და ერთიანი ენის საფუძველზე. ქრისტიანობამ ქართლის სამეფო მოწინავე ქრისტიანული დასავლეთის ბერძნულ-რომაულ კულტურულ-იდეოლოგიურ არეალში შეიყვანა და ამით განსაზღვრა შუა საუკუნეების ქართული აზროვნებისა და კულტურის ხასიათი. ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია მალე ქვეყნის პოლიტიკურ-ორგანიზაციული სტრუქტურის ორგანული ნაწილი და მართვა-გამგეობის უშუალო მონაწილე გახდა.

ეკლესია, როგორც ოფიციალური იდეოლოგია, მალე დიდ მატერიალურ ძალადაც იქცა და V საუკუნეში არსებითად დაიჭირა წარმართული მემამულეობის ადგილი.[103] მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ქრისტიანულმა საეკლესიო მიწათმფლობელობამ, შეიძლება ითქვას, თავიდანვე ადრეფეოდალური ხასიათი მიიღო. ეკლესიამ ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა ფეოდალური საკუთრება როგორც მიწაზე, ისე უშუალო მწარმოებელზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულებებით, IV-V საუკუნეებში უკვე არსებობდა მიწაზე ფეოდალური საკუთრება. ბუნებრივია, იგივე პროცესი ვითარდებოდა იმდროინდელ აჭარაშიც.

ქრისტიანობის მიღება დაემთხვა აზნაურთა ფენის დაწინაურებას და მათი მიწათმფლობელობის ზრდას.

IV საუკუნეში აზნაურთა მიერ მიწების შეწირვა იმის დადასტურებაა, რომ „აზნაური" უკვე საზოგადოების გაბატონებულ ფენას ეკუთვნოდა. მას უფლება ჰქონდა თავისი მიწის ნაწილი შეწირულობის სახით გაესხვისებინა ეკლესია-მონასტრებზე.

VI საუკუნის 20-იან წლებში ირანელების მიერ ქართლში მეფობის გაუქმებამ დააჩქარა მიწაზე ფეოდალური საკუთრების შემდგომი მომძლავრება, მაგრამ ამით ქვეყანა პოლიტიკურ

---

101 ბ.დიასამიძე. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ზოგიერთი საკითხი. – ჯვარი ვაზისა, I. თბილისი, 1998; ი.ბექაურიშვილი. ქრისტიანობა აჭარაში. ბათუმი, 1991; ს.გოგიტიძე. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა. ბათუმი, 1997.

102 ს.ჯანაშია. შრომები, I. თბილისი, 1947, გვ. 213.

103 იქვე, გვ. 287

დაშლილობამდე არ მისულა (ქართლი ამის შემდეგაც დარჩა ერთ მთლიან ადმინისტრაციულ ერთეულად). ნახევარი საუკუნის შემდეგ ეროვნული სახელმწიფო ორგანიზაციის აღდგენამ, რაც ერისმთავრის ხელისუფლების შექმნაში გამოიხატა, ვერ შეაფერხა ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესი, რაც ფეოდალიზაციის განვითარების ფონზე ხდებოდა.

ერისმთავრობის ხანა (VI-VIII საუკუნეები) ყოფილი ქართლის სამეფო მიწა-წყალზე სამართლიანადაა მიჩნეული ადრეფეოდალური პოლიტიკური დაშლილობის საფეხურად, მაგრამ სინამდვილეში იგი მრავალი მსხვილი და შედარებით წვრილი სამთავროების ჯამს წარმოადგენდა, რომლებიც სიუზერენულ-ვასალური სისტემით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ყველაზე მკაფიოდ ეს სოციალურ-პოლიტიკური სურათი მოცემულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში",[104] რომელიც სწორედ ერისმთავრობის ხანის პოლიტიკური დაშლილობის ვითარებას ასახავს.

ძველი საერისთავო ქვეყნების ნაცვლად მცირე სამეურნეო პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნის ტენდენციამ თავი იჩინა ჯერ კიდევ VI-VIII საუკუნეებიდან. დადგა ძველი ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაქვეითებისა და, პარალელურად, პოლიტიკური ცენტრების გადანაცვლების ხანა, რაც სამეურნეო ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ხანა მთავართა ტაძარ-სასახლეების ზრდა-განვითარებისა, ახალი ციხეების შენებისა და მთელი სახელმწიფო მიწა-წყლის ციხეში შემავალ „ქვეყნებად" დანაწილებისა. როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობის ამბები ხდებოდა და ქვეყნების ძველი სოციალურ-პოლიტიკური არსი იცვლებოდა.[105] ყოველივე ეს ფეოდალიზაციის პროცესის განვითარების სიღრმისეული ძერების გამოხატულება იყო.

ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და პოლიტიკური ხელისუფლების ადგილებზე დანაწილების შედეგად, მთიან აჭარაში ადგილობრივი ხელისუფლება უნდა გაძლიერებულიყო. სენიორიებში არა მარტო ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებების, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების კონცენტრაცია ხდებოდა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა მათი მონოპოლიური საკუთრება მიწაზე და დაჩქარდა უშუალო მწარმოებელთა (მეთემეთა) ფეოდალური დამოკიდებულებაში სხვადასხვა ხარისხით მოქცევის პროცესი.

ადრეფეოდალური ქართლის სამეფოს განვითარების ეს ზოგადი სურათი მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აჭარისთვისაც. მით უფრო, რომ იგი ქართლის სამეფოს და ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული იყო. მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების არსებობა აქ სრულიად ბუნებრივია. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გასათვალისწინებელია ზემო აჭარის მოსაზღვრე ქვაბლიანის ხეობის ვითარება, რომელიც "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშია" ასახული. სამცხის ეს უკიდურესი დასავლეთი კუთხე მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირში იყო აჭარასთან და ამდენად, ამ ძეგლში ასახული ერისმთავრობის ხანის სოციალური სურათი თავისუფლად შეიძლება აჭარასაც მივუსადაგოთ. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სერაპიონმა და მისმა ბერებმა მონასტრისათვის მიწების მოპოვების მიზნით, უშუალოდ ზემო აჭარაშიც შეადწიეს. ამ მოგზაურობის მონაწილე ერთ-ერთი ბერის სიტყვით, ისინი შესულან გოდერძის ხევში, ხოლო შემდეგ ასულან „თავსა მის ჴევისასა"და უხილავთ „მცირენი რაიმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ."[106] აქ მათ მიეგებათ კაცი, სახელად ია, რომელმაც ბერები სიყვარულით მოიკითხა და ზედმიწევნით მოუთხრო თავისი კუთხის ამბები. როგორც ვხედავთ, ქვაბლიანისა და გოდერძის ხეობების მოსახლეობას შორის ამ პერიოდშიც მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. ამდენად, ქვაბლიანის ხეობის ვითარება შეიძლება თავისუფლად გავრცელდეს ზემო აჭარის მიმართაც.

---

104 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. თბილისი, 1983, გვ. 319-347.

105 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. თბილისი, 1989, გვ. 169-170

106 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 329.

მჭიდრო კავშირი იყო სამცხესა და ზემო აჭარას შორის უფრო გვიან ხანაშიც. ამას თვალნათლივ მოწმობს XIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის, აჭარის ერისთავთა-ერისთავის ოჯახის წევრის — აბუსერისძე ტბელის თხზულება „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი." უფრო ადრე, „მატიანე ქართლისაჲსა" ამ მწერლის წინაპარი 1046-1047 წლებში არტანუჯის, ხიხათა, ციხისჯუარისა და აწყვერის ციხეების პატრონად იხსენიება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო აღნიშნული რეგიონების ერთ მთლიან სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ მხარეთა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და ეკონომიკურ-კულტურული მახასიათებლები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო.

საფიქრებელია, რომ იმ დროს, სამცხის მსგავსად, აჭარაშიც უნდა ყოფილიყვნენ მთავრის თუ დიდებულთა ქვეშევრდომნი: „საკუთარნი" ან „წინაშემდგომელნი", „ყრმები" „ჭაბუკები", რომლებიც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" მიხედვით მოხსენიებულნი არიან სამცხის მთავრისა და წარჩინებულის — ჩორჩანელის სანადირო ამალაში. აქვე იხსენიება „ერი", რომლის ნაწილი აგარაკების (ამ შემთხვევაში მიწის სავარგულების) ამუშაევებდა. მეორე ნაწილი კი სამხედრო ძალას წარმოადგენდა. ამ მონაცემებით ჩვენ სახეზე გვაქვს ერისმთავრობის პერიოდის ადრეფეოდალური სენიორიის სურათი. უეჭველია, ასეთი დიდი თუ პატარა სენიორიები ამ პერიოდში აჭარაშიც არსებობდა.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" თანახმად, აჭარის მეზობელი ქვაბლიანის ხეობაში ადგილი აქვს ეკლესია-მონასტრების ადრეფეოდალურ ხანაშივე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ძალად გადაქცევის პროცესს. ეს აჭარისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და აქაც მიწის საკუთრების ისეთივე კატეგორიები („აგარაკები", „შეწირული", „მამული", „დედული") უნდა არსებულიყო, როგორიც სამცხის მხარეში.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" უმცირესი თემური უჯრედის მნიშვნელობით დამოწმებულია „საძმო", რომლის დასაუფლებლად იბრძვიან დიდი მთავარი და საეკლესიო მოღვაწეები. საძმოების ასეთი ერთსულოვანი გამოსვლა მონასტრის მფლობელობაში მიწების გადაცემის წინააღმდეგ იმის მოწმობაა, რომ სახელწოდება საძმო-თემი ჯერ კიდევ ცოცხალი სოციალური შინაარსის მატარებელია. ეს ცნობა ადრეფეოდალური კლასობრივი ბრძოლის იმ ნიშანდობლივ მოწმობად უნდა ჩაითვალოს, როცა მწარმოებელი საზოგადოება კოლექტიურად გამოდის მათი მიწების მიმტაცებელ საერო და საეკლესიო ფეოდალთა წინააღმდეგ. მაგრამ ფეოდალური განვითარების გეზი იქითკენ იყო მიმართული, რომ ჯერ კიდევ თავისუფალ მიწათმოქმედთა გაერთიანებებს, რომლებიც ფეოდალების „საბრძანებელში" იყვნენ მოქცეული, დიდი დღე არ ეწერათ. ასეთი „საძმოები" უფრო მეტად იქნებოდა აჭარის მთიანეთში, მაგრამ ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესი, ბუნებრივია, მათაც ასეთსავე ბედს უმზადებდა. ამრიგად, აქ მოყვანილი ცნობით, ფეოდალური მამულის მიერ დაბის ან მისი ნაწილის („საძმოს", თემის) ათვისება, მისი საერო და საეკლესიო „მამულად" გადაქცევა შეუქცევადი პროცესია. როგორც ვხედავთ, VI-VIII საუკუნეებში სამცხის ეს უკიდურესი, აჭარის უშუალო მეზობელი, დასავლეთი კუთხე სხვადასხვა სიდიდის ერთეულებად, ანუ ამა თუ იმ მთავრის „სახელმწიფოებად", იგივე „საბრძანებლებად" იყო დაყოფილი. ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო სხვა რეგიონებშიც, კერძოდ კი სამცხის მოსაზღვრე აჭარაში.

IX საუკუნიდან მნიშვნელოვანი ტეხილი შეიმჩნევა ქართლის სამეფოს თითოეული „ქვეყნის" პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ძირითადი საზოგადოებრივი კლასები, მსხვილი საერო და საეკლესიო სენიორალური სისტემა, იმუნიტეტი, მიწათმფლობელობის იერარქიული სტრუქტურა და ვასალურ ურთიერთობათა სისტემა. საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი კი იქამდეა უკვე განვითარებული, რომ მან განაპირობა ახალი ქალაქების აღმოცენება. ეს პროცესი ხელს უწყობდა საქართველოს გაერთიანებას, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ დაუკავშირდა მთელი ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ განვითარებას — ად-

რეული ფეოდალიზმიდან განვითარებული ფეოდალიზმის საწყის ეტაპზე გადასვლას.

აჭარამ IX საუკუნისათვის გადალახა ერისმთავრობის ხანის დაქუცმაცებულობის საფეხური და ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა. IX საუკუნის პირველ ნახევარში მთელი სამცხე, როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებითაა“ ცნობილი, მირეან „დიდებული უფლის“ ხელშია. ამ დროიდან ასევე ერთიანია აჭარა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მფლობელობაში („ქართველთა სამეფოში“), რომელთა ხელში IX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხეც მოექცა.

X საუკუნეში ბიზანტიელი იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის (912-959 წწ) ცნობით, იბერიის კურაპალატზე დაქვემდებარებულ ოთხ არქონტს ანუ მთავარს შორის ერთი აჭარის ერისთავი იყო. იმპერატორისგან ამ არქონტისადმი წერილობითი მიმართვის ფორმა უნდა ყოფილიყო: „ქრისტესმოყვარე უფალთაგან მაეანს“. X საუკუნის 20-იან წლებში მისი მფლობელი უნდა ყოფილიყო ბაგრატიონთა კლარჯული შტოს ისეთი ძლიერი წარმომადგენელი, როგორიც იყო გურგენ ერისთავთერისთავი. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, მან თავის სიმამრს აშოტ პატრიკიოსს ძალით წაართვა არტანუჯი, რომლის სანაცვლოდ მას ჯერ ყველის ციხე მისცა (მდებარეობდა აჭარისწყლის სათავეებთან) და აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა, მაგრამ შემდეგ ისიც წაართვა, როცა გიორგის აფხაზთა მეფის წინააღმდეგ ომი ჰქონდა და აშოტ პატრიკიოსმა გიორგის მხარი დაიჭირა.

მას შემდეგ, რაც აშოტ I კურაპალატმა IX საუკუნის დამდეგს საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის სამთავროს, აჭარა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად, აქ იყო გაერთიანებული. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი გიორგი მერჩულე (თხზულება 950 წელსაა დაწერილი, მაგრამ არსებითად IX საუკუნის პირველი ნახევრის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას ასახავს) სასოგადოების გაბატონებულ პირებად მხარეში მოიხსენიებს არა „მთავრებს“, არამედ „აზნაურებს“. მათ შორის გამოირჩევიან „დიდი“, ანუ „დიდებული აზნაურები“, რომლებიც, სხვა ჩვეულებრივ „აზნაურებთან“ ერთად, მხარის უმაღლეს ხელისუფალთა (ბაგრატიონთა) „წინაშემდგომლები“ ანუ მათი ეასალები არიან. თხზულებაში ყველაზე მკაფიოდ ამ „დიდებული აზნაურებიდან“ დასახელებულია გაბრიელ დაფანჩული. ეს დიდი ფეოდალი სოფლებისა და მათში მოსახლე მიწათმოქმედთა სიმრავლით გიორგი ჩორჩანელს თუ არ აღემატებოდა, არც ჩამოუვარდებოდა მას. ისიც დიდ დახმარებას უწევდა გრიგოლ ხანძთელს ხანძთის მონასტრის მშენებლობაში და მისი „ფრიადითა კეთილითა“ უსრულველყოფაში. ერთი სიტყვით, გაბრიელ დაფანჩულსაც გააჩნია თავისი სენიორია და საძველე მონასტერი, მაგრამ იგი მოკლებულია საჯარო პოლიტიკურ ხელისუფლებას, ანუ „მთავრობას“. თხზულებაში იხსენიებიან უბრალო მიწათმოქმედნიც, მათ შორის „ვინმე კაცი მდაბიოი“, რომელსაც „აქუნდა ფრიადი მონაგები და სიხარულსა შინა იყო ცხოვრება მისი“, აგრეთვე, ხანძთის მონასტრის მახლობლად მოსახლე „ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას და სახელი მისი წერტა“. მასში იხსენიება, აგრეთვე, „ერისკაცი ანჩელი, ლირბი და გლახაკი და მაგრად მოისარი“. ამ კაცს ანჩის ეპისკოპოსმა ცქერმა, სამი გრიეი ფეტვისა და ხუთი თხის მიცემის შეპირებით, გრიგოლ ხანძთელის მოკვლა დაავალა. აღნიშნულ ძეგლში არაწარჩინებული, ანუ არააზნაურული ფენის გარეთ მდგომ ხალხს მიესადაგება ტერმინი „ერი“ ან „ყოველი ერი“. თუ სერაპიონ ზარზმელი გიორგი ჩორჩანელის ბრძანებით შემოკრებილ მთავრებსა და ხალხს მიმართავს: „მთავარნო და ერნო“, გრიგოლ ხანძთელს სხვადასხვა წოდებათა კრებულისათვის შეეძლო მიემართა „აზნაურნო და ერნო“. საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით, ასეთივე ვითარება იქნებოდა აჭარის საერისთავოშიც.

ასე წარმოგვიდგება ზოგადად აჭარის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მისი მომიჯნავე მხარეების და საერთოდ, მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ვითარების ფონზე.

ეკლესია-მონასტრები

პეტრა (ცოცხისძირი). ადრე და გვიანთაარსებული შუა საუკუნეების ეკლესიების საერთო ხედი



ხხალითის ეკლესია



ხახანის ციხე. XI ს.

ხახულისეული. X–XI სს.



ზენდიდის ეკლესია. VIII–IX სს.

ภาพถ่ายบริเวณท่าเรือบาราม่า (Barama) ปีพ.ศ. 2470 ถ่ายโดย Dr. Hermann Heyerdahl

აჭარა ადრეფეოდალურ ხანაში



პეტრა (ციხისძირი). აკროპოლის გეგმა

პეტრა (ციხისძირი). ხედი დასავლეთიდან

ბეტონა (ეკლესიაში).

ჯარიბეჭდ დამცავი კოშკები

პეტრა (ცხრასარი). შუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთები



პეტრა (ცხრასარი). აღმოსავლეთ კარიბჭე ჯვრის გამოსახულებით. VI ს.

ბეგრა (ცხმისი). ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკის ნაშთები. VI ს.



ბეგრა (ცხმისი). შიდა ციხის აკროპოლის საერთო ხედი



პეტრა (ციხისძირი). სარდაფის ნაშთები



პეტრა (ციხისძირი). ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკისა და ბანის გეგმა



პეტრა (ცხისძირი). ეარე ქალაქის ტერიტორია.
ადრე შუა საუკუნეების ბანის გეგმა და ჭრილები



პეტრა (ცხისძირი)
საშარსეული ინვენტარი

ფიჭვნარი. ადრე შუა საუკუნეების სამარხები და სამარხეული ინვენტარი















თავი II

აჭარა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში

§1. ხიხათა საერისთავო*

აჭარა, სამცხესთან ერთად, მოხსენიებულია ქართლის სამეფოს ერისთავთა ფარნავაზისდროინდელ სიაში, რომელიც დაცულია ლეონტი მროველთან: „მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასის, ერისთგან ვიდრე არისანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა."[1] ლეონტი მროველის წარმოდგენით, ძვ.წ. III საუკუნეში სამცხე და აჭარა ერთ საერისთავოში იყო გაერთიანებული რეზიდენციით ოძრხეში და საერისთავოც ოძრხედ იწოდებოდა.

ოძრხის ერისთავი მოხსენიებულია ჯუანშერთანაც, ვახტანგ გორგასლის ერისთავსიაში. ნამოთვლის რა ვახტანგისდროინდელი ქართლის სამეფოს ერისთავებს, ისტორიკოსი ასახელებს ოძრხის ერისთავ ბივრიტიანს („ბივრიტიან ერისთავი ოძრხისა").[2] ბუნებრივია ვეფიქროთ, რომ ოძრხის საერისთაოში, ისე როგორც ფარნავაზის დროს, სამცხესთან ერთად აჭარაც შედიოდა. ასე რომ, ერისთავთა ამ ორი სიით აჭარა, როგორც ცალკე დამოუკიდებელი საერისთავო, ამ პერიოდში არ არსებობდა.

VII საუკუნის 50-იან წლებში არაბთა მიერ დამორჩილებულ მხარეთა სიაში, რომელიც დაცულია ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელში", სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასახელებულია: სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, ჯავახეთი, არტაანი.[3] აჭარა აქ არ მოიხსენიება. ამის გამო დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ აჭარა VII საუკუნის 60-იან წლებში ეგრისის ფარგლებში უნდა ყოფილიყო.[4] მაგრამ ხომ შეიძლება დაეუშვათ, რომ ისევე, როგორც ფარნავაზისა (ლეონტის მიხედვით) და ვახტანგ გორგასლის (ჯუანშერის ცნობით) ერისთავთა სიებში, აქაც აჭარა სამცხესთან უნდა ყოფილიყო გაერთიანებული, სამცხის საერისთავოს ნაწილი ყოფილიყო. VII საუკუნის „სომხური გეოგრაფიის" მიხედვით, აჭარა ცალკე „ქეეყანაა", ისევე როგორც „სამცხე" (ორივე ივერიაშია). ასე რომ, ამ წყაროს თანასმად, „ოძრხის საერისთავო" აღარ არსებობს!

როგორც უკვე ითქვა, აჭარა ფარნავაზის და ვახტანგ გორგასლისდროინდელ ერისთავთა სიებში ოძრხის ერისთავის საგამგეოში იყო წარმოდგენილი და სამცხესთან ერთად ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს ქმნიდა. საერისთაოს ეს ორი სია, როგორც ცნობილია (სოგი განსხვავების გარდა), ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, იქნებ ლოგიკური იყოს აჭარა არაბი ჰაბიბ მასლამასეული ნუსხის სამცხეში ეიგულეოთ.

---

* პარაგრაფის პირველი ნაწილი (134-ე გვერდის მე-3 აბზაცის ჩათვლით) ეკუთვნის მ.ლორთქიფანიძეს, შემდეგი – ი.სიხარულიძეს. ორივე ნაწილის მონტაჟი მცირეოდენი შესწორებებითა და დამატებებით შეადგინა მთავარმა რედაქტორმა.

[1] ლეონტი მროველი. ცხოერება მეფეთა..., ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 24.

[2] ჯუანშერი. ცხოერება ვახტანგ გორგასალისა. – ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 185.

[3] ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი". – მსკი, ნაკვეთი 29; ე.სიხარულიძე. არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 73, 1959, გვ. 170-172.

[4] დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 32.

ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ VIII საუკუნის მეორე ნახევარში აჭარას ბაგრატიონები ფლობდნენ. კერძოდ, აშოტ კურაპალატის მამა ადარნასე ბაგრატიონი. მემატიანის საკმაოდ ბუნდოვანი ცნობით: „სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატიონმან (აშოტის მამამ – მ.ლ.) ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, ციხეთაგანთა, რომელნი პქონდეს შეილიშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მიკუდა."[5] ასევე, ქართველ ბაგრატიონთა სამფლობელო იყო აჭარა VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე.[6] საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში აჭარა სამხრეთ-დასავლური ქართული სახელმწიფოს (ტაო-კლარჯეთის სამეფოს) შემადგენლობაში შედიოდა. ამგვარად, აშოტ კურაპალატის დროს აჭარა ქართველთა საკურაპალატოში შემავალი ქვეყანა იყო, მაგრამ რა სტატუსი ჰქონდა მას? დ. მესხელიშვილის აზრით, „ტაო-კლარჯეთის სამთავრო, გარდა საკუთრივ ტაოსა და კლარჯეთის საერისთაოებისა, შედგებოდა ოთხი დიდი საერისთავოსაგან: ქართლისა, კოლა-არტაანისა, ყველისა (სამცხე-ჯავახეთისა?) და აჭარისაგან."[7]

აჭარის, როგორც ცალკე საერისთავოს, არსებობა სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის საფუძველზე. კონსტანტინე პორფიროგენეტი[8] ჩამოთვლის იბერიის კურაპალატისადმი დაქვემდებარებულ ოთხ ერთეულს – „არხონტიას", რომელთა მეთაურებს ის „არხონტებს" უწოდებს. ესენი არიან: ვერიასახის, კარმატაის, ყველის, აჭარის არხონტები.[9] ივ. ჯავახიშვილის აზრით, კონსტანტინე პორფიროგენეტის ეს ოთხი „არხონ" არის მთავარი ან ერისთავი.[10] ს. ყაუხჩიშვილი კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ცნობას ასე თარგმნის: „კუროპალატს თაეისადმი დაქვემდებარებული ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო. ვერიასახის ერისთავს იბერიაში; კარნატაის ერისთავს იბერიაში, ყველის ერისთავს იბერიაში; აჭარის ერისთავს იბერიაში: „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავანს."[11] ამგვარად, ს. ყაუხჩიშვილის ამ თარგმანის მიხედვით, „არხონტია" სამთავროა, „არხონტი" – ერისთავი. თუ კონსტანტინე პორფიროგენეტის „არხონ" ერისთავს ნიშნავს, ეს არის აჭარის ერისთავის მოხსენიების პირველი შემთხვევა, მაგრამ თუ ეს „არხონ" მიუთითებს საერისთაოში, ან დიდ ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ რაიმე მცირე ადმინისტრაციულ ერთეულს, მაშინ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აჭარის საერისთავო ცალკე ერთეულის სახით არ არსებობდა და ის სხვა საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა.[12]

სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღება ექცევა იმის გარკვევას, თუ რომელი დროის ვითარებას ასახავს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ამა თუ იმ საკითხზე ისინი ავტორის თანამედროვე რეალობას ასახავს თუ კონსტანტინე პორფიროგენეტის ხელთ არსებული წყაროებიდან მომდინარეობენ? ნაშრომში, რომელიც „წარმოად-

---

5 მატიანე ქართლისა. „ქართლის ცხოვრება". I, 251.
6 დ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 143-144.
7 იქვე. გვ. 184.
8 კონსტანტინე პორფიროგენეტი. მით. გამ. გვ. 291.
9 იქვე.
10 ივ.ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, გვ. 297.
11 გეორგიკა, IV, ნაკვ. 2, თბილისი, გვ. 291.
12 შვარშანიძის ნაშრომში („აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე". ბათუმი, 1990) ყოველთვის, სადაც კი საუბარია წერილობით წყაროებზე სამცხის ან ოძრხის საერისთავოზე, იგი მიჩნეულია აჭარის საერისთავოდ. შესაძლოა, უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ აჭარა შედიოდა სამცხის საერისთავოს შემადგენლობაში.
აბუსერისძეთა ოჯახი ერისთავეერისთავის სახლის მფლობელია, რაც საკითხის სხვაგვარად გაუქმების საშუალებასაც იძლევა. მაგრამ, ჯერჯერობით, რაიმე უდავო ახსნა ამ მოელენას არ ეძებნება (მთავარი რედაქტორის შენიშვნა).

გენს ტრაქტატს ბიზანტიაში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების (თემების) განრიგებაზე", კონსტანტინე თემების საუკუნის მდგომარეობას კი არ აგვიწერს, არამედ ძველს, VII-VIII საუკუნეებისას."[13] რაც შეეხება ცნობას იბერიის კურაპალატისადმი დაქვემდებარებულ „არხონტთა" შესახებ, იგი IX საუკუნის 80-90-იანი წლების ვითარებას უნდა ასახავდეს,[14] რადგან ეხება ქართველთა პირველი ბაგრატიონი მეფის დაქვემდებარებაში მყოფ მთავრებს ან ერისთავებს.[15] აჭარა აქ ცალკე ერთეულადაა გამოყოფილი და არ არის გაერთიანებული სამცხესთან, როგორც ეს წარმოდგენილია ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასალის ეპოქის საერისთავოთა სიაში. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რატომ არ არის სამცხის ცენტრი ოძრხე.[16]

XI საუკუნეში აჭარა აბუსერისძეთა მკვიდრი მამულია და მისი მფლობელია იოანე აბუსერისძე.[17] 1046-47 წლებში აბუსერ იოანეს ძე არტანუჯის ერისთაავია და აბუსერისძეთა გაზრდილი სამფლობელო ამ დროისთვის მოიცავს: კლარჯეთს, აჭარას, შესაძლებელია, შავშეთსაც და სამცხის დიდ ნაწილს აწყვერის ციხის ჩათვლით.[18] აჭარა არც ამ დროს არის ცალკე საერისთავო, თუმცა, საერისთავოს მთავარი რეზიდენცია ისევ ხიხათა ციხეა.

„მატიანე ქართლისაი" მოგვითხრობს, რომ მეფე ბაგრატ IV დროს აბუსერი იყო „ერისთაეი არტანუჯისა" და „ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი."[19] ტექსტიდან ჩანს, რომ აბუსერი არტანუჯის ერისთაეია, ხიხანის, ციხისჯვარისა და აწყურის ციხეების პატრონი.[20] ლ.მუსხელიშვილის აზრით, მეფე ბაგრატ IV-მ თავის ერთგულ ყმას იოანე აბუსერისძეს ჩააბარა არტანუჯიც და შავშეთის საერისთავოც. გარდა ამისა, მას, უეჭველია, აჭარაც ეჭირა (ან ეგებ მხოლოდ ზემო აჭარა), რომელიც, როგორც ვიცით, აბუსერისძეთა მკვიდრი მამული იყო.[21]

აბუსერისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები XII-XIII საუკუნეებში ერისთავებად და ერისთავთერისთავებად იწოდებიან. მაგრამ რისი ერისთავთერისთავები არიან ისინი. წყაროებიდან ნათელი არ არის. არც აჭარა ჩანს ცალკე გამოყოფილი საერისთავოდ, თუმცა, ხიხანი და აჭარა აბუსერისძეთა „მკვიდრი მამულია". როგორც ჩანს, ისინი გარკვეულ პერიოდში აღსავლენ. იოანე აბუსერისძის ძე გრიგოლი უკვე არტანუჯის ერისთავად იხსენიება.[22] გრიგოლის შემდეგ, რომელიც მეფემ ანისში დაადგინა და ლიპარიტ ბაღუაშმა შეიპყრო, აბუსერისძეები თანდათან კარგავენ არტანუჯს, ციხისჯვარს, ოძრხეს. შავშეთს და მათი სამფლობელო საკუთრივ აჭარით შემოიფარგლებოდა. ლ. მუსხელიშვილის აზრით, ამას ადასტურებს აბუსერისძე ტბელის თხზულება: „აქ არ ჩანს, რომ XII-XIII საუკუნეების აბუსერისძეებს სხვა რამე სჭეროდათ გარდა აჭარისა, თუმცა ისინი ერისთავთ-ერისთავებად იწოდებიან. ეს წოდება ამ დროს, ცხადია, გადმონაშთიღა არის ამ საგვარეულოს ოდინდელი ხანმოკლე დიდებისა."[23] ასეთი დასკვნის

---

13 ს.ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. IV, ნაკვ. II, გვ. 223.

14 ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, 1948, გვ. 11; დ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 184-185.

15 ივ.ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

16 სამცხის საერისთავოსა და ყველის ციხესთან დაკავშირებით იხ. დ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

17 ლ.მუსხელიშვილი. აბუსერისძე ტბელი..., თბილისი, 1941, გვ. 18.

18 იქვე.

19 მატიანე ქართლისაი. „ქართლის ცხოვრება". I, გვ. 300.

20 შდრ. ქსე, I (იხ. სტატია „აბუსერისძენი").

21 ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

22 მატიანე ქართლისაი, გვ. 301.

23 ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

საფუძველია ის რეალობა, რომ არსად მითითებული არაა, თუ რისი ერისთავები იყვნენ XII-XIII საუკუნეებში ამ ტიტულით მოხსენიებული აბუსერისძენი: გრიგოლ II, ივანე II, აბუსერ III.[24] აჭარა კი, როგორც არაერთგზის აღინიშნა, მათი სამკვიდრო მამულია და არა საერისთავო სამფლობელო.

ფარნავაზ მეფისა და ვახტანგ გორგასალისდროინდელი ერისთავების ორ სიაში და ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელში" მოხსენიებულ ოლქთა გარდა, ჩვენ გვაქვს თამარისდროინდელი ერისთავების სია, სადაც აჭარის საერისთავო ან აჭარის ერისთავი არ არის მოხსენიებული, მაგრამ სამხრეთ საქართველოდან აღნუსხულია სამცხის ერისთავი.[25] უნდა ვიფარაუდოთ, რომ აჭარა ამ დროს აბუსერისძეთა მამული იყო და სამცხის საერისთავოში მოიაზრებოდა.

XIII საუკუნის შუა წლებიდან აჭარა, როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოში შედიოდა. ამიტომაც XVI საუკუნეში აბუსერისძენი მოხსენებული არიან სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა და სათავადოთა სიაში („აბუსერისძენი, სასაფლაოითა, მონასტრითა და ქარის ეკლესიითა").[26] ეკლესიურად ამ დროს სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შემავალი აჭარა ორადაა გაყოფილი: „აჭარა დანდალოს ზეითი", რომელიც ტბელს ჰქონია და „დანდალოს ქვეითი აჭარა", რომელიც ქუთათლის სამწყსო ყოფილა.[27]

ამგვარად, აჭარის ცალკე საერისთავოს ხანგრძლივი არსებობა წერილობითი წყაროებით, თითქოს, არ დასტურდება. მაგრამ იგი აბუსერისძეთა სამკვიდრო მამულია და მათი დაწინაურება, მართლაც, ზემო აჭარიდან დაწყებულა.

ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით იმის შესახებ, ჩამოყალიბდა თუ არა ხიხათა ერისთაეთ-ერისთავების მამული სათავადოდ და როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი.

ყოველ შემთხვევაში, XV საუკუნის შუახანებიდან, როცა ქვეყანაში პროგრესი შეფერხდა და დაჩიხულობამ იჩინა თავი, ერთიმეორის მიყოლებით წარმოიქმნა სამთავროები და სათავადოები.

XIII-XV საუკუნეები საქართველოს ისტორიაში მემკვიდრეობითი პირობითი მამულების მეტ-ნაკლებად უპირობო სამუდამო მამულად გადაქცევის, ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებისა და ადგილობრივი „ხელმწიფეების" ფორმირების, სამთავროებისა და სათავადოების წარმოქმნისა და, ამავე დროს, ერთიანი ქვეყნის თანდათაობით რღვევის ხანაა.[28]

საბუსერისძეოს შესახებ შედარებით მცირე წერილობითი მასალა მოგვეპოვება, რომელთაგან უმთავრესია მცხეთის სამოციქულო ეკლესიის სამცხის სათავადო სახლების სიები, რომლებშიც აბუსერისძეები იხსენიებიან.

ეს სია ორ ნუსხად არის მოღწეული. პირველი (-91) უფრო სრულიცაა და ძველიც, ხოლო მეორე (-697) – პირველის პირის ნაწყვეტია.

---

24 იხ. აბუსერისძეთა გენეალოგიური ხე (1028/30-1355) შედგენილი ლევან მუსხელიშვილის მიერ (აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. თბილისი, 1941).

25 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება. II, თბილისი, 1959, გვ. 34.

26 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 75; ქ.შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), თბილისი, 1961, გვ. 34; ი.დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. III, თბილისი, 1970, გვ. 243.

27 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 77; ი.დოლიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

28 ბ.ლომინაძე. ცვლილებანი საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XVII სს. – სინ, III, თბილისი, 1979, გვ. 785-791.

სათავადოთა სიების დედანს ქრ.შარაშიძე დაახლოებით 1515 წლით ათარიღებს,[29] ი.დოლიძე კი XVI საუკუნის დასაწყისით.[30]

რამდენადაც წერილობითი წყაროები ნაკლებად მოგვეპოვება ამ სათავადოზე, ამდენად მისი შესწავლა ძირითადად საველე ძიებით მოპოვებულ მასალებს უნდა დაემყაროს.

ამ მხრით, პირველ რიგში, უნდა მოიძებნოს სათავადოს ატრიბუტები – ციხე, მონასტერი, სასახლე, საძვალე და ეკლესია. ამათგან თავადთა ნუსხაში აბუსერისძეებს მხოლოდ სამი ატრიბუტი აქვთ მითითებული: სასაფლაო, მონასტერი და ეკლესია.

სასაფლაო აბუსერისძეებს სოფ. ქვემო თხილვანის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან ჰქონიათ, მონასტერი – სხალთაში, ხოლო კარის ეკლესია-რეზიდენცია, საგულვებელია, სოფელ ზემო თხილვანაში და ხიხანის ციხეში.

აბუსერისძეებს საზაფხულო, საზამთრო, სანადირო და სხვა სასახლეებიც მრავლად უნდა ჰქონოდათ. კერძოდ, საზაფხულო სასახლე ზემო თხილვანაში, ბაკოს და სხალთის ხეობის ზემო წელის სხვა სოფლებში, საზამთრო – სოფელ სხალთაში ან მის შორიახლოს მდებარე რომელიმე სოფელში (შესაძლოა, მარითის ხევშიც კი). მათი სანადირო სახლები კი უფრო არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზეა საძიებელი.

აბუსერისძეებს რამდენიმე ციხე ჰქონდათ. მათ შორის მთავარი ხიხანის ციხე (არსიანის ქედზე) იყო. ერისთავთერისთავობის ჟამსაც აბუსერისძენი ამ ციხეს ეყრდნობოდნენ და შემდგომში, თავადობის დროსაც, იგი უნდა ყოფილიყო მათი მთავარი საყრდენი.

სააბუსერისძეო სათავადოს საზღვრები საბოლოოდ დადგენილი არ არის. დღეისათვის მხოლოდ ორი მათგანის მითითება შეიძლება: სამხრეთ-აღმოსავლეთისა, რომელიც არსიანის ქედს გასდევდა და ჩრდილო-დასავლეთისა, რომელიც მდ. აჭარისწყალს ესაზღვრებოდა.

სააბუსერისძეო სოფლებზეც წერილობითი ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება, მაგრამ სხალთის ხეობის სოფლების უმრავლესობა მაინც მათ საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, სხალთის ხევი სამ თემად იყოფოდა: სხალთის, ფუშრუკაულისა და ხიხათა. დღევანდელი ნომენკლატურით, სხალთის თემში შედიოდა შემდეგი სოფლები: გურბაული, ძმაგული, ყინნაური (იგივე სხალთა), ჭერი, ფაიხა და წაბლანა;[31] ფუშრუკაულის თემში – კვატია, მახალაკური, ფუშრუკაული, რაქეთა და ეერნები;[32] ხიხათა თემში – ხიხაძირი, კალოთა, ოშონახევი, სკვანა, ბაკო, თხილვანა.[33]

აბუსერისძეთა სამფლობელო ტერიტორიულად, როგორც ჩანს, უშუალოდ აჭარისწყლის ხეობაში ერცელდებოდა. მაშინ სააბუსერისძეოს შემადგენლობაში შეიძლება ეივარაუდოთ სხალთის თემის მიმდგომი და აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ფურტიო-ნენიის თემი, რომელიც აერთიანებდა სოფლებს: ფურტიო, ფოთელური, ჭედლური, ნენია, გუნდაური და ბუთურაული.[34] ეს თემი სააბუსერისძეოს კარია ჩრდილოეთით და ძნელი წარმოსადგენია, რომ მისი შემომტკიცებისათვის მათ ადრიდანვე არ ეზრუნათ.

აბუსერისძეებს მამულები უნდა ჰქონოდათ სხალთის მეზობელ მარითის ხევშიც, სადაც რამდენიმე თემი ერთიანდებოდა: სამოლეთი, ტბეთი, ქიმინიძე-ჯაბნიძეები, დღეანი, მაწყეალთა და დარჩიძეები. სამოლეთის თემი მიითვლიდა წაბლანას, მოფრინეთს, ლაკლაკიძეს და ცინარიძეს.[35]

---

29 ქრ.შარაშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 31

30 ი.დოლიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

31 ა.აკვალიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1960, გვ. 120; ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. I, ბათუმი, 1958, გვ. 99-102.

32 ა.აკვალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 121; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 102-104.

33 ა.აკვალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 119; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 104-108.

34 ა.აკვალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 121; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 97-99.

35 ა.აკვალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 127; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 81-84.

ტბეთის თემში შედიოდა შემდეგი სოფლები: საკუთრივ ტბეთი, გორგაძეები, ორთამეელი. ლომსიანიძე და ვახტანგიძე.[36] ქიძინიძე-ჯაბნიძის თემში – ქიძინიძე და ჯაბნიძე;[37] დღვანის თემში – დღვანი. გოგინაური, ლომინაური და კვეხიძეები;[38] მაწყვალთის თემში – ჯუმუშაური, პაპოშვილები, ოლადაური, კარაპეტი, მაწყვალთა და მახალაკიძეები;[39] დარჩიძეების თემში – ტომაშეთი, ქუთაური, შუბანი, კობალთა, იაკობაური, დარჩიძეები, წელათი.[40]

აბუსერისძეთა სათავადო აზანურებსა და გლეხებზე თითქმის არავითარი ცნობა არ შემონახულა.

სათავადო აზნაური სააბუსერისძეოში შედარებით მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან ისეთ მთიან მხარეში, როგორიც სხალთის და მარითის ხეევებია, აზნაურობისათვის აუცილებელი ეკონომიკური საფუძველი შედარებით სუსტი იყო. საერთოდ კი, სათავადო სახლის ძირითად საყრდენს გლეხობა შეადგენდა, რომელიც სათავადო ყმების უმრავლესობას ქმნიდა. გლეხთა ნაწილი საეკლესიო მამულებშიც არის საგულვებელი.

სათავადოებში, როგორც წესი, მოხელეთა მეტ-ნაკლები რაოდენობა საქმიანობდა. კერძოდ. სახლთუხუცესი, მოურავი, ციხისთავი, მსახურები, ხელოსნები, მდიენები, მეციხოვნეები და სხვ. მოხელეთა დაახლოებით ამგვარი რანგირება სააბუსერისძეოშიც არის სავარაუდებელი.

სახლთუხუცესს როგორც სამეფოსა და სამთავრო'ში, ისე სათავადოშიც თავადის კარი და მისი სამეურნეო ცხოვრება მოეკითხებოდა. ადგილობრივ ადმინისტრაციას მოურავები უძღვებოდნენ, ხოლო სოფლებს ხელოსნები განაგებდნენ (ხელოსანს მერმინდელ მამასახლისს ადარებენ). იყვნენ ნაცვლებიც – მოურავთა მოადგილენიც. თავისი გამგებელი ჰყავდა ციხესაც ((ციხისთავი).

სათავადოში მესტუმრენიც უნდა ყოფილიყვნენ. ამ საქმის მთავარი გამგებელი მესტუმრეთუხუცესი იყო, რომელსაც კარის მესტუმრე ემორჩილებოდა. გარდა ამისა, უნდა ყოფილიყვნენ მემარნეები, მერიქიფენი, ხაბაზები, ხარაზები და ა.შ.

აბუსერისძეთა სათავადოს ტერიტორიაზე გადიოდა მაგისტრალური გზები, რომლითაც დასავლეთი საქართველო სამხრეთის მხარეებს უკავშირდებოდა. გზებზე, ბუნებრივია, საზვერეებიც (საბაჟოები) მოქმედებდა თავისი გამგებლებით და რიგითი მოხელეებით. საბაჟო შემოსავალი თავადის სალაროს შევსების მნიშვნელოვანი წყარო უნდა ყოფილიყო.

სათავადოს ტყეებიც მრავლად ჰქონდა, რაც ტყისმცველთა ინსტიტუტის არსებობასაც გულისხმობს.

ზოგიერთ სათავადოში მოხელეთა შორის ქილიფთარი და მუჯირიც არის დადასტურებული. ქილიფთარი თავადის სასახლის საკუჭნაოს და დამხმარე სამსახურებს განაგებდა, ხოლო მუჯირი – მარცველეულის საცავებს და ა.შ. საქმის წარმოებას მწიგნობარი განაგებდა.

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა თავადს რამდენადმე მოწესრიგებული საპოლიციო სამსახური (ბოქაულთუხუცესით და ბოქაულებით).

აბუსერისძეთა სათავადო აბუსერისძეთა საერისთავოსაგან განვითარდა სამცხე-საათაბაგოს წიაღში, მაგრამ მას დიდხანს არ უარსებია. შემდეგ ბაგრატ III იმერთა მეფემ (1510-1565 წწ) აჯარა როსტომ გურიელს (1534-1564 წწ) გადასცა.

---

36 ა.ავალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 126; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85.

37 ა.ავალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 127; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 86-87.

38 ა.ავალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 126; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 88-90.

39 ა.ავალიანი. დასახ. ნასრომი, გვ. 126; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 90-93.

40 ა.ავალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 125; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 93-97.

რა თქმა უნდა, აბუსერისძეებს მეფის თავადობა ერჩიათ, მაგრამ XV საუკუნის შუახანებიდან ისინი უკვე მთავართა გარემოცვაში იყვნენ. მათ ხან ათაბაგები ფლობდნენ, ხან ვარდანიძე-გურიელები.

საბუსერისძეთა სამეურნეო ცხოვრების ძირითადი დარგები მიწათმოქმედება და მეცხოველეობა იყო. მისდევდნენ ქვით და ხით ხუროობასაც. ამ დარგის ხელოსნები მოსაგებად ქვეყნის ფარგლებს გარეთაც დადიოდნენ და სეზონურ მუშაობას ეწეოდნენ. ამგვარ საქმიანობას ძველი ტრადიციები გააჩნდა.

აბუსერისძეთა სათავადო ას წელზე მეტხანს არსებობდა. ოსმალთა შემოსევების შედეგად კი მისი მდგომარეობა საეჭვალო გახდა.

§2. თურქ-სელჩუკები და აჭარა

სელჩუკთა შემოსევებმა და შემდეგ მათი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ანატოლიაში დიდი გავლენა მოახდინა კავკასიის ხალხთა ცხოვრებაზე. არსებითად შეიცვალა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა.

სელჩუკთა შესახებ იმთავითვე გაჩნდა ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში, სომეხ მემატიანეთა თხზულებებში. თანამედროვე თურქი ისტორიკოსებიც დიდ ყურადღებას აქცევენ სელჩუკთა სახელმწიფოსა და საქართველოსთან მათი ურთიერთობის ისტორიის შესწავლას.[1]

თანამედროვე მკვლევრები სხვადასხვა ხასიათის ცნობებს პოულობენ სელჩუკთა შემოსევებზე სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებში და მათ შორის აჭარაში, მაგრამ ეს ცნობები ფართო მსჯელობის საშუალებას არ იძლევა. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. სიხარულიძის საყურნალო სტატია, რომელშიც მიმოხილულია სელჩუკთა შემოსევები საკუთრივ აჭარაში.[2]

სელჩუკმა დამპყრობლებმა დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს ცალკეულ მხარეებს.

დასავლეთის მიმართულებით მოწყობილი ლაშქრობების დროს სელჩუკები ბიზანტიელების წინააღმდეგობასაც წააწყდნენ. ბიზანტიელები ამ დროს დიდ როლს ასრულებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად ხშირად იყენებდნენ ლიპარიტ ერისთავს. „თითქმის ყოველს დიდს ლაშქრობაში, რომელიც კი ბერძნებს აღმოსავლეთში შემთხვევიათ, ბიზანტიელების მოკავშირედ ლიპარიტი იყო".[3]

ბიზანტიის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ აშკარა იყო. თავისი გეგმების განხორციელების საქმეში იგი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა სელჩუკების სახით, რომლებიც გაცილებით უფრო ფართო გეგმებს ისახავდნენ ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ხალხთა მიმართ, ვიდრე ბიზანტიელები.

სელჩუკთა სისტემატური თავდასხმები საქართველოზე იწყება XI საუკუნის 60-იანი წლებიდან. ჯერ კიდევ თოღრულ ბეგის სიცოცხლეში 1053-54 წლებში მათ ულაშქრიათ სომხეთსა და აზერბაიჯანში. არისტაკეს ლასტივერტელი შენიშნავს, რომ სელჩუკებს ლაშქარი ოთხ ნაწილად დაუყვიათ. ლაშქრის სამი ნაწილი სომხეთის შუაგულისაკენ

---

[1] ნ.შენგელია. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბილისი, 1968.

[2] ი.სიხარულიძე. თურქ-სელჩუკთა შემოსევები აჭარაში. – ლიტერატურული აჭარა, №3, 1958, გვ. 84-87.

[3] ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, თბილისი, 1965, გვ. 146.

წამოსულა. მათ პონტოს, ტაოსა და ჭოროხის ნაპირებამდე ყველაფერი მოუოხრებიათ. თოღრულ ბეგმა „მარბიელი ჯარი მოპფინა ქვეყნის სამ მხარეს. ჩრდილოეთით – აფხაზთა ციხემდე. და პარხალის მთამდე და კავკასიის მთის კალთებამდე, დასავლეთით ჭანეთის ტყემდე. ხოლო სამხრეთით – სიმის მთამდე დაიპყრეს მთელი ქვეყანა“.[4] ამ ამონაწერიდანვე ჩანს, რომ სელჩუკები უფრო ხშირად ჩნდებიან აჭარის მოსაზღვერე ტერიტორიებზე და თვით აჭარასთანაც ახლოს არიან.

არისტაკეს ლასტივერტელი მიუთითებს სელჩუკთა გამოჩენის თაობაზე ტაოს ქვეყანაში, ისინი მდინარე ჭოროხამდე მოსულან: ავტორის თქმით: „ტაოს ქვეყანაში შეჭრილი მტრები, მთელი ქვეყნის დამპყრობნი, მოვიდნენ მდინარე ჭოროხამდე და მისი დინების გაყოლებით წავიდნენ წალდიიდ ქვეყანაში და ააოხრეს.“[5] ლიპარიტის შვილის ივანეს მიერ სელჩუკთა ძალების მოხმობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან თანამედროვე თურქი ისტორიკოსები მ. ქოიმენი, რენე გრუსე და კლოდ კაენი. მათი განმარტებით, ივანე სელჩუკებს „ტრაპიზონის აუზში, ქალდიისაკენ წაუძღვა, სელჩუკებმა ბაიბურთის სამხრეთ-დასავლეთით, ჭოროხის აუზში მდებარე ტერიტორიები გაანადგურეს და უკან გაბრუნდნენ.“[6]

აკად. ს. ერემიანის ცნობით, ივანეს ნაცვლად სელჩუკებს ჭანეთამდე და დასავლეთ საქართველომდე მიუძღოდა ლიპარიტის შვილი რატი, რომელიც სელჩუკთა კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი მძეულად დაიტოვეს სელჩუკებმა ლიპარიტის გამოშვების შემდეგ. მხოლოდ ს. ერემიანი ასახელებს რატის სელჩუკთა ლაშქრის მეწინავედ. ყველა მემატიანე კი ივანე ლიპარიტის ძეს მიუთითებს.

ამის შემდეგ სელჩუკები ანატოლიასა და კავკასიაში რამდენიმე წელი არ გამოჩენილან. თოღრულ ბეგს არ ეცალა ანატოლიაში ლაშქრობისათვის. მხოლოდ მისი მემკვიდრის – ალფ-არსლანის სულთნობის წლებში გახდა შესაძლებელი სელჩუკთა ძალების მომძლავრება საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ალფ-არსლანმა ჯერ ნიზამ ალ-მულქი და უფლისწული მელიქ-შაჰი გააგზავნა საქართველოს დასალაშქრად, ხოლო შემდეგ თავად შემოიჭრა სამხრეთ საქართველოში. მატიანე ქართლისაის ავტორის მიხედვით, იგი „უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე. და მასვე დღესა ჩამოუწია თორს და ღვიეის ხევს და თვით დადგა თრიალეთს სამ დღე.“[7]

შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს დამორჩილება ვიდრე ფანასკერტამდე, ალბათ მძიმე დღეში ჩააყენებდა მთელი აჭარის მოსახლეობას. მართალია, ჩვენ ამ პერიოდისათვის ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება აჭარის შესახებ, მაგრამ აშკარაა, რომ სელჩუკებმა XI საუკუნის 60-იან წლებში აჭარის მოსახლეობა ურთულეს პირობებში ჩააყენეს. თვით ალფ-არსლანი ამ პერიოდში ახალქალაქის აღებით იყო დაკავებული, მაგრამ მისი მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალები, ბუნებრივია, არც მოსაზღვერე ტერიტორიების მოსახლეობას ჩააყენებდნენ უკეთეს პირობებში.

ალფ-არსლანმა ახალქალაქი გარემოიცვა. სამი დღის თავდადებული ბრძოლის შემდეგ ქართველებმა დათმეს ახალქალაქი. ამ ქალაქისათვის ბრძოლას შეეწირა უამრავი ქართველის სისხლი, მაგრამ სულთანმა ქალაქი მაინც აიღო და იქიდან ყარსისაკენ გაემართა.

---

[4] არისტაკეს ლასტივერტელი. ისტორია (ხელნაწერი), გვ. 43-44.

[5] იქვე, გვ. 65-66.

[6] ნ.შენგელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 208-209.

[7] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილი მიერ. I, თბილისი, 1955, გვ. 306.

ალფ-არსლანი საქართველოში სამი წლის შემდეგ დაბრუნდა. ამჯერად, არაბული წყაროს მიხედვით, მან ჯერის ციხემდე ილაშქრა. დასავლეთ საქართველოში სელჩუკებს ცხრა კვირა დაუყეიათ და ზამთრის სუსხის გამო უკან დაბრუნებულან. არც ქართველ მემატიანეს და არც აღმოსავლური წყაროების ავტორებს არსად არ აქვთ მითითებული სელჩუკთა ძალების აფხაზეთში ან აჭარაში გადასვლა. მხოლოდ თანამედროვე თურქი ისტორიკოსები მსჯელობენ ამ პერიოდში სელჩუკთა ტრაპიზონამდე ლაშქრობაზე, მთელი ‘ხღეისპირეთის მოოხრებასე,[8] მაგრამ წყაროს არ უთითებენ.

ალფ-არსლანის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ლაშქრობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იყო დასახული მელიქ-შაპისათვის. ალფ-არსლანი მას ავალებდა საქართველოს დაპყრობას. სელჩუკთა ძალების შესაკავებლად საქართველო ამ პერიოდში მარტო აღმოჩნდა. ბიზანტიამ ასპარეზი დაცალა. სომხეთი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა. საქართველოს შემოეცალა ქრისტიანული სახელმწიფოები. მათი ადგილი დაიკავეს სელჩუკებმა და წვრილ-წვრილმა მაჰმადიანურმა პოლიტიკურმა ერთეულებმა. იწყებოდა „დიდი თურქობის“ ხანა საქართველოში. მელიქ-შაპის დროს სელჩუკები არაერთგზის შემოესიენენ საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს. ამის შესახებ შედარებით ერცლად მოგვითხრობენ ქართული ნარატიული და დოკუმენტური წყაროები.

საქართველოში ამ დროს ფართოდ იყო ფეხმოკიდებული კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლები. „სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციური ძალები თურქებს მოკავშირეებად სახავდნენ და მათ მხარეზე დგებოდნენ. ქვეყანას შინააშლილობა და გამცემლობა – ღალატი ღუპავდა.“[9]

ტახტის დაკავების შემდეგ გიორგი II მრავალი ღონისძიება ჩაუტარებია ქვეყნის გაფართოება-გაძლიერების თვალსაზრისით. აღსანიშნაია მისი ნაბიჯი სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების გასაფართოებლად. „მას ბიზანტიელებისათვის წაურთმევია ანაკოფია და კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთისა და არტაანის ციხეები.“[10] გიორგი მეფემ კარგად გამოიყენა სელჩუკთა მიერ შეეიწროებულ ბიზანტიელთა მდგომარეობა. ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაუტარებია მას სელჩუკთაგან კარის, ვანანდისა და კარნიფორის გამოსატაცებლად. ქართველი მეფის მიერ გატარებული ეს ღონისძიება ქვეყნისთვის დიდად სასარგებლო საქმიანობა იყო.

ტაოში (ბანა) მდგარ გიორგი მეფესთან მოვიდა „წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი და კარი და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიდგომი ქუეყანა და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს და წარვიდეს.“[11] ამ ღონისძიებებშიც ჩანს გიორგი მეფის დიდი სახელმწიფოებრივი საქმიანობა. ამიერიდან სელჩუკები ყოველწლიურად მოდიოდნენ საქართველოში. მემატიანის თქმით, ისინი „მეზობლით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა.“ საქართველოს მეზობლად ჩამოსახლებული სელჩუკები ვერ მოითმენდნენ გიორგი მეფის ასეთ წარმატებას. თურქი ისტორიკოსის ქაფესოღლუს შენიშვნით, გიორგი მეფის ასეთი გამარჯვებები გახდა მიზეზი სულთან მელიქ-შაპის ლაშქრობისა ამიერკავკასიასა და საქართველოში.[12]

---

[8] Yinanç M.H. Turkye Tarihi, Selçuklular devri I, Anadolunun fethi, Istanbul, 1944, გვ. 306.

[9] ი.სხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[10] ნ.შენგელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

[11] ქართლის ცხოვრება. I, გვ. 318.

[12] Kafesoğlu I. Sultan Meliksh Devrndee Büyük Selçuklu Impatorlugu. Istanbul, 1953, gv. 114.

მელიქ-შაჰმა გადაწყვიტა დაესაჯა საქართველოს მეფე. მან გიორგი მეფეს წაართვა ყუელის ციხე. დავითის ისტორიკოსის თქმით, ეს მოხდა „შინა გაცემითა ქრისტიანეთა.“ ჩანს, უკმაყოფილო წარჩინებულები სელჩუკთა მხარეს გადასულან. გიორგისათვის ეს შემოტევა მოულოდნელი იყო. გიორგი მეფე გაიქცა: მტერს დიდძალი ნადავლი ჩაუვარდა ხელთ: „ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი ჰატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდეს.“[13]

დამარცხებული მეფე აჯარაში გადავიდა, ჩანს, აქაც დიდხანს აღარ დაედგომებოდა და იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოს სიღრმეში გადასულიყო. „ხოლო გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჯარით აფხაზეთად. მათ იკუე ლაშქართა ესვეითარითა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინა დაემთხვევნეს ამირანი დიდნი.“[14]

ამირ აჰმედის შემოჭრა საქართველოში უნდა მომხდარიყო 1074-1080 წლებში,[15] თ.ჟორდანიას ვარაუდით — 1078-1079 წლებში.[16] საქართველოში „ძლიერი და მაგრად მოისარი ამირ აჰმედი“ დიდი ნადავლით დატვირთული შეხვდა სელჩუკთა უსარმაზარი ლაშქრის მფლობელ ამირებს: იასისა და ვინმე ბეყლუშს, ისინი საძარცვავად საბერძნეთს მიდიოდნენ. ეს ამირები სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არიან აბუ იაყუბისა და ისა ბორის სახელით.

ამირ აჰმედმა მათ გააცნო საქაროველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. აუწყა, რომ საქართველო ძალიან მდიდარია და ხაზინა უხვია. ამის გამო ორივე ამირმა შეცვალა მიმართულება და პირდაპირ საქართველოსკენ აიღეს კურსი. ისინი მთელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოეფინენ „ეითარცა მკალნი“. მათ სხვა მტრებთან ერთად დალაშქრეს: კლარჯეთი, შავშეთი, აჯარა, სამცხე, ქართლი და სხვ. ასეთი მასობრივი შემოტევის შედეგად მოისრა სრულიად საქართველო.[17] მათ მთელი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო დალაშქრეს.

ეს იყო პირველი დიდი თურქობა. საქართველოს აქამდე არ ახსოვეს სელჩუკთა ასეთი მასობრივი და ყოვლისმომცველი ლაშქრობა. ამჯერად სელჩუკებმა „ეიდრე მოსვლამდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიდნეს, თუ სადმე ვინ დარჩობილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა.“[18]

საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბებული სელჩუკთა მუსლიმანური სახელმწიფო თავისთავად ქმნიდა პირობებს საქართველოზე სისტემატური თავდასხმებისათვის. ქრისტიანული სახელმწიფოების ნაცვლად საქართველო მუსლიმანური მომთაბარეების გარემოცვაში აღმოჩნდა. „რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებული იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსაელეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა დაეპყრა.“[19] მთელს ამიერკავკასიაში საქართველო უკვე ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელსაც მარტოდმარტო უხდებოდა სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევების გამკლავება.

დავითის ისტორიკოსის თქმით, სელჩუკებმა წარყვნეს წმინდა ეკლესიანი, მოსახლეობა კი დაატყვევეს. დამპყრობლებმა საქართველოს მოსახლეობა გამოუვალ

---

13 დავითის ისტორიკოსი. ქართლის ცხოვრება. I, გვ. 319.

14 იქვე.

15 ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III, გვ. 1617.

16 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ.ჟორდანიას მიერ. I, თბილისი, 1893, გვ. 229-230.

17 დავითის ისტორიკოსი. ქართლის ცხოვრება. I, გვ. 319.

18 იქვე, გვ. 320.

19 იქვე, გვ. 321.

მდგომარეობაში ჩააყენეს. ასეთივე მძიმე ვითარება შეიქმნა აჭარაშიც. მწარმოებელ საზოგადოებას ყოველ წუთს საფრთხე მოელოდა, შეუძლებელი ხდებოდა მეურნეობის გამართვა: „არა იყო მათ ჯამთა შინა თესვა და მკა, მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნენ მას შინა. და იყო ჭირი მოუომენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილა სმენილთა და გარდასრულთა ოჯრებათასა".[20] ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით, „სადაც კი თურქები გაჩნდნენ, ყველგან მათი მოღვაწეობის ძეგლად უაღრესი ბარბაროსობა, გაოხრებული და გადაბუგული ქვეყნები რჩებოდა.[21]

ქვეყანა გადაშენების წინაშე აღმოჩნდა. მეფე გიორგიმ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება. გამოუვალი მდგომარეობის გამო იგი ეახლა სელჩუკ სულთანს და მორჩილება გამოუცხადა მას. ქართველი მემატიანის თქმით, გიორგი მეფემ „ესრეთ დადვა სული თჳისი და სისხლნი ქრისტიანეთა ჴსნისათჳს." გიორგი მეფე წავიდა ისპაჰანს და სულთნისაგან შეწყნარებულ იქნა ვითარცა შვილი საყვარელი, მეფემ იკისრა ხარაჯა და ის დიდი პატივით გამოისტუმრეს სამშობლოში.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტები სელჩუკებს ჰქონდათ დაკავებული. საჭირო იყო ქვეყნის შინაგანი ძალების სრული მობილიზაცია, როგორც გარეშე მტრების, ისე შინაური ურჩი ფეოდალების ალაგმვა. ახლად წარმოქმნილი ფეოდალური მონარქია იძულებული იყო ებრძოლა როგორც ქვეყნის გაერთიანებისათვის, ასევე ქვეყნის მნიშვნელოვანი რაიონებიდან და ქალაქებიდან უცხო დამპყრობთა განსადევნად.[22] ამ მხრივ დავით აღმაშენებელმა მძიმე და საპატიო ამოცანა იკისრა. მან გონივრულად განსაჯა ქვეყნის მდგომარეობა და ისე წარმართა მთელი რიგი ღონისძიებანი.

XI საუკუნის 80-იანი წლებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაძლიერებული თურქული ეთნიკური ელემენტის მომძლავრება და შემოსევა-ჩამოსახლება საფრთხეს უქმნიდა განვითარებულ ქართულ ფეოდალურ მეურნეობას. მომთაბარე სელჩუკებს საძოვრებად ვრცელი ველები სჭირდებოდათ. მომთაბარულ-მეჯოგური მეურნეობა კი ერთბანად უპირისპირდებოდა განვითარებული ფეოდალური ქვეყნის მეურნეობას.

დავით აღმაშენებელი სელჩუკთა საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხთა მხარდაჭერას პოულობდა და კულტურული მეურნეობის მქონე ხალხთა პროგრესისათვის ბრძოლის საქმეს მეთაურობდა.

მწირი ცნობების საფუძველზე ჩანს, რომ XII საუკუნის მანძილზე აჭარაში შექმნილი ვითარება მეტად მძიმე იყო.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სელჩუკები აჭარაში გამოჩენილან XII საუკუნის შუა წლებშიც.[23] მაგრამ ლ. მუსხელიშვილი ამ ფაქტს გვიანი პერიოდისათვის ვარაუდობს. აბუსერისძე ტბელის მონაცემებზე დაყრდნობით იგი წერდა, რომ მომხვდურნი „შინაგამცემლობის" წყალობით ხიხათა ციხეს დაპატრონებიან. ხიხანიდან მტერი განუდევნია მემატიანის პაპა აბუსერსა და მის ძმას სანანოს „ბრძანებითა ღმერთისა სწორთა პატრონთაითა."[24]

---

20 იქვე, გვ. 320.

21 ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II, გვ. 161.

22 Месхия Ш.А. Города и городской строй феодальной Грузии XVI-XVIII вв., Тбилиси, 1959, с. 38.

23 თ.ჟორდანია. ქრონიკები. II, გვ. 120, შენიშვნა 3.

24 აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. ლ. მუსხელიშვილის გამოცემა. თბილისი, 1941, გვ. 67.

ლ. მუსხელიშვილი ყურადღებას მიაქცევდა აბუსერისძე ტბელის ნიშანდობლივ გამოთქმას „მტერთა ზედა გაცემულნი“ და ხიხათის ციხის სელჩუკთა ხელში გადასვლის შესაძლებლობას იგი გუზან აბულასანისძის განდგომილებას უკავშირებს.[25]

შაქშეთ-კლარჯეთის პატრონი მეორედ განუდგა საქართველოს მეფეს (1191 წ). საქართველოს სამეფოს ჩამოაცილა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა მრავალი ადგილი და შაჰარმენს მიუვიდა. მას მხარი სხვა აზნაურებმაც აუბეს. მოჯანყეები კოლას მთაზე გაეიდნენ.

ამ მთაზე მათ შემოხვდათ თამარის ერთგულები — ზაქარია ფანასკერტელი, ძინიელნი და კალმახელნი. მათ მაშინვე იცნეს გუზანის შვილი, რომელიც აქ გუზანის ოჯახის წასაყვანად და ციხე-სიმაგრეებში სელჩუკთა ძალების ჩასაყენებლად ჩამოსულიყო. იგი შაჰ-არმენის ძალებით იყო მოსული.[26]

მიუხედავად იმისა, რომ მეფის ერთგულ ძალებს მცირერიცხოვანი ძალებით მოუხდათ მოწინააღმდეგის კარგად ორგანიზებულ მრავალრიცხოვან შეიარაღებულ პირებთან შებმა, მათ „დიდად დაჯირვებული“ ომი გადაიხადეს და წარმატებას ვერ მიაღწიეს. მოღალატეთა მეომარნი გააქციეს, ხოლო გუზანის ცოლ-შვილი შეიპყრეს. გამარჯვებულნი უკან გამობრუნდნენ და თურქთა მიერ დაკავებული ციხეები კვლავ საქართველოს სამეფოს შემოუერთეს.

ლ. მუსხელიშვილი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ქართველთა განდგომილების ჟამს ხიხათას ციხეში თურქ-სელჩუკთა ძალების ჩადგომას. ამ პერიოდში შეიძლება ისინი „ეგები ცოტა მეტ ხანსაც დარჩნენ, ვიდრე სხვაგან.“[27] ზაქარია ფანასკერტელსა და მის თანამზრახველებს რომ თურქთაგან დაკავებული ყველა ციხე აეღოთ, მაშინ აბუსერ და სანანო აბუსერისძეებს ადარ დაავალებდა საქართველოს სამეფოს ხელისუფლება ხიხათა ციხის განთავისუფლებას. აშკარაა, რომ აჭარლები ერთგულად შებმიან მტერს და მალე განუდევნიათ ისინი აჭარის ერისთავეთა სარეზიდენციო ციხე-ქალაქიდან.

ქართველთა შემდგომი წარმატებებისათვის დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო შამქორისა და ბასიანის ბრძოლები, რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობდა. გამარჯვებაც მთელი საქართველოს ზეიმი იყო.

გარდა ამისა, საქართველოს ისტორიაში არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა იყო ტრაპიზონის საკეისროს დაარსება (1204 წ). არ შეიძლებოდა ამ ისტორიული მნიშვნელობის საკითხს თავისი დადებითი შედეგები არ გამოეღო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის და განსაკუთრებით აჭარის მკვიდრთათვის. ეს იყო საქართველოს ხელისუფლების დიდი წარმატება. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ჯერ კიდევ ქართული მოსახლეობა ესაზღვრებოდა. აჭარის მიმდებარე ტერიტორიები ქართული იყო. იქ ქართული ადათ-წესები და ქართული სული ტრიალებდა.

მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრაპიზონის საკეისროს დაარსების საქმეში. ქართველი მემატიანის გადმოცემით, „ხოლო განრისხდა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამესონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია, და ყოველნი ადგილნი ფაბლაღონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა. ანდრონიკეს შვილსა, რომელ იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი.“[28]

---

25 აბუსერისძე ტბელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 17, შენიშვნა 1.

26 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. კ.კეკელიძის გამოცემა. თბილისი, 1941, გვ. 96.

27 აბუსერისძე ტბელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 19, შენიშვნა 1.

28 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. III, თბილისი, 1959, გვ. 130.

ამრიგად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით გაჩნდა ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი ტრაპიზონის საკეისროს სახით, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიერიდან ტრაპიზონის გამგებლები ყოველთვის იყვნენ საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან კეთილმეზობლურ და ნათესაურ ურთიერთობაში.

სელჩუკთა საამირო-სათაბაგოები ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად იყო დაყოფილი. ისინი საქართველოს ემდნაფიც და მოხარკე ქვეყნებად ითვლებოდნენ.

ქართველმა ხალხმა სელჩუკთა სამსაუკუნოვანი შემოტევები წარმატებით მოიგერია, კავკასიის ხალხებთან ერთად საქართველომ უკუაქცია თურქ-სელჩუკთა მოძალება და დიდი მსხვერპლის ფასად შეძლო კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ყოფილიყო და გამარჯვება ეზეიმა.

§3. აჭარა მონღოლთა ბატონობის ხანაში

ბრძოლა მონღოლურ ტომთა გაერთიანებისათვის XIII საუკუნის დამდეგს ცენტრალური აზიის უკიდეგანო ველებში დიდი სახელმწიფოს წარმოქმნით დასრულდა. ომში და ომისათვის შობილი ეს ადრეფეოდალური წარმონაქმნი მალე შეუდგა მეზობელი ქვეყნების დაპყრობას.

მონღოლთა ლაშქრის ორგანიზაცია კარგად იყო შეთანხმებული მათსავე სოციალურ-ეკონომიკურ წყობასთან და დიდი უპირატესობაც გააჩნდა უფრო დაწინაურებული ქვეყნების სამხედრო ორგანიზაციასთან შედარებით, რამაც მათი დიდი წარმატებები განაპირობა.

1215 წელს ახალმა დამპყრობლებმა პეკინი აიღეს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ შუა აზიისაკენ გამოილაშქრეს. ხორეზმის ძლევამოსილი და ამაყი სულთანი, რომელიც მთელი მუსლიმანური აღმოსავლეთის ხელმწიფობაზე ოცნებობდა, დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულ ეშველა თავისათვის.

ხორეზმშაჰს ჩინგიზ ყაენმა ის სარდლები დაადევნა, რომლებიც ჯერ კიდევ 1220 წლის მიწურულს ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ. მაშინ მონღოლთა და ქართველთა გადამწყვეტი ბრძოლა ხუნანის ველზე გაიმართა. ქართველები ტრადიციულად კარგად იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვება მონღოლებს დარჩა.[1] ამ დამარცხებამ ვერ გატეხა გიორგი-ლაშა. იგი გულმოდგინედ ემზადებოდა რევანშისათვის, მაგრამ მონღოლთა სარდლები მოულოდნელად გაეცალნენ საქართველოს.

გამოხდა ხანი და გიორგი-ლაშა გარდაიცვალა. მისი და — რუსუდანი ერთხანს მშვიდობიანად ცხოვრობდა. მაგრამ 1225 წელს საქართველოს ახალი უბედურება დააატყდა თავს — ქვეყანას ხვარაზმშაჰი ჯალალ ად-დინი შემოესია.

ჯალალ ად-დინი მონღოლების თავდაუზოგავი მტერი იყო და ანტიმონღოლური ფრონტის შექმნასაც ენერგიულად ესწრაფვოდა, მაგრამ არათუ ამ საქმის განხორციელება ვერ შეძლო, პირიქით, მცდარი პოლიტიკით თავის წინაარმდეგ აიმხედრა ის ძალები, რომლის შემოკრება-შეკავშირებას ადრე ვარაუდობდა.[2]

---

[1] ი.სიხარულიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში. თბილისი, 1967, გვ. 58

[2] იქვე, გვ. 92.

1235 წელს მონღოლები ერთდროულად იწყებენ აღმოსაელეთ ევროპისა და ამიერკავკასიის დაპყრობას.

აღმოსაელეთ ევროპის დასაპყრობად დაძრულ მონღოლთა ლაშქარს ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი ბათო ყაენი უძღოდა, ხოლო ამიერკავკასიაში მოქმედ ჯარებს – ჭორმაღან ნოინი.

საქართველოს სამეფო კარი მონღოლებთან გენერალური ბრძოლის გამართვას საეს ებით სწორად მიერიდა და ლოკალური ბრძოლები ამჯობინა. ამ წესითაც საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეაგებეს ქართველებმა მტერს, რითაც საშუალება მისცეს სამეფო კარსა და მოსახლეობას ლიხთიქითს გასახიზნავად.

განსაკუთრებით ენერგიულად შეება მტერს სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომლის დიდი ნაწილიც ერისთავეერისთაესა და მეჯურჭალეთუხუცესის ყეარყეარე ჯაყელის საგამგეოში ეროიანდებოდა.[3]

ასეთი ლოკალური ბრძოლა შეესაბამებოდა საქართველოს მთავარსარდლობის ბანაკის იმდროინდელ გენერალურ გეგმას, მაგრამ მას თვალსაჩინო წარმატების მოტანა არ შეეძლო. მეჯურჭალეთუხუცესიც ბოლოს იძულებული იყო დამორჩილებოდა მონღოლებს.

არსიანის გადასასელელების დაცვა, როგორც ჩანს, საქარია მხარგრძელის ვაუს, შანშე მანდატურთუხუცესს მიენდო და ისიც, როგორც ჟამთააღმწერელი წერს, „შეილტვოდა ქეეყანად აჭარისასა".[4]

ზოგიერთი ისტორიკოსი, რომელიც კარგად ვერ ერკეეეა ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობაში, მანდატუროუხუცესის აჭარაში შესელას სამამულო ინტერესებით ხსნის: ეს მხარე იმ დროს ვითომც მხარგრძელთა იმ შტოს მფლობელობაში ყოფილიყოს, რომელიც შანშეს ეკუთვნოდა,[5] მაგრამ წყაროები ამას არ ადასტურებენ.

მაშინდელი საქართველოს მესვეურთა და მათი ნების აღმასრულებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საუცხოოდ შეასრულეს კარგად მოფიქრებული სტრატეგიული გეგმა: თანდათან, ბრძოლებით დათმეს ქეეყნის აღმოსაელეთი, მაგრამ დასავლეთში ფეხი არ შეადგმევინეს მტერს.

ამ საქმეში ღირსეული წელილი შანშე მანდატურთუხუცესმაც შეიტანა. როგორც ჩანს, იგი აჭარაში მანმადე დარჩა, სანამ მტრის შემოჭრის საფრთხე არ ამოიკეეთა.

როდესაც მტერმა ლიხთიქითში შესვლა და ქუთაისის დაკავება ვერ მოახერხა, საქართველოს მეფეს ზავი შესთავაზა, მაგრამ რუსუდანი ზავს არ დათანხმდა, რადგან დასავლეთიდან დახმარებას მოელოდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ საბოლოოდ არ გადაეწურა ეს იმედი.

1242 წელს, ომის დაწყებიდან მეშვიდე წელს, გაფორმდა ქართველ-მონღოლთა სასაეო შეთანხმება. იგი ქართული დიპლომატიის თვალსაჩინო მიღწეად უნდა ჩაითვალოს. საინტერესოა, რომ ქვეყნის ცალკეული ნაწილები ამ შეთანხმებაში სხვადასხვა პირობით შეეიდა: დასავლეთ საქართველო – ყმადნაფიცობის პირობით, ხოლო აღმოსავლეთში ვითარება უფრო დამძიმებული იყო, მაგრამ იგი მაინც ქართულ წესრიგს ინარჩუნებდა.

მალე ცხადი გახდა, რომ მონღოლები ამ შეთანხმებით კმაყოფილნი არ იყენენ და მისი შეცვლისათვის შესაფერის დროს ელოდნენ და საწადელსაც მიაღწიეს, როდესაც 1245 წელს რუსუდან დედოფალი გარდაიცვალა. მტერმა სცვადა უმეფობით შექმნილი

---

[3] იქვე, გვ. 93.

[4] ჟამთააღმწერელი. ასი წლის მატიანე. რ.კიკნაძის გამოცემა. თბილისი, 1987, გვ. 71.

[5] ინგილო ჯანაშვილი. ნათელი სიბნელეში საქართველოს უმეფობის დროს. „დროება", 1874, №449, გვ. 3.

ვითარების გამოყენება (უფლისწულები ყარაყორუმს იყვნენ წარგზავნილნი დიდ ყაენთან დასამტკიცებლად) და ქვეყანაში ნომადური (მონღოლური) მმართველობის შემოღება გადაწყვიტა.

საბედნიეროდ, მმართველობის უცხო სისტემამ ჩვენში დიდხანს ვერ იბოგინა. თუმცა, მტერი თავისას არ იშლიდა და ხან საქართველოს ეკონომიკას შეახებდა ავად ხელს, ხანაც – იდეურ სფეროს და აშ. დამპყრობლის ასეთ მცდელობათა სიავე შეუმჩნეველი როდი რჩებოდათ ქართველებს და შესაფერის მომენტსაც უცდიდნენ.[6] განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1259 წლის აჯანყება, რომლის შედეგად ლიხთიქითის ქვეყანა ფაქტობრივად გამოეიდა მონღოლთა ყმადნაფიცობიდან და ისეთ აქტიურ ანტიილხანურ პოლიტიკას დაადგა, რასაც ბადალი არ უნანდა იმდროინდელ მსოფლიოში. დაეით ნარინმა ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწეობით საკმაოდ სერიოზული ძალები (რუმის სასულთნო, ეგვიპტის აიუბიანები და სხვები) შემოიკრიბა და მონღოლთა წინააღმდეგ დიდი ბრძოლები წამოიწყო.

ამავე პოლიტიკით იყო განპირობებული აბაღა ყაენის (1265-1281 წწ) წინააღმდეგ მებრძოლი მონღოლი უფლისწულის – თეგუდარისა და მისი ურდოს საზეიმო მიღება ქუთაისში, 1270 წელს. თეგუდარი ჩინგიზ ყაენის ეაუის ჩაღატარის უფროსი ძის მუჩი იბეს პირმშო იყო.[7]

ქართველი ეამთააღმწერლის ცნობით, იგი „ორისა ბევრისა ლაშქრის მქონებელი" ირანს წარმოუგზავნია „დიდი თურქეთის" მპყრობელ ბარახა ყაენს იმ ხარჯის მისაღებად, „რომელ მას წარხდომოდა" და ირანს მესვეურისაგან უნდა მიეღო.

აბაღა ყაენს ღირსეულად მიუღია უფლისწული და ხარჯის გამზადებამდე მიუჩენია მისთვის „საფხულისა სადგურად ვიდრემდე მთანი არარატისანი და საზამთროდ რახსისა პირი და ნახჭავანი."[8]

როდესაც უფლისწულს კარგად მოუდგამს ფეხი ირანს, ილხანის დასამხობად ამხედრებულა. ქართველი ისტორიკოსი (ეამთააღმწერელი) ამას მის პირად ინიციატივად მიიჩნევს, ხოლო ირანელი ისტორიკოსი (რაშიდ ად-დინი) – ბარახას მიაწერს.[9]

ეს ანტიილხანური შეთქმულება რომ ბარახას მცდელობა არ იყოს, მის მხარდაჭერას მაინც გულისხმობს, თორემ ძნელი წარმოსადგენია თეგუდარს ძლიერი ილხანის წინააღმდეგ გამოსვლა გაებედა. მას სამცხის პატრონის სარგის ჯაყელის კეთილგანწყობის იმედიც უნდა ჰქონოდა და მეფე დავით ნარინისაც. ამას ნათლად ადასტურებს უფლისწულის შაეშეთისაკენ წამოსვლა და „თავსა შაეშეთისასა ფიჭუთას" დადგომა.[10]

თეგუდარის მოლაპარაკება სარგის ჯაყელთან წარუმატებელი არ ყოფილა, მაგრამ აბაღა ყაენის მდევარ ჯარებს მაინც ვერ გადაასწრო დასავლეთ საქართველოში და ჯნალისთაეს (არსიანის ქედზე) დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდა.

მიუხედავად თეგუდარელთა მამაცობისა, მოწინააღმდეგემ გაიმარჯვა და უფლისწულის გადარჩენილი მხედრობის ერთი ნაწილი აჭარისაკენ გაიქცა, ხოლო სხვები – ნიგალისხვეისაკენ (ჭოროხის ქვემო წელი).[11]

---

6 ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

7 ი.სიხარულიძე. მონღოლი უფლისწულის ურდო აჭარაში. – ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა". I, 1960, გვ. 83.

8 ქართლის ცხოვრება. II, 1959, გვ. 698.

9 ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

10 ი.სიხარულიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში, გვ. 143

11 იქვე.

ნიგალის გზით მიმავალთ, ეტყობა, რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ (ყოველ შემთხვევაში, ამაზე წყაროები დუმან), ხოლო მარითის ხეეთთ წასულებს დიდი ზიანი მიაყენა მთის ჩამოქცევამ. ვინც ზვავს გადაურჩა, მათ „ჩაიარეს აჭარა", შეუერთდნენ ნიგალის ხეეთ მომავალ თავისიანებს, შემდეგ კი ქუთათისაკენ განაგრძეს გზა.

დავით ნარინი სიხარულით დახვედრია მონღოლ უფლისწულს და არც ისე უსაფუძვლოდ: მეფეს მისი გამოყენება სურდა და საამისო პოლიტიკური მომენტის დადგომას ელოდებოდა.

თეგუდარის დასავლეთ საქართველოში შესვლის დროზე წყაროებში განსხვავებული ცნობები მოგვეპოვება. ერთთა ჩვენებით, ეს თითქოს 1268 წელს მომხდარა, ხოლო სხვები 1269 წელს ასახელებენ.[12] მაგრამ ერთი რამ ცხადია — ეს ფაქტი 1269 წელზე გვიან აღარ უნდა მომხდარიყო. ამავე დროს, მრავალრიცხოვანი ურდოს შენახვა მეფეს ცოტა როდი დაუჯდებოდა, მაგრამ იძულებული იყო ეს მძიმე ტვირთი მანამ ეზიდა, სანამ ამ უცხო ძალის საფრთხე არსებობდა. ეს დროც დადგა, როდესაც მერვე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამ (1270 წლის ივნისი) და ილხანის ბარახა ყაენზე გამარჯვებამ (1270 წლის 22 ივლისი) დიდ საგონებელში ჩააგდო ანტიილხანური მოძრაობის დიდი ორგანიზატორი და იგი იძულებული გახდა შელეოდა თეგუდარს, მაგრამ არა უბრალოდ, არამედ აბაღა ყაენის „ვედრებისა" და „ნიჭთა დიდთა" დაპირებათა ფონზე.[13]

თეგუდარის ურდოს იმ ნაწილს, რომელსაც აჭარაში მოუხდა შესვლა, რაიმე თვალსაჩინო ზიანი ქვეყნისათვის არ უნდა მიეყენებინა, რადგან მონღოლი უფლისწული აქ სამტროდ კი არ იყო მოსული, არამედ კეთილად განწყობილ ქვეყანაში გზად იდგნენ მხოლოდ.

ქვეყანას ზიანი უფრო 1281 წელს მონღოლთა ეგვიპტის ლაშქრობის ჟამს უნდა განეცადა. ამ ლაშქრობაში მთელი ლიხთ-ამერი საქართველო და სამცხის პატრონი ბექა ჯაყელიც მონაწილეობდა თავის ლაშქრით.[14] რადგან 1266 წლიდან აჭარაც სამცხის ხასინჯუში შედიოდა, ბექას ლაშქარში აჭარის მკვიდრნიც უნდა ეიგულისხმოთ.[15]

XIII საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც საილხანოში ტახტის პრეტენდენტები ერთმანეთს შეებნენ, თბილისის სამეფო კარმა აბაღა ყაენის (გარდ. 1282 წ) ძმას ამმადს დაუჭირა მხარი და არა მის მეტოქე არღუნს. იმავე პოლიტიკას ადგა ბექა ჯაყელიც. ტახტზე განმტკიცებულმა არღუნმა ეს არ აპატია ბექას და სამცხის ასაკლებად დამსჯელი ექსპედიცია მოავლინა.

ბექა ჯაყელს შეეძლო ბრძოლით დახვედროდა მტერს და უკუეგდო კიდეც. მაგრამ ამჯერად ასეთი რამ გაუმართლებელი ჩანდა, რადგან ახალი ილხანი ამას კიდევ უფრო დიდ ცოდვად ჩაუთვლიდა და არც ადვილად შეარჩენდა. ამიტომ სამცხის ხასინჯუს გონიერმა მმართველმა გარიგება ამჯობინა და „მიჰრიდა მთათა, რომელ არიან შუა გურიასა და აჭარასა".[16]

არღუნის ჯარებმა აჭარაში შესვლა და ბექასთან პირდაპირი შებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს. თუმცა, მოაოხრეს სამცხე და ისევ უკან გაბრუნდნენ.

ბექა მარჯვედ იყენებდა ხასინჯუობით მოპოვებულ მშვიდობას და შესანიშნავადაც მოაშენა ქვეყანა.

---

12 იქვე.

13 მონღოლთა უფლისწულის შემოსვლას საქართველოში ეძღვნება პოეტ ამირან ხაბაზის ისტორიული პოემა „გოდერძი" (იხ. მისი „სულ საქართველო მეძახდა". ბათუმი, 1996, გვ. 319-367).

14 იქვე, გვ. 279.

15 აბ.სურგულაძე. აჭარის პოლიტიკური წარსულიდან. — სდსის, თბილისი, 1991, გვ. 12.

16. ქართლის ცხოვრება. II, თბილისი, 1959, გვ. 278-279.

ამ მონღოლური ინსტიტუტის (ხასინჯუს) გაუქმება XIV საუკუნის 30-იან წლებშია საეარაუდებელი, როდესაც გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346 წწ) სამცხე-საათაბაგო კვლავ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში დააბრუნა.

ამავე დროიდან არის საფიქრებელი ხიხათა ერისთავთერისთავ აბუსერისძის სამცხის ათაბაგის ყმობიდან განთავისუფლება და უშუალოდ მეფესთან დაკავშირება.

გიორგი ბრწყინვალეს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია აბუსერისძეთა სახლისათვის. ამას ნათლად მოწმობს ამ სახლის მეთაურის ივანე აბუსერისძის საეაზიროში შეყვანა და თანაც ისეთი დიდი საეაზირო ხელის ბოძება, როგორიც ამირსპასალარი იყო.

ანჯარა X საუკუნის 70-იანი წლებიდან XIII საუკუნის შუასანებამდე (ერთიანი საიარაღოელოს შემადგენლობაში)


ყ ი ე ჩ ა ყ ე ბ ი
ბიჭვინთა
ცხუმი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოსეთი
პ ო ნ ტ ო ს
ზ ღ ვ ა
ფოთი
ბ. რიონი
ქუთაისი
ბათუმი
ბაკურა
ხუფათი
ტრაპიზონი
ტ რ ა პ ე ზ ო ნ ი ს
ი მ პ ე რ ი ა
ბ. ჭოროხი
არტანუჯი
ბ. ფაცხელა
ბ. ფაცხელა
ბ. ფაცხელა

თავი III

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა განვითარებულ ფეოდალურ ხანაში

§1. სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში

განვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ქვეყნის ეკონომიკურმა დაწინაურებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა საწარმოო ძალთა განვითარებასა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში.

შუა საუკუნეთა აჭარის ეკონომიკური ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა (მიწათმოქმედება-მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა), ხელოსნობა და შინამრეწველობა.

სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ჯერ კიდევ X საუკუნეში შეიმჩნევა და XI-XIII სს ახალ აღმაფლობას განიცდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პროგრესი. თანდათანობით იხვეწება, ვითარდება და უმჯობესდება შრომის იარაღები, რამაც სოფლის მეურნეობის წინსელა განაპირობა.

განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახვნელი იარაღის – გუთნის ფართოდ გამოყენებას, რომელმაც ხელი შეუწყო სახნავსათესი მიწების ფართოდ ათვისებას, ნიადაგის ეფექტურ დამუშავებას და შესაბამისად შრომის ნაყოფიერების გაზრდას.[1] აჭარაში, როგორც ეს ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, ფართოდ გამოიყენებოდა როგორც მარტივი, ისე შედარებით გაუმჯობესებული იარაღები. აჭარის დაბლობ ზონაში ტრადიციული იყო ორი სახის სახვნელი, რომელთაგან ერთი ფერდობების, ხოლო მეორე ეკაე ადგილების დასამუშავებლად გამოიყენებოდა. ეს იარაღები დასავლურქართული კაეის ტიპს განეკუთვნება. ქვემო და ზემო აჭარაში ყველაზე ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. „ჯილღა", რომელშიც შებმული იყო ერთი უღელი გამწეები ძალა. ზემო აჭარაში, ჩვეულებრივ, ჯილღასთან ერთად გამოიყენებოდა არეანა და ფამფალაკიანი ჯილღა. მასში, როგორც წესი, ორ-სამ უღელ ხარს უბამდნენ. აქაური სახვნელი იარაღები ერთი მხრივ დასავლურ, ხოლო მეორე მხრივ – აღმოსავლურქართულ (მესხურ) იარაღებთან პოულობს მსგავსებას.[2] ისინი გენეტიკურად უკავშირდებიან სახვნელი იარაღების იმ ფორმებს, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად ნაპოვნია საკვლევ რეგიონში და უცვლელად თითქმის დღემდეა მოღწეული.

---

1 რ.მეტრეველი. სოფლის მეურნეობა. – სინ, ტ. III. თბილისი, 1979, გვ. 90.

2 ნ.ჩიჯავაძე. დასავლურ-ქართული სახვნელი იარაღები. – სდსყ, IV, თბილისი, 1976, გვ. 61-65.

აჭარის მიწათმოქმედებაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ბართოხიც. მსგავსი ნიმუში რკინის ბართოხის სახით მოძიებულია XI-XIII სს ვერნების სამარხეულ ინვენტარში.[3] ამ ტიპის იარაღები აჭარის მთიანეთში ფართოდ გავრცელებული ჩანს და ძირითადად საახოე მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა. ბუნებრივია, ამ იარაღის გვერდით ძველთაგანვე ფართოდ იხმარებოდა ბარი, თოხი, ნამგალი, ცული, წალდი, სასხლაები დანები და ა.შ.

XI-XIII სს აჭარაში განსაკუთრებით დაწინაურებული იყო სოფლის მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მემინდვრეობა. ამ დარგის ძირითად ეკონომიკურ მიზანს, ბუნებრივია, ადამიანისათვის საჭირო საკვები, სამეურნეო და სხვა დანიშნულების მცენარეულობის მოყვანა შეადგენდა.

მემინდვრეობა საქართველოში სხვადასხვა სისტემას მოიცავდა (ნასვენი, ანეული, ღრმად ხვნა...).[4] ამავე პერიოდში გავრცელებული იყო ტყის ზონის მიწათმოქმედება, ე.წ. ახოობა, რომელიც სათავეს თოხის კულტურიდან იღებს. იგი გუთნურმა მიწათმოქმედებამ შეცვალა. რომელიც XX ს დასაწყისამდე აგრძელებდა არსებობას.[5] აჭარაში განსაკუთრებით მაღალ განვითარებას მიაღწია ტერასულმა მიწათმოქმედებამ.[6]

მემინდვრეობაში წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა პურეულ კულტურებს. აჭარაში მათ ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 1984 წელს ჭვანის (ტაკიძეების) ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარცვლეულის ნაშთები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში ლაბორატორიული შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ამ ნაშთების სახით ჩვენ საქმე გვაქვს რბილი და მაგარი ხორბლის ჯიშების, მათ შორის, დოლის და დიკას, კულტურული ორმარცვალა ასლის, კულტურული ჭვავის, აგრეთვე, ღომის, ცულისპირას, ბარდას და ოსპის არსებობასთან.

დოლის პური, როგორც სხვა მარცვლეული კულტურები, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ სრულყოფილადაა შესწავლილი. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ იგი ერთ-ერთი ძირითადი მარცვლეული კულტურა ჩანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა[7] და, განსაკუთრებით, აჭარისწყლის ხეობის შუა ზოლის მოსახლეობის ცხოვრებაში.[8] დოლის პურის ადგილობრივი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ ის თითქმის ერთნაირად კარგად ხარობდა როგორც სარწყავ, ისე ურწყავ ზოლში, როგორც ნოყიერ, ისე მწირ ნიადაგებში. ეს გარემოება აჭარის შუა ზოლისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო, რადგან აქ ბევრია ისეთი მიწები, რომელთა რწყვა შეუძლებელი ხდებოდა. დოლის პური, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, ხულოს რაიონის ზემო სოფლებში ითესებოდა XIX საუკუნის ჩათვლით და იგი საბოლოოდ განდევნა სიმინდმა.[9]

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ აჭარაში XIX ს ბოლომდე გაზაფხულის პურეულიდან მხოლოდ დიკა მოჰყავდათ. იგი ადრეული პერიოდიდან აჭარის მა-

---

3 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 144.

4 გ.ჩიტაია. მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის. – სსმმ, V. თბილისი, 1930, გვ. 269, 344.

5 ნ.ბერძენიშვილი (კილაძე). პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. – ითშ, II. თბილისი, 1956, გვ. 282-288.

6 ნ.ჩიჯავაძე. ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში. ბათუმი, 1976, გვ. 98-101.

7 ლ.ბერიაშვილი. მიწათმოქმედება მესხეთში. თბილისი, 1973.

8 ნ.ჩიჯავაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში. თბილისი, 1971, გვ. 33.

9 ნ.ჩიჯავაძე. მთური მიწათმოქმედება აჭარაში, გვ. 122.

ღალმთიან ზონაშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რაც მისი ბოტანიკური თვისებებით აიხსნება. ამაზე მიუთითებს ამ კულტურასთან – დიკასთან დაკავშირებული ტოპონიმების სიმრავლე, განსაკუთრებით კი – ზემო აჭარასა და მთისწინა ზოლის სოფლებში[10]. აჭარაში რამდენიმე სახის დიკა მოჰყავდათ, რომელსაც ხალხი სხვადასხვა სახელით აღნიშნავდა („თეთრი დიკა", „ყირმიზი-წითელი დიკა", შავთავა ანუ შავფხა დიკა). ამათგან პირველი ორი ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდში აღარ დასტურდება, ხოლო შავფხა დიკა იშვიათობას წარმოადგენდა.

არქეოლოგიურ მონაპოვარში მარცველეულთა შორის დასტურდება ჭვავის არსებობაც. მას ახასიათებს მწირი ნიადაგების მიმართ კარგი შეგუებისა და გარემო პირობებისადმი ნაკლები მომთხოვნელობა.[11] ამავე დროს იგი კარგად ეგუება სიცივესა და ყინვას. ხარობს სხვა მარცველეულთან მეზობლობაში და ა.შ. ჭვავის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ აჭარაში, განსაკუთრებით მთიან ზოლში, სადაც მისი განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა.

განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში მარცველეული კულტურებიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ასლს (კულტურული ორმარცვალას სახეობა). იგი არქეოლოგიურ მასალაში მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება. ასლი და მისი წარმომადგენლები ხორბლის ერთ-ერთი უძველესი სახეობებია, რომლებიც მეცნიერებაში შიშველთესლოვანთა პროტოტიპად არის მიჩნეული.[12] ასლი დამოწმებულია ძველი ბაბილონის, ეგვიპტის, კავკასიის და სხვა ცივილიზაციების მიწათმოქმედებაში ნეოლითური კულტურის საფეხურიდან.

ასლი, როგორც მოკლე საეგეტაციო პერიოდის მქონე კულტურა, მთის პირობებშიც დროულად ასწრებდა შემოსვლას. ამასთან, იგი სიცხის ამტანი, გვალვაგამძლე ხორბალია და დიდი შემგუებლობით გამოირჩევა.[13] ასლს იყენებდნენ როგორც პურის გამოსაცხობად, ისე კორკოტისათვის. აღნიშნული პერიოდისათვის ასლის კორკოტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვები ყოფილა. ამაზე მიუთითებს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დაცული ცნობებიც.[14]

ჭვავის არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აჭარის შუა ზოლის მეურნეობაში ღომის კულტურაც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მისი მოვლა-მოყვანა საახოე მიწათმოქმედებას უკავშირდება და დამახასიათებელია ბარის, მთისწინა და მთიანი ტიპის მიწათმოქმედებისათვის.[15] ეთნოგრაფიული მონაცემებით ღომის ჯიშებიდან აჭარაში გავრცელებული ყოფილა საადრეო – წითელი ღომი და საგვიანო – თეთრი ღომი. ღომის თავთავის გასახმობად კი არსებობდა საგანგებო ჭურჭელი, რომელსაც ოლვე ერქვა. მის გასაცხელად კი მხოლოდ ფეხის საცხვეველები არსებობდა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საძიგველს უწოდებს.[16]

არქეოლოგიურ ნივთიერ მასალებში გვხვდება ოსპის ნიმუშებიც, რომელსაც კაკობრიობის ისტორია ასევე უძველესი დროიდან იცნობდა.[17] მას იყენებდნენ როგორც ადა-

---

10 ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I. ბათუმი, 1958, გვ. 89,90,92,103,105 და სხვა.

11 Вавилов Н. Проблемы селекции, М-Л., 1960.с.291.

12 Жуковский П.М. Происхождения культурных растений, М-Л., 1962, с. 14.

13 ლ.დეკაპრელოვიჩეი. შრუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბილისი, 1955, გვ. 28.

14 გ.მერჩულე. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. – ქართული პროზა, ტ. I. თბილისი, 1982, გვ. 127.

15 გ.ჩიტაია. თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში. – ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II, თბილისი, 1959, გვ. 151.

16 ნ.ალხაძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 38.

17 Жуковский П.М. Земледельческая Турция, М., 1961, с. 277.

მიანის, ისე ცხოველის საკვებად. მის შესახებ აჭარის ეთნოგრაფიულ მასალებში ცნობები ძალზე მწირია. სამაგიეროდ, მისი მოვლა-მოყვანის კვალი ტოპონიმიკამ შემოგვინახა ნაოსპარის სახით.

აჭარაში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული საქონლის გამოსაკვებად საჭირო მარცვლეულის (ბარდა, ცულისპირა და სხვა) მოყვანაც, რაც ადგილობრივი მიწათმოქმედების, ისე მესაქონლეობის მაღალგანვითარებულ დონეზე მიუთითებს.[18]

აჭარაში პურის სამკელად შნაკვს, სალეწავად — კევრს, ხოლო გასაცეხვად — ხისა და ქვის საცეხველებს იყენებდნენ. შუა საუკუნეების ქვის საცეხველები მრავლადაა აღმოჩენილი როგორც აჭარის მთიან ზოლში, ისე ბარში, მათ შორის გონიო-აფსაროსში.[19]

არქეოლოგიური მონაცემებით, მიწათმოქმედების შედარებით ფართოდ დაწინაურებული დარგი იყო *მევენახეობა-მეღვინეობა*.

აჭარაში არ მოიპოვება სოფელი, სადაც აღნიშნული პერიოდის საშუალო და დიდი ზომის ქვევრები საკმაო რაოდენობით არ იყოს აღმოჩენილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მარნებისა თუ საწნახლების სიმრავლე, სხვადასხვა ძველი ხელსაწყო-იარაღი, კერამიკული ნაკეთობა და ა.შ. მათ დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მეტ-ნაკლებად შემოინახეს თავი.

აჭარაში მევენახეობის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები არსებობდა ბარსა და მთისწინა ზონაში. მთიან ადგილებში კი იგი იშვიათობა იყო. არ გამოვრიცხავთ, რომ საკელევ პერიოდშიც აჭარა მაღლარი ვაზის სიმრავლითაც გამოირჩეოდა. ივ. ჯავახიშვილი ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში წერდა, რომ აჭარაში მაღლარის 14 შავი და 12 თეთრი ჯიში არსებობდა.[20] მოგვიანებით მ. რამიშვილმა აჭარაში 40 აბორიგენული ჯიშის არსებობა დაადასტურა,[21] ხოლო ნ. კეცხოველს 50-ზე მეტი ძირითადი ჯიში აქვს მოხსენიებული.[22] ამჟამად აჭარაში დაფიქსირებულია ვაზის 80 ადგილობრივი ჯიში.[23] აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია უშუალოდ ამ დარგთან დაკავშირებული ხის, კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაგები საწნახლები.

კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი საწნახლები დაფიქსირებულია ქედის რაიონში (მახუნცეთი, ძენწმანი, ბზუბუნუ, ახო, აქუცა...).[24] ისინი განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ამ სახის ჭურჭელი ძ.წ. IV-III საუკუნეებიდანაა ცნობილი, მაგრამ განვითარების უმაღლეს საფეხურს შუა ფეოდალური ხანის საქართველოში აღწევს.[25] ქვაში ნაკვეთი საწნახლების უძველეს ტიპს განეკუთვნება სოფელ ზენითის საწნახელი.[26]

---

18 შამამულაძე. მემინდვრეობა, მევენახეობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში. — სდსის, II. ბათუმი, 2007, გვ. 63-72.

19 ა.კახიძე. შამამულაძე. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. - გონიო-აფსაროსი IV. ბათუმი, 2004, გვ. 4-73.

20 ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1936, გვ. 462-467.

21 მ.რამიშვილი. გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი, 1948, გვ. 2.

22 ნ.კეცხოველი, მ.რამიშვილი, დ.ტაბატაძე. საქართველოს ამპელოგრაფია. თბილისი, 1960, გვ. 3.

23 კ.ბერიძე. მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში. ბათუმი, 1975, გვ. 25.

24 ალ.დავითაძე. საწნახელი კლდეში. — გაზეთი „საბჭოთა აჭარა", 14, VIII, 1966.

25 ა.ბოხოჩაძე. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბილისი, 1963, გვ. 92-96.

26 დ.ხახუტაიშვილი. უფლისციხე I. ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. — მაცნე, 2, თბილისი, 1982, გვ. 63-66

შუა ფეოდალურ ხანაში საქართველოში ჩნდება ქვითკირით ნაშენი საწნახლებიც.[27] ასეთები აჭარაშიც შედარებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი (ორცევა, ახო, აქუცა, კოკოტაური, სხალთა, ჭვანა და ა.შ.). ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჭახლის ხეობა.[28] 2001 წელს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კირნათში (შუშანეთი) შეისწავლა განვითარებული შუა საუკუნეების სამეურნეო კომპლექსი. დადასტურდა დიდი ზომის კარგად დაცული ქვითკირით ნაშენი საწნახელი მარანთან ერთად და მის გვერდით მიშენებული პატარა ზომის საყდარი სატრაპეზოთი.

შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში მეევნახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე მიუთითებს შემოხვევითი თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ, მარანთა სიმრავლეც. ისინი ძირითადად ორი სახისაა: დახურული და ღია. დახურული ტიპის „საღვინე სახლიდან" ცალკე უნდა გამოიყოს ჭვანის (ტაკიძეების) ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი მარანი. ასეთი ორი მარანი ნაპოვნია ციხისყელის, ხოლო ერთი დარჩიძეების ციხის ტერიტორიის შიგნით.[29] მსგავსი ძეგლების არსებობა დამოწმებულია ხიხანის ციხე-ქალაქის, ბეგოშვილების, კაციანის, დანდალოს, გვარას თუ სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ტერიტორიაზეც. ამ ტიპის მარნები გვხვდება მაჭახლის ხეობასა[30] და ზღვისპირა სოლში.[31]

ღია ტიპის მარნები უმთავრესად შემოხვევითაა აღმოჩენილი ქედის (ეარჯანისი, ახო, აბუქეთა, ეაიო, ზეარე, გობრონეთი, დანდალო), შუახეთის (ჭვანა, ნენია,ფურტიო), ხულოს (სხალთა, ეაშლოვანი) რაიონების ტერიტორიაზე. ქვევრების დიდი ნაწილი კარგადაა დაცული, ნაწილიც მოღწეულია დაზიანებული სახით.[32]

ცალკე გამოიყოფა ის მარნები, რომლებიც საეკლესიო კომპლექსშია მოქცეული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნაეია თხილვანის ეკლესიის შიგნით საკმაოდ კარგად დაცული ქვევრები. ასევე ეერნების ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი 3 ქვევრი (ორი მათგანი კარგადაა შემონახული) და სხალთის კომპლექსში შემაეალი „საღვინე სახლი", რომელიც ცალკე ნაგებობას წარმოადგენს.

დასავლეთ საქართველოში ცნობილია ისეთი მარნებიც, რომლებიც სახლის კომპლექსში შედიოდა.[33] აჭარაში ამ ტიპის ძეგლები ჯერჯერობით შეუსწავლელია.

აღმოსავლეთ საქართველოში გვიანრომაულ და ადრეშუასაუკუნეთა ხანაში X საუკუნემდე გაბატონებული უნდა ყოფილიყო ღია ტიპის მარნები, ხოლო შემდეგ დახურული ტიპისა ერცელდება.[34] ამ მხრივ აჭარაში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, განვითარებულ შუა საუკუნეებში ოდნავ განსხვავებული სურათი გვაქვს. აქ გვხვდება როგორც დახურული, ისე ღია ტიპის მარნები. ეაშნარის ძეგლის მიხედვით ჩანს, რომ ადრეული პერიოდისათვის აქაც ძირითადად ღია ტიპის მარნები უნდა

---

27 ა.ბოხოჩაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 92-95.

28 ნ.კახიძე. მეევნახეობა-მეხილეობა მაჭახლის ხეობაში. – ამსყს, თბილისი, 1971, გვ. 6; მისივე, მაჭახლის ხეობა, გვ. 45.

29 შ.მამულაძე. აჭარიწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 153-159.

30 ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა, გვ. 44-46

31 ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. - სდსმ, IV. თბილისი, 1974, გვ. 102-153; ა.კახიძე, შ.მამულაძე. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. – გონიო-აფსაროსი, IV. ბათუმი, 2004, გვ. 4-66.

32 შ.მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

33 ალ.ფრუიძე. მეევნახეობა-მეღვინეობა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (რაჭა). თბილისი, 1974, გვ. 105.

34 ა.ბოხოჩაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

ყოფილიყო გავრცელებული.[35] ასევე ითქმის ციხისძირის გარე ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მარნების შესახებაც.

აჭარაში შესწავლილი მარნებიდან ჩანს, რომ მათში ქვევრების ნაწილი დაკირულია, ნაწილი კი დაუკირავი, რაც ამ ძეგლების დათარიღებისათვის სანდო წყაროა. ცნობილია, რომ ძ.წ. VI საუკუნიდან მოკიდებული, ახ.წ. X საუკუნემდე, მარნებში და ცალკე აღმოჩენილი ქვევრები უკიროდაა ჩადგმული.[36] მათი დაკირება შუაფეოდალური ხანიდან, კერძოდ, XI ს 80-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს და გაერცელებულია მთელ საქართველოში.[37] აჭარაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად თუ შემთხვევით აღმოჩენილ მარნებში გვხვდება როგორც დაკირული, ისე დაუკირავი ქვევრები. ხოლო თვით ძეგლები და განსაკუთრებით, საფორტიფიკაციო ნაგებობები შუაფეოდალურ ხანას (XI-XIII სს) განეკუთვნება. ვინაიდან ცალკე XI ს ფენის გამოყოფა ამ ძეგლებში ჯერჯერობით არ ხერხდება. სავარაუდოა, რომ დაუკირავი ქვევრები XI საუკუნეზე ადრეული უნდა იყოს, ხოლო დაკირული – მოგვიანო ხანისა.[38]

შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალებში დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი დოქები. ჩაფები, კოკები, სასმისები, ჯამები, ფიალები და სხვა. ღვინის ამოსაღები ძირითადი ჭურჭელი აქაც უმთავრესად კოპე უნდა ყოფილიყო, რომლის ერთ-ერთი მეტად საინტერესო ნიმუში ქვევრებთან ერთად აღმოჩნდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ახალშენში.

აჭარისწყლის ხეობაში (XI-XIII სს) მარნების ნაწილი (თხილვანა, ვერნები, კალოთა, ხიხაძირი) აღმოჩენილია მთის ზონაში, სადაც ამჟამად ვენახი არ ხარობს. ეს მრავალმსრივ საყურადღებო ფაქტი იმით უნდა აიხსნას, რომ ამ ეკლესიათა თუ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მფლობელებს – აჭარის ერისთავთერისთავებს შუა ზოლსა თუ ბარში ჰქონდათ საკენახე ადგილები და შემდეგ ხდებოდა აქედან ყურძნის თუ მზა წვენის ატანა და მარნებში შენახვა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ვახუშტის ასეთი ცნობაც: „ტკბილს მოიტანდნენ ბარიდამ, ჩაასხამდნენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“.[39]

წერილობითი წყაროებით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ მიწათმოქმედება-მემინდერეობა აჭარაში და მის მოსაზღვრე რეგიონებში ისტორიულად ვითარდებოდა თავისებურ სამეურნეო გარემოში და შეფარდებული იყო ბუნებრივ პირობებთან (რელიეფი, ნიადაგები, მცენარეული საფარი, რწყვის საშუალებანი).

არქეოლოგიური მონაცემები განვითარებული შუა საუკუნეების ***სოფლის მეურნეობის სხვა დარგების*** (მეფუტკრეობა, მეხილეობა, მებაღეობა და სხვ.) არსებობის შესახებ აჭარაში ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ამაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მხოლოდ ამ პერიოდის წერილობითი წყაროები, აგრეთვე ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემები.

შუა საუკუნეების აჭარაში მეფუტკრეობის შესახებ ცნობები ამოიკითხება XII-XVII სს წერილობით ძეგლში – „ტბეთის სულთა მატიანე“. აქ რამდენიმეჯერ იხსენიება გვარი მეფუტკრისძე და გვარსახელად ქცეული ადგილის სახელი მეფუტკრეთი. ეს სახელები შინაური მეფუტკრეობის არსებობას უნდა უკავშირდებოდეს. ბუნებრივია, ამ

---

35 იქვე.

36 იქვე. გვ. 141.

37 იქვე. გვ. 142-144.

38 შამამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

39 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941, გვ. 42.

პერიოდში აჭარაში პარალელურად ტყიურ და ნახევრად ტყიურ მეფუტკრეობასაც მისდევდნენ, რაც ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება.[40]

შუა საუკუნეების აჭარის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კულტურულ მეხილეობას, ტყიური ხილის საკვებად გამოყენებას. ამის შესახებ წერილობითი ცნობა დაცულია აბუსერისძე ტბელის თხზულებაში, რომელშიც ეკითხულობთ, რომ, როდესაც აჭარაში „ჟამთა შინა სიყმილი (შიმშილი — შ. მ.) და სიძვირე პურისა" ყოფილა, წმინდანმა მშენებელ ბასილს საკვებად მიართვა ყურძენი, ხილი და ნაყოფი მთისაი, რომელსა ეწოდების ჟოლო.[41] ჟოლო, ისე როგორც სხვა ტყიური ხილი (წაბლი და სხვ.), საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპზე და, ბუნებრივია, შუა საუკუნეებშიც მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ საკვებად ითვლებოდა. მას არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა. საყურადღებოა ანტიკური ხანის ავტორის ქსენოფონტეს ცნობა, რომლის მიხედვით ძველ კოლხეთში წაბლი მნიშვნელოვანი საკვები ყოფილა. მას ხარშავდნენ და მისგან პურს აცხობდნენ.

აჭარაში მეხილეობის ფართოდ გავრცელებისა და ყოფა'ში მისი გამოყენების შესახებ საყურადღებოა ვახუშტის (XVIII ს) ცნობა. იგი წერდა, რომ აჭარისა და ხინოს ხეობებში, ბათუმის, გონიოს და ერგეს მიდამოებში ხარობდა „ხილნი მრავალნი", აგრეთვე ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული და სხვ. ეს ცნობა, ბუნებრივია, წინა საუკუნეების აჭარაში მეხილეობის განვითარებაზეც გვაძლევს წარმოდგენას.

შუა საუკუნეების მეხილეობის სამეურნეო ტრადიციების გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ XIX ს მეორე ნახევრის მოგზაურ-მკვლევართა (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია) ცნობები, ასევე ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც აჭარას წარმოგვიდგენენ, როგორც მეხილეობით, მებაღეობა-მებოსტნეობით განვითარებულ მხარეს.[42] შუა საუკუნეების კუთვნილებადაც შეიძლება ჩაითვალოს მეხილეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და ტოპონიმიკური მონაცემები, რითაც მდიდარია აჭარა.

განვითარებული ფეოდალური ხანის აჭარის *მესაქონლეობაზე* მსჯელობა შეიძლება აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ტერიტორიაზე (ჭვანის ანუ ტაიძეების ციხე, გოგოლაურის ციხე, ციხისყელი) არქეოლოგიურად ნაპოვნი ოსტეოლოგიური მასალების მიხედვით.[43] ძვლოვანი მასალების ანალიზით ირკვევა, რომ მაშინაც ზემო აჭარის მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა მსხვილფეხა პირუტყვს. თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემების მსგავსად, აჭარული ძროხა ხასიათდებოდა პატარა ტანადობით და უკეთ იყო შეგუებული ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. აჭარული ძროხა აღიარებულია ქველქართული (ქველკოლხური) პატარატანიანი ძროხის გენეტიკურ მემკვიდრედ[44] და იგი ამორიგენული წარმომაელობისაა.[45]

მსგავსი სურათი უნდა წარმოვიდგინოთ თანამედროვე აჭარის ტერიტორიის ხაღვისპირა ზოლის მესაქონლეობაში. მართალია, ჯერჯერობით შუა საუკუნეების ოსტეოლოგიური მონაცემები ამ ზოლისათვის არ მოგვეპოვება, მაგრამ ამაზე გვაფიქრებინებს გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ჩოლოქ-ოჩხამურის, ისპანის ნამოსახლარებ'ზე

---

40 ნ.კახიძე. მეფუტკრეობა (იხ.წინამდებარე ტომი, თავი V).

41 ტბელ აბუსერისძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. ბათუმი, 1981, გვ. 7.

42 ვრცლად იხ.: ნ.კახიძე. მევენახეობა-მეხილეობა მაჭახლის ხეობაში. — ამსყს, თბილისი, 1971, გვ. 12-16.

43 შ.შამულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159-163.

44 ე.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბილისი, 1969, გვ. 52

45 ნ.იოსელიანი. ბრახიცეროსების კრანოლოგიური გამოკვლევა. — სსმმ, IV, 1927; ა.ციციშვილი. შინაური ცხვარი და მსხვილი რქოსანი პირუტყვი საქართველოში ნაპოვნი ზოგიერთი მასალის მიხედვით, თბილისი, 1955.

მოპოვებული ძვლოვანი მასალა, რომელიც იგივე პატარა ტანადობის შინაური ძროხის არსებობაზე მიგვითითებს.[46]

მსხვილფეხა მესაქონლეობიდან ფეოდალური ხანის აჭარაში განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო გამწვე ძალაზე – მუშა ხარზე, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მიწათმოქმედების გონივრული წარმართვა. იგი გამოიყენებოდა ერთ-ერთ მთავარ სატრანსპორტო საშუალებად, რაზეც სამონასტრო მშენებლობაში მისი გამოყენებაც მეტყველებს. მუშა ხარის სამეურნეო და სატრანსპორტო გამოყენებაზე კონკრეტული ცნობა დაცულია აბუსერიძე ტბელის თხზულებაში ბასილის, როგორც ქვითხუროს, სამშენებლო საქმიანობის დახასიათებისას. იგი წერდა: „და მორაიწია ბასილი სახედ თჳსსა მუშაკობად საკჳრველისა ამის ტაძრისა კერძო-კარაულსაე თანა უღლეულითა მით ფარითა თჳსთაითა, რომელთა სახელითაცა უწოდდის – ერთსა „ქურდაობითა“ და მეორესა „პირქუშობით“.[47] აქედან ჩანს, რომ საეკლესიო მშენებლობაში ხართან ერთად იყენებდნენ აგრეთვე კარაულსაც, ანუ ჯორს. თუ გავითვალისწინებთ საეკლესიო მშენებლობის მაშინდელ მასშტაბებს, ცხადი იქნება, თუ რაოდენ მრავალად უნდა ჰყოლოდათ ხარი და ჯორი, როგორც ძირითადი სატრანსპორტო საშუალება.

ძვლოვანი მასალების მიხედვით მსხვილფეხა მესაქონლეობის გეერდით გაერცელებული ჩანს, აგრეთვე, შინაური ღორი, ხოლო შედარებით მცირედ – წვრილფეხა საქონელი (თხა და ცხვარი). ასეთივე ვითარება შეინიშნება ზღვისპირა აჭარის მესაქონლეობაში გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში.[48] ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გვიანბრინჯაო და ადრერკინის ხანაში, ისე როგორც ფეოდალურ ხანაში, წვრილფეხა მესაქონლეობის ხვედრითი წილი მცირე იყო. ეს კი შესაბამისი საძოვრების სიმცირით აიხსნებოდა. ეს ფაქტი თანამედროვე, XIX საუკუნის ისტორიული ლიტერატურისა (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია) და ეთნოგრაფიული მონაცემებითაც[49] დასტურდება.

განვითარებული ფეოდალური ხანის აჭარის მესაქონლეობასთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ მასალაში ყურადღებას იქცევს რძის პროდუქტების დამუშავებასა და შენახვასთან დაკავშირებული იარაღ-ინვენტარი. ამათგან პირველ რიგში აღსანიშნაია ჭვანის (ტაკიძეების) და ციხისყელის XI-XIII სს საფორტიფიკაციო ნაგებობის გათხრებისას მოპოვებული თიხის სადღეებლების მოსრდილი ნატეხები. ყველა მათგანი ეერტიკალური ტიპის სადღეებლებს განეკუთვნება.[50] მსგავსი თიხის სადღეებლები აჭარაში ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანიდან გვხვდება. 1977 და 1986 წლებში ქობულეთში ჩოლოქის ნაქალაქარზე გათხრებისას აღმოჩენილი ხის სადღეებლები ძვ.წ. XIII-XII სს თარიღდება.[51] საინტერესოა ის გარემოება, რომ მსგავსი სადღეებლები აჭარის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე გამოიყენება და მათ თითქმის არაეითარი ცვლილება არ განუცდია.

აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ამჟამადაც ფართოდ გამოიყენება ჰორიზონტალური ტიპის როგორც თიხისაგან, ისე ხისაგან დამზადებული სადღეებლები, რომელსაც აქ „ეა-

---

46 ი.ჩაველეიშვილი. მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. – სდსძ, XVII, თბილისი, 1988, გვ. 26-28.

47 ლ.მუსხელიშვილი. აბუსერისძე ტბელი, გვ. 58.

48 ი.ჩაველეიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 26-29.

49 გ.შამილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 44-45; მისივე. მესაქონლეობა (იხ. წინამდებარე ნარკვევების V თავი).

50 შ.მამულაძე. აჭარიწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ჭვანის ციხე). – სდსძ, XIX, თბილისი, 1991, გვ. 88-116; მისივე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993.

51 ი.ჩაველეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30 .

რიას" უწოდებენ. ხის ეარია უმეტესად ცაცხვისაგან მზადდებოდა. რაც შეეხება თიხის ეარიას, იგი მხოლოდ შუახეეის კერამიკული წარმოების ცენტრშია დადასტურებული.[52]

საყურადღებოა ისიც, რომ როგორც აჭარიწყლის, ისე ზღვის სანაპირო ზოლის განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლების გათხრების შედეგად მრავლადაა მოპოვებული ისეთი ჭურჭლები (ქოცოები, დერგები. ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, ქილები და სხვა), რომლებიც დაკავშირებულია მესაქონლეობის პროდუქტების გადამუშავებასა და შენახვასთან.[53]

აჭარაში რძის პროდუქტების, კერძოდ, ყველის დამზადების მაღალ ხელოვნებაზე თაეის დროზე ეახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებდა. იგი წერდა: აჭარაში ამზადებენ ყველს „ერთი იქნების მ, იე და კ ლიტრა არაოდესეე წახდების, არც დაობდების, რა უამს გნებავს შემგბარი კეთილსახმარი არს".[54] მსგავსი ყველი აჭარაში ახლაც მზადდება.

ვახუშტის აღნიშნული ცნობა ყურადღებას იქცევს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით და აჭარელთა სამეურნეო განვითარების (მესაქონლეობის) მაღალ დონეზე მიუთითებს. ამასეე ადასტურებენ გასული საუკუნის მოგზაური მკვლეეარები დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, თ. სახოკია და სხვები.

არქეოლოგიური მონაცემები ნათელ წარმოდგენას გეაძლეეს შუა საუკუნეების აჭარის *ხელოსნობაზე*, რომლებიც უმთავრესად ციხე-სიმაგრეებსა და საეკლესიო ნაგებობათა შესწავლის დროსაა მოპოვებული.[55] ამ პერიოდის ხელოსნობაზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XIII ს ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის აბუსერისძე ტბელის თხზულებაში.[56] ეს ცნობები შუქს ფენს ხელოსნობისა და სამშენებლო ხელოვნების მთელ რიგ საკითხებს. ივ.ჯავახიშვილი წერდა, რომ ამ თხზულებაში „ჩვენთვის საგულისხმო და საყურადღებო იმდროინდელი საქართველოს ყოფაცხოვრების სურათები არის. თანამედროვე მკვლევარი ამ პატარა თხზულებაშიც ძვირფას ცნობებს იპოვის მრეწველობისა და ხელოვნების შესახებ საქართველოში, მრავალს სააღმშენებლო ხელობისა და იარაღების ტერმინებს და სხვას".[57]

ხელოსნობამ დიდი როლი ითამაშა შუა საუკუნეების საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო წინსვლაში, ვაჭრობის, ქალაქების წარმოშობასა და განვითარებაში. ამიტომაც იყო, რომ ხელოსნები და ვაჭრები იმდროინდელი საზოგადოების მნიშვნელოვან ფენას ქმნიდნენ და ფეოდალურ ქვეყანაში დიდი ყურადღების ქვეშ იყვნენ მოქცეული.[58] ეს ის პერიოდია, როდესაც ხელოსნები შრომობდნენ მეფისა თუ სხვა ფეოდალთა სასახლეებში, სოფლებსა თუ ქალაქებში. მათი დიდი ნაწილი ერთ ადგილას შრომობდა, ნაწილი კი ეროი კუთხიდან მეორეში მიმოდიოდა.[59]

ტბელის თხზულება უპირველეს ყოვლისა საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქვეითხუროობის მოელ ციკლზე, დაწყებული საეკლესიო ნაგებობებისათვის ტერიტორიის მომზადებიდან, ვიდრე შენობის „განსრულებამდე." მასში დაცულია ცნობები მდიდარ სამშენებლო ტერმინოლოგიაზე. თხზულებისა და საეკლესიო ნაგებობების შესწავლით

---

52 ნ.კახიძე. კერამიკული წარმოება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (ხელნაწერი), გვ. 4.

53 შ.შამულაძე. აჭარიწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 54-72.

54 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 134.

55 შ.შამულაძე. ხელოსნობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში. - სდსკს, V, ბათუმი, 2007, გვ. 198-206.

56 აბუსერისძე ტბელი. ბოლოკბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. 1233 წლის ტექსტი გამოსცა ლ.მუსხელიშვილმა, თბილისი, 1941.

57 ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბილისი, 1979, გვ. 242.

58 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1976, გვ. 56.

59 იქვე, გვ. 51.

ჩანს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეკლესიის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევას, ნიადაგის სტრუქტურულ შემადგენლობას, მის მოსწორებასა და საძირკვლის მომზადებას, საშენი მასალის მოპოვებას. პირველ რიგში საშენი ქვა უნდა მოეპოვებინათ, რაც საკმაოდ შრომატევადი და ძნელი საქმე იყო. ტბელის თქმით, ბასილს წმინდა გიორგისაგან მიუღია ბრძანება, ამ წესის დაცვით აეშენებინა ეკლესიები.[60] გარდა ამისა, სამშენებლოდ იყენებდნენ ძველი ეკლესიების ნანგრევებს, რაც კარგად ჩანს სხალთის ტაძრის მშენებლობის მაგალითზე. აქ გამოყენებულია აქვე მდებარე უფრო ადრეული (IX ს) პერიოდის მცირე ეკლესიის სადა თუ ორნამენტირებული ქვის დეტალები. მიღებული იყო ასევე მდინარის ქვის გამოყენების პრაქტიკაც. უკიდურეს შემთხვევაში საშენ ქვას ყიდულობდნენ, ან კიდევ შეწირვის გზით იმარაგებდნენ.[61] თუმცა, როგორც შ. მესხია შენიშნავს, ქვის მოპოვების აღნიშნული სიძნელე როდი მიგვითითებს საქართველოში საშენი ქვის ნაკლებობაზე.[62] მით უმეტეს, აჭარისწყლის ხეობაში საშენი ქვები შედარებით მრავლად იყო. წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ტრადიციულად სამშენებლო ქვის მოპოვების ორი გზა არსებობდა, რასაც საეკლესიო ეთნოგრაფიულთან ერთად, არქეოლოგიური გათხრით გამოვლენილი მასალებიც ადასტურებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვის საამშენებლოდ მომზადებას, „აზმვას". ბასილი, ცნობილი ქვითხუროა, „აზმასა შინა ქვისასა" ეწოდა იმ ადგილებში, რომელსაც ეწოდებოდა „ჯალე" და ზაქარწმინდას მთა.[63] „შეკაზმულ ქვებს" მშენებლობის ადგილზე ეზიდებოდნენ მარხილში შებმული ხარებით. სატრანსპორტოდ იყენებდნენ „კარაულს, რომელ არს ჯორი."[64] წერილობითი ძეგლის მიხედვით წარმოდგენა გვეძლევა საეკლესიო ნაგებობების შექმნის სხვა პროცესებზე. ჩანს, რომ სამშენებლოდ იყენებდნენ მდინარის ქვიშას, რიყის ქვას, ღორღს, კირს და სხვას. ამის შემდეგ ხსნარის შემზადებით („ზელად ქვიშისა კირსავე თანა..." და „ქვისა ქვასა ზედა დასმით") იწყებოდა „ღორღისა და კირის შთასხმა"[65] და კედლების მშენებლობა. კედლების მშენებლობაში, როგორც ამას ტბელის ტექსტში მითითებული ეკლესიისა და სხვა მსგავსი ნაგებობების არქეოლოგიური შესწავლაც მოწმობს, იგულისხმება თლილი, მოზრდილი, კარგად დამუშავებული კვადრებით შემოსილი კედელი, რომლის შუაგულიც ამოვსებულია ღორღისა და დუღაბის ნარევით. არქეოლოგიური მონაცემებით ჩანს, რომ აჭარის შუა საუკუნეების ეკლესიების გადახურვისათვის ძირითადად გამოიყენებოდა კარგად დამუშავებული, პირსშესმული ფილაქვის ანუ ლორფინების მოზრდილი ნიმუშები. აჭარაში ყველა ეკლესია კარგად დამუშავებული მოზრდილი თლილი ქვებითაა აშენებული. ეკლესიათა არქიტექტურული დეტალების შესწავლისას ირკვევა, რომ ეკლესიები მხატვრულ სამკაულსაც არ იყო მოკლებული.[66] ტბელის თხზულების მიხედვით ჩანს, რომ უშუალოდ მშენებლობის პროცესს „აღშენება", დამთავრებას კი „განსრულება" ეწოდებოდა. აქვე გვხვდება ტერმინი „ნამუშაკევი", რაც დასრულებული შენობის გამომხატველი ტერმინი უნდა იყოს.[67]

---

60 ლ.მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

61 შ.მესხია. საისტორიო ძიებანი, I, თბილისი, 1982, გვ. 44-45.

62 შ.მესხია. დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

63 ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

64 იქვე, გვ. 57-60.

65 იქვე, გვ. 56.

66 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 72-109.

67 ნ.კახიძე. შუა საუკუნეების ხელოსნობის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. — სდსყ, XV, თბილისი, 1988, გვ. 31; მისივე. ხელოსნობა აჭარაში, თბილისი, 1990, გვ. 83-108.

საეკლესიო მშენებლობანი თაეის მხრივ დიდძალ ხელოსანსა და დამხმარე მუშახელს მოითხოვდა. ისინიც დიფერენცირებულნი იყვნენ და ყოველ მათგანს გარკეეული სამუშაო ჰქონდა დაკისრებული. ზოგი ქვის მხდელი იყო, ზოგი მკეეთელი, ზოგიც გამომკეერელი, რომელთაც ორნამენტის ამოკვეთაც ეეალებოდათ.[68]

ტბელის თხზულების მიხედვით ირკვეეა, რომ ხიხანის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობა ძირითადად ხდებოდა შეწირულებათა ხარჯზე. ამ საქმეში დიდი ღვაწლი გაუღია სოფელ ბაკოს მოსახლეობას. მაშინაც წესად ყოფილა ეკლესიისათვის შესაწირაეის გაღება.[69]

ტბელის თხზულება სხეა მხრივაც საყურადღებო წყაროა შუა საუკუნეების ხელოსნობის შესახებ. იგი გეაწვდის კონკრეტულ და სანდო ცნობებს შუა საუკუნეების აქაური მოგზაური ანუ საშოვარზე მოსიარულე ხელოსანთა შესახებ, რასაც „უცხოობაში მუშაკობა" ერქვა. მოსარეწელად დადიოდა თვით ქვითხური ბასილი და მხოლოდ ამ საქმიანობით არჩენდა „სახლეულს" ანუ ოჯახს[70]. „ესე ბასილი იყო ქვითხუროი, რომელსა ეწოდების გალატოზი. და წარვიდა ქუეყანასა სომხითისასა, მახლობელად თფილისისასა" — ასე გეამცნობს ავტორი ხელოსნის სამოქმედო ასპარეზს. მშენებლობის საქმეში დიდი ცოდნა-გამოცდილება საშუალებას აძლეედა ბასილს მოგზაური ხელოსანი ყოფილიყო, „მშეენიერი" და „საკეირეელი" ეკლესიები აეგო. ბასილს წმ. გიორგის სახელობის ორი ეკლესია აუგია, მათ შორის ერთი შუარტყალში, მესამე ეკლესიის მშენებლობაც დაუწყია „სომხითში", მაგრამ ვერ დაუმთავრებია.[71]

ბასილის, როგორც ხელოსნის, საშოვარზე სიარული აღნიშნულ პერიოდში ერთეული შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო. ნაწარმოებში მოთხრობილია კიდევ ორი ცხმორისელი „ვინმე კაცნის" შესახებაც, რომლებიც ასევე „მოსარეწელად რაისამე, ღონედ სიგლახაკისა თუსისა" უფრო შორსაც მიდიოდნენ და სპარსეთის საზღვრამდე აღწევდნენ.[72] ისინი აქ მძიმე განსაცდელში ჩავარდნილან და ძლიეს მოუხერხებიათ უკან დაბრუნება. ისტორიიდან ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში საშოვარზე დადიოდნენ არა მარტო ხელოსნები, არამედ ვაჭრები და სხვ. თხზულებაში ცხმორისი დაბად იწოდება („დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი"), რაც არ გამორიცხავს აქ განეთარებული ხელოსნობისა და ვაჭრობის არსებობას. წასელა-მოსელის გარეშე კი ვაჭრობა შეუძლებელი იყო.[73]

მოგზაურ ხელოსნებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სოციალური ხასიათის საკითხიც, რაც ფეოდალური ურთიერთობის სფეროში ექცეეა. შუა ფეოდალურ ხანაში ხელოსანთა ერთი ნაწილი თავისუფალ შრომას ეწეოდა, მეორე კი ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ყმურ ხელოსნობას ეწეოდა. ხელოსნები ეკლესია-მონასტრებსაც ჰყავდა, რომელთაც საშოვარზე სიარული შეზღუდული უნდა ჰქონოდათ. ლ. მუსხელიშვილს ბასილი ყმა ხელოსნად მიაჩნდა.[74] ზოგი ავტორის აზრით კი ბასილი თავისუფალ ხელოსანთა რიგს ეკუთვნოდა: ყმა ხელოსანი რომ ყოფილიყო, მას უფლება და საშუალება არ ექნებოდა მოსარეწლად ეელო და ამით ოჯახი ერჩინა.[75] საერთოდ, დამახასიათე-

---

68 ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში, გვ. 40.

69 ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 56, 60.

70 ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე, თბილისი. 1963, გვ. 4.

71 ნ.კახიძე. მოგზაური ხელოსნები, გვ. 36.

72 ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე, გვ. 10.

73 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

74 ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

75 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 37; მისივე. ქვის დამუშავება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძველი წერილობითი წყაროების შუქზე. — სდსკკ, VIII, თბილისი, 1980, გვ. 34-54.

ბელი ფაქტია, რომ XI-XIII საუკუნეებში საშოვარზე სიარულს ძირითადად თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოების წრიდან გამოსულები მიმართავდნენ.[76] ქვითხურო ბასილის „უცხოობაში მუშაობაც“ ხომ ამ პერიოდს ეკუთვნის.

ტბელის თხზულებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეებში ცალკეული ხელოსნები არ არიან შეზღუდული ერთი რომელიმე ხელოსნური სპეციალობით და ხელოსნობის სხვა დარგებშიც ოსტატდებიან. ამის მაგალითს ქვითხურო ბასილის ხელოსნური საქმიანობა იძლევა. მთავარმოწამის (წმ. გიორგი) ბრძანებით, ბასილს უნდა მიეტოვებინა „მახლობლად ტფილისსა“ დაწყებული ეკლესიის მშენებლობა და უკან გამობრუნებულიყო, რათა წმინდა გიორგის მეორე ეკლესია აეშენებია. ახალი ეკლესიის დაწყებამდე მას ევალებოდა წასულიყო „უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰრქჳან ოპიზაჲ“. იქ მოეხახა ვინმე ბერი სტეფანე, გამოერთმია მისთვის „ერთი კერძო კარაული რომელ არს ჯორი, და რკინაჲცა“ და თავის ხელით გამოეჭედა „რკინის ჭურჭელნი ქეისსათლელნი“. ბასილმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია მთავარმოწამეს, რადგან იგი „ყოველთა სახლეულთა“ ამოხოცვით ემუქრებოდა. ოსტატმა წარმატებით გაართვა თავი დავალების შესრულებას. ამ შემთხვევაშიც საინტერესოა ისევ ბასილის მიერ ქეის სათლელი რკინის იარაღების გამოჭედვის ფაქტი. არავითარ ეჭვს არ იწვევს ლ. მუსხელიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ ბასილს, როგორც ქვითხუროს, რკინის მჭედლობაც უნდა სცოდნოდა.[77] თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვის დასამუშავებელი რკინის იარაღები გამოირჩეოდა დამზადებისა და წრთობის ხარისხით, გამძლეობით, მაშინ, მართლაც, ცხადი გახდება, რაოდენ დახელოვნებული უნდა ყოფილიყო პროფესიით ქვითხურო ბასილი რკინის მჭედლობაშიც, ე.ი. ბასილი სხვადასხვა ხელოსნურ ცოდნა-ჩვევებს ყოფილა დაუფლებული.[78]

მრავალმხრივი განსწავლულობა ის ფენომენია, რომელიც ტრადიციულად მოსდგამდა ხელოსანთა მასას, თუმცა, იგი ყველა ხელოსნის პრივილეგია ვერ იქნებოდა. ესა თუ ის ხელოსნური ცოდნა-ჩვევა, მათ შორის — ხელოსნის ორ ან რამდენიმე დარგში გაწაფულობა, მემკვიდრეობით გადმოეცემოდა თაობიდან თაობას, მამიდან შვილს და მის ახლო ნათესავებს. ეს ფაქტი დღევანდელი ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება.[79]

თხზულების ტექსტში დამოწმებული ადგილები აშკარად მოწმობს დიდი და წარჩინებული ერისთავების — აბუსერისძეთა ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სიძლიერეს. ბუნებრივია, საეკლესიო თუ სხვა ტიპის ნაგებობათა მშენებლობაც მხოლოდ ასეთ სოციალურ ფენათა წილხვედრია.[80]

აჭარაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გამოაელინა უმდიდრესი მასალები სამშენებლო ხელოვნებასთან დაკავშირებით და მატერიალურად დაადასტურა წერილობითი წყაროს ცნობები. გათხრებმა გვიჩვენა, რომ ეკლესიების მშენებლობამ აჭარაში განავითარა ხელოსნობის და ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიც იყო მონუმენტური ფერწერა, ქვაზე კვეთილობა ანუ ჩუქურთმა, ქვითხუროობა და ა.შ.

ფეოდალური ხანის საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში ხელოსნობის ცალკე დარგად ჩანს ჩამოყალიბებული ნავის კეთება — „ნავის მოქმედება“, როგორც ეს ხელობა გიორგი ათონელის „ოთანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ (1042-1044 წწ) იწოდება. „ნავის მოქმედნი“, შ. მესხიას შეხედულებით, ხელოსნობის ისეთ დარგთა წარმომადგენლების

---

76 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1976, გვ. 36.

77 ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

78 ნ.კახიძე. შუა საუკუნეების ხელოსნობის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გვ.32-39.

79 იქვე. გვ. 32-39.

80 შ.მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 72-109.

გვერდით იხსენიებიან, როგორიც იყვნენ: მჭედელი, კალატოზი, ხურო და ასკვნის, რომ „ნავის მოქმედთა" გარდა ყოფილან უშუალოდ „მენავეები", რომლებიც ნავს მართავდნენ.[81]

საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოში ნავმშენებლობისა და ნაოსნობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიაც". ასე რომ, საქართველოში ძველთაგანვე ჩამოყალიბდა ხის მუშაკობის საგანგებო დარგი — ნავმშენებლობა, რაშიც განსაკუთრებით დაწინაურდნენ ლაზები და აჭარლები.[82]

არქეოლოგიური მასალების მიხედვით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აჭარის შუა საუკუნეების მეტალურგიაზეც, მით უმეტეს, რომ მეურნეობის ამ დარგს საკმაოდ ძლიერი ტრადიციები გააჩნდა ამ რეგიონში. ჭოროხისა და ჩოლოქ-ოსხამურის ხეობათა საწარმოო კერების შესწავლით დასტურდება, რომ ეს რეგიონი წარმოადგენდა რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოში.[83]

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ, რომ ხალხური მეტალურგია და მჭედლობა, ისე როგორც ხელოსნობის სხვა ტრადიციული დარგები, თაობიდან თაობას გადმოეცემოდა მემკვიდრეობით და უწყვეტი ხაზით ვითარდებოდა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებების გზით. არაა გამორიცხული, რომ რკინის გამოსადნობი ქურა-სახელოსნოების გვერდით თავდაპირველად არსებობდა სამჭედლოებიც, სადაც სხვადასხვა სახის საოჯახო-სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღები მზადდებოდა, მეორე მხრივ, აღნიშნულ საწარმოო კერებში მიღებული რკინისა და ფოლადის ნედლეულის ბაზაზე ჩაისახა და განვითარდა სამჭედლო სახელოსნოები სხვა ლოკალურ ცენტრებში, რასაც არსებითი ხასიათის ცვლილებები მოჰყვა მთისა და ბარის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განვითარებაში.[84]

შუა საუკუნეების რკინის მეტალურგიის თუ სამჭედლო ხელოსნობის ტრადიციების შესასწავლად ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მთის (თაგო, ჩაო, ყინჩაური, ძმაგულა, ფაჩხა, წაბლანა და სხვ. — ხულოს რ-ნი) და ბარის (ახალშენი და სხვ. — ხელვაჩაურის რ-ნი) ზონაში 1979-1980 წწ არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად აღმოჩენილი მეტალურგიასთან დაკავშირებული დიდი რაოდენობის მასალები. აღნიშნულ სოფლებში ზედაპირულად საკმაო რაოდენობითაა მიმოფანტული რკინის წიდები, ქურის კედლის ნატეხები, საბერველი მილის ნაშთები და, რაც საყურადღებოა, ამ პერიოდის კერამიკული ნაწარმი (ცალყურა სასმისები, მოსრდილი ჭურჭლის ნატეხები და ა.შ.), რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი ეკლესიებისა თუ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ტერიტორიაზე და თარიღდება XI-XIII საუკუნეებით.[85]

აღმოჩენილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფეოდალურ ხანაში ხალხური მეტალურგია და მჭედლობა აჭარის მთისა და ბარის ზონაში ფართოდაა ფეხმოკიდებული.[86] როგორც ჩანს, აქაურ მემადნე-მეტალურგოათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო რკინის შემცველი მადნების არსებობა და მათი მოკელვა-დამუშავება. ასეთი მადნების

---

81 შ.ფესხია. ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII სს ქართულ მონასტრებში. — საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბილისი, 1987, გვ. 227, 241.

82 ზ.კუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბილისი, 1987, გვ. 16-17.

83 დ.ხახუტაიშვილი. კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან. — სდსძ, I, თბილისი, 1964.

84 ნ.კახიძე. მჭედლობა აჭარაში. — სდსყ, IV, თბილისი, 1976, გვ. 71-72.

85 შ.მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 169

86 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 71-72.

არსებობა სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია მაჭახლისა და ჭოროხის ხეობათა ქვემო ზოლში.[87] სხალთისწყლის ხეობაში და ა.შ.

აჭარის განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მრავლადაა აღმოჩენილი ამ ეპოქის რკინისაგან დამზადებული სამეურნეო, საბრძოლო თუ საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთები, რომლებიც, როგორც ჩანს, ადგილობრივ სახელოსნო ცენტრებში მზადდებოდა.

აღნიშნული პერიოდის აჭარაში ხელოსნობის განვითარებული დარგია მეთუნეობა. ამ მხრივ დაწინაურებულია როგორც სღვისპირა (ციხისძირი, გონიო, ბათუმის ციხე), ისე აჭარის შიდა რაიონები. ციხისძირსა და, განსაკუთრებით, გონიოში სხვა პერიოდის მასალებთან ერთად მრავლადაა აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმი. აქაური მეთუნეების მიერ მზადდებოდა სამეურნეო, საოჯახო თუ სხვა სახის ნაკეთობანი, სამშენებლო მასალები (აგური, კრამიტი, წყალგაყვანილობის მილები, იატაკზე დასაგები ფილები). კერამიკული წარმოება იმდროინდელი საქალაქო ხელოსნობის დაწინაურებული დარგი უნდა ყოფილიყო.[88] გონიოს ციხის შიგნით აღმოჩნდა კერამიკული სახელოსნო და თიხის გამოსაწვავი ქურაც. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია განვითარებული თუ გვიანი შუა საუკუნეების წყალგაყვანილობის სისტემები. გონიო-აფსაროსი შუა საუკუნეებში კერამიკული წარმოებისა და ამავე დროს მისი მოხმარების ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

უკანასკნელ წლებში აჭარის მთის ზონის XI-XIII საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად საინტერესო მონაცემებით გამდიდრდა ამ პერიოდის კერამიკული წარმოების ისტორია. როგორც ირკვევა, აჭარის მთის ზონის ცხოვრებაშიც ხელოსნობის ეს დარგი თვალსაჩინო როლს თამაშობდა. მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი (ქვევრები, დერგები, ხელადები, ქოთნები, სასმისები, ჯამები, ფიალები, კეცები და ა.შ.) აღმოჩნდა ჭვანის, ციხისყელის, გოგოლაურის, თხილვანის, ვერნების, კალოთის, ვანაძეების, საციხურის თუ სხვა საფორტიფიკაციო თუ საეკლესიო ნაგებობათა ტერიტორიაზე. ბევრია სხვადასხვა სახის ორნამენტით, წერნაქით მოხატული თუ მოჭიქული კერამიკის ნიმუშები.[89]

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ კერამიკული ნაწარმი ზემო აჭარაში ძირითადად ადგილზე მზადდებოდა. მცირე ნაწილი კი შემოიქონდათ, ქვევრების გარდა, რომლებიც მხოლოდ ადგილზე მზადდებოდა. მათი სხვა ცენტრებიდან შემოტანა იმდროინდელი უგზოობის პირობებში შეუძლებელიც კი იქნებოდა.[90] შემოტანილი ჭურჭელი უფრო სღვისპირა პუნქტებში ვრცელდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ეპოქის კერამიკული ნაწარმი გაცილებით ნაკლებ მიმზიდველია წინა ეპოქის ნიმუშებთან შედარებით. ადრინდელი, გეომეტრიული ორნამენტით შემკული და მხატვრულად გაფორმებული ნაკეთობანი უკვე გამქრალია. კერამიკული წარმოება მხატვრულ გაღარიბებას განიცდის. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ დროის ყოფაში შედარებით ფართოდ მკვიდრდება ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭელი. თიხისას კი ეკარგება უწინდელი მნიშვნელობა.[91]

---

87 Минеральные ресурсы ССР Грузии, Тифлис, 1933, с. 261; Природные ресурсы Грузинской ССР, т. 2, М., 1958, с. 83

88 ა.კახიძე, შ.ბამულაძე. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. - გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი, 2004, გვ. 4-68; შ.ბამულაძე, ა.კახიძე, ე.კახიძე. გონიო-აფსაროსი. თბილისი, 2007, გვ. 22-29.

89 შ.ბამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 55-71, 128-142.

90 ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში, გვ. 72-73.

91 გ.ლომთათიძე. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. თბილისი, 1977.

განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში მინის ჭურჭელიც მზადდებოდა, რომლის ნაშთები მრავალადაა აღმოჩენილი როგორც ზღვისპირა ზოლის (ციხისძირი, გონიო, ბათუმის ციხე), ისე აჭარისწყლის ხეობის (სხალთა, თხილვანა, ვანაძეები და სხვა) ძეგლებზე.

დაწინაურებული დარგი ჩანს ოქრომჭედლობა, სხვადასხვა სახის ლითონისაგან (რკინა, ბრინჯაო) ხატების, ჯვრების, სამკაულების, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთების, ზარაკების, დანის პირების, კლიტე-გასაღებების დამზადება. ამ ტიპის მასალები მრავალადაა აღმოჩენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღნიშნული ეპოქის ნამოსახლარებზე, საფორტიფიკაციო თუ განსაკუთრებით საეკლესიო ნაგებობებისა და მათ გარშემო განლაგებული სამარხების შესწავლისას.[92]

ქსოვა და კერვა ხელოსნობის უძველესი დარგებია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალები საკმაოდ მრავალადაა მოპოვებული ზღვისპირა ზოლის (ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო, მახვილაური), ისე განვითარებული შუა საუკუნეების (ჭვანა-ტაკიძეები, ბოგოლაური, ციხისყელი, თხილვანა, კვაშტა) ძეგლებზე.

განვითარებულ შუა საუკუნეებში ქვეყნისა და მისი ცალკეული მხარეების ეკონომიკური გაძლიერება თავისი დაწინაურებული ბარისა და მთის მეურნეობით, ხელოსნობით, შესაძლებელს ხდიდა საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასევე ჩანს, რომ ადგილობრივი პროდუქციის საგრძნობი ნაწილი მეზობელ ქვეყნებშიც გაჰქონდათ.

ადრე შუა საუკუნეებიდან თანამედროვე აჭარის ზღვისპირა ზოლში ორი გამოკვეთილი დასახლებული პუნქტი არსებობდა – პეტრა-ციხისძირისა და გონიო-აფსაროსის სახით, რომლებიც ამავე დროს სავაჭრო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის – აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით ლაზიკის სამეფოში საზღვაო ვაჭრობა აქაური მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო და ამით დიდ სარგებლობასაც ნახულობდნენ.[93] პროკოპი კესარიელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ლაზები „მედამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მარილი აქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რაიმე სიკეთე. ისინი მხოლოდ აწვდიდნენ ტყავსაფარებს, ტყავებს და მონებს და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდნენ".[94]

პეტრა-ციხისძირსა და გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების (იმპორტული ამფორები) მიხედვით ჩანს, რომ ამ ეპოქაში თანამედროვე აჭარის ზღვისპირა ცენტრებთან სავაჭრო ურთიერთობებში წამყვან ადგილს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო სახელოსნო ცენტრები იკავებდა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სამხრეთ-დასავლეთი მცირე აზია და ჩრდილო სირია (ანტიოქია, სელევკია).

ანალოგიური სურათი ჩანს ნუმიზმატიკური მონაცემებითაც. აფსაროსში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები სწორედ ანტიოქიასა და თეოპოლისშია მოჭრილი. პარალელურად, VI საუკუნეში აფსაროსსა და პეტრას მჭიდრო სავაჭრო კონტაქტები ჰქონდა სამხრეთ შავიზღვისპირეთთანაც.[95] ეკონომიკურად ისინი სწორედ ამ რეგიონზე იყვნენ დამოკიდებული. VI საუკუნის 20-იანი წლებიდან სავაჭრო ურთიერთობა ბიზანტიურ სამყაროსთან რამდენადმე ხასიათს იცვლის. თუ გადავხედავთ წერილობით ძეგლებს,

---

92 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 128-142.

93 გეორგიკა. III, თბილისი, 1938, გვ. 51.

94 გეორგიკა. II, თბილისი, 1934, გვ. 46.

95 შ.მამულაძე, მ.ხალვაში, ეკაბიძე. აფსაროსი ბიზანტიურ ეპოქაში. – ბიზანტინოლოგია საქართველოში-2, თბილისი, 2009, გვ. 413.

დავინახავეთ, რომ თუ ადრე ლაზები აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას, ლაზიკაში ჯარების ჩაყენების შემდეგ ბიზანტიელები აწესებენ ვაჭრობაზე მონოპოლიას. კესარიელი შენიშნავდა: „ვაჭრებს უკვე ნება არ ჰქონდათ კოლხიდაში ჩაეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ, არამედ მან (იგულისხმება იოანე - შ.მ.) შემოიღო ე.წ. მონოპოლია და თვით გადაიქცა მეწვრილმანედ და მთელი საგნებით ვაჭრობაში ზედამდგომად: „ყველაფერს ჰყიდულობდა და აწედიდა კოლხებს არა ისე. როგორც ეს ნეეულებრივ იყო, არამედ, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო".[96] ასე რომ, საქართველოს საზღვაო ვაჭრობა ბიზანტიის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა და მას იმპერატორის მიერ ლაზიკაში გამოგზავნილი საგანგებო მოხელე იოანე (მეტსახელად ციბე) ახორციელებდა, რომელმაც რეზიდენციად ახლად აგებული ზღვისპირა ქალაქი პეტრა აირჩია. მონოპოლია ლაზიკის მთელ საზღვაო ექსპორტზე და იმპორტზე ვრცელდებოდა. სავაჭრო კორპორაცია ზღვით შემოტანილ საქონელს ადგილობრივ ვაჭრებს მაღალ ფასებში ჰყიდდა, ხოლო ეგრისის საზღვაო ექსპორტის საგნებს ძალზე იაფად ყიდულობდა.[97] ეს, ბუნებრივია, იწვევდა ლაზთა უკმაყოფილებას და მათი პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვას. ასე რომ, VI-VIII საუკუნეებში ბიზანტიაში საზღვაო ვაჭრობის კონტროლი, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული პეტრა და აფსაროსი, საგანგებო ნავსადგურებში იყო ორგანიზებული. ხომალდების ტვირთი აქ გადიოდა საბაჟო შემოწმებას. ტვირთის მიხედვით მისი მფლობელი „კომერკარს" ანუ მებაჟეს ბაჟს უხდიდა.[98] იუსტინიანე I-ი მეფობის პირველ წლებში ასეთი საბაჟო, ეგრისის (ლაზიკის სამეფოს) სანაპიროზე სწორედ პეტრას ნავსადგური იყო. თ. ბერაძის ვარაუდით, ბიზანტიის ესკადრა ხომალდების მფლობელებს აიძულებდა ღუზა ამ ნავსადგურში ჩაეშვა და იქ საბაჟო შემოწმება გაევლო.[99] VI-VIII საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიიდან საქართველოში ზღვით შემოჰქონდათ მარილი, მარცვლეული, ღვინო. ხელოსნური ნაწარმის იმპორტი ძირითადად ძვირფასი ქსოვილებისაგან, საბრძოლო იარაღისა და ლითონის სხვა ნაწარმისაგან შედგებოდა.[100] პეტრასა და გონიო-აფსაროსში ბოლო პერიოდის გათხრებმა დაადასტურა, რომ ბიზანტიის იმპერიიდან ზღვით აგრეთვე შემოჰქონდათ ამფორები, მინისა და თიხის ძვირფასი ჭურჭელი. ლაზიკის საზღვაო ექსპორტიდან პროკოპი კესარიელი ტყავეულს და მონებს ასახელებს.[101] ამას უნდა დავმატოს ხე-ტყე, თაფლი, ცვილი, კანაფი, სელის ქსოვილები, რომლებიც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ანტიკურ ხანაში.[102]

IX საუკუნის 20-იანი წლებიდან X საუკუნის ბოლომდე კონტროლი ხმელთაშუაზღვის სავაჭრო-საზღვაო გზებზე არაბების ხელში გადაეიდა. ამიტომ საქართველოს ზღვისპირა ქალაქების სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან ძირითადად ხორციელდებოდა იმ სახმელეთო გზებით, რომლებიც არტანუჯზე გადიოდა.[103] ბიზანტიელთა მიერ საზღვაო გზებზე კონტროლის აღდგენის შემ-

96 პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 46.

97 თ.ბერაძე. საქართველოს ურთიერთობა შავი ზღვით ბიზანტიასთან V-XV საუკუნეებში. — ბიზანტინოლოგია საქართველოში, I, გვ. 120.

98 თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

99 იქვე.

100 იქვე. გვ. 122.

101 გეორგიკა. II, გვ. 46.

102 თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

103 იქვე.

დეგ კიდევ უფრო გააქტიურდა საეკლესიო ურთიერთობები ბიზანტიურ სამყაროსთან. ამ პერიოდის საკმაოდ დიდი რაოდენობის ბიზანტიური მონეტებია აღმოჩენილი თანამედროვე აჭარის ზღვისპირა ზოლში, განსაკუთრებით კი — ციხისძირში, ბობოყვათსა თუ ქობულეთში. აქ გვხვდება მონეტები, რომლებიც მოჭრილია ლეონ V (813-820), თეოფილეს (829-842), ლეონ VI (886-912), ბასილ I და კონსტანტინეს (869-896), რომანოზ I (914-944), იოანე ციბეს (969-975), ბასილ II და კონსტანტინე VIII (976-1025) და სხვათა სახელზე.[104] აჭარის ზღვისპირა ზოლში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა აღმოჩენილი არაბული მონეტებიც. ამ მხრივ საყურადღებოა სოფელ ბობოყვათის ზღვის სანაპირო ზოლში 1986 წელს გამორიყული ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ისინი მოჭრილია ქალაქებში: ბაღდადში, სავადში, ბუსასმში, ქუფში (ერაყი) და VIII საუკუნით თარიღდება.[105] არაბული (ქუფური) მონეტების ორი განძია (300-მდე მონეტა) ნაპოვნი შავი ზღვის სანაპირო ზოლში სოფელ არქაბეში, რომლებიც მოჭრილია 723-811 წლებში.[106] სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არაბული მონეტების არსებობა აქ არაბთა ლაშქრობებს უკავშირდება. VIII საუკუნის დასაწყისში უკვე არაბები თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ფლობდნენ, თუმცა აქ ფეხი ვერ მოიკიდეს. თვით მურვან ყრუს 753 წლის გამანადგურებელი შემოსევის შემდეგაც ისინი აქ ვერ დარჩნენ. მიუხედავად ხალიფატსა და ბიზანტიას შორის ხშირი ომებისა, ამ ორ სახელმწიფოს შორის გაცვლა-გამოცვლა არ წყდებოდა და რუმთა გემები მუდმივად შედიოდნენ ტრაპეზუნტის ნავსადგურში, რომელიც სახალიფოს სავაჭრო ჭიშკარი იყო ჩრდილოეთით.[107] სწორედ ამ დროს უნდა მოხვედრილიყო მრავალრიცხოვანი არაბული მონეტები ბობოყვათში, ციხისძირსა თუ ხელვაჩაურში.[108]

IX-XII საუკუნეებშიც შავი ზღვით საქართველოს ყველაზე ცხოველი ურთიერთობა ბიზანტიასთან ჰქონდა.[109] ეს კარგად ჩანს ამ ეპოქის ნუმიზმატიკური მასალებით (სპილენძისა და ოქროს მონეტები).[110] XI-XII საუკუნეებში ბიზანტიური ანონიმური სპილენძის მონეტები, ოთხსტრიქონიანი წარწერებით ქედაშიც აღმოჩნდა.[111] ეს მონაცემები იმაზე მიგვანიშნებს, რომ გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობებში ჩართული იყო არა მარტო აჭარის ზღვისპირა, არამედ მოის ზოლის მოსახლეობაც. ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში ბიზანტიიდან შემოდის ბიზანტიური მოჭიქული კერამიკას,[112] რომელიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბათუმის ციხეზე, პეტრაში, გონიო-აფსაროსში. აქედან კი ბიზანტიაში გაჰქონდათ ექსპორტის ტრადიციული საგნები: სელი, კანაფი, თაფლი, ცვილი და ძვირფასი ქსოვილები.[113]

IX-X საუკუნეებში აჭარაში წარმოებული სასოფლო სამეურნეო თუ ხელოსნური პროდუქციის გასაღების ერთ-ერთ ძირითად ცენტრს სავარაუდოდ წარმოადგენდა არტანუჯი. ამის თქმის საშუალებას იძლევა კონსტანტინე პორფიროგენეტის (912-959) შემ-

---

104 თ.აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბილისი, 1965, გვ.1 27-131; ა.ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ ჩატარებული გათხრების შედეგები. — სდსძ, IV, თბილისი, 1974, გვ. 121-122 და ა.შ.

105 იქვე, გვ. 34-35.

106 Пахомов Е.А.Монеты Грузии. - СПБ, 1910, с. 53.

107 Беляев Е.А. Арабы, Ислам и Арабский халифат в раннее средневековье. М. 1966, с. 36.

108 ი.ჯალაღანია. დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

109 თ.ბერიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

110 თ.აბრამიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 121-139; ა.ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 121-122.

111 Пахомов Е.А.Монетные клады Азербанджана и других республиках, краев и областей Кавказа. вып. I, Баку, 1926, №97.

112 თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

113 იქვე.

დეგი ცნობა: „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქეს დიდი „რაბატიც" და დაბა-ქალაქიც. და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან... არტანუჯის ციხის მიწა-წყალი დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნების გასაღებს." ბუნებრივია, აჭარა, როგორც ტაო-კლარჯეთის ორგანული ნაწილი, ამ საერთო პროცესში უნდა ყოფილიყო ჩართული.

1261-1453 წლებში უკვე ბიზანტიის ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი როლი უცხოელებს, ძირითადად, იტალიელებს ეკუთვნოდათ, რომლებმაც თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა დაიკავეს ბიზანტიის საგარეო ვაჭრობაში. ასეთ შემთხვევაში ქართველი ვაჭრები იმპერიის ტერიტორიაზე მხოლოდ უცხოელებთან დებენ გარიგებებს. ბიზანტიიდან საქართველოში აღარ შემოდიოდა ადგილობრივი ნაწარმი და ამ ორი ქვეყნის საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა საგრძნობლად დაეცა.[114] იტალიელთა გააქტიურება შეიმჩნეოა საშრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისაკენ. ეს კარგად ჩანს მათ მიერ შედგენილი რუკების მონაცემებითა და აჭარაში აღმოჩენილი ვენეციური ვერცხლის მონეტებითაც.[115]

XII-XIV საუკუნეებში აჭარის ზღვის სანაპირო ზოლში დიდად განვითარდა ბათუმი, როგორც საქალაქო დასახლება და საეჭვო ნავსადგური. წინა აზიაში თურქ-სელჩუკების გაბატონებამ (XI ს.) მთლიანად გადაკეტა საქართველოდან ბიზანტიაში მიმავალი სახმელეთო გზები, რამაც საქართველოსა და ბიზანტიას შორის საზღვაო ურთიერთობა ქალაქ-ნავსადგურების, მათ შორის, ბათუმის მეშვეობით, კიდევ უფრო ინტენსიური გახადა.[116] ამას დაემატა ისიც, რომ თურქ-სელჩუკთა წინა აზიაში გაბატონებამ და გამუდმებულმა დარბევებმა გამოიწვია მსოფლიო სატრანზიტო გზების („აბრეშუმის გზა") საქართველოში გადმონაცვლება, რომლის ერთი შტო გადიოდა ბათუმზე. იგი ახალციხე-თბილისის გავლით მიემართებოდა კასპიისპირეთისა და სპარსეთისაკენ, აქედან კი ინდოეთისა და ჩინეთისაკენ.[117]

ბათუმი გახდა მნიშვნელოვანი საზღვაო ქალაქი. იშრდება ქალაქის დასახლება. იგი მოიცავდა შესართავიდან მდ. ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროს გაყოლებით ერცელ ტერიტორიას დღევანდელი თამარის დასახლების ჩათვლით. ქალაქის სამხრეთი საზღვარი აღწევდა მდ. ბარცხანამდე. ეს მიდამოები შუა საუკუნეებში ისტორიული ბათუმის ძირითად ცენტრს წარმოადგენდა, რომლის შესახებაც საინტერესო ცნობებია დაცული ანტიკური თუ მოგვიანი ხანის აეტორებთან. დ. ბაქრაძესთანაც დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც ბათუმის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მის დრომდე ყოფილა შემორჩენილი დიდი კედლისა და შვიდამდე ეკლესიის ნაშთი. ერთი გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევები ყოროლისწყლის სათავეშიც ყოფილა.[118] საყურადღებოა და საინტერესოა ისიც, რომ საკუთრივ ყოროლისთავში დღემდეა შემორჩენილი შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები. ამდენი ძეგლის კონცენტრაცია ყოროლისწყლის ზღვასთან შეერთების მარცხენა სანაპიროზე შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ადგილის განსაკუთრებულობას, იმას, რომ მას გამო-

114 თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

115 ი.ვარშალომიძე. ვენეციური ვერცხლის დუკატი გონიოდან. – „საისტორიო მაცნე", №5, ბათუმი, 1996, გვ. 43-50.

116 თ.ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბილისი, 1981, გვ. 167; მისივე. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989, с. 71-72.

117 თ.ბერაძე. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. გვ. 167.

118 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987. გვ .27.

რჩეული ცენტრის ფუნქცია უნდა ჰქონოდა შუა საუკუნეებშიც. ბათუმის შემოგარენის დაწინაურება, სხვა ფაქტორებთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ სწორედ აქ, ბათუმის მიდამოებში, გადიოდა სახმელეთო გზები, რომლითაც იგი უკავშირდებოდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთს, სამცხე-ჯავახეთს, იბერიას თუ სომხეთს. დღევანდელი ბათუმის გორიდან ჭოროხის და აჭარისწყლის ხერთვისამდე მონაკვეთში აშენებული იყო ქვის სამი თაღიანი ხიდი, რომელთა ნაშთებმაც ჩვენამდე მოაღწია. სოფელ ყორულისთავში არსებული ციხის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც სწორედ აქ გამავალი გზების ნაწილის გაკონტროლება უნდა ყოფილიყო. ბათუმი რომ დაწინაურებული პუნქტი და სავაჭრო ნავსადგური იყო შუა საუკუნეებში, კარგად ჩანს სხვა ფაქტებითაც. იგი დატანილია XIII ს ვენეციელთა თუ XIV ს იტალიურ საკომპასო რუკებზე, კერძოდ, ვესკონტეს 1318 წლის, ლ'ეკსორის XIV საუკუნის დასაწყისის და პიციგანების 1367 წლის, გრაციოზო ბენიკასას 1480 წლის, ჯაკოფო გასტოლდის 1561 წლის რუკებზე. ევროპულ საზღვაო რუკებზე ბათუმი მითითებულია ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული ნიშნებით. ჯ. გასტოლდის რუკაზე ბათუმთან ახლოს გამოსახულია იალქნიანი გემი, რაც მიანიშნებს, რომ ბათუმი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სანავსადგურო ქალაქს.[119] 1426 წ. გერმანელი მოგზაური პანს შილტბერგი თავის „მოგზაურობის წიგნში" ბათუმს უწოდებს მთავარ ქალაქს, რომელიც წარმოადგენდა მსხვილ ზღვისპირა დასახლებას.[120] 1472 წ. იტალიელი დიპლომატი და მოგზაური იოსაფატ ბარბარო ბათუმს მოიხსენიებს ქალაქად, სადაც მიმოქცევაში ყოფილა ქართული თეთრი.[121] ვენეციის ელჩი სპარსეთში ამბროჯო კონტარინი, რომელმაც ბათუმი 1474 წელს მოინახულა, მას ციხე-ქალაქად მოიხსენიებს[122] და ა.შ. 1615 წლისათვის მისიონერი ლუი გრანეიე უკვე საგანგებოდ მოიხსენიებს ბათუმს, როგორც საზღვაო პორტს.[123]

ეს მონაცემები პირდაპირ თუ არაპირდაპირ იმაზე მიუთითებენ, რომ შუა საუკუნეებში ბათუმი მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქ-ნავსადგურს წარმოადგენდა.

§2. სოციალური ურთიერთობანი. წოდებანი

X-XII საუკუნეებში ფეოდალურმა საქართველომ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია, რომელიც თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში განვითარებული ფეოდალიზმის ხანად არის მიჩნეული.

გვიანი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მნიშვნელოვნად დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, რასაც მოწმობს ამ დროს გაყვანილი დიდი თუ მცირე სარწყავი არხები. მიწის მორწყვეით ნაყოფიერდებოდა სახნავ-სათესი მიწები, იცრდებოდა მარცვლეულისა და პარკოსანთა მოსავლიანობაც. მორწყვის საფუძველზე ამ პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა მევენახეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, ბამბისა თუ სხვა ტექნიკურ კულტურათა მოვლა-მოყვანა. აღმავლობის გზაზე დადგა მეცხოველეობაც (მეცხვარეობა, მესა-

119 თ.გვანცალაძე. 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა საქართველოს შესახებ. თბილისი, 1981, გვ.33.

120 ე.მამისთვალიშვილი. საქართველო პანს შილტბერგის „მოგზაურობის წიგნში". — „მაცნე", 1980, №2, გვ. 108.

121 Барбаро Йосафат. Путешествие в Тану. Барбаро и Контарини о России. Л., 1971, с. 138-139.

122 იქვე, გვ. 215-216.

123 ვ.თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი, 1995, გვ. 545.

ქონლეობა, მეცხენეობა). საუკეთესო ჯიშის ცხენები და ჯორები საგარეო ვაჭრობის უმთავრესი საგანი იყო. სოფლის მეურნეობის დარგების შესაფერისად, შემდგომ განვითარდა ხელოსნური წარმოებაც. ხელოსნები შრომობდნენ როგორც ქალაქებში, ისე მეფისა თუ დიდ აზნაურთა სასახლეებში. მათი ნაწარმი არა მარტო საშინაო აღებ-მიცემობის საგანი იყო, არამედ მრავალად გაჰქონდათ ქვეყნის გარეთაც.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარება როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის გაცხოველებასაც იწვევდა, რამაც, თავის მხრივ, ქალაქების გამრავლება და მათი შემდგომი განვითარება დააჩქარა. ქალაქები ამ პერიოდში გადაიქცნენ დიდ სახელოსნო და სავაჭრო ცენტრებად და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და საქართველოს მტკიცე სახელმწიფოებრივი გაერთიანების საქმეში.

X-XII საუკუნეებში საბოლოოდ ყალიბდება საზოგადოებრივი კლასები და ბატონყმური ურთიერთობა. IX საუკუნის წყაროებში ჩნდება ტერმინი „გლეხი“ უკვე იმ შინაარსით, რაც მას განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე უცვლელად ჰქონდა შენარჩუნებული. „გლეხი“ პირად თავისუფლებას მოკლებული მიწისმოქმედი იყო, რომელიც ამა თუ იმ უფლის (შემდეგ პატრონის) კუთვნილებას წარმოადგენდა იმ მიწასთან ერთად, რომელსაც იგი ფლობდა. კუთვნილების მიხედვით ისინი იყოფოდნენ სამეფო ანუ სახელმწიფო და საბატონო (საერო თუ საეკლესიო) გლეხებად. მათ გარკვეული სახელმწიფო და საბატონო ვალდებულებები ეკისრებოდათ, რაც გამოიხატებოდა შრომით ბეგარასა და ნატურალურ გადასახადებში. როგორც არათავისუფალ მიწათმოქმედს, გლეხს ფეოდალის მიმართ ეკისრებოდა სამსახური ანუ შრომითი ბეგარა, ხოლო მიწათსარგებლობისათვის ვალდებული იყო გადასახადი ანუ ნატურალური ბეგარა ეხადა. ამათ გარდა, გლეხი იხდიდა სახელმწიფო თუ საბატონო მოხელეთა სასარგებლოდ დაწესებულ სხვა გადასახადებს.

X-XIII საუკუნეებში, მეტეგრე გლეხების გარდა, ჯერ კიდევ საკმაოდ იყვნენ ისეთი მიწისმოქმედნი, რომელთა დამოკიდებულება, ანუ „ყმობა“ მეფისა თუ პატრონისადმი გამოიხატებოდა ლაშქრობებში მონაწილეობით. მათ, „გლეხებისაგან“ განსხვავებით, „ყმები“ ეწოდებოდათ და „პატრონის“ მფარველობის ქვეშ იყვნენ ცნობილი. ისინი „მსახურებისა“ და „აზნაურის ყმების“ სახელითაც იყვნენ ცნობილი. ნ. ბერძენიშვილის დახასიათებით, „მსახურები გარდამავალ საზოგადოებრივ ფენას შეადგენდნენ. ისინი მიწისმოქმედნი იყვნენ და ამით გლეხებს გვანდნენ. მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია — ლაშქრობა და სამსახური“.[1]

მწარმოებელთა მეორე ნაწილი იურიდიულად ჯერ კიდევ თავისუფალი იყო და მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე იყო ვალდებული. ეს სოციალური ფენა ძველი „ერის“ ნაშთს წარმოადგენდა იმ დროისათვის და მას „წვრილი ერი“ ეწოდებოდა. საჭიროების შემთხვევაში, ისინიც მონაწილეობდნენ ლაშქრობებში „ერისგანთა“ სახელით. ასეთი მწარმოებლები მრავლად ჩანან XI საუკუნის „ნიკორწმინდის დაწერილის“ მიხედვით რაჭის სოფლებში[2] და, აქედან გამომდინარე, ისინი საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში, მათ შორის, ცხადია, აჭარაშიც უნდა არსებულიყვნენ. კერძოდ, ასეთ მწარმოებლებად უნდა ჩაითვალონ ის კაცები აჭარის სოფელ ცხმორისიდან, რომლებიც წასულან „ნაპირსა წარმართთასა მოსარეწელად რაისამე, ღონედ სიგლახაკისა თჳისისა“.[3] როგორც აჭარის ერისთავთერისთავის ოჯახის წარმომადგენელი, XIII საუკუნის ცნობილი მწერალი აბუსერისძე ტბელი გვამცნობს, ეს ხალხი შორეულ მხარეში საშოეარზედ ეკო-

---

[1] ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, II. თბილისი, 1965, გვ. 51.

[2] მ.ბერძენიშვილი. საქართველო XI-XIII საუკუნეებში. თბილისი, 1970, გვ. 27.

[3] აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ბათუმი, 1998, გვ. 50.

ნომიკური სიდუხჭირისაგან თავის დასაღწევად დადიოდა. გარესეზონურ სამუშაოებზე უელია, აგრეთვე, ქვითხუროო ბასილს, რომელსაც იგივე მწერალი წმ. გიორგის წინაშე ათქმევინებს: „მე ესრეთ გლეხასა ნუგეშისსაცემელად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობაი, რაითა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაი".[4]

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გაბატონებული კლასი წარმოგვიდგება სამეფო სახლისა და აზნაურთა მრავალფენოვანი კლასის სახით. აზნაურები მათი კუთვნილებით, საზოგადოებრივი მდგომარეობითა და ყმა-მამულის სივრცე-სიმრავლით ერთმანეთისაგან გაირჩეოდნენ. ამასთან, იყვნენ ციხოვანი და უციხო აზნაურები. ციხოვანი აზნაურები შეიძლება „მონისტრსანიც" ყოფილიყვნენ. სამეფო ანუ ტაძრეული აზნაურები, ცხადია, თავიანთი ქონებრივი შესაძლებითა და მდგომარეობით უფრო მაღლა იდგნენ ერისთავთერისთაველებისა, ერისთავებისა, ეკლესიისა და დიდებულთა აზნაურებზე. საერთოდ, აზნაურების მოვალეობა პატრონის წინაშე იყო საპატიო სამსახური, რაც, ერთი მხრივ, ლაშქრობა-ნადირობაში მონაწილეობის მიღებაში გამოიხატებოდა, ხოლო მეორე მხრივ, რაიმე სამოხელეო სამსახურის შესრულებაში.

აზნაურთა იმ ნაწილს, რომელსაც მეფისაგან „დიდება", ანუ ესა თუ ის უმაღლესი თანამდებობა ჰქონდა მინიჭებული, „დიდებულები" ეწოდებოდათ. „დიდებულთა" სოციალურ წოდებაში შედიოდნენ ერისთავთერისთაველები და ერისთაველები, რომელთა სახელები, ჩვეულებრივ, ერთი და იგივე ფეოდალური სახლის მემკვიდრეობითი პრივილეგია იყო. მათ საისტორიო წყაროებში „მთავრებიც" ეწოდებოდათ, მაგრამ ამ ტერმინის არა ადრეფეოდალური ხანის გაგებით, როცა „მთავარი" სხვადასხვა სიდიდის ხელმწიფე-სუვერენის შინაარსით იხმარებოდა. ერისთავთ-ერისთაველებზე და ერისთაველებზე, როგორც გარკვეული ტერიტორიის გამგებლებზე, თავთავიანთი გლეხებით დაქვემდებარებული იყვნენ მათ საგამგეო ტერიტორიაზე მოსახლე დიდებულები და აზნაურები.

მსგავს სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას ადგილი ჰქონდა აჭარაშიც. ამას მოწმობს ერისთავთერისთაე აბუსერის (მწერლის უფროსი ძმის) წარწერა სოფ. თხილვანას იოანე მახარებლის ეკლესიიდან. წარწერაში ეკითხულობთ: „ქრისტე. წმინდაო იოანე მახარებელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთერისთავი აბუსერი და დედოფალი ეანენი და ძე მათი ხაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი..."[5]

როგორც ვხედავთ, აჭარაც საერისთავთერისთაო ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელსაც აბუსერისძეთა დიდფეოდალური სახლი ედგა სათავეში. ერისთავთერისთაე აბუსერს ემორჩილებოდნენ ამ მხარის დიდებულები და აზნაურები, უშუალოდ მათი, თუ ამ ფეოდალებზე დამოკიდებული, მეტ-ნაკლებად თავისუფალი მწარმოებლები და სხვა კატეგორიის გლეხები. ყველა ესენი, ერისთავთერისთაე აბუსერის წარმოდგენით, მთლიანობაში გაერთიანებული არიან „მათი ყოველი ერის" ცნებაში.

ამგვარად, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სოციალური ურთიერთობანი აჭარაში ზოგადად ისეთნაირად წარმოგვიდგება, როგორიც იყო მთლიანად საქართველოში.

---

4 იქვე.

5 იხ. ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე. თბილისი, 1963, გვ. 28.

ამარა XIII საუკუნის შუახანებიდან XVI საუკუნემდე (სამეხი-საათაბაგოს შემადგენლობაში)



§3. გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი

საქართველოს მთიანმა რელიეფმა, ღრმად ჩაჭრილმა ხეებმა და მდინარეებმა ადამიანი გადასასვლელების ძიების, ხიდების მშენებლობის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ხიდების შენებისას ირჩევდნენ ვიწრო და ადვილად მისადგომ ადგილებს. მცირე ნაკადულებზე გადასასვლელად თავდაპირველად ხის მორებს იყენებდნენ. შემდეგ უფრო რთული კონსტრუქციის ხის კოჭოვანი ხიდების აგება დაიწყეს. დიდ მდინარეებზე ხის ხიდების პარალელურად, ქვის თაღიანი ხიდები შენდებოდა. ძველი ქვის თაღოვანი ხიდების უმთავრესი ნაწილი – თაღი ძირითადად ამოყვანილია დაუმუშავებელი ქვის ფილებით, არქიტექტურული სამკაულის გარეშე. შემაკავშირებელ მასალად გამოყენებულია კირის ხსნარი. ხიდების მშენებელ ოსტატებს სწრაფი დინების გამო შუა მდინარეში ბურჯის მოწყობისათვის დიდი სიძნელეები ექმნებოდათ. ამიტომ ისინი ცდილობდნენ გადასასვლელები ერთი მალით აეგოთ. საინტერესოა კამარების მოხაზულობა. ისინი ხან ნახევარწრიულია, ხან კიდევ ისრული ან ბრტყელი.

ამგვარი ხიდებისათვის უმეტესწილად დამახასიათებელია გათლილი ქვის ნაცელად ჩვეულებრივი ქვისა და დუღაბის გამოყენება. ტექნიკური თვალსაზრისით ქვის ხიდები მხოლოდ თაღოვანი შენდებოდა. რაც შეეხება ამგვარი ხიდების პარამეტრებს (სიგრძე, სიგანე), იგი ტრანსპორტის სახეობასა და გზების მნიშვნელობაზე იყო დამოკიდებული. ზოგჯერ ხიდის სიგანე ერთი ქართული ურმის გაბარიტს უტოლდებოდა. იქ, სადაც ურმის მოძრაობა შეუძლებელი იყო, აშენებდნენ შედარებით ვიწრო ხიდებს. ისინი გამოიყენეოდა ქვეითთათვის და სასაპალნე ტრანსპორტისათვის.

დიდი ხიდების მშენებლობის დამკვეთები ძირითადად მეფეები და ადგილობრივი ფეოდალები იყენენ. ხშირ შემთხვევაში, ხიდებს სატრანსპორტოსთან ერთად შემოსავლის წყაროს დანიშნულებაც გააჩნდა. დაწესებული იყო სპეციალური „სახიდო გადასახადი." საქართველოში ყველა დიდი ხიდი იმ ფეოდალთა გამგებლობაში იყო, რომელთა სამფლობელოს ტერიტორიაზეც იყო ისინი აგებული. ხიდების მფლობელები გამელელებს გადასახადებს თავიანთ სასარგებლოდ ახდევინებდნენ.

აჭარაში ქვის თაღოვანი ხიდების რაოდენობა ბოლო დრომდე ზუსტად ცნობილი არ იყო და სხვადასხვა აეტორთა მიერ განსხვავებული რიცხვი სახელდებოდა. 1997 წელს აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერებში მოგზაური თ. სახოკია აქ რვა ხიდს ასახელებდა: ხუთს ზემო აჭარაში და სამს – ქვემო აჭარაში. მისი ცნობით, ყველა ხიდი 1895 წლამდე თავდაპირველი სახით ყოფილა დაცული. შემდეგ კი ზოგი მათგანი წყალდიდობას მთლიანად დაუნგრეია, ზოგიც დაუსიანებია.[1] მოგზაური ქვემო აჭარაში მხოლოდ სამ ხიდს (დანდალო, მახუნცეთი, (ხმორისი) ასახელებს. როგორც ჩანს, აჭარის ხიდების შესახებ მას ზუსტი ცნობები არ მოეპოვებოდა. რუსი მოგზაური, სამხედრო კორესპონდენტი ე. ლისოვსკი კი აჭარაში თერთმეტ ხიდს ითვლიდა.[2] ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით დღეისათვის აჭარაში სულ 35-მდე ხიდია ფიქსირებული. მათი დიდი ნაწილი დანგრეულია, თხუთმეტამდე ხიდი კი შედარებით კარგადაა დაცული. ასეთებია მახოს, მირეეთის, ცხემლარას, ქოქოლეთის (ჩომახისურის), ჩხერის, ბესლეთის, ცხემვანის, მახუნცეთის, აგარის, წონიარისის, დანდალოს, ჭეანის, ფურტიოს, უჩხოს და სხვა თაღოვანი ხიდები. ისინი ძირითადად ძველ საეკლესიო-საქარავნო გზებზეა განლაგებული და აკავშირებდა როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან მამაკავშირებელ ძველ გზებს.

---

[1] თ.სახოკია. მოგზაურობანი. თბილისი, 1950, გვ. 200.

[2] Лисовский В.Я. Чорохский край, вып. I, Тифлис, 1887, с. 14.

აჭარაში არსებული ქვის თაღოვანი ხიდების მშენებლობის ტექნიკა თუ არქიტექტურა თითქმის ერთნაირია. ამიტომ მოკლედ ზოგიერთ მათგან'ს შეეხერდებით.

დანდალოს ხიდი მდებარეობს ამავე დასახელების სოფელში, ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზის მახლობლად. ხიდის ასაგებად შეურჩეიათ კლდოვანი ქანებით აგებული მდინარის ვიწრობი ადგილი, სადაც კალაპოტი კლაკნილია, ხიდის ქვეშ მისი სიგანე 20 მეტრს აღემატება.

ხიდი თხელი თაღით, დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა. ნაშენია ეულკანური წარმოშობის კლდის თლილი ქვით კირის დულაბზე. ხიდის საავალი ნაწილი დაფარულია უსწორო ქვებით. ბურჯები კლდეზეა აღმართული. მათზე შემორჩენილია ქარგილისა და ხარაჩოების ბუდეების ფოსოები. თითოეულ ბურჯზე ფოსოების ორი რიგია. თითო რიგში კი სამი ბუდეა. ფოსოების ორი რიგი ცხადყოფს, რომ ხარაჩოები ორ რიგად ყოფილა აღმართული. ბურჯები ქვემოდან ზემოთკენ ფართოვდება. მარჯვენა ბურჯი კლდეზეა დაშენებული, ხოლო მარცხენა – მალის შემცირების მიზნით, წყალშია შეჭრილი.

საუკუნეების მანძილზე ხიდის ზედაპირზე გამაგრებისა თუ შეკეთების მიზნით დაუმატებიათ ქვის წყობის ორი რიგი, რომელიც სრულიად განსხვავდება პირვანდელისაგან ზომით, ფორმით და წყობის ხასიათით. ამგვარი გადაკეთება-შეკეთება ერთგვარად უცვლის ხიდს პირვანდელ სახეს და ამძიმებს მის კონსტრუქციებს.

ხიდი ატყორცნილი თაღით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. თაღი S-ის ფორმისაა. ამგვარი ხიდების აშენება სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით უფრო როულია და დატვირთვებიც მის მთელ ფართობზე არათანაბრად ნაწილდება.

ხიდის პარამეტრები შემდეგია: ბურჯიდან ბურჯამდე ხიდის საავალი ნაწილის სიგრძე 35,9 მ-ია, სიგანე ხიდის შუაწელზე – 2,7 მ, ნაპირებზე ბურჯებთან – 3,60 მ. ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე – 21,7 მ, სიმაღლე წყლის დონიდან თაღის ზემო ნაწილამდე – 8.5 მ. სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე – 7,6 მ. ქარგილის ბუდეების ზომებია: 0,4X0.36 მ და 0,34X0,3 მ. 2008 წელს ხიდს ჩაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები.

დანდალოს ქვის თაღიანი ხიდი საქართველოს ქვის თაღიან ხიდებს შორის სანიმუშო ძეგლადაა აღიარებული.

მახუნცეთის ხიდი მდებარეობს ქედის რაიონში, ბათუმი-ხულოს ცენტრალური გზიდან ტრასიდან 54 მეტრის მოშორებით. ხიდი დიდი ზომისაა და ეკრდნობა ბუნებრივი კლდის ბურჯებს, რომელთა სიმაღლეები განსხვავებულია. ხიდი ნაშენია ეულკანური წარმოშობის კლდის ქვით, კირის დულაბზე. ხიდის ორივე მხარის საპირე რკალისათვის გამოყენებულია ფლეთილი ქვები, რომლებიც ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მიწყობილი და ორივე ნაპირს მთელ სიგრძეზე გასდევს. ხიდს არ აქვს ლავგარდანი. მშენებლობის ტექნიკითა და ქვების დამუშავების მხრივ იგი ახლოს დგას ფურტიოს ხიდთან. ბურჯიდან ბურჯამდე ხიდის ჰორიზონტალური სიგრძეა 19,5 მ, ხიდის საავალი ნაწილის სიგრძე – 28,7 მ, სიგანე – შუაწელზე – 2,5 მ, ნაპირებზე ბურჯებთან – 3 მ, თაღის სიმაღლე წყლის დონიდან – 5,6 მ, თაღის ზედაპირამდე – 6,30 მ. ხიდის ბურჯებს ფოსოები არ აქვს. თუმცა, სიმაღლის გამო ხიდის მშენებლობის დროს მდინარეში ხიმინჯები უნდა აღემართათ, რომელზედაც ხარაჩოები ეწყობოდა.

საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ხიდის გამაგრება-შეკეთება. ამის მაჩვენებელია მის ზედაპირზე დამატებული ქვის წყობის ერთი და ზოგან ორი რიგი, რომლებიც სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან ზომით, ფორმით თუ წყობის ხასიათით. ამის გამო ხიდს პირვანდელ სახე შეცვლილი აქვს. 2008 წელს ხიდს ჩაუტარდა სრულყოფილი საკონსერვაციო სამუშაოები.

ფურტიოს ხიდი მდებარეობს ამავე დასახლების სოფლისა და სხალთისწყლის ხეობის დასაწყისში. ხიდი აკავშირებდა ერთმანეთთან სხალთისწყლის ხეობაზე არსებულ ძველ გზებს აჭარისწყლის ხეობაში გამავალ ცენტრალურ ტრასასთან. როგორც დ. ბაქრაძე,[3] პ. უვაროვა,[4] გ. ყაზბეგი,[5] თ. სახოკია[6] და სხვები მიუთითებდნენ, სხალთისწყლის ხეობას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. მასზე გადიოდა მოსაზღვრე მარეთისა და ბელლეთის ხეობებთან და სხვა რაიონებთან (იმიერხევი, შავშეთი, არტანუჯი, არდაგანი, ფოცხოვი) დამაკავშირებელი ძველი გზები. ფურტიოს ხიდზე გავლით სხალთის ხეობიდან ზღვისპირეთისაკენ (ბათუმისაკენ) მიემართებოდა უმოკლესი საქარავნო გზა არდაგანიდან და ახალციხიდან. ხიდმა ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია. მონგრეული აქვს მისასვლელები. ძირითადი ნაწილის სიგრძე 13,5 მ-ია, სიგანე ნაპირებზე 2,35 მ, ხოლო თაებანდთან – 2,20 მ. მალი – 9,80 მ-ია, ისარი – 4,40 მ. ხიდი ნაგებია ფლეთილი ქვებით. მას მოიჯირის და ლავგარდანის კვალი არ ამჩნევია.

ფურტიოს ხიდის საინტერესო აღწერილობას გვაძლევს თედო სახოკია. იგი წერდა: „მდინარის ორივე ნაპირს ქვის კამარიანი ხიდი აერთვის. თავი და ბოლო ამ ხიდისა დაყრდნობილია კლდიან ნიადაგზე. ასე რომ, ეს ბუნებრივი საფუძველი ადლ-ადლნახეერის სიმაღლეზეა წყალს მოშორებული. ამით უნდა აიხსნას, რომ აქამდე სრულად უსიანო დგას ეს ძველი დროების ნაშთი. შუა წელი ამ ხიდისა ორი მტკაველის სისქე თუღაა. მაგრამ ქვა და კირი ისე შედუღებია ერთმანეთს, რომ ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს... მისი მშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბევრს ახლანდელ ინჟინერს აწურვინებს ოფლს".[7]

ეს დახასიათება აჭარაში არსებულ ქვის ყველა თაღიან ხიდს კარგად მოერგება.

ეარჯანაულის ხიდი მდებარეობს ქობულეთიდან 20-ოდე კმ ბოშორებით, მდ. კინტრიშის ხეობაში. იგი საკმაოდ დიდი, ფართო და მაღალია. აქვს ნახევარწრიული მოხაზულობის ფორმა. ნაგებია თლილი ქვის კვადრებითა და ყორე-ქვით კირის დუღაბზე.

ხიდის ორივე მხარის შეერილი საპირე რკალისათვის გამოყენებულია თლილი ქვა, კირის ხსნარზე. საპირე ქვები ერთმანეთზე ეერტიკალურადაა მიწყობილი და ხიდის ორივე ნაპირს მთელ სიგრძეზე გასდევს. თაღი და ხიდის ნაპირები „მოპირკეთებულია" სუფთად თლილი ქვის კვადრებით. ხიდი ეყრდნობა ბურჯებს, რომლებიც ორივე ნაპირზე კლდეშია შეჭრილი.

ხიდის ჰორიზონტალური სიგრძე ბურჯიდან ბურჯამდე 14,6 მ-ია, საეალი ზედაპირის სიგრძე – 28,1 მ. ხიდის სიგანე შუაწელზე – 2,6 მ, ნაპირებზე ბურჯებთან – 3,5 მ. სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე – 7,9 მ, ხოლო თაღის ზედაპირამდე – 8,6 მ-ია. ქარგილის ბუდეების ზომებია: 0,36X0,42 მ და 0,38X0,32 მ.

2008 წელს ხიდს ჩაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები.

ნახევარწრიული მოხაზულობის საკმაოდ მაღალი ხიდი მსუბუქი და დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა და ორგანულადაა შეხამებული გარემოსთან.

ცხემლარას ხიდი მდებარეობს მდინარე მაჭახელაზე (ხელვაჩაურის რაიონი), ბათუმიხულოს ცენტრალურ ტრასაზე მდებარე სოფელ აჭარისწყლიდან 7-8 კმ მოშორებით. ამ ხიდით სარგებლობდა სოფელ ცხემლარის მოსახლეობა XX საუკუნის 60-იან წლებში ძველი ხიდის გვერდით ახალი სამანქანე ხიდის აშენებამდე.

---

3 Бакрадзе Д. Археологические путешествия по Грузии и Аджаре. Санкт-Петербург, 1878, с. 49-60, 80.

4 Уварова П. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Пиховский участок. М., 1981, с.197, 315.

5 Казбег Г. Три месяца Турецкой Грузии. Тифлис, 1876.

6 თ.სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 138-305.

7 იქვე, გვ. 197.

ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე 19,6 მ-ია, საეალი ზედაპირის სიგრძეა 22 მ, სიღანე შუაწელზე – 1,6 მ, ნაპირებზე ბურჯთან – 2,1 მ, სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე – 5,30 მ. ნახევარწრიული თაღის მოხაზულობის ხიდი საკმაოდ ვიწროა და განკუთვნილი იყო ფეხით მოგზაურთათვის. ნაშენია ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. ხიდის ზედაპირიც ქვის ფილებითაა მოფენილი. თაღს ამჩნევია მეორადი ქვის ფენა, რაც მას პირვანდელ სახეს უკარგავს. 2008 წელს ხიდს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ქვის თაღოვანი ხიდების გეოგრაფიულ გავრცელებას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათი დიდი ნაწილი სწორედ ისტორიული ტაო-კლარჯეთის, აჭარისა და ჭანეთ-ლაზეთის ტერიტორიაზეა კონცენტრირებული. აქ არსებული ხიდების მშენებლობის ხელოვნებაც და არქიტექტონიკაც თითქმის ერთნაირია. ასეთი ხიდების მშენებლობა აჭარაში IX–X საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო. აჭარა ამ პერიოდში „ქართველთა სამეფოს" ერთ-ერთი საერისთაოო იყო[8] და უშუალოდ მონაწილეობდა სამეფოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში. ცნობილი ფაქტია, რომ აჭარის ერისთაეთერისთავები – იოანე და გრიგოლ აბუსერისძეები (XI საუკუნე) ხიხანის, ციხისჯუარის და აწყურის ციხეებთან ერთად არტანუჯის ციხესაც ფლობდნენ[9] და აქ დიდ კულტურულ-აღმშენებლობით მუშაობას ახორციელებდნენ. ბუნებრივია, აჭარა, როგორც ტაო-კლარჯეთის შემადგენელი ნაწილი, ჩართული იყო ამ პროცესში. აქ არსებული ხიდების დიდი უმრავლესობაც სწორედ იმ გზებზეა განლაგებული, რომლებიც ისტორიული სამცხე-ჯავახეთისა და, განსაკუთრებით, შავშეთის, იმერხევისა თუ არტანუჯისაკენ მიემართებოდა. ასეთივე სიტუაციაა შეინიშნება მესხეთ-ლაზეთის ტერიტორიაზეც, სადაც აჭარის მსგავსად, ქვის თაღიანი ხიდების დიდი ნაწილი ჩამოთვლილ იმ გზებზეა განლაგებული, რომლებიც ზღვისპირა ზოლს აკავშირებდა არტანუჯთან. ცნობილია, რომ IX-X საუკუნეებში თბილისი-ბიზანტიის გზამაც კი შეიცვალა მარშრუტი და გაძლიერდა ის ტრასა, რომელიც არტანუჯზე გადიოდა და შავიზღვისპირეთს თბილისთან აკავშირებდა.[10] გზის მიმართულების ასეთმა შეცვლამ ქალაქების ერთი რიგის დაცემა და მეორე რიგის წამოწევა გამოიწვია. ერთმანეთზე მიყოლებით დაეცნენ წუნდა, ურბნისი, კასპი, სარკინე, მცხეთა და წინ წამოვიდნენ ახალი გზის ქალაქები – ახალქალაქი, არტაანი, განახლდა სამშვილდე და სხვა.[11] ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. უმთავრესი კი ის იყო, რომ დასუსტდა ზღვისპირეთის კულტურული ცენტრები.[12] რომლებიც ეველარ კვებავდნენ ძველ გზებს. რაც მთავარია, ეს გზები თავისაკენ მიიზიდა ტაო-კლარჯეთის ღონიერმა და მზარდმა პროვინციამ,[13] რომელმაც IX-X საუკუნეებში უკან ჩამოიტოვა კოლხეთი. ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოში გამავალი გზების უმრავლესობაც, სამხრეთით, ტაო-კლარჯეთისაკენ და, განსაკუთრებით კი, არტანუჯისაკენ იყურება. ვაჭრობის ინტენსიური განვითარება კი მოითხოვდა როგორც შიგა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზების მოწესრიგებას. ეს კარგად ესმოდათ „ქართველთა სამეფოს" მესვეურთ და

---

8 დ.მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. – სდსინ, I, თბილისი, 2007, გვ. 92.

9 ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბილისი, 1956, გვ. 293, 300, 302.

10 ლ.ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II, თბილისი, 1970, გვ. 83-84.

11 ლ.ჭილაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

12 ჯუანშერის სიტყვებით, „და ჩაიარა უდმერთომან მურვან ყრუმ ზღვისპირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღვისპირისანი, და ოხერ უვალეო ყოველ ქუეყანა ზღვისაპირისა, ეიდრემდის მიიწია ქალაქსა მას, რომელ არს კონსტანტინეპოლ, და დაიბანაკეს, რომელსა ხალკიდონ ჰქვიან". – იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 239

13 ლ.ჭილაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

დიდ ხარჯებსაც იღებდნენ გზების შესაკეთებლად, ახლის გასაყვანად, ხიდებისა და ფუნდუკ-ქარავასლების ასაშენებლად. საკმარისია გავეცნოთ სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებას" და თვალწინ დაგვიდგება ეკონომიკურად მოღონიერების გზაზე მდგარი ქვეყნის მისწრაფება შენება-განახლებისაკენ. ტაო-კლარჯეთში, რომელშიც აჭარაც შედიოდა, ამ პერიოდში აშენებული თუ განახლებული ძეგლების უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის სურათი წარმოვიდგინოთ. აჭარაში არსებული ხიდების უმრავლესობაც სწორედ ამ პერიოდში (IX-X საუკუნეები) უნდა აშენებულიყო.

განვითარებულ ფეოდალურ ხანაში ხიდებთან ერთად ინტენსიურად შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, სარწყავი არხები და ა.შ. ბუნებრივია, მხარის ასეთ აღმავლობას ხელს უწყობდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან სიახლოვე. სტრატეგიულად მოხერხებულ პუნქტებში ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან, ეკლესია-მონასტრებთან ერთად შენდებოდა ხეობათა ჩამკეტი ციხე-კოშკები ანუ თავდაცვითი ხასიათის საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ამათ რიცხვს ეკუთვნის: ხიხანის ციხე, ციხისყელი, ვარდციხე, ტაკიძეების, დარჩიძეების, კავიანის, საღორეთის, ზესოფლის, გულების, გეარას, ჩხუტუნეთის და სხვა ციხეები.

ხიხანის ციხის მშენებლობა აჭარის ერისთავთერისთავების აბუსერისძეების მოღვაწეობას უკავშირდება. „ქართლის ცხოვრებაში" ამ გვარეულობის წარმომადგენელი მოიხსენება, როგორც „ერისთაი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყვერის ციხისა პატრონი". XI საუკუნის შუა ხანებში ხიხათა ციხის მფლობელად იხსენიება აბუსერ I აბუსერისძე. ხიხანი XI-XIII საუკუნეებში ერისთავთერისთავების სარეზიდენციო ქალაქს წარმოადგენდა. წერილობითი წყაროების მიხედვით, ერთ დროს ხიხანი მტრის ხელში ჩავარდნილა და მისი გამოხსნით საქართველოს მეფეები თამარი და დავით სოსლანი დაინტერესებულან. მათი დახმარებით ხიხანი ტბელ აბუსერისძის პაპებს აბუსერსა და სანანოს მტრისაგან გაუნთავისუფლებიათ.

ხიხანის ციხე მდებარეობს სხალთა-ხიხანის წყლის სათავეებში, ბათუმიდან 125 კმ-ის მოშორებით, არსიანის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, ზღვის დონიდან 2635 მ-ის სიმაღლეზე. ციხეს არაერთი მოგზაური თუ მეცნიერი შეხებია.[14] 1897 წელს ხიხანის ციხე და მისი მიდამოები მიმოიხილა თ. სახოკიამ. იგი მაშინ წერდა, რომ ხიხანის ციხე „წარმოადგენს განმარტოებულ და წოწოლა კლდეს, სამივე კუთხივ მახლობელ მთებიდან ხრამებით მოშორებულს და მიუვალს".[15] ციხეს გააჩნია მუდმივ მცოცავი ქვა-ღორღიანი ერთადერთი საცალფეხო მისადგომი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. იგი აგებულია სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე და არწიეივით გადმოჰყურებს აჭარის მთიანეთიდან აჭარის ხეევებს ზღვის სანაპირო ზოლამდე. მიუვალი ციტადელი ადრეეე დარაჯიეით ედგა მთის ქარაფებზე და აკონტროლებდა სხვადასხვა მიმართულებით დაქსელილ საქარავნო გზებს. მათ შორის უმთავრესი იყო სამი. ერთ-ერთი მათგანი ხიხაძირის ხეობაში გაივლიდა სოფელ ბაკო-

[14] დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 220-221; გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. — გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. 101-103; ხ.ახალედიანი. ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის. — ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში. ბათუმი, 1955; ი.სიხარულიძე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962; შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993; მისივე. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი, 2000; რ.ხალვაში. ტბელ აბუსერისძე — ხიხათა ციხისა და ეკლესიის აღმშენებელი. — „საისტორიო მაცნე", №5, ბათუმი, 2005.

[15] თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 28

ზე გავლით და ახალციხისაკენ მიემართებოდა. მეორე მდ. კალოთის ხეობისა და ჩირუხის მთის გავლით შავშეთ-კლარჯეთისაკენ მიდიოდა, მესამე კი — ახალციხე-არტაანიდან გამომავალი სხალთა-აჭარისწყლის დაყოლებით ზღვისპირეთისაკენ.[16] ჩამოთვლილი ციხე-კოშკები ქმნიდნენ აჭარისწყლის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის უწყვეტ ჯაჭვს. ამათ გვირგვინს, მეთაურ ციხეს, ბუნებრივია, ხეობის სათავეში აგებული ხიხანი წარმოადგენდა. ასე, რომ მომხდურის პირველ დარტყმას იგი თავის თავზე იღებდა.

ხიხანის ციხის ფართობი თითქმის ერთ ჰექტარს აღწევს. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია მოვაკებული. დანარჩენი დამრეც და ციცაბო ფერდობზეა განლაგებული. ციხეს ჰქონია ქვის გალავანი, რომლის წყობაში აქა-იქ აგურია გამოყენებული. ალაგ-ალაგ დარჩენილი კედლების სიმაღლე 5-6 მ აღწევს, სისქე 90-95 სმ-ია. გალავნის კედლები კლდის გარე მიუვალ კიდეებზეა დაშენებული. ამიტომაც, მისი გეგმაც ძირითადად რელიეფს მიუჩენია. ამჟამად გალავნის კედლები ზოგან დაზიანებულ-ჩამოქცეულია.

ხიხანის ციხის გალავანი შედგებოდა ოთხი კოშკისაგან. პირველი მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მისასვლელი გზის მარცხენა მხარეს. კოშკი საგრძნობლადაა დაზიანებული. შედარებით უკეთესად გადარჩენილა მისი აღმოსავლეთი კედელი. კოშკი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო (ზომები: 4,5X3,5).

მეორე კოშკი პირველისაგან 45 მეტრითაა მოშორებული. გადარჩენილია მისი დასავლეთისა და ჩრდილოეთის მაღალი კედლები, დანარჩენი საძირკვლამდეა მორღვეული. კედლებში დატანებულია სათვალთვალო სარკმლები. ხის კოჭებისათვის განკუთვნილი ბუდეების მიხედვით ჩანს, რომ ეს კოშკი სამსართულიანი ყოფილა (ზომები: 4,5X3,8).

მესამე კოშკი მეორედან 185 მეტრითაა დაშორებული. გადარჩენილია მისი დასავლეთი და სამხრეთი კედლები. ეს კოშკიც, სავარაუდოდ, მრავალსართულიანი უნდა ყოფილიყო (ზომები: 4,8X4.2).

შედარებით კარგადაა შემონახული სამსართულიანი მეოთხე კოშკი, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან აქვს შესასვლელი კარი 3 მეტრის სიმაღლეზე. როგორც ჩანს, კოშკში შესასვლელად იყენებდნენ ასაწევ კიბეს (ზომები: 5X4,5).

ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე ბევრგან შეინიშნება ხსვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები, რომელთა ფუნქციისა და კონსტრუქციების შესახებ საუბარი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების განხორციელებამდე ჭირს. ჭვანის, ტაკიძეების ციხის შესაბამისი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი ერთი ნაწილი თოვლისა თუ წვიმის წყლის შეგროვებისათვის განკუთვნილი რეზერვუარი შეიძლება ყოფილიყო. აქვეა თონისა და მარნის ნაშთები. აჭარისწყლის ხეობაში მარნების ნაწილი აღმოჩენილია მთის ზონაში (თხილვანა, ვერნები, ხიხაძირი, კალოთა, ხიხანი), სადაც ვენახი არ ხარობს. უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარის ერისთაესთერისთავებს ბარში ჰქონდათ მამულები, სადაც ხდებოდა ვაზის მოშენება და აქედან ყურძნის დაწურული წვენი ციხეში აჰქონდათ. როგორც ითქვა, მსგავს ცნობას გვაწვდის ვახუშტი.[17]

ციხის ერთ-ერთი მოზრდილი შენობის (ზომა: 9,85X9,5 მ) აღმოსავლეთ კედელში დატანებულია 3,5 მ სიმაღლის და 0,92 მ სიგანის კარი. უკეთესადაა შენახული ეკლესიის ნაშთები. იგი მდებარეობს ციხე-ქალაქის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. ეკლესიაც ზოგან თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული, მაგრამ მისი გეგმის გარჩევა მაინც შეიძლება. იგი ჰატარა ზომისაა და წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას. ორსაფეხურიან ცოკოლზე აღუმართავთ საკმაოდ სქელი კედლები (სისქე 0,60-0,70 მ). ასევე კარგადაა შემონახული ციხის აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები

[16] Казбек Г. დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

[17] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 42

(სიმაღლე 1,5-1,7 მ). კედლების როგორც გარეთა, ისე შიდა ზედაპირი მოპირკეთებულია მოსწორებულზედაპირიანი ქვეებით. მათ შორის სიცარიელე შევსებულია კირხსნარიანი ქვა-ღორღით. ადრე აქ ხის ეკლესია ყოფილა. XIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ქვის ეკლესია აუგიათ.

ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით შემონახულია საინტერესო წერილობითი ცნობები. ტბელ აბუსერისძე ლიტერატურულ-მწიგნობრულ მოღვაწეობასთან ერთად, მშენებლობასაც ეწეოდა ხერხათის მთის ძნელად მისადგომ ციხესიმაგრეში. ძმების – ერისთავთერისთავების აბუსერისა და ვარდანის დავალებით, მას წმ. გიორგის ეკლესია აუგია. თხზულების წერისას (1233 წელი) მშენებლობა ჯერ კიდევ არ ყოფილა დასრულებული. თხზულებიდან ჩანს, რომ ეკლესიის მშენებლობა დიდ სიძნელეებთან ყოფილა დაკავშირებული. ტბელი მიუთითებს ციხის მშენებლობის ისეთ სირთულეებზეც, როგორიცაა ციხის მიუვალობა, ქვების მშენებლობის ადგილზე მიტანა და სხვ. ტექსტის მიხედვით, ბაკოელნი ყოფილან ეკლესიის აშენების ინიციატორები.[18] ხიხანის ეკლესიის შემკობისათვის დიდად უზრუნია ერისთავთერისთავე აბუსერს, ხოლო ტბელ აბუსერისძის მეუღლეს ბაგულის მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია მშენებლობის გასრულებაში. ეკლესია აშენებული უნდა იყოს XIII ს 30-იან წლებში ან 40-იანი წლების დამდეგს.

ხიხანის ციხეს მომდევნო ეპოქაშიაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იგი კელავაც წარმოადგენდა არაერთი სისხლისმღვრელი ომის ასპარეზს. აქ აღასრულა თავისი სიცოცხლე სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა. 1815 წელს არზრუმის სერასკირი ბაბა-ფაშა ფეჰლევანი 15 ათასი ჯარისკაცით ჩავიდა ახალციხის საფაშოში, აქედან წაიყვანა 6 ათასი რჩეული ჯარისკაცი და ალყა შემოარტყა ხიხანის ციხეს. ახალციხიდან გაძევების შემდეგ ოჯახთან ერთად აქ თავს აფარებდა სელიმ ფაშა. ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ამხედრებულ სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოკვეთეს. სიკვდილის წინ მას ამაყად განუცხადებია: მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი (საქართველო) ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო.

ხიხანის ციხე სხვა ბევრ საიდუმლოსაც ინახავს. მათი დღის სინათლეზე გამოტანა მომავალი კელევა-ძიების შემდგომ გახდება შესაძლებელი.

ციხისყელი. სხალთისწყლის ხეობა საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილ-გამაგრებული და მჭიდროდ გადაჯაჭვული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სასიმაგრო ნაგებობათა სისტემასთან. ამ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ციხისყელ-ვარდციხის** კომპლექსს. რომელიც შედგება ერთიმეორისაგან 150-180 მეტრით დაშორებული ორი ნაგებობისაგან.

ციხისყელი მდებარეობს სოფ. ხიხაძირის დასავლეთით, 1 კმ მოშორებით, მდ. კალოთისა და ხიხანისწყლის შესართავთან მდებარე მაღლივ კლდეზე. ამ ქედის მარჯვენა დამრეცი ფერდობი ქვემოთ თანდათანობით ეკვდება და ხიხანისწყლისაკენ იშლება. ციხისყელის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს დიდი ხომის მეორე ციხესიმაგრე, რომელიც ვარდციხის სახელითაა ცნობილი. ორი ციხის არსებობა ახლო მანძილზე ამ პუნქტის განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის მაუწყებელია. ციხეები ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა ციხე-ქალაქ ხიხანისა და მისი სანახების მისადგომებს იცავდა. ასევე კეტავდა იგი კალოთის ხეობასაც. 1986 და 1990 წლებში არქეოლოგიურად შესწავლილი იქნა მხოლოდ ციხის ტერიტორია, სადაც გამოვლინდა დაზიანებული ხღუდეკოშკები, პატარა ხომის საყდარი, საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობანი.

---

[18] იქვე.

ციხისყელის ნაგებობათა ანსამბლის არქიტექტურული მთლიანობა მის რთულ რელიეფთან მჭიდრო კავშირშია და წარმოადგენს საფორტიფიკაციო არქიტექტურის გარემოსთან შერწყმის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. ყურადღებას იქცევს ციხის გეგმის მოხაზულობა და კომპოზიცია, რომელსაც გალავნის ფორმა განსაზღვრავს.

გალავნის კედლები და კოშკები შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნამტვრევი ქანებისა თუ რიყის ქვებისაგანაა აგებული მტკიცე დუღაბზე. გალავნის კედლის სისქე სხვადასხვა ზომისაა და მერყეობს 0.8-1,25 მ შორის.

პირველი სათავსო საკმაოდ დიდი ზომისაა და კლდის თხემზეა დაშენებული. ციხის მთლიან კომპლექსში იგი ყველაზე კარგადაა დაცული, რადგან მიუვალი იყო. სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი საძირკვლითურთ ჩამონგრეულია. ნაგებობის სამხრეთი ნაწილი კლდის თხემის შესაბამისად ნახევარწრისებური ფორმისაა. აქედან ჩრდილოეთისაკენ ვერტიკალურად ეშვება ოდნავ გარეთ გაწეული 11 მეტრის სიგრძის კედლები. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1,9 მ აღწევს. სისქე კი 0,8-1 მ-ს შორის მერყეობს.

ციხის ცალკეულ ნაწილთა განლაგების მიხედვით ჩანს, რომ იგი საბრძოლო-თავდაცვითი და ამავე დროს ყველაზე საიმედო თავშესაფარიც უნდა ყოფილიყო. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა პატარა ზომის (3,5X3 მ) ეკლესიის ნაშთები. ეკლესია შიგნიდან მოხატული ყოფილა. მოხატულობის ზოგიერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ნაშთები.

მეორე სათავსო წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობისაა (ზომა: 4X6 მ) და მდებარეობს პირველისაგან ჩრდილოეთით. სათავსო ორსართულიანი ჩანს. ქვედა სართული ჩვეულებრივ გამოყენებული იყო მარნისათვის, ზედა კი თავდაცვისათვის ან საცხოვრებლად. პირველ სართულზე აღმოჩნდა მარანი 8 ქვევრით.

ციხის კომპლექსში მესამე ნაგებობაა კოშკი, რომელიც აღმართულია ციხის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. კოშკი დაშენებულია მკვეთრად დახრილ კლდეზე. მისი იატაკი მოსწორებულია ქვიშა-ქვის ნატეხებით. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1,5 მ-ია. კოშკი იცავდა შიდაციხეს აღმოსავლეთიდან და კონტროლს უწევდა მთავარ შესასვლელს. რაც შეეხება ციხის დანარჩენ მხარეებს, მიუვალობის გამო დაცვის დამატებით საშუალებებს არც ისინი საჭიროებდნენ. კოშკი ნახევარწრისებური ფორმისაა. დასავლეთის მხრიდან შიდაციხის პირველ და მესამე სათავსოებს გასწვრივ ეკვრის საკმაოდ მოსრდილი (7X3,5 მ) მეოთხე ნაგებობა, რომლის გარეთ გამოზნექილი კედელი მკვეთრად დახრილი სალი კლდის კალთაზეა დაშენებული. იგი დროთა განმავლობაში ნაწილობრივ მორღვეულია. ციხის მთავარი შესასვლელიდან შიდა ციხეში მოხვედრა მხოლოდ ამ სათავსოს გავლით იყო შესაძლებელი.

ციხის ქვედა ტერიტორიაზე განლაგებულია ორი (მეექვსე-მეშვიდე) სათავსო, რომელთა სამხრეთ კედლებს დატანებული აქვს სამი ნიში. მეშვიდე სათავსოში აღმოჩნდა ერთი თონე და ერთი კერა ცეცხლაპირით. სათავსოები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო 0.8 მ სიგანის კარით. მეექვსე სათავსოში აღმოჩნდა ორი მარანი 7 ქვევრით. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მდიდარი კერამიკული თუ სხეა სახის ნაკეთობა.[19]

ვარდციხე წარმოადგენს ციხისყელის გაგრძელებას. ციხეზე დღემდე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. გაიწმინდა მხოლოდ ტეე-ბუჩქებისა და ჯაგნარებისაგან. ვარდციხე აშენებულია მაღალ ბორცვზე, რომელსაც წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობის ფორმა აქვს. ციხე დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. გალავნის კედლების დიდი ნაწილი დაზიანებულია. ციხის

19 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. გვ. 40-45, 55-72.

გეგმას აქაც განსაზღვრავს ბორცვის კონფიგურაცია. ციხის დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები დაზიანებულია. უკეთესადაა დაცული გალავნის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები. ეარდციხეს ჰქონია ორი კოშკი. პირველი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და დაშენებულია ფრიალო კლდის შეერილებ'ხე. ციხის კოშკები აკონტროლებდა კალოთისა და ხიხანის სათავეებისაკენ მიმავალ გზას.

ეჭეს არ იწვევს, რომ ციხისყელი და ეარდციხე ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენდა. ორიეე მათგანი დაახლოებით XI-XIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ტაკიძეების (ჭვანის) ციხე. ჭვანისწყლის ხეობაში ერთ-ერთი უდიდესია და აქვს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. თეით ხეობა სათავეს იღებს აჭარა-გურიის მთებიდან და მდ. აჭარისწყალს ერთვის ხიჭაურის მიდამოებში. ხეობა'ხე უძველესი დროიდან გადიოდა როგორც შიდა, ისე მეზობელ რაიონებთან დამაკავშირებელი გზები. ამ გზებით შეიძლებოდა დაკავშირება როგორც საკუთრივ აჭარისწყლის ხეობის შიდა პუნქტებთან, ისე აჭარა-გურიის მთებ'ხე არსებული 'ხეკარებით ქობულეთის და ოზურგეთის რაიონებთან. ზოგიერთი გადასასელელი დღესაც ფუნქციონირებს.

ციხე აღმართულია მდ. ჭვანისწყლისა და მისი მარჯვენა შენაკად ოთოლთისწყლის შესართავაში, წინწამოწეული მთავარანგელოზის მთის წვერზე. ადგილობრივი მოსახლეობა მას ციხე-ყელსაც უწოდებს. აქ ხეობა შედარებით გაშლილია და მას მაღალი მთები აკრავს. ციხის ყველა კუთხიდან კარგად მოჩანს ერცელი ტერიტორია თითქმის 25-30 კმ-ის მანძილზე. როგორც ჩანს, იგი წარმოადგენდა აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობების ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს და გადამწყეტ როლს თამაშობდა მთლიანად აჭარისწყლის ხეობის დაცვის სისტემაში.

ციხე პირდაპირ გადაჭყურებს ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის ხეობების შესართავთან არსებული კაეიანისა და ქვემო და ზემო აჭარის საზღვარზე არსებულ დანდალოს ციხეებს, რომლებიც, თაეის მხრივ, აჭარისწყლის ხეობის ციხეთა ერთიანი სისტემის შემადგენელი რგოლებია.

ციხის ფართობი 936 კვ.მ-ია, სიგრძე — 52 მ, სიგანე — 18 მ. ციხის აღმოსავლეთი გალავანი შედარებით სწორხაზოვანია. მისი საეროო სიგრძე 49 მ შეადგენს. შედარებით კარგადაა დაცული ციხის კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი, ხოლო უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი კი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. კედელს სიმტკიცისათვის დატანებული აქვს ნახევარწრისებური კონტრფორსები. გალავნის სისქე მერყეობს 1,6-2 მეტრამდე. მას აქვს სამი სათვალთვალო სარკმელი.

ციხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმართულია ნახევარწრისებური კოშკი, რომელსაც გააჩნია სათვალთვალო სარკმლები. საინტერესოა ციხის დასავლეთის გალავანი. სწორედ ამ სექტორშია თავმოყრილი ბუნებრივი კლდის შეერილები. ციხის მშენებელთ ეს ხელსაყრელი მომენტი მაქსიმალურად გამოუყენებიათ. ციხის ციტადელი დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილშია გამართული, რომლის ფართობი 55 კვ.მ-ია. იგი გამოყენებული იყო სამეურნეო დანიშნულებით. შედარებით დაუცველი ჩანს დასავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთი, სადაც კლდე არ მოჩანს და გალავანი უშუალოდ თიხნარ ქანზეა დაშენებული, რაც მტერს საშუალებას აძლევდა კედელს უშუალოდ მიახლოებოდა. მაგრამ ამ სუსტი ადგილის გასამაგრებლად კედელან ახლოს ამოუჭრიათ საკმაოდ დიდი ზომის (სიგრძე — 4,5 მ, სიგანე — 1,80-2 მ) თხრილი, რომელიც წყლით ივსებოდა და ერთგვარ საიმედო ბარიერს წარმოადგენდა. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო გამართული ციხის ცენტრალური შესასვლელი. ციხეს ჰქონდა მეორე შესასვლელიც დასავლეთი გალავნის ცენტრალურ ნაწილში, სადაც კლდოეან რელიეფზე ამოკვეთილია 12 საფეხური. ციხის ყველა კოშკი და გალავნის კედლები აგებულია ადგილობრივი ქვებით დუღაბის სქელ ფენაზე. აქა-იქ გამოყენებულია კვადრები. ქვების გარე პირი უმეტესად მოსწორებულია.

ჭვანის ციხე ცენტრალურ ნაწილში არსებული კედლით თითქმის ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. შიდაციხის უმთავრესი ნაწილი მდებარეობს ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კლდის ტერასაზე. შიდა ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები, თირსა და კლდეში ამოჭრილი წყლის რეზერვუარი, მარნები, თონეები და კერამიკული მასალა. საინტერესოა ციხის ეზოს ტერიტორიაც, რომელიც მოწყობილია თირი ქვების ქანზე. აქაც ტოლგეერდა სამკუთხედის მოყვანილობისაა. აქაც სხვადასხვა სახის ნაგებობათა ნაშთები დაფიქსირდა.

ციხის ეზოს შესწავლის დროს ყურადღება მიიქცია კიბემ და მის ქვეშ მოთავსებულმა საიდუმლო გვირაბმა, რომელიც მდებარეობს ციხის ეზოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაკვეთის შუა ნაწილში. კიბითა და გვირაბით შეიძლებოდა ციხის ციტადელზე ასვლა და იქიდან 8 მეტრი სიგრძის 12-საფეხურიანი ხის კიბის გამოყენებით შიდაციხის ტერიტორიაზე ჩასვლა. ციხის ეზო გამოიყენებოდა ჩამონადენი დანაწრეტი წყლების თაავშეყრის, ფილტრაციის და ეზოში არსებული რეზერვუარისადმი წყლის მიწოდების საშუალებად. ასე რომ, ციხის ეზოს გააჩნდა საკუთარი წყალმომარაგების საშუალება. ციხის ეზოში არსებობდა მარანი. აქ აღმოჩნდა სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი.[20]

ციტადელის დასავლეთ შემაღლებულ ნაწილში, რომელსაც სამხედრო დანიშნულება უნდა ჰქონოდა, ერთიმეორის გვერდით არსებობდა საკმაოდ მოზრდილი ორი ორმო. მათ სამალავი ფუნქცია, ან შესაძლოა, იგი გუშაგთა საიდუმლო სამზერს წარმოადგენდა. აქვე კლდეში ჩამარხული იყო სამი დიდი ქვევრი, რომლებიც გაჩკუთნილი უნდა ყოფილიყო პროდუქტების შესანახად. აქვე იყო მოზრდილი ხარო, სადაც სხვადასხვა სახის მარცვლეული კულტურის ნაშთებიც აღმოჩნდა.[21] არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ ციხის ტერიტორია ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-V საუკუნეებში უნდა გამოეყენებინათ. განვითარებულ შუასაუკუნეებში (XI-XIII სს) კი აქ ჩვენამდე შედარებით კარგად მოღწეული ჭვანის ციხე აღიმართა.

ციხიდან დაახლოებით 2 კმ მოშორებით, დღევანდელი ხიჭაურის მოპირდაპირე შემაღლებულ კლდის ბორცვზე ჭვანისწყალ-აჭარისწყლის შესართავთან დაშენებულია XI-XIII საუკუნეების შედარებით პატარა მოცულობის *კავიანის ციხე*, რომელიც აკონტროლებდა ჭვანისწყლის ხეობასა და აჭარისწყლის ხეობაზე გამავალ გზებს. ციხე ჭვანის, დანდალოს ციხეებთან ერთად ქმნიდა აჭარისწყლის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვან რგოლს. ციხე დღემდე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

დარჩიძეების (გოგოლაურის) ციხე მდებარეობს მარეთისწყლის ხეობაში. მარეთის, იგივე ჩირუხისწყლის ხეობა ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობით აჭარისწყლის აუზში ერთ-ერთი უდიდესია. აქ მრავალადაა განლაგებული სხვადასხვა პერიოდის, განსაკუთრებით, შუა საუკუნეების მიწისზედა ძეგლები, რომლებიც არქეოლოგიურად ჯერჯერობით შეუსწავლელია. ციხის შესახებ მხოლოდ მოკლე ინფორმაციებია მოყვანილი კ. რუსიძისა და ი. სიხარულიძის ნაშრომებში.[22] ტერიტორიას, სადაც ახლა ციხე მდებარეობს (მარეთისწყლის მარჯვენა მხარე), მთისუბანსაც ეძახიან. სოფლის გაჩნაპირას ამოზიდულია სამმხრივ მიუვალი უსარმაზარი კლდის სამი მასივი. ციხე აღმართულია შუა კლდის მასივზე და მის გეგმასაც კლდის კონფიგურაცია განსაზღვრავს. ციხის ფართობი 190 კვ.მ შეადგენს. დღემდე შემორჩენილია ციხის დასავლეთის და

---

19 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. გვ. 40-45, 55-72.

20 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ჭვანის ციხე). – სდსძ, XIX, თბილისი, 1991; მისივე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 27-40. 55-72.

21 შ.მამულაძე. მემინდვრეობა, მეფუტკრეობა განვითარებულ შუა საუკუნეებში. – სდსის, II. ბათუმი, 2007, გვ. 63-74.

22 კ.რუსიძე. დარჩიძეების და შუახევის ციხესიმაგრეები. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. II. ბათუმი, 1957, გვ. 61-69; ი.სიხარულიძე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962, გვ. 51.

ჩრდილოეთის კედლები. ჩრდილოეთი კედელი სწორხაზოვანია (სიგრძე 23 მ). მაქსიმალური სიმაღლე 3 მ. ჩრდილოეთი კედელი უფრო სქელია და 1-1,2 მ-ს შორის მერყეობს. გალავნის დასავლეთი კედელი შედარებით მაღალია და 12 მ-მდე აღწევს.

კედელზე დაკვირვებით ჩანს, რომ ციხის მშენებლობაში ორი პერიოდი უნდა გამოიყოს. თავდაპირველად ციხე აღუმართავთ XII-XIII საუკუნეებში, ხოლო აღუდგენიათ გვიან შუა საუკუნეებში.

მარეთის ხეობის მიწისსედა ძეგლებიდან ასევე ყურადღებას იქცევს *ოქროპილაურის* (ყალაბოინის) ციხე, რომელიც მდებარეობს ჩირუხისა და უჩამბის (ღომას) წყლების შესაყარში, მაღალ კლდოვან ბორცვზე.

საღორეთის ციხე. დაშენებულია მიუვალ კლდეზე მდ. აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს. ცენტრალური გზატკეცილიდან 2,5 კმ-ის მოშორებით. იგი ამაყად გადაჭყურებს და აკონტროლებს აჭარისწყლის ხეობას და აქ გამავალ გზებს. ციხის კედლები საკმაოდ დაზიანებულია. ციხის შიგნით მოქცეული ფართობი დაახლოებით 150-200 კვ.მ-ია.[23] იგი ამოვსებულია მიწით. ციხე არქეოლოგიურად ჯერჯერობით შეუსწავლელია.

ციეასულას ციხე. ციეასულა ეწოდება ადგილს, სადაც საღორეთისა და აგარის წყალი ერთმანეთს ერთვის. აქედან 1 კმ მანძილზე აგარისწყალი უერთდება აჭარისწყალს. სწორედ აქაა აღმართული ციხე ცენტრალური გზიდან 0,5 კმ-ის მოშორებით. ციხის ფუნქცია აჭარისწყლის ხეობასა და აგარისწყალზე გამავალი გზების გაკონტროლება იყო. გზების ერთი ნაწილი აგარისწყლის ხეობით აჭარა-გურიის მთებზე არსებული ზეკარებით ჩაქვისწყლის ხეობაში გადადიოდა და უმოკლესი გზით ზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა. ციხე მცირე მოცულობისაა (400 კვ.მეტრი).

ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია, მაგრამ მეზობელი საღორეთის ციხის მშენებლობის სტილის, არქიტექტონიკის და შემთხვევით აღმოჩენილი მასალების მიხედვით იგი განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს. გადმოცემა ციხისა და სოფლის სახელწოდებას მისი ოდინდელი მფლობელის — ციეაძის გვარს უკავშირებს.

გულების ციხე. მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის თავში მდებარე საწუმპიას მთაზე, ცენტრალური სამანქანე გზიდან 6-7 კმ მოშორებით. მას ერთადერთი ვიწრო კლდოვანი მისასვლელი აქვს დასავლეთის მხრიდან. ციხე-კოშკის მთლიანი ფართობი 70-80 კვ.მეტრია. ციხის კედლების დიდი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. სტრატეგიული თვალსაზრისით ციხე უაღრესად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს და არწივივით გადმოჰყურებს ზემოდან აჭარისწყლის ხეობას. აქედან შესანიშნავად მოჩანს ხეობის მთელი ტერიტორია დანდალოს ციხემდე. ერთდღიანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სადა და ფერადი მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც თარიღდება XII-XIII საუკუნეებით. ციხეც ამ დროს უნდა იყოს აშენებული.

გვარას ციხე. მდებარეობს მდინარე ჭოროხისა და მაჭახელასწყლის შესართავიდან 300 მეტრის მოშორებით და დაშენებულია ხეობისაკენ წინ წამოზიდულ კლდოვან ბორცვზე. ციხის გალავნის კედლების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია, გარდა სამხრეთ დასავლეთისა და ჩრდილო დასავლეთის მონაკვეთებისა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრამდე აღწევს.

გალავნის კედლების ქვედა დონეზე კარგადაა შემორჩენილი ფაქიზად თლილი ქვების თარაზული წყობა. ერთ-ერთ მათგანზე შეინიშნება ჯვრის გამოსახულება. სუფთა, თლილი კვადრებით ამოყვანილი კედლების ნაშთები ყველაზე კარგადაა დაცული ჩრდილო აღმოსავლეთ მონაკვეთში (ქვების ზომები: 60X50 სმ, 74X110 სმ, 160X64 სმ). კედლის წყობის ხა-

[23] ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

სიათი მის არქაულობაზე მიუთითებს. ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერვითი ხასიათის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ადგილას ციხე ადრეც (VI-VII საუკუნეებში) არსებობდა. ხელსაყრელი მდებარეობის გამო ციხე მოგვიანებითაც გამოუყენებიათ. გვიანდელი კედლების ნაწილი ნაშენია თლილი და ნაწილობრივ რიყის ქვით. წყობა არათანაზომიერია. არაა გამორიცხული, რომ ციხის გარახლება მოგვიანებით XI-XIII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ციხის შიგნით გალავნის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში შემონახულია ორი ნაგებობის ნაშთი. პირველის მოცულობა 6 კვ.მეტრია, მეორესი 14.5 კვ.მეტრი. არის სხვა ნაგებობათა ნაშთებიც, რომელთა კონკრეტული დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველია. ციხის შიდა ტერიტორიის სამხრეთ მონაკვეთში შემონახულია საკმაოდ დრმა და შიგნიდან კირის ბათქაშით შელესილი ჭა.

ბეარას ციხე ყველა ეპოქაში თავისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო აქტიურ როლს თამაშობდა ჭოროხისა თუ მაჭახლის ხეობებზე ზღვისპირეთისაკენ თუ ზღვისპირეთიდან კლარჯეთისა და არტანუჯისაკენ გავალი გზების გაკონტროლებაში.

ჩხუტუნეთის (ყალივაკის) ციხე. მდებარეობს მდინარე მაჭახლის მარცხენა სანაპიროზე, მაჭახელას წყლისა და დავითეთის ღელის შესართავში არსებული მაღალი კლდის ბორცვზე. ციხე ზემოდან დაყურებდა და აკონტროლებდა მაჭახლის ხეობაში გამავალ იმ სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზას, რომელიც ზღვისპირეთს აკავშირებდა შავშეთთან, არტანუჯთან და სამხრეთ საქართველოს სხვა ოლქებთან.

ციხის შიდა ფართობი 200 კვ.მ-ია. მისი გალავნის კედლების დიდი ნაწილი დაზიანებულია. შემონახულია მხოლოდ ჩრდილოეთის კედელი. გალავნის სიგრძე ამ მონაკვეთში 8 მეტრია, ხოლო სიმაღლე გარედან 2 მეტრი. კედლის სისქე 1 მეტრამდე აღწევს.

ციხის შიდა ტერიტორიაზე შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც. მათგან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს შედარებით კარგად შემონახული გვირაბი, რომელიც ციხის ჩრდილო ნაწილში იწყება და მიშენებულია გალავნის კედელზე. გვირაბი ვრცელდებოდა ციხესთან ჩამდინარე დავითეთის წყალამდე, საიდანაც მეციხოვნეებს წყალი ამოქაჩნდათ. საჭირო დროს გვირაბი თავშესაფრადაც შეიძლებოდა გამოყენებულიყო. ამჟამად შემორჩენილი გვირაბის სიგრძე 31-32 მეტრია, სიგანე 0,70-0,80 მეტრი, სიმაღლე საშუალოდ 1,30 მეტრი, ზოგან 2,5 მეტრამდეც აღწევს. გვირაბი 9 მეტრის სიგრძეზე ჰორიზონტალურად მიემართება, შემდეგ დაქანებულია და დაყოფილია კიბისებურად. მისი სიგრძე 13,50 მეტრია.

ციხე ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვით კირის ხსნარზე. კლდეების წყობა არაჰორიზონტალურია. მას შემდგომ პერიოდში შეკეთების თუ განახლების კვალი არ ემჩნევა.

ციხის ახლოს, ჩრდილოეთ ფერდობზე, რამდენიმე წლის წინ შემთხვევით აღმოჩნდა მარანი, სადაც სხვადასხვა მოცულობის რვა ქვევრი დაფიქსირდა. ამათგან დაცულია სამი, რომელთაც ყელის არეში შემოვლებული აქვს ჰორიზონტალური ღარები, ხოლო მუცლის დასაწყისში – ჰორიზონტალური ქედები. ყველა მათგანი დაკირულია. ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩნდა ყურძნის წიპწებიც, რომლებიც ლაბორატორიულად შეუსწავლელია. ციხე და მარანი XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

შუა საუკუნეების აჭარაში სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებიცაა შემორჩენილი. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შეეჩერდით. აღვნიშნავთ, რომ აჭარისწყლის ხეობა, ისე როგორც მთლიანად აჭარა, საგულდაგულოდ ჩანს გამაგრებული. აჭარისწყლის ცალკეულ ხეობებს (სხალთისწყალი, ჭვანისწყალი, მარეთისწყალი და სხვ.) თავიანთი თავდაცვითი სისტემები გააჩნდათ, მაგრამ ისინი ჩართული იყვნენ მთელი აჭარისწყლის ხეობის ერთიან თავდაცვით სისტემაში. ხეობაში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი ხეობის სათავეებიდან თითქმის ზღვისპირეთამდე ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნიდნენ და აკონტროლებდნენ რეგიონში არსებულ შიგა თუ გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს. ციხეების ნაწილი ცალკეულ ფეოდალთა თუ აზნაურთა სარეზიდენციო ცენტრებს წარმოადგენდა.

აჭარის უძველესი გზები და საგზაო ნაგებობანი



§4. მეცნიერება და კულტურა

შუა საუკუნეების მდიდარი ქართული კულტურა (მწერლობა, მეცნიერება, მხატვრობა, ოქრომჭედლობა...) ქართველთა ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფია. ამ უნიკალური საგანძურის შექმნაში, ბუნებრივია, საქართველოს ყველა მხარის შვილები მონაწილეობდნენ. ქართლს – პეტრე იბერი, იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, ლეონტი მროველი, საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, ანტონ კათალიკოსი და სხვები ესახელება, კახეთს – არსენ იყალთოელი და თეიმურაზ მეფე, ტაო-კლარჯეთსა და სამცხე-ჯავახეთს – გიორგი მერჩულე, ბასილი ზარზმელი, სარგის თმოგველი, შოთა რუსთაველი, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, ბექა და ბეშქენ ოპიზრები, იმერეთს – მოსე ხონელი, ეგრისს – იოანე კოლხი, გურიას – იაკობ დუმბაძე-შემოქმედელი და ა.შ.

გამონაკლისს არც აჭარა წარმოადგენდა. ისტორია მოიხსენიებს ამ კუთხის არაერთ შვილს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს შუა საუკუნეების ქართული კულტურის მშენებლობაში. მათ შორის გამორჩეულია აბუსერისძე ტბელის სახელი. იგი შუა საუკუნეების ქართული მეცნიერებისა და მწერლობის პირველი სიდიდის ეარსკვლავად მოგვეელინა და როგორც მეცნიერმა, რამდენიმე საუკუნით გაუსწრო წინ თავის დროს. იგი აღმოსავლეთის უდიდეს მოაზროვნედ წარმოგვიდგება. აბუსერისძე ტბელის ლიტერატურული და მეცნიერული შემოქმედება შუა საუკუნეების ქართული კულტურის მემკვიდრეობის თავისებური გვირგვინია.[1] მის მრავალმხრივ სამწერლო თუ მეცნიერულ შემოქმედებას ნიადაგი მოუმზადა XI-XII საუკუნეების ორიგინალურმა თუ თარგმნილმა საეკლესიო და საერო ლიტერატურამ, რითაც მდიდარი იყო ქართული სასულიერო და საერო მწერლობა. ამ პერიოდის ქართველი მწერლები კი კარგად იცნობდნენ დასავლურ თუ აღმოსავლურ ლიტერატურულ ცხოვრებას. მათი ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვები.

ეპოქა, რომელშიც აბუსერისძე ტბელი მოღვაწეობდა (XIII საუკუნის I ნახევარი), პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მძიმე იყო საქართველოსთვის. ჯერ ჯალალ ად-დინის ხვარაზმელთა ეანდალურმა თარეშმა, შემდეგ მონღოლთა შემოსევებმა ქვეყანა ფეოდალური დაჩიხულობისა და თანდათანობითი დაშლის პირას დააყენეს. ეს ეპოქა აბუსერისძე ტბელმა შემდეგნაირად დაახასიათა: „მოგებისათვის ცოდვათა ჩვენთასა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოსაი ივლტოდა ხიზნობად შიშისათვს ხუარაზმელთაისა გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცშეილთასა, წარტყუენვასა და მოოჯრებასა დედაქალაქისა ტფილისისა და უმეტესთა ადგილთა ლიხთამერისა ქართველოისათა".[2]

აბუსერისძე ტბელის წარმოდგენით, ეკლესიების მშენებლობამ, მონანიებამ და ღვთისადმი ვედრებამ განაპირობა „კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად, საზღვართა შინა სრულისა საქართველოისაითა".[3]

ჯალალ ად-დინს მონღოლებმა მოუღეს ბოლო, რასაც აბუსერისძე ტბელიც მოესწრო, მაგრამ იგი არაფერს ამბობს საქართველოში მონღოლთა შემოსევების შესახებ,

---

[1] აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. გამოსცა ლ.მუსხელიშვილმა. თბილისი, 1941; ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე. თბილისი, 1963; აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ნ.გოგუაძემ, მ.ქავთარიამ და რ.ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998.

[2] ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.სიხარულიძემ. ბათუმი, 1981, გვ. 10.

[3] იქვე.

რაც, ფაქტობრივად, 1235 წელს დაიწყო.[4] ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აბუსერისძე ტბელი თავის ნაწარმოებებს საქართველოში ქმნიდა ჯალალ ად-დინის შემოსევების შემდეგ (1230 წ), ვიდრე მონღოლთა ბატონობის დაწყებამდე (1235 წ).[5]

აბუსერისძე ტბელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მარი ბროსედან მოყოლებული, მრავალი გამოკვლევა დაიწერა, დადგინდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი.

აბუსერისძე ტბელის ბიოგრაფიის შესასწავლად უძვირფასესი პირველწყაროა მის მიერვე შედგენილი „მოსახსენებელი". ირკვევა, რომ მამამისი ივანე აბუსერისძე თურქებთან ბრძოლაში დაღუპულა, როგორც ფიქრობენ, შამქორის ომში 1206 წელს, ხოლო დედამისი ხათუთა ამის შემდეგ ეკატერინეს სახელით მონაზვნად აღკვეცილა. იგი საქართველოში ხვარაზმელთა შემოსევასა და მათ განდევნასაც მოსწრებია. აბუსერისძე ტბელი ერთგან აღნიშნავს, რომ მისი სათაყვანებელი დედა — მონაზონი დიდი სასოებით აღავლენდა ლოცვას „სრულიად საქართველოს" საკეთილდღეოდ და ხვარაზმელთა განსადევნად, რასაც მოესწრო კიდეც.[6]

თვითონ აბუსერისძე ტბელსა და მის მეუღლეს ბაგულის შვიდი შვილი შესძენიათ, რომელთაგან ტყუპი ქალ-ვაჟი ადრე გარდაცვლილან, ხოლო გადარჩენილი შვილების სახელებია: რუსუდანი, საქარია, ივანე, ინოფრე და აღსართანი.

დედოფალ ბაგულის აქტიური მონაწილეობა მიუღია წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში, რაზედაც აბუსერისძე ტბელი მოგვითხრობს თავის ნაშრომში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი".

მწერლის გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. XIV საუკუნის „ქლარჯულ სვინაქსარში" დაცულია აბუსერისძე ტბელის აღაპი.[7] ეს მინაწერი, როგორც ფიქრობენ, გაკეთებულია XVI საუკუნეში: „ამასა დღესა აღაპი ტბელისა აბუსერისძისა. ამისა შემცვალებელი კრულია პეტრა მოციქულისა მადლითა." ამავე „ქლარჯულ სვინაქსარში" დაცულია მეორე, უფრო გვიანდელი (როგორც ვარაუდობენ, XVI-XVII საუკუნეების) აღაპი, სადაც ეკითხულობთ: „სულსა აბუსერისძისა ბეკანს შეუნდნენ ღმერთმან და მისსა მეუღლესა მზექალს შეუნდნენ ღმერთმან".[8]

აბუსერისძე ტბელის ახლო ნათესავთა ნუსხა დაცულია მის მიერვე შედგენილ „მოსახსენებელში". გარდა შვილებისა, მას ჰყოლია: ძმები — ერისთავთერისთავები აბუსერი და ეარდანი, დები — საგდუხტი, ცაცა, ვანენი. ძმისწულები — გრიგოლი, ნათელი, ხათუნი, ვანენი. მამიდები — ფოტინე, საგდუხტი. პაპა — აბუსერი, პაპისძმა — სანანოახოანი, პაპის პაპისდა — ნისიმე, პაპის ბიძა — გრიგოლი, ბებერი ბალიანდი. მწერალი ასახელებს რძლებსაც (ძმების მეუღლეებს). კერძოდ, აბუსერის მეუღლეებს თამარს (I ცოლი) და ვანენს (II ცოლი), ეარდანის მეუღლეს ნაზის. იგი ყველა ახლობელს — უკვე გარდაცვლილსა თუ ცოცხალს — თბილად და დიდი მოკრძალებით მოიხსენიებს. აბუსერისძეთა სახლი XIV საუკუნეშიც ზეობდა.

აბუსერისძე ტბელის შემოქმედებიდან ჩვენამდე რამდენიმე ნაშრომმა მოაღწია, რომელთა უძველესი ნუსხა დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელი-

---

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. თბილისი, გვ. 545-546.

[5] ტბელ აბუსერისძე. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, გვ. 26-27; ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, გვ. 11-14.

[6] ტბელ აბუსერისძე. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, გვ. 20-22.

[7] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია. ტ. I, თბილისი, 1973, გვ. 446.

[8] აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი, გვ. 77-78.

ძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-85 ნუსხა-ხუცურ ხელნაწერ კრებულში. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული ჟანრისაა წერის დამოუკიდებელი სტილითა და მანერით. ამის გამო. მათი ერთი ავტორის სახელთან დაკავშირება ძნელდებოდა. მათგან მხოლოდ ერთზეა („ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი") მითითებული ავტორის გვარი და სახელი — აბუსერისძე ტბელი. ეს გაკეთებულია „მოსახსენებელში", რომელიც ანდერძია ამ ნაშრომისაც და კრებულისაც საერთოდ.

აბუსერისძე ტბელის კალამს ეკუთვნის ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის სათაურია „ჟალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოანე მახარობლისანი და წმიდისა იოანე ოქროპირისანი..". ეს ნაშრომი აბუსერისძე ტბელის სახელს კორნელი კეკელიძემ დაუკავშირა. თხზულება 8 ოდისგან შედგება და, როგორც ფიქრობენ, შეთხზულია ტრადიციული ნორმით, გალობის ენა და გამომსახველობითი საშუალებანი იმდროინდელ სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული პრინციპების შესაბამისია. ნაშრომი ადასტურებს ავტორის ღრმა განსწავლულობას და წიგნიერებას საეკლესიო სიბრძნის-მეტყველების ყველა დარგში, რაც იმაში გამოიხატება, რომ საგალობელში მან თითოეულ პერსონაჟს ინდივიდუალური მახასიათებლები მოუძებნა.[9]

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აბუსერისძე ტბელის ის თხზულება, რომელიც რეალური ისტორიული პიროვნების (ბოლოკ-ბასილის) აღმშენებლობით საქმიანობას ეხება. ეს აგიოგრაფიული იერის სალიტერატურო ძეგლი მდიდარია ისტორიული ცნობებით და დიდი მნიშვნელობა აქვს XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. ამ თხზულების ძირითადი გმირი ბოლოკ-ბასილი აჭარის, კერძოდ, მდ. სხალთის ხეობის მკვიდრია. ხოლო შუარტყალი, სადაც მან წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა, ამ ხეობის სათავეებშია.[10] ლევან მუსხელიშვილის გამოკვლევით, ეს მშენებლობა XII საუკუნეში, 1155-1160 წლებში, გიორგი III მეფობის ხანაში, განხორციელებულა.[11]

1233 წელს, როგორც ითქვა, აბუსერისძე ტბელი უკვე რამდენიმე ორიგინალური ნაშრომის ავტორი იყო. მათ შორისაა ერცელი ასტრონომიული ტრაქტატი „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა". პირველად იგი მ. ბროსემ გამოსცა 1868 წელს. ლ. მუსხელიშვილის სიტყვით, ეს ნაშრომი, „მიუხედავად საგნის სირთულისა და სპეციფიკურობისა, მიუხედავად მრავალი სპეციალური ტერმინისა, ისეთივე სადა ენითაა დაწერილი და ისევე იკითხება, როგორც ჩვენი ძეგლი".[12]

კ. კეკელიძის სიტყვით, „1233 წელს ტბელ აბუსერისძეს დაუწერია ერთი საყურადღებო ნაშრომი, რომელსაც ეწოდება „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა"... ეს არის ერცელი ტრაქტატი, რომელშიც განმარტებულია ე.წ. 532-წლიანი დიდი ინდიქტიონი. ტრაქტატი მდიდარია სხვადასხვა არითმეტიკული, ასტრონომიული და კალენდარული ტერმინებით. ის არის ცდა, აგრეთვე, ქაროულისა და ბერძნული წელთაღრიცხვისა და პასქალისტური სისტემების შეფარდებისა და შეთანხმებისა".[13]

წელთაღრიცხვის ქრისტიანული სისტემა სამყაროს გაჩენას ქრისტეს შობამდე 5000 წლით ადრე ეარაუდობდა.

---

[9] იქვე, გვ. 82-84.

[10] აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, გვ. 10.

[11] იქვე, გვ. 11.

[12] აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, გვ. 24-25.

[13] კ.კეკელიძე. ესქატოლოგიური მოტივები ძველს ქართულ მწერლობაში და ცხოვრებაში. — „ეტიუდები..." IV, თბილისი, 1957, გვ. 106-107.

აბუსერისძე ტბელის ასტრონომიულ ტრაქტატს საფუძვლად უდევს მზისა და მთვარის მოქცევის წელთა ნამრავლით (28X19) მიღებული 532-წლიანი ციკლი, როცა ყოველი 532 წლის შემდეგ თვეთა რიცხვები და დღეების დასახელება მეორდება.

აბუსერისძე ტბელს ჰყავდა წინამორბედებიც: ესენი არიან 907 წლის და 974 წლის ქართული კალენდარული ტრაქტატების აეტორები, რომელთაც 5534 – წლიანი ერა შემოიღეს. იგი დაფუძნებულია იულიუს აფრიკელის 5500 – წლიან ერაზე 34 წლის დამატებით. ამ დამატების მიზანი იყო 28 – წლიან მზის ციკლზე მისადაგება, რომლის მიხედვითაც ახალი წელი იწყებოდა 1 მარტს. აბუსერისძე ტბელმა ახალი წლის დასაწყისად 25 მარტი აიღო, რითაც გაამარტივა გამოთვლები და ქართული კალენდარი ბერძნულ კალენდართან შეათანხმა. უნდა ითქვას, რომ X-XIII საუკუნეებში ქრისტიანთა შორის გავრცელებული იყო რწმენა, თითქოს ქვეყანა 7000 წელს იარსებებდა. აბუსერისძე ტბელმა განახორციელა საკუთარი გაანგარიშება და პირველმა მიუთითა, რომ ქვეყნის გაჩენიდან 7000 წელი შესრულდებოდა 1396 წელს (4604-1396).

აბუსერისძე ტბელმა თაეისი კალენდარული ტრაქტატი 1233 წელს დაასრულა. მაშასადამე, ამ დროს იგი ფიქრობდა, რომ ქვეყნის აღსასრული 163 წლის შემდეგ დადგებოდა.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად რთული მათემატიკურ-ასტრონომიული გაანგარიშებები უწარმოებია აბუსერისძე ტბელს, შეიძლება გაეცნოთ ნაწყვეტს მისი ნაშრომიდან, სადაც გარდასულ თუ მომავალ დღეთა მოძებნის წესია განმარტებული:

„...ოცდარეეულად ესრეთ განუტეეე: ოცდაათისაგან ორთა აიხუმიდი და სამოცისაგან ოთხთა წელიწადთა, და ასისაგან და ასისაგან თექვსმეტსა და თექუსმეტს და ათასისა და ათასისაგან ოცსა და ოცსა. და რაი ასად გაჰდებოდეს, მაშინცა თექუსმეტსა წელიწადსა აიღებდი ოცდარეეულისა დანამეტებად. და ამით რიცხვთა არა ოდენ წლეული წელიწადი გეჰოენების, დასაბამით აღსასრულამდე რაოდენიცა გინდეს, გინა გარდასრული, გინა წინამდებარე. დაღაცათუ ჟად ათასთა წელთა მეტი არა დაბადებულ არს, გარნა. შენ ამით საქმითა დასაბამისაგან და აღსასრულსა წაღმა ბევრის ბევრეულსაცა შეიგებ, უკუეთუ ბუნებასა რადმე შეაქცევედ. და რიცხუსა სიმართლესაცა უკეთე ცხადყოფს და შეუცილებლობასა, რაოდენ გინდა დიდნი წელიწადნი გამოიძივნე, – თუ მაშინ ესე ყოველივე ეითა ყოფილაო. და ათჯერ ათასსა ეინაითგან ბევრი ჰკან, რაოდენისაცა ბევრისაო დასაბამობითგან გწადდეს, – თუ მაშინ ეითა იქნებისო, თუთო ბევრეულისაგან ექუსსა და ექუსსა აიღებდი და მასცა ცხრამეტეულად განუტეეებდი. და ოცდარეეულისა განსატევებელად ბევრეულისაგან ოთხ-ოთხსა წელიწადსა აიღებდი და მასცა ოცდარეეულად განუტეეებდი".[14]

აბუსერისძე ტბელის აზროვნებისა და შემოქმედების თავისთაეადობის დასტურია, რომ მან მეცნიერული ანალიზის გზით, მათემატიკური მეთოდის გამოყენებით, ახალი წელი 1 მარტიდან 25 მარტზე გადაიტანა და ქრისტეს შობამდე წელთაღრიცხვის ამოსავლად მიიღო 5604 წელი, რითაც თავისი ახალი კალენდარი გარკეეულ შესაბამისობაში მოიყეანა როგორც ბერძნულ, ისე იულიუს აფრიკელის კალენდართან.[15]

წელთაღრიცხვა „ქრისტეს შემდეგ", როგორც ცნობილია, შემოღებულ იქნა დასავლეთ ეეროპაში 525 წელს, დიონისე მცირის მიერ. საქართველოში იგი პირველად გამოიყე-

---

14 აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი, გვ. 25-26.

15 ონ.სურმანიძე. აბუსერისძე ტბელის ასტრონომიული ნააზრეეი. – ლიტერატურული აჭარა, 1998, №9, გვ. 106-111.

ძველ საქართველოში, როგორც წყაროებიდან ჩანს, გამოყენებული იყო წელთაღრიცხვის სამი სისტემა: 1. „დასაბამიდან" ანუ „ქვეყნის გაჩენიდან"; 2. „ქრისტესით" ანუ „ქრისტეს შობიდან" და 3. „ქრონიკონით" (კ.კეკელიძე. წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში. – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, გვ. 325-326.).

ნა იოანე საბანისძემ, რომელმაც VIII საუკუნეში აბო ტფილელის მარტვილობის დასათარიღებლად მიმართა „წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომით მაცხოვრისა". ადიშის ოთხთავის ხელნაწერში მითითებულია, რომ იგი გადაწერილი ყოფილა „შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით ჩა წელსა" (1001 წელს).[16]

წელთაღრიცხვა „ქეეყნის გაჩენიდან" სხვადასხვა ქეეყანაში სხვადასხვაგვარად აითვლებოდა და საქართველოშიც სხვადასხვა ვარიანტი იყო სარგებლობაში. ასე, მაგალითად, ეხმარებოდა 5198-წლიანი ერა ეუსევი კესარიელისა, 5492-წლიანი ერა პანადორე ალექსანდრიელისა, 5500-წლიანი ერა იულიუს აფრიკელისა და ანიანე ალექსანდრიელისა, 5508-წლიანი ერა ბიზანტიელებისა და, ბოლოს, 5604-წლიანი ქართული სისტემა, რომლის კვალი, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ აბო თბილელის მარტვილობაში დასტურდება.[17]

გვხვდება ორგვარი სისტემით დათარიღების ფაქტებიც: ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ „დიალოღონს" ახლავს ანდერძი, სადაც ეკითხულობთ: „ითარგმნა ბერძნულით დასაბამითგან ხფით" (6519), ქართულად ქორონიკონი იყო სღა (231). ორივე თარიღი მიუთითებს 1011 წელზე ქრისტეს შემდეგ.[18]

აბუსერისძე ტბელის ასტრონომიულ-მათემატიკური გამოკვლევების ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მან წესრიგში მოიყვანა ქართული და საერთაშორისო წელთაღრიცხვების სისტემა, რაც საბოლოოდ და დასრულებული სახით მხოლოდ XV საუკუნეში, ე.ი. დაახლოებით 300 წლის შემდეგ ჩამოაყალიბა რომის პაპის გრიგოლ XII კომისიამ და საფუძველად დაუდო ახალ კალენდარს.

XIII საუკუნიდან XVII საუკუნემდე ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით საკვლევ რეგიონში სხვა მოღვაწეთა კულტურულ, სამეცნიერო და სამწერლობო საქმიანობაზე.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში კი ფიქსირებულია დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის სახელოვანი წარმომადგენელი და საეკლესიო მოღვაწე მარკოზ აჭარელი,[19] რომელიც 1639 წელს მეფე თეიმურაზ I გარეჯის უდაბნოში წინამძღვრად დაუნიშნავს.[20] ამ დროს მარკოზი უკვე ავტორიტეტული მოღვაწე ყოფილა. მის მიერ გადაწერილ ერთ-ერთ ხელნაწერზე შემონახულია მისეული ანდერძი: „დაეწერე წმინდა ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი მე ფრიად ცოდვილმან, სახითა ოდენ მღვდელმონაზონმან, საქმისა ყოველისა კეთილისაგან უცხომან აჭარელმან მარკოზ. აღეწერე არა თავხედობით, არც მწერლობა ვიცოდი, არც სხვა წიგნი დამეწერა და მისთვის ერთ ხელზე ვერ აღეწერე, არამედ რომლისა შემძლებელ ვიყავ, მორჩილება აღვასრულე მეუფისა და უფლისა ჩვენისა ტფილელი მთავარეპისკოპოზისა ელისესი".[21]

მარკოზ აჭარელს ელისეს დაევალებით გადაუწერია დიდი კრებულის (-972) ერთი ნაწილი, რომელიც 15 თხზულებას მოიცავდა. მათ შორის „ცხოვრებაი შიშველ-მართა-

---

16 იქვე, გვ. 327.

17 ბიზანტიური წელთაღრიცხვის (5508-წლიანი) გამოყენების კვალს ქართულ ძეგლებში მხოლოდ XI საუკუნის დამდეგს ეხვდებით. მანამდე მას ალექსანდრიული ერა (5500 წლიანი) უწევდა მეტოქეობას (იქვე, გვ. 327).

18 იქვე, გვ. 328.

19 მ.ქავთარია. დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბილისი, 1965, გვ. 20 და შმდ.

20 იქვე, გვ. 31; რ.სურმანიძე. ვინ იყო მარკოზ აჭარელი? – სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. ბათუმი, 1978, გვ. 173-185; შ.ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 112-115.

21 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია). ტ. II, თბილისი, 1951, გვ. 340 (ხელნაწერი H-972). „ქრისტე, ადიდე სულითა ტფილელი მთავარეპისკოპოზი ელისე, ბრძანებითა მისითა დაიწერა– ესე, ქორონიკონსა ეგზ" (1639 წ). ელისე მთავარეპისკოპოსი როსტომ მეფის მეუღლის მარიამის სულიერი მამა იყო (ი.ცინცაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან. – ითშ, I, თბილისი, 1955, გვ. 266).

ლთა". „სასწაულნი იოანე ღეთისმეტყველისა და მახარებელისა", „წამებაი წმინდისა ეკატერინესი" და სხვ. გადაუწერია „შეწევნითა და მეოხებითა დედოფლისა მარიამისათა" (იქვე).

1649 წელს ვინმე გრიგოლ დიაკონი, რომელსაც საგალობელნი („თუენი") გადაუწერია, გვაცნობებს, რომ კახეთის წმ. გოლგოთას მამამ არქიმანდრიტმა ნიკიფორემ, იერუსალიმში გამგზავრების წინ, „წარმოგზავნა წინამძღვრად ბატონი მღედელ-მონაზონი მარკოზ, სწავლული და წმინდა და ღირსი ყოველისა პატივისა... უკუეთუ იკითხოთ ნათესაობაი, იყო ქუეყნით სამცხით".[22]

მარკოზ აჭარელი, როგორც ფიქრობენ, ერთი იმ ქართველთაგანია, რომელიც გამაჰმადიანების საფრთხეს განერიდა და თავი ქართლ-კახეთს შეაფარა.[23]

არ მართლდება ეარაუდი, რომლის მიხედვითაც მარკოზ აჭარელი „ქართლის ცხოვრების" მარიამისეული ნუსხის სამთაგან ერთ-ერთ გადამწერად მოიაზრებოდა (გამოირკვა, რომ დღემდე შემონახული ეს ხელნაწერი გადაწერილია სულ ცოტა ნახევარი საუკუნით გვიან, ვიდრე ფიქრობდნენ (1633-1646 წწ).[24]

XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უმოღვაწია ვინმე პეტრე ჩხატარაისძეს, რომელიც, პლატონ იოსელიანის ცნობით, ქობულეთში დაბადებულა, განათლება ტრაპეზუნტში მიუღია და იქვე აღკვეცილა ბერად. იგი ძველ ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში კარგად ყოფილა გაცნობიერებული, შეუსწავლია სახვითი ხელოვნება და „იქმნა მეცნიერი და წერილთა შინა გამოცდილი".[25] ანტონ კათალიკოსი მას „მესტვირესა და მეშაირეს" უწოდებს. ერთი ცნობით იგი 1727 წელს გარდაიცვალა და მცხეთის საკათედრო ტაძრის (სიონის) ეზოში დაუკრძალავთ.[26]

პეტრე ჩხატარაისძეს უნდა ეკუთვნოდეს ლექსები და შაირები, „ალექსანდრიანის" გალექსილი ეარიანტი,[27] „გიორგი გურიელის ჩახრუხაული ხოტბა",[28] „ქრისტიანობა ქობულეთისა კერძოთა შინა"[29] და სხვა.

პეტრე ჩხატარაისძეს ჩვენ ვხედავთ გურიის მთავრის კარზე, როგორც „მდივანმგალობელ მწიგნობარს". კერძოდ, მას 1713 წელს დაუწერია გიორგი გურიელის ერთი შეწირულობის წიგნი.[30]

პეტრე ჩხატარაისძე სათავედგრინიო მამულიდან, როგორც ვთქვით, მთავრის კარზე გადასულა და მოღვაწეობაც იქ გაუგრძელებია. მშობლიური კუთხის ბედმა იქონია გაელენა, რომ მის შემოქმედებაში ძლიერია ანტიმუსლიმანური ტენდენცია და ძლიერია ქრისტიანული მოტივები. ამ მოღვაწეობის შესახებ ცნობებს ვხვდებით. აგრეთვე, იოანე

---

22 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. V, თბილისი, 1949; რ.სურმანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 180. აჭარა იმ დროს, მართლაც, სამცხის ნაწილად მოიაზრებოდა, თუმცა იმერეთის მეფემ ბაგრატ III (1510-1565 წწ) მურჯახეთის ომში 1535 წ. გამარჯვების შემდეგ იგი ყვარყვარე ათაბაგს ჩამოართვა და როსტომ გურიელს (1534-1565 წწ) გადასცა ჭანეთთან ერთად (სინ, IV, თბილისი, 1973, გვ. 106).

23 რ.სურმანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

24 იხ. ც.ქურციკიძე. „ქართლის ცხოვრების" მარიამისეული ხელნაწერის შესახებ. – „მაცნე". ენისა და ლიტერატურის სერია. 1998, №3-4, გვ. 109-124.

25 ივ.ლოლაშვილი. მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის. თბილისი, 1982, გვ. 174.

26 Иоселиани И. Описание древностей г. Тифлиса, с. 159.

27 ივ.ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი.

28 ანთოლოგია, II, თბილისი, 1928, გვ. 159-160 (ხელნაწ. – 355).

29 ალ.ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 245, შენიშვნა 1; იხ. აგრეთვე, კ.კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 71, შენიშვნა 3 (ეხება ვინმე იოანე ჩხატურელის ნაშრომს ქობულეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და განდევნის შესახებ).

30 ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I, გვ. 108-109.

ბატონიშვილის „კალმასობაში“.[31] ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში“.[32] იოანე ბატონიშვილი მას მოიხსენიებს „პეტრე გურული ნახატარაისძედ“, ხოლო ანტონ კათალიკოსი – „მამა პეტრე მონაზონ ნახატარაიშვილ გურულად“.

წყაროებში შემონახულია წიგნების სხვა გადამწერთა სახელები, რომელთაც გვიან შუა საუკუნეებში უმოღვაწიათ ხინოწმინდაში (ეკლესიის სათავეები), გეარას წმ. გიორგის ეკლესიაში („თეთროსანში“) და ა.შ.

ამგვარად, ოსმალთა მფლობელობაში მოქცევამდე (მაჰმადიანობის გავრცელებამდე) აჭარა აქტიურად მონაწილეობდა ერთიანი ქართული კულტურის მშენებლობაში. მართალია, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბევრი რამ განადგურდა, ან მიტაცებული და დაკარგული იქნა, მაგრამ რაც გადარჩა, როგორც ვნახეთ, საკმარისია ნათქვამის საილუსტრაციოდ.

§5. ხელოვნება

აჭარის შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლებიდან ჩვენამდე მხოლოდ რელიეფური ქანდაკების, მინუმენტური კედლის მხატვრობისა და ჭედური ხელოვნების ცალკეულმა ნიმუშებმა მოაღწია. ქართული ოქრომჭედლობის, მინანქრის, ხატწერისა და ხელნაწერთა მინიატურული შემკულობის ნიმუშები კი თითქმის არ მოგვეპოვება.

აჭარის ხელოვნების ძეგლების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვიით XIX საუკუნის ქართველ და უხცოელ მოგზაურ-მკვლევრებს.[1] მაგრამ მათი სისტემატური მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და დღესაც წარმატებით გრძელდება. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. მეფისაშვილის, რ. შმერლინგის, ი. ჭიჭინაძის გამოკვლევები.[2]

შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება უშუალოდაა დაკავშირებული ქრისტიანობასთან. ქართულ საკულტო ძეგლებში აისახა ხელოვნების თითქმის ყველა დარგის განვითარების ისტორიული ხაზი, მისი სპეციფიკური თავისებურებანი. განვითარებული ფეოდალური ხანის აჭარის სახვითი ხელოვნებაც ძირითადად რელიგიური – ქრისტიანული ხასიათის ძეგლებშია წარმოდგენილი.

პირველ რიგში, საყურადღებოა ქანდაკება, რომელიც შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური არქიტექტურისა და მცირე ხუროთმოძღვრული ფორმების (კანკელები, სტელები) დეკორში ადრეფეოდალური ხანიდან ვრცელდება. ქრისტიანული იდეის და დოგმების გამომხატველი სახეების, სიუჟეტებისა თუ სიმბოლური ხასიათის სცენების გვერდით რელიეფურ სკულპტურაში გვხვდება საერო, ისტორიულ პირთა გამოსახულებანი, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული მოტივები.[3]

---

31 იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. II, გვ. 181.

32 ანტონ კათალიკოსი. წყობილსიტყვაობა, გვ. 275.

1 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987; გ.ყაზბეგი. სამი თვე თურ ქეთის საქართველოში. – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960; თ.სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი, 1986; ზ.ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველ ლო ში, ტფი ლისი, 1913; Уварова П. Аджария. - МАК, IV, 1894; Kluge T. Versuch einer Systematichen Darstellung der altgeorgischen (Grusinischen) Kirchenbauten, Berlin, 1918.

2 რ.მეფისაშვილი. სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი. – ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში. ბათუმი, 1955, გვ. 85-105; ი.ჭიჭინაძე. სხალთის ეკლესიის მოხატულობა. – „ჭოროხი“, ბათუმი, 1986, გვ. 69-76; ი.ჭიჭინაძე. სხალთის ეკლესიის ფრესკები. – „ძეგლის მეგობარი“, 2, თბილისი, 1987, გვ. 58-62; Шмерлинг Р. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1962, с. 181-183.

3 Аладашвили Н. Монументальная скульптура Грузии, М., 1977, с. 5-7.

განვითარებული ფეოდალური ხანის ამჟამად ცნობილ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეული უნდა იყოს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული კალოთის ეკლესიის რელიეფი. ესაა სწორკუთხა ფორმის ფილა, რომელზეც გამოკვეთილია თაღოვან ჩარჩოში ჩასმული ჯვარი და ხელებაპყრობილი ოსტატის ფიგურა. ოსტატს მარჯვენა ხელში წერაქვი უჭირავს.

კალატოზ-ოსტატთა სახეები შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში სხვადასხვაგვარი მხატვრულ-კომპოზიციური გადაწყვეტით გვხვდება. ცნობილია, როგორც ცალკეული განზოგადებული გამოსახულებანი (რუისის – VIII-IX სს., მირტაშენის, საფარის წმ. საბას – XIII ს, გერგეტის სამრეკლოს – XIV ს. ფასადებზე წარმოდგენილი რელიეფები და სხვ.), ასევე სიმბოლური მნიშვნელობის (სვეტიცხოველი – XI ს.) და უშუალოდ ყოფითი რეალობიდან მომდინარე ტაძრის მშენებლობის პროცესის ამსახველი სიუჟეტური სცენები (X საუკუნის ქოროლოსა და საფარის მიძინების ეკლესიის რელიეფები).

კალოთის რელიეფი, კალატოზ-ოსტატთა არცთუ მრავალად შემორჩენილ გამოსახულებებს შორის, რამდენადმე ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა – ჯვრისა და ოსტატის ფიგურის ურთიერთდაკავშირება სცენას სიუჟეტის მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო თითქმის ორანტის პოზაში წარმოდგენილი მამაკაცის ფიგურა მლოცველ ოსტატს განასახიერებს. X საუკუნიდან, როდესაც არქიტექტურაში დიდი მნიშვნელობა დეკორატიულ მორთულობას ენიჭება, ფასადის ქანდაკება აღმავლობას განიცდის. ამ მხრივ მდიდარია საქართველოს სამხრეთი რეგიონები: ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო.[4] კალოთის რელიეფიც აჭარის ამ მახლობელი კუთხეებისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციის გამომხატველია. თუმცა, იგი არ გამოირჩევა კომპოზიციური აგების გააზრებულობითა და სრულყოფილებით, რადგან გამოსახულებებს შორის ურთიერთკავშირი გარეგნულია. ფიგურის ფრონტალური აგება, სტატიკური პოზა, დარღვეული პროპორციები, სახის ნაკეთების სქემატური გადმოცემა მას X საუკუნის ნიმუშებთან (ტბეთი, შეპიაკი, კუმურდო და სხვ.) აახლოებს. ამავე დროს, მასში შეინიშნება ეპოქის სხვა ძეგლებისათვის დამახასიათებელი პლასტიკური ფორმის ძიების საწყისები (ფიგურის ფონთან შედარებით უფრო მოცულობრივი გამოსახვა, განზოგადებულად დამუშავებული სხეულის ფორმების, ტანისამოსის მეტ-ნაკლებად დანაწევრებული რელიეფური მასებით გამოხატვა). დასახულ ამოცანათა გადაჭრის თვალსაზრისით და ოსტატობის დონით, კალოთის რელიეფი რამდენადმე ჩამოუვარდება X საუკუნის მეორე ნახევრის უფრო გაბედული ძიებებით გამორჩეული წყაროსთაყვის, ვალეს, ქოროლოს, ოშკის რელიეფებს. სტილისტური თავისებურებების მიხედვით იგი X საუკუნის მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

ხინოწმინდის ეკლესიის სკულპტურული თაეები აჭარაში რელიეფური ქანდაკების განვითარების შემდგომი საფეხურის ნიმუშია.[5] თაეებს სახის ქვედა ნაწილი აქვს ჩამოტეხილი, მაგრამ რელიეფების საერთო დაცულობა ხელს არ უშლის მათი მხატვრული ღირსებების აღქმას. მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი თაეები კედლის ზედაპირზე საგანგებოდ დამუშავებული შვერილი ღერძით მაგრდებოდა. ოსტატის ძირითადი ყურადღება გადატანილია სახეების „ინდივიდუალური" ნიშნების, შინაგანი გამომსახველობისა და ფორმის რელიეფურად გადმოცემისაკენ. ადამიანის სკულპტურული სახეებითა და ნიღბებით შენობების მორთვის ტრადიცია ქრისტიანობამდელ პერიოდს უკავშირდება, მაგრამ შუა საუკუნეების ხელოვნებაშიც იგი საკმაოდ ხშირად გამოიყენება. ადამიანთა

---

4 Аладашвили Н. Монументальная скульптура Грузии, с. 80.

5 სკულპტურული თაეები 1969 და 1990 წლებში ხინოწმინდის ეკლესიის ნანგრეეებში გათხრების დროს აღმოჩნდა და ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში.

თავების მოტივი შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური და მცირე ფორმის რელიეფური ქანდაკებებისათვისაც უცხო არ არის. სკულპტურული სახეები გვხვდება კუმურდოს (X ს.), ბაგრატის (X-XI სს-ის მიჯნა), ფიტარეთის (XIII ს-ის დასაწყისი) ტაძრების ფასადებზე. შიომღვიმის კარეკლის ბოძის შემკულობაში (XI ს-ის პირველი მესამედი).

ხინოწმინდის ტაძრის დეკორში სკულპტურული თავების ადგილის განსაზღვრა, მათი იდეურ-სიმბოლური მნიშვნელობის დადგენა და, საერთოდ, გარკვეული ინდივიდუალური ნიშნების მიუხედავად საერო თუ სასულიერო პირებთან გაიგივება ძნელდება. ამ ნიმუშებში X-XI საუკუნეების მიჯნის ქართული პლასტიკის სტილისტური თავისებურებები ჩანს, რაც ფორმის სიერცობრივ-მოცულობრივ გადმოცემასა და დეტალების სიბრტყობრივ-ხაზობრივ დამუშავებაში ვლინდება. სკულპტურული სახეების თითქმის მთელი მოცულობით წარმოდგენა, ფასადის სიბრტყიდან სიერცეში გამოჭრის სურვილი, მრავალი ქანდაკებისაკენ სწრაფვა ეპოქის მოწინავე ტენდენციას გამოხატავს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ გამოირჩევა ფორმათა პლასტიკური დამუშავების ოსტატობით. მიუხედავად ამისა, ხინოწმინდის რელიეფები გაბედული სკულპტურული ძიებებით ეპოქის იმ გამორჩეულ ნიმუშთა წრეში ექცევა (ვალეს, ოშკის, ბაგრატის ტაძრის რელიეფები), რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი მიღწევებით საფუძველი მოუმზადეს ქართული პლასტიკის შემდგომ აყვავებას.

შუა საუკუნეების ქართული რელიეფური ქანდაკების განვითარებაში სკულპტურული ფორმის ძიების პროცესი მწვერვალს აღწევს XI საუკუნის პირველ ნახევარში. XI საუკუნის შემდგომ სკულპტურული ძიებები შეწყდა და ფიგურულ რელიეფებსაც ხუროთმოძღვრულ დეკორში უმნიშვნელო ადგილი შერჩა. მეორე მხრივ ფიგურათა მოცულობრივ-პლასტიკური ასახვის პრობლემა მეტი გაბედულებითა და სიძლიერით ოქრომჭედლობაში შეიგრძნობა, თუმცა, XI საუკუნიდან პლასტიკური ამოკვანებისადმი ინტერესი ჭედურ ხელოვნებაშიც კლებულობს. [6]

შუა საუკუნეების ქაროული ოქრომჭედლობის განვითარების ათასწლოვან პერიოდში მხატვრული ღირსებებით გამორჩეული არაერთი ნიმუში შეიქმნა. თუმცა, ლითონპლასტიკის ძეგლები აჭარაში თითქმის არ შემორჩა. მათ შესახებ წერილობითი მონაცემებიც ძალზე მწირია. გამონაკლისია XIX საუკუნის 80-იან წლებში კ. უვაროვას მიერ აგარის (ვანაძეების)[7] ეკლესიაში ნაპოვნი სპილენძის ჭედური ხატი, რომელზეც წარმოდგენილი იყო ღვთისმშობელი ყრმით და ჩამოსხმის წესით დამზადებული ბრინჯაოს ყალიბი გველეშაპის დამორგუნველი წმ. მხედრის გამოსახულებით.[8] სპილენძისა თუ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ყალიბები ხატების შტამპური წესით დამზადებისათვის იყო განკუთვნილი. XI-XII საუკუნეებში მცირე მოცულობის ფიგურული გამოსახულებებისათვის და ორნამენტული მოტივების მისაღებად კლიშეებს იშვიათად იყენებდნენ, ხოლო უფრო მოგვიანებით, XV საუკუნიდან, შტამპური ტექნიკის გამოყენება შედარებით ინტენსიური გახდა. [9]

აგარის ეკლესიაში ნაპოვნი ქართული ლითონმჭანდაკებლობის ეს მცირე ნიმუში თავისი ეპოქის მხატვრულ მიღწევასაც წარმოაჩენს. გველეშაპის მლახვრელი წმ. მხედრის გამოსახულება სიკეთის, რწმენის, გამარჯვებისა და ბოროტების დათრგუნვის იდეას გამოსახავს. წმ მხედართა ცალკული თუ შეწყვილებული გამოსახულებანი ქართულ ხე-

---

[6] გ.ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომჭედლობა (ალბომი). თბილისი, 1957, გვ. 9.

[7] კ.უვაროვას მიერ მოხსენიებული აგარის ეკლესია ვანაძეების ეკლესია უნდა იყოს (შ.ამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 96-100).

[8] Уварова П. Аджария, с. 40, таб. XVI.

[9] Чубинашвили Г.Н. Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, с. 13, 629-630; თ.საყვარელიძე. XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა. I თბილისი, 1987, გვ.30.

ლოვნებაში ადრეფეოდალური ხანიდან ერცელდება. წმინდა მეომართა სახეებიდან გამორჩეული ადგილი წმ. გიორგი კაპადოკიელს უჭირავს, თუმცა სხვა წამებული მეომრებიც (წმ. თეოდორე ტირონი, წმ. თეოდორე სტრატილატი, წმ. დემეტრე და სხვ.) საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ. აგარის ბრინჯაოს კლიშეზე გამოსახული შუახნის წეროსანი მხედარი წმ. თეოდორე უნდა იყოს.[10]

აგარის ეკლესიის კლიშეზე წარმოდგენილი სცენა X-XI საუკუნის ქართულ ჭედურ ხელოვნებაში გავრცელებული იკონოგრაფიული რედაქციის თანახმად, ბრძოლისა და ტრიუმფის მომენტებს ასახავს.[11] ფიგურათა ენერგიული მოძრაობები სცენის დინამიკურობას განსაზღვრავს. ადამიანისა და ცხენის გამოსახულება ჭედური ხელოვნების აყვავების ხანისათვის დამახასიათებელი მოცულობრივი ფორმებით გამოირჩევა. ამავე დროს, ფიგურათა შედარებით ტლანქი, მძიმე ფორმები, დამჯდარი პროპორციები, მეომრის სხეულის თითქმის ფრონტალური აგებულება, სახის ერთგვარი ექსპრესიულობა X-XI საუკუნეების მიჯნის (ხირხონისის, წვრმი-ჩობენის, სხიერის, სეტის ჭედური ხატები და სხვ.) ძეგლებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს.

შემდგომი ხანის ქართულ ოქრომჭედლობაში სულპტურული ამოცანებისადმი ინტერესის შესუსტებისა და ოსტატობის დაქვეითების მაგალითს ეერნების ეკლესიაში ნაპოვნი მცირე ზომის ბრინჯაოს ღვთისმშობლის ხატი გვიჩვენებს.[12] წელამდე გამოსახული ღვთისმშობელი ყრმით ფირფიტის ცენტრში საგანგებოდ მოჩარჩოებულ სიბრტყეზეა წარმოდგენილი, ირგვლივ კი რელიეფური წერტილებია ამოტვიფრული. ღვთისმშობელს ყრმა მარცხენა ხელზე უზის, ქრისტეს მარჯვენა ხელი კურთხევის ნიშნად აქვს გაწვდილი, ხოლო მარცხენაში გრაგნილი უჭირავს. ყრმის შარავანდში ტრადიციული ჯვრის გამოსახულება არ იკითხება. ბრინჯაოს ხატი, XI-XII საუკუნეების შტამპური წესით შესრულებული ნიმუშებისაგან განსხვავებით, არ გამოირჩევა ნახატის სიზუსტითა და მკაფიო ფორმებით. დაბალი რელიეფი, ფიგურათა სილუეტური გადმოცემა, სხეულისა და ტანისამოსის ფორმების სქემატურობა პლასტიკური ამოცანებისადმი გულგრილობის გამოვლენილია. ხელოვნების ამ მცირე ნიმუშის მიმზიდველობას მისი იკონოგრაფიული თავისებურება განსაზღვრავს. ხატზე გამოსახული ოდიგიტრიის ტიპის ღვთისმშობელი ცხოვრებისეული, ადამიანური განცდებითაა გაჯერებული. მარიამის ნაზად დახრილი თავი, ღვთისმშობლისა და ყრმის თითქმის ერთმანეთზე მიბჯენილი სახეები დედა-შვილის ალერსის მომენტს გამოხატავს და ხაზს უსვამს მოალერსე („ელეუსა") ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპისათვის დამახასიათებელ ინტიმურობას.[13] საერთო კომპოზიციური აგება, ფიგურათა დაგრძელებული პროპორციები, სხეულის ცალკეულ ნაწილთა უტრირება და მოჩარჩოების ერთფეროვანი „ორნამენტული" დამუშავება ეერნების ხატს გვიანი ხანის (XIV-XV სს.) ჭედური ხელოვნების ნიმუშებთან აკავშირებს.

აგარის (აჭარა) ეკლესიის კანკელი კი განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების უდაოდ გამორჩეული ნიმუშია.[14] რ. შმერლინგი მას XII საუკუნის მესამე

---

10 პ.უვაროვა მას შეცდომით წმ. გიორგის გამოსახულებად მიიჩნევს. წმ. გიორგი ქრისტიანული იკონოგრაფიაში, ჩვეულებრივ, ახალგაზრდა უწვერული ჭაბუკის სახით გამოისახება.

11 Чубинашвили Г. Н. Грузинское чеканное искусство, с. 364-368.

12 შ.მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

13 ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპი „ელეუსა" ოდიგიტრიის რედაქციის საფუძველზე ჩამოყალიბდა (იხ. Лазарев В.Н. Этюды по иконографии Богоматери. - Византийская живопись, М., 1971, с. 284).

14 კანკელის დეტალები ეკლესიის ნანგრევებში აღმოაჩინა პ.უვაროვამ. ამჟამად მისი ბედი უცნობია. ფოტოზე შემოთავაზებული რეკონსტრუქციის ნიმუში მოცემულია კანკელის სტრუქტურის თავისებურებების გაუთვალისწინებლად (იხ. Уварова П. დასახ. ნაშრომი, გვ. 37-39, ტაბ. XV; Шмерлинг Р. დასახ. ნაშრომი, გვ. 181-182).

მეოთხედით ათარიღებს.[15] კანკელი, საკურთხეველისა და ძირითადი სივრცის გამყოფი ტიხარი, ტაძრის შიდა სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი ქრისტიანულ საიდუმლოებათა აღსრულებისას მრევლისაგან მიუწვდომელს ხდიდა ტაძრის ამ უწმინდეს ადგილს. ეპოქის ანალოგიური ნიმუშების გათვალისწინებით, აგარის კანკელი წარმოადგენდა დეკორატიული ნახეევარკოლონების გამოყოფილ ტიხარს ხუთმალიანი თაღედით და ცენტრში გახსნილი აღსავლის კარით. კანკელთა სტრუქტურაში კედლის ფილების გამყოფი ორმაგი ნახეევარსვეტები XII-XIV საუკუნეების ნიმუშებითაა ცნობილი[16] (საორბისი – 1152 წ., ყანჩაეთის კაბენი – XII-XIII საუკუნეების მიჯნა, სათხე – 1213-1222 წწ., ფიტარეთი, გუდარეხი – XIII საუკუნე, განახლება, თირი – XIII-XIV საუკუნეების მიჯნა და სხვ. კანკელები). კანკელის მოტივის სისტემა ყოველი ეპოქის მხატვრულ მოთხოვნათა საერთო მიმართულებით განისაზღვრებოდა, ამიტომ კანკელის ისტორია განუყოფელია ქართული რელიეფური პლასტიკის, ორნამენტის განვითარების ისტორიისაგან.

აგარის კანკელი მდიდარი დეკორატიული შემკულობით გამოირჩევა. მისი ყოველი დეტალი მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით შედგენილი კომპოზიციებით და ორნამენტული ჩუქურთმით არის მორთული. დეკორის სისტემაში ერთადერთი სიმბოლური სახე ტოლმკლავა ჯვარია. კანკელის მხატვრული გაფორმების ხასიათი ძირითადად XII-XIII საუკუნეების ტრადიციებს ემყარება და გამოხატავს დეკორატიულობისაკენ სწრაფვას, რაც ეპოქის მხატვრულ გემოვნებას შეესაბამება.

კანკელის ჩუქურთმა XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართულ არქიტექტურაში წარმოდგენილ მოტივებს იყენებს. მცენარეული დეკორის გამომსახველობა, კვეთის ხასიათი ორნამენტის პლასტიკური ბუნების წარმოჩენას ემსახურება და ჯერ კიდევ მაღალი გემოვნებით, შესრულების არტისტიზმით გამოირჩევა. წნული ლენტის ხაზობრივი დამუშავება ჩუქურთმის ნახატის გრაფიკულ გამომსახველობას განსაზღვრავს. თუმცა, გეომეტრიული ფორმებით და ლენტოვანი წნულით შედგენილი მოტივები მაინც სიმშრალისა და სიხისტის შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნული სტილისტური ნიშნები ქართულ ხუროთმოძღვრულ ორნამენტში და ასევე კანკელთა დეკორში უკვე XIII საუკუნის პირველ ნახევარში იჩენს თავს (ლურჯი მონასტერი, წულრულაშენი, დმანისი, ფიტარეთი, ახტალა; მერეთი, ჭეავების, სათხის, ფიტარეთის, გუდარეხის და სხვ. კანკელები).

ამდენად, აგარის კანკელის აგებულება და დეკორის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები საშუალებას იძლევა მისი თარიღი უშუალოდ აგარის (ვანაძეების) ეკლესიის აგების ხანას – XII-XIII საუკუნეების მიჯნას დაეუკავშიროთ.[17]

შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშთაგან აჭარაში მხოლოდ სხალთის ეკლესიის ფრესკები შემორჩა. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ, ასევე, მოხატული ყოფილა ვანაძეების, საციხურისა და ციხისყელის ეკლესიებიც.[18]

სხალის მოხატულობა პალეოლოგოსთა ხანის ქართული მონუმენტური ფერწერის ნიმუშს განეკუთვნება და XIV-XV საუკუნეების მიჯნით თარიღდება.[19] თვით ეკლესია, რ. მეფისაშვილის აზრით, XIII საუკუნის შუახანებშია აგებული.[20]

---

15 Шмерлинг Р. დასახ. ნაშრომი, გვ. 181-182.

16 Шмерлинг Р. დასახ. ნაშრომი, გვ. 54-55, 187-189.

17 აგარის ეკლესია, როგორც აღვნიშნეთ, ვანაძეების ტაძართან არის გაიგივებული და იგი XII-XIII საუკუნეების მიჯნით თარიღდება (შამამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 96-100, 117).

18 იქვე.

19 იჯიჯინაძე. სხალთის ეკლესიის მოხატულობა; მისივე, სხალთის ეკლესიის ფრესკები; მჭიჭილეიშვილი. სხალთის ეკლესიის მოხატულობა (ავტორეფერატი), თბილისი, 2004.

20 რ.მეფისაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 104-105.

სხალთის ტაძრის შიდა სივრცის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, კედლის სიბრტყეთა დინამიკური დანაწევრების ხასიათი, კარგად გათლილი ქვის კვადრებით მოპირკეთება მოწმობს, რომ ეკლესია თავიდანვე მოსახატავად არ იყო განკუთვნილი. სხალთის მოხატულობის დიდი ნაწილი განადგურებულია. ფრესკები ძირითადად საკურთხეველში, კამარაზე და დასავლეთ კედელზე შემორჩა. მიუხედავად ამისა, ფრაგმენტულად მოღწეული სილუეტების გამომსახველობა, ნათელ ფერთა გამა, მდიდარი კოლორიტი, შესრულების ოსტატობა მაინც შთამბეჭდავს ხდის სხალთის ფერწერულ ანსამბლს.[21] მოხატულობის დღევანდელი სახე სრული თეოლოგიური პროგრამის წაკითხვის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ის, რაც შემორჩა, მოწმობს, რომ მხატვრობა ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნიდა და განვითარებული იკონოგრაფიული სქემითა და გააზრებული კომპოზიციური გადაწყვეტით ხასიათდებოდა.

საკურთხეველის აფსიდის კონქში გამოსახულია „ვედრების" კომპოზიცია – საყდარზე მჯდომარე მაცხოვრის, ცვეცხლოვან ბორბლებზე მდგომი სერაფიმისა და ტეტრამორფის, ხოლო კიდეებში – ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მაევედრებელი ფიგურებით. ქრისტეს გრანდიოზული გამოსახულება არა მარტო აფსიდის, არამედ მოხატულობის მთელ სისტემაში დომინირებს და ყოველისმპყრობელის მნიშვნელობას იძენს. "ვედრების" სცენა უფლის დიდების, მეორედ მოსვლის, ქომაგობის იდეას გამოხატავს. იგი ქართულ ხელოვნებაში ადრეული ხანიდან გვხვდება. სხალთის საკურთხეველის აფსიდის კონქში „ვედრების" სცენის გამოსახვა ადგილობრივი ტრადიციებისადმი ერთგულების დამადასტურებელია. საკურთხეველის მოხატულობის მეორე რეგისტრი უფლის მაღიდებელ მუხლმოდრეკილ ანგელოზთა დასს ეთმობოდა, მომდევნო რეგისტრი კი – მედალიონებში გამოსახულ წმინდანთა ნახევარფიგურებს. ქვემოთ წარმოდგენილი იყო „ზიარების" სცენა, სადაც შემორჩენილია მოციქულთა რამდენიმე ფიგურა შესაბამისი ქართული ასომთავრული წარწერებით. აფსიდის ბოლო ქვედა რეგისტრში, იკონოგრაფიული ტრადიციის თანახმად, წარმოდგენილი იყვნენ მღვდელმთავრები.

დარბაზის კამარაზე განთავსებული იყო ქრისტოლოგიური ციკლის სცენები („ხარება", „ფერისცვალება", „ქრისტეს ამაღლება", „სულიწმინდის მოფენა"; „შობა", „მირქმა", „ნათლისღება", „ლაზარეს აღდგინება", „იერუსალიმს შესვლა", „საიდუმლო სერობა", „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში", „ოცდაათი ვერცხლი იუდასათვის", „იუდას ამბორი", „პეტრეს უარყოფა", „ქრისტე კაიაფას წინაშე", „ჯვრის ზიდვა", „ჯვრის აღმართვა", „ჯვარცმა", „გარდამოხსნა", „დატირება", „ჯოჯოხეთად შთასვლა", „ჯოჯოხეთის წარმოტყვეენა"), კამარის საბჯენ თაღებზე კი მამამთავართა და წინასწარმეტყველთა ფიგურები. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია „ჩვილთა მოწყვეტისა" და „ღვთისმშობლის მიძინების" კომპოზიციათა ფრაგმენტები, სამხრეთი კედლის დაბალ ნიშში კი სცენები იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან. დასავლეთი კედელი „დღე განკითხვის" გრანდიოზულ კომპოზიციას ეთმობოდა. დასავლეთი კარის ტიმპანში კვლავ ეხვდათ „ვედრების" სცენას.

სხალთის მხატვრობის ძირითადი თეოლოგიური იდეა უკავშირდება უფლის გამოცხადება-მეორედ მოსვლას. მოხატულობის მრავალფეროვანი და მდიდარი რეპერტუარი პალეოლოგოსთა ეპოქის (XIV-XV სს.) ხელოვნების თავისებურებებითაა განპირობებული. ამ ეტაპის ძეგლებში მოხატულობის საერთო პროგრამის გართულება სახასიათო მოვლენაა. ტრადიციულ, ლაკონურ რედაქციებთან ერთად წარმოდგენილი სცე-

---

21 1997-1998 წლებში ფრესკების გაწმენდისას გამოვლინდა არა მხოლოდ კომპოზიციათა ცალკეული ფრაგმენტები, არამედ მთელი სცენებიც. სარესტავრაციო სამუშაობი განხორციელდა ნ.ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობით. მთავარი რესტაურატორები: გ.ჭეიშვილი, დ.ჭეიშვილი, თ.აფციაური, ზ.არეევაძე, მ.ნადარეიშვილი.

ნების განვითარებული იკონოგრაფიაც ამავე სტილის სიახლეებს ავლენს და ანალოგიებს XIV-XV საუკუნეების ქართული და ბიზანტიური კედლის მხატვრობის ნიმუშებში პოვებს (სორი, ლიხნე, ზარზმა, საფარის წმ. საბა, უბისი, წალენჯიხა, ნაბახტევი და სხვ.). ჩანს, რომ სხალთის მომხატველი ოსტატები მრავალფეროვანი იკონოგრაფიული წყაროებით სარგებლობდნენ, იცნობდნენ თანამედროვე ქართულ და ბიზანტიურ ფერწერულ (მისტრის, ტრაპიზონის და სხვ. სკოლების) ნიმუშებს, მონუმენტური კედლის მხატვრობის ძეგლებს, ხელნაწერთა მინიატურებს და იკონოგრაგიული სქემებისათვის განკუთვნილ დედნებს. ამასთანავე, ნიშანდობლივია ისიც, რომ მოხატულობის თეოლოგიური პროგრამის გააზრების, იკონოგრაფიული რედაქციების შერჩევისა და კომპოზიციური გადაწყვეტის ხასიათში ვლინდება ქართული ფერწერის ტრადიციები, ოსტატობა შემოქმედებითი ძიებები, ინდივიდუალობა და თავისთავადობა.

სხალთის მხატვრობის საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა შედარებით დიდი და მცირე ზომის რეგისტრების დაპირისპირებას, არქიტექტურულ-პეიზაჟური ფონებით გადატვირთული კომპოზიციების დინამიკას ემყარება და განსაზღვრავს მოხატულობის სტრუქტურის ძალზე დაქუცმაცებულ ხასიათს. თვალსაჩინოა XIV-XV საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობისათვის დამახასიათებელი ნიშნები: მოხატულობის მხატვრული მთლიანობისა და მონუმენტურობის დაკარგვა, რეგისტრთა მასშტაბების დაპირისპირება, სცენების განაწილების „ხალიჩისებური" ხასიათი.

პირობით, სიბრტყობრივ-დეკორატიულ სისტემაში ილუზორული, მოცულობრივი ფორმებისადმი სწრაფვა, სივრცული მომენტების გაჩენა პალეოლოგოსთა სტილის დამახასიათებელი ნიშანია. სხალთის მოხატულობაში სივრცულობა კომპოზიციის პარალელურ პლანებად განლაგებაში, ფიგურათა მოცულობრივ აგებასა და გართულებული არქიტექტურულ-პეიზაჟური ფონების წარმოდგენაში ვლინდება. არქიტექტურული ფონები, სხვადასხვა ხედვის წერტილიდან აგებული შენობები, კედლის მასივები, მოფრიალე ველუმები ფიგურებისათვის დინამიკურ გარემოს ქმნიან და ამავე დროს თავიანთი შედარებით მშვიდი, მწყობრი აგებულებით ყველაზე მეტად წალენჯიხის (1384-1396 წწ.) ფრესკების არქიტექტურულ ფორმებს უახლოვდებიან. პირამიდის ფორმის მოოქროსფრო-მოყავისფრო მთები ამ ხანისათვის დამახასიათებელი მოცულობრივი მასივების სახითაა გადმოცემული.

ფიგურებს ახასიათებს მცირე ზომები, დაგრძელებული პროპორციები, პატარა თავები, ნაზი კიდურები, თავისუფალი მსუბუქი მოძრაობები, სახეების წერის მანერა, სხეულის ფორმებისა და ტანსაცმლის მოდელირება პალეოლოგოსთა სტილისათვის დამახასიათებელ ფერწერულ ხერხებს ეფუძნება. განსაკუთრებული ლირიზმით გამოირჩევა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მხატვრული სახეები „ვედრების" სცენაში (დასავლეთის კარის თავზე), მთავარანგელოზი „დღე განკითხვის" კომპოზიციაში და სხვ. ფიგურათა მოძრაობების გადმოცემის შედარებითი სიმშვიდე და თავშეკავებლობა სხალთის ფრესკებს XIV საუკუნის პირველი ნახევრის ნიმუშებისათვის (ლიხნე, ზარზმა, სორი და სხვ.) დამახასიათებელი ექსპრესიულობისა და ხაზგასმული დინამიზმისაგან განასხვავებს. ემოციების ძუნწად გამოხატვა პალეოლოგოსთა სტილის გვიანდელი ეტაპის სახასიათო ნიშანია.

სხალთის მოხატულობის ნათელი კოლორიტი, ფერთა მდიდარი გამა და შედარებით: ციელი ტონალობა XIV საუკუნის დასასრულისა და XV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებს ეხმიანება. მუქი ლურჯი, ოქროსფერი, წითელი, მწვანე, თეთრი ტონებისა და ნაზი ნახევარტონების (მოვარდისფრო-იასამნისფერი, მოლურჯო-ნაცრისფერი, მოოქროსფრო-ყვითელი) ჰარმონიული შეხამება, ფერთა სადაფისებური ელვარება განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს ფრესკებს.

სხალთის ეკლესიის მოხატულობა შექმნილია ეროვნულ ტრადიციებთან და თანამედროვეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული მხატვართა ერთიანი შემოქმედებითი ამქრის მიერ, რომელთა შორის გამორჩეული კამარის ზედა ნაწილში წარმოდგენილი სცენების ოსტატი იყო. მისთვის დამახასიათებელი შედარებით მონუმენტური, ლაკონური წერის მანერა, ნახატისა და ხაზის გამომსახველობა, დახვეწილი კოლორიტი ყველაზე მეტად წარმოაჩენს ქართული კედლის მხატვრობის ბრწყინვალე ტრადიციებს.

მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები, სცენებისა და წმინდანების განმარტებითი ქართული ასომთავრული წარწერები,[22] თავის მხრივ, მიუთითებენ, რომ სხალთის მომხატველი ოსტატები ნიჭიერი ქართველი მხატვრები იყვნენ, რომელთაც, შესაძლოა, გარკვეული კავშირი ჰქონდათ ბიზანტიური სამყაროს სხვა კულტურულ ცენტრებთან და ფერწერულ სკოლებთან.

საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდში აჭარაში შექმნილი სხალთის ფერწერული ანსამბლი ამავე ხანაში სამცხე-საათაბაგოსა და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში გაჩაღებული შედარებით ინტენსიური მხატვრული ცხოვრების გამოხატულება იყო. დროებითი სიმშვიდე, ბიზანტიასთან მჭიდრო კონტაქტები, ეპოქის რელიგიურ-იდეური შეხედულებები, თავის მხრივ, ხელს უწყობდა პალეოლოგოსთა ხელოვნების გავრცელებას საქართველოში XIV-XV საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდში მოიხატა გელათის დავით ნარინის ეკვდერი (XIII საუკუნის დასასრული), ლიხნეს, ზარზმის, საფარის წმ. საბას, სორის, უბისის ტაძრები, ხობის ეამეჟ დადიანის ეკვდერი, წალენჯიხის, ჭულეს, საფარის წმ. მარინეს ეკლესიები (XIV ს.), ნაბახტეევის ტაძარი (XV ს.) და სხვ. სხალთის მოხატულობაც აღნიშნული ეტაპის გამორჩეულ ნიმუშთა გვერდით დგას, რაც აჭარაში ხელოვნების ამ დარგის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და დაწინაურებაზე მეტყველებს.

XIII-XV საუკუნეების აჭარის ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, სხალთის მოხატულობის დამკვეთნი, ისევე როგორც ტაძრის ამშენებელნი, აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. ლიტერატურული, ეპიგრაფიკული და მატერიალური ძეგლები მოწმობენ, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენლები განსაკუთრებული სიყვარულითა და ღვთისმოსაობით გამოირჩეოდნენ. მათი დაკვეთით იგება თხილვანის, ხიხანის ეკლესიები, იქმნება ფერწერული და ჭედური ხატები და სხვ.

სხალთის მოხატულობის თეოლოგიურ პროგრამაში ესქატოლოგიური იდეის განსაკუთრებული გამოყოფა, შესაძლოა, არა მარტო ეპოქისათვის დამახასიათებელი მისტიკურ-მელანქოლიური, პესიმისტური მსოფლმხედველობით, არამედ, ამ კუთხის სულიერი შვილის – აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობითაც იყო განპირობებული. ამას ადასტურებს აბუსერისძე ტბელის ესქატოლოგიური შეხედულებანი.[23]

ამდენად, ქართული ხელოვნების სხვადასხვა ეტაპის მაღალმხატვრული დონის ნიმუშების არსებობა შუა საუკუნეების აჭარაში კულტურული ცხოვრების უწყვეტი, ინტენსიური, შემოქმედებითი განვითარების პროცესს ასახავდა. სახვითი ხელოვნების ცალკეული ნიმუშების გაცნობა გვიდასტურებს, რომ აჭარა ორგანულად იყო ჩართული ქართული კულტურის ისტორიული განვითარების საერთო პროცესში და თავისი წვლილი შეჰქონდა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების საგანძურში.

---

22 ბერძნული წარწერები მხოლოდ „დღე განკითხვისა“ და „ჯვრის ზიდვის“ სცენებშია ჩართული.

23 თხზულება „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა“ (ე.კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში. - ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1957, გვ. 105-109).

§6. საეკლესიო ხუროთმოძღვრება

შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის განვითარების მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი შედარებით სრულად საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში აისახა. წერილობითი წყაროები და გადმოცემები მოწმობენ, რომ აჭარა, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეები, მდიდარი იყო ამ სახის ძეგლებით და მისი სამშენებლო ტრადიციებით. ამის დამადასტურებლად აბუსერისძე ტბელის თხზულებაში დაცული ცნობებიც კმარა. აჭარაში გამოვლენილი საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშების უმეტესობა დღეისათვის მოლიანად დანგრეული და დაკარგულია შთამომავლობისათვის.

აჭარაში განვითარებული შუა საუკუნეების საინტერესო ძეგლია ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც მდინარე კინტრიშის შენაკადის – საკირისღელის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.[1] ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხინოს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილდიდშენი, კარგს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთის ჭოროხამდე".[2] დ. ბაქრაძე, რომელმაც ძეგლი 1874 წელს ნახა, უარყოფს ეკლესიის გუმბათიანობას და მას დარბაზულ ტაძრად ასახელებს.[3] აღნიშნული ცნობებისა და ტაძრის დღევანდელი მდგომარეობის შეჯერება მოწმობს, რომ სალოცავს საუკუნეების განმავლობაში არაერთი გადაკეთება განუცდია.

ხინოწმინდის ეკლესია დანგრეულია, ალაგ-ალაგ კედლების სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს. მას არ შემორჩენია კამარები და გადახურვის ელემენტები. ნაგებობის სიგრძე 18, ხოლო სიგანე – 10 მეტრია. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთიდან და დასავლეთიდან. დარბაზს აღმოსავლეთით ერთვის საკურთხეველი ღრმა ბემით, რომლის ჩდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ფორმის სადიაკონე და სამკვეთლო, ხოლო – დასავლეთით – „ჯიბეების" მსგავსი სადგომებია მოწყობილი. შიგნიდან კედლები უხეშად დამუშავებული წერილი ქვებითაა ნაგები, ხოლო ნაგებობის კონსტრუქციული დეტალები – ნახევარსვეტები და ღიობები უფრო მყარი, გათლილი ქვებით. ფასადები თარაზული წყობის ქვის კვადრებითაა შემოსილი, ზოგან რიგების სისწორისათვის წვრილი ქვები და ბათქაშია ჩამატებული. ზომების მიხედვით ნათელია, რომ ეკლესია მოზრდილ ნაგებობას წარმოადგენდა. მას თაღდაპირველად სამნავიანი ბაზილიკის ფორმა ჰქონდა.[4] ეკლესიის სიერცე სამი წყვილი სვეტის რიტმული მონაცვლეობით სამ ნაოად იყოფოდა. გარედან შუა ნავს ორფერდა, ხოლო გვერდით ნავებს – ცალქანობა გადახურვა ჰქონდა. ბაზილიკური სალოცავები ქართულ არქიტექტურაში, ძირითადად, ადრექრისტიანული ხანიდან XI საუკუნემდე იგება (ბოლნისის სიონი – V ს., ურბნისი, თბილისის ანჩისხატი – VI ს., ქვაბისხევი – IX-X სს მიჯნა, ურთა, ოთხთა ეკლესია, ჰარხალი – X ს. და სხვ.). შემდგომ პერიოდში კი ბაზილიკები ერთეული ნიმუშების სახით გვხვდება, რადგან წამყვანი მნიშვნელობა გუმბათოვან ტაძრებს ენიჭება. ხინოწმინდის ეკლესია შედარებით გვიანი ხანის ბაზილიკების რიცხვს მიეკუთვნება. გრძივი ღერძის დამოკლების ტენდენცია, პროპორციები, ბოძების თავისუფალი განლაგება, მშენებლობის ტექნიკა, ქვის წყობის ხასიათი ხინოწმინდის ეკლესიას გარდამავალი ხანის ქართული არქიტექ-

---

[1] ძეგლის გაწმენდა 1989-1990 წწ. განხორციელდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი გ.თავგამაშვილი).

[2] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – „ქართლის ცხოვრება", IV, თბილისი, 1973, გვ. 791.

[3] დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 83-84.

[4] გ.ჭანიშვილი. ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (1998 წელს შესრულებული ხელნაწერი. ნ.ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილების არქივი).

ტურის ბოლო ეტაპის – IX-X სს. ნიმუშებთან აახლოებს. საყურადღებოა ისიც, რომ ეკლესიის აღმშენებლობა შემდეგაც გრძელდება. ამას ადასტურებს სამხრეთი მინაშენის გაწმენდისას აღმოჩენილი რელიეფური ქანდაკების ნიმუშები – მამაკაცთა სკულპტურული თავები, რომელთა თარიღი მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე X-XI სს მიჯნით განისაზღვრება.

საქართველოში შეიქმნა ბაზილიკის ორიგინალური ტიპი, ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც არ გეხვდება ბიზანტიური სამყაროს სხვა ქვეყნებში. ასეთ შენობებში ერთმანეთისაგან კედლებით იზოლირებული სამი დამოუკიდებელი სამლოცველოა გაერთიანებული. ეს თემა ქართულ არქიტექტურაში, ძირითადად, XI საუკუნემდეა პოპულარული. აჭარაში ამ ტიპის ერთადერთი ნიმუში უნდა იყოს თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია.[5] ტაძარი სხალთისწყლის ხეობის სათავეებთან, ხიხანის ციხიდან 5 კმ დაშორებით იდგა. ტიმპანის წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია იოანე მახარობლის სახელზე იყო აგებული: „წმინდაო იოვანე მახარობელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია, და შეილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ. დღესა ამისა სასჯელისა ნუ დასჯი ამინ".[6]

ტიმპანის ქვის გარდა თხილვანის ტაძრიდან შემორჩენილია მხოლოდ ორსაფეხურიანი ცოკოლი და კედლების წყობის ნაშთები. სწორკუთხა გეგმის (ზომები: 13 X 11,5) მქონე ნაგებობის ნაგები აღმოსავლეთით აფსიდებით სრულდება. შუა ნავი გვერდითებზე ორჯერ განიერია. შესასვლელები გაჭრილია სამხრეთიდან და დასავლეთიდან. გარედან ტაძარი სწორკუთხედში იყო ჩაწერილი. არქიტექტურული დეტალების მიხედვით ჩანს, რომ იგი განვითარებულ შუა საუკუნეებშია აგებული. ცხოველხატული სტილის ძეგლების მსგავსად, გრძივი კედლები კამარის საბჯენი თაღების პროფილირებული პილასტრებით იქნებოდა დანაწევრებული. შემორჩენილი ნაშთები მაღალი სამშენებლო კულტურის მანიშნებელია. საძირკველი ნაგებია 1,5-2 მ სიფართის, ხოლო ცოკოლი – შესანიშნავად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებით. კედლების შიგა და გარე ზედაპირი მოპირკეთებულია კარგად გათლილი ქვის კვადრებით, რომელთა შორის სიერცე კირხსნარითა და ნატეხი ქვებითაა შევსებული.

თხილვანის ეკლესიის ტიმპანის ქვა წარმოადგენს თაღოვანი ფორმის მონოლითურ ფილას, რომელსაც ჰორიზონტალურად განთავსებული შეიდსტრიქონიანი წარწერა და ორნამენტული არშია ამკობს. ტიმპანის ჩუქურთმა კონცენტრული წრეებისა და სოლისებური ფოთლის მოტივებისაგან შედგება. ორნამენტის ეს სახე, ძირითადად, X-XI საუკუნეებშია გავრცელებული (ნიქოზი, დოდოთი, ტბეთი, იშხანი, დიდი დიღომი, ზედა ვარძია, ეხვევი, სავანე, კაცხი და სხვ.) და XI საუკუნის შუახანებიდან თითქმის აღარ გეხვდება.[7] ეს მოტივი ხშირად გამოიყენება პორტალთა დამაგვირგვინებელი არშიების, კარნიზების, თაღსართების, კვარცხლბეკისა და იმპოსტების შესამკობად. თხილვანის ეკლესიაში გეხვდება ამ მოტივის გეომეტრიული ვარიანტი სამრიგა წრეებითა და გრძელი სოლებით. ასეთივე სახეებია იშხნის, დოდოთის, ზედა ვარძიის, ზედა თმოგვის, საფარის წმ. სტეფანეს, ეხვევის ეკლესიებში.[8] ორნამენტული მოტივისა და თაღოვანი არშიის

---

[5] შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 87-89, 112-114.

[6] თხილვანის ეკლესიის ტიმპანის ქვა ამჟამად დაცულია ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში (№15675). მისი ზომებია: 2,5X1,25X0,20 მ.

[7] ე.ბერიძე. ეხვევის ტაძარი „დედა ღვთისა". – ქართული ხელოვნება, 1, თბილისი, 1942, გვ. 45, 111.

[8] საქართველოში გავრცელებულია ამ მოტივის მცენარეული ვარიანტებიც (მანგლისი, სამთავრო, სვეტიცხოველი, კაცხი, სავანე, ნიკორწმინდა და სხვ.).

დამრეცი ზედაპირის ჰარმონიული შეხამება გამომსახველობას ანიჭებს თხილვანის ტაძრის ტიმპანს. ლაპიდარული წარწერებითა და ჩუქურთმით მორთული ასეთი ტიმპანები, უმეტესად, X-XI საუკუნეებში გვხვდება (ქორეთის ღმრთაების ეკლესია, იშხანი, დოდოთი – X ს., დიდი კლდეისი – XI ს. და სხვ.). თხილვანის ტაძრის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები მიუთითებენ, რომ ეკლესიაც X–XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.[9] ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული საერო პირებიც – ერისთავთერისთაები აბუსერი და დედოფალი ვანენი, საეარაუდოდ, ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ აბუსერ ერისთავი XI საუკუნეში არტანუჯის, ხიხანის, ციხისჯვარისა და აწყურის ციხეების პატრონი იყო.[10] თხილვანის ეკლესიის შემდგომი აღმშენებლობის პერიოდი XIII საუკუნეს უკავშირდება. აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ირკვევა, რომ იოანე მახარობლის ეკლესია XIII ს-ის პირველ ნახევარში ტბელის დას – დედოფალთდედოფალ ვანენს აღუდგენია: „... და დიოფალ-დიოფლისა, დისაევ ჩუემისა ვანენისა, რომელმან ეკლესიაჲ აღაშენა წმიდისა იოანე მახარებლისა და ღმრთისმეტყველისა, სამკეიდრებელი ჩუენი და აღავსო საწყაული კეთილი".[11]

განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ტაძრების ძირითად ნაწილს დარბაზული ეკლესიები შეადგენდა. ერთნავიანი სალოცავები ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ყველა ეტაპზე უწყვეტად გვხვდება. XI საუკუნიდან, როდესაც უგუმბათო ეკლესიებიდან არსებობას წყვეტს სამნავიანი და სამეკლესიანი ტაძრები, უპირატესობა დარბაზულ ეკლესიებს ენიჭება. ერთნავიანი სალოცავები აჭარისწყლის ხეობაში უწყვეტად შენდებოდა IX-XIII საუკუნეების განმავლობაში. ამ პატარა შენობებში ნათლად აისახა ქართული არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი. დარბაზული ეკლესიების პოპულარობას განსაზღვრავდა ტაძრის გეგმისა და კონსტრუქციების სიმარტივე, სამშენებლო მასალის ეკონომიურობა და მისი მშენებლობის მისაწვდომობა ყველა სოციალური ფენისათვის.

დღეისათვის არსებული მასალებით ირკვევა, რომ ერთნავიანი ეკლესიები აჭარისწყლის ხეობაში, უმეტესად, IX-X საუკუნეებიდან იგება. აღნიშნული ფაქტი, განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში მაღალმთიანი აჭარის დაწინაურებასა და აქტიურ კულტურულ ცხოვრებაზე მეტყველებს. ეს ბუნებრივია, რადგან ისტორიული პირობები, საქართველოს ერთ-ერთ ძლიერ კუთხესთან – ტაო-კლარჯეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობები ხელს უწყობდა ამ პატარა რეგიონის აყვავებას და მის ჩართვას აქტიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პროცესებში. თუმცა, კუთხის ასეთი დაწინაურება არ გამოიხატა მასშტაბური ტაძრებისა თუ მონასტრების მშენებლობაში. მთიან აჭარაში აქცენტი, ძირითადად, მცირე სალოცავებზე კეთდება, რაშიც მთის რეგიონებისათვის (სვანეთი, რაჭა, სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო – შავშეთ-იმერხეთი) დამახასიათებელი ტენდენცია ჩანს.[12]

აჭარისწყლის ხეობის მონაცემებით შესაძლებელია ზოგადად განვიხილოთ დარბაზული ტიპის განვითარებისა და საეკლესიო ნაგებობების ხუროთმოძღვრების თავისე-

---

9 შ.შამუსაძის ვარაუდით, ტაძარი აბუსერისძე ტბელის დის – ვანენის მიერ არის აგებული XIII საუკუნის პირველ ნახევარში. – იხ. შ.შამუსაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993, გვ. 112-114

10 ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 300; ქართლის ცხოვრება (ანასეული), თბილისი, 1942, გვ. 187; ი.სიხარულიძე. ნათელი დაუდამებელი. ბათუმი, 1979, გვ. 9-10.

11 ი.სიხარულიძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. ბათუმი, 1981, გვ. 13.

12 Беридзе В. Архитектура Тао-Кларджети. Тб., 1981, с. 35-43.

ბურებანი. თუმცა, ძეგლების ირგვლივ მსჯელობა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებს ეფუძნება და რამდენადმე მოკლებულია იმ სიღრმეს, რაც მეტ-ნაკლებად სრული სახით დაცული ნიმუშების კვლევისას არის შესაძლებელი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ ძეგლებს შორის შედარებით ადრეული უნდა იყოს თიკანაურის ეკლესია, რომელიც სოფ. ხიხაძირთან ახლოს, მდ. სხალთისწყლის მარცხენა მხარეს მდებარეობს.[13] ეკლესიისათვის შერჩეულ მაღალ ადგილს მოსახლეობა „ნასაყდრალს" უწოდებს. ეკლესია საძირკვლის დონემდეა დანგრეული, თუმცა კედლებს აქა-იქ მაინც ემჩნეოდა მოსაპირკეთებელი კვადრების წყობის რიგები. ეკლესია წარმოადგენდა მცირე ზომის „უაფსიდო" ნაგებობას (ზომით 7,7X5,1 მ) შესასვლელით სამხრეთიდან. გადახურული იყო ორფერდა ქვის ლორფინებიანი სახურავით. კარგად გათლილი პერანგის ქვები და სახურავის ლორფინები სამშენებლო ტექნიკის მაღალ დონეზე მიუთითებენ. ეკლესია, სავარაუდოდ, არქეოლოგიური მასალებისა და სამშენებლო ტექნიკის გათვალისწინებით, IX-X საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

ქრონოლოგიურად ამავე პერიოდს უკავშირდება საციხურის, ანუ „ჯვართნის" ეკლესია, რომელიც ღორჯომისწყლის ხეობაში, დაბა ხულოდან 15 კმ დაშორებით მდებარეობს. ბორცვს, სადაც ეკლესია იდგა, მოსახლეობა „ჯვართანს" უწოდებს. ეკლესია პერანგშემოცლილი კედლების ამარაა დარჩენილი. ნაგებობა საკმაოდ მოზრდილი ქვებით საგულდაგულოდ მომზადებულ საძირკველზეა აღმართული (ზომები 8X5). შესასვლელი კარი სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი. დარბაზის ნავს აღმოსავლეთით ნახევარწრიული საკურთხეველი ერთვის, რომლის ცენტრში ერთი სარკმელია გაჭრილი, ხოლო გვერდებზე მცირე ნიშებია მოწყობილი. დარბაზის გრძივი კედლები პილასტრების გარეშეა წარმოდგენილი. ინტერიერი, როგორც ჩანს, ბათქაშით იყო შელესილი, გამოვლენილია მოხატულობათა ნაშთები. ეკლესიის გარე მოხაზულობა სწორკუთხაა. ორსაფეხურიანი ცოკოლი სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული ქვებითაა ნაგები, ცოკოლი და კედლები მოწითალო ტუფის კვადრებით იყო მოპირკეთებული.[14] ისეთი სახასიათო ნიშნები, როგორიც არის ინტერიერის გრძივი კედლების თაღოვანი ნიშებისა და პილასტრების გარეშე წარმოდგენა და ექსტერიერის გადაწყვეტაში შეტანილი ფერადოვანი აქცენტები, საციხურის ეკლესიის თარიღს, საეარაუდოდ, IX-X საუკუნეებით განსაზღვრავს.

ღორჯომისწყლის ხეობაში საეკლესიო ნაგებობებისათვის ადგილის შერჩევის გარკვეული ტრადიციაც იკვეთება. სალოცავების უმეტესობა – ქურდული, ვანაძეები, გელაური, საციხური, ნამონასტრევი და სხვ. მთის ქედების ყველაზე ცხოველხატულ და შემაღლებულ ადგილებზეა აგებული. ისინი, როგორც ციხესიმაგრეები, ერთმანეთთან გადაბმულ ჯაჭვს ქმნიან, ზევიდან გადმოჰყურებენ ხეობას და მთის ფერდობებზე შეფენილ სოფლებს. მთის „მწვერვალებზე" ეკლესიების განთავსების ტენდენცია, შესაძლოა, არა მარტო ღორჯომისწყლის ხეობის სიეიწროვითა და მთაგორიანობით, არამედ სტრატეგიული და, გარკვეულად, მხატვრული მოსაზრებებით იყო განპირობებული. ნიშანდობლივია, რომ ხეობის უაკე ადგილები, ძირითადად, სამოსახლოებად, სათიბებად და სახნავ-სათესებად არის გამოყენებული.

X-XI საუკუნეების მიჯნიდან აჭარაში შეინიშნება დარბაზული ეკლესიების დაგეგმარების განვითარების ტენდენცია, რაც, ძირითადად, სამხრეთი ფასადის გასწვრივ გრძე-

---

13 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 85-86.

14 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 91-96; შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები (გზამკვლევი). თბილისი, 2000, გვ. 91-93.

ლი მინაშენის დაკანონებაში გამოიხატება. განვითარებული შუა საუკუნეების შემდგომ ეტაპზე აებებულ ყველა ტაძარს (კალოთა, სხალთის მცირე ეკლესია, ეერნები, ვანაძეები, სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია) ეკვრის მინაშენი, რომელიც უმეტესწილად ეკედერის ფუნქციას ასრულებს.

X საუკუნის ქართული არქიტექტურის თავისებურებანი – აზიდული პროპორციები, გრძივი კედლების დინამიკური გადაწყვეტა, ფასადების შედარებით მდიდარი დეკორატიული გაფორმება, კერძოდ კი, ჩუქურთმისა და რელიეფური ქანდაკების როლის ზრდა ნათლადაა გამოხატული კალოთის ეკლესიის ხუროთმოძღვრებაში. ტაძარი სხალთისწყლის ხეობაში სოფ. კალოთაში იდგა. მისგან დღეს მხოლოდ საკურთხეველის კედელი და კონქის ნაწილია დარჩენილი (ზომები: 8,2X4,6 მ). საკურთხეველი ერთი საფეხურითაა გამოყოფილი დარბაზისაგან. აფსიდში ერთი სარკმელია გაჭრილი, გვერდითი სათავსოების ფუნქცია კი ნიშებს ეკისრება. დარბაზის კამარა საკმაოდ სქელ კედლებსა და შვერილ პროფილირებულ პილასტრებზე გადადებულ ერთ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა. იატაკი 15-20 სმ სისქის დულაბით იყო დაფარული. ფასადებს ორნამენტულ ჩუქურთმასთან ერთად ფიგურული რელიეფებიც ამკობდა.[15]

X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აშენებული სხალთის მცირე ეკლესია, რომელიც აჭარაში შემორჩენილი სხვა საკულტო ძეგლების მსგავსად, ნანგრევების სახითაა მოღწეული. გარედან სწორკუთხა მოხაზულობის ნავს (ზომები: 9,9X6,6 მ) სამხრეთის მინაშენი ეკვრის. დარბაზის ნავს აღმოსავლეთით განიერი აფსიდი ასრულებს. სამკვეთლოსა და სადიაკონოს როლი აქაც, ისევე, როგორც აჭარისწყლის ხეობის სხვა ტაძრებში, საკურთხეველის ღრმა ნახევარწრიულ ნიშებს ენიჭება. ტაძრის სამხრეთი შესასვლელი მოგვიანებით ამოუქოლავთ და ჩრდილოეთის კარით შეუცვლიათ. კირხსნარითა და ქვა-ღორღით ნაგები კედლები შიგა და გარე მხრიდან თლილი ქვის კვადრებით იყო მოპირკეთებული. დარბაზის ინტერიერი და მინაშენი მაქსიმალურად იყო გამოყენებული სამარხებისათვის.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების, კულტურული აღმავლობის ეპოქაში (XI-XIII საუკუნის პირველი ნახევარი) აიგო ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის უნიკალური ნიმუშები – ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი, სამთავრო (XI ს.), გელათის ღვთისმშობლის ტაძარი (XII ს.), ბეთანია, ფიტარეთი. ქვათახევი, წულრულაშენი (XIII საუკუნის პირველი ნახევარი) და სხვ. ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა გუმბათოვანი ტაძრის წამყვანი ტიპი, მაგრამ აჭარაში, ამ პერიოდშიც, სალოცავის უმთავრეს ნაგებობად კვლავ დარბაზული ეკლესია რჩება. ამ პერიოდის ქართულ არქიტექტურას ახასიათებს შენობათა მასშტაბებისა და პროპორციების ზრდა, ინტერიერის დინამიკური გადაწყვეტა, მდიდარი დეკორატიული მორთულობა – თაღედების, კარნიზების, კარ-სარკმელთა სახეებისა და თავსართების მრავალფეროვნება, ჩუქურთმის ფართო რეპერტუარი, შესრულების სიფაქიზე და არტისტიზმი. სამწუხაროდ, აჭარაში სრული სახით არც XI-XIII საუკუნეების დარბაზული ეკლესიები შემორჩა.

XI საუკუნის შუახანებში უნდა იყოს აგებული ეერნების ეკლესია, რომელიც მდინარე სხალთისწყლის მარცხენა მხარეს, სოფლის ცენტრში „მადიძირის“ ბორცვზე იდგა. მისგან შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი, საფეხურებიანი ცოკოლი და კედლების წყობის რამდენიმე რიგი. ამ ეტაპის დარბაზული ძეგლების მსგავსად, ტაძრის სიგრძე სიგანეს თითქმის ორჯერ აღემატება (ზომები: 13,5X7,5 მ). სამხრეთის ფასადს გასდევს სტოა, რომლის სიგანე 3,15 მ-ია. ტაძარს ორი შესასვლელი ჰქონდა – სამხრეთისა და

---

15 კალოთის რელიეფი ჯვრის წინაშე სელაპურობილი ოსტატის გამოსახულებით დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

დასავლეთის, რაც შიდა სივრცის მოცულობის გაზრდით იყო განპირობებული. დარბაზის კამარა პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით სამ მონაკვეთად იყოფოდა. გრძივი კედლები ორსაფეხურიანი ნახევარსვეტებითა და თაღოვანი ნიშებით იქნებოდა დამუშავებული. იმპოსტებით იყო შემკული საკურთხevelის თაღიც. სივრცისა და კედლების ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიებისათვის (ოხთა – X-XI სს., სავანე, ეხვევი – XI ს. და სხვ.). ამგვარი დეკორატიულ-კონსტრუქციული ელემენტები კედლის სისქის შემსუბუქებას, ნაგებობის მდგრადობასა და ცხოველხატული ეფექტების შექმნას უწყობდა ხელს. გარედან ეკლესია სწორკუთხედშია ჩაწერილი. საძირკველზე დაშენებული ორსაფეხურიანი ცოკოლი მოგრძო ‘სომის კარგად დამუშავებული ქვებითაა ნაგები. კედლები ტრადიციულად მოპირკეთებულია თლილი ქვის კვადრებით, რომელთა წესიერი თარაზული წყობა მაღალი სამშენებლო ოსტატობის მაჩვენებელია. კარნიზების, კარ-სარკმელთა მორთულობის ორნამენტული დეტალები მოწმობენ, რომ ვერნების ეკლესიას მდიდარი დეკორატიული შემკულობა ჰქონდა. ყურადღებას იქცევს ვერნების ეკლესიის ბალავარის ქვა, რომლის მარცხენა თაღოვან არეზე გამოსახული ასომთავრული წარწერით ირკვევა, რომ ეკლესია ერისთაველებს – გრიგოლს, აბუსერს, გიორგის და მათ მემკვიდრეებს აუგიათ.[16] ფილის სწორკუთხა სიბრტყეზე წარმოდგენილი ჩუქურთმის სახეები – გრეხილი თაღოვანი ლილვები, წრე-რომბებისა და წრეებში გატარებული ლენტების მოტივები, ლენტოვანი ხვეულები, მარყუჟებიანი წნულები, ვარდულები ფართოდაა გავრცელებული X-XI საუკუნეებში (კუმურდო, ჯარხალი, ოშკი, მანგლისი, იშხანი, ეხვევი, სამთავრო და სხვ.). ბრტყელ ზედაპირზე კვეთილი ჩუქურთმაც სახასიათოა ამავე დროის ძეგლებისათვის (ბაგრატის ტაძარი, მანგლისი, ხცისი და სხვ). წარწერებითა და ორნამენტებით მორთული ბალავარის ფილებიც, უფრო ხშირად, X-XI საუკუნეებში გვხვდება (შეპიაკი, იშხანი, ზედა ეარძია, ზედა თმოგვი და სხვ.). ვერნების წარწერის პალეოგრაფია – კიდურწაისრული ასოებითა და ქარაგმის ნიშნებით ანალოგიებს XI საუკუნის ნიმუშებში პოულობს (ფლავეის ჯვრის კვარცხლბეკი, სვიფის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა, სავანის, კაცხის ლაპიდარული წარწერები და სხვ.). ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებებისა და ლაპიდარული წარწერის მონაცემებით უნდა ვიფიქროთ, რომ ვერნების ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორი იყო ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული გრიგოლ ერისთავი, რომელიც 1046 წელს მონაწილეობდა დრტილას საეკლესიო კრებაში და მოხსენიებულია ათონის მონასტრის აღაპებში.[17] აღსანიშნავია ერთი საინტერესო დეტალი: ვერნების ეკლესიის ბალავარის ქვაზე წარწერის გარეშე დატოვებულია მარჯვენა თაღოვანი არე, რაც მოწმობს, რომ ოსტატმა პორტალის კომპოზიციის დასრულება ვერ მოასწრო ან მომავლისათვის გადადო. თუმცა, უდავოა, რომ ეს სიბრტყე მას უოუოდ წარწერისათვის ჰქონდა განკუთვნილი. ეს მოვლენა, შესაძლოა, განპირობებული იყო XI საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი ისტორიული ცვლილებებით. რომელსაც აბუსერისძეთა სამფლობელოების (არტანუჯის, ციხისჯვარისა და აწყურის) დაკარგვა და, შესაბამისად, მათი გავლენის შესუსტება მოჰყვა.[18]

---

16 „ქრისტე ადიდენ ერისთაენი გრიგოლ და აბუსერი და გიორგი და შვილნი მათნი გრიგოლ და ზაქარია“ (იხ. ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე. ბათუმი. 1963, გვ. 15).

17 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 114-115.

18 XI საუკუნის მეორე ნახევარი ბუნდოვანებითაა მოცული აბუსერისძეთა საგვარეულოს ისტორიაში. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ შემდგომი თაობის წარმომადგენლებმა არ ისურვეს მათი წინაპრების მიერ აგებული ვერნების ტაძრის ბალავრის ქვაზე საკუთარი სახელების ამოტვიფრა.

ქრონოლოგიურად შემდეგომ პერიოდს უკავშირდება ვანაძეების ეკლესია. ეს სალოცავი ზოგჯერ აგარის ეკლესიის სახელით მოიხსენიება, რადგან ძველად ეს სოფელი ღორჯომისწყლის ხეობის აგარის თემში შედიოდა.[19] ეკლესია სოფ. ვანაძეების სამხრეთით საყდრიქედის ბორცვზე იდგა. ამ ადგილს დღეს „ნასაყდრალი" ეწოდება. ვანაძეების (აგარის) ეკლესია წარმოადგენდა საშუალო ზომის ნაგებობას (ზომით 10X8 მ) გარედან სწორკუთხედში ჩაწერილი საკურთხეველითა და უფრო გვიან აგებული სამხრეთის ორნაწილიანი მინაშენით. საკურთხეველი ერთი სარკმლით ნათდებოდა, დარბაზის კამარა ერთ წყვილ პილასტრზე გადადებულ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების საფუძველზე, ვანაძეების საყდარი XII-XIII საუკუნეების მიჯნით შეიძლება დათარიღდეს. ეკლესიის ინტერიერის გადაწყვეტაში, კერძოდ, გრძივი კედლების თანაბარ ნაწილებად დაყოფაში გამოელინდა XII საუკუნის დარბაზული ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ნაგის სტრუქტურის გამარტივების ტენდენცია, რაც, უმთავრესად, ინტერიერის მთლიანად მოხატვის სურვილით იყო განპირობებული. ეკლესიის გაწმენდისას აღმოჩენილი პილასტრების, კაპიტელების, საგულდაგულოდ დამუშავებული ქვის ლორფინების, იატაკის ფილების დეტალები, კარ-სარკმელთა მორთულობისა და ჩუქურთმის ფრაგმენტები მიუთითებენ, რომ ტაძარი მტკიცე სამშენებლო ტრადიციებითა და მდიდარი დეკორატიული შემკულობით გამოირჩეოდა. დეკორატიული ტენდენციების გაძლიერების მიმანიშნებელია ორმაგი ლილვით შემკული ცოკოლიც, რომელიც ფართოდაა გავრცელებული XII-XIII საუკუნეების მიჯნის არქიტექტურაში, კერძოდ კი, ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ძეგლებში: ფიტარეთი, წულრეღაშენი, ლამაზი საყდარი, მაღალაანთ ეკლესია და სხვ.[20] ეს დეტალი ვანაძეების ეკლესიის ამავე ეტაპით დათარიღების მყარ საფუძველს იძლევა.

ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ XIII საუკუნის 30-იან წლებშია აგებული ხიხანის ციხის წმ. გიორგის ეკლესია. ეკლესიის მშენებლობის შესახებ ცნობებს აბუსერისძე ტბელი გვაწვდის. მისი ცნობით, ამ ადგილას უკვე დაშლილი „ძველი სახლოვანი" მდგარა. „ეკლესიის მცირობამ და ერისა ვერდატევამან" აიძულა აბუსერისძენი აქ ახალი ქვის ტაძარი აეშენებინათ. ეკლესიის მშენებლობას ტბელი ძმების „ბრძანებით" შეუდგა. იგი უშუალოდ მეთვალყურეობდა ტაძრის მშენებლობას და შესთხოვდა უფალს მიენიჭებინა მისთვის ეკლესიის „სრულქმნის" უნარი. ხატოვანია ავტორის თხრობა ტაძრის აგებასთან დაკავშირებული სასწაულების, ფათერაკებისა და სირთულეების შესახებ, რაც, უმთავრესად, ციხის მდებარეობის, მიუვალობის, მასალის გადატანასთან დაკავშირებული სიძნელეებით იყო გამოწვეული. ეკლესიის მშენებლობაში დიდი წვლილი სოფელ ბაკოს მცხოვრებლებს გაუღიათ. ავტორის თქმით, მათ „მეტის-მეტად დიდი მოიჯიერვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა ჭელვეყავ ეკლესიისა მრავალითა სახლოვნებითა აღშენებაჲ...".[21] 1233 წლისათვის, როდესაც აბუსერისძე ტბელის თხზულება დაიწერა, ტაძრის მშენებლობა დასრულებული არ იყო.[22] ხიხანის ციხის ეკლესია სიდიდით (ზომები: 4,5X3,8 მ) ბევრად ჩამოუვარდება აჭარისწყლის ხეობის სხვა დარბაზულ ტაძრებს. იგი. ძირითადად, მძლავრი თავდაცვითი კომპლექსის აუცილებელ დანამატს

---

19 შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, გვ.96-100, 117; Уварова П. , Аджария. - мак, 4, Спб., 1894, с. 223-231.

20 გ.ბერიძე. მაღალაანთ ეკლესია. – „ქართული ხელოვნება", №5, თბილისი, 1959, გვ. 212.

21 ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, გვ.12.

22 ლ.მუსხელიშვილი. ტბელ აბუსერისძე. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. თბილისი, 1941, გვ. 67; შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები (ბაზმკლევი). თბილისი, 2000, გვ. 70.

წარმოადგენდა და მცირე სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა. საძირკვლის დონემდე დანგრეული ეკლესიის დღეანდელი სახე ხუროთმოძღვრული გადაწყვეტისა და დეტალების შესახებ მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

XIII საუკუნის სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია მეტ-ნაკლებად დაცული და ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოღწეული ტაძარია აჭარაში.[23] იგი სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მთავარი ნაგებობაა. აჭარისწყლის ხეობაში გამოვლენილი დარბაზული ტაძრებისაგან განსხვავებით, მისი თავისებურებაა შვერილი შვიდწახნაგოვანი აფსიდი და სამხრეთის თაღოვანი კარიბჭე. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთისა და დასავლეთის. ეკლესიის შიდა სივრცე საზეიმო და დიდებულია. ფართო, განიერი ნავისა და აფსიდის სივრცული მონაკვეთების დაკავშირება, არქიტექტურული მასების განაწილება სიმსუბუქესა და სიხალვათეს ანიჭებს ინტერიერს. ადრეული ეკლესიებისაგან განსხვავებით, საკურთხეველის ღრმა ნიშები გვერდითი სათავსოების – სამკვეთლოსა და სადიაკვნეს გადაგვარებულ სახეს იძლევიან. კამარის საბჯენი თაღები, გრძივი კედლების დამანაწევრებელი ნახევარსვეტები და თაღოვანი ნიშები დარბაზულ ნაწილს სამ მონაკვეთად ყოფენ. ტაძარი თანაბრადაა განათებული 9 მაღალი თაღოვანი და ორი წრიული სარკმლით. კედლები მოპირკეთებულია თლილი ქვის კვადრებით, რიყის ქვები მხოლოდ კამარის შუაგულშია გამოყენებული. დახვეწილი ხუროთმოძღვრული ფორმები და კონსტრუქციები მაღალი სამშენებლო ოსტატობის მაჩვენებელია. ინტერიერის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, ძირითადად, დამახასიათებელია XII-XIII საუკუნეებისათვის, თუმცა, ვერტიკალური ღერძის შესუსტებისა და სარკმელთა შედარებით დაბლა განთავსების ტენდენციები XIII საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლებში იჩენენ თავს. ამ ეტაპის ხუროთმოძღვრული თავისებურებანი უფრო მეტად შეიგრძნობა ექსტერიერის გადაწყვეტაში. ეკლესიის გარეგნული ფორმები მასიური და მძიმეა. ტაძრის დარბაზული ნაწილი გადახურულია ორქანობა, ხოლო აფსიდი – კონუსური ფორმის სახურავით. მონაცრისფრო-თეთრი ქვის პერანგი გამომსახველობას ანიჭებს ტაძარს. ძირითადად მორთულია აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები, რომელთა შემკულობას კარ-სარკმელთა ორნამენტული დეკორი შეადგენს. შენობის მხატვრულ სახეში დიდი როლი ენიჭება თლილი ქვის კედელს, გლუვ ზედაპირს, დეკორატიული ელემენტების „ფერადოვან აქცენტებს". წახნაგოვანი აფსიდი ტაძრის ყველაზე პლასტიკური ელემენტია. შვერილი აფსიდის არსებობა XIII საუკუნისათვის სახასიათო ძველი მოტივების გახსენების გამოხატულებაა. საკურთხეველის სამსარკმლიანი კომპოზიცია დარბაზულ ეკლესიებში გუმბათოვანი ტაძრების მოტივთა შეჭრითა და შვერილი აფსიდით არის განპირობებული (ვანნაძიანის ყველაწმინდა, გელათი, ლურჯი მონასტერი, ტიმოთესუბანი, თბილისის მეტეხი, ხობი, ცაიში, ლიხაური და სხვ.). სხალთის ეკლესიის მორთულობის სისტემა, კარ-სარკმელთა ტიპები და მცენარეული, გეომეტრიული თუ შერეული ორნამენტული მოტივები ანალოგიებს XIII საუკუნის შუა წლების ნიმუშებში პოვებს. ორნამენტები საუკუნეების განმავლობაში გავრცელებულ მოტივთა ვარიაციებზეა აგებული, გვხვდება როგორც ფართოდ გავრცელებული მცენარეული და გეომეტრიული ფორმები (კლაკნილი ფოთლოვანი ყლორტის, წრე-რომბების, წრეების ხლართის მოტივები), ისე სხვადასხვა ელემენტის კომბინაციით (სამყურა ფოთლისა და ლენტების წნულის ვარიაციებით) მიღებული სახეები. სხალთის ჩუქურთმა მშრალია და დაქუცმაცებული, ნახატი – მჭიდრო, ხოლო შესრულების დონე – რამდენადმე ხელოსნური. სამხრეთის სამნაწილიანი

---

23 რ.მეფისაშვილი. სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი. – ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში. ბათუმი, 1955, გვ. 85-105; შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 73-82; მ.ჭიჭილეიშვილი. სხალთის ეკლესიის ხუროთმოძღვრება. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, ბათუმი, 2000, გვ. 90-103.

მინაშენი უფრო გვიანაა აგებული, თუმცა, კომპოზიციური გადაწყვეტა ცხადყოფს, რომ მისი მშენებლობის ხანა საგრძნობლად არ უნდა შორდებოდეს ტაძრის აგების პერიოდს.

თამარისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ხანაში დასრულდა ქართული არქიტექტურის მეორედ აყვავების პერიოდი (XI–XIII საუკუნის პირველი ნახევარი). ცხოველხატული სტილის განვითარების დამამთავრებელი საფეხური XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ისახება. XIII საუკუნის შუახანებიდან ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავს იჩენს ზოგი ახალი თავისებურება: ეკლექტიზმი, მხატვრული მთლიანობის რღვევა, პროფესიული დონის დაქვეითება, მასშტაბების შემცირება, ფორმათა მასიურობა და სიმძიმე, დეკორატიული შემკულობის სისადავე, ორნამენტის ხელოსნური ხასიათი და სხვ. სხალთის ტაძრის პროპორციები, მასიური ფორმები, კედლის სიბრტყეში „ჩაძირული" სარკმელთა პროფილები, ნუჭურთმის ნახატის დაწერილმანების ტენდენცია, მოტივთა ეკლექტურობა, ბლუვი კარნიზის არსებობა XIII საუკუნის შუახანების თავისებურებებზე მიანიშნებს. სხალთის ტაძარს შუალედური ადგილი უჭირავს XIII საუკუნის პირველი ნახევრისა და XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ძეგლებს შორის. სამშენებლო ოსტატობის ტრადიციები სხალთაში ჯერ კიდევ მყარია. გვიანდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნები, უმთავრესად, ძეგლის პროპორციების ხასიათსა და ორნამენტული დეკორის შესრულებაში ვლინდება. XIII საუკუნის აჭარის ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, სხალთის ეკლესიის დამკვეთნიც უთუოდ აბუსერისძენი იყვნენ. ძეგლის სტილისტური ანალიზი მოწმობს, რომ მისი მშენებლობა აბუსერისძე ტბელის თხზულების დაწერის შემდგომ ხანას, კერძოდ, XIII საუკუნის 40-70 წლებს უკავშირდება. სამშენებლო კულტურის მაღალ დონეს აჭარაში ხელოსნობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები განსაზღვრავდა. ცნობილია, რომ ხელოსნები აჭარიდან სხვადასხვა კუთხეში მიეშურებოდნენ სამუშაოდ, რაც მათ თანადროული მხატვრული სიახლეების გაცნობის საშუალებასაც აძლევდა. სხალთის ხუროთმოძღვრებაც თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელოვანის შემოქმედებითი ნიჭისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების გამოხატულებაა.

ზემოთ განხილული საკულტო არქიტექტურის სხვა ნიმუშებიც ქართული კულტურისა და ხელოვნების აყვავების პერიოდისათვის დამახასიათებელი სინატიფითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩეოდა, რაც, თავის მხრივ, X-XIII საუკუნეების აჭარაში წარმოებული ინტენსიური და ფართო აღმშენებლობითი საქმიანობის შედეგი იყო.

§7. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები

XX საუკუნის 70-80-იან წლებში მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება განხორციელდა აჭარის სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის. საგანძური შეიკსო ქვის, ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის არაერთი მონაპოვრით, რომელთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა სამარხეულმა ძეგლებმა.

აჭარაში განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვნებიდან დღემდე შესწავლილია 180 სამარხი. მათ შორის: თხილვანაში – 35, ვერნებში – 23, თიკანაურში – 13, სხალთაში – 29, საციხურში – 36, ეანაძეებში – 16, კალოთაში – 28.[1]

[1] შ.ბამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 117-142; მისივე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების სამაროვნები. ბათუმი, 1998.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, გამოიყოფა შემდეგი ტიპის სამარხები: 1. ორმოსამარხები; 2. ქვის სამარხები ანუ ე.წ. ქვაყუთები; 3. ამოშენებულ კედლიანი სამარხები; 4. აკლდამა. ყველაზე მრავალრიცხოვანი (169) ორმოსამარხი აღმოჩნდა. აჭარის მაგალითზე *ორმოსამარხები* ერთ-ერთი ძირითადი და გავრცელებული სახეა აქაურ მკვიდრთა დაკრძალვის წესებში. ისინი ორი სახისაა: ინდივიდუალური და კოლექტიური. სამარხები განსხვავებულია ფორმის მიხედვით. ახალშობილი ბავშვებისათვის განკუთვნილი იყო წესიერი ოთხკუთხედის მოყვანილობის სამარხი. კოლექტიური, საოჯახო თუ საგვარეულო ორმოსამარხებს ამჩნევია მრავალჯერადი გამოყენების კვალი. სამარხთა მაქსიმალური სიგრძე 1,8-2,7 მ-მდე მერყეობს და მათი მოცულობა მიცვალებულთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. სამარხში უმეტესწილად ორი, სამი, ზოგჯერ 5-8 მიცვალებული ყოფილა დაკრძალული. როგორც წესი, ყველა სამარხი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ადრეფეოდალურ ხანაში, ასევე განვითარებულ შუა საუკუნეებში, ძირითადად, გავრცელებულია ქვის სამარხები. ორმოსამარხები მცირეა და ინდივიდუალური დაკრძალვის დროსაა გამოყენებული.[2]

ორმოსამარხები ცნობილია სამარხთა უძველეს ტიპებად. ეს კარგად ჩანს თხილვანის იოანე მახარობლის სახელობის ეკლესიის მაგალითზე. თხილვანა აჭარის ერისთავეთერისთავების – აბუსერისძეების საგვარეულო ეკლესია იყო და მათი დაკრძალვისათვის გამოიყენებოდა. ეკლესიის შიგა და მიმდებარე ტერიტორიებზე შესწავლილი 35 სამარხიდან ყველა ორმოსამარხი აღმოჩნდა. საპატიო თუ დიდგვაროვან პირთათვის ეკლესიის ტერიტორიაზე საგანგებოდ დასაკრძალავი ადგილები შეიჩრეოდა. ამასთან ერთად, მასიურად გავრცელებული ორმოსამარხები გამოიყენებოდა როგორც რიგით, ისე წარჩინებულ პირთა დასაკრძალავად. ასევე ითქმის ადრეფეოდალური ხანის სამარხების მისამართითაც. ეს ჩანს ფიჭვნარის („ნაპურვალა"), ბობოყვათის, ციხისძირისა და სხვა ძეგლების მაგალითზე. ფიჭვნარის ბაზილიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი 12 სამარხიდან 11 ორმოსამარხია, რომლებშიც ნივთებიც აღმოჩნდა (მინის ჭურჭელი, ჯვრები და სხვ.). სამარხები თარიღდება V-VIII საუკუნეებით.[3] მე-12 სამარხიც ორმოსამარხთა ტიპს განეკუთვნება, მაგრამ იგი თიხის 18 ფილით იყო გადახურული. მასში აღმოჩნდა ადამიანის ძვლების ნაშთების გროვა. უდავოა, რომ იგი წარმოადგენდა წარჩინებული პირის კენოტაფურ სამარხს. ასეთივე სურათი შეინიშნება ციხისძირის აკროპოლის ბაზილიკისა (აქ წარმოდგენილია შუა ფეოდალური ხანის ერთეული სამარხები) და გარე ქალაქის გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ინვენტარიანი სამარხების მაგალითზე.[4] ორმოსამარხი და ერთი ამყორასამარხი აღმოჩნდა ბობოყვათის VI-VII საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიის ტერიტორიაზე.[5] ადრეფეოდალური ხანის ორმოსამარხები საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა (მთა რაჭა, ქუთაისის მახლობლად სოფ. აჯამეთი, ზემო იმერეთი-თერჯოლის რაიონის სოფ. ძევრი, საგვარჯილის მღვიმე, წებელდა, ახალი ათონი, ანაკოფიის ციხე-სიმაგრის შიგნით არსებული ეკლესიის ტერიტორია და ა.შ).[6]

განვითარებული შუა საუკუნეების აჭარის ძეგლებზე ქვის 8 სამარხია აღმოჩენილი. ისინი შეკრულია 4 ან 6 კარგად დამუშავებული შირიმის ქვებით, ზოგჯერ – დაუმუშა-

---

[2] გ.ლომთათიძე. რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. – მსკა №1, თბილისი, 1955, გვ. 192; ლ.ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი. თბილისი, 1958, გვ. 147; მისივე. ქალაქი ურბნისი. თბილისი, 1964, გვ. 60-65; რ.რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-89; ბ.ჯორბენაძე. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბილისი, 1982, გვ. 94-96.

[3] ნ.ინაიშვილი. მინის ჭურჭელი პეტრა-ციხისძირიდან. – სდსძ, XIX, თბილისი, 1991, გვ. 62-87; მისივე. ახ.წ. I-IV სს არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1993, გვ. 76-77.

[4] ნ.ინაიშვილი. ახ.წ. I-IV სს არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1993, გვ. 76-77.

[5] ნ.ინაიშვილი. პეტრას საეპისკოპოსო კათედრა. – ბიზანტოლოგია საქართველოში-2. თბილისი, 2009, გვ. 282.

[6] ა.აფაქიძე. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. – სსმ, XIV-3, თბილისი, 1947;

ვებელი ფილაქვებით. 2 ან 4 გრძელი ქვის ფილა გამოყენებულია გვერდით კედლებად, ხოლო თითო — თავ-ბოლოზე. სამარხები საოჯახო განსასვენებელი უნდა ყოფილიყო. ზოგ სამარხში დაკრძალულია სამი, ზოგშიც 10-15 მიცვალებული. სოფელ კალოთის სამარხში ასვენია როგორც ბავშვების, ასევე ზრდასრულ ადამიანთა ძვლები. სამარხთა დამხრობა ტრადიციულია: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

დასავლეთ საქართველოდან აღნიშნული პერიოდის ქვაყუთიანი სამარხები უცნობია. აღმოსავლეთ საქართველოში კი ასეთ სამარხებს წამყვანი ადგილი უკავია.[7]

აჭარის მთიანეთში მცირე რაოდენობით გვხვდება ამოშენებულ-კედლიანი სამარხები. ჯერჯერობით აღმოჩენილია ამ ტიპის 4 სამარხი (ვერნებში 3, სხალთაში — 1). სამარხები კოლექტიურია. სხვა სამარხებთან შედარებით, ამათი ზომებიც დიდია (სიგრძე — 2,1-2,8 მ აღწევს, სიფართე — 1,85-2 მ შორის მერყეობს). ერთ სამარხში ჩასვენებული იყო რამდენიმე მიცვალებული

ერთადერთი *აკლდამა-სამარხი* აღმოჩნდა სხალთის მცირე ეკლესიის შიგა ტერიტორიაზე. ეკლესიის სამხრეთი კედლის გასწვრივ. აკლდამის გვერდები ამოშენებულია დამუშავებული თლილი ქვებით. სახურავად გამოყენებულია კარგად დამუშავებული მოგრძო ფორმის თლილი ქვის ფილები, რომლებიც განძის მაძიებელთ დაუშიანებიათ და უსისტემოდ დაუყრიათ. აკლდამაში 25-მდე ინდივიდის ძვლები ეყარა. აქვე ეყარა კერამიკული ნაკეთობის ნაშთები.

აჭარის ტერიტორიაზე შესწავლილი სამაროვნების მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ აქაური მოსახლეობის *დაკრძალვის წესებსა* და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს მთელი განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე.

აჭარაში ორმოსამარხები გამოყენებული იყო კოლექტიური დაკრძალვისათვის. თანაც, ერთ და იმავე სამარხს რამდენჯერმე იყენებდნენ, რაც აჭარის ორმოსამარხების თავისებურებაა. პირველ მიცვალებულს კრძალავდნენ შედარებით ღრმად. მეორადი გამოყენებისას სამარხებში ჩონჩხს ორმოს რომელიმე კუთხეში მიახვეტდნენ და თავისუფალ სივრცეში ახალ მიცვალებულს დამარხავდნენ. ან კიდევ, მორიგი დასაფლავების შემთხვევაში სამარხში ქმნიდნენ ახალ დასაკრძალავ მოედანს. მსგავსი დაკრძალვის გზით წარმოიქმნებოდა საოჯახო თუ საგვარეულო ორ-სამფენიანი კოლექტიური სამარხები.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში აჭარაში დაკრძალვის წესები რამდენადმე მსგავსია საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული კანონიკური წესებისა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქვაყუთების, ამოშენებულ-კედლიანი სამარხების და აკლდამების შესახებ.

კოლექტიური დაკრძალვისათვის განკუთვნილი სამარხების კონტურები ხშირ შემთხვევაში დარღვეულია და მას სხვადასხვა ფორმა აქვს მიღებული. ეს კარგად ჩანს თხილვანის, საკიხურის, თიკანაურის და ვერნების ეკლესიების ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხების მიხედვით. არის შემთხვევა (თხილვანა, სხალთა, ვერნები, კალოთა), როცა მოსახლეობის ზრდის შედეგად თავს იჩენდა დასაკრძალავი ადგილის სივიწროე. ამ შემთხვევაში მოსახლეობა ხელმეორედ იყენებს უპატრონოდ დარჩენილ სამარხებს. გვ-

---

გ.ლომთათიძე. საქართველოს მოსახლეობის..., გვ. 61; გ.ცქიტიშვილი. საგვარჯილეს ორმოსამარხები (1952 წ. გათხრის ანგარიში). — ივ.ჯავახიშვილის სახ.ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესხის კრებული, თბილისი, 1953; Трапш М.М. О некоторых итогах археологической исследовании в с.Цебельда Сухумского р-на. Труды Абхаз. ИЯЛИ, 1961, т.32, ბ ხ ვ ე. Некоторые итоги раскопок Цебельдинских некрополей в 1960-1962 гг. Абхаз. ИЯЛИ, 1963, т.34; Трапш М.М. Археологические раскопки в Анакопии в 1957-58 гг. ИЯЛИ, XXX, Сухуми, 1959, с.125-128.

[7] რ.რამიშვილი. ბერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, გვ. 67; ლ.ჭილაშვილი. ძველი გაგაზი, გვ. 45, 70-71; ლ.ჭილაშვილი. არეშის ნაქალაქარის გათხრები. — სსმმე, V, თბილისი, 1977, გვ. 117; ლ.ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი. გვ. 137-138; გ.ლომთათიძე. რუსთავში წარმოებული..., გვ. 174-181, 192; ბ.ჯორბენაძე. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, გვ. 94-96. ზემოთ დასახელებულ ავტორებთან იხ. სათანადო ლიტერატურა.

ხედება სამარხებში ორ-სამ ფენად დასაფლაყების შემოხვეყებიც. ჩაყოლებული მასალების (ჯამები, სასმისები) ერთფეროვნების გამო სამარხთა თუ ცალკეულ ფენათა ქრონოლოგიური გამიჯვნა ძნელდება.

სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვის პოზა შემდეგნაირია: ისინი წვანან გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთის კენ. ხელები უმეტესწილად მუცლის ან გულმკერდის არეში აქვთ დაწყობილი, ზოგჯერ ნიკაპთან, ან კიდევ ერთი ხელი მუცლის არეში, ხოლო მეორე — ნიკაპთან.

საციხურისა და კალოთის ეკლესიების ტერიტორიაზე არსებული სამარხების შესწავლისას მეტად საყურადღებო ფაქტს წავაწყდით. მიცვალებულს სახის არეში დაფარებული ჰქონდა ქვევრის თუ სხვა რომელიმე კერამიკული ჭურჭლის მოხრდილი ნატეხი. ამ მიზნით ხშირადაა გამოყენებული თიხის ჯამებიც. მსგავსი შემთხვევა საქართველოს შუა საუკუნეების სამარხების შესწავლის პრაქტიკაში ჯერჯერობით უცნობია. ესეც აჭარაში არსებული სამარხთა ერთ-ერთ თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი რიტუალები აჭარის სინამდვილეში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ადრეულ ეპოქებშიც. ამ მხრივ საყურადღებოა ელინისტური ხანის ფიჭვნარის ერთ-ერთ სამარხში 1965 წელს აღმოჩენილი ვერცხლის თეალსაფარი. ასეთივე სურათი დადასტურებულია ძ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ალგეთის (წინწყაროს) სამარხში, სადაც მიცვალებულს საფარი ბაგეზეც ჰქონდა და თვალებზეც.[8] ე.ი. მიცვალებულის სახე ამ მხრივ სავსებით „გაპატიოსნებული" ყოფილა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რაკი ჩრდილო კავკასიის და ყირიმის მაგალითზე რომაულსა და გვიან სკვითურ ხანაში ბაგის საფრები და თვალსაფრები არატიპურია, სამარხებში მათი ჩატანების ჩვეულება იქ სამხრეთიდან უნდა იყოს შემოტანილი და უნდა წარმოადგენდეს ოქროს ნიღბების ჩატანების ძველებური წესის ნაწილობრივ შემორჩენილ ვარიანტს.[9] კლდეთისა და ქერსონესის ანტიკურ სამარხებში აღმოჩენილი ბაგისსაფრები გამარტივებულია.

საციხურსა და კალოთაში აღმოჩენილი ბაგისსაფრები ძალზე გაუბრალოებულია, რაც მივიწყებული ძველი ჩვეულებების ერთ-ერთი უკანასკნელი საფეხური უნდა იყოს. როგორც ჩანს, მოის ზოლში ეს წესი დაკონსერვდა და დიდხანს არსებობდა.

აჭარისწყლის ხეობის საეკლესიო ნაგებობების ტერიტორიაზე შესწავლილ სამარხებზე დაკვირვებით ჩანს, რომ სამარხებისთვის ძირითადად გამოყენებული იყო ეკლესიის შიდა და მიმდებარე აღმოსავლეთი თუ სამხრეთი ტერიტორიები. ეს ადგილები გამოირჩევა სამარხების სიმრავლით, სიმჭიდროვითა და მრავალფენიანობით. აქ მიწის თითოეული გოჯი მაქსიმალურადაა გამოყენებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეკლესიას საპატიო და გამორჩეულ ადგილებად სამარხთა ტერიტორიები ითვლებოდა. ანალოგიური სურათი ჩანს აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიის გარშემო განლაგებული სამარხების მიხედვითაც.[10] იშვიათ შემთხვევაში (სხალთა, ვანაძეები) სამარხებად გამოყენებულია ეკლესიის დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეებიც. ჩანს, რომ ეკლესიებისაგან მოშორებით არსებულ ტერიტორიებზე სიხალვათე იგრძნობოდა და ისინი გამოყენებულია ძირითადად ინდივიდუალური ორმოს ტიპის სამარხებისათვის.

აჭარისწყლის ხეობაში შუა საუკუნეების 180 შესწავლილი სამარხიდან 125 შეიცავდა სხვადასხვა რაოდენობის ინვენტარს. ინვენტარში ძირითადად გვხვდება ცალყურა თუ ორყურა სასმისები და ჯამები, თითო-ოროლა ჯვარი, მონეტა, ბალთა, ბეჭედი, მინის ნაწარმი და ა.შ. ზოგჯერ სასმისებთან და ჯამებთან ერთად საფლავში ატანდნენ მოჭიქული ჭურჭ-

---

8 Б.Куфтин. Археологические раскопки в Триалети. I, 1941, с. 39–40; გ.ლომთათიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

9 Б.Куфтин. დასახ. ნაშრომი, გვ. 39-40.

10 ლ.ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი. გვ. 147; რ.რამიშვილი. იერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. I, (სიონი), გვ. 89; ბ.ჯორბენაძე. ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს. ჟინვალი I, გვ. 155.

ლის ნატეხებს (ეურნები, სხალთა, სხალთის აკლდამა და ტაძრის სამხრეთ მხარეში გამართული საძვალე). ასეთივე სურათი დადგინდა აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების სამაროვნების შესწავლისას.[11] ინვენტარის შედარებით ასეთი ხშირი ნაკლები შუა საუკუნეების სამარხებში რამდენადმე უცნაურად გვეჩვენება, რამდენადაც ამ ეპოქის მიცვალებულისათვის სასურველი საგნების ნატანების რიტუალი თითქმის საბოლოოდ მიეიწყებული უნდა იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების სამარხეულ ინვენტარში ძირითადად გვხვდება ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები და სამკაულები. თასის ჭურჭელია ნაპოვნი რუსთავის, სიონის და ფინეადის სამარხებში აკარაში აღმოჩენილი შუა საუკუნეების სამარხებში კი ძირითადად კერამიკული ნაწარმია წარმოდგენილი. სამარხეულ ინვენტარად მხოლოდ ერთი და იგივე სახის ჭურჭელს იყენებდნენ. რაც უფრო რელიგიური მოტივებით უნდა აიხსნას, ვიდრე ეკონომიკური ფაქტორით.

ზოგიერთ სამარხში გვხვდება დაზიანებული ჭურჭელი, რომელიც, როგორც ჩანს, საკანონებოდაა დამტვრეული. ანატეხებზე დაკვირვებით ჩანს, რომ ისინი მიცვალებულის დამარხვამდეა დაზიანებული. დამტვრეული ნიმუშების გამოყენება როგორც ადრეულ, ისე განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვნების ფენებში საერთოდ ცნობილი ფაქტია.[12] სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ამგვარი წესი სიკვდილის სიმბოლიზებულ აქტთან უნდა იყოს დაკავშირებული.[13]

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ ფაქტზე. აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების სამაროვნების კვლევის შედეგების მიხედვით ჩანს, რომ ეკლესიების გარშემო სამარხების თავმოყრა დაიწყო IX საუკუნეში, ხოლო მასობრივი ხასიათი მიიღო ამ საუკუნის ბოლოს და X საუკუნეში.[14] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი სამარხების მიხედვით განსხვავებული ვითარება შეინიშნება. კერძოდ, ქობულეთ-ფიჭვნარის, ბობოყვათის, ციხისძირის ადრე შუა საუკუნეების სანის საეკლესიო ნაგებობათა ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხები კარგად თარიღდება თანმხლები ინვენტარის (მინის ჭურჭლები, ჯვრები და სხვა) მიხედვით. ასე რომ სამარხების საეკლესიო ნაგებობებთან თანდათანობითი დაახლოდების პროცესი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვითაც გაცილებით ადრე დაწყებულა.

აკარის წყლის ხეობის სამაროვნების შესწავლისას რამდენიმე სამარხში (სხალთა, ეურნები, საციხური) დაფიქსირდა ოქრას (წერნაქის) ნარჩენები. არაა გამორიცხული, რომ საქმე გქონდეს მიცვალებულზე წითელი ფერის ოქრას მოყრის საკმაოდ უძველეს წესთან, რომლის მიხედვითაც მიცვალებული აღდგენადი, შობადი იყო. წითელი ფერი უძველესი დროიდან ხალხის აზროვნებაში სისხლისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენდა.[15] არაა გამორიცხული, ამ გარემოებით იყოს განპირობებული სამარხებში მიცვალებულზე წერნაქის მოყრის უძველესი წესიც.

განხილული მონაცემები ცხადყოფს, რომ განვითარებულ ფეოდალურ ხანაში აკარა ქართული ქრისტიანული სამყაროს დაწინაურებული კერა იყო.

---

[11] ლ.ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი. გვ. 137; გ.ლომთათიძე. რუსთავში წარმოებული..., გვ. 192-195; მისივე: ძველი გავაზი. გვ. 45, 70-71; Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии. - СА, 1957, т. 27, с. 283-284; აღნიშნულ ავტორებთან იხ. სათანადო ლიტერატურა.

[12] ნ.ფეხვაია. ქვემო ალაზანი ადრეულ შუა საუკუნეებში, გვ. 51.

[13] Амусик И.М. Кумранская община. М., 1983, с. 120; Домик Г.О. О похоронном обряде кетов. - СА, 1961, с. 103; Плетнева С.А. От кочевий к городам. М., 1967, с. 16; Литвинский Б.А., Седов А.В. Культовые ритуалы Кушанской Бактрии. М., 1984, с. 105; Кропоткин В.В. Могильник Суд к-су. - СА, №1, 1959, с. 190.

[14] რ.რამიშვილი. სიონი, გვ. 132.

[15] ი.სურგულაძე. ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მომაკვდავი და აღდგენადი ღვთაებები). — მსგ. თბილისი, 1978, გვ. 83; დგიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბილისი, 1987, გვ. 10.

ցանցան օրից տեսք I եղբրեղ



ხახნის ციხე XI ს.





ხახნის ციხის გეგმა, ჭრილი და ხედი
(მხატვარ-არქიტექტორი ჯუმბერ ბაქრაძე 1976 წ.)

ეკლესიები XI-XIII სს.

ეზოსგვერდა XI-XIII სს.



ბაგინის ციხე. XI–XIII სს.



დარბაზების (ეკლესიების) ციხე. XI–XIII სს.

ჭვანის ციხესოფლის ეკლესია XI-XIII სს.



ჭვანის ციხის მარანი

ოქრიანდაურის ციხე XI-XIII სს.



ნიფხვევლის ციხე XVI-XVII სს.

ქვის თაღიანი ხიდები. IX-X სს.





ძახუნცეთის ხიდი

ფეიქრების ხიდი



ფონიჭალის ხიდი

ხის გადახურული ხიდები



ყინტრიშის ხეობა



ყინტრიშის ხეობა



კონტრაფის ხიდი



კონტრაფის ხიდი



მერანის ხიდი

საეკლესიო ხუროთმოძღვრება

სხალთის ეკლესია



ეკლესიის ფრაგმენტი ჭრილი ხედი დასავლეთიდან



სხალთის ეკლესიის გეგმა

სხალთის ეკლესიის ფრესკები





სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები (სხალთისა და ღორჯომის ხეობები)

განვითარებული შუა საუკუნეები

სოფ. ქალოთა



სოფ. სხალთა

სოფ. ქალოთა



ხიდ. კარდოსა

თავი IV

აჯარა ოსმალთა მფლობელობაში

§1. სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის მიტაცება ოსმალეთის მიერ

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში შეიქმნა ოსმალეთის სახელმწიფო, რომლის დამაარსებლად ითვლება თურქული მოდგმის ერთ-ერთი ტომის ბელადის – ერთოღულის შვილი ოსმანი (1281-1326 წწ). ეს თურქული ტომი მონღოლთა შემოსევების დროს, XIII საუკუნის 30-იან წლებში, შუა აზიიდან მოვიდა მცირე აზიაში. სელჩუკთა სულთანმა სამხედრო სამსახურისთვის ერთოღულს უბოძა ეჯი (სამთავრო, საბეილიქო) ბიზანტიის საზღვართან ახლოს. ეჯბეგებს ევალებოდათ სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრების დაცვა და უფლება ჰქონდათ მოეხდინათ თავისი სამფლობელოების გაფართოება მეზობელი ქვეყნების ხარჯზე.

1281 წელს ერთოღული გარდაიცვალა და ტომის ბელადი გახდა მისი შვილი ოსმანი, რომლის დროს სამთავროს საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა. 1299 წელს ოსმანმა სელჩუკთა სულთანისაგან მოიპოვა დამოუკიდებლობა. აქედან იწყება ოსმალეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. ახალმა სახელმწიფომ და დინასტიამ ოსმანის (ოსმალეთის) სახელწოდება მიიღო.

ოსმალეთი სამხედრო ფეოდალური სახელმწიფო იყო და მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს დაპყრობითი ომები შეადგენდა. სახელმწიფოს ორგანიზაციაც ამის შესაბამისად იყო მოწყობილი. ოსმალთა დაპყრობითი ომები რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული. „საღვთო" ომების დროს ოსმალები წვავდნენ და ანგრევდნენ ქალაქებსა და სოფლებს, მოსახლეობას ტყვეებად ყიდდნენ, ნაწილს კი ამაპმადიანებდნენ. ისინი თავისი განვითარების დონით გაცილებით ჩამორჩებოდნენ დაპყრობილ ხალხებს. ამ დროს არსებული საერთაშორისო ვითარებაც დიდად უწყობდა ხელს ოსმალეთს დაპყრობითი ზრახვების განხორციელებაში. მეზობელი ქვეყნები, განსაკუთრებით, ბიზანტია, დასუსტებული იყვნენ. ოსმალეთმა მოხერხებულად გამოიყენა შექმნილი ვითარება და დაპყრობითი ომების შედეგად პატარა სამთავრო მალე იმპერიად გადაიქცა.

1326 წელს ოსმალებმა ორჰანის (1326-1362) მმართველობის დროს დაიპყრეს მდიდარი სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრი ქალაქი ბურსა და იქ გადაიტანეს დედაქალაქი. 1330 წელს დაიპყრეს იზნიქი, 1337 წელს – იზმითი და გავიდნენ მარმარილოსა და შავი ზღვების სანაპიროზე. XIV საუკუნის განმავლობაში ოსმალეთმა ანატოლიაში სხვა ბეილიქებიც შეიერთა. მათ წარმატებას მიაღწეს ევროპაშიც. 1352 წლიდან იწყება ოსმალთა ექსპანსია ბალკანეთის ქვეყნების მიმართ. 1365 წელს ხელთ იგდეს ადრიანოპოლი და სატახტო ქალაქი ბურსიდან იქ გადაიტანეს. XIV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა დაიპყრეს ბულგარეთი და ხელთ იგდეს სერბიისა და უნგრეთის ქალაქები და სოფლები.

მურად I (1362-1389 წწ) დროს ძირითადად დასრულდა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი. ოსმანი და მისი შვილი ორჰანი ბეგის ტიტულს ატარებდნენ. მურადმა პირველმა მიიღო ხონთქრის ტიტული, ხოლო ბაიაზიდმა – სულთნისა.

ოსმალებმა თანდათანობით სრულყვეს თიმარული სისტემა, რომელიც შემდეგ გახდა ოსმალეთის ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი.[1]

თიმარული სისტემის საფუძველზე ოსმალეთში შეიქმნა რეგულარული ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ოსმალეთის სამხედრო შენაერთების შორის. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოსმალთა დაპყრობითი ომების წარმოებაში.

განუწყვეტელი ომები მოითხოვდა მუდმივი ქვეითი ჯარის შექმნის აუცილებლობას. ორხანმა დააარსა რეგულარული ქვეითი ჯარი – იანიჩარი (ახალი ჯარი). იანიჩრებს თავდაპირველად ქრისტიანი სამხედრო ტყვეებისაგან აკომპლექტებდნენ, რომლებიც ნებაყოფლობით მაჰმადიანდებოდნენ. შემდგომ ეს წესი შეიცვალა. მურად I დროს შემოიღეს დეევშირმეს წესი, რომლის საფუძველზე ოსმალთაგან დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში იძულებით კრებდნენ 8-12 წლის ჭაბუკებს იანიჩართა რიგების შესავსებად.

ისლამის მიღების შემდეგ, ისინი დროებით იგზავნებოდნენ სოფლად თურქულ ოჯახებში თურქული ენის შესწავლის მიზნით, ხოლო 3-4 წლის შემდეგ მათ ამოხადებდნენ სამხედრო სამსახურისთვის. იანიჩრებს ნება არ ჰქონდათ ცოლის შერთვისა და ოჯახის ყოლისა. ისინი იმყოფებოდნენ სულთნის განკარგულებაში. იენიჩართა ჯარის დიდი უმრავლესობა დედაქალაქში იმყოფებოდა, დანარჩენები კი განლაგებული იყვნენ დიდ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში.

იანიჩართა კორპუსი იყო რეგულარული, კარგად გაწვრთნილი და მუსლიმური ფანატიზმით გამსჭვალული ქვეითი ჯარი. იგი გახდა ძირითადი ძალა, რომელსაც ყურდნობოდნენ სულთნები როგორც დაპყრობითი ომების ჩატარებისას, ასევე ქვეყნის შიგნით ოჯაყეებების ჩასაქრობად.

ბაიაზიდ I (1389-1402 წწ), რომელსაც მეტსახელად ილდირიმი (ელვა) შეარქვეს, დაპყრობით ომებს აწარმოებდა როგორც ევროპაში, ისე მცირე აზიაში. სერბიისა და ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალები მიადგნენ უნგრეთის საზღვრებს და საფრთხე შეუქმნეს ცენტრალურ ევროპას. 1397 წელს ოსმალთა ჯარები ატიკასა და პელოპონესში შეიჭრნენ და სასტიკად ააოხრეს ქვეყანა.

ამ დროს ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა მცირე აზიისა და ბალკანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი. კუნძულივით დარჩენილი იყო მხოლოდ კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის დედაქალაქი. ბაიაზიდი შეუდგა ქალაქის დაპყრობის სამზადისს. მაგრამ ამ დროს მან შეიტყო თემურ-ლენგის წინა აზიაში გამოჩენის ამბავი. აზიის ორი დიდი დამპყრობელი ერთმანეთს წინ აღუდგა. 1402 წელს ანგორას (ანკარა) ველზე მოხდა დიდი ბრძოლა, რომელიც თემურ-ლენგის გამარჯვებით დამთავრდა.

მცირე აზიაში თემურლენგის შეჭრამ დროებით იხსნა კონსტანტინოპოლი ოსმალთა ბატონობისაგან. თემურ-ლენგმა ოსმალეთის სახელმწიფო დაუნაწილა ბაიაზიდის 4 შვილს. მათ შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის და დროებით ოსმალეთის სახელმწიფო დაიშალა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მუამედ I (1413-1421 წწ) დაამარცხა თავისი ძმები და აღადგინა სახელმწიფოს მთლიანობა.

მურად II (1421-1451 წწ) დროს კვლავ განახლდა დაპყრობითი ომები როგორც მცირე აზიაში, ისე ბალკანეთში. 1422 წელს ოსმალებმა კვლავ მიიტანეს იერიში კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ, რადგან სულთანს არ გააჩნდა საიანადო ფლოტი და საალყო მანქანები, რომელთა გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო ქალაქის აღება.

---

[1] ვ.სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.). თბილისი, 1999, გვ. 86-98.

ევროპის სახელმწიფოების ყველა ცდა – მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა ოსმალთა წინააღმდეგ და დახმარება აღმოეჩინათ ბიზანტიის დედაქალაქისათვის, მარცხით დამთავრდა. 1453 წელს, სულთან მეჰმედ II დროს (1451-1481 წწ), კონსტანტინოპოლი აღებულ იქნა, რითაც საბოლოოდ მოისპო ბიზანტიის სახელმწიფო. ოსმალთა ხელში მნიშვნელოვანი ქალაქისა და ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრის გადასვლამ მათ საგრძნობლად შემატა ძლიერება და მკვეთრად გაზარდა ბალკანეთის, ცენტრალური, სამხრეთ-დასავლეთ ევროპისა და შავიზღვისპირა ქვეყნების დაპყრობის საშიშროება. მეჰმედ II დროს თურქ-ოსმალთა სახელმწიფო იმპერიად ჩამოყალიბდა.[2]

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ მეჰმედ II თავის ერთ-ერთ ამოცანად დასახა დაემორჩილებინა შავიზღვისპირა ქვეყნები და ხელთ ეგდო ვაჭრობა შავ ზღვაზე. მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხებს შეეხებოდეთ, მანამდე მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ვითარებას, რომელიც შავ ზღვაზე ოსმალთა გამოჩენამდე არსებობდა.

XIII საუკუნემდე შავ ზღვაზე ბიზანტია ბატონობდა და მთელი ვაჭრობა, არსებითად, ბერძნების ხელში იყო. ბიზანტიის დასუსტების შედეგად თანდათანობით ვითარება იცვლება. რეგიონში ჩნდებიან ევროპელი ვაჭრები, რომლებიც აქ სავაჭრო ფაქტორიებს აარსებენ.

შავ ზღვაზე ვაჭრობა წარმოებდა არა მარტო ამ რეგიონის ქვეყნებს შორის, არამედ აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისაკენ. შავიზღვისპირა ქალაქებში სავაჭროდ ჩამოდიოდნენ ჩინეთიდან, ინდოეთიდან, შუა აზიიდან, ირანიდან, ეგვიპტიდან, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და სხვ. აქ გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ კაფა (ფეოდოსია), ტრაპიზონი, აზოვი (ტანა), სოგდეა (სუდაკი), სოხუმი, აკერმანი (მონკასტრო) და სხვა ქალაქები. გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს შავი ზღვის ქალაქებში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულებდათ საქონელი. ისინი ყიდულობდნენ ადგილობრივ პროდუქციას და ნავაჭრი თავიანთი გემებით გასულებდათ იტალიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

შავი ზღვის რეგიონიდან იტალიის ქალაქებსა და დასავლეთ ევროპაში გასულებდათ აბრეშუმი, ბეწვეული, ხმელი თევზი, ხიზილალა, ზუთხი, მარცვლეული. ბრინჯი, თაფლი, ცვილი, ზეითუნი, ზეითუნის ზეთი, ერბო, ქონი, ტყავი, ხილი, გემების საშენი ხე-ტყე და სხვა. სავაჭრო ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო „ცოცხალი საქონელი" – მონები. იტალიის ქალაქებიდან აქ შემოსულებდათ ტილო, ხალიჩები, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები და სხვა ნაწარმი. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან კი მოსულებდათ ძვირფასი ქვები, მარგალიტი, სანელებლები, აბრეშუმი, ხავერდი, ბამბის ნაწარმი, საღებავები, სამკურნალო ნივთიერებები და ა. შ. დიდი მოთხოვნილება იყო რუსეთიდან ჩამოტანილ ბეწვეულზე, ვერცხლისწყალზე და სხვა.

XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გენუელმა ვაჭრებმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე – სოხუმში, ბათუმში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში, გაგრაში, გოინიოში და სხვებან თავიანთი სავაჭრო ფაქტორიებიც დააარსეს და აქტიური სავაჭრო ურთიერთობა გააბეს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

XIII-XV საუკუნის პირველ ნახევარში შავ ზღვაზე გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ გენუელები და ვენეციელები. ამათგან გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ გენუელ ვაჭრებს. მათ შავი ზღვის ყველა რეგიონში გახსნილი ჰქონდათ თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები. ქალაქი კაფა იყო გენუელთა მთავარი სავაჭრო ცენტრი, სადაც იმყოფებოდა გენუის კონსული.[3]

---

[2] იქვე. გვ. 48-86.

[3] მ.სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1990, გვ. 103-110.

1454 წლის ზაფხულის დამდეგს ოსმალეთის ფლოტი, რომელიც 56 გემისაგან შედგებოდა, ბოსფორიდან გამოვიდა და ჯერ ქალაქ მონკასტროსე (აკერმანი) მიიტანა იერიში, შემდეგ აღმოსავლეთისკენ, კავკასიის სანაპიროსაკენ აიღო გზა, სოხუმს (სებასტოპოლისს) თავს დაესხა და გაძარცვა იგი. სოხუმიდან ოსმალეთის ფლოტი ყირიმისკენ გაემართა და 11 ივლისს ღუზა კაფას (ფეოდოსია) ნავსადგურის მახლობლად ჩაუშვა.[4] ეს იყო ოსმალთა მიერ პირველი თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ და მათმა თავდასხმამ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე დიდი შეშფოთება გამოიწვია საქართველოში. ქართველმა მეზღვაურებმა სწორად შეაფასეს შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. 1456 წელს რომის პაპის დაჟალებით ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით საქართველოში ჩამოვიდა მისი წარმომადგენელი ლუდოვიკო ბოლონიელი. საქართველოს მეფე-მთავრები დიდი მოწონებით შეხვდნენ ამ წინადადებას. მათ შეწყვიტეს ურთიერთშორის ბრძოლები.

ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა საქართველოს მეფე-მთავარმა. მას შეუერთდა ტრაპიზონის იმპერატორი და მცირე სომხეთის მთავარი. კოალიციაში გაერთიანდნენ, აგრეთვე, მაჰმადიანი გამგებლებიც – თეთრბატკნიანთა (ირანის) სახელმწიფოს მბრძანებელი უზუნ ჰასანი, ყარამანიისა და სინოპის ემირები. 1459 წლის ბოლოს კოალიციის მონაწილეებმა რომის პაპთან და ევროპის მეფე-მთავრებთან ელჩობა გააგზავნეს. მაგრამ დასავლეთ ევროპაში აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით უშედეგოდ დამთავრდა.

ოსმალეთისათვის ცნობილი გახდა მათ წინააღმდეგ მიმართული კოალიციის გეგმები. იმ დროს, როდესაც ამ კოალიციაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები ევროპაში მოგზაურობდნენ, მაჰმედ II გადაწყვიტა იერიში მიეტანა კოალიციის ერთ-ერთი წევრის – ტრაპიზონის წინააღმდეგ. 1461 წელს ოსმალეთმა ტრაპიზონის საკეისრო დაიპყრო.

ტრაპიზონის სახელმწიფოს მოსპობა მძიმე დანაკლისი იყო არა მარტო ბერძნებისათვის, არამედ სხვა ქრისტიანული ქვეყნებისთვისაც. საქართველომ დაკარგა ერთმორწმუნე მეზობელი სახელმწიფო, რომელთანაც მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა.

ტრაპიზონის სამეფოს დაპყრობის შედეგად ოსმალეთი უშუალოდ მოადგა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებს. ამან კიდევ უფრო გაართულა საქართველოს ხმელეთით თუ ზღვით ევროპასთან სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა. ტრაპიზონის დაპყრობით ოსმალეთმა შექმნა ხელსაყრელი პლაცდარმი როგორც ხმელეთით, ისე ზღვით საქართველოზე თავდასასხმელად. ვახუშტი წერს: „დაიპყრო ხონთქარმან ტრაპიზონ... და ეკიროებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა".[5]

ტრაპიზონი გახდა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი საქართველოზე თავდასასხმელად. სწორედ აქედან მოაწყეს უფლისწულებმა ბაიაზიდმა და სელიმმა საქართველოზე თავდასხმები. კერძოდ, ბაიაზიდის ინიციატიით 1479 წელს მოეწყო თავდასხმა გიუმიშხანეს ქართულ სოფლებზე.[6]

ტრაპიზონისა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობისა და 1473 წელს თერჯანთან უსუნ ჰასანის დამარცხების შემდეგ სულთანმა გადაწყვიტა შავიზღვისპირეთის ხელში ჩაგდება. მან პირველ რიგში დაიმორჩილა ყირიმის სახანო, ხელთ იგდო აზოვის ზღვის სანაპირო. კონსტანტინოპოლის დაპყრობისა და ყირიმის და-

---

4 Kirzioğlu M.F. Osmanlilar' in Kafkas – ellerini Fethi (1451-1560). Ankara, 1976, s. 6-7.

5 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოისა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 705.

6 მ.სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. 8, 2002, გვ. 203-292; ნ.ჯაველიძე. იბნ-ქემალის ერთი ცნობა XV საუკუნის საქართველოს შესახებ. – „მაცნე" (ისტორიის სერია), №2, 1990, გვ. 115-125.

მორჩილებით ოსმალეთმა გააძლიერა საქართველოს იზოლაცია ევროპისაგან. ოსმალეთი ყირიმის სახანოს მიიჩნევდა, როგორც შაი ზღვისკენ რუსეთის წინსვლის ბარიერს.

1479 წელს ოსმალები გადასხდნენ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, დაიკავეს ტამანის ნახევარკუნძული და შექმნეს ხელსაყრელი პლაცდარმი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად.

1484 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს კილია და აკერმანი. ამით ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შავ ზღვაზე გასასვლელი გზა გადაუკეტეს. შავ ზღვაზე ოსმალეთი გაბატონდა. იგი „ოსმალეთის ტბად“ იქცა. ამის შემდეგ უშუალოდ იწყება ბრძოლა სამცხე-საათაბაგოსა და, კერძოდ, აჭარის დაპყრობისათვის, რომელიც 1514-1555 წლების ირან-ოსმალეთის ომის შემადგენელი ნაწილი იყო.

1514 წლიდან ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის დაიწყო ომი ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის, რომელიც მცირე შესვენებებით 1555 წლამდე გრძელდებოდა. ამ ომის დროს საომარი მოქმედების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო იყო, სადაც ორივე ქვეყანა ცდილობდა გაბატონებას. ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა საქართველოსთვის.

ამ დროს საქართველოს მეფე-მთავრებს შორის წარმოებდა ურთიერთქიშპი და მტრობა, რასაც მოხერხებულად იყენებდა ოსმალეთი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა სუსტდებოდა. ასე მაგალითად, ოსმალეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების შედეგად სამცხის ათაბაგმა მზეჭაბუკმა „მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თუთ“.[7] თავის მხრივ, თურქმა უფლისწულმა სელიმმა, რომელიც ამ დროს ტრაპიზონის გამგებელი იყო, არ დააყოვნა და მოსთხოვა მზეჭაბუკს მიპყოლოდა „იმერეთსა ზედა“.[8] სწორედ 1509 წლის ლაშქრობის შედეგად ოსმალებმა დაწვეს და დაანგრიეს ქუთაისი და გელათი.

იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1548 წწ) ვერ ივიწყებდა ათაბაგ მზეჭაბუკის ღალატს, რომელიც „მიყვა ოსმალთა იმერეთსა ზედა“ და გადაწყვეტა სამცხე-საათაბაგო დაეპყრო. მან 1535 წელს ყვარყვარე დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო იგი. ათაბაგობა დროებით შეწყდა. ბაგრატიონმა დაიპყრო საათაბაგო და „მისცნა გურიელს აღთქმული აჭარა და ჭანეთი“, რომელიც მზეჭაბუკმა გურიელს წაართვა.[9]

ათაბაგის მომხრე ფეოდალები ოსმალეთში გაიქცნენ და სულთანს სთხოვეს დახმარება. სწორედ ამ დროს სულეიმან I (1520-1566 წწ) ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყებას აპირებდა და გადაწყვეტა სამცხე-საათაბაგოში შექმნილი მდგომარეობა თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა.

1535 წელს ოსმალებმა დააარსეს არზრუმის საბეგლარბეგო (საფაშო), რომელიც საქართველოსა და ირანის წინააღმდეგ შეტევის მთავარი ბურჯი გახდა. 1536 წლის 4 ივლისს, სულორნის ბრძანებით, არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა თავისი ლაშქრით საქართველოს დასაპყრობად გამოემართა. ოსმალებმა ტაო-კლარჯეთში ილაშქრეს და რამდენიმე სასანჯაყო დაიპყრეს, სადაც შემდეგ ოლთისის, ართვინის, კესკინის და ნარიმანის სანჯაყები დააარსეს. ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ოსმალები სამცხე-საათაბაგოს მოხარკეობით არ დაკმაყოფილდნენ და დაწყეს თავიანთი მმართველობისა და წესების დამყარება, ქვეყნის ინკორპორაცია.[10]

---

7 ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 711.

8 იქვე.

9 იქვე, გვ. 713.

10 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს.ჯიქიას. თბილისი, 1964, გვ. 24; Danişmend I.H. Osmanli tarihi kronolojisi, c. II, s. 190; Kirzloğlu M.F. Osmanlilar' in Kafkas – ellerini Fethi, s. 161-164; Aydin Dündar, Erzurum Beylerbeyliği ve sosyal Yapti, Ankara, 1998, s. 60, 68.

1545 წელს სულთანმა სამცხე-საათაბაგოში ახალი ლაშქარი გამოგზავნა. ქართველთა ჯარი მტკვრის ბასიანში დახვდა. ბრძოლა სიხოსიტასთან მოხდა. მესხი ფეოდალების ნაწილის ღალატის გამო ქართველები დამარცხდნენ. ოსმალებმა აიღეს სამცხე-საათაბაგოს ციხეები და ათაბაგად ქაიხოსრო III (1545-1573 წწ) დასვეს. ამ გამარჯვების შემდეგ მალე ფეხი მოიკიდეს სამცხე-საათაბაგოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში.

ამავე დროს სულთანმა არზრუმის მირმირანს მეჰმედ ფაშას უბრძანა საქართველოს დაპყრობა. ამ ლაშქრობის შედეგად ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში შემდეგი ციხეები აიღეს: ფარნაკი (ბარნაკი), ქიამხისი (კომკისა), ფანაკი (ბანაკი), პერნაკი, ქუნუკი, სამლაკა და ანა. ამათგან ზოგი ბრძოლით იქნა აღებული, ზოგი კი თვითონ დანებდა მტკვრს. დაპყრობილი ადგილები ოსმალეთის იმპერიას შეუერთეს,[11] მაგრამ ქართველები პოზიციებს არ თმობდნენ. ისინი აჯანყდნენ და ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლება სცადეს. ამის გამო ოსმალებმა ახალი ლაშქრობა მოაწყეს.

1549 წლის 25 აგვისტოს ოსმალეთის 40-ათასიანი ლაშქარი საქართველოსკენ დაიძრა. რომელსაც მეორე ვეზირი აჰმედ ფაშა სარდლობდა. სექტემბრის დამდეგს ლაშქარი არზრუმში ჩავიდა, 10 სექტემბერს კი სამცხე-საათაბაგოსკენ გაემართა. 20 სექტემბერს დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმის ციხე, შემდეგ კი სხვა ციხეები. ოსმალური წყაროების მონაცემებით, სულ დაპყრობილ იქნა 35 ციხე, აქედან 14 მოთხრილ იქნა, დანარჩენ 21 ციხეში ჩააყენეს თავიანთი გარნიზონები. ქვეყანა დაიყო 4 სანჯაყად (თორთუმი, ლიყანის ხეკი, ახჩაყალა, ქიამხისა) და ისინი შეუერთეს ოსმალეთის იმპერიას.[12]

ქართულ წყაროებში (ქრონიკები), ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ნაშრომებში ძალზე ძუნწი და ქრონოლოგიურად არაზუსტი ცნობებია დაცული ოსმალთა მიერ ამ დაპყრობათა შესახებ. ასე, მაგალითად, ვახუშტი წერს: 1550 წელს „წარმოაელინა (ხოსნთქარმა – მ.ს.) სპანი, მოვიდნენ და დაიპყრეს ქუეყანა ტაოსი სრულიად... შემდგომ კ-ეალად მოვიდნენ ოსმალნი და დაიპყრეს ართანუჯი არსიანამდე. კუალად დაიპყრეს ფარაკანი და სრულად ართანი და აღაშენეს (1552 წ) ფარაკანი. არამედ სამცხეს ვერ გარდამოვიდოდნენ ძალითა".[13]

დამპყრობლები ყველგან მედგარ წინაარმდეგობას აწყდებოდნენ. ოსმალები იძულებული იყვნენ ბრძოლით აეღოთ ყოველი ციხე, სოფელი თუ ქალაქი. ქართველები არც ერთ მტკაველ მიწას უბრძოლველად არ თმობდნენ, მაგრამ მტრის სიმრავლემ და ფეოდალთა სეპარატიზმმა ხელი შეუწყო მტრის წარმატებას.

ოსმალებმა საქართველოს შავი ზღვიდანაც შეუტიეს. 1554 წელს რამდენიმე გემისაგან შემდგარი ოსმალეთის ფლოტი საქართველოს ნაპირებისაკენ გამოემართა და ფოთში ჩავიდა. მისი მიზანი იყო ფოთსა და შავ ზღვაში ჩამავალ მდინარეებთან საბაჟოების გახსნა და თავისი კონტროლის დაწესება. მაგრამ ქართველების მედგარი წინააღმდეგობის გამო ოსმალებმა ვერ შეძლეს ამ გეგმის განხორციელება.[14]

სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ოსმალთა თავდასხმა ბათუმზე. ბერი ეგნატაშვილი წერს: „წარგზავნა სპანი მრავალნი გურიასა ზედა და მოვიდეს ბათომს, და იწყეს შენება ციხისა."[15]

---

[11] ობრაპან ფეჩეის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 26-28; Kirzioğlu M.F. Osmanlilar' in Kafkas – ellerini Fethi, s. 183-203; Aydin Dündar, Erzurum Beylerbeyliği ve sosyal Yapti, Ankara, s. 67-70.

[12] იქვე.

[13] ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 716.

[14] ლ.ტარდა. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში. თბილისი, 1980, გვ. 185; მ.სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 185.

[15] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 501.

გურიელმა დახმარებისათვის მიმართა ლეონ დადიანს და იმერეთის მეფეს ბაგრატ III. ეახუშტის ცნობით, გურიელი დახმარებას არ დაელოდა და შეტევაზე გადაეიდა. „იქნა გურიელი ოსმალთა და თავდასხმით ოტნა ოსმალნი ხმელეთსა ზედა და მოსრა იგინი". დამარცხებულმა ოსმალებმა „დაუტეეეს ბათომი, და შეეიდეს ზღვასა შინა ნავებითა, და აღუდგეს მათ ღელვანი მძაფრნი და განეარნა იგინი ჭოროხს გალმართ".[16]

ამასობაში დადიანი ოდიშ-აფხაზთა ლაშქრით სალაშქროდ ემზადებოდა. მაგრამ გურიელს მისი დახმარება აღარ დასჭირდა. ოსმალებმა ამჯერად ვერ შეძლეს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ქალაქების დაპყრობა.

1551-1552 წლებში ოსმალებმა კვლავ განაახლეს შეტევა საქართველოს წინააღმდეგ. დაიპყრეს ტაოსკარი, მამირეანი, მაჭახლის ხეობა, არტანუჯის ციხე, არტაანი და მიმდებარე ტერიტორიები არსიანის მთამდე.[17]

1552 წელს ქართველები ირანელთა დახმარებით თავს დაესხნენ ოსმალებს და რამდენიმე ციხე დაიკავეს. ოსმალები ისქანდერ ფაშას სარდლობით კონტრშეტევაზე გადავიდნენ. დაიკავეს შავშეთი, ლიეანა და აჭარის ხეობა. ქართველი ბეგები იძულებული გახდნენ ეცნოთ ოსმალეთის ხელისუფლება.[18]

1555 წლის გაზაფხულზე ამასიაში ჩავიდა ირანის ელჩი და დაიწყო მოლაპარაკება. 29 მაისს ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი, რის შედეგად ოსმალეთმა და ირანმა ამიერკავკასიის ქვეყნები გაინაწილეს. ქართლ-კახეთი, აღმოსავლეთი მესხეთი ახალციხის ჩათვლით ერგო ირანს, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ოსმალეთს. იგივე ბედი გაიზიარა სომხეთმაც. აღმოსავლეთი სომხეთი ერეკენით ირანს ერგო, ხოლო დასავლეთი სომხეთი არზრუმით – ოსმალეთს. აზერბაიჯანი ირანს დარჩა. ზავი აჭარასაც შეეხო – აჭარის ხეობა ოსმალეთს დარჩა.[19]

ამასიის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთმა გააააქტიურა მიტაცებულ ქვეყნებში თავისი მართვა-გამგებლობის შემოღება. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ დაიწყეს ქვეყნის სანჯაყებად დაყოფა-დანაწილება. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო მათი აღწერა, დაეორებში გატარება და კანონ-ნამეს შედგენა. ამ ღონისძიებათა მიზანი იყო აქ არსებული ქართული ფეოდალური წესებისა და ინსტიტუტების მოშლა და მათ ნაცვლად ოსმალური შემოღება. „საქართველოს სამხრეთი ნაწილის გაოსმალებას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსმალეთს, ხონთქარი უკვე XVI საუკუნის პირველ ნახევარში შეუდგა. იგი ჩვეული ძალადობით იპყრობდა ქართულ ოლქებს, ახდენდა მათ ინკორპორაციას, ნერგავდა აქ „ოსმალობას" ოსმალური მიწისმფლობელობის წესების შემოღებით".[20]

თურქული წყაროებიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან შეუდგნენ ოსმალები აქ სანჯაყების თუ ლიეების დაარსებას და თავისი წესების შემოღებას. ეს პროცესი გრძელდებოდა ამასიის ზავის დადების შემდეგაც.

სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილი ტერიტორია 14 სანჯაყად (ლიეად) დაიყო. ესენია: 1. ბასიანი (ფასინი), 2. დიდი არტაანი, 3. პატარა არტაანი, 4. ოლთისი, 5. ნამირეანი (მა-

---

16 ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 716.

17 ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 501, 502; Aydin Dündar. Erzurum Beylerbeyliği ve sosyal Yapti, s. 71, 72.

18 Irzioğlu M.F. Osmanlilar' in Kafkas – ellerini Fethi, s. 207-227; Aydin Dündar, Erzurum Beylerbeyliği ve sosyal Yapti, s. 72.

19 ydin Dündar, Erzurum Beylerbeyliği ve sosyal Yapti, s. 73.

20 ეგბაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბილისი, 1958, გვ. 327.

მირეანი). 6. თორთუმი, 7. ლიეანა, 8. ნისფი ლიეანა, 9. ფერთეერექი, 10. შაე'შეოი, 11. იმერხეეი, 12. მაჭახელი, 13. აჭარა; 14. ისპირი (სპერი).

რიდის დააარსეს ოსმალებმა აჭარის ტერიტორიაზე სანჯაკი?

ამასთის ზაეით, როგორც აღინიშნა, სამცხე-საათაბაგოს დასაელეთი ნაწილი ოსმალეთის მფლობელობაში გადაეიდა. აჭარამაც იგიეე ბედი გაიზიარა. სამეცნიერო ლიტერატურაში ოსმალების მიერ აჭარის დაპყრობის სხეადასხეა თარიღია მითითებული.

დ. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ ოსმალები აჭარას დაეუფლნენ მამია გურიელის დროს, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა,[21] ე. ი. ოსმალთა მიერ აჭარის მიტაცება უნდა მომხდარიყო 1564 წლამდე. ქ. ჩხატარაშვილი თვლიდა, რომ ოსმალებმა აჭარა დაიპყრეს XVI საუკუნის 70-იან წლებში,[22] ხოლო ფ. ჩილოღლუს (ჭილაშვილის) ცნობით კი, აჭარა ოსმალთა ხელში გადაეიდა 1570 წელს.[23]

თურქული სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკეეეა, რომ ოსმალებმა აჭარა (აჭარის ხეობა) მიიტაცეს 1552 წელს. სულთანმა აჭარის გამგებლობა შესთავაზა ქართველ ფეოდალს ბეეანს, თუ იგი გამაჰმადიანდებოდა. მაგრამ მან უარყო სულთნის წინადადება და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. მაშინ სულთანმა ბეეანს ისპირის სანჯაყბეგები დაუპირისპირა.

ამასთან დაკავშირებით მოიპოეება მეტად საეურადღებო ორი თურქული საარქიეო დოკუმენტი, რომელიც გამოაქეეყნა თურქოლოგმა ზ. შაშიკაძემ.[24]

1561 წლით დათარიღებულ დოკუმენტში წერია: აჭარის ხეობას (აჭარას) „ეფლების გარეშე ფლობს ქრისტიანი ბეეანი... აწყობს არეულობებს და დაუმორჩილებელია". ამის გამო „სულთანმა აჭარის ხეობა ისპირის სანჯაყბეგს აბრეულ უბოძა".[25]

ასეთ ვითარებაში, ათი წლის ბრძოლის შემდეგ ბეეანი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. მეორე დოკუმენტიდან ირკეეეა, რომ 1563 წელს სტამბოლში წასული ბეეანი დათანხმდა ისლამის მიღებას. იგი გამაჰმადიანდა და მას მეჰმედი ეწოდა. ამავე წლის 15 დეკემბერს სულთანმა აჭარის ტერიტორიაზე სანჯაყი დააარსა და მის გამგებლად (სანჯაყბეგად) გამაჰმადიანებული ადგილობრივი ფეოდალი ბეეანი (მეჰმედი) დანიშნა. მისი შემოსავალი 300 ახჩა იყო.[26]

დოკუმენტიდან არ ჩანს, თუ რა სტატუსის საფუძველზე მიიღო ბეეანმა (მეჰმედმა) აჭარის სანჯაყზე მფლობელობა. საფიქრებელია, რომ აჭარის სანჯაყბეგობა ბეეანს ებოძა იურთლუქისა და ოჯაქლიკის საფუძველზე მემკეიდრეობის უფლებით, რადგან შემდგომ, როგორც თურქული წყაროებიდან ჩანს, აჭარის სანჯაყი ყველგან ოჯაქლიკად არის დამოწმებული. ამ ტიპის სანჯაყის გამგებლები მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ისინი ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ეკალეგბიდან ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვა. ასეთი ტიპის სანჯაყები ოსმალეთის ხელისუფლებამ სხვა გამაჰმადიანებულ ქართველ ბეგებსაც უბოძა.[27]

---

21 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 72.

22 ქ.ჩხატარაშვილი. საქართველოს სსრ, აჭარა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1981, გვ. 320.

23 Ciloğlu F. Acara, "Cveneburi", Istanbul, 1994, № 3, s. 16-19.

24 ზ.შაშიკაძე. ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული, III. 2002, გვ. 141; Aydin Dündar, Erzurum Beylerbeyliği ve sosyal Yapti, s. 72, 293.

25 ი ქეე.

26 იქეე.

27 ბ.სვანიძე. მიწისმფლობელობის ისტორიიდან ახალციხის საფაშოში (იურთლუქები და ოჯაქლიქები). – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, მიძღვნილი ნ.ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბილისი, 1970, გვ. 219-225.

აჭარის სანჯაყის დაარსების შემდეგ ოსმალები შეუდგნენ ქვეყნის გაოსმალებას. ამ მიზნით აჭარა აღწერეს და „აჭარის დიდი დავთარი“ შეადგინეს.[28] ამ დავთარს თარიღი არ უზის, მაგრამ პირველ გვერდზე დასმული აქვს თუღრა, რომელზეც სელიმ II (1566-1574 წწ) სახელია მითითებული. ე.ი. „დავთარი“ შედგენილია სელიმ II დროს. აჭარის დავთრის მიხედვით, აჭარა დაყოფილია ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებად (რაიონებად). ზემო აჭარის ნაჰიეში 59 სოფელია გაერთიანებული, ხოლო ქვემო აჭარის ნაჰიეში – 35, ე.ი. სოფლების საერთო რიცხვი აჭარაში 94-ს შეადგენდა. „დავთარში“ 540 კომლია რეგისტრირებული, აქედან 318 ზემო და 22 ქვემო აჭარაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 94 სოფლიდან 35 სოფელი (ზემო აჭარაში – 24, ქვემო აჭარაში – 11), ანუ 30%-ზე მეტი მოსახლეობისგან დაცლილი ყოფილა.[29]

როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა ოსმალური წესების შემოღებას და პროტესტის ნიშნად ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს.

„დავთრიდან“ ირკვევა, რომ აჭარის მოსახლეობა დაბეგრილი იყო ოსმალური გადასახადებითა და გამოსაღებლებით.[30] ეს კი მიუღებელი იყო ქართველი გლეხისათვის. „დავთრიდან“ ისიც ჩანს, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანი იყო.

„დიდ დავთართან“ ერთად ოსმალებმა შეადგინეს Icmal defteri ანუ „პატარა დავთარი“. დავთარში გატარებულია ლენის მფლობელები ყოველწლიური შემოსავლის მითითებით ახსნებში. ირკვევა, რომ ქართველი ფეოდალების ერთ ნაწილს ჩამორთმეული აქვს მამულები. აჭარაში იწყება მიწის გადანაწილება ოსმალური სამხედრო-ლენური სისტემის საფუძველზე. „პატარა დავთარში“ დამოწმებულია ოსმალური მიწისმფლობელობის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ხასი, ზიამეთი, ვაყუფი, ჩიფთლიქი და სხვ.

ერთი სიტყვით, ოსმალეთის ხელისუფლება აჭარის დიდი და პატარა დავთრების შედგენით აპირებდა ქვეყნის გაოსმალებას, ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღებას.

აჭარაში სანჯაყის დაარსების შემდეგ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა ფ. ქორზიოღლუს მიერ მოყვანილი ცნობა (დათარიღებულია 1573 წლის 26 ივლისით): „ლიეანას, ფერთექრექისა და მაჭახლის სანჯაყბეგებს ეცნობათ: აჭარის ბეგმა აბდურაპანმა კაცი გამოგვიგზავნა და შემოგვითვალა: თქვენი უსენაესი ტახტისადმი დაქვემდებარებელ, აჭარის სანჯაყთან ახლოს მდებარე გზებზე ძველთაგანვე ზოგიერთი სოფელი იყო დასახლებული, იმ მიზნით, რომ აჭარის ლიეანზე გამველელ პირებს ზარალი არ მოსელოდათ. ეინაიდან დღეისათვის ამ სოფლების ხალხი, აღგილები გაუკაცრიელდა, ქურდებისა და არამზადების ბუდედ იქცა, რომლებიც გამველელ-გამომველელებს ზიანს აყენებენ. ნაბრძანები იქნა, რათა ეს სოფლები თავიდან იქნენ დასახლებული“.[31]

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ სულთნის ბრძანებით აჭარის საზღვართან სოფლები იმ მიზნით გაუშენებიათ, რომ დაეცვათ ქვეყნის უსაფრთხოება და „აჭარის ლიეანზე გამველელ პირებს ზარალი არ მოსელოდათ“.

სინამდვილეში კი საქმე გვაქვს სხვა ეითარებასთან.

მთავრობა დაპყრობილ ქვეყანაში თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ხშირად იყენებდა კოლონიზაციისა და მოსახლეობის მასობრივი გადასახლების პოლიტიკას. იგი დიდად იყო დაინტერესებული ოსმალთა ჩასახლებით დაპყრობილ ადგილებ-

---

28 ზ.შაშიკაძე. აჭარის ლივის ერცელი დავთარი, როგორც წყარო აჭარის ისტორიისათვის. – ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 341. თბილისი, 2002, გვ. 440-428.

29 იქვე.

30 ზ.შაშიკაძე. ოსმალური გადასახადები და გამოსაღებლები აჭარის დავთრის მიხედვით. – ბათუმის შ.რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ბათუმი, 2002, გვ. 129.

31 Kirzioğlu M.F. Osmanlilar' in Kafkas – ellerini Fethi, s. 43, 44.

ში. ოსმალურ წყაროებში ამის შესახებ არაერთი ცნობა მოიპოვება. სულთნის მთავრობა მასობრივად ასახლებდა ოსმალებს ბალკანეთის ქვეყნებში, ხოლო ბალკანეთის მოსახლეობას – ანატოლიაში. მსგავს ღონისძიებას სულთანი მიმართავდა, აგრეთვე, იმპერიის აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართაც.[32]

ამგვარი ღონისძიების გატარებით ოსმალეთის მთავრობას სურდა, ერთი მხრივ, მოეხდინა დაპყრობილი მოსახლეობის ასიმილაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დაპყრობილ ქვეყნებში თურქული მოსახლეობის ჩასახლებით აქ თავისი პოზიციები განემტკიცებინა. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოშიც.

1573-1574 წლის კანონ ნამეში ნაწერილია: „აქ საზღვარია და ხალხის ჩასახლება საჭიროა".[33]

უნდა შევნიშნოთ, რომ „გურჯისტანის კანონ-ნამე" და ჩვენს მიერ დასახელებული აჭარასთან დაკავშირებული თურქული დოკუმენტი ერთსა და იმავე დროსაა შედგენილი.

საყურადღებოა, რომ ოსმალეთის მთავრობამ აჭარის მახლობლად ჩაასახლა მომთაბარე თურქული ტომები, ან ქურთები. როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივი მოსახლეობა მათ მტრულად შეხვდა. იგი აწყობდა თავდასხმებს უცხოტომელებზე. აჭარლების სიმტკიცის მანიშნებელია ის ფაქტი, რომ ოსმალებმა ვერ გაბედეს უცხო ტომების შიდა აჭარაში შემოყვანა. მხოლოდ მათი მეზობლად დასახლება შეძლეს.

აჭარაში, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარეობდა, სულთნის მთავრობა დაინტერესებული იყო საიმედო დასაყრდენი შეექმნა. ამიტომ სულთანმა გასცა ბრძანება დაცარიელებული სოფლების ყველაე დასახლებაზე.

1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ახალი ომი დაიწყო, რომელიც 1590 წლამდე გაგრძელდა. 1578 წელს ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის შედეგად ოსმალეთმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დამკვიდრება სცადა. 1579 წელს ოსმალეთმა ქუთაისის დაპყრობა დააპირა. ამავე წელს მათ სოხუმის საბეგლარბეგო დააარსეს.[34]

1579 წლის 25 ივნისს ოსმალეთის სულთანმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო (საბეგლარბეგო) დააარსა. მის გამგებლად გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) დანიშნა.[35]

ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთ-ირანის ომის დროს აჭარის მოსახლეობა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულა. ოსმალეთის სარდლობა იძულებული გამხდარა აჭარაში აჯანყების ჩასახშობად ლაშქარი გაეგზავნა. 1586 წელს ოსმალებმა მოახერხეს აჭარის ციხეების დაკავება და აჯანყების ჩაქრობა.[36] ბათუმის დაპყრობა ოსმალებმა გვიან მოახერხეს.

1647 წელს ბათუმი ჯერ კიდევ ქართველთა ხელით იმყოფებოდა. ამ დროს საქართველოში იმოგზაურა თურქმა ისტორიკოსმა ევლია ჩელებიმ. მისი ცნობით, გონიოში მოწყობილი იყო ოსმალეთის საბაჟო და საქართველო-ოსმალეთის საზღვარი მდ. ჭორო-

---

32 Barkan Ö.L. Osmanli Imperatorluğunda bir Iskam ve Kolonization metoduolarak Sürgnler, IUIEM, t. XV, 1953, 1954, s. 209-237.

33 Barkan Ö.L. XV ve XVI inci asirlarda Osmanli Imperatorluğunda Zira Ekonominin Hukuki ve Mali Esaslari, Birinci cilt, Kanunlar, Istanbul, 1943, s. 97; ნ.შენგელია. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ამიერკავკასიის ისტორიისათვის. – კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, 1962, გვ. 219-234.

34 მ.სვანიძე. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში.

35 მ.სვანიძე. ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან. – „მაცნე", ისტორიის სერია, №3, 1964, გვ. 70-84.

36 Bekir Kütüğlu. Osmanli-Iran Münasebetleri 1578-1612, 1962.

ხზე გადიოდა.[37] ამასვე ადასტურებს ფრანგი ნეგოციანტი ჟ. შარდენი, რომელმაც 1673 წელს დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა და ქალაქი გონიოც მოინახულა.[38]

ამრიგად, თურქი და ფრანგი მოგზაურები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ გონიო ოსმალეთის სასაზღვრო ქალაქი იყო და იქ საბაჟოც არსებობდა. ბათუმი ამ დროს ოსმალეთის საზღვრებში არ შედიოდა.

XVIII საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლა დაიწყო. ამ მიზნით 1702 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები გაერთიანდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყების დასაწყებად. ოსმალეთის ოფიციალური მემატიანე მეჰმედ რაშიდი ამ ამბებთან დაკავშირებით წერდა: „საქართველოს მხარეში მდებარე იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ქვეყნების მოსახლეობის ზოგიერთმა ჯგუფმა აჯანყების დროშა ააფრიალა... ისინი უარს ამბობდნენ ისლამის ქვეყნების ზოგიერთი საზღვრის მიმართ".[39] ამასვე ეკითხულობთ ერთ-ერთ სხვა თურქულ საბუთში: „ქუთაისის ყაზისადმი დაქვემდებარებული ოდიშისა და სამეგრელოს ვილაიეთში დანიშნული დადიანის სახელწოდების ქიაფირები და აფხაზი ქიაფირები ფორმალურად მორჩილნი რომ იყვნენ, მორჩილებიდან გამოვიდნენ".[40]

სულთნის მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღო დასავლეთ საქართველოში აჯანყების ჩასაქრობად. 1703 წლის ზაფხულში ოსმალეთის ლაშქარი და გემები დასავლეთ საქართველოსაკენ გამოემართნენ. ოსმალეთის მთავარსარდლად დაინიშნა არზრუმის ბეგლარბეგი ქუსჯი ჰალილ ფაშა. მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ ტრაპიზონის, ჩილდირის, ყარსის ბეგლარბეგებს, გონიის სანჯაყბეგს, აგრეთვე, ორ ნიბიანი და ორმოც იალქნიან გემს. სელონის ბრძანებით, ჰალილ ფაშას აჯანყებულ მხარეებში რიგი ციხეები უნდა აეღო და დაენგრია, ხოლო ბაღდადსა და ბათუმში ციხეები უნდა აეგო და შიგ გარნიზონები ჩაეყენებინათ.[41] 1703 წლის ზაფხულში ოსმალებმა დასავლეთ საქართველოს ხმელეთიდან და ზღვიდან შეუტიეს. ოსმალეთის ჯარი სამი მხრიდან შეიჭრა; სერასქერმა ჰალილ ფაშამ გადალახა ჭოროხი, შეიჭრა გურიაში, დაიკავა ბათუმი და იქ ახალი სიმაგრის აშენებას შეუდგა. ახალციხის ფაშა ისაყი ზეკარის გადასასვლელით იმერეთში შეიჭრა; თურქეთის ფლოტმა კი იმავე დროს ჯარები გადმოსხა სამეგრელოში. ადგილობრივი მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. ამ ლაშქრობის შედეგად ოსმალებმა დაიკავეს ბათუმის მხარე და ჩაქვის მხარის ნაწილი. ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, რუხისა და ბაღდადის ციხეებში მეციხოვნეები ჩააყენეს.[42]

დასავლეთ საქართველოში ოსმალების წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება მარცხით დამთავრდა. ქართველებმა ვერ შეძლეს თავისთი ძალების გაერთიანება. მტრის წინააღმდეგ დაქსაქსულად მოქმედებდნენ და დამარცხდნენ.

---

37 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 94, 95.

38 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ.მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975, გვ. 124, 202-204.

39 მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ.ჩოჩიევმა, თბილისი, 1976, გვ. 21, 22, 24, 25.

40 ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ XVII-XVIII სს). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებით გამოსცა ნ.შენგელიამ, თბილისი, 1982.

41 იქვე, გვ. 21-25.

42 ქრისტარაშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. — სინ, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 457-458; მისივე. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1972, გვ. 56-63.

1712 წელს სულთნის ბრძანებით ბათუმისა და ჩაქვის მხარეები ტრაპიზონის ვილაიეთის შეუერთეს და სახელმწიფო დავთრებში გაატარეს.[43]

1723 წელს განახლდა ოსმალეთ-ირანის ომი. სულთანმა გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში თავისი გავლენა კიდევ უფრო გაეძლიერებინა.

1723 წელს ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტეს. ციხისძირის, ქობულეთის, გრიგოლეთისა და ანაკლიის ციხეებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს, ხოლო ადრე მათ ხელში მყოფი ბათუმის, ჩაქვის, ფოთის, ბიჭვინთისა და ანაკოფიის ციხეები გაამაგრეს.[44]

ამრიგად, ოსმალებმა ბათუმი, ქობულეთი, ციხისძირი და მიმდებარე რაიონები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დაიპყრეს.

§ 2. ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში XVI-XVIII საუკუნეებში

ოსმალეთის იმპერიაში მიწისმფლობელობის ოთხი კატეგორია არსებობდა (სახელმწიფო მიწები, სავაკუფო მიწები, სასულთნო მიწები ანუ ხასე და კერძო საკუთრებაში არსებული მიწები). მიწის მესაკუთრენი იყვნენ სულთნები, დიდებულირები, პროვინციის გამგებლები და სხვა თანამდებობის პირები. მათ განსაზღვრული უფლებები გაანაწილათ მიწაზე. ოფიციალურად არსებული მიწის მფლობელობის ამ კატეგორიების გარდა, იყო, აგრეთვე, მთელი სისტემა მიწებისა, რომელთა მფლობელი სხვადასხვა სოციალური ფენა იყო.

ოსმალური მიწისმფლობელობის საკითხებს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ყურადღება მიაქცია რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დიმიტრი ბაქრაძემ. მან საგანგებოდ შეისწავლა აჭარაში არსებული საგადასახადო სისტემა და სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა მას.[1]

დ. ბაქრაძის შემდეგ მიწისმფლობელობის საკითხები აჭარაში შეისწავლა ა. ავალიანმა,[2] ხოლო მთლიანად სამხრეთ საქართველოს მაგალითზე – მ. სვანიძემ.[3] ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობის საკითხები განხილულია, აგრეთვე, გ. ფეთურიძის ნაშრომში.[4] აღნიშნულ პრობლემას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა უცხოურ ისტორიოგრაფიაში (ა. ს. ტეფერიტსოვა, ი. ჰ. უზუნჩარშილი, ჰალიე თუნჯერი და სხვ.). თურქი მეცნ-

---

[43] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 231, 139, ფ. 7; სინ, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 467.

[44] იქვე, გვ. 462.

[1] Бакрадзе Дм. О землевладении по турецким законам.- Юридическое обозрение, 1884, №150, 153, 156, 157.

[2] ა.ავალიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში (თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ, XIX ს. 40-70-იან წლებში). ბათუმი, 1960.

[3] Сванидзе М.Х. О юрдкулах и оджаклыках как одной из форм землевладения в Османской Империи (на примере чилдырского вилета. М., 1966 (Первый конгресс балканских исследований. София, 26 августа - 1 сентября 1966 г. (сообщения Советской Делегации); Вопросы землевладения в Османской империи на примере Ахалцихского (Чилдырского) пашалыка. М., 1974. Доклады и сообщения Советской делегации. III международный съезд по изучению стран Юго-Восточной Европы (Бухарест, 4-10 сентября 1974 г). М., 1974.

[4] გ.ფეთურიძე. ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობა. – ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ნგბაბაშვილის რეაქციით). თბილისი, 1967.

ნიერის ი. ჰ. უზუნჩარშილის გამოკვლევით, ოსმალეთში არსებობდა მიწისმფლობელობის შემდეგი სამი კატეგორია: 1. უშური, 2. არაზი ჰარიჯიე, 3. არზი მემლექეთის მიწები.[5] როგორც ჩანს, იგი კერძო საკუთრების მიწებს არ მიიჩნევდა მიწის ცალკე კატეგორიად.

სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებულ მიწებს არ'ხი მირი ეწოდებოდა. ამ მიწაზე მსხდომი გლეხები სახელმწიფო ხაზინას უხდიდნენ გადასახადს. მიწისმფლობელები მემკვიდრეობით ფლობდნენ მიწას. მიწა მამიდან შვილზე გადადიოდა. ვაუიშვილის არყოლის შემთხვევაში, ქალიშვილზე ანდა გარდაცვლილის ძმებზე. თუ მიწის დამმუშავებელი მიწას სამი წლით მიატოვებდა და დაუმუშავებელს დატოვებდა, იგი მას ჩამოერთმეოდა და სხვას გადაეცემოდა.

სახელმწიფო მიწების კატეგორიაში შედიოდა სამხედრო საკარგავები – თიმარები და ზიამეთები. იგი სამხედრო სამსახურისათვის ეძლეოდათ ფეოდალებს. თიმარი იყო ისეთი სამხედრო ლენი, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 20 000 ახჩას. მას კილიჩ თიმარასაც ეძახდნენ. თიმარის მფლობელ ფეოდალებს კი – თიმარლი სიფაჰილერ ანდა ერბაჰი თიმარ ეწოდებოდა.

ზიამეთი ისეთი საკარგაეი იყო, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 100 000 ახჩას. მას კილიჩ ზიამეთსაც უწოდებდნენ. ზიამეთის მფლობელ პირებს ზაიმსაც ეძახდნენ. თიმარებისა და ზიამეთების საერთო სახელი იყო სიფაჰი, ასევე იგი განჩარტებული კოჩი ბეი გორიჯელის რისალე'ში.

ხასა ეწოდებოდა მიწის ნაკვეთს, რომლის წლიური შემოსავალი აღემატებოდა 100 000 ახჩას. მისი მფლობელები იყვნენ სულთნები, დიდვეზირები და ვეზირები, საერთოდ, მაღალი რანგის ჩინოვნიკები.[6]

XVI საუკუნის მიწურულამდე თიმარები და ზიამეთები ეძლეოდათ მხოლოდ მოლაშქრეებს, შემდეგ კი სასახლის მოხელეებსაც. მაგალითად, მიწის ნაკვეთებს იღებდნენ, აგრეთვე, მუთეფერიკები და ჩაუშები, მათ გედიქლი – მუდმივი ეწოდებოდათ. თიმარებისა და ზიამეთების ზოგადი სახელი იყო დირლიქი და ყოველგვარ ჯამაგირს აღნიშნავდა.

თიმარებისა და ზიამეთების მფლობელ ფეოდალებს მიწის ნაკვეთი იმიტომ ეძლეოდათ, რომ სანაცვლოდ სალაშქროდ განსაზღვრული რაოდენობის მხედრები (ჯებელიები) უნდა გამოეყვანათ. თიმარის თითოეულ მფლობელს ყოველ 3000 ახჩაზე ერთი მხედარი გამოყავდა. ხოლო ზიამეთის მფლობელს – ყოველ 5000 ახჩაზე ერთი მხედარი. თიმარებისა და ზიამეთების მფლობელნი ვალდებულნი იყვნენ ეცხოვრათ იქ, სადაც მათი მამულები – თიმარები და ზიამეთები იყო, სხვაგან ცხოვრების უფლება მათ არ ჰქონდათ. თიმარის ან ზიამეთის მფლობელს ლაშქრობის შემთხვევაში სამ დღეში უნდა მოესწრო მომზადება და სალაშქროდ გამგზავრება. ყოველი ათი სიფაჰიდან ერთი ადგილზე რჩებოდა, რომ ომში წასულთა მიწებზე წესრიგი დაემყარებინა.

მიწის პატრონსა და გლეხს შორის ურთიერთობა კანონებით იყო რეგლამენტირებული. დირლიქის მფლობელი სამსახურის სანაცვლოდ ფადიშაჰის ბერათით მიწას იღებდა. თუ გლეხი სამსახურს ვერ ასრულებდა, იგი მასზე უფლებას კარგავდა. გლეხის ხელთ არსებული ველები, ვენახები და ბაღ-ბოსტნები, სახელმწიფოს დაანგარიშებული ჰქონდა და იგი მისი პატრონისაგან იმართებოდა. ეს გლეხი მიწის პატრონის რაია იყო. თუ რაია მიწას არ დაამუშავებდა, თიმარის ან დირლიქის მფლობელი მას ხელთ არსებულ ადგილებს წაართმევდა და სხვა პირს თაფუს საფუძველზე უბოძებდა. თუ დირლიქის პატრონი უსამართლოდ მოიქცეოდა, იგი დაისჯებოდა.

---

[5] Uzuncarsili I.H. Ismanli Tarihi. Cilt. Ankara, 1988; Turk Tarih Kurumu Rasimevi, gv. 504.

[6] Koci Bey Risalesi, Istanbul, 1939, gv. 112.

სიფაპები თიმარებსა და ზიამეთებზე მსხდარ გლეხებს მიწებს აძლევდნენ თაფუს საფუძველზე. თაფუ იყო სიფაპის ან გლეხის ფეოდალური დამოკიდებულების ფორმა (იგი ნიშნავდა მორჩილებას, დაქვემდებარებას), გლეხი ვალდებული იყო მიწის ნაკვეთი დაემუშავებინა და თავისი ფეოდალისათვის განსაზღვრული ოდენობის გადასახადი გადაეხადა. მიწის ნაკვეთის „თაფუს" საფუძველზე გამცემი ფეოდალი ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა, რომ გლეხს არ მეტოვებინა მიწის ნაკვეთი, მიწა დაუმუშავებელი არ დარჩენილიყო და გადასახადი დროულად ეხადა. თაფუ იყო მოწმობა, რომლის მიხედვით გლეხი მიწის ნაკვეთს ფლობდა. „თაფუს" საფუძველზე გლეხები მემკვიდრეობით ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს. თუ გლეხს მემკვიდრე არ ჰყავდა, ფეოდალი ამ მიწის ნაკვეთს სხვას გადასცემდა.

სახელმწიფო კატეგორიის მიწების გარდა იყო, აგრეთვე, სასულთნო მიწები. მას სულთნის ხასები ეწოდებოდა. სულთანი ითვლებოდა სახელმწიფოს უდიდეს ფეოდალად. სულთანს შეეძლო თავისი მიწა გაესხვისებინა, მიეცა ვაყუფებად ან გაემრავლებინა. ამით განსხვავდებოდა სულთნის სახასო მიწები სახელმწიფო მიწებისაგან. ზოგიერთი ავტორი სულთნის ხასს სახელმწიფო მიწებთან აიგივებდა.

ოსმალეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საეკლესიო მიწები. ე.წ. ვაყუფები. საეკლესიო მიწები მუსლიმანური დაწესებულებისა და სასულიერო ფეოდალებისათვის იყო განკუთვნილი. ვაყუფები ძირითადად შედგებოდა სულთნებისა და ფეოდალებისაგან შეწირული მიწებისაგან. საეკლესიო მიწების შეწირვასთან იყო დაკავშირებული მეჩეთების აშენება, სასულიერო სკოლების გახსნა. მედრესეების მშენებლობა და სხვა ხასათის საქმიანობა.

საეკლესიო მიწები თავისუფალი იყო ყოველგვარი გადასახადისაგან და არც კონფისკაციას ექვემდებარებოდა. მოელი მათი შემოსავალი ხმარდებოდა მუსლიმურ სალოცავებს, აგრეთვე სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციასა და საქველმოქმედო დაწესებულებებს. იგი იყო სასულიერო ფეოდალების გამდიდრების ერთ-ერთი საუკეთესო წყარო. ხშირი იყო მიწების ფიქტიური შეწირვა ვაყუფებად. ასეთ შემთხვევაში მევაყუფეც იგებდა და მიწის შემწირველიც. სულთანთან დაახლოებული პირები ახერხებდნენ სახელმწიფო მიწების ხელში ჩაგდებას და მის გადაცემას ვაყუფებად.

მიწის საკუთრების ბოლო ფორმა იყო კერძო მიწები — ე.წ. მულქის კატეგორიის მიწები. ამ კატეგორიაში შედიოდა მიწის ის ნაკვეთები, რომელთაც სულთანი ურიგებდა ცალკეულ პირებს, აგრეთვე, ის მიწებიც, რომლებიც დაუმუშავებელი, უპატრონო და სახნავ-სათესად გამოუსადეგარი იყო და ვიღაცა მას დასამუშავებლად ვარგისად გახდიდა.

მულქი მემკვიდრეობით გადადიოდა. შეიძლებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა, გასხვისება და ვაყუფებად შეწირვა, მაგრამ კანონით აკრძალული იყო მულქის ჩამორთმევა. ი.ა.ბუსხარაშვილის განცხადებით, მულქის მფლობელი სრული ბატონ-პატრონი იყო იმ ტერიტორიისა, რომელსაც ფლობდა. იგი ამ შემთხვევაში ითვლებოდა კერძო მესაკუთრედ, რომელიც მიწას თავისი სურვილისამებრ გამოიყენებდა.

ასეთი იყო ზოგადად მიწისმფლობელობის ფორმები ოსმალეთის იმპერიაში. რა მდგომარეობა იყო ამ დროისათვის XVI-XVIII საუკუნეების აჭარაში?

ქართულ ისტორიოგრაფიაში სამხრეთ საქართველოს მიწისმფლობელობის საკითხებზე, როგორც აღინიშნა, პირველად ყურადღება გაამახვილა მ. სვანიძემ. მან ახალციხის მაგალითზე განიხილა ჩილდირის ვილაიეთის მიწისმფლობელობის საკითხები, რეგიონში იურთლუქეებისა და ოჯაქლიქების პრობლემა,[7] სამცხე-საათაბაგოს სოციალურ-

[7] Сванидзе М.Х. О юрдкулах и оджаклыках как одной из форм землевладения в Османской Империи (на примере чилдырского вилета. М., 1966; Вопросы землевладения в Османской империи на примере Ахалцихского (Чилдырского) пашалыка. М., 1974.

ეკონომიკური მდგომარეობა და გაარკვია, რომ ქვეყნის გაოსმალების პოლიტიკა დამოკიდებული იყო ოსმალური მიწისმფლობელობის შემოღებასთან. იმისთვის, რომ დამყარებულიყო ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, საჭირო იყო ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის დარღვევა და მისი ოსმალურით შეცვლა. ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები მკვეთრად განსხვავდებოდა ფეოდალური საქართველოს მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებისაგან.

ქართული მიწისმფლობელობის ფორმები დიდხანს ინარჩუნებდა ოსმალურისგან განსხვავებულ თავისებურებებს. ამაზე საგანგებოდ მიუთითებდა დ. ბაქრაძე.[8] ალბათ, სულთნის კატეგორიული გადაწყვეტილება იყო სამხრეთ საქართველოსა და სხვა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში დამყარებულიყო ოსმალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა.

სამცხე-საათაბაგოში რომ ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები მკვიდრდებოდა, ამაზე ნათლად მიუთითებს დავთარში დამოწმებული ოსმალური მიწისმფლობელობის კატეგორიები: ხასი, ზიამეთი, თიმარი, ვაყუფი, თავისუფალი თიმარი, ჩიფთლიქი და სხვა. ოსმალური მიწისმფლობელობის ეს კატეგორიები ნაჩვენებია იმ საველწერო დაფთრებში, რომლებიც ოსმალო მოხელეებმა შეადგინეს ზემო და ქვემო აჭარის, ბათუმისა და ახლო მდებარე ტერიტორიებისათვის.

ქართული ტერიტორიების მფლობელი ქართველი ფეოდალები არ თმობდნენ თავიანთ „ქართველობას" და მეფდრად იბრძოდნენ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ასეთები იყვნენ – მანუჩარ ათაბაგი, მისი მეუღლე ელენე, მანუჩარის დედა დედისიმედი, აზნაურები, საეკლესიო მსახურნი და სხვა. საამისო მასალები უხვადაა დამოწმებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში."[9]

დავთარში დახასიათებულია, აგრეთვე, „დავთრის გარეშე" დარჩენილი სოფლები, რომელთა მიწები, მ. სვანიძის აზრით, შეიძლება ყოფილიყო გაბოძებული იურთლუქებისა და ოჯაქლიქების სახით.[10]

ოსმალეთში არსებული მიწისმფლობელობის სისტემა უშუალოდ იყო დაკავშირებული ოსმალურ მართვა-გამგებლობასთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ოსმალეთის პროვინციებში მიწები ძირითადად დანაწილებული იყო ხასებად, ზიამეთებად და თიმარებად, რომლებსაც სახელმწიფო მის ქვეშევრდომებს ურიგებდა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. სამხედრო სამსახურის შესრულება გარკვეულ პირობებთან იყო დაკავშირებული. პროვინციის გამგებელი სათავეში უნდა ჩადგომოდა იმ ლაშქარს, რომლის გამოყვანა მას ევალებოდა. ყველაფერი ეს ფიქსირებული იყო სათანადო დოკუმენტებში, დავთრებში. ცალკეულ ვილაიეთს განსაზღვრული რაოდენობის ჯარისკაცის გამოყვანა ევალებოდა. სამხედრო საკარგავების ხარჯზე შენდებოდა სამხედრო საზღვაო ფლოტიც.

საინტერესოა აინი ალის „რისალეში" ჩამოთვლილი ქართული პროვინციები, რომლებიც სამ სხვადასხვა რეგიონში ერთიანდებოდა. მაგალითად, ჩილდირის ვილაიეთში შედიოდა: ჯოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი, ხოლო ოთხი სანჯაკი გაცვეთილი იყო იურთლუქის, ოჯაქლიქისა და მულქიეთის სახით. ესენია: ლივანა, შავშეთი და ფანასკერტი. ჩილდირის ვილაიეთში 656 კილინია, აქედან 97 ზიამეთი, 559 თესქერიანი და უთესქერო თიმარია. მათ ევალებოდათ 1700-მდე მეომრის გამოყვანა.

---

[8] Бакрадзе Дм. Исторический очерк турецкой системы землевладения. Приложение К протоколу Кавказского Юридического общества. №9, 1889, с. 29.

[9] დავთარი, II, გვ. 3, 25, 46 (თურქული ტექსტი); დავთარი, I, გვ. 2, 21, 22, 42.

[10] მ.სვანიძე. სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით". – თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 302.

ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გამო ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული ხდებოდა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო და თავისი დასაყრდენი ეპოვა ქართველ წარჩინებულებში. ოსმალები იძულებული ხდებოდნენ ეცნოთ ქართველ წარჩინებულთა მფლობელობა. მოგვიანებით, ქართველთა მიერ ისლამის მიღება და ოსმალთა მხარეზე გადასვლა (ჯაყელები, ხიმშიაშვილები, ხურციძეები, ერისთავები, აბაშიძეები) აპირობებდა იერთლუქისა და ოჯაქლიქების მათ ხელში გადასვლას. ქართველთა ნაწილი ქრისტიანებად რჩებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ისინიც ისლამს იღებდნენ და კარგაჟდნენ წინანდელ უფლებებს. მუსლიმობის მიღებით ისინი საბოლოოდ ოსმალთა სახელმწიფოს გამგებლობაში ექცეოდნენ.

აჭარაში ოსმალური მიწისმფლობელობის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული ბათუმის ლივის. ზემო და ქვემო აჭარის დავთრებში. აქ წარმოდგენილია მიწისმფლობელობის შემდეგი ფორმები: თიმარი, ზიამეთი, ხასი, ჩიფთლიქი, ბაშთინე, იერთლუქები, ოჯაქლიქები, ჰუქუმეთები.

ქვედა აჭარაში არსებული ხასები ყველა სულეიმან ბეგის საკუთრება ყოფილა და იგი შვიდ სოფელს მოიცავდა. დავთარში ნახსენებია დაპყრობილი ტერიტორიები, რომლებიც შემდეგში ხასად გადაკეთდა, ბოლოს კი ჩიფთლიქად იქნა აღიარებული. ამავე დავთარში კიდევ სხვა ხასებზეა საუბარი. დახასიათებულია აჭარის მირმირანი ამმედ ფაშა, რომელიც ასევე ფლობს ხასებს. მას ექვემდებარებოდა ექვსი სოფელი. ახმედ ფაშას განკარგულებაში იყო. აგრეთვე, ქვემო აჭარის შვიდი სოფელი. ზემო აჭარაში ხასების მფლობელი იყო მუსტაფა ბეგი. მას 10 სოფელი ექვემდებარებოდა. ხასის მფლობელს ეეალებოდა, აგრეთვე, გადასახადების აკრეფა, რომელიც გაწერილი იყო აჭარის მოსახლეობაზე (ბეით ალ მალი, გადასახადები ფოცხვერის ტყავზე, სასაკლაოებზე, შავ დამღაზე, ჯიზიე მურახასიე გაბრანზე, ცხვარზე, იალაღებზე, ბაჯჰაეას ნახევარი და საქორწინო).

ასე რომ, ზემო და ქვემო აჭარაში ბეგები განაგებენ ხასებს და ჰქონდათ მნიშვნელოვანი ოდენობის შემოსავალიც. დავთრებში იხსენიებ, ვაყუფები, აგრეთვე, ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილი იყო მუსტაფა ლალა ფაშასთვის.

აჭარის ბეგებს მიწის ნაკვეთები იერთლუქისა და ოჯაქლიქის სახით ებოძათ. ამ ნაკვეთებიდან მათ მიეცათ ჩიფთლიქები.

დაკვირვებით ირკვევა, რომ აჭარაში ვაყუფები XVI საუკუნის მეორე ნახევარში მუსტაფა ლალა ფაშასაც ებოძა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში კი ისინი ჩამორთმეული ჩანს. ლალა ფაშა ამ დროს გარდაცვლილი ყოფილა. მისთვის ბოძებული ვაყუფები უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში სხვა პირებს ებოძათ. ჩანს, რომ მიწები უკვე დიდ ხანია ვაყეფუბადაა ქცეული და იგი ოსმალო სასულიერო პირების ხელშია გადასული.

დავთრებში მოყვანილი ცნობებით, ზემო და ქვემო აჭარა მოფენილი ყოფილა ზიამეთებითა და თიმარებით. დავთარი შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, რადგან ამ პერიოდში ხდება მიწის ნაკვეთების გადაკეთება თიმარებად და ზიამეთებად, ჩიფთლიქებად. ზემო და ქვემო აჭარაში სულ დასახელებულია 13 ზიამეთი და 7 თიმარი. აქვე ჩამოთვლილია თითოეულ თიმარსა და ზიამეთზე გაწერილი გადასახადები.

ქვემო აჭარის ზოგიერთ სოფელში თიმარისა და დირლიქის გაბოძების შემთხვევებიც იყო. ამას სახელმწიფო ახორციელებდა ცენტრიდან.

ჯერ კიდევ 1571-1572 წლებში ებოძათ მიწის გარკვეული ტერიტორიები იერთლუქის, ოჯაქლიქისა და ჩიფთლიქების სახით ცალკეულ პირებს. სახეზეა მიწების ზიამეთებად გადაკეთებაც. ეს მიწები შემდეგ ხასად იქცეოდა.

ამრიგად, აჭარის ლივის მოკლე დავთარი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა მოცემულ პერიოდში ზემო და ქვემო აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხების გარკვევაში.

არანაკლებ საინტერესო წყაროა აჭარის ისტორიისათვის 1031 ნომრით შედგენილი მოკლე დავთარი ბათუმის ლივის შესახებ, რომელიც 41 გვერდს შეიცავს. მასში ჩამოთვლილია თიმარები, ზიამეთები, დიზდარები, მუსთაფაზები, ქეთხუდები, სეკრბოლუქები და სხვა. დავთარში დასახელებულია 18 ზიამეთი და 41 თიმარი. აქვე ჩამოთვლილია თითოეულ ზიამეთსა და თიმარში შემავალ სოფელთა რაოდენობა. დაზუსტებულია, თუ ვის განკარგულებაშია ესა თუ ის თიმარი ან ზიამეთი. არის ზიამეთები, რომლებიც საზიარროა და ერთდროულად ეკუთვნის ორ დასახლებულ პუნქტს. დავთარში ჩამოთვლილია გადასახადის სახეობაც (მეათედი თევზსა, ოშრი ორმანი და სხვ.). აქვე მოთხრობილია ბათუმის ჩაუშთა და გონიოს ციხის თოფჩიების ქეთხუდებისადმი ბოძებულ თიმარებსე.

ამრიგად, ბათუმის ლივის მოკლე დავთარი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა XVII საუკუნის ბათუმის ეკონომიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად.

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ ასევე საინტერესოა ზემო და ქვემო აჭარის ერცელი დავთრები. მის პირველ გვერდებზე საუბარია ვინმე მღვდელ იბრაჰიმზე, რომელიც ფლობდა მიწის გარკვეულ რაოდენობას, შემდეგში მას მიწები ჩამორთმეული და სულეიმან ბეგის მფლობელობაში გადასული. მოცულობით და შინაარსით ამ დავთრის იდენტურია დავთარი, რომელიც ინახება ანკარაში, თაფუსა და კადასტრის არქივებში.

დავთრის მიხედვით, ზემო აჭარის ნაჰიეში გაერთიანებულია 59 სოფელი, ხოლო ქვემო აჭარაში – 35. დავთარში საუბარია მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მფლობელები არიან ზიამეთის მესაკუთრენი. აქვეა ცნობები აზნაურთა მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც შემდეგ ვინმე მუსტაფა ზაიმის მფლობელობაში გადავიდა. ზემო აჭარის სოფლების გარკვეული რაოდენობა მოსახლეობისაგან დაცარიელებული ჩანს.

დავთარში არის ერცელი მინაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ ვინმე ჰადუნი განაგებდა საკონსტიტუციო საკაკუუფო მიწებს. მას მემკვიდრეობით ეკუთვნოდა მუსტაფა ლალა ფაშას აჭარის ხასების მირმირანობა. ქვედა აჭარაში კი შეწერილი ჰქონდა 2000, ხოლო შაკუეთის ნაჰიეში – 6000 ახჩა.

ამრიგად, დავთარში დამოწმებული მასალები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ მიწისმფლობელობის ის ფორმები, რომლებიც ოსმალეთს შემოჰქონდა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, კერძოდ, აჭარაში, მკვეთრად განსხვავდებოდა ოსმალეთში არსებული მიწისმფლობელობის ფორმებისაგან.

აჭარის ისტორიის საკითხების შესასწავლად დიდად საინტერესოა „ბათუმის ლივის ერცელი დავთარი", რომელიც აგრეთვე ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. დავთარი შედგენილია 1703-1704 წლებში. ჩვენთვის ცნობილია მისი მხოლოდ მცირე ნაწილი – 88 ფურცელი. დავთრის მიხედვითაც ირკვევა, რომ ბათუმის მკვიდრი მოსახლეობა თავისუფალი იყო ყოველგვარი გადასახადისაგან. იგი ფლობდა მიწის ნაკვეთებს ბაშთინეების სახით. ბაშთინე ეწოდებოდა სასახლის და ლაშქრის სხვადასხვა სახეობის გადასახადის გადამხდელ ქრისტიან ქვეშევრდომებს. ბაშთინეები მემკვიდრეობითი იყო და მამიდან შვილზე გადადიოდა.

ბაშთინეებით იყო მოფენილი მთელი ბათუმის სანჯაყი. მრავალი ბაშთინეა დასახელებული ბათუმის ლივაში შემავალი ათინას ნაჰიეში. ბაშთინეებთან ერთად მოიხსენიება, აგრეთვე, მიწის ნაკვეთები, რომელთა მფლობელებს ევალებათ გარკვეული გადასახადის გადახდა.

სხვა დავთრებთან ერთად, ეს დავთარი მნიშვნელოვანი წყაროა მაშინდელი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკის, ონომასტიკის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად.

ამრიგად, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. ოსმალეთის ხელისუფლება ჩვეული სიმკაცრით ვერ ახერხებდა ოსმა-

ლური მიწისმფლობელობის ფორმების დამკვიდრებას. ისინი მხოლოდ იურთლუქებისა და ოჯაღლიქების ფორმების შემოღებით კმაყოფილდებოდნენ. მათ ეერ შემოჰქონდათ სრული სახით ყველა ის ფორმა მიწისმფლობელობისა, რომლებიც ოსმალეთის სინამდვილეში არსებობდა. სახელმწიფო კატეგორიის მიწებიდან აჭარაში არსებობდა მხოლოდ ხასები, ზიამეთები და თიმარები. ასევე ფართოდ იყო წარმოდგენილი აჭარაში იურთლუქებისა და ოჯაღლიქების სისტემა. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით შედარებით მწირი ცნობები გაგვაჩნია აღნიშნული მიწისმფლობელობის ფორმების ფართოდ წარმოსახვნად. ჯერ კიდევ ბევრი წყარო არ არის გამოვლენილი და შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში. ალბათ, უახლოეს მომავალში კიდევ არაერთ საინტერესო წყაროს მოეფინება ნათელი და აჭარის ისტორიის შესახებ არსებული მიწისმფლობელობის კატეგორიები უფრო სრულყოფილად იქნება შესწავლილი ნეკნის მონოგრაფიაში.

§3. ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა აჭარაში XVI-XVIII საუკუნეებში

საგადასახადო სისტემა, რომელიც ოსმალეთს შემოჰქონდა დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში, ძირფესვიანად განსხვავდებოდა საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემისაგან. ქართული გადასახადები და მიწისმფლობელობის ფორმები მთლიანად ემყარებოდა ქართულ სამამულო მიწისმფლობელობას. ოსმალთა სამასწლიანმა ბატონობამ აჭარაში კი ძირითადად შეცვალა არსებული საგადასახადო სისტემა და იგი ოსმალურ ფეოდალურ ურთიერთობას დაუქვემდებარა, ანუ ოსმალურ ყაიდაზე მოაწყო.

აჭარაში ოსმალური საგადასახადო სისტემის, მიწისმფლობელობის ფორმებისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესასწავლად საუკეთესო წყაროა ოსმალური დავთრები (ერცელი და მოკლე დავთრები), კანონთა კრებულები, სხვადასხვა ტიპის ოსმალური დოკუმენტი: ფირმანები, ბერათები, არზები, ჰუქუმები, სებები, ოაჰრირი ჰუქმები და სხვა ხასიათის მასალა, რითაც მდიდარია თურქეთის არქივსაცავები და ბიბლიოთეკები. მათი უმრავლესობა დღემდე სრულიად უცნობი იყო ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის. ასეთებს ეკუთვნის ისეთი უნიკალური ხასიათის წერილობითი ძეგლები, როგორიცაა „მუჰიმე დაფთრები", რომლის 266 ტომი ინახება სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში. ძეგლებს ერთვის 18 ტომი, რომლებშიც XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძვირფასი ცნობებია გაბნეული.

მეტად მნიშვნელოვანი წყაროა „ბათუმის ლივის აღწერის ერცელი დავთარი", რომელიც 89 გვერდისაგან შედგება. მასში ჩამოთვლილია ის ოსმალური გადასახადები, რომლებიც შემოღებულ იქნა ბათუმის ლივაში. აქვე ჩამოთვლილია ნაჰიეები მოსახლეობის სრული სიით, რომლებიც მაშინ ბათუმის ლივაში შედიოდა. დავთარს ერთვის მოსახლეობის სრული სიაც. დავთრის მიხედვით ბათუმის ლივა შედგებოდა შემდეგი ნაჰიეებისაგან: ათინა, არხოვა (მეორე სახელია ღაზი), ჰემშინი და იაპაბოი. დავთარი შედგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში (1704 წელი). სამწუხაროდ, დავთრის სრული ტექსტი ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის. ცნობილია მისი 12 გვერდის შინაარსი.

დავთრის მიხედვით, ბათუმის ლივაში, რომელიც ბაშთინეებად იყოფოდა, ოსმალური გადასახადები გაწერილი იყო სიმინდზე, ფუტკარზე, ოვენსზე, ხილზე, კაკალზე, ბოსტანსე, ვენახის ხასებზე, შირაზზე, ღორზე. გარდა ამისა, არსებობდა საქორწინო და სხვა გადასახადები (ბენაქი, მუჯერედი, ისფენჯი და ა.შ.). მიკვლეულია, აგრეთვე, ბათუმის ლივის

მოკლე დავთარი, რომელშიც მითითებულია თითოეულ სოფელზე შეწერილი გადასახადების რაოდენობა. მასში შესულია ათინასა და არხოვას ნაჰიეები, რომლებშიც გაერთიანებულია 47 თიმარი. დავთარი შეიცავს 18 ფურცელს და შედგენილია სულთან მეჰმედ III (1595-1603 წწ) დროს.

არანაკლებ საინტერესოა აჭარის ლივის მოკლე დავთარი. მასში ზუსტადაა ჩამოთვლილი ზემო და ქვემო აჭარის სოფლები და მათზე შეწერილი გადასახადები: ბეით ალ მალი, იავასა. კაჩკუნი, არუსანე, ბადპავა, მურახასიე. გადასახადები დაწესებული იყო. აგრეთვე, შეეარდენსა და მიმონოსე, ფოცხვერის ტყავზე, ცხვარზე, იალალებზე. სასაკლაოებზე, შაე დამღაზე, სანთელზე, კანდელებზე და ა.შ. დავთარი წარმოდგენას გვაძლევს მიწის საკუთრების ფორმებზეც. ზემო და ქვემო აჭარაში ორი ხასი არსებობდა. მისი მფლობელები იყვნენ სულეიმან ბეი (ქვემო აჭარა) და აჭარის მირმარანი ამჰედ ფაშა. აჭარა დანაწილებული იყო 15 ზეამეთად და 9 თიმარად. სოფლები წერილ აღმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა.

ასევე მნიშვნელოვანია ბათუმის მოკლე დავთარი, რომელშიც დაწერილებითაა ჩამოთვლილი ყველა ზეამეთი და თიმარი. ისინი XVII საუკუნის ბათუმის ლივაში შედიოდა. დავთარს ერთეის ადგილობრივ მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადები. დავთარში რეგისტრირებულია 15 ზეამეთი და 86 თიმარი მათზე გაწერილი გადასახადებითა და მფლობელთა ვინაობით, რომლებიც მუსლიმები არიან. აქვე საუბარია ორი ციხის მუსიაფაზზე. ზეამეთებზე მიწერილ გადასახადებზე, მათ მფლობელთა სახელებზე, საერთო შემოსავალზე. ზემო და ქვემო აჭარის მიწების ყველა მფლობელი მუსლიმანურ სახელს ატარებდა.

ზემო აჭარის ლივის ხუთი სოფლის (ღორჯომი, დიდაჭარა, დოსხო, ალმე, ნიდა) გადასახადებზე მითითებულია ახალციხის ლივის მოკლე დავთარშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზემო და ქვემო აჭარის ლივის ერცელი დავთარი, ბათუმის ლივის მოკლე დავთარი, აჭარის ლივის მოკლე დავთარი.

თურქეთის არქივებში ინახება მთელი წყება ოსმალური დოკუმენტური წყაროებისა, რომელთა ქართულად თარგმნა შეუძლებელი გახდა. ერთ-ერთი ასეთი წყაროა „რუს ნამეები", რომლებშიც საინტერესო ცნობებია დაცული აჭარისა და მთელი სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ.

როგორც აღინიშნა, აჭარის შესახებ ერცელი დავთრები ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა მხარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. მათში უხვადაა წარმოდგენილი ის გადასახადები და ვალდებულებანი, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა იხდიდა. მათში იშვიათი სიზუსტითაა აღწერილი მოსახლეობაზე გაწერილი ცალკეული გადასახადის არსებობა.

ყველა ის გადასახადი და ვალდებულება, რომელსაც აჭარის მოსახლეობა ეხდიდა ოსმალებს, შემდეგია: ისფენჯი, გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ბოსტანზე, იონჯასა და თივაზე, ფუტკარზე, თაფისა და დეშთიბანზე, ღორზე, ცხვარზე, იალალზე, კანაფზე, ხილზე, წისქვილზე, ბადპავასა და არუსანეზე, ფეტვზე, შირაზე, გამოსაღები მურახასიებზე და სხვ. დავთრებში სულ დასახელებულია 94 სოფელი (ზემო აჭარაში 59, ქვემო აჭარაში – 35).

ისფენჯი. ეს გადასახადი არამუსლიმან მამაკაცზე იყო დაწესებული 25 ახჩის რაოდენობით, გამუსლიმანებული მას იხდიდა ბენაქის სახელწოდებით და 18 ახჩას შეადგენდა. ამ გადასახადით დაბეგრილი იყო მხოლოდ ქვემო აჭარის ერთი სოფელი – ქოლობანი. სხვა სოფლები ამ გადასახადს არ იხდიდნენ. სამაგიეროდ, მთელი აჭარა იხდიდა ისფენჯის გადასახადს, რაც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას.

ზემო აჭარაში ისფენჯი იერიფებოდა 7825 ახჩის, ქვემო აჭარაში კი – 3875 ახჩის რაოდენობით. მას ემატებოდა სხვა გადასახადები, რაც ერთად შეადგენდა 18485 ახჩას.

ისფენჯი მოაკარ გადასახადად ითვლებოდა და დაწესებული იყო თითოეული სოფლის ყოველ მკვიდრ მამაკაცზე.

აკადემიკოს ნ. დურნოვოის მიხედვით, ისფენჯი იგივე დეკაშირმეს გადასახადი იყო, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიფებოდა. ამის სანაცვლოდ წაყვანილ ბავშვთა უმეტესობა იყიდებოდა სტამბოლის ბაზარზე, ნაწილი კი – სულთნისა და ფაშების სასახლეებში ხელზე მოსამსახურე ხდებოდა, ნაწილს კიდევ იანიჩართა კორპუსებში ამწესებდნენ. მდიდრები ეარკვეული თანხის გაღებით თავს აღწევდნენ ამ გადასახადს. ღარიბები „ი 10-12 წლის ბავშვებს აქორწინებდნენ. რადგან ახლად დაქორწინებულები ჯარში არ მიჰყავდათ. ამ გადასახადის გადახდა შეწყდა 1638 წელს სულთან მურად IV დროს.[1] გ. ტივაძის ეარაუდით, ისფენჯი ქრისტიან მოსახლეობაზე სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დაწესებული გადასახადია, რომელიც თურქებმა არაბებისაგან გადმოიღეს იმ განსხვავებით, რომ იგი ეეკლესიათეის ერთიანი ოდენობით დააწესეს.[2]

„ბურჯოსტანის ეილაიეთის დიდი დავთრის“ კანონ ნამეში ისფენჯი რეგლამენტირებული, როგორც სტაბილური გადასახადი. მას მთელი ეილაიეთის მოსახლეობა იხდიდა სულზე 25 ახჩას ოდენობით. აკარის მოსახლეობაზე მასიურად გაწერილი ისფენჯის გადასახადი მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა მასიურად ქრისტიანი ან ახლად გამუსლიმანებული იყო.[3]

ამრიგად, ისფენჯი იყო ქრისტიან მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრებოდა ზემო და ქვემო აჭარის მკვიდრთ. გადასახადს იხდიდნენ წელიწადში ერთხელ. ბუნებრივია, ამით ისინი დროებით ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას.

დავთრის მიხედვით, ისფენჯის შემდეგ ზემო და ქვემო აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა იხდიდა გადასახადს ხორბალზე. დავთარში თითოეულ სოფელზე შეწერილი გადასახადის ოდენობა იანგარიშებოდა ქილებში და ახჩებში. მაგალითად, მთელი ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობაზე ხორბალზე შეწერილი გადასახადი 23240 ქილას შეადგენდა, რომლის საერთო ღირებულება იყო 227130 ახჩა. მთელ აჭარაზე შეწერილი ქერის გადასახადი ედრიდა 2060 ქილას ანუ 178985 ახჩას. ნახს. რომ აჭარის მოსახლეობას ეფერო ინტენსიურად ხორბლეული მოჰყავდა, რაც ამ კულტურის ფართო გავრცელებასაც მიუთითებს. აჭარის მოსახლეობაზე შეწერილი იყო, აგრეთვე, გადასახადი ხილზე. თუმცა, მისი ოდენობა არ იყო დიდი (7474ახჩა).

შირაზე გადასახადი მანობით იზომებოდა. მთელ აჭარას ემართა 7211 მანი გადასახადი, რომლის ღირებულება შეადგენდა 52868 ახჩას. ასე რომ, შირაზე გადასახადი ერთობ დიდი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობა ტკბილეულსაც ფართოდ იყენებდა.

---

[1] Державин Н.С. История Болгарии, т. III, М. - Л.. 1947, с. 19.

[2] გ.ტივაძე. სამცხე-საათაბაგო „ბურჯოსტანის ეილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. – „მნათობი“, 1948, №7, გვ. 138.

[3] გიბისა და ბოვენის აზრით, ისფენჯის გადასახადში გაერთიანებული იყო ბენაჯი, მუჯერედი და ჩიფთის გადასახადები (Cibb H.A., Bowen H. Islamic Sosiety and the west, I, 1951, 241); უნგრელი ოსმანისტი ლაიოშ ფეკეტე ისფენჯს ამსგავსებს ძველ უნგრულ გადასახადთან – „რეზი კაუუსოან“. მისი აზრით, ეგი ოსმალურ ადათობრივ გადასახადს განეკუთვნება (Fekete L. Turk vergi tahrirleri. Belleten, cilt XI. sayi 42. 1947, Ankara, s. 313). ბალთელ ინალჯიკის ცნობით კი, ოსმალები ისფენჯს უნგრეთში ძალიან შეზღუდულად იყენებდნენ. სამაგიეროდ, იგი ფართოდ იყო გავრცელებული ანატოლიასა და აღმოსავლეთის დაპურობილ ტერიტორიებზე (Halil Inalcik. Osmanlilarda raiyyet rusumu, Belleten, cilt XXIII-sayi 92, 1959, Ankara, s. 606). ისფენჯის ადება ბეეულებრივ მარტში ხდებოდა. ი.უზუნჩარშილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ისფენჯი ქრისტიანთაგან აღებული ჩიფთის გამოსაღების სანაცვლოა, რომელსაც შრომისუნარიანი ყოველი არამუსლიმანი ოჯახის უფროსი მამაკაცი იხდიდა“ (Uzuncarsili I.H. Kanuni Osmani mefhumi defteri Hakani. Bir kas soz. Belleten, cilt XV, dayi 59, 1951, Ankara, s. 398). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ობარკანი (BarkanO.L. Giftlik, Islam Ansiklopedisi, cilt 3. cuz. 25, 1945. Istanbul, s. 393).

შედარებით ნაკლები ოდენობის გადასახადი იყო დაწესებული კაკალზე. მთელი აჭარა 223 ქილა კაკალს იხდიდა, რაც 4440 ახჩის ტოლია. ასევე მცირე რაოდენობის გადასახადი არსებობდა ბოსტანზე (5025 ახჩა) და კანაფზე (6018 ახჩა). ამ მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აჭარის მოსახლეობა მებოსტნეობას, თუ კანაფის მოყვანას ან მცირე რაოდენობით მისდევდა, ანდა მასზე მცირე გადასახადი იყო დაწესებული.

აჭარაში საკმაოდ დაწინაურებული იყო მეფუტკრეობა, მაგრამ მასზე შეწერილი გადასახადი, რაც 5424 ახჩას შეადგენდა, არ იყო დიდი. იგი მთელ აჭარაზე შეწერილი არ ჩანს. მასობრივ ხასიათს ატარებდა წისქვილზე გადასახადი. ქვემო აჭარაში იგი 2010 ახჩას უდრიდა. გადასახადები დაწესებული ყოფილა იონჯასა და თივაზე (9274 ახჩა).

სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე იყო გაწერილი გადასახადი უშური, რაც მთელი მოსავლის მეათედს უტოლდებოდა. გლეხი უშურს, ჩვეულებრივ, მარცვლეულის სახით იხდიდა. მისგან განთავისუფლება არავის შეეძლო.[4]

აჭარის საგადასახადო სისტემაში და საერთოდ ოსმალურ გადასახადებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თაფუ-დეშთბანის გადასახადს, რომელიც ზემო და ქვემო აჭარაში 10483 ახჩით განისაზღვრებოდა. თაფუ გაიღებოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი სხვადასხვა მიზეზის გამო ერთი მფლობელიდან მეორის ხელში გადადიოდა. მემკვიდრის არყოლის შემთხვევაში, მიწის მფლობელი მიწას აძლევდა რაიას ახალო ნათესაის თაფუს საფუძველზე. ასევე თაფუს საფუძველზე იღებდა მიწას პირდაპირი მემკვიდრე — შვილი.

კანონით ნებადართული იყო თაფუს საფუძველზე ქალისათვის მიწის გადაცემა. ქალი კი, თავის მხრივ, ეალდებული იყო მიწა დაუმუშავებელი არ დაეტოვებინა.

ამრიგად, თაფუ იყო ერთიროული გადასახადი, რომელსაც მეურნეობის გამართვისათვის იხდიდა რაია, თუმცა, მან არ იცოდა თაფუს რაოდენობა მანამ, სანამ იგი სხვას ეკუთვნოდა. როცა რომელიმე რაია მიწას თაფუს საფუძველზე იღებდა, მაშინ მიწის მფლობელის მიერ ხდებოდა თაფუს რეგლამენტაციაც მიწის ნაკვეთის ოდენობისა და ნაყოფიერების მიხედვით.[5]

ზემო და ქვემო აჭარის „ერცელი დავთრის" მიხედვით, მთელი მოსახლეობა იხდიდა მურახასიეს გადასახადს, რომელთა საერთო ოდენობა შეადგენდა 1060 ახჩას. მართალია, აჭარის შესახებ არსებულ წყაროებში ჩვენ არ გაგვაჩნია აჭარის „კანუნ ნამე, მაგრამ იგი რეგლამენტირებულია გურჯისტანის კანუნ ნამეში. აქ მითითებულია, რომ მურახასიეს გამოსაღები თითოეულ კაცზე შეადგენდა ორ-ორ ახჩას. ახალ სასულთნო დავთარში ჩაწერილობის თანახმად, რეას მდგომარეობის შესამსუბუქებლად. თითოეული კომლი ამ გადასახადს ორ-ორი ახჩის მოცულობით იხდიდა. ამდენად, მურახასიე საკომლო გადასახადი იყო, რომელიც ხშირადაა მოხსენიებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთრებში".[6] იგი ქრისტიან მოსახლეობაზე იყო შეწერილი ფულადი სახით[7] და დასახელებულია სოფლის მეურნეობის სხვა გადასახადების გვერდით.

---

[4] ნ.შენგელია. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით. — თსუ შრომები, 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1960, გვ. 300.

[5] თაფუს გამოსაღების მნიშვნელობაზე, მისი გადახდის წესზე და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე იხ.: ვ.გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს. თბილისი, 1958, გვ. 217-218; გ.ტივაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 131-132; Соколов И.Н. Земельное податное обложение в Турции до Танзимата. – Новый Восток, 1925, №8-9, с. 85.

[6] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, I. თბილისი, 1947; II, თბილისი, 1941.

[7] მურახასიეს გამოსაღებზე ცნობა დაცულია XVIII საუკუნის ქართულ წყაროებშიც (ნ.ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბილისი, 1953, გვ. 297); „ოდეს ღმერთმა ხელი მოუმართა, იქედამ დიდს ხელმწიფეს შაჰინ შას მურახასი მიეცა და მშვიდობით ბატონყმანი მოხვედით" (ეთაყაოშვილი. კვინკლოსები. — საქართველოს სიძველენი, III. ტფილისი, 1910, გვ. 57).

აჭარის მთელი მწარმოებელი საზოგადოება იყო დაბეგრილი ბადალიასა[8] და საქორწინო გადასახადით, რომელთა საერთო რაოდენობა აღწევდა 13657 ახჩას. აჭარის ერცელი დავთრის მიხედვით, ორივე გადასახადი ერთად იანგარიშებოდა და მათი ცალ-ცალკე ოდენობის განსაზღვრა ძნელდება. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ბადალიაში გაერთიანებული იყო ფეოდალური გადასახადების მთელი ჯგუფი, აგრეთვე, საქორწინო გადასახადი, მიწის გადასახადი თაფუ და საკომლო, რომელიც ერცელდებოდა სხვა ადგილებიდან გამოსაზამთრებლად მოსულ პირებზე.[9]

საქორწინო გადასახადს იხდიდა დაქორწინებული პირი პირველი ღამის ‘ფულების გამოსყიდვის სახით. ამასთან, კანონ ნამეს მიხედვით, მუსლიმი ორჯერ მეტს იხდიდა, ვიდრე ქრისტიანი. სხვადასხვა რაოდენობით იანგარიშებოდა ქალწულისა და ქვრივის გადასახადი. პირველი იხდიდა 60 ახჩას, მეორე – 30 ახჩას (ე.ი. ორჯერ ნაკლებს), თუ ისინი ცხოვრობდნენ ბეგლარბეგისა და მირილივას სახასო მიწებზე. ქალწულის გამოსაღების გადახდა ეევალებოდა მამას და უხდიდა მის რაიას. ხოლო ქვრივი გამოსაღებს უხდიდა თიმარის მფლობელს, ვის მიწაზეც იგი იმყოფებოდა. ამდენად, საქორწინო გადასახადით დაბეგრილი იყვნენ ის ქვეშევრდომები, ვინც მიწაზე იყვნენ მიმაგრებულნი და გააჩნდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ასეა დახასიათებული საქორწინო გამოსაღები მაშინდელი ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ყველა ეილაიეთის კანონ ნამეში.[10] ასეთივე ხასიათის უნდა ყოფილიყო საქორწინო გადასახადი აჭარაში.

ზემო და ქვემო აჭარის დავთრების მიხედვით, აჭარაში გაერთიანებული ყოფილა მეღორეობა. ამის დასტურია თვით დავთრებში ფიქსირებული გადასახადი ღორზე, რომელიც თითქმის ყველა სოფელზეა შეწერილი. მისი ოდენობა 4656 ახჩას შეადგენდა. მართალია, დავთარში არ ჩანს, თუ რა რაოდენობით იხდიდა თითოეული კომლი ღორზე გადასახადს, მაგრამ თვით ამ გადასახადის არსებობა მრავლისმეტყველია – მეღორეობას აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროსაც ფართოდ მისდევდნენ და ამ დარგის ერთბაშად აღმოფხვრა მათ ვერ მოახერხეს. „გურჯისტანის ეილაიეთის დავთრის“ მიხედვითაც, მთელი ეილაიეთი იყო დაბეგრილი ღორზე გადასახადით. თუმცა, არც აჭარის დავთრებში, არც კანონ ნამესა და სხვა წყაროებში ეს გადასახადი ზუსტად რეგლამენტირებული არ იყო.[11] ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ოსმალეთი თავდაპირველად გარკვეულ დათმობაზე მიდიოდა ამ მხრივ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობით შეიძლება აიხსნას.

მეღორეობის მიმართ ოსმალო ხელისუფალნი საერთოდ მკაცრ პოლიტიკას ატარებდნენ. მათი მთელი საქმიანობა მიმართული იყო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის სრული ლიკვიდაციისაკენ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ღორზე შეწერილი გადასახადები გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე მეურნეობის სხვა დარგებზე.

აჭარის თითქმის ყველა სოფელზე იყო შეწერილი ცხვარზე გადასახადი, რაც 7661 ახჩას შეადგენდა. თუმცა, იგი ზუსტად რეგლამენტირებული არ ჩანს და უცნობია, რა წესით ახდევინებდნენ ამ სახის გადასახადს. სამაგიეროდ, ცხვარზე გადასახადი რეგლამენტირებულია გურჯისტანის კანონთა წიგნში, რომლის მიხედვით ცხვარი და ბატკანი ერთად იანგარიშებოდა და ორ ცხვარზე ერთ ახჩას ახდევინებდნენ. ეს ოდენობა მთელ ოსმალეთის იმპერიაში იყო დაკანონებული.[12] გადასახადები დაწესებული იყო, აგრეთვე,

---

8 „ბად“ სპარსულია და ნიშნავს ქარს, „ჰავა“ კი თურქულია და ჰაერს აღნიშნავს.

9 Валуйский А.М. Феодальный строй Турции в XV-XVI вв., М., 1939, с. 47.

10 Barkan O. დასახ. ნაშრომი, გვ. 68, 174, 207.

11 ოპარკანის ცნობით, ღორზე გადასახადი რეგლამენტირებული იყო ოსმალთა მიერ დაპყრობილ ზოგიერთ პროვინციაში, მათ შორის ბალკანეთში (Barkan O. დასახ. ნაშრომი, გვ. 301, 306).

12 გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთარი, I. თურქული ტექსტი, გვ. 3; II, ქართული თარგმანი, გვ. 3.

მსხვილფეხა საქონელზე (ძროხა, ხარი, კამეჩი). თუმცა, არც იგი იყო ზუსტად რეგისტრირებული დაეთრებში.

მთელ გურჯისტანის ვილაიეთზე და მათ შორის აჭარაზეც იყო გაწერილი გადასახადები სახაფხულო საძოერებზე (იალაღებზე). აჭარის მოსახლეობას 3971 ახჩა ემართა. საზამთრო სადგომებზე გადასახადი შეწერილი არ იყო. ოსმალები იალაღებს ხელეხლებლად ტოვებდნენ და ისინი კელაეინდებურად ძველი მფლობელების ხელში რჩებოდა, მაგრამ „კანონთა წიგნების" მიხედვით იკრძალებოდა მათი დამუშავება და შემოღობვა. მსგავსი ცნობებია დაცული ოსმალეთის სხვა ვილაიეთების კანონ ნამეებ'ში.[13]

ამრიგად, ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა მძიმე ტვირთად დააწვა აჭარის მწარმოებელ საზოგადოებას. ამ სისტემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება მეტი გადასახადი აეკრიფათ და ამით დაეკმაყოფილებინათ თავიანთი გაზრდილი ეკონომიკური მოთხოვნილებანი როგორც ფულადი, ისე ნატურალური სახით. აჭარის მოსახლეობა გადასახადებს ძირითადად ფულად იხდიდა.

ოსმალური საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ ქრისტიანი გაცილებით მეტს იხდიდა, ვიდრე მუსლიმი. ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ ასეთივე საგადასახადო პოლიტიკას ატარებდნენ ოსმალები სხვა დაპყრობილ ტერიტორიებზე.

საგადასახადო სისტემა, რომელიც ოსმალეთის ხელისუფლებამ შემოიტანა ზემო და ქვემო აჭარაში და მაშინდელი ბათუმის ლივაში, მთლიანად განსხვავდებოდა ქართულ სინამდვილეში არსებული საგადასახადო სისტემისაგან. ოსმალები მიისწრაფოდნენ ყველაფერზე დაეწესებინათ გადასახადები და ვალდებულებანი. გადასახადები სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა.

უცხოური გადასახადები მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას, რის გამოც იგი თანმიმდევრულად იბრძოდა ოსმალებისა და ოსმალური საგადასახადო სისტემის წინააღმდეგ.

§4. ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების ცდები XVII-XVIII საუკუნეებში

ოსმალეთი შავ ზღვაზე გაბატონების შემდეგ იმპერიაკავკასიაშიც გამაკრდა. ოსმალებმა თანდათან ხელთ იგდეს არა მარტო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქვეყნები, არამედ სამხრეთი საქართველოც. ქართველი პოლიტიკოსები ენერგიულად იღვწოდნენ ევროპის ქვეყნების კოალიციის შესაქმნელად, რაც მანამდე არ მოხერხდა.

ბუნებრივია, აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატება დამოკიდებული იყო ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე; დიდი სახელმწიფოებისაგან საქართველოს სამეფოს აღდგენის აღიარებაზე და საამისოდ ქართველთა დიპლომატიურ სელებზე. ამას შედეგად მოჰყვა მცირე და დიდი ომები ოსმალეთის იმპერიის დასაშლელად, შავიზღვისპირეთიდან და კავკასიიდან მის განსადევნად.

1555 წელს ამასიაში ხელმოწერილი ხელშეკრულებით, აგრეთვე 1639 წელს ზოხაბას ზაეით, ირანმა და ოსმალეთმა საქართველო გაიყვეს: „დაშთა ხონთქარსა იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი".[1]

---

[13] Barkan O. დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია. – ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 440.

ქართველი პოლიტიკოსები კარგად ხედავდნენ, რომ ძლიერი ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლაში წარმატება შესაძლებელი იყო ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბებით. საქართველოსთან ერთად ანტიოსმალურ კავშირში უნდა შესულიყვნენ დასავლეთ და შუა ევროპის სახელმწიფოები, აგრეთვე, ირანი. კოალიციაში შემავალთ ერთობლივად უნდა ებრძოლაო მახლობელ აღმოსავლეთში ვითარების შესაცვლელად. ანტიოსმალური ლიგის იდეის შემუშავებისა და მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში ქართველები კარგად იყენებდნენ მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას.[2]

დასავლეთისაგან დახმარების მიღების უშედეგო მცდელობათა შემდეგ, საქართველოს სამეფო-სამთავროებმა მზერა მოსკოვის სახელმწიფოს მიაპყრეს, რომელიც იმ დროს იმიერკავკასიაში ძლიერდებოდა. ჩრდილო კავკასიაში შემოსვლით რუსეთი გარდუვლად უპირისპირდებოდა ოსმალეთს.[3] ამიტომაც ალექსანდრე კახთა მეფეს რუსეთი მიანდა ანტიოსმალური კოალიციის მოთავარ ძალად.[4]

ევროპის სახელმწიფოების მხრიდან რუსეთის ძალისხმევაზე მხარდაჭერის მოსაპოვებლად აქტიურობდა ავსტრიის საიმპერატორო კარი. 1593 წელს ოსმალეთ-ავსტრიის ომის დროს მოსკოვში ჩავიდა ავსტრიის იმპერატორის ელჩი ნიკოლოზ ვარკოჩი, რომლის მისია რუსეთის ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმას ითვალისწინებდა. ევროპის სახელმწიფოების მესეფურებმა ყურადღება მიაპყრეს ირანსაც. შაპის ელჩი რუსვან ჩაუში უფრო ადრე იმყოფებოდა მოსკოვში.

ბორის გოდუნოვი თანხმდებოდა ანტიოსმალურ ლიგაში გაერთიანებას იმ პირობით, თუ მასში შევიდოდნენ: რომის პაპი, ესპანეთისა და დანიის მეფეები, ვენეციის დოჟი, ლიტვის მეფე და სხვანი.

ამავე დროს, დადგა კაზაკთა ძალების უფრო აქტიურად გამოყენების საკითხი.[5] შავ ზღვაზე გასელა და ყირიმის სახანოს განთავისუფლება მოსკოვის სახელმწიფოს ოცნება იყო. 1492 წლიდან (ოსკოვის ციხის აგებიდან დაწყებული) აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საერთაშორისო სარბიელზე რუსი დიპლომატები აქტიურობდნენ.[6]

1606 წლის 11 ნოემბერს ოსმალეთთან დადებული ზავით ავსტრია გამოეთიშა ანტიოსმალურ კოალიციას. ამის შემდეგ ოსმალეთს საშუალება მიეცა აზიის კონტინენტზე მეტი ძალები დაეპირისპირებინა მოწინააღმდეგებისათვის.

მალე საქართველოში ყირიმელი თათრები შემოიჭრნენ, რამაც კიდევ უფრო დაძაბა მახლობელ აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობა.

ოსმალეთთან ურთიერთობის გამოსასწორებლად ქართველ პოლიტიკოსთაგან ფართო მოღვაწეობა წამოიწყო თეიმურაზ I, რაც კიდევ უფრო გააქტიურდა მას შემდეგ, რაც 1612 წლის 20 ნოემბერს სტამბულში გაფორმდა ირან-ოსმალეთის სამშვიდობო ხელშეკრულება.

მანამდე ოსმალეთი ფლობდა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს – ახალციხეს. ირანთან დადებული ხელშეკრულებით მან შეინარჩუნა საქართველოს მიტაცებული ტერ-

---

2 მ.თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1901; ი.ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ისტორიისათვის (XV-XVII საუკუნეები). თბილისი, 1965.

3 Белокуров С. Сношения России с Кавказом. Москва, 1891; Кабардино-русские отношения в XVI-XVII вв. Москва, ч. I, 1957,с. 5.

4 ნ.ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. – სის, ტ. IV, გვ. 44.

5 Смирнов Н.А. Россия и Турция. т. I, с. 150.

6 Базилевич К.В. Внешняя политика Русского централизованного государства. Вторая половина XV века. Москва, 1952, с. 239.

იტორიები. ამას, ბუნებრივია, ირან-ოსმალეთს შორის არსებული წინააღმდეგობა არ გარუმუხტავს.

ამ ორი დიდი მტაცებლის დაპირისპირების გამოყენებას შეეცადა 1613 წელს დასავლეთ საქართველოში გადმოსული თეიმურაზ I, რომელიც ფართო საერთაშორისო კავშირების შესაკერელად იღვწოდა.

საქართველოს თავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლი მეფისა და მისი თანამებრძოლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოსვლა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი იყო ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართული სამეფო-სამთავროებისათვის. მათთან მოლაპარაკების შემდეგ თეიმურაზმა დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობის თითქმის ყველა გზა მოსინჯა: 1613 წლის დასასრულს მან გონიოდან სტამბულს ელჩები გაგზავნა, რომელთაგან ერთი ეპისკოპოსი იყო. იგი ოსმალეთის სულთანს შაჰ-აბასის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სთავაზობდა.

ელჩობაში შემავალმა ეპისკოპოსმა სტამბოლში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების ყურადღება მიიქცია. საფრანგეთის ელჩმა და სხვებმა სარწმუნოების საკითხების დაინტერესებით დაიწყეს პოლიტიკური მიზნების განხორციელება. ამის გამო ქართულ ელჩობას თავიანთი წარმომადგენელიც გააყოლეს.

სულთანი ქართველ მეფეს ჰპირდებოდა ირანის წინააღმდეგ დახმარებას, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ოსმალთა აწევწილი ქმედების მოსაგვარებლად მის გამოყენებასაც ცდილობდა.

დიდ და ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ხანგრძლივ ბრძოლაში დასუსტებული გურიისა და ოდიშის სამთავროები პოზიციებს არ თმობდნენ. ქართველობის შენარჩუნების სამშვიდობო გარანტიებს ქართველი მთავრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო დიდი მსხვერპლის ფასად.

თეიმურაზთან შეთანხმებული გურიელი ოსმალეთის საპასუხო ელჩობის ხელმძღვანელს — ომარ ფაშას ბათუმში 1614 წლის 13 დეკემბერს ზაესა და ხარკის გადახდაზე შეუთანხმდა.[7] მომდევნო წელს ოსმალო დიპლომატმა ასეთივე პირობა დაადებინა დადიანს.[8]

ოსმალეთთან ხარკზე შეთანხმება სამთავროებისათვის შვებისა და ქართველობის შენარჩუნების გარანტია იყო. ამასთან, თეიმურაზმა სტამბოლს მიელინებული ელჩობის შემდეგ საქართველოში მოსული კათოლიკე მისიონერების მეშვეობით ევროპასთან დასაკავშირებლადაც გადადგა გარკვეული ნაბიჯები.

თეიმურაზ I-ის ეს მცდელობანი საქართველოს გაერთიანების შორს გამიზნული დიდი გეგმის ნაწილი იყო, რაც თავიდანვე მიზნად ისახავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მიტაცებული ტერიტორიების გამოხსნას. ამის დასტურია კახეთის 1615 წლის ანტიირანული აჯანყება. ქართველმა მეფემ აჯანყებულებს დროულად აცნობა ოსმალეთთან სამხედრო შეთანხმების შესახებ.

თეიმურაზ I უფრო მტკიცე და სამომავლოდ პერსპექტიულ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეებს ეძებდა. ასეთ მოკავშირედ მას დიდხანს რუსეთი მიაჩნდა და ამ მიზნით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების ყურადღებაც მოსკოვის სახელმწიფო კარისაკენ მიმართა.

იმიერკავკასიაში მოსკოვის სახელმწიფო აგენტმა ჯერ კიდევ 1615 წელს აცნობა ხელმწიფეს, რომ მეფე თეიმურაზმა შაჰ-აბასის წინააღმდეგ ექვსი ქრისტიანული სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი გაერთიანება შეაკავშირა.[9]

---

7 Письмо посланное с Востока отцом Луп Гранже. – СМОМПК, Тифлис, 1915, кн. 4, с. 31-32, 42.

8 მ.თამარაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

9 Полиевктов М. Материалы русско-грезинских взаимоотношении 1605-1637 гг. Тбилиси, 1941, с. 25.

1618 წელს რუსეთის მეფის კარზე ჩაეიდნენ გურიელის, დადიანის და იმერეთის მეფის წარგზავნილები. მათ რუსთა მეფეს წარუდგინეს გამოკვეთილი პოლიტიკური პროგრამა და შესაბამისი თხოვნა დახმარების შესახებ. ამ დროს მოსკოვშიეე იყო თვით თეიმურაზ I ელჩი იღუმენი ხარიტონი, რომელიც თავის პოლიტიკურ საქმიანობას შორეულ მიზნებს უკავშირებდა: შავი ზღვის დასაუფლებლად იგი რუსეთის ხელმწიფის ყურადღების მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ არც ოსმალეთი და არც ყირიმის სახანო საქართველოსთვის სამომავლოდ საიმედო მოკავშირედ არ გამოდგებოდა.

საერთაშორისო ასპექტიურ გამოსვლას რუსეთი მაშინ არ გეგმავდა. ამის გამო თეიმურაზის მიერ შეთავაზებული კავშირი იმხანად რეალური ვერ აღმოჩნდა.

სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც სულთნის კარზე დიდ ვეზირად ეგვიპტისა და ბოსნიის ბეგლარბეგი, წარმოშობით ქართველი მუსტაფა ფაშა დაინიშნა. მან ჯერ-ჯერობით შეაფასა საქართველოსთან საერთაშორისო-პოლიტიკური კავშირი და დაარწმუნა სულთანი ოსმან II, რომ ოსმალეთში მოეწვია მეფე თეიმურაზი. ამ სტუმრობას ქართველი მოღვაწეები მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებდნენ.

ოსმალეთის სატახტო ქალაქში ქართველი მეფის მრავალრიცხოვანი ამალით (500 თანამებრძოლით) მისვლას დიდი რეზონანსი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სამხედრო-პოლიტიკური კავშირის საწინდრად თეიმურაზმა ოსმალეთისაგან მხარდაჭერა მოიპოვა, მაგრამ მიღწეული არ მიაჩნდა საკმარისად მისი დიდი გეგმის განხორციელებისათვის. ამიტომ ოსმალეთიდან დაბრუნების შემდეგ მოსკოვში არქიეპისკოპოსი თეოდოსი წარგზავნა, რომელიც ტრაპიზონის, სტამბულის, კაფასა და აზოვის გავლით მოსკოვში ჩავიდა. ქართველი საეკლესიო მოღვაწის მისია მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და, რა თქმა უნდა, მიტაცებული ქართული მხარეების დაბრუნებას ისახავდა მიზნად.

თეიმურაზთან განხეთქილების შემდეგ სულთან მურად IV (1723-1743 წწ) წარუდგა გიორგი საკაძისაგან გაგზავნილი ელჩი გ. ქართველიშვილი, რომელიც, მართალია, იმდენად დიდ გეგმებს ვერ ისახავდა, როგორც მეფე თეიმურაზი, მაგრამ ირანელებისაგან თავის დასაცავად დახმარებას ითხოვდა.

გიორგი საკაძეც შეეცადა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების შეკავშირებას და იმედების მომცემი მოლაპარაკება წამოიწყეს იმერეთის მეფე გიორგისთან.

საქართველოს თავისუფლად განვითარების პერსპექტივას და მტერთაგან თავისმოხვეული შეზღუდვების მოხსნას ითვალისწინებდა დუნაის გადავლით მოსკოვს ჩასული „ხობისა და ალანიის“ მიტროპოლიტ გერმანეს დიპლომატიური მისია. ეს ქართველი მოღვაწე რუსი ხელმწიფის ყურადღებას მიაქცევდა ყირიმის სახანოზე და ყაენზე, რომლის „ცხენები რუსეთის სახელმწიფოში ძოვდნენ“. ელჩი რუსეთს სთავაზობდა დიდი იმედების მომცემ კავშირს, რომელსაც შექმნიდნენ საქართველო, მოლდავეთი, რუმინეთი, უნგრეთი და რუსეთი.

შავი ზღვის ოსმალთაგან განთავისუფლების ეს მომხიბლავი, დროული იდეა რუსეთში მაშინ სათანადოდ ვერ შეაფასეს.[10]

ვახტანგ V ღონისძიებანი დასავლეთ საქართველოში ქვეყნის გამთლიანებისათვის ბრძოლას ახალ იმპულსს აძლევდა. მაგრამ შინაურ და გარეშე ძალთა შეთანხმებით სანუკვარი მიზნის ახლო მომავალში მიღწევის კონკრეტული გზები არ ჩანდა.

ძლიერი ოსმალეთის პირისპირ მდგარი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ხან მეგობარი ბრძოლით, ხან ზავით ახერხებდნენ თავისუფლების შენარჩუნებას.

---

[10] ფრ.სიხარულიძე. მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან. თბილისი, 1991, გვ. 25.

საქართველოში მოსული იერუსალიმის პატრიარქი მაკარიოსი ქართველების ბრძოლით მოპოვებულ უფლებას – დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად, დიდ მიღწევად მიიჩნევდა.[11] ქართველობის შენარჩუნებისათვის ხანგრძლივ, უთანასწორო ბრძოლაში ქრისტიანობა მძლავრი ფაქტორი იყო, რასაც ძლიერი მტერიც კი აღიარებდა. XVII საუკუნის 80-იან წლებში ბათუმში გასამგრებლად ოსმალები ციხეს აშენებდნენ, მაგრამ გურიელის მედგარმა წინააღმდეგობამ მათი განზრახვა ჩაშალა და ეს ზღვისპირა ქალაქი საქართველომ შეინარჩუნა.[12]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოსახსნელად პირობების შემზადება და საამისოდ გადახდილი ბრძოლები მეფე არჩილ II სახელს უკავშირდება.

მართალია, არჩილს იმერეთში მეფობისათვის ბედი არ სწყალობდა, მაგრამ იმერეთის ტახტის შენარჩუნებისათვის ხანგრძლივ ბრძოლებში მან ბევრს მიაღწია ქართველთა ზნეობრივი გამხნევებისათვის.

დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივ ბრძოლებში ამ დიდად განათლებულ, მხედველ პატრიოტს მხარს უმაგრებდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გამოსული ჩინებული მოღვაწენი, რომლებიც მეფის თანამებრძოლთა ძლიერ გუნდთან ერთად ნაირნაირი საშუალებით იბრძოდნენ ქართველობის განმტკიცების, ქვეყნის მიტაცებული მხარეების გამოხსნისა და სამეფოს გამოლიანებისათვის. XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ამ ხანგრძლივ ბრძოლაში შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე ფაქტი, რომ ნათელი გახდეს ზღვისპირეთისა და სამხრეთ ქართველოს გამოხსნისათვის არჩილ II და მის თანამებრძოლთა ღვაწლი.

არჩილ II და მის გარშემო დარაზმული გუნდი იდეურობის განმტკიცებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლობაში სინამდვილის („მართლის თქმის") ასახვას. ოსმალეთის შემოტევებისაგან ყველაზე ძლიერ დაზარალებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წიაღიდან გამოსულმა მოღვაწეებმა მტერს დაუპირისპირეს საღი ქართული რეალობა, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამ მხარეში ქართველობის გადარჩენის საქმეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოების მოწინავე ნაწილში ჩამოყალიბებული იდეები, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატა მიტროპოლიტმა იაკობ ღუმბაძემ. ამ შემოქმედელ-სამებელ მწვანმსთავარს უკავშირდება ეროვნული იდეების ღრმა განცდა-გააზრება და მწერლობაში შემოტანა.

თავის თანამებრძოლებთან (ხიონოწმინდელი და სხვა) ერთად შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მრავალმხრივ იღვაწა უცხო გავლენაში მოხვედრილ ქართველთა გასამხნევებლად. საეკლესიო და სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად, მიტროპოლიტის ამ ჯგუფმა არჩილ II დახმარებით წარმატებით განაგრძო მოღვაწეობა საქართველოს საზღვრებს გარეთაც.

იაკობ შემოქმედელის მეთაურობით ელჩობის რუსეთში გაგზავნის საბაბი, მართალია, არჩილ მეფის მითითება-დავალება იყო, მაგრამ მოსკოვში თავისი მისია ამ გენიერმა დიპლომატმა `ქარგად გამოიყენა და 1693 წელს რუსეთის სახელმწიფო კარს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის რუს პოლიტიკოსებს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გაფორმება შესთავაზა. „ჩემი ეპარქია ახლოსაა ქ. ქობულეთთან". განაცხადა ქართველმა მიტროპოლიტმა ხელმწიფესთან დარბაზობაზე. იგი რუსეთის მეფეს ძლიერ მტერთან ბრძოლაში დახმარებას სთხოვდა. მრავალისმთქმელია ისიც, რომ მეფესთან აუდიენციაში მონაწილეობდა ხიონოწმინდელი ეპისკოპოსი იოანე და მისი ამალა.

---

[11] **Жузе Г. Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария. Казань, 1905, с. 49.**

[12] **ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1940, გვ. 69.**

სამშობლოს „გამოხსნისა და აღდგომისათვის“ ფართო საქმიანობა რუსეთში შემდეგ არაერთმა ქართველმა მოღვაწემ განაგრძო. ისინი მიყვებოდნენ შემოქმედელი მიტროპოლიტი იაკობის, ხინოწმინდელი ეპისკოპოსი იოანესა და სხვათა მიერ გაკაფულ გზას, რომელსაც ქვეყანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნამდე უნდა მიეყვანა.

მოსკოვს დამკვიდრებულმა არჩილ მეფემ გააღრმავა პოლიტიკური მოღვაწეობა სამშობლოს გამოსახსნელად და ახალი ელემენტები შეიტანა განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური საფუძვლების მომზადებაში. სწორედ ამ დროს მიექცა დიდი ყურადღება აზოვსა და შავ ზღვაზე რუსეთის გასვლას. ამ მიზნით რუსი დიპლომატები ძლიერ დაინტერესდნენ საქართველოთი.

შავ ზღვაზე გაბატონებულ ოსმალეთს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ყირაყინ უშლიდა ხელს ყოფილიყო სიტუაციის ბატონ-პატრონი. ზოგჯერ მხოლოდ კაზაკები თუ აწყობდნენ თარეშს შავი ზღვის სანაპიროებზე.[13]

მართალია, უკრაინის შეერთების შემდეგ რუსეთის სახელმწიფო საზღვარი ფორმალურად შავი ზღვის ნაპირებს ემიჯნებოდა, მაგრამ საზღვრის აღიარებისათვის ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა იყო საჭირო.

დიდი საეჭვო ინტერესების მქონე ქვეყნებთან (ავსტრია, ყირიმი, პოლონეთი) კაეშირში რუსეთი 1686 წლიდან ეომებოდა ოსმალეთს შავ ზღვაზე გასასვლელისათვის (სრუტეებისათვის).

პეტრე I აზოვის ციხის ხელში ჩაგდებით შეეცადა გაეხსნა სანაოსნო გზა ოსმალთაგან ჩაკეტილ შავ ზღვაზე, რაც სხვა სახელმწიფოთა ნორმალურ ვაჭრობას უსრულყოფდა.[14] შავი ზღვის საკითხზე ყოველგვარი მოლაპარაკების დროს ოსმალო დიპლომატები გადაჭრით უარყოფდნენ წარსულში ამ ზღვის სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში არსებობას და ქედმაღლურად აცხადებდნენ მასზე თავიანთი უფლების შეუვალობას. პორტას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი – არასდროს და არაფრის გულისათვის არ დაეშვა შავ ზღვაზე სხვა ქვეყნის გემების ყოლა.[15]

შავი ზღვის პრობლემის გადაჭრით რუსეთის დიპლომატიის დაინტერესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩის – ა. ტოლსტოის მიერ შედგენილი „შავი ზღვის აღწერა“, რომელშიც საქართველოს სანაპირო ციხესიმაგრეებიცაა ჩამოთვლილი.

ასეთი ინტერესის მიუხედავად, რუსეთმა მაშინ ეერაფერი გააწყო ოსმალეთთან.

1700 წელს კონსტანტინოპოლში დადებული ხელშეკრულებით, რუსეთს მხოლოდ აზოვის სიმაგრე და მომიჯნავე ტერიტორიები დარჩა,[16] მაგრამ მან ისიც დაკარგა 1711 წელს პრუტზე მარცხიანი ლაშქრობის დროს.

ოსმალთა წყალობითა და მცდელობით შექმნილი მძიმე მდგომარეობა გაუსაძლისი ხდებოდა საქართველოსთვის. ამ რთული საერთაშორისო სიტუაციის განსამუხტავად ქართველი პოლიტიკოსები მონდომებით ცდილობდნენ საქართველოს საკითხით დიდი სახელმწიფოები დაეინტერესებინათ.

არჩილ II კარგად შეაფასა წინაპართა, განსაკუთრებით, თეიმურაზ I მოღვაწეობა და რუსეთთან ურთიერთობის გასააქტიურებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა რუსეთის დედაქალაქში ქართველთა დასახლების განმტკიცების, სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კავშირის განვითარებისათვის.

---

13 Костомаров Н. Исторические монографии и исследования, IV. Москва, 1904, с. 40-60.

14 Соловьев С.М. История России. VII, т. 14. Москва, 1962, с. 609.

15 Улиницкий В.В. Дарданеллы, Босфор и Черное Море в XVIII веке. Москва, 1883, с. 26.

16 Договоры России с Востоками, политические и торговые, собрал и издал Т.Юзефович. – СПБ, 1869, с. 11.

ამან საშუალება მისცა პროგრესისათვის მებრძოლ ქართველებს – იმიერკავკასიელთა დახმარებით ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლები განეახლებინათ. ამ ომში არჩილ მეფისათვის მხარდაჭერის აღმოსაჩენად საჭირო სამხედრო კავშირის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ მოსკოვში ჩასული ქართველი დიპლომატები.[17]

მართალია, ხსენებულ ღონისძიებებს იმხანად დიდი ტერიტორიული დათმობანი არ მოჰყოლია, მაგრამ დასავლეთ საქართველოში არჩილ მეფის მეთაურობით გადახდილმა ბრძოლებმა ხელი შეუწყო ქართველობის გადარჩენას და თავისუფლებისათვის მებრძოლთ გამარჯვების იმედი განუმტკიცა.

შინაურ და გარეშე ძალთა ურთიერთშეთანხმებული ზეწოლის გამო, არჩილ მეფე დროებით განერიდა აწეწილ დასავლეთ საქართველოს და მოსკოვში დაბრუნდა, სადაც მრავალმხრივი კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობა განაგრძო.

მოსკოვს მყოფი არჩილი რუსეთის სამეფო კარს მრავალგზის მიუთითებდა კავკასიაში სახალხო-განმთავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების აუცილებლობაზე. საამისოდ იგი რუსეთის დიპლომატიის ყურადღებას მიქცევდა სომეხთა სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან თანამშრომლობაზე.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის – თ. გოლოვინისადმი 1703 წლის 5 ივლისს გაგზავნილ წერილში ქართველი მეფე საქართველოს, განსაკუთრებით. დასავლეთ საქართველოს ტრაგიკულ მდგომარეობას ადარებდა წაქცეულ ხეს, რომელსაც დასანეხად შეესევიან ხოლმე.

არჩილ II მიუთითებდა მისი სამშობლოსაგან ჩამოცილებული მხარეების (ჭანეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი და ა.შ.) გამოხსნის გზებზე. ამასთან, იგი თ. გოლოვინს აცნობებდა, რომ საამისოდ შედგენილია მეტად საჭირო ახალი რუკა.[18]

არჩილ II კარტოგრაფიული მოღვაწეობა ახალი ფაქტორი იყო საქართველოს სამეფოს აღდგენის საქმის იდეოლოგიური საფუძვლების მეცნიერულ მომზადებაში.

სამშობლოს გამოხსნას არჩილი, ძირითადად, რუსეთის მხარდაჭერაზე აფუძნებდა, მაგრამ, ამავე დროს, აქტიურად იღვწოდა ევროპის ქვეყნებთან კულტურულ-პოლიტიკური კავშირის გასაფართოებლად.

ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური კავკასიაში რუსეთის დიდ წარმატებებს წინასწარმეტყველებდა. ეს არ იყო მხოლოდ ოცნება. ქართველი მეფე და მისი ვაჟი, რუსეთის არტილერიის ოფიცერი ალექსანდრე ბატონიშვილი, მრავალმხრივ იღვწოდნენ, რომ რუსეთის და ევროპის ქვეყნების მმართველი წრეები კავკასიით დაინტერესებულიყვნენ. ამის შედეგი იყო, რომ რუსეთში ავსტრიის ელჩი პლეერი საამისო ვრცელ ინფორმაციას აწვდიდა თავის მთავრობას.

ამ დროს შვედეთთან ომში ჩაბმულ რუსეთს სამხრეთისაკენ მობრუნება უძნელდებოდა. ქართველი მეფე ახლო მომავალში იმედოვნებდა საქართველოსთან პეტრე I იანამშრომლობის მოგვარებას. ასეთ ვითარებაში ქართლის სამეფოს მესვეურებმა კიდევ ერთხელ სცადეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირება და საამისოდ გაითვალისწინეს წინაპართა მიერ გაწეული ღვაწლი, განსაკუთრებით, არჩილ II-ის მეფობის უკანასკნელი პერიოდის ნაბიჯები.

ვახტანგ VI მიერ დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით გაგზავნილ სულხან-საბა ორბელიანს ყველაფერი უნდა ეღონა, რომ სამშობლო ძველ საზღვრებში აღდგენილიყო. პარიზში იგი საფრანგეთის მეფეს არწმუნებდა იმიერკავკასიაში საფრანგეთის კა-

---

[17] ფრ.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[18] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი 110, საქმე – არჩილ მეფის წერილები თავად გოლოვინისადმი. გვ. 7.

პიტალის დაბანდების მიმზიდველობაში. იგი საფრანგეთის მეფის ყურადღებას მიიპყრობდა ჩერქეზთა მთავართან ქართველი მეფის მოყვრობაზე და სხვა.[19]

ქართველი მეფის ელჩი უცხოელ დიპლომატებს შეახსენებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე არსებული ნაციადგურების მოხერხებულობაზე და მათი სარფიანად გამოყენების შესაძლებლობაზე.

ასეთი აქტიური მოღვაწეობის მიუხედავად, სულხან-საბა ორბელიანის მისიას დასავლეთ ევროპაში წარმატება არ მოჰყოლია. საქმე იმაში იყო, რომ ოსმალეთის იმპერიასთან საკავშრო გარიგებებში ღრმად ჩართული საფრანგეთი არ მიდიოდა რისკზე და არ სურდა პორტას განაწყენება. თუმცა, ქართველი ელჩის მომხიბლავი გეგმა ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიის ჩაოელით და უფრო ფართო რეგიონში საფრანგეთს საარაკო წარმატებებს უწინასწარმეტყველებდა.

სულხან-საბა ორბელიანის საიდუმლოებით მოცულ მგზავრობას დასავლეთ ევროპაში უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. საინტერესოა, რომ იგი გზად შეჩერდა გონიოში, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პატრიოტი ქართველებისათვის, რომლებიც შემართებით იბრძოდნენ ქართველობის შესანარჩუნებლად.

იმხანად ისევ რუსეთი რჩებოდა ისეთ დიდ სახელმწიფოდ, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ აქტიურად გამოსვლას გეგმავდა. მან ჯერ კიდევ შეედებთან ომის დამთავრებამდე გარკვეული ნაბიჯები გადადგა კავკასიაში სამომავლო ღონისძიებების მოსამზადებლად. იქ რუსეთისადმი კეთილი განწყობილების შესაქმნელად.

პეტრე I მითითებით, მოსკოვის ქართული ახალშენის მოღვაწეთა მეშვეობით ქართლის სამეფოსთან კონტაქტების დამყარება დაევალა ასტრახანის გუბერნატორს არ. ვოლინსკის. ამის შემდეგ ვახტანგ VI კარზე მალე გამოჩნდა მეფე არჩილის ცნობილი თანამებრძოლი, მოსკოვში მოღვაწე პოეტი მ. ბარათაშვილი.[20] მან ქართლის სამეფო კარს გააცნო ამიერკავკასიაში რუსეთის ხელმწიფის უახლოეს ხანში გამოლაშქრების მომხიბლავი გეგმა.

ასეთი აქტიური პოლიტიკის მომხრე მაშინ ბევრი არ იყო და ისინი არ თანაუგრძნობდნენ ვახტანგ მეფეს. მაგრამ რამდენადაც საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ითვალისწინებდა საქართველოს სამეფოს გამთლიანებას, ამ იდეის მომხრეთა დასმა სძლია მოწინააღმდეგეებს.

პეტრე I შეხვედრის მოლოდინში ვახტანგ VI შესძლო მომავალი ბრძოლისათვის კავკასიის სხვა მხარეების მოსახლეობის მობილიზება. ქართველთა და რუსთა გაერთიანებული მხედრობის ირანის წინააღმდეგ გამოსვლის შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობა მახლობელ აღმოსავლეთში დაიძაბა. თვით საქართველოში ძმათა სისხლი დაიღვარა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ოსმალებმა და აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდნენ.

სამხედრო წარემატებლობის შემდეგ რუსეთში ემიგრირებული ვახტანგ VI განაგრძობდა რუსეთთან ხელშეკრულებით შემუშავებული პირობების რეალიზაციისათვის მოღვაწეობას და მოკავშირისაგან მეტ აქტიურობას მოითხოვდა.

პეტერბურგში, საიმპერატორო კარზე დარბაზობისას, ქართველი მეფე ცდილობდა რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეების დაინტერესებას საერთოდ ამიერკავკასიით, განსაკუთრებით კი — მნიშვნელოვან სტარტეგიულ ადგილებში ციხეების ჩადგმის სარგებლიანობით.

---

[19] სულხან-საბა ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში. თხზულებანი, I. თბილისი, 1959, გვ. 151-245.

[20] ფრ.სიხარულიძე. მ.ბარათაშვილის თბილისიდან გაგზავნილი წერილი. — ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1998, გვ. 54.

ქართველი მეფე მიისწრაფოდა კავკასიის მტრული გარემოცვის რკალის გასარღვევად. ამასთან, იგი მოკავშირისაგან მოითხოვდა შემწეობას საქართველოს სამეფოს აღდგენაში. არსებობს ერთი მისეული დოკუმენტის ნაწილი, რომელშიც ცალკე ყურადღება ექცევა საქართველოს შაეიზღვისპირეთსა და ქვეყნის სამხრეთ ნაწილებს: „...თუ ღმერთი დაგეხმარება სულთნისგან ომით ან სამშვიდობო ტრაქტატით დაეიბრუნოთ ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებამდე ტერიტორიები, რომლებიც ადრე ჩვენ მფლობელობაში იყო, სახელდობრ: მდ. შამქორამდე, ერევნის მთებამდე, გურჯი ბოღასამდე, ჭანეთამდე, შავ ზღვამდე, ჯიქეთამდე, ჩერქეზეთისა და დაღესტნის საზღვრამდე, ეართაშენიდან შირვანის საზღვრამდე და მდინარე მტკვრამდე...“[21]

უცხოეთში ქართველი მეფის ამ მცდელობის მოკავშირეთა ერთობლიეი გამოსვლა არ მოსულა.

1734 წელს რუსეთის მხარდაჭერით ვახტანგ VI სცადა სამხრეთში გამოლაშქრება ტახტის დასაჭერად. ამ აქციისათვის მოსკოველი ქართველები დიდხანს ემზადებოდნენ. უმთავრესი ამოცანა იყო, რომ რუსეთის მეშვეობით საქართველოს საკითხის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაში გათვალისწინებისათვის მიეღწია.

იმ პერიოდში ოსმალებმა წინ წამოიწიეს დაპყრობილ ზღვისპირეთში და უპირველესად ჩაქვი-ქობულეთის ტერიტორიის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებასა და მოსახლეობის სარწმუნოების შეცვლას შეეცადნენ. იმერთა მეფე ალექსანდრე V დროულად მოუწოდებდა რუსეთის საიმპერატორო კარს — სწრაფად დახმარებოდა მას ოსმალთაგან დაკავებული სიმაგრეების განთავისუფლებაში, მაგრამ ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამის მიუხედავად, აქაური მოსახლეობის დათრგუნვა მტერმა იოლად ვერ შეძლო. შეეპოვარი იყო აქაური მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგობა მოძალადეების წინააღმდეგ. ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა ზღვისპირეთში, რაც შინაურ და გარეშე ძალთა შეკავშირების შედეგი იყო.

ქართველობისათვის მებრძოლ ძალებს მფარველობდნენ და ხელმძღვანელობდნენ სათავადო სახლების პროგრესულად მოაზროვნე მესვეურები. მიუხედავად იმისა, რომ დამშურობელი ანადგურებდა სალოცავებს და სდევნიდა ეკლესიის მსახურთ, მოსახლეობა ფარულად თუ აშკარად მტკიცედ იცავდა მამაპაპურ სარწმუნოებას.

XVIII საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე ამ მხარეში ქართველობისათვის მოძრაობას გამორჩეული, მტკიცე ნებისყოფის ხელმძღვანელი თითქოს არ ჰყავდა.

ქართველობისათვის ბრძოლაგამოელილმა ამ მხარის მოსახლეობამ თავისი ხანგრძლივი ოცნების განხორციელებად მიიჩნია სულთნის ტყვეობაში ათი წლის განმავლობაში ნატანჯი ქართველი პატრიარქის — დომენტის (ბაგრატიონის) ქობულეთში მოსვლა 1737 წელს.

ბევრი მამულიშვილი პატრიარქის გეერდით დადგა და მას სამსახური შესთავაზეს. მართალია, ოსმალეთის სატახტოდან მომავალი პატრიარქი აქ გაელითი იმყოფებოდა, მაგრამ მისმა ხანმოკლე ყოფნამაც სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები შეაკავშირა და ისინი დიდი და გაბედული ბრძოლებისათვის განაწყო.

პატრიარქი დომენტი და მისი ამალა მტრის მსტოვრებისაგან თაკმინებებული როდი იყო. ეს თვითონაც კარგად უწყოდა და ამიტომ მიენდო თავდგირიძეების (ქობულეთის პატრონების) საგვარეულოს მხოლოდ იმ მოღვაწეებს, რომლებიც ქრისტიანობის გადარჩენისათვის იბრძოდნენ და ოსმალთა წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემუშავებას ესწრაფვოდნენ. ქართველი კათალიკოსის ბანაკში მაშინვე მივიდნენ ეკლესიის მსა-

[21] ძველ საბუთთა ცენტრალური სახელმწიფო არქივი, 1726, ს. 7, ფ. 38.

ხურნი, რომლებიც ქობულეთის თავდგირიძეთა სახლიდან გამოსულ ქრისტიან მღვდელ-მთავრებს ედგნენ მხარში.

როგორც ერთ-ერთი დოკუმენტი მოგვითხრობს, ქობულეთელ პატრიოტ ერისკაცთა და სამღვდელოების ჯგუფს მაშინ მესვეურობდა დედოფალი დარეჯან თავდგირიძე.[22] კათალიკოსი დომენტიც დედოფალ დარეჯანის გარშემო შემოკრებილ მამულიშვილთა ჯგუფს მიუნდო და მას თავისი ზრახვები გაანდო.

პატრიარქ დომენტის, მისი ამალისა და დარეჯან დედოფლის ძალისხმევით ქობულეთში ჩამოყალიბდა მებრძოლ პატრიოტთა რაზმი, რომელმაც თავისი მიზნის განსახორციელებლად საჭირო ძალებიც მოიზიდა და მოლვაწეობაც გააფართოვა.

კათალიკოს დომენტის მხარდაჭერით, ქობულეთელ პატრიოტთა რაზმმა თავის უშუალო მოკავშირედ, დასავლეთ საქართველოში ანტიოსმალური ბრძოლის მეთაურად იმერთა მეფე ალექსანდრე V სცნო.

ამ მოლვაწეთა გუნდმა დარეჯან თავდგირიძის მეთაურობით თითქმის იმერეთის სამეფოს ცენტრამდე გააცილა კათალიკოსი დომენტი.

კეხჩირს მისული პატრიარქის ამალა შედგა და ამიერიდან იმერეთის სამეფოს მესვეურებთან მოლაპარაკება უშუალოდ კათალიკოსმა დომენტიმ განაგრძო.

იმერეთის მეფის ბანაკში კათალიკოს დომენტის იმდროინდელი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თათბირი ალექსანდრე V-თან დიდხანს გაგრძელებულა.

როცა პატრიარქს იმერთა მეფისათვის ქობულეთელთა პატრიოტული მისწრაფებების გეგმა მოუხსენებია, ალექსანდრე V გადაუწყვეტია მომავალი ბრძოლების გეგმები მთავრებისთვისაც გაეცნო. ამ მიზნით მას ქუთაისში მიუწვევია გურიელი, დადიანი და სხვები, რომლებსაც განმათავისუფლებელი ბრძოლის გეგმებზე კათალიკოს დომენტისთან და ალექსანდრე V-თან ხანგრძლივად უთათბირიათ.

როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები კარგად ეთვალისწინებდნენ იმ დროის საერთაშორისო ვითარებას. 1739 წლის ბულგარეთის ხელშეკრულებით, რუსეთმა აზოვი დაიბრუნა, მაგრამ ოსმალეთი კვლავ ბატონობდა შავ ზღვაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ყირიმის სახანოსა და იმიერკავკასიაში ადრე მოპოვებული გავლენის წყალობით, ოსმალეთს მტკიცედ ეპყრა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს სტრატეგიული ადგილები, რის გამოც საქართველოს პერსპექტიული მოკავშირე რუსეთი კვლავ მოწყვეტილი იყო შავ ზღვას. ამის გამო სამხრეთში გამოსვლას რუსეთი იმხანად ვერ ახერხებდა.

შავ ზღვაზე ქართველთა ძველი უფლებების აღდგენა გულისხმობდა ოსმალთა გავლენისაგან იმიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლებას. მათი ბედის ასეთი შემობრუნება ასევე შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ქართული მიწების განთავისუფლებასაც გულისხმობდა, რაც დიდ ძალებს მოითხოვდა. ასეთი შესაძლებლობის უქონლობის გამო ქართულ სამეფო-სამთავროებს ხშირად თავს ატყდებოდა მთიელთა მასობრივი არარეგულირებადი მიგრაცია, ზღვის სანაპიროზე მათი თარეში.

ამ პერიოდში სამეფო-სამთავროებს არ შეეძლოთ არათუ ოსმალებთან, არამედ მთიელებთან გამკლავებაც კი. მოკავშირის გარეშე დარჩენილ ამ პოლიტიკურ ერთეულებს ოსმალეთის მძლავრ იმპერიასთან შებმა ზოგიერთი წარმატების შემთხვევაშიც კი შესამჩნევ შედეგებს ვერ მოუტანდა.

ქობულეთელ პატრიოტთა და იმერეთის სამეფოს, დასავლეთ საქართველოს სხვა სამთავროების მესვეურთა ერთობლივი დროული ძალისხმევით შესაძლებელი იყო ქობუ-

22 ფრ.სიხარულიძე. თქვენ მოგეხსენებათ ჩვენი სიბრალული. – საქართველოს რესპუბლიკა, 1998, 29 ივლისი, №191, გვ. 5.

ლეთ-ჩაქეის მოსახლეობის გამოხსნა, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო ქრისტიანული რწმენა და სწრაფვა დედასამშობლოსთან დაბრუნებისა.

იმერეთის მეფის მეთაურობით სამხრეთისკენ გამოლაშქრებულ ქართველობას მართლაც შეეძლო ქობულეთ-ჩაქეის მხარის გამოხსნა, რასაც მცირე მნიშვნელობა როდი ექნებოდა მოელენების შემდგომი წარმატებულად განვითარებისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი პატრიოტები შექმნილ სიტუაციაში დიდ მსხვერპლს მოერიდნენ და ქობულეთ-ჩაქეის განთავისუფლების მესვეურებისადმი ფარული მხარდაჭერით დაკმაყოფილდნენ.

ცხადია, ქობულეთელ მამულიშვილთა მძლავრი წინააღმდეგობის გამო მტერმა შესაძლებელ წარმატებებს ამ მხარეში დიდხანს ვერ მიაღწია (საერთოდ, ოსმალთა წარმატება ამ მხარეში არც ისე საგრძნობი იყო, როგორც სამხრეთ-დასავლეთ სხვა პროვინციებში).

ალექსანდრე V-მ კათალიკოს დომენტის რჩევით ქობულეთელ პატრიოტთა ხელმძღვანელი დარეჯან თავდგირიძე „ხელდებულად" გაიხადა და წყალობა უბოძა.[23]

XVIII საუკუნის 40-იან წლებში ეს ქობულეთელი მამულიშვილი ხშირად ეასალებოდა ალექსანდრე V ქობულეთელთა მდგომარეობის მოსახსენებლად, ახალ დავალებათა და წყალობის მისაღებად. ფაქტობრივად, ეს იყო დარეჯან თავდგირიძის მეთაურობით იმერეთის სამეფოში განხორციელებული ელჩობები. მრავალგვარი იყო ამ ელჩობის მიზნები. ეჭვი არ არის, რომ ხანგრძლივ ბრძოლებში ქობულეთელთა გამძლეობა-სიმტკიცეს გაველენას ახდენდა იმერეთის სამეფოსთან ასეთი ხშირი პოლიტიკური კონტაქტები. მეტიც, ქობულეთის მოსახლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ღიდხანს ინარჩუნებდა ოსმალობის წინააღმდეგ დამკვრელი ძალის მნიშვნელობას.

იმერეთის სამეფო კართან ხშირი ურთიერთობის სარგებლიანობა იმდენად დიდი იყო, რომ მას შემდეგ, რაც სოლომონ I თავისუფლებისათვის ბრძოლაში გარკვეული წარმატებებს მიაღწია, დარეჯან თავდგირიძემ თავის გარშემო კვლავ დარაზმა ქართველობისათვის მებრძოლი ძალები და ანტიოსმალური მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახალ საფეხურზე აიყვანა.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა თუ 60-იანი წლების დამდეგს. ანუ იმ დროს, როცა დარეჯან თავდგირიძემ იმერთა ახალი მეფის კარზე ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტა, ქრისტიანობის გაველენა ქობულეთში, განსაკუთრებით, ამ ქვეყნის ხლეოსპირა ზოლში, შესუსტებული იყო. ქობულეთელ პატრიოტთა ეს წინამძღოლი სოლომონ მეფესთან გაგზავნილ ეპისტოლეში ხაზს უსვამდა თავის ჭეშმარიტ ქრისტიანობას და აცნობებდა, რომ ხინოწმინდელ იოანეს მიერ ის არის ნაზიარები. წერილის ეს ადგილი იმაზეც მიუთითებდა, რომ ხსენებული ეპისკოპოსი დარეჯან თავდგირიძის თანამებრძოლი, მესაიდუმლე და სანდო პიროვნებაა, მაგრამ ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ამ საყურადღებო დოკუმენტში მაინც ხაზგასმული ჩანს. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ელჩობის მეთაურად საეკლესიო მოღვაწის შერჩევა და ზოგიერთი სხვა ფაქტი.

შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით, მდ. რიონის სამხრეთით რიზეს მხარემდე არსებული ეითარების წარმოსაჩენად, რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი: ქობულეთის მხარისათვის ფრიად საყურადღებო მოელენად იქცა ამ მხარის პატრონის საოთავადო სახლის მეთაურის კინტრიშის სასახლეში გადახდილი ქორწილი. ამ ფაქტით თავდგირიძეთა მმართველმა საგვარეულოს თავკაცმა თავის ბეგი დაუკავშირა შარვაშიძის ასულს, რაც ფრიად საგულისხმო პოლიტიკური ნაბიჯი იყო.

ახალი დოკუმენტით ირკვევა, რომ ოსმალთა სამსახურში მყოფი ძმები შარვაშიძეები XVIII საუკუნის 50-იან წლებში ფლობდნენ თითქმის მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს ყირიმიდან შორეულ სამხრეთამდე.

---

[23] იქვე.

გასაგები ხდება, რომ გიორგი თავდგირიძის დაქორწინება შარვაშიძის ასულზე უპირველესად პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი.

ამ ორი ძირძველი საგვარეულოს დაკავშირების მნიშვნელობა მხარეში პოლიტიკური მდგომარეობის შესაცვლელად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამასთან, ცხადი ხდება ის გარემოება, როგორსაც ხსენებული ქორწინების შედეგად გიორგი თავდგირიძე მოიპოვებდა.

შარვაშიძეებთან დამოყვრებამ გიორგი თავდგირიძე ოფიციალურად აქცია შარვაშიძეთა პოლიტიკის გამტარებლად მითითებულ მხარეში. ქართული ძირძველი საგვარეულოს აქ დამკვიდრებული წარმომადგენლები, სამწუხაროდ, თავისი ქვეყნის ტრადიციულ სამსახურს განუდგნენ. ეს იყო დიდი განხეთქილება, რის გამოც მამუკა თავდგირიძე გაეცალა სახლიკაცებს და აკეთში გადასახლდა.[24]

თავდგირიძეთა ეს ღირსეული წარმომადგენელი და თავკაცი განაგრძობს ბრძოლას ოსმალთაგან მიტაცებული ტერიტორიების გამოხსნისათვის.

სათავდგირიძო ქვეყნისა (ქობულეთის) და თავდგირიძეების გვარში გაჩენილმა დაპირისპირებამ საგრძნობლად დაასუსტა ქრისტიანობის პოზიციები და სასწორი მუსლიმანობის სასარგებლოდ გადაიხარა. ამას ჩქარა მოჰყვა უარყოფითი შედეგი ქართველობისათვის ბრძოლის საზიანოდ.

ამ მოვლენებს ეხმაურება დარეჯან თავდგირიძის მიერ სოლომონ I-დმი გაგზავნილი წერილი.

იმერეთის სამეფო კარზე იოანე ხინოწმინდელის მეთაურობით წარგზავნილი მისიის უპირველესი ამოცანა იყო მიეღო დახმარება ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, აელაგმა ტყვეებით ვაჭრობა, რაც ამ დროს საერთო-ქართული მოვლენა იყო და ქვეყანას ვაჭრობებით ემუქრებოდა.

სოლომონ I-ს — სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლების ამ აღიარებულ მეთაურს იმ დროს უკვე შეეძლო ასეთ ამოცანას შეჭიდებოდა, რადგან მან ზედიზედ დაამარცხა შინაური მტრები და 1757 წლის 14 დეკემბერს ბრწინვალედ გაიმარჯვა ხრესილის ომში, სადაც მის წინააღმდეგ ოსმალებთან შეკავშირებული შინაური რეაქციაც გამოდიოდა. მანვე ხელი შეუწყო ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებას და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. 1759 წლის დეკემბერში მეფემ აღადგინა საქუთათლო კათედრა. იმავე დროს მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო მოღვაწეთა კრება, რომელმაც აკრძალა ტყვის სყიდვა, შეაჩვენა ტყვის მსყიდველნი, რასაც ფაროთო რეზონანსი მოყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთშიც.

ტყვის სყიდვის აკრძალვას მეღგარ წინააღმდეგობას უწევდნენ არა მარტო ოსმალები, არამედ საქართველოში მოქმედი ის ძალები, რომლებიც კარგაელნენ სარფიან საქმეს.

სოლომონ I თანამდგომებმა იდეური ბრძოლის ქმედითი იარაღი გამოჭედეს ქვეყნის გადარჩენისათვის. მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე მტკიცედ დასაყენებლად ძალები საკმარისი არ იყო. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთებულიყო იდეის სარეალიზაციოდ. უნდა შეცვლილიყო მიდგომები დამნაშავეობისადმი — ტყვის მსყიდველების, სამშობლოს მოღალატეების, მტრებთან კავშირის მოსურნეთა ფეხქვეშ მიწას ცეცხლი უნდა გასჩენოდა. საჭირო იყო სამხედრო ძალების გაძლიერება. ახალი რეზერვების გამოვლენა.

იმერეთის სამეფოს იდეური ცხოვრება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო მდგომარეობა ძირეულად უნდა გარდაქმნილიყო, რაც შემდგომი წარმატების საწინდარი იქნებოდა.

---

24 იქვე.

საბედნიეროდ, გამჭრიახ პოლიტიკოსსა და სამხედრო მოღვაწეს – სოლომონ I-ს გონიერი თანამზრახველები, გაბედული თანამებრძოლებიც დროულად გამოეჩინდნენ აბაშიძეების, წერეთლებისა და სხვა საგვარეულოებიდან.

ქვეყნის საბრძოლო პოტენციალის გაზრდა, შემტეები საგარეო პოლიტიკის წარმოება მოითხოვდა ძლიერი და ერთგული მოკავშირის ყოლას. იმერთა მეფე იმედოვნებდა რუსეთთან კავშირის გაფართოებას, მაგრამ რუსეთი იმ დროს ხონთქრის გაღიზიანებას ერიდებოდა. ამის გამო იმერეთის სამეფოსთან პირდაპირ ურთიერთობაზე საიმპერატორო კარი ჯერჯერობით ხელს იღებდა. ასეთ ვითარებაში სოლომონ I რუსეთის სამეფო კარის დიდმოხელეებთან დასაკავშირებლად მოხერხებულად იყენებდა რუსეთის სასულიერო პირებს, მოსკოვის ქართველთა ახალშენში მცხოვრებ მოღვაწეებს და სხვა. ბუნებრივია, ასეთი არაპირდაპირი მოქმედება ახანგრძლივებდა მოკავშირის საკითხის გადაწყვეტას, ჩაშლით ემუქრებოდა კარგად მოფიქრებულ საქმეს. საბედნიეროდ, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, ორგანიზებულობის მაღალი ნიჭის წყალობით, იმერეთის სამეფო კარმა მოახერხა ფეხზე დაყენებინა ქვეყნის ჯანსაღი ძალები, იმედი ჩაენერგა მათთვის და შეექმნა ძალები, რომელთაც მრავალგზის დაამარცხეს სამეფოს ტერიტორიაზე შემოჭრილი მოძალადეები. 1760, 1761, 1763, 1764 წლებში დასავლეთ საქართველოში ზედიზედ შემოიჭრა ოსმალთა ჯარები.[25] დიდი ძალისხმევისა და მსხვერპლის ფასად, სამხედრო ხელოვნების ახალი ხერხების გამოყენებით, ქართველებმა შეძლეს შემოსეული მტრის დამარცხება.[26]

მარტო 1764 წლის ლაშქრობისას ოსმალეთის ხაზინას 1200 ქისა, ანუ 360 ათასი მანეთი უზარალია.[27]

მრავალგზის განცდილ მარცხთა გამოსასწორებლად სულთანი საქართველოს მეზობელ საფაშოებს ავალებდა დასავლეთ საქართველო აეოხრებინათ და მათ დამხმარე ძალების მიშველებასაც პირდებოდა. როგორც ირკვევა, იმერეთის სამეფო კარს გაუთვალისწინებია ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ქართული პროვინციების პატრიოტთა თხოვნა და მათ დასახმარებლად ბაიუმისკენ გაულაშქრია. უეჭველია, რომ ასე შორს გალაშქრება მეზობელ ქართველ მთავრებთან შეუთანხმებლად არ უნდა მომხდარიყო. ჩანს, სოლომონ I-ს შესაბამის სამთავროთა უმრავლესობა ემხრობოდა.

1765 წლის 31 აგვისტოს ცნობით, ადრე გაზაფხულზე, ოსმალთა თითქმის ათიათასიანი კორპუსი ევროპიდან ბათუმში გადაუსხამთ და მათთვის საჭირო სურსათი დნეპრსა და დუნაიზე დატვირთული ოცდაათი გემით მიუტანიათ. როგორც მიმოწერიდან ჩანს, „იმერლებს“ ეს კორპუსი გაუნადგურებიათ და სურსათის დიდ ნაწილსაც დაპატრონებიან.[28]

ასეთი მძიმე დამარცხებით შეშფოთებული ჩილდირის პასან ფაშა და სხვები გურიაში შეჭრილან. ლაშქრის სარდლობას გადაუყენებია მამია გურიელი და გურიელად მისი უმცროსი ძმა გიორგი დაუსვამთ.[29]

ამ მარცხის შემდეგ, 1765-1766 წლების ზამთარში, ქართველებს პარტიზანული ბრძოლები გაუწაღებიათ, ოსმალები ძლიერ შეუეიწროებიათ და იძულებული გაუხდიათ მხარე დაეტოვებინათ. ისინი გაქცეულ მტრებს დასდევნებიან და ბრძოლები ოსმალების მიერ ადრე მიტაცებულ ტერიტორიებზე გადაუტანიათ.

სამაგიეროს გადახდის ვინით ანთებულ სულთანს სასწრაფოდ 40-50-ათასიანი ჯარის შეკრება უბრძანებია და საამისოდ დიდძალი თანხაც გამოუყია. დასავლეთ საქართველ-

---

25 რსპა. რუსეთის ოსმალეთთან ურთიერთობის ფონდი, 1765 წ. ა. 89/8, ს. 381, ფ. 128.

26 იქვე. რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობის ფონდი, 1769-73 წლები, ს. 10, ფ. 9.

27 იქვე. რუსეთის ოსმალეთთან ურთიერთობის ფონდი, 1766 წ. ა. 89/8, ს. 394, ფ. 37-38.

28 იქვე, 1765 წ. ს. 380, ფ. 59-64.

29 შ.ბურჯანაძე. სოლომონ I მეფობის პირველი პერიოდი, გვ. 96-97.

ლოს მოსახლეობის დასასჯელად დაგეგმილ ლაშქრობაში ახალციხის ფაშას ხუთი ათასი ქვეითი უნდა გამოეყენა, სარდალ ჯან-იკელი ალი ბეგს არსრუმიდან დასახმარებლად უნდა მისულიდა 4 ათასი ქვეითი და ცხენოსანი, ტრაპიზონიდან – 12 ათასი. დიარბეკირიდან – 1000 ქვეითი და 2000 ცხენოსანი, ყარსიდან – 1500 ქვეითი, ნილდირიდან – 3000. სივასიდან – 2000 ქვეითი. ალბანეთის ფაშა 1000 მხედარს მოუძღოდა და ა.შ. ასე რომ. ოსმალთა ლაშქრის მებრძოლთა რაოდენობა 40 ათას კაცს აღემატებოდა.[30]

დასავლეთ საქართველოში ოსმალები სხვადასხვა მხრიდან შემოიჭრნენ, უმთავრესად – ზღვისპირეთიდან, ქობულეთის გავლით. პირველ ხანებში მათ ლაშქრობას თავალსაჩინო წარმატება არ მოჰყოლია. მაგრამ შემდგომ მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ მაინც თავისი გაიტანა და იმერეთის ციხეები დაიპყრეს, ხოლო სოლომონ I ნაცვლად ტახტზე თეიმურაზ ბაგრატიონი დასვეს. მიუხედავად ამისა. სოლომონ I იმედი არ დაუკარგავს და საქმის გამოსწორებას რუსეთთან კავშირით შეეცადა. რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II სოლომონ I უფრთხილდებოდა და ამიტომ იწონებდა მის მამაცურ ბრძოლებს. თუმცა, ფაქტობრივად, საიმპერატორო კარი რეალურად არ ეხმარებოდა გმირ მეფეს. სოლომონ I ელჩი არქიმანდრიტი გრიგოლი სამშობლოში გამოისტუმრეს მხოლოდ სამომავლო დახმარების იმედით. ელჩის დაბრუნებამდე სოლომონ I იმიერკავკასიელ მოიელთა მცირე რაზმებისა და იმერთა ძალებით ტახტს იბრუნებს.

ლაშქრობათა შედეგები მძიმე იყო დასავლეთ საქართველოსთვის. მტრის მრავალრიცხოვანი ჯარების შემოსვლამ და ოკუპაციამ დაცა მეურნეობა, მოშალა მართვის სისტემა. ამ დროს ოსმალთა გარნიზონები იდგა ბათუმის, ციხისძირის, ქობულეთისა და შავიზღვისპირეთში არსებულ სხვა სიმაგრეებში, აგრეთვე ქვეყნის შიგნით, იმერეთის სამეფოს მნიშვნელოვან ციხეებში.

მოსალოდნელი დიდი ომის მოლოდინში სულთანმა სოლომონ I შერიგება სცადა. საამისოდ. ახალციხის ფაშამ, სულთნის დავალებით, სოლომონ მეფეს ხმალი ანუქა და „დანაშაულის" პატიება აუწყა.

რუსეთ-ოსმალეთის ომში, რომელიც 1768 წლის ნოემბერში დაიწყო, რუსეთი მიზნად ისახავდა შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლების მოპოვებას და ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ ამავე წლის 12 ნოემბერს სხდომაზე განიხილა ომში ოსმალეთის შემადგენლობაში თუ მისი გავლენის სფეროში მყოფი ქრისტიანი ხალხების ანტიოსმალური განწყობილების გამოყენების საკითხი. სამეფო კარის გადაწყვეტილებით, შედგენილ იქნა ქართველების ომში ჩაბმის გეგმა, რომელსაც უნდა მიმართოდა სოლომონ I. სოლომონმა ადრე წარგზავნა რუსეთში ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე. 1768 წლის 23 იანისს სოლომონი იმპერატორს თხოვდა დახმარებას „უცხო თესლთა" ანუ „ოსმანთა ხელისაგან" გამოხსნაზე.[31] პასუხმაც არ დააყოვნა. საიმპერატორო კარმა სოლომონთან რუსეთში მომსახურე პორუჩიკი გრიგოლ ქობულაშვილი გამოგზავნა. სოლომონ I მას აცნობა, რომ ომში იგი მონაწილეობას მაშინ მიიღებდა, თუ რუსეთის საიმპერატორო კარი დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. სამხედრო დახმარების მიღების შემთხვევაში იმერთა მეფე 20-ათასიანი ჯარისკაცის გამოყენებას აღუთქვამდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონმა რუსეთიდან მოსული გრ. ქობულაშვილი ერეკლე II-თან გაგზავნა, ხოლო 26 მაისს თავადაც ეახლა ქართლ-კახეთის მეფეს. როგორც ჩანს, რუსეთთან სამხედრო კავშირის გამოყენებით, იმერთა მეფე აღნიშნულ ომში ფართო

---

30 რსპა. რუსეთის სპარსეთთან ურთიერთობის ფონდი, ა.75/5, ს. 13, ფ. 29L

31 რსპა. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ფონდი. 1769-75 წწ. ს. 11, ფ. 83.

ფრონტით გამოსელას და ტერიტორიების დაბრუნებას გეგმავდა. ამ გეგმის სარეალიზაციოდ, მალე სოლომონ I და ერეკლე II რუსეთში თავიანთი ელჩები (დ. კეინიხაძე, ა. ანდრონიკაშვილი) წარგზავნეს. ქართველი მეფეების ერთობლივ დემარშს რუსეთმა საქართველოში დამხმარე რაზმის გაგზავნით უპასუხა. საექსპედიციო ჯარი მოსკოვის ქართველთა ახალშენიდან გამოსული სამხედროებით დააკომპლექტეს. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ საქართველოში ციხეების უახლესი ევროპული წესების მიხედვით გამაგრებაზე, დენთით მომარაგებაზე, ლაფეტიანი ქვემეხების მოხმარებაზე.

შექმნილი სიტუაცია რეალურს ხდიდა მიტაცებული მხარეების გამოხსნის საკუთრივან ოცნებას. თითქოს ახლოდებოდა ქვეყნის გამოხსნისა და აღდგენის ჟამი. თუმცა, საექსპედიციო კორპუსის მეთაურთან – ტოტლებენთან ერეკლე II თანამებრძოლთა დაპირისპირებამ რუსეთის დამოკიდებულება საეჭვო გახადა. ეს კონფლიქტი რომ არ მომხდარიყო, ქართლ-კახეთის სამეფო ლაშქრის გამარჯვება[32] სამცხე-ჯავახეთის გამოხსნით დამთავრდებოდა. ეს კი გააადვილებდა სხვა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. საბოლოოდ, რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველოში დაკისრებული მისია ვერ შეასრულა. საიმპერატორო ჯარი იძულებული გახდა ტოტლებენი უკან გაეწვია, თუმცა მის ნაცვლად გამოგზავნილმა სუხოტინმა ბევრი ვერაფერი გააკეთა.

მიუხედავად ამისა, ქართველმა მეფეებმა შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენეს. სოლომონ I-მა ოსმალები არა მარტო იმერეთის შიდა ციხეებიდან გამოაქეცა, არამედ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის შემოსაერთებლადაც დიდი მუშაობა გასწია.

ქართველი პოლიტიკოსები კარგად ხედავდნენ, რომ სამეფოს დამოუკიდებლობისა და მტრისაგან მიტაცებული ტერიტორიების გამოხსნის მტკიცე საფუძველი იყო მოწინავე სახელმწიფოების მხედრობის მსგავსი ქართული ჯარის ჩამოყალიბება. ამგვარი მიდგომა დღის წესრიგში აყენებდა ჩვენში ადრეულ დამკვიდრებული სამხედრო სისტემის რადიკალურად შეცვლას, რეგულარული საჯარო ფორმირებების შექმნას.

სოლომონ I, მართლაც, მტკიცედ მოჰკიდა ხელი ჯარების რეორგანიზაციის საქმეს. გადაწყდა მომავალი ბრძოლების მთელი სიმძიმე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადატანილიყო, რაც მოითხოვდა ამ მხარეებშიც შესაბამისი სამხედრო საქმის ორგანიზაციას.

ქართველი მეფე ცდილობდა თავისი სამხედრო ორგანიზაცია ევროპულ სამხედრო სისტემასთან დაეახლოებინა და ამით მტრების წინააღმდეგ ბრძოლის მტკიცე დასაყრდენი შეექმნა. საამისოდ იმერეთში გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. მათ შორის, შეიქმნა „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტი და სხვა. სოლომონი დიდ იმედებს ამყარებდა გურიის სამთავროებზე. გურიაში ახალ ყაიდაზე გაწყობილი ჯარით სოლომონის შემოსევამ მოსახლეობაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და აქაურები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღფრთოვანა. უმალვე შეიქმნა მხედრული წყობის გარდაქმნისათვის ხელსაყრელი სიტუაცია. საჭირო იყო მებრძოლთა გუნდების დაკომპლექტება და მათი საბრძოლო წყობის ახალ ყაიდაზე გამართვა.

ამგვარი ღონისძიების გატარებას იმერთა მეფემ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. სოლომონ მეფის გადაწყვეტილებით, გურიის ლაშქარს მტრისაგან მიტაცებული მხარეების განთავისუფლების საქმეში დამკვრელი ძალის როლი დაეკისრა, რამდენადაც გურიის რეგიონი უშუალოდ პირისპირ იდგა ოსმალთა მიერ მიტაცებულ რაიონებთან.

როგორც ირკვევა, ამ საქმეში გურიის პატრიოტული ძალები მტკიცედ იყვნენ შეკავშირებული. სამამულო ომისათვის ბრძოლების ავანგარდში საერო მოღვაწეთა გვერდით მრავალად იდგნენ საეკლესიო პირები და, განსაკუთრებით, ახალგაზრდები.

---

[32] утков П.Б. Материалы для новой истории Кавказа. I, СП, 1869, с. 281.

მაღალ პატრიოტულ განწყობილებას თან ახლდა სარწმუნოებრივ-იდეური სიმტკიცე, მოქნილობა, საზრიანობა, სიბაუქე და ბევრი სხვა ფაქტორი.

ქვეყნის გადასარჩენად მტკიცედ შეკავშირებული ერისა და ბერის განაცხადია მოცემული ქობულეთის მთიანი მხარის (ჭახათის, ხინოსა და სხვ.) მცხოვრებთა და ასკანელების, ლიხაურლების და სხეათა მიერ 1771 წელს სოლომონ მეფისადმი მირთმეული პირობისა და ფიცის წიგნში. მასში ნათლადაა გამოხატული მიტაცებულ მხარეთა გამოხსნისათვის მებრძოლ ძალთა საყოველთაო სულიერი ერთიანობა და სამთავროს ჯარის გარდაქმნისათვის მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილების დროულად შესრულების სურვილი.[33]

გურიის მთავარი და სამთავროს სულიერი მეთაური — შემოქმედის მიტროპოლიტი, სათავადო სახლების მეთაურები და სხვები სოლომონ I აღუთქვამენ „დამძველების“, ენერგიულად იღწიან ძალების გასამრავლებლად და მათ ახალ თვისებრივ სიმაღლეზე დასაყენებლად.

განმათავისუფლებელი ბრძოლის წინამძღოლები ახალ ლონისძიებებს მიმართავენ და 1773 წელს ერეკლე II და სოლომონ I სამოკავშირეო ხელშეკრულებას აფორმებენ. ქართულ სამეფოთა ასეთ ერთობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სამხედრო-სამეგობრო კავშირის აღნიშნულმა პირობამ მალე ფართო რეზონანსი მიიღო. მტრები შეშფოთდნენ განმათავისუფლებელი ბრძოლის ძალთა გაერთიანებით.

მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის ელჩობის მოღვაწეობას რუსეთში, სადაც ისინი საქართველოს გამოსახსნელი ტერიტორიების საკითხს განიხილავდნენ.

სამხრეთ საქართველოს გამოხსნის გეგმაში უპირველესად ახალციხის დაბრუნება იყო ნაგულისხმევი. ოსმალეთთან ომის შედეგებით რუსეთმა განიმტკიცა პოზიციები სამხრეთში. 1774 წელს მან, ფაქტობრივად, შეიერთა ყირიმი, რადგან ზავის დადებისას ოსმალებმა მისი „დამოუკიდებლობა“ აღიარეს. ზავის შედეგებით ასევე განმტკიცდა რუსეთის ადმინისტრაცია ყაბარდოში.

საერთო წარმატებაში საქართველომაც თავისი წვლილი შეიტანა, მაგრამ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების მხოლოდ 23-ე მუხლი შეეხო დასავლეთ საქართველოს.[34]

მიუხედავად ამისა, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი განთავისუფლების იმედს აღვივებდა ქართველობაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამშობლოსთან გაერთიანების იდეის მომხრეთა პოზიციის განმტკიცებაში. რუსეთი ფართო ფრონტითა და დაყინებით მიიწევდა სამხრეთისაკენ.

უშუალოდ საქართველოზე გამეზობლებულ რუსეთს ერეკლე II მფარველობას სთავაზობდა, ხოლო სოლომონ I გრ. პოტიომკინს იმ დროს ბათუმის მხარის შემომტკიცების გეგმას უსახავდა.[35]

სოლომონ I ცდილობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩრდილოელი მოკავშირეც ჩაერთა, თუმცა არ ჩანს, რა პირობები შესთავაზეს მაშინ ქართველ მეფეს რუსმა მოხელეებმა. აშკარაა, რომ იგი დასავლეთ საქართველოსა და აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში უპირატესად ქართველთა ძალებს ეყრდნობოდა.

---

33 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ს. 2759.

34 Дружинин Е. Кучук-Кайнарджский мир. Москва, 1955, с. 153.

35 სსსა. გრ.პოტიომკინის ფონდი. კონა 3, ს.ფ. 9.

დიდი ხნის წინათ ჯარის რეორგანიზაციისათვის გატარებული ღონისძიებანი მას საშუალებას აძლევდა საბრძოლველად მრავალი მოლაშქრე გამოეყვანა როგორც იმერეთიდან, ისე გურიიდან. სამხრეთისაკენ; ბათუმის მხარისაკენ გასალაშქრებლად მაშინ მას ამ მიტაცებულ ტერიტორიაზე მოლეაწე პატრიოტებიც მოუწოდებდნენ.

ლაშქრობის საბაბად იქცა აკეთზე განხორციელებული ბანდიტური თავდასხმა. სოლომონმა ოსმალთა დასასჯელად სამხრეთისაკენ სწრაფად გალაშქრება გადაწყვიტა. რასაც ქართველი პატრიოტები დიდი ხანია ელოდნენ. ნაჩქარევად მომზადებული ლაშქრობა უპირველეს მიზნად ისახავდა მდ. ჭოროხს აქეთ ზღვისპირეთიდან ოსმალების განდევნას, ბათუმის, ციხისძირის, ჩაქვის, ქობულეთის დედასამშობლოსთან დაბრუნებას, ხოლო შემდეგ აჯარისწყლის ხეობიდანაც მათი ფეხის ამოკვეთას.

გეგმის განხორციელებაში იმერთა მეფეს მხარში ედგნენ გურიის სამთავრო სახლის წარმომადგენლები, თავადები, აზნაურები, საეკლესიო მოღვაწეები. ლაშქარი ძირითადად იმერეთისა და გურიის რაზმებისაგან შედგებოდა. იმერთა ჯარებს სოლომონ I, ხოლო გურიის რაზმს – ვახტანგ გურიელი მიუძღოდა. დაახლოებით 6 ათასამდე მეომარი გამოეგზავნა ბათუმისაკენ 1784 წლის 4 მარტს.

ეს იყო ეროვნული ერთობის მშვენიერი დემონსტრაცია, რაც მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგებმა განაპირობა. ოსმალო დამპყრობლებთან ერთად განმათავისუფლებელ არმიას ბრძოლა უხდებოდა გადაგვარებულ თანამემამულეებთან, რაც, რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის უმძიმესი ტრაგედია იყო.

ქობულეთელ პატრიოტთა დახმარებით, სოლომონ მეფის ჯარებმა აიღეს ქობულეთი, დაიკავეს პეტრას ციხე და სამხრეთისაკენ გაიჭრნენ. ამ წარმატებებმა, როგორც ჩანს, მოადუნა დაზვერვა და 9 მარტს ნაჯიშურეთის მიდამოებში, ციხისძირთან, ქართველთა ლაშქარი ჩასაფრებული მტრის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა.

რუსეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის ცნობით, აქ ქართველთა ლაშქარმა ათასამდე მეომარი დაკარგა. მათ შორის 600 წარჩინებული დაიხოცა, 200 ტყვედ აიყვანეს, ზოგიც – უგზო-უკელოდ დაიკარგა.

ეს იყო მიტაცებული ქართული მხარეების გამოხსნის ყველაზე დიდი. მაგრამ წარუმატებელი ცდა. ბათუმის, ჩაქვის, ციხისძირის, ქობულეთის მხარეების გამოხსნისათვის განხორციელებული ამ აქციის წარუმატებლობას მალე მოჰყვა ოსმალთა მოძალების გაძლიერება. ფართოდ ორგანიზებული შემოსევების გამო განმათავისუფლებელი მოძრაობა დაპყრობილ მხარეში თანდათან ჩაცხრა.

ხინოს ეპარქიის მესვეური, განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთი მეთაურთაგანი, იოანე ხინოწმინდელი ოსმალებმა აიძულეს განრიდებოდა საეპისკოპოსო კათედრას. იგი იძულებული გახდა ქობულეთის მხარეს გასცლოდა და იმერეთს შეფარებოდა, სადაც მას მეფე სოლომონი მფარველობდა.[36]

სოლომონ I გარდაცვალების შემდეგ მიტაცებული მხარეების და ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხები რუსეთის საიმპერატორო კარზე დაიყენა დავით გიორგის ძის ელჩობამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მაქსიმე კათალიკოსი, სარდალ-სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და მდივანბეგი დავით კვინიხიძე.[37] ელჩობა მოითხოვდა ქობულეთ-ციხისძირისა და, საერთოდ, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს სტრატეგიული ადგილების დაბრუნებასა და აქ ვაჭრობა-მეურნეობის განვითარებას, დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას, რომელიც მხარის მშვიდობიან გამოხსნასა და მის აღორძინებას

---

36 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, თბილისი, 1970, გვ. 833.

37 რსპა. ფ. 110, 1774-1790 წლები, ს. 7, ფ. 19.

ითვალისწინებდა. ეს მოთხოვნა ჩამოყალიბებული იყო რუსეთში მყოფი იმერეთის სამეფო დესპანის – ზურაბ წერეთლის წერილში (1785 წლის 8 ივლისი) პოტიომკინისადმი.[38]

მხარეში დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლით და ეაჯრობა-მეურნეობის განვითარების ინტერესებით ნაკარნახევი მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნების ამგვარი ჩანაფიქრი რუსეთისაგან სამხედრო დახმარების დროულად მიღების პრობლემის შემადგენელი ნაწილი იყო. ქართველი დიპლომატი გრ. პოტიომკინის თანამებრძოლებს სამხედრო კავშირის წარმატების შემთხვევაში სურსათ-სანოვაგით ჯარის მომარაგებასაც სთავაზობდა და ოსმალეთის მხრიდან კიდევ უფრო სამხრეთით არსებული ქალაქების დათმობის შესაძლებლობასაც აცნობდა.[39] მიუხედავად ასეთი მიმზიდველი პერსპექტივისა, რუსეთი არ აჩქარებულა. რუსეთის მხრიდან ასეთმა უმოქმედობამ იმერეთის სამეფოს საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

1786 წელს ოსმალებმა ბათომის, ფოთისა და სხვა ციხეები კიდევ უფრო გაამაგრეს. ბათომში 30 ქვემეხი დადგეს, ხოლო ფოთში – 40 და აქაური მეციხოვნეების რიცხვიც გაზარდეს. ოსმალეთი რუსეთისაგან საქართველოდან რუსთა ჯარის გაყვანას მოითხოვდა. ორი ქვეყნის ურთიერთობა გამწვავდა და ომში გადაიზარდა.[40]

1789 წელს რუსეთში მყოფი იმერეთის სამეფოს დესპანი ბ. გაბა'შვილი რუსეთის სამეფო კარს ბათუმისა და ახალციხის პრობლემის დროებით მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად იქ კონსულის დანიშვნას სთავაზობდა და ამას ასე ასაბუთებდა: „რათა აღარ შეიძლოს ოთომანის კარმან დაფარული მტერობა, არცა გარეგნით და არცა შინაგან ქ�ეანასა ჩვენსა, რათა დააყენოთ ქვეყნების ტყეის გაყიდვა ამ ადგილებში".[41]

ომის პერიოდში ქართველი მეფეების ერთობლივი მოღვაწეობისათვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებსა და სამთავროებს შორის 1790 წელს დადებული ხელშეკრულება. საქართველოს ძალთა გაერთიანება განპირობებული იყო 1783 წლის ტრაქტატით.

მადაგაღვიძებული იმპერიის მოხელეთა საყურადღებოდ, ეკატერინე II-ის ელჩი ს. თუმანიშვილი ხაზს უსვამდა ქართულ სამეფოთა უფლებებს და მოითხოვდა დროულად განსაზღვრულიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოთა წილი ომით განთავისუფლებულ მხარეებში. ამასთან, მათ ეს ტერიტორიები, მათ შორის, ახალციხე და აჭარა, უნდა შეეტანათ რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის დამთავრების შემდეგ დადებულ ხელშეკრულებაში.[42]

მახლობელი აღმოსავლეთის რთულ, წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ევროპის სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი), რომლებიც მოხერხებულად იყენებდნენ ოსმალეთს რუსეთის სამხრეთისაკენ წინსვლის შესაჩერებლად. მიუხედავად ამისა, რუსეთი დიდ წარმატებებს აღწევდა. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც აგრძელებდნენ რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობას.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ ეახტანგ გურიელისაგან ეკატერინე II მფარველობითი სიგელის გაფორმების თხოვნა[43] ახალი მომენტი იყო სამხრეთ საქართველ-

---

38 სსსა. გრ.პოტიომკინის ფონდი. კონა 3, ს. 7, ფ. 26-28.

39 იქვე.

40 Брикнер А. Разрыв между Турцией и России в 1787 г. – ЖМНП, 1873, №5, с.15.

41 იქვე. ს. 9, ფ. 37; შბურჯანაძე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა. თბილისი, 1953, გვ. 16.

42 რსსა. სიგელები, ბრძანებები, რესკრიპტები, ხელშეკრულებანი. 1774-1804 წწ. ფ. 112.

43 АКАК. т. VI, 1874, с. 331 (ქვემოთ: „Акты")

ლოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ქართული მხარეების გამოსახსნელად წარმოებული ბრძოლები არ შეწყვეტილა მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში.

ქართველი პოლიტიკოსები ენერგიულად ცდილობდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მათ მიერ შემუშავებულ გეგმებს საერთაშორისო აღიარება მიეღო. მრავალწლიანი თავგანწირული ბრძოლებისა და დიდი მსხვერპლის ფასად ქართველობის შენარჩუნებისათვის მოღვაწეობამ შეუქცევადი გახადა ქვეყნის გამოხსნისა და აღდგომის პროცესი.

დამოუკიდებელი საქართველოს მოღვაწეთაგან სამშობლოდან მოგლეჯილი ტერიტორიების დაბრუნებისათვის გაწეული ბრძოლების გამოცდილების გათვალისწინებით, XIX საუკუნის კარიბჭესთან მდგარ ქართველ პატრიოტებს შორეულ ოცნებად აღარ ეჩვენებოდათ ამ ეროვნული საქმის განხორციელება.

ამავე პერიოდში დიდი წარსულის მქონე ქართველ სახელმწიფოებრიობას მომაკედინებელი საფრთხე დაემუქრა, რაც ჩქარა კიდევაც რეალობად იქცა. ქართველობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყებოდა. რუსეთის იმპერიას დაქვემდებარებული საქართველო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ველარ ახორციელებდა, მაგრამ ეროვნული მოღვაწეები ყოველ ხელსაყრელ მომენტს მოხერხებულად იყენებდნენ საქართველოს სამეფოსაგან მიტაცებული ტერიტორიების გამოხსნისათვის.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ბრძოლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა, უპირატესად – რუსეთ-ოსმალეთის ხანგრძლივი ჭიდილის ფონზე გაიშალა.

აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ, ტრაქტატის პირობების დაცვისათვის, მებრძოლებმა თავი იმერეთის სამეფოს კარზე მოიყარეს.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების თანდათან შემოერთების გეგმა რუსეთის მეფემ აღექსანდრე I-მა 1803 წლის თებერვალში საკუთარი ხელმოწერით დააღასტურა და წინასწარ სინჯავდა ნიადაგს, თუ როგორ შეხვდებოდა ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების სტატუსის შეცვლას.[44]

გურიის სამთავრო კარმა განაგრძო რუსეთთან ურთიერთობა. ვახტანგ გურიელმა მთავარმართებელ პ. ციციანოვს დაუსაბუთა, რომ მისი მამა ეკატერინე II ხელდებული იყო.

სამთავროს დამოუკიდებლობის გარანტიის მოპოვებისთანავე გურიელმა მთავარმართებელს თავისი საგარეო პოლიტიკის ფართო პროგრამა წარუდგინა, რომელიც ითვალისწინებდა გურიის სამთავროს ოდინდელი სამფლობელოების დაბრუნებას. საგულისხმოა, რომ გურიელის მისწრაფება კარგად შეესაბამებოდა რუსეთის შენიღბულ გეგმას საქართველოს სამეფოსაგან მიტაცებული მიწების განთავისუფლების საბაბით ახლო აღმოსავლეთისკენ გზის გასაკაფავად.

ამდენად, გურიის სამთავრომ ახალ პერიოდში შედარებით ადვილად მოახერხა განმათავისუფლებელი მისიის შესრულებისათვის მრავალმხრივი მოღვაწეობის გაგრძელება. ამიერიდან საქართველოს ამ კუთხეს თავდაცვის ორგანიზაციისა და სხვა მხრივაც განსაკუთრებული ყურადღება ხვდა წილად. ეს უპირველესად გამოწვეული იყო გურიის სამთავროს ოსმალეთის იმპერიასთან უშუალო მეზობლობით. გურიის სამთავროს ტერიტორია შეიძლებოდა ანტიოსმალური სამხედრო ოპერაციების პალცდარმად ქცეულიყო. საამისოდ აქ ენერგიულად დაიწყო სტრატეგიული აღმშენებლობა. ზღვასთან ახლოს, ოსმალეთის საზღვართან რუსმა სამხედრო ინჟინრებმა შეარჩიეს მოხერხებული ადგილი სიმაგრის ასაშენებლად, მალე გააფართოვეს და გაიყვანეს ახალი გზები, რომლის უმთავრესი მიმართულებები მიუსადაგეს ოსმალეთის იმპერიიდან მომავალ გზებს.[45]

---

44 Акты. т. II, Тифлис, 1868, с. 34.

45 სსსა. სამხედრო-სამეცნიერო ფონდი, ს. 2371.

ამავე დროს, რუსეთის ხელისუფალნი ენერგიულად მოქმედებდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ეკვრობის გასაფართოებლად. აღებ-მიცემობის გაცხოველებისათვის აქტიური მოღვაწეობა ხელს უწყობდა მიტაცებული მხარეების დასაბრუნებლად ნიადაგის მომზადებას.

1804 წლის 26 აპრილს პ. ციციშვილი კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩს იტალინსკის ავალებდა საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ეცნობებინა ფოთის ციხესიმაგრის განთავისუფლებისათვის შექმნილი წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობა. აგრეთვე, ყურადღება გაემახვილებინა ქრისტიანებით დასახლებულ ბათუმსა და სხვა ნავსადგურზე.[46]

განმათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანების გადაჭრა უპირველესად მოითხოვდა ხსენებული ციხესიმაგრეებისა და ნავსადგურების დაბრუნებას. ამ სტრატეგიული ადგილების საქართველოსთვის შემოერთება სასიკეთო გაელენას მოახდენდა მხარეში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

შავი ზღვის სანაპიროს აღნიშნული მონაკვეთი, დასახლებული ციხეები და ნავსადგურები ახალციხის ფაშად აღზევების შემდეგ სელიმ ხიმშიაშვილს დაექვემდებარა. მის სახელისუფლოს სელიმ ფაშა ფხიზლად დარაჯობდა. რუსეთის ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულების მიუხედავად, იგი დათმობაზე არ თანხმდებოდა.

1804 წლის 15 ნოემბერს სელიმ ფაშას მიერ პ. ციციშვილისადმი გაგზავნილი წერილიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი მხარს არ უჭერდა რუს-ქართველთა ერთობლივ ძალისხმევას ფოთის დასაბრუნებლად.[47] სამხრეთ საქართველოს ბეგების ერთი ნაწილი აშკარად დაადგა რუსეთთან კონფრონტაციის გზას, დაიწყო ანტირუსული ოპოზიციური ძალებისადმი დახმარება.

1811 წლის აპრილში ტრაპიზონის სერასკირმა სულეიმან ფაშა ხაზინადარ ოღლუმ, არზრუმის სერასკირმა მაჰმადმა და ქობულეთელმა ალი-აღა ცეცხლაძემ მამია გურიელთან გააგზავნეს ბაირახტარი იუსუფ გეგიძე და წერილით აცნობეს მეზობელი საფაშოების შეკავშირებაზე, გაერთიანებული ძალებით რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლაზე. ისინი გურიის მთავარს მოუწოდებდნენ შეერთებოდა ამ „ანტირუსულ“ ომს.

აღნიშნული წერილი მამია გურიელმა რუსეთის ხელისუფალთ გააცნო და მათი დასტურით სელიმ ხიმშიაშვილთან მოლაპარაკება დაიწყო მოსალოდნელი თავდასხმის მოგერიების ერთობლივი გეგმის შესამუშავებლად.

პროოსმალური ძალების ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა, რადგან სელიმ ფაშას ვაეზმა მათი საბრძოლო მოქმედების გეგმა გურიაში ჩამომდგარი რუსული ჯარი მეთაურებს გაუმჟღავნა. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში სელიმ ხიმშიაშვილის კავშირი რუსეთის ოპოზიციასთან განმტკიცდა.

1813 წლის ნოემბერში სელიმ ხიმშიაშვილი, მოყვრობისა თუ სხვა მოტივით, მამია გურიელს და სოლომონ II ერთგულებისაკენ მოუწოდებდა და მისდამი დახმარებას ურჩევდა.[48]

1810 წლის მარტიდან სოლომონ II რუსეთის ხელისფლების წინააღმდეგ აშკარად გამოვიდა და ფართო კავშირი გააბა მეზობელ საფაშოებთან. სელიმ ხიმშიაშვილი ქართველ მეფეს იმთავითვე მიემხრო. რუსეთის ხელისუფალთა საწინააღმდეგო პოზიციის განსამტკიცებლად მან აჭარიდან ახალციხეში მრავალი მებრძოლი ჩაიყვანა. ამის გამო გენ. სიმონოვიჩი გენ. ტორმასოვს ჯერ კიდევ 1810 წლის 22 დეკემბერს მოახსენებდა:

---

46 Акты. т. II, Тифлис, 1868, с. 378.

47 იქვე, გვ. 810.

48 Акты. т. V, Тифлис, 1873, с. 411.

ახალციხე, აჭარა, ლიგანი, და ბათუმი სოლომონ მეფესთან ერთად ახლა ჩვენს საწინააღმდეგო კავშირშია.[49] სულთანმაც თავისი ჯარები დაახმარა სოლომონ II-ს. ქართველ მეფეს მრავალი ქობულეთელი და სხვა მხარეთა მცხოვრები მიემხრო. ქობულეთლების ერთი ნაწილი მას ბოლომდე ერთგულებდა. მფარველობითი ტრაქტატის პირობების ერთგული ქართველი მეფე თავგამეტებით იბრძოდა იმერეთის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად.

რუსეთის ხელისუფლება მისდამი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული საქართველოს გაერთიანებისა და გამთლიანების მომხრე იყო. ფაქტობრივად, ეს იყო უცხო ძალის გამოყენებით სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამის განხორციელების მცდელობა. რუსთა მხედრობის მხარდამხარ მებრძოლი ქართველები კარგად გათვლილი მოქმედებით ცდილობდნენ განმათავისუფლებელი ომის საზღვრების გაფართოებას. მათი აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა და საბრძოლო მოქმედებათა გეგმა ადრიდანვე გულისხმობდა განმათავისუფლებელ ბრძოლებში არა მარტო საქართველოს მოსახლეობის ჩაბმას, არამედ ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების გამოხსნასაც.

ახალციხეში გახელისუფლებული და ამის გამო მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე გავლენის მქონე აჭარის მმართველ სელიმ ფაშასთან ურთიერთობის ძირითადი მიზანი მიტაცებული მხარეების გამოხსნისათვის მებრძოლთა დახმარება იყო. თავის მხრივ, საკუთარი მისწრაფების განხორციელების შემწედ სელიმ ხიმშიაშვილს რუსეთი ესახებოდა. ეს მამაცი მებრძოლი და ჩინებული ორგანიზატორი 1815 წელს მის დასასჯელად პორტას მიერ გამოგზავნილ არზრუმის სერასკირ სეიდ ბაბა-ფაშა ფეპლლეანის სამსედრო ექსპედიციას შეეწირა.

სელიმ ხიმშიაშვილის დასჯის შემდეგ ბაბა-ფაშა ახალციხეში გადაიყიდა და რუსეთის ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს დატოვება მოთხოვა.

საქართველოს გამთლიანებისათვის ბრძოლაში თავიდანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარას, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონი იყო დედასამშობლოსე ორიენტირებული მოსახლეობით. იგი ამ მახასიათებლებით განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი ბიძგის მიმცემი უნდა გამხდარიყო მთელი სამხრეთ საქართველოს მასშტაბით.

სელიმ ფაშას წინააღმდეგ წარმოებული დამსჯელი ექსპედიციის დროსვე დაისვა მისი მემკვიდრეების – აბდი და ახმედ ბეგების გადარჩენის საკითხი.

მამია გურიელის ენერგიული მოქმედებით აბდი და ახმედ ხიმშიაშვილები გურიაში უვნებლად გადაიყვანეს.

აბდი ბეგი მთავრის სიძე იყო და, ბუნებრივია, მამია გურიელი მის მამასთან, სელიმ ხიმშიაშვილთან ღიდხანს მეგობრობდა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნის ღონისძიებებში აჭარას წამყვან მნიშვნელობას ანიჭებდა.

გურიის მთავარს სელიმის მემკვიდრეების გადარჩენა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდა და საამისოდ ძალას არ ზოგავდა. მას მიაჩნდა, რომ სელიმ ფაშას ტრაგედიის შემდეგ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ახალციხე, აჭარა და ა.შ.) ქართველი მეთაური არ ჰყავდა.

სელიმ ფაშას მემკვიდრეების საქმის მოსაგვარებლად მამია გურიელი დროულად დაუკავშირდა მთავარმმართველსა და იმერეთის მმართველს. მისი ინიციატივით სელიმ ხიმშიაშვილის ხაზინადარ მუსტაფა აღას (კეკელიძე) მცდელობით აბდი და ახმედ ბეგ ხიმშიაშვილები გურიის მთავრის კარზე მიიყვანეს. გურიის მთავარი, თავის მხრივ, ენე-

---

[49] Акты. т. IV, Тифлис, 1870, с. 237.

რგიულად ზრუნავდა პოლიტიკური დეკნილების რუსეთის ხელისუფლებასთან დასაკავშირებლად. მისი რჩევით, აჭარის ახალგაზრდა ბეგებმა აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლისა და მთავარმმართებელთან შეხვედრის ნება ითხოვეს.

ამ საქმის მოსაგვარებლად იმერეთის მმართველთან ხაზინადარი მუსტაფა აღა გაგზავნეს და 1815 წლის 13 ივლისს შედგენილი შესაბამისი სათხოვარიც გაატანეს.[50]

გურიელის რჩევა-დარიგებით და მუსტაფა აღას მისითი დაიწყო ძმები ხიმშიაშვილების კარგად გააზრებული დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან.

გურიის მთავარი აჭარის საკითხის მოსაგვარებლად ენერგიულად საქმიანობდა, რასაც მოწმობს აჭარის ახალგაზრდა ბეგთა ზემოთ დასახელებულ სათხოვარზე დართული მისი წერილი: „თქვენო აღმატებელებავ! – წერდა მამია გურიელი რუსეთისაგან იმერეთში მოვლენილ მმართველს, – როდესაც დაბრუნებულ თქუენის მაღალაღმატებულებიდან ჩემს სამთავროში გიახელ, მაშინვე ბრძანებისამებრ თქუენისა გამოუცხადე და ეურჩე მე ხელიმ ფაშის შეილებს ახმედ ბეგს და აბდი ბეგს თქუენთან წამოსელა, რომელი თვითეულს სურთ თქუენი ხლება და მთხოვეს მე პირველად თქუენთან კაცისა და არზის გამოგზავნა და თავის მამის დიდად პატივცემული, ამათი ერთგული და გადმოყოლილი ხაზინადარი მუსტაფა აღა გაახლეთ. ამათი ვედრება, რაც არის ეგონებ, იმათი პირით მოგახსენებენ და შემდგომად, რაც თქუენი ბრძანება მოუათ და ინებებთ, მეც ისე ეურჩევ, თუმც იმათ აჭარლები ხშირად უგზავნით კაცს და პირდებიან ბუნტობას ვიქთ და ისევ შენ მოგიყვანთო, სხვა კაცის დაჯდომა ჩუენს ქეეანაშიდ არ იქნებაო, მაგრამ მე არ ეურჩევ, რომ ჯერ დრომდის წავიდენ და ენდონ...“[51]

ძმები ხიმშიაშვილების მიზანი მამისეული საპატრონოს დაუფლება იყო. ეს დოკუმენტი სამხრეთ საქართველოს შემომტკიცების ღრმად მოფიქრებული, დიდი და მეტად მნიშვნელოვანი გეგმის ნაწილია.

არზიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა რუს მოხელეთა გასაგონად მთავრისაგან გაკეთებული განცხადება, რომ აჭარის მოსახლეობა მმართველად უცხო კაცს არ გაიჩრებდა, აჯანყებას მოაწყობდნენ და თავისივე წრიდან აირჩევდა მმართველს. ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეებში აჯანყება და შფოთი იმ დროს რუსეთის ინტერესებისთვისაც საზიანო იყო და ქართველი მოღვაწეც დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა რუსებისაკენ გადაწყვეტილებით მტკიცედ მოეგვარებინა საქართველოს ამ კუთხეების საქმე. განესაზღვრა მათი მომავალი.

სამწუხაროდ, სელიმ ფაშას მემკვიდრეთა მომავალი ისე არ განისაზღვრა, როგორც ამას ენერგიულად ცდილობდა მამია გურიელი.

იმავე წლის 27 ივლისს რტიშჩევი, ოსმალეთთან ხელშეკრულებით შებოჭილი, მამია გურიელისადმი პასუხში მეტად ფრთხილობდა. იგი გურიის მთავარს წერდა: თანახმა ვარ შეეიფეროთ სელიმ ფაშას ეაკები, მაგრამ ჯობს ჯერ ისინი გურიაში დარჩენ, თქვენს მფარველობაშიო.

რუსი დიდმოხელე მთავარს კატეგორიულად უკრძალავდა აბდი და ახმედ ბეგებს ახალციხეზე გალაშქრებას და გურიის მთავარს სამომავლოდ თავისი ჯარით დახმარებას პირდებოდა, რადგან, მისი სიტყვით, ახალციხეზე გალაშქრება თითქოს რუსეთ-ოსმალეთის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა იქნებოდა და ოსმალებიც სამაგიეროს გადახდას შეეცდებოდნენ.[52]

---

50 სცსა. ფ. 4, ს. 58, ფ. 87.

51 იქვე.

52 Акты. т. V, Тифлис, 1873, с. 313-314.

სელიმ ფაშას ვაჟებმა მალე მშობლიურ კუთხეს მიაშურეს და მამისეულ დიდ სახელისუფლოს დაპატრონებასა ფიქრი და მოღვაწეობა გააგრძელეს.

თავისი მიზნების განხორციელების ერთ-ერთ გზად ძმები ხიმშიაშვილები რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებას მიიჩნევდნენ, მაგრამ რუსეთი ცდილობდა ნაწილ-ნაწილ დაექვემდებარებინა სამხრეთი საქართველო.

ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ე.წ. „ბათუმის საქმემ". მრავალი შეხვედრა-მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა ამ ქალაქში აფხაზთა მთავრის შერვაშიძის შთამომავალი დაესვათ. ერთ იმდროინდელ დოკუმენტში ეკითხულობთ: „ბათუმის მოსახლეობა შეგუებულია იმას, რომ მას განაგებდეს წარმომადგენელი შერვაშიძეთა გვარიდან, რომელსაც ეკუთვნის ქუჩუკ-ბეი და სურს ახლად იცხოვროს აფხაზეთის მთავრის სეფერ-ბეის უმცროსი ძმის სოსლან-ბეის შერვაშიძის გამგებლობაში. ამ საქმის დასამთავრებლად გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს სოსლან-ბეი ბათუმში, სადაც იგი თუ დაინახავს, რომ ხალხის უმრავლესობა მისი ერთგულია, მაშინ შეგვატყობინებს წევენ, რომ დაეხმაროთ მას წევენი ჯარებით საბოლოოდ დაიპყროს ბათუმი. ვიმედოვნებთ, რომ წევენი ჯარების მიერ ბათუმის დაკავება სასარგებლოა იმითაც, რომ ყველა ცნობის მიხედვით, სელიმ ფაშამ თავისი ჯარებით უკვე დაიკავა ოსმალების მიერ მიტოვებული ციხე ციხისძირი".

ბათუმის დაბრუნება იმ დროს (1810 წელს) რომ მომხდარიყო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებაც ადრეე დასრულდებოდა.

გარკვეული სიტუაციის გამო ეს ჩანაფიქრი, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა და სამხრეთ საქართველოს განთავისუფლება ათეული წლებით გადაიდო.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან რუსეთის დიპლომატები ხონთქრის კარზე უფრო ხშირად და ენერგიულად სვამდნენ საკითხს სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო, სანავსადგურო და სხვა ცენტრებში თავისუფალი საქმიანობის შესახებ. ამასთან, აღმოსავლეთში კიდევ უფრო შორს გაჭრის მიზნით, რუსეთის პოლიტიკოსები მხარს უჭერ-დნენ ქართველთა მოძრაობას საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

1828 წლის 26 ივლისის წერილში გრაფ კ. ნესელროდესადმი იე. პასკევიჩი ყურადღებას მიაქცევდა ბათუმის ნავსადგურის დაბრუნებაზე, რომლის მსგავსი ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არ არსებობდა და წლის ყველა დროში ვამოიყენებოდა. შემდეგ იგი ახასიათებდა ყარსს და არზრუმს როგორც ვაჭრობის განვითარებისათვის, ისე საწყობების მოსაწყობად და კოლონიზაციის დასაწყებად ხელსაყრელ პუნქტებს.

კავკასიის ჯარების მთავარსარდალი იმპერატორისაგან ითხოვდა ნებას, რომ რუსეთს შეერთებოდა ახალციხის საფაშო თავის სახლვრებში. ამის შემდეგ საქართველოში სიმშვიდე გარანტირებული იქნებოდა, რათა შემდეგ ყურადღება გადატანილიყო ბათუმის მხარეზე.[53]

მართალაც, მოხერხებული სტარტეგიული მდებარეობის მქონე ახალციხის შემოერთება მეტად სასიკეთო გაელენას მოახდენდა საქართველოს გამთლიანების პროცესის განვითარებაზე, ქვეყანაში მშვიდობიანობის განმტკიცებაზე და სხვ.

ასევე, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმს, რომლის დაბრუნებაც გარდატეხას შეიტანდა სამშობლოს გამთლიანების დიდ საქმეში და რუსეთსაც შავ ზღვაზე გაუყინავ ნავსადგურს შესძენდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ორი მხარის ბედ-იღბლის შეცვლა რუსეთის უმთავრესი მიზანი იყო 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

---

[53] Акты. т. II, Тифлис, 1868, с.765.

ამ ამოცანების განხორციელებას ივ. პასკევიჩი ეარაუდობდა რუსეთის სამხედრო ძალების მინიმალური რაოდენობით გამოყენებით. საომარი მოქმედების გეგმას იგი მოკლედ აცნობდა იმპერატორს 1828 წლის 21 ნოემბრის მოხსენებაში: „ბათუმის საკითხთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება შემდეგია: ეს ადგილი ცნობილია, როგორც საუკეთესო პორტი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. განსაკუთრებით, გემების გამოსახსნელად. მაგრამ მისი გამაგრება უმნიშვნელოა, სამხედრო განზრახულებით მას დიდი ღირებულება არ აქვს და კლიმატიც იქ დამღუპველია. მისი დაკავებით მე კიდევ უფრო კავკასიაც სახახლრო ხაზს და არ მეჭიროლება ჯარები მის შესანარჩუნებლად. რადგან ოსეთებული ციხეები სამეგრელოს პოლკის 2 ბატალიონი გამოეყენო ახალციხის დასაკავებლად. ს

ლო ამ დროს კი იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის დასაკავად რჩება მნიშვნელ ერთი. დაკომპლექტებული ბატალიონი. სხვათა შორის, ბათუმის დაკავება აუცილებელი იქნებოდა ჩემთვის უცნობი პოლიტიკური მოტივებით, იგი უნდა განხორციელდეს ადრე გაზაფხულზე, იღონდაც საჭირო იქნება გამოიგზავნოს ორი ან სამი სამხედრო ხომალდი სახმელეთო რაზმის მხარდასაჭერად, რადგან უამისოდ მეტად ძნელი იქნება დაკავლოთ ეს წრო გზა, რომელიც უშუალოდ ზღვის ნაპირს მიუყვება და ახლა ოსმალებმა უკვე გადაკეტეს რამდენიმე ადგილას ხერგილების მოწყობით".[54]

კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების ამ უმთავრეს გეგმაში ჯერეოვნად გაფიქრებული იყო სამშობლოს გამოსალიანებისათვის ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზანი.

ასე გადაეკეთ თითქოს ერთმანეთს საზღვრებმორღვეული საქართველოს და რუსეთის სამეფო კარის მიზნები. ორივე მხრიდან ბრძოლებში აქტიურობდნენ და ხშირად სამხედრო კამპანიებს მიმართულებასაც აძლევდნენ ბედკრული საქართველოს შვილები.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა ოსმალეთ-ხაბერძნეთის დაპირპირებამ. ამით სარგებლობდა რუსეთი და ექომაგებოდა ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებულ ბერძნებს.

1828 წლის მაისში ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. საომარი მოქმედების დაწყების წინ მათ ეკრანი ფოთი, ბათომი, ახალციხე, ყარსი, არტაანი[55] და სხვა მნიშვნელოვანი საკარო პუნქტები, ნაციადგურები, სტარტეგიულად მოხერხებული კვანძები და სამოსვლო გზები. ხონთკარმა კავკასიის ფრონტზე საკუთარი ჯარების მთავარსარდლობა დაკისრა ჰალიბ-ფაშას. სულთანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდილოეთის ფრონტს და იმედოვნებდა კავკასიის მთლიანად დაპყრობას.

რუსეთი კი ამ ომში თითქოს არც ისე დიდ მიზნებს ისახავდა – იგი კავკასიაში რამდენიმე საეკრო პუნქტის დასაკუთრებას ეარაუდობდა.

1828 წლის 14 იანვარს პირველი იერიშები ისე მოულოდნელად მიიტანეს ყარსზე, რომ ყარსის ფაშამ დახმარების მიღებაც ვერ მოასწრო.

27 იელისს რუსეთის შეიარაღებული ძალები ყარსის ციხეს მიადგნენ. ამ დიდი სამხედრო კამპანიის დროს მნიშვნელოვან მოვლენად აღიქმებოდა ახალქალაქის განთავისუფლება. ქართველ მოლვაწეთაგან შთაგონებული ი. პასკევიჩი ხაზს უსვამდა, რომ ახალციხის დაბრუნებით საქართველომ სამშვიდობო გარანტია მიიღო. იმავე წლის აგვისტოში რუსი-ქართველთა ლაშქარი ახალციხის მიდამოებში იბრძოდა, რომელის გარნიზონს კოის ფაშა მეთაურობდა. ხოლო ციხის უფროსი იყო სელიმ ფაშას ვაჟი ფეხრადი.[56]

---

54 იქვე. გვ. 772.

55 ალექსანდრეა. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო. – აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1957, გვ. 53.

56 Акты. т. VI, с. 757.

ომის ბედის სწრაფად გადაწყვეტისათვის პასკევიჩის სარდლობით ოსმალთა მეციხოვნენი ველზე გაიტყუეს და, 8-საათიანი ბრძოლის შემდეგ, რუს-ქართველთა მხედრობამ მათ იარაღი დააყრევინა.

15 აგვისტოს ახალციხის გარნიზონმაც დაყარა იარაღი. ეს დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული საკვანძო ციხესიმაგრეც საქართველოს შემოუერთდა.

ახალციხის დაბრუნებამ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებას დიდი პერსპექტიკა გადაუშალა. მისი უშიშროების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აწყურის ციხეს, რომელიც 17 აგვისტოს თითქმის უბრძოლველად განთავისუფლდა.[57]

რუს-ქართველთა გაერთიანებული ძალები პასკევიჩის ბრძანებით ტრაპიზონზე გასალაშქრებლად დაიძრა. ქართველთა შთაგონებით ორგანიზებულმა ამ ლაშქრობამ მთავარსარდალი მალე შეაკრთო. მან ჯარების შესაჩერებლად უგზოობა მოიმიზეზა. რა თქმა უნდა, იმ დროს, იმ სიტუაციაში და ასე მცირე ძალებით პორტოს მთებზე გადასვლა უპერსპექტივო წამოწყება ჩანდა.

ახალციხის, ახალქალაქის, აწყურის დაბრუნება, ყარსზე შეტევა და სამხრეთისკენ წამოწყებული ლაშქრობა საქართველოსგან მიტაცებული მხარეების გამოხსნისათვის ხანგრძლივი ბრძოლის წარმატების საწინდარი იყო.

ომის პერიოდში რუსეთმა მიზნად დაისახა გურიის სამთავროს გაუქმებაც. საამისო საბაბად გამოიყენეს მამია გურიელის მოულოდნელი გარდაცვალება.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ჯარები ფოთის ციხის განთავისუფლების მოტივით სამხრეთისკენ დაიძრა. ფოთი ძლიერ ალყაში მოაქციეს და 12-დღიანი ბრძოლის შემდეგ მის გარნიზონს იარაღი დააყრევინეს. ეს მოხდა 1828 წლის 15 იელისს.[58] ამის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაკენ საზღვაო გზებიც თავისუფალი იყო. ფოთზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა საზღვაო ბრძოლების გაშლა და მანევრირება.

ჩანდა, რომ რუსეთის სამეფო კარს უპირველესად გურიის სამთავროს ბედი უნდა გადაეწყვეტა. მომწიფდა მისი გაუქმების საკითხიც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ სამთავროს გაუქმება ხალისს დაუკარგავდა ყველას, ვინც ხელისუფლების შენარჩუნების პირობით ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის წარმართვას.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გურიის სამთავროს დიდი ხნით შენარჩუნება შეუძლებელი იყო. რუსეთის ამგვარმა გადაწყვეტილებამ უბიძგა გურიის დედოფალ სოფიოს და მის თანამებრძოლებს დასახმარებლად ოსმალეთისათვის მიემართათ. გაიყო გურიის თავადაზნაურობაც: გრიგოლ გურიელი, გიგო, ვახტანგ და სიმონ ჟრისთავები ანტირუსულ ძალებს გამოეყვნენ და ჩოხატაურში რუსეთის ჯარს შეუერთდნენ.

ამის შესახებ ჯერ კიდევ 1828 წლის 27 ივნისს აცნობა რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსმა ი. ი. დიბიჩმა ი. პასკევიჩს ნიკოლოზ I-ის მოსაზრება.[59] პასკევიჩმა ადრე გააფრთხილა გურიის მოსახლეობა, რომ დედოფალი სოფიო თავისი ორიენტაციის გამო დაისჯებოდა.

ერთი მხრივ, რუსეთის ჯარების ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, დედოფალ სოფიოს დამოკიდებულება რუსებისადმი, უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ზოგიერთ ქართველ პატრიოტს.

---

57 იქვე, გვ. 755-757.

58 Акты. т. II, с. 759.

59 სსსა. სამხედრო სამეცნიერო ფონდი. ს. 4644, ფ. 251.

ბევრი თავადი გურიის დედოფალს ედგა მხარში. ომისა და გურიაში შექმნილი მდგომარეობის გამოყენებას მოხერხებულად ცდილობდა აჭარის ბეგი ახმედ ხიმშიაშვილი, რომელიც გურიის დედოფალს ექომაგებოდა და სამთავროს მოსახლეობას მისი მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა.

გურიაში ჯარებით შემოსული რუსი გენერალი კ. გესე ხმას ავრცელებდა, თითქოს გურიის დედოფლის დასახმარებლად მოდიოდა. ნაგომარში მას წარუდგა ქობულეთის მხარის სოფ. ჭახათის მამასახლისი ასლან აღა, რომელმაც ქობულეთელთა სამხედრო მზადყოფნა და დედასამშობლოსთან დაბრუნების მხურვალე განზრახვა აცნობა.

რუსმა გენერალმა ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი მომენტი და ელჩად წარმოელენილს განუცხადა, რომ მას სურს ქობულეთის უბრძოლველად შემოერთება. ურთიერთობა ვერ მოგვარდა. 1828 წლის აგვისტოში აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე რუსეთის სარდლობას სთხოვდა ნება დაერთოთ, რომ თავის ჯარებით დაეკავებინა ქობულეთი.[60] თავის მხრივ, ქობულეთელი ბეგები – ასლან და მეჰმედ თავდგირიძეები ითხოვდნენ, რომ მათი სამფლობელო რუსეთის ჯარს დაეკავებინა.

1 ოქტომბერს დედოფალმა სოფიომ 8 თავადითა და 56 მსახურით გადალახა გურიის საზღვარი და ოსმალეთის ტერიტორიაზე გადავიდა.[61]

ამან გაელენა იქონია განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. გურიის დედოფალი დამხმარე ძალებს ოსმალეთიდან იწვევდა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას განმათავისუფლებელ ომად მიიჩნევდა. ქართველ პატრიოტთა უმრავლესობა კი რუსეთს ედგა მხარში და მასთან აქტიურად თანამშრომლობდა, რათა წარმატებით განეხორციელებინა მამა-პაპათა ანდერძი სამშობლოს გამოხსნასა და აღდგომაზე. წინაპრების ოცნება ხომ ქვეყნის გამთლიანება იყო.

ჯერ კიდევ იელისში გურიას 4-ათასიანი ოსმალთა ჯარი შემოესია.[62] მოხალისეებმა და საერთოდ, სახალხო ლაშქრად გამოსულმა მოსახლეობამ ჩაკეტეს გადმოსასვლელები და გზაჯვარედინები. შემოსულები მალე უკუაგდეს. 30 ოქტომბერს გენერალმა კ. გესემ რუს-ქართველთა გაერთიანებული ძალებით გურიის სამთავრო დაიკავა.

ამგვარად, ომის პირველი წელი რუსეთის დიდი წარმატებით მთავრდებოდა. ამის შემდეგ, შემოდგომის დიდი წვიმებისა და ზამთრის გამო, საომარი მოქმედებები შეწყდა.

ი. პასკევიჩმა მომავალი, 1829 წლის საბრძოლო ოპერაციების გეგმა 1828 წლის ნოემბერში გააცნო ნიკოლოზ I. ამ გეგმების დაკონკრეტებისა და რეალიზაციისათვის პირობების შესამზადებლად მთავარმართველმა თბილისში მიიწვია დასავლეთ საქართველოს წარჩინებული საზოგადოების ნაწილი. თათბირში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და ოდიშის მთავრები, იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობა, დასავლეთ საქართველოში რუსეთის რაზმის მეთაური, გენერალ-მაიორი კ. გესე, კავკასიის არმიის შტაბის უფროსი და სხვები.[63]

გადაწყდა ბათუმის სამხედრო ბაზის განადგურება, რათა ოსმალეთს არ შეძლებოდა ზღვით გურიისა და ახალციხის წინააღმდეგ მოქმედ ჯარებზე მიშველება.

ბათუმთან ერთად შესაძლებლად ცნეს აჭარისწყლისა და სხვა ხეობის დაუფლება, რადგან ახალციხე უკვე დედასამშობლოსთან დაბრუნებული იყო.

ეს კარგად მოფიქრებული გეგმა მოულოდნელად 1829 წლის თებერვალში ჩაშალა აჭარის ბეგის – ახმედის გამოლაშქრებამ. იგი იმედს არ კარგავდა მამისეული მემკვიდ-

---

60 სსსა. საშხედრო სამეცნიერო ფონდი. ს. 4648, ფ. 11.

61 Потто В. Утверждение русского владычества на Кавказе, т. II, ч. II, 1902, с. 229.

62 სსსა. საშხედრო სამეცნიერო ფონდი. ს. 4647, ფ. 43.

63 იქვე. კავკასიის სამხარეო შტაბის ფონდი. 1828 წ. ს. 86, ფ. 258.

რეობის დაუფლებისათვის და აქტიურად იბრძოდა როგორც ზღვისპირეთში, ისე ახალციხის მიმართულებით.

1829 წლის თებერვლის დასაწყისში იგი 7 ათასამდე შეიარაღებული მებრძოლით ახალციხისაკენ დაიძრა. მის დასახმარებლად ოსმალებმა მალე სხვა მხარეებიდანაც გამოგზავნეს ჯარები. იმავე დროს ოსმალთა მრავალრიცხოვანი რაზმი გურიის საზღვრებისაკენ მოიწევდა. ამ დროს რუს-ქართველთა რაზმები იდგა ბუკისციხეში, საიღანაც იცავდა აჭარიდან გადმოსასვლელ ბილიკებსა და გზებს.

რუსთა და ქართველთა ასეულები იდგა ნაგომარში, ჩოხატაურში, ლიხაურში, ასკანაში და ცდილობდნენ ალეკვეთათ ეპიზოდური შემოსევები.

ახალციხესთან მიახლოებისას ახმედ ბეგმა ძალები გაანაწილა. თაყისი ძმა აბდი ბეგი საავალიშვილის დასაცავად გაგზავნა, რათა ქართლიდან სამცხეზე მიმავალი გზა ჩაეკეტა.

ახმედის სარდლობით ჯარის ახალციხის მისადგომებთან გამოჩენა ყველასათვის მოულოდნელი იყო. კავკასიის მთავარსარდალი გაოცებული დარჩა ზამთრის პირობებში აჭარელთა ბეგის შეიარაღებული რაზმების ასეთი მანევრით.

ახმედ ბეგმა წერილობით მიმართა ახალციხის გარნიზონის უფროს გენერალ ბებუთოეს და ციხის უომრად დატოვება უბრძანა. შემდეგ მოლაპარაკებები მეკავშირის მეშვეობით გაგრძელდა.

აბდი ბეგის რაზმი რუს-ქართველთა მხედრობასთან ბრძოლაში დამარცხდა და უკან დაიხია.

ასეთ ვითარებაში გურიაში მდგარ გენერალ კ. გესევს უბრძანეს შეექმნა ფურაჯის მომპოვებელი რაზმი და ლიხაურიდან აჭარისაკენ დაძრულიყო. მასვე დაეკალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოხალისეთა რაზმის შედგენა, რომელიც ჩოხატაურიდან აჭარაში უნდა გადასულიყო და ახმედ ბეგის რაზმები ზურგისაგან მოეწყვიტა. საამისოდ გენერალმა კ. გესემ 22 თებერვალს გასცა ბრძანება აჭარისაკენ გალაშქრების შესახებ, მაგრამ დიდთოვლობის გამო ეს ლაშქრობა არ შედგა. სამაგიეროდ, კ. გესემ გადაწყვიტა ქობულეთისაკენ დაძრულიყო.

ახმედ ბეგის ახალციხეზე გალაშქრებას ფართო რეზონანსი ჰქონდა. სულთანმა ეს ბრძოლა ოსმალეთისადმი ერთგულებად ჩაუთვალა და ფაშობა უბოძა მას.

მართალია, ახალციხისათვის ბრძოლაში ახმედ ფაშა დამარცხდა და ახალციხე ვერ დაიბრუნა, მაგრამ ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა მის შემდგომ დაწინაურებას ოსმალთა სამსახურში.

ქობულეთისაკენ პირველად დაძრულ კ.გესევს გურიის სამხედრო მმართველმა კულიაბკომ 1 მარტს აცნობა, რომ გურიას ოსმალები მოადგნენ და ტყვეთა გატაცება და თარეში გააჩაღეს.

ოსმალთა ამ შემოსევის მიზანი ოზურგეთიდან შეკვეთილში წმ. ნიკოლოზის სიმაგრისაკენ მიმავალი მთავარი გზის გადაჭრა და აღნიშნულ სიმაგრეში მდგარი გარნიზონის განადგურება იყო.

ოსმალთა რაზმს მეთაურობდა ტრაპიზონის სერასკირი ქეი-ოღლი, რომელიც ბათუმიდან მოვიდა 3000 მეომრით. იგი ლიმანის ციხესა და შუმოგარენში დადგა, სადაც მას მალე ჭანეთიდან, ჩაქვიდან და ქობულეთის სხვადასხვა სოფლიდან იძულებით მობილიზებული და წაქეზებული 5000 მებრძოლი მიუვიდა. გარდა ამისა, სერასკირი ტრაპიზონიდან 10 000-იანი კორპუსის მოსვლას ელოდებოდა. მანვე დახმარების მიღებამდე ბრძანა საზღვრები გაემაგრებინათ, ადგილობრივი ოჯახებიდან მძევლები აეყვანათ, ხოლო ქალები და ბავშვები მთებში გაეხიზნათ. გენერალმა კ. გესემ, რომლის ათასეულსაც დაემატა 2300 გურული მოლაშქრე, გადაწყვიტა მტრის ძალები გაეთიშა: 1829 წლისის 3 მარტს

რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი შეკვეთილში მიეიდა, ხოლო 4 მარტს დილით კ. გესუმ პოლკი ცრუ დიეერსიის მოსაწყობად მუხაესტატესკენ გაგზავნა. მეორე დღეს, დილის 11 საათზე, რაზმმა გადალახა მდინარე ნატანები და ზღვისპირით ქობულეთის მიმართულებით გაემართა.

გურიის მოხალისეებს დაეალათ უფრო აღმოსაელეთით, ჭაობიან და ტყიან ადგილებში ემოძრაეათ და მტერს ზურგში მოქცეოდნენ. სამიოდე კილომეტრის გაელის შემდეგ მტერს შეეფეთნენ და სროლა აუტეხეს. ოსმალები მოულოდნელობისაგან დაიბნენ და ტყეში შეკვიედნენ. მარჯეენა ფლანგმა ამ დროს საარტილერიო მომზადება დაიწყო, რადგან ჭაობიან მხარეს ასეთი მოქმედება შეუძლებელი გახდა. ქვეითი ნაწილები შეტეეზე გადაეიდნენ, ხელნართულ ბრძოლაში გზა გაიკაფეს და ლიმანს — მოწინააღმდეგეთა მთავარ ბანაკს მიაღწიეს. 4-საათიანი ბრძოლის შემდეგ რუს-ქართველთა გაერთიანებულმა შეიარაღებულმა რაზმებმა ლიმანის ციხე აიღეს.

ოსმალებმა საჭურველი და ქონების დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე მიატოვეს და ტბებისაკენ გაიქცნენ. 5 მარტის ამ პირველ გამარჯვებაში რუსებთან და ქართველებთან ერთად თავი გამოიჩინეს ეცხოელებმაც. მაგალითად, მამაცურად იბრძოდა პოლკის ექიმი ი. ერეაუზენი.

ამ გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი იყო ქობულეთისკენ შეტეეის განეითარება, მაგრამ რუსმა სარდალმა ამოცანა შესრულებულად ჩათვალა და უკან გამობრუნდა. ამაეე დროს, ახმედ ფაშა ახალციხიდან ბათუმს ჩაეიდა.

ქობულეთში მოწინააღმდეგის ძალების თაემოყრა გრძელდებოდა. ოსმალთა კორპუსის რიცხვმა 18 ათასს მიაღწია, მაგრამ მან ვერ გაბედა რუსეთის საზღვრად აღიარებული ხაზი გადმოელახა.

მთავარსარდალმა ი. პასკეიჩმა გენერალ კ. გესეს დაავალა პარტიზანული ბრძოლები გაეჩაღებინა, რომ ახმედ ფაშას რაზმები საზღვარზე შეეჩერებინათ. შემდეგ ახმედ ფაშა ზემო აჭარისკენ გაემართა და, როგორც ჩანს, ხულოში დაბანაკდა. ქობულეთის მხარეში მოქმედ ჯარებს კი ოსმან ფაშა მეთაურობდა.

იელისში ოსმალთა სარდლობის ყურადღება არსრუმის გარშემო განეითარებულმა მოელენებმა მიიქცია. ქობულეთში მოქმედი ჯარების დიდი ნაწილი იქით გაიწეიეს. ოსმალთა ჯარების ასეთმა გადაჯგუფებამ გენერალ კ. გესეს მდგომარეობა შეუმსუბუქა. რუსეთის სარდლობამ სცადა აჭარის საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაეწყვეტა და საამისოდ ახმედ ბეგთან მოლაპარაკება გამართა. თავის წარმომადგენელს ხშირად გზავნიდა აჭარის ბეგთან გენერალი ბებუთოვი. საბოლოოდ შეთანხმება არ მოხერხდა. არც მძეელების საკითხი გადაწყდა. ჩქარა გენ. ბებუთოვი ერეანში გადაიყვანეს, თუმცა მან მდიდარი ინფორმაცია შეაგროვა აჭარის ბეგების შესახებ, რაც საჭირო იყო ხიმშიაშვილთა სახლში დაპირისპირების შესაქმნელად. მაგალითად, ბებუთოვის წერილებში საუბარია სელიმ ფაშას მემკვიდრეებზე.

აჭარის ბეგთან მოლაპარაკებები ახალციხის ჯარების დაჯგუფების უფროსმა გენერალმა ოსტენ-საკენმა განაგრძო. მისმა წარმომადგენელმა ორ კვირაზე მეტი დაჭო აჭარის მმართველთან. მაგრამ საბოლოო პასუხი მის ორიენტაციაზე ვერ მიიღო. ახმედ ბეგი მძეელად თითქოს თავისი ბიძის — სულეიმანის გაგზავნას აპირებდა. მაგრამ გადაიფიქრა. დიდი მიზნისათვის მებრძოლ ენერგიით საესე აჭარის მმართველს ძალაუფლება ასე ადვილად არ ეთმობოდა. ამან აიძულა რუსთა სარდალი მისგან გადამწყეეტი პასუხი მოეთხოვა.[64]

რუსეთის მხარე საჭირო ტაქტსა და მოხერხებას არ იჩენდა აჭარის ამაეე მმართველის მიმართ. გაჭიანურებულ მოლაპარაკებას ახმედ ბეგი გამოეთიშა. თუმცა, მთავარმ-

[64] Потто В. დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

მართველი ი. პასკევიჩი ახმედ ბეგთან მოლაპარაკების გაგრძელების მომხრე იყო. ასე ურჩევდნენ მას ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც კარგად იცოდნენ აჭარის მმართველის ხასიათი და ამ კუთხის უდიდესი მნიშვნელობა სამხრეთ საქართველოსთვის ბრძოლაში.

ამ ხნის განმავლობაში ქობულეთში მდგარმა ტუხჩი ოღლუმ პოზიციები გააძლიერა და მოსახლეობაც ანტირუსული ბრძოლებისათვის განაწყო. იგი თავისი რაზმით მუხაესტატეს სიმაღლეზე გამაგრდა და ფიზიზლად ადევნებდა თვალყურს მხარეში მოვლენების განვითარებას.[65] როცა ბარონმა ოსტენ-საკენმა აჭარის ბეგთან მოილაპარაკებებში საჭირო ნიჭი ვერ გამოიჩინა და მშვიდობიანი შეთანხმების საქმე ჩიხში შეეყვანა, გადაწყვეტა ძალით გაეტეხა მამაცი მთის შვილები და მათი შეუპოვარი წინამძღოლი. ფაქტობრივად, ამგვარი ნაბიჯი რუსეთის დიპლომატიის კრახი იყო. ამასთან, თავისი მოქმედებით გენერალი ოსტენ-საკენი საერთო მოქმედების გეგმასაც არღვევდა.

მთიან აჭარაში შეჭრილ ოსტენ-საკენის რაზმებს მოსახლეობამ, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არ გაუწია, მაგრამ ახმედ ფაშამ რუს გენერალთან შეხვედრა არ ისურვა. გათამამებულ გენერალს წერილით მიმართა ახმედ ფაშას მეუღლემ, დიდი ბეკანიემ, რომელსაც დიდი ხანუმს ეძახდნენ. ვერც დედოფლის წერილმა მოალბო გაავებული გენერლის გული.[66] მან მიიღო ყოველად გაუმართლებელი გადაწყვეტილება – სოფლებისათვის ცეცხლის წაკიდება დაიწყო.

15 და 16 აგვისტოს ბარონ ოსტენ-საკენის გაავებული მოქმედების შესაჩერებლად მას სასწრაფოდ ეახლა აჭარელთა დელეგაცია, რომელმაც რუსეთის ჯარების სარდალს უსაყვედურა მოლაპარაკების დამთავრებამდე ასეთი თავხედური აქციის განხორციელება და მოსთხოვეს აჭარის საზღვრების დატოვება. დაიწყო თავდაცვის ორგანიზაცია. ახმედ ფაშა შუახეოდან ემუქრებოდა გენერალს, ხოლო აღშფოთებულმა და ბრძოლად აღმდგარმა მოსახლეობამ მომხვდურებს მეადგარი წინააღმდეგობა გაუწია. შუახეისაკენ დაბრული რუსთა რაზმი გოროზი მოებით შემოზღუდულ ხეობაში შესვლისთანავე შედრკა. ალკაში მოქცეული გენერალი ოსტენ-საკენი 18 აგვისტოს იძულებული გახდა უკან დასახევი გზები ეძებნა. განსაცდელში ჩავარდნილ გენერალს მეგზურობა ისევ ადგილობრივმა მოსახლეობამ გაუწია. ახმედ ფაშამ ოსტენ-საკენს გზა დიდაჭარასთან გადაუჭრა, მაგრამ მეგზურმა რუსთა რაზმი 19 აგვისტოს ფოცხოვში მიიყვანა.[67] საქმის გამოსასწორებლად მთავარმმართველმა ქობულეთელებთან მოლაპარაკებაში ჩართულ გენ. კ. გესეს ბათუმისაკენ გალაშქრება უბრძანა.

ხანგრძლივი შეხვედრების მიუხედავად, კ. გესემ ქობულეთის სოფლების მამასახლისები და ბეგები ვერ გადაიბირა ოსმალების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

ქობულეთის მხარის მშვიდობიან გამოხსნას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აჭარისა და ბათუმის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის.

მძიმე ბიო რუს-ქართველთა ძალებისათვის ბათუმისკენ გალაშქრება, რადგან მუხაესტატესა და სხვა სიმაღლეების მიდამოებში მტკიცედ იყვნენ გამაგრებული ტუხჩი ოღლეს რაზმები.

1829 წლის ივლისში ოზურგეთში მყოფმა გენ კ. გესემ თავისი რაზმი ახალი ძალებით, განსაკუთრებით, გურიიდან გამოსული მოხალისეებით შეავსო და ბათუმისკენ გალაშქრება გადაწყვეტა. მისი გეგმით კვლავ ორი მიმართულებით უნდა ემოქმედათ. სამი რუსი ბატალიონისა და 3000-დე მოხალისისაგან შემდგარ რაზმს შეკვეთილიდან გამოსვ-

---

[65] **История военных действии в Азиатской Турции, т. II,1836, с. 147-151.**
[66] **შმეგრელიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბილისი, 1963, გვ. 57.**
[67] **ზ.ჭიჭინაძე. ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი, გვ. 27.**

ლა და ზღვისპირის მიმართულებით ლაშქრობა დაეგალა. მეორე რაზმი ლეღვათი აპირებდა გალაშქრებას. მაგრამ ეს გზა ტ'ეხი ოღლუს რაზმმა ადრე დაიკავა და გადაკეტა.

1829 წლის 4 აგვისტოს რუსთა ძალები ოზურგეთიდან გავიდნენ და ბილიკებით დაიწყეს მოძრაობა. მათ წინ მიუძღოდნენ სპეციალურად შერჩეული ტყის მჭრელები გასასვლელი გზების გასაწმენდად, მაგრამ გზის გაფართოება გაცილებით მცირე აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდნენ. მიუხედავად ამისა, ორი დღის შემდეგ რაზმმა თავი დააღწია სიძნელეებს და 6 აგვისტოს საბრძოლველად დაეწყო.

მუხაესტატეს სიმაღლეებზე მას 2000 ოსმალო და 600-მდე მობილიზებული აჭარელი ელოდებოდა კაპუნი-ბაშის მეთაურობით.

გენერალმა კ. გესემ რეგულარულ ჯარებს საარტილერიო ცეცხლი გაახსნეინა, ხოლო მოხალისეებს ხურგიდან იერიშის მიტანა უბრძანა. მტერი შედრკა და მთებისაკენ იწყო უკანდახევა. ტყეში მტრის დევნა შეუძლებელი გახდა. გამარჯვებულებს ოსმალთა პოზიციები, დროშები და ნადავლი დარჩათ. ამ ბრძოლაში მრავალმა ქართველმა მოხალისემ ისახელა თავი.

მუხაესტატეს მიდამოებში ტუხჩი ოღლუს მეთაურობით ოსმალთა ჯარის დამარცხებამ დაფრთხო ქობულეთ-კინტრიშში მდგარი ოსმალთა სხვა რაზმები. მათთვის შეერთების დრო რომ არ მიეცათ, რუს-ქართველთა ლაშქარმა ზღვისპირითა და სხვა გზა-ბილიკებით სწრაფი იერიშები მიიტანა მოწინააღმდეგეზე.

8 აგვისტოს გენერალი კ. გესე კინტრიშს მიუახლოვდა, სადაც აცნობეს, რომ ოსმალებს სიმაგრე მეიტოვებინათ. მეორე დღესვე კინტრიში რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა დაიკავა.[68] კინტრიშში მდგარ რუს გენერალს ქობულეთის სოფლებიდან მამასახლისები ეახლნენ და აცნობეს, რომ თანახმა იყვნენ დაეყარათ იარაღი და ოსმალები ქობულეთის მხარიდან გაერეკათ, მორჩილების ნიშნად გენერალს მძევლებსაც პირდებოდნენ. სამწუხაროდ, ეს ფაქტორი ვერ გამოიყენეს.

ოსტენ-საკენზე ახმედ ფაშას გამარჯვებამ[69] მხნეობა შემატა მის მომხრეებს, რომელთაც მოუწოდეს დახმარებოდნენ ახმედ ფაშას, მხარში ამოდგომოდნენ მას.

კაპუნი ფაშა-ტ'ეხჩი ოღლის რაზმების სხვა ნაწილები ციხისძირში გამაგრდნენ. მათ შეუერთდა დედ'ულეთში მყოფი ახმედ ფაშას ვაჟი ქელეშ ბეგი.[70] ახმედ ფაშა ხემო აჭარიდან ბათუმისაკენ გამოემართა.

მთავარსარდალი ი. პასკევიჩი ქობულეთში მდგარ გენერალ კ.გესეს ავალებდა, რომ „თუ აჭარისკენ წინსვლა ამჟამად დაკავშირებული იქნება დიდ სიძნელეებთან და საფრთხესთან, განსაკუთრებით გენერალ-მაიორ საკენის მარცხიანი ექსპედიციის შემდეგ, რამაც აჭარის მოსახლეობას თავდაჯერებულობა და გამბედაობა მისცა და ებიძგებს მას გამოიჩინოს გაცილებით უფრო მეტი შეუპოვრობა და წინააღმდეგობა. ასეთ შემთხვევაში გთავაზობთ თქვენ – ახმედ ფაშის წინააღმდეგ თქვენი რაზმით გაემართეთ ბათუმისაკენ და შეეცადეთ დაიკავოთ ეს ქალაქი. ბათუმის დაქვემდებარებით ჩვენ აჭარლებს გამოვაცლით მოხერხებულ გზას ოსმალებისაგან მიიღონ სამხედრო შეესება. რითაც, უდავოა, მოგვეცემა გადამწყვეტი უპირატესობა, რომ ზეწოლა მოვახდინოთ აქაურ მოსახლეობაზე და ვაიძულოთ ახმედ ფაშა სასწრაფოდ მოსთხოვოს რუსეთის მფარველობაში შესვლა“.[71]

---

68 გენ. კ.გესეს 1829 წლის 19 აგვისტოს პატაკი ი.პასკევიჩისადმი.

69 სსსა. კავკასიის შტაბის ფონდი, ს. 47573, ფ. 175

70 სსსა. კავკასიის სამხარეო შტაბის ფონდი. 1829 წ. ს. 75, ფ. 27.

71 იქვე, ფ. 141.

რუსეთის მოხელეთა უტაქტო დამოკიდებულებამ ახმედ ფაშას პოზიციები ისე გააძლიერა, რომ მისი რუსეთის მფარველობაში მოქცევა გადაუჭრელ პრობლემად გადაიქცა.

ბათუმისკენ გალაშქრების ცნობამ გაახარა ქართველი პატრიოტები. ბოლოს და ბოლოს, თითქოს ისახებოდა ამ ძირძველი ქალაქის ოსმალთაგან გამოხსნის კონტურები. საყოველთაო შეიქმნა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ხელშეწყობის სურვილი. მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ფენა ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ფართოდ გაშლილი სახელმწიფო მოძრაობის წარმატებაში. მამაკაცების გვერდით დადგნენ ქალებიც. გენერალ კ. გესეს რაზმთან ჩამოყალიბებულ მოწყალების დათა რაზმში მაგალითის მიმცემი გახდა ვახტანგ გურიელის ქერეკი დედოფალი მარიამ ორბელიანი.

გენერალი კ. გესე ბარონ ოსტენ-საკენს სთავაზობდა, რომ როგორმე თავისი მოქმედებით მიეპყრო ახმედ ფაშას ყურადღება.

ციხისძირთან გამაგრებული რაზმის მცირერიცხოვნობის შესახებ ცნობის მიღებისთანავე, რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ბათუმისაკენ დაიძრა. მათ გადალახეს მდ. აჭყეა, კინტრიში, დეხვა და ციხისძირის მიდამოებში შეიჭრნენ.

სარდალი ფიქრობდა გეერდი აეკლო აღნიშნული სიმაგრისათვის, რადგან იგი კარგად იყო გამაგრებული. ტრაპიზონის ფაშის მეციხოვნეთა რაოდენობა 15 სექტემბერს 3000 აღწევდა. ამ დროს ციხისძირს მიადგა რუსული გემი „ჰეგასი". მას ქვემეხები დაეშინა, მაგრამ სიმაგრეს ვერაფერი დააკლო.

ოსმალებმა მომდევნო ორი დღე-ღამის განმავლობაში ციხის გარნიზონი საგრძნობლად შეავსეს ჩაქვის ხეობისა და ბათუმის მხარის მოსახლეობისაგან გაწვეული მებრძოლების ხარჯზე. რუსთა ჯარის მიერ პეტრა-ციხისძირის ციტადელის წინა სიმაგრეების იოლად აღებას რაიმე დიდი შედეგი არ მოჰყოლია. აუცილებელი გახდა მთავარ სიმაგრეზე მასირებული ძლიერი შეტევის განვითარება. 17 სექტემბერს, გათენებამდე ნახევარი საათით ადრე, ეს შეტევაც დაიწყო. ოსმალთა ძალები გააფთრებით იცავდნენ თავს.

ციხის დამცველებმა ხერხი იხმარეს. მათი მებრძოლების ერთი ნაწილი ტყეში შეიპარა და ზურგში მოექცა გენერალ კ. გესეს მოიერიშე ძალებს. ოსმალთა მანეერმა გამარჯვების სასწორი დამცველთა მხარეს გადახარა. გენერალ კ. გესეს რაზმმა ბრძოლით დაიწყო უკანდახევა. ამასთან, დამცველებს თანდათან ახალი ძალები ემატებოდათ. მოიერიშეთაგან ბევრი მებრძოლი დაიჭრა, ორ ასეულამდე დაიღუპა, ხოლო სამ ათეულამდე მებრძოლი უგზოუკეულოდ დაიკარგა. ტყეების წვიმაში ენერგიულად და გაბედულად მოქმედებდნენ მოწყალების დები.

სამწუხაროდ, ქართველთა თავდადება რუს სამხედრო მეთაურთა თავდაჯერებულობის გამო ტრაგიკულად დამთავრდა. 15 დღით ადრე კი ადრიანოპოლში დადებული საზავო ხელშეკრულების პირობებით ბრძოლები უნდა შეწყვეტილიყო.

ამ ბრძოლამ ამავე დროს აჩვენა, რომ ოსმალთა მზაკვრულ მიდგომებს აჭარაში გარკვეული ნაყოფი გამოეღო. ურთიერთქიშპით შეპყრობილი ქართული სამეფო-სამთავროები ცუდ მაგალითს აძლევდნენ მტრისაგან მიტაცებული მხარეების მოსახლეობას, რომელიც ღვთის ანაბრად დარჩა მიტოვებული ძლიერი, ეერაგი, მზაკვარი და გათავხედებული მტრის პირისპირ. საქართველოს დაეკარგა ძველი და უტყუარი შეგონება — „ძალა ერთობაშია".

ადრიანოპოლში 1829 წლის 2 სექტემბერს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, როგორც ითქვა, რუსეთისა და ოსმალეთის ძალები ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ და ბრძოლები შეწყვეტათ, მაგრამ ცნობა საზავო პირობების შესახებ ციხისძირში ერთი თვის დაგვიანებით მოვიდა.

ციხისძირთან დამარცხება კავკასიის ფრონტის ყველაზე დიდ წარუმატებლობად არის მიჩნეული. თუმცა, 1828-1829 წლების ომის შედეგად ახალციხის დეფასამშობლოსთან დაბრუნება დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. სამწუხაროდ, აჭარისა და ბათუმის განთავისუფლება მთელი ნახევარი საუკუნით დაგვიანდა.

§5. განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის დამდეგს. სელიმ ხიმშიაშვილი

XVIII საუკუნის დამლევიდან გაძლიერდა ოსმალეთის იმპერიის დაშლის პროცესი. სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისმა შემდგომ გააუარესა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას თან მოჰყვა ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესი. დაიწყო მსხვილი ფეოდალ-მოხელეების განდგომა, რამაც, თავის მხრივ, დაჩქარა ოსმალთა მიერ დაპყრობილი არათურქული პროვინციების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. აჯანყების დროშა აღმართეს ბალკანეთში, ეგვიპტესა და ერაყში. განდგომის ტენდენციებმა თავი იჩინა ე.წ. „სამაჰმადიანო საქართველოში", კერძოდ, ახალციხის საფაშოშიც.

სხვა რაიონებთან ერთად, ახალციხის საფაშო ადმინისტრაციულად ერცელი ოლქი იყო. მასში ცალკე პოლიტიკური ერთეულის სახით შედიოდა აჭარაც, როგორც სანჯაყი (შეესაბამებოდა ქართულ სადროშოს). აჭარის მოქცევა ოსმალთა გაელენის ქვეშ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის გმირული წინააღმდეგობის გამო აქ მტკიცედ დამკვიდრება მათ ვერ მოახერხეს. ამის გამო XIX საუკუნის დასაწყისშიც კი აჭარა ოსმალეთის ნახევრად ვასალური პრო-ვინცია იყო, რომელსაც ქართველი ბეგები (ხიმშიაშვილები) განაგებდნენ.

ცნობილია, რომ ოსმალეთში არსებობდა პროვინციების მართვის მემკვიდრეობითი სისტემა. თანამდებობა ყველას ეძლეოდა სულთნის ან ცენტრალური ხელისუფლების სპეციალური ფირმანით, რომელიც გარკვეული ვადით იყო გაცემული (XIX საუკუნეში იგი ერთ წლამდე შეიმცირეს). ამ წესის მიზანი იყო ის, რომ მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდათ ადგილობრივი გამგებლები და შეენარჩუნებინათ იმპერიის ერთიანობა. ცხადია, მთავრობის სიძლიერის პირობებში ხერხდებოდა ამ წესის დაცვა, მაგრამ სახელმწიფოს სიმტკიცის მოშლის კვალდაკვალ იზრდებოდა დეცენტრალიზაციის პროცესი და თითოეული მმართველი ცდილობდა თანამდებობის დასაკუთრებას და მის გადაქცევას მემკვიდრეობითად.

ამ მხრივ თავიდანვე განსხვავებული იყო მდგომარეობა აჭარაში. მართალია, დაპყრობის შემდეგ იგი მოაწყვეს, როგორც ოსმალური ადმინისტრაციული ერთეული, მაგრამ თავისი სტატუსით მაინც განსხვავდებოდა იმპერიის შიგა რაიონებისაგან. საქმე ისაა, რომ ოსმალობა აქ ჯერ კიდევ სუსტად იყო დამკვიდრებული, რის გამოც აჭარის სანჯაყი შედარებითი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. სანჯაყის მმართველი, იგივე სანჯაყბეგი, ადმინისტრაციულად კი ემორჩილებოდა ახალციხის ფაშას, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი პრივილეგიებითაც სარგებლობდა. საკმარისია ითქვას, რომ ოსმალეთის შიგა პროვინციებში, არსებული წესისაგან განსხვავებით, სახელმწიფო მიწებიდან მიღებული შემოსავლის გარკვეულ ნაწილს თავად ისაკუთრებდა და, რაც მთავარია, ჰქონდა თანამდებობის მემკვიდრეობით (ე.ი. მამიდან შვილზე, ან უახლოეს ნათესავზე) გადაცემის უფლება.[1]

ჩანს, რომ გარემოებამ გარკვეულად დაჩქარა ხიმშიაშვილთა ეკონომიკური გაძლიერება, რასაც მათი პოლიტიკური აღზევება მოჰყვა. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XVIII საუკუნის დამლევიდან, როდესაც დასუსტდა ახალციხის ფაშების

[1] ა.ავალიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1962.

(ჯაყელების) ხელისუფლება და სანჯაყ-ბეგებმა იმუნიტეტისათვის დაიწყეს ბრძოლა. ანდა, ისწრაფოდნენ საფაშო ტახტის ხელში ჩაგდებასაც. ცხადია, მომძლავრებული ხიმშიაშვილებიც არ ჩამორჩნენ ამ პროცესს. სელიმ ხიმშიაშვილმა ისარგებლა ჯაყელთა გვარის დასუსტებით და 90-იანი წლების დამლევიდან აქტიურად ჩაება ახალციხის საფაშო ტახტის დასაკუთრებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მალე იგი ამ ბრძოლის ცენტრში აღმოჩნდა. შემდეგ კი მოვლენები ისე განვითარდა, რომ აჭარის სანჯაყ-ბეგი თავად გახდა ტახტის პირველი მოცილე და ბოლოს სამუდამოდ. ანუ უმაღლესი ჩინის ფაშაც. ეს მოხდა 1803 წლის 21 სექტემბერს.[2] სელიმი ესწრაფოდა გაძლიერებას და საკუთარი სახლის განდიდება-ამაღლებას. მაშინაც კი, ძალაუფლებას რომ დაეუფლა და ფაშა გახდა, იგი „პირველ რიგში მაინც ცენტრალური ხელისუფლების მსარდაკერესათვის იბრძოდა".[3] ცხადია, ეს სრულიადაც არ ამცირებდა მის პიროვნებას, რადგან სწრაფვა და საქმიანობა ახალციხის საფაშო ტახტის დაუფლებისათვის ობიექტური შედეგებით იმ ეტაპზე ისედაც მრიშენელოვანი და პროგრესული იყო. ეს პროცესი ასუსტებდა იმპერიის ძლიერებას და აჩქარებდა ე.წ. „სამუსლიმანო საქართველოს" მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლება-ამაღლებას.

ახალციხის საფაშოს ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებით გუშინდელი სანჯაყ-ბეგი იმპერიის სამოხელეო იერარქიის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე შედგა. ამიერიდან სელიმ ხიმშიაშვილი იო ერეკლი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ბეგლარ-ბეგი. მას ეპყრა მთელი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება და თავის საგამგეო ტერიტორიაზე ჰქონდა განუსაზღვრელი უფლებები.

სელიმ ხიმშიაშვილი რეალურად აფასებდა თავის შესაძლებლობებს და ახალციხის საფაშო ტახტზე დამკვიდრებისათვის რუსეთის გამოყენებას შეეცადა. ამ მიზნით მკიდრო კონტაქტები დაამყარა კავკასიის რუსულ ხელისუფლებასთან. ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, სელიმ ხიმშიაშვილი კიდეეც შეხვედრია მთავარმართებელ ციციანოვს ობილისში და თითქოს ახალციხის რუსეთთან შეერთების სურვილიც გამოუთქვამს.[4]

რუსეთთან დაკავშირების იდეა სელიმს შედარებით გვიან, 1807-1809 წლებში უნდა გასჩენოდა. ამის საფუძველი იყო რუსეთ-ოსმალეთის (1806-1812 წწ). კერძოდ, 1807 წლის საბრძოლო ოპერაციებისას მისი უმოქმედობა, რასაც ოსმალეთის მთავრობამ ეჭვით შეხედა.[5] ადრე სელთანს სელიმის დაუმორჩილებლობა და „სეპარატიზმისაკენ" სწრაფვა ძლიერ აღიზიანებდა. ახლა კი მას საშუალება მიეცა დამნაშავე მოხელის პასიერობა ღალატად მიეჩნია და იგი უმალ შერისხა. ასეთ ვითარებაში სელიმ ხიმშიაშვილს, ედა-ეოდ, სჭირდებოდა მოკავშირე და მფარველი. ასეთად კი რუსეთი გამოდგებოდა, რომელიც ოფიციალურად ეომებოდა ოსმალეთს. ამიტომ რუსეთის მფარველობაში შესვლა სელიმ ხიმშიაშვილისათვის ამიერიდან იყო ერთადერთი გზა, ურომლისოდაც იგი ტახტს ვერ შეინარჩუნებდა.

თავის მხრივ, სელიმ ხიმშიაშვილთან ურთიერთობა ხელსაყრელი ჩანდა რუსეთისთვისაც, რადგან ჯერ გეორგიევსკის ტრაქტატმა (1783 წ). შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ (1801 წ) ამიერკავკასიის სახანო-საფაშოების ეროვნული ფენა გააფეთქა. ახალციხეში დგებოდა ამიერკავკასიიდან რუსთა განდევნის ეგზეკუტორი. აქ გაიჩინეს თავშესაფარი ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებით უკმაყოფილო ბატონიშვილებმაც, რომლებიც აქედან ცდილობდნენ მომხრეთა დარაზმვას და ცარისმის წინააღმდეგ

---

[2] ა.სურგულაძე. სელიმ ხიმშიაშვილი. ბათუმი, 1986.

[3] შ.ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. თბილისი, 1975, გვ. 236.

[4] ზ.ჭიჭინაძე. ოსმალეთის საქართველო. ტფილისი, 1910, გვ. 175.

[5] დ.კოტორიძე. განახლებული მესხეთის ქალაქი. თბილისი, 1969, გვ. 108-109.

ბრძოლის განადგურებას. ასეთ სიტუაციაში ახალციხის ფაშის გულის მოგება და ურთიერთობის ნორმალიზაციით მისი განეიტრალება რუსეთს ამიერკავკასიაში განუმტკიცებდა პოზიციებს, მით უმეტეს, რომ ამ დროს იგი ეომებოდა ირანს და თანაც გეგმავდა იმერეთის სამეფოზე შეტევას.

1806 წლის 30 დეკემბერს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი.[6] საბრძოლო ოპერაციების ძირითადი ასპარეზი ბალკანეთი და კავკასია იყო. კავკასიის ფრონტმა ქართველი ხალხის პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია, რადგან რუსთა არმიის გამარჯვებები დაანგრევდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გამოხსნას ოსმალთა ბატონობისაგან. მართლაც, კავკასიის არმიას (მთავარსარდალი გრაფი გუდოვიჩი) სამხრეთთა და დასავლეთით მოქმედებისას დაეკალა ახალქალაქ-ხერთვის-ასპინძა-ყარსისა და ფოთის შემოერთება, რათა ახალციხე საბოლოოდ „მოეწყვიტათ ოსმალეთისაგან" და მას თავად დაუყლეპოდნენ.[7]

კავკასიის ფრონტის სარდლობამ სამხედრო ღონისძიებებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია აღმინშნელი პროვინციების ხელში ჩასაგდებად ოსმალური ადმინისტრაციის მოქრთამვა-მოსყიდვის გზით. მაგალითად, გრაფ გუდოვიჩს ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე წვის ქვირფანი ბეწვის ქურქი და 600 მანეთი ოქროთი „საიდუმლოდ მიურთმევია" ყარსის ფაშასათვის.[8] მსგავსი საჩუქრები საბრძოლო ასპარეზის რეგიონში შემავალი სხვა პროვინციების (მათ შორის ახალციხის) მმართველებისათვისაც უნდა დაეგზავნა.

სელიმ ხიმშიაშვილი ოსმალთა ოფიციალური დიდმოხელე იყო და ცხადია, ომის შეჯახებაში ჯარით გამოსვლა ეკალებოდა. იგი ასეც მოიქცა. 13 იანვარს დიდი ჯარით წავიდა აწყვერისაკენ, რომ იქიდან „ქართლს დასცემოდა". ლაშქრობა უშედეგო გამოდგა. ორი დღის შემდეგ იგი უკან დაბრუნდა.[9]

ამასობაში რუსთა ჯარი ყარსს მოადგა. ახალციხის ფაშას ზურგში უნდა დაერტყა მოალეე ლაშქრისათვის. ცხადია, ეს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა რუსებს. ამიტომ, 6 თებერვალს ამ უკანასკნელებმა სელიმ ხიმშიაშვილს ელჩად მიუგზავნეს ხეზინათ სიმონი. უცნობია, თუ რაზე ისაუბრეს კათოლიკე და მაჰმადიანმა ქართველებმა. მაგრამ ფაქტია, ელჩის წასვლიდან სამი დღის შემდეგ „სელიმ ფაშა უქეიფოდ შეიქმნა".[10] ავადმყოფობა კი შესანიშნავი საბაბი გახდა ლაშქრობისაგან თავის ასარიდებლად. რითაც ხელიმ ხიმშიაშვილმა რუსებს მაშინ დიდი სამსახური გაუწია.

ასეთ პირობებში კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ ახალციხის ფაშას ოფიციალურად შესთავაზა რუსეთის მფარველობა. საამისოდ თითქოს ხელსაყრელი პირობებიც არსებობდა. 1808 წლის ზაფხულში სულთნის კარზე განხორციელებულ მორიგ სასელმწიფო გადატრიალებას ოსმალეთში დიდი არეულობა და პროვინციების განდგომა მოჰყვა. რუსთა სარდლობის ეარაუდით, შეიძლებოდა ამ სიტუაციის გამოყენება საკითხის უმტკივნეულოდ მოსაგვარებლად. ამის შესახებ რუმიანცევი გუდოვიჩს წერდა: „ესაროგებელი არ იქნება, თუ ნაეუნერგავთ საზღვრისპირა ყარსისა და ახალციხის ფაშებს, რომ ამაზე უკეთეს დროს ვერ ნახავენ პორტასაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მათ შეუძლიათ იქონიონ რუსეთის ჯარის დაცვისა და მფარველობის იმედი".[11]

---

[6] ნ.ჭორთუა. საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბილისი, 1964.

[7] გ.ტივაძე. ოსმალეთის დერეფნობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში. თბილისი, 1946, გვ. 214-215.

[8] Акты. т. IV. Тифлис, 1870, с. 95.

[9] შ.ლომსაძე. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები). თბილისი, 1979, გვ. 201.

[10] იქვე, გვ. 201-202.

[11] ნ.ჭორთუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 281.

ირკვევა, რომ სელიმ ხიმშიაშვილსაც რუსეთთან დაკავშირება სურდა და მასთან მფარველობაში შესვლას თანაგრძნობით ეკიდებოდა. კავკასიის რუსულ ხელისუფლებასთან ახალციხის ფაშის საეჭვო ურთიერთობით და ყარსის ბრძოლის დღეებში ველზე უმოქმედობით მან დაკარგა ოსმალეთის მთავრობის მხარდაჭერა. იგი მოღალატედ გამოცხადდა და „ალაპის სამჯაეროში" წარდგომის გარეშეც თავის მოკვეთა ელოდა.

უკეთესი მდგომარეობა სელიმს არც საფაშოს შიგნით ჰქონდა. ტახტის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ, მძიმე გადასახადებმა და მკაცრმა რეჟიმმა მას მოსახლეობის დიდი ნაწილი აუმხედრა.[12] შესაძლოა, ამასე მიუთითებდეს „ახალციხური ქრონიკების" ცნობა, რომ 1809 წლის 14 აპრილს ახალციხეს „მყოფი სოფელნი ოლქად იდგა".[13] ოლქა იგივე აჯანყებაა. მაშასადამე, ქვეყანაში მდელვარება დაწყებულა. თუ აღნიშნული ქრონიკების ცნობა ემოხვევა ზეპირსიტყვიერებაში მოხსენიებულ სახალხო მოძრაობას, აქედან გამომდინარე, ცნობილია მისი ხელმძღვანელის ვინაობაც. ეს იყო სახალხო გმირი ჩახალოღლი, ანუ იგივე მემედ ბერიძე.

მდელვარების დაემთხვა განხეთქილება თვით სელიმ ფაშას სახლში. მას მოელოდნელად შვილიც აუჯანყდა.[14] ამ რთულ ვითარებაში ძის განდგომა-ამბოხება მისთვის თავზე მეხის დაცემა იქნებოდა. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ შვილი მამას ტახტს ეცილებოდა, რისთვისაც შეუკავშირდა სული ბეგ ლიეანელს (შერიფ ჯაველის დისშვილს) და 6-ათასიანი ლაშქრით ახალციხისაკენ დაიძრა.[15] ხელისუფლების განმტკიცების აუცილებლობა მოითხოვდა ოჯახში ჩამოვარდნილი უთანხმოების აღკვეთას. სელიმიც თავისი ჯარით გაემართა კოალიციასთან საბრძოლველად. საბოლოოდ, სელიმ ხიმშიაშვილმა კი გაიმარჯვა, მაგრამ ამ ტრაგიკულმა აქტმა შეარყია მისი ადრინდელი აუტორიტეტი. ამით მაშინვე ისარგებლა შერიფ ჯაველმა და აქტიურად შეუდგა ახალციხეზე ლაშქრობის სამზადისს.

ასეთ ვითარებაში სელიმ ხიმშიაშვილისათვის ხსნა მხოლოდ რუსეთთან კავშირში შეიძლებოდა ყოფილიყო. 1809 წლის მაისში იგი სიხარულით შეხვდა კავკასიის ახალი მთავარმართებლის — ტორმასოვის ფარულ დესპანს, ყაზახის მოურავს მაიორ ჯორაშვილს. ელჩმა სელიმს რუსული ხელისუფლების პირობები შესთავაზა: რუსეთის მფარველობაში შესვლის საფასურად ფაშობის შენარჩუნება და ამ სახელის მემკვიდრეობითად დამტკიცება.[16]

ხიმშიაშვილმა უკან მიბრუნებულ ჯორაშვილს თან თავისი ელჩიც (ხაზინადარი მუსტაფა აღა) გააყოლა. 10 ივლისს ტორმასოვი გრაფ რუმიანცევს ატყობინებდა: „სელიმ ფაშა ახალციხელმა... გამომიგზავნა თავისი მოხელე მეგობრობისა და კეთილი თანხმობის ნიშნად".[17] სელიმ ხიმშიაშვილის წარგზავნილი პირადად შეხვდა თბილისში მყოფ მთავარმართებელს. ორივე მხარემ კიდევ ერთხელ დაიზუსტა მფარველობაში შესვლის პირობები. მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა სელიმ ხიმშიაშვილი ტრაქტატზე ხელის მოწერას. ამ მიზნით ახალციხეს გაემგზავრა პოლკოვნიკი პეტრე ორბელიანი, რომელსაც აღნიშნულ დოკუმენტთან ერთად თან მიჰქონდა რუსეთის იმპერატორის დაპირება სელიმ ხიმშიაშვილისათვის გენერალ-ლეიტენანტის ჩინის ბოძების შესახებ.

---

12 შ.ლომსაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

13 იქვე, გვ. 214.

14 სელიმ ხიმშიაშვილს 4 ვაჟი ჰყავდა: ვარსად ბეგი (ახალქალაქის ციხის უფროსი, დაიღუპა 1828 წელს), ახმედ ფაშა (არზრუმის სერასკირი, გარდაიცვალა 1836 წელს), აბდი ბეგი (გარდაიცვალა 1859 წელს), დურსუნ ბეგი, რომლის შესახებაც არავითარი ცნობა არაა შემონახული. შესაძლოა, "აჯანყებულ შვილში" იგი უნდა ვიგულისხმოთ.

15 Акты. т. II, Тифлис, 1868, с. 145.

16 იქვე, გვ. 782.

17 Акты. т. IV, с. 203.

ცხადია, რუსეთის მფარველობაში შესვლა სელიმ ხიმშიაშვილს წარმოდგენილი ჰქონდა იმავე საფუძველზე და პირობებით, როგორც ეს გააკეთა რუსეთმა გურიისა და სამეგრელოს სამთავროების ან, თუნდაც, იმერეთის სამეფოს მიმართ. ფაშა ცნობდა რუსეთის ხელმწიფის უზენაესობას და აღუთქვამდა მას ერთგულ სამსახურს. სამაგიეროდ, რუსეთი მის შემადგენლობაში დაუშვებდა ახალციხის ავტონომიის არსებობას ჯერ სელიმ ხიმშიაშვილის, შემდეგ მისი მემკვიდრეების მეთაურობით. გარდა ამისა, რუსეთი სელიმს გარეშე მტრების (ამ შემთხვევაში — ოსმალეთის) თავდასხმებისგანაც დაიცავდა.

მაშასადამე, ახალციხის საფაშოს ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა. სელიმ ხიმშიაშვილი აღმოჩნდა ის პირველი მოღვაწე, რომელმაც არა მარტო სიტყვიერად განაცხადა უარი სულთნის მორჩილებაზე, არამედ საქმით შეეცადა გამოსულიყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან. ეს ოსმალთა კლანჭებიდან ამ მხარის გამოხსნა-განთავისუფლებას ნიშნავდა. ცხადია, ამის განხორციელება ქართველი ხალხისათვის იქნებოდა უდიდესი ბედნიერება, რადგან მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდა ისტორიული მიწა-წყალი და იგი აღსდგებოდა თავის ისტორიულ საზღვრებში. საბოლოოდ მოიშლებოდა ლეკთა საბუდარი, მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა ტყვეთა სყიდვა და სხვ. სამწუხაროდ, ყველაფერი დაგეგეგმილი აღმოჩნდა. მიმოსვლაში, მფარველობაში შესვლის პირობების დაზუსტება-დადგენაში და საქმის სარგებლიანობის აწონ-დაწონაში ძვირფასი დრო დაიკარგა. ამასობაში ინიციატივას ტახტდაკარგული შერიფ ჯაველი დაეუფლა. იგი სწრაფად და წარმატებით მოქმედებდა. მან ცენტრალური მთავრობაც შეირიგა და მიიმხრო, დიდძალი ქრთამიც ჩაიტანა სტამბოლს და ამით ხელისუფლების „ნდობა აღიდგინა".[18] ჩანს, ამავე საშუალებით მან სელიმს მეჯლისიც აუმხედრა,[19] რომელიც არ თანაუგრძნობდა ფაშას რუსულ ორიენტაციაში, კერძოდ, რუსეთისათვის „ახალციხის გადაცემაში".[20] 1809 წლის შუა ნოემბერში შერიფ ჯაველმა დაამარცხა სელიმი და საფაშო ტახტიც დაისაკუთრა.

ბრძოლაწაგებული სელიმი აჯარას დაუბრუნდა და „საგვარეულო ხიხანის ციხეში ჩადგა. პოლკოვნიკ სიმონოვიჩის სიტყვით, იგი თავის მამულში იჯდა მშვიდად და პოლიტიკურ სარბიელზე თითქოს არ აქტიურობდა.[21] მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ჩანს, ამით სელიმი აპირებდა მოწინააღმდეგის ყურადღების მოდუნებას. მართლაც, 1810 წლის თებერვლის მიწურულს, დიდი თოვლის მიუხედავად, მან სწრაფად გადაიარა წიფნარ-ღირმან-ნეგილის გზა და 2 მარტს აჯარელთა 7-ათასიანი ლაშქრით ალეკა შემოარტყა შერიფ ფაშის (ჯაველის) რეზიდენციას ახალციხის მახლობლად, სოფ. სხვილისს. ბრძოლამ სამ დღეს გასტანა. პ. ორბელიანის მზვერავის — გოგია კოშაძის ცნობით, სელიმ ხიმშიაშვილმა „ძლიერ შეავიწროვა შერიფ-ფაშა",[22] მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა დიდი ზარალის ფასად, 400 მებრძოლი მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდა.[23]

რუსეთის მფარველობაში ახალციხის საფაშოს შესვლის, ანუ ოსმალთა ტყვეობისაგან სამცხე-საათაბაგოს ისტორიული ქართული ტერიტორიის გამოხსნის ეს ცდა კვლავ ჩაიშალა.

---

[18] ამ გზით ტახტის დასაკუთრება-შენარჩუნებისათვის ბრძოლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ოსმალეთის იმპერიაში. ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს: „უკეთუ ვინმე მოიქონის ეერცხლი, წარვიდის სტამბოლს, მისცეს ქრთამი და იშოვნის მკვიდრად მამული და დაიპყრან" (ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 732).

[19] შ.ლომსაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

[20] Акты. т. IV, с. 790.

[21] იქვე, გვ. 790.

[22] იქვე, გვ. 794.

[23] იქვე.

სელიმი ისევე შეეცადა საფაშო ტახტის დაბრუნებას. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა კავკასიის ხელისფლებას და დაუდასტურა რუსეთის მფარველობაში შესელის სურვილი, ოღონდ, შერიფ ჯაყელის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება ითხოვა.[24] სელიმმა საქმეში გურიელებიც ჩაება, რომლებმაც ტორმასოვს გადასცეს სელიმის თხოვნა აბასთუმნის მახლობლად ჩერმოკ-ბოღაზის, ანუ იგივე ოცხის ციხეში 500 მეციხოვნე რუსი ჯარისკაცის ჩაყენების შესახებ. სანაცვლოდ სელიმი ხელს მოაწერდა სამფარველობო ტრაქტატს და თან, ერთგულების საწინდრად, ერთ-ერთ შვილსაც მისცემდა მძეულად.[25] იმერეთის მმართველი სიმონოვიჩიც უდასტურებდა მთავარმართველს, რომ „სელიმ-ფაშას ისე არაფერი არ სურს, როგორც შეერთება ჩვენს ჯართან თაეის მტრის შერიფ-ფაშის წინააღმდეგ მოქმედებისათვის".[26] ტორმასოვისადმი 1809 წლის 12 დეკემბრის წერილში მამია გურიელის ბიძა (დედის – მარინეს ძმა) ზურაბ წერეთელიც აღნიშნავდა, რომ სელიმი „ცდილობს ყველაფერი გააკეთოს თქვენი სურვილისამებრ".[27]

კავკასიის რუსული ხელისუფლება ამჯერადაც დადებითად შეხედა აღნიშნულ წინადადებას, რადგან პერსპექტივაში გეგმავდა ერთობლივ ლაშქრობას ჩერმოკ-ბოღაზიდან ახალციხისაკენ. ამიტომ მუსტაფა-აღას მეშვეობით სელიმს შეატყობინეს,[28] რომ ტრაქტატზე ხელის მოწერა დაჩქარებდა რუსთა დახმარებას ფულითაც და ჯარითაც.[29] 1810 წლის 16 მარტს ტორმასოვი თხოულდა სიმონოვიჩს ეცნობებინათ სელიმისათვის, რომ „ფულსაც მისცემდნენ და ჯარსაც, თუკი დაამტკიცებდა, რომ გულწრფელად სურდა რუსეთის მფარველობაში შესვლა".[30]

საქმეს თითქოს აღარაფერი აბრკოლებდა. ამიტომ აჯარის სანჯაყ-ბეგთან შესახებედრად ბორჯომის ხეობაში ისევ გენერალი ჰ. ორბელიანი გააგზავნეს. სამწუხაროდ, მოლაპარაკება ამჯერადაც უშედეგო აღმოჩნდა. 1810 წლის გაზაფხულზე კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ შეიპყრო სოლომონ II და გააუქმა იმერეთის სამეფო: ასეთ პირობებში სელიმ ხიმშიაშვილი ეეღარ მიენდო შემოთავაზებულ ტრაქტატს, რადგანაც იმერეთთთან გაფორმებული სამფარველობო ხელშეკრულების გაუქმებამ თვით ცარიზმის მიერ და ღალატის მეფის შეპყრობამ სრულიად სამართლიანად, მას ეჭვები აღუძრა ამაოე ხელისუფლების მეშვეობით ახალციხის საფაშო ტახტის მოპოვება-შენარჩუნების შესაძლებლობაში. სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, ქართლ-კახეთის სამეფოს მაგალითზე უნდა დაენახა, ხოლო იმერეთის სამეფოს მაგალითზე საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ ცარიზმი ადრე თუ გვიან არც მის დამოუკიდებლად არსებობას მოითმენდა.

ჩანს, ამ გარემოებამ აიძულა სელიმ ხიმშიაშვილი შეეცვალა ბრძოლის ტაქტიკა, წასულიყო ერთგვარ დათმობაზე და სანჯაყ-ბეგის თანამდებობის შენარჩუნების მიზნით, დროებით მაინც, შერიფ-ფაშა ჯაყელს. საგულისხმოა, რომ საამისო წინადადებით ჯერ კიდევ 1810 წლის მაისში მასთან მისულა თვით ჯაყელის 2 მოხელე.[31] იმავე წლის 22 დეკემბერს გენერალი სიმონოვიჩი აცნობებდა ტორმასოვს ორივე მხარის დაზავებას.[32] მართალია, მთავარმმართველმა ეჭვი შეიტანა ამ ცნობის საფუძველიანობაში

---

24 იქვე, გვ. 790.
25 იქვე, გვ. 788.
26 იქვე, გვ. 245.
27 იქვე, გვ. 787.
28 ამჯერად მოლაპარაკებას ეწოდნენ: რუსეთის ხელისუფლების მხრიდან – სელიმის „ნაცნობი და ახლობელი ელიზბარ ერისთავი" (შლომსაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 125), ხოლო გურიელის მხრიდან – „ერთი მღვდელი და ერთი აზნაური" (Акты. т. IV, с. 275).
29 იქვე, გვ. 237.
30 იქვე, გვ. 938.
31 იქვე, გვ. 799.
32 იქვე, გვ. 338.

და მას „ნაკლებსარწმუნო“ და „დაუჯერებელი“ უწოდა,[33] მაგრამ იმერეთის მმართველმა 1811 წლის 24 იანვარს დაუდასტურა: „სელიმი ნამდვილად შეეერიგდა შერიფ-ფაშას“.[34] საბოლოოდ ტორმასოვმა კი ირწმუნა სელიმ ხიმშიაშვილის „მეგობრული კავშირი“ შერიფ ჯაველთან. მაგრამ იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სელიმის პოზიციას ახალციხისათვის ბრძოლაში, რომ 1811 წლის 8 თებერვლის წერილით სიმონოვიჩს მაინც დააჯალა, „შეენარჩუნებინა მასთან ურთიერთობა“, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში — მოეხერხებინა შერიფ-ფაშისადმი მისი მტრობის გაღვივება.[35]

შერიფ-ფაშასთან დაზავების მიუხედავად, სელიმ ხიმშიაშვილი ბოლომდე დარჩა რუსეთისადმი კეთილგანწყობილი და ეს რამდენჯერმე საქმითაც დაადასტურა. აი ფაქტებიც: 1810 წლის ნოემბერში დიდი ბრძოლები გაჩაღდა ახალციხისათვის. საფაშოს სანჯაყბეგები თავიანთი ლაშქრით აქტიურად მონაწილეობდნენ მის დაცვაში. ცხადია, ასეთივე სამსახური ეკალებოდა სელიმ ხიმშიაშვილსაც და საშუალება ეძლეოდა ახლა მაინც „გამოესყიდა“ ადრინდელი „დანაშაული“, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.[36] ე.ი. თავისი მთავრობის წინაშე „ახალი ღალატი“ ჩაიდინა, რითაც რუსებს გარკვეულად დაეხმარა; 1811 წლის თებერვალში სელიმმა აცნობა გენერალ სიმონოვიჩს არზრუმის სერასკირის — მემედ შერიფ-ფაშისა და ტრაპიზონის სერასკირის — ხანადარ-ოღლის შეთანხმების შესახებ სოლომონ იმერთა მეფისათვის ჯარის გამოგზავნის თაობაზე. თან მისწერა: „თუ მოკლე ხანში გამომიგზავნით 100 ქისა ფულს და ვიქნები მომარაგებული, შემიძლია ღეთის წყალობით ჩავშალო საქმე და იგი კეთილად დავაგვირგვინო“.[37] ეს მნიშვნელოვანი შეტყობინება იყო, რომელიც რუსეთს მოქმედების საშუალებას აძლევდა.

უნდა ითქვას, რომ კავკასიის სამხედრო ადმინისტრაცია, თავის მხრივ, გარკვეულ სინანულს გამოთქვამდა სელიმ ხიმშიაშვილის შესაძლებელი დაკარგვის გამო, მაგრამ აქტიური მოქმედებისაგან (ჯარის მიცემა, ფულით დახმარება) მაინც თავს იკავებდა. სელიმთან ურთიერთობას რუსეთი საკუთარი პოზიციებიდან უყურებდა, სრულიადაც არ ფიქრობდა მისი ზრახვების გაგებას და ბეგისაგან მხოლოდ ცალმხრივი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა.

1810 წლის 8 ივნისს სიმონოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში ტორმასოვი აღნიშნავდა: „საწყენია, თუ სელიმ-ფაშას ნამდვილად გაუქარწყლდება ნდობა ჩვენდამი... ამიტომ განაგრძეთ მასთან მეგობრული ურთიერთობა და დაპირდით სასწრაფო დახმარებას ფულად, თუ დარწმუნდებით, რომ ეს თანხა არ დაგვეკარგება. ჩემთვის განსაკუთრებით სასურველია, რომ მან დროის დაუკარგავად მოაწეროს ხელი შეთავაზებულ ტრაქტატს და დასდოს ფიცი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ერთგულებაზე. იგი უნდა დავარწმუნოთ, რომ ამის შემდეგ რუსეთი ნამდვილად დაეხმარება და ტრაქტატის ძალით ყველა საშუალ-ებით აღადგენს ახალციხის ტახტზე. თუ ამას არ გააკეთებს, მაშინ არა მარტო დაკარგავს უფლებას ახალციხეზე, არამედ იმ სამფლობელოსაც, რომელიც ახლა უკავია“.[38] რამდენიმე დღის შემდეგ, 1811 წლის 20 ივლისს, იმავე სიმონოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში იგივე ტორმასოვი წერდა: „სელიმ ხიმშიაშვილს ჯერ არ დაუმსახურებია ჩვენი ყურადღება, მაგრამ თუ შვილს მოგვცემს მძევლად და რუსეთისადმი ერთგულების ნიშნად წერილობით იეალდებულებს ჩვენს თანადგომას თურქთა წინააღმდეგ და საი-

33 იქვე, გვ. 344.
34 იქვე, გვ. 351.
35 იქვე, გვ. 353.
36 შ.ლომსაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 217.
37 Акты. т. IV, с. 354.
38 იქვე, გვ. 280.

მარი მოქმედების დამთავ-რების შემდეგ ხელსაც მოაწერს სამფარველობო ტრ'ქტატს... მა'მინ გავცეთ 1000 ჩერვონეცი".[39]

ეს ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ რუსი მოხელეები დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ სელიმისადმი და მას უნდობლობასაც უცხადებდნენ[40] მა'მინ, როდესაც აჭარა'ში ჩაკეტილ სელიმს ნამდვილად სურდა რუსეთთან კავ'შირი და მისგან დახმარების მიღება.

ამასობა'ში დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. 1812 წლის 16 მაისის ბუქარესტის ზავით, რუსეთს თავი უნდა შეეკავებინა ახალციხის საფაშოს საშინაო საქმეში ჩარევისაგან, ე.ი. არსებითად უარი ეთქვა აჭარის სანჯაყ-ბეგისათვის რაიმე შესაძლებელ დახმარებაზე. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სელიმ ხიმ'შიაშვილს ადრე გ'ურიის მთავრის — მამია გურიელის იმედიც ჰქონდა, რომელმაც სახელი გაითქვა 1809 წლის კავკასიის კამპანიაში. მაგრამ ამჯერად სელიმს მამაცი მოყვრისაგან მხოლოდ მორალური მხარდაჭერა თუ ეძნებოდა. საქმე ისაა, რომ მამია გურიელი უკვე რუსეთის ქვეშევრდომი იყო და მასთან 1810 წელს მფარველობის ფიცი დადო. რუსეთი კი თავის მოხელეს, 1812 წლის ზავის საფუძველზე, ოსმალეთის საწინააღმდეგოდ აშკარა მოქმედებას არ დაანებებდა. სელიმ ხიმ'შიაშვილს არც უშუალოდ პეტერბურგთან დაკავ'შირება მისცემდა რაიმე სარგებელს, რადგანაც კავკასიის სამხედრო ადმინისტრაცია, აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, ახალციხის საფაშოს ტახტის კანონიერ მფლობელად ახლა შერიფ ფაშას ცნობდა, ე.ი. სელიმ ხიმშიაშვილს, ოსმალეთის მთავრობის შეხედულებებისამებრ, მეამბოხედ და თვითმარქვიად მიიჩნევდა. ამით აიხსნება ფეხლევან ბაბა-ფაშასადმი მთავარმართებლის ნ. თ. რტიშჩევის 1815 წლის 10 მაისის დაპირება, რომ სელიმი „რუსეთში ვერსად ნახავს ვერც მფარველს, ვერც თავშესაფარს, ვიდრე ჩვენს ორ მაღალ სახელმწიფოს შორის იარსებებს მ'შვიდობა და მეგობრობა".[41] სხვათა შორის, უფრო ადრე, 1813 წლის 3 ივლისს, იგი თავად წერდა სელიმ ფაშას, მტკიცედ დაეცავ ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელ'შეკრულებასო.[42]

ასეთ ვითარებაში სელიმ ხიმშიაშვილს საბოლოოდ გაუცრუვდა რუსეთის მფარველობის იმედი.

საიმედო დამცველის ძიებაში ხელმოცარულმა სელიმმა ისევ სოლომონ იმერთა ყოფილი მეფე დაიგულა და მისი ხელახალი გამეფებით შესაძლო მოკავშირის შეძენა დაისახა მიზნად. 1813 წლის 10 ნოემბერს სელიმმა მამია გ'ურიელს კიდევ სთხოვა დახმარება სოლომონისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის „მოყვრობა და ერთობა აღარ იქნე-ბოდა".[43] მაგრამ ეს შეუძლებელი ჩანდა. ტრაპიზონს შეფარებული სოლომონ მეფე რუსეთის აშკარა მტერი იყო, გურიელი კი რუსეთის არმიის ოფიცერი გენერალ-მაიორის ჩინით. ამიტომაც, სოლომონის იმედად ყოფნა მაშინ წყალწაღებული კაცის მდგომარეობას ჰგავდა, რადგან მეფის აღდგენა ტახტზე სრულიად გამორიცხული იყო. უმოკავ'შირეოდ, საკუთარი თავის იმედად დარჩენილი და ცენტრალური მთავრობისაგან მოღალატედ გამოცხადებული სელიმ ხიმშიაშვილის ფაშობას მომავალი არ ჰქონდა.

მართლაც, 1815 წლის გაზაფხულისათვის არზრუმის ახალმა სერასკირმა ფეხლევან-ბაბა-ფაშამ 15 ათასი კაცი შეაგროვა და დაძრა სელიმ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ, რო-

---

39 იქვე, გვ. 949.

40 ნ.ქორთუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 329.

41 Акты. т. V, Тифлис, с. 819; ნ.თ.რტიშჩევისა და ფეჰლევან-ბაბა ფაშას შორის საკმაოდ გულთბილი ურთიერთობა არსებობდა. ამ უკანასკნელს კავკასიის მთავარმართებლისათვის მოვერცხლილუნაგირიანი ცხენი გამოუგზავნია, რის სანაცვლოდ, „განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად", მისგან ორლულიანი თოფი მიუღია (იქვე, გვ. 795).

42 იქვე.

43 იქვე, გვ. 510.

მელიც აჭარაში იყო ჩაკეტილი.[44] 12-ათასიანი ლაშქრით ერთდროულად გამოეიდა, აგრეთვე, ტრაპიზონის სერასკირი სეიდ-სულეიმან ფაშა ხაზინადარ-ოღლიც. სელიმი გაერიდა მრავალრიცხოვან მტერს და მიუვალ ხიხანის ციხეში ჩაიკეტა. ერთხანს ძალებიც მოიკრიბა და ოსმალთა ჯარებიც უკუაგდო.[45]

საბოლოოდ, ციხე მაინც გატყდა, ისიც შიგნიდან და ღალატით. ამჯერად სელიმს უახლოესმა თანამებრძოლმა, ციხისთავმა შირინმა უმუხთლა. ქრთამის და თანამდებობის საფასურად მან ღამით ხიხანის ციხის კარები გახსნა და მტერი მძინარე სელიმს თავს დააყენა. 1815 წლის 31 მაისს სელიმ ხიმშიაშვილი შეიპყრეს და სოფელ ბაკოში ჩამოიყვანეს. „სერიიანას" ფერდზე, სადაც დღეს წყარო გადმოსჩქეფს, ჯარისა და ადგილობრივი მცხოვრებლების თანდასწრებით, 3 ივნისს სელიმს თავი მოჰკვეთეს. ამასთან დაკავშირებით ამავე წლის 15 ივნისს თ. ა. ეიდემაიერისადმი გაგზავნილ წერილში რტიშჩევი წერდა: ბაბა-ფაშამ თავისი არმიიდან გამოჰყო „15 ათასი რჩეული კაცი და ხიხანზე გაგზავნა. ამ ჯარს რამდენიმე დღეს ბლოკადაში ჰყავდა ციხე. მაგრამ, შესაძლოა, ისეთივე ბედი რგებოდა. როგორც სერასკირის მიერ ადრე გაგზავნილ რაზმს, თუ არა ღალატი სელიმის უსაყვარლესი პიროვნებისა, რომელიც ფაშის განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობდა. მან კარები გააღო და სერასკირის ჯარს ციხე ჩააბარა თვით სელიმ ფაშასთან ერთად. სელიმ ხიმშიაშვილს მაშინვე მოჰკვეთეს თავი, მისი ორი შვილი გაიქცა, ხოლო ოჯახის სხვა წევრები სასწრაფოდ გაიყვანეს ახალციხეში, სადაც უმკაცრესი ზედამხედველობის ქვეშ ჰყავთ".[46]

ზ.ჭიჭინაძის ცნობით, დასჯის წინ სელიმს ჯალათისათვის ასე განუცხადებია: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს ეუტოვებო".[47] სელიმის, როგორც პატრიოტი მამულიშვილისა და პოლიტიკური მოღვაწის ეს პოლიტიკური ანდერძი შთამომავალთა სამოქმედო პროგრამად იქცა. „სამუსლიმანო საქართველოს" ქართველ პოლიტიკოსთა შორის მან პირველმა ოფიციალურად უარყო სულთანისადმი მორჩილება და რუსეთის მფარველობაში შესვლით სცადა აჭარისა და მთელი სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლება. ამით სელიმ ხიმშიაშვილმა ხელი შეუწყო ოსმალთა ბატონობის დასუსტებას, მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნების ამაღლებას და განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას აჭარაში.

---

44 Акты. т. IV, с. 790.

45 Акты. т. V, с. 821-822.

46 იქვე, გვ. 828.

47 ზ.ჭიჭინაძე. ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთ საქართველოსი, ბათუმი, 1911, გვ. 186.

§6. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულები აჭარაში (ქობულეთი)

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რომლის ორგანულ ნაწილს შეადგენს აჭარა, საუკუნეების მანძილზე ინტენსიური კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ქრისტიანული აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ცენტრებთან, მათ შორის, „წმინდა ქალაქ" იერუსალიმთან.

XVI საუკუნიდან როგორც საქართველოში, ისე პალესტინაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური სიტუაციის შედეგად, იერუსალიმის ქართული კოლონია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ცნობილია, რომ უცხოეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო შემოწირულობები, რომელთაც ისინი ღებულობდნენ მეფეების, მსხვილი ფეოდალების, შეძლებული მოხელეებისაგან.[1] მაგრამ ახალ პირობებში მარტო კერძო შეწირულობანი საკმარისი არ აღმოჩნდა „წმიდა მიწის" ქართული მონასტრის ვალის დასაფარავად, რომელთა ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანები.[2] ამან აიძულა იერუსალიმის ქართული კოლონიის მესვეურები რეგულარული შემოსავლის მისაღებად სამშობლოში გაეჩინათ უძრავი ქონება (მეტოქი ეკლესიები, ყმა-მამული), რითაც მეტ-ნაკლებად შეძლებდნენ ქართული საკანეების შენარჩუნებას. აღსანიშნავია ისიც, რომ XVI საუკუნის შუა ხანებიდან იერუსალიმის ბერძნულმა საპატრიარქომ ფართო მუშაობა გაშალა აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ქვეყნებში ყმა-მამულის მოსაპოვებლად. ბერძენმა პატრიარქებმა შეძლეს იერუსალიმის ქართული მონასტრების გადარჩენის საბაბით გარკვეული წარმატებისათვის მიეღწიათ საქართველოში. XVII საუკუნის საქართველოს წილად ხვდა პატიები მიეღო იერუსალიმის და სრულიად პალესტინის სამი პატრიარქი,[3] რომელთა ვიზიტებმა ხელი შეუწყო ქართველ მეფე-მთავართა გააქტიურებას და ამის საფუძველზე საქართველოში იერუსალიმის ქართული კოლონიის (რომლის ცენტრი ჯვრის მონასტერი იყო) მიწისმფლობელობის ჩამოყალიბებას.

საისტორიო წყაროების თანახმად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კუთვნილი ყმა-მამული, ე.წ. „საჯვარისმამო საქონებელი" XVII საუკუნის 10-იან წლებში ჩნდება აჭარაშიც. აქ არსებულ ყმა-მამულს (ჩაიხელენას მეტოქი, ყმები ჩაქვისთაესა და ნაცხავატეევში) ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ავტორი (ხ. ახველედიანი, შ. ბურჯანაძე, ი. სიხარულიძე, ფრ. სიხარულიძე, ქე. ჩხატარაიშვილი, ალ. ღლონტი, ნ. ხუციშვილი, ც. ქათამაძე)[4] შეხებია, თუმცა რიგი საკითხებისა მაინც დასაზუსტებელი დარჩა.

---

[1] ელ.მეტრველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბილისი, 1962, გვ. 9.

[2] რ.ჟანენი. ქართველები იერუსალიმში. — ჟურნ. „რელიგია", №10, თბილისი, 1992, გვ. 13.

[3] Селезнев М. Руководство к познанию Кавказа, кн. I, СПБ, 1847, с. II, 31-39; ც.ქათამაძე. იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქები ქობულეთში. - „საისტორიო მაცნე", №6, ბათუმი, 1997, გვ. 30-32.

[4] ხ.ახველედიანი. ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათუმი, 1944, გვ. 15; „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა". გამოსცა შ.ბურჯანაძემ. თბილისი, 1958, გვ. 137-140; ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. II, ბათუმი, 1959, გვ. 121-125; ფრ.სიხარულიძე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულები აჭარაში. — ბპი-ის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. ბათუმი, 1961, გვ. 42-43; ქ.ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი, 1985, გვ. 7-8; ალ.ღლონტი. ტოპონიმიკური ძიებანი. IX. თბილისი, 1995, გვ. 3-8; ნ.ხუციშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი ეკლესიები საქართველოში. — ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული. თბილისი, 1997; ც.ქათამაძე. ჯვრის მონასტრის მამულები ჩეხედანაში. — ბსუ-ს „საისტორიო მაცნე", №2, ბათუმი, 1995, გვ. 14-15; მისივე: ოსმალები და

აჭარაში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კუთვნილი ყმა-მამულის წარმოშობა პირველად დამოწმებულია მამია II გურიელის (1600-1625 წწ) სიგელში.[5] მასში ეკითხულობთ: „თეოფანე პატრიარქი წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და ყოველისა პალესტინისა, ყოველისა ქრისტიანისა და ცოდვილთა მეოხი, მობრძანდა მას ჟამსაოდეს... პირმშო ძე ჩემო ბატონი მანუჩარ მიიცვალა ჩუენდანას...". პატრიარქ თეოფანეს კურთხევით მამია გურიელმა მანუჩარ ბატონიშვილის და ადრე მიცვალებული მეუღლის, „ათაბაგის ქალის", დეედოფალ თინათინის „სულის საოხად" ააგო საყდარი, რომელიც პატრიარქმა „იერუსალემის მეტოქად ქმნა", „მიზდი" ეექვ�დაადგინა ალანიის მიტროპოლიტი- გაბრიელი. მას ეეალებოდა „საიერუსალიმო, სასულიერო და ამა მამულის ბეგარას მოუკრებდეს და იერუსალემსა პატრიარქს გაუგზავნიდეს".

მამია გურიელმა საყდარს შესწირა „ხატი, ჯვარი, წიგნები და ოქროს ომფორი მურასა, პატიოსანი ბისონი, ერთი ხელი იარაღი და სხვა სიწმინდის სამსახურითა და საცვცხლურითა". ე.ი. ეკლესია ყოველმხრივ შეამკო და, გარდა ამისა, „ჩეიხედენისა სასახლე ათისა კეალისა კაცითა" და „ბაილეთს მოქიური სასახლე ოცის კეამლის კაცითა".

ამრიგად, ჩაიხედენაში დაარსდა იერუსალიმის მეტოქი,[6] რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „წმიდა მიწასთან" სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობაში.

მამია გურიელის სიგელში მოხსენიებულ ისტორიულ რეალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეტოქის აგებისა და მის შესახებ არსებული დოკუმენტის დათარიღებისათვის: „იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე" – იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქი თეოფანე IV (1608-1644 წწ), რომელიც მოლდოვა-ვალახეთიდან მოსულა საქართველოში.[7] აქ იგი შეხედა ქუთაისის ეპისკოპოსს, მიიღო მდიდარი შეწირულობები ქართლის მეფის ლუარსაბ II-ისა (1613 წ)[8] და კახეთის მეფის თეიმურაზ I-გან.[9] ჩაიხედნაში პატრიარქი მოვიდა მანუჩარ ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ. ქართული წყაროების მიხედვით, მანუჩარი მიიცვალა 1612 წელს,[10] ხოლო თინათინი – 1609 ან 1610 წელს.[11] ამ ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, ჩაიხედენას ტაძრის აგება და შეწირულობის გაცემა 1611-1613 წლებში ივარაუდება.

მამია გურიელმა ჩაიხედნას ტაძრის გარდა „ქრისტეს საყლაეს" და „ცხოველსმყოფელს ჯვარს" [12] შესწირა „სასახლე ათი კეამლი კაცით". სიგელში ჩამოთვლილია ყმები

საჯვარისმამო ყმა-მამული. – „საისტორიო მაცნე", №4, ბათუმი, 1996, გვ. 17-21; იერუსალიმის სრულიად პალესტინის პატრიარქები ქობულეთში, გვ. 30-32; მამია II-ის ერთი სიგელის დათარიღებისათვის. - „საისტორიო მაცნე", №7, ბათუმი, 1998, გვ. 45-46; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმთან (XVI-XVIII სს) (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი, 2002, გვ. 105-145.

[5] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. დ-1913; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა., გვ. 137-140.

[6] „მეტოქი" (ბერძ.) – მონასტერზე დაქვემდებარებული ეკლესია მამულით.

[7] Симский М. Материалы для истории Иерусалимской патриархии (VI-XIX вв.). - ППС, XIX, к. I, СПБ, 1904, с. 58.

[8] ხცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, საბ. №209.

[9] Послания Иерусалимского патриарха Досифея в Грузию, Тбилиси, 1866, с. 4; Селезнев М. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[10] მცირე ქრონიკები. გამოსცა ლ.ოდიშელმა, თბილისი, 1968, გვ. 67.

[11] იქვე. გვ. 67; ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 824.

[12] შეწირულობის ადრესატად აქ იგულისხმება არა მარტო იერუსალიმის მთავარი სიწმინდეები (ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, აღდგომა), არამედ იერუსალიმის ქართული კოლონიის ცენტრი – ჯვრის მონასტერი.

და მათი ბეგარა: „ჩაიხედნას კაკაის შვილმა ბოლქვაძეს მართებს: 2 საკლაკი, 2 ქათამი, 3 გვარდი ღომი, 3 საწყაური ღვინო, საყველიერო, სამეჯინიბო და სამარხო ძღვენი". ასეთივე ბეგარა უნდა ეხადა კიდევ 6 კომლს: გიორგი ბოლქვაძეს, იოვანე (ივანე?) ხომერიკს, ლომკაც ბოლქვაძეს, მამია კოზერაის შვილს, ეოჟონა (ღოლონა?) ბოლქვაძეს, გოგიჩა ჯაშს. მსგავსი ბეგარა მართებდა, აგრეთვე, ჭუჭუა ბოლქვაძესაც, მაგრამ ამას ემატებოდა 1 ძროხაც. შედარებით მცირე ბეგარა მართებდა მიქელა და ლალისა ხომერიკებს. თითოეულს უნდა ეხადა „1 საკლავი, 1 ქათამი, 1 სამადგანი ღომი, 1 საწყაური ღვინო".

სიგელის მიხედვით, შეწირული ათი კომლიდან 5 ბოლქვაძეა, 3 ხომერიკი, 1 – კოზერაის შვილი, 1 – ჯაში. მათგან ყველაზე შეძლებული ჭუჭუა ბოლქვაძეა, ხოლო ყველაზე ღარიბი – მიქელა და ლალისა ხომერიკები, რომლებსაც თითქმის განახევრებული ბეგარის გარდა „ძღვენი" აღარ მოეთხოვებოდათ. ცნობებით ირკვევა, რომ მთავარმა „ქრისტეს საფლავს" შესწირა „თავ-ბეგარა", რომელიც ნატურალური სახისაა და ძღვენი, ხოლო სახელმწიფო გადასახადებისაგან ყმა არ თავისუფლდებოდა.

შეწირული ყმა-მამულის მართვა და ღვთისმსახურება, ბუნებრივია, იერუსალიმიდან რთული იქნებოდა, ამიტომ პატრიარქმა თეოფანემ ჩაიხედნას საყდარზე ეექილად, ანუ თავის რწმუნებულად დაადგინა ალანიის მიტროპოლიტი გაბრიელი,[13] რომელიც საკმაო გავლენით სარგებლობდა გურიელის კარზე, მას იცნობს ევროპული წყაროებიც.[14] პატრიარქის „ეექილს" ევალებოდა „საერუსალიმო ბეგარის მოკრება" და მისი „წმიდა ქალაქში" გაგზავნა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საკამათოა ჩაიხედენას აღგილმდებარეობის საკითხიც. ი. სიხარულიძის აზრით, ჩაიხედენა სოფელ ცხრაფონას მარჯვნივ მდებარე შედარებით ახალი სოფელი სკურაა, სადაც შემორჩენილია ხომერიკების ძველი საყდრის ნაშთი.[15] ალ.ღლონტს ჩაიხედენა სოფლების – აჭისა და ქაქუთის მიდამოებში ეგულება.[16] თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა დ. ბაქრაძეს ამისთვის ყურადღება არ მიექცია.[17]

საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები და მატერიალური კულტურის ძეგლები.

ცნობილია, რომ ჩაიხედენა გურიის მთავართა ერთ-ერთი სარეზიდენციო პუნქტი იყო სასახლით, სამლოცველოებით და საძეალით. სოფელში იდგა ორი საყდარი: წმიდა გიორგის და წმიდა სამების. უკანასკნელში დაკრძალულია ბატონიშვილი მანუჩარი.[18] ამჟამად ლეღვას საკრებულოში (ქობულეთის რაიონი) შედის სოფლები: ლეღვა, ცხრაფონა, სკურა, ჯიხანჯური. სოფლის ამყოფიერებური დასახლება კარგად აღასკვრებს ცოპონიმ "ჩაიხედენას" წარმოშობის საფუძველს. ცხრაფონაში ბოლქვაძეებით დასახლებულ უბანში იდგა რელიეფებითა და ორნამენტებით შემკული წმიდა გიორგის ბაზილიკა,[19] ხოლო სკურაში – წმ. სამების მდიდრულად მოხატული საყდარი („ხომერიკების" საყდარი). რომელი მათგანია ჩაიხედენას მეტოქე? არქეოლოგიური შესწავლისა და დამატებითი მასალების მოძიების გარეშე დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. მაგრამ, ცხადია, რომ ჩაიხედენა მდებარეობდა დღეანდელი სოფლების – ცხრაფონასა და

---

13 პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954, გვ. 262.

14 ი.ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, II. თბილისი, 1986, გვ. 46-49.

15 ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

16 ალ.ღლონტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8.

17 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 92-93.

18 ქ.ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი, 1985, გვ. 7.

19 მ.ჯიჯილეიშვილი. რელიეფური ფილა ცხრაფონას წმ. გიორგის ეკლესიიდან. – კიეს, I. ბათუმი, 1996, გვ. 51-62.

სკურას ტერიტორიაზე, მდინარე ცხრაფონას აღმოსავლეთით. შეიძლება იგი გარკვეულწილად მოიცავდა აჭისა და ქაქუთის მცირე ნაწილს.[20]

XVII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ საისტორიო წყაროები სდუმს ჩაიხედენას მეტოქის და ყმა-მამულის შესახებ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ევროპელ მისიონერთა ცნობებს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ საპატრიარქოებს, მათ შორის, იერუსალიმისას, დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად დიდი თანხები გაჰქონდათ,[21] გარდა ამისა, ქართველი საეკლესიო ხელისუფალნი ხშირად მიდიოდნენ მდიდარი შეწირულობებით იერუსალიმში,[22] უნდა ეიეარაუდოთ, რომ მათში იქნებოდა შემოსავალი ჩაიხედნას მამულიდანაც.

საეკლესიო ყმა-მამულის მდგომარეობა დამოკიდებული იყო ქვეყნაში შექმნილ საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაზე. „საჯვარისმამო" ყმა-მამულშიც მალე დაწყებულა საეკლესიო ხელისუფალთაგან „ნუებური კაცის დადგინებაც" და გარკვეული შეეწროებაც. თუმცა, „საჯვარისმამო საქონელი" XVII საუკუნის შუა წლებში კელავ ძველ საზღვრებშია სავარაუდო. ამას ადასტურებს საისტორიო წყაროები.[23]

ქართველთა დაუცხრომელმა მოღვაწეობამ იერუსალიმის ქართული კულტურის სადგანძურის შესანარჩუნებლად საკმაო წარმატებებს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 1649-1654 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად დაწინაურდა სამშობლოში თავისი კულტურულ-ორგანიზატორული საქმიანობით ცნობილი მარკოზ აჭარელი.[24] მაგრამ იერუსალიმელ ქართველებს მაინც უჭირდათ. აუცილებელი იყო მეტი მატერიალური თანხების მოზიდვა ქართული ეკლესია-მონასტრების გადასარჩენად. ამით უნდა იყოს განპირობებული „საჯვარისმამო საქონლის" გაფართოება აჭარაში. XVII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში შეწირულ ჩაიხედნას ემატება ყმა-მამული ჩაქვისთავსა (სოფელი ქობულეთის რაიონში) და ნაცხავატეევში (უბანი სოფელ ქაქუთში).[25] გვიანდელი წყაროებით ირკვევა, რომ ჩაქვისთავში შეწირულია ორი კომლი – გორგილაძე და ჩიტაიშვილი,[26] ნაცხავატევს – ქარცივაძე.[27]

„საჯვარისმამო საქონლის" გაფართოება, ბუნებრივია, ზრდიდა რეგიონის წვლილს იერუსალიმის ქართული მონასტრების შენარჩუნების საქმეში. ამის გამო, საქართველოში ჩამოსულ იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქებს გვერდი ვერ უნდა აევლოთ ჩაიხედენას მეტოქისა და ყმა-მამულისათვის, მაგრამ უცხოურ საისტორიო წყაროებში არც პატრიარქ პაისიოსის (1645-1661 წწ) მოგზაურობისას (1659 წ იგი შეხვდა ქაიხოსრო გურიელს ალამბარში)[28] და არც დოსითეოს II (1669-1707 წწ) ვიზიტისას 1681 წელს[29] ნახ-

---

20 ც.ქათამაძე. დასახ. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 111-115.

21 ჯუდიჩე მელანელი. წერილები საქართველოზე. თბილისი, 1964, გვ. 39, 49; არქ.ალამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938, გვ. 123; მ.მათარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი, 1995, გვ. 565, 609.

22 არქ.ალამბერტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 125; ბ.ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის. - მსკი, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, გვ. 131, 139.

23 დ-10274; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., გვ. 140.

24 ც.ქათამაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 79-83, 89-93.

25 დ-10275 (ა); ც.ქათამაძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იერუსალიმთან ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. შუა ხანებში. – „საისტორიო მაცნე", X, ბათუმი, 2001, გვ. 26-30.

26 დ-11270.

27 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., №154, გვ. 146.

28 Селезнев М. დასახ. ნაშრომი, გვ. 57; ც.ქათამაძე. იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქები ქობულეთში, გვ. 30-32.

29 თ.ტივაძე. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1971, გვ. 248-255.

სენები არაა „იერუსალიმის მეტოქი“ ჩაიხედნაში. შეიძლება ეს გამოწვეული იყო საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციით. პატრიარქები ცდილობდნენ სწრაფად დაეტოვებინათ ქვეყანა. ქართული წყაროები კი XVII-XVIII საუკუნეების განმაელობაში უწყვეტად ადასტურებენ „საიერუსალიმო ყმა-მამულის“ არსებობას აჭარის ზღვისპირეთში.

მიუხედავად ქართული სამეფო-სამთავროების დიდი ძალისხმევისა, ვალებისაგან დახსნილი იერუსალიმის ქართული მონასტრები 1685 წელს იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს გადაეცა.[30] თუმცა, ცალკეული „საქართველოების“ პოლიტიკურ და კულტურულ მესაჭეებს „წმიდა მიწის“ ქართული საეკლესიების იურიდიულ მეპატრონედ კვლავ ქართველი ერი მიაჩნდათ, ამას არც პატრიარქი დოსითეოსი უარყოფს ვახტანგ VI-დმი გამოგზავნილ ეპისტოლეში: იერუსალიმის ქართული მონასტრების “ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები არიან ღვთისმოყვარე ივერიელები... როცა ღმერთი ინებებს და მოვა ივერიიდან იღუმენი, მან ძველებურად აიღოს ხელში ძალაუფლება ყველა მონასტერზე... როცა ბერძენი მამები მოვლენ იბერიაში... მათ უფლება არა აქვთ თუნდაც ერთი ობოლი მოითხოვონ ჯვრის მონასტრის ვალის დასაფარავად, რადგან ის უკვე გადახდილია“.[31]

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ ხანებში აღინიშნა, რომ ეს სიგელი გამოცდილი დიპლომატის მიერ არის დაწერილი და მისი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია შეიძლება. მასში ჩადებული იყო ისეთი პირობები, რომლებიც, ფაქტობრივად, ბერძნებს გადააქცევდა იერუსალიმის საეკლესიებში ქართველთა მემკვიდრეებად. მომაელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მონასტრები ქართველების ხელში დარჩებოდა თუ არა, ისინი მაინც ვალდებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მათ შენახვაში.[32] ამის საფუძველზე XVIII და XIX საუკუნეებშიც კი საქართველოდან იერუსალიმში მიედინება ყმა-მამულიდან აღებული შემოსავალი და უხვი შეწირულობანი. მაგრამ თვით ზემოთ მითითებული ეპისტოლედან ჩანს, რომ „თანამედროვე ქართველებს თავიანთმა წინაპრებმა არავითარი ვალი არ დაუტოვეს მონასტრების სანაცვლოდ და მათ შეუძლიათ სინდისის ქენჯნის გარეშე ჰქონდეთ პრეტენზია ოდესლაც კუთვნილ საეკლესიო ნაგებობებსა და სხვა ქონებაზე“.[33]

ამიერიდან, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო თავისი რწმუნებულის „ეექილის“ საშუალებით უკავშირდება ქართულ სამეფო-სამთავროებს, ღებულობს აქ არსებული მამულების შემოსავალს. აღსანიშნავია, რომ საჯვარსიიმამო ყმა-მამულის მართვაში მონაწილეობს ქართული მხარეც ჯვრის მამის მეშვეობით, რომელსაც იერუსალიმში ქართველთა ქონებაზე ხელი აღარ მიუწვდება.[34] ხოლო ის მიზეზები, რომლებიც ქართულ ხელისუფლებას აიძულებდა ანგარიში გაეწია იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოსთვის, რადგან „წმიდა მიწაზე“ რეალურად ისინი იყვნენ ქართული მონასტრების დამცველნი, რასაკვირველია, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, „საქართველოების“ პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაქვეითებაშია საძიებელი.

XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ოსმალთა გავლენის გაძლიერება და ფეოდალური ანარქია, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენს „საჯვარისიმამო საქონებლის“ მდგომარეობაზეც. მეფე-მთავრები და ფეოდალები იწყებენ საეკ-

---

30 ვაცაფერისი. იერუსალიმის წმიდა ჯვრის მონასტერი. — ჟურნ. „რელიგია“, №6-7, თბილისი, 1993, გვ. 96-110.

31 Послания Иерусалимского патриарха, с. 25-26.

32 ლ.მამისთვალიშვილი. ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მეორე ნახევარში). - ქართული დიპლომატია, VIII. თბილისი, 2001, გვ. 334.

33 იქვე, გვ. 335.

34 ეახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 374; პ.კონგოშვილი. მოგზაურობა წმიდა ქალაქს იერუსალიმსა და წმიდა ათონის მთაზედ. თბილისი, 1901, გვ. 79.

ლესიო ყმა-მამულის შევიწროებას და „უდები“ სამსახურის დადებას. ეს ყველაზე უფრო იმ ეკლესია-მონასტრებს შეეხებოდა, რომელთა პატრონი საკმაოდ შორს იყო. მაგრამ თუ-კი ვინმე „მოიკითხავდა“ საიერუსალიმო ყმა-მამულს, პირობას დებდნენ, რომ მსგავსი აღარ განმეორდებოდა. ეს ეითარება ნათლადაა ასახული XVIII საუკუნის სიგელებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „საჯვარისმამო ყმების“ გამოწირვა არ ხდება.[35] ბეგარა-გადასახადები იგივე რჩება: ყმები ბეგარას ეკლესიას უხდიან, ხოლო სამსახური მთავრის ან ბატრონის ყმართათ.[36] გარდა ამისა, XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის სიგელებში უკვე ჩანს, რომ ნატურალური ბეგარა ფულადით იცვლება. შექმნილი რთული ეითარების მიუხედავად, აჭარაში არსებული „საიერუსალიმო“ ყმა-მამული ძველ საზღვრებში რჩება. სიტუაცია იცვლება XVIII საუკუნის 60-იან წლებში. ოსმალთა აგრესიის გაძლიერებამ და 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა მნიშვნელოვნად გააუარესა „საჯვარისმამო ყმების“ მდგომარეობა შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მამია IV გურიელმა (1726-1784 წწ) „ქრისტეს საფლავის ყმრებს, საჯვარისმამო კაცებს ჩეხედნელებს (ხომერიკებს, ბოლქვაძეებს, ჯაშს და ნაცხავატევს იესე ქარცივაძეს) „გადააწერა“ (ამოუკეთა) საქვეყნო მოსავალი სალიანი“, ხოლო „ქრისტეს საფლავის“ ბეგარად“ დააწესა რეა ყურუში.[37] ამ ბრძანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის ადასტურებდა, რომ „საჯვარისმამო ყმებს“ სამთავრო და საბატონო სამსახური აღარ მოეთხოვებოდათ. იერუსალიმის პატრიარქის „ექვილები“ შემდეგ უკვე რიხით „ადასტურებენ“ გურიელის წყალობას: „მეზობლობით თუ რამეზედ მეეხმაროთ, თუ არა სხვათ სახელმწიფო არაფერი გარდაგხთეე... სხვა ჯვარის მამის სამსახური ყოლისფერი რავარც იმერეთს და ოდიშს არის განწესებული უარის უთქმელად გეემსახუროს“.[38]

ცნობილია, რომ უცხოელთა შემოსევების დროს მოსახლეობა ქვეყნის დაცელი მხარეებისაკენ მიიწევდა.[39] 1768 წელს დაწყებულმა რუსეთ-ოსმალეთის ომმა დიდად დაზიანა ჩაიხედენას მეტოქი და მისი მეურნეობა.[40] საჯვარსიმამო ყმების დიდმა ნაწილმა დატოვა მშობლიური ადგილები და გურიის ცენტრალურ ნაწილს შეაფარა თავი.

აჭარიდან ლტოლვილი ყმები მალე „მოუკითხავს“ ჯვარის მამა ათანასის. მის მიერ 1796 წლის 11 მარტს გაცემული სიგელით[41] ცხადი ხდება, რომ საჯვარისმამო ყმები „ხიზნური“ წესით ემსახურებიან ნაკაშიძეებს. ჯვარის მამა ადასტურებს, რომ „ჩვენი კაცნი ხომერიკი თავისის მამულისაგან უსჯულოს მტრისაგან გამოვარდნილი თქვენს მამულში დაგვეყენებიათ... აწი... ამ... ჩვენგან მობარებულ კაცებს... ეინმე... არ ეუსამართლოს... თქვენს მეტს კაცს სამოურაოთ ხელი არავის ქონდეს“. სიგელი ფრიად საყურადღებოა: იგი ადასტურებს ჩაიხედნელი საჯვარისმამო ყმების ნაკაშიძეთა სათავადოს ცენტრში – გურიანთაში დამკვიდრებას, რაც უკვე ორ ათეულ წელზე მეტია მომხდარი ფაქტია და, მეორეც, მასში „მიბარებულ ყმებში“ მხოლოდ ხომერიკები იხსენიებიან. ეს შეიძლება ადასტურებდეს ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც, რომ გურიანთაში ხომერიკები დასახლდ-

---

35 დ-11270; ბ.ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები). I. თბილისი, 1966, გვ. 99.

36 დ-11270; დ-10274 ბ; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოს..., გვ. 143.

37 დ-11269; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოს..., №154, გვ. 146.

38 დ-11271.

39 სტეფანე მტბევარი. გობრონის მარტვილობა. – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი საუნანეიშვილის მიერ. თბილისი, 1946, გვ. 8; აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ბათუმი, 1998, გვ. 65-66.

40 ცქათამაძე. ოსმალები და საჯვარისმამო ყმა-მამული, გვ. 17-21.

41 დ-11272.

ნენ, ხოლო ბოლქვაძეები კომპაქტურად განსახლდნენ ახლომდებარე სოფლებში. შესაძლოა, ჩაიხედნელთა ნაწილმა რუსეთ-ოსმალეთის ომამდე დატოვა თავისი სამკვიდრო.

აჭარიდან ლტოლვილებმა ახალ საცხოვრისზე გადაიტანეს წინაპართა სალოცავები, ადგილთა სახელები, კულტურის ძეგლები (ხატები, წიგნები...).[42] ჩაიხედვრას ტაძრის სიწმინდეებსაც გურიანთის ციხის ეკლესიაში დაუდეია ბინა. აქ ინახებოდა მამია ბატონიშვილის და მისი მეუღლის თინათინის ბრძანებით მოჭედილი ხატი, რომელიც მამია გურიელმა შესწირა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქს ჩაიხედვრაში.[43]

ქართული საისტორიო წყაროები ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებში ოსმალთა აგრესიის შედეგად დაეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთადერთი მეტოქი ჩაიხედვრაში; მოიშალა საჯვარისმამო მეურნეობა, გახშირდა „მტრისაგან გადმოვარდნილი ყმების სხვის მამულში დაყენება", „რწმენა-მიბარება", „თათარში დაკარგვა", „დახსნილის ხელახალი შეწირვა" და ა.შ.

ამრიგად, აჭარაში არსებულმა ჩაიხედვრას მეტოქმა და „საიერუსალიმო ყმა-მამულმა" თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის იერუსალიმური საგანძურის შენარჩუნების ეროვნულ საქმეში. ასეული წლის განმავლობაში მასზე გადიოდა გზა, რომელიც საქართველოს ქრისტიანული აღმოსავლეთის „წმიდა ადგილებთან" აკავშირებდა. ქრისტიანულ მსოფლიოსთან ურთიერთობის შენარჩუნებას იმ პირობებში, როცა მაჰმადიანური აგრესიის გაძლიერება საქართველოს და, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ეროვნულ გადაგვარებას უქადდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

---

[42] დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 109, 117-123, 203-206.

[43] იქვე; დ-1913; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., გვ. 137-140.

ქართული ჩხარეები ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში
(XVIII ს. II ნახევარი)



ხელიმ ხიშმაშეული
(ვ. ფუტკარაძის ნახატი)

ბერიკა ხარაბაძეები

თავი V

მეურნეობა და სამეურნეო ყოფა

§1. მემინდვრეობა

არქეოლოგიური და სხვა მონაცემების მიხედვით, შუა საუკუნეების აჭარაში სახეზეა სამიწათმოქმედო კულტურის იმ დროისათვის საკმაოდ დაწინაურებული დონე.[1]

ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების ზეგავლენით (მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგებისა და მცენარეულის საფარი, მორწყვის სისტემა, რელიეფური და კლიმატური პირობები) აჭარაში ჩამოყალიბდა მიწათმოქმედების ორი ძირითადი ტიპი: ბარული და მთური (ალპური მეურნეობის ჩათვლით).

მთიანი აჭარა მეურნეობრივი პროფილით საქართველოს მთიანეთის საერთო ტიპური ნიშნებით ხასიათდება და ალპური მეურნეობის ერთ-ერთ განვითარებულ მხარედ გამოიყურება. მეორე მხრივ, მთიანი აჭარის საშუალო სიმაღლეთა მაჩვენებლები რამდენადმე დაბალია საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებთან შედარებით და მათგან ბუნებრივ-კლიმატური პირობებითაც განსხვავდება. ამ ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი მიწათმოქმედების და, საერთოდ, ალპური მეურნეობის უფრო მეტად დაწინაურებას აჭარაში.[2]

სამიწათმოქმედო სისტემის ისეთი კომპონენტების არსებობა, როგორიცაა ახოობა, მემინდვრეობა, სარწყავი და ტერასული მეურნეობა, სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღები, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები — მიგვითითებენ, რომ მეურნეობის ეს დარგი შუასაუკუნეების აჭარაში არათუ სიძველით, არამედ მთელი რიგი ლოკალური თავისებურებებითაც გამოირჩეოდა.

ახოობა მიჩნეულია მიწათმოქმედების ისეთ არქაულ ფორმად, რომელიც ყველა ბინადარ ხალხში იყო გავრცელებული (გ. ჩიტაია, მ. კოსვენი, ნ. ზიბერი, ნ. ტრეტიაკოვი, კ. ბიუხერი, დ. კლარკი და სხვ.). ამ სისტემას კარგად იცნობდა აგრეთვე ძველი კოლხეთის მოსახლეობა, რომელმაც მიწათმოქმედებაში განსაკუთრებულ დაწინაურებას მიაღწია.[3]

აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით, ახოობა მიზნად ისახავდა არა მარტო სახნავ-სათესი მიწების, არამედ სათიბ-საძოვრებისა და მეფუტკრეობისათვის გამოსადეგი ფართობების ათვისებას. ამდენად, ახოობა მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის ინტერესებითაც იყო განპირობებული,[4] მაგრამ ძირითადად იგი მემინდვრეობის ინტერესებს ემსახურებოდა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ახო განმარტებულია, როგორც „საყანური გაკაფული".[5] მემინდვრეობის გონივრული წარმართვა აჭარის ტყიან და მთიან ზონაში ასეთი „გაკაფული საყანურების" გარეშე წარმოუდგენელი იყო.

---

[1] შ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 143-154.

[2] ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. — ბსკიშ., ბათუმი, 1962, გვ. 19.

[3] გ. ჩიტაია. თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში. — შრომები. ტ. II, თბ., 2000.

[4] იქვე, გვ. 259.

[5] სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, თბ., 1949; წერილობითი წყაროების მიხედვით, ტერმინი „ახო" ქართულში X საუკუნიდან დასტურდება (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, 1930, გვ. 153; არნ. ჩიქობავა. ახო და ეაკი სიტყვების ეტიმოლოგიისათვის. — ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987, გვ. 9).

ახოობამ ფართო კვალი დატოვა აჭარის ტოპონიმიკაშიც (ახოთი, ახოთი ვაკე, ახობოლო, ახომინდორი, ახოსური, ახოჭალა და სხვ.)[6] ახოობასთანაა დაკავშირებული სოფლების — ახოსა[7] (ქედის რაიონი) და გუდასახოს (ხულოს რაიონი) სახელწოდებებიც.

აჭარაში „ახოობის" აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც გვხვდება: საყანის კაფვა, კაპეტის გაჩეხვა,[8] კაპეტი, კაფვა, ტყის კაფვა, რასაც პარალელები ეძებნება საქართველოს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. საინტერესოა კინტრიშის ხეობაში ფიქსირებული ტერმინი „ახოს გამოკოდვა", რაც ტყეში ფუტკრის მოშენების თუ სხვა სამეურნეო დანიშნულებით ადგილის დასაკუთრების მიზნით ხეზე თაჯის, ანუ საგვარეულო ნიშნის დასმას გულისხმობდა.[9]

„ახოს გასატეხად" ნაკვეთების შერჩევისას ყურადღება ექცეოდა ადგილის ექსპოზიციას, მიკროკლიმატურ პირობებს. მცენარეული საფარის თავისებურებას და. აქედან გამომდინარე. ნიადაგის ნაყოფიერებას. ახოს აღებას მიმართავდნენ ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. ცალკეულ შემთხვევებში — ზაფხულში. ზემო მაჭახლის ეთნოგრაფიული მასალებით, ახოს აღებაში ქალებიც მონაწილეობდნენ,[10] ისინი შედარებით მსუბუქ სამუშაოებს ასრულებდნენ.

ახოს აღება, როგორც შრომატევადი პროცესი, ხშირად ერთი ოჯახის შრომისუნარიან წევრთა (მამაკაცთა) შესაძლებლობას აღემატებოდა. ამიტომაც ახოობის დროს მიმართავდნენ ურთიერთდახმარების ისეთ ფორმას, როგორიცაა ნადი. ცალკეულ შემთხვევებში ორი ან სამი მონათესავე ან მეზობელი ოჯახი ერთობლივი ძალით ეწეოდა ტყის „კაფვას", ერთად ამუშავებდა ყანას და მოსავალსაც თანაბრად იყოფდა. ამგვარი შრომითი პროცესის ამსახველია საგვარეულო მიწების სახელწოდებანი: ორმზიარი, სამზიარი, ოთხმზიარი.[11]

ზემო აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით, გატეხილ ახოს ყვერული ეწოდებოდა. მფლობელის გვართან ერთად ტოპონიმიკაში ეს ტერმინიც აისახა: „ბელაძიების ყვერული", „შავაძიების ყვერული".[12] ანალოგიური ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც არსებობდა.[13] მაჭახლის ხეობის მონაცემებით, ახო მიწას პირველ სამ-ოთხ წელს ხამი[14] ერქვა, შემდეგ კი მოდულად იქცეოდა[15] და მოუსავლიანი ხდებოდა. მოდული აქ ტოპონიმადაც დამკვიდრდა. ტერმინი მოდული ამავე შინაარსით არის გაგებული ლაზეთისა და გურიის სამიწათმოქმედო ყოფაში.[16]

---

6 ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. I. ბათუმი, 1958 (იხ. საძიებლები); ნ. კახიძე. სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე. — „მაცნე", 1966, №1.

7 სოფლის სახელწოდების ისტორიაზე ასეთი გადმოცემა არსებობს: უძველეს დროში აქ დასახლებულა ორი ძმა: გურგა და ასლა სოფელია, უდაბური ტყე ყოფილა. ტყე ძმებს გაუჭეთიათ, გაუკაფიათ ახო. სოფლის სახელიც აქედან წარმოიშვა (გაზ. „ფუხარა", 1926, №29).

8 ნ.ჩოჯავაძე. ახოობა აჭარაში. — ამჟამ. თბ., 1967, გვ. 57.

9 იქვე. გვ. 59.

10 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

11 ნ.ჩოჯავაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 71; ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი (იხ. საძიებლები).

12 იქვე. გვ. 63.

13 შდრ.: ფშავური ტოპონიმები: ჭანაანთ ახო, ქოჩაანთ ახო, ბადრაანთ ახო (გ.ჯალაბაძე. მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში. თბ., 1963, გვ. 13).

14 შდრ.: „ხამი მიწა, დიდხანს შესვენებული უხნავად" (ნ.ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი. თბ., 1961, გვ. 461).

15 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

16 მ.ვანლიში. ა.ათანდილაგა. ლაზეთი, თბ., 1964, გვ. 80.

საახოე მიწათმოქმედებას უკავშირდება აგრეთვე ტერმინი უყეი//უყი და აქედან მიღებული სამეურნეო ტოპონიმები — უყეი, უყი, ნაუყეარი, უყეის ყანა//უყი ყანა და ბეერი სხე.[17] ზემო აჭარასა და ხინოში ეს ტერმინი უყის ფორმით გვხვდება.[18]

სიმინდის კულტურის შემოსვლამდე და მის მონოკულტურად გადაქცევამდე, რის შედეგადაც წინანდელი მარცვლეული კულტურები ძირითადად განიდევნა ყოფიდან, ახო მიწებზე პირველ ორ-სამ წელს ღომი, ქერი და ხორბალი, შემდეგ კი მხოლოდ სიმინდი და ნაწილობრივ ღომი ითესებოდა. ზოგან ახო მიწაზე მშრალი, ანუ მთის ბრინჯიც მოყავდათ.

სახნავ-სათესებად აჭარაში დიდი ხნით მიტოვებული და სათიბ-საძოვრებად ქცეული კორდი მიწებიც გამოიყენებოდა. ასეთი მიწების დამუშავება ადრე გაზაფხულზე, ხვნა-თესვის დაწყებამდე წერაქვისებური თოხებით ხდებოდა და მას გათერძვა ეწოდებოდა. ესეც მიწის პირველადი დამუშაევების ერთ-ერთი უძველესი წესია საქართველოს მიწათმოქმედებაში.[19] დადგენილია, რომ სხვაგან ამ მიზნით ერთულლიან კავწერასა და კაეის ტიპის სახვნელებს იყენებდნენ, რომელთა დანიშნულებაც ნიადაგის გაწერა და აქექვა იყო.[20]

ამრიგად, ტყის და კორდი მიწების ათვისების ხარჯზე იქმნებოდა ყანები და ბალწები, როგორც სახნავ-სათესი სავარგულები.

აჭარაში სათესი ნაკეთები გაფანტული იყო სოფლის შიგნით და მის სანახებში, მახლობელ ფერდობებზე და ტყის ზოლში. მიწების ასეთი დანაწევრება-გაფანტულობა, გამოწვეული ტოპოგრაფიული თავისებურებებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული დასახლების ტიპით და სხვა მიზეზებით, აჭარის მთური მიწათმოქმედების არსებით თავისებურებას შეადგენდა. თუმცა იგი საქართველოს სხვა მთიანი კუთხეებისათვისაც იყო დამახასიათებელი.[21] გამონაკლისს შეადგენდა აჭარის ბარის ზონა, კერძოდ, კახაბრის ერცელი ველი, რომელიც სიმინდით მთელ ქვემო აჭარას კვებავდა.[22]

მდებარეობის, გამოყენების ხანგრძლივობითა და ეკონომიკური მნიშვნელობით სახნავ-სათესი თუ ბალ-ბოსტნები ქმნიდა მთელ კომპლექსს, რომელშიც ერთიანდებოდა ნაკეთების სხვადასხვა კატეგორია: ნაფუძარი, ერდოყანა, ახლო ყანა და გარე ანუ შორი ყანები.[23] ნაფუძარი, ანუ იგივე მამული, რომელიც უშუალოდ საცხოვრებელ სახლს ეკეროდა, ხალხური დახასიათებით, ძველი ნაცხოვრები და ნასახლარი ადგილია, რომელიც ნაყოფიერებითაც გამოირჩეოდა (ყოველ ერთ-ორ წელიწადში აქ საქონლის პატიები შეჰქონდათ). ნაფუძარში (მაჯახლის ხეობაში მას ტერმინი ბაღჩა შეესატყვისება) გაშენებული იყო აგრეთვე ვენახი და ხეხილი. ახლო თუ გარეყანების ტერიტორიაზე აჭარაში ბეერი სოფელი თუ სოფლის უბანიც გაჩენილა.[24] თავდაპირველად იგი მესაქონლეობა სეზონურ თუ მუდმივ დასახლებას წარმოადგენდა.[25]

აჭარაში ხალხური ნიადაგმცოდნეობის საკმაოდ მაღალი დონე არსებობდა, რაც მთელი საქართველოსათვის ნიშანდობლიეი მოვლენა იყო. ეს ფაქტი ნიადაგმცოდნეობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაშიც აისახა.[26] აჭარა ამ მხრივაც ნიმუშად გამოდგება.

---

17 ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., (იხ. საძიებლები), ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

18 სტ.მენთეშაშვილი. აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. — ენიმკის მოამბე. ტ. III. ნაწ. I, ტფ., 1937. გვ. 141; ალ. ქათამაძე. ხინოს (ქობულეთის რაიონი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა. — აჭარის სახ. მუზ. ხელნაწერთა ფონდი. № 19. გვ. 20.

19 შდრ.: „თერძული ნათესი ხნული" (სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, გვ. 240).

20 Читая Г.С. Земледельческие системы и похотные орудия Грузии. - ВЗК. Тб., 1952, с. 110.

21 ნ.ჩიოკავაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში. თბ., 1971, გვ. 8-9.

22 აპ. წულაძე. აჭარას მიეხედოთ. — გაზ. „სამშობლო", 1915, №24.

23 ნ.ჩიოკავაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 9; ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 55-56.

24 ასეთი სოფლებია ჭურდული, გელაურა, იწკირეეი (ხულოს რაიონი) (ნ.ჩიოკავაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 17).

25 ე.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969, გვ. 92.

26 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. ტფ., 1934, გვ. 118

საამისოდ მაჭახლის ხეობის მაგალითიც იკმარებდა, სადაც ნიადაგების დაახლოებით 30-მდე ხალხური სახელწოდება იქნა ჩაწერილი.[27] ხალხური კლასიფიკაცია ნიადაგებს განასხვავებს ნაყოფიერების, წყალთან და მცენარეულ საფართან კავშირის, ტოპოგრაფიული მახასიათებლების, მოსავლის შემოსვლის დროისა და სხვა ნიშნების მიხედვით. სამეურნეო ნაკეთების ერთი წყება დაკავშირებულია მზის განათებასა და ექსპოზიციასთან (მზისპირი და ჩრდილი მიწები), ვერტიკალურ ზონალობასთან (ბარისა და ზეგანის მიწები). ტერმინი „ზისპირი" სრული შესატყვისია "მზეარესი" (დიალექტური ფორმა „ზვარე"), რომელიც „ჩრდილ" სიტყვასთან ერთად, საქართველოში, როგორც ს. ჯიქიამ გაარკვია, სავარგულის ტოპოგრაფიული ხასიათის აღსანიშნავად ადრიდანვე ყოფილა გავრცელებული და ძველად მას უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს.[28] ეს ტერმინი საკუთარ სახელებადაც შერჩა ამა თუ იმ გეოგრაფიულ პუნქტს საქართველოში. მაჭახლის ხეობაში ძვარიას სახელწოდებას ატარებს სოფლის დასახლებული უბანი (სოფ. საფუტკრეთი) და სათესი (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი).[29]

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით, აჭარაში უძველესი დროიდან მოჰყავდათ პური, ქერი, ჭვავი და ღომი. მათი კულტივაცია ადამიანმა უხსოვარ დროში ისწავლა. ფეტვის კულტურას ძველი კოლხეთის მოსახლეობა ენეოლითში გაცნობია.[30] გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მიხედვით შეიძლება მსჯელობა, რომ X საუკუნეში აჭარაში მეზობელ შავშეთ-კლარჯეთის მსგავსად ფეტვი მხალთან ერთად მოსახლეობის მთავარი საკვები უნდა ყოფილიყო.[31] მოგვიანო ხანის პირდაპირი მონაცემები აჭარის შესახებაც გვაქვს: სოფელ პაპოშვილებში (შუახევის რაიონი) ჩაწერილი მასალებით, XIX საუკუნის ბოლომდე სოფელში ძირითადად ფეტვი ითესებოდა. ხოლო სოფელ ხინოს (ქობულეთის რაიონი) მცხოვრებთა გადმოცემით, მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გაველურებული ფეტვი მინდვრად ჯერ კიდევ ხარობდა.[32] მაჭახლის ხეობაში ფეტვისაგან აცხობდნენ აკვერებს, ამზადებდნენ ფლაესა და ფაფას (რძით). ფეტვის ჩალა კი საქონლის ყუათიანი საკვები ყოფილა, რომელიც რძის ცხიმიანობას ზრდიდა.

არქეოლოგიური მონაცემებით, ძვ. წ. XII-XI საუკუნეებს განეკუთვნება ნამჭედურის (ქობულეთის რაიონი) ნამოსახლარზე ნაპოვნი ხორბლის ერთი სახეობის – სპელტას და ღომის კარბონირებული მარცვლები.[33] ხოლო შუა საუკუნეების (XII–XIII სს) ჭყანის ციხეზე (ზემო აჭარა) ნაპოვნი მასალების ლაბორატორიული ანალიზით გაირკვა, რომ აქ ამ დროს ხორბლის ჯიშებიდან მოჰყავდათ დოლის პური, დიკა, ასლი და სხვ.[34] აჭარის ბარისა და მთის ზონაში, ჩამოთვლილი პურეულის გარდა, მეოცე საუკუნის დამდეგამდე ითესებოდა პურეულის სხვა ისეთი ჯიშებიც, როგორიცაა ნიქსარულა, წითელი და თეთრი პური, ზვინა, შავშურა. ტრედისფეხა, თეთრი და წითელი შავფეხა დიკა, ჭვავი, აგრეთვე

---

27 ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობის სამიწათმოქმედო ყოფა. – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968.

28 ს.ჯიქია. სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. – თსუ შრომები, ტ. XII, 1950, გვ. 186.

29 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი.

30 ნ. ხოშტარია. კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. V, №2, თბ., 1944, გვ. 210.

31 გ.ანათაძე. შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9-10 საუკუნეებში. – ჟურნ. „მნათობი", თბ., 1929, №2-3, გვ. 232.

32 ვ. კოხრეიძე. მარცვლეული კულტურები აჭარაში. – აჭარის სახ. მუზ. ხელნაწერთა ფონდი. №42. გვ. 47.

33 დ. ხახუტაიშვილი. ქობულეთის ქვეყანა. I. ბათუმი, 1995, გვ. 54-55.

34 შ. მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

ბრინჯი.[35] მაჯახლის ხეობის მახალებით დახტურდება აგრეთვე ხანი ჟერისა და ხარმ.ანი ჟერის მოყვანა,[36] რომლებიც, ხალხური ეტიკეტიკური დანიშნულებით, დასავლეთ საქართველოში (რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო) გავრცელებული ეხლემარი ჟერეულების მსგავსი უნდა იყოს.[37] ამდენად, ეხლემარი ჟერეულების (ანალ. ფიცა. მ.ნ., ზანდური) გავრცელების ერთ-ერთ ლოკალურ კერად აჭარაც შეიძლება ჩაითვალოს.

აჭარის მემინდვრეობაში ქერის კულტურის ფართოდ გავრცელებისა და მოვალეობის მარკეტინგული ტერმინი ქერობა, რომელიც, საგანგებოდ ხვნა-თესვის პერიოდს აღნიშნავდა. აჭარაში სარწყავი სიმშრალეში და საგანგებოდ ოთხმწვრილა ქერი თესილა. რომელსაც კვერა ქერი ეწოდებოდა.

თუ რაიონს დიდი ადგილი ეჭირა შორეულ თუ ახლო წარსულში აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში ნამოთვლილ მარცვლეულ კულტურებს, მიწათმოქმედ მათგანთან დაკავშირებული ადგილია სახელები, რომლებიც, მრავალად მოვიტანენ მთისა და ბარის თითქმის ყველა ხეობაში. ასეთებია: ნიფეტვარი, ნაბერეკალი, ნალიკარი, ხალიმარი, ნაქერეალი, ჭიანარი და ა.შ. ხორბლის კულტურის მოვლა-მოყვანის ყველაზე უძველესი ნიშანმეტყველებაა ხეში აჭარაში შემონახული კვერები, რომლებშიც ხარ-კამეს ეგბა-მდნენ. დ. ბაქრაძის ცნობით, ლეწვაში ხმირად ქალები და ბიჭები, მონაწილეობდნენ.[38] ხეში აჭარაში დამზადებული კვერები გასაყიდად ფარხარეანში, გაქონდათ.

დასავლეთ საქართველოში ბრინჯის კულტურასაც, მისდევდნენ, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, რომის ან ბიზანტიის ბაღთნობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო.[39] XIX საუკუნის მიწაყმეობით, აჭარაში ორი სახეობის ბრინჯი (ჭალის, ანუ ხარწყავი ბრინჯი და ხმელეთის, ანუ მშრალი ბრინჯი) მოჰყავდათ. მაგრამ აქ ბრინჯი ისე ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული, როგორც სხვა მარცვლეული კულტურები.

ჭალის ბრინჯის მოყვანას განსაკუთრებით ინტენსიურად მისდევდნენ აჭარა-ლაზეთის ზღვის სანაპირო ზოლში, ქობულეთის, ჩაქვის, კარბალის, ციხისის, ფიქრიანის, ბალანარეულების – ბარეხანისა და ეფრიალისწყლის ნაპირებთან[40] ციხისში, სარფში, აგრეთვე მაკრიალის ხეობაში არსებული ბრინჯის პლანტაციების მფლობელთა შორის ეფუფლან მაკაჯახლის, ზემო და ქვემო აჭარის, ბორხნის ბეგები და აღები, რომლებიც, აქ არ ცხოვრობდნენ, მაგრამ პლანტაციების დაქირავებულ მეშახლეს ამეშაყებინებდნენ.[41]

ი. კლინგენის ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს ჭალის ბრინჯი ნაქეის დაბლობის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საკვები ეფუფლა[42] მას შემდეგაც, რაც ხანმოკლე კულტურამ სამეურნეო ცხოვრებაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჭალის ბრინჯის მოყვანა აჭარის ზღვის სანაპირო ზოლში შეიჭრა. იმ მიზეზით, რომ ბრინჯის პლანტაციები ადგილ ეფრი ამდენ

---

35 ნ.ჩიჭავაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 33; მისივე. მემინდვრეობა აჭარაში. – აჭარის სოფელი. თბ., 1969, გვ. 25-26.

36 ტერმინი „ხასი (ჰას) არაბულიდან მომდინარეობს და ნიშნავს განსაკუთრებულს, წმინდას, ნამდვილს (Радлов В.В. Опыт словаря тюркских наречий. т. II. СПБ., 1899, с. 1685-1686). ხოლო „ხარმანი" (ჰარმან) სპარსულია და აღნიშნავს კალოს, მკას, ლეწვის დროს, გაულეწავ პურს (იქვე. გვ. 1673).

37 ნ.ყახიძე. მაჯახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 37.

38 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 58.

39 ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი II. ტფ., 1934, გვ. 360.

40 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 18, 25. Лиозен Э. Берег русского Лазистана. - ИКОИРГО. т. XVIII. №3. Тифл., 1905, с. 158. Воронов Ю.Н. Батумская область. - ИКОИРГО. т. XXI. Тифл. 1912, с. 94; Калинин М.Ф. О почвах Аджарии. - ТНБЭИКРК. Тифл. 1912, с. 13.

41 Воронов Ю.Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

42 Клинген И.Н. Краткое описание удельного Чакванского подтропического хозяйства. (ПБ., 1900, с. 18.

რებდა ისედაც ინტენსიური დაკლიტების პროცესს და ხელს უწყობდა მალარიის გავრცელებას.[43] ჭობალეთისა[44] და სვეტიცხოვლის რაიონების მაღლობ ადგილებში. მთის ადგილებში 30-იან წლებამდე ქაოსის ბრინჯაოს ერთად ხმარობდნენ მოტეხილი. მაქასლის ხეობაში ხელოვნურ ტანსაცმელ[45] და უპირატესობასაც ანიჭებდნენ ქაოსის ბრინჯაოს შედარებით.

მე-19 საუკუნის შუა წლებში ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე ბრინჯაოს იმდენი მოსავალი მოდიოდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა და ექსპორტის საკითხიც იყო. დ. ბაქრაძის ცნობით, ბათუმიდან ყოველწლიურად 18 ათასი ოკა ბრინჯი გაიტანდა გასაყიდად.[46]

აკარის და მთლიანად საქართველოს შემნახველობაში მოკეთანებით ფეხს იკიდებს სიმინდის კულტურა. მის შემოტანას დასავლეთ საქართველოში, სადაც იგი შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელდა, ლაზების სახელს უკავშირებენ.[47] უშუალოდ ლაზების მეშვეობით შეიძლებოდა გავრცელებულიყო სიმინდი აკარის დაბლობ ზონაში, რასაც ლაზეთსა და აკარას შორის არსებული კულტურულ-ისტორიული ერთიანობაც განაპირობებდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სიმინდის აღმნიშვნელი ტერმინი „ლაზეთი" აკარაში მოსახლეობის საკუთრივი ლექსიკაშიც დასტურდება, რაც, ეჭვგარეშეა, ამ მცენარის ლაზეთიდან კეთილშობილ თუ ლაზების მიერ შემოტანასე მიუთითებს. შემოტანი კი ხის სახლებისა და ქვის ბუნების მშენებელი ის ლაზი ოსტატებიც შეიძლებოდა ეფიქრიყენენ. რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მათ შორის, აკარაში) მიმოდიოდნენ.[48] ამისთვის, საკვლევი ბუნებრივია ის ფაქტი, რომ „ხის მუშაკობით" ცნობილი ლაზი ოსტატები მათ მიერ აკარაში აშენებულ ხის მეხეთების კედლებზე გემთან ერთად სიმინდის მცენარეზეც გამოსახავდნენ.[49]

XIX ს. 70-იან წლებიდან სიმინდის კულტურა აკარაში ფართოდ ვრცელდება და მონოკულტურად იქცა. იგი მოსახლეობის ძირითადი ჰურეული გახდა. წინანდელი ტრადიციული მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ქვაე, ქერი, ლომი, ფეტვი) მოვლა-მოყვანის მასშტაბები შემცირდა.

აკარის მთისა და ბარის ზონაში სხვადასხვა ჯიშის სიმინდი მოჰყავდათ (ბეოდკეური, წვიტა, ოერდი, ჯორიელა, შიდრა, ვოდორა, ბრთელა, ჭიოელი ალდუნა, თეთრი ალდუნა, ჩხალური, ქორიბელა, მისირული, ალაზანა, ბოლოდური, წონიანისული, როძანული და ა.შ.).[50] მათგან მხოლოდ ხუთეული შემორჩა. ე. ლისოვსკი გასული საუკუნის 80-იან წლებში წერდა, რომ ჯოროხის მხარეში პირველად მხოლოდ წერილი სიმინდი მოჰყავდათ.

---

43 Газ. «Черноморский вестник», 1896, №13.

44 Жуковский П.М. Земледельческая Турция. М. ,Л., 1933, с. 82.

45 ნ.ახალეა. დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

46 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

47 საქართველოში სიმინდის კულტურის შემოტანის დრო და გზები ზუსტად დადგენილი არ არის. ივ.ჯავახიშვილის აზრით, ეს კულტურა საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში შავი ზღვის გზით უნდა შემოსულიყო XVII ს. დამდეგს (ივ.ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 363), ჰ.გუგუშვილის მოსაზრებით კი – ამავე საუკუნის შუახანებში (ჰ.გუგუშვილი. სიმინდის კულტურა ამიერკავკასიაში. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIII. №4, გვ. 225). ს. ჯიქია კი თვლის, რომ სიმინდი მცირე აზიაში შემოიტანეს ლაზებმა XVI ს. მეორე ნახევარში. ანატოლიის თურქებსაც სიმინდის კულტურა ლაზებისაგან შეუთვისებიათ და მას „ლაზუთის" ანუ ლაზური მცენარის სახელით გაცნობიან (ს.ჯიქია. შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის" შესახებ. – თსუ შრომები, თბ., 1947, გვ. 438. მისივე. „ლაზუტ" სიტყვის წარმოშობისათვის. – საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. V, №2, თბ., 1940, გვ. 231).

48 გ.ბიტაია. სოფლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. – შრომები. ტ. II თბ., 2000, გვ. 216-217; ზ.ბეჟინაძე. ლაზისტანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხრივ. თბ., 1927.

49 ნ.ჩოჭუაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 26-27. ნ.ახალეა. დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

50 ნ.ახალეა. დასახ. ნაშრ., გვ. 176, ნ.ჩოჭუაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 27–28.

შემდეგ ოსმალეთის მთავრობას ბულგარეთიდან შემოუტანია უხვმოსავლიანი სიმინდი, რომელიც პირველად დაბლობში დაუთესიათ, შემდეგ კი მთიან ზონაშიც გავრცელებულა.[51] როგორც ჩანს, სიმინდის ამ ჯიშს უნდა გულისხმობდეს გ. ყაზბეგის ცნობა. იგი აღწერდა სიმინდის ნათესებს ჩოლოქში და მიუთითებდა, რომ სიმინდი სიმაღლით ორ საჟენამდე აღწევდა, თანაც იძლეოდა ორ – ოთხ ტაროს. თითოეული ტარო კი ექვსასზე მეტ მარცვალს იტევდა.[52] XIX ს. II ნახევარში ქობულეთის მხარეში სიმინდი ისეთი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ გასაყიდად თურქეთსა და იტალიაშიც კი გაჰქონდათ.[53]

პარკოსანი კულტურებიდან აჭარაში შედარებით ადრე ჩანს გავრცელებული ოსპი და ცულისპირა, რომელთა ნაშთები მარცვლების სახით მთიან აჭარაში, კერძოდ, ჭვანის (ციხის (XII-XIII სს.) ტერიტორიაზე არქეოლოგიურადაა დადასტურებული.[54] ბუნებრივია, ამ სამეურნეო კულტურების მოშენება აჭარის მოსახლეობას უფრო ადრე უნდა დაეწყო. ზემო აჭარაში ოსპის კულტურის ფართო სამეურნეო მნიშვნელობის მაჩვენებელია მასთან დაკავშირებული ტოპონიმი – ნაოსპარი, რომლის რაოდენობა, არასრული მონაცემებით, ათასამდე აღწევს.[55]

პარკოსნების გავრცელების არეალი აჭარასა და საერთოდ დასავლეთ საქართველოში, როგორც იე. ჯავახიშვილი წერდა, საგრძნობლად შეამცირა ლობიოს კულტურამ, რომელიც აქ XVI ს. პირველ ნახევარში უნდა შემოსულიყო.[56] მან მალე წამყვანი ადგილი დაისაკუთრა ჯერ დასავლეთ, შემდეგ მთელ საქართველოში. ასე იყო აჭარაშიც. თ. სახოკიას გასული საუკუნის ბოლოს მარტო ზემო აჭარაში ლობიოს ცხრა ჯიში ჩაუწერია.[57] დღეისათვის აჭარაში ლობიოს ოცზე მეტი ხალხური სახელწოდება მოგვეპოვება. ბევრი მათგანი ადგილობრივი ხალხური სელექციის შედეგადაა მიღებული, ნაწილიც შემოტანილია.[58]

აჭარისათვის შედარებით ახალია კარტოფილის კულტურა. იგი აქ XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ერცელდება.[59] კარტოფილი ამჟამად ალპურ და სუბალპურ ზონაშიც ითესება და მთიანი აჭარის მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდაც იქცა. ამავე პერიოდიდან მკვიდრდება აჭარაში პამიდვრის კულტურაც, რომელსაც თავდაპირველად დაუმწიფებელს იყენებდნენ სამწნილედ და სხვა კერძების დასამზადებლად.

აჭარის სამიწათმოქმედო ყოფისათვისაც ტრადიციულად დამახასიათებელი ჩანს მინდვრის კულტურათა (სიმინდი, ლობიო, მხალი, სოიო, ჭარხალი, კვახი, კიტრი და სხვ.) შერეეთ თესვის პრაქტიკა, რაც მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც ფართოდ გავრცელებული წესი ყოფილა. მთისძირა და მთის ზოლში შერეული ნათესები დღესაც არ არის იშვიათი და მას ხალხური წარმოდგენითაც რიგი აგროტექნიკური უპირატესობანი გააჩნია.

---

51 Лисовский В.Н. Чорохский край. Тифл., 1887, с. 93.

52 Казбек Г. Военно-статистический очерк Лазистанского санджака. Тифл., 1876, с. 76.

53 ს.მეხსი. ორი კვირა მამადიანურ საქართველოში. – ჟურნ. „ჭოროხი", ბათუმი, 1970, №1, გვ. 93.

54 შ.მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

55 ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. I, (ხელ. საძიებლები).

56 იე. ჯავახიშვილი. თსზულებანი 12 ტომად. ტ. V. თბ., 1986, გვ. 53-54.

57 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

58 ეს ჯიშებია: წითელი, თეთრი, შავი, ხანუმა, წყავა, პაპუნა, ჭეჭუკა, მიწალობიო, პაპლუყა, ჩიტაკვერცხა, აკრიელა, მისულა, ბათუმურა, შავშურა, მაჭახლურა, ჩერქეზული და ა.შ. (ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 218-219).

59 გ.ბადრიშვილი. კარტოფილის კულტურა საქართველოში. თბ., 1963, გვ. 59; თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

აჭარის სამიწათმოქმედო ყოფის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ფერდობების დატერასება და მიწების მორწყვა, რასაც აგრეთვე ძველი ტრადიციები გააჩნია.

ტერასული სისტემა აჭარაში უმთავრესად მთური მიწათმოქმედებისათვის იყო დამახასიათებელი და მიზნად ისახავდა ნიადაგის ეროზიისაგან დაცვას ხელოვნურად გამართული ტერასების მოწყობით. სახნავ-სათესი მიწების სიმცირის პირობებში ფერდობების დატერასება უზრუნველყოფდა მიწის ფონდის გონივრულად გამოყენებასა და შედარებით მაღალი მოსავლის მიღებას.

ტერასების ადრეულ და უმარტივეს სახეობას მიეკუთვნება ნიადაგის დაცვის ე.წ. კადონური წესი,[60] რომელიც ახოობას უკავშირდება და გულისხმობს ფერდობზე მიწის შემაგრებას ქვლობის გარეშე გამართული ხის ძელებით. კადონის აღმნიშვნელ ტერმინად მაჭახლის ხეობასა და, ნაწილობრივ, მერისისა და ჭვანის ხეობებში, იხმარება „სანკალი", რომელიც წერილობით წყაროებსა და სალექსიკონო-ტერმინოლოგიურ ლიტერატურაში არ გვხვდება. ეს იმის დასტურია, რომ იგი არის ხელოვნური ტერასების ლოკალური სახეობა.

ძელ-ბალოებიანი კადონის განვითარებული სახეა ჭურიანი კადონი, რომლის ტიპური ნიმუშებით ქედის რაიონი გამოირჩევა. ზემო აჭარაში, ჩაქვისწყლის, კინტრიშის, მაჭახლისა და ჭვანის ხეობებში. იგი ნაკლებად იყო გავრცელებული. ჭურიანი კადონები ხელოვნური და ბუნებრივი ტერასების გამაგრების მიზნით ეწყობოდა.

ძელური ტერასის განვითარებული სახეა ბორკილი, რომელიც აგებული იყო ძელების ქვლობის პრინციპზე. ამ სახის ტერასებით განსაკუთრებით სხალთის ხეობა გამოირჩეოდა.[61]

აჭარის ტერასული მეურნეობა მრავალად იცნობდა მშრალად ნაგებ და ქვით შემოსილ ტერასებსაც, რომლებიც მეტწილად საკარმიდამო კომპლექსში შემავალ საეარგულებში ეწყობოდა. ამ სახის ტერასები გავრცელებული იყო როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარაში. ქვით ნაგები ხელოვნური ტერასების კვალი აჭარის ძველმა ნამოსახლარებმაც შემოგვინახა.[62] ამ ტიპის ტერასების კლასიკური ნიმუშები მრავლადაა დაცული მეზობელ შაეშეთ-კლარჯეთსა და სამცხეში.

ქვით თუ ხით შემოსილი და შეუმოსავი ტერასების განსაკუთრებული სახეობაა ოროკი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შესულია ოროკოს ფორმით და განმარტებულია, როგორც „მიწა ბაქან-ბაქნად მოეაკებული."[63] მაჭახლის ხეობაში ოროკი (სოფელი ზედა ჩხუტუნეთი) ადგილთა სახელადაც ქცეულა.[64] ფერდობების ოროკებად დაკიბურების წესი (შეუმოსავი ტერასები) დადასტურებულია აჭარისწყლის ხეობის ზოლ-შიც (მერისის ხეობა), მაგრამ იგი აქ ისეთ ტრადიციულ ხასიათს არ ატარებს, როგორც მაჭახლის ხეობაში. ამდენად, ოროკების გავრცელების ძირითად არეად მაჭახლის ხეობა განიხილება.[65] ამასთან, ოროკი, როგორც ტერასის აღმნიშვნელი ტერმინი, საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება.[66]

---

60 შდრ. „კადონი ესე არს ძელით ფრიალო გვერდი ბაქან-ბაქანად მოასწოროს დასათესველად" (სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, გვ. 157).

61 ნ.ჩოჭოვაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

62 იქვე. გვ. 70.

63 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 501.

64 ნ.ახობიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

65 ნ.ჩოჭოვაძე. ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი აჭარაში, გვ. 134.

66 ივ. ჯავახიშვილი ე. ნაკაშიძის ცნობაზე დაყრდნობით წერდა, რომ ტერმინი ოროკი გურიაში ეფუძილა შემორჩენილი, მაგრამ იგი აქ თოხნარ ნიადაგს აღნიშნავდა (ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 135).

ტერასული მიწათმოქმედება ფართოდ იყო გავრცელებული სამცხეში, შავშეთ-კლარჯეთში, აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში (დაღესტანი, ბალყარეთი, ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი), სომხეთი და სხვ. მაგრამ ტერასების მოწყობის წესი აჭარაში მაინც გარკვეული ლოკალური თავისებურებით ხასიათდება. იგი სამცხეში, ლაზეთში, გურიასა და დიდ კავკასიონზე გავრცელებული ტერასების იდენტურია.[67]

აჭარელი მიწათმოქმედი გამოფიტული ნიადაგების გაუმჯობესებისა და ნაყოფიერებამოსაელანიანობის გადიდების მიზნით ინტენსიურად მიმართავდა საქონლის პატიჟით განოყიერებასა და მორწყვას. მიწების ნაწილი მორწყვისა და პატიჟის გარეშეც მუშავდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში დაცული იყო დასვენება-მონაცვლეობის წესი.

სარწყავად წყაროს, ნაკადულებისა და ხევის წყლებს იყენებდნენ. აჭარაში დღემდე დაცულია ცნობები ქრისტიანობის დროინდელი სარწყავი არხის შესახებ, რომლითაც ზემო აჭარის ორი სოფელი – კორტოხი და პაქსაძეები სარგებლობდა.[68] XIX საუკუნის ბოლოს სოფელ დიდაჭარის ალპური საძოვრებიდან სამი სოფლის (კორტოხი, პაქსაძეები, ბელლეთი) მოსახლეობას 25 კმ სარწყავი არხი გაუყვანია, რომელიც ქართული სარწყავი სისტემის რთულ ტექნიკურ ნაგებობას განეკუთვნება.[69] არხის მთელი ტრასა რთულ რელიეფზე, მათ შორის, კლდეებზე გადიოდა. 30 კმ სიგრძის არხით სარგებლობდა სოფელ დიდაჭარის მოსახლეობა. არხი ბოდიშის მთიდან (ღორჯომი) გაუყვანით.[70] ასეთი არხები ზემო აჭარის სხვა სოფლებსაც ჰქონდათ.

საირიგაციო სისტემის მოელისა და სარწყავი წყლით სარგებლობის წესის დაცვა ევალებოდათ სპეციალურად არჩეულ პირებს, რომელთაც აჭარაშიც მერუე ეწოდებოდა. მათ ნატურით გასამრჯელოც ეძლეოდათ. მერუეთა ინსტიტუტი საქართველოს სარწყავ რაიონებში ძველი დროიდან არსებობდა.[71] ასევე შორეული წარსულიდან იცნობდა მერუეთა ინსტიტუტს აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილე.

აჭარაში არხები ძირითადად სათიბ-საძოვრების მოსარწყავად იყო გამოყენებული, რასაც გაჭალავება ეწოდებოდა. აქედან ჩანს მიღებული ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა ჭალები, ჭალები ტყე, ჭალი ყანა, ჭალაბერა და ა.შ. აღსანიშნავია სოფლის სახელი ჭალა (ჭვანის ხეობა). ამ სოფელში, გადმოცემით, ნაქართლი რუების ნაშთებიც ყოფილა ქვისკედლიანი წყობით.[72]

აჭარის მთიანეთში ირიგაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ნაკელნარევი წყლით მორწყვა, რაც ბარის ზონაში არ დასტურდება. ეს წესი გულისხმობს გამდინარე წყალში გახსნილი ნაკელით სახლსწინა ნაკვეთის, ანუ ნაფუძარის მორწყვას.[73] ამ წესმა გარკვეული კორექტივი შეიტანა ზემო აჭარული სახლის დაგეგმარება-განლაგებაში.

აჭარა სამიწათმოქმედო იარაღების ნაირსახეობითაც გამოირჩეოდა.

ახოს ასაღებად, ანუ საკაფავად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ცულ-ნაჯახები და წალდები. ახო, კორდი და მაგარი მიწების პირველადი და მეორადი დამუშავებისათვის – ეიწრო და სქელპირიანი მაღალი თოხები; სახნავად – ჯილღა და კავის ტიპის სხვა სახვნელები; ნათესების გასათხნად – ფართოპირიანი თოხები; მინდვრად

---

67 ნ. ჩიჯავაძე. მემინდვრეობა აჭარაში, გვ. 84, 85, 87.

68 ნ.ჩიჯავაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, გვ. 16.

69 იქვე, გვ. 116-117.

70 იქვე, გვ. 120.

71 მ.ტეტეშიძე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში. თბ., 1961, გვ. 68, 88.

72 ნ.ჩიჯავაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 110–111.

73 საქართველოს სხვა კუთხეებიდან ნაკელნარევი წყლით მორწყვა გავრცელებული იყო მთიანეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, შუა ქართლში (მ.ტეტეშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 50–51).

ნაკელის გასატანად – მარხილი, ციგა, ხის ჯარები; პურეულის თავთავის სამკალად – შნაკები და ნამგალი, სიმინდისა და სხვა მარცვლეულის მოსალის ასაღებად – ხის გოდრები და კალათები, ბეღელი და ნალია; მარცვლეულის (ღომი, ქერი) გასაცეხად – ხელის, ფეხის და წყლის საცეხველები (ჩამურები), მარცვლეულის საკაზმავად – ცხავი, ცხრილი; გასანიავებლად – მერული, ფიწალი და ა.შ.

აჭარის სამიწათმოქმედო საქმიანობაში ცულების, წალდებისა და თოხების, აგრეთვე სხვა იარაღების გამოყენებას შორეულ წარსულში მიეყავართ. ამაზე მიუთითებს დღევანდელი აჭარის მთისა და ბარის ზონაში ერთეული ეგზემპლარებად თუ განძებად აღმოჩენილი ქაჯის ნამგლის ნასართები, ბრინჯაოს და რკინის ცულები, თოხები, ნამგლები, წალდები.[74] მათთან გენეტიკურ მსგავსებას ავლენს აჭარის დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღები, რომლებიც თითქმის ყოველ სოფელში მზადდებოდა.

აჭარაში ტრადიციულად წამყვანი იყო და დღესაც რჩება თოხის კულტურა, რაც მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება. ასევე ტრადიციულია ზემოთ დასახელებული სახვნელი იარაღები (არვანა//არუნა, კავი), რომელთაც ზოგადად ჯილღა ეწოდება. თავისი კონსტრუქციული და ფუნქციონალური თავისებურებებით ჯილღა უძველესი სახვნელი იარაღია, რომელსაც ქართული სახვნელი იარაღების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.[75] ჯილღის პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ ხის უმარტივესი სახვნელი იარაღი, რომელიც მდ. ჩოლოქის ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის ერთ-ერთ ნამოსახლარზეა აღმოჩენილი.[76]

აჭარული ჯილღა ორი სახისაა: მარტივი ანუ ჩვეულებრივი და კომპლექსური ანუ ფამყალაკიანი (გოგორებიანი). პირველის გავრცელების არეალია ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონები, მეორისა კი – მხოლოდ ხულოს რაიონის ძლიერ დაქანებული რელიეფის მქონე რამდენიმე სოფელი. ჯილღაში გამწვე ძალად ერთი უღელი ხარკამეჩი გამოიყენებოდა, მეორეში – ორი.[77] ჯილღა – გოგორას მსგავსი სახვნელი საკვეთელით დამოწმებულია ნასოფლარ ჭიეჭიეის ერთ-ერთი ძველი საფლავის ქვის მოხატულობაში,[78] რაც, უეჭველია, შუა საუკუნეებში ამ სახვნელის გამოყენება-გავრცელებაზე მიუთითებს.

მიწათმოქმედება, კერძოდ, მემინდვრეობა (ხვნა-თესვა, ნაოესების დამუშავება, მოსავლის აღება-დაბინავება და სხვ.), ისევე, როგორც სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგების წარმართვა, ხშირად ერთი ოჯახის მატერიალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატებოდა, რაც დღის წესრიგში აყენებდა შრომითი დახმარების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას.

შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმები აჭარაში ცნობილი იყო მოდგამის, მანიადისა და ნადის სახელწოდებით. მოდგამი, როგორც შრომაში ურთიერთდახმარების მარტივი ფორმა, გულისხმობდა თითო ხარის მეპატრონეთა დამოდგამებას,[79] ანუ შეამხანაგებას როგორც ერთი, ისე ორი მეზობელი სოფლის ფარგლებში. მანიდი ინდივიდუალური ან

---

74 დ.ხახუტაიშვილი. ქობულეთის ქვეყანა. I. ბათუმი, 1995; ა.კახიძე, შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993; ს.გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბ., 1978; ალ.რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974.

75 გ.ჩიტაია. მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის. – სმმ. V, თბ., 1930, გვ. 270.

76 დ.ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

77 ნ.ჩოჯუაძე. დასავლურ-ქართული სახვნელი იარაღები. – სდსყ. IV, თბ., 1976, გვ. 61.

78 გ.ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ., 1960, გვ. 41.

79 შდრ.: „მოდგამი ჯილღის მოზიარე" (სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, გვ. 217).

კოლექტიური სანაცვლო-საჯალდებულო ურთიერთდახმარების ფორმას წარმოადგენდა. ამიტომ მანიდს მეორენაირად ბეჟლობა ეწოდებოდა.[80] მანიდში (ნადში) იწვევდნენ როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს.

ნადი შრომაში ურთიერთდახმარების საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა იყო, რომელშიც იწვევდნენ ახლო თუ შორეულ ნათესავებს, მეზობლებს სოფლიდან და მის ფარგლებს გარედან. ნადი ურთიერთდახმარების თავისუფალ პრინციპს იყო აგებული ყოველგვარი საზღაურის გარეშე, მაგრამ მასში მონაწილის მიერ ნადში მონაწილეობაზე თავის არიდება საძრახისად ითვლებოდა. ნადის ყველა მონაწილე ნადში თავისი სამუშაო იარაღით მიდიოდა.

სიმინდის თოხნის დროს დიდ ნადში მონაწილენი ორ-სამ ჯგუფადაც იყოფოდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „მეტი ნაპირის გატანასა" და ნადურ სიმღერებში.

აჭარა ნადური სიმღერების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მარტო ქობულეთის რაიონის გურიის მოსაზღვრე სოფლებში 30-ზე მეტი ასეთი სიმღერა სრულდებოდა.[81] სიმინდის თოხნისას მღეროდნენ დიელოს, რაშას, ვოსას, ხელხვავს და სხვა სიმღერებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სიმღერების ერთი ნაწილი და სამკალი სიმღერების ფრაგმენტები, რომლებიც ჩაწერილია ზემო აჭარაში, სიმინდის კულტურის გავრცელებამდე, პურეულ კულტურებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.[82] ნიშანდობლივია ის ეთნოგრაფიული ფაქტიც, რომ ნადურ სამკალ სიმღერებს წარსულში შესვენების დროს გაუთხოვარი ქალებიც ასრულებდნენ.[83] აჭარისწყლის ხეობაში ხელხვავის სიმღერა სიმინდის რნეეაშიც იცოდნენ. იგი არქაული პერიოდიდან მომდინარე უნდა იყოს. რამდენადაც მის მისამღერში ქრისტიანულ წმინდანებთან ერთად წარმართული დროის წმინდანებიც ამოიკითხება. სიმღერა თავისი საწყისებით კი პურის კალოობასთან ჩანს დაკავშირებული.[84]

ნადური სიმღერების მონაწილენი და საერთოდ, მომღერლები ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ თოხნასთან და სხვა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით მოწვეულ ნადში მომღერლებს სპეციალურად შეარჩევდნენ.

სამიწათმოქმედო კულტურის ძველი ტრადიციები აჭარაში კარგად ელინდება მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში, რომლებიც წარმართული, ქრისტიანული და ისლამის რელიგიის ელემენტებს შეიცავენ. ამ წეს-ჩვეულებებიდან თავისი ლოკალური ვარიანტებით ყურადღებას იქცევს ლაზარობა, ქაშატობა, პირველი თესლის გაღება და სხვ., რომლებიც პარალელებს პოულობენ საქართველოს სხვა კუთხეების, მათ შორის, თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ჭოროხის მხარისა და ლაზეთის მოსახლეობის შესაბამის წეს-ჩვეულებებთან.

ლაზარობა ფუნქციით ამინდის მაგიურ მართვასთან დაკავშირებული ღვლობა წეს-ჩვეულებაა, რომლის ცალკეული რიტუალების შესრულება მიზნად ისახავდა სასურველი ამინდის გამოწვევას – გვალვის დროს წვიმის მოყვანას („ღმერთო მოგეე წვიმა, წყალი, შეგვინახე (მ)ხისა თვალი") და ხშირი წვიმებისას – გამოდარებას („ღმერთო მოგეე ხისა თვალი, შეგვინახე წვიმა, წყალი").[85]

---

80 ნ.ჩიჯავაძე. მემინდვრეობა აჭარაში, გვ. 42–43; ნ.კახიძე, აჭარის მთიანი ხეობის... გვ. 196.

81 ჯ.ნოღაიდელი. ჯ.ჩხეიძე. აჭარული სამიწათმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება. – ბსკიშ. I. ბათუმი, 1960, გვ. 69.

82 იქვე, გვ. 81, 86.

83 იქვე, გვ. 87.

84 ჯ.ნოღაიდელი. აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები. თბ., 1967, გვ. 42.

85 ლაზარობის შესახებ აჭარაში იხ. ჯ.ნოღაიდელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 61-62; ნ. ჩიჯავაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, გვ. 141; ზ.თანდილავა. ლაზარობა და "ქვაკაცები" აჭარაში. – სდსზ. II. თბ., 1974.

ცნობილია, რომ ლაზარობა, როგორც ტაროსის ღვთაება, წმ. ლაზარეს კულტს უკავშირდება. მისი არსებობა მთიან აჭარაში არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება: სოფელ კალოთაში (ხიხაძირის ხეობა) მიკვლეულია წარმართული საკურთხეველ-სამსხვერპლო, სადაც, როგორც ჩანს, მაშინდელი მკვიდრი მოსახლეობა ლაზარესადმი მიძღვნილ რიტუალებს ასრულებდა და მისი გულის მოსაგებად და სასურველი ამინდის გამოსაწვევად მსხვერპლსაც სწირავდა.[86] ასეთივე წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა.

ქაშატობა მისთვის დამახასიათებელი რიტუალების მიხედვით, რომლებიც მთიან აჭარაში გადმონაშთების სახით დიდხანს იყო შემორჩენილი, მინდერად ყველა სახის სამუშაოთა (ხვნა-თესვა, თოხნა და სხვ.) და, საერთოდ, მიწაზე რკინის საგნით (ცალი, თოხი, ცული, წალდი, ნამგალი) შეხების აღკვეთის დღეობა იყო. იგი გაზაფხულზე, აპრილის პირველ შაბათს მოდიოდა. ამ აღკვეთის დარღვევის შემთხვევაში, ხალხის რწმენით, მოსალოდნელი იყო სეტყვა და ნიაღვარი, რომელიც მოსავალს გაანადგურებდა და სახლ-კარსაც წალეკავდა.[87] ამიტომაც, ქაშატობის უქმე დღეობის დაცვა მეცარად იყო სავალდებულო. ეთნოგრაფიული მონაცემებით, თუ ვინმე ამ წესს მაინც დაარღვევდა, მას საკლავი უნდა შეეწირა, ხოლო ვინც ქაშატობის უქმე დღეს დაიცავდა, მის ყანასა და სახლ-კარს ხვავი და ბარაქა არ მოაკლდებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია ქაშატის სახელწოდებით ადრე ღვთაებაც არსებობდა, რომელსაც სიუხვისა და ნაყოფიერების გამგებლობა ეკისრებოდა.[88] ეს მოსაზრება კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიძენს, თუ გავითვალისწინებთ სხვა მოსაზრებასაც აჭარული ქაშატობის ელემენტების მსგავსებაზე ფინიკიელთა ღვთაება კაშაროტთან, რომელიც მიჩნეულია მოსავლის მფარველად, ნაყოფიერებისა და სიუხვის მომცემ ღვთაებად.[89] ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სოფლებში – ზოტსა და ჩხაკაურაში (ჩოხატაურის რაიონი) მცხოვრებ აჭარლებში (ისინი XIX საუკუნის 70-80-იან წლებში გადასახლდნენ ზემო აჭარიდან) ჩაწერილი ქაშატობის შინაარსის შემცველი ტერმინი ქარაშოთი, რომელიც ამავე დროს ჭირნახულის გამანადგურებელი თავსხმა წვიმის აღმნიშვნელია.[90] მსგავსი მნიშვნელობისაა მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი ტერმინი ქარაშოტი.

ერთი მხრივ, ფინიკიური კაშაროტისა და აჭარული ქარაშოტის, მეორე მხრივ, ქარაშოტისა და ქაშატობის მსგავსება-იგივეობას თუ დავუშვებთ, მაშინ მართლაც არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ქაშატობაშიც მოსავლიანობისა და ნაყოფიერების ღვთაების-ქაშატის სახელი ამოვიკითხოთ, მსგავსად ლაზარობისა, რომელიც ტაროსის გამგებელ წმ. ლაზარეს კულტს უკავშირდება. ამდენად, ქაშატობა სიუხვის და ნაყოფიერების ღვთაებისადმი (ქაშატი) მიძღვნილი დღესასწაული უნდა ყოფილიყო, რომელიც მეურნის მიწასთან ურთიერთობის რეგლამენტაციას განსაზღვრავდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფრცელებული აგრარული ხასიათის ერთ-ერთი უძველესი წეს-ჩვეულებაა პირველი კვალის გატანა, ანუ პირველი თესლის გაღება, რაც აჭარაში კარ'ულის//ყან'ულის სახელწოდებითაა ცნობილი.[91]

---

86 ა.ალხაძე. შ. მამულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 55, 82.

87 ჯ.ნოდიაიდელი. დასახ. ნაშრ., გვ. 60-61; ნ.ჩიჯავაძე. მემინდვრეობა აჭარაში, გვ. 47-48.

88 ნ.ჩიჯავაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

89 Николский Н.М. Этюды по истории Финикийских общинных и земледельческих культов. Минск, 1948, с. 230.

90 ნ.ჩიჯავაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

91 სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, აღნიშნული წეს-ჩვეულება კანონის სახით მესხეთშიც იყო ცნობილი და მას „გაზაფხულ პირველი ხარის შებმას" უწოდებდნენ მესხნი („სიტყვის კონა", გვ. 287). ტერმინი „კანუხი" აღწერილი შინაარსით დღემდეა დაცული თურქეთში (ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონი) აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა ყოფაში (შ.ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული, გვ. 88).

აჭარის ცალკეულ ხეობებსა თუ სოფლებში კანონის ეადების ერთიანი თვე და რიცხვი არ დასტურდება. კანონის დღედ ზოგან მარტ-აპრილის სამშაბათია მიჩნეული. ზოგან თებერვლის სამშაბათი ან სხვა დღეები. მაგრამ, ადრე, საქართველოს სხვა კუთხეთა მონაცემებს თუ გაეითვალისწინებთ, აჭარაშიც კანონის გაღების ერთიანი დღე უნდა ყოფილიყო თემის თუ ხევის ფარგლებში და ჩას სათემო დღესასწაულის ხასიათი უნდა ჰქონოდა. კანონი მხოლოდ სავსე მთვარეზე სრულდებოდა, როგორც საეალდებულო წესი. აღნიშნულ დღეებში ცუდი ამინდიც (თოელი, სეტყვა, წვიმა) რომ ყოფილიყო, ოჯახის უფროსი მამაკაცი ხარ-სახვნელით ორ-სამ კვალს აუცილებლად გაატარებდა და შელოცვით თესლს ჩათესავდა. მაჭახლის ხეობაში კანონი თებერვლის ან მარტის სამშაბათ დღეს სავსე მთვარეზე ბოსტანში სრულდებოდა, უმეტეს შემთხვევაში მოხუცი ქალის მიერ. ამ დღეს ყოველგვარი თესლეულიდან შვიდ-შვიდი მარცვალი უნდა ჩაეთესათ, გარდა მწარეულისა (პრასა, პიმპილი), თესლში აუცილებლად უნდა ჩაედოთ კვერცხი, ნალი ან სპილენძისა და რკინის ნაჭერიც. ამის შემდეგ ხენა-თესვა ნებისმიერ დღეს შეიძლებოდა.

კანონის რიტუალებში მთვარის ფაზების (სავსე მთვარე) გათვალისწინება, ხოლო თესლში კვერცხისა და რკინეულის მოთავსება საშუალებას გვაძლევს ეს წეს-ჩვეულება ასტრალურ და მაგიურ რწმენა-წარმოდგენებს დაეუკავშიროთ[92] და, ამდენად, არქაული (წარმართული) ხასიათის მოვლენად მიეჩნიოთ.[93] ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ეანონის გაღება თავისი რიტუალებით ჩანასახშიეე ეანის მფარველ რომელიმე ღვთაებასთან ეოფილიყო დაკავშირებული.[94]

უძველეს სამიწათმოქმედო წეს-ჩვეულებას მიეკუთვნება ეანა-ბალწებისა და საერთოდ, ნათესებში გასვლის აღკვეთილი დღე „ბახური", რომელიც, როგორც ტერმინი, დღეისათვის ფიქსირებულია მხოლოდ მაჭახლის ხეობაში და ქედის რაიონის სოფელ უჩხითში.

ბახური ადრე ძვ. სტილით 18–21 ივლისის ერთ რომელიმე საათს ემთხვეოდა, მაგრამ შემდეგ ეს დრო აღრეულა და ერთი საათის ნაცვლად სამ დღეს იყო ტაბუირებული. ამ დღეებში ნათესებში გაელა სასტიკად იკრძალებოდა, თუ ბახურის წინ, ორი-სამი დღით ადრე, ნათესში პირველ რიგში სპილენძის ნაჭერს ან ხმარებიდან გამოსულ საგანს არ ჩაფლავდნენ. ამ წესის დარღვევა გამოიწვევდა ნათესების დაზიანებას, მოუსალიანობას და წესის დამრღვევის განუკურნებელი სენით დაავადებას. დასახელებულ დღეებში არც საშემოსაელო თესვა შეიძლებოდა – მარცვლეული არ ამოვიდოდა.[95] ანალოგიური წესი ლაზეთშიც იცოდნენ და მას ხცალა ეწოდებოდა, რაც ლპობას ნიშნავს.[96]

აჭარის სხვა სოფლებში ნათესებში გაელის აღკვეთილ დღედ მიიჩნევდნენ ივლისის პირველ ხუთშაბათს და კვირას (მერისი, კვაშტა, ზედა მახუნცეთი – ქედის რაიონი), 28 ივლისს (კირნათი – ხულეანაურის რაიონი), მაგრამ ამ სოფლებში ტერმინი „ბახური" არ შემონახულა.

ბახურის წეს-ჩვეულების არსი, აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით, მართალია, გაურკვეველი დარჩა, მაგრამ თურქეთში მცხოვრებ აჭარელ მუჰაჯირთა შორის დღემდე დაცულია წეს-ჩვეულება, რომელსაც კვირკობა ეწოდება[97] და ბახურის მსგავს რიტუალებს

---

92 სავსე მთვარე – სავსე მოსავლის მანიშნებელია. კვერცხი – ნაყოფიერების სიმბოლო და რკინეულთან ერთად მაგიური მნიშვნელობის მქონეა.

93 კანონის შესახებ დაწერ. იხ. ნ.ჩიჭაკაძე. მემინდვრეობა აჭარაში, გვ. 50–52; ნ.კახიძე. აჭარის მთიანი ხეობის... გვ. 189.

94 ნ.ჩიჭაკაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

95 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

96 მ.ფანლიში. ა.თანდილავა. ლაზეთი. თბ., 1964, გვ. 139–140.

97 შ.ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993, გვ. 34, 485.

შეიცავს. შეიძლება იგი წარმართული ხანის მიწის ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველ ღვთაებას[98] – კეირიას და მის კულტს უკავშირდებოდეს. ბახური ქართული წარმომავლობის ტერმინი არ ჩანს. შესაძლებელია, უცხოურის გავლენით, მან „კეირიკობა" – კეირიკობის დღეობა შეცვალა, რომელიც აჭარაში ადრე უნდა არსებულიყო, მსგავსად სხვა არქაული (წარმართული) და ქრისტიანული დღეობა-დღესასწაულებისა, რომლებმაც წინანდელი მნიშვნელობები დაკარგეს.

§2. მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის წარმოშობისა და განვითარების კლასიკური ქვეყანაა. მეურნეობის ეს დარგი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში იყო განვითა-რებული და წამყვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ეკონომიკურ ცხოვ-რებაში. ამ მხრივაც დაწინაურებულ კუთხეს წარმოადგენდა აჭარა. ვახუშტი (XVIII ს.) წერდა: „და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბი-სა, ყოვლითა მარცვლითა".[1] ხოლო საკუთრივ ბათუმის, გონიოსა და ერგეს აღწერაში იგი აღნიშნავდა, რომ აქ იყო „ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან სუნიანი მრავალად".[2]

წერილობით წყაროების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „დასავლეთ საქართველოში უმეტესად მაღლარი ვენახი უნდა ყოფილიყო გაბატონებული და დაბლა-რი შედარებით ნაკლებად იქნებოდა გავრცელებული".[3] XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს აჭარაში მოგზაურობის დროს თ. სახოკიაც შენიშნავდა, რომ აქ დაბლარი არ იცვიან. სულ მაღლარია. როგორც გურია-სამეგრელოში.[4] ამ დროს, მაღლარი ვაზის ძველ-თაძველი ჯიშები ზემო და ქვემო აჭარაში საკმაოდ ფართოდ ყოფილა შემორჩენილი. კაკლისა და თუთის ჭალებთან ერთად მრავალი მაღლარი ვაზის ხე უნახავს სოფელ ჩაოსთან (ხულოს რაიონი) გ. ყაზბეგს, რომელმაც აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს (1874 წელი) იმოგზაურა.[5]

თ. სახოკიამ 1897 წელს აჭარაში ჩვიდმეტი სახელწოდების მაღლარი ვაზის ჯიში აღრიცხა,[6] ხოლო, ივ. ჯავახიშვილის ცნობით, ამავე პერიოდისათვის აჭარაში ოცდახუთ-ზე მეტი ჯიში ყოფილა შემორჩენილი.[7] წარსულში მაღლარი ვაზი დიდი რაოდენობით ხარობდა ეკლესია-მონასტრების მიდამოებში. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე შავშეთ-

---

98 ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. თბ., 1960, გვ. 62–65.

1 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 134.

2 იქვე. გვ. 176.

3 ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ.V. თბ., 1986, გვ. 354.

4 თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). ბათუმი, 1985, გვ. 222. მოგ-ზაურს აქვე შოაქვს მაღლარის ყურძნის კრეფასთან დაკავშირებული ოცტაეპაანი ლექსი, რომელიც სოფელ ქედის მცხოვრებ გულა დიასამიძისაგან ჩაუწერია. თ.სახოკია შენიშნავდა: „ლექსს თავისი პირველადელი ღირსება არ შერჩენია, ხან რითმა კოჭლობს, ხან ზომა აკლია, მაგრამ საინტერესოდ ვცანით, როგორც შებღალული ენის შებღალული ლექსი, ოდესღაც, ალბათ, ლამაზად შექმნილი ხალხის მიერ" (იქვე. გვ. 225). ეს ლექსი შეიძლება აჭარაში მაღლარი ვენახის სადიდებელ ხალხურ პიმნად მივიჩნიოთ.

5 გ.ყაზბეგი. ს

კლარჯეთსა და მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.[8] მაჭახლის ხეობის ეთნოგრაფიული მონაცემებით, მაღლარი ეაზის ნაკალაფები ქვითკირით ნაშენი საწნახლების ტერიტორიაზეც დასტურდება.[9]

XIX საუკუნის ქართველი და უცხოელი მოგზაური მკვლევრები საგანგებო ყურადღებას მიაქცევდნენ იმ ფაქტს, რომ აჭარაში ეაზი მაღალ ხეებზე იყო მიშვებული. საამისოდ, ჩხაეერისათვის, რომელიც მაღლარი ეაზის უძველეს ჯიშს ფანეკუთვნება, საუკეთესოდ ლეკის ხე ითვლებოდა, რადგან მასზე ყურძენი კარგად მწიფდებოდა და ბევრსაც ისხამდა. აჭარის გარდა, ლეკის ხეზე ჩხაეერის გაშენება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც (შავშეთი, იმერხეთი, არტანუჯი) ნიშანდობლივი ყოფილა.[10]

მაღლარი მეეენახეობის განვითარებას აჭარაში ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიც უწყობდა ხელს. მცირემიწიანობისა და მთაგორიანობის პირობებში, საუკეთესო მიწები მთლიანად მემინდერეობას ეთმობოდა და ასეთ მიწებზე დაბლარი ეენახი ვერ გაშენდებოდა. მაღლარი კი სახნავ-სათესად სავარგული მიწების დაბანდების არ მოითხოვდა, რადგან მას უშეებდნენ მაღალ ხეებზე (თხმელა, ცხემლა, ლეკი, წაბლი და სხვ.), რომლებიც ბუნებრივად იზრდებოდა ან საგანგებოდ ირგეებოდა ეზო-კარმიდამოზე, გზების, ღელეების პირას, სახნავ-სათესების ირგვლივ. დაბლარისათვის ვერც აქაური მკაცრი და ყინვიანი ზამთარი იქნებოდა ხელსაყრელი. მაღლარის ჯიში კი ასეთ პირობებს ადვილად იტანდა.

ამპელოგრაფიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით, აჭარაში სულ გამოვლენილია ადგილობრივი და შემოტანილი შავ-წითელი და თეთრი მაღლარი ეაზის 70-მდე ჯიში. ესენია: კოლოშა, ჩხავერი, ხარისთვალა, ცხენიძუძუ, შავშურა, კლარჯული, ხოფავერი, საკმიელი, ლივანური, მისკეთი, ქვაბთური, ბურძღლა, ტყისყურძენა, დუდღო, ბოსტნერი, ჩიტაყურძენა, ბუტკო, თაეკვერი, მეკრენხი, თურეანდი, ჭეჭიბერა, ჩხუში, ჭიპაკური, ჰოვნილი, საწური, ქორქაული, ბროლა, მტევანდიდი, ჭოდი, მათენაური, მელისქუდა, ბათუმურა, აჭარული, საწურავი, ჯავახეთურა, ორჯოხული, ალმურა, თეთრა ადესა (იზაბელა), ტაკიძურა და ა.შ. მაჭახლის ხეობის მასალების მიხედვით, შედარებით დიდი ადგილი ეკავა ჩხაეერის მოშენებას, რომლის წილი მეკვინეობაში დიდი ყოფილა.[11] ჩხაეერის ჯიშმა აქ თავისი კვალი ტოპონიმიკაშიც დატოვა ჩხაენარის სახელწოდებით (სოფელი ქვედა ჩხუტენეთი).

ეაზის ჩამოთვლილი ჯიშებიდან რამდენიმე იმ ადგილის სახელს ატარებს (შავშურა, ლიეანურა, კლარჯული, ხოფათური, ორჯოხული), საიდანაც ისინი აჭარაში იქნა შემოტანილი. ეს არის შედეგი იმ ტრადიციული მჭიდრო კულტურულ-სამეურნეო ურთიერთობისა, რაც აჭარას ჰქონდა წარსულში მეზობელი ჭოროხის ხეობის რაიონებთან.

გამოთქმულია მოსაზრება საქართველოში გავრცელებული კულტურული მაღლარი ეაზის გენეტიკური კავშირის შესახებ ველურ ეაზთან, რომელიც საქართველოს ბევრ კუთხეშია ფიქსირებული. ველური ეაზის სახეობა, ანუ, ხალხური ტერმინოლოგიით, პანტა ყურძენი (ტყის ყურძენი), ძღუამლი, ბურძღლა დადასტურებულია როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარაში.[12]

---

8 გ.ნათაძე. შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9-10 საუკუნეებში. – მნათობი. თბ., 1929, №2-3, გვ. 210.

9 ნ.კახიძე. მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში.–აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები. თბ., 1971, გვ. 10.

10 Лисовский В.Я. Чорохский край. Тифлис, 1887, с. 107.

11 ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1979, გვ. 46.

12 სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ძღუამლი იგივე კრიკინაა, ხოლო კრიკინა – ველური ყურძენი („სიტყვის კონა". თბ., 1949, გვ. 173, 441).

ზემო აჭარა კი იმ კულტურულ-ისტორიულ არეალში ექცევა, სადაც ეელური ეაზის კვალი შორეულ გეოლოგიურ ეპოქაშია საძიებელი. მხედველობაში გვაქვს გოდერძის უღელტეხილის მახლობლად, სოფელ ძინძეს ნასოფლარზე (ადიგენის რაიონი), ეულკანურ ქანებში ნაპოვნი გაქვავებული გიგანტური გარეული ეაზის ღეროს ნაშთი, რომლის ასაკი გეოლოგების მიერ 10-15 მილიონ წელს ითვლის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აქვე ნაპოვნია სუბტროპიკული ფლორის ელემენტებიც.[13] გიგანტური ეაზის ხეები დღესაც ცოცხლობს აჭარის მეზობლად – ასპინძისა და ადიგენის რაიონების ტერიტორიაზე (ვარძიის, ხერთვისის, ხიზაბავრას ძველი ტერასების ზონა, დიდი სმადა და სხვ.) აქაური გარემო ეკვის გარეშე უნდა მივიჩიოთ კულტურული ეაზის ფორმირების ერთ-ერთ უძველეს და მნიშვნელოვან ლოკალურ კერად. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეევნახეობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესწავლაში არა მარტო სამცხე-აჭარის, არამედ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მთლიანად საქართველოს მასშტაბით.

აჭარაში მეევნახეობას რომ უძველესი დროიდან მისდევენ, ამის საბუთად ამპელოგრაფიულ ლიტერატურაში იმოწმებენ მაღლარის ადგილობრივი ჯიშების დიდი რაოდენობით არსებობას. აჭარის ტერიტორიაზე კი მაღლარი ჯიშები უფრო მრავალადაა წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში.[14] მაღლარი ვენახის არსებობის გამომხატველად მიგვაჩნია ტოპონიმი დობირო (სოფელი ზედა ჩხუტუნეთი), რომელიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებში მაღლარის აღმნიშვნელი „დობილოს"[15] სახეხცვალი ფორმა უნდა იყოს.

აჭარის მეევნახეობა-მეღვინეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისას ძირითადად ორი პერიოდი უნდა გამოვეყოთ: ერთია უძველესი დროიდან ოსმალთა ბატონობამდე, მეორე კი – ამ ბატონობის დროინდელი. მეურნეობის ეს წამყვანი დარგი აჭარაში ფართოდ ეოფილა განვითარებული სწორედ პირველ პერიოდში. ეაზის ძველი ჯიშების არსებობასთან ერთად ამის მაჩვენებელია ქვემო და ზემო აჭარაში დღეევანდლამდე მოღწეული ქვითკირით ნაგები მარნები, კლდეში ნაკვეთი და კლდეებზე მიშენებული საწნახლები, მიწაში ერავლად ჩაფლული სხვადასხვა ტევადობის ქვევრი, ხალხში დაცული ზეპირსიტყვიერი ცნობები, მეევნახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული უხვი ტერმინოლოგიური მონაცემები.

მარნებისა და საწნახლების, კომპაქტურად თუ ერთეულების სახით მიწაში ჩაფლული ჭურ-ქვევრების სიმრავლით განსაკუთრებით მაჭახლის ხეობა გამოირჩევა.[16] ხეობის მარტო ერთ სოფელში – ზედა ჩხუტუნეთში ამჟამად ქვითკირით ნაშენი ხუთი საწნახელია აღრიცხული. მათი გავრცელების ადგილები (მერე, საჭინკურია, ჭონჭყო, ჯანავრა) ახლა ტყითაა დაფარული. ერთი საწნახელი, რომელიც 1850-იან წლებში მოსულ მეწყურს დაუფარავს, 1970 წელს იქნა აღმოჩენილი. გადმოცემით, ამ მიდამოებში აღრე ეკლესია მდგარა და საწნახელიც მისი საკუთრება უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, ისინი შუა ფეოდალური ხანის ძეგლებად შეიძლება მიეჩიჩიოთ.

აჭარის ტერიტორიაზე ქვის ლოდში ამოკვეთილი საწნახლებიც დასტურდება. ასეთებია ზენითისა (ქობულეთის რაიონი) და მახუნცეთისა (ქედის რაიონი). პირველი ზომით დიდია და ელინისტური ხანით თარიღდება.[17] მეორეს აღრეფეოდალური ხანის ძეგლად

---

13 მ.ბეველაია. ბ.კვირკველია აჭარის გეოლოგიური ისტორია, თბ., 1987, გვ. 69-70.

14 მ.რამიშვილი. გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები. თბ., 1948, გვ. 2; ვ.ქანთარია. მ. რამიშვილი. მეევნახეობა. თბ., 1951, გვ. 34.

15 ივ.ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

16 ნ.ალხაძე. მაჭახლის ხეობა, გვ. 45; მისივე. მეევნახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში, გვ. 5-7.

17 დ.ხახუტაიშვილი. ქობულეთის ქვეყანა. I, ბათუმი, 1995, გვ. 58.

მიიჩნევენ. მონოლითური ქვისაგან დამზადებული საწნახლები აღმოჩენილია აგრეთვე ორცვაში, აქუცაში, ახოში (ქუდის რაიონი). ასეთი საწნახლების არსებობა თაავისთაავად მიუთითებს აღნიშნულ პერიოდში ეაზის ფართოდ გაერცელებასა და მის დიდ სახალხოსამეურნეო მნიშვნელობაზე.[18]

ქვის საწნახლებთან ერთად, ბუნებრივია, ხის საწნახლებიც არსებობდა, რომლებიც ცაცხვის, თელისა და თხემლის ხისაგან მზადდებოდა.

აჭარაში კომპლექსური, საწნახლიანი მარანიც არსებობდა, რომელშიც არა მარტო ღვინო იწურებოდა, არამედ ინახებოდა კიდეეაც. ასეთი მარან-საწნახლები, თუმცა დაზიანებული სახით, დღესაც გვხედება სხალთაში (სხალთის ტაძართან ახლოს), ზედა ჩხუტუნეთში, ცხემლარაში, კირნათში (ხელვაჩაურის რაიონი), ბზუბზუში (ქედის რაიონი). სხალთის მარან-საწნახელმა ჯერ კიდეე XIX საუკუნის ბოლოს მიიქცია მოგზაურ-მკვლევართა ყურადღება. თ. სახოკია წერდა: „ტაძრამდე ასიოდე ნაბიჯის მანძილზე, გზის პირას, ძველი შენობაა ქვითკირისა, ანუ სხალთის ტაძრის მარანი, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრებით. საკვირველია ამდენ აოხრებასა და მუსვრას როგორღა გადარჩა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ნაშთი ძველი ქართული კულტურისა. ეტყობა, სხალთის არეკ-მარეში ძველად დიდძალი ღვინო მოდიოდა, რომ მის შესანახავად ასეთი ქვევრები სჭირდებოდათ".[19] გ. ყაზბეგის აღწერით, მარანი ორსართულიანი ყოფილა. პირველზე მას მიწაში ჩაფლული ოთხი დიდი ქვევრი უნახავს, რომელშიც, მისი აზრით, ალბათ, ღვინოს ინახავდნენ. მარნის ნაშთები შემორჩენილია აგრეთვე აჭარისაღმართსა და ჩიქუნეთში (ხელვაჩაურის რაიონი), ვარჯანისში, ახოში. აბუქეთაში (ქედის რაიონი), ჭვანაში. ტაკიძეებში (შუახევის რაიონი), აჭყვისთავში (ქობულეთის რაიონი).[20] უეჭველია, მარნის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ამავე სახელწოდების ტოპონიმი სოფელ ვაშლოვანში (ხულოს რაიონი), სადაც ძველი ქვევრებიც უნახავთ.[21]

ამათგან ცალკე უნდა გამოეყოთ სოფელ ჯოჯოში (ხელვაჩაურის რაიონი) 1950-იან წლებში ნაპოვნი მარანი ქვის საწნახლებითა და ქვევრებით, რომლის მიდამოებში ამ დროს ჯერ კიდეე ცოცხლობდა გაველურებული ეაზი.[22]

ჭურ-ქვევრები ნიეთიერი კულტურის ის ელემენტებია, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მემინდვრეობა და მეევნახეობა-მეღვინეობის გონიერული განვითარება. თ. სახოკია ასი წლის წინ წერდა: „თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ნარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმასაღა ჰმოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა".[23] ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ დიდი თუ მცირე ტევადობის ქვევრებით მოფენილია როგორც ქვემო (ბარის), ისე ზემო (მთის) აჭარა, მისი ძველი დასახლებული ადგილები, ნაქალაქარები და ნასოფლარები.[24]

---

18 ნ.ჩიჭავაძე. მევენახეობის ისტორიიდან აჭარაში. – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფია-არქეოლოგიის განყოფილების ფონდი. №159. 1969, გვ. 32; კ.ბერიძე. მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში. ბათუმი, 1975, გვ. 17.

19 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 299.

20 კ.ბერიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

21 ც. ჯოხია. მასალები მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის ხულოს რაიონში. – სდსყკ, XII. თბ., 1986, გვ. 50.

22 ჯ.ჩხეიძე. აჭარული სამეწყალთმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება. – ბსკშ. ბათუმი, 1960, გვ. 88

23 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

24 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. კ. 46. ბერიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

საღვინე თუ სხვა დანიშნულების ქვევრები ადგილზე მზადდებოდა. თიხის სხვადასხვა ნაკეთობათა და მათ შორის, ქვევრების წარმოების ლოკალური კერები არსებობდა დღევანდელი შუახევის ცენტრში, მაჭახლისა და მერისის ხეობებში. ასეთი ნაკეთობანი შემოჰქონდათ აგრეთვე ბორჩხის (ჭოროხის ხეობა) სამეთუნეო ცენტრიდანაც.

მეევნახეობა-მეღვინეობამ აჭარაში თავისი კეალი ტოპონიმიკაშიც დატოვა. ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა ვენახი, ნავენახარი, ზეარე, მარანი, ნამარნეები, ჭურათი, ნაჭურვალი, ჭურიპირი, საწნახელა, — ამის ნათელი დადასტურებაა. მაღლარის ძველ ჯიშებთანაა დაკავშირებული ტოპონიმები კოლოშნარი (სოფ. ვაიო), ჩხუში (სოფ. დოლოგანი). ჯინიში (სოფ. კოკოტაური), მათინაური (სოფ. ცხმორისი) და სხვ.[25]

ქვისა და ხის მარან-საწნახელების მრავალფეროვნება, მიწაში ჯგუფად ჩაფლული ქვევრები გვაფიქრებინებს, რომ წარსულში აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული უნდა ყოფილიყო როგორც ღია, ისე დახურული ტიპის მარნები. ამათგან უპირატესობა დახურული ტიპის მარნებს უნდა ჰქონოდა.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში მეევნახეობა დაკნინდა, მეღვინეობა კი თითქმის მოისპო. ლიტერატურაში ამის გამომწვეული მიზეზები სხვადასხვანაირადაა ახსნილი. ზოგიერთის აზრით[26] ოსმალებმა აჭარაში ისლამი თითქოს იმისათვის გაავრცელეს, რომ ეს რელიგია ღვინოსა და საერთოდ სპირტიანი სასმელების ხმარებას კრძალავდა. ამიტომაც, მომხდურებმა ვაზი აქ დაჰყრობისთანავე ააჭრეინეს, რის გამოც მეევნახეობა ერთბაშად დაეცა, განადგურდა მარან-საწნახელები, ქვევრები, მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვა იარაღ-ინვენტარი და ა.შ. მეორეთა მტკიცებით,[27] ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში მთლიანად აიჭრა და განადგურდა დაბლარი ვენახი, ხოლო მაღლარი ვენახი ასეთ განადგურებას შედარებით გადაურჩა. ამის საბუთად ისინი იმოწმებდნენ ქედის რაიონში ჩაწერილ ლექსს "ჩალმა ჩაყრილო ვენახო" და მის შექმნას დაბლარი ვენახის აჩეხვას უკავშირებდნენ.

ცხადია, ოსმალთა ბატონობამ აჭარასა და მთელ სამცხე-საათაბაგოში მეევნახეობისა და, პირველ რიგში, მეღვინეობის საერთო განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია, მაგრამ ამ ფაქტის ახსნა იმ მოტივით, რომ დამპყრობლებმა თითქოს ერთბაშად აჭრეს ვაზი და მეევნახეობა-მეღვინეობაც თავისთავად მოისპო, სწორი არ არის. აჭარაში ვაზის აჩეხვის, მარან-საწნახლებისა და მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვა იარაღ-ინვენტარის განადგურების ფაქტები, და ისიც ოსმალთა ბატონობის პირველ ხანებში, სინამდვილეში არ დასტურდება. ჯერ ერთი, ოსმალური რეჟიმი აჭარაში ნელა იკაფავდა გზას, ვიდრე სამცხე-საათაბაგოს სხვა რაიონებში, რაც მოსახლეობის შეუპოვარი ბრძოლის შედეგიც იყო. გ. ყაზბეგის ცნობით, მაჰმადიანობა აჭარაში მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულიდან ერცელდება, ხოლო ოსმალთა ფაქტიური გავლენა XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება. მანამდე აჭარას ადგილობრივი ბეგები განაგებდნენ და ოსმალები მათ საშინაო საქმეებში ფაქტობრივად ვერ ერეოდნენ. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დამპყრობელს კიდეეც რომ მოენდომებინა ვაზის აჩეხვა, ამას იგი ვერ შესძლებდა. როგორც ჩანს, დასახელებულ ავტორებს აჭარის სინამდვილეში მექანიკურად გადმოაქვთ ვაზის აჩეხვის ფაქტები, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში თემურლენგისა (XVI ს.) და შაჰ-აბასის (XVII ს.) შემოსევების დროს. ვაზის აჩეხვა მაშინ სწორედ რომ საქართველოს ეკონომიკურად დაუძლურებას ისახავდა მიზნად, რამდენა-

---

25 გ.დიასამიძე. მამაპაპური ვენახი. — ჟურნ. „ჭოროხი". 1980, №6, გვ. 78.

26 ნ.ნიბერაძე. აჭარა თურქთა ბატონობისა და ცარიზმის პერიოდში. ბათუმი, 1960, გვ. 123; ი.ციციაძე. მეევნახეობა აჭარაში. ბათუმი, 1976, გვ. 6; კ.ბერიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

27 ჯ.ბზიეიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 91-93.

დაც მეეენახეობა-მეღვინეობა არსებით როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ოსმალები ამ შემთხვევაში აჭარის მიმართ ზემოქმედების სხვაგვარ მეთოდებსა და ხერხებს მიმართავდნენ: ისლამის სარწმუნოება კრძალავდა ღვინის დაყენებასა და მოხმარებას და არა მეეენახეობას. ამასთან დაკავშირებით, ანგარიშგასაწევია შემდეგი ფაქტი: ზემო და ქვემო აჭარის და ბათუმის ლივების შესახებ არსებული ოსმალური საგადასახადო დავთრებით (XVI– XVIII სს.) ირკვევა, რომ სხვა გადასახადებთან ერთად, აჭარის მოსახლეობა საკმაოდ დიდ გადასახადს (50 ათას ახჩზე მეტი) იხდიდა შირაზე (ყურძნის ბადაგი).[28] მეეენახეობის მოსპობით ოსმალო დამპყრობლები, ცხადია, შემოსაველის გარკვეულ წყაროსაც კარგავდნენ. ბუნებრიეია, თვით მოსახლეობაც არ დაუშვებდა ხელი აეღო შემოსაველიან დარგზე, რომელიც ცხოვრების ერთ-ერთ სახსარს შეადგენდა.

ღვინის მომხმარებლები იყვნენ ეკლესია-მონასტრებიც, რომლებსაც თავიანთი მარანსაწნახელებიც გააჩნდათ. ისლამის შეტევაც ძირითადად ქრისტიანობისა და რელიგიური დაწესებულებების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეკლესია-მონასტრების გაუქმებასთან ერთად აქ ღვინის დაყენების ტრადიციაც ისპობოდა. ამის გამო მარან-საწნახლები, მიწაში ჩაფლული საღვინე ქვევრები, საერთოდ, მეღვინეობის ტრადიცია დადუმდა, ისტორიის საკუთრება გახდა. მეღვინეობას თანდათან გამოეცალა საფუძველი და ბოლოს გაქრა, მეეენახეობა (ძირითადად, საგმელი ჯიშები) კი დარჩა. სპეციალისტთა აზრით, შორეულ წარსულში ეაზის საღვინე ჯიშები აჭარაში კარგად იყო განვითარებული და მეეენახეობასაც ძირითადად, საღვინე მიმართულება ჰქონდა, თუმცა, მეღვინეობის მოსპობას ამ საღვინე ჯიშების გადაშენებაც ენდა გამოეწვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრე საღვინე ყურძენი და ღვინო ექსპორტის საგანიც იყო. შემდეგ კი იგი სასაქონლო ხასიათს ჰკარგავს. ‘ხემო აჭარის მაგალითზე გ. ყაზბეგი 1874 წერდა: „რამდენიმე წლის წინათ აჭარაში მოდიოდნენ ახალციხის სომხები, ყიდულობდნენ ყურძენს და იქვე წურავდნენ ღვინოს, მაგრამ ახლა ამ საქმეს აღარ მისდევენ, ალბათ იმიტომ, რომ საოფიანი ვერ გამოდგა.”[29] ეს ცნობა იმითაც არის საყურადღებო, რომ ოსმალთა ბატონობის დროინდელ აჭარაში ღვინის დაყენებას არამუსლიმანი ხალხის წარმომადგენლები მაინც მისდევდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით ქვემო აჭარის, განსაკუთრებით კი ბათუმის ბაზართან ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა ყურძნითა და მისი პროდუქტებით ვაჭრობის ტრადიციას კვლავინდებურად აგრძელებდა და იგი ოჯახის შემოსავლის დამატებით წყაროდ რჩებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოში ეაზის სხვადასხვა დაავადების (მილდიუმი, ოიდიუმი, ფილოქსერა) გავრცელების შედეგად, თითქმის მთლიანად განადგურდა ადგილობრივი მაღლარი ეაზის ჯიშები, რომელთა ადგილი თანდათანობით იზაბელამ („ადესა“) დაიკავა. მის გვერდით დასავლეთ საქართველოში დაბლარი ვენახის გაშენებაც დაიწყო.[30] ეს დაავადებები მოგვიანებით აჭარის მეეენახეობასაც შეეხო, მაგრამ აქ იგი ისეთი კატასტროფული ხასიათისა არ უნდა ყოფილიყო, როგორც სხვაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში XX საუკუნის 30-იან წლებამდე მაღლარის ზემოთ დასახელებული ძველი ჯიშები ასეთი სიმრავლით არ შემოგვრჩებოდა. თუ ამ ჯიშების დიდი ნაწილი გადაშენდა, ეს, ნაწილობრივ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ შემოტანილი ახალი ჯიში („ადესა“) დაავადებების მიმართ

---

28 იხ. ნ.შენგელია. ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა აჭარაში XVI– XVIII საუკუნეებში (წინამდებარე ტომის IV თავი).

29 გ.ყაზბეგი. დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

30 ჯ.გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. 4. წიგნი პირველი. თბ., 1965, გვ. 504.

შედარებით უფრო გაძლეა და უხვმოსავლიანი აღმოჩნდა, რის შედეგადაც მან გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

აჭარაში მევენახეობის ტრადიციები ერთბაშად არ ჩაქცეულა. ხანდაზმულ პირთა გადმოცემით (წაწერილია მაჭახლის ხეობაში), ზოგიერთები მალულად ოსმალთა ბატონობის დროსაც აყენებდნენ ღვინოს.[31] ესეც ნათელი დასტურია იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, პირველ რიგში კი — გლეხობა, უცხოური რეჟიმის პირობებში, ხელაღებით არ თმობდა ძველ სამეურნეო ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს. მართალია, იგი ღვინის დაყენებას არ მისდევდა, მაგრამ მამაპაპური ვაზის ჯიშებს უფრთხილდებოდა, ახარებდა, ინახავდა.

ცნობილია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და, მათ შორის, აჭარის მოსახლეობისათვის მეტად მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა მუჰაჯირობა, რომელმაც აქაური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყვიტა მშობლიურ მიწას და უცხო მხარეში გაიხიზნა. ამ მოულენამ სამეურნეო ცხოვრებაზეც უარყოფითი გავლენა იქონია. მოიშალა და გაპარტახდა გასახლებულთა სახლ-კარი. მოუვლელობის გამო ვაზი და ხეხილიც გადაშენდა. „გიტყიურდა". გაჩნდა ადგილის სახელწოდება „ნაყენახარი". ასე რომ, მუჰაჯირობამაც აჭარაში მევენახეობის განვითარებას თავისი დაღი დაასვა.[32]

ამდენად, აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს მევენახეობა-მეღვინეობის დაცემის მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა და იგი დაკავშირებულია როგორც რელიგიურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურმა ფაქტორმა პირდაპირი გავლენა იქონია ღვინის დაყენებისა და მოხმარების, ვაზის საღვინე ჯიშების შემცირება-დაცვმაზე და არა საერთოდ მევენახეობის მოსპობაზე. ამ ფაქტს აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ვაზის ძველი ჯიშები, გვიან შემოტანილი იზაბელას (ადესა) გარდა, აჭარაში დღეისათვის ერთეული ეგზემპლარების სახით შემორჩა. გამონაკლისს შეადგენს ხულოს რაიონის სოფელი ჩაო, სადაც ათეულზე მეტი ჯიში შემორჩა (ჩხაეერი, ცხენიძუძუ, შავშურა, ხოფათური, თავკეერი, კლარჯული, ჯავახეთურა, ქორქაულა, ჯინეში, ჭოდი, ჭეტკებერა, მტკეანდიდი, საწურაეი და სხვ.). იზაბელა საყოველთაოდ არის გავრცელებული და ერთნაირადაა შეგუებული აჭარის ბარისა და მთის პირობებს.

ძველი ჯიშების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით, 1934 წელს ქედის რაიონში მოეწყო ვაზისა და ხეხილის საცდელ-საჩეენებელი ნაკეეთი, სადაც გაშენდა ზოგიერთი ძველი მაღლარის ჯიში. საქართველოს სხვა რაიონებიდან შემოტანილი იქნა დაბლარი ჯიშები: ცოლიკაური, ციცქა, საფერავი, რქაწითელი და სხვა, რომლებიც გაშენდა ქედის, ხულოს, შუახეეის, ხელვაჩაურის რაიონების ზოგიერთ სოფელში.[33]

---

31 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ9.

32 არსებობს სრულიად განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით აჭარაში მევენახეობის მდგომარეობაზე თითქოს მკვეთრი გავლენა იქონია მიწათმფლობელობის ოსმალურმა სამხედრო-ლენურმა სისტემამ. მოსაზრების ავტორი აავალიანი ამტკიცებდა, რომ ამ სისტემიდან გამომდინარე მიწისმფლობელობის პირობითი სასათი (მიწაზე კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვა, მწარმოებელ კლასზე — გლეხებზე მიწის ოჯარით გადაცემა, მრავალწლიანი ნარგავების გაშენების აკრძალვა, მიწის შესყიდვაზე დაწესებული დიდი თანხა, რომლის გადახდაც გლეხობას არ შეეძლო და სხვ.) არ იძლეოდა მრავალწლიანი კულტურების (ვაზი, ხეხილი) გაშენებისა და განვითარების საშუალებას. მისი აზრით, ეს იყო მევენახეობის დაქვეითება-მოსპობის ძირითადი მიზეზი (აავალიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1960, გვ. 70-72). ჯერ ერთი, როგორც დავინახეთ, მევენახეობა ოსმალთა ბატონობის დროს არ მოსპობილა (მეღვინეობა მოისპო, მევენახეობა დარჩა). მეორე, მიწისმფლობელობის ოსმალური სისტემა აჭარაში წმინდა სახით დამკვიდრებული არ ყოფილა და მისი მექანიკური და სრული სახით გადმოტანა აჭარაზე გამართლებული არ იქნებოდა.

33 მ.ნუცუბიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

დღეისათვის დაბლარ ვენახს მცირე ფართობები უკავია.

აჭარის მოსახლეობის ყოფაში ყურძენსა და მის პროდუქტებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ოსმალთა ბატონობის დროს, როდესაც ისლამის კანონმდებლობით ღვინის დაყენება და მოხმარება იკრძალებოდა, ზემო აჭარის მოსახლეობა ყურძნის წყენისაგან მაინც ამზადებდა ტკბილ დასალევს – ხარდალს და მას ღვინის მაგიერ ხმარობდა. აჭარაში მზადდებოდა ბაქმაზი, ლეჩერი, ყურძნის ფაფა (ფელამუში), ჯანჯუხი, ჩირი. აჭარელთა რაციონში წარსულში ფართოდ გამოიყენებოდა თვით ყურძენი, რომლითაც, ხალხური გადმოცემით, „გაჭირვების ჟამს ჯერზეც გადადიოდნენ". ეს საერთო მოვლენა ჩანს საქართველოში, სადაც, იე. ჯავახიშვილის თქმით, პურის ნაკლებობის, სიძვირისა და შიმშილის დროს მდაბიო ხალხი ყურძნითა და ხილით იკვებებოდა. მაგალითისათვის დასახელებულია ერთი ადგილი აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან, რომელიც გვამცნობს, რომ ერთ-ერთი ტაძრის მშენებლობის დროს ქვითხურო ბასილს საჭმელად ყურძენი და ხილი მიართვეს.[34] ამჟამად ყურძნის დიდი ნაწილი ღვინის დამზადებას ხმარდება, ნაწილი კი ბაზარზე იყიდება და შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

§3. მესაქონლეობა

ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით, აჭარა მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით ხასიათდება. აჭარის სამეურნეო დასახიათებისათვის მიღებულია მისი ტერიტორიის ბარის, მთისწინა და მთიან ზონებად დაყოფა[1]. ამ ზონების სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აჭარის ბარში უპირატესად განვითარებული იყო მებაღეობა და მებოსტნეობა, მთისწინა და მთიან ზონაში კი ისტორიულად ჩამოყალიბდა მეურნეობის სიმბიოზური ფორმა – მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სახით, თუმცა, მის ზოგიერთ მაღალმთიან ნაწილში, ხელსაყრელი კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების წყალობით, მესაქონლეობის უპირატესი განვითარება შეინიშნება.[2]

XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ეთნოგრაფიული მასალებით, აჭარის მთისწინა და მთიან ზონებში მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზურობა ტრადიციული ჩანს და აქაური მეურნეობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა. ეს ვითარება კარგად აისახა, ერთი მხრივ, ადგილობრივი სახნავ-სათესი სავარგულების გაპატივებასა და გამწვე ძალად მუშა-პირუტყვის გამოყენების მრავალნაირ ფორმებში, მეორე მხრივ, მემინდვრეობის ციკლის რთულ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფდა მესაქონლეობის საკვები ბაზის განვითარებასა და გაფართოებას.[3]

მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური ფორმა აჭარის ალპური მესაქონლეობის თავისებურებებითაც იყო განპირობებული. ვერტიკალური ზონალობის შესა-

---

[34] იე.ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. V. თბ., 1986, გვ. 618.

[1] ტერმინი "ბარი", მისი ძირითადი გეოგრაფიული ცნებისაგან განსხვავებით, დასახლებათა ზოლს – მთისწინა და მთის ზონის „ბარსა" და „სოფელს" აღნიშნავს. ხალხური დახასიათებით, გეოგრაფიული ბარის გარდა, ამ ცნებაში იგულისხმება მთური მუდმივი დასახლების ზონა, ანუ მთიანეთის სასოფლო დასახლება, განსხვავებით სუბალპური თუ ალპური ზონის სეზონური დასახლებისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, მთად იწოდება.

[2] ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. – ბსკიშ. I, ბათუმი. 1960; ვ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბილისი, 18969, გვ. 46-47.

[3] Шамиладзе В.М. Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии.,Тб., 1979, с. 219-221.

ბამისად, სახეზე გვაქვს მესაქონლეობის მთისწინა (ბარი//სოფელი), მთისა (ფერდა//ყიშლა) და მაღალმთიანი (მთა//იაილა) ფორმები შესაბამისი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით.[4] სოფლის მიმდებარე საეარგულებზე საგაზაფხულო ხვნის დაწყებასთან და სათიბების შემოღობვასთან ერთად, საქონელი ჯერ მთისწინა სოფლებიდან წინაალპურ პარალელურ სამეურნეო ბაზებზე — ფერდაზე ანუ ყიშლებზე გადაჰყავდათ, შემდეგ კი ალპური საძოვრების ზონაში, სადაც შემოდგომამდე რჩებოდნენ. ზაფხულის განმავლობაში ფერდა სათიბად იყო გამოყენებული. აქვე მოჰყავდათ ბოსტნეული. სექტემბრის დასაწყისში, როცა მთებში აცივდებოდა, საქონელს ისევ ფერდაში გადმორეკავდნენ, სადაც ივი დაახლოებით ერთ თვეს რჩებოდა. მოსავლის აღებისა და ზამთრის საკვების დამზადების დამთავრებისთანავე, საქონელს ისევ სოფელში ჩამორეკავდნენ და გაზაფხულამდე ბაგურ კვებაზე ინახავდნენ. აჭარის ზოგიერთ სოფელს ახლოს სამიწათმოქმედო-მესაქონლური კომპლექსით აღჭურვილი საზამთრო ფერდაც (ბაზა) გააჩნდა.

მთიანი აჭარის მეურნეობის სიმბიოზური (შერწყმული) ხასიათი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების გეგმაზომიერ განვითარებას გულისხმობდა. მიწის საეარგულების სიმცირე სახნავ-სათესი ფართობის თვითნებურად გაზრდის შესაძლებლობას არ იძლეოდა, რაც საბოლოო ანგარიშით ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში საკვებით მომარაგებაში გარკვეულ დისპროპორციას ქმნიდა. აჭარაში საქონლის ბაგურად შენახვის თავისებურებანი (მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი, უმეტეს შემთხვევაში ზამთრის საძოვრების უქონლობა, საკვების სიმცირე და სხვ.) მხოლოდ შედარებით ამტანი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენების საშუალებას იძლეოდა.[5]

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მთისწინა აჭარის სოფლის საშუალო შემლების ოჯახი ინახავდა 5-10 სულ მეწველ და მოზარდეულ საქონელს, 1-2 ულაყს ხარს, 3-5 ცხვარს, ცხენს და ა.შ. მაღალმთიან სოფლებში წვრილფეხა საქონლის სულადობა 15-20 სულს არ აღემატებოდა.

მეწველი საქონელი აჭარაში ძირითადად ადგილობრივი ჯიშისა იყო. აჭარული ძროხა თავისი წარმოშობით საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ჯიშებს (ხევსურულს, ფშაურს, რაჭულს) განეკუთვნება[6] და რძის მაღალი ცხიმიანობითაც ხასიათდება. ამ ჯგუფიდან უპირატესობას ანიჭებენ ხევსურულ ძროხას, რომელიც გენეტიკურად უძველეს კოლხურ ჯიშს უკავშირდება.[7]

მთიანი აჭარის ზოგიერთ ხეობაში ფართოდ იყო დანერგილი ახალი ჯიშის საქონლის სელექციის პრაქტიკა. მისი ცენტრები არსებობდა ღორჯომში, დიდაჭარაში, ძირკეთილებში, ინწკირევეთში, ნაღვარევში, ჭვანაში, თხილვანაში და სხვა სოფლებში. აჭარელმა მესაქონლეებმა კარგად იცოდნენ ადგილობრივი და შემოყვანილი საქონლის სამეურნეო თვისებები, სამეურნეო-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან მათი შეგუების უნარი. შემოყვანილი ჯიშების აკლიმატიზაციის პირობებში მოსახლეობა მიმართავდა საქონლის შერჩევას წველადობის, ამტანობის და ნაყოფიერების მიხედვით. საქონლის გამოყ-

---

4 ვ.შამილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

5 გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1962, გვ. 108; ვ.შამილაძე. მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში. — სეს, თბ., 1964, გვ. 240; Лащариус В. Статистическое описание лесов Батумской области. — ТКОСХ.1886. №7-8.с.347.

6 ნ. ოსელიანი. ქართული ბრახიცეროსების კრანიოლოგიური გამოკვლევა. — საქ.სახ.მუზ.მოამბე, ტ.III., 1926, გვ. 40-41; მისივე. მასალები ხევსურული ძროხის ოსტეოლოგიისათვის. — საქ. სახ. მუზ. მოამბე. ტ. IV, 1927, გვ. 74, 78.

7 ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე), თბ., 1946, გვ. 4.

ვანისა და შერჩევის მაღალი ოსტატობა და საჯიშე ცენტრების საქმიანობა არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა მეზობელ რაიონებშიც კარგად იყო ცნობილი. აჭარული ძროხა, რომელსაც ქართულ-კავკასიური მთის ჯიშის საუკეთესო თვისებები გააჩნდა (პატარა ტანი, მკვრიელი და ელასტიური აგებულება, კარგი მადა და ენერგიულობა), შესაბამის სამეურნეო-ბუნებრივ პირობებში პროდუქტიულობითაც გამოირჩეოდა. ყურადღებას იპყრობს აქაური ჯიშის ძროხის რძის მაღალი ცხიმიანობა, მუშა პირუტყვის დიდი გამძლეობა და შრომისუნარიანობა.

აჭარელთა მაღალი ოსტატობა საქონლის ჯიშის შერჩევასა და გამოყვანაში აბათილებს XIX ს. ზოგიერთი მკვლევრის სუბიექტურ აზრს ადგილობრივი მოსახლეობის „უმეცრებასა" და საერთოდ, საქონლის ადგილობრივი ჯიშის შერჩევასა და გამოყვანაში სამეურნეო-კულტურული საქმიანობის დაბალი დონის შესახებ[8]. დადასტურდა, რომ ამგვარ საქმიანობას ხალხში უძველესი ტრადიციები გააჩნდა, რაც მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია[9]. უფრო მეტიც, ამ დარგის ყოველ სფეროში ადამიანების მდიდარი საწარმოო გამოცდილება სამეურნეო-გეოგრაფიულ მიკრორაიონებშიც კი არანაკლებ ინდივიდუალურ კონკრეტულ ემპირიულ ალღოს აელენს. ადგილობრივ რთულ სამეურნეო პირობებში ამას თავისი ახსნა მოეძებნება. ძროხების ასაკობრივი, თვისებრივი და სხვა თავისებურებანი აქ შემუშავებულ მდიდარ ხალხურ ტერმინოლოგიაშიც აისახა. კონკრეტულია მოსახლეობის ცოდნა მსხვილი რქოსანი პირუტყვის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში. მეტად საინტერესო მოელენასთან გვაქვს საქმე წველის პროცესთან დაკავშირებითაც. ამ დროს მწველავი საგანგებო სიმღერას ასრულებდა, რაც, ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, პირუტყვზე კეთილსასურველ გავლენას ახდენდა. ამ სიმღერების ტექსტუალური და მუსიკალური მხარეები გვაფიქრებინებს, რომ მისი შესრულების პრაქტიკა საერთოდ შრომითი სიმღერების უძველეს სახეობაზე უნდა მიგვანიშნებდეს[10].

აჭარა'ში ძირძველი ტრადიციები გააჩნია გამწვე ძალად ხარის გამოყენებას. ისტორიულ წყაროებთან[11] ერთად, ეს გარემოება ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული სახვნელი იარაღებისა (არვანა, ჯილღა) და გადაზიდვის საშუალებათა (არვანა, ჯილღა, მარხილი, სელი, ძიგლიგა და სხვ.) მრავალფეროვნებითაც ,არის განმტკიცებული, რომელთა გაკეთებისთვის და სრულყოფაში აჭარის მოსახლეობამაც დიდი წვლილი შეიტანა[12].

აჭარაში მუშა პირუტყვის მოშენებასა და ხვედრითი წილის ზრდას ხელს უწყობდა მიწათმოქმედებაც. იგი, ადგილობრივი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, საქართველოს სხვა მთიან რაიონებთან შედარებით, უფრო დაწინაურებული იყო.[13] მიწათმოქმედებაში ხარის გამოყენება მისი ასაკობრივი დასახელებიდანაც ჩანს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტერმინები ცუდკალო (ხარი, რომელიც ახალგაზრდა ასაკის გამო ჯერ კიდევ ვერ შეჩვეულა კალოზე მუშაობას), კალო (კალოობაზე მონაწილე ხარი). ამ

[8] Натроев А. О крупном рогатом скоте в Тифлисской губернии. – ТКОСХ. 1891, №78, с. 308; Андроников И.З. Скотоводство в Закавказском крае. – СМНЭБГКЗК, VI.Тифл. 1888, с. 185; Обзор Батумской области за 1910 г. Батуми, 1912, с.31.

[9] გ.ჩიტაია. ხეესურული სახლის „სენე". – ანალები. – ივ.ჯავახიშვილის სახ.ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1947.

[10] ვ.შამილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[11] აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე (1233 წლის ტექსტი). თბ., 1941, გვ. 58.

[12] გ.ჩიტაია. მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის. – საქ.სახ.მუზ.მოამბე. V. 1930, გვ. 282-285; მ.გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი. I. თბ., 1956, გვ. 31-32; Бакрадзе Д. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. СПб., 1878, с. 55.

[13] ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

ტერმინებში მკაფიოდ ჩანს ხარის ასაკის შესაბამისად შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობა – თავდაპირველად მისი კალოობაზე, შემდეგ კი ხვნა-თესვაში გამოყენება.

ხალხური დაკვირვებით, ხარის შრომისუნარიანობა ბევრად იყო დამოკიდებული უღელში შებმის შენაცვლებასა და კასტრირებაზე. ასე, მაგალითად, უღელში შებმეების პროცესში მიღებული იყო ხარის „ხელით გამოყვანა", მისი შებმა სათრიელში (საზიდი საშუალება), შედეგ – უღელში (ჯერ კალოზე, მერე გუთანსა და ურემში). ახალგაზრდა ხარის უღელში შებმისას გათვალისწინებული იყო ტოლის დადება – უღლის ცენტრის უფრო ძლიერი პირუტყვის მხარეს გადატანა. კასტრაციისას ყურადღება ექცეოდა ხარის ასაკს. კასტრირებული პირუტყვის უღელში შებმის ვადებსა და ა.შ. კასტრირებას ახდენდნენ სპეციალურად განსწავლული პირები, რომელთაც საფასურად ერთი ხარის კასტრაციაში 1-2 კგ ყველს უხდიდნენ.

აჭარისწყლის ხეობის მთიან სოფლებში მუშა პირუტყვის დადაღვის//თაჯის დადების, ხერის დადების (ყურის გაჭრის) სხვადასხვა ხერხსაც მიმართავდნენ. საქონლის დადაღვა აჭარის ყველა ხეობაში როდი იყო გავრცელებული. სამაგიეროდ, საქონლის ავადმყოფობის შემთხვევაში განკურნების მიზნით "ყურის შეჭრის" წესს თიოქმის ყველგან მისდევდნენ.

აჭარაში მუშა საქონელს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებასა და სალაგ შრომით პროცესებში იყენებდნენ. კერძოდ, ცალუღელში (ტყიდან შეშისა თუ სამშენებლო მორების გამოტანისას), მარხილში (თიბვისა და მკის პერიოდში), ურემში (ხარმანობის ანუ მარცვლეულის აღების დროს, სამშენებლო მასალის მოტანაში თუ სხვა სამუშაოებში) და ა.შ.

მუშა პირუტყვის ერთობლივი გამოყენების ფორმებიდან, აჭარაში ცნობილი იყო დამოდგამება (ხვნა-თესვაში მუშა საქონლის გაერთიანება), ბეგლობა (იმავე მიზნით თითო ხარის გამოყვანა) და ხარნადი – მეზობლებისათვის მუშა პირუტყვით მიხმარება. ყურადღებას იქცევს მუშა საქონლის განათხოვრება, აგრეთვე რაიმე საზღაურით დროებით სარგებლობაში მისი გადაცემა. ჭვანის და ღორჯომის ხეობებიდან ხარით და ცხენით ქირაზე სამუშაოდ ჭიათურის მადაროებშიც დადიოდნენ[14]. მუშა საქონლის გამოყენებას ფართო ხასიათი უნდა ჰქონოდა ბათუმი-ახალციხის გზატკეცილის მშენებლობის დროსაც.

სამეურნეო ყოფაში ხარის დიდი როლი სულიერ სფეროშიც აისახა. ტბის ხარის შესახებ აჭარაში გავრცელებული გადმოცემები, სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენა და რიტუალები, ასევე ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები და სხვ.) ხარის კულტის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს[15]. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არქეოლოგების მიერ აჭარის ტერიტორიაზე მოძიებული თიხის სადგრები რქების გამოსახულებით, ხარის თავი და ა.შ.

რელიგიურ-საკულტო გადმონაშთებში ყურადღებას იქცევს ბუღა ხარების გამოზრდის პრაქტიკა. ამგვარად გამოზრდილი ხარების პატრონები დიდი აუტორიტეტით სარგებლობდნენ საზოგადოებაში და ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ მათ გაზრდასა და გაწერთნაში. ბუღების (ხარების) ბრძოლა სოფლის მთელი მოსახლეობის თანდასწრებით ეწყობოდა. მართალია, დღეანდელ აჭარაში ამ წეს-ჩვეულების რელიგიურ-რიტუალური ხასიათი თითქოს აღარ დასტურდება, მაგრამ ხარების ბრძოლის ცალკეული დეტალები საკვლევით ანალოგიურია წმინდა ხარების ბრძოლის მომენტებისა, რაც ქართულ ეთნოგ-

---

[14] გ.შამიდაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[15] Бардавелидзе В.В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957, с. 256-259.

რაფიულ სინამდვილეშია დადგენილი[16]. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აჭარაში ხარეების ბრძოლის შემდეგ მათი პატრონებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭიდაობაში, რაც სამეგრელოში კურულის (ხარების ჭიდაობის) შემდეგ გამართულ ჭიდაობას ჩამოგავს.[17] წმინდა ხარების ბრძოლა და „კურული", რომელთა ცალკეული დეტალები აჭარაშიც დასტურდება, პარალელებს პოულობს კრეტა-მიკენურ სამყაროში, სადაც ხარის კულტს დიდი ადგილი ეთმობოდა საკულტო-რიტუალური ხასიათის სანახაობებში.[18]

მთისწინა ზონის მეურნეობაში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შერწყმული განვითარების ინტერესები, აგრეთვე ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები (ვიწრო ხეობები, დაქანებულ-დასერილი რელიეფი, ბუჩქნარითა და ტყეებით დაფარული ნიადაგის საფარის ხშირი ეროზია) მთისწინა დასახლებებში რამდენადმე ზღუდავდა საკვებ ბაზას, რაც მესაქონლეებს აიძულებდა რაციონალურად გამოეყენებინათ სხვა სახის საკვები (ნეკერი, მარცვლეული, ხელოვნური და კონცენტრირებული საკვები). ყოველივე ეს, ბუნებრივია, გაელენა ახდენდა საქონლის გამოზამთრებაზე.

საქონლის გამოზამთრება ბაგურ პირობებში ოჯახისაგან შრომის ორგანიზაციის მკაცრ რეგლამენტს მოითხოვდა. აჭარაში მუშა ძალის ეკონომიკური გამოყენების, საკვების რაციონალური განაწილებისა და საქონლის ნორმალური გამოზამთრების საქმეს საგანგებოდ გამოყოფილი პირები – მეახორეები განაგებდნენ, რომლებსაც საქონლის მოელის სადღეღამისო ციკლში განსაკუთრებული ფუნქციები ეკისრებოდათ (ბაგის გაწმენდა, პირუტყვისათვის საკვებისა და მარილის მიწოდება, სადგომის დარწყულებადასუფთავება და ა.შ.).

აჭარის მთისწინეთის მესაქონლეობაში შრომის ორგანიზაციის ფორმებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია საქონლის „დაბმა" და „დაზიარება". „დაბმა" მიზნად ისახავდა ზამთრის საკვებით უფრო უზრუნველყოფილ სოფელში პირუტყვის დროებით მიბარებას. აჭარაში მთიანი სოფლებიდან საქონელს ბარში მიაბარებდნენ. ეს გარემოება, ერთი მხრივ, ბარში საქონლის საერთო სულადობის სიმცირით აიხსნებოდა, მეორე მხრივ, მუშა პირუტყვის ნაკლებობის კომპენსაციის მოთხოვნილებით. ასეთ შემთხვევებში საქონლის შესანახად დადგენილი თანხა თუ ნატურით გადასახადი საქონლის გამოყენებით იცვლებოდა (შეშისა და სამშენებლო მასალის გადაზიდვა, თესვის კამპანია და ა.შ.). პირუტყვის გამოზამთრებისა და ფულადი გადასახადის პირობების დადგენისას, სასუქის (ნაკელი) საჭიროებაც იყო მხედველობაში მიღებული, რასაც მიბარებული საქონელი იძლეოდა.

აჭარაში წარმოდგენილი „დაზიარება", ანუ „სათაზიარო", რაც დიდი ხნით გაბარებული საქონლის ნამატის გაყოფას გულისხმობდა, ამიერკავკასიისა და საქართველოს სხვა კუთხეებში პირუტყვის მოვლის ცნობილი ფორმების ანალოგიურია. საერთოდ, საქონლის გამოზამთრების სიძნელეებთან დაკავშირებით, აჭარაში „დაზიარება" შესულუდული იყო. ეს ფორმა უფრო ხშირი იყო სხალთა-მარითის ხეობის მოსახლეობაში, აგრეთვე ქვრი-

[16] Бардавелидзе В.В. Древнейшие религиозные . . . сс. 256-259.

[17] გ.ჩიტაია. თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში). ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 2, თბ., 1959, გვ. 159.

[18] Бардавелидзе В.В. Древнейшие религиозные . . . сс. 200-201.

მესაქონლეებში, რომლებიც აჭარლების მიერ მიბარებულ პირუტყეს ქოლხეთის ზამთრის საძოვრებზე მიერეკებოდნენ.

აჭარის ალპურ მესაქონლეობაში ვერტიკალურ-ზონალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „ფერდას" ტიპის მეურნეობას. „ფერდას" სამეურნეო საკარგულები, კერძოდ, სახნავ-სათიბი და საძოვარი ნაკვეთები განლაგებულია სოფლებსა და ალპურ საძოვრებს შორის, სადაც მოსახლეობა საქონელს ადრეულ გაზაფხულზე (მთებში თოვლის დადნობამდე) და გვიან შემოდგომაზე („ფერდაზე" პირველი თოვლის მოსვლამდე) გადარეკავდა. სამეურნეო დანიშნულების გარდა, „ფერდა" დიდ როლს თამაშობდა საქონლის ალპური ზონის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის წინა აკლიმატიზაციაში.

ფერდაში, საქონლის მოვლა-პატრონობასთან ერთად, მისდევდნენ მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, ხოროხოს ხელოსნობასა და სხვა სამეურნეო საქმიანობას. თავისი კომპლექსური ხასიათის გამო (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, კალოები, წისქვილები, საცეხველები, სამეურნეო იარაღები, სატრანსპორტო საშუალებანი და ა.შ.), „ფერდა" ხშირად ძირითადი სასოფლო სტრუქტურის დანამატი საზამთრო ბაზის როლს ასრულებდა. ხელსაყრელი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, „ფერდა" სოფლად ან მის ცალკე დასახლებულ უბნად იქცეოდა. ეს პროცესი მთიან აჭარაში დასახლების ფორმების ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი იყო.

აჭარის მთურ მესაქონლეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია იმ ალპურ საძოვრებზე გადარეკვა, რომლებიც განლაგებულია აჭარა-ახალციხის, არსიანისა და აჭარა-გურიის ქედებზე. XIX ს. მეორე ნახევარში ამ საზაფხულო საძოვრებზე საქონელს მოერეკებოდა სამხრეთ-დასავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, აგრეთვე მომთაბარე მესაქონლეები – ქურთები და ხეშენები[19]. უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარაშიც ოსმალური მიწათმფლობელობის დამკვიდრებამდე საძოვრების თემური და ფეოდალური მფლობელობა უნდა არსებულიყო. ოსმალთა ბატონობის პერიოდში კი, ალნიშნული მიწები "ერაზი მირიეს" (სახაზინო მიწები) და „მეთრუქეს" (საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები) კატეგორიებში იქნა გაერთიანებული[20], თუმცა საძოვრები, ძირითადად, ცალკეულ საზოგადოებათა სარგებლობაში რჩებოდა. მფლობელობის ასეთივე ფორმა ძალაში დარჩა აჭარის განთავისუფლების შემდეგაც. XIX ს. მეორე ნახევარში სათიბ-საძოვრების გარკვეული ნაწილი ცალკეული მემამულეების (კეკელიძეების, ერისთავების, ხიმშიაშვილებისა და სხვ.) კერძო მფლობელობაშიც არსებობდა, თუმცა მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების გამო საძოვრები ხშირად იყიდებოდა და ხელიდან ხელში გადადიოდა, რაც გაელენას ახდენდა საძოვრების ექსპლოატაციაზე[21]. ასეთ პირობებში ზაზაფხულო საძოვრების საერთო ფართობის სამეურნეო მნიშვნელობის შენარჩუნება მხოლოდ მათი რაციონალური გამოყენების გზით შეიძლებოდა.

პირუტყეის მოვლა და სარძეეე მეურნეობის გაძღოლა საზაფხულო საძოვრებზე ანუ იაილობის პერიოდშიც შრომის ორგანიზაციის მტკიცედ განსაზღვრული ფორმების ემორჩილებოდა. ბარის მესაქონლეობისათვის დამახასიათებელი ფორმები (მეახორეობა, დაბმა, დაზიარება და სხვა) ალპური ზონის ზაზაფხულო საძოვრებზე იცვლებოდა სხვა ფორმებით (გაბარება//აბარება და ა.შ.). პირუტყეის გაბარება ბარის სოფლებიდან მთის სოფლებში საქონლის მოსავლელად გადაცემას გულისხმობდა.

---

19 Бакрадзе Д. Археологическое путешествие ... с. 73. ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრომი გვ. 167.

20 ა.ავალიანი. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1960.

21 ვ.შამილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

ალპურ მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა „მემთეურის“ ინსტიტუტს. მას სათავეში ედგა მეურნეობის მართვაში გამოცდილი ქალი. აჭარის საოჯახო მეურნეობაში ქალის უპირატესი როლი ძირითადად მესაქონლეობასთან, კერძოდ, მემთეურეობასთან იყო დაკავშირებული. მემთეურის მოვალეობანი მთაში პირუტყვის მოვლით, მოწველითა და რძის პროდუქტების დამზადებით ამოიწურებოდა. ალპურ სეზონზე იგი მენახირესთან ერთად მთელ მეურნეობას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს, ბარად საოჯახო მეურნეობის გაძღოლაში მას მზარეულის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. ამის გამო რძის პროდუქტების დამუშავება-დამზადება და განაწილება ბარშიც მემთეურის მოვალეობად ითვლებოდა. აჭარულ ოჯახში მემთეურედ უფროსი ქალი ან უფროსი რძალი ინიშნებოდა, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა საქონლის მოვლა-პატრონობა და რძის პროდუქტების დამზადება. ამიტომაც მემთეურის, ისე როგორც მეახორის, ცოდნა-გამოცდილებას ოჯახში ბავშვობიდანვე ეკრებოდა საფუძველი.

ალპურ მესაქონლეობაში მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრებოდა მენახირეობას. მე-19 ს. მეორე ნახევრის მონაცემებით, აჭარის უმრავლეს ხეობებში მესაქონლეობის ეს ფორმა საკმაოდ ჩამოყალიბებულ სახეს აღარებდა, რაც მსხვილფეხა მესაქონლეობის უპირატესი განვითარებით აიხსნებოდა. ამიერკავკასიისა და საქართველოს მთის სხვა რეგიონების მსგავსად, აჭარაში მენახირეობა სასოფლო-თემურ და ხეობების მიხედვით გაერთიანებას გულისხმობდა. მენახირეს ირჩევდა თემი ან სოფელი, ზოგჯერ ამა თუ იმ იაილის მოსახლეობა. მენახირის შრომის ანაზღაურება აჭარაშიც ძირითადად ნატურით ხდებოდა. ზოგიერთ ხეობაში (დორჯომი, ჭვანა, მერისი) წარსულში ცნობილი იყო ე.წ. მონაცვლეობით, რიგით მენახირეობა, რომლის დროსაც იაილებზე ასულ ყოველ კომლს მენახირის მოვალეობა რიგრიგობით უნდა შეესრულებინა. ამ შემთხვევაში ზოგჯერ მენახირეებად მწყემსებიც გვევლინებიან.

ბარსა და ალპურ მეურნეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის სისტემა საქონლის მოვლა-პატრონობის წლიურ ციკლში ბარისა და მთის მოსახლეობას შორის ურთიერთობის თავისებურ ფორმებს წარმოშობდა. ამასთან ერთად, აჭარელი მესაქონლეები მჭიდრო სამეურნეო-კულტურულ კავშირებს ამყარებდნენ საქართველოს მეზობელი რაიონების მოსახლეობასთან. ყველაზე ხშირად ეს ალპური სეზონის დროს ელინდებოდა. ხე-ტყის დამზადებასთან და მეურნეობის სხვა დარგების წარმოებასთან ერთად, აჭარის სახაფხულო საძოვრებზე გურიის, შავშეთის, სამცხისა და სხვა რეგიონების მოსახლეობასთან სამეურნეო გამოცდილების გაზიარებაც ხდებოდა, რაც საჯიშე პირუტყვის შერჩევისა და გამოყვანის, გაცვლისა და შეჯვარების საერთო ღონისძიებებში ელინდებოდა.

მესაქონლეობისა თუ სხვა სამეურნეო საქმიანობის დროს საზაფხულო საძოვრებზე ხშირად ეწყობოდა გართობა-თამაშობანი, სარძლოს დანიშვნის, მომდურავეთა შერიგების, გასამართლებისა და სხვ. ცერემონიალები. მათ შორის ცენტრალური ადგილი შუამთობის დღესასწაულს ეჭირა. თავდაპირველად შუამთობას რელიგიური და საკულტო ხასიათი უნდა ჰქონოდა, რაც მას დღეს დაკარგული აქვს. ამ მოსაზრებას ადასტურებს ცეკვებისა და სხვა რიტუალების შესასრულებელი სპეციალური წმინდა ადგილების შერჩევა და სხვ. შუამთობის რელიგიურ ხასიათზე მიუთითებს აგრეთვე ჯგუფური ცეკვები, რომელთა საკულტო მნიშვნელობა ქართველ ტომთა სხვა დღესასწაულებშიც ვლინდება[22]. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა დღესასწაულის დროს ე.წ. „ზიარეთის“

[22] ვაბარდაველიძე. საქართველოს მთიელთა ჯგუფური ცეკვები. – მსე. II, თბ., 1941, გვ. 18-36.

(მოეპში წმინდა ტბებისა და ადგილების დათვალიერება") მოწყობა, ამ წმინდა ტბებში უშვილო ქალების ბანაობა უნაყოფობისაგან მათი განკურნების მიზნით და სხვ.

მთიანი აჭარის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საქონლის სადგომებსა და მათ განლაგებას. მთიანი ზონის სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების თავისებურებათა შესაბამისად, ადამიანის სადგომი და სამეურნეო ნაგებობანი (ახორი, ხარაბეე და ა.შ.) ერთ სახურავქვეშაა მოქცეული და ვერტიკალურ ჭრილშია წარმოდგენილი. ზემო აჭარის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსის ეს თავისებურებანი მეურნეობის პროფილითაც იყო განპირობებული[23]. საკარმიდამო ნაკვეთი („ნაფუძარი"//„ნაფუზარი"), რომელიც ხშირად ფერდობზეა განლაგებული, ნაკელით უკეთ გაპატივებასაც უწყობდა ხელს. აჭარულ სახლს ოთახებისა და დამხმარე შენობების თავისებური განლაგებაც ახასიათებს, რაც ნაკარნახევია მესაქონლეობის, კერძოდ, სარძეე მეურნეობის ინტერესებით.

აჭარის მთის ზონის მოსახლეობას ძველთაგანვე ფდიდარი ხალხური ცოდნა გაჩენილა რძისა და რძის პროდუქტების დამზადება-შენახვის საქმეში. ეახუშტის ცნობა აჭარაში რძის პროდუქტებისა, კერძოდ, ყველის დამზადების მაღალი ოსტატობის შესახებ[24] კარგად ვლინდება თანამედროვე პირობებში ყველის სხვადასხვა სახეობის (ლავაში, გორჯოლო, ნლენილი, გადაზელილი, ხელეური და ა.შ.) მიღება-გადამუშავების ხერხებში[25].

პირუტყვი და მესაქონლეობის პროდუქტები („არაქი, ყველი, ნაღები, ტყაკი) გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა. აჭარული ჯიშის ძროხა, რომელიც რძის მაღალი ცხიმიანობით გამოირჩეოდა და კავკასიური მთური ძროხის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლებოდა, საგანგებოდ მიჰყავდათ გურიაში, იმერეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. მე-19 ს. მეორე ნახევრიდან გასაყიდად სახორცე საქონელიც მიედინებოდა[26]. თ. სახოკიას ცნობით, ამ პერიოდში აჭარიდან სალაკი საქონლის გაყვანას გურიაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა.[27] გ. ყაზბეგის მონაცემებით, მხოლოდ ღორჯომიდან ერთი წლის განმალობაში ასი სული პირუტყვი გაუყიდიათ[28]. საკლავი პირუტყვის ერთი ნაწილი ბათუმის სასაკლაოზეც იყიდებოდა. ოზურგეთსა და ბათუმში პირუტყვი გაცილებით ძვირად ფასობდა, ვიდრე ახალციხესა და არტაანში. გასული საუკუნის დასასრულის მონაცემებით, საკლავი ხარის ფასი 20-25 მანეთი იყო, საკლავი ძროხისა – 15-20 მანეთი, მეწველისა – 25-30 მანეთი[29]. მესაქონლეობის პროდუქტები ძირითადად ოზურგეთში, ახალციხეში, ბათუმში, ხულოში იყიდებოდა, ნაწილობრივ კი ფოთისა და ჭიათურის ბაზარზეც აღწევდა. პროდუქტების გაცვლა-გასაღების მიზნით ხშირად ბაზრობა იმართებოდა გურია-აჭარის მოსახლეობრივ სასაფხულო საძოვრებზე ("სო-

---

23 გ.ჩიტაია. ხევსურული სახლის "სენე", გვ. 151-152; ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 18-20; თ.ჩიქოვანი. ზემო აჭარული სახლი. – ბსკიშ, I, ბათუმი, 1960, გვ. 100-102.

24 ვახუშტი აჭარული ყველის შესახებ წერდა: "აქ აკეთებენ ყველს, ერთი იქნების ი(10) ან კ(20) ლიტრა, არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რა ჯამს გნებავს, შემგბარი კეთილ სახმარ არს" (ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 134).

25 აჭარაში რძის პროდუქტების დამზადების, შენახვის და მასთან დაკავშირებული იარაღ-ინვენტარის შესახებ იხილეთ წინამდებარე ნარკვევების მეექვსე თავის მეხუთე პარაგრაფი "ხალხური სამზარეულო".

26 იქვე. გვ. 150.

27 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

28 გ.ყაზბეგი. დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

29 ვ.შამილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

ტიყელი, თაგინური, ხინო, ბეშუმი). თითქმის ყველა სავაჭრო-სამიმოსვლო გზა აჭარასა და მეზობელი კუთხეების საალებმიცემო პუნქტებს შორის დასახლებულ საზაფხულო საძოვრებზე გადიოდა[30].

პირუტყვითა და მესაქონლეობის პროდუქტებით ვაჭრობასა და ალებ-მიცემობაში მთავარ როლს თამაშობდნენ ჩალვადრები და მოჯალაბეები. ჩალვადრები ძირითადად მესაქონლეობის, აგრეთვე მეხილეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ. ადგილობრივ (აჭარელ) ჩალვადრებს ამ მიზნით კავშირი ჰქონდათ დამყარებული არტაანელ მესაქონლეებთან და შუამავლის როლშიც გამოდიოდნენ. აჭარიდან გატანილ ხილს ისინი არტაანში რძის პროდუქტებზე ცვლიდნენ და შემდეგ ბათუმსა და ოსურგეთში მათთვის მოგებიან ფასებში ასაღებდნენ. ჭვანის, ღორჯომის, სხალთის და სხვ. ხეობათა ჩალვადრებს კარგი სავაჭრო-საალებმიცემო ურთიერთობა ჰქონდათ ჩილდირისა და სხვა კუთხეების მესაქონლეობით მდიდარ რაიონებთან.

აჭარელი და გურია-სამეგრელოდან მოსული მოჯალაბეები კი ძირითადად პირუტყვით ვაჭრობას ეწეოდნენ. XIX ს. დასასრულისა და XX ს. დამდეგისათვის აჭარაში ცნობილი ყოფილან ღორჯომელი, სხალთელი და მაჭახლელი მოჯალაბეები, რომლებიც ადგილზე შესყიდულ პირუტყვს ბათუმის, ახალციხისა და არტაანის ბაზრებზე სარფიან ფასებში ყიდდნენ. არტაანსა და შავშეთში 15 მანეთად შეძენილი საკლავი პირუტყვი გასაღების ბაზრებზე 25-30 მანეთად იყიდებოდა[31].

მოჯალაბეობა და ჩალვადრობა სიძნელეებთანაც იყო დაკავშირებული, რაც აიხსნებოდა ან ხელსაყრელი სავაჭრო-სამიმოსვლო გზების უქონლობით, ან არსებული გზების დაუსახლებელ ადგილებში, ძირითადად, მთებსა და ტყეებში გავლით, რასაც თან სდევდა ძარცვა-ყაჩაღობა და ქურდობა. სავაჭრო-სამიმოსვლო გზათაგან მნიშვნელოვანი იყო არტაანისა და ოზურგეთისაკენ მიმავალი მარშრუტები. არტაანისაკენ მიმავალი გზა ორად იყოფოდა. ერთი გაივლიდა გოდერძის გადასასვლელიდან ღმანი-სორი-არტაანის მიმართულებით, მეორე – ზამლეთ-საირიჩაირი-ნაქალაქევი-არტაანის გავლით. აჭარიდან ოზურგეთში მიმავალი გზა გაივლიდა ბოდიშის მთაზე, ჩიდილაზე, საომლიანზე, ვაკიჯვარზე და ოსურგეთში ჩადიოდა. განსაკუთრებით რთული იყო არტაანში მგზავრობა, რასაც რვა-ათი დღე სჭირდებოდა, მოჯალაბე-ჩალვადრებსაც ღამის თევა უხდებოდათ დერცელში, ახალციხეში და სხვ. დასახლებულ პუნქტებში, ჩშირად კი ტიალ მინდორსა და ტყეებში. შედარებით ხელსაყრელი იყო აჭარა-ახალციხის გზა, სადაც მგზავრთათვის სპეციალური ღამის გასათევი შენობებიც იდგა. მათ ხანები ეწოდებოდა. ასეთი ხანები მოქმედებდა ზამლიეთში, შუახევში, დანდალოში, კოკოტაურში, ცხემლისში, ვარჯანისში, ბაბუჩაშვილებში, ბელტურსა და კაპანდიში. ხანი, რომლებსაც გვერდით საქონლის სადგომიც ჰქონდა მოშენებული, კერძო პირების საკუთრებას შეადგენდა[32].

30 იქვე, გვ. 151-152.
31 იქვე, გვ. 154-155.
32 იქვე, გვ. 154.

§4. მეფუტკრეობა

წერილობითი წყაროების, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოში დადგენილია მეფუტკრეობის განვითარების სამივე ძირითადი ფორმა (ტყიური, ნახევრად შინაური და შინაური მეფუტკრეობა).[1]

ეს ფორმები ტრადიციულად ნიშანდობლივია აჭარის მეფუტკრეობაში.[2] პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო კომპონენტების არსებობას, როგორიცაა: უხვი თაფლოვანი მცენარეები (ცაცხვი, წაბლი, წყავი, სურო, ქაცვი, ძაღლეყურძენა, თავშავა და სხვ.), ტყის ფუტკარი („ხეფუტკარა", „ლდის ფუტკარი)[3], აგრეთვე, რაც მთავარია, მსოფლიოში საუკეთესო ფუტკრად წოდებული ქართულ-კავკასიური გრძელხორთუმიანი ფუტკრის ადგილობრივი პოპულაციის არსებობა.

მეფუტკრეობის პირველმა ფორმამ აჭარაში და საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც იგი გავრცელებული იყო, დიდი ხანია დაკარგა სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა. დანარჩენი ორი ფორმა კი მეფუტკრეობაში დღესაც შემორჩა. წამყვან როლს შინაური მეფუტკრეობა ინარჩუნებს.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტყის ფუტკარი განსაკუთრებით წიფლის, ცხენმლის, თელის, თხმელის მაღალ ფუდეროიან ხეებში ბინადრობდა, რითაც კინტრიშის, აჭარისწყლისა და მაჭახლის ხეობების ცალკეული სოფლის ტყეები გამოირჩეოდა. ამაზე მიუთითებს ადგილთა სახელიც — ხეფუტკარა, რომელიც გვხვდება სოფლებში: საფუტკრეთში, ზედა ჩხუტუნეთში, ჩიქუნეთში (მაჭახლის ხეობა), ნაღვარევში (ჭვანის ხეობა) და სხვ.

აჭარაში ტყის ფუტკრის (ხეფუტკარას) მიგნებისა და მისი დამორჩილება-მოშინაურების სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, რაც საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ მდიდარ ხალხურ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას ემყარებოდა.[4] ეს ხერხები საერთო, ზოგად-ქართული ხასიათის მოვლენაა და თავისი წარმოშობით შინაარსით მეტად არქაულია. საწყისები მას საზოგადოებრივი ცხოვრების ადრეულ სტადიაში ეძებნება.[5]

ხეზე, რომელშიც ტყის ფუტკარი ბინადრობდა, დაპატრონების მიზნით, ნიშანს ამოკვეთდნენ. ასეთ ნიშნად საყოველთაოდ მიღებული იყო თაჯი, ხაჩი (ჯვარი), ან კიდევ კაცის ხელი და თვით კაცის გამოსახულება.[6] ნიშანდებულ ხეს სხვა ვერავინ დაეპატრონებოდა. საერთოდ, ხის დაპატრონების მიზნით ამგვარი ნიშნების დასმა ძველი წესია და იგი საგვარეულო საკუთრების მანიშნებლადაა მიჩნეული.[7]

ტყიური ფუტკრის მიგნება, როგორც შემგროვებლურ-მეურნეობრივი საქმიანობა, თავდაპირველ მიზნად ისახავდა ფუტკრის განადგურებას და მხოლოდ მისი ნაყოფიო (თაფლით) დაკმაყოფილებას. ამგვარი წესი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ცნობილია „სკის გატეხვის" სახელწოდებით, რასაც მსოფლიოს სხვა ხალხთა ცხოვრებაც იცნობ-

---

[1] ალ. რობაქიძე. მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბ., 1960, გვ. 69.

[2] ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 53-54.

[3] ლ.შარაძე. აჭარის მეფუტკრეობა და თაფლოვანი მცენარეები. — აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 398. 1951.

[4] ნ.კახიძე. აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა). საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1967, გვ. 323.

[5] ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 71-72.

[6] ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

[7] გ.ჩიტაია, ვ.ბარდაველიძე. ქართული ხალხური ორნამენტი. I. ხეესურული. ტფ., 1938. გვ. 3.

და.[8] აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტყიური ფუტკრის („ხეფუტკარა") მოძებნა მარტში ხდებოდა. „ფუტკრიან ხეს" ქირიანად მოჭრიდნენ და ფუღუროდან თაფლს იღებდნენ. ცალკეულ შემთხვევაში ხის ფუღურო"ში ფუტკრის კეკლის შეფუტებით იკვლებდნენ და „თაფლს ხეზე ხილავდნენ". მომდევნო ეტაპზე ტყიური ფუტკრის დაძებნა მის შინ მოყვანისა და ხელოვნურ სკაში დაბინავების ისახავდა მიზნად. ამ წესს აჭარისწყლისა და კინტრი"შის ხეობათა ზოგიერთ სოფელ"ში XX საუკუნის 40-იან წლებამდე მისდევდნენ.[9]

მეფუტკრეთა დაკვირვებით, ხეფუტკარი შინაურ ფუტკარზე უფრო მეტი ლალიანობით ხასიათდებოდა და წყლისწადში ორ-სამ ნამრავლსაც იძლეოდა. ეთნოგრაფიულ ყოფა"ში ფიქსირებულია ტყიური ფუტკრის ნამრავლის ტყე"შივე „დაჭერისა" და შინაურ სკაში დაბინავების ცალკეული შემთხვევები, რაც ასევე უძველესი წესია მეფუტკრეობა"ში.

ფუტკრის მოშენება გულისხმობდა ხეზე ან ლედზე (კარიელი სკების (ბუკების) შემოწყობას „სკის გაცოცხლების" მიზნით. რიგ შემთხვევაში „ცოცხალ სკას" ტყე"ში ტოვებდნენ. აჭარის მაგალითზე სკების ხეებზე შემოწყობის წესზე ყურადღებას ამახვილებდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოგზაური მკვლევრები – გ. ყარბეგი, დ. ბაქრაძე, თ. სახოკია[10] და სხვები. ამ წესს აჭარაში ყველგან მიმართავდნენ, მაგრამ განსაკუთრებით მაინც აჭარისწყლის, სხალთის, მარიოის, ჭვანის, მაჭახლისა და „კინტრი"შის ხეობები გამოირჩეოდა. დ.ბაქრაძის ცნობით, ხინოს ტყეებ"ში სკები "შემოწყობილი ყოფილა მსხვილ და მაღალ წიფლის ხეებზე 5-10 საჟენის სიმაღლე"ზე, რომლებ"ზეც თაფლის გამოსალებად ხის კაკვებითა (ეოჭკებით) და მსხვილი თოკების დახმარებით ადიოდნენ.[11]

წიფლის ხეებზე სკების განლაგების პრაქტიკა იმით იყო ნაკარნახევი, რომ ასეთ ხეებზე, მისი სიდიდისა და ქერქის სიმაგრის გამო, დათვი ვერ ადიოდა და სკასაც ხა"შიშროება არ მოელოდა. ნ. მარის ცნობით, ლაზეთ"შიც სკები მაღალი წიფლის ხის წკერიებ"ზე ეჭონდათ შემოწყობილი.[12]

თუ რაოდენ ფართოდ იყო დანერგილი ყოფა"ში ხეებზე სკების შემოწ"ყობის პრაქტიკა, ამაზე ნათელ სურათს იძლევა მაჭახლის ხეობა, სადაც მეფუტკრეობა მეურნეობის დაწინაურებული დარგი იყო. ამ მხრივ ქვემო მაჭახლის სოფლებიდან საფუტკრეთი, ზედა ჩხუტუნეთი, სკურდიდი, ჩიქენეთი გამოირჩეოდა, ხოლო ზემო მაჭახლის სოფლებიდან – ეფრატი, ქვაბითაკი, ხერთვისი, მინდიეთი.

სოფელ ეფრატის მაგალითზე გაზეთ „იეერიაში" (1902) საინტერესო ცნობა დაიბეჭდა: „მთა-ეფრატის ტყეებ"ში სკები აქვთ დადგმული ხეებზედ. არის ისეთი ხეც, რომ ზედ ოცდაათი ბუკი (სკა) არის დადგმული. გაზაფხულზე მთელ ტყეს ზეზეული გაიქეს, რადგან ფუტკარი გაიჭარებულად მუშაობს."[13] მთხრობელთა გადმოცემით, ამავე სოფლის ჩიხიერებს ხ.

---

8 ფუტკრის განადგურებისა და მხოლოდ მისი ნაყოფით სარგებლობის ეს ძველი წესი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში (სვანეთი, თუშეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სხვ.) ცნობილია "სკის გატეხვის" სახელწოდებით. ამ წესს მსოფლიოს სხვა ხალხთა მეურნეობრივი ცხოვრებაც იცნობდა (ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 322).

9 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

10 გ.ყარბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. 109; დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 83; თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). ბათუმი, 1985. გვ. 225–226.

11 Бакрадзе Д.З. Кинтришский участок. – ქართული ისტორიოგრაფია. III. თბ., 1975, გვ. 172.

12 Марр Н.Я. Из поездки в Турецкий Лазистан. - НАН. СПБ, 1900, с. 557.

13 გაზ. „იეერია". 1902. № 140.

ვარდენიძეს (ეს გვარი XII-XVII სს. ქართულ ხელნაწერ ძეგლში – „ტბეთის სულთა მატიანეშიც" იხსენიება) წიფლის მაღალ ხეებზე ორასამდე სკა ჰქონია შემოწყობილი. მათი უმრავლესობა ცაცხვის ხისგან დამზადებული ყოფილა. თითო სკიდან კი მეპატრონე ოცდაათ ოკა თაფლს იღებდა. ამგვარი ფაქტი გამონაკლისი როდია. XIX საუკუნის ბოლოს ხინოში მცხოვრებ ბ. ქოთამაძის ოჯახს ტყეში და შინაურ საფუტკრეში სამასამდე სკა ჰქოლია. ფუტკრისადმი მეპატრონის სიყვარული იმდენად დიდი ყოფილა, რომ მუჰაჯირობის დროსაც კი მას თავისი კარმიდამო არ მიუტოვებია და უცხო მხარეში არ გადახვწილა, და ეს იმ დროს, როცა თითქმის მთელი ხინო მუჰაჯირობის შედეგად დაიცალა.[14]

მეფუტკრეობაში გავრცელებული წესი იყო „ხასკე ხის" წინასწარ დაპატრონება და მასზე საყვარეელო ნიშნის „თაჯის" ან ხანის (ჯვრის) ამოკვეთა. ასეთ ხეს სხვა ვერ დაპატრონებდა. ამაგე მიზანს ემსახურებოდა საბოგილო ტყეების არსებობა (მართისა და კინტრიშის ხეობები). ბოგილი ისეთ ტყეებს ეწოდებოდა, სადაც ხეებზე სკების დასადგმელი ბოგები (ჯოხები) იყო გარდიგარდმო დაწყობილი. კინტრიშის ხეობაში ამ სახის ტყეები მკვეთრად ემიჯნებოდა ჩვეულებრივ საჭარ ტყეებს და ცალკეული გვარების მისადგილი იყო განაწილებული. ერთი გვარის ბოგილში ნებართვის გარეშე სხვას არ შეეძლო არათუ სკების შერანა და შემოწყობა, არამედ შეშის მოგრაც კი. შეზიარების შემოხვეცაში კი ფუტკარი და თაფლი საზიარო იყო. ამგვარი წესი მემკვიდრეობით გადადიოდა.[15] ბოგილიანი ტყეები აჭარაში შემდგომ ადგილთა სახელებად დამკვიდრდა ბოგილის სახელწოდებით.[16]

მაღალ ხეებზე თუ მიუვალ კლდეებზე სკების ასატანად, ასევე, თაფლის გამოსაღებად ხეზე ასასვლელად იყენებდნენ ცაცხვის ხის ქერქისაგან სამ-ოთხ წყვრად საგანგებოდ შეკრეხილ გრძელ და მსხვილ თოკებს, რომლებიც აჭარაში ცნობილია ჭაპანის სახელწოდებით. ასეთი თოკები აჭარასა და გურიაში დიდი ხვების მოსატანადაც გამოიყენებოდა. ჭაპანის დამზმარე ელემენტად გაჩნდა ხის ჭახრაკი (ჭადი) და კანაფის ძაფისაგან სამწყვრად შეკრეხილი წერილი და გრძელი თოკი, რომელსაც მაჭახლის ხეობაში სიჯიმი[17] ეწოდება, სხვაგან – ორკვილა. იგი ერთი ბოლოთი ჭაპანზე მაგრდებოდა, მეორე ბოლოსე კი მას მძიმე ხის კომბალი ჰქონდა გამობმული ჭაპანის ერთი ბოლოს ხის ტოტზე შესაგდებად.

აჭარაში ძველი ტრადიცია გაგაჩნია შინაურ მეფუტკრეობას. ძ.წ. IV საუკუნეში (ქსენოფონტეს „ანაბასისის" მიხედვით) ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა, რომ ძველი კოლხების სამეურნეო ყოფაში მეფუტკრეობის ამ ფორმას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ მონაცემებს მეფუტკრეობის არსებობაზე ძ.წ. II ათასწლეულის შუა წლებში მკირე აზიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში, ეისთანაც ქართველ ტომებს მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჰქონდათ, მაშინ საფიქრებელია, რომ შინაური მეფუტკრეობა ამ დროს არც ქართველი ტომებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო.[18] ამავე პერიოდში შეიძლება ეივარაუდოთ შინაური მეფუტკრეობის არსებობა დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე, რომელმაც უცვლელად შეინარჩუნა თავისი ტრადიციული სახე და წამყვანი ადგილი.

---

[14] ლ.შარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 88-89.

[15] ა.ადაგითაძე. მეფუტკრეობასთან დაკავშირებული იარაღ-ინვენტარი აჭარაში. – სდსმკს, I, თბ., 1973, გვ. 68.

[16] ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. I. ბათუმი, 1958 (იხ. საძიებელში).

[17] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სიჯიმი სხვათა ენაა, ქართულად ხეზი ჰქვან („სიტყვის კონა". თბ., 1949, გვ. 322). ნ.ბუბინაშვილის მიხედვით კი ხეზი განმარტებულია, როგორც „გრძელი და წვრილი ბაწარი" („ქართული ლექსიკონი". თბ., 1961, გვ. 464).

[18] ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17, 201-202.

შინაური საფუტკრეები აჭარაში ძირითადად ეზო-კარმიდამოზე განლაგებული ცილის ნაგებობების სახით იყო და არის წარმოდგენილი. საფუტკრეებად სასიმინდეებისა და საბძლების აივნებსაც იყენებდნენ. გათვალეის საწინააღმდეგოდ შინაურ საფუტკრეებზე კიდევ ბდნენ ცხენისა და საქონლის თაკის ქალას, მრგვალად დახვეულ ეკლის ხის ყორგალს. რაც საერთოდ გაერცელებული წესი ჩანს საქართველოსა და კავკასიის მეფუტკრეობაში.

აჭარაში ნახვერად ტყიური (ნახვერად შინაური) თუ შინაური და საერთოდ, მეფუტკრეობის ისტორიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ონომასტიკური მონაცემები.

უეჭველია, მეფუტკრეობას უკავშირდება სოფლის სახელწოდება საფუტკრეთი (მაჭახლის ხეობა), რომლის ტყეებშიც მრავლად ბინადრობდა ტყის ფუტკარი. ხალხური დახასიათებით, აქ შინაური ფუტკარიც „კარგად მუშაობდა". სოფლის ყველა მცხოვრებიც გვარად ფუტკარაძე იყო.[19] გადმოცემით, ადრე მეფუტკრეთი ეწოდებოდა ამავე ხეობის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის ერთ-ერთ დასახლებულ უბანს, რომელსაც ახლა ჭიბუკაული ეწოდება. აქაც მეფუტკრეობისათვის ძალზე ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

„ტბეთის სულთა მატიანეში" (XIII-XVIII საუკუნეები) შეიდჯერ იხსენიება გვარი ფუტკარაძე – ორჯერ მეფუტკრეთ ფორმით (მეფუტკრეთ ივანე, მეფუტკრეთ ნიკოლოზი) და ხუთჯერ მეფუტკრისძის ფორმით (მეფუტკრისძე გოშნა, მეფუტკრისძე იოვანე, მეფუტკრისძე თომა, მეფუტკრისძე გიორგი, მეფუტკრისძე გუქუნა).[20] ჩვენი აზრით, შესაძლოა ეს გვარები წარმოშობით საფუტკრეთისა თუ მეფუტკრეთის შემწირველები უნდა ყოფილიყვნენ. მით უმეტეს, რომ მატიანეში, როგორც სულის მოსახსენებელთა ანგარიშში, მოხსენიებულ გვარსახელთა და ტოპონიმთა დიდი ნაწილი ისტორიულ მაჭახლის ხეობასა და ქვემო აჭარაზე მოდის. საფუტკრეთისა თუ მეფუტკრეთის სახელწოდებით სოფელი თუ უბანი, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მატიანის დროისათვის სხვაგან არ დასტურდება. ამასთან ერთად, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ონომასტიკური მონაცემები (გვარსახელები, ადგილთა სახელები) აჭარისათვის უფრო ნიშანდობლივი ჩანს, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე კუთხისათვის. ეს ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველია და მიგვანიშნებს აჭარაში მეურნეობის ამ დარგის არა მარტო სიძველეზე, არამედ მის დიდ სახალხო-მეურნეობრივ მნიშვნელობაზეც.

აჭარის მეფუტკრეობაში ძირითადად გაერცელებული იყო ხის ორგვარი სკა. პირველია გულამოღებული ორნაწილედი – ერთმანეთზე დამხობილი გეჯა, რომელსაც ზოგადად საკუთრივ სკა ეწოდება (საქართველოს სხვა კუთხეებში იგი ცნობილია როყის, ბუკის, როგოს სახელწოდებით). მეორეა კასრისებური ფორმის კოდანა, ყაკრანი (კარეანი).[21] იგი მზადდებოდა როგორც მთლიანი, ისე ორი გულამოღებული მორისაგან ბოლოებზე მორგებული სახურავით.

აჭარაში სკების დასამზადებლად იყენებდნენ ცაცხვის, წაბლის, ბლის, თხემლის, ნაძვის, სოჭის, კატრის ხეებს. ვარაუდობენ, რომ ორნაწილედი სკა, რომელსაც გურია-სამეგ-

---

[19] ფუტკარაძეები დღეისათვის აჭარის ბევრ სოფელში ცხოვრობენ. მაგალითად, მთლიანად ფუტკარაძეებითაა დასახლებული შუახევის რაიონის სოფელი დღვანი. მათი წინაპრები მაჭახლის ხეობიდან გადასახლებულან.

[20] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ენუქიძემ. თბ., 1977, გვ. 150–151.

[21] „კარეანი" „ყაკრანის" სახეცვლილი ფორმაა. ორივე მომდინარეობს თურქულენოვანი სიტყვიდან „კოვან", რაც იგივე სკას ნიშნავს (Турецко-русский словарь. М., 1977, с. 563). „ოვან" შესატყვისად თელიან, აგრეთვე, სკის აღმნიშვნელ მეორე აჭარულ სახელს – კოღას (შ.ნიეარაძე. აჭარული დიალექტი. ბათუმი. 1975, გვ. 215).

რელოში გეჯა და როფი ეწოდება, დასავლურ-ქართულ ეთნიკურ წრეში უნდა წარმოშობილიყო.[22] ხოლო კასრისებური ფორმის სკა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში ცნობილია კოდის სახელწოდებით, საქართველოსა და კავკასიაში გარედან შემოტანილად ითვლება.[23] თუ აჭარისა და მისი მეზობელი (ამჟამად თურქეთის სახელმწიფო სახლვრებში მოქცეული) იმერხეთის ეთნოგრაფიულ მონაცემებს გაეითვალისწინებთ, კოდი თუ ეაერანი ადგილობრივ სინამდვილეში წარმოშობილი უნდა იყოს. სავსებით დასაშვებია, რომ ძველ ქართველ მეფუტკრეს ფუღუროიანი ხის მიბაძვით, რომელშიც ხეფუტკარა ბუდობდა, სკის (როგოს) დამზადება ადვილად მოეაზრებინა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მსგავსი ჭურჭელი – ცაცხვის ფუღუროიანი ხისაგან დამზადებული ჰორიზონტალური ტიპის კარაქის სადღეებელი, რომელსაც აჭარაში სხვადასხვა სახელი მოეპოვება (ვარელა, ვარია, კოდანა), მოსახლეობა ყოფაში ძველი დროიდან იყენებდა.

აჭარული ეთნოგრაფიული მონაცემები საინტერესო სურათს იძლევა მეფუტკრეობის პროდუქტების (თაფლი, სანთელი, დინდგელი) დამუშავებისა და ყოფაში მრავალმხრივი გამოყენების შესახებ. სკიდან თაფლს წელიწადში ერთხელ – ივლის-აგვისტოში იღებდნენ. გამონაკლის შემთხვევაში (განსაკუთრებული საჭიროებისათვის) – თებერვალში. თაფლის ნაწილი ცვეცხლზე შეთბობის შემდეგ იწურებოდა საგანგებო ჭურჭელში, რომელსაც ჩახი ეწოდებოდა. იგი მზადდებოდა სელ-კანაფის ნართის ქსოვილისაგან. ნაწილს ცივად წურავდნენ, რასაც „უცეცხლოდ დაწურვა" ერქვა. ნაწილსაც (თაფლიან ფიჭას) დაუწურავად ინახავდნენ. თაფლის შესანახავად თიხის ჭურჭელს იყენებდნენ. ცივად დაწურული და ფიჭიანი თაფლი კრიპუჭის თვისებებს იძენდა. ხალხური ტერმინოლოგიით, ასეთ თაფლს „დაღიმებული თაფლი" ერქვა, რასაც სხვადასხვა სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ.

საუკეთესო კოდის ტიპის სკიდან აჭარელი მეფუტკრე კარგი ღალიანობის პირობებში 30 ოკამდე თაფლს იღებდა. აჭარელი გლეხკაცის რაციონში თაფლს დიდი ადგილი ეჭირა. ა.წულაძე, რომელიც კარგად იცნობდა აჭარის მეფუტკრეობას, წერდა, რომ თაფლი აჭარელისათვის თითქმის პირველი საჭიროების საგანი და შეჭამადის მაგიერია, რომლითაც იგი კვერცხსა და მაწონსაც კი ატკბილებს. მისი შეფასებით, ძველებური მეფუტკრეობა ისე ოსტატურად საქართველოს არც ერთ კუთხეში არ იცოდნენ, როგორც აჭარაში.[24] თაფლისაგან მზადდებოდა სხვადასხვა კერძი (თაფლის ფაფა), ნამცხვრები (ხალვა, ბაქლავა, თაფლის მჭადი), ტკბილი სასმელი (შარბათი), რომელთაც ყოველდღიურ, სადღესასწაულო და საქორწილო მენიუში საპატიო ადგილი ეჭირა.

მრავალმხრივი ხალხური სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა თაფლს და მასთან ერთად სანთელსა და დინდგელს. მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, უპირატესობა ეძლეოდა "უცეცხლოდ დაწურულ" თაფლს, რომელსაც ხმარობდნენ ჭრილობების, დამწვრობის, სხვადასხვა ჩირქოვანი დაავადების საწინააღმდეგოდ. თაფლისა და წყლის ნაზავით მკურნალობდნენ მუცლის ტკივილსა და კუჭის აშლილობას. ავადმყოფობის შედეგად დაუძლურებულთ და ჭლექით დასნეულებულთ ურჩევდნენ მიეღოთ თაფლის, კარაქისა და კვერცხის გულის შენარევი. მიღებული იყო თაფლის ჭამა ნიგოზთან, მაწონთან, მოხარშულ კვახთან და კარტოფილთან ერთად. სანთელსა და დინდგელს ხმარობდნენ ძირმაგარას სამკურნალოდ. სანთელში კვერცხსაც წეავდნენ და

---

22 ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომი გვ. 86, 93.

23 იქვე. გვ. 94-95.

24 ა.წულაძე. მეურნეობა აჭარა-ქობულეთში. – გაზ. „საქართველო". 1916. № 19; მისივე. ფუტკარი და მეფუტკრეობა. თბ., 1965, გვ. 169.

მას მუცლის ტკივილის დროს ჭამდნენ. ხალხურ სამკურნალო რეცეპტურაში ფუტკარიც გამოიყენებოდა. თაფწაწყვეტილ შვიდ ფუტკარს დაჭყლეტდნენ და ციე წყალში გალესილი სახით ყაბზობის დროს ალეკვინებდნენ.

თაფლითა და სანთლით ხალხური მკურნალობის აღწერილი ხერხები ემპირიული ცოდნის იმ მარაგზე მიუთითებს, რომელიც ხალხში ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებისა და აქტიური დაკვირვების საფუძველზე შემუშავდა და სისტემად ჩამოყალიბდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მონაცემებით, მეფუტკრეობით დაწინაურებულ ხინოს მხარეში თაფლის ნაწურისაგან არომატულ არაყსაც ხდიდნენ. მას საოჯახო დანიშნულება ჰქონდა და კუჭის დაავადებისას ხმარობდნენ.[25] ამ პერიოდში არყის გამოხდის ფაქტი განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს, რამდენადაც მისი მოხმარება შარიათის კანონმდებლობით იკრძალებოდა.[26]

მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, სანთელი) აჭარაში საექსპორტო საკაჭრო ბრუნვაშიც იყო ჩართული. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად, მის ექსპორტიორს წარმოადგენდა ბათუმი, საიდანაც, დ. ბაქრაძის ცნობით, კონსტანტინეპოლის ბაზარზე გაქონდათ ათი ათასი ოკა თაფლი და სამასი ოკა ყვითელი სანთელი. ფუთი სანთელი თერამეტი მანეთი ღირებულა.[27] აღნიშნულ პერიოდში ხინოს (კინტრიშის ხეობა) მოსახლეობისათვის თაფლის გასაღების ბაზარი ყარსის ოლქი იყო, სადაც ზემო აჭარის გზით შეჰქონდათ. ფუთი თაფლი ათ ლაპიკად იყიდებოდა.[28] კინტრიშისა და აჭარისწყლის ხეობებიდან გატანილი თაფლით მარაგდებოდა ბათუმის, ქობულეთისა და ოზურგეთის ბაზრები.[29] მ. ჯანაშვილის ცნობით, მარტო ზემო მაჭახლის სოფელ ეფრატიდან გასული საუკუნის ბოლოს გასაყიდად გადიოდა ასეულ ფუთობით თეთრი თაფლი, კრიპეჭი და სანთელი. მყიდველები ართვინელი ვაჭრები ყოფილან, რომელთაც თაფლი ცხენზე აკიდებული გუდებით გადაქონდათ.[30]

მეფუტკრეობის ისტორიის შემადგენელი ნაწილია მასთან დაკავშირებული გადმოცემები, სხვადასხვა წეს-ჩვეულებები. ამ რიგისაა აჭარაში ჩაწერილი თქმულება-გადმოცემები ფუტკრის ზღვიური წარმოშობის შესახებ. გაქცეული ნაყარის დაბრუნება-დაბინაყების მიზნით რკინის ახმაურება და მიწის შეყრა შელოცვით; გათვალეის საწინააღმდეგოდ ახალი ნაყარის სკაზე ჭინჭრის დადება. ამავე მიზნით საფუტკრის წინ ან შესავალზე ეკლის გორგალის, კვერცხის ნაჭუჭისა და პიმპილის, აგრეთვე ცხენის, ყოჩისა და დათვის თავის ქალის ჩამოკიდება; სასკე ხის მოჭრისა და სკიდან თაფლის გამოღებისას მთვარის ფაზებისა და დღეების შერჩევა; საახალწლო და სხვა სადღესასწაულო რიტუალებში თაფლისაგან დამზადებული ხალვის, შარბათისა და სანოლის გამოყენება; ნაკვერჩხლიან ასტამზე დაყრილი სანთლისა და ფუჭის (სანთლის განაწური მასა) დაწვის შედეგად გამოყოფილი კვამლის „შეფუტება“ ავი სულებითა და უკმურით შეპყრობილთა განსაკურნავად და ა.შ. ამ წეს-ჩვეულებათა შესრულება ხალხის რელიგიური აზროვნების ორგანული ნაწილია, რომელიც ხანგრძლივი ემპირიული ცოდნა-დაკვირვების ნიადაგზე ჩამოყალიბდა.

---

25 Бакрадзе Д.З. Кинтришский участок, с. 172.

26 თაფლის ნაწურისაგან (ფუჭი) არაყი ქობულეთში პირველად ახმედ ქათამაძეს გამოუხდია, რის გამოც იგი „ცოდვის ჩამდენად“ მონათლეს და მას მეჩეთში სალოცავად არ უშვებდნენ. სხვები კი საარაყე ფუჭს მეზობელი გურიის მოსახლეობაში ასაღებდნენ (ლ.შარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109).

27 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 25.

28 Бакрадзе Д.З. Кинтришский участок, с. 172.

29 ადავეთაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

30 მ.ჯანაშვილი. გაზ. "იბერია". 1902. № 140.

დასაშვებად მიგვაჩნია სოფელ მერისის (ქედის რაიონი) სახელწოდების დაკავშირება მერისა-ს სახელთან, რომელიც ნერქეზებში ითელებოდა მეფუტკრეობის მფარველ ღვთაებად.[31] ამ ვარაუდის საფუძველს ისიც იძლევა, რომ საერთოდ ჩერქეზულ-ადიღეური ელემენტების არსებობა ქართულსა და საკუთრივ აჭარულში ენათმეცნიერულადაც დადასტურებულად ითელება. თუმცა უკანასკნელ ხანებში ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა. ბუნებრივ-კლიმატური პირობების თვალსაზრისითაც თვით სოფელი მერისი და მთელი მერისის ხეობა თავიდანვე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეფუტკრეობის განვითარებისათვის. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მეფუტკრეობის მფარველი ღვთაებების არსებობა ეთნოგრაფიულად დადასტურებულია და ასეთი აჭარაშიც უნდა არსებულიყო. თუ ჩვენი მოსაზრება სწორი აღმოჩნდება (ამას დამატებითი კვლევაც დასჭირდება), მაშინ მეფუტკრეობის მფარველ ქართულ ღვთაებებს, როგორიცაა ლენსა'ში (სვანეთი), ჯგერაგუნა (ზეარაგულა) (სამეგრელო), იობი (იმერეთი), ანანგუნდა (აფხაზეთი),[32] მეფუტკრეობის კიდევ ერთი ქართული ღვთაება შეეძლება შეემატოს მერისას სახელწოდებით. ძნელი სათქმელია, ამ შემთხვევაში დიფუზიურ თუ სპონტანურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მაგრამ „მერისისა“ და „მერისას“ სახელწოდებათა დამთხვევა ანგარიშგასაწევია.

§5. ხელოსნობა და შინამრეწველობა

ხელოსნობა აჭარის, ისე, როგორც მთელი საქართველოს, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისტორიულად არსებით როლს თამაშობდა. მიწათმოქმედება და მწარმო-ებლური მეურნეობის სხვა დარგები, მთელი საოჯახო ცხოვრება წარსულში ძირითადად მხოლოდ ადგილობრივი ხელოსნური ნაკეთობით მარაგდებოდა.

ხელოსნობა აჭარაშიც თავიდანვე მრავალპროფილიანი იყო, რასაც ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებანი განაპირობებდა. ხელოსნობის უმთავრეს წამყვან დარგებს შეადგენდა ხალხური მეტალურგია და მჭედლობა, ხისა და ქვის დამუშავება, თიხის ნაკეთობათა დამზადება, ფეიქრობა და სხვ. განვითარებული იყო საოჯახო დანიშნულების შინამრეწველური დარგები.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხელოსნობა აჭარაში ნეოლითიდან იღებს სათავეს. შემდგომ ეპოქებში კი, განსაკუთრებით, ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, იგი კიდევ უფრო ვითარდება და მრავალფეროვანი ხდება, რაც განპირობებული იყო ამ პერიოდში სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების საერთო დაწინაურებით. შუა საუკუნეებში წინა რიგში წამოიწია სამშენებლო ხელოსნობამ, რასაც ბიძგი მისცა ინტენსიურმა სამონასტრო მშენებლობამაც, არნახული ძალით რომ გაიშალა მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. არსებითად, ეს იყო სამშენებლო ხელოსნობის, ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარებისა და აღმავლობის პერიოდი.[1] როგორც საკულტო,

---

31 ალრობაქიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 175, 192.

32 იქვე, გვ. 176-177, 189.

1 ივჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ., 1946; შ. მესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში. – საისტორიო ძიებანი. ტ. I, თბ., 1982.

ისე მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები არქეოლოგიურ და წერილობით საველე ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად მნიშვნელოვანი წყაროა შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის მრავალდარგოვანი ხელოსნობის შესწავლაში. ამგვარი მონაცემები განასახიერებს საუკუნეთა მანძილზე უწყვეტი მემკვიდრეობით მიღებულ ხალხურ ხელოსნურ ტრადიციებს, რომლებიც ყოფაში დღემდე შემორჩა.

ხალხური მეტალურგია და მჭედლობა. დღევანდელი აჭარის ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემავალი რეგიონთაგანია, სადაც ქართული ხალხური მეტალურგიისა და მჭედლობის აკვანი დაიწყო. ძველი ბერძნული და ალმოსავლური წერილობითი წყაროების მიხედვით, კოლხეთის ტერიტორიაზე (რომლის არეალშიც აჭარა შედიოდა) მცხოვრები ძველი ქართველი ტომები (ხალიბები, მოსინიკები და სხვები) მაღალი ხარისხის რკინისა და ფოლადის, აგრეთვე, სპილენძის წარმოების პიონერები იყვნენ. მათ საუკეთესო მეტალურგების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი და საერთოდ, დიდი ამაგი დასდეს მეტალურგიის ჩასახვისა და მისი განვითარების საქმეს მსოფლიო მასშტაბით[2].

აჭარის ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ნათლად დაადასტურა ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობების სისწორე ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი ტომების მეტალურგიულ დაწინაურებაზე, მათ წელილზე საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. აქ გამოვლინდა ძველი კოლხეთის რკინის მეტალურგიის წარმოების ისეთი მსხვილი კერები, როგორიცაა ჭოროხისა და ჩოლოქ-ოჩხამურის,[3] ჩაქვისწყლის ხეობები. ეს კერები წარმოდგენილია კომპაქტურ ჯგუფებად თავმოყრილი რკინისსადნობი ქურა-სახელოსნოებისა და რკინის წიდების სახით. მეტალურგიული წარმოება ჩაისახა და განვითარდა ადგილობრივი ნედლეულის (ცეცხლგამძლე და ძნელად ლღობადი თიხები, მაგნეტიტური სილები, საწვავი) ბაზაზე.

ჭოროხის საწარმოო კერა მოიცავს ჭოროხის ხეობის დინებას და მიითვლის ჭარნალის რკინისსადნობ სახელოსნოებს, რომელთა მნიშვნელობა ქართული (კოლხური) რკინის მეტალურგიის ისტორიის შესწავლისათვის მეტად დიდია. ეს ტერიტორია ნაწილია სამხრეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლისა, სადაც ძველთაგან სახლობდნენ ქართული მეტალურგიის პიონერები – მოსინიკები და ხალიბები.[4]

ჩოლოქ-ოჩხამურის საწარმოო კერა, რომელიც ჭოროხის საწარმოო კერიდან 40-50 კმ-ით არის დაშორებული, ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე მიითვლის ჯიხანჯურის, ცეცხლაურისა და ლეღვას რკინისსადნობ ქურა-სახელოსნოებს, რომელთა რიცხვი ათეულსე მეტია. ჩამოთვლილ კერათაგან უადრესი განეკუთვნება ძვ.წ. XI-IX, ხოლო მოგვიანო – ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს.[5]

ამდენად, რკინის ხალხურ მეტალურგიას, რომელიც ხელოსნური საქმიანობის სფეროს განეკუთვნება, აჭარაში უძველესი ისტორია აქვს. არანაკლებ დიდია მისი მეცნიერული მნიშვნელობა კოლხურ-ხალიბური და საერთოდ, ქართული ხალხური მეტალურგიის ისტორიის საკითხების გარკვევისა და რკინის ათვისების ადრეული საფეხურების გან-

---

2 ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბ., 1960, გვ. 24-25, 28.

3 ი.გელეიშვილი. დ.ხახუტაიშვილი. რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. – სდსძ. I, თბ., 1964; დ.ხახუტაიშვილი. კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან (იქვე). მისივე. რკინის წარმოების ძველი კოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში 1970 წელს. – სდსძ, V, თბ., 1975; ქობულეთის ქვეყანა, I. ბათუმი, 1995, გვ. 70-71; Хахутаишвили Д.А. Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987; Гзелишвили И.А. Железоплавильное дело в древней Грузии. Тб., 1964.

4 Хахутаишвили Д.А. Производство железа в древней Колхиде, с.56.

5 იქვე, გვ. 58. მისივე. ქობულეთის ქვეყანა, გვ. 72.

საზღვრისათვის. მეორე მხრივ, ამ პრობლემური საკითხების მეცნიერული შესწავლა შუქს ჰფენს ძველი კოლხეთისა და საბერძნეთის ურთიერთობის, ანუ ბერძნული კოლონიზაციის ზოგიერთი საკვანძო საკითხის გაშუქებას, რამდენადაც, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ბერძენთა ინტერესი იმდროინდელი კოლხეთის სამეფოს მიმართ და მათი კოლონიზაცია, იყო თავის დროზე მძლავრად განვითარებული რკინის „ინდუსტრია".[6]

ბუნებრივია, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩამოთვლილი რკინისსადნობი ქურა-სახელოსნოების გვერდით არსებობდა რკინის სამჭედლო სახელოსნოებიც, სადაც მზადდებოდა სხვადასხვა სახის საოჯახო-სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღები, რასაც მოჰყვა არსებითი ხასიათის ცვლილებები მთისა და ბარის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

ხალხური სამჭედლო ხელოსნობის ტრადიციების არსებობაზე მოგვიანო პერიოდის (შუა საუკუნეები) აჭარაში ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მთისა (თაგო, ყინჩაური, ფანხა, ჭერი, წაბლანა – ხულოს რაიონი) და ბარის (ახალშენი და სხვა – ხელვაჩაურის რაიონი) ზონაში მრავლად მიმოფანტული რკინის ადგილობრივი გამონამუშევრები – ხალხური მეტალურგიის ნაშთები რკინის წიდების (ხალხური ტერმინოლოგიით რკინაწილაები) სახით, რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. რკინის წიდების გავრცელების მიხედვით თუ ეიმსჯელებთ (ისინი დიდი რაოდენობით რკინას შეიცავენ). ფეოდალურ ხანაში ხალხური მეტალურგია და მჭედლობა აჭარის მთისა და ბარის ზონაში ფართოდ ფეხმოკიდებული ყოფილა. უეჭველია, იგი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ეითარდებოდა.[7]

ისტორიული ლიტერატურისა და საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, XIX ს. მეორე ნახევრიდან სამჭედლო ხელოსნობა აჭარაში მხოლოდ შემოტანილი რკინისა და ფოლადის ბაზაზე ეითარდებოდა, როდესაც მისი შესყიდვა აჭარის, ისე, როგორც მთლიანად საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის, შედარებით გაადვილდა. ეს დაკავშირებული იყო აქ რკინიგზების გაყვანასთან, რის შედეგადაც რკინა შედარებით გაიაფდა და იოლი საშოვარიც იყო. სოფლად მომუშავე მჭედლები რკინას ყიდულობდნენ ქალაქ ბათუმში, სადაც სპეციალური მაღაზიებიც არსებობდა.[8] ამ პერიოდში ბათუმი წარმოადგენდა ევროპიდან რკინის შემოტანისა და გასაღების მთავარ კავკასიურ ბაზარს. ბათუმში თავდაპირველად რკინა შემოჰქონდათ ინგლისიდან, ბელგიიდან, გერმანიიდან, შემდეგ – შვედეთიდან, ხოლო 90-იან წლებში – სამხრეთიდან. ბათუმში ყოველწლიურად 16 ათასი ფუთი რკინა შემოჰქონდათ. 1000 ფუთი საკუთრივ ბათუმში იყიდებოდა, დანარჩენი კი კავკასიის სხვადასხვა მხარეში იგზავნებოდა.[9]

ეთნოგრაფიული მონაცემებით, სამჭედლოები არსებობდა როგორც ცალკე ნაგებობების სახით, ასევე საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულზე. სოფლის სამჭედლოებში ჩვეულებრივ 2-3 ხელოსანი მუშაობდა, რომელთაგან ერთი უსტაბაშად (მთავარ ოსტატ—მჭედლად) ითვლებოდა. მეორე თუ მესამე პირი შეგირდის ან სხვა დამხმარე მოვალეობას ასრულებდა, რომელთა ფუნქცია იყო „საბერველზე მუშაობა და ნაქუჩის დარტყმა."

---

[6] Хахутаишвили Д.А. Некоторые вопросы истории древнеколхидской металлургии железа. – "Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья". Тб., 1979, с. 334.

[7] ნ.კახიძე. მჭედლობა აჭარაში. – სდსკ, IV. თბ., 1976, გვ. 71-72.

[8] იქვე, გვ. 73.

[9] Церетели Н.В. Очерк торгово-промышленного развития г. Батуми. – Батумъ и его окрестности. Батуми, 1906 с. 380-381.

სხვა მეორეხარისხოვანი საქმის შესრულება. ტრადიციით, შეგირდი შეიძლება ყოფილიყო როგორც მჭედლის შვილი, ისე მისი ახლო ნათესავი.

ადრეულ პერიოდში მჭედლობის ცენტრებზე აჭარაში პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. ივარაუდება, რომ ჭოროხისა და ჩოლოქის აუზების მითითებული მეტალურგიულ საწარმოო – კერების ბაზაზე სამჭედლოებიც უნდა არსებულიყო. ასევე უნდა ითქვას სოფლების თაგოს, ჭერის, ფარჩხის, ჩაოს, ყინჩაურის შუა საუკუნეების რკინისსადნობ საწარმოო კერებზე, სადაც რკინის ადგილობრივი გამონამწეურებია დადასტურებული. აქაური რკინის მომპოვებლები ამავე დროს მჭედლებიც უნდა ყოფილიყვნენ.[10]

XIX ს. მეორე ნახევრის მონაცემებით, სამჭედლო – სახელოსნო ცენტრები თავმოყრილი იყო ხულოში, დიდჭარაში, ჭვანაში, მარითის, უჩამბის, სხალთის, მაჭახლის ხეობებში. ქალაქ ბათუმში.[11] 10-მდე კომპაქტურად განლაგებული სამჭედლო მოქმედებდა ცხმორისში, სამი – ქედის ცენტრში, თითო – მარადიდსა და ჩურუქ-სუში.[12] 1889 წელს მარტო ქალაქ ბათუმში იყო 14 სამჭედლო-სახელოსნო, სადაც ძირითადად ბერძენი დ სომეხი მჭედლები მუშაობდნენ. ბერძენი მჭედლები ხულოს ცენტრის სამჭედლოებშიც იყვნენ დასაქმებულნი.

ჩამოთვლილ სამჭედლო-სახელოსნოებში მზადდებოდა მრავალფეროვანი სამეურნეო დანიშნულების რკინისა და ფოლადის ნაწარმი: ცულ-ნაჯახები, წალდები, თოხები, სახნისები, ნამგლები, ცულები, ხელესოები, ეზოები, ხერხები, ბურღები, საჭრის-საჭრეთლები, დანები, კარ-ფანჯრის ჩამოსაკიდებლები და საკეტები, სამშენებლო ლურსმანი, ხაფანგები, ცხენის კეხ-უნარიგის აღკაზმულობა, ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღები და ა.შ.

ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადება. სამჭედლო ხელოსნობის ცალკე დაწინაურებული დარგი იყო ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების (თოფები, დამბაჩები, ხმალ-ხანჯლები, იათაგანი და სხვ.) დამზადება, რითაც განსაკუთრებით მაჭახლის ხეობა და ქედა აჭარა გამოირჩეოდა. ამის შესახებ, საკუთრივ ეთნოგრაფიული მასალების გარდა, საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ და უცხოურ გამოცემებში.

1867 წლის ცნობით, ლაზისტანის სანჯაყში შემავალი 11 ყაზიდან, ანუ მაზრიდან (ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზედა აჭარა, ქვედა აჭარა, მაჭახელი, ლივანა, გონიო, ხოფა, არქაბე, ხემშინი, ათინა) ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღები მხოლოდ მაჭახელსა და ქვემო აჭარაში მზადდებოდა.[13] ტრაპიზონში ინგლისის კონსულის – ჯიფორდ ჰალგრევის ცნობით, ქვედა აჭარაში დამზადებული თოფები, დამბაჩები, სატევრები გამოირჩეოდა კარგი ნაკეთობით და ვერცხლის ლამაზი მოჭედილობით.[14] დ. ბაქრაძე, რომელმაც აჭარაში იმოგზაურა ოსმალთა ბატონობის დროს (1874 წელი), წერდა: „მე საესებით ეთანხმები notice sur Batoum-ის აზრს იარაღის დამზადების ადგილების შესახებ. მართლაც, თოფებს, იატაგანებსა და სხვა ცივ იარაღს... ამზადებენ მაჭახელში, ცხმორისში, საღორეთსა და ახოში. ეს იარაღი, განსაკუთრებით, თოფები ცნობილია მაჭახელას სახელით და განთქმულია არა მარტო აჭარაში, არამედ იმერეთშიც".[15]

---

10 ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში, გვ. 12.

11 იქვე. გვ. 13.

12 Лисовский В.Я. Чорохский край. Тифл., 1887, с. 115-116.

13 Заметка о Лазистане. – Кавказский календарь, 1867, с. 402.

14 Отчет консула В.Джифорда Пильгрева... за 1872 года. – Материалы описания Азиатской Турции и Батумской области. – ИКОИРГО. т. VIII, ч. II. Тифл., 1882-1883, с. 55.

15 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 71.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართველი თუ უცხოელი მოგზაური მკელევრები, რომლებიც ოსმალთა ბატონობისდროინდელ და მის შემდგომ აჭარას ეხებიან, განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც მაჭახლის ხეობაზე ამახვილებდნენ. ხეობისადმი ასეთი დიდი ინტერესი იმითაც განაპირობა, რომ აქ ისტორიულად მაღალ დონეზე იდგა მაჭახელად წოდებული მაღალხარისხოვანი კაჟ-ჩახმახიანი თოფებისა და დამბაჩების, აგრეთვე ცივი საბრძოლო იარაღების (ხმალ-ხანჯლები, იათაგანი) წარმოება.[16] ჭოროხის მხარის აღწერისას რუსი სამხედრო კორესპონდენტი ე. ლისოესკი წერდა: „მხოლოდ წარმოების ერთ დარგში მიაღწია მოსახლეობამ რამდენადმე მნიშვნელოვან დაწინაურებას. სახელდობრ, თურქეთის ბატონობის დროს მაჭახლის ხეობა განთქმული იყო ცეცხლსასროლი და ცივი აზიური იარაღების წარმოებით, თოფები და დამბაჩები აქედან გაჰქონდათ მთელ მხარეში და აღწევდა აგრეთვე გურიაში, ახალციხისა და ყარსის ოლქებში „მაჭახელას“ სახელწოდებით, რომელიც ითვლებოდა მაღალი ღირსების იარაღად“.[17]

მაჭახლის ხეობაში კაჟ-ჩახმახიანი თოფებისა და ცივი საბრძოლო იარაღების წარმოებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. დ. წერეთლის ცნობით, 1878 წელს მაჭახელში სამხედრო იარაღის მკეთებელი 30 ოსტატი ყოფილა. მისი თქმით, თოფი მაჭახელა ცნობილი ყოფილა მთელ კავკასიაში და ყირიმული წარმოების თოფებზე წინ მდგარა.[18] ე. თაყაიშვილის ცნობითაც, აღრე გურიაში სულ მაჭახელის თოფები ჰქონდათ და მერეღა გაანრდა ევროპიდან შემოტანილი.[19] ზ. ჭიჭინაძის დახასიათებით, საომარი იარაღების კეთებით მაჭახელი მთელ დასავლეთ საქართველოში ყოფილა ქებული, ხოლო ოსმალთა მიერ დამორჩილების შემდეგ მაჭახლელ მეიარაღეებს სახელი განთქმული ჰქონდათ ოსმალეთის იმპერიაშიც. სტამბულში ყველა ფაშის სახლში და სახელმწიფო კაცთა იარაღებს შორის „მაჭახელა“ პირველობდა, მათ მკერდს ეს იარაღი უმშვენებდა. მაჭახლური თოფი და დამბაჩა შედარებულ-შეთანასწორებული იყო სტამბულის თოფებთან და დამბაჩებთან.[20]

მაჭახლური თოფ-დამბაჩების ასეთი მოწონება და იმდროინდელი აღიარება მის მაღალმხატვრულ დამუშავებაში, კერძოდ, ოქრო-ვერცხლითა და ძელით შემკობაში გამოიხატებოდა.

მაჭახლის ხეობისა და აჭარის სხვა სახელოსნო ცენტრებში ორი სახის თოფი მზადდებოდა: თოფხანე და ნალფარა. ნაკეთობის ხარისხით თოფხანეს გამოარჩევდა ხრახნილი ლულა, რომელიც მასიური რკინისაგან მზადდებოდა. ნალფარა თოფის ლულა კი რკინის ნაგრების შეერთება-შედუღებით მიიღებოდა და ხარისხით თოფხანეს ჩამოუვარდებოდა. თოფის და დამბაჩის ფასსაც ნაკეთობის ხარისხი (ლულისა და კონდახის შემკულობა) განსაზღვრავდა. თოფის ლულა მზადდებოდა სპეციალურ დაზგაზე, რომელსაც თოფის ჩარხი ეწოდებოდა.[21]

XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დამდეგის მონაცემებით საუკეთესო მეიარაღე-ხელოსნის სახელი ჰქონდათ მოხეველი ქავთარაძეებს, ნაგერეიძეებს, კახიძეებს, გორგა-

---

16 გ.ნიტაია. მაჭახელა (რუსულ ენაზე). — შრომები, ტ. V, თბ., 2001; ნ.კახიძე. ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიიდან აჭარაში. — სდხკ, II, თბ., 1974, გვ. 92-109; მისივე. ხელოსნობა აჭარაში, გვ. 24-38.

17 Лисовский В.Я. Чорохский край. с. 117.

18 დ.წერეთელი. მაჭახელა. — გაზ. „დროება“. 1878, № 238.

19 ე.თაყაიშვილი. რჩეული ნაწერები. ტ. I. თბ., 1968, გვ. 386.

20 ზ.ჭიჭინაძე. სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკენი (იხ. თავი „საომარი იარაღის ხელოსნობა და მისი დაცემა სამცხე-საათაბაგოსა და მაჭახელს“). ტფ., 1906, გვ. 12-14.

21 თოფის დაზგის აღწერილობა ვრცლად იხილეთ ნ.კახიძის დასახელებულ ნაშრომში „ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიიდან აჭარაში“.

ძეებს, ძნელაძეებს (მაჭახლის ხეობა), მიქელაძეებს (სოფელი ცხმორისი), ქონიაძეს (ხულო), ტაკიძეს და ქარცივაძეს (ჭვანის ხეობა), გაბიტაძეებს (სოფელი კირნათი) და სხვ.

XIX ს. ბოლოდან ადგილობრივი წესით იარაღების დამზადება თანდათან იზღუდება, რაც გამოწვეული იყო ევროპული, კერძოდ, ინგლისური, ფრანგული, ბელგიური და რუსული (ტულის) წარმოების შედარებით იაფი იარაღების გაერცელებით საქართველოსა და კავკასიაში. ხელოსნობის ამ დარგის დაცემაზე გარკვეული გავლენა იქონია აგრეთვე საუკეთესო მეიარაღე-ხელოსანთა მუშაჯირად წასვლამ, რაც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის ერთი მძიმე შედეგი იყო.

ამის შემდეგ ლითონდამამუშავებელი ხელოსნობა აჭარაში ძირითადად წარიმართა სამეურნეო-სამოწათმოქმედო იარაღების დამზადებით. მხოლოდ ერთეულ ხელოსნებს (მჭედლებს) შეეძლოთ გაეკეთებინათ კაფსულიანი ფილთა თოფები და შეეკეთებინათ ქარხნული წარმოების თოფებიც.

ხის დამუშავება. ხელოსნობის ეს დარგი ძველ ქართულ წყაროებში ხითხუროობის თუ ხის მუშაკობის სახელწოდებითაა ცნობილი და მეტწილად საქართველოს იმ კუთხეებში იყო გაერცელებული, სადაც საამისო სამშენებლო ხე-ტყე მოიპოვებოდა. აჭარა ამ მხრივაც გამოირჩეოდა. ამ ფაქტს საგანგებოდ მიაქცევდა ყურადღებას ეახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.). იგი წერდა, რომ აჭარლები არიან „ეაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა".[22]

ხის მუშაკობის უძველესი ტრადიციები აჭარაში კარგად ელინდება როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიული ლიტერატურის მონაცემებით. პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები სამშენებლო ხელოსნობის, კერძოდ, ხის სახლთმშენებლობის ძველი ტრადიციები, რაც საფუძველად დაედო თანამედროვე სახლთმშენებლობას.

სოფ. ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალების მიხედვით, მერქნის გამოყენება საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაში ადრეენეოლითური ხანიდან დასტურდება. ისპანის არქეოლოგიური ნიეთიერი მასალები კი მიგვითითებენ, რომ ძ.წ. IV ათასწლეულიდან არსებობდა ჭდობით ნაშენი ჯარგვალური ნაგებობანი,[23] რაც იმ დროისათვის ხითხუროობის და საერთოდ, სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონის მაჩვენებელია. ძველი კოლხეთის მაგალითზე მშენებლობის ამგვარი წესი დამოწმებული აქვს ძ.წ. I საუკუნის რომაელ არქიტექტორს ვიტრუვიუსს. ჭდობის წესითაა ნაშენი ჯარგვალური ნაგებობანი აჭარის სოფლებში და ალპურ ზონაში. ეს წესი დღესაც გამოიყენება აჭარაში ფიცრული სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობაში. აჭარული ფიცრული სახლი კი მიჩნეულია ქართული ხალხური ხითხუროობის, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშად. გაირკვა, რომ საუკეთესო სახლების ინტერიერი და ექსტერიერი (ძირითადად ბოძები) მოჩუქურთმებული იყო, რაც უშეტესად ძველ, 100-150 წლის წინ აშენებულ სახლებს ახასიათებდა.[24]

ამ მხრივ საინტერესოა ლაზური სახლი, რომელშიც შერწყმულია ხისა და ქვის, ან ხისა და აგურის კონსტრუქციები. ეახუშტის დახასიათებით, აჭარლების მსგავსად, ლაზებიც იყენენ „ხელოვანნი ხის მუშაკობითა".[25] საყოველთაოდაა აღიარებული ლაზ ხე-

---

22 ეახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 134.

23 დ.ხახუტაიშვილი. მშენებლობის ხელოვნების უძველესი ნიმუშები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. — სდსად, I, ბათუმი, 1980, გვ. 17-19; მისივე. ქობულეთის ქვევანა, გვ. 39, 81-83.

24 ჯ.ჯავარშალოშიძე, ორნამენტი ხეზე. ბათუმი, 1979, გვ. 36.

25 ეახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

ლოსანთა ხეზე კეთილობის ნიმუშები, რომლებიც ცნობილია ლაზური ორნამენტის სახელწოდებით.[26]

ორნამენტიანი სახლები აჭარის მთისა და ბარის ბევრ სოფელშია ფიქსირებული. ამ მხრივ გამორჩეულია ა. დემეტრაძის სახლი სოფელ დიდაჭარაში (ხულოს რაიონი), რომელმაც შემდეგ ბინა დაიდო თბილისში, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის აჭარის ზონაში. გეომეტრიული, მცენარეული და სხვა სახის ორნამენტით იყო დამშვენებული მ. მალაქმაძის (სოფ. ჩიქუნეთი), მ. დუმბაძის (სოფ. მეძიბნა), ა. ციცაძის (სოფ. ქოსოფელი), გ. ასამბაძის (სოფ. ოქტომბერი) და სხვა საცხოვრებელი სახლები.[27] მეჩუქურთმეთა უმრავლესობას ლაზი ოსტატები შეადგენდნენ, საცხოვრებელი სახლები კი აშენებულია როგორც ლაზი, ისე ადგილობრივი ხელოსნების მიერ.

ხითხუროობის ძველი ტრადიციები კარგადაა შემონახული ხის მეჩეთებში, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, როგორც ხუროთმოძღვრულ-მხატვრული დირებულების მქონე მატერიალური კულტურის ძეგლებს. დადგენილია, რომ აჭარაში არსებული მეჩეთების არქიტექტურული ფორმები განვითარებულია ქართული ხის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საფუძველზე,[28] რომელშიც ჩაქსოვილია არა მარტო სადურგლო ხელოვნება, არამედ ხელოსნობაც ამ ცნების ნამდვილი გაგებით.[29] ეს კარგად ეტყობა პირველ რიგში მეჩეთების შემკულობაში, რომელშიც გამოყენებულია ქართული ორნამენტის ნაირ-სახეობანი, მათ შორის იმ ორნამენტისა, რომელიც ეკლესია-მონასტრებზეა გამოსახული.[30]

ორნამენტითაა შემკული აჭარაში არსებული მეჩეთების უმრავლესობა, რომლებიც აშენებულია ლაზი და აჭარელი ოსტატების მიერ. ამ მხრივ განუმეორებელია სოფელ ჩიქუნეთის (ხელვაჩაურის რაიონი) მეჩეთი, რომელიც მდიდრული, მრავალსახა ჩუქურთმითაა შემკობილი[31] (მეჩეთი 1975 წელს გადატანილი იქნა თბილისის დიდ ცის ქვეშ მუზეუმში). მდიდრული ორნამენტითაა შემკული ხის სხვა მეჩეთებიც (ზედა ჩხუტინეთი, ღორჯომი, დიდაჭარა, დღვანი, ლომანაური, კვიახიძეები, აგარა, მეძიბნა, გულები, ახო, ბზუბუ, უჩხითი, კეირიკე და ა.შ.). დიდ სოფლებში მოზრდილი მეჩეთები შენდებოდა და ისინი შემკულობითაც გამოირჩეოდა.

ხის დამუშავებაში წამყვანი ადგილი ეჭირა მხვეწელობას ანუ ხარატულ ნაკეთობაია დამზადებას, რასაც ასევე აჭარაში ძველი ტრადიცია ეანჩნია. ამ სახის ნაკეთობის გარეშე კი ძველად საერთოდ წარმოუდგენელი იყო სამეურნეო და საოჯახო ცხოვრება.

ხარატული ჯამ-ჭურჭელი მზადდებოდა თელის, ცაცხვის, თხმელის, ნეკერჩხლის, წიფლისაგან. ნაკეთობის დასამზადებლად აჭარაში სამი სახის დაზგა (ხალხური ტექნოლოგიით – დეზგარი) გამოიყენებოდა. პირველია წყლის ენერგიაზე (ღელის წყლებზე) მომუშავე „წყლის ჩარხი" („წყლის დეზგარი"), მეორე – მოძრაები ხელის დაზგა („ხელის დეზგარი", „ხელის ჩარხი"), მესამე – ფეხის დაზგა („ფეხის ჩარხი"). XX ს. 60-იანი წლებიდან ჩნარებაში შემოდის ელექტროენერგიაზე მომუშავე დაზგები. პირველი სახის დაზგებზე იხვეწებოდა ჯამ-ჭურჭელი (ჯამები, გობები, ქვიჯნები, აკვნის ნაწილები, სუფრები –

---

26 გაბიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. შრომები, ტ. II, თბ., 2001.

27 ჯვარშალომიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 36-39.

28 Гаракандзе М.К. Грузинское деревянное зодчество. Тб., 1950, с. 106.

29 ლ.სუმბაძე. გადავარჩინოთ ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები. - საბჭოთა ხელოვნება, თბ., გვ. 74.

30 ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში, გვ. 46-50.

31 ლ.სუმბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

სასადილო მაგიდები, მაგიდის ფეხები, რიკულები, წისქვილის ბორბლები და სხვ.). მეორეზე – ხერტალი, ხერტლისთავი (კეირისტავი). მესამეზე (იგი ძირითადად ზედა აჭარაში იყო გავრცელებული) – ხალხურ სატრანსპორტო საშუალებათა (ურემი, სელი) ნაწილები, მაგიდისა და სკამის ფეხები, აკენის მოწყობილობა და ა.შ.). ელექტროენერგიაზე მომუშავე დაზგებმა ხმარებიდან თითქმის გამოდევნა ტრადიციული დაზგები, თუმცა ერთეულების სახით ისინი დღესაც მოქმედებაშია.

ხარატულ ნაკეთობათა შორის დამზადების ხალხური ტექნიკის. ფუნქციონალური თუ სხვა თვალსაზრისით საინტერესოა მასიური ხისაგან (თელა, ცაცხვი, წიფელი) გამოჭარხული დაბალი მრგვალი სასადილო მაგიდები ცენტრში საყრდენი ერთი ფეხით. რომელიც აჭარაში ცნობილია სუფრის სახელწოდებით. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში სუფრა მოიხსენიება ფეშხუმის, ტაბლის, ტაბაკის, ტრაპეზის სახელით.[32]

აჭარაში გავრცელებული ხარატული სუფრები კონსტრუქციულად ძირითადად ერთი სახისაა. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ მისი ზედაპირის კონსტრუქციაში. გვხვდება არშიანი, ანუ ქობაშემოვლებული და უარშიო სუფრები. არშიანი სუფრები ძირითადად პურობისთვის ანუ სასადილოდ იყო განკუთვნილი, ხოლო უარშიო – პურის ცომის გასაწეად გამოიყენებოდა. გვხვდება აგრეთვე ფიცრებით შედგენილი მრგვალი და ოთხკუთხედი ფორმის სუფრები. ხის სუფრების გარეშე აჭარული ოჯახი წარსულში საერთოდ წარმოუდგენელი იყო. საგანგებოდ ისეთი სუფრებიც მზადდებოდა (მათი დიამეტრი 1-1,5 მეტრის ფარგლებში მერყეობდა), რომელთა ირგვლივ 10-15 კაცი ერთად სადილობდა.

ეთნოგრაფიულ ყოფაში მსგავსი სუფრები აჭარის გარდა მასობრივად გავრცელებული ჩანს შავშეთ-იმერხევში, ლივანასა და ლაზეთში. საქართველოს სხვა კუთხეებში ასეთი ჯუფრები არ გვხვდება, გარდა სამცხე-ჯავახეთისა, მაგრამ ისინი აქ აჭარიდან შეჩქონდათ. ადგილზე მათი დამზადება არ ხდებოდა. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ წყლის სამხვეწლო დაზგებზე მასიური ხისაგან სუფრების დამზადების ტრადიციულ კერად სამხრეთ-დასავლეთი საქართველო უნდა მივიჩნიოთ, რომლის დაწინაურებულ ლოკალურ ცენტრს აჭარა წარმოადგენდა.[33]

აჭარის სამეურნეო და საოჯახო ყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხის წნული ნაკეთობა, რომელსაც ყველა სოფელსა და ოჯახში ამზადებდნენ. ხის წნული ჭურჭლის გარეშეც საერთოდ შეუძლებელი იყო მიწათმოქმედება-მეცხოველეობის, მევენახეობა-მეფუტკრეობის და ზოგიერთი სხვა სამეურნეო დარგის გონივრული წარმართვა. აქაური წნული ნაკეთობის ნუსხაში შედის სხვადასხვა დანიშნულების, ზომისა და ტევადობის გოდრები, კალათები და სხვ. სოფლებში – აჭარისაღმართში, კაპნისთავსა და გვარაში (ხელვაჩაურის რაიონი) საგანგებოდ მზადდებოდა ისეთი მჭიდროდ მოწნული „საფქვილე გოდრები", რომლებიც წყალსაც არ გაატარებდა. ასეთი საფქვილე გოდრები მხოლოდ სუროს ტაქსისაგან იქსოვებოდა. დანარჩენი წნული ჭურჭლის დასამზადებლად კი იყენებდნენ თხილის, ნაძვის, წაბლის, შქერის ტაქჩს. დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ქვემო აჭარაში, შავშეთ-იმერხევისა და ლაზეთის მსგავსად, ტრადიციულად კონუსისებური ორფეხიანი გოდრები მზადდებოდა, ზემო აჭარაში კი – ძირითადად უფეხო, ბრტყელძირიანი გოდრები.

ყველა სოფელში მოიპოვებოდნენ ხელმარჯვე ოსტატები, რომლებიც სამეურნეო-სამეწყათმოქმედო თუ საოჯახო დანიშნულების ხის სხვადასხვა იარაღ-ინვენტარს ამზადებდნენ (სახვნელი იარაღები, სადურგლო იარაღის ბუდეები, საცეხველები, წყლის ჯა-

---

[32] ი.ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965, გვ. 31-34; ნ.კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51-53.

[33] ნ.კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55-56.

რები, ფოცხები, ნიჩბები. ხის კოვზები და ა.შ.). წაბლის ხის ქერქისაგან აკეთებდნენ ბლის საკრეფ ცილინდრისებური ფორმის ჭურჭელს – ხოკერს. ბლის ხის ქერქისაგან წნაედნენ ჩანთებს, ცაცხვის ხის ქერქისაგან გრეხდნენ პატარა და დიდ თოკებს, უკანასკნელს ჭაპანი ეწოდებოდა, რომელსაც იყენებდნენ დიდი ხეების მოსატანად, სკების ხეებზე ასატანად და სხვა დანიშნულებით.

ხის დამუშავებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა რძის პროდუქტების გადამუშავება-შენახვასთან დაკავშირებული ჭურჭლის დამზადებას. ამ სახის ხის ჭურჭელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი უპირატესი მნიშვნელობა ზემო და ნაწილობრივ ქვემო აჭარის იმ მოსახლეობაში, რომელიც მესაქონლეობას და რძის პროდუქტების დამუშავებას მისდევს.

ხის ნაკეთობა ჩართული იყო ადგილ-მიცემობაში. იგი გასაყიდად გაპქონდათ სამცხე-ჯავახეთში, არტაანში. ბათუმის ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობდა სუფრები, გობები, ცხავი და ცხრილი, წნული კალათები.[34] მოის საზაფხულო საძოვრებზე (ხოტიეული, ძელგორი, ბახმარო, გომის მთა) აჭარელ მესაქონლე-ხელოსანთა მიერ დამზადებულ გეარდებსა და კოლოფებს ყიდულობდნენ გურული და მეგრელი მესაქონლეები, რომელთაც ტრადიციულად მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჰქონდათ მთიანი აჭარის მოსახლეობასთან.[35]

ცალკეული ხელოსნები დასაქმებულნი იყვნენ სახმელეთო და სამდინარო-საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა დამზადებაში. აჭარის მთის ზონაში ძირითადად გაერცელებული იყო სელი, მარხილი, ციგა, ურემი, ბარის ზონაში – მხოლოდ ურემი. სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტად ბრტყელძირიან ნაავებს იყენებდნენ.[36]

კერამიკული ნაკეთობა. კერამიკული წარმოება ხელოსნობის ყველაზე უძველესი და ფართოდ გაერცელებული დარგია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. ადამიანის ცხოვრებაში არც ერთ ნედლეულს არ ჰქონია ისეთი ფართოდ გამოყენება, როგორიც თიხას, ხეს და ქვას. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემებით, ეს ფაქტი საქართველოს, კერძოდ, აჭარის მაგალითზეც კარგად ვლინდება.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, კერამიკული წარმოების ტრადიციები აჭარის ტერიტორიაზე სათავეს იღებს ნეოლითური ხანიდან. ამაზე მიუთითებს მახვილაურისა და ქობულეთის ნამოსახლარებზე ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.[37] მახვილაურის ჭურჭელი დამზადებული ყოფილა სილისა და არაგონიტის მინარევებიანი თიხისაგან. ბუნებრივია, მახვილაურელი ადამიანი ჭურჭლის დასამზადებლად ახლომახლო თიხას იყენებდა. საჭურჭლე თიხის მარაგი თვით მახვილაურის ახლოს, სოფელ შარაბიძეებშიც არის მიკვლეული. XX საუკუნის 30-იან წლებში ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევებით აქაური თიხა ჭურჭლის დამზადებისათვის ვარგისად ჩაუთვლიათ.[38] ბუნებრივია, აქაურ ადამიანს ადრე უნდა შეემჩნია და გამოეყენებინა იგი თავისი მისნებისათვის.

ადრეული სამიწათმოქმედო კულტურის მოგვიანო საფეხურზე აჭარის ტერიტორიაზე კერამიკული ნაკეთობა მრავალფეროვანი და უფრო დახვეწილი ხდება. ამის დასტურია ისპანსა და ნამჭედურზე ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, რომელიც დეკორის მრავალსახეო-

---

34 ნ.ალხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

35 ა.დავითაძე. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974. გვ. 92-93.

36 ხალხური სახმელეთო და სამდინარო-საზღვაო ტრანსპორტის დამზადებისა და მოხმარების ტრადიციებზე იხილეთ წინამდებარე ნარკვევის მეექვსე თავი, §3.

37 ს.გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბ., 1977, გვ. 87-88. დ.ხახუტაიშვილი. ქობულეთის ქვეყანა, გვ. 74.

38 Горбунов С.С. Полезные ископаемые в Аджарской АССР. Батуми. 1941. с. 46.

ბითაც გამოირჩევა. მსგავსი ჭურჭლები ფართოდ გავრცელებული ჩანს მომდევნო ეპოქის კოლხურ სინამდვილეში.[39] ძვ.წ. I ათასწლეულში ნამჭედურზე არსებულა კერამიკული სახელოსნოები, სადაც დიდი რაოდენობით მზადდებოდა სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი, მეტალურგიასთან და რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ინვენტარი. კერამიკულ წარმოებაში გამოიყენებოდა სამეთუნეო მორგვიც.[40] კერამიკული ნაწარმის დეკორში მოჭარბებულია გეომეტრიული ფორმები სამკუთხედებისა და რომბების სახით. ფიჭვნარში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენებში მოძიებულია ცალკეული ქოთნები, რომლებიც ზემო აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე გამოიყენებოდა.[41]

კერამიკული წარმოება ფიჭვნარში კვლავაც დაწინაურებულია ანტიკურ ხანაში, როდესაც თიხის სხვა ჭურჭელთან ერთად მზადდებოდა სხვადასხვა ტევადობისა და ფორმის ქვევრები (დერგები) და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ინტერესებითაც იყო განპირობებული. ასეთი ქვევრები ნაპოვნია ბათუმისა და ციხისძირის მიდამოებშიც.[42] არსებითად, საქმე გვაქვს საყოველთაოდ ცნობილ კოლხური ქვევრების სახეობასთან, რომლებიც მეთუნე ხელოსნის პროფესიული დახელოვნების შედეგია. ანტიკურ ხანაში კერამიკული წარმოებით ბარს არც აჭარის მთის ზონა ჩამორჩებოდა. ამის მაჩვენებელია კაკაშტის ნამოსახლარზე (ქედის რაიონი) აღმოჩენილი ორნამენტირებული ქვევრები, დოქები, ქოთნები, სასმისები, საბეჭდავები და სხვ.[43]

ანტიკური ხანის აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული სამშენებლო კერამიკული ნაწარმის დამზადება, (კერამიტი, აგური, წყალგაყვანილობის მილები). ამ მხრივ დაწინაურებული ჩანს გონიო, ბათუმის ციხისა და ციხისძირის მიდამოები, ფიჭვნარი და სხვა საქალაქო ცენტრები.[44]

კერამიკული ნაკეთობის დამზადება განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს ფეოდალურ ხანაში. აჭარის ბარისა და მთის ზონაში იშვიათად მოიპოვება სოფელი, ნაქალაქარი თუ ნასოფლარი, სადაც ამ პერიოდის კერამიკული გაკეთობა არ იყოს აღმოჩენილი. არქეოლოგიური მონაპოვრებიდან აღსანიშნავია აჭარისწყლის მთის ზონაში (ჭვანის ციხე, სხალთა, თხილვანის ნაეკლესიარი და სხვ.)[45] მოძიებული ინვენტარი, პირველ რიგში, დიდი ზომის ქვევრები (ჭვანის ციხის ტერიტორია),[46] რომლებიც ადგილზე დამზადებული უნდა იყოს. ასევე უნდა ითქვას მიწაში დაფლულ ქვევრებზე, რომლებიც მრავლადაა ფიქსირებული მაჭახლისა და მერისის ხეობებში, ფურტიოში, გობრონეთში და სხვა სოფლებში. ასეთი ქვევრები გამოიყენებოდა მევენახეობა-მეღვინეობაში, მარცვლეულ მეურნეობაში.

მეთუნეობა აჭარაში ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა, რომელიც შემდგომ, ოსმალთა ბატონობის დროს, დაქვეითდა და დაეცა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამ პერიოდში

---

39 აკახიძე. საქართველოს შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბ., 1971, გვ. 22; დ.ხახუტაიშვილი. ჭობუღეთის ქეჟანა, გვ. 76-77.

40 დ.ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75. აკახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28-29; Микеладзе Т.К., Хахутайшвили Д.А. Древнеколхидское поселение Намчедури. I, Тб., 1985, с. 14-17.

41 აკახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 25. ნ.ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 55-56.

42 აკახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 40-41; ნ.ინაიშვილი. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XXI. თბ., 1993, გვ. 51-52, 58-59.

43 აკახიძე, შ.შამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 63-67.

44 აკახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

45 შ.შამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 40, 55-70, 169-170 და ა.შ.

46 იქვე, გვ. 35.

აჭარაში ჯერ შეიზღუდა, ხოლო შემდგომ სრულიად აიკრძალა ღვინის დაყენება და მოხმარება. ამის შედეგად, შესაბამის კერამიკულ ტარაზე მოთხოვნილებაც მკცირდებოდა.

კერამიკული წარმოების ძირძველი ტრადიციები აჭარაში ეთნოგრაფიული მასალებიც კარგად ეალინდება. ამ რიგის მონაცემებით, აჭარის ტერიტორიაზე თიხის ნაკეთობა-ია დამზადების რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ლოკალური კერა გამოიყოფა: დღეანდელი შუახევის რაიონული ცენტრი და მისი მიმდებარე სოფლები (კოლოშნარი, ყორხანაული, ორთამეელე), მაჭახლისა და მერისის ხეობები, ხუცუბანი, ჭახათი (ქობულეთის რაიონი), დოლოგანი (ქედის რაიონი).[47]

XX საუკუნის 30-იან წლებში შუახევის კერამიკულ სახელოსნოებში, რომლებიც ადგილზე არსებულ თიხით მარაგდებოდა, ათზე მეტი დასახელების თიხის ჭურჭელი თუ სხვა ნაკეთობა მზადდებოდა: ქვევრი და დერგული (რძისა და სხვა პროდუქტების შესანახავად და სამწნილედ), ქოთანი (ლობიო სახარშავი), დოქი და ლიტრა (წყლისათვის), სპარა (კარაქისათვის), ქუჯრერა (მაწონისათვის), ვარია//ვარელა (კარაქის მოსადღეებად), ჯამები (კერძებისათვის). სამშენებლო ნაკეთობა (ღარიანი კრამიტი, აგური, საკვამლე მილები) და ა.შ.

მეთუნეობით შუახევში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ის შტო დავითაძეებისა (სოფ. სხვეი) და დუმბაძეების (სოფ. ჩანჩხალო) გვარიდან, რომლებიც ქუფჩიოღლად იწერებოდნენ.[48] თიხის ჭურჭელი მზადდებოდა ჩარხზე, რომელიც ცნობილია კერამიკული მორგვის სახელწოდებით. შუახეველი მეთუნეები ასეთ ჩარხებს ძველთაგანვე იყენებდნენ.

საჭურჭლე თიხის გამოცნობისა და მისგან ნაკეთობათა დამზადების მდიდარი ხალხური ცოდნა-ჩვევები, ჭურჭლის მრავალფეროვნება და მათი ადგილობრივი სახელწოდებები, სამეთუნეო ჩარხის არსებობა ადასტურებს, რომ შუახევში ხელოსნობის ამ დარგს მართლაც ძირძველი ტრადიციები გააჩნია.

მაჭახლის ხეობიდან კერამიკული ნაწარმის დამზადებით სოფელი ცხემლარა (პირპილეთის დასახლებული უბანი) გამოირჩეოდა, სადაც კეთდებოდა კარგი ხარისხის ქვევრები, დოქები, ქოთნები, ჯამები, წყალგაყვანილობის მილები, ღარიანი კრამიტი. საუკეთესო ხელოსანთა მუშაობირად წასელის გამო კერამიკული წარმოება აქ შეწყვეტილა. მოგვიანებით ღარიანი კრამიტი მზადდებოდა ამავე ხეობის სოფელ გორგაძეთში. მერისის ხეობიდან XIX ს. ბოლოს ღარიანი კრამიტისა და თიხის სხვა ნაკეთობით ცნობილი იყო სოფლები – კუჭულა და ალიქაშვილები, სადაც ამ საქმიანობას მეორე მსოფლიო ომამდეც მისდევდნენ. XX ს. 20-30-იან წლებში ღარიანი კრამიტი მზადდებოდა აგრეთვე დოლოგანში, მახუნცეოსა და ზუნდაგაში (ქედის რაიონი), ჭახათში, ხუცუბანში (ქობულეთის რაიონი).[49] 1939-1940 წლებში კრამიტის ქარხანა აშენდა ცეცხლაურში, რომელიც ყოველწლიურად 400 ათას ღარიან კრამიტს ამზადებდა.[50] ტრადიციულად, აჭარასა და მიეკვ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძირითადად ღარიანი კრამიტი მზადდებოდა.

აჭარის მეტწილ სოფელში მისდევდნენ თიხის ქვაცების დამზადებას, რაც ძირითადად ქალის პრივილეგიას შეადგენდა.

---

[47] ვრცლად იხ. ნ.კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73-82.

[48] ქართულ ენაზე ჭუფჩიოღლი ითარგმნება, როგორც მეთუნის ან მექოთნის შვილი. გვარის ეტიმოლოგია მიღებულია თურქული სიტყვიდან "Kup" („ჭუფ"), რაც დიდ, ვიწრეყელიან დოქს ნიშნავს. „ჩი" კი პროფესიის აღმნიშვნელი თურქული სუფიქსია. შდრ.: Турецко-русский словарь. М., 1977, с. 581.

[49] ნ.კახიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 78. დ.ბაქრაძის ცნობით ხუცუბანში ღარიანი კრამიტის დამზადებას რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დაწყებამდეც მისდევდნენ (Бакрадзе Д.З. Кинтришский участок. – საქართველოს ისტორიოგრაფია, III, თბ., 1975, გვ. 158.

[50] Горбунов С.С. Полезные ископаемые в Аджарской АССР, с. 33.

ძვის დამუშავება. ქვის დამუშავება, რომელიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ცნობილია „ქვითხუროობის" სახელწოდებით, აჭარაში ხელოსნობის დაწინაურებული დარგი იყო. ამაზე მიგვითითებს როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები (საკულტო ნაგებობანი, ციხეები, ქვის თაღიანი ხიდები, ქვაში ნაკეთები და ქვითკირით ნაშენი მარანსაწნახლები, შადრევნები, საცეხველები, ბუხრისა და წისქვილის ქვები და ა.შ.), ასევე სახალმშენებლობის ტრადიციები, საველე-ეთნოგრაფიული მასალები.

ქვითხუროობამ დიდი სამსახური გაუწია წარსულ ეპოქებს. დიდია მისი მნიშვნელობა თანამედროვე პერიოდშიც.

ქვითხუროობის (ქვის იარაღების დამზადების) საწყისებზე დღეგანდელი აჭარის ტერიტორიაზე მიგვანიშნებენ ბარისა (მახვილაური, ქობულეთი, ხუცუბანი) და მთის (ბეშუმი, ხიხაძირი, კალოთა, ბაკო, ვერნები, თიკანური) ზონაში გამოვლენილი ქვის იარაღები (მიკრო და მაკროლითები), მათ შორის: გახეხილ-გაპრიალებული ქვის ცულები, ხელსაფქვავები, სანაყები, თოხები და ა.შ. ისინი ნეოლითურ ხანას განეკუთვნება. ამავე პერიოდშია დადასტურებული ქვის რეტუშირებისა და გახერეტის ტექნიკური ხერხების არსებობა.[51]

ქვითხუროობის ნეოლითურმა ტრადიციებმა გარკვეული როლი ითამაშა ხელოსნობის ამ დარგის განვითარებაში მომდევნო ეპოქებში. შუა საუკუნეების მაგალითზე ეს კარგად ჩანს ქვის ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკების, ქვის თაღიანი ხიდების, მარანსაწნახლების მშენებლობაში.

ქვის ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ტრადიციებზე შუა საუკუნეების აჭარაში საინტერესო მასალას იძლევა აბუსერისძე ტბელის თხზულება (1233 წელი).[52] იგი შეიცავს მდიდარ ცნობებს ქვითხუროობის სხვადასხვა პროცესზე, დაწყებული „ქვის აღმოხდა-აღმოკაფვიდან", ვიდრე შენობის „განსრულებამდე", ანუ მშენებლობის დამთავრებამდე, სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებაზე, მშენებლობასთან დაკავშირებულ მდიდარ ტერმინოლოგიაზე.[53]

აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ჩანს,[54] და ამას სხვა წერილობითი წყაროებიც (ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", გიორგი მერჩულეს „პრიგორიოლ ხანთელის ცხოვრება") მოწმობენ, რომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში ყველთად იყენებდნენ მიწის წიაღიდან ამოღებულ და „კლდის კაფვის" შედეგად მოპოვებულ ქვებს. აგრეთვე მდინარის ქვიშას, რიყის ქვას, ღორღს, კირს, ძველი შენობის ნაშთებს. ტბელის თხზულებაში მოთხრობილია „ღორღისა და კირის შთასხმაზე", „ზელად ქვიშისა კირსავე" პროცესზე, „ქვის ქვაზე დასმაზე", „ქვის კაზმაზე" და სხვ. ასე შენდებოდა „დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა" „ტაძარი ესე საკვირველი". მშენებლობის პროცესს „აღშენება", ხოლო დამთავრებას – „განსრულება" ეწოდებოდა. დასრულებული შენების გამომხატველი იყო ტერმინი „ნამუშაკევი".[55]

---

51 ს.გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბ., 1977; მისივე. მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1979 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. – სდსმ, XI. თბ., 1982; მისივე. ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1980 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – სდსმ. XII. თბ., 1983.

52 აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბახილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. 1233 წლის ტექსტი. გამოსცა ლ.ჭუსხევიშვილმა. თბ., 1941; ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.სიხარულიძემ. ბათუმი, 1981.

53 ნ.კახიძე. ქვის დამუშავება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. – სდსყ. VIII. თბ., 1980.

54 შუა საუკუნეების აჭარაში ქვითხუროობის შესახებ აბუსერისძე ტბელის თხზულებაში დაცული ცნობების მიხედვით, წინამდებარე ნარკვევების მესამე თავშიც (§2) არის საუბარი, მაგრამ ნარკვევების ამ ნაწილშიც საჭიროდ ვცანით საკითხზე ყურადღების გამახვილება – ნ.კ.

55 ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში, გვ. 86.

თხზულების მიხედვით, XIII საუკუნის აჭარაში ქვის ეკლესია-მონასტრების მშენებელი, ცნობილი ქვითხუროო-ხელოსანი ყოფილა ვინმე ბასილი, რომელიც აჭარაში თუ სხვაგან წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებს აშენებდა. ბასილი, როგორც პროფესიონალი ქვითხურო, „მოსარეწლად რაისამე", ანუ საშოვარზე აჭარის ფარგლებს გარეთაც დადიოდა და ამით არჩენდა ოჯახს. ბასილი ქვის დასამუშავებელ რკინის იარაღებსაც, ანუ „ქვის სათლელ ჭურჭელს", თვითონვე ამზადებდა. ე.ი. მჭედლობაშიც თანაბრად დახელოვნებული ხელოსანი ყოფილა.[56] ბასილმა სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი შუა საუკუნეების მრავალრიცხოვან ქართველ ოსტატთა (საკოცარი, ბექა და ბეშქენ ოპიზარები, არსუკისძე და სხვ.) შორის.[57]

ქვის ეკლესია-მონასტრები, რომელთა სიმრავლით აჭარაც განსაკუთრებით გამოირჩევა, ქვითხუროობის ნამდვილი შედეგრებია. ასეთნაირად წარმოგვიდგება სხალთის, ეერნების, აგარის და სხვა ძეგლები. ამავე რიგისაა აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ტაძრის ორნამენტიანი ქვის ფრაგმენტები დიდაჭარიდან, ეკლესიის ბარელიეფი ადამიანის, ცხოველისა და ჯვრის გამოსახულებით კალოთიდან, ჯვრიანი ქვის ორნამენტიანი ფრაგმენტები ქართული წარწერით თხილეანადან და ეერნებიდან.[58]

ქვითხუროობის სანიმუშო ძეგლებია ციხე-კოშკები, თაღიანი ხიდები, საცეხველები, ბუხრის ორნამენტიანი ქვები და ა.შ.

XIX საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა მონაცემებით, დღეევანდელი აჭარის ტერიტორიაზე 30-მდე დიდი და პატარა ქვის თაღიანი ხიდი აღირიცხება, რომელთა დიდმა ნაწილმა საუკუნეებს გაუძლო. ისინი დასტურია მათ მშენებელთა პროფესიული დახელოვნებისა. იმდროინდელი მშენებლები კარგად ერკვეოდნენ ხიდის კონსტრუქციებში, საშენმასალებში. ხიდების მოცულობას გონივრულად უფარდებდნენ ადგილმდებარეობას. ივარაუდება, რომ მაშინდელ ოსტატთა განკარგულებაში უნდა ყოფილიყო სპეციალური ხელსაწყოები ხის თაღების, კამარებისა და საყრდენი ბურჯების მოსაწყობად. თუმცა ეს საიდუმლოებანი ჩვენთვის უცნობი დარჩა.[59] თ. სახოკია ფურტიოს ხიდის შესახებ წერდა: ხიდის მშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბევრ ახლანდელ ინჟინერს აწურვინებს ოფლს.[60] ძველი საქართველოს ქვის ხიდმშენებლობის სანიმუშო ძეგლად არის აღიარებული დანდალოს ხიდი.[61] 1899 წელს აღიდებულ ჭოროხს დაუნგრევია შაეი ზღვის შესართავთან ჭოროხზე არსებული ქვის ხიდი. იმდროინდელი რუსული გაზეთის ცნობით, ხიდის ბურჯების სიმტკიცე გაკვირვებას იწვევდა მის მნახველ ინჟინერთა შორის.[62] ასეთი გამძლე ხიდების მშენებლობაში უმთავრესი პირობა იყო ადგილზე დამზადებული კირი და თვით ქვითხუროთა მაღალპროფესიული ოსტატობა.

ამგვარი ოსტატობის შედეგია კლდეში ნაკვეთი თუ კლდეზე მიშენებული მარან-საწნახლები, რომლებიც დაცულია ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითში (განკუთვნება ელინისტურ ხანას),[63] მახუნცეთში, ძენწმანში, აქუცაში (ქედის რაიონი), ზედა ჩხუტუნეთში, ცხემლარაში (მაჭახლის ხეობა), კირნათში (ჭოროხის ხეობა) და სხვაგან.

---

56 იქვე. გვ. 91-92.

57 ვ.ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები. თბ., 1967.

58 ხ.ახვლედიანი. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი, გვ. 20.

59 ნ.კვეზერელი-კოპაძე. საქართველოს ძველი ხიდები. თბ., 1972, გვ. 168-169.

60 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

61 ნ.კვეზერელი-კოპაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

62 იქვე. გვ. 117.

63 დ.ხახუტაიშვილი. ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. – სმასმგმ II, თბ., 1963, გვ. 119.

აჭარაში არსებული ქვის ბუხრები, პირველ რიგში, ბუხრის თაღედი ნაწილი, თავისი ორნამენტაციით, ქვითხუროობის ნამდვილი შედეგი, მაღალ ხელოვნებამდე ასული ხელოსნის ნიმუშია, რომლის ავტორებად უპირატესად მოგზაური ლაზი ხელოსნები გვყავდნენებიან. მათგან ბევრ ადგილობრივ ქვითხუროსაც უსწავლია ჩუქურთმიანი ბუხრების კეთება.[64] ქვაზე ჩუქურთმის უბადლო კეკეთის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ზ. მარკოიძის (სოფ. აგარა, ხულოს რაიონი), ს. გოგოლიშვილის (სოფ. მერისი, ქედის რაიონი) და სხვათა ბუხრის ქვები, რომლებიც შემკულია გეომეტრიული, მცენარეული და ზოომორფული ორნამენტებით.[65] მცენარეულ ორნამენტში სჭარბობს „სიცოცხლის ხის მოტივი", რომელიც ქართული (ლაზური) ორნამენტის დამახასიათებელი ნიშანია.[66] ლაზური ორნამენტი განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ხეზე კეკეთილობაშიც.

ბუხრის შემკულობის მაღალი ხარისხი უპირატესად შეძლებული ოჯახის პრივილეგიას შეადგენდა. სავსებით სწორად შენიშნავდა ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე: „რაც უფრო მდიდარია სახლი, მით უფრო მეტად არის მოოთული ბუხარი ფაქიზი ჩუქურთმებით და ხის სამკაულებით".[67]

ეთნოგრაფიული მონაცემებით, აჭარაში (ბეშუმის ალპური ზონა, სოფ. ქუთაური – შუახევის რაიონი, სოფ. ეერნები (ხულოს რაიონი) იყენენ ხელოსნები, რომლებიც „წისქვილის ქვებსაც" (საფქვავი ქვა) ამზადებდნენ. ნაწილი გასაყიდად გაპქონდათ ახალციხის მხარეში.[68]

აჭარაში საუკეთესო ხარისხის წისქვილის ქვები მურღულის ხეობის (ჭოროხის მხარე) სოფელ თანზოთიდანაც შემოპქონდათ და ისინი "მურღულის ქვის" სახელწოდებით იყო ცნობილი.[69] თანზოთში დამზადებული ხელის წისქვილისა და წყლით მბრუნავი წისქვილის ქვებით მარაგდებოდა აჭარისწყლის ხეობა,[70] კინტრიშის მაზრა,[71] ჭოროხისა და მაჭახლის ხეობათა ბევრი სოფელი.

ხალხური ფეიძრობა. ხელოსნობის ამ დარგის კვალი, აჭარის ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიური ნიკოთიერი მონაცემების მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, ძვ.წ. მესამე ათასწლეულიდან ჩანს. ამაზე მიუთითებს ისპანში (ქობულეთის რაიონი) აღმოჩენილი თიხის კვირისტაკები, ხოლო მოგვიანო პერიოდში, ძვ.წ. II-I ათასწლეულებში, ქობულეთ-ფიჭვ-ნარისა და ბათუმის ციხის ტერიტორიის არქეოლოგიური მასალებით ფეიქრობა იმდროინდელი ხელოსნობის ერთ-ერთი მთავარი დაწინაურებული დარგი ყოფილა.[72] რთეა-ქსოფისთან დაკავშირებული ნაკეთობანი (თიხის კვირისტაკები, თიხის პირამიდები, საწაფები. ქსოფილიანი კერამიკის ფრაგმენტები) აღმოჩნდა წინაანტიკური და ანტიკური ხანის ფიჭვნარის ნაქალაქარზე.[73] ანტიკურ ხანაში პირამიდული საწაფები მრავლად ყოფილა გავრცელებული

---

64 ბუხრების მშენებლობისა და შემკულობის შესახებ აჭარაში ვრცლად იხ. ჯ.ჯაოშალომიძე. ბუხრის შემკულობა აჭარაში. – სდსყ. VI. თბ., 1978; ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში, გვ. 98-101.

65 ჯ.ჯაოშალომიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 67. ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ.99.

66 გ.ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში.

67 ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962, გვ. 35.

68 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

69 იქვე.

70 Лисовский В.Я. Чорохский край, с. 97.

71 Бакрадзе Д.З. Кинтришский участок, с. 158.

72 აინაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. – სდსძ. II, თბ., 1973, გვ. 24,25; დ.ხახუტაიშვილი. ქობულეთის ქვეყანა, გვ. 79-80.

73 ა.კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 51.

დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), რაც საფეიქრო წარმოების ფართო მასშტაბებზე მიუთითებს.[74] საწაფები ვერტიკალურ დაზგებთანაა დაკავშირებული და ძაფის დასაჭიმავად იყო გამოყენებული.[75] ასეთ დაზგებზე მზადდებოდა აგრეთვე სელის ქსოვილი. ჰეროდოტეს (ძვ. წ. V საუკუნე) ცნობით, კოლხური სელის ქსოვილები მაღალი ღირსების იყო და საკუსპორტო დანიშნულებასაც იძენდა, ხოლო ქსენოფონტეს (ძვ.წ. IV საუკუნე) მიხედვით, რკინის წარმოებით ცნობილ ხალიბებს სელის ჩაჩქანი ემოსათ.[76]

ფეიქრობა, ისე როგორც ხელოსნობის სხვა დარგები, შუა საუკუნეების აჭარაშიც იმდროისათვის განვითარების მაღალ დონეს აღწევს. ამ პერიოდის მონაცემები დაედო საფუძველად აღნიშნული დარგების ეთნოგრაფიულ შესწავლას და გამდიდრდა საკუთრივ ეთნოგრაფიული მონაცემებით.

აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით, წარსულში მხოლოდ სელის, აბრეშუმის, შალის, აგრეთვე კანაფის ქსოვილებისაგან დამზადებული ტანსაცმელით იმოსებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. სელ-კანაფის ნართს შეწყვილებით რთავდნენ და მას კედი ეწოდებოდა. ქსოვილს კი – ტილო, რომლისგანაც იკერებოდა მამაკაცისა და ქალის სამოსი, სათევზაო ბადეები და სხვ. განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებოდა სელის პერანგს, რომელიც ხელსაყრელი იყო მოხმარებით და გამძლეობითაც გამოირჩეოდა. დამახასიათებელი ფაქტია, რომ ძველად აჭარაში, საქართველოს სხვა კუთხეების (სამეგრელო, კახეთი) მსგავსად, სცოდნიათ მიცვალებულის სელის სუდარაში შეხვევა, რაც მიცვალებულისათვის სამადლო საქმედ აღიქმებოდა.[77]

სელისა და კანაფის ქსოვილს სხვა მხრივაც დიდი გამოყენება ჰქონდა. კანაფის ნართისაგან მზადდებოდა ტომრები, თოკები, თაფლის საწურები, სხვა დანიშნულების ნიეთები. ბამბისა და აბრეშუმისაგან ქსოვდნენ სადა და ბადისებურ წინდებს, ხელთათმანებს, თორ-სარტყლებს, საფულე და ჯიბის საათის ქისებს, რომლებიც განკუთვნილი იყო სამზითვო დანიშნულებითაც. მატყლისაგან მზადდებოდა ჩოხა-შალი, წინდები და ხელთათმანები, ყაბალახები, ქალის წინსაფარები, ხურჯინი, ცხვნის კეხ-უნაგირის ზოგიერთი აღკაზმულობა. წინდებისა და ხელთათმანების მოსაქსოვად თხის ბეწვსაც იყენებდნენ. აჭარლებისათვის შალის ჩოხა წარსულში ყოველდღიური ტანსაცმელი იყო. შალის ქსოვილების დამზადებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზემო აჭარა, ხოლო ქვემო აჭარაში მერისისა და მაჭახლის ხეობები. თ.სახოკია გასული საუკუნის ბოლოს წერდა, რომ ღორჯომში მოქსოვილი შალებით იმოსებოდა ზემო აჭარის მკვიდრთა უმეტესობა.[78] ა. ფრენკელის ცნობით, კარგი ხარისხის შალისა და აბრეშუმის ქსოვილები მზადდებოდა ქალაქ ბათუმსა და მის ახლომახლო სოფლებში, აგრეთვე ჩურუქსუში.[79]

სელისა და კანაფის ბოჭკო, მატყლის უძველესი ნედლეულია, რომლის ბაზაზეც საფეიქრო საქმე განვითარდა. როგორც აღინიშნა, არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ქობულეთის „ქეყანის" ტერიტორიაზე საფეიქრო საქმეს აქაური მოსახლეობა გვიანი ნეოლითიდან მისდევდა.[80]

---

74 ა.აფაქიძე. ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II. თბ., 1970, გვ. 758.

75 ა.ახალიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

76 ი.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. თბ., 1960, გვ. 27, 30.

77 ნ.ახალიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

78 თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბ., 1950, გვ. 135.

79 Френкель Ф. Очерки Чурук-Су и Батуми. Тиф. 1878, с.94.

80 დ.ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

აჭარაში დამზადებული საფეიქრო ნაწარმი ზოგიერთი ორიგინალური ნიშნით გამოირჩეოდა. ასეთია, მაგალითად აჭარელი ქალის კოსტუმი, რომელიც მარტოოდენ ამ მხარეში იხმარებოდა და მამაკაცის ჩაქურა მასრებიანი ზედა ტანითა და განიერი ნაოჭებიანი შარვლით, რომელიც შემონახული იყო აჭარა-გურიის მოსახლეობაში.[81] ესენი ქართული ტანსაცმლის თავისებური და საინტერესო ელემენტებია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურმა (ოსმალურმა) სტილმა აჭარელთა ჩაცმულობაზე არსებითი გავლენა ვერ იქონია.[82] ამიტომ, შემთხვევითი როდი იყო, რომ ქართველი (დ. ბაქრაძე, თ. სახოკია, ს. ჯიჯინაძე), რუსი (ა. ფრენკელი, ვ. ლისოვსკი) და ევროპელი (ჟ. მურიე) მოგზაური მკვლევრები აჭარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებიდან აჭარელთა ჩაცმულობასაც საგანგებო ყურადღებას მიაქცევდნენ. ე. ლისოვსკისა და ჟ. მურიეს დახასიათებით, აჭარული ტანსაცმელი, მიუხედავად იმისა, რომ უხეში ქსოვილისაგან მზადდებოდა, იყო კოხტა, მოქნილი, მომხიბლავი და შეფარდებული ადგილობრივ კოლორიტთან.[83]

რთა-ქსოვილისათვის განკუთვნილი იყო სხვადასხვაგვარი აღჭურვილობა. საქსოვი დაზგები ორი სახისა იყო: ჰორიზონტალური, რომელსაც საფეიქრო ეწოდებოდა, და ვერტიკალური, რომელსაც ყდა ერქვა. პირველზე ძირითადად იქსოვებოდა ტილო, საჩოხე შალი, საყაბალახე ქსოვილი, ფარდაგები, უნაგირის ზოგიერთი აღკაზმულობა, წინსაფრები, მეორეზე – თორ-სარტყლები.[84]

საგანგებო დაზგები გამოიყენებოდა შალის ქსოვილის მოსათელავად. ისინი ცნობილია შალის სათელავის სახელწოდებით. მას ორი კაცი ემსახურებოდა. მაჭახლისა და მეზობელი ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილის სოფლებში (კირნათი და სხვ.) ფიქსირებულია შალის სათელავები, რომლებიც კონსტრუქციულად განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში გაერცელებული სათელავებისაგან. ეს არის გაუმჯობესებული სახის სათელავი, რომელიც აადვილებდა შალის თელვის პროცესს, ზრდიდა თვით ქსოვილის ხარისხს და გამძლეობას. შალს ფეხითაც თელავდნენ. ამ მიზნით სარეცხ ჯარას (ვარცლი) ან ჩელტს (მოწნული ლასტი) იყენებდნენ. შალის ქსოვილს ღებავდნენ შავად. საღებავი მზადდებოდა კაკლის, მურყანის, წყავის ნედლი ქერქისა და კაკლის მწვანე ნაყოფის წეენისაგან, რომლებიც, ერთად აღებული, წყალში იხარშებოდა, იყენებდნენ სპეციალურ საღებავსაც, რომელსაც ქალაქ ბათუმში ყიდულობდნენ.

აჭარის სოფლად და ქალაქად ფართოდ იყო გაერცელებული ქარგვის ტრადიცია. რთა-ქსოვის პარალელურად, ბოგონას ადრეული ასაკიდანვე ასწავლიდნენ ქარგვას. გასათხოვარ ქალს ეს საქმე აუცილებლად უნდა სცოდნოდა. ამას სარძლოს დანიშვნის დროსაც ექცეოდა ყურადღება.[85] საქარგაოად იყენებდნენ შინნაქსოვ და ფაბრიკულ ქსოვილებს, ბამბისა და აბრეშუმის ძაფს, ოქრომკედს ანუ სირმას. მაჭახლის ხეობის მეტყველებაში ფიქსირებულია „მოსირმული", „სირმიანი", „მოსირმული კაბა", „სირმით ნაკერი", „სირმით მოქსოვილი", „კედით ნაქსოვი" და სხვა ტერმინები, რომლებიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებშიცაა მოხსენიებული. ეს ტერმინები "ოქროქსოვილის" თუ „ოქრონემსურის" იდენტური უნდა იყოს. სირმით ქარგაედნენ პერანგებს, ყაბალახებს, ბა-

---

81 საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის გზამკვლევი. თბ., 1958. გვ. 51.

82 ი.სამსონია. მამაკაცის კოსტუმი საციხურიდან. გვ. 78; მისივე. აჭარელი ქალის კაბა. – სდსყკ. III. თბ., 1975, გვ. 75.

83 Лисовский В.Я. Чорохский край. с. 123. ჟან მერიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962, გვ. 34.

84 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

85 ნ.კახიძე. ძვირფასი ქსოვილების დამზადებისა და მოხმარების ისტორიიდან საქართველოში. – სდსყკ. X. თბ., 1983, გვ. 36.

ლიშისპირებს, თორ-სარტყლებს, საათის ქისებს, საფულეებს და სხვა ნივთებს.[86] მოქარგულობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა "მახარობლის ბალიში", რომელსაც აჭარის მოსახლეობის საქორწილო ცერემონიალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მოქარგული ნივთები მზითვის აუცილებელი ელემენტიც იყო.[87]

ქარგვითი ხელოსნობის ძველი ტრადიციები, მისი დახვეწილი სახე ამოიკითხება სარიტუალო-საკლესიო დანიშნულების სამოსელზე, სხვა სახის ნივთებზე, რითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და მათ შორის — აჭარა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომელიც მას XIX საუკუნის ბოლოს ნაუწერია აჭარაში მოგზაურობის დროს. იგი წერდა: „მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამღვდლო სამოსელი აქეთ იკერებოდა. აქედანვე იგზავნებოდა ადმოსავლეთ საქართველოში ნაქსოვ-ნაკერი საეკლესიო სამკაული: დაფარნები, ოქრომკედი, ალსავლის კარების ფარდები, ოლარები, ხატის ფარდაგები. ამის ნიშნები დღევანდლამდე აქეთ დაშთენილი ნამეტურ იმ ოჯახებში, სადაც ძველი რომელიმე წევრი ოჯახის საეკლესიო წოდების ეოფილა. ასეთ ოჯახებში დღესაც მოკრძალებით ინახავენ ძველები ძველს საეკლესიო ნივთებს."[88]

ცხადია, აჭარა საქართველოს იმ რეგიონთაგანი იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური ფეიქრობის ჩასახვა-განვითარებაში.

ამგვარად, ხელოსნობა აჭარაში, რომელიც სათავეს იღებს ნეოლითიდან, თითქმის ყველა ემთავრესი დარგით (ხისა და ქვის დამუშავება, ანუ ხითხუროობა და ქვითხუროობა, მჭედლობა, მეთუნეობა, ფეიქრობა) იყო წარმოდგენილი და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

---

86 იქვე.

87 ჯ.ჯაფარშალიმიძე. ხალხური დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგები აჭარაში. — სდსყკ. XIII. თბ., 1986, გვ. 38.

88 ზ.ჭიჭინაძე. ქართველების გამაბმადიანება ანუ ქართველთ გათათრება. ტფ., 1907, გვ. 87.



მიწის მოხვნა ხარით.
ხულოს რაიონი, 1938 წ.
(აჭარის სახ. მუზეუმის ფონდებიდან)

სოფ. ზედა ხიდეშენეთი (მაქმახლის ხეობა. ფ.)



სოფ. ნიქენეთი (მაქმახლის ხეობა. ფ.)

სოფ. ქვედა ხიდეშენეთი (მაქმახლის ხეობა. 1964 ფ.)

ჯილღის (კავის) ტიპის სახვნელები





გოგორიანი (ბორბლიანი) ჯილღა
(სოფ. ღურტა. ხულოს რაიონი, 1964 წ.)



სოფ. ღურტა (1964 წ.)



სოფ. ზედა მახუნცეთი (ქედის რაიონი. 1964 წ.)



ხულოს რაიონი (1961 წ.)



სოფ. ცინარეთი (შუახევის რაიონი. 1961 წ.)



ეაკი (სოფ. ჩაქვისთავი ქობულეთის რაიონი 1958 წ.)



საქედურიანი უღელი (სოფ. ზედა ჭხუტუნეთი 1964 წ.)



უღელი (სოფ. უჩხო. 1964 წ.)



ხახნახები (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი. 1964 წ.)

მინდვრად ნაკელის გატანა

ძირკვრად ნაკელის გატანა (სოფ. ქვედა ნხუტუნეთი. 1964 წ.)



ძაღლიფა მოწნული ჯარით (სოფ. სტეფანაწმინდა. ღორჯომის ხეობა)

ფარცხები



სოფ. ხაბელაშვილები (ქვანის ხეობა)



სოფ. დღვანი (ხულოს რაიონი. 1973 წ.)

მეემინდვრეობა, მასთან დაკავშირებული ხელსაწყო-იარაღები და მოწყობილობა



ხორბლის ჯიშები:
ბერი", „ნაქარიულა", „ბაკეფლი დიკა"
(ეროტერული ქედის რაიონი. 1964 წ.)



ფეტვი (სოფ. აჭარისაღმართი)



ღომის თაკოვები (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი. შიჭახლის ხეობა. 1964 წ.)







ოქრო ლეხი (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი. 1964 წ.)



ეორეოტის სანაყაი
(ლორეოტის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 1973 წ.)



„ნაქარიული ნამური" (საცეხველი)
(სოფ. ინწკირვეთი. ჭყანის ხეობა. 1973 წ.)



ფეხის საცეხველები
(სოფ. მახუნცეთი. ქედის რაიონი. 1964 წ.).
(სოფ. ცხემლარი. მაჭახლის ხეობა. 1964 წ.)



ქვაში ნაკვეთი საცეხველი
(სოფ. ბარათაული. ჭყონის ხეობა 1972 წ.)



ქვის ჩაშური
(სოფ. დღეკონა. შუახევის რაიონი. 1973 წ.)



საცეხველი
(ზენდიდის ციხის ტერიტორია.
ქედის რაიონი)



სათოხნი (სამარგალი) და სათხრელი თოხები
(ქედის რაიონი, 1964 წ.)



ბელი (მიწის საბელაური).
წყვრითოხი (სოფ. ზედა რხ-ეტუნეთი)



წალდები (ჭკვანის ხეობა. 1972 წ.)



ხორბლის სანაცვლელი ფიწლები
(სოფ. ბრილი. 1972 წ.)



კეგრები (ხულოს რაიონი. 1960 წ.)



ტყვარი – ტერასის სახლები (სოფ. ლორტკიფანა 1961 წ.)



ხიდი ალაზანზე (ქვემოთ ნახატი)



ხის ძირას შეხაკვეული ტერასი
(სოფ. ცოცაძეები. ჭეანის ხეობა. 1979 წ.)



„ეკვდეა"
(ხოფ. კორტოხი. ხეღოის რაიონი. 1961 წ.)



სანკალი
(ხოფ. ანაშარაძეები. მერაბის ხეობა. 1959 წ.)



ქვაში ნაკვეთი საწნახელი
(სოფ. შახუნცეთი. ქედის რაიონი. 1961 წ.)



ქვაში ნაკვეთი საწნახელი
(სოფ. ძენწშანი. ქედის რაიონი. 1961 წ.)





ხელის წყვილის დასამკერი ხის საწნახლები
(ქუთაისის ხეობა. 1972 წ.)



ძიწაში ნაპოვნი ქვევრები (1. სოფ. ოტოლაძეები. ქედის რაიონი; 2. სოფ. ხელეთაურა)



შუბსნეფის საწნახელი (სოფ. ციხისთავი, ზელენჩუკის რაიონი)



ყოფელი და ბოდორი (სოფ. კეკეშტა. 1976 წ.)

მარნეები (შუა საუკუნეები)

სოფ. ზედა ხიუტუნეთი (მაღალის სეიბი. 2009 წ.)



სოფ. ბზუბზუ (ქედის რაიონი. 1960 წ.)



სო.ფ. კარნათი (ხელვაჩაურის რაიონი. 1960 წ.)

მესაქონლეობა, რძის ნაწარმის დამზადება
(ბეშუმის ალპური დასახლება)







ხილეული ყველი



ქაცარი (ნადუღში)



მტირალას დასახლება. 2009 წ.

დამდგარი ქვეყის ნაფოსი, 2009 წ.)

ტუნაძეები. 1970 წ.)



ბ. აბულაძე (სოფ. უჩხო. 1970 წ.)



„ქორული" (ხაბერჭელი)
(სოფ. ეოთარდული. ჭკანის ხეობა. 1973 წ.)



ბუხრის ჯაჭვი ჯვრის გამოსახულებით
(სოფ. ავარა. ღორჯომის ხეობა)















სამჭედლო იარაღები (ლორეკოვის ხეობა)

ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება



თოფის ჩარხი (თოფის ლულის სახვრეტი დაზგა) (მაჭახლის ხეობა). აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან. 1964 წ.



1. თოფის ჩარხი; 2. ლულის სახვრეტი დაზგა (სოფ. ოტოლაძეები. ქედის რაიონი. 1976 წ.)



თოფის ჩარხის ქვა (სოფ. ზედა ხუტუნეთი. მაჭახლის ხეობა. 1964 წ.)



შაჭახელა ტიპის ყაყ-ჩახმახიანი დაშბანა



შაჭახელა ტიპის ყაყ-ჩახმახიანი თოფი, თოფის ჩახმახი და თოფის ჩარხის ქვა



თოფის ლულის დამზადების პროცესი (ახალციხის მუზეუმიდან)



საპირწაბლე (დენის შუხანახი მათარა)



ბაჭარელი თიფლის ძეული
დიდგო 2007 წელს მდინარეების – ბაჭარელის და ქორეხის შესართავთან.

ხის დამუშავება

ურეკლის დაპრიზადება. ხელოსანი ს. თურმანიძე (სოფ. ნიმონასტერევი. ფერის ხეობა. 1977 წ.)



თურმანიას ხის სახეცეწი დაზგა. ფოწყობილია მდინარეზე

ხის სახვეწი დაზგები



სოფ. ახალშენი (ხელვაჩაურის რაიონი. 1977 წ.)



სოფ. ბარათაული (ქუთაისის [illegible] 1977 [illegible])





ხის სახვეწი დაზგა
(სოფ. ქედლება. ხულოს რაიონი. აჯდამიას წყენიდან. 1956 წ.)

მთლიანი ხისაგან დამზადებული სუფრები

(სასადილო მაგიდები)



ზემო ხევი (ჭვანის ხეობა 1973 წ.)



სოფ. ღორჯომი. 1957 წ.



სოფ. ჩხაკერა

(აჭარლებით დასახლებული სოფელი, ჩოხატაურის რაიონი. 1975 წ.)

ხის სახელოსნო იარაღ-ხელსაწყოები



სახვეწი ხელსაწყოები



ფეხენო. ხელენო. კვერკვეტო
(სოფ. მარადიდი. ხელვაჩაურის რაიონი. 1960 წ.)



ხის ღარისა და სკის გულის ამოსაჭრელი ქნოები
(სოფ. ზედა ჩხუტუნეთი)



ცულ-ნაჯახები



ლაზური ცული
(სოფ. მარადიდი. 1960 წ.)



ყდიანი (ჩარჩოიანი ხერხი)
(სოფ. ჭანკაძეები. ქედის რაიონი. 1975 წ.)

ხის სახელოსნო იარაღ-ხელსაწყოები



1,2,3. ცულ-ნაჯახები: 4. ხელვერი: 5,6. დედალ-მამალი ქამფურები: 7. კვერკვეტო:
8,9,10,11,12. რანდა-შალაშინები: 13,14,15,16,17. ნხუტხვეწები: 18,19,20. პირდაპირი და სხვა ხერხები:
21. თარაზო: 22. გონიო: 23,24,25,26. ბურღები: 27,28. სატეხები
(ი. ადამიას წიგნის „ქართული ხუროთმოძღვრება. აჭარა" (1956) მიხედვით).

ძელის ხერხვა





1969 წ.

ხიდ. ქედლები (ხეულის რაიონი. 1969 წ.)

აქარული მხერხავი (ბათუმი. 1990 წ.)



თოკის სავრეული ჭახრაკი (სოფ. დღვანი. 1976 წ.)

თიხის ჭურჭლის დამზადება

(შუახევი. 1930-იანი წლები. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან)





თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქური

თიხის ჭურჭელი



ძაფის საქსელაგ-სახვევი დაზგა
(სოფ. შუბანი. 1958 წ.)



ძაფის სართაგ-სახვევი დაზგა
(სოფ. მოფრინეთი. ეჩამბის ხეობა. 1973 წ.)



მატყლისა და ძაფის შესანახი ხის კოლოფი



საქსოვი კინთები (ყაისნაღები)
(სოფ. შუბანი. 1958 წ.)



ძაფის სართაგ-სახვევი დაზგა
(სოფ. სტეფანაწმინდა. ღორეხევის ხეობა. 1973 წ.)



შალის (ბატკნის ქოიდის) ხალიჩაგი დაშვა
(სოფ. სკურდიდა ბაქმანის ხეობა. 1964 წ.)

თავი VI

მატერიალური კულტურა

§1. დასახლების ფორმები

აჭარაში, განსაკუთრებით, მის მთიან ნაწილში, დასახლების ფორმებმა შეინარჩუნა ადრინდელი მახასიათებლები, რაც აისახა ტოპოგრაფიაში, სამეურნეო და სოციალურ ასპექტებში.[1]

აჭარის თანამედროვე დასახლება გენეტიკურ კავშირშია შუა საუკუნეების დასახლებასთან. ამგვარი კავშირი და კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობა განპირობებულია განსახლების სპეციფიკურობით, სოციო-კულტურული ფასეულობების ტრადიციულობით, მოსახლეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული შრომა-საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ყოფის სიცოცხლისუნარიანობით, მთისათვის ნიშანდობლივი ინსტიტუტების კონსერვატიულობით.

აჭარის მთიანეთში უძველესი იყო მთა-გორაკების კალთებზე დასახლება გვერდიგვერდ განლაგებული ნაგებობებით. მონათესავე სახლეულები მკვიდრდებოდნენ სერებზე, რის გამოც დასახლების ამგვარ ფორმას „სერული"//„სერისპირული" ეწოდა.[2] ტერმინი „სერი" ტოპონიმიკაშიც დამკვიდრდა.[3]

ერთი ძირიდან განაყოფ სახლეულთა გარკვეული ჯგუფის სერზე ერთ რიგში განსახლება საკმაო დასახლების სახეს ღებულობდა, თუმცა, რელიეფის თავისებურებების გამო, უბნებში სახლთა მწკრივად განლაგება ყოველთვის არ იყო დაცული.

ოჯახთა ერთ ნაწილს ახალი საცხოვრებელი შესაძლოა სერისპირზე არსებული მამისეული სახლის ქვემოთ ან ზემოთ ავგო, რის გამოც ხშირად დასახლება ქედებზე ასიმეტრიულად, ამფითეატრულად ვითარდებოდა. ნ.ჭარი და ი.ყიფშიძე აჭარის მთიანეთის ასეთ დასახლებას „ამფითეატრულს" უწოდებდნენ.[4] ვერტიკალური განსახლების მითითებული თავისებურებები აისახა ნათესაურ ჯგუფთა ბუდე-სახელწოდებებშიც, რაც უბნების აღნიშვნელ სახელწოდებებშიც მოჩანს: ზემოანთი, ქვემოანთი, შუაანთი და სხვ.

ლოკალური ჯგუფისა და „ნოგრო"-ს (ნათესაური ჯგუფი, პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური სეგმენტი)[5] წევრთა სიახლოვის სურვილით და საკარგული მიწების

---

[1] Робакидзе А.И. Жилище и поселения горцев Грузии в прошлом и настоящем. - КСИЭ, 36. М., 1962; რ.ხარაძე, ალ.რობაქიძე, სვანეთის სოფელი ბეჟელად. თბ., 1964; ალ.რობაქიძე, ვლ.მგელაძე. დასახლების ტოპოგრაფია და მორფოლოგია აჭარაში (1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციების სამეცნიერო ანგარიში). – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VIII, პუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. ბათუმი, 2005; Робакидзе А.И. Гегечкори Г.Г. Формы жилища и структура поселения горных осетин. - КЭС, 5, Тб., 1975; გ.ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში. – მსგ, თბ., 1953; გ. ჯავახიშვილი. დასახლების ტიპი შილდაში. – მსგ, თბ., 1959.

[2] ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში. – ბსკთშ, I, ბათუმი, 1960, გვ. 14-15.

[3] ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I. ბათუმი, 1958, გვ. 73, 76, 227.

[4] Марр Н.Я. Дневник поездки в Шавштею и Кларджети. - Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. СПБ., 1911, кн. 7, с. 142; Кипшидзе И. Дополнительные сведения о чанском языке, СПБ, 1911, с.2.

[5] „ნოგრო"-ს შესახებ. იხ.: ელ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ბეჟელად. ბათუმი, 1973; ნ.მგელაძე. აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004. Мгеладзе Н.В. Система кровного родства в аджарии. Батуми, 1988.

ნაკლებობით წარმოქმნილი ჯგუფური და სერზე ერთ რიგში განლაგებული ნაგებობების გაერთიანებით შექმნილი დასახლებები ადრიდანვე უნდა გაჩენილიყო აჭარის მთიანეთის ზოგიერთ ხეობაში.[6]

მიწის ნაკვეთების განლაგება საცხოვრებელი სახლის მახლობლად და მიწის გასანოყიერებლად წყალნარევი პატივის გამოყენება ის ფაქტორი იყო, რომელიც ხელს უწყობდა სერული დასახლების ჩამოყალიბებას.[7] ხაზოვანი განსახლების ჩამოყალიბებაში კი ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად მიჩნეულია სარწყავი წყალიც, რომლის განაწილება მოსახლეთა შორის ექვემდებარებოდა გარკვეულ ნორმებს. განაყოფი ოჯახი უპირატესად ძველი სახლის გვერდით სახლდებოდა, რადგან სარწყავად მამის წილი წყლით უნდა ესარგებლა.[8]

ზემო აჭარისაგან განსხვავებით, ქობულეთისა და ბათუმის სანაპიროს დასახლებათა ერთი ნაწილი ვაკეზეა წარმოდგენილი და განსხვავდება მთური დასახლების სერული ფორმებისაგან.[9]

დღეისათვის აჭარის მაგალითზე დადგენილია მთური და ბარული დასახლების ძირითადი მახასიათებლები.[10] მთიანი აჭარისათვის, როგორც ითქვა, შედარებით ტიპურია სერული დასახლება. დაბლობსა და ზღვისპირა ზოლში იშვიათად ეხვედებით სერულობის ნიშნებს. აქ ადგილ-ადგილ ბუდობრივი, ხოლო ზოგან ქუჩისებური დასახლებებია წარმოდგენილი. რაც დასავლურ-ქართული დასახლების ფორმაში თავსდება.

ამგვარად, აჭარაში დასტურდება დასახლების ორი ძირითადი ფორმა: სერული ანუ სერისპირული (სერულ-ამფითეატრული და სერულ-მწკრივეული) – მთაში და ქუჩური (ქუჩისპირულ-ხაზოვანი და ქუჩისპირული) – ბარში.

სწორხაზოვანი დასახლებები უფრო მეტად დამახასიათებელია ბარის ზონისათვის,[11] თუმცა იგი მთა-აჭარის სერულ დასახლებაშიც შეინიშნება. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ასეთ იერს ატარებს არა მთლიანად სოფელი, არამედ სერზე ერთმანეთის გვერდით მწკრივად განლაგებული მონათესავე განაყოფთა დასახლებები. ამიტომ დასახლების ამ ფორმას უნდა ეწოდოს სერულ-მწკრივეული. მასში აისახება არა მხოლოდ მთისათვის დამახასიათებელი დასახლების სერულობა, არამედ ხაზოვანი განსახლების მთური თავისებურებებიც. ზოგი ავტორი (ალ. რობაქიძე, ელ. მგელაძე) სერული დასახლების ფორმირებაში განმსაზღვრელად მიიჩნევდა სამეურნეო პირობებს (მიწის ნაკვეთების განლაგება საცხოვრებელი სახლის მახლობლად, წყალნარევი პატივის გამოყენება მიწის გასანოყიერებლად და სხვ.), მაშინ, როცა მეორე ნაწილი სერულში ამოსავლად მართალია სამეურნეო და ქონებრივ ფაქტორს (მაგალითად, ერთმანეთის გვერდით მოსახლე ოჯახების მიერ წყლით საერთო სარგებლობა) აღიარებს, მაგრამ მასში მხოლოდ ხაზოვან განსახლებას გულისხმობს (ნ. ჩიჯავაძე).

XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნოგრომ ზოგიერთ სოფელში ნაწილობრივ შეინარჩუნა ტერიტორიული მთლიანობის ნიშნები. დიდი სახლობიდან გამოყოფილი ოჯახები ფუძე-სახლის ირგვლივ ლოკალური ჯგუფის სამოსახლო უბანს ქმნიდა. რამდენიმე უბნისა და მონათესავე თუ არამონათესავე ლოკალური ჯგუფის გაერთიანება სოფლის პოლიგენური დასახლების გაჩენის ძირითადი საფუძველი იყო, რომელთა ზრდა-განვითარებით დასახლების სისტემაში ყალიბდებოდა ახალი სტრუქტურული ერთეულები. სამოსახლო ტერიტორია ზოგჯერ ერთი წარმომავლობის რამდენიმე ნოგროთი და შესაბა-

---

6 ზ.ჭიჭინაძე. ქართველთა გამაპმადიანება ანუ ქართველთა გათათრება. თბ., 1915, გვ. 100; თ.სახოკია. მოგზაურობა (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბ., 1950, გვ. 132-133.

7 ალ. რობაქიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

8 Робакидзе А.И. Традиционные формы поселения в аджарии.-ОЭА, Тб., 1982; შდრ. რედაქტორის შენიშვნა წიგნში: ვლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 18.

9 გაზ. ივერია, №20, 1877.

10 Робакидзе А.И. указ. раб., с. 19.

11 ი.ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა). თბ., 1956, გვ. 24.

მისი ლოკალური ჯგუფებით იყო დასახლებული. მის გამაერთიანებლად, სოციალური თვალსაზრისით, საგვარეულო და შესატყვისი ლოკალური ჯგუფი გამოდიოდა, ხოლო გეოგრაფიულად – უბანი, უფრო ხშირად კი – სოფელი. ზოგიერთ ხეობაში, ნოგიროს კომპაქტურად მოსახლე ჯგუფისაგან განსხვავებით, საგვარეულოს წევრებს ტერიტორიული სიახლოვე ალარ ახასიათებდათ. ამა თუ იმ სოფლის ან სოფლის უბნის გამოყოფა ყოველთვის არ ხდებოდა ბუნებრივი მიჯნებით და იგი უმეტესად ნათესაური ორგანიზაციების ნორმებს ექვემდებარებოდა. ამ ნიადაგზე უბანთა ან სოფელთა უმრავლესობა პატრონიმიულ სახელწოდებებს ინარჩუნებდა. უბნებს შორის ბუნებრივ მიჯნებს წარმოქმნიდა საზღვრებთან მდებარე ველები, საკარმიდამო კომპლექსები, ნაფუძარები, სახნავ-სათესი ან ხეხილის ბაღები, რომლებიც ტოპონიმებადაც იქცა.

ნოგროსა და შესაბამისი ლოკალური ჯგუფის სამოსახლო ადინიშნებოდა ტერმინით უბანი, რომელიც ასევე ადგილთა სახელად იქცა. ასეთია „ზედაუბანი" სოფელ ოლადაურში, „კლდისუბანი" შუახევში და სხვ.[12] ამგვარი ტოპონიმები ქართული ლექსიკის ძველი კუთვნილებაა და არაერთხელ გვხვდება შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში. ისინი, ტრადიციული მნიშვნელობით, ბექა-ალბუღას სამართალსა[13] და აბუსერისძის ტბელის ნაწარმოებშიც იხსენიება.[14] დღეს, სოფელ მეხალაშვილებში ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაა საკარე, სოფელ ჩიქუნეთში (მაჭახლის ხეობა) – იაილიკარი.[15]

კარის სოციალური შინაარსის გარკვევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა[16] და დადგინდა მისი ფორმირებისა და განვითარების რთული გზა.[17] კარების მიხედვით დასახლება, როგორც გამოირკვა, ოჯახის გაყოფასთან იყო დაკავშირებული. ყველა განაყოფი, როგორც წესი, „დიდი ოჯახის" ტერიტორიაზე სახლდებოდა. ამგვარად იქმნებოდა დასახლებული ადგილები კარის, ანუ უბნის სახელწოდებით. კარის ფარგლებში მცხოვრები განაყოფი ოჯახები წარმოადგენდა არა მარტო ტერიტორიული, არამედ ნათესაური კავშირებით შეკრულ დასახლებას.[18] კარებად დასახლება საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება. კართან ურთიერთობაში საყურადღებოა მეგრული „ოკარი", რომელიც სამოსახლოში ან კარმიდამოში შემოსასვლელს აღნიშნავს.

სახლობის დაყოფით წარმოქმნილი ლოკალური ჯგუფის სამოსახლო უბნის ტერიტორიულ ერთობლიობას კარგად გადმოგვცემს აგრეთვე ლაზური ტერმინი „ოფუტე", რომელიც ტერმინოლოგიურად ქართულ „საფუტე"-ს შეესატყვისება[19] და უკავშირდება განაყართა თაყდაპირველი დიდი სახლობის გამაერთიანებელ კერას. ოფუტე უბნის გამომხატველი ცნებაა („მემიშიშების ოფუტე", „თანდილაეების ოფუტე", „ჯაეიაშების ოფუტე" და სხვ.). ოფუტეს მკვიდრნი ჯერ დიდი სახლობის კერისა და კარმიდამოს ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი, ხოლო შემდგომ მათ ერთობლიობას სხვა ფაქტორებთან ერთად ერთ უბანში კომპაქტურად სახლობა და ტერიტორიული ერთობა განაპირობებდა. როგორც ფიქრობენ, ოფუტე თავდაპირველად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას, კერას, ოჯახობას უკავშირდებოდა. იგი უნდა მიუთითებდეს „დიდი ოჯახის" საცხოვრისსაც. ოჯახის დაყოფის შემდეგ ძველი „დიდი ოჯახის" სარბიელი სოფლის უბნად ქცეულა.[20] ოფუტე

---

12 ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 79, 91.

13 ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 368.

14 აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე (1233 წ.). თბ., 1941, გვ. 58.

15 ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 51.

16 რ.ხარაძე, ალ.რობაქიძე. მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 6.

17 Харадзе Р.Л. Грузинская семейная община, т. 2. Тб., 1961, с. 60-61.

18 Харадзе Р.Л. Проблема неразделённой семьи по грузинским этнографическим данным. - КСИЭ, т. 36, М., 1962, с. 28.

19 არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938. გვ. 11.

20 ელ. მგელაძე. ლაზური დასახლების მორფოლოგიური ძირითადი საკითხები (სოფ. სარფის მასალების მიხედვით). – ბსკშ, III, თბ., 1964, გვ. 92

„ბუნი"-ს (პატრონიმიული ორგანიზაციის განსაზღვრული გენეალოგიური სეგმენტი) აღმოშენებულადაა დამოწმებული სურების ხეობაში, კერძოდ, სოფელ დიდ ვანში ოფუტე-შეილების სახით.[21]

ნათესაური ორგანიზაციის წევრთა საერთო წინაპრისაგან წარმოშობის მან�ებელია უბანთა პატრონიმიული, მათ შორის, გვარსახელური სახელწოდებები. უბანში ნათესავთა და, საერთოდ, ლოკალური ჯგუფის წევრთა საცხოვრისები და საკარგულები წინაპართა კეთილშობილად მიჩნეოდა. მასში ფაქტობრივად ყველა ჩამომავალს მემკვიდრეობით ედო წილი. განსახლების შესაბამისად, უბანი პირველად ჩასახლებულთა წინაპრის სახელს იღებდა. ამავე გზით იქმნებოდა სოფლის სახელწოდებასაც უბნისაგან მემკვიდრეობით დებულობდა. განსაკუთრებით მაშინ, თუ სოფელი ერთი გვარით იყო დასახლებული. ამიტომაა, რომ ხშირად დასახლებულ პუნქტში სოფლის სახელწოდებას მისი ერთ-ერთი უბანიც ატარებს.

აჭარაში ნოგროთა და შესაბამის ლოკალურ ჯგუფთა უბნები და საგვარეულოთა სამოსახლო სოფლების სახელწოდებათა ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია -ეთ, -ათ, -ებ, -იენ, -იან, -ურ (-ულ), -ის, -ო, -ია, -ნარ (-ნალ), -ოვან და სხვა სუფიქსებით.[22]

დასახლების ზოგიერთი ელემენტი, საკუთრივ განსახლების წესი, დასახლებული პუნქტების მდებარეობა, მათი მორფოლოგიური და მეურნეობრივი ნიშნები და სხვა მონაცემები იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ შუა საუკუნეებისათვის აჭარაში დასახლების ძირითად ერთეულს თემი (ტერიტორიული გაერთიანება) წარმოადგენდა.

აჭარის მთიანეთში ძველად ცალკეული უბანი სხვადასხვა ტაქსონომიური დონის კომპაქტურ ლოკალურ-პატრონიმიული ჯგუფების სამოსახლოებს წარმოადგენდა. ეს ჯგუფები მეარი იყო. ხასიათდებოდა სოციალური და (ნაწილობრივი ერთობით (პატრონიმიული ორგანიზაცია), ერთნაირი სამეურნეო ინტერესებით და ტერიტორიული მთლიანობით (ლოკალური ჯგუფი). თანდათანობით ერთგვაროვნება კარგავდა ტრადიციულ იერს და შიდა ურთიერთობები იძენდა ახალ შინაარსს, რასაც განაპირობებდა სხვა წარმომავლობის ანუ არამონათესავე ოჯახებთან დანათესაურებაც. სწორედ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დასახელებული გზა უნდა ყოფილიყო „ტერიტორიული თემისა" და სხვადასხვა წარმომავლობის ოჯახებისგან შემდგარი დასახლების წარმოშობის ერთ-ერთი ფაქტორი.

აჭარაში თემის (ტერიტორიული გაერთიანების, ტერიტორიულ-სამეზობლო თემის) ტიპის დასახლებამ განვითარების თავისებური გზა განვლო. არსებული მონაცემებით, „დასახლების ძირითადი ერთეული მთიან აჭარაში ორი სხვადასხვა დროისა და ფენის შემცველია. უძველესი ფენის მიხედვით იგი ხევის//თემის ტიპისაა, რომელიც მკვრივ დასახლებული პუნქტების ჯგუფს წარმოადგენდა. თანდათანობით, დასახლებული უბნები სოფლად გარდაიქმნა, დამოუკიდებელი ერთეულის სახე მიიღო და, თავის მხრივ, უბნებად დანაწილების გზას დაადგა."[23] საილუსტრაციო მაგალითის ღორჯომის თემი იძლევა. XIX საუკუნეში გ. ყაზბეგის დახასიათებით ღორჯომის თემს ერწყული ტერიტორია ეკავა ნახევარი ვერსის დაშორებით ჯგუფ-ჯგუფად გაშენებული სახლებით. ეს იყო არა სოფელი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ თემი.[24] განვითარების ასეთივე გზა ჰქონდა გავლილი ღორჯომის მომიჯნავე დიდაჭარას, რომლის უბნები (ხე-

---

[21] ნ.მგელაძე. ბუნობის მნიშვნელობისათვის გურიის მთიანეთში (სურების ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). – სდსკ, XIII. თბ., 1986, გვ. 78.

[22] ელ.მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 5; მ.ქამადაძე. სუფიქსური წარმოება ზემო აჭარის ტოპონიმიაში. – ადდლ, III, თბ., 1981, გვ. 35, 39, 45; თ.კუკულაძე. დეხვას ხეობის ტოპონიმიის ზოგიერთი საკითხი. – ადდლ, III. თბ., 1981, გვ. 48; ნ.სურმავა. სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში. – ადდლ, IV. თბ., 1983.გვ. 25-26.

[23] ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში, გვ. 16.

[24] გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. მისივე, Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, Тифл., 1876, с. 27.

ციენთები, გობაძეები, შაეაძეები, წულუკიძეები), ისევე, როგორც ღორჯომის თემის დასახლებული პუნქტები, საზოგადოებრივი განყოთარების გარკვეული საფეხურზე სოფლებად გარდაიქმნა.[25] ეს პროცესიც განვითარების იმ საფეხურს უნდა შეესაბამებოდეს, როდესაც ხეევის თუ თემის უბნები, როგორც ითქვა, სოფლებად იქცა და, თავის მხრივ, უბნებად დაყოფის გზას დაადგა. თავდაპირველად, დასახლებული პუნქტი, შესაძლოა, ერთი ლოკალურ-პატრონიმიული ჯგუფით იყო დასახლებული. მისი ბუნებრივი ზრდის შედეგად დასახლებულ პუნქტში წარმოიქმნებოდა მონათესავე და შემონათესაებული ოჯახებისაგან შედგენილი მონოგენური სამოსახლო, რომელიც თანდათანობით ტერიტორიული თემის სახეს ღებულობდა. სასოფლო თემში მოსახლეობის გამუდმებული ზრდის საფუძველზე თითოეული მონოგენური ან უკვე პოლიგენურად ფორმირებული უბანი ეთარდებოდა და სოფლად იქცეოდა. ამ დონეზე უკვე თემი შედგებოდა არა უბნებისაგან, როგორც ამას ადრე ჰქონდა ადგილი, არამედ სოფლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მეურნეობით და მმართველობის ფორმით. მათ ერთიანებდათ სათემო ცენტრი, სადაც საკულტო და სამოქალაქო საკითხები წყდებოდა.

თემის ფორმირებაში სოციალური ფაქტორების გვერდით არსებით მნიშვნელობას იძენდა ეკონომიკური ფაქტორებიც. ახალი დასახლებების გაჩენა უმეტესად ხდებოდა სასოფლო და სათემო მიწების ათვისების ბაზაზე, ახოს აღების გზით. ამ გზით სასოფლო ან სათემო მიწის ნაკვეთები თანდათანობით ლოკალურ-ნათესაური ჯგუფის მუდმივ საცხოვრებელ უბნად იქცეოდა. ადრე, საზოგადოებრივ მიწებზე თავისუფალ განსახლებას თემი ზღუდავდა. ამ ნორმის საპირისპიროდ, გვიანი შუა საუკუნეების აჭარაში ოსმალური კანონმდებლობა მიწის ახალი მფლობელის ხელში გადასვლას სცნობდა იმ პირობით, თუ უხმარი მიწები სახნავ-სათესად იქნებოდა ათვისებული. მართალია, ტრადიციული თემური ნორმები ზღუდავდა საზოგადო სარგებლობის მიწებზე სამოსახლოს გაჩენას.[26] მაგრამ მცირემიწიანობის ნიადაგზე წარმოქმნილი წინააღმდეგობის დასაძლევად თემი დათმობაზე მიდიოდა, რის გამოც სულ უფრო ღრმავდებოდა სათემო მიწების კერძო საკუთრებად გადაქცევის ტენდენცია.

ყოველ დასახლებულ პუნქტს საკუთარი ისტორია აქვს. საუბნო დასახლების პირველი საფეხური ოჯახის მიერ სათემო მიწის დამუშავება ანუ ნახელავად[27] ქცევაა. ნახელავის გასხვისება დაუშვებელი იყო. მეორე საფეხურია მიწის მფლობელობის უფლების გამოყენება, როცა ჩნდება სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი.[28] მესამე ეტაპია მიწის ფუძედ ქცევა, ე.ი. მისი სამემკვიდრეო კატეგორიაში გადასვლა. ამ მიწების გაყიდვა-გასხვისება მეპატრონის საქმე იყო. სახლობის დაყოფის შესაბამისად, სამემკვიდრეო მიწები, სხვა საოჯახო ქონებასთან ერთად, წილში გადიოდა. სახლობის გაყოფა და მიწის ნაკვეთის დაქუცმაცება მცირემიწიანობას კიდევ უფრო აღრმავებდა, რის გამოც მოსახლეობა სათემო ტყეების დამუშავება-გამოყენებას მიმართავდა. აჭარის მთიანეთში საერთო სასოფლო ან სათემო გაუნაწილებელი, ანუ ჯუმალი[29] მიწების ათვისების პი-

---

25 ელ.მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 21; ნ.მგელაძე. დიდაჭარის სოფლების წარმოშობის ისტორიისათვის. – ჟურნ. "ეროხი", №6. ბათუმი, 1984.

26 ვლ. მგელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

27 შდრ. ნ.ბერძენიშვილი. მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში („ელი"). – სხს, III. თბ., 1966, გვ. 135-191, 158.

28 ნ.ჩიჯავაძე. აგრარული ურთიერთობის საკითხისათვის (მიწათმფლობელობის ხალხური წესი აჭარაში). – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეშვიდე საიუბილეო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. ბათუმი, 1968, გვ. 7.

29 ელ.მგელაძე. თემური მიწისმფლობელობის ისტორიიდან აჭარაში. – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეორე სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. ბათუმი, 1963, გვ. 12; Мгеладе Н.В. Из истории общественных отношений в Верхней Аджарии. -ОЭА, Тб,. 1982; მისივე: მასალები სათემო მიწათმფლობელობის საკითხისათვის. – სდსყ, XI. თბ., 1985, გვ. 101-103.

რეულ საფეხურზე აუცილებელი იყო ახოს აღება,[30] ტყისა და ბუჩქნარის გაკაფვა-გაწმენდა. რაც ტოპონიმიკაშიც აისახა. ზოგიერთი მათგანი სოფლის სახელწოდებადაც დამკვიდრდა. ამის მაგალითია სოფელი ახო (ქუდის რაიონში). ახოობის წესი და მისგან დასახლებული პუნქტების ჩამოყალიბების ფაქტები საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებშიც დასტურდება.[31]

ახოს აღება და დამხმარე მეურნეობის ორგანიზაცია აჭარაში ასევე დაკავშირებული იყო ყიზილბაშურ მეურნეობასთან. რომელიც დასახლების ფორმათა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. იგიეე ითქმის „ფერდის" შესახებ, რომელიც ალპური ზონის საზაფხულო საძოვრებისაგან განსხვავებით. საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვარი იყო. იგი, ხშირად, შეერთებია სოფელს და ამის ერთ-ერთ უბნად ქცეულა.[32]

დიდჯარაში ნაპოვნი კოლხური ცულების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდჯარის ტერიტორია გვიანი ბრონზაოს დასაწყისში „შესაძლებელია მის შემოგარენთან ერთად (ღორჯომი), შედარებით მცირე მოსახლეობით თვეი წარმოადგენდა დროებით („ყიშლის" ტიპის) საზაფხულო საძოვარს.[33] ყიშლის სოფლის უბნად გარდაქმნის შესაძლებლობაზე მიუთითებს სოფელ დარჩიძეებში უბნის სახელწოდებად შემორჩენილი სახელი „ყიშლები". საოჯახო ქონების გაყოფის შემთხვევაში, ყიშლა ლოკალურ-პატრონიმიული ჯგუფის სარგებლობაში რჩებოდა, ხოლო ზოგჯერ რომელიმე განაყოფის საამო საწილო, ანუ ძმის საწილო ხდებოდა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა. იგი მუდმივ საცხოვრებელ ადგილადაც ქცეულიყო.

დიდი სახლობის დაყოფა მიწის უკმარისობის პირობებში ხელს უშლიდა მამისეულ ფუძე-სამოსახლოში განაყოფების თავისუფალ განსახლებას. ამის გამო განაყოფი ოჯახი იძულებული ხდებოდა სამოსახლო ადგილის ძიება დაეწყო, რაც საფუძველს უქმნიდა ახალი დასახლებული პუნქტის გაჩენას. ასეთი სამოსახლოები, ჩვეულებრივ. სათემო მიწების ათვისებისა თუ ტყის ახოს აღების ბაზაზე იქმნებოდა და ხშირად მონოგენური, ხოლო ზოგჯერ პოლიგენური გზითაც ვითარდებოდა. დანაწილებამდე სახლობას ხშირად გააჩნდა მამაპაპისეული ფუძისაგან მოშორებით მდებარე ყიშლური მეურნეობა, როგორც დამხმარე სამეურნეო ბაზა, რომელიც შემდეგ განაყოფის მუდმივ საცხოვრებლად იქცეოდა.

აჭარა'ში ცნობილი იყო ნაფუზარი//ნაფუძარი, რაც ადრე ფუძეზე მჯდომი დიდი სახლეულის მუდმივი სამკვიდრებელი და სამეურნეო ნაკვეთი იყო. დიდი სახლობის გაყოფის შემდეგ, ნაყარი ოჯახებისათვის თავდაპირველი სამოსახლო ნაფუძარი ხდებოდა. დიდი სახლობის კომლებად გაყრას თან სდევდა ზოგიერთი სამეურნეო და სამოსახლო ნაკვეთის საზიარო სარგებლობაში დატოვება. ამის გამო ამა თუ იმ ხეობის სოფლელთა გარკვეულ ნაწილს ნაფუძარი საერთოდ არ გააჩნდა. დასახლებაში ოჯახთა ზრდის კვალდაკვალ, ნაფუძრები მინიმუმამდე მცირდებოდა. უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნაფუძარი მხოლოდ საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებს. ეზო-კარსა და ბოსტანს მოიცავდა.

ეთნოგრაფიული მასალები მიგვანიშნებენ, რომ აჭარაში მონოგენური დასახლება უშუალო კავშირში იყო სამეურნეო ნაკვეთების, პირველ რიგში, ნაფუძრების განლაგებასთან. რადგან განაყოფი ოჯახები მამისეულ ფუძე-სახლს ტერიტორიულად წ;დებოდნენ და ძველი ოჯახებიდან მოშორებით სახლდებოდნენ.

---

30 ნ.ჩოჭუაგაძე. ახოობა აჭარაში. – ამყკსა. თბ., 1967, გვ. 52; ნ.ახიძე. აჭარის მთიანი ხეობის ძველი ახალი საბეურნეო ყოფა და კულტურა (მაგალითი). საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1967, გვ. 39.

31 რ.ხარაძე, ალრობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 9; გ.ჯალაბაძე. ემმინდვრეობა სვანეთში. – სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1970, გვ. 5; Каранетян Э.Т. Родственная группа «Азг» у армян (вторая половина XIX-начало XX вв), Ереван, 1966, с. 97.

32 თ.ჩიქოვანი. მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე. – კეკ. თბ., 1964, გვ. 7.

33 ი.ინანიშვილი. დიდჯარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – სდსძ, V. თბ., 1975.

ძველ აჭარაში ფეოდალური ურთიერთობის ნორმები ხელს უწყობდა სხვადასხვა წარმომაელობის ოჯახთა მეზობლად დასახლებას. მოგვიანებით, მოსახლეობის მატების გამო, დასახლების სიმჭიდროვემ იმატა, რის გამოც სამოსახლო ადგილებისა და საკარგულების სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა ერთი-ორად გაიზარდა. ასე რომ, განსახლების პროცესი მიმდინარეობდა როგორც საგვარეულო, ასევე სათემო მიწების ათვისების ხარჯზე.[34]

აჭარის მთიანეთში უბანი ზოგჯერ მოცილებული იყო სოფელს, მაგრამ იგი მაინც მის შემადგენელ სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა. სოფლისა და უბნის სამეურნეო ერთობა და ტერიტორიული მთლიანობა უპირველესად გამოიხატებოდა საძოვრების, ტყეების, სათიბებისა და სახნავი მიწების კოლექტიურ და ინდივიდუალურ სარგებლობაში,[35] სოფლის შიგნით უბნებად დასახლებულ ლოკალურ-პატრონიმიულ ჯგუფთა ურთიერთობაში. სოფლიდან მოცილებულ უბნურ დასახლებას, როგორც აღინიშნა, სოფლად გარდაქმნის მეტი პერსპექტივა გაანდა.[36]

კიკეასიაში დასახლების ფორმათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე, გვიანდელი სოფლები და ტერიტორიული თემები ადრინდელი დასახლებების სამეურნეო და სოციალური მოდელის მიხედვით ვითარდებოდნენ. ეს კი მათი გენეზისის, სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების, თავდაპირველი ბუნებისა და სტრუქტურის შესწავლის ძვირფასი წყაროა.

ამრიგად, აჭარის მთიანეთში დასახლების შიგნით უბნების გაჩენა და მათი ახალ სოფლებად ჩამოყალიბება ხდებოდა არა მხოლოდ სამეურნეო საფუძველზე, არამედ თვით დასახლებული პუნქტებში არსებული უბნების სოფლად ფორმირების გზითაც.

აქედან გამომდინარე, აჭარაში უბნისა და სოფლის ფორმირება სამი გ'ხით შეიძლებოდა მომხდარიყო: ახოს აღებითა და სათემო მიწების ათვისებით; ყიშლური მეურნეობის საცხოვრებელ პუნქტად გადაქცევით და სოფლის ფარგლებში უკვე შექმნილი უბნის შემდგომი განვითარებით.

აჭარის დასახლებული უბნებისა და სოფლების მონოგენურობა ხშირად მოწვენებითია, რის გამოც მან ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში „ფიქტიური მონოგენურობის" სახელწოდება მიიღო.[37] უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ხშირად ეხვდებით ტერმინს „ფიქტიური ნათესაობა",[38] თუმცა ამ ტერმინით ხელოვნური ნათესაობის სხვადასხვა ფორმებს აღნიშნავენ. ხელოვნურად დანათესავებული ოჯახები იცვლიდნენ თავდაპირველ გვარსახელს და მფარველის გვარზე ეწერებოდნენ.

აჭარის მთიანეთში დანათესავება უმეტესად ხდებოდა სოციალური ორგანიზაციის წევრთა სრული თანხმობით.[39] დანათესავების ერთ-ერთი გზა ხიზნის მიღება და სოციალური გაერთიანების სამკვიდრო უბანში დასახლება იყო. დამხვდური ნათესაური ჯგუფი მფლობელობას უწევდა სხვადასხვა მიზეზით (სისხლ-მესისხლეობა, შეილად აყვანა, სოციალური უთანასწორობა და სოციალური ჩაგვრა, მცირემიწიანობა, ომიანობა) ლტოლვილ, გადმოხვეწილ ოჯახსა და ნათესაურ ჯგუფსაც კი.[40] ამ შემთხვევაში ჩასახლების

---

34 ვლ.მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 26-27.

35 ვლ.მგელაძე. ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები, გვ. 91.

36 ი.ადაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

37 ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 18; ვლ. მგელაძე. დასახლების მორფოლოგიის საკითხები აჭარაში. – ბს�აშ, I. ბათუმი, 1960, გვ. 311-314.

38 Ковалевский М.М. Законы и обычай на Кавказе, т. I, М., 1890; Он же. Закон и обычай на Кавказе, т. 2. М., 1890; Kroebor A.L. Glassificatory systems of relationship. - The journal of the royal anthropological institute, vol, 39, London, 1909, p. 79 და სხვ.

39 ნ.მგელაძე. ხელოვნური დანათესავების ზოგიერთი საკითხი აჭარაში. – ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, III. თბ., 1988.

40 ნ.მგელაძე. ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე. – „მაცნე". ისტორიის სერია, №3. თბ., 1984.

დროს ხშირად გადამწყვეტი იყო მკვიდრთა მოთხოვნით თუ ჩასახლებულის სურვილით, სოფლის მკვიდრთა რიმელიმე გვარზე დაწერა.[41] ხელოვნური დანათესაურების ეს უკანასკნელი ფორმა აჭარაში აღინიშნებოდა, როგორც მიწით მოძმეობა, მიწით ბიძაშვილობა, მიწით შვილობა ან მიწით მონაწილეობა. ამ ცნებებში ნათესაობის ნომენკლატურასთან ერთად მონაწილეობდა საკუთრების ის ობიექტი, რომელიც არსებით როლს ასრულებდა დანათესაურების პროცესში. მიწა იყო ის განმსაზღვრელი ეკონომიკური საფუძველი, რითაც გარედან მოსული ახალ პირობებში მკვიდრდებოდა. მიწის ყიდვა-გაყიდვის ან სათემო კატეგორიის მიწის ნაკვეთების დათმობის გზით ხიზნის შემონათესაურების, როგორც ჩანს, დამხვდურნიც განსაზღვრულად უწყობდნენ ხელს, რადგან იგი საგვარეულოს გაძლიერებას ემსახურებოდა. ამ მხრივ საყურადღებო მსგავსება შეინიშნება საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებთანაც.[42]

მტკვროაგან ლტოლვილი და მფარველობის მთხოვნელი პირი ან ინდივიდთა ჯგუფი აჭარაში ხშირად ცდილობდა გვარი და ნოგრო შეეცვალა. სხვაგვარად იგი მდევარს საშუალებას აძლევდა მიეკვლია მისთვის ან მისი შთამომავლობისათვის. მსგავს პირობებში გვარის და ნოგროს შეცვლისადმი სწრაფვა ბუნებრივი მოვლენა იყო. გვარეულობაში შეცვლილ ოჯახზე უკვე პასუხს აგებდნენ იმ ნოგროს წევრები, რომელთა მფარველობაშიც იყო შესული დახმარების მთხოვნელი. მოსახლეობაგან დევნილ მიწით დანათესაებულ მოძმეს მფარველი ნოგრო გეორდში უდგებოდა არა მარტო მორალურად, არამედ მატერიალურადაც. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ძალა იყო დევნილისათვის და ისიც ყოველი ღონით ესწრაფვოდა ძლიერ ნოგროსა და საგვარეულოს შეფარებოდა.

აჭარის მთიანეთში ძლიერი საგვარეულოს მფარველობაში შესულ ბევრ ოჯახს, როგორც ირკვევა, საკუთარი გვარეულობა მისი სისუსტის ან რაიმე გარკვეული ნაკლის გამოც აქვს მიტოვებული. ძლიერის მფარველობაში სუსტის შესვლის ნიადაგზე წარმოქმნილი ნათესაობა კვალიფიცირებულია, როგორც „სისხლიერი ნათესაობის" კატეგორია. ამის არგუმენტად მიიჩნევენ ერთ გვარეულობაზე გადასვლის ფაქტებს. „რაც პირველ რიგში ურთიერთშორის ეგზოგამიის დაცვას აპირობებდა".[43] ისტორიულად გვარის ყიდვა (ნაყიდი გვარი), გვარის თხოვა, გვარის მოპარვა, გვარის გადარქმევა მიჩნეულია, როგორც იძულებითი აქტი. იგი გამოწვეული იყო სისხლის აღებითა და საგვარეულო ერთობის შესუსტებით. გვარეულობის „ყიდვა" და გამოცვლა ცნობილი იყო სვანეთში, მოხეეთში[44] და სხვა კუთხეთა მოსახლეობაში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღნიშნული პროცესი შედარებით მასიობრივი და ღრმა იყო, რაზეც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობის იძულებითი თუ ნებაყოფლობითი მიგრაციები. ამას, როგორც აღინიშნა, განსაზღვრავდა იმა თუ იმ პერიოდში შინაგანი და გარეგანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები. ნათესაურმა ორგანიზაციებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეძველესი დროიდან განიკადეს ასეთი დემოგრაფიული ძერები. მოგვიანებით მიგრაციებს ძირითადად მიწის უმარისობა იწვევდა, ხოლო ადრე ეკონომიკურ ფაქტორებს ერთვოდა მტრისაგან თავდაცვის მიზნით, ან ომისა და გამუდმებული შიშიანობის პირობებში მთიან, მიუვალ ადგილებში თავშესაფრის ძებნა. სხვადასხვა პერიოდში აჭარისაკენ და პირიქით,

---

41 ელგეზაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 52, 81.

42 Ковалевский М.М. указ. раб., т.I, с. 73; რ.ხარაძე. ხევსურული „ძირი" და „გვარი". – მიმომხილველი, I. თბ., 1949, გვ. 195; ბესიგვ. პირიქით ხევსურეთში მივლინებს მოკლე ანგარიში. – ენიმკის მოამბე, XI. თბ., 1941, გვ. 34; Робакидзе А.И. Об особенностях общественного быта горцев Кавказа. – Особенностьи социально – экономического развития горных регионов феодальной Грузии, Тб., 1983, с. 13; ვ.ი თონიშვილი. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 23, 68, 103–104; Хасбулатова З.И. структура сельской общины и патронимия у чеченцев во второй половине XIX в. – Вестник МГУ, I., М., 1981, с. 87; ე.ერისთავი. უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982, გვ. 21.

43 ვ.თონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

44 იქვე, გვ. 17.

აჭარიდან საქართველოს სხვა კუთხეებში, მიგრაციები სხვადასხვა შინაარსს და ხასიათს ატარებდა.[45] დასაელეთ საქართველოს ბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით საგრძნობლად განსხვავდებოდა მთის შედარებით არქაული საზოგადოებრივი მოდელისაგან. ჩაგვრითა და გარეშე მტრებთან (არაბობა, თურქობა, მონღოლობა, სპარსოსმალობა) გამოწვეული ბრძოლებით შეწუხებული ბარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თაეს მთას აფარებდა. ამას თან სდევდა სისხლ-მესისხლეობის ნიადაგზე არა მხოლოდ ცალკეული ოჯახის, არამედ მთლიანად ნათესაური ჯგუფების აკრა-გადასახლებაც. მიგრანტთა დიდი ჯგუფების მოზღვავება მთაში აიძულებდა დამხვდურთ თავისივე მოდგმის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში ანგარიში გაეწიათ შექმნილი ეიფორიებისა და მოსალოდნელი წინააღმდეგობებისათვისაც. თავშესაფარის მაძებნელთ, ბუნებრივია, უკან დასახვევი გზა არ გააჩნდათ. მართალია, დამხვდურნი კომპრომისზე მიდიოდნენ, სათემო მიწების გარკვეულ ნაწილს თმობდნენ, მაგრამ თავიანთი პოზიციების შესუსტების საწინააღმდეგო გამოსავალს მოსულთა თავიანთ საგვარეულოში შემოეკანაში ხედავდნენ. გადმოსახლებულნი გვარეულობასაც იცვლიდნენ და ადგილობრივთა მოთხოვნით ან თავისივე სურვილით მფარველობაში ამ წესის დაცვით შედიოდნენ. მთის პირობებში მოცემული პროცესები პოლიგენური განსახლების განმაპირობებელ ერთ-ერთ მიზეზადაც გამოიყურება. ამ პერიოდისათვის აჭარაში ტერიტორიული თემის შიდა წყობა, როგორც ჩანს, ნაწილობრივ უშვებდა თავის ფარგლებში „უცხო" ელემენტის შეთვისებას, რაც მოასწავებდა არა უშუალოდ ნათესაურ, არამედ არანათესაურ კავშირ-ურთიერთობებზე გადასვლას.

დასახლებულ პროცესებზე არსებითად ზემოქმედებდა ქორწინების ფაქტორიც. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ან აჭარის მეზობელი ხეობებიდან ჩამოსახლებულ პირთა დამკვიდრების ერთ-ერთი გზა იყო რომელიმე ოჯახში ჩასიძება. ასეთი პირი ხშირად თავის გვარს იცვლიდა და ცოლის გვარეულობაზე გადადიოდა. ჩასიძების ფაქტები დამოწმებულია გურიაში, მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში და სხვ.[46] შენიშნულია, რომ „გვარის დაკარგვა ჩასიძების დროს ორგანულად იყო დაკავშირებული ქონებრივ ნორმებთან.[47] ამ ადათიდან გამომდინარე, „ჩასიძების დროს ზედსიძეს სიმამრის ქონებასთან ერთად სიმამრის გვარიც უნდა დაემკვიდრებინა". მართებულადაა მითითებული, რომ ეს ნორმა მხოლოდ დასიძებასთან არ იყო დაკავშირებული. „ოთხოგენურ" უბანში ჩამოსახლება, რა მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო იგი, ხშირად ამ უბანში მცხოვრები გვარეულობის მიღებით მთავრდებოდა. ამ შემთხვევაში გვარის შეცვლა „ნაკარნახევი იყო ტერიტორიული თემისათვის დამახასიათებელი ნორმებით, მისი განვითარების ადრინდელ საფეხურზე." ეს ნორმა კი „მიზნად ისახავდა იმ კონფლიქტების თავიდან აცილებას, რომელთა გარდუვალობა ტერიტორიული თემისათვის დამახასიათებელ პოლიგენური დასახლების ჩამოყალიბების პროცესში გვარისა და თემის ინტერესებით იყო პირობადებული.[48] ეს მექანიზმი აჭარაში ადრეც მოქმედებდა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ზემოაღნიშნული პრაქტიკა ჩასიძების შემთხვევაში ამ შორეული ტრადიციის რემინისცენციას წარმოადგენდა.

აჭარაში ფიქტიური მონოგენურობის ჩამოყალიბებას არანაკლებ უწყობდა ხელს არა მარტო პიროვნების ჩვეულებრივი ჩასიძება, არამედ უკვე ჩასიძებულის შვილად აყვანა და ამ გზით ცოლის მამისეული ფუძე-სამოსახლოზე ზედსიძის, როგორც ოჯახის ქონების მოწილის, სრული დამკვიდრება. სიმამრის მიერ ზედ დაწერილი ზედსიძე ფაქტობრივად ცოლის მამისეული ნოგრის თითქმის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. იგი ოჯახის

---

45 მ.კარბელაშვილი. ამილახვართ საგვარეულო ისტორიული გურჯები. — ძველი საქართველო, II. თბ., 1913, გვ. 102; ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959, გვ. 187-188; ეორდანია. ქრონიკები, წიგნი 2, ტფ., 1897, გვ. 118; ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. ბათუმი, 1981, გვ. 10.

46 ა.შანიძე. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1 (ქართული ენიდან). თბ., 1984, გვ. 323-324.

47 ვლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 50.

48 ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში, გვ. 17-18.

ქონებაზე მემკვიდრის უფლებით სარგებლობდა. ზედსიძის, ანუ ძვდ შვილებულის ოჯახში მიღების თაობაზე ცნობები ქართულმა წყაროებმაც შემოგვინახა.[49]

ზედსიძეობის ინსტიტუტი, მისთვის დამახასიათებელი თვისებებიდან გამომდინარე, ხელოვნური ნათესაობის ერთ-ერთ ფორმადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სხვა მთიანი რეგიონის მსგავსად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის, აჭარაში გავრცელებულმა სოციალურმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით დროთა განმავლობაში დამატებითი ფუნქციური დატვირთვა მიიღეს. ეს განსაკუთრებით დასახლების ფორმაში აირეკლა. აჭარაში ფაქტობრივად იშლება უკვე შუა საუკუნეებში სოფლების „მონოგენურობა", ძლიერდება ტერიტორიული განსახლების ტენდენცია. ამ დროს ფიქტიური მონოგენურობა თემის შიგნით წამოჭრილი კონფლიქტების დაძლევას ემსახურება.[50]

სოფლის ცალკეული უბნის ერთი ლოკალურ-პატრონიმიული ჯგუფით დასახლებამ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდეც კი შემოინახა თავი. შუასაუკუნეებში და უფრო გვიანაც მთაში დიდი სახლობის გამძლეობა, ასევე მისი სეგმენტაცია, ლოკალურ ჯგუფთა და პატრონიმიული ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფების არსებობა განპირობებული იყო საზოგადოებრივი განვითარებით და მრავალპროფილიანი ტრადიციული მეურნეობის საარსებო მოთხოვნილებით, რომელიც, ერთი მხრივ, დაფუძნებული იყო წლიური ციკლის ალპურ მესაქონლეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მიწათმოქმედებაზე.[51] მეურნეობის ორივე დარგი აჭარაში შეთანაწყობით ვითარდებოდა, რაც ზეგავლენას ახდენდა დასახლების სოციალურ იერზე, სამეურნეო ნაკვეთების განლაგებაზე, საცხოვრებელ თუ სამეურნეო ნაგებობათა დაგეგმარებაზე და კარმიდამოს ჩამოყალიბებაზე.[52]

ამრიგად, დასახლების ტოპოგრაფიის, სტრუქტურის, მორფოლოგიის, სოციალური და სამეურნეო პირობების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ შუა საუკუნეების აჭარისათვის დამახასიათებელი დასახლების ფორმათა თავისებურება და განსახლების სპეციფიკა. აჭარული ტრადიციული დასახლების ძირითადი ერთეულები იყო კარ-მიდამო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, უბანი, სოფელი და ტერიტორიული გაერთიანება – ხევი//თემი, რომელთაც, განსახლების თვალსაზრისით, შეესაბამებოდა სხვადასხვა ტაქსონომიური დონის სოციალური ორგანიზაცია. შუა საუკუნეების დასახლების ორგანულ ნაწილს შეადგენდა თავყრილობებისათვის და მმართველობითი ორგანოების შეკრებისათვის განკუთვნილი საუბნო, სასოფლო და სათემო მოედნები, სალაყბოები, საკულტო (საყდარი, ეკლესია, მოგვიანებით – ჯამე) და თავდაცვითი ნაგებობანი (ციხე). სარწყავი თუ საირიგაციო სისტემების მშენებლობა, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების წყალთან სიახლოვის აუცილებლობა ხევისპირული დასახლების მნიშვნელოვანი პირობა იყო. მთლიანობაში, როგორც საუბნო, ისე სასოფლო და სათემო ნაგებობანი, სამეურნეო სავარგულები თუ სამოსახლო ადგილები ურთიერთკავშირში ქმნიდა ეროვნულ ლოკალიზებულ სამეურნეო, სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოს. ხევის ფერდობებზე შეფენილი საცხოვრებლები კი, მეურნეობრივი და სოციალური თავისებურებებიდან გამომდინარე, სერული დასახლების ფორმას ღებულობდნენ. რადგან მთაში ხევი დასახლების ტრადიციული ფორმის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, ამდენად, ხევისპირული დასახლება სერულ თუ სერისპირულ დასახლებასთან უშუალო მიმართებაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. ამას, ასევე, როგორც დასახლების სხვა ტიპურ ფორმებს, გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად, პირველ რიგში, დასახლების სამეურნეო და სოციალური პირობებიც განსაზღვრავდა.

---

49 ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 27, 32; კ. კარბელაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

50 გლ.ბგელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

51 ალ.რობაქიძე. რედაქტორისაგან. – სდსმკუს, I, თბ., 1973, გვ. 5.

52 ნ.ნოჯაბაძე. სამოწათმოქმედო ეროვნის ისტორიიდან აჭარაში. თბ., 1971, გვ. 10.

§2. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი

ხალხური საცხოვრებელი კომპლექსი, როგორც მატერიალური კულტურისა და ხუროთმოძღვრული ძეგლი, ასახავს სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი მეურნეობრივი საქმიანობის, სოციალური ყოფის, სამშენებლო ხელოვნების, რწმენა-წარმოდგენების ისტორიულად ჩამოყალიბებულ დონეს, ეთნიკურ თავისებურებებს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს ცალკეულ კუთხეებში შექმნილი ხალხური საცხოვრებლის ლოკალური ტიპები, რომლებიც, მართალია გამოირჩევა რეგიონალური სპეციფიკით, მაგრამ ტიპოლოგიური ერთობლიობის ფარგლებს არ სცილდება და ისტორიულად ერთი ეთნოსის ნიშან-თვისებაში თავსდება.[1]

ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აჭარულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს.

ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად, აჭარულმა საცხოვრებელმა კომპლექსმა შეინარჩუნა ტრადიციული სახე, ხალხური დაგეგმარებისა და მშენებლობის თავისებურებანი, სამშენებლო ხელოვნების ქართული ტრადიციები. აჭარული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრადაა მიჩნეული.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მონაცემები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ უძველესი საცხოვრებელი ნაგებობების გენეზისისა და განვითარების საკითხებს. უძველესი საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები ნაპოვნია დღევანდელი ქობულეთის ტერიტორიაზე (ფიჭვნარ-ნამჭედური) ზღვის სანაპირო ზოლში, მდინარეთა გაყოლებით შემაღლებულ გორაკ-ბორცვებზე. ისპანის ტორფებსა და ქობულეთ-ფიჭვნარ-ნამჭედურზე მიკვლეულია ბრინჯაოს ხანის ჭდობით ნაშენი ჯარგვალური ნაგებობები.[2]

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დამდეგს შავი ზღვის სანაპირო ზოლი და საკუთრივ ჭოროხის აუზი წარმოადგენდა მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთ ძირითად ცენტრს.[3] სწორედ მეტალურგიის განვითარების პერიოდში დაწინაურდა მშენებლობის ხელოვნება, უფრო სრულყოფილი გახდა სამშენებლო იარაღ-ინვენტარი. ამის მაჩვენებელია მაღალტექნიკურად დამსადებული ბრინჯაოს ცულები, რომელთა ნაწილი შემკულია ნაირგვარი გეომეტრიული ორნამენტითა და სხვადასხვა სიუჟეტით.

ანტიკური ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისა და მშენებლობის ხელოვნების შესახებ შედარებით სრულ ცნობებს შეიცავს როგორც ძველი ქართული, ასევე ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წერილობითი წყაროები. ამათგან აღსანიშნავია ქსენოფონტეს,[4] სტრაბონის,[5] ვიტრუვიუსის და სხვათა თხზულებები.

კოლხურ ხუროთმოძღვრებაზე ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა ვიტრუვიუსმა. ხალხურმა ხუროთმოძღვრებამ იმდენად დააინტერესა ავტორი, რომ მან დეტალურად აღწერა ნაგებობების დაგეგმარება, მშენებლობის კონსტრუქცია, სამშენებლო მასალა და მშენებლობის თავისებურებანი. იგი წერდა: „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო

---

[1] ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. — ბსკის შრომები, I, ბათუმი, 1960.

[2] დ.სახუტაიშვილი. მშენებლობის ხელოვნების უძველესი ნიმუში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. — სდსძ, I. ბათუმი, 1980, გვ. 17.

[3] დ.სახუტაიშვილი. კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან. - სდსძ, I. თბ., 1964, გვ. 51-59; მისივე, К истории древнеколхидской металлургии железа. Вопросы древней истории (Кавказско-Ближневосточный сборник, IV), Тб., 1973. с. 170-179.

[4] თ.მიქელაძე. ქსენოფონტეს „ანაბასისი". უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. წიგნი XV. თბ., 1967, გვ. 93-103.

[5] თ.ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, XI. თბ., 19576, გვ. 127.

აწყობენ მიწაზე მარჯვენივ და მარცხნივ მთლიან ხეებს, ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით. მათ ზემოდან კი თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომლებიც ამგვარად ზღუდავენ ბინის შინაგან სივრცეს. შემდეგ, ოთხივე მხარეს, კუთხეებში შეუღლებული ხეების თანდათანობითი წყობით, ამოჰყავთ რა ძირიდან ძელების შეუღლად ხის კედლები, აგებენ კოშკებს. შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე აგებენ სახურავებსაც. ნაპირიდან გასდებენ გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლდება. ოთხივე მხრიდან შუაზე ამოჰყავთ ფოთლებითა და თიხით დახურული პირამიდები.[6] თუ პარალელს გავაკეთებთ ზემოთ აღწერილ სახლსა და აჭარის ალპურ ზონაში დღემდე მოღწეულ ჯარგვალურ ნაგებობებს შორის, დავინახავთ, რომ ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. იქნება შთაბეჭდილება, რომ ჯარგვალურმა ნაგებობებმა, რომლებიც დღეს აჭარის ალპურ ზონაში შემოგვრჩა, პირველი საუკუნიდან დღემდე თითქმის უცვლელად მოაღწია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აჭარის ზღვისპირა ზოლის მოსახლეობას უძველესი დროიდან გაჩნდა განვითარებული სამშენებლო ტრადიციები.

ახ.წ. II საუკუნეში საკურადღებო ცნობებია დაცული ფლავიუს არიანესთან („მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო"). მას მოთხრობილი აქვს აფსაროსის ციხის კედლების, ფაზისის ციხის, კოშკური ნაგებობებისა და სხვა მშენებლობაზე.[7]

აჭარის მთიანეთში სამშენებლო ხელოვნების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული აბუსერისძე ტბელის თხზულებაში. მასში აღწერილია ეკლესიების, მათ შორის ხიხანის ციხე-სიმაგრეში არსებული ეკლესიის მშენებლობის პროცესები.[8]

აჭარელ ხელოსანთა მაღალ ოსტატობაზე მოგვითხრობს ეახუშტი ბაგრატიონი. მისი დახასიათებით აჭარლები არიან „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაობითა".[9] ცხადია, ამ დახასიათებაში იგულისხმება აჭარელთა დახელოვნება ხის საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაშიც.

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა ორიენტალისტმა ჟან მურიემ, რომელმაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხე შემოიარა. მურიეს განსაკუთრებით აინტერესებდა ახლად შემოერთებული ძველი ქართული მხარეები, კერძოდ ჭოროხის ხეობა, რომელიც ოდითგანვე იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. ფრანგი მკვლევარი დაინტერესებულა აჭარელთა საცხოვრებელი ნაგებობებითაც. იგი წერდა: „სახლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შეფენილი. სადგომები უმთავრესად კრამიტითაა დახურული და ორსართულიანია. ქვედა სართული ნეფელებრივ ქვითკირისაა და საქონლის ბინადაა გამოყენებული. ზედა კი ხისაა და შუაში ორ ნაწილადაა გაყოფილი."[10] ჟან მურიეს მხედველობიდან არ გამორჩენია აჭარული საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებანი, როგორიცაა საცხოვრებელი ფართის სეგმენტაცია, სახლის ცალკეული ელემენტების, კერძოდ, ბუხრის, სვეტების, ფანჯრებისა და ჭერის მორთულობა.

აჭარული კარმიდამოსა და საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული გ. ყაზბეგისა და დ. ბაქრაძის შრომებში. ისინი აჭარაში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში მოგზაურობდა. გ.ყაზბეგის მიერ აღწერილი აჭარული კარმიდამო, საცხოვრებელი სახლი და მისი მოწყობილობების ტრადიციები მნიშვნელოვანი წყაროა ამ დროის აჭარული საცხოვრებლის შესასწავლად.[11]

---

[6] Витрувий. Десять книг об архитектуре. кн.2,М., 1936, с. 41, с. 41, 42; Сумбадзе Л.З. Колхидское жилище по витрувию. Тб., 1960, с. 56.

[7] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თბ., 1961, გვ. 35.

[8] ლეონიძე. აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულოს მატიანე (1233 წლის ტექსტი). თბ., 1941.

[9] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 134.

[10] ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962, გვ. 8.

[11] გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. — გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. 93-95.

დ.ბაქრაძე გურია-აჭარაში მოგზაურობისას, პირველ რიგში, საერო და საკულტო ძეგლების შესწავლით იყო დაინტერესებული. მიუხედავად ამისა, მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია აჭარელი გლეხის კარმიდამო საცხოვრებელი სახლებითა და სამეურნეო ნაგებობებით. იგი აღწერს ზემო და ქვემო აჭარის იმ საცხოვრებელ სახლებს, რომლებშიც მას მოუხდა დამის გათევა. მკვლევარის ცნობით, სახლები აჭარაში მაშინაც ძირითადად ხისგან შენდებოდა. ქვის სახლები უფრო მეტად შეძლებულებს ეკუთვნოდათ.[12]

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ აქაური გლეხის კარმიდამოს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს აღწერდნენ თ.სახოკია[13] და ზ.ჯიჯინაძე.[14]

საცხოვრებლისა თუ საერთოდ კარმიდამოს შესახებ ასევე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XIX ს. რუსი მოგზაური მკვლევარების – ვ. ლისოვსკის,[15] ა. ფრენკელისა[16] და სხვათა შრომებში.

1933 წელს გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით აჭარაში მუშაობდა ექსპედიცია, რომელმაც აჭარელთა მეურნეობის, სოციალური ყოფის ამსახველ მასალებთან ერთად საინტერესო მონაცემები შეკრიბა აჭარის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე.[17] გ. ჩიტაიას აზრით, აჭარული მთური ჯარგვალი გენეტიკურად ეიტრუეიუსის მიერ აღწერილ ძველ კოლხურ სახლს უკავშირდება და მშენებლობის ძველკოლხური ტრადიციებიც გარკვეულწილად მთიანეთის ჯარგვალურ ნაგებობებშია ასახული.[18]

აჭარული საცხოვრებელი კომპლექსისა და ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლას სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა როგორც ხელოვნებამცოდნეთა,[19] ისე ეთნოგრაფთა[20] ნაშრომებში.

აჭარელი საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო ნაგებობათა განვითარების ისტორიულ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, კლიმატური პირობები, მცენარეული საფარი, ჰიდროგრაფიული ქსელი და სხვა ფაქტორები. აჭარა მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით ხასიათდება, რაც თავისებურ დაღს ასვამდა ბარის, ზეგნისა და მთიანეთის დასახლებათა ტიპებს, კარმიდამოების განლაგების, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა დაგეგმარებასა და არქიტექტურულ სტილს.

საცხოვრებელი სახლისთვის ადგილის შერჩევის დროს პირველ რიგში ითვალისწინებდნენ ნიადაგის ვარგისიანობას, რელიეფის თავისებურებებს. დიდი ყურადღება ექცეოდა სამოსახლო ადგილის მეწყერული, თოვლის ზვავის, მდინარეთა კალაპოტიდან წყლის გადმოლახვის საშიშროების გათვალისწინებას, სასმელი და სამეურნეო წყლის, სამიმოსელო გზების სიახლოვეს და სხვ.

---

12 Бакрадзе Д.О. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре СПБ. 1878, с. 44-45.

13 თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950.

14 ზ.ჯიჯინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ., 1913.

15 Лисовский В. Чорохский край, вып., Тифл. 1887.

16 Френкель Ф. Очерки Чурук-су и Батуми, Тифл., 1887.

17 გ.ჩიტაია. აჭარისტანის ექსპედიციის დღიური (მასალები). შრომები, ტ. III, თბ., 201.

18 გ. ჩიტაია. ხევსურული სახლის „სენე". – ანალები. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I. თბ., 1947, გვ. 145-147.

19 ი.ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა), თბ., 1956; Гаракандзе М. Грузинское деревянное зодчество, Тб., 1959.

20 ალ.რობაქიძე. დასახ. ნაშრომი; მისივე. დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი აჭარაში. – ამყარ. თბ., 1967; ვ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარა). თბ., 1969; ჯ.ეარშალომიძე. ორნამენტი ხეზე (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ბათუმი, 1979; ნ.ახვიძე. ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 2004, გვ. 44-52; ჯ.მიქელაძე. საცხოვრებელი სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში. ბათუმი, 1982; ვ.ლმგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973; თ.ჩიქოვანი. ზემო აჭარული სახლი – ბსკი შრომები. I. ბათუმი, 1960 და სხვ.

აჭარაში სახლები ძირითადად ხისაგან შენდებოდა ხისავე და ქვის საძირკველზე. გამონაკლისს შეადგენდა შეძლებულთა სახლები, რომლებიც ხის და აგურის, ან ხისა და ქვის კონსტრუქციებსაც შეიცავდა.

სახლის მშენებლობის დაწყება, ხალხური ტრადიციის მიხედვით, კვირა დღეს იყო მიღებული. რწმენით, დედამიწა, თითქოს, კვირა დღეს გაჩენილა და სახლის მშენებლობის დაწყებაც ამ დღეს სიკეთისა და ბედნიერების მომასწავებელი იქნებოდა.

აპრილ-მაისიდან წლის ბოლომდე, ანუ ზამთრის დაწყებამდე უნდა მოესწროთ სახლისათვის საჭირო მასალის დამზადება და მშენებლობის ადგილზე მიტანა. ამის შემდეგ ნათესავებისა და მეზობლების დახმარებით შეუდგებოდნენ საძირკვლისა და საყუძელის მშენებლობას, რასაც ბინის დადება ეწოდება. საძირკველი შენდებოდა როგორც ქვისაგან, ასევე ხის ბურჯებისაგან. ხის საყრდენი ბურჯები აჭარაში სამი სახისაა: ბოძი, სამკუთხედი და ოთხკუთხედი ფორმის ჭდობით შეკრული. ხის ამგვარი რთული ბურჯების გამოყენება მშენებლობაში უძველესი ხერხია. ქსენოფონტეს (ძვ.წ. V-IV სს) მიერ მოსინიკური ხის კოშკების აღწერილობა სწორედ დღემდე შემორჩენილი ბურჯების კონსტრუქციას ეყრდნება. ოთხკუთხედი კონსტრუქციის საყრდენები საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება.

ზემო აჭარაში საცხოვრებელი სახლები ძირითადად ნაძვის, ქვემო აჭარაში კი – წაბლის ხისაგან შენდებოდა. სამშენებლო მასალების საზიდად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის საერანსპორტო საშუალება: ურემი, მარხილი, თუში, ციგა, სელი და სხვ. გამწეად ძალად იყენებდნენ ძირითადად ხარ-კამეჩს და ცხენს. ხარ-მარხილის გამოყენება მშენებლობის საქმეში ძველი დროიდან მომდინარეობს. იგი აღწერილია აბუსერისძე ტბელის თხზულებაში.[21]

აჭარული ხალხური საცხოვრებელი ნაგებობა ძირითადად ორსართულიანია. პირველი სართული საქონლის სადგომს ეთმობოდა, მეორე – საკუთრივ საცხოვრებელს. საცხოვრებელი შედგებოდა რამდენიმე ოთახისაგან. ოთახთა რაოდენობა სახლის ფართზე და ოჯახის სულადობაზე იყო დამოკიდებული.

ზემოაჭარული სახლის საცხოვრებელ ოთახებს შუა ნაწილში მთელ სიგრძეზე ეოფდა ფართო დერეფანი, რომლის ორივე მხარეს განლაგებულია სხვადასხვა ფართობისა და დანიშნულების ოთახები: სამზარეულო, ანუ საკუთრივ „სახლი", სასტუმრო ოთახი, ახალდაქორწინებულთა ოთახები და „სარძიე". შუა დერეფნის გარდა, სახლს ჰქონდა ორმხრივი, ან სამმხრივი გარე დერეფნები. შუა ფართო დერეფანი სახლებს საგანგებოდ უკეოდებოდა. ოჯახში ძმების გაყოფის შემთხვევაში სახლი დერეფანში შუაზე იხერხებოდა. ერთი ნაწილი ადგილზე რჩებოდა, მეორე სხვა ადგილას გადაჰქონდათ და განკუთვნილი იყო გასანაწილებელი ძმის საცხოვრებლად. ამგვარ სახლს „ცალპირა" სახლს უწოდებდნენ.[22]

აჭარული საცხოვრებელი სახლის თითოეულ ოთახს გარკვეული დანიშნულება ჰქონდა. ძირითადი ოთახი, რომელსაც „სახლი", ანუ საუფროსო ოდა ეწოდებოდა, ოჯახის უხუცეს წევრთაოვის იყო განკუთვნილი. იქ ცხოვრობდნენ ბებია-ბაბუა, მათი არეოფნის შემთხვევაში დედ-მამა, ზოგჯერ უფროსი ძმა მეუღლით. აქვე საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშმობდნენ, ამინებდნენ ძუძუმწოვარ ბავშვებს, რომლებსაც სახლის უფროსები მეთვალყურეობდნენ. საღამოს კი ბავშვი დედას თავის ოთახში გადაჰყავდა. მოზრდილი ბავშვები კი ღამით ბებია-ბაბუასთან რჩებოდნენ.

საუფროსო სამზარეულო ოთახი ზომით ყველაზე დიდი იყო და მას ბუხარიც შესაბამისად დიდი ჰქონდა, ორივე მხარეს სათავსოებით. ერთი სათავსო აბანოდ იყო განკუთვნილი, მეორე ლოგინის შესანახად. კედლის გასწვრივ იდგა ერთი ან ორი ტახტი, რომელზეც ოჯახის უფროსს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული და მას ოჯახის ყველა წევრი პატივსა სცემდა.

---

21 აბუსერისძე ტბელი. დასახ. ნაშრომი.

22 ალრობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 23.

ძველ, ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობებს პატარა ზომის ოთხკუთხა სარკმელი გააჩნდა, რომელიც ხის საგდულით იკეტებოდა. სარკმელი იმდენად პატარა იყო, რომ მასში კაცი ვერ გაეტეოდა, რაც გამორიცხავდა ქალის მოტაცებას, ქურდობას და სხვ. ამასთანავე, ასეთი პატარა სარკმელი ხანგრძლივი და მეაცრი ზამთრის პირობებში სითბოს შენარჩუნებისათვისაც იყო განკუთვნილი.

მთიანი აჭარის ოჯახი ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალსულიანობით. ისეთი ოჯახებიც იყო, სადაც ერთდროულად რამდენიმე აკეანი ირწეოდა. საუფროსო ოთახის გვერდით ახალდაქორწინებულთა ოთახი იყო. ოთახების დაგეგმარების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასტუმრო ოთახის მორთულობას (ბუხარი, ტახტი, სათავსოები და სხვ.). სტუმართმოყვარეობის ტრადიცია იმდენად შეუეღალი იყო, რომ ზოგიერთ სოფელ'ში შეიძლებული პირი ოჯახი სასტუმრო სახლს ცალკეც აშენებდა. ძირითადი საცხოვრებელი სახლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. სტუმარს პატრონის დაუკითხავად შეეძლო ღამის გათეეა და დარჩენა იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებდა. ღამისთეეა უსასყიდლო იყო. ასეთი სასტუმრო სახლები ისეთ სოფლებს გააჩნდა, რომლებიც მთავარი სამიმოსელო გზების პირას იყო განლაგებული.

ზემოაჭარული სახლის აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა „სარძიე ოთახი", რომელიც რძის პროდუქტების გადასამუშაებლად და შესანახად იყო განკუთვნილი. ეს ოთახი ზომით ყველაზე პატარა იყო და გააჩნდა ერთი კარი და საეენტილაციო სარკმელი ჰაერის ცირკულაციისათვის. კედლებზე დამაგრებული იყო თაროები, სადაც ინახებოდა შესაბამისი ჯამ-ჭურჭელი.[23]

ქედისა და ხელვაჩაურის რაიონებში ტრადიციული საცხოვრებელი სახლები დაგეგმარებით, მშენებლობის ხერხებითა და სამშენებლო მასალის გამოყენებით ძირითადად ერთნაირია. ამასთან, ისინი ნაგებია როგორც ხის ან ქვის, ისე შერეული მასალისაგან (ქვედა სართული – ქვა, ზედა – ხე), რაც ზემო აჭარისათვის არ არის დამახასიათებელი.

საცხოვრებელი სართულის ოთახთა დაგეგმარებაში მთავარი ადგილი შუაცეცხლიან მიწურ ოთახს ეთმობოდა. ოჯახის შემადგენლობა მთელ დღეს აქ ატარებდა.

ქობულეთის რაიონის ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობები მთის ზონის ტრადიციული საცხოვრებლებისაგან უპირატესად ოთახთა განლაგებით განსხვავდება. აქაური სახლის საცხოვრებლისათვის დამახასიათებელია მრავალპირიანი ბუხარი ერთი საერთო საკვამურით, რაც მსგავსებაშია ტიპური გურული, იმერული და მეგრული საცხოვრებელი სახლების ბუხრებთან.

აჭარის ტერიტორია საცხოვრებელ ნაგებობათა სახეების მიხედვით შეიძლება ოთხ ვერტიკალურ ზონად დაიყოს: 1. სამხრეთ-აღმოსავლეთი (ხულოსა და შუახევის რაიონები); 2. სამხრეთ-დასავლეთი (ქედისა და ხელვაჩაურის რაიონები, მთიანი ზოლი); 3. ბარის ზონა (ნაწილობრივ ხელვაჩაურის და მთლიანად ქობულეთის რაიონი); 4. ალპური და სუბალპური ზონა (მთიანი აჭარა).

პირველ ზონაში გვხვდება ძველი საცხოვრებელი სახლის სამი სხეადასხეა სახე: ა) ერთსართულიანი ძელური, ანუ ჯარგვალური სახლი ორფერდა სახურავით, ოთხკუთხედი ფორმით, მიწური იატაკითა და შუაცეცხლით; ბ) ძელური ან გათლილი ფიცრებისგან ნაშენი ერთი ან ორსართულიანი ოთხკუთხედი სახლი ორფერდა ან სამფერდა სახურავით, შუაცეცხლით, ან ქვის ბუხრით; გ) ორი ან სამსართულიანი ფიცრული სახლი ოთხფერდა სახურავით, ქვის ბუხრით.

მეორე ზონაში გამოიყოფა ორი სახის ნაგებობა: ა) ფიცრული ორსართულიანი სახლი ოთხფერდა გადახურვით; ბ) ფიცრული ორსართულიანი სახლი სამფერდა გადახურვით. ამავე ზონაში გვხვდება აგრეთვე ხის კონსტრუქციაში ჩასმული შერეული მასალით (ქვა, აგური) ნაშენი სახლები.

მესამე ზონაში გავრცელებულია საცხოვრებელი სახლის შემდეგი სახეები: ა) ორსართულიანი ფიცრული ოდასახლი ოთხფერდა სახურავით; ბ) შერეული მასალით (ქვა,

[23] ვ. შამილაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 128.

აგური) ნაშენი ორსართულიანი ფიცრული ოდა-სახლი ოთხფერდა სახურავით. ამ ზონის შუაზღვისპირა მიდამოებში არსებობდა ფაცხა-სახლებიც.

მეოთხე ზონაში თავდაპირველად გავრცელებული იყო და დღესაც გვხვდება ერთსართულიანი და ორსართულიანი ჯარგვალური საცხოვრებელი ნაგებობანი. პირველი ცნობილია ძირთული ჯარგვალის, მეორე – ზედშედგმული ჯარგვალის სახელწოდებით, პირველ სართულზე საქონლის სადგომით.

აჭარაში საცხოვრებელი სახლის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლისაგან საქონლის სადგომის მთლიანად გამოცალკევება.

აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებულ საცხოვრებელ ნაგებობებს თუ ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, განვითარების საფეხურების მიხედვით მივიღებთ შემდეგ სახეებს: ერთსართულიანი ფაცხა-სახლი ორ ან სამფერდა სახურავით; ერთსართულიანი ძელური სახლი (ძირთული ჯარგვალი) ორფერდა სახურავით; ორსართულიანი ძელური სახლი (ზედშედგმული ჯარგვალი) ორფერდა სახურავით; ორსართულიანი ფიცრული ოდა-სახლი სამ ან ოთხფერდა სახურავით.

დაგეგმარებისა და საცხოვრებელი ფართის განაწილების თვალსაზრისით, რამდენიმე განსხვავებულ სახეს ქმნის ღარიანი კრამიტით გადახურული სამ ან ოთხფერდა ფიცრული ლაზური სახლი, რომელიც, ძირითადად, გავრცელებული იყო ლაზებით დასახლებულ სოფელ სარფსა და თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ლაზეთის ნაწილში. ამ ტიპის სახლები, რომლებიც ნაშენია მარტო ხით ან შერეული მასალით, აქა-იქ გვხვდება ხელვაჩაურის რაიონის ბარის, ნაწილობრივ – ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებშიც.

აჭარული საცხოვრებელი ნაგებობებისა და კარმიდამოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ მთლიანად აღებული აჭარული სამოსახლო მაღალგანვითარებული საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის მაჩვენებელია. აჭარულმა სახლმა განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა და მისი ყველაზე სრულყოფილი სახით უპასუხებდა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებულ დასახლების ფორმას, რომელსაც სპეციფიკურ თავისებურებებთან ერთად, რიგი პარალელები მოეპოვება საქართველოს სხვა მთიანი ზონის დასახლების ფორმასთან.[24]

§3. ხალხური ტრანსპორტი

ა) სახმელეთო ტრანსპორტი. ხალხური ტრანსპორტი, ანუ ხალხური სატვირთო საშუალებანი, საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი უძველესი მონაპოვარია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოების ცხოვრებაში.

არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხალხურ ტრანსპორტს საქართველოში, მათ შორის, აჭარაში, საკმაოდ ძველი ისტორია აქვს. აქ ტრადიციულად სახმელეთო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის სხვადასხვა კონსტრუქციული სახეობა შეიქმნა, რასაც განაპირობებდა სპეციფიკური ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო ყოფითი თავისებურებანი.

საქართველოში ისტორიულად გავრცელებული იყო სამი სახის სატრანსპორტო საშუალება: უბორბლო, რომელიც მიწაზე გადაადგილდება თრევა-სრიალით; ბორბლიანი; შერეული ტიპის, რომელიც გორვა-სრიალის პრინციპზეა აგებული.[1] აჭარაში სამივე ტიპის ხალხური სახმელეთო ტრანსპორტია ცნობილი.

უბორბლო ტიპის საზიდ საშუალებებს აჭარაში განეკუთვნება მარხილი, ციგა, სათრიეული, ცალელელა, ხიზეკი; ბორბლიანს – ურემი, შერეულ სახეობას – სელი და ძიგლიგა.[2]

---

[24] ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, გვ. 23.

[1] მგელეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ., 1956, გვ. 30.

[2] ადავითაძე. ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან. ბათუმი, 1983, გვ. 29.

მარხილი უბორბლო ტრანსპორტის ძირითადი სახეობაა, რომელიც, აჭარის გარდა, გავრცელებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და სამცხე-თრიალეთის მთიანეთში.[3] მასში გამწვე ძალად ხარი ან კამეჩია გამოყენებული. წარსულში მარხილი მთელ აჭარაში იყო გავრცელებული. ამჟამად მხოლოდ მთიან ხოლში შემორჩა და მას თივის, შეშის, სამშენებლო მასალის გადასატანად იყენებენ.

მარხილის სახეობაა ხიზეკი, რომელიც ძირითადად გავრცელებულია მაჭახლის ხეობასა[4] და აჭარისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში (ქედის რაიონი).[5] იგი მარხილთან შედარებით პატარაა და უმთავრესად გამოიყენებოდა მინდვრად ნაკელის გასატანად და სხვა დანიშნულებით. თ. სახოკიას ამ ტიპის საზიდი აჭარაში მოხსენიებული აქვს ჯინის, ანუ გოდორ-მარხილის სახელწოდებით.[6]

მარხილს და ხიზეკს აჭარაში სამშენებლო ქვების გადასატანადაც იყენებდნენ. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის XIII საუკუნის ცნობილი მწერალი და მოაზროვნე აბუსერიხიძე ტბელი ქვითხურო ბასილის სამშენებლო საქმიანობის დახასიათებისას.

მარხილის სახესხვაობაა ცალმარხილა (ცალუღელი) და ციგა. ისინი კონსტრუქციულად ერთმანეთის იდენტურია. ორივე ზამთრის სეზონში გამოიყენებოდა (და იყენებენ დღესაც) შეშის, თივის, თუ სხვა სახის ტვირთის მოსატანად. ცალმარხილაში (ცალ ხარია შებმული და აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. მარხილი ძირითადად მარითის, სხალთის, ღორჯომისა და აჭარისწყლის ხეობებშია გავრცელებული.[7]

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ციგა მცირე მარხილია,[8] რომელიც ჩვეულებრივი მარხილისა და ცალუღელისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი გადაადგილება ადამიანის ძალით ხდება, მარხილში კი – ხარი ან კამეჩია შებმული. ამ ორი სახის საზიდი საშუალების მოხმარების თავისებურებაზე ყურადღებას ამახვილებდა გ. ყანბეგი ზემო აჭარაში მოგზაურობის დროს. იგი წერდა: „აქ დიდი გამოყენება აქვს მარხილის ქაევებს, რომლებსაც ხმარობენ როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში. აქეთ ერთგვარი მარხილი, რომელსაც ციგას უწოდებენ. ამ ეკიპაჟით ზამთრობით მთიდან თივა ჩამოაქეთ. ციგაზე ბევრ თივას დებენ და პირუტყვის (იგულისხმება გამწვეი ძალა – ნ. კ) დაეხმარებლად, მხოლოდ მესაჭის წყალობით ჩააქეთ ყიშლებამდე".[9] ციგით ტვირთი არა მარტო ყიშლამდე,[10] არამედ ესო-კარამდეც მიჰქონდათ.

ფრეეა-სრიალის პრინციპზე მოწყობილ უმარტივეს ხალხურ საზიდ საშუალებას ეკუთვნის თუში, რომელიც სამშენებლო მასალის, აგრეთვე, შეშის ან თივის გადასატანად გამოიყენებოდა. იგი ზემო აჭარაში დღესაც სარგებლობაშია.

თუში ორ მსხვილ ტოტიანი ნაძვის, წიფლის ან წყავის ხისაგან მზადდებოდა. ამ სახელწოდებით ეს საზიდი საშუალება იმერეთშიც არის დამოწმებული, მაგრამ იგი აქ მარხილის ტიპისა და გორვა-სრიალის პრინციპზეა აგებული.[11] იმერულში თუში მეეენახეობა-მეღვინეობასთანაა დაკავშირებული და ქვევრების გადასატანად გამოიყენებოდა. აჭარული თუშის მსგავსია მთიულეთში გავრცელებული თურში, რომელიც ქვის საზიდად ადა განკუთვნილი.[12] თუში უძველეს და უმარტივეს საზიდ საშუალებას ეკუთვნის.

---

3 მ.გეგეშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

4 ნ.კახიძე. აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1967, გვ.120-121.

5 ა.დავითაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

6 თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბ., 1950, გვ. 142.

7 ა.დავითაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

8 სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. თბ., 1949, გვ. 431.

9 გ.ყანბეგი. აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. 106.

10 ყიშლა – შუალედური სეზონური დასახლება ალპურ სადგომებსა და სოფლურ დასახლებას შორის.

11 მ. გეგეშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 33, 93.

12 იქვე, გვ. 32. ასე არის განმარტებული თუში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც („სიტყვის კონა", თბ., 1949, გვ. 140).

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თრევა-სრიალის პრინციპზე შექმნილი ხალხური საზიდი საშუალებანი, მათ შორის თუში, უფრო ძველია, ვიდრე ბორბლიანი საზიდი.

აჭარის ბარისა და მთის მთელ რიგ სოფლებსა თუ ხეობებში გავრცელებული იყო ორბორბლიანი ურემი. ურმის ამ სახეობას იცნობდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე[13] და ყველგან სხვადასხვა სახელწოდებით: საბარო ურემი და საძრე ურემი (აღმოსავლეთი საქართველო), ხელნა ურემი (დასავლეთი საქართველო – იმერეთი, გურია, რაჭა), ქართული ურემი (იმერეთი, რაჭა), ბჯის ურემი (სამხრეთი საქართველო), რომელიც საძრე ურმის შესატყვისია.

აჭარის ბარის ზონაში, უპირატესად – ზღვისპირა ადგილებში, მეორე მსოფლიო ომამდე ორბორბლიანი ურემი თითქმის ერთადერთ სახმელეთო საზიდი საშუალება იყო. ასეთი ურმები წარსულში კეთდებოდა ბათუმის შემოგარენის სოფლებში (ორთაბათუმი, გონიო, ახალშენი), აგრეთვე ჩურუქ-სუში, ანუ ქობულეთის მხარეში (ბობოყეთი, ხუცუბანი, აჭყეისთაი და სხვა).[14]

ურმის ბორბლები (გოგორები) თავდაპირველად მთლიანი ხისაგან მზადდებოდა რკინის სალტის გარეშე. მოგვიანებით გაჩენილა შედგენილი სახის ბორბლები, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: მორგვი ანუ ხუნდი, რომელზეც ასხმულია სოლები (ჭაღები) და ფერსოები. ბორბალს მეტი გამძლეობისათვის გაუჭიდა რკინის სალტე. ორბორბლიანი ურმის სამეურნეო მიზნებით გამოყენება აჭარის მთის ზონაში შედარებით შესწავლულია.

ქართული ხალხური სახმელეთო ტრანსპორტის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აჭარული სელი. ეს მჟღავნდება როგორც მის კონსტრუქციაში, ისე ფუნქციონალურ გამოყენებაში და მასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში. სელის გავრცელების არე სამხრეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილი იყო.[15] აჭარის გარდ. იგი გვხვდება სამცხეში, სადაც ურმის სახელწოდებასაც ატარებს. ამავე დროს, სელი განეკუთვნება შერეული ტიპის ხალხურ საზიდ საშუალებას, რომელშიც შეერთებულია გორგა-სრიალის პრინციპი, რითაც იგი ახლოს დგას დასავლეთ საქართველოს მთიანი ადგილებში (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელოს მთიანი ნაწილი) გავრცელებულ ანალა ურემთან.[16]

აჭარული სელის პირველი, თუმცა არასრული, აღწერა მოგვცა თ. სახოკიამ, რომელსაც თავად უნახავს იგი ღორჯომის ხეობაში მოგზაურობის დროს. იგი წერდა: „აქა-იქ შემოგვხვდება თვით დატვირთული სელი, უდელი ხარით შებმული. სელი ურმის მაგვარია, მარხილის მსგავსი. თვლები არა აქვს. თვლებიანიც არის, მაგრამ... დაბლებია ძალზე და თვლებიც მტკაველ-ნახევრის გარეშეა. ასეთი ურმები უფრო კარგს გზებზე დადის. აქაური სელით ათი ფუთის სიმძიმეს თუ წაიღებს ხარები აქაურ აღმართის გზებზე."[17]

აჭარული სელი კონსტრუქციულად განსხვავდება სამცხეში გავრცელებული სელისაგან. ამ განსხვავებას მ. გეგეშიძე იმით ხსნიდა, რომ აჭარულ ბორბლიან სელში ღერძ-ბორბლები ზედასადგარის უკანა ნაწილშია მოთავსებული, რის გამოც საზიდის ფეხებს მეტი დაწოლა აქვს. მესხურ საზიდში კი ღერძი ზედასადგარის შუა ნაწილზეა და ამდენად, ფეხებზე დაწოლაც ნაკლებია. ამგვარი განსხვავება, მკვლევრის დაკვირვებით, გამოწვეულია გამოყენების არეების სხვადასხვაობით და ემსახურება მიწაზე თრევის გაიოლებას და დამუხრუჭებას.[18] ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ სელის მკეთებელი ოსტატები კარგად ითვალისწინებდნენ რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებებს და მის შესაბამისობაში მოჰყავდათ სელის კონსტრუქცია.

---

[13] მ. გეგეშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

[14] ა.ადაეთაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

[15] მ.გეგეშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

[16] იქვე. გვ. 73.

[17] თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

[18] მ.გეგეშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

სელის დამზადების მაღალი ოსტატობით განთქმულნი იყვნენ სოფელ ლიდაჭარის, ღორჯომისა და სხალთის ხეობათა ხელოსნები.[19] სელს აკეთებდნენ და იყენებდნენ ჭვანის ხეობაშიც (ნალვარეევი, ბრილი, ინწკირეევთი), მაგრამ მსა თვლები აქ მეზობელი სოფლებიდან შემოჰქონდათ.[20] სელის მკეთებელ ოსტატთაგან ბევრი გოგრების (ბორბლების) დამზადებაშიც იყო გაწაფული და მათ მეგოგრეთა სახელწოდებით მოიხსენიებდნენ.[21]

სელის ბორბალი იმაევ წესით მზადდებოდა, როგორც ურემი და მისი შემადგენელი ნაწილები იმაევ სახელებით აღინიშნება: ხუნდი (მორგვი), ჭაღი (სოლი), ფერსი. ხუნდი თვლის ხისაგან მზადდებოდა ხის სახარატო დაზგაზე. სხვა ნაწილების (მაზი, ნარღანი, ხელნები ანუ მკლავები, ყეყნები) დასამზადებლად იყენებდნენ ლეკის, უხრავის, ნეკერჩხლის, მეჩის ხეს.

სახმელეთო ტრანსპორტის (სელი, მარხილი, ცალმარხილა, ურემი) ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია უღელი, რომელიც სხვადასხვა მერქნისგან მზადდებოდა (ცაცხვი, თელა, ლეკი, ნაძვი, არყე). უღლის ტაბიკებად კი ტრადიციულად მიღებული იყო პანტა ხე (ეაშლი, შინდი, ბალი, წყავე), რომელიც მეტი გამძლეობისაა. ხალხი პანტა ხის ტაბიკებს გათვალეის საწინააღმდეგო თვისებებსაც მიაწერდა. უღლის აპეურებად კი ცაცხვის ქერქის ან კანაფისაგან დაგრეხილ თოკებს იყენებდნენ.

სახმელეთო საზიდ საშუალებათა ნაირსახეობა და მისი დამზადება აჭარაში განპირობებული იყო მთისა და ბარის ბუნებრივ-გეოგრაფიული და მეურნეობრივი თავისებურებებით და ძირითადად აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას. ამავე დროს, აჭარაში გავრცელებული სახმელეთო ბორბლიანი, უბორბლო და შერეული ტიპის ტრანსპორტის ნაირსახეობა კარგად ასახავს ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიული განვითარების ადმავალ გზას და კუთვნილ ადგილს იჭერს ტრანსპორტის გენეზისის ზოგადი საკითხების კვლევაში.

ბ) სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი. საქართველოს მოსახლეობა უძველესი დროიდან იყენებს სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტს. ამ მიზნით თავდაპირველად ერთ ხეში გამოთლილი, ხოლო მოგვიანებით – ფიცრული ნავები გამოიყენებოდა.

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი დიდი სანაოსნო მდინარე ჭოროხი იყო თავისი შენაკადებით. ჭოროხის სამდინარო გზით მთელი ჭოროხის მხარის, ანუ ეოფილი ბათუმის ოლქის მოსახლეობა სარგებლობდა. მხარის ქალაქ ბათუმთან დამაკავშირებელი ერთი-მთავარი გზა სწორედ მდინარე ჭოროხზე გადიოდა. ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის ოლქში იმოგზაურა, წერდა, რომ საგარეო ურთიერთობისათვის სავაჭრო გზების უქონლობის გამო, წარსული საუკუნეებიდანვე ბათუმის ოლქის მთავარ სატრანსპორტო არტერიას ჭოროხი წარმოადგენდა და ადგილობრივი მოსახლეობაც ამ მდინარის საშუალებით აწარმოებდა ვაჭრობას.[22] მდინარე ჭოროხის ეს უპირატესობა მისი პიდროგრაფიული თავისებურებებით აიხსნებოდა. ჭოროხი სანაოსნოდ თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა.

XVIII-XIX სს. მონაცემებით, მდინარე ჭოროხზე და შავ ზღვაზე სამოძრაოდ იყენებდნენ ბრტყელძირიან ნავებს. ასევე ნავები კონსტრუქციულად განსხვავდებოდა ე.წ. მენეჭსილა (მონოქსილა) ანუ ერთ ხეში გამოთლილი ნავებისაგან, რომლებიც ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებთან დაცული ცნობებით, საყოველთაოდ იყო გავრცელებული კოლხებში და, ბუნებრივია, იმ მოსახლეობაშიც, რომელიც დღეანდელი აჭარის ჭოროხისპირა და, საერთოდ, ზღვისპირა ზოლში ცხოვრობდა. XVII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიკოსის – ევლია ჩელების ცნობით, სამი მსხვილი ალვის ხისაგან გაკეთებულ ნავებსაც იყენებდნენ, რომლითაც მას გონიოდან სამეგრელოსაკენ უმგზავრია.[23]

---

19 ნ.ალახიძე. ხელოსნობა აჭარაში. – სდსმკ, XVIII. თბ., 1990, გვ. 66.

20 ა.დავითაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

21 იქვე.

22 ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962, გვ. 14.

23 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკე. I, თბ., 1971, გვ. 95.

როგორც ჩანს, გვერდებმოჭედილ ნავებსაც ძველებური, თაედაპირველად ერთ ხეში გამოთლილი ნავის ბერძნული სახელწოდების მიბაძვით ლაზები მენექსილას ეძახდნენ, რაც ბერძნული „მონოქსილას" სახეზეცვალი ფორმაა.[24] ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ საკვლევ რეგიონშიც მდინარე ჭოროხზე და შავ ზღვაზე სანაოსნოდ ადრე მასიური ხისაგან დამზადებულ ნავებს იყენებდნენ. მკვლევრები სათანადო მონაცემების საფუძველზე ასკვნიან, რომ ერთ ხეში გამოთლილი ნავები მსოფლიოს ყველა ზღვაოსან ხალხში იყო გავრცელებული და მათ შორის ქართველებში. ოღონდ განსხვავება შეინიშნება ნავის კონსტრუქციაში. მერქნის სახეობაში, მოხმარების ფუნქციებში და, ბუნებრივია, ზღვაოსნობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში.

ჭოროხის ხეობაში ბრტყელძირიანი ნავების დამზადების სამი ცენტრია ცნობილი: ქედა მარადიდი, ბორჩხა და ხება.[25] ამათგან, გასული საუკუნის ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ცნობით, რასაც დღევანდელი ეთნოგრაფიული მასალებიც უკვრს მხარს, ქედა მარადიდი გამოირჩეოდა. რუსი ოფიცრის პ. იურჩენკოს, მკვლევარ ი. ყორონიეის დახასიათებით, ქედა მარადიდი ნამდვილ ნავსაშენ ვერფს წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მასალები გვაუწყებენ, რომ მარადიდელ ნიმშენებელთა ხელვნისა და ცოდნის ხმაური თერმე მეზობელ სოფლებშიც ისმოდა. მე-19 საუკუნის ბოლოს მარადიდში 14 ნავსაშენი სახელოსნო ყოფილა, სადაც გრძელ, ბრტყელძირიან ნავებს აკეთებდნენ.[26] ქედა მარადიდელები უშუალოდ ნაოსნობას იშვიათად მისდევდნენ და მათი ძირითადი საქმიანობა ნავების მშენებლობა იყო.[27] მარადიდში დამზადებული ნავები ბათუმის ოლქში საკეთესოდ ითვლებოდა.[28] სამაგიეროდ, საუკეთესო მენავეები ბორჩხელები იყვნენ.[29]

მარადიდელი მენავე ხელოსნები ნავის ასაგებ მერქანს ყიდულობდნენ ყარაბარვარის, ბელლეევის, ჭარნალის სახაზინო ტყეებიდანაც,[30] სადაც უხვად იყო წაბლი და თხმელა – ძირითადი ნავსაშენი მასალა. მდინარე ჭოროხამდე მასალა ხარ-კამეჩით გადაჰქონდათ, აქედან მარადიდში – ნავებით.[31] ხეებს მარტში ჭრიდნენ და დიდხანს აშრობდნენ. თხმელისაგან უმთავრესად ნავის ფსკერი კეთდებოდა (რადგან იგი წყალში დიდხანს ძლებდა), წაბლის ხისაგან კი ნავის დანარჩენი ნაწილები. ნავის ზოგიერთი ნაწილის დასამზადებლად მუხისა და თუთის ხესაც იყენებდნენ. ჟან მურეე ნავის დამზადების ზოგიერთ ტექნიკურ მხარეს ასე აღწერს: "ზოგჯერ მაგრად არის შეკრული გარდიგარდმო დაჭედილი ძელებით და გადაკრული აქვს წაბლის ხის ფიცრები, რომლებსაც სქლად აქვს კუპრი წასმული. ორი ან სამი მენავე უსვამს ნიჩაბს. ხის წკნელით მიბმული ორი ნიჩაბი ხელში უჭირავს მენავეს და საჭის მაგიერად ხმარობს".[32]

ჭოროხელი ნავი, გარდა იმისა, რომ იგი მდინარის სპეციფიკურობის გამო ყოველთვის ბრტყელძირიანი იყო, კორპუსის მოყვანილობითაც განსხვავდებოდა ზღვის ნავისაგან. ამ განსხვავების ქმნიდა ჭოროხის ნავის წინა და უკან აწეულ-წამახვილებული ნაწილი (კიჩი). ზღვის ნავს კი მხოლოდ წინა კიჩი ჰქონდა წამახვილებული, უკანა ნაწილი კი, როგორც წესი, ჩაჭრილი და ბრტყელი, რომელზეც საჭე მაგრდებოდა.[33]

---

24 თ.ბერაძე. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბ., 1981, გვ. 95.

25 გაზ. «Кавказ». 1881. №32; Воронов Ю.Н. Батумская область - ИКОИРГО. т.XXI, 1911-1912. с. 99.

26 თ.ჩიქოვანი, ჭ.ნიკოლაიშვილი. ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. III. ბათუმი, 1958, გვ. 74.

27 ა.დავითაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

28 თ.ჩიქოვანი, ჭ.ნიკოლაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 74.

29 ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

30 Церетели Н.В. Очерк торгово-промышленного развития города Батуми. - Батум и его окрестности. Батуми, 1906, с. 362.

31 ა.დავითაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

32 ჟან მურიე. დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

33 თ.ჩიქოვანი. ჭ.ნიკოლაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ჭოროხული ბრტყელძირიანი ნავის ეკიპაჟი 3-4 მენავისაგან შედგებოდა. ეკიპაჟის მეთაური იყო რეისი,[34] რომელსაც მესაჭის ფუნქცია ეკისრებოდა. რეისის თანამდებობა არჩევითი იყო და მას მენაველთა ამხანაგობის უხუცესი წევრები ირჩევდნენ ნაოსნობაში ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ. ნავს ემსახურებოდა აგრეთვე ორი ან სამი მენიჩბე, რომელთაც ტაიფა[35] ეწოდებოდათ. ერთი მათგანი უფროს ტაიფად ითვლებოდა.[36]

ნავის მართვის აღჭურვილობას შეადგენდა წყვილი სისტარი, სათაევებელა (რკინის წვეტიანი გრძელი კეტი), ორი ნიჩაბი, ხისგან დამზადებული წყლის ამოსახაპავი, თოკი. სამდინარო და საზღვაო ნავების აღმნიშვნელად აჭარასა და ლაზეთში იხმარება ტერმინი „კაიღი", რომელიც თურქულიდან მომდინარეობს და ნავს ნიშნავს. როგორც ირკვევა, ამის გავლენით დამკვიდრდა XIX საუკუნის რუსულ წყაროებში მოხსენიებული ტერმინი „კაიუკ". აჭარულ და ლაზურ სალაპარაკო ლექსიკაში ნავის აღმნიშვნელად გვხვდება აგრეთვე თურქულიდან შემოსული ტერმინი „ფელუკა", რომელიც ყოველგვარი ტიპის ევროპული ნავის ან პატარა ხომალდის აღმნიშვნელია. მიიჩნევენ, რომ თურქულში ეს ტერმინი იტალიურიდანაა შესული.[37]

როგორც ითქვა, ნავმშენებლობა და ნაოსნობა ჭოროხის ხეობის ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის მთავარ საქმიანობასა და შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს შეადგენდა. სანაოსნოდ გამოიყენებოდა არა მარტო საკუთრივ ჭოროხი, არამედ მისი შენაკადებიც. რუსეთის იმპერიის საგანგებო მოხელის – ვ. მასალსკის ცნობით, წყალუხეობის დროს მდინარე აჭარისწყალთ, რომელიც ჭოროხს სოფელ აჭარისწყალთან ერთვის, გამოცდილ მენაველებს ნავი დღევანდელ შუახევამდე ეპყავდათ, ხოლო არტანუჯისწყალით – არტანუჯამდე, იმერხევით – ქართისწყლის შესართავამდე, მურღულის წყლით – სოფელ აზუამდე, ოლთისისწყლით – ოლთისამდე.[38] მდინარე მაჭახელათი – სოფელ სინდღეთამდე.[39] ნაოსნობა აჭარის სხვა მდინარეებზეც მოწმდება. მაგალითად, მოსრდილი საზღვაო ნაკვეთით მდინარე აჭყვეთი სოფელ ალამბრამდე ადიოდნენ.[40]

ნაოსნობა ჭოროხზე ართვინიდან იწყებოდა და ბათუმში მთავრდებოდა. საერთოდ, ნაოსნობა ჭოროხზე მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა, გარდა მაის-ივნისის თვისა, როდესაც მდინარე ჭოროხში წყლის დონე და სიჩქარე საგრძნობლად მატულობდა.

ართვინიდან შავი ზღვის შესართავამდე ჭოროხის სამდინარო გზის მონაკვეთი დაახლოებით ორმოცდაათ კილომეტრს შეადგენდა, რასაც ნავი ხუთ-ექვს საათში ფარაჟდა, უკან სვლას კი სამჯერ მეტი დრო სჭირდებოდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ნავი უკუსვლისას გარკვეულ მანძილზე (სოფელ კაპანდიბამდე) სპეციალური თოკების დახმარებით თრევით მიიქცევდნენ. შესართავიდან ბათუმამდე მანძილს (ათი კილომეტრი) ნავი კარგ ამინდში ორ-სამ საათს ანდომებდა.[41]

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მდინარე ჭოროხზე ნაოსნობას მისდევდა ბათუმის ოკრუგის 14 და ართვინის ოკრუგის 9 სოფელი.[42] მენაველობა ემსახურებოდა როგორც

---

34 ტერმინი „რეისი" მხოლოდ აჭარისა და ლაზეთის მოსახლეობის მეტყველებაში გვხვდება და იგი თურქულის გაულენით გავრცელდა. სულხან-საბა ორბელიანი „რეიზს" მაპმადიანთა გემის კაპიტნის მნიშვნელობით სმარობს. თურქულში კი ეს ტერმინი არაბულიდაა შესული და წინამძღოლს ნიშნავს (თ.ბერიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 39).

35 ტერმინი „ტაიფაც" თურქულია და მეზღვაურს ნიშნავს.

36 თ.ჩიქოვანი, ჭ. ნიკოლაოშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

37 თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

38 Масальский В.И. Очерк Батумской области.-ИКОИРГО. т. XXII. вып. IV, 1886, с. 367.

39 ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974. გვ.

40 თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

41 თ.ჩიქოვანი. ჭ.ნიკოლაოშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 81; ჟან მურიე. დასახ. ნაშრომი, გვ. 15. Лисовский, Чорохский край. с. 121.

42 Церетели Н. Очерк... города батума, с. 362.

ტვირთის გადაზიდვას, ისე მგზავრთა გადაყვანას. დ. ბაქრაძის ცნობით, 1873 წელს მდინარე ჭოროხზე 200 ნავი მოძრაობდა.[43] ხოლო მოგვიანებით ვ. ლისიოესკის მონაცემებით – 80 ნავი.[44] ჟან მურიეს აღწერით, მდინარე ჭოროხზე 300 მენავე ნაოსნობდა.[45] ნავის სიდიდისა და წყალუხვობის შესაბამისად, მისი ტვირთმზიდაობა შეადგენდა 100-150 ფუთს.[46] სხვა ცნობით, მდინარის მიმართულებით წყალუხვობის დროს ერთ დიდ ნავს 300 ფუთის წაღებაც შეეძლო. ტვირთთან ერთად ნავით 5-10 კაცი მგზავრობდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან XX საუკუნის დამდეგამდე დროდადრო იცვლებოდა ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ღირებულება. დ. ბაქრაძის ცნობით, ერთი ფუთი ტვირთის გადატანა დინების მიმართულებით ართვინიდან ბათუმამდე ღირდა 5–6 კაპიკი, საწინააღმდეგო მიმართულებით – 0,5-1 მანეთი.[47] რაც შეეხება მგზავრობის ღირებულებას, 80-იან წლებში იგი ართვინიდან ბათუმამდე 10-დან 15 მანეთამდე მერყეობდა, პირუკუ მიმართულებით კი მგზავრობა უფრო მეტი ღირდა.[48] თუ ნ. წერეთლის ცნობას ეერწმუნებით, XX ს. დასაწყისისათვის მგზავრობის ღირებულება მცირდება და ართვინიდან ბათუმამდე 1 მანეთს შეადგენდა, პირიქით მიმართულებით კი – 5-ჯერ მეტს.[49]

თვით ნავის ღირებულება სიდიდისა და ტვირთმზიდაობის მიხედვით განსხვავებული იყო. ნეკულებრივ მზა მასალისაგან ერთი ნავის გაკეთებას ერთი ხელოსანი ერთ თვეს ანდომებდა. თითოეული ნავი სანაოსნოდ ვარგოდა 3-7 წლის განმავლობაში.[50] დ. ბაქრაძის ცნობით, XIX ს. 70-იან წლებში ნავის ღირებულება 150 ყურეში იყო,[51] 80-იანი წლების მონაცემით კი – 100-150 მანეთი.[52] XX საუკუნის დამდეგს ნავის ფასი ეკვემა,[53] რაც სამდინარო ნაოსნობის თანდათანობითი შესუსტებით აიხსნება. როგორც ჩანს, ამასვე გარკვეული გავლენა იქონია ბათუმ-ართვინ-არტაან-ყარსის გზის ამოქმედებამ.[54] მიუხედავად ამისა, ჭოროხის სატრანსპორტო არტერია კვლავაც ინარჩუნებდა სასიცოცხლო მნიშვნელობას ბათუმის ოლქის საეაგრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, რასაც განსაკუთრებული ბიძგი მისცა ბათუმის ერთ-ერთ მსხვილ საზღვაო-სანავსადგურო და საეაგროსამრეწველო ცენტრად გადაქცევამ. ნაოსნობა ჭოროხზე ამჯერადაც ძირითადად სატვირთო-სამგზაერო ფუნქციას ასრულებდა. გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს, როგორც დ. ბაქრაძე წერდა, ადგილობრივ მოსახლეობას ჭოროხის სამდინარო გზით ბათუმში გასაყიდად ნაეებით ჩამოექონდათ ერბო, ხილი, ტყავი, დახერხილი ფიცარი, თიხის ჭურჭელი და კრამიტი, რომელიც ბორჩხაში მზადდებოდა. ხოლო ბათუმიდან იმავე ნაეებით ართვინამდე გადაექონდათ მანუფაქტურული ნაწარმი, ნავთი, აგრეთვე სიმინდი, რომელიც ბათუმში ახლომახლო სოფლებიდან შემოექონდათ და სხვა პირველი მოხმარების საგნები. ართვინიდან ნამოტანილი საქონლის ნაწილი სასაპალნე ტრანსპორტით იგზავნებოდა არტაანსა და ყარსში.[55] ართვინის მხარიდან (ძანსული, მურღული, კვარცხანა, ხოდი,

---

43 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987. გვ. 36.

44 ჟან მურიე. დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

45 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

46 Церетели Н. Очерк... города батума, с. 362.

47 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

48 Вейденбаум К.В. От Батума до Артвина.-газ. «Кавказ». 1879. №10.

49 Церетели Н. Очерк... города батума, с. 363.

50 იქვე, გვ. 362.

51 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 36. ყურეში ოსმალური ფულის ერთეულია.

52 ჟან მურიე. დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

53 Церетели Н. Очерк... города батума, с. 362.

54 გზის მშენებლობა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის წინა ხანებში დაიწყო, მაგრამ ომმა შეაჩერა იგი. ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ გზის სამუშაოები განახლდა და მხოლოდ 1899 წელს გაიხსნა თავისუფალი მოძრაობა ბათუმ-არტაანის ხაზზე (ნ.კვეზერელი–კოპაძე. საქართველოს საგზაო მშენებლობა. თბ., 1978, გვ. 147).

55 რ.ზუნუნაძე. სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. – სდსის, თბ., 1988, გვ. 86.

ლომაშენი) ჭოროხზე ნავებით სპილენძის მადანსაც ეზიდებოდნენ სოფელ ერგეში, სადაც პირველი სპილენძსადნობი ქარხანა არსებობდა (აშენდა 1889–1890 წლებში).[56]

ჭოროხზე ნაოსნობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელი ჭოროხისპირა მოსახლეობის ცხოვრებაში, პირველ რიგში, მის შრომით დასაქმებაში, ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესებაში. ნაოსნობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის იმ სოფლებისათვის, სადაც მოხერხებული ნაემისადგომები არსებობდა (მარადიდი, კაპანდიძი). ჭოროხის დღევანდელ საზღვარგარეთულ ნაწილში ასეთი ნაემისადგომები იყო ართვინში, ხებაში, ბორჩხაში. აქ ჩერდებოდნენ ორიენ მიმართულებით მოძრავი ნავები. პარასკევობით აქ იმართებოდა ბაზრობები, სადაც იყიდებოდა ან იცვლებოდა ადგილობრივი და შემოტანილი ნაწარმი. ჩამოთვლილ პუნქტებში ფუნქციონირებდა სახტუმროები, დუქნები, ყავახანები.[57]

ნაოსნობა ჭოროხზე ართვინიდან ქვედა მარადიდამდე საერთოდ შეწყდა 1921 წელს, როდესაც ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილი, ისე, როგორც ყოფილი ბათუმის ოლქის სხვა ტერიტორიები, თურქეთის ხელში გადაეიდა, ხოლო ჭოროხის ხეობის მონაკვეთზე სახელმწიფო საზღვარი ზედა და ქვედა მარადიდს შორის დაწესდა. ქვედა მარადიდ-კაპანდიძამდე ნაოსნობამ საერთოდ დაკარგა მნიშვნელობა საავტომობილო მიმოსვლის განვითარების შედეგად. 1960-იან წლებამდე თითო-ოროლა ნაკი მხოლოდ ჭოროხისპირა ქვედა მარადიდსა და მირეკეთის სოფლებს შემორჩა და შიდა სამიმოსვლოდ (მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირის დამაკავშირებლად) გამოიყენებოდა.

ნაკი წარმოადგენდა არა მარტო უძველეს სამდინარო, არამედ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებას. საზღვაო ნაკებითა და ნაოსნობით ძირითადად სარგებლობდა ქარნალ-გონიოს, სარფის, ბათუმისა და პეტრა-ქობულეთის ზონის მოსახლეობა. საზღვაო ნაოსნობაში პრიორიტეტი უფრო ლაზებს ეკუთვნოდათ. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ანტიკური ხანის ავტორები, რომელთა დიდი ნაწილი საკუთარი თვალით ნანახს გადმოგვცემდა. მოგვიანო პერიოდშიც, თუ ვახუშტის სიტყვებს მოვიშველიებთ, ლაზები იყვნენ „ეაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა დიდთა თუ მცირეთა".[58] ასე იყო XVIII საუკუნეში. გ. ჯაზბეგის ცნობით, მსგავსი სურათი გვაქვს XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც, როდესაც ლაზეთის მთელი სანაპირო დიდი და პატარა ნავებით ყოფილა დაფარული. ამგვარი ნავებით აწარმოებდნენ ლაზები მიმოსვლას ბათუმთან, ფოთთან; ტრაპიზონთან, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს პუნქტებთან.[59] ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით, საუკეთესო ნაემისადგომები ყოფილა ბათუმში, სარფთან, პეტრა-ციხისძირთან, გონიოს ციხე-ქალაქთან.

პეტრა-ციხისძირისა და გონიოს მიდამოებში ძველი ნავსადგურების არსებობაზე მიუთითებს აქაური ადგილმდებარეობის სახელწოდება პანტურა,[60] რომელიც ნავსადგურის აღმნიშვნელი ტერმინია. ერთი პანტურა პეტრას ახლოს მდინარე დეხვას შესართავთან ყოფილა. მეორე – გონიო-სარფის გზის იმ მონაკვეთზე, საიდანაც სარფის კლდიანი სანაპირო იწყება.[61] გონიოს ნავსადგურს ჰქონია სპეციალური დანიშნულების ერგატი და ტაქონი,[62] რომელთა მეშვეობით ხდებოდა საზღვაო ნაკების ზღვაში ჩაშვება და ზღვიდან

---

56 ნ.კახიძე. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი .– სდსყ, XIV. თბ., 1987, გვ. 44.

57 რ. უზუნაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

58 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.

59 Казбек Г. Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского санджака. Тифл., 1976. с. 16.

60 ა.ინანიშვილი. ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. – სდსძ, II. თბ., 1971, გვ. 81.

61 ა.ადაეთაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 49–50.

62 ერგატი და ტაქონი ამგვარ მოწყობილობათა ძველი ბერძნული სახელებია და უშუალოდ ბერძნულიდან უნდა იყოს შემოსული ქართულში. ერგატი ოწინარის, ამწის დანიშნულებას ასრულებდა, ტაქონი კი უბრალო ხის მორს წარმოადგენდა, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა (თ.ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27).

ამოთრევა. წერილობითი ცნობებით, მდ. ჭოროხზე (აფსარზე) ნაცსაყუდელის არსებობა ანტიკურ ხანას უკავშირდება (ფსევდოსკილაქს კარიანდელი). ცხადია, ჩამოთვლილი ნაკეთილადგომების და მოლიანად საზღვაო ნაოსნობის ისტორია უფრო შორეულ ხანაშია საძიებელი.

ლაზური ნავის კონსტრუქციულ აღწერილობას იძლევიან თურქი ისტორიკოსი – მოგზაური ევლია ჩელები და გერმანელი მეცნიერი – მოგზაური ჰერმან კოილერი (მან 1842 წელს იმოგზაურა აჭარასა და ლაზეთში). ევლია ჩელებს ერთი ასეთი ნავით, რომელსაც მენექსილა ხომალდს უწოდებს, გონიოს ციხიდან ანაპამდე უმოგზაურია. ისტორიკოსის ცნობით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამგვარი საზღვაო ნავი დამზადებული ყოფილა სამი მსხვილი ალვის ხისაგან, რომელიც მდინარე ჭოროხის ნაპირას ხარობდა. ერთი ფიცარი ნავს ქვემოდან ჰქონია ამოკრული, თითოეც გვერდებზე ირგელიე კი ნავი შემოკრული ყოფილა ლერწმისა და ჭილის წნელისაგან, რის მეოხებითაც ზღვის ქარიშხალი ნავში ვერ ატანდა და ღელვის დროს იგი კორპებივით დაცურავდა. ამიტომაც ასეთი ნავები, რომლებიც გონის მოყვანილობის იყო, იმდროისათვის საუცხოო ნავებად ითვლებოდა.[63]

ჰ. კოილერი ლაზურ ნავებს აღწერს რიზესა და სურმენეს ნავმშენებლობის ცენტრების მიხედვით. მისი ცნობით, აქ შენდებოდა ბრტყელძირიანი საზღვაო ნავები წინ და უკან აწეული ცხვირით, რომლებიც კარგად დაცურავდნენ ზურგის ქარის დროს. პირქარის შემთხვევაში კი ჩერდებოდნენ. მისივე დახასიათებით, ლაზური ნავები გერმანულ თუ ჰოლანდიურ გიალიოტების წააგავდა. ჰატარა ნავის სიგრძე 30 ფუტამდე, ხოლო სიგანე – 7 ფუტამდე აღწევდა. მოზრდილ ნავებს 6-8 ტონა ტვირთის წაღება შეეძლოთ. ზურგის ქარის დროს ბათუმიდან ტრაპიზონამდე ნავს სჭირდებოდა 14-18 საათი, პირქარის შემთხვევაში კი 5-6 დღე (მეზღვაურები ამ დროს ნავს ნაპირის გასწვრივ ბოგირით მიათრევდნენ).[64]

ლაზები ორი ტიპის საზღვაო ნავს (ფელუკას) აგებდნენ, რომლებიც გამოიყენებოდა სათევზაოდ და საეკზო მიმოსვლისათვის. მათი ტვირთმზიდაობა შესაბამისად შეადგენდა 200 და 500-600 ფუთს. ნავები უპირატესად გამძლე წაბლის ხისაგან მზადდებოდა.[65] გადმოცემით, სარფსა და მის მიმდებარე ადგილებში ადრე უფრო მომცრო საზღვაო ნავებს აგებდნენ, რომლებიც „ფათალია ნაცის" სახელითაა ცნობილი. ასეთი ნავების მშენებლობაში მეტალის სამაგრებს არ ხმარობდნენ. ყველაზე გავრცელებული საზღვაო ტრანსპორტი კი იყო აფრიანი ფელუკა.[66]

ჰატარა თუ დიდი მოცულობის საზღვაო ნავები თითქმის ყველა სარფელს ჰქონია. საერთოდ, საზღვაო ნაცების მშენებლობით ლაზეთში რიზე, ხოფა და სურმენე გამოირჩეოდა. ყველაზე მეტი ნავი რიზეში შენდებოდა. ნავმშენებლობის და ნაოსნობის ტრადიციები ლაზებში ხშირ შემთხვევაში მემკვიდრეობით გადადიოდა. ეს საქმიანობა აქ მაღალ პროფესიულ დონეზე იდგა, რამაც ზეპირსიტყვიერებაშიც ჰპოვა ასახვა.

ამრიგად, აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილე ადრიდანვე იცნობდა სახმელეთო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის იმ ძირითად სახეობებს, რაც დამახასიათებელი იყო დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებისათვის. ამავე დროს, ტრანსპორტის აღწერილი სახეობები აჭარაში კონსტრუქციული და ფუნქციონალური თვალსაზრისით რიგ ლოკალურ, ეთნოგრაფიულ თავისებურებასაც იცავენს, რაც განპირობებული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო თუ ყოფითი თავისებურებებით, სამშენებლო მასალისა და დამზადების ხალხური ტექნოლოგიის სპეციფიკით.

აჭარაში დადასტურებული ხალხური ტრანსპორტის ნაირსახეობა კარგად ასახავს საერთოდ ქართული ხალხური სახმელეთო ტრანსპორტის ისტორიული განვითარების თანმიმდევრულ საფეხურებს და კუთვნილ ადგილს იკავებს ზოგადად ტრანსპორტის გენეზისის საკითხების კვლევაში საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით.

---

[63] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 45.

[64] თბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

[65] ზ.ყუტალეიშვილი. ლაზური საზღვაო ნავი. – „მეცნიერება და ტექნიკა", 1979, №9.

[66] ზ.ყუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987, გვ. 90.

§4. ტანსაცმელი და ჩაცმულობა

აჭარული ტანსაცმელი ქართული ტანსაცმლის ორიგინალურ სახეობას განეკუთვნება. ოსმალთა თითქმის სამსაუკუნოვანმა ბატონობამ გარკვეული კვალი დააჩნია აჭარის კულტურასა და ყოფას, მათ შორის ჩაცმულობას. მიუხედავად ამ გავლენებისა, კულტურისა და ყოფის ყველა მნიშვნელოვანია ელემენტმა აჭარაში ზოგადქართული იერი შეინარჩუნა, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს ლოკალურ თავისებურებათა არსებობას იმ დონეზე, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეებისათვის.[1]

აჭარული ჩაცმულობის შესახებ საინტერესო ცნობებია გაბნეული XIX ს. მოგზაურმკვლევართა ნაშრომებში (დ. ბაქრაძე, ა. ფრენკელი, ე. მურიე, ზ. ჭიჭინაძე, გ. ყაზბეგი, თ. სახოკია, მ. ტილე, ქ. კასტელი, მ. კოვალევსკი[2], აგრეთვე დ. ერმაკოვის ალბომში, რომელიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში.

ტანსაცმლის ზოგიერთი მოდელი ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ მათ შესახებ მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მასალა შემოგვრჩა. მაღალი წოდების ქალის კოსტუმის კომპლექსი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. ტანსაცმლის ძვირფასი ნიმუშები ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

უძველესი დროიდან აჭარაში ტანსაცმლის შესაკერავად გამოიყენებოდა შალის, აბრეშუმის და ბამბის შინნამზადი ქსოვილები, რომელთა დამზადების ხალხური ტრადიციები ხალხურ ფეიქრობაში ახლო წარსულამდე შემორჩა. მართალია, ადგილობრივ ტექსტილურ ნაწარმთან ერთად შემოტანილი ქსოვილებიც ერეკლდებოდა, მაგრამ მოსახლეობა ტანსაცმლის ამა თუ იმ ელემენტის შესაკერად XX ს. 50-იან წლებამდე მაინც უპირატესად შინნამზად ქსოვილებს იყენებდა. ეს ფაქტი ხალხური ფეიქრობის ცალკეული დარგების სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს. შალის ქსოვილებს იყენებდნენ მამაკაცის ჩოხა-შალის, ყაბალახის, ქალის ფეშტემლების, სარტყლების, თორების დასამზადებლად. აბრეშუმის ნართისაგან იქსოვებოდა სარტყლები. თალაბულუსის არშიები, საფულე ქისები, თორები, ყაითნები და თავსაბურავის ელემენტები. ხალხურ ფეიქრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სელის, აგრეთვე, კანაფნარევი ბამბის ქსოვილების დამზადებას, რომელსაც ტილო ეწოდებოდა. სელის მოყვანასა და მისგან ქსოვილების დამზადებასაც აჭარაში უძველესი ტრადიცია გააჩნდა, რაზეც ანტიკური ხანის ავტორები (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი) და არქეოლოგიურ მონაცემთა ანალიზი მიგვანიშნებენ.

ტანსაცმელი დანიშნულების მიხედვით აჭარაშიც ორი სახისა იყო – სანამუსო, ანუ საგარეო და შინსახმარი. სანამუსო ტანსაცმელი მასალის ხარისხით, ფერითა და შემკულობით განსხვავდებოდა შინსახმარისაგან. მთხრობელთა მინიშნებით, ტერმინი „სანამუსო“ დაკავშირებულია სიტყვასთან „ნამუსი“, რადგან თავმომწონე, ნამუსიანი კაცი მოძველებული სამოსელით სახლიდან იშვიათად თუ გავიდოდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქსოვილის ფერს. ახალგაზრდები შედარებით მხიარულ, ნათელ ფერებს ეტანებოდნენ. მაღალი და დაბალი წოდების პირთა ჩაცმულობა განსხვავდებოდა მხოლოდ ქსოვილის ხარისხით და ძვირფასი სამკაულებით, თარგის მიხედვით კი ტანსაცმელი ერთნაირი იყო საზოგადოების ყველა ფენისათვის. ტანსაცმლის თარგის ასეთი საკვეკ-

---

[1] ალრობაქიძის შესავალი წერილი კრებულზე: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I. თბ., 1973, გვ. 4.

[2] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987; Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. Тифл., 1879; ან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962. ზ.ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ., 1913. გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960; თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. თბ., 1950; Tilke M. Orientalishe Kostume in Schnitt und Farbe, Berlin, 1923; Gristeforo De Castelli. Mischelanci de personaggi praticanti in Oriente che nin conoscono Dio 1630-1654; Ковалевский М.И. Кавказ. Народы Кавказа. т. I, СПБ., 194.

ლთაოობა, განურჩევლად წოდებისა, დამახასიათებელი მოელენა ჩანს საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის.[3]

საქორწილო ტანსაცმელთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალის შესწავლამ აჭარაში მთელი რიგი ლოკალური თავისებურებანი გამოავლინა. აჭარული ქალი საქორწილო კაბას უპირატესად წითელი ფერის ქსოვილისაგან იკერავდა, მაშინ, როცა საქართველოს სხვა კუთხეებში, გარდა ხევსურეთისა, ძირითადად საქორწილო კაბისთვის თეორი ფერი იყო დაკანონებული.

სამგლოვიაროდ ყოველდღიურად სახმარი სამოსი გამოიყენებოდა, მგლოვიარე ქალი კი სანამუსო სამოსელს სამკაულების გარეშე ატარებდა. გლოვის ყველაზე დიდი გამოხატულება იყო ქრის გარდაცვალების შემთხვევაში „შავი ლეჩაქის ახვევის" წესი. მამაკაცის ტანსაცმელში საერთოდ არ შეინიშნება გლოვის გამოხატვის რაიმე ნიშანი. ძველ საქართველოში სამგლოვიარო ტანსაცმელისათვის შავი ფერი იყო გავრცელებული. შავთან ერთად ივ. ჯავახიშვილი ასახელებს თეთრი ფერის გამოყენების შესაძლებლობებსაც.

ძველ საქართველოში სამგლოვიარო ტანსაცმლის აღმნიშვნელი რამდენიმე სახელი გვხვდება: სამოსელი საგლოველი, ძაძა და სხვ.[4] აჭარულ სამოსელ'ში სამგლოვიარო ფერი ან მისი აღმნიშვნელი საგანგებო ტერმინი არ დაფიქსირდა, მაგრამ შემოგვრჩა მიცვალებულის ტანსაცმლის გაჩუქების წესი, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა.

აჭარული ქალის ჩაცმულობის ძირითადი ელემენტებია ზუბუნ-ფარაგა[5] თავსაბურავი და ფეხსამოსი. ზუბუნ-ფარაგას სიძველეზე მიგვანიშნებს კერვის ტექნიკის და მოხმარების შესახებ შეკრებილი ზეპირსიტყვიერი მასალა. ტანსაცმლის ეს სახეობა თანამედროვე ყოფას არ შემორჩა. მისი ერთადერთი უნიკალური ნიმუში დაცულია ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ქსოვილების ფონდში. ზუბუნ-ფარაგა იკერებოდა ხავერდის, ყანაოჩის და სხვა ძვირფასი ქსოვილისაგან. იგი გავრცელებული იყო მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, განსაკუთრებით, ანატოლიაში.[6]

ზუბუნ-ფარაგა თარგით განსხვავდებოდა ჯუბისაგან და ქართულ ახალუხს წააგავდა. ხოლო ანალოგიურია ქართველი ქალის იმ სამოსისა, რომელიც გერმანელ მეცნიერს ტილეს უნახავს 1913 წელს საქართველოში. ამ ტანსაცმელს იგი კაბას უწოდებს, ზოგი მას ახალუხად მიიჩნევს.[7]

ზუბუნ-ფარაგა მთლიანად შეკეთალა დატეხილმა კაბამ, რომელიც ზედატანისა და ფართოო, მრავალნაკეციანი ქვედატანის შეწყვილებით არის მიღებული. ასეთი ნიმუშები აჭარის მთიან ზონაში XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე შემორჩა. აჭარული კაბის თარგის მსგავსი დადასტურებულია მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში. საქართველოს სხვა კუთხეში კი მას ანალოგი არ მოეძებნება.[8]

აჭარაში დადგენილია კაბის რამდენიმე ვარიანტი, რომელთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული მრავალნაკეციანი ქვედა კაბა.

---

[3] Грузины. Народы Кавказа, II. М., 1962, с. 300; ნ.გვათუა. ჩაცმულობის ისტორიიდან. თბ., 1967, გვ. 19; ლ.ბოჭორიშვილი. კახური ჩაცმა–დახურვა. – „ანალები", ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I. თბილისი, 1947, გვ. 119.

[4] ივ.ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV. თბ., 1962, გვ.

[5] ზუბუნი თურქული სიტყვაა და ქურთულ ნიშნავს (Д.А. Магазаник. Турецко-русский словарь. М., 1945.

6 Курылев В.П. Одежда анатолийский турок. Традиционная культура народов Передней и Средней Азии. Л., 1970, с. 241.

[7] ნ.გვათუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[8] ლ.ბარათაშვილი. მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. – მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. თბ., 1966, გვ. 133.

ქალის ტანსაცმლის კომპლექსში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო სამოსელს. მისი რამდენიმე სახეობა არსებობდა, ამათგან ზოგი ადრეულია, ზოგიც გვიან შემოსულა ხმარება'ში. ასეთებია: სიხმა, ჩათაკა, სალტა, ინლული და თბილი სამოსი ხირხა. თაეის მხრივ სიხმა ორი სახისა იყო: გულამოჭრილი და გულდახურული. პირველი უმეტესად აჭარის ბარში იყო გავრცელებული.

სოხმა შუახნისა და ხანდაზმულ მანდილოსანთა ჩასაცმელი, ხოლო ჩათაკა — ახალგაზრდა გათხოვილ და გასათხოვარ ქალთა ჩაცმულობის ელემენტი იყო. მსგავსი სამოსეული საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება. მას პარალელი ეძებნება მხოლოდ ანატოლიელი ქალის ზედა სამოსთან, რომელსაც ჩეკენი ერქვა.[9]

საეარაუდოა, რომ სამოსელის ეს ელემენტი აჭარაში უცხო გარეშედან შემოიჭრა, მაგრამ მან განიცადა ცვლილებები ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად. ეს გამოიხატება ქართული სამოსისათვის დამახასიათებელ წელზე გაწყობილ საგულე ნაწილის ქართული ორნამენტებით შემკობაში.

სოხმას ქარგულობაში დომინირებს ხალხური ორნამენტის ის ნიმუშები (სამყერა, ნაძვიტოტა, ზვინა, კუკულები, ჩიტითვალა, კატითვალა), რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეების ჩაცმულობაშიც უხვად შეინიშნება. სიხმას შემკულობის ზოომორფული და მცენარეული მოტივების გვერდით გვხვდება ჯვარი, რომელიც, როგორც ცნობილია, ძველი ქართული ორნამენტია და წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარეობს. გვიანდელ ხანაში იგი ქრისტიანობის სიმბოლოდ მოგვეელინა და ამ მნიშვნელობით დაუპირისპირდა ისლამის როგორც დოგმატიკურ, ასევე საწესჩვეულებო ნორმებს.[10] სწორედ ჯვარი განასხვავებს აჭარელი ქალის სიხმას ანატოლიელი ქალის სამოსისაგან.

სალტა, რომელიც თარგით განსხვავდება სიხმასა და ჩათაკასაგან, საქართველოს სხვა კუთხეებში არ გვხვდება. იგი შეინიშნება მხოლოდ ანატოლიელთა ჩაცმულობაში და მისნეულია ეენეციური წარმომაელობის სამოსად.[11] თუმცა სალტას ძველ საქართველოში გავრცელებულ სამოსთანაც ეძებნება პარალელი. მისი მსგავსი გამოსახულია X საუკუნის მხატერობაში (ფაენისის ფრესკა). ეს ფაქტი წამოჭრის ვარაუდს, რომ სამოსის ეს სახეობა ქართული წარმოშობისაა და დროთა ეითარებაში მან მხოლოდ სახელწოდება შეიცვალა.[12]

ხირხა შინნაქსოვი შალის ქსოვილისაგან იკერებოდა, თ.სახოკიას აზრით ხირხა ქართულ ქათიბს უკავშირდება, როგორც მისი წინამორბედი.[13] ხირხა მოხსენიებულია ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, რაც მის ქართულ წარმომაელობაზე უნდა მიუთითებდეს.[14]

აჭარელთა სამოსელის კომპლექსში შედის თაესაბურავის შემდეგი ელემენტები: ლეჩაქი, თავსაკრავი, თორი, თაესაჭირა, რომელსაც მოგვიანებით დაემატა უცხოური სახელწოდების ელემენტები: ფესი და თეფელული, ღუეაღი და ეალა. წამოსასხამის ტიპის სამოსელია ჩადრი ანუ ჩარჩაბი. თაესაბურაეის უცხო ელემენტების შემოჭრამ ხმარებიდან ეერ განდეენა ადგილობრივი თაესაბურავი და იგი ადგილობრივეის გვერდით არსებობდა.

ფეხსამოსის კომპლექსში შედიოდა: წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ქალამანი, წული, რაც საერთოდ საქართველოში გავრცელებული ფეხსამოსის ნიმუშებს განეკუთვნება. ეს საბასეული გაჩმარტებებიდანაც ნათლად ჩანს.

---

9 Народы Турции. - Народы Передней Азии. М., 1957. с. 350.

10 ალ.რობაქიძე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლეეითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის მოკლე ანგარიში (1958–1969).–სდსმეყ I. თბ., 1978, გვ. 12.

11 Курыдев В.П. დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

12 ნ.ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI-XIV ს.ს.), თბ., 1964, გვ. 32.

13 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

14 თეიმურაზ პირველი. „ლეილმაჯნუნიანი". – ჩვენი საუნჯე, 4, თბ., 1960. ტაეპი 87; ივ.ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ენის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბ., 1962, გვ. 114.

აჭარაში გავრცელებული იყო კოსტუმის განსაკუთრებული და თავისებური სახე „ჩაქურა“ და ჩაქურას თარგზე გამოჭრილი „ჩიხა-შალი“.

ჩაქურა, ფაქტობრივად ქართული ჩოხის ზედატანს წარმოადგენს, რომელიც შემკული იყო სირმებითა და სამასრეებით. სამასრეებში ხის ან სპილოსძვლის მასრები იყო ჩაწყობილი.

ჩაქურას შესაკერად გამოიყენებოდა როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ფაბრიკული ქსოვილები. იგი მეტად საპატიო და მოხდენილ ჩასაცმელს წარმოადგენდა როგორც ღარიბთათვის, ისე შეძლებულთათვისაც. უკანასკნელთა ჩასაცმელს ეერცხლის ქამარ-ხანჯალი და ეერცხლისავე სამასრეები ამშვენებდა.

ბალეხი მამაკაცები შინნამოდი შალის ქსოვილის ჩოხა-შალს ატარებდნენ. საინტერესოა შარვლის აღმნიშვნელი ტერმინი „შალი“. ამ სიტყვით აღინიშნება მატყლის ქსოვილი ქართულ და რუსულ ენებზე. შალი იხმარება სხვა ხალხებშიც ქსოვილის გარკვეული სახის აღსანიშნავად.

მამაკაცის თაესაბურავის განსაკუთრებულ ელემენტს თეთრი (მეტწილად) და შავი ფერის ყაბალახი წარმოადგენდა, რომელიც შალისაგან მზადდებოდა. შეძლებულთა ყაბალახს სირმით ამკობდნენ. ყაბალახის გვერდით უცხოური წარმოშობის ფესსაც ხმარობდნენ.

მამაკაცის ფეხსამოსის ძირითადი ელემენტი ტყავის ქალამანი იყო, რომელიც ორი სახისა იკერებოდა: კოლოტურა და მესხურა. ბარის მოსახლეობა ქალამანთან ერთად წუდასაც იყენებდა. შეძლებული პირები ტყაეის მესტებს იცვამდნენ.

მრავალფეროვანი იყო ქალის სამკაული და შემკულობა. წარსულში აჭარის სოფლის მოსახლეობაში ეერცელდებოდა ახალციხესა და ბათუმში დამზადებული სამკაული.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აჭარელი ქალი უმეტესად ეერცხლის, აგრეთვე ოქროსა და სპილენძის სამკაულებს იყენებდა. გავრცელებული იყო მძივებისა და მონეტებისაგან ასხმული სამკაულებიც. ყველა სახის სამკაული განსხვავდებოდა სოციალური კუთვნილებისა და ასაკობრივი ნიშნით.

სამკაულის ერთ-ერთი ორიგინალური სახეობაა კორდომი. მას წინაპარი ეძებნება ეწ. „ბონიოს განძში“ შემავალ საკიდეებთან, რომელიც ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუუნეების განეკუთვნება. ასეთი საკიდეები ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.[15]

აჭარაში დასტურდება სხვადასხვა ძვირფასი ქვების სამკაულად გამოყენებაც, რომელსაც სამკურნალო თუ მაგიური მნიშვნელობა მიეწერებოდა. მათი ტარება განპირობებული იყო არა მხოლოდ ესთეტიკური დანიშნულებით, არამედ ავადმყოფობისა და აეი ოვალისაგან დაცვის ფუნქციითაც. ასეთებად მიაჩნდათ ქარვა, მარჯანი, ფირუზი.

უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ფერის ქვების სამკაულად ტარებამ უფრო ესთეტიკური მნიშვნელობა შეიძინა. როგორც ჩანს, სამკაულს დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოსცილდა თავისი პირველადი ფუნქცია და მას მხოლოდ ესთეტიკური ფუნქცია შერჩა.

აჭარაში, ისე, როგორც მთელ სამხრეთ საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში, გავრცელებული იყო საქალებო გრეხილური ქამრები, რომელთა დიდი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებისა და ბათუმის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. ამგვარ ვერცხლის ქამრებს ანალოგი ეძებნება ფიჭვნარის სამაროვნის არქეოლოგიურ მასალებთან.[16]

სამკაულის სხვა სახეობების (ტანსაცმელზე დასამაგრებელი და შესამკობი) შესახებაც საინტერესო დამთხვევები გვაქვს იმ არქეოლოგიურ მასალებთან, რომლებიც მოძიებულია აჭარის ტერიტორიაზე მძივების სახით ძვ.წ. V ს. კოლხური და აღრეელინისტური ხანის სამაროვანზე.[17]

---

15 ო.ლორთქიფანიძე, თ.მიქელაძე, დ.სახუტაიშვილი. ბონიოს განძი. თბ., 1980. გვ. 20–21 (ტაბ. XXIII, XXV, XXVII, XX VIII); Золото древней Колхиды. - «Вокруг света», №4, 1975, с. 50-53.

16 Кахидзе А. Восточное причерноморье в античную эпоху. Батуми, 1981, с. 53.

17 ა.ალხაზიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975, გვ. 60–78; ა.ალხაზიძე, ნ.ვაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. – სდსძ, VI, თბ., 1977.

არქეოლოგიური მასალები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამოსელის შემკობასა და, საერთოდ, სამკაულს დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია.

ამგვარად, აჭარული ტანსაცმელი ქართული ჩაცმულობის ორიგინალურ სახეობას წარმოადგენდა. აჭარული ტანსაცმლის ფორმები და მასთან დაკავშირებული მოხმარების წესები ისტორიულად ჩამოყალიბებულ ლოკალურ თავისებურებებთან ერთად, ზოგადქართულ ხასიათს ატარებს.

აჭარულ ჩაცმულობაში არის ისეთი ელემენტებიც, რომლებმაც, მართალია, უცხოური გავლენა განიცადეს, მაგრამ ძირითადად შეინარჩუნეს ქართული იერი. რაც შეეხება თავსაბურავის უცხო ელემენტს (ფესი, ჩადრი, ვალა და სხვ.), ისინი მხოლოდ გარკვეულ პერიოდში იყო სარგებლობაში და მათ არსებითი გავლენა ჩაცმულობაზე ვერ მოახდინეს.

აჭარელთა ჩაცმულობაში სათანადოდ აისახა ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები, რაც შინაარსადი ქსოვილების ფაბრიკულით შეცვლაში გამოიხატა. ამასთან ერთად, ევროპულმა ტანსაცმელმაც ძველებურ ჩაცმულობას თანდათან შეურყია ნიადაგი და ნაწილობრივ განდევნა ხმარებიდან.

§5. ხალხური სამზარეულო

საქართველოს თითოეული კუთხე, მათ შორის აჭარა, გამოირჩევა ხალხური სამზარეულოს ნაირგვარობითა და მომზადების ტექნოლოგიით, სუფრის გაშლის წესებითა და მასთან დაკავშირებული რიტუალებით.

აჭარული სამზარეულოს მრავალფეროვნება და თავისებურება განპირობებულია მეურნეობრივი პროფილითა და საკვები მცენარეულობის სიმრავლით. აჭარის მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო დარგებია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამიტომაც, მოსახლეობის საკვებიც უმთავრესად ბოსტნეულისა და მარცვლეულის, რძისა და ხორცის პროდუქტებისაგან მზადდებოდა და მზადდება დღესაც. ძირითად რაციონს ძველთაგანვე ავსებს ხილი, მევენახეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტები, თევზეული. აჭარაში სულ ფიქსირებულია 150-მდე დასახელების კერძი.

საქართველოსგან ხანგრძლივმა იზოლირებამ ოსმალთა ბატონობის პერიოდში გარკვეული ღაღი დაასხა აჭარის არა მარტო სოციალურ, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობასაც. ამან გავლენა იქონია ხალხურ სამზარეულოზეც. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ძირითადად შეინახა და დაიცვა ქართული სამზარეულოს ძირძველი ტრადიციები, თუმცა, ამავე დროს, უცხოური ელემენტებიც შეითვისა. ზოგიერთმა ტრადიციულმა კერძმა სახელი შეიცვალა, მისი დამზადების ტექნოლოგია კი ოგივე დარჩა. ფრაგმენტული ხასიათის ცნობები რძისა და რძის პროდუქტების შესახებ მოცემულია ქართველ მოღვაწეთა – აბუსერისძე ტბელის, ვახუშტის, დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, ს. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას, მ. ჯანაშვილის, ა. ფრენკელის, ვ. ლისოვსკისა დ სხვათა ნაშრომებში.

რძის პროდუქტების დამზადებითა და მოხმარებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა აჭარისწყლის, მერისის, მაჭახლის ხეობათა სოფლები.

რძესა და რძის პროდუქტებს აჭარაში რძისეულს, უხდურს,[1] ნაწველს, თეთრეულს ეძახიან. უხდური ძველი ქართული ტერმინია და უკავშირდება საერთო-ქართველურ ფუძე-ენას. ტერმინი მომდინარეობს – ხდ-ძირიდან (ხდილი – ამოღებული).

[1] „უხდური" ძველქართული სიტყვაა. იგი უკავშირდება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღდგენილ ხდ-ძირს (ხდილი – ამოღებული). ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 491.

რძისა და რძის პროდუქტების შენახვა-გადამუშავება ხდებოდა საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში – სარძიეში. ზოგიერთ სოფელში მას ხაოხდურეს ან მარანს უწოდებენ. საცხოვრებელ სახლში სარძიეს ცალკე არსებობა თავისთავად მიუთითებს ამ სახის პროდუქტების დიდ მნიშვნელობაზე აჭარელთა ყოფაში. გ. ჩიტაია აჭარელ სარძიეს ხევსურული კალოიანი სახლის სენეს//სენას ადეკვატურად მიიჩნევდა და ამ ფაქტს მთის მოსახლეობის ყოფაში მესაქონლეობის წამყვანი როლით ხსნიდა.[2]

აჭარის აღგილობრივმა მოსახლეობამ საუკუნეთა მანძილზე ღრმა ცოდნა-გამოცდილება შეიძინა რძის ცხიმიანობის გამოცნობასა და ამაღლებაში, რძის მაღალხარისხოვანი პროდუქტების დამზადებაში. ცხიმიანობით უპირატესობა ენიჭება კამეჩისა და ძროხის რძეს. მისგან მზადდებოდა კარაქი, სხვადასხვა სახის ყველი, მაწონი, ნადუღი, ნაღები და სხვა პროდუქტები. კარაქის მისაღებად იყენებენ ნაღებს და თავმოუხდელი რძის მაწონს. მოგეიანებით დაინერგა რძის მეურნეობაში რძის გამოსახდელი მანქანა „სეპერატორი". კარაქის შესადღვებად გამოიყენებოდა ხის საგანგებო ჭურჭელი – ვარია. შესანახავად კი – გვარდა//ქაბიწი, კოთხო და სხვა ჭურჭელი.

აჭარის მოსახლეობის მდიდარი ემპირიული ცოდნა-ნევეები რძის პროდუქტების, კერძოდ, ყველის დამზადებაში თავის დროზე შეუმჩნეველად არ დარჩენიათ ვახუშტი ბაგრატიონს და ს.ქარია ჭიჭინაძეს. ვახუშტი წერდა: „აქ აკეთებენ ყველს, ერთი იქნების ი(10), იკ(15) და კ(20) ლიტრა. არაოდესცე წახდების, არც დაობდების, რა ეამს ენებაეს შეგბარი, კეთილ სახმარ არს".[3] ხილო ზ. ჭიჭინაძე მაჭახლის ხეობის მაგალითზე აღნიშნავდა: „მაჭახელში აკეთებენ კარგ მოყვითალო ყველს, ერბოს და კარაქს. ამათი ყველის კეერული 3-5 გირვანქამდე ქეთდება. ეს არასოდეს არ დაფუჭება, არც დაობდება, თ'ე ძალიან გახმა. ერბოში შეწვავენ და საჭმელად ფრიად გემრიელი და შემრგოა".[4]

ყველს აკეთებდნენ როგორც თავმოხდილი (ნაღებმოხდილი), ისე თავმოუხდელი რძისაგან. იგი სხვადასხვა სახისა იყო: ჩლეჩილა, ლაეაში, ბორჯოლო, მოშუშეილი, გადაზელილი, ფუშტურო.[5] ყველის კეეთად იყენებდნენ საქონლის კუჭს, აგრეთვე, შაბს, კეერცხის ნაჭუჭის, ლეღვის ფოთლის, წიწაკის, მარილისა და ძმრის ნაერთს. ანალოგიური წესით მზადდებოდა ყველი საქართველოს სხვა კუთხეებშიც.[6]

რძისაგან სხვა კერძებიც მზადდებოდა და მზადდება დღესაც: მაწონი, დო, ხოროთანი, ყურუთი (დოსკეერა). ბორანო (ბორანო ყველითა; ყველითა და კეერცხით; ნაღებიანი ბორანი), ეაიმადი (ნაღები ჩლეჩილი ან ჭყინტი ყველითა), დო პიტნით, დო კეერცხით, ქალაჯო, დოშორეა, მაწეანის შეჭამადი, ერბოწეენა, დოხაეიწა, ფაფა ბრინჯით და სიმინდის ფქეილით.

რძის პროდუქტების დამზადებით, როგორც ითქვა, განსაკუთრებით დაწინაურებული იყო ზემო აჭარა, სადაც მესაქონლეობის განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ჭარბი რძის პროდუქტები გაცვლისა და ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროც იყო. ყველი, კარაქი და დო იცვლებოდა სამრეწველო ნაწარმზეც.[7]

კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მარცვლეულისაგან (სიმინდი, ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭეავი, ლომი, ბრინჯი) დამზადებულ კერძებს. ამ მარცვლეულის მოვლა-მოეეანას, გარდა სიმინდის კულტურისა, აჭარაში უძველესი დროიდან მისდეკენ.

---

[2] გ.ჩიტაია. ხევსურული სახლის სენე. – „ანალები". ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბ., 1947, გვ. 157, 158.

[3] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 134.

[4] ზ.ჭიჭინაძე. წერილი მაჭახლიდან. – გაზ. „ივერია", 1893, №158.

[5] აჭარაში რძისა და ხორცის პროდუქტების დამზადებაზე ვრცლად იხ.: გ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა), თბ., 1969, გვ. 135-148.

[6] ნ.თოფურია. ყველის დამზადების ხალხური ტექნოლოგიიდან. – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII. თბ., 1975, გვ. 56.

[7] გ.შამილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 150-152; Левашов Н. Заметка о пограничной линии и зоне. - ИКОИРГО. т. VI, №2, 1880, с. 242.

სიმინდის ფქვილისაგან აცხობდნენ მჭადს, თაფლის მჭადს, ნაღებიან მჭადს, ამ'ხადებდნენ ხალვას, ხაეიწს, ჭიმურს (კარაქში შერეული ცხელი მჭადის ანაზელი).

ყოფაში მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა ხორბლსა და ხორბლის ფქვილს. ხორბლისგან მზადდებოდა კორკოტი, სირხვალი, აშურა და სხვა კერძები, ხოლო ფქვილისაგან — ფაფები, მაკარონა (მაკარონი), ნამცხვრები: ბაქლაეა (ფენოვანი ნამცხვარი ნიგვ'ხითა და თაფლით ან შაქრით), ბურმე (სპირალისებურად დახვეული პურის ცომის ფენები ნიგვ'ხითა და შაქრით), ბორეგი (ფენებიანი ღეეზელი ხორცით ან ხაჭოთი), აჩმა, ერიშტა (ატრია), სინორი (კარაქით, ნაღვლით და ნივრით შემზადებული კერძი).

მარცვლეულ კულტურებს შორის, სიმინდისა და პურის შემდეგ, აჭარაში ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ჭვავი. ჭვავის პური, მჭადის ნაკლებობის შემთხვევაში, მისი შემცველელიც იყო. პური ცხვებოდა როგორც მხოლოდ ჭვავის ფქვილისაგან, ისე ქერისა და ჭვავის ფქვილის ნარევისაგან.

ყოველდღიურ, სადღესასწაულო თუ საწესჩვეულებო მენიუში მნი'შვნელოვანი ადგილი ეჭირა ლობის, ბრინჯის კერძებს, რძით შემზადებული ფაფების და ფლავის სახით.

კვების რაციონის აუცილებელი და განუყოფელი კომპონენტია ხორცეული კერძები. რომლებიც მომზადების მაღალი კულტურითა და ფართო ასორტიმენტით გამოირჩეოდა. უპირატესობა ეძლეოდა საქონლისა და ქათმის ხორცს შემწვარი და მოხარშული სახით. საქონლის ხორცისაგან მზადდებოდა: კეერეეი, ყაურმა, იახნი, მწვადი, ხორციანი სარმა, ხორციანი მხალი და სხვ. ქათმის ხორცისაგან: ქათმის ჩორბა (წენიანი), ზირაბაჯი (ლაბა), საციეი, დეფლური, აპოხტი და ა.შ. თევზეულს იყენებდნენ შემწვარი, შებოლილი, დამარილებული ან მოხარშული სახით. აჭარულ კულინარიაში გამორჩეული ადგილი ეჭირა კეერცხის კერძებს (ჩირბული, ბორეგი, ზანტაკა ანუ საციეი კვერცხით, კვერცხი ყველით და ნაღველით და სხვ.).

აჭარულ სამზარეულოს მოგეიანებით დაემატა კარტოფილის, კომბოსტოს, პომიდერის კერძები. ყოფაში დღესაც არ დაუკარგავს მნი'შვნელობა ბოსტნეულისა და ტყის მცენარეულის კერძებს. სიმრავლით გამოირჩეოდა ლობიოს (მალახტო, მორეგეული, კარაქიანი ლობიო, ხორციანი ლობიო, ამოღესილი ლობიო, ლობიოს ჩორბა, პარკი ლობიო, კერჩხი ლობიო, ფხალ-ლობიო, ლობიოს მჭადი) და მხლის (მარაგიანი, ხაპიანი, ბრინჯიანი, ჭყლინტიანი, ხორციანი მხალი, სარმა, მხლის წურეული, ოთორეული, აჯენჯულა და სხვ.) კერძები. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო მხალეულის მწნილებზე. რაც აჭარაში ცნობილია მაკეეს სახელწოდებით. საუკეთესო წვნიანი კერძები მზადდებოდა ტყიური დეკალური მხლისაგან, რომელსაც სამკურნალო თვისებებსაც მიაწერდნენ.

ხალხური კულინარიის მ'მვენებაა თაფლი, რომელსაც, პირდაპირი მოხმარების გარდა, იყენებდნენ ტკბილი სასმელის (შარბათი) მოსამზადებლად. კერძად იყენებდნენ დაუწურავ თაფლს.

საოჯახო ყოფაში, ასევე, მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა შინაურ და ტყიურ ხილს და მისგან დამზადებულ პროდუქტებს. ყურძნის წვენისაგან მზადდებოდა ღვინო, ბაქმაზი, ლეენერი, ფელამუში, ტყემლისაგან — საწებელი, ყორაო (კვაწარახი), ტყლაპი. როდესაც ღსმალთა ბატონობის პერიოდში აიკრძალა ღვინის დაყენება და მოხმარება, ზემო აჭარაში თითქმის მასობრივი ხასიათი ჰქონდა ყურძნის წვენისაგან ხარდალის[8] მომზადებას.[9]

---

[8] ხარდალი არაბულიდან მომდინარეობს და დაუდეღარ წვენს ნიშნავს (შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971, გვ. 430.

[9] აჭარაში გავრცელებული ტრადიციული და თანამედროვე კერძების დამზადებისა და მოხმარების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ: ვ. შამილაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 135-148; ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 47, 48; 51-52; 55-56; ი.სამსონია. ხალხური სამზარეულო აჭარაში. — სდსყ., XII, თბ., ნ.ნოდიაიელი. ხალხური კულინარიული ტრადიცია და ლექსიკა (აჭარული მასალა). — ადდლ, VI, თბ., 1987. ნ.აბაშიძე, თ. კომპაშიძე. იბრაიმ აბაშიძე და მისი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ნაწერები. ბათუმი, 1998, გვ. 96-163).

აჭარული სამზარეულოს მრავალფეროვნებაზე მეტყველებს სამზარეულოსა და სასადილო ოთახის ადგილობრივად დამზადებული სერვისი. მასალის მიხედვით ის შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს: ხის ჭურჭელი, რომელიც განკუთვნილი იყო რძის პროდუქტების გადამუშავების, შენახვისა და მოხმარებისათვის (ვარია, ყარელა, კოდანა, საწველელა, ხელგოგები, კაბიწი//გვარდა, ჯამი, კოთხო, ფქვილის შესანახი კიდობანი, სუფრა – სასადილო მაგიდა, ცომის გასაყენები სუფრა, საცერი, ცხრილი, ციცხვი, სხვადასხვა ზომის კოვზები); თიხის ჭურჭელი (სადღეებელი, დერგული, სხვადასხვა ზომის დოქები, დერგები, კეცები; სპილენძის ჭურჭელი (ქვაბები, ტაფა, თასი, სურა, თუნგი).

აჭარაში განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი სამკურნალო (მელოგინე ქალის, ნვილ ბავშვთა და ხანდაზმულთა) კულინარია, სადღესასწაულო და სხვა კერძები.

ზომიერებითა და სიუხვით გამოირჩეოდა აჭარული საქორწინო სუფრა, რომელიც დაახლოებით 10-15 დასახელების კერძს ითვლიდა. საქორწინო სუფრის დასამშვენებელი იყო ტკბილი სასმელები: ხარდალი (ზემო აჭარა) და შარბათი (წყალში შესაყენებული თაფლი). 1940-იანი წლებიდან ფუხი მოიკიდა სპირტიანმა სასმელებმაც.

სუფრაზე მამაკაცები და ქალები წარსულში ცალ-ცალკე სხდებოდნენ, უფროს-უმცროსობის რიგის დაცვით. „პურის ჭამის" ამგვარი წესი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში V საუკუნიდან დასტურდება.[10]

აჭარაში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სიხარულითა და მომავლის იმედით ხვდებოდნენ ახალ წელს. ამ დღეს, სხვა კერძებთან ერთად, უპირატესობა ეძლეოდა ტკბილეული კერძების (ბაქლავა, ბურმე, ბორეგი, ლუხუმი) მომზადებას, აგრეთვე, მოხარშულ სიმინდის მარცვალს, რომელსაც ზოგან სირსვალი ეწოდებოდა.

ცნობილი იყო აშურას უძველესი დღესასწაული, რომელიც ტარდებოდა აშურის მთვარის მეათე დღეს. ამ სახელწოდების კერძიც სადღესასწაულო კულინარიის ნაწილი იყო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 7 ინგრედიენტი (სიმინდი, ბრინჯი, ხორბალი, ქერი, ღომი, ლობიო, ნიგოზი).

აჭარაში შეიმჩნევა კერძების მომზადებასთან დაკავშირებული აკრძალვებიც, რომლებიც მომდინარეობს ოსმალთა ბატონობის დროს დანერგული ისლამისა და ყურანის დოგმებიდან. ეს შეეხება, პირველ რიგში, ღორის ხორცისა და ალკოჰოლიანი სასმელების აკრძალვას. თუმცა, ამგვარი აკრძალვა ისლამამდელ ხალხებშიც იყო გავრცელებული.[11]

აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა სამზარეულოსთან დაკავშირებული სხვა მდიდარი ხალხური წეს-ჩვეულებებიც: სასიძოს მიერ რიტუალური პურების მიტანა საცოლესთან, საქმროს ოჯახში შესულასთან დაკავშირებით ცომში ხელის ჩაკერა თუ კეცისგან გამომცხვარი მჭადის ამოღება, პატარძლის მიერ ოჯახში მარცველეულის მიმობნევა. მის თავზე ტკბილეულის გადაყრის რიტუალი, რძლის ოჯახიდან სიძის ოჯახში ნამცხერების მიტანა და სხვა. ყველა ამ წესის შესრულება საეალდებულო იყო, მაგრამ შემდეგ ზოგიერთმა დაკარგა მნიშვნელობა და დღეს გადმოცემებს შემორჩა. ამ წესჩვეულებათა რიტუალური დანიშნულება სპეციალურ ლიტერატურაში საოანადოდ არის შესწავლილი. მათი უმრავლესობა მიბაძვით მაგიას უკავშირდება (ქორწილისათვის განკუთვნილი ზოგიერთი ტკბილეულის მომზადება; დედოფლის თავზე ტკბილეულის გადაყრის ჩვეულება, დედოფლისათვის პირველად ხელში ტკბილეულის მიცემა; მეყვინდოფლის მიერ ერთი ჭიქიდან შარბათის შესმა და სხვ.).

აჭარული სამზარეულოს შესწავლით ირკვევა, რომ ტრადიციული ქართული კერძების სახელწოდებებთან ერთად, ყოფაში დამკვიდრდა კერძების უცხოური სახელწოდებებიც, მაგრამ მისი დამზადების ტრადიცია და ტექნოლოგია ძველქართულია. ასეთებია: ბორანო, აჩმა, სარმა, ბორეგი, ხარდალი, ჩორბა, ფასტურმა, ყურუთი, აირანი (თურქ.), კაპეე, იახნი (ირან.), მაკარონა (იტალ.).

---

10 ჯ.ნოლაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები. I. ბათუმი, 1971, გვ. 62.

11 შოკროპირიძე. რატომ კრძალავს ისლამი? ბათუმი, 1976.

ამგვარად, ეთნოგრაფიული მასალისა და ენობრივი მონაცემების შეჯერებით ცხადი ხდება, რომ აჭარული სამზარეულო, მიუხედავად უცხოური გავლენებისა, ხასიათდება ტრადიციული კერძების ნაირგვარობით, მათი შემზადების ტექნოლოგიური და მოხმარების თავისებურებებით, სამზარეულოსთან დაკავშირებული ინვენტარითა და წეს-ჩვეულებებით, რაც კულინარული ხელოვნების მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

§6. ხალხური დეკორატიული და სახვითი ხელოვნება

დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარაში ძირითადად წარმოდგენილია ხეზე (საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობანი, დგამ-ავეჯი), ქვაზე (ბუხრები, წყარო-შადრევნები), ქსოვილზე (ნაქარგობა).

წერილობითი ცნობების, ნიეთიერი კულტურის ძეგლებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ აჭარელები ოდითგანვე იყენენ დაწინაურებული სამშენებლო ხელოვნებასა და ხის მხატვრულ დამუშავებაში.

როგორც ცნობილია, ისლამის გავრცელების შედეგად აჭარაში ინგრეოდა ქრისტიანული საკულტო ნაგებობები, ხოლო მათ ნანგრევებზე ან მახლობლად შენდებოდა ჯამეები (მეჩეთები). სამშენებლოდ ხშირად ძველი ეკლესიების ხისა და ქვის დეტალებსაც იყენებდნენ. ზოგჯერ ეკლესიებს ინტერიერში უმნიშვნელოდ გადააკეთებდნენ და პირდაპირ ჯამედ აქცევდნენ. ეკლესიის ჩუქურთმა გამოიყენებოდა მეჩეთის შიდა და გარე შემკულობაში.[1] ამ გზით ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე შემორჩა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების არაერთი ნიმუში.

აჭარაში ხის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე – ჯამეებზე ამა თუ იმ ორნამენტის გამოსახვა ძირითადად შენებელ-ოსტატთა არჩევანი იყო, რომლებიც უპირატესობას მხატვრულად დახვეწილი, ტრადიციული, ქართული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმების გამოყენებას ანიჭებდნენ. ეს გარემოება XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსმა არქიტექტორმა ა. მ. პაელინოვმაც შენიშნა.[2] მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებს ქართული დეკორით შემკობა უფრო მიმზიდველს ხდიდა.[3]

ქართველ ისტორიკოსთა თუ სხვა სახის მკვლევართა შრომებში საინტერესო ცნობები გვიჯდება ხეზე კვეთილობის შესახებ აჭარაში. ისინი ორნამენტის ამ ნიმუშებში ხედავდნენ ქართული ჩვეულების, მხატვრული აზროვნების, მაღალი გემოვნებისა და ნატიფი ოსტატობის კვალს. 1874 წელს აჭარაში მოგზაურობისას გ. ყაზბეგი მოხიბლული შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ოსტატობით. იგი წერდა: ხიმშიაშვილი „ძალზე ჭკვიანია, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული და, რაც მთავარია, ხელოდან ყველაფერი გამოუდის. ჩვენ ვნახეთ მისი გაკეთებული ხმალი, რომელსაც ოქროს ზარნიში და ვერცხლის შემკულობა აქვს. იარაღის ყველა წვრილმანი ჩვენი მასპინძლის ხელითაა გაკეთებული. ეს კიდევ ცოტაა – ბეგმა თვითონ ჩამოახსა სპილენძის პატარა ზარბა-

---

[1] Лисовский В.Я. Чороховский край. Тифл., 1887, с. 30,32; Бакрадзе Д.З. Краткий очерк Гурии, Чурук-Су и Ачаре. - ИКОИРГО, т. II, 1874, №5, с. 208;

ზ. ჭიჭინაძე. სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკენი. ტფ., 1906, გვ. 14; ჯ.ეარშალომიძე. ქართული სალხური ხუროთმოძღვრულ-დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე (ჯამეები). – სდსკ. I. ბათუმი, 2007.

[2] Павлинов А.М. Памятники магометанские. - МАК, вып. III, М., 1893, с. 76.

[3] ყარსის ოლქის ერთ-ერთი მეჩეთის შესახებ ე.თაყაიშვილი წერდა: „ეს ჯამე ლამაზი გუმბათიანი შენობაა... სულ ქართული ჩუქურთმებით არის შემკული... ჯამის ხუროთმოძღვარს საესებით და მოხდენილად გამოუყენებია ქართული შემკულობანი, რომელნიც ამშვენებენ ბანას და მისი არემარეს ეკლესიებს“(ე.თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938, გვ. 50).

ზანი, კაკლის ხისაგან კი საკმაოდ ფაქიზად გააკეთა რამდენიმე სკამი და დივანი. გარდა ამისა, ზერიფ-ბეგი კარავი მხატვრიცაა. სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატები ამშვენებს".[4] 1873 წელს აჭარაში მოგზაურობისას არც დიმიტრი ბაქრაძეს დარჩენია შეუმჩნეველი ადგილობრივი ოსტატების მიერ მხატვრულ-დეკორატიულად გაფორმებული სახლის კარ-ფანჯრები და ბუხრის ქვის ჩუქურთმები.[5]

აჭარის ხალხური დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ცალკეული საკითხები გაჩხილულია სხვა ქართველ აეტორთა ნაშრომებში.[6]

აჭარაში ხეზე შესრულებული ხალხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები დამზადების ტექნიკის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ხეზე კვეთილობად და ხეზე მოხატულობად. ხეზე კვეთილობაში წარმოდგენილია გრაფიკული, რელიეფური, წრიულ-პლასტიკური, აეურულად ამოკვეთილი და ინკრუსტირებული სახეები. შემკულობაში საღებავებიცაა გამოყენებული.

გრაფიკული გამოსახვის ნიმუშები გვხვდება საცხოვრებელ ნაგებობაეია კარებზე, საპირწ�ამლეებზე და სხვა ნივთებზე.

გრაფიკული ორნამენტი შესრულებულია თანაბარი სიღრმისა და სიგანის მცირედ ამოკვეთილი თუ ამოკაწრული ხაზებით და ხასიათდება როგორც მარტივი, ასევე კომპოზიციურად რთული გამოსახულებებით. ზოგიერთი ორნამენტი იმდენად სტილიზებულია, რომ ძნელდება მისი შინაარსობრივი გააზრება.

რელიეფური კვეთილობა ფართოდაა გამოყენებული საკულტო და საცხოვრებელ ნაგებობებზე (კარები, ჭერი, სვეტები და ა.შ.), ნაწილობრივ — სკიერებზე. თუ გრაფიკული ორნამენტის გამომსახველობით ფაქტორს მცირედ ჩაკვეთილი ან ამოკაწრვით მიღებული ხაზი წარმოადგენდა, რელიეფურ ორნამენტში გადალახულია კონტურული გამოსახვის ზღუდეები და სწრაფეაა პლასტიკისადმი.

რელიეფური ჩუქურთმა შესრულების მიხედვით ორი სახისაა. პირველს ეკუთვნის მთლიან ხეზე ამოკვეთილი სახეები, ფაქიზად მოსწორებული ფონით. ზოგჯერ ასეთ ფონზე დაშტამპულია გასხივოსნებული მზის მსგავსი სახეები ან წერტილები. მეორე სახის ჩუქურთმაა გლუვზედაპირიან ფონზე დამაგრებული, ცალ-ცალკე დამზადებული „ჩასმული ნამკრეკლით", რომელიც მცირე რელიეფურ ელემენტს ქმნის. ჩუქურთმა სიბრტყეზე ისეა აწყობილი, რომ კომპოზიციურ მთლიანობაში აღიქმება (ჩასმული ჩუქურთმა აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვრცელდება). ორნამენტის ორივე ტიპისათვის ნიშანდობლივია დეკორატიული ელემენტების როგორც ბრტყელრელიეფური პროფილირება, ასევე პროფილის ზედაპირის მხატვრული დამუშავება — ამოღარულ-ჩაღარული მცირე რელიეფების შექმნით და მათი მონაცვლეობით მიღწეულია შუქ-ჩრდილის ნიუანსური გრადაცია.[7]

ცალ-ცალკე დამზადებული ელემენტებისაგან შემდგარი მრავალფენიანი წრიული შემკულობა წარმოდგენილია ხიხაძირის, ღორჯომის, აგარის, კეაშტის და სხვა მეჩეთების ჭერის კომპოზიციაში. ზოგიერთი მეჩეთის ჭერის შემკულობაში წრიულ-ფენიანი აეურული ჩუქურთმის ფონად გამოყენებულია როგორც ლურჯი ქსოვილი (სოფ. კეირიკეკ ქობულეთის რ-ნი), ასევე წითელი ქსოვილი (სოფ. სირაბიძეები, ქედის რ-ნი). შემკობის

---

[4] გაგაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ. 44.

[5] Бакрадзе Д.З. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. СПБ, 1878, с. 43.

[6] ალადაშვილი. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა). თბ., 1956; Гаракандзе М. Грузинское деревянное зодчество. Тб., 1959; Таварткиладзе Н. Неизвестный памятник резьбы по дереву в Аджарии. — „მაცნე." თბ., 1972, № 1;

ლ. სუმბაძე. გადაეარჩენოთ ქართული ხითხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები. — ფურნ. — „საბჭოთა ხელოვნება", №11, 1982; ნ.ურუშაძე. სოლარული ნიშნების ადგილი და მნიშვნელობა აჭარის საკულტო ნაგებობებსა და საყოფაცხოვრებო ნივთების დეკორში. — სდსკ, IV. თბ., 1976; ჯ.ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ბათუმი, 1979.

[7] ჯ.ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე ზემო აჭარაში. — სდსკ, II. თბ., 1974, გვ. 119, 120.

ანალოგიური წესი დადასტურებულია თრიალეთში (სოფ. წინწყარო).[8] იგი ლაზი ოსტატის მიერაა შესრულებული. ხის ორნამენტის კომპოზიციაში ფერადი ქსოვილის ფონად გამოყენება დეკორის მხატვრულ ეფექტს აძლიერებს. შემკობის ამგვარი წესი ანალოგიას პოულობს წინა აზიის უძველეს კულტურაში.[9] ამდენად, ხეზე კვეთილობაში ქსოვილის გამოყენებით ფერადი ფონის შექმნის ჩვეულება აჭარის მაგალითზე ერთხელ კიდევ (ცხადყოფს დეკორატიული ხელოვნების ტრადიციების მრავალფეროვნებას.

წრიულ-პლასტიკური დეკორატიული ნიმუშები დამ'ხადებულია სახვეწ ჩარხზე, ანუ დაზგაზე. ამ წესით შემკულია აკვნები. მთლიანი ხისგანაა მოხარატებული სუფრები, ქვიჯები, ჯამები, საცხოვრებელ და საკულტო ნაგებობათა მოაჯირის რიკულები და სხვა.

აჭარის ხალხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებში მკვეთრად შეინიშნება აჟურული ანუ გამჭოლად ამოკვეთის ან ამოხერხვის შედეგად მიღებული სახვები, რომლებიც უმთავრესად გამოსახულებათა სილუეტებს იძლევა და გამოყენებულია შენობათა როგორც ინტერიერში, ასევე ექსტერიერში, განსაკუთრებით სახურავის არშიებზე.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების ხის ნაკეთობათა (სკივრები, ნიშნის ყუთები) მნიშვნელოვანი ნაწილი ინკრუსტაციის წესითაა შემკული.

აჭარაში ბევრი მეზეთის არა მარტო ინტერიერის ჭვრი, კედლები თუ რიტუალური საგნებიც ზეთისაა მოხატული. ხეზე კვეთილი ორნამენტებიც ლაჟ-საღებავებითაა დაფარული. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გამოყენებული საღებავები ადგილობრივი ხალხური წესით იყო დამზადებული და უმთავრესად წყალში ხსნად საღებავებს განეკუთვნებოდა. შემდეგ ასეთი ზეთსაღებავები ბათუმში იყიდებოდა. აქ კი ევროპის ქვეყნებიდან შემოიქონდათ.

მეზეთების ინტერიერის მოხატულობის სპექტრი ძირითადად წითელი, ყვითელი და მწვანე ფერებისაგან შედგება. ზოგჯერ გამოყენებულია ნარინჯის, ჩალის, იის, თეთრი, შავი და ცისფერი საღებავები. ფერების განლაგება-შეხამება პირობითია და არ ემორჩება გარკვეულ კანონზომიერებას. მიუხედავად ამისა, თუნდაც მკვეთრი ფერები საერთო გამაში საინტერესოდ აღიქმება. ხის რელიეფის გადაღებით, თუნდაც ერთ ფერში, განპირობებულია შუქ-ჩრდილთა ნაირსახეობა, შუქი და ღია ტონების მონაცვლეობა.

აღსანიშნავია აკვნის სხვადასხვა ფერით შეღებვის ტრადიცია, რაც ხუთი-ექვსი ათეული წლის წინათ საკმაოდ გავრცელებული იყო. აკვნის შემკულობაში ფერთა ნაირსახეობის გამოყენება განპირობებული იყო ფერთა სიმბოლური დატვირთვითაც. არ არის გამორიცხული, რომ ფერთა გარკვეულ ნაწილს მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდა.[10]

ხალხური ხეზე კვეთილობისა და მოხატულობის ნიმუშები, რომლებიც აჭარაში გამოყენდა, ფორმისა და შინაარსის მიხედვით იყოფა გეომეტრიულ, მცენარეულ, ასტრალურ, ზოომორფულ და საგნობრივ მოტივებად.

ჩვენამდე მოღწეული გეომეტრიული სახვები ძირითადად დეკორატიული ფუნქციის მატარებელია. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების შეჯერებით ირკვევა, რომ თოკისებური გრეხილი, ზიგზაგი, სპირალი, რომბი, სამკუთხედი, ტალღისებური კლაკნილი, S-სებური, წრე, ნახევარწრე და სხვა გეომეტრიული კონფიგურაციის გამოსახულებები გაკეთებულ ფილად სიმბოლური დანიშნულებისაა. მათ უშუალო კავშირი აქვთ მიწათმოქმედი მოსახლეობის უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან (ავი თვალის, ავი სულის, ბოროტი ძალებისაგან თავდაცვა, ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლო).

სპირალი, ნახევარწრე, S-სებური სახე ასტრალური სიმბოლიკის შემადგენელ ელემენტებს შეიცავს. ამ სახვებმა დროთა განმავლობაში თითქმის დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა, ხოლო წრემ, ბორჩხილამ, ბორჯღალამ და სხვა გეომეტრიული კონფიგუ-

---

[8] გ.ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. – ენიმეის მოამბე, X. თბ., 1941, გვ. 306.

[9] იქვე.

[10] Варшаломидзе Д.С. Некоторые аспекты этнографического изучения религиозности в Аджарии. - Всесоюзная научная сессия по итогам этнографических и антропологических исследований 1986-1987 гг. (Тезисы докладов). Сухуми, 1988, с. 158.

რაკიის სახეებმა ბოლო დროამდე შეინარჩუნა ასტრალურ მნათობთა აღმნიშვნელი ნიშნების შინაარსი.[11] ასტრალურ სიმბოლოებთან კომპოზიციურად ხშირადაა დაკავშირებული ჯვრის გამოსახულება, რომელმაც უძველესი დროიდან ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე მოაღწია. თანაც სხვადასხვა სემანტიკური შინაარსით.[12]

ხალხურ ორნამენტში მცენარეული სახეების სიუხვე და მრავალფეროვნება ადამიანის ბუნებასთან, სამეურნეო საქმიანობასთან აქტიური ურთიერთობით არის განპირობებული. მასში გამოსახულია ისეთი მნიშვნელოვანი სამეურნეო კულტურები, როგორიცაა: სიმინდი, ვაზი, ბროწეული, ეაშლი და სხვ. ასევე ფიგურირებს დეკორატიული ფუნქციის მქონე და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული სახეები: ნატურალური ფორმის ან სტილიზებური (ეგზოტიკური) იერის მქონე ყვავილი, ფოთოლი, შტო, კვირტი, ალვის ხე, შროშანის ყვავილ-ფოთლები, სიცოცხლის ხე, ურთხელის ხე და სხვა.[13]

ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს ვაზის გამოსახულებათა სიმრავლეს აჭარის მეჩეთებზე. ვაზის ნაქურთმა ქართველთა ეროვნული ცნობიერების სიმბოლოდაა გააზრებული. იგი საეკლესიო ხეროთმოძღვრებაში ძველთაგანვე პპოულობს საპატიო ადგილს.[14] მისი გამოსახვის პრაქტიკა ისლამის გავლენის პირობებში ქართული უძველესი ტრადიციების გამდლეობის თვალსაჩინო მაგალითია. მეჩეთებზე ვაზისა და ჯვრის გამოსახვის ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეიანფეოდალური ხანის აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის შესწავლისათვის.[15]

ზოომორფული მოტივის ორნამენტი წარმოდგენილია ხარის თავის, ძაღლის, გველისა და ირმების გამოსახულებებით.[16] მათგან დიდი ადგილი უჭირავს გველის, როგორც ავი თვალისა და ავი სულისაგან ოჯახის მფარველის სიმბოლოს გამოსახვას. მითოლოგიური შინაარსისაა მზის (სიკეთის) და გველის (ბოროტების) ბრძოლის სიუჟეტი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში,[17] ასევე სხვადასხვა ხალხის ხელოვნებასა და ფოლკლორში.[18] სხვა ზოომორფული გამოსახულებები (ხარის თავი, ირემი, ძაღლი) გამოყენებულია სახლის ფასადისა და აეიჯის შესამკობად. ამ ცხოველებს ადამიანისათვის უხსოვარო დროიდან ჰქონდა დიდი სამეურნეო მნიშვნელობა. მათთან დაკავშირებით მრავალი რწმენა-წარმოდგენაც შემუშავდა.

საგნობრივი ორნამენტი (გემი, წყლის ჭურჭელი, სასწორი) ძირითადად მეჩეთებზეა გამოსახული. გემის ნახატი მეჩეთის ფასადზე ზეთის საღებავით ლაზი ოსტატობის მიერაა შესრულებული. გემი ლაზების, როგორც ცნობილი ზღვაოსნების, სიმბოლოდ მოიაზრება და სიმინდის გამოსახულებასთან ერთად გვხვდება. ცნობილია, რომ საქართვე-

---

[11] Варшаломидзе Д.С. Резьба и роспись по дереву в Аджарии.- Очерки этнографии Аджарии. Тб., 1982, с. 160-162.

[12] ჯ.ჟვარშალომიძე. ჯვრის გამოსახულება აჭარაში. – ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", I თბ., 1998.

[13] ჯ.ჟვარშალომიძე. მცენარეული სახეები აჭარულ ხალხურ ორნამენტში. – სდსყ, IV, თბ., 1976, გვ. 103-115; მისივე. ურთხელის კულტის გადმონაშთები აჭარაში. – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ბათუმი, 2007.

[14] ოჯაბაისშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფ., 1935, გვ. 520-522 (სურ. 6-10); რ.შეკრლინგი. აკრაფენკო. ქართული ხეროთმოძღვრული ორნამენტი. თბ., 1954, გვ. 26, 28, 34, 49, 52,59, 60.

[15] ალ.რობაქიძე. რედაქტორისაგან. – სდსმყ, I, თბ., 1973, გვ.12-13.

[16] ძაღლის, გველისა და მზის სიმბოლურ-მაგიური გამოსახულებები ცნობილია უძველესი კოლხური კულტურის ძეგლებზე – ბრინჯაოს ხანის ცულებზე, რომელთა საყურადღებო ნიმუშები ხულოს რაიონის სოფ. სიხაძორში არის აღმოჩენილი. დაწვ. იხ.: ა.კახიძე, შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 27-29.

[17] ნ.ჩეხვიაშვილი. სალოცავი „მზიური" (ბიუნე). – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIV, თბ., 1964, გვ. 1964, გვ. 208; ჯ.ჟვარშალომიძე. ხის ორნამენტი საცხოვრებელ სახლებზე სურეთისა და გუბაზეულის ხეობებში. – სდსყ, V, თბ., 1977, გვ. 68, 69; მისივე. ხეზე კვეთილობის ხალხური ტრადიციები ქვემო აჭარაში. – სდსყ, VII, თბ., 1979, გვ. 92.

[18] Рыбаков Б.А. Космогония и мифология земледельцев энеолита. М., 1965, №1, с.36.

ლოში სიმინდი ლაზების მიერაა შემოტანილი და ამიტომაც გასაგებია, რომ საკულტო ნაგებობები მათ აღნიშნული სახეებით შეამკეს.[19]

წყლის ჭურჭლის გამოსახულება ძირითადად მცენარეულ ორნამენტთანაა დაკავშირებული. იგი სიმბოლურად წყალს აღნიშნავს და ხაზს უსვამს მის როლს მცენარის ნაყოფიერებაში.

სასწორი რამდენიმე მეჩეთის ინტერიერშია სალებავით გამოსახული და რელიგიური მიზნით, ცოდვა-მადლის საიქიოში განკითხვის შეხსენებას ემსახურება.

აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, მაღალ დონეზე იდგა ქვაზე კვეთილობა. ამის შესანიშნავი ნიმუშები გამოვლენილია ბუხრებზე, წყარო-შადრევნებზე და საფლავის ქვებზე, ეკლესიებზე თუ დანგრეული ეკლესიების ქვებზე, ღღემდე შემორჩენილი ორნამენტის სახით.

აჭარაში ტრადიციულ საცხოვრებელ სახლს რამდენიმე ბუხარი ჰქონდა. იგი ითქმის ითითოეული საქორწინო წყვილის საძინებელ ოთახს გააჩნდა, მაგრამ განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო შემკული საუფროსო და სასტუმრო ოთახების ბუხრები, რაც ამ ერის სახიცოცხლო დანიშნულებითა და მისი კულტის არსებობით აიხსნებოდა.

საუფროსო ოთახში კერასთან წყდებოდა ოჯახისათვის საჭირბოროტო საკითხები. ოჯახის წევრებიც აქ იყრიდნენ თავს და უმეტეს დროსაც აქ ატარებდნენ. ოჯახის უფროს წევრს სათანადო ადგილი ჰქონდა მიჩენილი ბუხართან ახლოს. მარჯვნივ. ოჯახის უფროსი მამაკაცისა და მისი მეუღლისათვის მარცხნივ განკუთვნილ ადგილს სხვა არავინ დაჯდებოდა.

კერის კულტის ნიშნები უფრო მკვეთრად ვლინდება საქორწინო რიტუალში. ბ. ჩიტაიას დასახასიათებით, „კერა, როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, დიდ როლს თამაშობდა საქორწინო ცერემონიებში, როდესაც გვარში ან ოჯახში გარეშე პირის ინკორპორაცია ხდებოდა“.[20] საქორწინო ცერემონიებში კერისადმი თაყვანისცემის ანალოგიური სიმბოლური მოქმედებანი დადასტურდა აჭარაშიც. პატარძალი სახლში შესელისთანავე, უპირველეს ყოვლისა, საჯალაბო ოთახის ბუხართან მიუყვანდათ. იგი ბუხარს ხელით სამჯერ უნდა შეხებოდა. ასევე, ხელს მოკიდებდა ბუხარში ჩამოკიდებულ ჯაჭვს და კეკიდან აიღებდა გამომცხვარ ჩურეკს. ზოგჯერ ამას მოსდევდა პურის ცომში ხელის ჩაყერა, ცომიანი თითების ბუხარზე ჩამოსმა, თაფლში ხელის ჩაყოფა. კერის წინ ღომის მარცვლებს მობნევა. კერის ძირზე რძის მოსხმა და სხვა რიტუალები.[21] ბუხართან მჯდომ პატარძალს კალთაში ჩაუსვამდნენ პატარა ბიჭს, რომელსაც დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა. აქეე პატარძალს მიართმევდნენ შარბათს ან ყურძნის დადულებულ წვენს – ხარდალს. იგი ცოტას მოსვამდა, ხოლო დანარჩენი მის მომავალ მეუღლეს უნდა დაელია. საყურადღებოა ისიც, რომ ბუხართან პატარძლისათვის „საშინაო ნუსტები“ უნდა ნაეცვალა.

აღნიშნული სიმბოლურ-მაგიური რიტუალებით ოჯახში შემოსულ ახალ წევრს (პატარძალს) პირველ რიგში, კერის გაზიარება-პატივისცემა, კარგი დიასახლისობა, სიუხვე, ნაყოფიერება-შვილიერება (ხაჩი ესმები ეაეის კულტს, გვარის გამგრძელებლის აუცილებლობას). ცოდ-ქმრულ ურთიერთობაში ჰარმონია უნდა დამბყდებოდა. სიმბოლურია ისიც, რომ ქორწინების მესამე დღეს პატარძალი პირველ საოჯახო საქმიანობას კერასთან იწყებდა – ტკბილ ნამცხვრებს ამზადებდა. ამდენად, კერა//ბუხარი,ოჯახის წევრთა გამაერთიანებელი და მთავარი ატრიბუტი იყო. ქართული ენის აჭარულ დიალექტზე ბუხარს „ოჯახი“ ჰქვია, ხოლო ჩვეულებრივი გაგებით ტერმინ ოჯახის აღმნიშვნელად „ეკამლი“ გვეელინება, რომელიც ზოგადქართულში დამკვიდრებული „ეომლის“ ფონეტი-

---

[19] Варшаломидзе Д.С. Грузинский народный орнамент как исторический источник. – Источниковедческие розыскания, Тб., 1988, с. 330; მისივე, ზოგზაური ლაზი ხურო-ფეხუკურთმენი. – ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. შრომები, IV, ბათუმი, 2005.

[20] ბ.ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, გვ. 31.

[21] მ.ბექაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში. ბათუმი, 1974.

კური ნაირსახეობაა. საგულისხმო ფაქტია მოჩუქურთმებული ბუხრის ქვების ქალიშვილისათვის მზითვად გატანების შემთხვევები ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში.[22]

აღნიშნული მახასიათებლები განაპირობებდნენ კერის (ბუხრის) კულტის არსებობას და მის მდიდრულ ორნამენტაციას. ზოგიერთი ბუხრის ორნამენტი ხელოვნების ნამდვილ შედევრს წარმოადგენს.

ბუხარი შედგება ცეცხლაპირის, კერიის, ზურგის, ფეხის, ქემერისა (კამარის) და საკვამლისაგან. ცეცხლაპირის, ე.ი. ფუძის ქვაზე აღმართულია ზურგისა და ფეხის ქვები. ამ ქვების შეერთებასთან, მარჯვენა მხარეს, მოთავსებულია კერიის ქვა. ფეხის ქვებზე დაფუძნებულია ქემერი/კამარა. ანუ თაღისებური კონფიგურაციის მქონე ქვა. კამარა ხშირად მონოლითურად თაროსთან ერთადაა გამოკვეთილი, მეტწილად კი თაროს ბუხრის ცალკე ელემენტს წარმოადგენს. ბუხრები თაროების გარეშეც კეთდებოდა. აჭარულის ანალოგიერია ნ. მარის მიერ იმერხევში აღწერილი ბუხრის ქვების კომპოზიციური განლაგება და ცალკეულ ელემენტთა აღმნიშვნელი ტერმინები.[23]

ბუხრის ქვის დასამზადებლად სხვადასხვა იარაღ-ხელსაწყოებს იყენებდნენ (სოლები, ნაჭუჭები, წერაქვები, სატეხები, ძალაყინები, გონიო, სადგისი, ფარგალი, შაბლონი და სხვ.). საბუხრე ქვა მოპოვების ადგილზე სავაჭრო კონფიგურაციას ღებულობდა, ხოლო დანიშნულების ადგილზე მიტანის შემდეგ კი მისი მოჩუქურთმება ხდებოდა.

ბუხრების მშენებლებად და მეჩუქურთმეებად ძირითადად მოგზაური ლაზი ხელოსნები ითვლებოდნენ. მაგრამ მათთან ერთად მრავალი ადგილობრივი ოსტატის სახელია ცნობილი.

ოსტატები ბუხრის კამარაზე კვეთდნენ საკუთარ სახელს, იშვიათად გვარს, სადაურობას, დამზადების თარიღს. ქედის რაიონის სოფელ დანდალოელი შ. მგელაძის ბუხარი ლაზ მემედ უსტას აუშენებია. ამაკე რაიონის სოფელ მერისის მკვიდრის ს. გოგოლიშვილის ჩუქურთმიანი ბუხარი ვინმე შირინ აღასა და ტათლი მუხამედს 1827 წელს 9 დღეში გაუკეთებიათ და გასამრჯელოდ 81 ფარა მიუღიათ. სოფ. სილიბაურელ მ. ჯიჯავიძის ბუხარზე ამოკვეთილია ოსტატ იბრაიმ ყაბიბოღლის და ბუხრის დამკვეთის ახმედის სახელები. სოფელ ძენწმანელი ბეგების – სურმანიძეების ბუხარზე ამოკვეთილია წარწერა: „სატრონი იუსუფ ბეგი, 1807“. ბუხარზე ჩუქურთმები უბადლო ხელოვნებითაა შესრულებული. შეიმჩნევა, რომ შეძლებულთა ბუხრები მხატვრული დაშუშაებითა და ორნამენტის კვეთილობით გამოირჩეოდა. ეს ფაქტი კარგად შენიშნა ფრანგმა ორიენტალისტმა ეან მურიემ. იგი წერდა: „...რაც უფრო მდიდარია სახლი, მით უფრო მეტად არის მორთული ბუხარი ფაქიზი ჩუქურთმებით და ხის სამკაულით“.[24] ბუხრის ეპიგრაფიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მაგიური დანიშნულების არაბულენოვანი სიტყვის („მაშალლა“) ამოკვეთას, რომელიც შინაარსობრივად შეესატყვისება გამოთქმას „ჯ ვარი გწერია“. ეს მაგიური ფორმულა მორწმუნეებს ბოლო დრომდე მიაჩნდათ ავი თვალისა და ბოროტი სულებისაგან დამცველ საშუალებად. ცხმორისელი მამუკაძის ბუხარზე (აგებულია 1947 წელს) აღნიშნული სიტყვა ქართული ასოებითაც ამოუკვეთიათ.

მიუხედავად იმისა, რომ დანგრეული ქრისტიანული ეკლესიების ქვების ოჯახში შეტანა, მით უმეტეს, მშენებლობაში გამოყენება, ისლამის მიერ „წყეული“ იყო და იკრძალებოდა, ქედის რაიონის სოფ. ნამონასტრეველ ი. თურმანიძის ბუხრის მშენებლობაზე ასეთი ქვები მაინც გამოუყენებიათ. ერთ-ერთ მათგანზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერის დაქარაგმებული ფრაგმენტი. ამ მხრივ საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის ცნობაც, რომელიც ხულოს რაიონის სოფელ ალმეს (ახლა ეაშლოეანი) შეეხება. იგი წერდა: „აქა-იქ სოფლის სახლის ბუხრებშიაც ნახავს კაცი ისეთ ქვებს, რომლებსაც ხუცური წარწერა აქვს“.[25]

---

22 ჯ.ჭარშალიძე. ბუხრის შემკულობა აჭარაში. – სდსკ, XI. თბ., 1985, გვ. 66.

23 Марр Н.Я. Дневник поездки в Шавштетию и Кларджети. СПБ, 1911, с.75.

24 გ.ფურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962, გვ. 35.

25 ზ.ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ., 1913, გვ. 83.

ბუხრის წარწერები საყურადღებოა დათარიღების თვალსაზრისითაც. აჭარაში გამოვლენილი უძველესი ბუხარი 1755 წ. თარიღდება. იგი ერთი საუკუნის წინ ლაზეთიდან მოუტანიათ ზენდიდელი (ქედის რ-ნი), ნიეარაის ოჯახში. თარიღიანი ბუხრების დიდი უმრავლესობა XIX საუკუნესა და XX საუკუნის აღრეულ წლებს განეკუთვნება.

ორნამენტით ამკობდნენ არა მარტო თვით ბუხრის თაღს, არამედ მის კამარას და საყრდენ ყელებს. ორნამენტად გამოყენებულია სამკუთხედებისაგან შედგენილი ზიგზაგური ხაზები, თოკისებური გრეხილები, სწორი და ირიბი პარალელური ხაზები, ჯვრები, წრეები, რკალები, სამკუთხედები. ბუხრის შემკულობაში საპატიო ადგილი უჭირავს ასტრალურ გამოსახულებებს: მარადიული ნათების, მოძრაობისა და სიმხურვალის სიმბოლოს — ბორჯღალა[ბორჩხიალას, გასხივოსნებულ მზეს, ბადრ და ნამგალა მთვარეს, ვარსკვლავებს. მოგვიანო პერიოდის ბუხრებზე ხუთქიმიანი ვარსკვლავიცკაა ამოკვეთილი.

ბუხრის შემკულობაში მცენარეული მოტივები წარმოდგენილია ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ხის სახით, რომლებიც, საერთოდ, ფართოდაა გავრცელებული ქართულ ხალხურ ორნამენტში.[26] მცენარეულ სახეებში საგანგებოდ გამოიყოფა ალვის ხე. იგი მნიშვნელობთან ერთად, კოსმიური ბუნების გადმოცემია და სიცოცხლის ხეს განასახიერებს. ორნამენტში ხშირადაა გამოსახული მზე და წყალი, როგორც მცენარის სიცოცხლისა და ნაყოფიერებისათვის აუცილებელი ატრიბუტები.

ბუხრის შემკულობა შეიცავს თოფის, ხმლის, დანის, კვერთხის და სხვა საგნების გამოსახულებებს. კვერთხი მიუნიშნავს ოჯახის უფროსის უფლებრივი მდგომარეობის სიმბოლოდ, ხოლო სხვა იარაღები — ვაჟკაცობის, ვასაპართლოების წინააღმდეგ შეკრებილი ბრძოლის, გმირობის სიმბოლოდ. როგორც ჩანს, სახვითი ხელოვნების ძველ ქართველ ტრადიციებზე არსებითი გავლენა ვერ მოუხდენია ისლამის რელიგიურ დოგმებს, რომლებითაც იერძალებოდა ცოცხალი არსების გამოსახვა. ბუხრის ორნამენტში ზოომორფულ სახეებსაც (არწივი, მტრედი და სხვ. ფრინველები) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

აჭარაში მხატვრულ-დეკორატიული ქსოვილისა და ქარგვის ტრადიციაც კარგად იყო გავრცელებული.[27] ეს ტრადიციები ზემო აჭარაში დღემდე შემორჩა. ქვემო აჭარაში — ბარში იგი უფრო იშვიათად გვხვდება. მთაში კვლავ მოწონებას იმსახურებს საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ნაქარგებითა და დეკორატიული ქსოვილებით მორთვა. სასტუმრო ოთახს და საძინებელს განსაკუთრებით ამშვენებს პატარძლის ნაქარგები, როგორც მზითვის ნაწილი.

ქსოვილებისა და ნაქარგების შემკულობაში ძირითადად გვხვდება გეომეტრიული, მცენარეული, ზოომორფული, ასტრალური, ანთროპომორფული და საგნობრივი სახეები. გეომეტრიული სახეების აღმნიშვნელი ტერმინებში შეიმჩნევა ძირძველი ქართული სახელები, რომელთაგან ზოგიერთს გეიანდელი უცხოენოვანი (თურქული, არაბული) შესატკბილებები მოეპოვება. ასტრალური სიმბოლოების სხვადასხვა ვარიანტია მზე, მზიფალი, მზესხიფალი, ციცაქალა, ბორჩხიალა, საქციელა მზე, მთვარე და ვარსკვლავი. ნიშანდობლივია, რომ მზის სიმბოლოები უფრო ხშირად და მრავალფეროვნადაა გამოსახული, ვიდრე მთვარე და ვარსკვლავები. ქსოვილის ორნამენტში ქარგვისა და აპლიკაციის გამოყენებით ძირითადად მცენარეებია გამოსახული ნატურალური თუ სტილიზებული ან სქემატური ხეების [ბუჩქების, ფოთლების, ფოთოლ-კვირტების, ფოთოლ-ყვავილების, ვაზის მტევნის და სხვა სახით.

---

26 გ.ჩიტაია. დასახ.ნაშრომი, გვ. 310.

27 ზ.ჭიბინაძე. ქართველთა გამაპმადიანება ანუ ქართველთ გათათორება. თბ., 1907, გვ. 87; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი III, ნაწილი I თბ.,1983, გვ.259-263; ნ.ნოდიაიდელი. ქსოვის ტრადიცია აჭარაში და მასთან დაკავშირებული ლექსიკა. აჭარის დიალექტოლოგიური ლექსიკა, III, თბ., 1979, გვ. 53-57; ნ.ალხიძე. ძვირფასი ქსოვილების დამზადებისა და მოხმარების ისტორიიდან საქართველოში. — სდსყკ, X, თბ., 1983, გვ. 36, 42-44; ჯ.ეარშალომიძე. ხალხური დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგები აჭარაში. — სდსყკ, XIII, თბ., 1986, გვ. 35-55; ი.სამსონია. ხალხური ტანსაცმელი აჭარაში. ბათუმი, 2005, გვ. 48-50, 53, 57, 65-67, 70, 86, 12„ 123; ნ.ჩელებაძე. ქალი და ოჯახი. თბ., 2005, გვ. 96-99.

მცენარეულ სახეებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიცოცხლის ხის მოტივს. იგი გვხვდება ნაქარგებსა და აპლიკაციებშიც, რომელთა საუკეთესო ნიმუშებია ქედლის ფარდაგები, სტუმრის პირსახოცი და საოჯახო დანიშნულების სხვა ქსოვილები. სიცოცხლის ხის მოტივში ანტიპოდად ძირითადად ირმები გვხვდება. ისინი მოცემულია სტატიკურ და მოძრავ მდგომარეობაში, პროფილით და ანფასით. ამ მოტივში ირმების გარდა გამოსახულია ცხენები, კურდღლები, ფრინველები (ფარშევანგი, იხვი, ნიჩი, მამალი) და სხვა.

ნაქარგებში ანთროპომორფული მოტივიდან ქალის გამოსახულებები ჭარბობს. დადასტურებულია ქალისა და ცხენის ერთად გამოსახვის მაგალითებიც. ქალი ვრცელი კაბითა და მანდილითაა გამოსახული. ზოგიერთ ნაქარგში ამოქარგულია თამარ მეფე და ნესტანი.

ნაქსოვთა ორნამენტში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სამეურნეო და საოჯახო იარაღებს (ცული, ხერხი, ფოცხი, დაშნა, მაკრატელი), ბუნებისა და გარემოს ცალკეულ წარმომადგენლებს (მზე, მთვარე, ვარსკვლავი, მთა, წყალი, გზა), რელიგიურ სიმბოლოსა და მითოლოგიურ სიუჟეტს (ჯვარი, სიცოცხლის ხე, გველი) და სხვა.

აქარაში გამოვლენილი დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგობანი ქალთა ხელსაქმის ძირძველი ტრადიციების მაჩვენებელია. იგი, ძირითადად, დეკორატიული ფუნქციით შემორჩა. ცალკეულ მათგანში კი საწესჩვეულებო ხასიათი მჟღავნდება. ქსოვილებისა და ნაქარგების შესრულების ტექნიკა მრავალფეროვანია და მათზე მოცემული გამოსახულებები შინაარსით გარემოსა და ეოფაცხოვრებისეულ მხარეებს მოიცავს.

დასახლების ფორმები

სოფ. დარიბანარაული



ნარუხის ალპური დასახლება



ბეშქილის ალპური დასახლება



ყოფილი დასახლება (მთა პერანგა, ჭვანის ხეობა)



კატრიხირის იალები (ბეშუმი. 1987 წ.)



მთა ჯაზიგოლი. ადიგენის რაიონი
(მაჭახლელია დასახლება. 1976 წ.)



სოფელ შუბნის ხაილება. 1975 წ.

ალპური დასახლება (ბეშუმი)

საცხოვრებელი ნაგებობები



ძირთული ჯარგვალი
(სოფ. დანისპარაულის იაილები. ვოდერძის უღელტეხილი)



ძირთული ჯარგვალი. სოფ. ვერნების იაილები
(ხიხაძირის ხეობა. 1975 წ.)



ზედმეტყველი ჯარგვალი (ბეჭედის ბილები)



ხ. ქალაქაძის საცხოვრებელი სახლი
(სოფ. ქალა. ქვეყნის ხეობა)



ჰ. გოგიტაძის საცხოვრებელი სახლი
(სოფ. ქოძინიეკები. შუახევის რაიონი. 1973 წ.)



ლ. ფუტკრაძის ეზოში (სოფ. დღეანი. 1973 წ.)



ვ. ქათამაძის ხეცხოვრებული სახლი
(სოფ. ცხემლისი. ჭკონის ხეობა. 1972 წ.)

საცხოვრებელი სახლის ინტერიერი



ბიქელაძის საცხოვრებელი სახლი (სოფ. ლიმანაური, შუახევის რაიონი)

ლ. ქარცოვაძის საცხოვრებელი სახლი (სოფ. ლიმანაური, შუახევის რაიონი)



ბ. ბოლქვაძის საცხოვრებელი სახლი (ი.ადამიას წყენიდან. 1956



ხოფ. დიდაჭარა. ა. დემეტრაძის საცხოვრებელი სახლი (ი.ადამიას წყენიდან. 1956 წ.)



თინდილაურის ლიბერი ტიპის საცხოვრებელი სახლი (ა. ადამიას წიგნიდან. 1956 წ.)



სოფ. გინოი. ე. ჯაფარიძის ლიბერი და აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლის კომბლექსი (ა. ადამიას წიგნიდან. 1956 წ.)

ქედის რაიონ.



ეპოქის საცხოვრებელი სახლი (სოფ. ზედა ბზუტუნეთი ხელვაჩაურის რაიონი)



ii. ეროშვილიანის საცხოვრებელი სახლი (სოფ. ხელვაჩაური)

ლორთქიფანიძის საცხოვრებელი სახლი (სოფ. აჭარისწყალი. ხელვაჩაურის რაიონი)

კონცელიის საცხოვრებელი სახლი (სოფ. ნაქერალაკი. ქობულეთის რაიონი. 1974 წ.)



ჭადრაკის სახლი „ნინა“ (სოფ. დიდაქარა. აშენებულია 1985 წ.)



შუიცუცხლი (სოფ. ჩაქვისთაკი. ქობულეთის რაიონი. 1973 წ.)



„დათვა-ბოყვა" (ხის საკეტი) (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი. რ. კახიძის საცხოვრებელი სახლიდან. (მაჭახლის ხეობა. 1967 წ.)





საცხოვრებელი სახლის ინტერიერი
(სოფ. წინწყალაშვილები. ღორეულის ხეობა. 1958 წ.)

სამეურნეო ნაგებობანი

ნალოყბი (სახიმანდელები)
(სოფლები: ზედა ჩხეტუნეთი, ჩიქუნეთი – შაჰახლის ხეობა. 1964 წ.)



ტურა ბელელი (სოფ. ზეკარე. ქედის რაიონი. 1972 წ.)

ბელელი (სოფ. ხინო. ქობულეთის რაიონი)

ბელელი (სოფ. ვარეანაული. ქობულეთის რაიონი)



ბუდლის კარები და საკეტი
(სოფ. ბარათაული. ქვაანის ხეობა. 1972 წ.)

მაყაში ჩარჭობილი ხერელიანი ქვის ხვეტი. საკარაუდოდ, სელის ზეთის სახდელი
(სოფ. ზედა თხილკანა. ხიხაძირის ხეობა. 1972 წ.)



საფქვლე ქიდობანი
(სოფ. წაბლანა. შუახევის რაიონი. 1973 წ.)

ფოსქვილები



სოფლებიდან ჩიქუნეთის ზედა ბსუტუნეთი (ბაქანლის ხეობა 1964 წ.)

სოფ. ბაწყვალთა (ხეულის რაიონი. 2002 წ.)

ღობეები



ფიცრული ღობე (სოფ. დიდვაკე. ხინოს ხეობა. 1971 წ.)



წნული ღობე (სოფ. ხუცუბანი. ქობულეთის რაიონი)



სოფ. ღორჯომი. 1959 წ.



სოფ. ზენდიდი. 1959 წ.





შუახევის რაიონი



რკინის დეკორატიული ღობე (სოფ. ხუცუბანი. ქობულეთის რაიონი. 1976 წ.)

წყალმომარაგება







მახარა (სოფ. ყორნაათი. 1959 წ.)



წყარო-შადრევანები
(1,2 – სოფ. ჩიქუნეთი. მაჭახლის ხეობა. 1958 წ. 3 – სოფ. მეძობნა. მერისის ხეობა. 1976 წ.)



წყალგაყვანილობა ხის ღარებით (სოფ. ჟანიკრი. ჭყანის ხეობა. 1958 წ.)



წყალგაყვანილობა ხის ღარებით (სოფ. გეგელიძეები. ქედის რაიონი. 1960 წ.)



წყალგაყვანილობა თიხის მილებით და ქოთნებით
(სოფ. ჭანკაძეები. ქედის რაიონი. 1976 წ.)

სახმელეთო ტრანსპორტი



სელი – გორეა-სრიალის პრინციპზე აგებული შერეული ტრანსპორტის სახეობა
(სოფ. ღორჯომი. 1958 წ.)

ალი ცინცქილაძე ხატრანსპორტო
აღჭურვილობით
(სოფ. წინწყალაშვილები.
ღორჯომის ხეობა. 1959 წ.)





თივის მარხილი
(სოფ. კვიახიძეები. მარეთის ხეობა. 1973 წ.)



ცოგა და უღელი
(სოფ. ლომანაური. მარეთის ხეობა. 1973 წ.)



ცალმარხილა (სოფ. დღვანი. მარეთის ხეობა)
ცოგა (სოფ. ბრილი. ჭყანის ხეობა 1973 წ.)

ტვირთის ვიდოტანი ხარ-ძროხიანი
(ცოტნის ათვლიდან ძიძაურის ათვლაში)





ჭვრის ხეობა. 1969 წ.



ბრტყელძირიანი ნაკეები
ქარადიდი. ქეთრიოის ხეობა. 1877–1878 წ.წ.)

ბრტყელძირიანი ნაკეი
(სოფ. ქარადიდი ქეთრიოის ხეობა. 1957 წ.)



ხამშენებლო მასალის გადაზიდვა ნაოსნობა (ბათუმი. 1930-ანი წლები)

აჭარელი მაშაკაცი (მ. ტილეეს ნახატი)

აჭარელი ქალი
(სოფ. შუბანი. მარეთის ხეობა. 1959 წ.)



გუდიანი შარვალი (დამზადებულია ძატცლის ქსოვილისაგან)
(სოფ. საკეთური. ღორჯომის ხეობა. 1970 წ.)



მამაკაცის ჩოხა და ზუბუნი
(სოფ. საკეთური. ღორჯომის ხეობა. 1970 წ.)



ჩათაკა – ქალ[illegible] ზედა ჩასაცმელი
(სოფ. ღორჯომი. 1970 წ.; ს[illegible]. ქალა. ჭვანის ხეობა. 1972 წ.)



ქალის „ხიხმა“ და ნათეკი
(ხოფ. ცაგვლაძის ქეთინის ხეობა. 1972 წ.)





ტანსაცმლის ამორთულობის ნიმუშები
(ღორეხოთის ხეობა. 1970 წ.)

ქალის წელსაფრები (ზემო აჭარა)









ზემოაჭარული ქალი სამზარეულოში (ნახატი)



სოფ. მარკოიძეები (ღორჯომის ხეობა. 1958 წ.)



სოფ. სტეფანაშვილები (ღორჯომის ხეობა. 1958 წ.)



სოფ. ჭვანა (ჭვანის ხეობა. 1958 წ.)



ბაქლავა



აჭარული ხაჭაპური

ตะไคร้ลวกเกลือ

ยำไก่ย่างสับ



მ. შალაყაშაძის სახლის ხეკუტის ორნამენტი
(სოფ. ჩიქუნეთი. შაჰპარლის ხეობა. 1958 წ.)



შ. შალაყაშის სახლის ორნამენტი
(სოფ. ჩიქუნეთი. შაქახლის ხეობა. 1959 წ.)



ა. დემეტრაძის სახლის ჭერის შემკულობა
(სოფ. დიდაჭარა. 1958 წ.)



სამზითვო ყუთის შემკულობა
(სოფ. ზუდა ჩხუტუნეთის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან)



შ. ეარშალიაშვილის სახლის დიოლაბის
(კარადის) კარის შემკულობა
(სოფ. ხელვაჩაური. 1969 წ.)

ხიფ. ჩიქუნეთის მეჩეთის შეკეთება (მაჯახლის ხეობა. 1958 წ.)
1973 წელს მეჩეთი ვადატარნილ იქნა თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში.







სოფ. ვარჯანაულის მეჩეთის შემკულობა (ჭვანის ხეობა. 1960 წ.)



სოფ. ვარჯანაულის მეჩეთის სვეტების შემკულობა



სოფ. ვარჯანაულის მეჩეთის შადრევნის ჭერის შემკულობა



ვარჯანული – სოფ. ჭახათის მეჩეთის ინტერიერის
შემკულობა (ქობულეთის რაიონი. 1960 წ.)



სოფ. ბახილაიძეების მეჩეთის
ინტერიერის შემკულობა
(ხულოს რაიონი. 1958 წ.)



სოფ. დარჩიძეების
კოქის შემკულობ
(ხულოს რაიონი. 1958



სოფ. ჭახათის მეჩეთის შემკულობის ფრაგმენტი
(ქობულეთის რაიონი. 19 ჯ.)



სოფ. დარჩიძეების მეჩეთის
ინტერიერის შემკულობა
(ხულოს რაიონი. 1958 წ.)

სოფ. შუბნის მეჩეთის ინტერიერის
შემკულობის ფრაგმენტი
(შუახევის რაიონი. 1958 წ.)





სოფ. დიდაქარის მეჩეთის ინტერიერის და კარის შეკეთება 2002 წ.

როზეტი ჯაჭვის ჯიშისახულებით
(სოფ. ოხილვანა. ხიხაძირის ხეობა).
ი. ადაშაის წყაროს მახედვით





სოფ. ხიხაძირის მეჩეთის შეკეთების ფრაგმენტი
(წნული ორნამენტი). 1070 წ.

სოფ. ბარათაულის მეჩეთის კარის შეკეთება
(ჭკანის ხეობა). 1972 წ.





ხომალდსა და სამანდის მკვლარის გამოსახულება (სოფ. ღორგოლის მეწყეის ინტერიერი)
შესრულებულია ღაბი ოსტატების მიერ.

ქვის ბუხრების შემკულობა



ძარღოთის საცხოვრებელი სახლის ბუხარი
(სოფ. საკინერი. ღორჯომის ხეობა. 1959 წ.)

სოფ. გეგეკლიძეები. 1959 წ.



სოფ. სიხალიძეები (მერისის ხეობა. 1960 წ.)





რ. კახიძისა და ი. კახიძის საცხოვრებელი სახლების ბუხრები
(სოფ. ზედა ჩხუტუნეთი. მაჭახლის ხეობა. 1958 წ.)



ქრელი (ორნამენტალური) წინდები და ხელთათმანები (ლორჯომის ხეობა)

ქარგვის ნიმუშები (ლორჯომის ხეობა)



ჩელნინთა და ფარდაგები (ლორჯოის ხეობა)



აკვანი და აკვნის არტახები (ვოდერის უღელტეხილი)



შახარიაბლის ბალიშები (ლორჯოის ხეობა)

თავი VII

სულიერი კულტურა

§1. ხალხური დღესასწაულები

შუამთობა. ქართველმა ხალხმა ბევრი საერთო-ეროვნული თუ რეგიონალური დღეობა-დღესასწაული შექმნა. ტრადიციულის გარდა, უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ასალი სასალხო დღესასწაულებიც დამკვიდრდა.

უძველესი ხალხური დღესასწაულებიდან აჭარაში შედარებით სრული სახით მხოლოდ შუამთობა შემორჩა. ზოგიერთი სხვა ძველი დღესასწაულის არსებობის კვალი მხოლოდ მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა და რიტუალებმა შემოგვინახა.

შუამთობა უძველესი ხალხური კალენდარული დღესასწაულია, რომელსაც ტრადიციულად აჭარის მთის ზონის (ხულოსა და შუახევის რაიონები) მოსახლეობა აღნიშნავდა. 1970-იანი წლების ბოლოდან დღემდე იგი განახლებული სახით ტარდება. ამაეე წლებიდან დაწყებული მის გვერდით ახალი სახალხო დღესასწაულებიც დამკვიდრდა. ასეთებია: ტბულობა, კოლხობა, მაჭახლობა, მარეთობა, სელიმობა, გომარდულობა, მერისობა და სხვ.

შუამთობა ალპურ სეზონურ სამეურნეო ცხოვრებას, პირველ რიგში, მესაქონლეობას უკავშირდება და იგი ძირითადად მესაქონლე-მიწათმოქმედთა ტრადიციული დღესასწაულია.[1] შუამთობა ტარდებოდა საფხულობით (ივლისის ბოლო – აგვისტოს დამდეგი) მინდვრის სამუშაოთა (გარდა თიბვისა) დამთავრების შემდეგ. ამ დროს ბარში, ანუ სოფლად დარჩენილი თითქმის მთელი მოსახლეობა (ღრმად მოხუცებულთა და ჩვილბავშვიანი დედების გამოკლებით) მიდიოდა მთაში და იქ მემთვალრ-მესაქონლეებთან ერთად აწყობდა გართობა-სანახაობას, რაც შუამთობის დღესასწაულის საყოველთაო ხასიათზე მიუთითებს. დღესასწაული სამი დღიდან ერთ კვირამდე გრძელდებოდა. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილენი ბარში ბრუნდებოდნენ და თიბვას შეუდგებოდნენ. თივის მარაგის გარეშე ზემო აჭარელს არ შეეძლო საქონლის გამოზამთრება. მთაში მხოლოდ საქონლის მომვლელი – მემთვალრე რჩებოდა.

აჭარის სხვა რაიონების (ხელვაჩაური, ქობულეთი) მოსახლეობაში შუამთობის ტრადიციები არსად დასტურდება, გარდა დანდალოს ზონისა (ქედის რაიონი), რომელიც ისტორიულად ზემო და ქვემო აჭარის საზღვარს წარმოადგენდა.[2] აქაური მოსახლეობის ნაწილიც მესხეთელი ზემო აჭარის ალპური საძოვრებით სარგებლობდა და ბუნებრივია, შუამთობის დღესასწაულშიც მონაწილეობდა.

---

[1] ვ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1979, გვ. 17; ნ.კახიძე. ეთნოგრაფია და ფოლკლორი ძველი და ახალი ტრადიციების შესწავლის სამსახურში. – სდსყკ, VI, თბ., 1978, გვ. 6-9; ზ.თანდილავა. შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი. თბ., 1980, გვ. 8; თ.ფუტკარაძე. ნ.ფუტკარაძე. სახალხო დღესასწაული ღორჯომის ხეობაში.-სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებული. ბათუმი, 2004.

[2] ქართული სამართლის ძეგლები. III. თბ., 1970, გვ. 245.

შუამთობის დღესასწაული ზემო აჭარის უკლებლივ ყველა ხეობასა თუ სოფელში ტარდებოდა, მაგრამ განსაკუთრებული ტრადიციულობითა და მრავალფეროვნებით ღორჯომის, ხიხაძირის, ჭვანის, მარითის ხეობები გამოირჩეოდა. ყველაზე ხალხმრავალი შუამთობა იმაროულობდა გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიმდებარე ალპური დასახლებისა და ღორჯომის ხეობის მთა-საძოვრების ზონაში.

აჭარის გარდა, შუამთობის ტრადიციები შემორჩენილია ხოტსა და ჩხაკერაში, სადაც ზემო აჭარიდან (უმთავრესად ღორჯომის ხეობიდან) გადასახლებულები ცხოვრობენ. მათ ეს დღესასწაული ახალ სამოსახლო ადგილას ფუძესოფლებიდან გადაიტანეს და დღემდე შემოინახეს.[3] შუამთობის ტრადიციები შეინარჩუნეს აჭარიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებმა.[4] აჭარის მეზობელი რეგიონებიდან შუამთობის მსგავსი დღესასწაულის არსებობა დასტურდება შავშეთ-იმერხევში,[5] სამცხეში.[6]

ირკვევა, რომ შუამთობა ტრადიციულად ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისათვის დამახასიათებელ დღესასწაულს უნდა წარმოადგენდეს.[7] აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესასწაულმა მეტი მრავალფეროვნება და სპეციფიკური სახე შეინარჩუნა.

შუამთობის დღესასწაული ალპურ საძოვრებზე მესაქონლეთა ყოფნის შუა პერიოდს უკავშირდება (იელისის დამლევი – აგვისტოს დამდეგი). აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც. ხანდაზმულ მთხრობელთა გადმოცემით (ღორჯომი, დიაკონიძეები, რაყეთი და სხვა სოფლები), მისი თავდაპირველი სახელწოდება „მემხლიანობა" ყოფილა. დღესასწაულზე წასვლასაც „მემხლიანად წასვლას" ეძახდნენ.

მემხლიანი მხოლოდ დღესასწაულზე წამსვლელს ეწოდებოდა. სხვა "მემთხვევაში "მოაზე წამსვლელ ქალს მემხლიანს არ ეტყოდნენ". არც მამაკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო მემხლიანი. ღორჯომელთა გადმოცემით, მემხლიანი ძირითადად ქალი იყო და მემხლიანად წასვლის საკითხსაც ქალები წყვეტდნენ.[8] მემხლიანი ქალები შუამთობაზე აუცილებლად ცხენებით უნდა გამგზავრებულიყვნენ, ფეხით წასვლა „სირცხვილად ითვლებოდა". ეს მომენტი შუამთობისადმი მიძღვნილ ლექსშიც აისახა: „მზე ამოვა და ქვეყანას ეფინება მზისა თვალი, მორთული და მოკაზმული ცხენზე ჯდება ყველა ქალი".[9] როგორც მემხლიანი ქალები, ისე მათი ცხენები, ლაზათიანად მორთულ-მოკაზმული იყო. საერთოდ, სემიაჭარელი ქალის სადღესასწაულო და ყოველდღიურ ჩასაცმელში წითელი და მწვანე ფერი ჭარბობდა. ერთ-ერთი ასეთი იყო მოსასხამი ჩათხი, რომელსაც სპეციალურად ქსოვდნენ წითელ-ყვითელი და მწვანე ფერებით შეღებილი მატყლისაგან.[10] ცხენებზე ამხედრებულ ქალებს იაილებამდე ასევე ცხენებზე მჯდომი ან ქვეითად მიმავალი მამაკაცები მიაცილებდნენ, რომელთა შორის იყვნენ შეიარაღებული პირები და ღოლ-აკორდეონზე თუ ჩონგურ-ჭიბინზე დამკერელები. ამგვარად, შუამთობაზე წასვლა კოლექტიურ ხასიათს აჭარებ-

---

[3] ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[4] შ.უტკარაძე. ზგენებურების ქართული. ბათუმი, 1993, გვ. 57, 60.

[5] Марр Н.Я. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. СПБ., 1911, с. 45; შ.უ უტკარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

[6] თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობა მესხეთში.- მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1972, გვ. 52.

[7] ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[8] ნ.კახიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8.

[9] ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 7 (ლექსი ჩაწერილია სოფ. ზოტში ჩასახლებულ აჭარლებში).

[10] ნ. ზარის ცნობით, ანალოგიური წითელი ფერის მოსასხამი შედიოდა შუამთობაზე მიმავალი შავშეთელი ქალის მორთულობაში, რაც მცხუნვარე მზის საწინააღმდეგო ფუნქციასაც ასრულებდა (Марр Н.Я., დასახ. ნაშრომი, გვ. 45).

და – ერთი ან მეზობელი სოფლების, რიგ შემთხვევაში, ერთი ხეობის მოსახლეობა ერთად მიემგზავრებოდა და დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ასევე ერთად ბრუნდებოდა.

შუამთობაზე მიმავალნი წყაროს წყლებთან ისვენებდნენ, სადაც ცეკვა-თამაშითა და თოფის სროლით ერთობოდნენ. ეს პროცესი აქტიურ ხასიათს ღებულობდა იაილებთან მიახლოებისას. მოიალაღე-მემთეურთან შეხვედრას თან ახლდა საერთო მხიარულება, რაც გვიან ღამემდე გრძელდებოდა.[11]

ბარელს მემთეურისათვის სადღესასწაულო საჩუქრებიც მიჰქონდა (სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი ნამცხვრები და ხილი), რასაც ღორჯომში ძღვენს ეძახდნენ. შეძლებული ოჯახების საჩუქრებში ჩასაცმელიც შედიოდა. მემთეურიც, თავის მხრივ, ბარელს საგანგებო შეხვედრას უწყობდა და საუკეთესო კერძებით (ნადები, ბორანო, ხაციწი, მაწონი და სხვა) უმასპინძლდებოდა. ბარელი მემთეურს სოფლად სხვადასხვა საშუშაოს მიმდინარეობაზე მოუთხრობდა, მემთეური კი ბარელის წინაშე მთაში საქონლის მოვლა-პატრონობითა და რძის პროდუქტების სიუხვით იწონებდა თავს. რძის პროდუქტებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ზემოაჭარელთა საოჯახო ყოფაში.[12]

შუამთობა გართობა-სანახაობითი დღესასწაული იყო. ცეკვა-თამაში, სიმღერები, გაშაირება, პოეტური იმპროვიზაცია, სპორტული შეჯიბრები დღესასწაულის არსებით და აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდა.

დღესასწაულის მუსიკალური რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო. სიმღერებიდან სრულდებოდა ეოდელია, ეოსა. ღედოფლის სიმღერა, შუდაკაკა, აბადელია. ნაქურა, ხასანბეგურა და ა.შ. საცეკვაო რეპერტუარში შედიოდა ხორუმი, ოსეთინანა, განდაგანა. შუხდიმილაი, ქალური, ლეკური, ბადდადური, ქურთბარი, შამილი, ყარაბაღი, ყოლსამა და სხვ. ცეკვაობდა ყველა – ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ახალგაზრდა და მოხუცი. ცეკვაობდნენ ჯგუფურად და ინდივიდუალურად. ცეკვა-თამაშს განსაკუთრებულ იერს აძლევდა ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ქალების მონაწილეობა. საფერხულო ცეკვებში აქტიურობით გამოირჩეოდნენ მესაქონლე ქურთი ქალები და მამაკაცები. ეს ის მესაქონლე მომთაბარეები იყვნენ, რომლებიც, ხემშილებთან ერთად, დეპორტაციამდე (1944 წ.) კახაბრის ველზე ცხოვრობდნენ და ზაფხულობით აჭარის ალპური საძოვრებით სარგებლობდნენ. მართალია, ქურთებსა და ხემშილებს შუამთობის ტრადიციები არ გააჩნდათ. მაგრამ სადღესასწაულო დღეებში ისინი პასიური მაყურებლის როლში არ რჩებოდნენ და აჭარელ მესაქონლეებთან ერთად დღესასწაულშიც მონაწილეობდნენ.[13]

შუამთობის მუსიკალური დამამშვენებელი დოლ-აკორდეონისა, ჩონგურთან და ქამანჩასაზთან ერთად ჭიბონი იყო. მის ფართო პოპულარობაზე აჭარაში ისიც მიუთითებს, რომ 1960-იანი წლებისათვის ზემო აჭარაში 50-ზე მეტი მეჭიბონე ითვლებოდა. პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ცნობილი მეჭიბონეები – ეფეპემ სურმანიძე ს.კეკატიიდან (ხიხაძირის ხეობა), შამილ გიერაძე ს. ქედლებიდან და სხვები, რომლებსაც XX საუკუნის 40-იან წლებამდე ხშირად იწვევდნენ შუამთობასა თუ ქორწილებში.[14]

ცეკვა-თამაშითა და სიმღერებით შუამთობის მონაწილეები ჯგუფ-ჯგუფად მთებსა და იარაღებს მოიელიდნენ და სადამოობით თავიანთ იაილებში ბრუნდებოდნენ. მათ ხალისიანი განწყობილება შეჰქონდათ მთის ცხოვრებაში.

---

11 ვ. შამილაძე. მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი. თბ., 1964, გვ. 274.

12 ნ.ახალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

13 ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

14 ალ. მსხალაძე. ქართული საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან. თბ., 1969, გვ. 26-30.

შუამთობაზე პიპულარობით სარგებლობდა სახუმარო ცეკვა – ფადიკო, რომელიც საქორწილო ცეკვების რეპერტუარშიც შედიოდა. ეს იყო საგანგებოდ, ქალურად მორთულ-ნაცმული და ფალოსის სიმბოლური გამოსახულებით შემკული ორი მამაკაცის ცეკვა, რომლებიც რიგრიგობით ასრულებდნენ მამაკაცურად ნაცმული ქალის დაუფლების იმიტაციას. ზოგ შემთხვევაში ამ სახუმარო ცეკვაში ქალურად ნაცმული მამაკაცი და კაცურად ნაცმული ქალი მონაწილეობდა. ორივე შემთხვევაში ცეკვის პროცესი როკვა-თამაშობების ელემენტებს შეიცავდა და თავისი ფუნქციებით შუამთობის (მემხლეობის) არქაულ ტრადიციებთან ნაწს დაკავშირებული.[15] ფადიკოს, როგორც ქალ-ყაყის სატრფიალო იუმორით შეზავებული ცეკვის ფორმალურ-შინაარსობრივი დეტალები დამახასიათებელი იყო შინაარსითა და ფორმით ახლოს მდგომ ისეთ ცეკვებთან, როგორიცაა ყოლსამა, ქონგური და ოჭოინანა. ეს ცეკვები, ხალხური გააზრებით, განდაგანას ადრეულ სახეობებადაა მიჩნეული.[16] თვით ცეკვა ფათიკოს (იგივე ფადიკო) სპეციალისტები შეილიერების მფარველი ღვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთად თვლიან.[17] გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ფათიკო და მისი მსგავსი ცეკვები, რომლებიც შუამთობისას სრულდებოდა, შეილიერება-ნაყოფიერებისა და სხვა რიტუალების შემცველ დღეობა-დღესასწაულების (ბერიკაობა-ყვენობის) ელემენტებსაც შეიცავდა.[18] ამდენად, შუამთობაზე შესრულებული ცეკვები ამ დღესასწაულის არქაულობაზე მიუთითებს და იგი მისი გენეზისის შესწავლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მარიოის ხეობაში შუამთობის კულმინაციად ითვლებოდა ცეკვა „მემთევრეული", რომელშიც სამოცდაათ წელს მიღწეული ქალები ტოლს არ უდებდნენ ახალგაზრდებს.[19] ცეკვას წინ უსწრებდა დამხედური, ანუ მემთევრი ქალებისა და ბარიდან (სოფლიდან) ასულთა გაშაირება.

შუამთობის დღესასწაულის მეორე მნიშვნელოვან მხარეს შეადგენდა შეჯიბრებები ლექსების, შაირების, გამოცანებისა და ანდაზების თქმაში. შაირებსა და ლექსებში, ცეკვების მსგავსად, უმთავრესად გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ. შეჯიბრი ხშირად მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით სრულდებოდა.[20]

შუამთობის სხვა არსებით მხარეს შეადგენდა სპორტული სანახაობანი – ხალხური თამაშობები და ჭიდაობა, დოღი, ბუღა-ხარებისა და ხარ-კამეჩების, ყორეებისა და, იშვიათად, ვაცების ჭიდაობა. გოლერძისა და ბეშუმის მიდამოებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ერთი მხრივ – აჭარელი, მეორე მხრივ, აჭარელი და მესობელი სამცხის რაიონებიდან (ახალციხე, ადიგენი) სპეციალურად მოსული მოჭიდავეები. გამარჯვებულს წინასწარ დათქმული სანაძლეო (საშუქარი) ეძლეოდა (ფული ან ცხვარი, უმთავრესად ეოჩი).[21]

შუამთობის ერთ-ერთი მთავარი განუყრელი და ტრადიციული ატრიბუტი იყო "სარძლის გამორჩევის", დანიშნული სარძლის, აგრეთვე ახლად მოყვანილი პატარძლის ან სახიძის მთაში (იაილებში) ურთიერთმიპატიჟება-გადაპატიჟების წესი. შუამთობა ბევრი ქალისა და ვაჟის ოჯახურ ბედნიერების საფუძველი გამხდარა.

---

15 იქვე, გვ. 26.

16 იქვე, გვ. 30.

17 დ.ჯანელიძე. ქართული თეატრის ხალხური საწყისები. თბ., 1948, გვ. 110.

18 ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

19 ე. დავითაძე. სოფლის ალმაშენებელი. თბ., 1992, გვ. 169.

20 ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

21 ნ.კახიძე. აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის სამეურნეო და კულტურული ურთიერთობიდან.-გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1990, 15 მარტი.

შუამთობაზე საპატარძლო საგანგებოდ მოკაზმული და აუცილებლად თეთრი ცხენით სასიძოს ოჯახის რომელიმე წევრს, პირველ რიგში, მომავალ მაზლს ან სამამამთილოს უნდა წაეყვანა. ცხენი სასიძოს ოჯახისა უნდა ყოფილიყო. საპატარძლოს აცილებდნენ დედა და ახლობელი ქალები. იგი ჯერ თავისი მშობლების იაილაში მიყავდათ, შემდეგ კი ხდებოდა მისი გადაპატიჟება სასიძოს იაილაში, სადაც იგი საღამომდე რჩებოდა. შემდეგ კი მამისეულ იაილაში ბრუნდებოდა. ფიქსირებულია საცოლის ოჯახის იაილაში სასიძოს გადაპატიჟების წესიც. ორივე შემთხვევაში იმართებოდა ცეკვა-თამაში, რომელშიც სარძლოსა და სასიძოს ოჯახის წევრებთან ერთად მათი ახლობლებიც მონაწილეობდნენ.

დღესასწაულის დამთავრების შემდეგ საპატარძლო და მისი თანმხლებნი ბარში (სოფლად) ისევე წამყვანის უნდა დაებრუნებინა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუამთობის დღესასწაულზე საპატარძლოს მიპატიჟებისა და შინ დაბრუნების წესთან დაკავშირებული მომენტები – საპატარძლოსათვის ცხენის მიგვრა სასიძოს მხრიდან, სამამამთილოსა და მაზლის ქვეითად გაძღოლა – საქორწინო წეს-ჩვეულებებს ემსგავსება და მასში ქორწილის ინსცენირების ფაქტი უნდა დავინახოთ.[22] ეთნოგრაფიულად შუამთობაზე ანუ მთაში XX ს. 80-იან წლებამდე ქორწილის გადახდის ტრადიცია არ დასტურდება. ამჟამად არც ერთი შუამთობა ისე არ ჩაივლის, რომ ახლად დანიშნული წყვილის ჩვეულებრივი ქორწილი არ გაიმართოს.

შუამთობის შესახებ არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დღესასწაული თავდაპირველი ბუნებით რელიგიური ხასიათი-საც უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს დღესასწაულის დროს გამართული გუნდური ცეკვებისა და სხვა რიტუალების ჩასატარებლად იაილების სიახლოვეს სპეციალურად გამოყოფილი ადგილების შეურჩევა, რომლებიც, ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით, წმინდა ადგილებად მიიჩნევა. ამასთან, საყურადღებოა შუამთობასთან დაკავშირებული ზიარეთის მოწყობის წეს-ჩვეულებაც, რომლის დროსაც მისი მონაწილენი განკურნებისა და შვილსახობა-განაყოფიერების მიზნით წმინდა ტბებში ბანაობდნენ.[23] არსებობს სხვა მოსაზრებაც. დღესასწაულისათვის დამახასიათებელი ისეთი გუნდური ცეკვები, როგორიცაა „ფათიკო" (ქალურად ჩაცმული მამაკაცისა და მამაკაცურად ჩაცმული ქალის ცეკვა), „ბანდაგანა", „ოპოინანა" და სხვ. ფორმისა და შინაარსის მიხედვით, ემსგავსებიან „ბერიკაობა-ყეენობასა" და სვანურ „მურყამობას", „მელია ტელეფიანა" თუ სხვა მისთანა წეს-ჩვეულებებს, რომლებიც დაკავშირებულია შეილიერება-ნაყოფიერებასთან, ბუნების აღორძინებასა და ჭირნახულის სიუხვესთან.[24] საგანგებოდ მიუთითებენ ცეკვა „ბანდაგანაზე", რომელიც ზემო აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია წარმოქმნილი და პირველ რიგში საკულტო რიტუალებზე აღმოცენებული საწესო ცეკვაა. თავისი წინამორბედი როკვა-თამაშებით იგი გენეტიკურ კავშირშია ნაყოფიერების კულტთან.[25]

ასევე უნდა ითქვას შუამთობის სადღესასწაულო რეპერტუარში ფიქსირებული ხალხური დრამის ისეთ სახეზე, რომელიც სხალთის ხეობაში ცნობილია „აქლემის შეკაზმვის" სახელწოდებით. იგი დღესასწაულის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო რიტუალს წარმოადგენდა. „აქლემის შეკაზმვას" პარალელები ეძებნება საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ და იოანე ბაგრატიონის „ალმასობაში" მოხსენიებულ „აქლემკაცობასთან" და „ცხენკაცობასთან", რომლებიც ბერიკაობა-ყეენობის ტრადიციული აგრარუ-

22 ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

23 ვ. შამილაძე. დასახ. დისერტაცია, გვ. 275-276.

24 ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 32.

25 იქვე, გვ. 32.

ლი დღესასწაულის ეპიზოდებს შეიცავს. იოანე ბაგრატიონის აზრით, ეს დღესასწაულები წარმარ-თობის დროინდელია.[26]

შუამთობის მასობრივ სანახაობებსა და წეს-ჩვეულებებში მაგიურ ფუნქციათა სიმბოლური ნაკვალევიც ამოიკითხება. ასე. მაგალითად, მარიობის ხეობის სოფელ უჩამბაში რიყორც ლაზარობის, ასევე შუამთობის დროს ხანში შესული სოფლის ქალები (იშვიათად — მამაკაცებიც) ღობას მთაზე ადიოდნენ, სადაც ეგულებოდათ წმინდანთა საფლავები და სათანადო ლოცვების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.[27] ანალოგიური წეს-ჩვეულებანი სრულდებოდა ჭკარის ხეობის სათაეკებში განლაგებულ საძოვრებზე, სადაც წმინდანთა სახელთან დაკავშირებულ საფლავებთან და ტბასთან ერთად საკულტო „ქვაკაცებიც" არსებობდა. ბორწმუნენი აქ დიდი გვალვების დროსაც ადიოდნენ და წვიმის გამოწვევის მიზნით შესაწირავს (ცხვარი ან ხარი) კლავდნენ.[28]

შუამთობის რიტუალში დასტურდება აგრეთვე ლაზარობასთან დაკავშირებული სხვა ელემენტების შესრულებაც, რასაც ზეიმის ხასიათი ეძლეოდა და მიზნად ისახავდა ასევე სასურველი ამინდის გამოწვევას (წვიმა, მზიანი დარი).

ამრიგად, შუამთობის ადრეულ ეტაპზე რელიგიურსაკულტო რიტუალებიც სრულდებოდა და მისი ძირითადი არსიც ნაყოფიერების კულტს უკავშირდებოდა. დროთა განმავლობაში შუამთობას რელიგიური დანაშრევები ჩამოსცილდა და სადღეისოდ წმინდა სამოქალაქო დღესასწაულად მოგვეელინა. მან სრულიად ახალებური სახე მიიღო და აჭარის მთის მოსახლეობის გართობა-დასვენებისა და თავისუფალი დროის გონიერული გამოყენების საშუალებად იქცა.

შუამთობას მთელი აჭარის მოსახლეობა დღესასწაულობს. მათ დიდ ნაწილს ბეშუმის, გოდერძის უღელტეხილისა და აჭარის სხვა მთა-აგარაკების დამსვენებლები შეადგენენ. შუამთობას დიდძალი სტუმარი პყავს საქართველოს სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან, აგრეთვე უცხოეთიდან. პირველ რიგში — თურქეთში მცხოვრები ქართველებიდან, რომელთა შორის არიან აჭარიდან წასულთა (მუჰაჯირთა) შთამომავლები. ადრე შუამთობის სახალხო დღესასწაულის ეპიცენტრი იყო გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მთა-აგარაკები და საკურორტო ზონა. შემდგომ შუამთობის გავრცელების არე გაფართოვდა. იგი დღეს ხალხმრავლობით ტარდება აჭარის ალპური ზონის თითქმის ყველა საზაფხულო დასახლებაში. ერთ-ერთი მათგანია ჩუდურავალი, რომელიც ტერიტორიულად ეკუთვნის ღორჯომის ხეობის სოფელ მეკეიძეებს. აქ ადრე ნასოფლარი ყოფილა და მას თავისი ქრისტიანული სამლოცველოც ჰქონდა. ახლა აქ მეკეიძეებელთა ოკვდაათამდე მთის სახლი (იაილა) დგას. ჩუდურავლებმა გადაწყვიტეს ცალკე ჩაეტარებინათ შუამთობა და დღესასწაულსაც „ჩუდურავლობა" შეარქვეს. ჩუდურავლობა შუამთობის საერთო სახალხო დღესასწაულზე რამდენიმე დღით ადრე ტარდება და მთლიანად შუამთობის საერთო დღესასწაულის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს.

ტბელობა. დღესასწაული 1979 წლიდან ტარდება სხალთა-ხიხაძირის ხეობაში. იგი დაკავშირებულია აქაური მკვიდრის, XIII საუკუნის მწერლის, მეცნიერისა და მიაზრეოვრის, საერო და სასულიერო მოღვაწის, ენციკლოპედიურად განსწავლული აბუსერისძე ტბელის სახელთან. ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის დახასიათებით, მან დიდი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების ქართული კულტურის, მეცნიერებისა და სასულიერო მწერლობის განვითარებაში, იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების შესწავლაში.[29]

---

26 იქვე, გვ. 36-40.

27 ზ.თანდილავა. წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი. ბათუმი, 1966, გვ. 68.

28 იქვე, გვ. 45.

29 ივ. ჯავახიშვილი. აბუსერისძე ტბელი, — თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VIII. თბ., 1977, გვ. 242-243; კ.კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, 1980, გვ. 330-331.

ტბელლობის სახალხო დღესასწაულის ჩატარების იდეა პირველად გაჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, როდესაც დაისვა საკითხი აჭარაში მივიწყებული ტრადიციული დღესასწაულების აღდგენისა და ახალი სახალხო დღესასწაულების დაწესების შესახებ.[30] მაგრამ ეს იდეა მაშინ სათანადოდ ვერ გაიღერდა და საზოგადოებრიობის ყურადღების გარეშე დარჩა. ტბელლობის დღესასწაულის დაწესების საკითხი ოფიციალურად დაისვა აჭარის ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ და მალე დადებითად გადაწყდა.

ტბელლობის პირველი დღესასწაული 1979 წლის 13 სექტემბერს ჩატარდა და ამიერიდან იგი რამდენიმე წლის მანძილზე ზედიზედ აღინიშნებოდა და საყოველთაო სახალხო დღესასწაულის ხასიათს ატარებდა. მან მოიცვა არა მარტო მშობლიური სხალთა-ხიხაძირის ხეობა, არამედ მთელი აჭარა და მისი მეზობელი კუთხეები. 90-იან წლებში ტბელლობისადმი ინტერესი შექმნილი მდგომარეობის გამო რამდენადმე შენელდა. მას შემდეგ, რაც აბუსერისძე ტბელი საქართველოს სხვა სასულიერო და საერო მოღვაწეებთან (პეტრე, სამუელ და მელიქესედეკ) კათალიკოსები, ზოსიმე ეპისკოპოსი, გრიგოლ ხანძთელი, მღვდელ-მონაზონი თეოდორე აჭარელი, ილარიონ მთაწმინდელი, ექვთიმე თაყაიშვილი, მღვდელთმოწამე კირიონ მეორე) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით (2002 წლის 17 ოქტომბერი) წმინდანად იქნა შერაცხული,[31] ტბელლობის დღესასწაულმა ახალი შინაარსი შეიძინა.

ტბელლობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2006 წელი, როდესაც ტბელლობის ჩატარება დაუკავშირდა ტბელ აბუსერისძის ხსენების დღეს. დღესასწაულმაც შემოდგომიდან ზაფხულში გადმოინაცვლა. ეს ინიციატივა ეკუთვნის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დეპარტამენტს.[32] 2006 წელს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ბათუმ-სხალთის ეპარქიის წარმომადგენლები ხიხანის ციხესიმაგრეს ეწვივნენ. ეპარქიის დასმა ხიხანის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებზე დაასვენა წმ. ტბელ აბუსერისძის ხატი, ხოლო ციხესიმაგრის ქიმზე აღმართა და აკურთხა ჯვარი. ჩატარდა წირვა ბათუმ-სხალთის ეპარქიის მთავარ-ეპისკოპოსის დიმიტრის ლოცვა-კურთხევით. კიდევ უფრო გამორჩეული იყო 2007 წლის ტბელობა. ერთდროული წირვა აღესრულა სხალთის საკათედრო ტაძრისა და თხილვანის იოანე მახარობლის ნასაყდრალზე (ეარაუდობენ რომ აქ უნდა განისვენებდეს წმ. ტბელ აბუსერისძე). საკათედრო ტაძარში წირვა სხალთის ეპარქიის მღვდელმთავარმა მეუფე სპირიდონმა აღავლინა.[33]

ტბელლობის სახალხო დღესასწაულის დღეს ზეიმის მონაწილენი პირველად სხალთის დიდებულ ტაძარს სტუმრობენ, შემდეგ მიემართებიან თხილვანა-ხიხაძირისაკენ და გზად სხალთა-ხიხაძირის ხეობის წარსულს ეცნობიან. ეს წარსული ჩაქსოვილია ხეობაში მრავალად გაფანტულ ეკლესია-მონასტრებსა და ციხე-კოშკებში, ნასოფლარებსა და სხვა არქეოლოგიურ ძეგლებში. დასკვნითი ხალხმრავალი საზეიმო ღონისძიებები თხილვანა-ხიხაძირში ტარდება. მასში მონაწილეობენ საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, პოეტები, სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლები. ამ დროს ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, ხელმარჯვე ოსტატთა ნამუშევრების გამოფენები.

---

30 ნ.ალიძე. ეთნოგრაფია და ფოლკლორი ძველი და ახალი ტრადიციების შესწავლის საკითხურში. გვ. 14.

31 საპატრიარქოს უწყებანი. 2002, №43, გვ. 5-6.

32 გ.ბახტაძე. ტბელობა-2007. გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტი". 2007, №6.

33 იქვე; ო. ცინარიძე. სახალხო დღესასწაული ტბელობა-2007. გაზ. „აჭარა". 2007, №124.

ტბელობის საიუბილეო სადღესასწაულო დღეებში სასწაველო და სამეცნიერო დაწესებულებებში იმართება სამეცნიერო და სხვა სახის შეხვედრები, სკოლებში ტარდება ტბელის გაკვეთილები. 1998 წელს მთელი აჭარის მასშტაბით ჩატარდა ტბელის დაბადების 800 წლისთავის იუბილე. 2008 წლის ოქტომბერში საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისა და სხალთის ეპარქიის თაოსნობით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ტბელობა". კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, სასულიერო მოღვაწეებმა, სასოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.[34] ტბელობის დღესასწაული ყოველწლიურად იხეიმება და სრულყოფილი ხდება. ის ახალი ქართული სახალხო დღესასწაულების მნიშვნელოვანი შენაძენია და არა მარტო ტბელ აბუსერისძის ხსენების დღე, არამედ შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა ბრწყინვალე დემონსტრაციაც.

კოლხობა. 1978 წელს სოფელ სარფის მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით აღადგინა მივიწყებული დღესასწაული და მას კოლხობა უწოდა. ამიერიდან იგი ყოველწლიურად იმართება სოფელ სარფში.

„კოლხობა" ახალი სახელწოდებაა ლაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბუნდოვნად მეგონახული ერთი ძირძველი დღესასწაულისა, რომელიც თავისი შინაარსით ზღვას, ზღვის კულტს უკავშირდება.[35] ნ. მარი, რომელმაც ლაზური (ჭანური) ენის მეცნიერული შესწავლის მიზნით 1910 წელს სპეციალურად იმოგზაურა ლაზეთში, წერდა: წარმართობისა და ქრისტიანობის დროიდან მომდინარეობს ერთი მომაკედავი ლაზური დღესასწაული, რომელიც ლაზეთის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს ტარდება. სოფელი ლაზები იკრიბებიან ზღვისპირზე და ბანაობენ. ამ ჩვეულებას განსაკუთრებით ქალები იცავდნენ. მთხრობელთა ინფორმაციის საფუძველზე ნ. მარი იუწყებოდა, რომ ლაზეთის ზოგიერთ კუთხეში, კერძოდ, ხოფა-სარფის ზონაში, ეს დღეობა-დღესასწაული ძ. სტილით 7 აგვისტოს იმართებოდა.[36]

ზღვაში მასობრივი ბანაობის ტრადიცია სარფში XX საუკუნის 20-იან წლებშიც სრულდებოდა და აქაც განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ. მაგრამ შემდეგ იგი თანდათან დავიწყებას მიეცა და არც დღესასწაულის სახელწოდებისა და არც მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ რაიმე ცნობა არ დარჩენილა. სარფელ ლაზ ხანდაზმულთა ცნობებით მხოლოდ ის გაირკვა, რომ დღეს, რომელსაც ნ. მარი „ლაზური მომაკედავი დღესასწაულის" სახელწოდებით მოიხსენიებდა, ეწოდებოდა „ზღვაში ბანაობა" („მზოდას ინჩგუში") თუ "ზღვის დღე" ("მზოდას დდა"). ეს დღე ლაზ მებადურ-მეზღვაურთა დღესასწაულიც იყო. სარფელმა ახალგაზრდობამ, ინტელიგენციამ „ზღვის დღე" რატომღაც თანამედროვე პერიოდში გაუმართლებლად ჩათვალა და მას „ქეაომხაზობა" („ქეაომხაზი") უწოდა. ამ სახელითაა ცნობილი სარფის შესასვლელთან ზღვის სანაპიროზე არსებული ქვის დიდი ლოდი, რომლის ზედაპირზე იკრიბებოდნენ სარფელი მებადურები, ზღვაოსნები, მოხალისეები. აქ ხდებოდა სხვადასხვა ასაკის მამაკაცთა შეკრება, მათი მამაცობის, მოხერხებულობისა და გულადობის შემოწმება. ამ ქვის ირგვლივ ეწყობოდა შეჯიბრებები ზღვაში ხტომაში, ცურვასა და ყვინთვაში. ამგვარი გამოცდის გაუვლელი კაცი სარფში იშვიათად იყო. „ქეაომხაზობას" საზეიმო ხასიათი მიეცა.[37] მაგ-

---

[34] ვრცლად იხ.: „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა". 2008 წლის ნოემბერი (მასალები). გამომცემლობა „სეზანი", თბ., 2008.

[35] ზ.თანდილავა. ზღვის კულტი და ქართული ფოლკლორი, გვ. 54-55; მისივე. ხალხური დღესასწაული „კოლხობა" და მისი პერსპექტივები.-გაზ. „საბჭოთა აჭარა. 1979, 17 იანვარი.

[36] Марр Н.Я. Из поездки в Турецкий Лазистан. ИИАН. №7. СПБ. 1910. с. 639.

[37] ჭგულაძე. „კოლხობის" ახალი სიცოცხლე.-გაზ. „ოქტომბრის გზით". 1979, 27 სექტემბერი; რ. ბაქრაძე. ტკანილიში. კოლხობა – სახალხო დღესასწაული. – გაზ. „აჭარა", 2004, 17 აგვისტო.

რამ დღესასწაულის ეს სახელწოდებაც უარყოფილი იქნა. იმისათვის, რომ დროთა განმავლობაში ფართო შინაარსი მისცემოდა და საყოველთაო სახალხო ზეიმად ქცეულიყო, გადაწყდა დღესასწაულს დაწმენდოდა „კოლხობა". ამ იდეამ ფართო მხარდაჭერა მოიპოვა – მალე „კოლხობა" დამკვიდრდა.[38]

პირველი კოლხობა 1978 წელს ჩატარდა და აქედან იწყება მისი ისტორია.

დღესასწაულმა გააცოცხლა ლაზთა წარსული ყოფაცხოვრება, კოლხეთისა და ძველი საბერძნეთის ურთიერთობის დამახასიათებელი მომენტები, დაკავშირებული არგონავტების კოლხეთში მოგზაურობასთან. დღესასწაულზე თეატრალიზებულად იქნა წარმოდგენილი არგონავტების მოსვლა „არგოთი", ოქროს საწმისისა და კოლხთა მეფეს აიეტის გრძნეული ასულის – მედეას მოტაცება. ამ სანახაობას იარაღსებიან ქალაქზე ჩამომჯდარი დიდძალი მაყურებელი ჰყავდა.[39]

კოლხობას ახლდა სხვა ღონისძიებებიც, რომლებშიც საკუთრივ სარფის მოსახლეობის გარდა, ხელვაჩაურის რაიონის სხვა სოფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ყველანი თავიანთი კეთილის ცხოვრების დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენდნენ. ამ აზრით, კოლხობა, ისე როგორც სხვა სახალხო დღესასწაულები აქარაში, ძველი და თანამედროვე ტრადიციების გაცნობის საუკეთესო საშუალება გახდა.

ეკონომიკური წლების კოლხობა გასცდა სარფის, ხელვაჩაურის რაიონის, აჭარის ფარგლებს და მთელი საქართველოს დღესასწაულად იქცა. კოლხობას ბევრი სტუმარი ჰყავს თურქეთში მცხოვრები ქართველების, პირველ რიგში, ლაზების სახით, რომელთა ნაწილს სარფელ ლაზებთან ახლო ნათესაური ურთიერთობაც აკავშირებს. ასეთი ურთიერთობა ხელს უწყობს საქართველო-თურქეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას.

ძველი დღესასწაულის განახლებისა და მისთვის „კოლხობის" სახელის მიკუთვნებით სარფის მოსახლეობა პატივს მიაგებს კოლხური კულტურის ტრადიციებს, მათ შემქმნელსა და მემკვიდრეს, ზღვაოსნობით, ხეროთმოძღვრება-ხელოსნობითა და რკინის მეტალურგიით განთქმულ ლაზი ტომის წარსულსა და თანამედროეობას. კოლხობა ლაზურ-კოლხური კულტურის სადიდებელი დღესასწაულია.

მარეთობა. მარეთობა მარეთის ხეობის (შუახევის რაიონი) სახალხო დღესასწაულია, რომელიც 2005 წლის ნოემბერში დაფუძნდა. დღესასწაულის ყოველწლიურად აღნიშვნა გამონათლევში (სოფელი ოლადაური) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კურთხევას დაუკავშირდა. ეკლესიის აშენება (იგი ერთ წელსა და შვიდ თვეს შენდებოდა შემოწირულობათა ხარჯზე) და მარეთობის შემოღება ხეობის ინტელიგენციის ინიციატივით განხორციელდა. დღესასწაულის გახსნას წინ უძღოდა მასობრივი ნათლობა. მარეთობას დიდძალი ხალხი ესწრება აჭარიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. დღესასწაულზე იმართება ხეობაში შემორჩენილი ტრადიციული ხალხური თამაშობები, სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, ცეკვა-სიმღერა. მარეთობის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობს საზოგადოება „მარეთი".[40]

გომარდულობა. გომარდულობის დღესასწაულს საფუძველი ჩაეყარა 2006 წლის ზაფხულში, სოფელ გომარდულის (შუახევის რაიონი) დაარსების 350 წლისთავზე. გადმოცემით, სოფელში პირველად ცნობილი ხალხური მთქმელის, რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების

---

38 ზ.თანდილაეა. ხალხური დღესასწაული „კოლხობა" და მისი პერსპექტივები; ქ. გულაძე. „კოლხობის" ახალი სიცოცხლე; რ. ბაქრაძე. გ. ვანილიში. კოლხობა – სახალხო დღესასწაული.

39 გ.მანია. კოლხობა. – გაზ. „ეობუნისტი". 1979, 27 სექტემბერი.

40 ო. ციანარიძე. მარეთობის სახალხო დღესასწაული.-გაზ. „აჭარა", 2006, 12 მაისი; ც. ცაბაძე. „მარეთობა" – სახალხო დღესასწაული. – გაზ. „აჭარა", 2006, 29 აპრილი.

ომის შემდეგ მუჰაჯირად გადახვეწილი რეჯებ მეავანაძის წინაპარი დასახლებულა. გომარდულობის დაწესებით მოსახლეობამ პატივი მიაგო თავისი სოფლის წარსულსა და მომავალს. ამ სოფლის სახელი დღეს მტკიცედ დამკვიდრდა აჭარისა და საქართველოს რუკებზე. აქ მეორე წელია ტარდება სათხილამურო და სხვა სახის სპორტული ღონისძიებები.[41]

გომარდული ზამთრის ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდა. ეს კი სამომავლოდ შესანიშნავ პერსპექტივას უშლის 80-კომლიან სოფელს.

სელიმობა. სელიმობის პირველი დღესასწაული 2006 წლის სამ ივნისს ჩატარდა ხიხაძირის ხეობის სოფელ ბაკი-ბაკოში. იგი მიეძღვნა ოსმალთა ბატონობისაგან აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელს – სელიმ ხიმშიაშვილს. სელიმი ტრაგიკულად დაიღუპა – მას 1815 წლის 3 ივნისს ოსმალებმა ბაკი-ბაკოში თავი მოკვეთეს. პირველი სელიმობაც ამ სოფელში გაიმართა გმირის – სელიმის სახელის უკვდავსაყოფად. გადმოცემით, სიკვდილის წინ სელიმს ოსმალებისათვის განუცხადებია: „მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დაეუტოვებ."[42] სელიმის ანდერძი აღსრულდა მისი შვილიშვილის, ზემო აჭარის მაშინდელი მმართველის – შერიფ ხიმშიაშვილის დროს, როდესაც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარა დედასამშობლო საქართველოს დაუბრუნდა. ოსმალთა ბატონობის შემდეგ შერიფი პირველი მოინათლა მართლმადიდებელ ქრისტიანად.

მეორე სელიმობა 2007 წლის 3 ივნისს გაიმართა ხიმშიაშვილთა საგვარეულო სოფელ ნიგაზეულში (შუახევის რაიონი), სადაც სელიმია დაკრძალული. დღესასწაული მოეწყო ხიმშიაშვილთა ციხე-კოშკის ტერიტორიაზე. ამიერიდან იგი ყოველწლიურად აღინიშნება.

დღესასწაულის დაწესებას წინ უძღოდა შეკრებები ნიგაზეულში 1992 წელს საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ ხიმშიაშვილთა და 1996 წელს ნიგაზეულელულ ხიმშიაშვილთა მონაწილეობით. უკანასკნელთა თაყვრილობა სელიმ ხიმშიაშვილის დაბადების 240 და გარდაცვალების 190 წლისთავს მიეძღვნა.[43]

სელიმობის სახალხო დღესასწაული სელიმის მშობელი ხალხის წიაღში აღმოცენდა და ამიტომაც იგი უკვდავი იქნება, ისევე როგორც უკვდავია სელიმის სახელი. დღესასწაულის დაწესებით ნიგაზეულისა და მთელი აჭარის მოსახლეობამ პატივი მიაგო ეროვნულ გმირად შერაცხული სელიმ ხიმშშიაშვილის ღვაწლს სამშობლოსა და ერის წინაშე.

მაჭახლობა. მაჭახლობა სხვა ახლად შექმნილი სახალხო დღესასწაულებისაგან განსხვავებით ეძღვნება არა რომელიმე ღვაწლმოსილ პიროვნებას ან ღირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენას, არამედ მაჭახლის ხეობის თვალსაჩინო და განსაკუთრებული როლის წარმოჩენას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში.

მაჭახლის ხეობა აჭარასთან ერთად სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნებიდან (1878) 43 წლის შემდეგ, 1921 წელს, ხეობის ერთი ნაწილი (ზედა მაჭახელი) 6 სოფლით თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა და ადმინისტრაციულად ართვინის ვილაიეთის ბორჩხის რაიონს დაექვემდებარა, ხეობის მეორე ნაწილი (ქვედა მაჭახელი) კი, 6 სოფლით, საქართველოს ფარგლებში დარჩა. ხეობის ეს ნაწილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დღეს ხელვაჩაურის რაიონში შედის.

---

[41] ო. ცინარიძე. გომარდულობა. – გაზ. „აჭარა", 2006, №148, 11 აგვისტო.

[42] ხახელეფიანი. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-საქართველოში. ბათუმი, 1957, გვ. 96.

[43] ზ.ზოიძე. შეხვედრა ნიგაზეულის ციხე-გალავანში („სელიმობის" დღიური). გაზ. „მთიანეთი". 2007, № 15-16, 12 ივლისი.

მაჭახლის ხეობა აქტიურ როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. დაეით წერეთელმა (იგი აკაკი წერეთლის უფროსი ძმა იყო) მაჭახელი ასე დაახასიათა: „ეს პატარა მაჭახელი არის ცოცხალი ისტორია საქართველოსი".[44]

შუა საუკუნეებში მაჭახლის ხეობაზე გადიოდა უმოკლესი სახმელეთო გ'სა, რომელიც ისტორიული შაეშეთის პროვინციებს შაეიზღეისპირეთთან აკავშირებდა. ხეობა გამოირჩევა ქვის მარან-საწნახლებით, ქვის თაღიანი ხიდებით. საქართველოს ისტორიაში ხეობა ცნობილია „მაჭახელად" წოდებული ციცხლსასროლი (კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩა) და ციეი საბრძოლო იარაღების დამზადებით.[45] მაჭახლური იარაღი კარგი ღირსების იყო და გასაყიდად გაჰქონდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. ისტორიამ შეინოგეინახა წერილობითი და ზეპირი გადმოცემები თამარ მეფის მაჭახელში მოგ'საურობისა და მისი აქ აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ. მაჭახლის მოსახლეობამ მეზობელ აჭარლებთან, შავშეთელებთან, ლიგანელებთან ერთად განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ და ბევრი სისხლი დაღვარა მამულისათვის ბრძოლაში.

ჩვენში და საზღვარგარეთ სახელი გაითქვა ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლმა „მაჭახელამ". ხეობა გამოცხადებულია ბუნების დაცვის ზონად. დაგეგმილია სასაზღერო გამშვები პუნქტის გახსნა სოფელ გორძუთში, რომელიც უმოკლესი გ'სით დააკავშირებს ორად გაყოფილ ხეობას.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულით გამორჩეულ მაჭახლის ხეობას, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, არ შეიძლებოდა თავისი საკუთარი სახალხო დღესასწაული არ ჰქონოდა.

მაჭახლობის დღესასწაული დაწესდა ხეობის ინტელიგენციის ინიციატივით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და გადაწყვეტილებით, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელშეწყობითა და დახმარებით. პირველი მაჭახლობა 2007 წლის 25 სექტემბერს ჩატარდა.[46] იგი უკვე ფართო მასშტაბით აღინიშნება. მასში მონაწილეობენ არა მარტო საკუთრივ მაჭახლის ხეობის, არამედ ხელვაჩაურისა და აჭარის სხვა რაიონების მხატვრული კოლექტივები, მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მასწავლებლები და მოსწავლეები, სტუდენტები, აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამინისტროებისა და დეპარტამენტების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. დღესასწაულზე მთელი ხეობა იკრიბება. სტუმრად ჩამოდიან თურქეთში მცხოვრები მაჭახლელები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემოქმედება, რომელსაც აგრეთვე „მაჭახელა" ეწოდება. ორად გაყოფილი მაჭახლის ორივე ნაწილის „მაჭახელა" ერთობლივადაც მარ-თავს კონცერტებს. დღესასწაულზე ხეობა თითქოს სულიერად ერთიანდება.

მაჭახლობას დღესასწაულს ეძღვნება ჟურნალი „მაჭახელი", რომელიც ყოველწლიურად, დღესასწაულის წინა დღეებში გამოდის. პირველი დღესასწაულის დღეს, 17 სექტემბერს, საზეიმოდ გაიხსნა თოფი „მაჭახელას" ძეგლი მდინარეების — ჭოროხისა და მაჭახელას შესართავთან, საიდანაც მაჭახლის ხეობა იწყება. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართულ იარაღს ძეგლი აუგეს.[47] პარალელურად, ახლომდებარე გვარას ციხიდან „მეციხოვნენი" შეკრებილთ კოცონების დანთებით და თოფის სროლით დღესასწაულის

---

[44] დ.წერეთელი. მაჭახელა. — გაზ. „დროება", 1879, №35 (დ.წერეთელი 1978-1881 წლებში განაგებდა მაჭახლის საპოლიციო უბანს).

[45] ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974.

[46] ჟურნ. „მაჭახელი", № 1. ბათუმი, 2007.

[47] ჟურნ. „მაჭახელი", № 2. ბათუმი, 2008.

დაწყებას აუწყებენ. ამ დღეს ირჩევენ „საპატიო მაჯახლელებს" და სიგელებს გადასცემენ. მათ. დღესასწაულის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობს სახოგადოება „მაჯახლის კავშირი". მაჯახლის ხეობის მთელი მოსახლეობა.

1970-1980-იანი წლებიდან აჭარაში დამკვიდრდა სხვა რაიონული სახალხო დღესასწაულებიც – 1976 წელს საფუძველი ჩაეყარა სიმღერის დღესასწაულს შუახევში. 1980 და 1982 წლებში – შრომის დღესასწაულებს ქედისა და ქობულეთის რაიონებში.[48] 1982 წლის მაისში დაწესდა და რამდენიმე წელს ტარდებოდა დღესასწაული „ბათუმქალაქობა".[49] ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში იმართება ფოლკლორული საღამოები, რომლებმაც დღესასწაულის ფორმა შეიძინა.

§2. ხალხური მუსიკალური კულტურა

აჭარული ხალხური მუსიკა საერთო-ქართული მაღალგანვითარებული მუსიკალური კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ამ კულტურის დასავლურ-ქართულ წრეში შედის.

ქართული ხალხური მუსიკის მკვლევართა მიერ აჭარული მოიხსენიება, ერთი მხრივ, გურულ მუსიკალურ დიალექტებთან ერთად, მეორე მხრივ – გურულთან ახლოს მდგომ, დამოუკიდებელ დიალექტად.[1] გამოთქმულია მოსაზრება, რომ გურული და აჭარული (განსაკუთრებით ქობულეთური) საგუნდო სიმღერა დაფუძნებულია ზოგადქართული ხალხური პოლიფონიური მრავალხმიანობის პრინციპზე. თითოეული მათგანის მთელი რიგ თავისებურებათა მიუხედავად, ერთნაირია სიმღერაში მონაწილე ხმათა ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის ფუნქციის განაწილება, სიმღერის შესრულების მანერა, ცალკეული ხმათა ინტონაცია. ერთი და იგივე სიუჟეტზეა აგებული გურული და აჭარული სასიმღერო ნიმუშები: „ხასანბეგური", „შვიდკაცა", „ალი-ფაშა", „ყარანაი", „ხელხვეული", „ელესა" და სხვა, რომლებიც მაღალი მხატვრული გამომსახველობით გამოირჩევა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გურული და აჭარული სასიმღერო შემოქმედება ამ ნიმუშებში ერთმანეთს იმეორებდნენ და ამ მხრივ როგორც ერთს, ისე მეორეს თავისი სახე არ აქვთ. ეჭვიდა, ყოველ მათგანს ახასიათებს თავისებური შემოქმედებითი ფანტაზია, საშემსრულებლო ხერხების გამოყენების ოსტატობა, სიმღერის გაშლა-განვითარების უნარი და სხვ.[2] თუ გავითვალისწინებთ, რომ მუსიკალური დიალექტი სხვა ნიშნებთან ერთად (მრავალხმიანობის ფორმა, ინტონაციური და ჰარმონიული თავისებურებანი) გულისხმობს შესრულების ინდივიდუალურ ხასიათს, იმ ინტონაციურ თავისებურებას, რომელიც ენის კილობრივ თავისებურებასთან ერთიანობაში ყალიბდება,[3] სრულიად ბუნებრივია აჭარული ცალკეს

---

[48] სახალხო დღესასწაულები და ღირსსახსოვარი დღეები საქართველოში. თბ., 1989, გვ. 69-70, 73, 76.

[49] იქვე. გვ. 25-26.

[1] გ.ჩხიკვაძე. ქართული ხალხური მუსიკა. თბ., 1965, გვ. 28; გ.ვეასარია. ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება. თბ., 1962, გვ. 4; მ.შილაკაძე. ქართული მუსიკალური დიალექტები. – მსგ, XX, თბ., 1979, გვ. 81-85; ნ.მაისურაძე. ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები. თბ., 1989, გვ. 3-53. ქართული მუსიკალური დიალექტების შესახებ. – "მაცნე", № 4. თბ., 1982, გვ. 124-138; Ш.Асланишвили, Народные основы гармонии Грузинских композиторов. - Грузинская музыкальныя культура, М., 1957, с. 411; Гр. Чхиквадзе. Народная песня, Грузинская музыкальныя культура, с.31.

[2] გრ.ჩხიკვაძე, ქართული ხალხური მუსიკა, გვ. 28.

[3] ნ.მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, გვ.21.

დამოუკიდებელ მუსიკალურ დიალექტად მივიჩნიოთ. მუსიკალურ დიალექტებად დაყოფა მკაფიოდ ავლენს იმ დიდ წვლილს, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მიუძღვის აჭარის ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

აჭარული სასიმღერო შემოქმედება ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების თითქმის ყველა საფეხურის მომცველია. ამასთანავე, იგი წარმოგვიდგენს აჭარული ხალხური მუსიკის განვითარების თანმიმდევრულ სურათს, უმარტივესი ფორმებიდან მაღალგანვითარებულ პოლიფონიურ სიმღერებამდე.

მუსიკალურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა განვითარების უძველესი შრეების კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა აჭარული საწესო სიმღერები, რომლებშიც რელიეფურად ელინდება სიმღერის სოციალურ-რელიგიური ასპექტი, ქართველი ხალხის აზროვნების განვითარების უძველესი ეტაპები. ასეთია მაგალითად, საწესო საფერხულო სიმღერა "ნაჲ ნაჲ ნინაჲნა", რომლის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ა. მსხალაძე.[4] იგი ძეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. რიტუალი სრულდებოდა როგორც მთის, ისე ბარის აჭარაში ახალშობილი გოგონას თუ ვაჟის, განსაკუთრებით კი – ვაჟის, დაბადებისას. ფერხული წრიული იყო და ასრულებდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.[5] გამოთქმულია მოსაზრება „ნაჲ ნაჲ ნინაჲნა" მელოდიის მსგავსებაზე „მზე შინას" და „იავ-ნანას" მუსიკალურ ტექსტებთან, აგრეთვე აჭარაში (ქედის რაიონი) შემორჩენილ სიმღერასთან „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო", რომელიც თავის მხრივ საწესო საფერხულო საგალობლის „იავ-ნანას" მონათესავეა.[6] „ნაჲ ნაჲ ნინაჲნა" მუსიკალური ტექსტი, არქიტექტონიკის სიძველით, უშუალო კავშირს ამყარებს იმ სიმღერებთან, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკის განვითარების ადრეულ ეტაპებს ასახავენ და მუსიკალური ფუძეენის დონეზე განიხილება.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ქედის რაიონში ჩაწერილი „ჰელესა" და „ხერტლის ნადის სიმღერა".[7] საზოგადოდ, აჭარული მუსიკალური დიალექტისათვის დამახასიათებელი ადრეული ფორმები, მსგავსად სხვა ქართული მუსიკალური დიალექტებისა, „იავნანას" ინტონაციურ არეში იყრიან თავს. ამ ნიშნით აჭარული სიმღერები გარკვეულწილად უშუალო კავშირშია მესხურ სიმღერებთან,[8] რომლებშიც დალექილია ქართული ხალხური მუსიკის განვითარების უძველესი შრეები „იავ-ნანას" ტიპის ინტონაციების სახით.

„ნაჲ ნაჲ ნინაჲნა" შესრულების წესში მკაფიოდ ჩანს წარმართული ხანიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენების კვალი. სამართლიანად უკავშირებენ ამ სიმღერას ნაყოფიერების ქალღვთაების დიდი დედა ნანას კულტს.[9] არქეოლოგიური მონაცემებით, ნანას, როგორც ნაყოფიერების ქალ-ღვთაების, კულტის ჩამოყალიბება ნეოლითის დასასრულიდან იკარგება.[10] როგორც ცნობილია, ადრესამიწათმოქმედო ტომთა იდეოლოგია, განვითარების ამ საფეხურზე, გამსჭვალულია ნაყოფიერების იდეით. რელიგიურ შეხედულებებში უმთავრესი ადგილი ნაყოფიერების მფარველ ქალღვთაებას – ბუნების დიდ დედას ეკუ-

---

[4] ა.მსხალაძე. აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია. თბ., 1969, გვ. 10-34.

[5] იქვე, 29-33.

[6] **Майсурадзе Н. Проблемы генезиса, становления и развития грузинской народной музыки (кандидатская диссертация). Тб., 1983, сс. 56, 54, 62, 69.**

[7] ა.მსხალაძე. აჭარის ხალხური შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგიერთი საკითხისათვის. – ბსკიშ, II, ბათუმი, 1962.

[8] მესხური მუსიკალური დიალექტის შესახებ იხ.: ვ.მაღრაძე. ქართული ხალხური სიმღერის ისტორიისათვის (მესხური დიალექტი), საკანდიდატო დისერტაცია, 1972.

[9] ა.მსხალაძე. აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, გვ. 34-35.

[10] ი.კიკვიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 154-177.

თვრის.[11] ქართულ მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ მასალაში უხვად არსებული „თაენანას" მელოდიის მარტივი ფორმები, რომელთა შორის აჭარული ნიმუშები იჩენენ თავს, შესაძლებელია, იმ უძველესი ხანიდან მომდინარეა.

აჭარული სიმღერების უძველესი ფორმები, ერთი მხრივ, ქართველური მუსიკალური ფუძეების დონეზე განიხილებიან, მეორე მხრივ – მჭიდროდ უკავშირდებიან მუსიკალური კულტურის აღმოსავლურ-ქართულ წრეს. აჭარული მუსიკალური დიალექტის ჩამოყალიბების შემდგომი პროცესი მუსიკალური კულტურის დასავლურ-ქართული წრის წიაღში მიმდინარეობდა. დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, აჭარულში ბარის სიმღერებისათვის დამახასიათებელი პოლიფონიის რთული კომპლექსებით იჩენს თავს, რაც აჭარულ ნადურ სიმღერებში ოთხხმიანობის სტრუქტურული თავისებურებით ხასიათდება.[12] თვით აზრი კი ოთხხმიანობის არსებობის შესახებ გაცილებით ადრე გამოითქვა. ივ. ჯავახიშვილი ქართული მუსიკის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში საგანგებოდ შეეხო ჯ. ნოლაიდელის ცნობას, რომელიც ქართული (აჭარული) სიმღერის ოთხხმიანობაზე მიუთითებს. ასე მაგალითად, ოთხხმიანი „ნადურის" შესრულებისათვის საჭირო იყო ერთი მთქმელი (თეთონ მომღერალი), რომელიც ლექსებით მღერის, ორი შემხმობარი, ერთი გამყოფანე და ორიც მობანე (ბანის მთქმელი). მომღერალი ანუ მთქმელი იწყებს სიმღერას, მას გამყოფანე მიეცემა და აბოლოებენ შემხმობრები.[13] ჯ. ნოლაიდელის მონაცემებზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილმა აჭარულ სიმღერებში ხმათა სახელწოდებების (დაწყებითი ხმა, მელექსე, მაღალი მელექსე, დაბალი მელექსე, მთქმელი, მომძახნელი, გამყოფანე, მოკრიმანგელი, შემხმობარი, მაღალი და დაბალი ბანი) მიხედვით მომღერალთა ფუნქციებიც დაადგინა.[14]

აჭარის მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარმა ჯ. ნოლაიდელმა გამოაცალინა და შეისწავლა აჭარაში გავრცელებული შემდეგი ნადური (უმთავრესად ყანური) ლექს-სიმღერები: „ეაი თუ ლილას კურდღელმაო", „მთას ხოხობი აფრენილა", „ბერიკაკი", „ჯორღელა", „ნიორა ჩიდაოა", „ყარანაი", „ხელხვავი", „საჯაეახურა", „შარშანდელსა ნაყანევსა."[15] მოგეეიანებით, აჭარული ნადური სიმღერების სტრუქტურული თავისებურებანი (არქეტიპიკა, მეტრორიტმი, ხმათა განლაგება, თითოეული მათგანის ფუნქცია) შეისწავლეს გრ. ჩხიკვაძემ და ელ. ახობაძემ. ნადური „გადაბმული" ანუ ორპირი, ორი გუნდის შენაცვლებით შესასრულებელი სიმღერაა. ოთხხმიანი ნადური ორ მონაკვეთად იყოფა, რომელთაგან პირველი სამხმად, მეორე – ოთხხმად სრულდება. ოთხხმიანი ნადურის პირველ სამხმიან მონაკვეთში ბანი არ მონაწილეობს. მესამე ხმა შემხმობარია, რომელსაც მხოლოდ ნადურ სიმღერებში ეხვდებით. ამგვარად, პირველი მონაკვეთი მოიცავს შემდეგ სამ ხმას: გამყოფანს, მთქმელს და შემხმობარს. ბანი ჩაერთვის მხოლოდ ნადურის მეორე მონაკვეთის დასაწყისიდან.[16] აღმოსავლურ-ქართული სიმღერების ჰარმონიულ ელემენტთა თავისებურებებთან მიმართებაში საყურადღებოა შემდეგი დაკვირვება: ნადურების პირველ

---

11 მ.ხიდაშელი. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბ., 1982, გვ. 101, 98-110.

12 გრ.ჩხიკვაძე, ჯ.ნოლაიდელი, ა.ინანიშვილი. აჭარული ნადური სიმღერების ოთხხმიანობის თავისებურების შესახებ. – ლიტერატურული აჭარა, № 1. თბ., 1960; ე.ახობაძე. ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები. ბათუმი, 1961, გვ. 9-33; მისივე, Грузинские народные трудовые песни «Надури»-VII международный конгресс антропологических и этнографических наук, М., 1964;

გრ. ჩხიკვაძე. ქართული ხალხური მუსიკა. თბ., 1965, გვ. 29-32; მისივე. Основные типы грузинского многоголосья.- VII международный конгресс..., с. 8-10.

13 ივ.ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 1938, გვ. 81.

14 იქვე, გვ. 82.

15 ჯ.ნოლაიდელი. აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები. თბ., 1967.

16 გრ.ჩხიკვაძე. ქართული ხალხური მუსიკა, გვ. 29-30.

ნაწილებში, სამხმიან წყობაში, შემხმობარის გაბმული ბგერა ჰარმონიული საყრდენია კილოს ტონიკაზე, როგორც სამხმიანი სიმღერის ბანი. ამ შემთხვევაში შემხმობარის გაბმული ბგერა თითქმის არაფრით არ განსხვავდება ქართულ-კახური ხალხური სიმღერების ბანისაგან. ქართულ-კახურ სიმღერებში არსებული გაბმული ბანის მსგავსად, ნადური სიმღერების პირველ ნაწილში იგივე შეხმობას აქვს ადგილი.[17] ოთხხმიან მონაკვეთში შემხმობარი საააკორდო ბგერა და ჩონგურის სააკორდო სიმსზილს ემსგავსება.[18] ივ. ჯავახიშვილმა ტერმინ „ზილის", როგორც მრავალხმიან სიმღერაში ერთ-ერთი ხმისა და საკრავის ძალის სახელწოდების არსებობა ოთხხმიანობის ჩასახვის ხანაში იყარაუდა.[19] მ. შალიკაძემ იგი განვითარებული სამხმიანობის ეტაპს დაუკავშირა.[20]

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოთხხმიანობა აჭარულ სიმღერებში „მიღებულია, ერთი მხრივ, მაღალი ბანის გაჩენით, რომელმაც თავისი ადგილი პირველ და მეორე ხმებს შორის დაიმკვიდრა, მეორე მხრივ, კრიმანჭულის გაჩენით, რომელიც პირველ ხმაზე გაკილებით მაღალ რეგისტრში მოქმედებს და სიმღერის თავისებურ კოლორიტულ ჰარმონიულ ფუძეს წარმოადგენს".[21] ოთხხმიანობის წარმოქმნის ერთ-ერთი გზა ვარაუდობს ბანის, ანუ დაბალი ბანის გაჩენას მეოთხე ხმის სახით. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია სამხმიანობაში ბანის საფეხურთა თანდათანობით გაფართოებასთან (იგი თავდაპირველი კილოს მეოთხე საფეხურია, რომელიც შემდეგში ძირითადი კილოს ტონიკურ ბგერად გარდაიქმნება. თავდაპირველი კილოს ტონიკა კი მაღალი ბანის, ანუ შემხმობარის ფუნქციას იძენს).[22]

აჭარული სიმღერების გარკვეული ნიმუშები, რომლებიც მაღალგანვითარებული სტრუქტურით გამოირჩევიან, ინტონაციურ და ჰარმონიულ სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლურ-ქართულ სიმღერებთან. ასეთთა შორის საყურადღებოა აჭარული „მგ'ხაერული". სატრფიალო სიმღერა „ხინკალა",[23] რომლებიც კახურ „მაყრულს" და „მგზაერულს" ენათესაებიან;[24] „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო",[25] რომელიც ახლო დგას კახურ სიმღერასთან „გლესამ და გლესამ ნამგალო".[26]

ქართულ სასიმღერო შემოქმედებას ჟანრთა მრავალფეროვნება ახასიათებს: საწესო, შრომის, ისტორიულ-საგმირო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, სამგზავრო-სალაშქრო და სხვ. მუსიკალურ ჟანრებში თავისებურად აისახა აჭარელთა საყოფაცხოვრებო ტრადიცია, რომელმაც, თავის მხრივ, არსებითი როლი შეასრულა აჭარული სიმღერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

აჭარაში გავრცელებული საკრავებია: გუდასტვირი ანუ „გულის ჭიპონი", ჭიბონი//ჭიპონი//ჭიმონი (სალამური), დაული ანუ დოლი – პატარა და დიდი, ფანდური, ჩანგური//ჩონგური, ჭიანური. აგრეთვე საზი, ზურნა, ქემანი//ქემენჩა და აზიური გარმონი.[27]

---

17 ელ. ახობაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

18 გრ.ჩხიკვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

19 ივ.ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 294.

20 მ.შალიკაძე. ქართული ხალხური საკრავიერი პანგების მრავალხმიანობა (ზილის სიმის ფუნქცია საჩონგურო პანგებში). – მსგ. XIX. 1978, გვ. 116.

21 ელ.ახობაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

22 ნ.მაისურაძე. ქართულ (აჭარულ) სიმღერებში ოთხხმიანობის წარმოშობის საკითხისათვის. – საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 108, №2. 1982, გვ. 441-444.

23 ელ.ახობაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 114, 117.

24 ქართული ხალხური სიმღერა. I. გრ.ჩხიკვაძის რედაქციით, თბ., 1960.

25 ელ.ახობაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

26 ქართული ხალხური სიმღერა. I.

27 ჯ.ნოლიდელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 87-88. ელ. ახობაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 33-38; გრ.ჩხიკვაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 29; ამსხალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 87-91.

ქორწილში ჭიბონი პოპულარული საკრავი იყო. „მაყრულს" აუცილებლად უნდა ხლეწოდა ჭიბონი. ეს საკრავი ბოლო დრომდე უპირატესად აჭარის მთიანეთში შემოინახა, ძირითადად, იმ ხეობებმა, სადაც მესაქონლეობა ინტენსიურად იყო განვითარებული. ჭიბონისა და სხვა საკრავების აკომპანემენტის თანხლებით სრულდებოდა ცეკვები: ყოლსამა, ქორნეული, თოფალოინი, ფერხული, სამა, შემოსარები, ბალდადური, ლაზხორომი, ქურთხორომი, ძველი ქართული „ხორუმი" და სხვ.[28] ჭიბონის (ისევე, როგორც რაჭული გუდასტვირის) ნაწილთა ტერმინოლოგია ემთხვევა სამჭედლო მოწყობილობის ნაწილთა სახელწოდებებს. ეარაუდობენ, რომ ეს საკრავი გავრცელებულია საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მეტალურგია იყო დაწინაურებული.[29] ჩონგური ძირითადად გავრცელებულია ქვემო აჭარაში და კონსტრუქციითა და ფუნქციით არ განსხვავდება გურულისა და მეგრულისაგან. საკრავი ძირითადად სააკომპანემენტოა. გამოიყენება ანსამბლშიც; ლოლთან ერთად საკვლეავების შესრულების დროს. ჩონგურის თანხლებით შესასრულებელი სიმღერების თაეისებურებანი სავსებით შეესაბამება და ასახავს აჭარული ხალხური მუსიკის ზოგად თაეისებურებებს. ფანდურის ტრადიცია აჭარაში 30-იანი წლებიდან თეეთშემოქმედი კოლექტივების მოღვაწეობასთან ჩანს დაკავშირებული.[30]

ათვისებულ საკრავთაგან საეურადღებოა საზი და ქემენჩა. ეს უკანასკნელი თურქეთიდან ჩამოსული სომეხი და ბერძენი მოხეტიალე მუსიკოსების მიერ უნდა იყოს შემოტანილი მე-19 საუკუნის ბოლოს.[31] ჭიბონი და ხაზი ძირითადად მთიანი აჭარის კუთვნილება იყო. ჭიანური, ჩანგური, ზურნა და ქემენჩა – ძირითადად ბარის აჭარისა. ჭიანურის – უმარტივესი კონსტრუქციის ხემიანი საკრავის – გავრცელების არე ძირითადად ქობულეთის რაიონს მოიცავდა.[32] ჭიანურის და ჭიბონის (სალამურის) მეცნიერული ღირებულება დიდია, რადგან ისინი საშუალებას იძლეეიან თეალი გავადევნოთ გარკვეული ტიპის საკრავთა განვითარების საფეხურებს.[33] აზიური გარმონი თანაბრად იყო გავრცელებული მთისა და ბარის აჭარაში.[34]

აჭარაში საკრავიერ ანსამბლებს, მსგავსად საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული ანსამბლებისა, საკრაეთა მცირერიცხოვრნება ახასიათებს. მასში ერთიანდებიან ერთი ნასაბერი (ან ერთი სიმებიანი) საკრაეი და დოლი.[35]

ამგვარად, აჭარული ქართული მუსიკალური კულტურის ორგანული ნაწილია, იგი მაღალგანვითარებული მუსიკალური დიალექტია, რომელიც გამოირჩევა ჰარმონიულ ელემენტთა სირთულით და გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებით. ამასთანავე, მასში თავს იჩენს ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი შრეები. მათ შორის – მარტივი მუსიკალური ფორმები, რომლებიც ქართველური მუსიკალური ფოლკლორის დონეზე განიხილებიან და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ხალხური მუსიკის განვითარების ადრეული ეტაპების რეკონსტრუქციაში.

---

28 ა.მსხალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 89-90.

29 ვ.შალიკაძე. ხალხური საკრავები აჭარაში. თბ., 1993, ხელნაწერი.

30 იქვე.

31 ვ.მსხალაძე. აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, გვ. 88.

32 იქვე. გვ. 87-88.

33 ვ.შალიკაძე. ხალხური საკრავები აჭარაში.

34 ა.მსხალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

35 ვ.შალიკაძე. დასახ. ნაშრომი.

§3. ხალხური ქორეოგრაფია

ხალხური ქორეოგრაფია აჭარაში ასევე მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული ქორეოგრაფიული შემოქმედების ორგანული ნაწილია. არქეოლოგიური მონაცემებით დადგენილია, რომ ქართული ხალხური ცეკვები ერთ-ერთი უძველესია და „მცირე აზიისა და მესოპოტამიის დიდი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ხანას მიეკუთვნება (ჩვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანა).[1]

ძველი ქართული კულტურის ასევე დიდმნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქართული სანახაობრივი ფოლკლორი, რომელშიც „შემონახულია უძველესი რწმენებისა და წეს-ჩვეულებების, წარმართული კულტურის ნაშთები".[2] ამაზე მეტყველებს XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე სამეგრელოში, რაჭასა და აჭარაში აღმოჩენილი ცხენაცობის თამაშობები. აჭარაში ჩაწერილი მონაცემებითაც საქორწილო ბერიკულ კომედიაში ერთ-ერთი მოთარეშე ცხენს წარმოადგენდა.[3]

აჭარის საცეკვაო ხელოვნების შთაგონების წყარო ქართული სინამდვილეა. საქართველოს სხვა კუთხეთა ცეკვების მსგავსად, აჭარული ცეკვების წარმოშობისა და განვითარების ძირითადი პირობებია სოციალურ-ეკონომიკური ეთარება, გეოგრაფიული გარემო, ზნე-ჩვეულებანი და სხვა ფაქტორები.

ჩვენამდე მოღწეულია სატრფიალო, საბრძოლო-მხედრული, საწესჩვეულებო შინაარსის, შრომის ამსახველი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქმნილებანი. ყველა ისინი იყოფა სასცენო და არასასცენო ხალხურ ცეკვებად. ზემო აჭარაში დღემდეა შემორჩენილი ტაროსის, ამინდის ღვთაების – ეობის დღესასწაული. „ლაზარობა" ამ ღვთაების თაყვანისცემისა და განსახიერების ნაშთად არის მიჩნეული. ლ. გვარამაძის დაკვირვებით, ზოგიერთ ტომში ამ რიტუალს თან ახლდა ცეკვები.[4]

სასურველი ამინდის, განსაკუთრებით, წვიმის, გამოწვევისათვის ლაზარობის ინსცენირება და ლაზარეს სადიდებელი ლექს-საგალობლები ფართოდ არის შემორჩენილი ზემო აჭარაში, რადგან წყლის სიუხვეზე ოცნება და სათანადო ზრუნვა უძველესი დროიდანვე თან სდევდა ამ მხრის მკვიდრს – მიწათმოქმედს, მესაქონლეს, მწყემსს. ღორჯომში ჩაწერილი მასალებით „ლაზარობის" რიტუალს თან ახლდა მარტივი საცეკვაო მოძრაობები. კარდაკარ მოსიარულე „ლაზარობის" მონაწილენი სახლის მეპატრონისა გამოწვევას ლექს-სიმღერასთან ერთად ცეკვითაც განასახიერებდნენ. საფერხულო ცეკვები ახლდა შუამთობის პერიოდში გამართულ ლაზარობასაც.[5] სამწუხაროდ, ამ რიტუალმა, მისმა ფორმებმა, ლაზ მეთევზეთა ცეკვების მსგავსად, ვერ ჰპოვა თანამედროვე ქორეოგრაფიული დამუშავება და იგი ძველი ტრადიციული ფორმებით აგრძელებს სიცოცხლეს. ძველად სიმღერა და ცეკვა განუყოფელი იყო. აქედან გამომდინარე თვლიან, რომ „ლაზარეს" სიმღერის დროსაც ასრულებდნენ ნელსა და ნარნარ საწესჩვეულებო ცეკვას თავისი რიტმული მონახაზით".[6]

აჭარული საცეკვაო ფოლკლორის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს ცეკვა „ფაადიკო". დ. ჯანელიძისა და ჯ. ნოღაიდელის აღწერით, ეს ცეკვა-სანახაობა სვანური „ეურყვაკო-

---

[1] **Б.Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тб., с. 87, 145.**

[2] დ. ჯანელიძე. ქართული თეატრის ხალხური საწყისები. თბ., 1948, გვ. 27.

[3] ჯ.ნოღაიდელი. ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან. თბ., 1935, გვ. 32-33.

[4] დ.გვარამაძე. ქართული ხალხური ქორეოგრაფია. თბ., 1957, გვ. 49.

[5] ზ.თანდილავა. შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი. თბ., 1980, გვ. 44.

[6] ლ.გვარამაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

ბის" მსგავს სატრფიალო სცენებს შეიცავდა. მოთამაშეებად შეიდ კაცს გამოიყოფდნენ. მოქმედი პირები იყენენ საპატარძლო, ცხენი, ორი სასიძო (ქალის დანარჩენებისათვის მოცალენი), ერთი ცხენის წინამძღოლი და ორიც მაყარი. დ. ჯანელიძის აზრით ეს იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ „ფადიკოც" შვილიერების მფარველი ღვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთია".[7] ფადიკოს ცეკვა-თამაშშიც იკვეთება იუმორისტულ-სატრფიალო შინაარსის მქონე ბერიკაობის ნიშნები, რომლებიც მონაწილეთა სიმღერის თანხლებით სრულდებოდა.

აჭარის ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი იშვიათი ქმნილებაა ცეკვა „განდაგან", რომელიც მნახველს იტაცებს ფორმისა და შინაარსის სრულფასოვნებით, მხატვრული სიმდიდრით. აზრისა და იდეის თვალსაზრისით. მისი ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. ცეკვა „განდაგანას" ძველად საოჯახო ზეიმზე ან სახალხო დღესასწაულებზე (შუამოობა) ცალ-ცალკე ასრულებდა სიმღერის თანხლებით ქალი და მამაკაცი.[8] ცეკვაში აღვილად იკითხება აჭარელი კაცის ზეიადი გულოვანება, გონიერება, ამაღლებული სულისკვეთება, ქალისადმი პატივისცემისა და მოკრძალების ქართული ბუნება.

ცეკვა „განდაგანა" ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში იგი წყნარად მიმდინარეობს და „თარნანოს" ნაწილს შეიცავს, ხოლო შემდეგ სწრაფ ფორმას ღებულობს. შესრულება მოითხოვს შემსრულებელთა მოქნილობას, პლასტიკურობას. ცეკვას საფუძველად უდევს ქალ-ვაჟს შორის გაშაირება, რომელიც ატარებს შეჯიბრის ხასიათს გონებამახვილობასა და მოსაზრება-მიხვედრილობაში.[9]

„განდაგანას" რაობის, მისი წინამორბედი ფუძე-ცეკვების თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია აზრი, რომ იგი წარმოადგენს წარმართული პერიოდის საკულტო რიტუალებში აღმოცენებულ ცეკვა-თამაშობათა შერწყმის შედეგად მიღებულ და დროთა განმავლობაში დახვეწილ ქორეოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც თავისი წინამორბედი როკვა-თამაშობებით გენეტიკურ კავშირშია ნაყოფიერების კულტთან. სწორედ ამ საკულტო რიტუალთაგან უნდა მომდინარეობდეს „განდაგანისათვის" დამახასიათებელი სატრფიალო იუმორი და მაგიური შემოქმედების ტონ-რიტმით განსაზღვრული მოძრაობა.[10]

სახელწოდება „განდაგანა" ცეკვის სადადგმო ნაწილებიდან ამოტიტიდა. ქალისა და ვაჟის პირანდელ საგანდაგანო გაცეკვებაში გვერდულა მოძრაობანი, გან-გან სვლები მომეტებულად ჩანს. თუმცა ცეკვა მარტო სვლებზე ვერ აიგებოდა. მას მოერგო სხვა ელემენტები, რომლებიც ცოტა როდი გააჩნდა „ყოლსამას", „ჯაყდანანას", „თოფალოინს", „თარნანოს" და სხვა ცეკვებს.

„განდაგანა" არა მარტო ერთი ქალისა და ერთი ვაჟის, არამედ ქალთა და ვაჟთა მასობრივი ცეკვაც გახდა. მასში უმთავრესია მუხლურა, ფეხმოდგმითი სვლები, ცალფეხგასმური ანუ ხალხურად წოდებული ჩასმა, ნაირსახოვანი ბრუნვის და ჩაკერების ერთიობლიობა. სასცენო-შემოქმედებითი თვალსაზრისით ცეკვაში შეინიშნება ნელი, საშუალო და ჩქარი ტემპის ნაწილები, ზოგჯერ იგი ჩქარი, გარკვეულ ეითარებაში საშუალო ტემპითაც იწყება. ამ თავისებურებებში ვლინდება „განდაგანას" მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობა.

წარმოშობიდან დღემდე „განდაგანამ" მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XX ს. 50-60-იანი წლებიდან. ქორეოგრაფიული ხელოვ-

7 დ.ჯანელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

8 ა.ჯიოჯეიშვილი. აჭარული საცეკვაო ფოლკლორი და მისი მესვეურები. ბათუმი, 1995, გვ. 27.

9 ა.თათარაიძე. ქართული ხალხური ცეკვების მოკლე მიმოხილვა. თბ., 1974, გვ. 42.

10 ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 34. ა.თათარაიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

ნების მუშაკთა და ზოგიერთ პროფესიონალ შემსრულებელთა ინიციატივით ცეკვის დახვეწა-სრულყოფის მიზნით ცეკვას ბევრი საუკეთესო ტრადიციული ელემენტი ნამოშორდა და ახალი სასცენო ილეთებით გამდიდრდა. ამის გამო რამდენადმე შეირყენა განდაგანას ადრინდელი მხატვრულ-ესთეტიკური სილამაზე.[11] იგი მხოლოდ აჭარის მთის ზონის ხანდაზმულ ინდივიდუალურ შემსრულებელთა შორის შემორჩა.

აჭარის საცეკვაო ფოლკლორის თვალსაჩინო მონაპოვარია „ოპოი ნანა", რომელიც დღეისათვის მაღალმთიანი ხულოს სოფელ ხიხაძირსა და მის მეზობელ სოფლებშია შენარჩუნებული.

ხელოვნებათმცოდნეთა აზრით, „ოპოი ნანა" რიტუალური ხასიათისა იყო და ეძღვნებოდა ნაყოფიერების ღვთაებას. ტექსტში მოხსენიებული „მელის კუდი", აგრეთვე ცეკვის მეთაური, რომელსაც ხელში უჭირავს წკეპლი, საფუძველს იძლევა დადგინდეს ნათესაობა აჭარულ „ოპოი ნანასა" და ნაყოფიერების წარმართული ღვთაების კეირიასადმი მიძღვნილ სვანურ ცეკვასთან „მელია ტელეფია".[12]

„განდაგანას" ტექნოლოგიური ერთიანობის ნაწილია ცეკვა „ყოლსამა." სპეციალისტ მკვლევართა აღწერით, „ყოლსამა" მუცლით ცეკვაა და მასში მომატებულადაა სხეულის ენებიანი მოძრაობანი. „მუცლით ცეკვას" კი ნაყოფიერების კულტთან უნდა ჰქონდეს კავშირი და მაგიურ-რიტუალური ხასიათის მატარებელია.[13]

„ყოლსამას" მოძრაობები, უწინარესად, ქართულ ბუნება-ხასიათსა და მოქნილობაზეა აღმოცენებული. სხვანაირად იგი „განდაგანას" სიუჟეტური, კომპოზიციური სრულყოფისათვის არ გამოდგებოდა. იგი ახლოს დგას „მხარულთან", რომელსაც ახასიათებს მუხლიი მტვრევა და „თოფალოინი", ანუ კოჭლის ცეკვა/მოძრაობასთან. ცეკვას თან სდევს მხრებით გაცეკვების ეპიზოდები, რომლებიც „განდაგანაშიც" არის ჩაგვირისტებული.

აჭარაში ქალთა „ყოლსამაც" იცეკვებოდა. იგი შედარებით ნელი იყო და მხარ-მკლავების მოძრაობით სრულდებოდა. ყოლსამას წყნარ ნაწილში „თარნანოს" ქალთა სიმღერაც სრულდებოდა.[14]

აჭარის საცეკვაო ფოლკლორის მნიშვნელოვანი ელემენტია ჯაყდანანა, მისი საშემსრულებლო ასპარეზია მხიარულება-გართობის თაყვრილობები, ქორწილი, ხალხური დღესასწაულები. ცეკვის თანმხლები აუცილებელი მომენტებია შაირები და მისაღერი. ჰაექრობაში ორი პირი მონაწილეობს.

სახელი „ჯაყდანანა" უნდა ნიშნავდეს ორ შემსრულებელს შორის ცეკვითა და კაფიობით შეჯიბრებას სიმღერის თანხლებით. აჭარულში „ჯაყ" (ჯახ) ნიშნავს შეჯახებას, შეჯიბრებას. „ნანა" კიდევ ნელ გამღერებაზე უნდა მიუთითებდეს.

აჭარის ხალხური შემოქმედება შრომის ხასიათის ცეკვებსაც იცნობს. ერთერთი მათგანია „ხერტლის ნადი". იგი ქალთა ცეკვაა და სიმღერასთან ერთად გარდაისახება. მომღერალ-მოცეკვავე ქალები განასახიერებდნენ მატყლის ჩეჩვის და რთვის მომენტებს. აჭარის მთიანეთში „ხერტლის ნადის" სხვადასხვა ვარიანტია გავრცელებული სატრფიალო სცენებით.[15]

აჭარის ხალხური საცეკვაო შემოქმედების უძვირფასესი მონაპოვარია საბრძოლო შინაარსის „ხორუმი". იგი უძველესი დროიდან მომდინარეობს.

---

11 ზ.თანდილავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 35

12 ლ.გვარამაძე. ისევ ქართული ქორეოგრაფიის შესახებ. – ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1958, №1, გვ. 23,29.

13 ლ.გვარამაძე. ქართული საცეკვაო ფოლკლორი. თბ., 1997, გვ. 94.

14 ა.თათარაიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

15 ე.დავითაძე. აჭარის ფოლკლორი. თბ., 1997, გვ. 114.

არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ხორუმის უძველესი ტრადიციები დასტურდება. ხორუმის მსგავსი ცეკვის არსებობაზე მიუთითებს არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი მოცეკვავე ბრინჯაოს ფიგურები, რომლებიც ძვ. წ. II საუკუნეს განეკუთვნება.[16]

„ხორუმის" უძველეს წარმოშობაზე მეტყველებს სხვა მასალებიც. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი (ძვ.წ. V ს.) დაინტერესებულა ქართველ ტომთა კულტურული ცხოვრებით და წერდა, რომ მათ ჩვეულებად ჰქონდათ მტერზე გამარჯვების შემდეგ სიმღერისა და ცეკვის გამართვა. მისი სიტყვით, გამარჯვებულმა მოსინიკებმა მოკლულ მტრებს თავები მოაჭრეს და ბერძნების დასანახავად აღმართეს. თან ცეკვაღდნენ და მღეროდნენ ოაეისებურ ჰანგზე. ამ ცნობის საფუძველზე მკვლევრები თვლიან, რომ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს „გადახვეული ხორუმის" არსებობასთან.[17]

აჭარაში არსებობდა „ხორუმის" სხვა სახეობაც, რომელიც ცნობილი იყო „დელი ხორუმის", ანუ გიჟური ხორუმის სახელწოდებით.[18] აკად. ნ. მარის ცნობით, „დელი ხორუმი," ისე როგორც „ფერხული ბუქნით", გაკრცელებული იყო იმერხეეთში, ფერხულის მოთამაშენი წრეს ქმნიდნენ. მაგრამ წრე მთლიანად არ იყო შეკრული.[19]

„ხორუმი", ანუ „ხორონი" მეომართა ცეკვაა. მასში წამოწეულია არა თავდასხმითი, არამედ თავდაცვითი ბრძოლების და მტერთან შერკინების აღმნიშვნელი საცეკვაო ჰასაკები. „ხორუმს" მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ, თუმცა, აჭარაში ქალთა ხორუმიც არსებობდა.

„ხორუმის" მთლიანი სურათი ოთხსაფეხურიანია. პირველ ნაწილში წარმოსახულია მეომართა დასაბანაკებელი ადგილის ძებნა. ამ სცენაში ნაჩვენებია მოცეკვავე-მხედართა შესაფური ელასტიურობა, სწრაფი მიხვრა-მოხვრა, საბრძოლო მზადების დაგეგმვა. მეორე ნაწილში განსახიერებულია მტრის დაზვერვა. ამ სურათში ჩანს ყურის ფიცარნაგზე დადებით მტრის მოძრაობის შეცნობის, მზეერავთა ერთმანეთთან მოთათბირების საცეკვაო სცენები.

ცეკვის შემდეგ ეპიზოდში იერიში და ცხარე ბრძოლაა გადმოცემული. წრიული „საცეკვაოები" დინამიურ მოძრაობაშია, ზოგჯერ თითქოს უკანაც მოიწევენ, რათა მტერი ეიწროებში შემოიტყუონ და მას ხელახალი დარტყმა აგემონ.

გამარჯვების ამოთეოზი კომპოზიციის ბოლო, ანუ დასკვნით ნაწილშია, რომლის უმთავრესი კომპონენტია „გადახვეული ხორუმი".

„გადახვეული ხორუმი" ერთმანეთზე გადახვეული სპეციფიკურ მოძრაობათა ცეკვაა, რომელსაც ახასიათებს განსხვავებული რიტმი, წყობა და სრულდება დასარტყმელი ინსტრუმენტის თანხლებით.

„გადახვეულში" ტერფთა ჩაკვრა-ამოკვრა, გვერდზე გაქნევა-ამოთამაშება მიგვანიშნებს მტრის მოჭრილი თავების გაგორებას, დაბეჭვას და ჩაქოლვას.

ხალხური ცეკვის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ლაზ მეთეკ'ხეთა ცეკვას", რომელიც იგივე „მეგადურთა" ცეკვაა და დაკავშირებულია ლაზთა უძველეს შრომა-საქმიანობასთან. „ლაზურს" ადრე მამაკაცები ცეკვავდნენ სარფსა და მახოში. შემდგომ მას'ში ქალებიც გაერთიანდნენ, რითაც მეტი სიცხადე მიეცა შრომის ამსახველ კომპოზიციას. ლაზებმა ეს ცეკვა საუკუნეთა მანძილზე გამოატარეს და დღემდე შეინარჩუნეს.

---

16 ლ.ფავარამაძე. ქართული საცეკვაო ფოლკლორი. თბ., 1997, გვ. 77.

17 ა.თათარაიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

18 იქვე, გვ. 41.

19 იქვე, გვ. 41.

„ლაზური", როგორც ხალხური ცეკვისა და სიმღერის საუკეთესო ნიმუში, სრულდებოდა ჩასაბერი (სტვირი ანუ „ოსტვინადე", სალამური ანუ „კაკალი") და დასარტყმელი ინსტრუმენტებისა და სიმღერის თანხლებით. მის შესრულებაში ასახულია კოლექტიური შრომა, დაკავშირებული ზღვასთან, ნავთან, ბადის ქსოვასთან, თევზაობის პროცესთან.

"ლაზურის" („ლაზხორუმის") გარდა, ლაზებში სხვა ცეკვებიც სრულდებოდა: „ო�რთინანო". „მენჯღლიში", „მხუჯიში" და ა.შ. „მხუჯიში" ისეთი ცეკვაა, რომლის დროსაც ილეთები სრულდება ფეხით დაბლა სრიალით, რადგან თითოეული მოცეკვავის მხარზე დგას მეორე მოცეკვავე და მათ წონასწორობის დაცვის მიზნით ხელები ერთმანეთზე აქვთ გადაბმული.[20] „ლაზხორუმი" აჭარის სხვა სოფლებშიც სრულდებოდა.

ამგვარად, აჭარული ხალხური ცეკვები მრავალფეროვანია ფორმითა და შინაარსით, მუსიკალურობით. მათში მკაფიოდ იხატება ეროვნული სულიერი კულტურის თავისებურებები.

§4. საისტორიო ზეპირსიტყვიერება

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში, რომელსაც საფუძვლად ქვეყნის რეალური ისტორია უდევს, ჩაქსოვილია ქართველი ხალხის წარმოდგენები გმირობისა და ეკეკაცობაზე, სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებაზე.

საისტორიო ფოლკლორით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხე.[1] ამ მხრივ არც აჭარის ზეპირსიტყვიერებაა გამონაკლისი. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, ყველა ეპოქის ამსახველი მასალა მასში ერთნაირად როდია წარმოდგენილი. თაყის დროზე წარმართულსა და ქრისტიანულ იდეოლოგიათა შეუთავსებლობასთან ერთად, მუსლიმანურმა სარწმუნოებამაც თავისი კვალი დაჩნია აჭარის ზეპირსიტყვიერებას, კერძოდ კი მის საგმირო-საისტორიო ჟანრს.[2]

აჭარის საისტორიო ფოლკლორში გამოირჩევა თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ლექსი-სიმღერები და თქმულება-გადმოცემები. სხვა ქართველ მეფეთა შესახებ კი თითქმის არაფერი შემორჩა აქაურ ზეპირსიტყვიერებას. ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები" (თფ., 1891) თამარ მეფის ციკლის საისტორიო ლექსებთან ერთად შეტანილია ცნობილი ლექსი ვახტანგ გორგასალზე:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა".

ამ ერთეული შემთხვევის გარდა, ლექსის სხვა ვარიანტი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში არ დაფიქსირებულა. ამის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს ლექსი აჭარაში არ უნდა იყოს შექმნილი.[3]

თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების სიმდიდრეზე აჭარაში ერთხმად მიუთითებდნენ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. ჟან მურიეს ცნობით, „აჭარლების

---

20 მ.ჯანელიძე. ა.თანდილავა. ლაზეთი. თბ., 1964, გვ. 133–134.

1 ქს.სიხარულიძე. ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. თბ., 1949; მისივე, საისტორიო სიტყვიერება, – ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ.II. თბ., 1968, გვ. 163-244.

2 ბ.ახვლედიანი. აჭარის საგმირო საისტორიო სიტყვიერება. ბათუმი, 1970, გვ. 9-28.

3 იქვე, გვ.35.

ყველა ისტორიული თქმულება თამარ მეფის ცნობილ სახელს უკაუშირდება".[4] 1877 წელს გაზეთი "იეერია" (№11) იუწყებოდა: „იქ თამარს მიაწერენ ყოველივე ძველ შენობას, ციხესიმაგრეებს, მშვენიერ ხიდებს და ტაძრებს. ისიც საკვირველია, რომ ოსმალოს საქართველოში თამარს გარდა სხვა მეფეზე ვერას გაიგონებთ". ეს ფაქტი, ეთუოდ, იმით აიხსნება, რომ აღორძინების ეპოქის დიდებულ მეფე-ქალს სრულიად საქართველოში, და ბუნებრივია, აჭარაშიც, განუსაზღვრელი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა, რაც ვერ წაშალა უცხოელთა ბატონობამ და სარწმუნოებამ. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „თამარ მეფეს დიდად უყვარდა საქართველო... ხშირად დაბრძანდებოდა ხოლმე ბათუმის ახლო-მახლო, ამიტომაც არის, რომ აჭარელ-ქობულეთელ გათათრებულ ქართველებს დღესაც ახსოვთ თამარ მეფის ცხოვრების ცნობები. ეს ცნობები მათში ვერაფითარ მუსლიმანურ მახეცილს ვერ ამოუგდია".[5]

1897 წელს აჭარაში მოგზაურობისას თედო სახოკიამ მრავალად ჩაიწერა თამარის ციკლის საისტორიო გადმოცემები. ამ სიმრავლეს იგი იმით ხსნიდა, რომ „თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნაველ ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებული, მტრისათვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მოუკერძოებელი მოსამართლე და ყოველივე ამის დასასრულ – წმინდანი და უბიწო".[6] ამგვარ რწმენა-წარმოდგენას საფუძველად დაედო ის ფაქტი, რომ ხალხს თავისუფლებისა და ძლიერების სიმბოლად თამარი და მისი დრო მიაჩნდა და ყოველივე კარგს, დიდებულს ამ ხანას მიაწერდა, უმღეროდა მას და მარად უჭკნობ ლამპარად გადასცემდა თაობიდან თაობას. ოსმალთა ბატონობის დროსაც გამაჰმადიანებულ ქართველებს ისე უყვარდით თამარ მეფე, რომ იგი რელიგიურ კულტადაც კი გაიხადეს.[7] თუმცა, ფანატიკოსი ხოჯა-მოლები უარყოფდნენ თამარის ქართველობას და აცხადებდნენ, რომ იგი თათარი იყო.[8]

აჭარის ფოლკლორში თამარის ციკლის საისტორიო პოეზიის ყველაზე ადრეული ნანაწერი პეტრე უმიკაშვილს ეკუთვნის:

„ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმოვდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შეეები,
ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა."[9]

ტექსტს ახლავს შენიშვნა, რომ ეს ლექსი ჩაწერილია 1879 წელს ბათუმში უსეინ ბეგ ბეკან-ოღლისაგან.[10] ამ ლექსის იდენტური ვარიანტები ჩაუწერიათ აჭარაში ზ. ჭიჭინაძეს,[11]

---

4 ეან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962, გვ. 31.
5 ზ.ჭიჭინაძე. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით. ტფ., 1911, გვ. 16.
6 თ.სახოკია. მოგზაურობანი. თბ., 1950, გვ. 197.
7 ბახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 41.
8 ზ.ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
9 პ.უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება 4 ტომად, ტ. I. თბ., 1964, გვ. 97.
10 იქვე, გვ. 311.
11 ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. ტფ., 1916.

გ. წერეთელს[12] და თ. სახოკიას.[13] თ. სახოკიასეული ვარიანტს ახლავს ჩამწერის ცნობა: „აქეე გაეიგონეთ ერთი ქობულეთელი აზნაურის, მამადიანი ქართველის. ყურ'შუმ-ალი ჭყონიასაგან თამარის ანდერძისებური ლექსი".[14] ლექსის ვარიანტები დაცულია ბათუმის ნიკო ბერძენი'შვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. ლექსებში ხაზგასმულია, რომ თამარ მეფემ ღირსეულად ატარა გვირგვინოსნის კვერთხი, ყველაფერი გააკეთა სამშობლოს საკეთილდღეოდ და ქეეშევრდომნიც „მაყოფილი ჰყოდა; ვალმოხდილმა მეფემ შთამომავლობას სიფხიზლისაკენ მოუწოდა „აწი თქვენ იცით, მეფენო"-ო. რადგან აჭარის ფოლკლორში ამ ლექსის ვარიანტთა სიმრავლეა, თანაც იგი ჩვენს დროშიც ყველთან არის გაერცელებული და მღერიან კიდეც, თვლიან, რომ იგი აჭარაშია შექმნილი.[15]

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ აჭარაში ჩაწერილ თამარის ციკლის ნაწარმოებთა შორის აღსანი'შნავია ლექსი, რომელშიც ასახულია თამარ მეფის ხელმძღვანელობით ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი სამზადისი:

„თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა.
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა,
ზედ დასხა ქართველთ ლა'შქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა".

ქართულ ფოლკლორში ამ საისტორიო ლექსის მრავალი ვარიანტი მოგვეპოვება, აჭარაში კი – მხოლოდ ზ. ჭიჭინაძისეული ჩანაწერი. იგი საომარი სამზადისის ამსახველი უძველესი საფერხულო სიმღერაა[16] და ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ თამარს წარმოგვიდგენს როგორც ქართულ ლაშქარზე მზრუნველს, სამხედრო ძლიერებით მოსილ მეფეს, რომელსაც ზღვაში ალმასებიანი ხომალდი ჰყავს და წყალობას არ აკლებს სამშობლოს დამცველ ქართველ მეომრებს.

ზ. ჭიჭინაძეს ჩაუწერია თამარის ეპიტაფიური ლექსი „უბისს ავაგე საყდარი", თუმცა არ მიუთითებია ჩაწერის ადგილი და მთქმელის ვინაობა. ლექსის ერთი ვარიანტი ჩაწერილია ხიროში (სოფ. წერაქეეთი, მთქმელი 85 წლის ახმედ ქათამაძე) 1962 წელს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული ექსპედიციის მიერ. ლექსში ეპიტაფიისათვის დამახასიათებელი სტილით მოთხრობილია თამარის მიერ გაწეულ საქეეყნო ღვაწლზე, თუ როგორ დაიმორჩილა მისმა ძლიერებამ ზღვაც და ხმელეთიც, როგორ დააკისრა ბეგარა თავისი ქვეყნის მტრებს და ამდენი საქეეყნო საქმის შემოქმედს სიკედილის შემდეგ მხოლოდ „ცხრა ადლი ტილო" ერგო:

„უბეს საყდარი ავაგე,
უწყლოსა წყალი გავიღე,
ისპანს ბეგარა დავსდევი,
სტამბოლს ხარაჯი ავიღე.
თეთრ ზღვაში კინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემკენ მოვიღე,
ამდენი საქმის მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე".[17]

---

12 „ჯეეჯილი", 1895, 4, გვ. 38.
13 თ.სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.
14 იქეე, გვ. 224.
15 ა.ახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 40.
16 ქს.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 72.
17 აჭარის ხალხური პოეზია, I. თბ., 1969, გვ. 57.

საყურადღებოა ამ ლექსის მეორე ვარიანტი, რომელიც 1940 წელს არის ჩაწერილი ქობულეთში და დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (№20, გვ.7):

„უბისს საადარი ავაგე,
უწყალოს წყალი ვადინე,
ისლამს დავდევი ბეგარა,
სტამბოლში ხარჯი ევიღე,
აწ ამის მოქმედმა კაცმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს მშვენიერი ნიმუში იმავე სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, როგორიც საისტორიო ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა“. ამ ლექსებში მადლიერმა შთამომავლობამ ღირსეულად შეაფასა თამარ მეფის ამაგი, საქეიფოდ აღიარა მისი ღვაწლი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მნიშვნელოვანია ლექსის დასასრული, სადაც თამარის პირით ქართველობას შემდეგი რჩევა-დარიგება ეძლევა: სიცოცხლეში ქვეყნისათვის, ხალხისათვის უნდა იზრუნო და არა წერილმანი პიროდული მიზნებისათვის, რამეთუ თვით ცხოვრების უსუნაუს საფეხურზე მდგომ მეფესაც კი იმქვეყნად არაფერი ძალუძს, თვინიერ მისი კეთილი და ზნემაღალი საქმეებისა.

თამარის ციკლის ბევრი საინტერესო თქმულება ჩაიწერა და გამოაქვეყნა გიორგი წერეთელმა.[18] მათ რიცხვს ეკუთვნის თქმულება "თამარას ბორის" შესახებ, რომელიც ზოგადქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებულ ე.წ. „ნაქოშარი" ბორების ციკლს განეკუთვნება. თქმულება მოგვითხრობს, რომ თამარ მეფეს ჰყავდა ქალთა ლაშქარი. ერთხელ, როცა იგი თავისი ლაშქრით მტერთან საომრად გაეშურა ზღვის მიმართულებით, წვიმიანი ამინდი იყო. შესვენებისას მისმა ლაშქარმა ქოშებზე აკრული ტალახი ჩამოიფხიკა, რამაც ბორა წარმოქმნა.

საყურადღებოა. აგრეთვე, მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც თამარს მაჭახლის ციხე-კოშკიდან ეფრატამდე საიდუმლო მიწისქვეშა გზა გაუყვანია. მალე მას ბრძოლა მოუხდა ირანის შაჰთან, რომელიც გაგულისებული იყო, თამარმა ცოლობაზე უარი როგორ მაკადრაო. შაჰს ალყა შემოურტყამს კარჩხალის ციხისათვის, ბაგრამ ვერ აუღია. ბრძოლა რამდენიმე თვეს გაგრძელებულა და ციხეში მყოფთ სურსათი შემოლეფიათ. შაჰს უფიქრია, ალყაში მყოფთ აღვილად დავიმორჩილებო, ციხეში ბევრი ღვინო შეუგზავნია და შეუთვლია, დამმორჩილდითო. იქიდან თამარს ცოცხალი თევზი გამოუგზავნია და შემოუთვლია: დიდი ხანია, თქვენი საყვარელი კერძი არ გიგემნიათ, იქნებ ცოცხალი თევზის დანახვამ სამშობლო მოგაგონოთ და ჰირკანიის (კასპიის ზღვა) ნაპირებისაკენ გაბრუნდეთო. ფიქრობენ, რომ ამ თქმულების წყაროა ეახუშტის მიერ მოთხრობილი ერთი ეპიზოდი, რომელიც XV-XVI საუკუნის საქართველოში სამეფო ხელისუფლების დასუსტებასა და ფეოდალების გაძლიერებას, კერძოდ ბაგრატის მიერ მუხრანის ციხის აშენებას და ციხეში აეგიორგის გამომწყვდევის ამბავს ეხება. ეს სიუჟეტი თამარის ციკლში საკმაოდ გვიან, XVIII საუკუნის შემდეგ, უნდა შესულიყო.[19]

თამარის კულტი გავრცელებული ყოფილა მთელს აჭარაში, განსაკუთრებით კი – სოფელ ფურეიოში. სწორედ ამ სოფელზე გადის სხალთის ტაძრისაკენ მიმავალი გზა, რომლითაც, თურმე, თამარ მეფე სალოცავად დადიოდა. XIX ს. ბოლოს თედო სახოკია წერდა: "დაწერილებით აგვიწერენ გზას, რომლითაც სულმნათი ჯორით დადიოდა, გვინვენებენ

[18] «Новое обозрение», 1899, № 2764.
[19] ქს.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ.129.

ადგილს, სადაც ღამე უთენია, წყაროს, სადაც წყურვილი მოუკლავს, ქვას, რომელ-ზედაც ფეხი შეუდგამს... ისეთი ზედმიწევნილობითაც მოგვითხრობენ, თითქო გუშინდელი. საკუთარი თვალით ნანახი და ყურით გაგონილი ამბავი იყოს და არა რვა საუკუნის წინანდელიო".[20]

თამარის სახელთან არის დაკავშირებული თქმულება „ვარცხლა" სერის შესახებ: „ძველად თამარ მეფეს იქ ვერცხლის მადანი ჰქონია. რაც ვერცხლი სჭირდებოდა, სულ იქიდან გაჰქონდა თურმე".[21]

აჭარაში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, მახუნცეთის, დანდალოსა და ფურტიოს ხიდები თამარს ერთდროულად აუშენებია. ხირხათის ციხესა და დანდალოს შუა ხალხი ჰყოლია ჩამწკრივებული, ხიდისათვის საჭირო მასალას ერთმანეთს აწვდიდნენ. ფურტიოს ხიდს „დედოფლის ხიდს" ეძახიან. სხალთაში მიმავალი თამარი ამ ხიდს გაივლიდა ხოლმე. ხიდის მარცხენა მხარეს უჩენებენ მიწაში ჩაფლულ ოთხკუთხა ლოდს, რომელსაც „დედოფლის ქვას" ეძახიან: „თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შეერძანდებოდა თავის ჯორზეო". ფურტიოდან სხალთაში მიმავალი გზისათვის კი. თამარის პატივსაცემად, „დედოფლის გზა" შეურქმეიათ.[22]

ფურტიოში თედო სახოკიას ჩაუწერია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულებები „დედოფლის წყაროს", „სიმონაურისა" და „დოლიაურის" შესახებ. სხალთაში მიმავალი თამარი, როცა შემოადამდებოდა, ფურტიოში ისვენებდა. ერთხელ იგი ერთ შეძლებულ გლეხს, სახელად სიმონას, სწვეია. გლეხს ძალიან გახარებია და საკადრისად დახვედრია დიდებულ სტუმარს, შეილისათვის კი ღვინო გაუტანებია წყაროში ჩასაციებლად. თამარს ძალიან მოსწონებია ჩაციებული ღვინო და „უკითხავს, ასეთი ციცი წყარო სად არისო. მისთვის ეს წყაროც უჩვენებიათ. ამის შემდეგ აქეთკენ სიარულის დროს დედოფალი ამ წყაროს ისე არ ჩაუვლიდა, წყალი არ დაელია და წყაროსაც მისი სახელი დარქმეია. თამარ მეფის მასპინძელი გლეხის სახელიც არ დაუკარგავს ხალხს და მისი ნამოსახლარისათვის „სიმონაური" უწოდებია. თამარ მეფე განმეორებითაც სწვეია სიმონას. მის შვილებს სტუმრისათვის „დოლია" (ურქო) ძროხა დაუკლაეთ და ამ ადგილსაც მეფის სტუმრობის მოსაგონებლად „დოლიაური" დაერქვა.[23] ნიშანდობლიეია, რომ თამარის სახელთან დაკავშირებული წყაროები თუ ნაგებობები აჭარაში მრავლად მოიპოვება.

თამარის ციკლისაა აგრეთვე თქმულებები „ნალობიევისა" და „ნახუცარის" შესახებ: „ერთხელ, თურმე, თამარ დედოფალმა კეირა დღეს ფურტიოში გაჩერება და აქაურ ეკლესიაში წირვის მოსმენა ბრძანა. ეკლესიაში მთელი სოფელი შეიკრიბა. წირვის დაწყების ჟამი რომ დადგა, მღვდელი ადარსად ჩანდა. დიდებულმა მლოცველმა მოიკითხა: ხუცესი რა იქნაო? ამაზე კრძალვით მოახსენეს: ნუ გაგვრისხავთ, დიდებულო, მღვდელს შეეშინდა, მეფის საკადრისი წირვა მე სად შემიძლიაო და დაიმალა. ფრიალ ეწყინა თურმე მეფეს და ბრძანა, საცა იყოს, მოძებნეთო. ბოლოს მღვდელი ნიკოლა შანთაძის ლიბიოში უნახავთ დამალული. მას აქვთ ეს ადგილები ისტორიული შეიქნა. ერთს „ნახუცარი" დაერქვა და მეორეს – „ნალობიევი".[24]

თამარის სახელს უკავშირდება ხირხათის ციხის მშენებლობაც. „ეს ლეგენდა, – წერს თ.სახოკია,– თამარს წარმოგვიდგენს ხირხათის ციხეში შეფარებულს. "უსჯულოთა მეფის" ალერსისაგან თავის დასაღწევად.[25] ლეგენდა გარეშე მტრებთან ბრძოლის თემას

---

20 თ.სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 197-198.
21 იქვე, გვ. 199.
22 იქვე, გვ. 201.
23 იქვე, გვ. 203-204.
24 იქვე, გვ. 204-205.
25 იქვე, გვ. 223-224.

განეკუთვნება, გამსჭვალულია ქრისტიანული სარწმუნოების იდეოლოგიით და თამარის უბიწოების ცნობილ მოტივს შეიცავს. იგი ერთგვარი გამოძახილია ისტორიული ფაქტისა – რუჭნადინ სულთნისაგან თამარ მეფის ცოლად შერთვის სურვილისა. თედო სახოკიამ ნაიწერა ამ ლეგენდის მეორე ვერსიაც, რომელიც თამარ მეფის გარდაცვალებასა და მისი დასაფლაგების ადგილზე მოგვითხრობს. ლეგენდის თანახმად, უსჯულოთა მეფემ, რაკი საწადელს ვერ მიაღწია, დაიფიცა, თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც ჩავიყვებ ხელში. თამარ მეფე მოხუცებულობამდე ემალებოდა მტერს. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, იხმო იორმეტი ერთგული ყმა და უდაბნოში დაიმალა. მისი გარდაცვალების შემდეგ თიორმეტივე მონამ საწამლავი დალია, რათა ცოცხალი არავინ გამოსულიყო იქიდან და უნებლიეთ არ წამოსცდენოდათ, თუ სად განისვენებდა მეფე. ლეგენდის მიხედვით, ამ უდაბნოში, ოქროს აკვანში, განისვენებს დიდებული გეორგინოსანი და შვიდი სამეფოს ვანძი აქვს გარშემო შემოკრებული. ლეგენდის მესამე ვერსიის თანახმად კი აჭარლებს სწამდათ, რომ „თამარ მეფე არ მომკვდარა, ცოცხალია და ერთ დღეს ისევ გამოჩნდება და მეოაურად დაუდგება თავის საყვარელ ხალხს".[26] ამ თქმულება-გადმოცემათა ვარიანტები დღესაც ამშვენებს აჭარის ზეპირსიტყვიერებას. მრავალრიცხოვანი ჩანაწერები კი დაცულია ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია.[27]

თამარ მეფის სახელს უკავშირდება სხალთის ტაძრის აშენებაც. ამის შესახებ აჭარაში თქმულების ორი ვერსიაა შემორჩენილი. ერთი ტაძრის სახელდებასთან არის დაკავშირებული და მოგვითხრობს, თუ როგორ უნებებია თამარ მეფეს ტაძრის აშენება დიდ მსხალთან. მეორე კი ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილ ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობის მოტივზეა აგებული.[28] ამ ლეგენდას უკავშირებენ ქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებულ სვეტიცხოველის მშენებლობასთან დაკავშირებულ ლექსს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომჭრეს,
კარგი რისთვის აგიგია".

ვარაუდობენ, რომ შეიძლება ორივე ლეგენდა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობდეს.[29]

თამარ მეფის მიერ ეკლესიის მშენებლობის მოტივს შეიცავს მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი თქმულება, რომლის თანახმადაც ეფრატის ეკლესიის ქვემოთ, ხერთვისში, ახალი ეკლესიის მშენებლობა ფერხდებოდა. მშენებლებს დილაობით იარაღი ადგილზე არ ხედებოდათ. თამარი დაფიქრებული და უბრძანებია, „ისევე ეფრატის ეკლესია დარჩეს ამ ხეობის მცხოვრებ ქართველთა დედა ეკლესიადო".[30] ამ სიუჟეტს მსოფლიო ფოლკლორში კარგად ცნობილ კედელში მსხვერპლის ჩატანების სიუჟეტთან აკავშირებენ.[31]

თამარ მეფის შესახებ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში შემონახული თქმულება-გადმოცემები მას უსაზღვრო ფიზიკური ძალის ადამიანად წარმოაჩენენ. ერთი გადმოცემის

---

26 იქვე, გვ. 224-225.

27 ჯ.ნოდაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები, I. ბათუმი, 1971, გვ. 205-206.

28 თ.სახოკია. დასახ. ნაშრ., გვ. 236.

29 თ.ოქროშიძე. თ.სახოკია და ქართული ფოლკლორი. – თ.სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1969, გვ. 31.

30 ზ.ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრომი, გვ.22.

31 ა.ახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 50-53.

თანახმად, თამარი ხირხათის ციხეში კერძს ამზადებდა და ეფებერთელა ქვეით, რომელიც 2 ტონაზე მეტს იწონიდა, როდინში სუნელს ნაყადა. მას აცნობეს, ციხეს მტერი შემოესია. გაბრაზებულმა თამარმა სანაყი ქვა ციხიდან ისროლა და სოფელ თხილეანის მინდორზე დააგდო.[32] ზოგიერთი თქმულებით, თამარი გოლიათი ალნაგობის იყო და მოწინააღმდეგეს ქამარში ჩაირრიდა ხოლმე.[33]

მართალია, აჭარაში თამარ მეფის შესახებ არსებულ თქმულება-გადმოცემების ერთ ნაწილს იერარიული სინამდვილე უდევს საფუძვლად, მაგრამ ეხედებით მითიურ-წარმართული მსოფლმხედველობის ნაკვალევსაც, სადაც წარმართული დროის ქალღვთაებას ისტორიული მეფე თამარის სახე ჩანაცვლებია.[34]

აჭარაში ოსმალთა ბატონობისდროინდელი საისტორიო ზეპირსიტყვიერება ძალზე მწირია. ამ სფეროს დიდი ამაგი დასდო ზ.ჭიჭინაძემ, რომელმაც აჭარაში იმოგზაურა და შეკრიბა თქმულება – გადმოცემები, რომლებიც თითქმის იმეორებენ ერთმანეთს და ასახავენ ამ კუთხის გამაჰმადიანებას, დამპყრობთა ძალადობასა და ხალხის მედგარ წინააღმდეგობას.[35] სოფელ აჭყისთავში იგი შეხვედრია ცნობილ სახალხო მთქმელს ხუსეინ ხაბაზ-ქამჯარაძეს. მისგან ჩაუწერია საისტორიო ხასიათის თქმულება-გადმოცემები და ლექსები ქობულეთის მხარის გათათრებაზე.[36] ხუსეინ ხაბაზის ლექსებში ("ახმედ ადაკ, ჩემო ძიაკ", "ბაბუნ-ოღლი, შენი არის") გაკიცხულნი არიან ადგილობრივი მმართველი ბეგები და მოხელეები, რომლებიც ავიწროვებდნენ მოსახლეობას და ოსმალებისადმი ერთგულებას იჩენდნენ.

ამ პერიოდის ამსახველ საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში უმთავრესად ორი პრობლემა გამოიყოფა: ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და სოციალური უკუღმართობისადმი პროტესტი.[37] ამ ეპოქის საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში გამორჩეულია "სოლოღას ლექსი", რომლის ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი 1859 წელს ჰ.უმიკაშვილმა კახეთში ჩაიწერა იქ ყადასახლებული მერისელი თავდგირიძისაგან. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, ამ ლექსის აეტორია ცნობილი მერისელი მთქმელი ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილი.[38] მასში მოთხრობილია ქართველი ფალავნის – სოლოღას ვაჟკაცობაზე.

სოლოღას ლექსი ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მისი ყველაზე მრავალრიცხოვანი ვარიანტები აჭარაშია დაფიქსირებული ჯერ კიდევ გასულ საუუნეში. მთქმელთა მტკიცებით, სოლოღა აჭარის მკვიდრია.

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ "სოლოღას ლექსი" XVII საუკუნეშია შექმნილი, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალებს უკვე გაბატონებული იდგომარეობა ეკავათ. ამგვარი შეხედულება ემყარება ცნობას, რომლის მიხედვითაც სოლო-

---

32 ხ.ახველედიანი. ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის, – ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955, გვ. 59.

33 ა.ახველედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

34 ქს.სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

35 ზ.ჭიჭინაძე. ქართველთა გამაჰმადიანება. ტფ., 1906; მისივე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. ტფ., 1916.

36 ლექსები, თქმული ხუსეინ ხაბაზ-ქამჯარაძისაგან, თბ., 1900, გვ. 27.

37 ჰ.უმიკაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ.307-308.

38 ზ.ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თბ., 1913, გვ. 104.

და წარმოშობით მესხეთიდან იყო და ცხოვრობდა XVII საუკუნეში.[39] ბოლო დროის გამოკვლევებით დასტურდება, რომ სოლოღა მოღვაწეობდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, იგი აჭარის მკვიდრი და სელიმ ხიმშიაშვილის თანამედროვე იყო. ლექსიც შექმნილია აჭარაში ან ახალციხეში, სადაც იმ დროისათვის მრავალად სახლობდნენ ხიმშიაშვილია მხლებელი აჭარლები, და შემდეგ გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.[40]

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა ოსმალურმა ადმინისტრაციამ „თანზიმათი" შემოიღო და დაარღვია აჭარაში შემორჩენილი მიწათსარგებლობისა და ადმინისტრაციული მმართველობის ძველქართული წესები, იმატა ხალხის პროტესტმა, რამაც საყოველთაო-სახალხო ხასიათი სელიმ ხიმშიაშვილის დროს მიიღო. ამ მოვლენების ამსახველ ერთ ზეპირ გადმოცემაში („რამდენიმე ძველი ამბავი ქობულეთელ მოხუცის დედა-აღა ცეცხლაძისაგან, რომელიც იყო 115 წლის და აწ გარდაცვალა")[41] მოთხრობილია „თანზიმათის" განხორციელების შესახებ აჭარაში მოსახლეობის მღელვარებასა და ხელისუფლების მიერ გატარებულ უმკაცრეს ღონისძიებებზე.

აჭარის საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილ თქმულება-გადმოცემათა მიხედვით, აქაური მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა ოსმალეთის მთავრობას, რომელსაც სურდა, გაეწია ისინი ჯარში – „ნიზამში" და ჩაეთრია ოტომანთა იმპერიის მიერ წარმოებულ ომებში.[42] ეს განწყობილება კარგად არის გადმოცემული ხესეინ ხაბაზის ერთ-ერთ ლექსში:

„ძველი კაცის ნათქვამია:
„ბალი წარეა კატარში",
ნიზამი თუ მოითხოვეს,
ბევრი არ გავა თათარში".[43]

ცნობილია, რომ აჭარაში ბევრჯერ მომხდარა აჯანყება ოსმალეთა ბატონობის წინააღმდეგ. 1875 წელს აჭარლები არ გაჰყვნენ ოსმალებს პერცოგოვინელების წინააღმდეგ საომრად და აჯანყებაც მოაწყეს.[44] დამპყრობლის ომში მონაწილეობა აჭარლობას უნინეობადაც მიაჩნდა და საკუთარ ოჯახურ მდგომარეობასაც ითვალისწინებდა:

„მე რომ ნიზამში წევიდე,
რაღა ე'შველოს ოჯახსა.
ისთე, იცოდე, ვერ წავალ,
ვერ ავატირებ ნენესა".[45]

„ნიზამისადმი" მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულების ამსახველია გადმოცემა ქობულეთელი მემედ ჯაფარიძის შესახებ. იგი დამალულა და არ წასულა ჯარში, რისთვისაც მისი მამა დელი-აღა დაუჭერიათ. ამ შემთხვევის გამო გამოუთქვამთ

---

39 „ძველი საქართველო", ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. გვ. 236-237; თ.ბეგიაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწ. I. თბ., 1925, გვ. 89; ტ.კალანდაძე. ქართული ხალხური ბალადა. თბ., 1957, გვ. 48; ვ.კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. თბ., 1961, გვ. 370.

40 ა.ახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 169-177.

41 "დროება", 1883, № 265.

42 ა.ახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

43 ლექსები, თქმული ხესეინ ხაბაზ-ქამუარაძისაგან, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თბ., 1900, გვ.10.

44 ა.სურგულაძე. აჯანყება აჭარაში 1875–76 წლებში, – "აჭარის სოფელი", თბ., 1969, გვ. 90-100; ს.ახვლედიანი. სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. ბათუმი, 1959, გვ. 118.

45 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №249, გვ. 7.

ლექსი, რომელშიც დამპყრობლის ჯარში სამსახურისადმი პროტესტთან ერთად არცხვენენ კონკრეტულ პიროვნებას – ყესიტ-აღა სამბაშოღლის. ვისაც ევალებოდა მოსახლეობის ჯარში გაწვევა.[46]

იმავე პრობლემას ეძღვნება „ასლან ბაკუნოღლის ლექსი",[47] რომელიც ცხადყოფს, რომ ჭახათელმა ასლან ბაკუნოღლიმ (ბაკუნაიშვილმა) ნიზამში წასვლას ყაჩაღად გავარდნა არჩია. ადგილობრივი მმართველობა მას დასაჭერად დასდევდა. განსაკუთრებით კი ჩურუქსუს კაიმაკამი მურად-ბეგ თავდგირიძე მტრობდა. ასლანი უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა და მურად ბეგისათვის შეუთვლია:

„იცოდე, ბიჭად დაგხვდები,
თუკი მაქ თავი ერთია,
შენ თუ ოცი ბიჭი გახლავს,
ჩემკენა – დიდი ღმერთია".

ლექსში მოთხრობილი ამბები უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის 30-40-იან წლებში, როცა ოსმალურ ჯარში აჭარელთა გაწვევის პირველ ცდებს ჰქონდა ადგილი.

ამავე თემაზე შექმნილ ფოლკლორულ ნაწარმოებთაგან გამოირჩევა, აგრეთვე, რეზმან მესხიძის მიერ გამოთქმული ლექსი თავის ბიძაშვილ მემედ მესხიძეზე. ლექსი მრავალ ვარიანტად არის ცნობილი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. მისი საინტერესო ვარიანტი ჩაწერია პეტრე უმიკაშვილს 1887 წელს სოფელ ჩურუქ-სუში (ქობულეთში).[48] ლექსს ახლავს შენიშვნა: „ორი ძმა მესხიძე ნიზამში იყო გამწესებული, ერთმა მეორეს წერილი მისწერა". ჯარში მესხიძე სხვის მაგივრად გაუგზავნიათ და ამიტომაც გამოთქმულია საყვედური ადგილობრივი მმართველის მიმართ:

„სახლში ყოფნა ჩვენც გვინდოდა,
არ მოგვეხმარა ბეგია,
იმ ჩვენს მუხტარს და მეჯლისსა
ენა არ უთქვამს ერთია.
მოწყალე ღმერთო, შენ ჰკითხე,
მას გაუცუდე ბედია..."

ოსმალთა სამხედრო სამსახურისადმი აჭარელთა შეურიგებლობისა და უკომპრომისო დამოკიდებულებაზე მიუთითებს ჰ. უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ლექსი, რომელიც მრავალ სხვა გადმოცემასთან ერთად, იმის დასტურია, რომ აჭარელი კარგად ხედავდა, რომ თანზიმათის შედეგად განხორციელებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად, ნიზამიც გამისნული იყო ადგილობრივ მკვიდრთა ასიმილაციისათვის.[49]

თანზიმათის პერიოდის ზეპირსიტყვიერებაში, ოსმალთა წინააღმდეგ აჭარელთა შეურიგებელ ბრძოლასთან ერთად, მოთხრობილია სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ამხედრებული ვაჟკაცების შესახებ, რომლებიც უბრალო მშრომელ ხალხს ეკომაგებოდნენ და აღა-ბეგებს ებრძოდნენ. ესენია ლექსები ალი-აღა სამბაშოღლისე და იუსუფ ბეკიოღლისე (ბეკანიძეზე).

შერიფ ხიმშიაშვილის თანამედროვე ალი-აღა სამბაშოღლი, სოციალური უკუღმართობისადმი პროტესტის ნიშნად, ყაჩაღად გავარდნილა. იგი უმწეო გლეხების ინტერესე-

46 იქვე.
47 იქვე, №239, გვ. 10-11; აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 60-61.
48 რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, №113, გვ. 17.
49 ა.ახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ბის ქომაგი ყოფილა და ამიტომაც სახალხო მთქმელის ხოტბის ობიექტი გამხდარა. ალი-აღას ვაჟკაცობის ამსახველი ხალხური ლექსი მისივე სიცოცხლეში ჩანს შექმნილი. ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს ზ. ჭიჭინაძეს.[50] ლექსის მრავალრიცხოვანი ვარიანტების მიხედვით, ალი-აღა ტოლს არ უდებს შერიფ ბეგს, არ ემორჩილება მის ბრძანებას და თამამად შეუთვლის:

შენ იმფერი ბიჭი არ გყავს, მე რომ ჩამომხედოს თვალში.
ეგზახობას თუ მიჭიმავ, აგერ გამომყეე ყიმაში,
წადი და გობები ხვეწე, ნუ მოცდები ამ ზამთარში,
შენისთანა გაბერილი, ბეური ეთრევა ქალაქში".[51]

იესუფ ბეჟიოლლის ლექსიც გაბატონებული კლასისადმი შეურიგებლობის გამომხატველია: ლექსის გმირი უკომპრომისოა ყოველგვარი ბოროტების მიმართ:

„მე ვიყავ ძველი ქართველი, ახლა უსუფ ვარ თათარი,
ხიმ ყველა გადამემტერეთ რუსი ხემწიფე, ხანთქარი!
ერთი ვარ, ორსავ ვეყოფი, ჩემი სილაღი* მწყად არი,
მე ისე მიწას არ ჩავალ, თქვენ რომ არ განახოთ წამხდარი".[52]

სოციალური უსამართლობის ამსახველი ლექსებით განსაკუთრებით გამოირჩევა აჭყეისთაველი მთქმელი ხუსეინ ხაბაზი-ქამჯარაძე, რომლის რეპერტუარიც ერთ-ერთმა პირველმა ზ. ჭიჭინაძემ დააფიქსირა. იგი წერდა: „აჭყეისთაეში ცხოერობს ერთი ქართველი მაჰმადიანი სახალხო მელექსე ხუსეინ ხაბაზი, კაცი ხნიერი. ქართველ მაჰმადიანებში ბევრნი არიან მელექსენი, მაგრამ იმისთანა იშვიათია."[53]

ბერეხობისა და ფეოდალებს შორის არსებული დაპირისპირება „კარგადაა გადმოცემული ლექსში „ბეგის სიმღერა", რომელშიც ბერეხი და მისი ადამიანური მოთხოვნილებები არარაობად არის გამოცხადებული, ხოლო ბეგს კი ტა და ქეეყანა თავისი პროფია:

მე ეარ მფლობელი ამ ქეეყნის, ძალამ ასეთი გამხადა..."[54]

აჭარაში ოსმალთა ბატონობის ამსახველ ზეპირსიტყვიერებაში გამოძახილი ჰპოვა, აგრეთვე, ე.წ. „ოლქობამ", რაც რამდენიმე სოფლის გაერთიანებას, თავყრილობას გულისხმობდა. ამ მოელენის ამსახველი „ქობულეთური ლექსი ოლქობაზე, თქმული ჰუსეინ მეავანაძისაგან" ჩაუწერია ზ. ჭიჭინაძეს,[55] ხოლო მისი ერთ-ერთი ვარიანტი დაიბეჭდა „დროებაში" (№30, 1879). ლექსი მოგვითხრობს ქართველთა შორის შუღლსა და ურთიერთდარბეეაზე, მოწინააღმდეგესთან ბრძოლაზე.

---

50 ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა ცხოერება. თბ., 1916, გვ45.

51 აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 61.

* სილაღი – ეარაღი.

52 ხახველედიანი, ნარკვეეები აჭარის ისტორიიდან. ბათუმი, 1944, გვ. 46.

53 ზ.ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები კინტრიშის ხეობაზე. თბ., 1891, გვ. 17.

54 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, №171/4.

55 ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბ., 1916, გვ21.

ოლქობის ამსახველ ლექსებში მოთხრობილია ფაშების წინააღმდეგ გლეხთა ამბოხებებზე. საინტერესოა, რომ ამ მოძრაობაში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას.[56] როგორც ზეპირგადმოცემებით ჩანს, ოლქაზე ხალხი თვითონ წყვეტდა საშინაო თუ საგარეო საქმეებს. ოლქობის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხედებით პ.უმიკაშვილის ხელნაწერთა შორის დაცულ მხატვრულ ნაწარმოებში „პატარა ახმეტა", რომლის ერთ-ერთი მოქმედი პირია ცნობილი მთქმელი ბუჰანა შავიშვილი. მისგან პ. უმიკაშვილს ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუში ჩაუწერია. მისი გადმოცემით, ოსმალთა ბატონობისას ხალხის მეხსიერებიდან თანდათან იბინდებოდა ძველქართული ადათები და წეს-ჩვეულებანი.

ოლქობის შესახებ ხალხში მრავალი გადმოცემაა შემონახული. XIX საუკუნის 70-იან წლებში მომხდარ ოლქობაზე, რომელიც ჭაიანათის მინდორზე (ხუცუბანი) გაიმართა, 3000 კაცამდე შეკრებილა. მასში ხიროდან დაწყებული ხუცუბნამდე 10 წლიდან 60 წლამდე ყველა სოფლის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამგვარი შეკრება აჭვეისთავეშიც გამართულა. ალი ფაშამ გადაწყვიტა, მოლაპარაკებოდა ხალხს, მაგრამ ხალხმა არ დაუჯერა მას. ალი ფაშამ ეს ამბავი სტამბოლს აცნობა, თავკაცები დაიჭირეს და ტრაპიზონში გადაგზავნეს. ამით ეს ოლქობა დამარცხდა.[57]

გადმოცემის მიხედვით, ოლქას ხელმძღვანელობდა ავტორიტეტიანი, ხალხის რდობით აღჭურვილი პიროვნება, რომელსაც „წინაი კაცს", „ოლქაბაშს" ეახდნენ. მას ირჩევდნენ საერთო სათემო, ანუ სასოფლო კრებაზე – ოლქაზე.

აღსანიშნავია, რომ ოლქობა – ოსმალთა ბატონობის ხანაში ხალხის მმართველობის ეს თავისებური ფორმა – აჭარელთათვის ერთგვარი დამოუკიდებლობის სიმბოლოდ იქცა და მის შესახებ არსებულ თქმულება-გადმოცემებშიც უმთავრესად ეს მოტივი აისახა. ამ ციკლის ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს ოლქობის მეთაურების, ანუ „დერებეგების"[58] საქმიანობის ამსახველი ამბები.

აჭარის ფოლკლორის მიხედვით, „ოლქობის" ცნობილ მოელენებს უკავშირდება საგმირო-საისტორიო ლექსი „ჩახალოღლი", რომლის მიხედვით ჩახალოღლი ითელება ოლქობის შემომღებად (.. „შემოიღეე ოლქაობა, ხომ არ ქენი კაი ქაარი"[59]). მაგრამ იგი XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და ოლქობის შემომღები ვერ იქნებოდა. ლექსში საუბარი უნდა იყოს ჩახალოღლის მიერ მოწყობილ არეულობაზე, რასაც სახალხო მთქმელი „ოლქაობით" იხსენიებს.[60]

ზეპირსიტყვიერება ზენდიდელ ჩახალოღლის სახალხო გმირად წარმოგვიდგენს. მისი ვაუკაცობის ამსახველი ლექსის რამდენიმე ვარიანტია ფიქსირებული, რომელთაგან ადრინდელია პ. უმიკაშვილის ჩანაწერი (1859 წ.). ჩახალოღლის ნამდვილი გვარი ყოფილა ბეერიძე, სახელად კი მემედი რქმეია. ზოგიერთ წყაროში მემედი ბაირახტარის სახელითაც იხსენიება.[61] იგი ერთნაირად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის მთავრობის აღვირახსნილ მოხელეებსა და ავეყია ადგილობრივ ფეოდალებს. ჩახალოღლის ყაჩაღად გავარდნის მიზეზი ყოფილა ზენდიდელ ბეგ ბეჟანიძესთან უთანხმოება, რის გამოც იგი ჩაქვში გადაუსახლებიათ. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, მას იქ შეუკრებია 100-ზე მეტი კაცი და ბევრი ბეგის ქვეთაკირის სახლები დაუქცევიათ. ჩახალოღლის შიშით ბეგები აჭარაში ვეღარ ჩერდებოდნენ.[62]

---

56 ა.ახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 83-88.
57 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, №23.
58 „დერებეი" (თურქ) – ფეოდალი, ხევისთავი.
59 აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 59.
60 ა.ახვლედიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 84.
61 იქვე. გვ. 160.
62 ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. გვ. 4-5.

ჩახალოღლი სელიმ ხიმშიაშვილის თანამედროვეა. ამაზე მიუთითებს ხალხური ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„— ფაშას ყულე დაუნგრიე,
სასახლეს გაულე მხარი;
სელიმ ფაშამ რომ შეიტყვა,
შეიქმნა ხომ პერსით მთერალი".[63]

ზეპირსიტყვიერი მასალით ირკვევა, რომ თავდაპირველად ჩახალოღლი და სელიმ ფაშა თანამოაზრენი ყოფილან, მაგრამ შემდეგ მათ შორის უთანხმოება ჩამოყარდნილა და ჩახალოღლიც აჯანყებულა, „ოლქობა" მოუწყვია.

საისტორიო წყაროების თანახმად, ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1800-იანი წლების დამდეგს. როდესაც მთელი აჭარა გამოდიოდა ბეგების წინააღმდეგ და მათ სასახლეებზე მიჰქონდათ იერიშები. ეს წინააღმდეგობა ახმედ ფაშას დრომდე გაგრძელებულა, რის საბაბიც გამხდარა გადასახადების გადიდება. ხალხური გადმოცემით, ახმედ ბეგს ჩახალოღლი სასახლეში მუხანათურად შეუტყუებია და მოუკლავს.[64]

ახმედ ფაშა, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც პროთურქული ორიენტაციის მმართველი. ხალხური ლექსის მიხედვით უპირისპირდება თავისუფლებისმოყვარე სახალხო გმირს — ჩახალოღლის და, ბუნებრივია, მთქმელის სიმპათიაც ხალხის ინტერესების დამცველი ეაეკაცის მხარეზე იყო. მეშედს ამ ბრძოლაში ორი ძმა ედგა გვერდით.

აჭარის ზეპირსიტყვიერება მდიდარია გადმოცემებით სელიმ ხიმშიაშვილზე. ეს მასალა სელიმ ფაშას წარმოგვიდგენს აჭარის განთავისუფლებისათვის დაულალავ მებრძოლად. მაგრამ, ამავე დროს, ცალსახად გვიხასიათებს, როგორც სასტიკ მებატონეს. სავარაუდოა, რომ თავის დროზე ამ კუთხის სახალხო მგოსნები სათანადო პატივს მიაგებდნენ ხიხანის სახელოვან გმირს, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევია.

§5. საყოფიერო და საწესჩვეულებო პოეზია

აჭარაში საუკუნეთა მანძილზე მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შეიქმნა, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარშია ჩაწერილი. მათში ასახულია აჭარის მოსახლეობის ყოფითი კულტურის სხვადასხვა საკითხი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები, რომლებიც ხალხის ტრადიციული ყოფის წიაღში იქმნებოდა. საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია, ძირითადად, გულისხმობს საძეობო, საქორწინო და სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერებას. მაგრამ საწესჩვეულებო რიტუალი რთული, კომპლექსური მოვლენაა და ტრადიციული ხალხური კულტურის სხვადასხვა ელემენტს (მუსიკა, ქორეოგრაფია, ზეპირსიტყვიერება და ა.შ.) აერთიანებს. ამ სახის აჭარული ფოლკლორული მასალები ორიგინალური თავისებურებებითაც გამოირჩევა და ქართული ფოლკლორის მეტად კოლორიტულ ნაწილს შეადგენს.

საძეობო ლექს-სიმღერები. ქართულ ოჯახში, ტრადიციულად, დიდი სიხარულით ხვდებოდნენ ბავშვის დაბადებას და ძეობის, რომელსაც განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. ძეობის რიტუალს უძველესი ისტორია აქვს, რასაც საქართველოს სხვადასხვა კუთ-

63 აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 59.

64 ჯაშვილი. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი, 1948, გვ. 99.

ხეში ჩაწერილი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებს. ამ ციკლის ზეპირსიტყვიერების უძველესი პლასტი საფერხულოებია. მათ შორის გამოირჩევა „მზე შინა", რომლის შესრულების წესიც მიგვანიშნებს მის კავშირზე რიტუალთან (შეს-რულების გუნდური ფორმა, დიალოგი კორიფეასა და გუნდს შორის. მსხვერპლშეწირვის მოტივები და ა.შ.). ასეთივე ფრიული ფერხულის სახით სრულდებოდა აჭარაში ქალების ხორუმად წოდებული "ნაი-ნაი-ნინაინა", რომელიც აკვანში ჩვილის ჩაწევის რიტუალს უკავშირდება.[1]

ამ ყვერხულის უძველეს ტექსტებს ჩვენამდე არ მოულწეია, უფრო მეტად საერფიალო შაირები სრულდებოდა. ჩაწერილია საააკენო ლექს-სიმღერების ფრაგმენტებიც, აგრეთვე „ნანას" ციკლის ლექსები.

ძეობას (ძიობა), ვაჟის დაბადებას, საზეიმო ხასიათი ჰქონდა. ვაჟი „სახლის ბოძის", „თვალის სინათლის", „მუხლის ძალის" სიმბოლურად აღიქმებოდა და ამიტომაც მის გაჩენას დიდი სიხარულით ხვდებოდნენ. ხალხის თქმით, ქალი მაინც „სხვისი ნაკარი" იყო. ძეობისას იმართებოდა წვეულება, რომელსაც ამშვენებდნენ მეჯიბონეები, მომღერალ-მოცეკვაეები, მელექსეები. თემცა საკუთრივ საძეობო ფოლკლორული ტექსტები აჭარაში ნაკლებადაა ნაწერილი. ამ რიტუალის ტრადიციულობა, მრავალფეროვნება, მასში ხალხურ მუსიკოსთა და მელექსეთა მონაწილეობა მიგვანიშნებს წარსულში საკუთრივ საძეობო ლექს-სიმღერების არსებობაზე. ძეობა აჭარაში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ტრადიციული, მამა-პაპური წეს-ჩვეულებებით ტარდებოდა (ბებიაქალის აყვანა, მამის აქტიური მონაწილეობა ფერხულში, მახარობელი, თოფის გასროლა და ა.შ.). გამაპმადიანების შემდეგაც აჭარაში ბავშვი რომ დაიბადებოდა, მას „ქართულად", ე.ი. ქრისტიანულად დალოცავდნენ: „ჯვარი სწერია", „ჯვარი აკურობასო", ახალშობილს სამების ძალით სამ-ჯერ შეუღოცავდნენ: „სამსა მამლისა ყივილსა..."[2]

საოჯახო წეს-ჩვეულებები საერთოდ კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კონსერვატიული ელემენტებია, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. ასევე წმინდად დაიცვა აჭარამ საქორწინო წეს-ჩვეულებები და მასთან დაკავშირებული ფოლკლორი. ეს შენიშნა დ. ბაქრაძემაც, რომელმაც აჭარაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალთა ბატონობის პერიოდში იმოგზაურა. აქ მას „ქართული მაყრული" მოუსმენია. იგი წერდა: „...მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვითონ ქორწინების ზეიმი, სამ დღეს ქორწილი, ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან ამ მხარის ქართველ მუსულმანებში".[3]

უშუალოდ საქორწინო ლექს-სიმღერების გარდა, ამ ციკლში წინა საქორწინო ციკლის ტექსტებიც შემოდის, რაც ქორწინების რიტუალის ხანგრძლივობას წეს-ჩვეულებას (გარიგება, ნიშანლობა, საპატარძლოსთან გამოთხოვება და ა.შ.) გულისხმობს. აღსანიშნავია ფოლკლორული ტექსტები, რომელიც გარიგებით ნიშნობისას დედის მხრით ბიძის აქტიურ როლზე მიუთითებს. ეს ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება:

„ხერტალმა ხელი დამგალა,
ხერტალგასატეხელმა,
ბიძაჩემმა არ გამათხოვა
კისერმოსატეხელმა".[4]

---

[1] ალ. მსხალაძე. აჭარის საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია. ბათუმი, 1969, გვ. 31.

[2] ჯ. ნოდიადელი. ნარკვევები და ჩანაწერები. ტ. I. ბათუმი, 1971, გვ. 32.

[3] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 50.

[4] ალ. მსხალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ფოლკლორულ ნიმუშებში ეს ნიუანსი წინასაქორწინო რიტუალის აუცილებელ ნორმას ასახავს. ბიძის როლი რელიეფურადაა გამოკვეთილი ქობულეთური ნადირების არქაულობით აღბეჭდილ, მითოსური და რიტუალური მოტივებით მდიდარ საფერხულო ტექსტებშიც („ქალი ვიყავ აზნაური", „გველი ხრილსა მიძრებოდა"), რომლებიც უძველესი მითოსური წარმოშობისაა და, როგორც ჩანს, მოგვიანებით დამკვიდრდა შრომის ციკლის ლექს-სიმღერებში.

ხალხურ შაირებში იკვეთება საპატარძლოს თუ სასიძოს იდეალი, როდესაც არსეგანისას გარეგნულ სილამაზესთან ერთად უპირატესობა ზნეობას, ხელსაქმის ცოდნას, კარგ გვარიშვილობას და სხვა დადებით თვისებებს ეძლეოდა.

ლექსების ეროი ნაწილი „ნიშანლობის" წეს-ჩვეულებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტექსტების ზოგიერთ ნიმუშს დროთა განმავლობაში დაუკარგავს საწესჩვეულებო ხასიათი და უფრო იუმორისტულ საყოფაცხოვრებო ლექსებად ქცეულა, უეჭველია მათი კავშირი ამ უძველეს საქორწინო ტრადიციასთან, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში იყო გავრცელებული და სასიძო-საპატარძლოს ნიშნობის შემდგომ, ქორწილამდელ ურთიერთობას ასახავდა.

დანიშნული ქალი ვაჟს სხვადასხვა სახის საჩუქარს უგზავნიდა, რაც ხალხურ ლექსებშიც ხშირად დასტურდება. მაგალითად, ასეთ საჩუქრად ითვლებოდა საპატარძლოს ხელით ნაქსოვი წინდა. წინდის მოთხოვნა ხალხურ ლექსებში სატრფის ხელის თხოვნის სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს: „გოგოვ შენი წელი წმინდა, მომიქსოვე ჭრელი წინდა."[5]

საგულისხმოა ლექსები, სადაც ნიშნობის სიმბოლოდ ვაშლი ფიგურირებს: „სათამაშო ვაშლი მქონდა..."[6]

ვაშლის და სხვა ხილის, საერთოდ, მცენარეთა სატრფოს სიმბოლოურ სახედ დასახვა და საქორწინო რიტუალის რეპერტუარში დამკვიდრება ფოლკლორში საყოველთაოდაა გავრცელებული.

საქორწინო რეპერტუარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ემოციური ნაწილი პატარძლის გამოსათხოვარი სევდიანი ფერხულებია. აჭარაში ეს საფერხულოები ქორწილის დამეს სრულდებოდა. ქალების ოთახში, შინაურთა თანდასწრებით. კორიფეს როლში პირბადეჩამოფარებული, აცრემლებული საპატარძლო გამოდიოდა, რომელსაც ქალები წრეს უვლიდნენ და ერთხმიან სიმღერას უმღეროდნენ: „მაი აბრეშუმის საკაბე ვინ მოგიტანაო?.."[7]

ამავე ციკლს უნდა მივაკუთვნოთ ზემო აჭარაში მეკვიბონეთა რეპერტუარში დამკვიდრებული „პატარძლის გამოთხოვება მშობლებთან", რომლის მხოლოდ სევდიანი მელოდიაა შემორჩენილი.

აჭარაში გავრცელებულია მაყრულები (კ.წ. „დედოფლის სიმღერა" და სხვ.) რომელთა მისამღერებშიც უძველესი ქართული ხმები ისმის („ეორირამა, „ეორირმა", „ორირამა", „ეორირა", „ოხელო"...).

მაყრული სიმღერები სრულდებოდა პატარძლის მამისეული სახლიდან გამოყვანისას, გზაში და სასიძოს სახლში მიყვანის დროსაც („მოვდიეართ, მოგეიხარია").[8]

მაყრულის თემებია: საპატარძლოს და სასიძოს შექება, ქალისა და ვაჟის მაყრების ჰაექრობა, სადედამთილოს დახასიათება და ა.შ.[9]

---

[5] იქვე. გვ. 39.
[6] იქვე. გვ. 41.
[7] იქვე. გვ. 60.
[8] იქვე. გვ. 71-72.
[9] იქვე. გვ. 72.

აჭარაში არსებული ტრადიციის თანახმად, სასიძოს მშობლებს დედოფლის მაყრისთვის "შინაური პირუტყვი, ან კამეჩი უნდა გამოეყვანა საჩუქრად.[10]

სუფრულები უპირატესად საქორწინო ლხინის დროს სრულდებოდა, რომელთა შორის განსაკუთრებით გავრცელებულია ე.წ. „მასპინძლურები". მათში გაკეცხულია პერძეირი მასპინძელი ან შექებულია სუფრის სიუხვე.[11]

მაყრული და სუფრული სიმღერები მელოდიური მრავალფეროვნებით, მუსიკალური ჰარმონიით, პოლიფონიურობით გამოირჩევა. ფერხულების დიდი ნაწილის პოეტური ტექსტები კი განუკეთარებელია, გუნდისა და კორიფეს მელოდიურ შეძახილებსა აგებული და ხასიათდება მრავალფეროვანი რეფრენით.

ნეფის ოჯახში დარჩენილი პატარძლის სამყოფ ოთახში შეკვანაც გარკვეული ცერემონიით სრულდებოდა. ამ დროს შესასრულებელი საყერხულო ფორმითაც და შინაარსითაც არქაული ხასიათისაა:

„გელინო, გელინო, აბძანდი გელინო,
გელინო, გელინო, ნელ-ნელა წამობრძანდი, გელინო,
გელინო, გელინო, კარითავი მაღალია, გელინო,
გელინო, გელინო, დედამთილო დედასავით, გელინო"...[12]

ზემოაჭარული ქორწილის რეპერტუარში დამკვიდრებული იყო ხალხური სანახაობა „ფადიკო", რომელიც, ფაქტობრივად, ქორწილის ინსცენირებას წარმოადგენდა. „ფადიკოდ მორთული" კაცის სახუმარო სცენებს თან ახლდა გართობა-მხიარულება, დოლსა და კვერა და სიმღერა.

დროთა განმავლობაში ხალხური სანახაობა „ფადიკო" შეიცვალა. მასში ყოფითმა, სოციალურმა მოტივებმა და თემებმა იმძლავრა. მაგრამ ამ სანახაობის ბევრი ელემენტი (რეკვიზიტი, პერსონაჟები, ეროტიკული მოქმედებები და სხვ.) ცხადად აელვნს „ფადიკოს" არქაულ ხასიათს და მის თავდაპირველ კავშირს ნაყოფიერების უძველეს რიტუალებთან და, კულტებთან.

`*სამგლოვიარო ლექსები.* გლოვის რიტუალი საქართველოში საინტერესო რეპერტუარით გამოირჩევა. მოთქმა-დატირების სამგლოვიარო ტექსტები აჭარის ფოლკლორშიც დასტურდება. სამგლოვიარო მოთქმებში ჩამოთვლილია მიცვალებულის დამსახურებანი, მისი დადებითი თვისებები.

პროფესიონალი დაქირავებული მოტირლების ტრადიცია აჭარაში არ დასტურდება. მაგრამ ზოგჯერ მთქმელები მიუთითებენ მოტირლებზე, რომელთაც დატირების განსაკუთრებული უნარი აქვთ. მოთქმის ტექსტები ძირთადად იმპროვიზაციის შედეგია და რიტმული პროზის სახე აქვს: „ჩემო ნენეე, ჩემო დედიკო ნენეე..."[13]

აჭარული ნადური სიმღერების ციკლშია ფიქსირებული და ქართულ ფოლკლორში გავრცელებული სამგლოვიარო ლექსი „ალეის ხეი მოხეთქილა" („გორდელა"). საწესჩვეულებო ციკლს უნდა უკავშირდებოდეს ასევე სამგლოვიარო ფერხული: „დედამთილის მოთქმა" და სხვა. ფერხულების სტრუქტურა, სახეები, მოტივები მას აკავშირებს უძველეს ქართულ ნიმუშებთან, რომლებიც სამონადირეო ეპოსის არქაულ ფენას შეადგენს, კერძოდ კი იმ ფერხულებთან, რომელშიც მონადირის სატრფოს, ბუნების ნადირთაპატრონი

10 იქვე, გვ. 73.
11 იქვე, გვ. 76.
12 იქვე, გვ. 200.
13 ე.ზოიძე. დატირების ტრადიცია და სამგლოვიარო პოეზია აჭარაში.-სდსზ, VII. თბ., 1984, გვ. 61.

ქალ-ლვოაების ჰორციელი მეტოქის ტრაგიკული ბედია გამჟღავნებული („ღღეს ჯოგში გაგაკუნავენ, რძალი ბატონო...“). საგულისხმოა, რომ ქართული სამონადირეო ეპოსის ცნობილმა მკვლევარმა ე. ვირსალაძემ სწორედ აჭარაში ჩაწერილი მახალის დახმარებით შეძლო სამონადირეო ეპოსის სრული ციკლის აღდგენა.[14]

ადამიანის გარდაცვალებასთან, დატირებასა და დაკრძალვასთან დაკავშირებული ტერმინებიდან აჭარაში გვხვდება „მოთქმა“, „მოტირება“, „დარღალი“, „ტირილი“. ხალხის აზრით, გლოვა, დატირება აუცილებელია როგორც მიცვალებულის, ისე ჭირისუფლის ღირსებისათვის („კარგი ტირილი ხალხსაც უხდება და მკედარსაც“). დამტირებელთაგან განსაკუთრებული როლი, ტრადიციულად, ოჯახის რძალს ეკისრებოდა. თუ ოჯახში რამდენიმე რძალი იყო, თითოეული მათგანი გამორჩეულ „მოთქმას“ ცდილობდა.[15]

აღსანიშნავია ასევე დატირების სანაცვლო პატივის მიგების ტრადიცია: „იტირე, დაიო, იტირე, დაიო, ამან კარგად იტირა შენი დედა, დაიო“.[16]

გამაჰმადიანების შემდეგაც მიცვალებულებს ქობულეთის რაიონის სოფლებიდან ხშირად მიასვენებდნენ გურიის მოსაზღვრე სოფლებში და იქ მარხავდნენ ქრისტიანული წესით. ისევე, როგორც ადრე ამას მაჭახლელი ძნელაძე ანდერძად უბარებდა შვილებს: „დამშარხეთ ქრიველის, ჩემი მამა-პაპის წესით“.[17]

აჭარაში გაერცელებული საყოფაცხოვრებო ციკლის ლექსებიდან გამოირჩევა ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის ამსახველი პოეტური ტექსტები, კერძოდ კი რძალ-დედამთილიანი. რძლის შემომატება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ოჯახისთვის. სასურველი რძალი უნდა ყოფილიყო თვალტანადი, მოკრძალებული, მუყაითი („რძალო, გერიტო, ნახატულო, მზევ უღრუბლოდ ამოსულო, მეტათ ტკურფავ და ლამაზო, რძალო ენამაქრიანო“).[18] აღნიშნულ ციკლს შეიძლება მივაკუთვნოთ აჭარაში პოპულარული ლექსი „სახლი დავდგი ეერხვისაო.“[19]

რძალ-დედამთილის ურთიერთობის ამსახველი საყოფაცხოვრებო ლექსების ერთი ნაწილი კი იუმორისტული ელფერით გადმოგვცემს ოჯახურ კონფლიქტებს. ამ მხრივ გამოირჩევა: „ლექსი დედამთილზე“, „დედამთილი კდებოდა“, „დედამთილი ალაჯვა“, „ერთი დედამთილი მყავდა“, „რძალმა აჯობა დედამთილს“ და სხვ. რძალ-დედამთილიანის ციკლში გამოიყოფა ე.წ. „რძლის ნატერა“, რომელშიც მშობლების ოჯახს დანატრებული ახალგაზრდა ქალის სევდა და წუხილია გამოხატული.[20]

აჭარაში გავრცელებული „დედამთილის დატირების“ სამგლოვიარო ლექსებში რძალ-დედამთილის კონფლიქტური ურთიერთობის სატირულ-იუმორისტულ ასახვას ხშირად გულწრფელი გლოვა და მოთქმა ენაცვლება: „დედამთილო, ბატონო, დედავ, ჩემო ამაგდარო და საყვარელო დედავ, ოჯახის სიცოცხლე და სიყვარული იყავი დედავ, საყვარელო დედამთილო, ბატონო დედავ“.[21]

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრფიალო ლირიკას. მასში ემოციურადაა ასახული ადამიანის შინაგანი სამყარო, განცდები, გრძნობები. სატრფიალო ლირიკაში გამოიყოფა შემდეგი ქვეჟანრები: შაირი, ქება, გაბაასება, წერილი

---

14 ე. ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი. თბ., 1964, გვ. 72, 224.

15 ე. ზოიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

16 ბსკიფა. საქმე 237. გვ. 55.

17 ზ. ჭიჭინაძე. ქართველების გამაჰმადიანება. ტფ., 1915, გვ. 77.

18 ე. ზოიძე. რძალ-დედამთილიანი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. – სდსზ, IV. თბ., 1978, გვ. 50.

19 ბსკიფა. L საქმე 65. გვ. 93.

20 ე.ზოიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

21 ბსკიფა. საქმე 171. გვ. 75.

ლექსად. ამათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია შაირები. შაირი, როგორც წესი, ჭიბონის თანხლებით სრულდებოდა. ქალ-ვაჟის თავისუფალი ურთიერთობის, გალექსების, გაშაირების ერთ-ერთი ადგილი ქორწილები თუ სხვა დღესასწაული იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით, „შუამთობის" საზაფხულო დღესასწაული გამოირჩეოდა, როცა საზაფხულო საძოვრებზე იკრიბებოდა სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა და იმართებოდა მხიარული ფოლკლორული ზეიმი. შუამთობა იყო ძირითადი ასპარეზი ხალხური მელექსეობისა.[22]

ქალ-ვაჟის გაშაირების ძლიერ ტრადიციაზე მეტყველებს ადგილობრივი ხალხური ტერმინების სიმრავლეც: „შაირის გაქნევა", „სიტყვის შემოკერა", „დალექსება", „ლექსებში გადგომა", „გოგო-ბიჭის დაწიკება" და სხვა. მთქმელების გადმოცემით, „ძველად ლექსში, შაირობაში რომ ვუდგებოდით ერთიმეორეს, სხვა საქმე ვის ახსოვდა, ჭამაც გვაეიწყდებოდა".[23]

უაღრესად საინტერესოა ქალ-ვაჟის გალექსების ტრადიცია, რომლის დროსაც ზოგი მღეროდა, ზოგიც ცეკვავდა და ტაშს უკრავდა.[24]

აჭარაში გავრცელებული ორ-ოთხტაეპიანი სატრფიალო შაირები ფორმით, სიუჟეტით, მოტივებითა და მხატვრული სახეებით ანალოგიურია საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშებისა. სატრფიალო მინიატურებში გაშუქებულია ქალის გარეგნობა, მისი თვალწარი, ტანი, მწყაზარი დაწვი, მარგალიტწყობილი კბილი და ა.შ. საგულისხმოა, რომ ამჟამად შრომის ლექსებში დამკვიდრებული „ვაჲ თუ ეელი ეულობდაო", საფერხულო ფორმით, დაუფარავი ეროტიზმითა და სიმბოლური სახეებით ღრმა არქაულობის კვალს ატარებს.

სატრფიალო ლირიკის კავშირზე კალენდარულ ციკლებთან მიუთითებს აჭარაში პოპულარული და მრავალ ვარიანტად ჩაწერილი გაბაასების ნიმუში „ვაშაფხული რომ გამოეა", რომელშიც სწორედ ბუნების ძალების აღორძინების ჟამს იწყევენ ვაჟი საშაირიოდ ქალს და მას თავის სასიყვარულო გრძნობებს უმხელს.

სასიყვარულო ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიციული და ფართოდ გავრცელებული ჟანრია ქება, რომელშიც უმეტესად ქალია შექებული. ქალის ქების არაერთი შესანიშნავი ნიმუშია დაცული აჭარის ზეპირსიტყვიერებაში.[25] ქალის ქების შესანიშნავი ნიმუშია აგრეთვე „ერთხელ გიხილე, ბატონო", რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოქვეყნდა. მისი მრავალი ვარიანტია დაცული ფოლკლორულ არქივებში, რაც ლექსის პოპულარობაზე მეტყველებს. დიდ სიყვარულთან ერთად სატრფოს მიმართ რიდი და მოკრძალება იგრძნობა, რაც ქართველისათვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი.

„ერთხელ გიხილე, ბატონო,
მომწონდა პირისახეო,
ვარდის მსგავსად მომეჩვენე,
გადაწმენდილო მთვარეო..."[26]

ქების ლექსებში სიმბოლოებად გამოყენებულია მცენარეები, ყვავილები, მნათობები, ძვირფასი ქვები და სხვ.

---

22 ე.ზოიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

23 იქვე, გვ. 35.

24 იქვე, გვ. 36.

25 იქვე, გვ. 49.

26 აჭარის ხალხური პოეზია. ტ. I. თბ., 1969, გვ. 111.

აჭარულ ფოლკლორში დამკვიდრებული ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის პოპულარული სახეობაა ე.წ. „სუბრო". "ბისი" აჭარული ვარიანტები გამოირჩევა დახვეწილი მხატვრული ფორმით, მდიდარი, მრავალფეროვანი სიმბოლიკით. იგი სრულდებოდა ჭიბონსა და სხვა საკრავ ინსტრუმენტებზე.

ხალხური ლირიკის ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო შრომის ლექსებია. მელექსეობის ტრადიცია ძველთაგანვე მჭიდრო კავშირში იყო სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგთან. მელექსეობის გარეშე წარმოუდგენელი იყო შრომის კოლექტიური ყორმები. ცნობილია, რომ ნადში საგანგებოდ იწვევდნენ მომღერალ-მოშაირეებს. პოეტური პაექრობის ერთგვარი ტურნირებიც კი იმართებოდა ქალებს შორის ჯგუფური (ნადური) მატყლის ნაჭვისა და რთვა-ქსოვისას. აჭარული ნადურები სიუჟეტური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. მათში ასახულია სამეურნეო საქმიანობის ტრადიციული დარგები: ხენა, თესვა, მკა, ეენახის დამუშავება, ხელოსნობა, ფეიქრობა და ა.შ.

ქობულეთის რაიონში ჩაწერილი ნადური ლექს-სიმღერები ანალოგიურია გურული ნადურებისა. მათ ეროი საფუძველი აქვთ: ზოგადქართული ხალხური პოლიფონიური მრავალხმიანობა, შესრულების წესი, მუსიკალური არქიტექტონიკა, მეტრი, რიტმი და ა.შ. ქობულეთური ნადურების სიუჟეტი, მოტივები, მხატვრული სახეები, მითოსური, სიმბოლური პერსონაჟები დიდი არქაულობით გამოირჩევა. იგი ახლოს დგას ხალხურ ეპოსთან, შელოცვების მაგიურ ტექსტებთან.[27]

ნაწილობრივ, საყოფაცხოვრებო ციკლის ლექსებს შეიძლება მივაკუთვნოთ აჭარულ ფოლკლორში გაერცელებული სამეურნეო და სამეურნალო ხასიათის მაგიური პოეტური ტექსტები, ხალხური ლოცვანი ანუ შელოცვები, რომლებიც წარმართული და ქრისტიანული მითოსური სახეებით გამოირჩევა. შელოცვების ტრადიცია მაჰმადიანურმა სარწმუნოებამაც ვერ ჩაკლა. მთქმელის გადმოცემით, „ხოჯას თუ სხვა ვინმეს დავინახავდით, არაბელ შელოცვას ხმამაღლა ვამბობდით და ქართულად შელოცვებს ჩუმად".

ოსმალთა თითქმის სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგის — მევენახეობა-მეღვინეობის დაქვეითებასთან ერთად, როგორც ჩანს, დავიწყებას მიეცა მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერებაც. თ. სახოკიამ აჭარაში მოგზაურობისას მხოლოდ ერთი ნიმუში ჩაიწერა („ვენახამა სთქვა: მე ვარ გრძელი"), სადაც პოეტურადაა აღწერილი ყურძნის კრეფა, დაწურვა და დადუღება. ჩამწერი შენიშნავს: „ლექსს თავისი პირვანდელი ღირსება არ შერჩენია, ხან რითმა მოიკოჭლებს, ხან ზომა აკლია, მაგრამ საინტერესოდ ეცანით როგორც შუბღალული ენის შუბღალული ლექსი. ოდესღაც. ალბათ, ლამაზად შექმნილი ხალხის მიერ".[28] აჭარულ ნადურ სიმღერებში ყოფის უძველესი ელემენტებია დაცული. ვარიანტთა სიმრავლეით გამოირჩევა სამკალი, მოიბლური, ყანური, ტვირთის გადაზიდვის, მესაქონლეობისა და შინამრეწველური შრომის ლექსები. სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს სრულდებოდა „დიეელო", „რაშა", რაც თავდაპირველად, უხუცეს მომღერალთა გადმოცემით, უსიტყვოდ იმღერებოდა. ლექსის ჩართვა ამ სიმღერებში გვიანდელი მოვლენაა, ტექსტებიც ნებისმიერად შეერჩეოდა, უმეტესად სატრფიალო ხასიათისა. შრომის ლექს-სიმღერებში გამოირჩევა „ხელხვავის" ციკლი. ხელხვავი სრულდებოდა ყველა სახის სამიწათმოქმედო სამუშაოს, მათ შორის სიმინდის „რჩევის" დროს. ამ ციკლის ლექს-სიმღერებმა ჩვენამდე სრულყოფილი, მრავალფეროვანი სახით მოაღწია, რაც მიგვანიშნებს მათ დიდ პოპულარობაზე აჭარაში. მოსავლის აღებისა და დაბინავების პროცესი დიდ ზეიმად იქცეოდა, რომელზეც ზოგჯერ მთელი სოფელი იყრიდა თავს: იმართებოდა ცეკვა-თამაში, სრულდებოდა სიმღე-

27 აჭარის ხალხური პოეზია. ტ. I თბ., 1969, გვ. 30-39.

28 თ.სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი, 1985, გვ. 176-177.

რები, ეწყობოდა შეჯიბრი, პაექრობა („ქალებო ეუთხრათ ნადური", კეერში ხარები შეეაბათ, პური გაელეწოთ ბზიანი, ქალებო ეუთხრათ ნადური").[29]

მესაქონლეობის შრომის ლექსები აჭარაში, ძირითადად, მემთეერობის ტრადიციას უკავშირდება. მემთეერე ქალები წელიწადში 3-4 თვეს საზაფხულო-საშემოდგომო საძოვრებზე ატარებდნენ. მათ საქონლის მოვლა-პატრონობა, რძის პროდუქტების დამზადება ევალებოდათ. მემთეერეთა რეპერტუარში ტრადიციულია „საფხულის ლექსი", „მოიების დესტანი", „მემთეერის ლექსი" და სხვ. მემთეერე ქალების რეპერტუარში გაერცელებული იყო „წველის" ლექსები. წველის დროს პირუტყვს დაუყვავებდნენ, საალერსო სახელებით მიმართავდნენ და ტკბილად მიუმღერებდნენ: "ნემი ლამაზი დედოფალა ხარ"...[30]

წველის სიმღერები, ძირითადად, იმპროვიზაციული ხასიათისაა: მათ აღსანიშნავად ხმაროობენ ტერმინებს: „დანანიება", „მინანიება", „მიმღერება" და სხვ.[31]

აჭარული პოეტური ფოლკლორის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია. მდიდარი და მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების მასალა გვიდასტურებს, რომ ამ კუთხის მკვიდრნი გამაჰმადიანების შემდეგაც ასრულებდნენ სხვადასხვა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებას. მთქმელები ხშირად „ლაპარაკობენ „ქართულ წესებზე", „საწირავის ქართულად მიტანაზე", სხვადასხვა დღესასწაულის (ახალი წელი) „ქართულად მომსახურებაზე".

ახალ წელს აჭარაში ისეთივე სიხარულითა და ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებით ხვდებოდნენ, როგორც ყველგან საქართველოში. სწამდათ, რომ როგორც შეხვდებოდნენ ამ დღეს, მთელ წელს ისე გაატარებდნენ. საგანგებოდ ირჩევდნენ მეკელეს, მფერჩავს, დამდეგ წელს კარგ ბედ-იღბალს, აგრეთვე ადამიანთა ჯანმრთელობას, ჭირნახულის დოვლათიანობას იბედებდნენ. რაც შეეხება შობა-ახალწლის ციკლის დღესასწაულების „ქართულად მომსახურეობას", ქობულეთის რაიონის სოფლებში არასდროს შეწყვეტილა ალილოზე სიარულის ტრადიცია. ალილოზე, როცა დღეობა მთავრდება, შეიკრიბებოდნენ ბიჭები-ქეიფი იყო შენსა, ჩემსა მოდიოდნენ, გურიაში გადიოდნენ, იქედანაც გადმოდიოდნენ".[32]

მთქმელთა რეპერტუარში ალილოს ტრადიციული ტექსტებია დაცული: „ოჲ ალილო, მოგუილოცავს ქრისტეს შობა".[33] მისამღერი ასე სრულდებოდა:

„– ალილო, ალილო, აქა მშვიდობა, მიუმღერეთ, არ გეიღო კარები,

– ალილო, აქა მშვიდობა, გლახათ წეიმღერენო.

– რა მოგაქ?

– ოქრო, ეერცხლი, ყოლისფერი..." მიუმღერებდნენ სხვა სიმღერებსაც.[34]

საქართველოში საახალწლო ციკლში მნიშვნელოვანი იყო „ქათმის ფერხეის" წესჩვეულებაც, რომელიც ბარბალობას, წმინდა ბარბალეს დღესასწაულს დაუკავშირდა და დოვლათიანობის, შინაური ფრინველისა და საქონლის სიმრავლის, ასევე ადამიანის სიმრთელის დალოცვას ითვალისწინებდა.

აჭარის სოფლებში ამ რიტუალს ახალი წლის მეორე დღეს ასრულებდნენ. წარმოსთქვამდნენ საწესჩვეულებო ლექსს: „ჯიჯი, ჯიჯი, დედალო, ჯიჯი, ჯიჯი, მამალო".[35]

---

29 აჭარის ხალხური პოეზია. ტ. I. თბ., 1969, გვ. 51.

30 ე.ზოიძე. წველის ლექს-სიმღერები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. – ხალხური პოეტური ტრადიცია აჭარაში. VI, 1982, გვ. 83.

31 იქვე.

32 მ.გიორგაძე. ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია. თბ., 1993, გვ. 123.

33 იქვე.

34 იქვე, გვ. 15.

35 ჯ.ნოღაიდელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

აჭარაში გავრცელებული კალენდარული წეს-ჩვეულებებიდან განსაკუთრებით ლაზარობის რიტუალი უნდა გამოეყოთ. ამინდის მართვის ეს ხალხური ჩვეულება არქაულობით გამოირჩევა და წარმართული და ქრისტიანული რიტუალების ერთგვარი სიმბიოზია. გაზაფხულსა თუ ზაფხულში წვიმის გამოთხოვის ჩვეულება წმინდა ლაზარეს სახელს სხვა ქრისტიანულ ქვეყნებშიც უკავშირდება, რაც შესაძლოა, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ წმინდა ლაზარეს მოხსენიების დღე, ქრისტიანული კალენდრით, საგაზაფხულო დღეობების ციკლშია (აღდგომის წინა კვირის შაბათი) აისახა.

აჭარაში ჩაწერილი ლაზარობის ფოლკლორული ტექსტები საქართველოს სხვა კუთხეებში ფიქსირებული ფოლკლორული მასალების ანალოგიერია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ლაზარეს სახელი ზოგჯერ დავიწყებულია, არ ახსოვთ მისი ვინაობა. ლაზარია ახალგაზრდა, მორთული დედოფალიაო, გადმოგეცემენ მთქმელები. სახელის ფორმაც ხშირად შეცვლილია (ნაზალიკო, ლაზალიკო, ლაზო და სხვ.). რიტუალი კი ტრადიციული ფუნქციითა და შესრულების წესით ბოლო დრომდე შემორჩა. სოფლის გოგო-ბიჭები დაივლიდნენ ყველა ოჯახს და მიუმღერებდნენ: „ლაზარ მოდგა ქარსაო..."[36]

„ლაზარობის" რიტუალს აჭარის ყველა სოფელში ატარებდნენ სასურველი ამინდის გამოწვევის მიზნით. სოფლებში ამინდის მართვის სხვა რიტუალებიც იყო გავრცელებული („ქაშტობა", „წყლის მოხვნა" და ა.შ.). ამინდის რიტუალი, მისი მთავარი პერსონაჟი ქალურ საწყისთანაა დაკავშირებული – თოჯინა, დედოფალა, ქეფჩა ხათუნი, რაც შეესაბამება არქაულ წარმოდგენებს „წვიმის ქალის", „წვიმის გოგონას" შესახებ. რიტუალურ თოჯინას „ციცასაეთ" მორთავდნენ, ასე დაატარებდნენ სოფელ-სოფელ და მღეროდნენ „დედოფალო, რა გინდა? – ყვითელი ძროხის კარაქი, შაეი ქათმის კვერცხი?"[37]

აჭარაში ამინდის რიტუალურ ტექსტებში გვხვდება მზის, ღრუბლის, ნისლის, წვიმის შელოცვის, განდევნისა თუ გამოხმობის ტექსტები, რაც ფართოდაა გავრცელებული ქართულ ფოლკლორში. აღნიშნულ მაგიურ ტექსტებში წარმოდგენილია ბუნების სტრიქონების განდევნა, რაიმე მოგონილი საბაბით „მოტყულება" ("ინდი ყარა, მინდი სარა...").[38]

ლაზარობა, ჩართული იყო შუამთობის სახალხო დღესასწაულშიც, რომელიც იმართებოდა აჭარის მთის საძოვრებზე: „ზე ამოვიდა, ქვეყანას ეფინება ზაზაოვალი...).[39] შუამთობის ხალხური დღესასწაულის ტრადიციულ ხასიათზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მას მუსულმანი სასულიერო პირები ცოდვად მიიჩნევდნენ და კრძალავდნენ.[40]

შუამთობის უძველეს წარმოშობაზე მიგვითითებს მის რეპერტუარში საკულტო ღრამის წარმოდგენის ტრადიციაც. – „ოჯოდ ნანა", „განდაგანა", „ქორეგური-ფათიკო" და სხვ. ვირტუალური რეკვიზიტი, სიმბოლიკა (ფალოსის სიმბოლური გამოსახვა). ეროტიკული მოტივები და ა.შ. ამ დრამატულ წარმოდგენებს, „შუამთობის ფერხულებს". ბერიკაობის გეოგრაფიით აკავშირებს. შუამთობის კალენდარული დღესასწაული რომ „თავისი თავდაპირველი ბუნებით რელიგიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო"[41] ეჭვს არ იწვევს. ამასვე მიუთითებს აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებული სხვადასხვა წეს-ჩვეულება: დღესასწაულისათვის წმინდა ადგილის შერჩევა, საფერხულო ცეკვა-სიმღერები, სამკურ-

---

36 მ.ბიორგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 130. ჯ. ნოღაიდელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

37 ბსკოფა. საქმე 174. გვ. 154.

38 აჭარის ხალხური პოეზია. ტ. I. გვ. 79.

39 ზ.თანდილავა. შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი. თბ., 1980, გვ. 6.

40 იქვე. გვ. 17.

41 ვ.შამილაძე. მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში. თბ., 1964, გვ. 273-74.

ნალო მიზნით წმინდა ტბებში (წყლებში) ბანაობა, საპატარძლოების, ახალმოყვანილი რძლების მოპატიჟების წესი და სხვა.

საყოფიერო და საწესჩვეულებო ფოლკლორის მიმოხილვა ნათელყოფს, რომ მელექსეობა აჭარაში ოდითგანვე პოპულარული იყო. ამასთან დაკავშირებით, ჯ. როღაიძელი შენიშნავდა: „აჭარელისათვის ყველაზე უფრო სანუკვარი საგანი ხალხური შემოქმედებაა. აჭარელთა შორის დიდი სიყვარულითა და სიმპათიით სარგებლობენ ხალხური მელექსეები, მთქმელები, აჭარელს უყვარს მოსმენა: ზღაპრის, არაკის, გამოცანის, შაირის, ანდაზის. უყვარს მათი შემსრულებლები, საუკეთესო მოცეკვავენი, კარგი დამკვრელები. აჭარელი მღერის, როცა შრომაშია გართული, მღერის, როცა უხარია, მღერის მაშინაც, როცა უჭირს და 'შრომით დაქანცულია".[42]

ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს აჭარის მკვიდრნი საუკუნეების მანძილზე გაინცდილი ძნელბედობის პირობებშიც წმინდად ინახავდნენ. მდიდარი ზეპირსიტყვიერება, რომელიც, ერთი მხრივ, გეხიბლავს სისადავით, მხატვრული ალღოთი, პოეტური შთაგონებით, მეორე მხრივ, გვეელინება, როგორც მნიშვნელოვანი წყარო საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში მიმდინარე ისტორიული პროცესების გასაგებლად. უთუოდ დიდი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ხალხურ მთქმელთა თაობები, რომელთა წყალობითაც მრავალმა ფოლკლორულმა შედევრმა მოაღწია ჩვენამდე.

§6. აჭარული დიალექტი

აჭარული დიალექტი ერთიანი ქართული ენის ორგანული ნაწილია. იგი გავრცელებულია არა მარტო აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონები), არამედ ჩოხატაურის რაიონის (გურია) სამ სოფელში (ზოტი, ჩხაკაური, ქვაბლა), სადაც გადასახლებულან XIX ს. 70-80-იან წლებში. დღეისათვის აჭარული დიალექტი ისმის საქართველოს სხვა კუთხეებშიც (გურია, იმერეთი, მესხეთი, ,ახალციხე, ქვემო ქართლი, თრიალეთი), სადაც აჭარელთა მასობრივი ჩასახლება მოხდა. აჭარული კილოსაც მერეკელებენ. აგრეთვე, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც დღეს ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში (ინეგოლი, უნია, ფაცა, იზმირი, ამასია, ადანა და სხვ.).

ლინგვისტური თვალსაზრისით, აჭარული დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტთა ჯგუფში შედის.[1] იგი გურულ, იმერხეულ და მესხურ დიალექტებთან ერთად ისტორიული მესხურის განაყოფი კილოა.[2]

---

42 ჯ.ნოღაიდელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

1 ბ.ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I. თბ., 1989, გვ. 616.

2 მესხურის დიალექტთა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით სხვაგვარი მოსაზრებაც გამოდა. აჭარული იმერხეულთან, მაჯახლურთან, ლიგანურთან ერთად კლარჯულ დიალექტად ჩაითვალა (შ.ფუტკარაძე. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო მაცნე. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1995, გვ. 4). როგორც ვხედავთ, აქ გათვალისწინებული არაა ის ფაქტი, რომ კლარჯეთი თავისთავად ისტორიული მესხეთის შემადგენელი ნაწილია შავშეთთან, ტაოსა და სპერთან ერთად და ამ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტებიც (მათ შორის აჭარულიც) სამართლიანად მიეკუთვნება მესხურის დიალექტთა ჯგუფს.

აჭარულში გამოყოფენ სამ კილოკავს: ზემოაჭარულს, ქვემოაჭარულსა და ქობულეთურს.[3] თუმცა, თავდაპირველად აჭარული მთისა და ბარის აჭარულად,[4] ან ზემო-აჭარულ და ქვემოაჭარულ კილოკავებად დიფერენცირდებოდა.[5] ამგვარი დაყოფის მიხედვით, მთის აჭარული მდ. აჭარისწყლის ხეობაში (ხულოს, შუახევის, ქედის და ნაწილობრივ, ხელვაჩაურის რაიონები) მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაა. ბარის აჭარული კი – ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში მოსახლე აჭარლებისა.[6] დიალექტის ზემო და ქვემო აჭარულ კილოკავებად დაყოფას შემთხვევაში, ზემოაჭარული მხოლოდ ხულოსა და შუახევის, ხოლო ქვემოაჭარული – ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მეტყველებას აერთიანებს.[7] აჭარული, კილოკაური დაყოფის გარდა, ნაწევრდება რამდენიმე თქმად და ქცევად. კერძოდ, გამოიყოფა ხულოური, შუახევური თქმები, ხულოურში კიდევ ღორჯომული და ხიხაძირული ქცევები. ნათლად გამოხატული თავისებურებებით გამოირჩევა. აგრეთვე, კირნათ-მარდიდულ მეტყველება.[8]

ლინგვისტური მონაცემებისა და ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინებით, „აჭარული ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უალრესად მნიშვნელოვანი, ენობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანი კილოთაგანია, რომელმაც ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში“.[9] „აჭარული დიალექტის შესწავლასთან დაკავშირებულია დიალექტოლოგიის ბევრი საკვანძო საკითხი, რომლებშიც აისახა უძველესი ისტორიული პროცესები“. აჭარულში, თვით აჭარულის თავისებურებათა გარდა, ეხედებით სხვა (როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ) დიალექტთა დამახასიათებელ ნიშნებს, ფონეტიკურ-გრამატიკულ. ასევე. ლექსიკურ არქაიზმთა ფენას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აჭარულში თანდათან სულ უფრო მეტად დგინდება საერთო-ქართველური და ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანის სიტყვათა ფუძეები, ზანურის სუბსტრატის ნიმუშები. აჭარული მნიშვნელოვანი დიალექტია იმითაც, რომ თურქული ენის სამსაუკუნოვანი გავლენის მიუხედავად მან „შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი“.[10]

აჭარული კილო დიდ ცვლილებებს განიცდის თანამედროვე ეტაპზე. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის შიგნით თუ საქართველოს სხვა რეგიონებში მიგრაციის, სხვა კუთხეებთან აქტიური ურთიერთობის, სალიტერატურო ენის, საინფორმაციო საშუალებათა თუ სხვა მოქმედ ფაქტორთა ძლიერი გავლენის გამო, თანდათან იცვლება აჭამდე არსებული აჭარული დიალექტის ერთიანი სახე.

აჭარული კილოსათვის დამახასიათებელ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და ისტორიული დიალექტების, საერთოდ, ქართულ ენაში მომხდარ ცვლილებათა პროცესების კვლევაში.

აღსანიშნავია, რომ ენის ბგერითი შედგენილობიდან აჭარულში ჯერ კიდევ მოქმედია ჲ და უ ჲ შედიოდა ძველი ქართულის ბგერით შედგენილობაში და იგი აჭარულში ფუძეხმოვნიან სახელებში დღესაც შენარჩუნებულია სახელობითი ბრუნვის ნიშან ი-ს ნარსახეობად: ძმაჲ, ბაბუჲ– (თუმცა ჲ-ს გვერდით ზოგჯერ სრულხმოვანი ი-ც ისმის).[11] ნათესაობითი და

---

3 შ.ნიჟარაძე. აჭარული დიალექტი, ბათუმი, გვ. 15-22.

4 ჯ.ნოდაიდელი. აჭარული კილოს თავისებურებანი. ნარკვევები და ჩანაწერები. II. ბათუმი, გვ. 48.

5 შ.ნიჟარაძე. ზემოაჭარულის თავისებურებანი, გვ. 2.

6 ჯ. ნოდაიდელი.დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

7 არ.მარტიროსოვი. ქართული დიალექტის ისტორიისათვის. თბ., 1972, გვ. 80.

8 ბ.ჯორბენაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 540.

9 ი. გიგინეიშვილი. ვ. თოფურია. ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია I. თბ., 1961, გვ. 389.

10 შ.ნიჟარაძე. აჭარული დიალექტი, გვ. 7.

11 ჯ.ნოდაიდელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

მოქმედებითი ბრუნვების -ის, -ით ნიშნისეული -ი-ც დასუსტების შედეგად ბოლოხმოვნიან ფუძეთა დიდ ნაწილში ძველის ქართულის მსგავსად ი-თაა წარმოდგენილი: ძმის, ხელს, ხობოს, ბაბუს... ძმით, ხელთ, ხობოთ, ბაბუთ. ცხმარება სხვა პოზიციებშიც.[12]

აჭარული ძველ ქართულს უახლოვდება უ-ს ხმარების თვალსაზრისითაც:[13] თუალი, ნაკუერჩხალი, თქუა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აჭარულში ზოგჯერ დასტურდება ნეიტრალური ბგერა ჯ, რომელიც ქართველური ენებიდან იხმარება სვანურსა და მეგრულ-ჭანურში. აჭარულში იგი გამოითქმის ისეთ სიტყვებში, რომლებშიც თავის იერის აქცესიური ბგერათკომპლექსები (კბ, კლ, თბ, ხბ, ხშ, ჩდ და სხვ.). ვარაუდობენ, რომ სრული ი, ა, ო ხმოვნების ნაცვლად, რომლებიც ამჟამად გვაქვს აჭარულში (კილდეჯ, თიბილი, აკალდამა, ხობო) ამოსავალი სწორედ ჯ უნდა იყოს. თანხმოვნებს შორის ხმოვნის გაჩენითარება აჭარულში წარმოადგენს აქცესიური კომპლექსის სპერაციის გზას.[14]

სხვა ფონეტიკურ მოვლენათაგან საინტერესოა ეა ია კომპლექსთა მონაცვლეობა, რომელიც უმეტესად ხდება შუ- ზმნისწინთან ფუძისეული ა-ს უშუალო მეზობლობაში[15] (შეატყო – შიატყო, შეაწუხა – შიაწუხა), თუმცა დისიმილაციური ცვლა კილოკავთა მიხედვით ზოგჯერ უფრო შორს მიდის და გვაქვს შ ი ატყო, შ ი აწუხა ფორმებიც.

აჭარულში საყურადღებოა ლეზაფრიკატიზაციის ტენდენცია (მაგ. ძროხა – ზროხა, ძეწნა – ზეწნა, ნიძლავი – ნიზლავი), რაც ერთ-ერთი სპეციფიკური მოვლენაა აჭარულისათვის.[16]

მორფოლოგიური თავისებურებებიდან ყურადღებას იქცევს სხვა კილოთა (იმერხეულის, გურულის, იმერულის) მსგავსად, ვითარებითი ბრუნვის უძველესი ა-ნიანი წარმოება: ქალ-ბაღნიანა, ბაღნობიანა, შენებურა, წინწინდულა.[17]

აჭარულ კილოში დასტურდება ზედსართავთა ოდნაობითი ხარისხის ფორმები, სადაც ხარისხის მაწარმოებლად გამოიყენება მო-ე აფიქსები: მოგძე, მოოხე, მოსქე...[18]

ძველ ქართულ ენასთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ზმნების წარმოების ზოგიერთი წესი აჭარულში: არქაული ფორმით იხმარება საწყისები: რცხვა (რეცხვა), ძება (ძოვება). ასევე არქაული წესით აწარმოებენ ენებითი გვარის ფორმებს -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები (მალავს – იმალვის, ხარშავს – იხარშვის, დგამს – იდგმის). ამავე ტიპის ზმნები I სერიაში აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმაში რედუცირებული სახით (ამბენ, ხარშენ, კითხენ, ზიდენ) გვხვდება, უწყვეტელსა და I კავშირებითში კი -ავ და -ამ თემის ნიშნების გახმოვანება იცვლება და სამივე პირში გვაქვს -ევ და -ემ ან -ე და -მ ფორმანტები (ემალევედი. ეაბმედი. ემალევედე. ეაბმედე. ან ემალეიდი. ეაბმიდი, ემალეიდე, ეაბმიდე).[19] II სერიაში მრ. რიცხვში -ენ(ნ) სუფიქსი აქვთ

---

12 ბ.ჯორბენაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 541-542; ჯ.ნოდაიდელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 69; შ.ნიჟარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 59; მ.ფადავა. აჭარულის ბგერითი შედგენილობიდან. I ი ბგერა აჭარულში. – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. I. ბათუმი, 1996, გვ. 29.

13 ივ.ქავთარაძე. ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს. I, თბ., 1964, გვ. 85.

14 ნ.სურმავა. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბ., 1976, გვ. 10; ბ. ჯორბენაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 543; თ. გამყრელიძე. გმაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბ., 1965, გვ. 21; 111-112.

15 შ.ნიჟარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

16 შდრ. ნ.გურგენიძე. აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში. თბ., 1973, გვ. 157; შ. ნიჟარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

17 ჯ.ნოდაიდელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

18 ნ.სურმავა. სიტყვათწარმოების ზოგი თავისებურება აჭარულში. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. V. თბ., 1986, გვ. 18.

19 მ.ცინცაძე. კირნათ-მადადიდის მეტყველების თავისებურებანი. ბათუმის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომები. ბათუმი, 1954.

შემონახული -ი და -ე პრეფიქსიან ენებითებს (ვიდაეენით, მიეშველენით)[20] მიეშველენეთ/მიეშველენენ, ვიენეთ.

თანდებულთა სტრუქტურასა და ფუნქციასთან დაკავშირებითაც აღინიშნება, რომ აჭარულისათვის დამახასიათებელია -ში და -ზე თანდებულების დართვა ადგილის ზმნიზედებზე: აქ – აგზე, მაქ – მაგზე, იქ – იქში... აჭარულში გავრცელებული შიან თანდებული ძვ. შიგან თანდებულის სახვნაცვალი ფორმაა.

იმ ენობრივი მოვლენებიდან, რომლებითაც აჭარული განსხვავდება სხვა დიალექტებისაგან, შეიძლება დავასახელოთ პრევერბისეული ხმოვნის სრული ასიმილაცია სათავისო ქცევის ი-სთან, როცა მათ შორის ობიექტური პირის ნიშანი დგას: დამიწერა – დიმიწერა, წაგვიყვანა – წიგვიყვანა, ქცევის ან ენებითი გვარის -ი ნიშნის მიერ პრევერბისეულ -ა და -ო ხმოვანთა დამსგავსება და შემდეგ მისი უკვალოდ გაქრობა: გაეი,�ეთ – გიეი,cineთ – გეეკეთ, წავიქეცი – წეეიქეცი – წეექეცი, მოვიტანე – მეეიტანე – მეეტანე; თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის სიჭარბე: თბება – თფება, ფაბრიკა – ფაფრიკა, კბილი – კპილი. აჭარულში გეხვდება სახელთა თუ ზმნათა თავისებურად რედუცირებული ფორმები: ნაპწნები, ურმი, ლრუბლი, წელწადი, ნახვარი, გეეგე, წკედე. აჭარულს, გურული დიალექტის მსგავსად, ახასიათებს ორმაგი მრავლობითის ფორმები: მოწმენები, ბიძანები, აგინები, ამათებმა) ამასთანავე -ნ ფორმანტი ორმაგად გამოიყენება -ეე ნაწილაკიან რიცხვეთ სახელებშიც: ორნაკეენი, ათნაკეენი.

საყურადღებოა, რომ აჭარულში პირის ნაცვალსახელები ზოგჯერ თავისებური კონსტრუქციით გვეკლინებიან: ჩემთვინ-იგი (მე), შენთვინ-იგი (შენ), მისთვინ-იგი (ის). ასეეა მრავლობით რიცხვშიც.[21] ნაცვალსახელთა ასეთი კონსტრუქცია დადასტურებული გვაქვს ქობულეთურ კილოკავშიც, სადაც ჩნდება მოქმედებითი ბრუნვის ფორმაც: ჩემთვინ ითით...

ასეთი კონსტრუქციებით უმეტესად სხვათა ნათქვამს გამოხატავენ; თავისებურებაა ისიც, რომ III პირის ნაცვალსახელს დამოუკიდებლად აქვს წოდებითი ბრუნვა და ძალიან ხშირია მისი ხმარება მიმართვისას – იმავ! (შენ,იმავ, ჯემალ!) და სხვ.

აჭარულისათვის, ასევე დამახასიათებელია უარყოფითი მიმღეობის გამოხატვა ორმაგი პრეფიქსით (უდ დებელი, უდ ხატეელი), საშუალი გვარის მ-არ (მ-ალ) აფიქსებით ნაწარმოები მიმღეობები (გამქარვალე, გამფრინველე, დამძირვალე). ხშირია ენებითი გვარის მიმღეობათა -ულ მაწარმოებლის ნაცვლად -ილ სუფიქსით წარმოება (გაბუტეილი, გაწურვილი). ზედსართაული სახელის ხარისხის მაწარმოებლად თავს იჩენს და-ო კონფიქსი (და'შავო, დამცრო, დამწარო). თითოობითი მოქმედების გადმოსაცემად მო-ს ნაცვლად თავისებურად იხმარება და- ზმნისწინიც (დაკეთება, დატყეილება, დაწონება). დადგენილია, რომ და- ზმნისწინი პრეეერბული წარმოშობისაა და ლაზურის (ჭანურის) მონაცემებითაც დასტურდება.[22]

წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა -ატ სუფიქსით გაფორმებული სიტყვები (ფყერხატი, ფუცხატა, ბუძგატა). -ატ სუფიქსი -უტ, -იტ სუფიქსების ფონეტიკური ´შესატყვისია და ახლაც დაცულია მეგრულ-ჭანურში.[23]

სინტაქსური მოვლენებიდან აღსანიშნაეია, რომ გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან ქვემდებარე ხშირად მოთხრ. ბრუნვაში დგას (სტუმარმა მოვდა, კაცმა დაახლოვ-

---

20 ა.შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1975, გვ. 458-460.

21 ზ. თანდილავა. ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. IV. თბ., 1983, გვ. 91.

22 ნ.სურმავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

23 ნ.ნოღაიდელი. ძველი ქართული ენის ლექსიკა და საფეიქრო ტერმინოლოგია.-აჭარული დიალექტის ლექსიკა. VII. თბ., 1990, გვ. 28.

და, თოფმა გაეარდა). ქვემდებარე შეიძლება მოთხრობით ბრუნვაში მოგვეელინოს 1 სერიის ფორმებთანაც (უპირატესად კირნათ-მარადიდულ თქმაში): (ფიქრიეემ ტირის. კაცმა აკეთებს). ამ ფორმებთან მოთხრობით ბრუნვაში გვეელინება ხშირად პირის ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარეც (მან ხტება, მან ცხოერობს, მან მოაკემიებს). ქვემდებარე-შემასმენლის ასეთ დამოკიდებულებას, რაც ძირითადად კირნათ-მარადიდულს ახასიათებს, ზანურის გავლენას მიაწერენ. ასეთ კონსტრუქციაში ობიექტი ხშირად სახელობით ბრუნვაში დგას (საქათმე ვერ გააკეთებს კაცმა; მამაშენმა შიშა აპობს).[24]

აჭარული დიალექტი საინტერესო საკვლევი ობიექტია ლექსიკის თვალსაზრისითაც. დიალექტების ლექსიკის კველეა ხშირად საიმედო მასალებს წარმოაჩენს ქართველურ ენათა ნათესაობის ზოგიერთი საკითხის დასადგენად. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური კველევისას. აჭარული ამ მხრივაც იქცევს ყურადღებას. მის დარგობრივ ლექსიკაში თანდათან ჩნდება უძველეს ლექსიკურ ერთეულთა ფენა. რომელიც მხოლოდ აჭარულმა ან, მასთან ერთად, სხვა კილოებმაც შემოგვინახა. ეს ლექსიკური ერთეულები ასახავენ ადამიანთა სოციალურ მდგომარეობას თუ სამეურნეო ყოფას ენობრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ენათმეცნიერული გამოკვლევებით შესაძლებელი გახდა აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში გამოვვეყოთ საერთო-ქართველური, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობისა თუ ზანური ენის რეკონსტრუირებული ფორ-მები და ტერმინები.[25]

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში უკვე ცნობილ საერთოქართველურ ძირებთან (მაგ. ბონდო – ხმელი ბალახების გროვა; გოუო – რაქიტი; თებო – ქერტლი, ეერო – წერილი ძელი, წირეხი – ღელერგი და სხვ.) ერთად გამოვყოფთ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა კველეაც ფუძეენის კუთენილი ზოგიერთი არქეტიპის აღდგენაში დაგვეხმარება. მაგ.: ახუპეა – ხელში აყვანა; მოხუპვა – ანაოჭებით შეკერა; კარჩხალი – ფრიალო კლდე, ნამშხალი – ხის ყლორტი, ხვანცალი – მოუსვენრობა, გაუზრერებლად მოძრაობა და სხვ.[26]

ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანა მაღალგანვითარებული კოლხური ბრონჯაოს კულტურის არსებობას უკავშირდება. კოლხურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული პროცესები აისახებოდა ენაშიც. მათი ნაკვალევი დასტურდება დიალექტებშიც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ არქაული ეპოქის ტერმინოლოგია ნაწილობრივ დაცულია აჭარულშიც. ასეთ ლექსიკურ ერთეულთაგან შეიძლება გამოვყოთ: გენი. გვარდა, თხუნა, თხამლი, ხერის,კუდი, ფუფული, ცხრო, წველა და სხვ.

გენ – ძირი აჭარულში დადასტურებულია მესაქონლეობის ტერმინოლოგიაში: გენეა (მოგენება, მოგერება ანუ ხბოს მიშვება დედასთან ძუძუს გამოსაწოვად). გენი ხბოს აღნიშნავს მეგრულში, ლაზურსა და იმერულში. თვლიან, რომ ეს ძირი ადრე ალბათ მოელი ქართულის კუთენილებას წარმოადგენდა.[27]

---

24 მ.ცინცაძე. აჭარულის მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან.-ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია. VIII. 1957, გვ. 76; არნ.ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. თბ., 1936, გვ. 201; შ.ნიჟარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 156; ნ.ხურმაეა. დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

25 ივ.ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბ., 1937; არნ.ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართულის შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938; Климов Г. Этимологический словарь Картвельских языков, М., 1964; Гамкрелидзе Т. Иванов В. Индоевропейский язык и Индоевропейцы. т. I, II, Тб., 1984; ჯ.ფენრიხი. ზ.სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990; მ.ჩუხუა. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003 და სხვ.

26 ნ.ნოდიდელი. საერთო-ქართველური ლექსიკიდან აჭარულ დიალექტში.-რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXIII. თბ., 2003, გვ. 49.

27 ჯ.ფენრიხი. ზ.სარჯველაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

გუარდა (გვარდა) აჭარულში ოვალური ფორმის (გვერდებგამოზნექილი) ხის ჭურჭელია (შდრ. მეგრ. გორდა – ირიბი, ვითოგორდა რენია – გამოზნექილია). ძველ ქართულ ფუძეს **მგუარდლ** შემოუნახავს გუარდ ძირის უძველესი სახე.[28]

სალიტერატურო ქართულში ამბის მოგონებას, ნაწარმოების შექმნას **თხზვა** ეწოდება. მეგრულსა და ლაზურში ამ სიტყვის თხაზ ძირს თხოზ შეესატყვისება, რაც წერას, გადახლართვას და დევნას, გამოკიდება-გამოდგომას აღნიშნავს. აჭარული დიალექტის ფეიქრობის ტერმინოლოგიაში გვაქვს თხაზ – ძირით ნაწარმოები ლექსემები: **ათხზნა, ნათხაზი, ნათხზენი.** ისინი, როგორც თხაზ/თხოზ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები, ძველ ქართულში და აჭარულშიც წერა-გრეხას, ძაფის წნელს აღნიშნავენ. ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღდგენილი **თხაზ** ძირიც ამ მნიშვნელობებს შეიცავს.

ფუძეს **სერ** ძველ ქართულში ვახშის მნიშვნელობა ჰქონია. ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტთა მსგავსად აჭარულმა ეს ფუძე შემოგვინახა ტერმინში სერისკუდი. რაც ვახშამის მოგვიანებით გაგრძელებას აღნიშნავს.[29]

ქართული ენის დასავლური და სამხრული დიალექტების კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზანური სუბსტრატის დადგენას. ზანური ენა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენისა და კილოების წარმოქმნა-ყოფიერებაში.[30]

აჭარულ კილოშიც ზანიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სპეციალურ ლიტერატურაში ზანიზმებად მიჩნეულია აჭარულ დიალექტში არსებული ლექსიკური ერთეულები: ბიგა–ფიწალი, კაპებიანი გრძელი ჯოხი; ბორჯგი – მოკლე ბოძი, საყრდენი; ბლორინი – ბლავილი; დო(ნ)ჩხაური – გაჩაღებული ძლიერი ცეცხლი. კატარი – მცენარის ეკენწერო, თავთავი; კატაფხა – ძაფის ამოსახვევი ორტოტა პატარა წერილი ხის ხელსაწყო. ლაზურში კატაფხას სუსტი აღნაგობის ადამიანსაც ეძახიან. კინჩხი აჭარულ'ში აღნიშნავს კეფას და კანაფის გამხმარ ღეროს. ასევეა ლაზურშიც. რაგვი – ჩიტის საჭერი მახე (შდრ. მეგრ. – რაგვი: ლაზური რაგი–რაგუი).

უძველეს მასალებთან ერთად, აჭარული დიალექტის ლექსიკურ ფონდში საყურადღებოა ძველი ქართული ენის მრავალფეროვანი ლექსიკა. ამ ლექსიკის ერთი ნაწილი თანამედროვე ქართულში და მის სხვა დიალექტებში ან აღარ გვხვდება, ანდა განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება: ასტამი – ცეცხლის ასაღებ-გადასატანი, აქანდასი; ბაბილო – რტო, ეაზის რქა ან მაღლარი ვაზი; გლა – მსხერეკა, მეესრეკა; კაცი – ქმარი; ნამსხმანი – სახსრების შეერთების ადგილი; სრსვილი – კანის დაავადება (აჭ. სირსვილა); სირი – ფრინველი, ჩიტი; უხდური – რძე და რძის პროდუქტები; ჩქუთი – ხის სახეკეი იარაღი; ჭრელი – სახე, ორნამენტი; ხაშმი – სნეული, დაშავებული (აჭ. ხაშმი – ციცბა). აჭარულში დადასტურებული და ძველი ქართულის კუთვნილებაა, ასევე, სიტყვები: გაათეკი, გახეკა, დიკა, დორა, თეკი, კედი, მსხმო, ნატი, საგდოლი, საათაი, ფრეწა, ქეშელი, ღრამი, ციცხვი, წრიმალი, ხელობა და სხვ.[31]

---

[28] იქვე, გვ. 198; ი.ობულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973.

[29] ნ.ნოდაიდელი. მასალები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონისათვის.-აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. I. თბ., 1976, გვ. 55.

[30] ზ.თანდილავა. ც.ნარაკიძე. ზანური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. V. თბ., 1986, გვ. 90. ნ.ნოდაიდელი. ზანური სუბსტრატის რამდენიმე ლექსიკური ნიმუში აჭარულ დიალექტში. - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი, 2005.

[31] მ.ცინცაძე. მ.ფადავა. სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობი ენა XV-XVIII საუკუნეებში. ბათუმი, 1998; ნ.ნოდაიდელი. ქართული ენა და საფეიქრო ტერმინოლოგია-აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VII. ბათუმი, 1990.

ყურადღებას იქცევს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქართული ენის სხვა დიალექტებში ან არ გვხვდება, ან მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. ასეთებია: აკაკუნელი – ფერადებით მორთული, აგრედებული; ბებრუეთი – დედულეთი; ბუდუდა – უგირგილო, მოუხერხებელი; დაბაგება – დაგლახება; ცინცქილა – მძიეი; ჭედება – ჭიდაობა, შეტევითი ტკიეილი; სმუკი – მჭლე, გამხდარი და სხვ.

საკუთრივ დიალექტური წარმოშობისა ჩანს კომპოზიტებიც: ახალპირი – პირველად დამაკებული უშობელი; ახლოკეთდრი – უახლოესი ნათესაეი; ამწამალა – ამწამს, მალე, ახლაეე; მისიეარესი – ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი; ფისიმწურაეი – ძენწი; ძიფია – რძის ფაფა; ხელგოდორა – პატარა გოდორი და სხვ.

აჭარულში გვხვდება თურქული ენიდან შემოსული სიტყვები თუ ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ფენებთან (აღა, ბეგი, მუფთი), რელიგიასთან (ჯამე, ჯუმა, რემეზანი), ნათესაურ ურთიერთობასთან (ემია, ტაია, ხალა, ბალდიზი, გელინი), ჩაცმულობასთან (ბაშლული, ბილეზუდი, ფეშტემალი), სამხარეულოსთან (აჩმა, ბეომეესი, ბურმე, ოქლაო, ტაოლი), საშენებლო საქმიანობასთან (უსტა, ქირიში, ისკ�ილე, დირეკი, დირეგი, ჩილფი) და ა.შ. აჭარულში დასტურდება, აგრეთვე, ბერძნული, იტალიური, ფრანგული და სხვა წარმოშობის სიტყვები.

მრავლად იძებნება ნასესხები სიტყვები, რომელთა ქართული შესატყვისები დიალექტში დაფიქსირებული არ არის და პარალელურად იხმარება: ღიშმე – ფინი, ღოსტი – მოოგარე, ეთოიმი – ოპოლი, სამა – ცეკვა, ურუბა – ტანისამოსი, ჩიფთი – წყეილი, ჯამეში – კამეჩი.

აჭარულში იგრძნობა უცხოენოვან ტერმინთა "გაქართულების" ტენდენცია (აფიქსების მეშვეობით უცხო სიტყვის ქართულ ყალიბში მოქცევა): გაყირმიზება – გაწითლება (ყირმიზი – წითელი); დაფიშმანება – დაფიქრება (ფიშმანი – ფიქრი); დაჩილფეა – ლალარეა (ჩილფი – ლარი); სიფთინდელი – ადრინდელი (სიფთა – პირველი, ადრე); უზანათო – უხასიათო, ხელობის, პროფესიის არმქონე (ზანათი – ხელობა, პროფესია); ქიბრობა – თავმომწონეობა, ამაყობა (ქიბარი – თავმომწონე); ღაზეიანი – შურიანი (ღაზეი – შური) და სხვ.

გვაქვს ქართულ-უცხოენოვანი შერეული კომპოზიტებიც: ანასერთა – დედისერთა (ანა – დედა); ლეგენ-წყალი – წყალი და თასი (ლეგენი – თასი, ტაშტი); ოთხქოშელა – ოთხკუთხა (ქოშე – კუთხე); ჩენგეშეკრული – კრიჭაშეკრული (ჩენგე – ენა) და სხვ.

აჭარულ დიალექტში შეინიშნება სტრუქტურული ნასესხობანიც (კალკები): ბაიანზე გატანა – გამოაშკარავება; ოოხის გაღება –ცომის გაბრტყელება; პენსიის (ხელფასის) დაბმა – პენსიის დანიშვნა; რჯულიდან გადაბრუნება – სარწმუნოების შეცვლა და სხვ.

ქართველი კაცის ბუნება, გონება, გამჭრიახობა, ყოფა-ცხოვრების ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულება აისახება იმ ხატოვან სიტყვა-თქმებში, რომლებითაც მდიდარია ქართული ენა. ამგვარი ნიმუშები მრავალად იძებნება ქართული ენის კილოებში. აჭარულ დიალექტშიც გამოიყოფა ხატოვან სიტყვა-თქმათა მრავალი ნიმუში: გზას სიმღერა ვუთხრათ – დედოფალი მსიარულად გავაცილოთ, გზა სიმღერით დავეულოცოთ; თოელმა მიწა მოწათხა (შდრ. წათხეა – მარილით დაფარეა, დამარილება) – თოელმა მიწა დაფარა; შაეი სანთელი ეწირე – ცუდად მოექეცი, დავაშავე, შეეცოდე; უბე ეეაეილით საეს აქეს – ბევრი შეილი ჰყავს, მრავალშვილიანი ბედნიერი დედაა; სიტყეა სიტყვის მაკინარია – სიტყვა სიტყვის მშობელია და სხვ.[32]

უდაოდ დიდია მსგავსი მასალის ექსპრესიული და სოციალური დანიშნულება. თითოეული ასეთი ნიმუში მნიშვნელოვნად ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს როგორც საკუთრივ აჭარული დიალექტის, ისე ქართული ენის ერთიან ლექსიკას.

---

32 ნ.ნოლაიდელი. ფრაზეოლოგიური გამოთქმები დიალექტურ ლექსიკაში. – დიალექტოლოგიური კრებ., თბ., 1989, გვ. 99; მისივე. სიტყვა სიტყვის მაკინარია (ხატოვან სიტყვა-თქმათა ნიმუშები აჭარულ დიალექტში). – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX. ბათუმი, გვ. 3.

§7. ხალხური მედიცინა

საქართველოში ადრეკლასობრივი ურთიერთობის პირველ საუკუნეებში სამოყალიბდა მკურნალის, ექიმის პროფესია, რაც კიდევაც აისახა უძველეს წერილობით ძეგლებსა და არქეოლოგიურ მასალებში. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალობაზე იზრდებოდა მკურნალური სამკურნალო არსენალი, იხვეწებოდა მედიკამენტების მომზადების ტექნოლოგია.

კოლხეთის სანაპიროზე ბერძნული ახალშენების შექმნა, შემდგომში კი რომაელებთან კოლხეთის ურთიერთობა, გვაფიქრებინებსრომ კოლხურ მედიცინაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა ჰიპოკრატესა და გალენის სამედიცინო მოძღვრებებს საყურადღებოა, რომ მედიცინის მამამთავარმა ჰიპოკრატემ ამ მიზნით პირადად იმოგზაურა საქართველოში და აღწერა იგი.[1]

ძველი პერიოდის წერილობითი წყაროებიდან საინტერესოა VI ს. ავტორის – პროკოპი კესარიელის ცნობა, რომელიც ციხესიმაგრე პეტრასთან ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის წარმოებულ ომს შეეხება. ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს წყალსადენი, რომელიც ციხესიმაგრეში იყო შეყვანილი: „პირველი იერიშის დროს მტერმა წყალსადენის მილები ამოამტვრია მიწიდან, რომ ციხეში ნაყენებული ჯარი წყურვილით ამოეწყვიტა. მაგრამ გამოირკვა, რომ ციხეში წყალი მაინც ჰქონდათ. მტერმა დაათვალიერა წყალსადენი და ნახა, რომ მიწაში ყოფილა წყალსადენის მილების მეორე წყებაც. როგორც შემდეგ გაირკვა, მილების მესამე წყებაც ყოფილა“.[2] ჩვენი აზრით, ასეთი რთული წყალსადენის დანიშნულება შეუძლებელია მარტო სასმელი წყლით მომარაგებით აიხსნას. წყალსადენს, რომელიც ამარაგებდა ციხესიმაგრეებში არსებულ აბანოს, ჰიგიენური დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა.

ძველ საქართველოში ფართოდ იყენებდნენ სამკურნალო მინერალურ წყლებს. ამ მხრივაც აჭარა გამონაკლისი არ იყო. შუახევის აბანოდ ცნობილ სამკურნალო მინერალური წყაროს კაპტაჟის დროს აღმოჩნდა უძველესი, ქვაში ნაკვეთი აბანოს ნაშთი, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

მკვლევრები დიდ შეფასებას აძლევენ ციხისძირის სამაროვან'ში აღმოჩენილ მინის კოლბს, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინის ჭურჭლებს შორის ეს ერთ-ერთი უძველესი ექსპონატია, რომელიც შესაძლოა სამკურნალო საქმეშიც გამოიყენებოდა.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ დიდი კორექტივი შეიტანა ადრე არსებული ხალხური მკურნალობისა და წამალთმცოდნეობის საქმეში. გამოჩნდა პირველი აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებშიც დაცულია ცნობები წამლების მომზადებასა და ამა თუ იმ დაავადებისაგან ავადმყოფთა განკურნებაზე. სამოქალაქო-პროფესიულ და ხალხურ მედიცინას გამოეყო საეკლესიო-სამონასტრო მედიცინა, რომლის მთავარ ცენტრად საეკლესიო-კულტურული კერები იქცნენ. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდს ემთხვევა ქართული რელიგიური ცენტრების გაერთიანება და მათი მცხეთის ეპარქიისადმი მიკუთვნება. ამან კიდევ უფრო გააფართოვა და სრულყო საეკლესიო-სამონასტრო მედიცინის შესაძლებლობები. მცხეთის ეპარქიას ეკუთვნოდა სხალთის ტაძარიც, ხილო გელათისას – თეთროსანი, სადაც დიდ საეკლესიო საქმიანობასთან ერთად აკადმყოფთა მკურნალობასაც ეწეოდნენ.

---

1 თ.ჯაუხიშვილი. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1965, გვ. 17.

2 ს.ყაუხჩიშვილი. რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ., 1964, გვ. 58.

სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის, საეანეები იმ დროისათვის ცნობილი იყო თავისი საეკლესიო საქმიანობითაც. ხანძთაში, იშხანსა და შატბერდში თარგმნეს ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატი გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმე", რომელსაც დიდი ადგილი უკავია ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ისტორიაში.[3]

არაბთა ბატონობის დროს, როცა თბილისს მოწყდა საქართველოს დიდი ნაწილი და დაკარგა მასთან კულტურულ-ინტელექტუალური კავშირი, თვალსაჩინო როლი შეასრულა ტაო-კლარჯეთის, განსაკუთრებით, ხანძთის საეანეებმა და დიდმა საეკლესიო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა. იგი თავის მოწაფე ეპიფანესთან ერთად საეკლესიო საქმიანობასაც ეწეოდა.

გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხან'თელის ცხოვრებაში" აღწერს "შემთხვევას თუ როგორ განკურნა გრიგოლმა ბავშვი, „რომელსა ხელნი და ფერხნი მტერისაგან მიხუმულ იყვნეს..." და „დედაკაცი სისხლის დინებითა გუემული მრავალთა ჟამთა". გრიგოლ ხანძთელმა განკურნა აგრეთვე ადარნასე მეფე, რომელსაც ნიკრისის ქარები („სენი ტუხისა") შეპყროდა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მედიცინის ისტორიისათვის სხვაც ბევრი რამ არის საინტერესო. ამ ნაწარმოებით ირკვევა, რომ მაშინ უკვე არსებობდა საამედიცინო ტერმინები „მტერი-ეპილეფსია", „ხელ-ფერხ მიხუმულ" ანუ დამბლადაკვეთილი, „სენი ტუხისა" („ნიკრისი"). ამავე ნაწარმოებში ეხედებით ავადმყოფის გამოკითხვის – ანამნეზის ელემენტებს, ქირურგიული დაავადებების დროს – ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებს, აქვე აღწერილია აგრეთვე, თუ როგორ გამოხატა ავადმყოფმა თავისი მადლიერება მკურნალი ეპიფანის მიმართ და გასამრჯელოდ „ორი სროხა მიუძღვნა".[4]

ქრისტიანულმა ეკლესიამ მედიცინა თავის სამსახურში წააყენა. ამაზე მეტყველებს სტატიკრო მედიცინის ფართო ქსელი და დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ბიოგრაფიები, სადაც ფართოა სამონასტრო-საეკლესიო საქმიანობასთან ერთად ავადმყოფთა მკურნალობაც არის ასახული. მართალია, მკურნალობის პროცესში უპირატესად გამოყენებული იყო მაგიური მეთოდები, შელოცვები და თილისმები, მაგრამ კარგად ესმოდათ, რომ მკურნალობაში უფრო დიდი ეფექტის მისაღებად აუცილებელი იყო ხალხური მეთოდების გამოყენება. ამგვარად, საეკლესიო-სამონასტრო მედიცინა კავშირს არ კარგავდა ხალხურ მედიცინასთან.

ათონის იერთა მონასტერთან (იგი X ს. დააარსა ეარაზეანე ჩორჩანელ-ხურსისძემ, იგივე იოანე ათონელმა) მოქმედებდა საავადმყოფო, რომელიც ვინმე მიქელმა ააშენა დაახლოებით 1054 წელს. მონასტერს ჰქონდა ზეთისხილის ბაღიც, რომელიც ოქროპირ ხარაზს შეუწირავს და საავადმყოფოსათვის გადაუცია „დასნეულებულთა" მოსახმარად „მესნეულის" განკარგულებაში.[5]

ათონის იერთა მონასტერში მოღვაწეობდა ან მონასტრის მახლობლად ცხოვრობდა ოქროპირ ხარაზი, რომელიც გვარსახელის მიხედვით ზღვისპირა აჭარიდან, კერძოდ, ქობულეთის რაიონის სოფელ კეირიკეედან უნდა იყოს. სწორედ ეს სოფელი ითვლება ამ გვარის ბუდე-ადგილად, გვარი ხარაზი საქართველოს სხვა კუთხეებში არ გეხვდება.

ოქროპირ ხარაზი საკმაოდ შეძლებული და მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნებაა, რომელმაც საკუთარი უძრავი ქონებიდან ზეთისხილის ბაღი შესწირა მონასტრის სასნეულოს.

---

[3] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაისა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის". ილია აბულაძის გამოკვლევა. თბ., 1964.

[4] გიორგი მერჩულე. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. პ. ინგოროყვას რედაქციით. თბ., 1954, გვ. 318, 319. 842.

[5] რ.სურმანიძე. ხარაზი (ციკლიდან „ქართული გვარები"). გაზ. „აჭარა", №20, 25 მაისი. 2004. წ.

უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთრივ ზეთისხილის გარდა, ბაღში მოშენებული იყო სხვა სამკურნალო მცენარეებიც, რომელთაც ფართოდ იყენებდნენ წამლების დასამზადებლად.

როგორც ცნობილია, ველათის სამონასტრო ანსამბლთან არსებობდა აკადემია და სასწავლებელი, სადაც მედიცინასაც ასწავლიდნენ. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავარია ადწერილობის მიხედვით, „აჭარა დანდალოს ქვეითი ქუთათლის სამწესო ყოფილა". არ არის გამორიცხული, რომ ველათის აკადემიაში ცოდნას ეუფლებოდა მრავალი აჭარელი, რომელთა შორის მკურნალები და მესნეულეებიც იქნებოდნენ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ,კარგად არ არის შესწავლილი ტბეთის მონასტრის ისტორია. ჩვენ ვიცით, რომ „დანდალოს ზეითი აჭარა" მტბევარის სამწყსოში შედიოდა, ტბეთი კი განათლების და კულტურის წამყვანი კერა იყო.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ცენტრებში საეკლესიო-სამონასტრო სამედიცინო სამსახურის მსგავსად სამედიცინო დახმარება უნდა არსებულიყო სხალთის, თხილვანის, ჭვანის, ვერნების, ხიროს, ხუცუნნის, გვარას, კვირიკეს, სამების და აჭარის სხვა საეკლესიო ცენტრებში.

სამწუხაროდ, აღრინდელი ხელნაწერები, კერძოდ სამკურნალო წერილობითი ძეგლები, აჭარაში არ შემოგვრჩა. ამიტომაა, რომ დღემდე ქართული მედიცინის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოცემებში საქართველოს დასავლეთი ნაწილი, კერძოდ, აჭარა, არ ჩანს. ამის გამო ქართული მედიცინის ისტორია სრულყოფილ სახეს მოკლებულია. ჩვენი ცოდნა ამ მხარეში მედიცინის განვითარებაზე ცალკეულ ისტორიულ საბუთსა თუ მხატერულ-ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში გაბნეული ზოგიერთი ცნობით ამოიწურება. ამ მხრივ საინტერესოა XIII საუკუნის ქართველი მწერლისა და მეცნიერის აბუსერისძე ტბელის თხზულებები. მართალია, იქ უშუალოდ ავადმყოფის მკურნალობის შესახებ პირდაპირ ცნობებს ვერ ვხვდებით, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ზოგადად მეცნიერებისა და საკუთრივ მედიცინის განვითარების იმდროინდელ დონეზე.

ქვითხურო ბასილმა გადაწყვეტა აეშენებინა ეკლესია, რისთვისაც დაიწყო საშოვარზე მიმოსვლა „თფილისსა და სომხითში". აქ მას გამოეცხადა წმინდა გიორგი, რომელმაც უთხრა: *„ისმინე ჩემი ბოლოკ-ბასილი და წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰრქვიან ოპიზა და მუნ არს ეინმე ბერი მონაზონთაგანი, რომელსა ეწოდების სტეფანე და არს იგი კაცი უბიწო და წმიდა, რომელი სნეულებითა დიდითა შეპყრობილ არს, და აუთქუ ნყმ მიერი კურნეაი და მას უთქს ერთი კერძო-კარაული, რომელი არს ჯორი, და უც რკინაიცა და იგიცა მოითხოვე ჯორითურთ".*[6]

ამგვარად, წმიდა გიორგი პირდება სტეფანეს განკურნებას იმ პირობით, თუ ის ქვითხურო ბასილის მისცემს გამწვეე ძალას (ჯორს) და ქეის სათლელი რკინის იარაღებს. მართალია, ამ ფრაზაში გადამწვეეტი და საკვანძო თეოლოგიური სიუჟეტია, მაგრამ თავად ფაქტი, რომ გარკვეული პირობებით მძიმე ავადმყოფის განკურნება შეიძლება (თუ ის წმიდა მოწამის თხოვნას აღასრულებს), ძალზე საგულისხმოა.

ანალოგიურია წმიდა მოწამის მიერ წყაროს წყლის დალევის აკრძალვა პირჯვარის გადაწერის გარეშე, *„რამეთუ არიან მანდა ეშმაკნი ჩემ მიერ შთათხეულნი და ესრეთვე სხუათა აუწყე. რათა თვინიერ ამისაა არაეინ სვას ამის წყაროისაგან".* გამორიცხული არ არის, რომ ამ წყაროს დალევა მისი ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური შედგენილობის გამო („ეშმაკნი შთათხეულნი") მართლაც საშიშროებას უქადდა ადამიანის ჯანმრთელობას. ამ მომენტს კი მოხერხებულად იყენებდნენ რწმენის განსამტკიცებლად.

---

[6] აბუსერისძე ტბელი. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. ი.სიხარულიძის რედაქციით, ბათუმი, 1981, გვ. 306; რ.სურმანიძე. მეფსეული კურნება.ი. სამედიცინო-ბიოლოგიური ცნობები ტბელის თხზულებაში. — გაზ. „მედეა", №6, 1996.

წმიდა გიორგის მიეწერება აგრეთვე გაცოცხლება ბასილისა, რომელსაც ქვა დაეცა და მოკვდა. როგორც კი გამოეცხადა წმიდა მოწამენ იგი გაცოცხლდა და მარტოხელამ, სტეფანეს მიცრ ბოძებული კარაულისა და იარაღების გამოყენებით, საკვირველი ტაძარი ააშენა.[7]

საქედიცინო ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მეტყველების მოშლის გამომხატველი სიტყვა „ენა-ბრგუნვალი", რომელიც სულხან-საბასეულ 500 წლით ადრე აქვს ნახმარი ტბელს. დიდი შიმშილისა და სიძვირის დროს დაუძლურებულ ბასილს საკუთარი სახელი „ბაბილოდ" წარმოუთქვამს, *„რამეთუ ბასილიკა ნეტარი მცირედ ენაბრგუნვალი იყო"*. მისთვის ყურძენი და ჟოლი მიურთმევიათ.[8]

ტბელის ოხზულებაში „ცხოვრება ქეთხუროსა ბასილისა" განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხიხათა ეკლესიის მშენებლობის დროს დაჭეფილი თადარიგი, რათა ქვის დაცემის და ტრავმის მიღების, ან მგლის დაკბენის შემთხვევაში, კალიტოზებს არ დაუგვიანდეთ სამედიცინო დახმარება, აგრეთვე ქვის მაღაროში მყოფნი ან მაღალი ადგილიდან ფეხაცდენილნი დროულად იქნან ამოყვანილი. ისინი ხანგრძლივი ავადმყოფობისათვის არიან განწირულნი და დროულ მკურნალობას საჭიროებენო, ამბობს ტბელი. საინტერესოა, რომ ყოველივე ამას ქადაგებდა მისი დედა, რომელმაც იგივე უანდერძა თავის შვილს ტბელს: *„...მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნენ, მრავალთა კაცთა ფაღარეკთაგან ხსნისანი: ქვისა დასაცემად განმზადებულისა, მრავალთა არღარა მოსაწყალებელად გარეკილნი; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშვიდობით ხსნანი მრავალთანი; და ამას ზარის განსახდელად მაღალსა და ტალსი ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერხნაცთუმილთა აღმოყვანებით ხსნანი; და მრავალთა მუშაკობით მოქმედთა, ქვისმქმნელთა მეყსეულნი კურნებანი; და კაცის მჭამელთა მგელთა ოკეანი, სრულიად საზღვარია შინა სრულისა საქართველოსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატის მის თანაეე გარეთ გაყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაი ჩემი გამოეთქუმელთა სარწმუნოებითა და სამარადისო თა წინაშემდგომარეობით და დაუდუმელებითა კითხვითა წმიდისა სახარებისაითა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტოვა ანდერძობით, მფარველად ორისაეე ცხოვრებისა ჩემისა"*.[9]

როგორც აღინიშნა, ქრისტიანული აღმსარებლობა რწმენის განსამტკიცებლად და ხალხის ნდობის მოსაპოვებლად ფართოდ იყენებდა სამკურნალო საქმიანობას, სამედიცინო ცოდნას, რომელსაც ახამებდა შელოცვებთან და ფსალმუნების კითხვასთან. მოტანილ ერთ-ერთ ციტატაში პირდაპირ არაა მითითებული ტბელის დედის სამედიცინო საქმიანობა, მაგრამ სახარების, შელოცვებისა და ფსალმუნების „დაუდუმებელი კითხვის" მოსახენიება ადამიანზე ქვის დაცვამასთან, მაღაროში ჩამწყვდევასთან, სიმაღლიდან გადმოვარდნასთან და მეყსეულ მკურნალობასთან ერთად გეგფიქრებინებს, რომ დიოფალთადიოფალი ხათუთა სამკურნალო საქმიანობასაც, კერძოდ, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასაც („მეყსეული კურნებანი") ეწევოდა. უფრო მეტიც, მან ეს საქმე „კამოუიქუმელ სარწმუნოებასთან" ერთად თავის შვილს ტბელსაც უანდერძა და შეასწავლა.

ამგვარად, აბუსერისძე ტბელი, მწერალი, საეკლესიო და საერო მოღვაწე, ამავე დროს, როგორც მკურნალი, შეიძლება დავაყენოთ ქართული რენესანსის პერიოდის ისეთი მოღვაწეების გვერდით, როგორიც იყვნენ: პეტრე იბერიელი, მარტვილი საბაწმინდელი, ილარიონ ქართველი, გრიგოლ ხანძთელი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვ., რომ-

---

7 აბუსერისძე ტბელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

8 იქვე.

9 იქვე, გვ. 11,12.

ლებიც ფართო საექიმო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ, ხოლო დედოფალი ხათუნა შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ პეტრე იბერიელის დედას, ქართლის მეფის ვარაზ-ბაქარის თანამეცხედრეს — დედოფალ ბაკურდუხტის, რომელიც არა მარტო მონასტრებთან, სასტუმროებთანაც კი სასნეულოებს აშენებდა.

ბუნებრივია, „ქვისა დასაცემად, ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა ეკლთა“ და *„ფერხსაკოუმილთა ალმოყვანებით* და *წამოქცეულთა კლდეთაგან შეყოლიბით დასახსნელ“* ადამიანებს შიშველი ხელებით დახმარებას ვერ გაუწევდნენ. აქ მწერალი ეგესაუბრება მძიმე ტრავმულ და კატასტროფულ შემთხვევებზე, რომელთა თაყვანდან აკვილება და განკურნება დიდ სამედიცინო ცოდნა-გამოცდილებას, და, რაც მთავარია, სპეციალურ სასნეულოში აუცილებელ მოთავსებას საჭიროებდა.

მონასტრებთან სასნეულოების აშენება ქართველ საერო და საეკლესიო მოღვაწეთაოვის და ქველმოქმედთაოვის უცხო არ იყო. ამიტომ საკსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ბასილის მიერ აშენებულ „საკეთრველებათა ტაძარს“ თავისი სასნეულოც ჰქონებოდა. თუმცა, აბუსერისძე ტბელის თხზულებაში ამის შესახებ პირდაპირ ცნობებს, სამწუხაროდ, ვერ ვხედებით.

აჭარაში ხალხური მედიცინის შესასწავლად დიდ ყურადღებას იმსახურებს გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტის — აბდულ მიქელაძის მიერ 1893 წელს ქედის რაიონის სოფელ აგარაში XVIII საუკუნის მცირე ქართული სამკურნალო ხელნაწერის აღმოჩენა. ამის შესახებ პირველი ცნობა გაზეთ „ივერიაში“ ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა, ხოლო ე. თაყაიშვილმა ეს ხელნაწერი აღწერა და შეიტანა თავის ერთ-ერთ ნაშრომში. არანაკლებ მნიშვნელოვანია 1987 წელს შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში აღმოჩენილი უფრო ვრცელი კარაბადინი. ეს იშვიათი დოკუმენტები ერთი საუკუნის განმავლობაში ხელუხლებლად იდო და საზოგადოებამ მათს შესახებ არაფერი იცოდა. ამჟამად ორივე ხელნაწერი შესწავლილი და ცალკე წიგნადაა გამოცემული.[10] აჭარულ კარაბადინში დაცული ცნობები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან რეგიონში მკურნალობისა და წამალთმოდგენის იმდროინდელ დონეზე, აგრეთვე, ზოგადად ქართული მედიცინისის განვითარებაზე. ეს სამედიცინო ხელნაწერები ორი საუკუნის ისტორიას მოიცავს.

აჭარაში აღმოჩენილი ხელნაწერების ავტორთა ვინაობა უცნობია. ისინი პირობითად შეიძლება დასათაურდეს. პირველს ეწოდება „აგარელის კარაბადინი“ (აღმოჩენის ადგილის მიხედვით), მეორეს — „ფემბასეული კარაბადინი“ (ხელნაწერის მფლობელის სახელის მიხედვით).

ხელნაწერები თავიდოლო ნაკლულია, მას შიგნით ფურცლებიც აკლია. მთლიანობაში ორივე ხელნაწერი საოჯახო კარაბადინს მიეკუთვნება და ამავე დროს სამედიცინო ცნობარის შთაბეჭდილებასაც ტოვებს. ასეთ ცნობარებს საქართველოში ფართოდ იყენებდა არამარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ აქ ჩამოსული უცხოელებიც (კათოლიკე მისიონერები და მაჰმადიანური აღმსარებლობის წარმომადგენლები).

ხელნაწერების ერთ-ერთი საინტერესო თავისებურებაა მათში უცხო სიტყვების არარსებობა, რითაც ისინი განსხვავდება ქართული კლასიკური სამედიცინო სახელმძღვანელოებისა და სხვა სამედიცინო ხელნაწერებისაგან.

ხელნაწერებში დასახელებული ბევრი სამკურნალო საშუალება დღესაც გამოიყენება ქართულ ხალხურ მედიცინაში.

ხელნაწერებში დაცულია ავადმყოფთა მკურნალობის ისეთი უნიკალური წესები, როგორიცაა: პერიფერიული ნერვის გაღიზიანებით სისხლისსენის შეწერება, ტვინის ჯადოქრული მოქმედების ცოდნა, წნეების მკურნალობა „ხელის გახსნით“ (სისხლის გამოშვებით), მკურ-

---

10 **რ.ხურმანიძე. ქართული კარაბადინი, ბათუმი, 1996.**

ნალობა წამლის შესუნთქვიო (ინჰალაცია) და შეხსნილებით, ორსული ქალის მიერ დიეტის დაცვა, გველის ხორცის, ადამიანის სისხლის, ობობას ქსელის წამლად ხმარება და ა.შ. საყურადღებოა, რომ აჭარაში აღმოჩენილ კარაბადინში შეტანილია მრავალი სამკურნალო მცენარე, რომლებსაც ვერ ეხვდებით სხვა ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში. შესაძლოა ეს ხელნაწერები ერთადერთი იყოს, სადაც შემონახულია მედიცინის ისტორიისათვის უცნობი ნელლეული და მისგან წამლების მომზადების ტექნოლოგიური მეთოდები.

ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის რაციონალურ მეთოდს ხელნაწერებში რამდენიმე ადგილას თან ახლავს შელოცვებიც. სამკურნალოდ გამოყენებულია თილისმაც. ხშირად არის ნახმარი ტერმინი „ღვთით შველა". ამგვარად, ამ ხელნაწერებიდანაც დასტურდება, რომ მკურნალობის პროცესებში ერთმანეთთან შერწყმულია ხალხური, სამოქალაქო და სამონასტრო მედიცინისათვის ცნობილი წესები და მეთოდები.

აჭარული კარაბადინები ყურადღებას იმსახურებს ცალკეული სამედიცინო ტერმინებითა და დიალექტიკური ლექსიკით. აქ ეხვდებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც მხოლოდ აჭარისათვისაა დამახასიათებელი. მათი დეტალური შესწავლა-ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში გარკვეული კორექტივების შეტანა და მისი გამდიდრება.

ხელნაწერებში ეხვდებით ზოგიერთ ისეთ სამკურნალო საშუალებას, რომლებიც დღესაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მუდმივ ატრიბუტად იქცა. ასე მაგალითად, ფემბასეულ ხელნაწერებში ეხვდებით რეცეპტს, რომელიც შეიკავს ჰიტნის, მიხაკისა და დარიჩინის ზეთების ნაერთს. თუ ამას დაეუმატებთ ევკალიპტის ზეთს, სახეზე გვექნება დღეს ჩვენს ყოფაში ფართოდ გაერცელებული ვიეტნამური ბალზამი – „ოქროს ვარსკვლავი". ასევე ინტერესს იწვევს დანამასტაკის (კვეის) ხმარების წესი. როგორც ცნობილია, სალეკი რესინის ხმარება ჩვენ ქუჟანაში საძრახის საქციელად ითვლებოდა. 20-30 წლის წინ იგი ჩვენთან საზღვარგარეთიდან შემოვიდა და დამკვიდრდა არა როგორც გასართობი, არამედ, როგორც კბილებისა და ღრძილების გასამაგრებელი საშუალება. როგორც ფემბასეული ხელნაწერიდან ირკვევა, ამ მიზნით კვეის ღეჭვა საქართველოსათვის უძველესი დროიდან ყოფილა ცნობილი: *„საკმეველი, დანამასტაკი, ორივე ერთად ღეჭე, კბილებს დაამაგრებს, კბილების სიმყრალეს ამოიღებს, ღრძილებსაც დაამაგრებს, უცხო კარგია"*.[11]

ხელნაწერებში ხშირად ვხვდებით დიაგნოსტიკის ელემენტებსაც. დაავადების მიზეზებისა და სახეობის დასადგენად მითითებულია სამკურნალო საშუალებებზე. საჭმელებსა და სასმელების გამოყენებაზე. დიაგნოზის დასადგენად საკმაოდ კარგად აკვირდებოდნენ გამონაყოფებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შარდს (ფერი, გამჭირვალობა, ნალექი და სხვ.): *„შარდი ნახე ავადმყოფის ხალამოვამს, შეინახე დილამდე. დილას ნახე, შავი ღრუბელი თუ ჰქონდეს, მოკდეს, თუ თეთრი ჩაწვა, მოწამლულია, თუ ვარდისფერი ჩაწვა, სიმხურვალისაგან არის, თუ ჭყარტლის ფერით ჩაწვა, ბალღამისგან არის, თუ მწვანეთ ჩაწვა, ღვიძლი სტკივა, წმინდა წითელი შარდი იყოს, ნათელყბია, თუ ყვითელი ჩაწვება, სიმხურვალისაგან არის"*.[12]

ხელნაწერებში დიდი ადგილი უკავია ორსულობის დროს ნაყოფის სქესის გამოცნობის და ახალშობილის მოვლის წესებს, სამკურნალო ნელლეულის მოპოვების და ნახვეარფაბრიკატებად ქცევის ტექნოლოგიას, დამზადებული წამლების შენახვის მეთოდებს.

ფემბასეული ხელნაწერში მცენარეული სამკურნალო საშუალებები შედარებულია ქართულ კლასიკურ სამედიცინო წიგნებთან, შესაბამის სხვა ხელნაწერებთან.[13] აქ ეხო-

---

11 იქვე, გვ. 23.
12 იქვე, გვ. 57.
13 იქვე, გვ. 88-126.

ულიბთ უამრავ მსგავსებას, რაც ქართული ხალხური სამკურნალო მეთოდების ერთიანობაზე მიუთითებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორი ადგილი „ფემბასეული კარაბადინიდან", რომლებიც უნდა განვიხილოთ არა როგორც ჩვეულებრივი პარალელი, არამედ თითქმის უცვლელი განმეორება ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნიდან" და დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდიდან", ამიტომ ეს ადგილები საგანგებო შედარებას იმსახურებენ:

ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი	ფემბასეული კარაბადინი
-თუ კაცმან ბერი ლენი სჭა. ანუნინ	-თუ კაცმან ბერი ლენი ლილის და
ს

ასეთივე ინტერესს იწვევს ფემბასეული ხელნაწერის მეორე ადგილი, რომელიც ასევე თითქმის მთლიანად ემთხვევა დავით ბაგრატიონის მკერნალობის მეთოდს:

დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“

ფემბასეული კარაბადინი





[16]

[17]

არც აქ არის უბრალო მსგავსება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ფემბასეულ კარაბადინში აღნიშნული ადგილი „იადიგარ დაუდიდან“ გადმოწერილი უნდა იყოს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფემბა გვირჩევს: ავადმყოფს თაფლით ეაჭამოთ ტიტის თესლი. გარდა ამისა, გადამწერს დაშეებული აქვს შეცდომა – ნაცვლად სიტყვისა „სისხლისათვის“ (სისხა), რაც სისხლიან ფადარათს ნიშნავს, ნახმარი აქვს სიტყვა „სისხლისათვის“. მაგრამ ეს კორექტურული შეცდომაა და პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე დაავადების ნიშანია ნაგულისხმევი. გაურკვეველი რჩება მხოლოდ ის, თუ საიდან შეიძლებოდა მოხვედრილიყო XVIII საუკუნის აჭარაში დავით ბაგრატიონის ნაშრომის თუნდაც ერთი აბზაცი. „იადიგარ დაუდი“ კი დაიწერა 1579-1585 წლებს შორის თბილისსა და სტამბოლში. მისი დედანი დაკარგულია და ჩვენამდე მოაღწია გადაწერილმა ეარიანტმა, რომელიც 1938 წელს ლ. კოტეტიშვილმა გამოსცა.

როგორც ვთქვით, „იადიგარ დაუდის“ დედანი შემონახული არ არის. საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის არქივში ლადო კოტეტიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ინახებოდა ხელნაწერი, რომელიც დედნიდან ყოფილა გადაწერილი როსტომის მეფობის (1634-1658) დროს. ამას გვაუწყებს არშიაზე მინაწერი: „აწ ამა მალამესა, ამ ჯდეას წიგნშიგა „დედანში“ ეერცა თავისა და ეერცა ბოლოსა ეერ შეეიტ;�d. თუ სხეა სად ეწერა. სამი ფურცელი ცუდად ეგდებოდა და რაც იმაშიგა ეწერა უკლებობისათვის აქ დაეწერეთ. როსტომ მეფის ბეჭდნიერებითა ქაღალდი ბევრი იყო და სხეას არას დაეზარდით და აქ დავსწერეთ და რაცა აკლდეს, თუ სხვაგან იპოეოთ თქუენ ჩაუმატეთ, ალაგი აქუს“.[18]

სამწუხაროდ, გადამწერი არ გვამცნობს თავის ვინაობას. როგორც ცნობილია, როსტომ ხანის მეფობის დროს თბილისში მოღვაწეობდა მწიგნობარი, მლექელმოსაზრეი და გადამწერი მარკოზ აჭარელი, რომლის კალამს მრავალი აპოკრიფული და აგიოგრაფიული კრებული მიეკუთვნება. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მარიამ დედოფალთან და ელისაბ თბილელთან. ხომ არ არის „იადიგარ დაუდიც“ მისი გადაწერილი? ამის დადგენა არცთუ ისე ძნელია, თუ მოხდება მარკოზის მიერ გადაწერილი საბუთებისა და „იადიგარ დაუდის“ კალიგრაფიული შედარება. თუ ეს ვარაუდი დადასტურდება, მაშინ გასაკვირი არ იქნებოდა ხელნაწერის ვარიანტების არსებობა აჭარაში, რადგანაც მარკოზ აჭარელის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ მხარესთან.[19]

---

16 დავით ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი. თბ., 1985. გვ. 403.

17 რ.სურმანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

18 დავით ბაგრატიონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

19 რ.სურმანიძე. ვინ იყო მარკოზ აჭარელი? – სსიეს, ბათუმი. 1978. გვ. 173-185.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარაში აღმოჩენილი ხელნაწერები XVIII საუკუნის მეორე ნახევრით, ე.ი. ოსმალთა ბატონობის პერიოდითაა დათარიღებული. ეს დოკუმენტები წარმოდგენას გვიქმნის მხარეში სამკურნალო საქმის მდგომარეობაზე არა მარტო მათი დაწერის წინა, არამედ მომდევნო წლებშიც. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ზეერზ.ერობით, ჩვენ არ გაგვაჩნია აჭარაში ოსმალთა მმართველობისდროინდელი ხხეა ქართული წერილობითი ძეგლი.

სამედიცინო საქმე აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს „მკვდარ" პერიოდად ითვლება. ერთადერთი, რაც ამ პერიოდში, კერძოდ, 1872 წელს მოქმედებდა, ეს იყო ბათუმის საბაჟოსთან არსებული კარანტინი ლაზარეთის გარეშე, რომლის ძირითადი მოვალეობა ქალაქში ინფექციური დაავადებების შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და 1860 წელს ბათუმში ფრანგი ე. ბენლის მიერ გახსნილი აფთიაქი.[20]

20 რ.სურმანიძე. რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში (აჭარის მაგალითზე). ბათუმი. 2002 წ. გვ. 39.

ხალხური დღესასწაულები



ულუმოიბა. 1986 წ.

Պրոմոուոնս. 1986 Վ.

1983 г.

2009 წ.

ПИСЬ V.



2009 年

ტბეტლიბა. 1983 წ.



ბაქარდიბა. 2009 წ.

ბათუმქალაქობა. 1933 წ.



ობანჯი ხორეში (სოფ. ხიბალარი). აქარის სსრ. ჰეშეკეში. 1933 წ.

ლაზეთი ხარეში მარცხნიდან მარჯვნივ: ალი ვაბაძე, ძმისადი ვაბაძე, ბიდეი ხალეკანი, ხუსეინ ხალეკანი, ასმენი ვაბაძე, სპაზნე ეკრეკი, ბაკი ბერაძე
(ალი ხაბაძეი აქარის ხალეკანური მეცნიერება 1933 წ.)

ლაზეთ ხარეში (ალი ხაბაძეი. აქარის ხალ. მეცნიერება 1933 წ.

აჭარელები ცაგერ ქალაქ ყვირეში. აჭარის სახ. მუზეუმი 1933 წ.

აჭარის სახ. მუზეუმი 1933 წ.

დილაზე და ჭაბანზე დამკვრელები.
(სოფ. კვატა. ხახაძირის ოიდლები. აქარის სახ. მუზეუმი. 1933 წ.)

ჭაბანზე უკვრავს ელდარ სურმანიძე (ქობულეთელი)
(სოფ. კვატა. ხახაძირის ოიდლები. აქარის სახ. მუზეუმი. 1933 წ.)



ქიბარ ყიბაძე
(1875–1951 წწ.)



ანდუკა მაღლაკელი
(ხოჯა. ქეწეშანი 1851–1919 წწ.)



ფემბა შერეაშიან მიერ შეხრულებული
საკურნალი ხელნაწერი წიგნის ერთი გვერდი



ბბდული მიქელაძის მიერ სოფ. ოგვრიში (ქუდის რაიონი)
აღმოჩენილი XVII საუკუნის საქორნილო ხელნაწერი წიგნის ერთი გვერდი

თავი VIII

საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა

§1. ოჯახი და საოჯახო ყოფა

ოჯახი საზოგადოების რთული არქიტექტონიკის მქონე ორგანიზმი და უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედია, რომელიც აერთიანებს საქორწინო წყვილს, მათ შვილებს და წარმოადგენს სოციალური ორგანიზაციის ბუნებრივ და უნივერსალურ ფორმას. იგი ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ არსებას, მისი გაჩენის დღიდან ახასიათებდა.

ოჯახის ძირითადი ფორმა ისტორიის ყველა მონაკვეთზე იყო წყვილადი ნუკლეარული ოჯახი. ამ სოციალური უჯრედის ფარგლებში ხდებოდა ადამიანის ბიოლოგიური კულტივირების უსრულყოფა, პიროვნების სოციალიზაცია და ინკულტურაცია. ანუ მეტყველების დაუფლება, ურთიერთობის მინიმალური ნორმების ათვისება, სამყაროს შესახებ გარკვეული ცოდნის დაგროვება. ოჯახის ფარგლებში ადგილი ჰქონდა შრომის სქესობრივ-ასაკობრივ დაყოფას. გარდა ამისა, ოჯახი მეუღლეთა ინტიმური ერთობლივი თანაცხოვრების მოთხოვნათა დაკმაყოფილების ყველაზე სრულყოფილ გარემოდ შეიძლება მივიჩნიოთ.[1]

გამონაკლისი ამ მხრივ არც ქართული ოჯახი ყოფილა საერთოდ და აჭარული – კერძოდ. ქრისტიანულ გარემოში ისლამის გავრცელების მიუხედავად, აჭარულმა ოჯახმა შეინარჩუნა ქართული ეროვნული ოჯახის ბუნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოგზაურ-მკვლევართა დაკვირვებების შედეგად ჩნდება ფრაგმენტული ცნობები აჭარული ოჯახის შესახებ.[2] ხოლო XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მისი სპეციალური კვლევა დაიწყო[3] და შემდგომ სისტემატურ ხასიათს ღებულობს.[4] ამ მონაცემების და ძირითადად, საველე-ეთნოგრაფიული მასალების ანა-

---

[1] ნ.მგელაძე, ნ.მასანოვი. სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები. – კიევს, 1, ბათუმი, 1996, გვ. 16.

[2] თ.სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950; ჭიჭინაძე ზ. მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 1913; Бакрадзе Д.З. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ., 1878; Казбек Г.Н. Три месяца в турецкой Грузии. - ЗКОИРГО, кн.X, вып. I, Тифл., 1876; Он же, Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, Тифл., 1876; Фрункель А. Очеркий Чурук-Су и Батума, Тифл., 1879; Отчет консула Дж. Пальгрева за лето 1872 года. - ЦКОИРГО, т. VII, №2, 1882-1883; Лисовский В.Я. Чорохский край, Тифл., 1887; Державин Н.С. Историко-географический очерк Батумского края. - Батум и его окрестности, Батум., 1906; Джапашвили М. Историко-археологический очерк Гурии, Чорохского бассейна и Чанети (Лазистана). - Батум и его окрестность, 1906; Тимофеев С.Н. Сельско-хозяйственный очерк Батума и его окрестность, Батум. 1906.

3 Данилина К. Изучение труда и быта аджарок. - СЭ, №5-6, М., 1932.

[4] ალ.რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. – ბს�უ, I, ბათუმი, 1960; მისივე, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში. – სდსკკ, II, თბ., 1974; ელ.მგელაძე, შრომის ორგანიზაცია და მმართველობა აჭარელთა ოჯახში ძველად. – ამყს, თბ., 1967; მისივე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973; მ. ბექაია. აჭარელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან (ქორწინების პირობები ზემო აჭარაში). – სეს, თბ., 1964; მისივე, ქორწინება და საოჯახო ინტერესები აჭარაში. – მაცნე, ისტორიის სერია, № 6, თბ., 1969; ლ.ალანდარიშვილი. კინტრიშის

ლიზის საფუძველზე მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგია მოპოვებული შუა საუკუნეების აჭარული ოჯახის სტრუქტურაზე. მისი განვითარების ფორმებზე, სოციალურ, ქონებრივ და მეურნეობრივ ასპექტებზე.

ადრეული პერიოდის წერილობითი ძეგლებიდან საოჯახო ყოფის თვალსაზრისით ყურადღების იქცევს შუა საუკუნეების ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის – ტბელ აბუსერისძის საისტორიო თხზულება, რომელშიც აღწერილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, აჭარისწყლის ხეობის ისტორიის, კულტურისა და ყოფის ნიშანდობლივი თავისებურებანი.[5] ნაწარმოებში ასახულია აჭარაში და მის მეზობელ კუთხეებში მაშინ ჰქონდა ნათესაური და საოჯახო ურთიერთობების ამსახველი ტერმინოლოგია, რომელთა დიდი ნაწილი სალაპარაკო ლექსიკაში დღესაც გვხვდება. თხზულების სოციალური ტერმინოლოგიიდან შეიძლება გამოვყოთ საოჯახო ურთიერთობის ამსახველი ისეთი ცნებები, როგორიცაა სახლი და სახლეული.[6]

თხზულების მოაზარი პერსონაჟი – ქვითხურო ბასილი წმინდა გიორგის ასე ეასუხობს: „... მე ესრეთ ვლახაკსა ნუგეშინისსაცემლად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობაი, რასა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთა". ტერმინები „სახლეული" და „სახლი" თხზულებაში არაერთხელ მეორდება: „და მოიწია ბასილი... ძმათა შორის თუსთა და ყოველთა სახლეულთა მისთა" ან „და ამან სახლი აღაშენა საყოფელად სახლეულად თუსთა" და სხვ. ე.ი. სახლი სახლეულის, ოჯახის ან ოჯახთა ჯგუფის წევრთა სამყოფი ნაგებობა იყო. გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილ ციტატებში კარგად ჩანს ზღვარი დამოუკიდებელი ტიპის ორ სოციალურ ორგანიზაციას შორის. ერთმანეთისაგან გამიჯნულია საძმო („ძმათა შორის თუსთა"), როგორც გენეალოგიური შტო, გენეალოგიაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი გაერთიანება და სახლეულთა კავშირი („და ყოველთა სახლეულთა მისთა") და სახლობაზე უფრო ფართო ლოკალური ჯგუფი.

ტერმინი სახლი, ისევე, როგორც სახლეული, ძველქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება და, როგორც ჩანს, იგი ადრე, შუა და გვიანი შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური ორგანიზაციის ბუნებას ეამოხატავდა. მაგალითად, სახლი იხსენიება VIII საუკუნეში იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობასა" და სხვა ქართულ წყაროებში.[7]

აბუსერისძე ტბელის დასახელებული თხზულების ანალიზის საფუძველზე ლ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ სახლეული „ოჯახის წევრია, შინაურია, აგრეთვე, ოჯახია",[8] ხოლო

ხეობის კოლმეურნეთა საოჯახო ურთიერთობის ზოგიერთი მხარე. – ამეკს, თბ., 1967; Мгелдзе Н.В. Система кровного родства в Аджарии (историко-этнографическое исследование), Батуми, 1988.
თ. აწეგბა. ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1990; ნ.ბეკელაძე. აჭარული ნოგრო და ბეკარი, ბათუმი, 2004.

[5] თეორდანია. ქრონიკები, წიგნი II; ლ.მუსხელიშვილი. აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, თბ., 1941; ი.სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე – XIII საუკუნის ქართველი მწერალი, თბ., 1963; ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროსა ბასილისა. ბათუმი, 1981.

[6] ივ.ჯავახიშვილის კვალდაკვალ (Джавахишвили И. Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. VIII. СПБ., 1905, с. 31); ბ. ჩიტაია სიტყვა სახლს უძველეს ქართულ ტერმინად მიიჩნევდა (ბ.ჩიტაია. ბალეხის სახლი ქვაბლიანში (დარბაზული ტიპი). – შრომები – I. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1997, გვ. 194).

[7] ივ.ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. I, ტფ., 1928; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II. ტფ., 1929.

[8] ივ.ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I-თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 169, 175-176, 184, 189, 195-196.

ი. სიხარულიძის აზრით, აბუსერისძისეულ სახლეულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დღესაც ფართოდ გავრცელებული ტერმინი (სახლიკაცი) უნდა დაეინახოთ.[9] როგორც ითქვა, სახლეული გაუყოფელი სახლობაა, სადაც ოჯახთა ჯგუფი, გაუყრელი მონათესავე ოჯახები ცხოვრობენ, ხოლო სახლეულთა ქვეშ იგულისხმება რამდენიმე საერ-თო ძირიდან გაყრილი სახლეულის გაერთიანება, როგორც შედარებით მაღალი სოციალ-ური ტაქსონომიური ერთეული. სახლეულის ფარგლებში ოჯახი შეიძლება იყოს ერთი (მცირე//პატარა სახლეული) ან რამდენიმე (გაფართოებული//დიდი სახლეული), მაშინ, როცა სახლობა მუდამ ერთია. რამდენიმე მონათესავე სახლობის არსებობა, თუნდაც ისინი ტერიტორიულად არ ემიჯნებოდნენ ერთმანეთს, მათ გაყრილობაზე მიუთითებს. გაყრილ სახლეულებს უმეტესად საერთო ჭერი და კარმიდამო არ გააჩნიათ. ოჯახების საერთო ჭერქვეშ თანაცხოვრება კი, ძირითად შემთხვევებში, მათი გაუყრელობის დასტურია. რაც შეეხება სახლიკაცს//სახლიკაცობას საქართველოში მას გენეალოგიური ჯგუფის მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული, რაზეც თავად ტერმინიც მიანიშნებს. ამ ტერმინებში იგულისხმება სახლში გაერთიანებული და სახლიდან განაყოფი წევრები (პაპები, მამა, ბიძები, ძმა, ბიძაშვილები), ანუ საერთო წინაპრიდან წარმოშობილი და საერთო გენეალოგიის მატარებელი ინდივიდები.

საერთოდ, გვარს ჩვენ განვიხილავთ, როგორც გენეალოგიურ (ნათესაურ) ჯგუფს, რომლის ფუნქციონირებას სტადიური ნარჩოები არ ახასიათებდა. სახლი//სახლეული ასეთი ლოკალური ჯგუფის იერარქიულ განზომილებაში ერთ-ერთ სტრუქტურულ უჯრედს წარმოადგენდა. ტბელის ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ბასილს მონათესავე სახლეულების გარდა თავისი სახლობაც გააჩნდა, რომელშიც წარმოდგენილი იყო არა მარტო საკუთრივ მისი, არამედ შვილის ოჯახიც. ბასილის ძე ივანე ცოლშვილიანია, რომელიც ცალკე სახლს აგებდა. აქედან ჩანს, რომ ის ისწრაფეოდა მამის სახლობას გამოყოფოდა, ცალკე დასახლებულიყო და ახალი სახლეული შექმნა. ბასილს ძმებიც ჰყავდა, რომლებიც ერთ საძმოდ („ძმათა შორის თუსთა") ერთიანდებოდნენ. მას მონათესავე სახლეულებიც გააჩნდა („ყოველთა სახლეულთა მისთა"), ე.ი. ბასილის სახლობა უფრო ფართო სოციალურ ჯგუფში ერთიანდებოდა, რომელშიც, როგორც უკვე ითქვა, შედიოდნენ საერთო გენეალოგიაზე – საძმოზე (პაპები, მამა-ბიძები, ძმა-ბიძაშვილები...) აღმოცენებული ლოკალური ჯგუფის წევრები (ამ შემთხვევაში არა მხოლოდ პაპები, მამა-ბიძები, ძმა-ბიძაშვილები, არამედ მათი ცოლებიც). ამდენად, წერილობითი წყაროებისა და საველე ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელია გამოიყოს მცირე (პატარა) და ფართო (დიდი) სახლეული. სახლეული წარმოადგენდა ტერიტორიით (ლოკალურობით), ნათესაობით (საერთო გენეალოგიით), ადოფციით (შვილად აყვანა), ქორწინებით (ცოლ-ქმრობით), ქონებრივი, სოციალური ეალდებულებებითა და სამეურნეო-მატერიალური ინტერესებით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფს, ინდივიდთა ერთობას. მაი ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრება წარმოქმნიდა დამოუკიდებელი ტიპის სოციალურ ორგანიზაციებს. ამგვარი სახლეული, მართალია, ფორმითა და შინაარსით ემსგავსებოდა გვარს,[10] ოჯახს და სხვა ანალოგიურ გაერთიანებებს, მაგრამ მათგან ტიპოლოგიურად განსხვავდებოდა. ქართულ წყაროებში შემონახულია ცნობები, რომლებიც სახლს გვართან კავშირში წარმოაჩენს – „დიასამიძის სახლი", „ხურციძის სახლი"[11] მაგრამ ეს სახლები იყო არა ყველა დიასამი-

---

9 ლ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 80-81.

10 ნ.მგელაძე. ქართული გვარი: ეტიმოლოგია და სემანტიკა. – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები I, ბათუმი, 1995; მისივე. ქართული გვარი: სოციალური ფუნქცია, ტერმინის წარმოშვილობა და გავრცელების ეთნოლინგვისტური არეალი. – ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002.

11 ივ.ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, გვ. 131-132.

ძისა ანუ ხურციძისა, არამედ დიასამიძეთა თუ ხურციძეთა საგვარეულოში კონკრეტული ლოკალურ-ნათესაური ჯგუფები. ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს სახლთმეურნეობასთან, შესაძლებელია, გაფართოებულ სახლთმეურნეობასთანაც, რომელიც აერთიანებდა არაერთ ოჯახს ((ალ-ქმარსა და დაუქორწინებელ შვილებს), არამედ ოჯახთა ჯგუფს: ღვედას, შვილებს (ალბათ ზოგიერთ დაქორწინებულს) და კიდევ სხვებს („ყოველნი სახლისა მისისანი"), შესაძლოა, მსახურებსა და მხევლებსაც.[12] სხვათა შორის, სახლის სახლთმეურნეობითი მნიშვნელობა გურიის ეთნოგრაფიულმა ყოფამაც მკაფიოდ შემოგვინახა. საცხოვრებლის აღმნიშვნელად აქ ოდა იხმარება, ტერმინი სახლი კი ნიშნავს როგორც საცხოვრებელ ნაგებობას. ასევე ძველი გაგებით ეზოს და ოდას ერთად.[13]

ამრიგად, სახლობა//სახლეული, ისევე, როგორც სახლი, არ შეიძლება მხოლოდ ოჯახის, ნათესაური ჯგუფის და მით უმეტეს, გვარის სინონიმებად იქნეს მიჩნეული. აღნიშნული ცნებები იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ დეფინიციათა აღრეცა და მნიშვნელობათა ურთიერთგადაფარვა, როგორც ყოფაში, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში, სავსებით გასაგებ მოელენად გამოიყურება. ასე რომ, ცნებები — ოჯახი, ნათესაური ჯგუფი ან გვარი სოციალური ორგანიზაციის დამოუკიდებელ ტიპებს ქმნიან. სახლთმეურნეობა (სახლეული//სახლობა) კი სოციალურ ორგანიზაციათა მოცემულ ტიპოლოგიაში ავტონომიური რეჟიმით ეწინდა განვიხილოთ.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აჭარისწყლის ხეობაში ეთნოგრაფიულად ფიქსირებული ტერმინები: ერთიანობის სახლი,[14] განუყოფელი სახლობა, საძმო სახლი, დიდი კვამლი. საქართველოს სხვა კუთხეებიდან ამ ცნებათა სემანტიკური ანალოგიებია: ერთობის სახლი (ქართლი, ხევი),[15] საერთო სახლი (ქართლი, ხევი),[16] საძმო სახლი (გურია).[17] ყოფაში ქმრის, ცოლისა და შვილების ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრება ტერმინ ოჯახით აღინიშნება, რომელსაც ხშირად შედარებით ფართო მნიშვნელობის ცნება კვამლი//კომლი ენაცვლება, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო სახლობის მნიშვნელობას მოიცავს. როგორც პირველში, ასევე მეორე სიტყვაში მინიშნებულია ოჯახისა და სახლეულის წევრთა კავშირი კერასთან, საოჯახო გაერთიანების უმნიშვნელოვანეს სამეურნეო, სოციალურ და საკულტო ცენტრთან.

აჭარის მთის რთული გეოგრაფიული და სამეურნეო პირობები, მეურნეობის ფორმები (ალპური მესაქონლეობა, მიწათმოქმედება), ემპირიული ცოდნა-გამოცდილების გათვალისწინებით გარემოსთან ადაპტაციის საჭიროება ერთობლიობაში განსაზღვრავდა კოლექტიური თანაცხოვრების, ჯგუფური შრომა-მოღვაწეობის აუცილებლობას. სწორედ აღნიშნულ თავისებურებათა გამო ოჯახები, ძმები და ბიძაშვილები არ ნაწილდებოდნენ და საერთო ჭერქვეშ, განუყოფელ სახლობად რამდენიმე თაობის ფარგლებში აგრძელებდნენ ცხოვრებას. ამ ტიპის სოციალური ორგანიზაცია სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება ტერმინით: „საოჯახო თემი" ან „დიდი ოჯახი".[18] ზოგიერთი ავტორი დიდ ოჯახს, ფ. ენგელსის კვალ-

---

12 შდრ. იოანე საბანისძე. მარტვილობა ჰაბო ტფილელისა. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბ., 1964, გვ. 58.

13 გ.ცეცხლაძე. გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991, გვ. 30.

14 ელ.ზენელაძე. შრომის ორგანიზაცია და მმართველობა აჭარელთა ოჯახში ძველად, გვ. 73.

15 Харадзе Р.Л. Структура семейной общины в Картли. - ВЭГ, Тб., 1952, с. 274;
ვალ. ითონიშვილი. მოხევეთა საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 14.

16 Харадзе Р.Л. указ. раб., с. 274.

17 გ.ცეცხლაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

18 რ.ხარაძე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში; მისივე, Грузинская семейная община, Тб., 1960 (I); 1960 (2).

დაკვალ,[19] საოჯახო თემის გვიანდელ, მეორეულ, უფრო ზუსტად, განვითარებულ თუ გადმონაშთურ ფორმად მიიჩნევენ, თუმცა ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავამკვიდროთ ცნება „გაფართოებული“ ან „დიდი სახლობა“ (სახლეული), რომელიც „ოჯახთა ჯგუფის“ ერთობლივი სოციალური, სამეურნეო და სულიერი თანაცხოვრების გამაერთიანებელ უჯრედს და სამყოფს წარმოადგენდა.[20] ეს ბუნებრივი მოთხოვნაა, რადგან სახლი სახლეულის სამყოფი იყო და გარდა საცხოვრებელი ნაგებობისა ან კონკრეტულად საჯალაბო ჯალაბის სამყოფი ოთახის აღმნიშვნელი ცნებისა, სოციალურ მნიშვნელობასაც ატარებდა.

აჯარულ საცხოვრებელ ნაგებობაში თითოეულ ოთახს თავისი ფუნქცია და დანიშნულება გააჩნდა. საცხოვრებელი სახლის აგებამდე წინასწარ ივარაუდებოდა საქორწინო წყვილისათვის განკუთვნილი ოთახების არსებობაც. საქორწინო წყვილების გაჩენის შესაბამისად, საცხოვრებელზე ახალი ოთახის მიშენება იშვიათად ხდებოდა. მას განსაკუთ-რებით მაშინ პქონდა ადგილი, როცა მრავალრიცხოვანი სახლობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და ახალი საცხოვრებლის მშენებლობას თავს აარიდებდა, რაც, ფაქტობრივად, ერთიანობის სახლის რღვევასაც ნიადაგს უმზადებდა.

საერთოდ, აჯარული დიდი სახლობის სტრუქტურა და მმართველობის სისტემა რთული იყო. ამაზე მეტ-ნაკლებად წარმოდგენას გვიქმნის თავად აბუსერისძე ტბელის ოჯახური გარემო. მის სახლეულში ოჯახთა ჯგუფის წევრებს წარმოადგენდნენ: დედა ხათუთა (ყოფილი ეკატერინე), და-ძმანი, რომელთა შორის იყვნენ: ერისთავთერისთაები აბუსერი – ხიხანის ეკლესიის მშენებლობის ინიციატორი, ამ ეკლესიის მშენებლობის მონაწილენი და თანამგრძნობნი – ვარდანი და მათი დები – ეანენი, საგდუხტი და ცაცა.

აბუსერისძე ტბელი ცოლ'შვილიანი იყო. მის მეუღლეს ბაგულის ტბელისაგან რამდენიმე შვილი ჰყავდა: იუანე, რუსუდანი, ზაქარია, ონოფრე და აღსართან. აბუსერისძის ძმებიც – აბუსერი და ვარდანი – ცოლშვილიანები იყვნენ. აბუსერს სამი ცოლი ჰყოლია. პირველი ცოლისგან – თამარისაგან შეძენია გრიგოლი, მეორე ცოლისგან – ეახახისაგან – ნათელი, ხოლო მესამე ცოლისაგან – თანენისაგან კი – ზაქარია. ვარდანს და ნაზის ჰყავდათ ხათუთა და ეანენი.

დაოჯახებული ძმების ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრება მიგვითითებს იმაზე, რომ შუა საუკუნეების დიდ სახლობაში გაუყოფლად რამდენიმე თაობა ცხოვრობდა. ეს იყო რამდენიმე ოჯახის გაერთიანება, ოჯახთა ჯგუფი. ამდენად, აბუსერისძეთა სახლობა წარმოადგენდა რამდენიმეთაობიან გაუყოფელ ერთობას, რაც ამ გვარის გენეალოგიიდანაც კარგად ჩანს (იხ. აბუსერისძეთა საგვარეულო გენეალოგია). შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ აბუსერისძეთა მითითებული სახლობა ოცდაათამდე ცოცხალ წევრს აერთიანებდა. ამ ფეოდალურ სახლში აბუსერისძე ტბელთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ: პაპა – აბუსერი, პაპის ძმა სანანო, მამა ივანე და მამიდები (გათხოვებამდე), დები (თამარი, ეანენი, საგდუხტი, ცაცა – გათხოვებამდე) და ძმები (აბუსერი, ვარდანი), ძმისწულები (გრიგოლი, ზაქარია, იუანე) და ტბელის შვილები. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, იმაზე, რომ აბუსერისძე ტბელის სახლეული რთული სოციალური აგებულებისა იყო და ხასიათდებოდა არა მხოლოდ გენეალოგიური ხაზის ჰორიზონტალური, არამედ ვერტიკალური ანუ მრავალთაობიანი სტრუქტურით, ასეთი სტრუქტურა კი ნათესაობრივად და ქორწინებით დაკავშირებულ პირთა საერთო ჭერქვეშ თანაცხოვრების ისეთ ტრადიციას ქმნიდა.

---

19 ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 75-76, 77.

20 ოჯახის, ოჯახთა ჯგუფის, სახლეულისა და სახლობის თუ სახლთმეურნეობის დეფინიციათა შესახებ დაწერილებით იხ.: Мгеладзе Н.В. Формы социальной организации и система терминов родства в традиционной культуре грузинского народа (этнокультурные аспекты, историческая и локально-региональная специфика). - Автореферат докторской диссертации, М., 1992.

აბუსერისძეთა საგვარეულო გენეალოგია*



---

* *არსებობს აბუსერისძეთა გენეალოგიური სქემის განსხვავებული ვერსიაც (იხ.: ქაეთარია მ., აბუსერისძე ტბელის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერი, გვ. 4)*

როგორიც თვისებრივად საქართველოს მთიანეთისა და ბარის (მათ შორის, აჭარის-წყალის ხეობის) ახლო წარსულისათვის იყო დამახასიათებელი.

აბუსერისძეთა საგვარეულოსა და ამ საგვარეულოზე აგებული ლოკალური ჯგუფის ცალკეულ სახლობაში არსებობდა მყარი საოჯახო ურთიერთობა ცოლსა და ქმარს, მამასა და შვილებს, რძლებსა და მამამთილ-დედამთილს, ძმებსა და ბიძაშვილებს შორის. ასეთ სახლობაში დიდი ყურადღება ექცეოდა ეთიკური და ქცევის ტრადიციული ნორმების დაცვას, რაც ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა-სოციალიზაციაშიც გამოიხატებოდა. ნიშანდობლივია, რომ და-ძმებს შორის უმცროსი აბუსერისძე ტბელი თავის უფროს დედამიშვილებს ტერმინ პატრონით მოიხსენიებდა. ამ ტერმინში ამოსაკითხია ასაკობრივი ფაქტორი, უფროსის სოციალური ფუნქციები, უმცროს-უფროსობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთიკური და სახლობის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ტრადიციული ნორმები. დაახლოებით ამავე შინაარსის იყო სახლობაჲ უფროსის აღმნიშვნელი ტერმინი უფალი, რომელიც ფიქსირებულია ქვაბლიანის ხეობაში (სამცხე).

ტერმინ პატრონს კიდევ სხვა მნიშვნელობები გააჩნდა, რაც მკაფიოდაა ასახული ქართულ წერილობით წყაროებში[21] და წარმოაჩენს პატრონყმური და ფეოდალურ-მორჩილური საქართველოს სოციალური წყობის თავისებურებებს. პატრონისა და უფალის სოციალური სემანტიკა დიდად არ ცილდება ერთმანეთს და ორივე შემთხვევაში ხაზგასმულია უმცროსის უფროსისადმი მოკრძალებული ან დაქვემდებარებული დამოკიდებულება.

უმცროსების უფროსებისადმი პატივისცემის ნიმუშს წარმოადგენს საოჯახო ტრადიციის ისეთი ნორმა, რომელიც პაპის სახელის შვილიშვილზე დარჩენაში იყო გამოხატული. აბუსერისძეთა სახლობაში ეს წესი დაცულია. სახელი აბუსერი რამდენჯერმე მეორდება ამ საგვარეულოს გენეალოგიაში. გრიგოლის ეკეის აბუსერის (XII საუკუნე) შვილიშვილსაც აბუსერი (XIII საუკუნე) ერქვა. აბუსერი ერქვა აბუსერის (XII საუკუნე) პაპასაც. აბუსერისძეთა გენეალოგიაშიც რამდენჯერმე მეორდება სახელი გრიგოლი და ივანე.

სახელდების ანალოგიური პრინციპი მხოლოდ შუა საუკუნეებისათვის არ იყო დამახასიათებელი. აღნიშნულმა ტრადიციამ დღემდე შემოინახა თავი არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. უფრო მეტიც, წინაპრის საკუთარი ან ზედმეტი სახელისაგან სწორედ სახლობის ფარგლებში წარმოიქმნებოდა პატრონიმიული ორგანიზაციის მინიმალური ფორმის გენეალოგიური ჯგუფის სახელწოდება, რომელიც სახლობის სეგმენტაციასთან ერთად გადაიზრდებოდა უფრო ფართო გენეალოგიური გაერთიანების სახელწოდებაში. გენეალოგიური სტრუქტურის ზრდასთან ერთად, წინაპრის სახელი მთელ სოციალურ ორგანიზაციაზე ვრცელდებოდა და გვარსახელის წარმოქმნის საფუძველიც ხდებოდა. პატრონიმიული ტიპის ასეთი სახელწოდებები იწარმოებოდა არა მხოლოდ წინაპრის საკუთარი ან ზედმეტი, არამედ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა სახელებიდან (მესხიენთი, ლაზიენთი...) და გეოგრაფიული სახელებიდანაც, რომელთაგან დიდი ნაწილი ადამიანთა ჯგუფის ტერიტორიულ სადაურობაზე, წარმომავლობაზე მიგვანიშნებს ხოლმე (მაგალითად, ღორჯომის ხეობაში, სოფელ აგარაში მგელაძეთა საგვარეულოს გენეალოგიური განშტოებაა ფლატენთი, რომელთა წინაპარი ადრე ქვაბლიანის ხეობის სოფელ ფლატეში სახლებულა).

---

21 ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VII, თბ., 1974, გვ. 272; ა.ბოგვერაძე. ქართული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 98-99; გ. მამულია. პატრონყმობა, თბ., 1987, გვ. 27–28; შდრ: ს.ჯანაშია. პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის. – შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 436; შდრ. გ. აკოფაშვილი. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1986, გვ. 68-69.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები მოგვეპოვება „ტბეთის სულთა მატიანეში". რომელიც შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის სოციალური ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენს.[22]

აბუსერისძე ტბელის მიერ გენეალოგიურ ხეზე წინაპართა ვინაობის ასეთი კარგი ცოდნა მიუთითებს იმ საოჯახო ტრადიციებზე, რომელიც დღემდეც კარგად შემორჩა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. წინაპრის კულტი, ნათესაური შტოს აღმავალი ხაზის წევრებთან ურთიერთობების ტრადიციული ნორმები, რაც დამახასიათებელი იყო ქართველური ტომების სულიერი და სოციალური ცხოვრებისათვის, განსაზღვრავდა გენეალოგიური ხის ცოდნასა და ამით — წინაპართა სულებთან შთამომავლობით კავშირს. ასეთი კავშირი სახლობაში ხორციელდებოდა კერიის, როგორც საოჯახო სალოცავისა და საკულტო ადგილის მეშვეობით და ერცელდებოდა სახლობის ფარგლებს გარეთ განაყართა წრეზეც.

აბუსერისძეთა დიდი სახლობა სტრუქტურული და ყველა ძირითადი სოციალური და სამეურნეო ატრიბუტით ტიპური ფეოდალური სახლი იყო. როგორც ჩანს, ის არა მხოლოდ საერთო გენეალოგიითა და ქორწინებით დაკავშირებულ ინდივიდებს, არამედ ადოფციითა და ხელოვნური შენათესავებით დაახლოებულ ადამიანებსაც — მამამძეძები, დედამძეძეები, მხეულები, დედაწულები — აერთიანებდა დაახლოებით ისე, როგორადაც ეს გვქონდა ძველი საქართველოს სხვა ფეოდალურ სახლებში.[23]

აჭარული ერთიანობის სახლი, მართალია, ყველა შემთხვევაში არ იყო ფეოდალური, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ხასიათდებოდა მრავალი საერთო ისეთი ტიპოლოგიური ნიშნით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შედარებით ადრეული ფორმის სახლობისა და საოჯახო ყოფის ისტორიული თავისებურებების რეკონსტრუქცია. .აღნიშნული პერიოდისათვის ერთიანობის სახლი აერთიანებდა 15-50 და გაცილებით მეტ ადამიანსაც. ეს იყო 3-4 და ზოგჯერ კი 5-თაობიანი გაუყოფელი სოციალური და სამეურნეო ჯგუფი. ხანგრძლივი დროის მანძილზე გაუყოფლად ცხოვრება ტრადიციულ საზოგადოებაში პრესტიჟულ და დადებით მოვლენად მიიჩნეოდა. სახლთ-მეურნეობა არ იფარგლებოდა მშობლების, დაუქორწინებელი ვაჟებისა და შეილიშვილების გაუყრელად ცხოვრებით, არამედ აჭარის მთიანეთის საზოგადოებრივ ყოფაში ადგილი ჰქონდა ძმებისა და ბიძაშვილების, როგორც საერთო წინაპრიდან მემკვიდრეობით მიღებულ საოჯახო ქონებაზე მოწილეების, ერთ ჭერქვეშ ხანგრძლივ თანაცხოვრებასაც.

აჭარაში გაფართოებული სახლეულის მმართველობის სისტემა შეესაბამებოდა ჯგუფური თანაცხოვრების სოციალურ ნორმებს. ამგვარი გაერთიანების უფროს მამაკაცს ეწოდებოდა სახლის დიდი,[24] ხოლო დიასახლისს — უფროსი ქალი, ზარეული. შესაძლებელია, ზარეულისა და უფროსი ქალის ფუნქციური შესატყვისობა ასახავდა ისეთი სახლობის რეალობას, როცა სახლობა ერთი ოჯახით იყო წარმოდგენილი და სამეოფის, საჯალობასა და სამზარეულოს ხელმძღვანელის მოვალეობებს ერთი ქალი (ცოლი, დედა), თავად დიასახლისი ითავსებდა. დედა ერთდროულად საქალებო საქმის უფროსიც იყო და პროდუქტების გამნაწილებელიც, სამზარეულოს ხელმძღვანელი. დიდ სახლობაში კი რძლების სიმრავლის პირობებში უფროსის ფუნქცია განსაკუთრებული იყო და

---

22 ტბეთის სულთა მატიანე. თბ., 1977.

23 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 80, 112, 150, 257, 326, 328, 351, 367.. შდრ. გიორგი მურჩულე. დასახ. ნაშრომი, გვ. 114, 122; პინგოროყვა. ძველი ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისა და ანტიკურ ხანის მეფეთა სია (IV საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა 310-იან წლებამდე ახალი წელთაღრიცხვისა). — თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 514.

24 ფლმგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 103-105.

იგი ემიჯნებოდა მზარეულის მოვალეობას. ბუნებრივია, უფროსი ქალის (დიასახლისის) თანამდებობა, რომელიც ტერმინ "ხარეულით" აღინიშნებოდა, დროთა განმავლობაში ტრადიციული გახდა და, როგორც ფუნქციური ცნება, დიდ სახლობაშიც დაფიქსირდა. ეს უკვე უშუალოდ მიუთითებდა სახლობაში დიასახლისის პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე. ჩვეულებრივ, საქალებო საქმეს უხუცესი ქალი, დედამთილი ან დიდი რძალი უძღვებოდა. სასურველი იყო უფროსი ქალი სახლის დიდის შვილი იყოფილიყო. საერთოდ, სახლობის ქალთა წრეში უფროს-უმცროსობის პრინციპი დაცული იყო და ეს იგრძნობოდა არა მარტო მმართველობის სფეროსა და სოციალურ ურთიერთობებში, არამედ შრომის გაწილადებაშიც.

ერთიანობის სახლთან მიმართებაში ისტორიულად ჩამოყალიბდა იმ სახის სოციალური ტერმინოლოგია, რომელებიც არა მხოლოდ ნათესაურ ურთიერთობების, არამედ სახლობის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების პატრიარქალურ ნორმებსაც ასახავდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნათესაურ ტერმინთა ისეთი ნომენკლატურა. როგორიცაა დედე (ბაბუა), ნენე//დიდნენე (ბებია), ბაბო//ბაბა (მამა), ანა//ანაი (დედა), ძმა, და, მაზლი, მული, რძალი, შილი, ძმისწული//ძმისშვილი, ბადიში, რომელთა ფუნქციონირების არეალი რამდენიმეთაობიანი ერთიანობის სახლის სტრუქტურას შეესაბამებოდა. აღნიშნული ცნებები მსგავსია საქართველოს სხვა მხარეში დადასტურებული საოჯახო ლექსიკისა და იმავდროულად, კავშირშია შუა საუკუნეებში არსებულ ტერმინებთან (პაპა, პაპის და, მშობელი, მამა, დედა, ძმა, და, ქმარი, ცოლი, ბიძა, მამიდა, შვილი, ძე, ასული, ძმისწული...), რომლებიც ასევე შუა საუკუნეების დიდი სახლობის წევრთა სოციალური ურთიერთდამოკიდებულების ბუნებას ასახავდა. მართალია, გვიან შუა საუკუნეებშიც გავრცელებას იწყებს უცხო (არაბული, თურქული) წარმომავლობის ტერმინები, მაგრამ მათი დამკვიდრება მაინც ქართული ეროვნული ცნობიერების წიაღში მოხდა და სოციალური ინსტიტუტების ტიპოლოგიური და სემანტიკური ცვლა ვერ განიპირობა. ამასთან, უცხო ტერმინებმა ბოლომდე ვერ განდევნეს ქართული და ზოგიერთ შემთხვევაში მათთან მხოლოდ ნაწილობრივი შერწყმა შეძლეს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ტერმინები ემიაშვილი (მამის ძმის შვილი), ტაიაშვილი (დედის ძმის შვილი). რომელთაგან პირველი ნაწილი უცხოური წარმომავლობის სიტყვებია (ემია – მამის ძმა, ტაია – დედის ძმა), ხოლო მეორე, შვილი, ქართული ძირძველი ლექსიკის კუთვნილებაა.

სახლის დიდი განაგებდა ჯალაბის ყოველდღიურ ცხოვრებას. მის გადაწყვეტილებას ემორჩილებოდნენ არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალები და ბავშვები. უფროსი ჩვეულებრივ ხდებოდა პაპა, მამა ან რომელიმე ძმა თუ ბიძაშვილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო არა მხოლოდ ასაკი, რაც სასურველი პირობა გახლდათ, არამედ ავტორიტეტი და სახლობის გაძღოლის უნარი.

სახლის დიდს საჯალაბოში კერიის მახლობლად განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის აჭარული სახლის სამყოფში, ბუხრის ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე გაკეთებული იყო საჯდომები, ე.წ. სკამები. რომელზეც ოჯახის წევრები უფროს-უმცროსობით სხდებოდნენ – ერთ მხარეს მამაკაცები, მეორეზე კი – მანდილოსნები. კერის ერთ მხარეს – „ბუხრის ფეხთან" – სახლის დიდის, ხოლო მეორე მხარეს – სახლის უფროსის ადგილები იყო გამოყოფილი. აჭარის ტრადიციულ ოჯახებში სახლის უხუცესების დასაჯდომად განკუთვნილი იყო საგანგებოდ გაკეთებული ბალიში, ლების ფორმაზე შეკერილი ე.წ. „ყალხოთური", რომელიც აჭარაში ასრულებდა იმავე ფუნქციას, როგორიც სხვა ქართველ ტომებში „საუფროსო სკამს" ჰქონდა.[25] როგორც ჩანს, გვიან შუა საუკუნეებში, შესაძლებელია უფრო ადრეც, სახლის

[25] იქვე, გვ. 112-119.

დიდს საუფროსო სკამიც გაანძდა? ამას გვაფიქრებინებს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ორიგინალური სახის ზურგიანი და ჩუქურთმებიანი სკამი, რომელიც მიკელეულ იქნა დიდაჭარის მეჩეთში. მსგავსი სკამები სხვა მეჩეთების ინვენტარში არ გვხვდება. დიდაჭარის სკამის ხეზე კეფილობის იერსახე, ორნამენტის სტილი და. საერთოდ, ნაკვთობა მიანიშნებს, რომ იგი აჭარაშია დამზადებული. სკამი გარეგნულად ნამოგაეს სვანურ საკურცხილს. რომელიც დიდი სახლობის უფროსის, ქორა მახეშის ოჯახმის წარმოადგენდა[26] და ამასთან საპატიო სტუმრისთვისაც იყო განკუთვნილი.[27] უფროსი მამაკაცისათვის განკუთვნილი სკამები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება (ეურია, იმერეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი).[28]

სახლის დიდს უფროსი ვაჟი (ავლიდა, თუმცა, ცალკეულ ვითარებაში მმართველობით სტრუქტურაში უფლებრივი ნორმები უმცროსი ვაჟის გაუფროსებასაც არ გამორიცხავდა, თუ იგი საამისო უნარსა და გამჭრიახობას გამოავლენდა. საერთოდ, სახლის დიდის თანამდებობა არჩევითი იყო, რაც აჭარული ოჯახის დემოკრატიულ ბუნებაზე მეტყველებს, თუმცა ოჯახის მართვაში ავტორიტარული და დესპოტური ელემენტებიც კი შეინიშნებოდა. არჩევნებში სახლობის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ, როგორც ეს ეთნოგრაფიული მონაცემებით დგინდება, გადამწყვეტი სიტყვა ჯილაბობის უხუცესს. ყველაზე ავტორიტეტულ და გამოცდილ წევრს ეკუთვნოდა.[29]

ერთიანობის სახლში წევრთა შორის შრომა დანაწილებული იყო სქესისა და ასაკის მიხედვით. სახლის დიდი გარეთ მოსიარულე კაცად ითელებოდა და მისი პრიორიტეტული როლი სახლობის შიგნით ვაჭრობისა და საოჯახო ეკონომიკის ცოდნიდან გამომდინარეობდა. მასვე ეკისრებოდა სახლობაზე მთელი პასუხისმგებლობა. ყიდვა-გაყიდვის საქმის მოწესრიგება, ჯილაბობის წევრთა შემოსვა, ოჯახის ბიუჯეტის განსაზღვრა და სარჯვა. ერთ ჭერქვეშ მცხოვრებთა დაქორწინებისათვის მატერიალური საფუძვლების მომზადება თუ გათხოვება-გაშზითვების ორგანიზაცია, სათემო თავყრილობებში მონაწილეობა და სხვ.

ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომა ნაწილდებოდა ცოდნისა და უნარის მიხედვითაც, მაგრამ შესაძლოა იგი ყოველი წლის შემდეგ ცალკეულ სფეროში შენაცვლებულიყო. შრომითი დასაქმების სფეროში მოვალეობის ყოველწლიური მონაცვლეობა წევრებს შორის ხელს უწყობდა თანასწორუფლებიანობის დაცვასაც. ძმებიდან ერთი საქონლის მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული, მეორე — მიწის სამუშაოებით, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავდა საერთო სამეურნეო ცხოვრებაში (ხვნა-თესვა, თიბვა, მოსაჭილის აღება-დაბინავება) სახლობის ყველა წევრი ერთნაირად არ ყოფილიყო ჩაბმული.[30] სწორედ შრომის ორგანიზაციის თავისებურებებიდან გამომდინარეობდა ის მოვალეობები, რომელთაც აჭარაში შესაბამისი ტერმინოლოგია ჩამოუყალიბდა — ზარეული, მემთეური/ მემთეური, მეახორე, მორბედი. სახლობის წევრ მამაკაცთა შორის წლიურ, სეზონურ თუ ყოველდღიურ სამუშაოებსაც სახლის დიდი ანაწილებდა. დიდი ეურადღება ექცეოდა გარე სამუშაოებს, რასაც დიდი ხნის ისტორიული ტრადიცია ეანაჩნია. ამაზე მიუთითებს აბუსერიასის საისტორიო ცხზულება, სადაც მეაფიოდ ჩანს ბოლოკ-ბასილიისა და სხვათა გარე სეზონურ სამუშაოზე გასვლის ფაქტები. საქართველოში სახლეულის წევრები დადიოდნენ გარე სამუშაოებზე („უცხოებსა მუშაკობაჲ") და ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ-

---

26 გ.ჩიტაია. სვანური საკურცხილ. — საქართველოს მუზეუმის მოამბე, II (1923–1925), ტფ., 1925.

27 ნ.მგელაძე, ჯ.მიქელაძე. მასალები საცხოვრებელ კომპლექსსა და სოციალურ ურთიერთობათა საკითხებზე ბალსუზმი სვანეთში. — კიევს, I, ბათუმი, 1996, გვ. 179.

28 ვალერიანოზ შვილი. მოხევეების საოჯახო ყოფა, გვ. 93; მისივე. ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, გვ. 45. ბ.ციცხლაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

29 ვ.მგელაძე. შრომის ორგანიზაცია და მმართველობა აჭარელთა ოჯახში ძველად, გვ. 76.

30 ვ.ლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, გვ. 105-106.

თაგან ოსტატობით გამორჩეული პირები, რომლებიც ოჯახის „დასარჩენელს" ხელობით (ხუროობით) მოირეწდნენ ხოლმე, ქეთხურო ბასილის მთავარმოწამეს ასე პასუხობს: „მე ესრეთ გლახაკსა ნუგეშისსაცემლად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობა, რათა მოეიერეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთად". აქედან ჩანს, რომ სახლეულში წარმოდგენილი ოჯახების რჩენა მათ თაეკაცებს შორის შრომის განაწილებას მოითხოეედა. სახლობაში ადამიანთა ერთი ჯგუფი საქონლის პატრონობით იყვნენ დაკავებულნი, ნაწილი სამიწათმოქმედო კულტურის მოელით, რთეა-ქსოეითა და ჯალაბობისათეის სამოსის დამზადებით, ხოლო დანარჩენი გარე სამუშაოებით. სამეურნეო ცხოერების სწორედ ამგვარი დაგეგმეა სახლეულის წეერებს არა მხოლოდ რძის პროდუქტებით, ხორცეულითა და მცენარეული საკეებით, არამედ ჩასაცმელითა და ოჯახისათეის აუცილებელი სხეა საგნებითაც უზრუნველყოფდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია, რომ აჭარაში, ისე როგორც სამხრეთ-დასაელეთ საქართველოს სხეა კუთხეებში საძოვარზე სიარულს მისდევდნენ სახელგანთქმული ლაზი ოსტატებიც, რომლებიც ძირითადად ხითხუროობით იყვნენ დაკაებული და საუკეთესო მეჩუქურთმეებად ითვლებოდნენ.[31] ნიშანდობლიეია, რომ სახლეულიდან გასვლა ოჯახის რჩენისა და გამოკვების მიზნით გეიანობამდე შემორჩა სამხრეთ საქართველოს სამეურნეო ყოფას. მაგალითისათვის საკმარისია დაეასახელოთ აჭარისა და სამცხის მოსახლეობას შორის არსებული ცხოველი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ცალკეული ოჯახის წეერთა საშოვარზე გასვლის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები,[32] სახლეულში სხეადასხეა სამუშაოს შესრულების მიზნით მსახურად (ხიზმეთქარი, მორბედი) დადგომის ჩეეულება და სხვ.

გარე სამუშაოზე სიარული, ოჯახის წეერთა ჩასაცმელითა და სხეა საჭირო მატერიალური ნიეთებით უზრუნველყოფა, როგორც აღინიშნა, უფროსი მამაკაცის მოვალეობას შეადგენდა. სახლში დარჩენილი კი საოჯახო მეურნეობითა და ოჯახთან დაკავშირებული სხეა პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი.

აჭარული "ერთიანობის სახლის" სამეურნეო-ეკონომიკური საყრდენი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების საფუძველზე ჩამოყალიბდა. აჭარულ კარმიდამოში სამეურნეო საქმიანობისათვის, შრომა-მოღვაწეობისათვის ყველა პირობა არსებობდა. კარმიდამოში წარმოდგენილი იყო ნალია, საბძელი, ბეღელი, ზოგჯერ წისქვილი, რომელიც ხშირად საცხოერებელი ტერიტორიიდან მოცილებით, ხევში, ოჯახისათვის ან მთლიანად ლოკალური ჯგუფისათვის მოსახერხებულ ადგილზე იყო აგებული. სათანადო ფარდულში მოთავსებული იყო სატრანსპორტო საშუალებანი, შრომის იარაღები, საყოფაცხოერებო ინვენტარი. სახლობის ყიშლაზე და ალპურ საძოერებზე მდებარეობდა პატარა ქოხები, ძელური თუ ჯარგვალური ტიპის სეზონური სადგომები. სახლთმეურნეობას გააჩნდა ნაფუძარი, საბოსტნე ადგილი, სახნავ-სათესი, სათიბი, პირუტყეი (ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხენი, თხა, ცხეარი), რაც უზრუნველყოფდა მათ აუცილებელი მარცვლეული და ცხოველური პროდუქტებით.

ნატურალურ მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შემგროეებლობას, მეფუტკრეობას, ნადირობას, ჩალეადრობას, ხელოსნობას (სახლების მშენებლობა, მჭედლობა და სხვ.), ხე-ტყეის დამზადებას. მემინდვრეობისა და მიწათმოქმედების მაღალი ხვედრითი წილის მიუხედავად, მთაში მესაქონლეობას შედარებით უპირატესი მდგომარეობა ეკავა. ბარში კი – მიწათმოქმედებას. მეურნეობის ეს დარგები ისტორიულად სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა.

---

31 გ.ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტიეი ლაზურ ორნამენტში. – ენიმკის „მოამბე", თბ., 1941; შეადარეს: ე.ბარდაველიძე, გ.ჩიტაია. ქართული ხალხური ორნამენტი, ტ.1, თბ., 1940; ნ.კახიძე. მოგზაური ხელოსნები. – სდსყკ. XIII. თბ., 1986.

32 ნ.კახიძე, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთის სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ხელნაწერი; ნ.მგელაძე. აჭარაში მესხთა მიგრაციის საკითხისათვის. – ეთნოგრაფიული გამოკვლევები, თბ., 1989, გვ. 77-78.

აჭარულ ერთიანობის სახლში საკუთრება ჯგუფური იყო, ხოლო წარმოება – საზოგადოებრივი. განუყოფელ სახლობაში გაერთიანებული უძრავ-მოძრავი ქონების უმეტესი ნაწილი, რომელიც საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, ოჯახთა ჯგუფის თითოეული წევრის შრომითა და გარჯით იქმნებოდა. ჯგუფურ საკუთრებას თანმიმდევრულად იცავდნენ სახლეულის უფროსი წევრები, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც მეტი წელილი ჰქონდათ შეტანილი საერთო დოვლათის შექმნაში.

ერთიანობის სახლის წევრთა გაყოფას ანუ გარიგებას ჯალაბობის სიმრავლე და ეკონომიკურ საფუძველზე განცალკევებული უთანხმოება იწვევდა. „სახლის დიდი" ძალებულია ხდებოდა გაეყო ძმები და ცალკე დაესახლებინა, გაეანწილებინა მათთვის სახნავი მიწები, ბაღნა, სათიბები...

გაყრის პერიოდში ქონებაზე საკუთრების უფლება უფროს ძმებს გააჩნდათ. გაყოფას არ ექვემდებარებოდა პირადი სარგებლობის საგნები და ნივთები: ტანსაცმელი, სამკაული, იარაღი, მზითვი, სათაყანო. დიდი სახლეულის რღვევაში საკმაო წელილი შეიქონდათ ქალებს, განსაკუთრებით რძალებს. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარულ სოფელში კაპიტალისტური ელემენტების შეჭრამ, სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობებმა და ამ ურთიერთობაში მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ჩართვამ, ჯალაბობაში გაერთიანებულ საქორწინო წყვილთა კერძომესაკუთრული ტენდენციების ზრდამ ერთიანობის სახლის სათემო-ჯგუფურ საკუთრებასა და საზოგადოებრივ წარმოებას ნიადაგი გამოაცალა, რამაც ხელი შეუწყო მათ ხ'შირ სეგმენტაციას.

ერთიანობის სახლში ქონების მოწილეებად და მამის მემკვიდრეებად შვილები ითვლებოდნენ. შვილები (ძმები, ხოლო შემდგომში მამები) სწორედ უფროსი მამამთავარისაგან და დანატოვარი ქონების საფუძველზე ღებულობდნენ უფლებას სეგმენტაციისას გამოყოფილიყვნენ როგორც დამოუკიდებელი მონაწილეები. ძმების ან ძმა-ბიძაშვილების გაყოფისას შესაძჩნევ როლს თამაშობდა საზოგადოებრივი თანასწორობა და დემოკრატიზმი, თუ მკა, მოგვიანებით, სოლიდარობისა და დემოკრატიულობის გვერდით თავი იჩინა დამაჩერებითმა საწილო ქონებამაც საუფროსოს და დამასახლებელის//დასასახლებლის სახით.

დასასახლებელი – ეს არის უმცროსი უცოლშვილო ვაჟისათვის მიცემელი საქორწინო ხარჯი, რასაც, საქართველოს სხვა კუთხის მონაცემებით, ტერმინი საქორწილო ან საუმცროსო შეესატყვისება.[33]

ერთიანობის სახლში უფროსი ძმისათვის საუფროსო წილი გამოიყოფოდა მისი შრომისა და მზრუნველობის დაფასების მიზნით. მას დამატებით აკუთვნებდნენ ხარს, ცხენს ან რამდენიმე სულ ცხვარს, შენობას (მოის სახლს ან ყიშლას), სამშენებლო მასალასა და მოგვიანებით – ზოგჯერ ფელსაც. ამ წილს საემეგოს უწოდებდნენ, რაც უფროს ძმას სახლეულში გაწეული ამაგისათვის ეძლეოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ გაყოფისას. ხ'შირად უფროსი ძმა ფუძე სახლში რჩებოდა და „ძველ მამაპაპურ კერასთან განაყრების კავშირის სიმტკიცისათვის ზრუნვა მომავალში მის ფუნქციაში რჩებოდა".[34] მშობლების სიცოცხლეში კი მამაპაპური სახლი უმცროს ძმას რჩებოდა. ძველ საქართველოში, ბექა-ალბულას სამართლის მიხედვით, უფროსი შვილის დამატებით სარგოს საუხუცესო ეწოდებოდა.[35] საუხუცესო საუფროსოს სახით ვახტანგ VI სამართალშიც გვხვდება, რომელშიც საუფროსოს გვერდით საუმცროსო წილიც მოიხსენიება.[36] საქარ-

---

33 ვალერიანოზშვილი. საოჯახო ყოფა მთიულეთ გუდამაყარში. – კეკ, III, თბ., 1971, გვ. 130; მისივე. კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1977, გვ. 142.

34 თაბუკაძა. ხალხური საოჯახო სამართლის ნორმები აჭარაში (ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა). – სდსკ, თბ., X, 1983, გვ. 55-56.

35 ი.დოლიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 307, 308, 341, 365.

36 ვახტანგ VI. დასახ. ნაშრომი, გვ. 76, 77, 79.

თეელოს ცალკეული მხარის ზოგიერთ განუყოფელ სახლობაში საუფროსო გამოიყოფოდა არა უფროსობის, არამედ მმართველობის სისტემაში მისი სტატუსის მიხედვით, რის გამოც ტერმინი საუფროსო ხშირად შეცვლილი იყო საგამიჯოლოთი.[37]

აჭარაში, ძმების გაყრისას, უცოლშვილო უმცროსი ძმა ფუძე სახლში რჩებოდა. საერთოდ, დაცოლშვილებული ძმებიდან მამისეულ სახლში დარჩენის პრიორიტეტს უფროსი იტოვებდა. განსაკუთრებით, თუ მშობლები გარდაცვლილი იყვნენ. მაგრამ, რადგან უმცროსი ძმა უმეტესად უცოლშვილო იყო, იგი მამისეულ სახლს ეუფლებოდა. ასეთ პირობებში მოხუცებულ ცოლ-ქმარს, ანუ ბერ-დედაბერს გასაყოფი ქონებიდან გამოიყოფოდა წილი – მშობლების სარჩო. მშობლები „გარიგებაში ასწევდნენ" ერთ ძროხას ან ქონების გარკვეულ ნაწილს, რომელიც მათ მოსაველელ და დასაკრძალავ სახარჯო ქონებას წარმოადგენდა. შესაბამისად, აჭარაში ჩამოყალიბდა ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც უშუალოდ ასახავს საოჯახო სამართლის აღნიშნულ მხარეს. ასეთებია: ასამწყერო, მოსამლელი, სამარხო, ბაბას (მამის) საწილო და სხვ.[38] მშობლების გარდაცვალების შემდეგ, შვილები საქონელს ყიდდნენ და აღებულ ფულს მშობლების დასაკრძალავად იყენებდნენ. ხოლო მიწის ნაკვეთს ერთმანეთში იყოფდნენ. მაგრამ ზოგჯერ ქონების ამ ობიექტებს იმ ძმას აკუთვნებდნენ, ვისთანაც მშობლები გაყრის შემდეგ ცხოვრობდნენ.[39]

აჭარული ერთიანობის სახლის ძირძველი ქართული ტრადიციები საკუთრების უფლებას ქალსაც ანიჭებდა, მაგრამ სახლობის გაყოფისას საძმო მას წილს არ აკუთვნებდა. ქალის ძირითად საკუთრებას აჭარაში მზითვი წარმოადგენდა.[40] იგი ქალის ძირადი ნივთებისაგან, ნიშნობისა და ქორწილის პერიოდში მნახველობის დროს ძირსანახავში შეძენილი ქონებისაგან შედგებოდა. მზითვი აჭარაში გაუყოფელი იყო და იგი სახლეულის სეგმენტაციისას არ ნაწილდებოდა. პირუტყვიდან მეწველი ძროხა რძლის საკუთრებად რჩებოდა, ხოლო ნამატი (ნამრავლი) სახლეულის სარგებლობაში გადადიოდა.

ქართული სამართლის ძეგლები, ასევე ქართული (მათ შორის აჭარაში შეკრებილი) ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებენ საქორწინო და საოჯახო ქონებრივი ტრადიციების სფეროში ქალის მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზე.[41] ეს ეხება სახლეულის არა მხოლოდ ყველაზე უფროს დიასახლისს ან უმცროს პატარძალს, არამედ ქერეულაც. ქერეულს უფლებრივი სტატუსი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლეველორატის, მზითვისა და ურვადის ინსტიტუტებთან. ერთიანობის სახლის გაყოფისას უშვილო ქერეულ გარკვეული ქონება ერგებოდა, თუ ის ქმრის ნოგროში და ნოგროზე აღმოცენებული ლოკალური ჯგუფის საოსახლო უბანში რჩებოდა საცხოვრებლად. ამ შემთხვევაში ქერეული საერთო პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებდა. ეაეიანი ქერეული ქონებრივი სტატუსი კი მოწილე ძმების ქონებრივ-უფლებრივ მდგომარეობას უთანაბრდებოდა, თუმცა აჭარაში დადასტურებულია ქონებრივ-სამართლებრივი ნორმა, რომლის არსი ერთიანობის სახლის გაყოფისას ბაბის ძმების მიერ ობოლი ძმისწულის უწილოდ, კერძოდ, საძმის წილის გარეშე დატოვების მცდელობაში მდგომარეობდა. ეს ნორმა დედეეთიმის, ანუ ბაბის ობლის სახელწოდებას ატარებდა, მაგრამ იგი პრაქტიკულად იშვიათად ხორციელდებო-

---

37 Харадзе Р.Л. Грузинская семейная община, т. I, с. 70, т. 2, с. 47-48.

38 Мгеладзе Н.В. Система кровного родства в Аджарии, Батуми. 1988, с.69.

39 თ.აწუგბა. სალსური საოჯახო სამართლის ნორმები, გვ. 57-58.

40 მ.ბეჭაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1972. ზემო აჭარაში, ღორჯომის ხეობაში სათავნოს ფუნქციურად შეესაბამება ტერმინი ცეიზი, ხოლო უძრავი ქონების აღმნიშვნელად გეხვდება გზითვი.

41 ი.დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 130; სამართალი ბატონიშვილისა დაეითისა, თბ., 1964, გვ. 185-186; ი.ბაგრატიონი. სჯულდება, თბ., 1957, გვ. 93.

და. დაქვრივებულ ქალს მამისეულ სახლში დაბრუნებისა და ხელმეორედ გათხოვების შემთხვევაში უფლება ეძლეოდა მიეღო მზითვი, მაგრამ მოკლებული იყო საკუთრების უფლებას ქმრის მიწაზე. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვითაც „დიაცსა თუ ქმარი მოუკვდეს და შვილი არ დარჩეს, ზითვეი თანა გაპყვეს უკლებლად.[42] ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაშიც მზითვი მამისეულ სახლში ქალს გაჰყვებოდა. ასეთივე ვითარება გვქონდა იმ შემთხვევაშიც, როცა ქალს ცოლქმრული ურთიერთობის ნორმათა დარღვევაში, კერძოდ, ღალატში დასდებდნენ ბრალს.

აჭარაში ცოლის ღალატის და, საერთოდ, ქალის გარყვნილების მხილებისას მიმართავდნენ ჩაქოლვის წესს, რომელიც ამოკირეის სახელითაა ცნობილი. ეს ტერმინი ეთნოგრაფიულ ყოფაში დღეს იშვიათად, უფრო მეტიც, თითქმის არ გეხვდება. როგორც ჩანს, ამოკირეის, ანუ ჩაქოლვის ჩვეულება შუა საუკუნეების ადათობრივ სამართალშიც დასჯის ერთ-ერთ ფორმად იყო გამოყენებული, რაზეც კათოლიკოსთა სამართალიც უნდა მიგანიშნებდეს.[43]

ტრადიციულად, ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში შვილები, განსაკუთრებით ვაჟი, მამისეულ სახლში რჩებოდა. ქალს უფლება არ ჰქონდა შვილებზე პრეტენზია გასცხადებინა.

აჭარაში ორცოლიანობის ფაქტებიც დასტურდება, რაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც (მაგალითად, ხევსურეთი) შეინიშნება. მამაკაცს შეეძლო მეორე ცოლი მოეყვანა მხოლოდ იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მეუღლე უშვილო იყო. ჩვეულებრივ კი, განმეორებით ცოლის შერთვა ხდებოდა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ერისთავთერისთვე აბუსერ III-თან მიმართებაშიც. წყაროებში ცნობილია მასთან ქორწინებაში მყოფი რამდენიმე ქალის სახელი: თამარი, ეახახი და ვანანი. აბუსერისძე ტბელის მიერ „ანდერძის" შედგენისას თამარი გარდაცვლილია, ეახახიც, ანდერძის" დაწერისას, ცოცხალი არაა. ვანანი XIII საუკუნის 30-ის წლებში, „ანდერძის" შედგენის შემდეგ ჩანს გათხოვილ. თამარი აბუსერ III პირველი ცოლი იყო. ეახახი – მეორე, ხოლო ვანანი – მესამე. როგორც ჩანს, აღნიშნული ფაქტი მხოლოდ მემკვიდრის (ძის) არყოლით არ იყო განპირობებული, რადგან გენეალოგიური სქემიდან ჩანს, რომ აბუსერს თამარისაგან ჰყავდა გრიგოლი, ეახახისაგან – ნათელი, ხოლო ვანანისაგან – ზაქარია, თუმცა, ჩვენ არ ვიცით მანამ, სანამ ვანანისაგან მას შეეძინებოდა ზაქარია, რა ბედი ეწია აბუსერისა და თამარის ვაჟს გრიგოლს. შესაძლებელია, აბუსერს უფროსი ვაჟი ადრე გარდაცვალა და მეორე ცოლისგან ქალი შეილის ანაბარა დარჩენილმა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მესამედ დაქორწინება გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, ეთნოგრაფიული წყაროებით, საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ მხარეში, მათ შორის, აჭარისწყლის ხეობაში, რამდენჯერმე დაქორწინების შემდეგნაირ საოჯახო ტრადიციებს ვიცნობთ: 1. უშვილო (განსაკუთრებით უძეო) ოჯახის მამაკაცს პირველი ცოლის გვერდით მისივე სიცოცხლეშივე მეორე, ნაცვალი მოყავდა (ორცოლიანობა); 2. უშვილო (განსაკუთრებით უძეო) ოჯახის მამაკაცს ცოლის გარდაცვალების შემდეგ მეორე მოჰყავდა, რაც მრავალცოლიანობის ნაირსახეობაში არ შეიძლება გაერთიანდეს.

---

42 ი. დოლიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

43 ნ.ბგელაძე. ნათესაურ ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე – მაცნე, ისტორიის სერია, №3, თბ., 1984, გვ. 52; კათალიკოზთა სამართალში ეკითხულობთ: „ეინცა ანუ დედმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან მან, ანუ გლეხმან რძალი შეირთოს შეჩუენებულმცა არის ღმისაგან და მისთა წმინდათაგან. კაცია და დედაკაცია გალმა-გამოღმა დაკირონ. დამკირავნი ჩემგან დალოცვილ და კურთხეულ იყვნენო" (იხ. ივ. ჯაგახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნ. 1, თბ., 1928. გვ. 55).

ერთიანობის სახლის გაყოფის შემდეგ თითოეული ძმის ან ბიძაშვილის ოჯახი განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში წარმოქმნიდა დამოუკიდებელ სოციალურ უჯრედს, რომელიც ხშირად საერთო გენეალოგიაზე აგებული ლოკალური ჯგუფის სამოსახლო უბანი ხდებოდა, რის შედეგადაც ახალ სახლთმეურნეობებში წარმოდგენილი ოჯახების ურთიერთობები განსხვავებულ ტაქსონომიურ და სტრუქტურულ-იერარქიულ დონეზე ხორციელდებოდა.

ამრიგად, უკვე შუა საუკუნეებში აჭარულ ოჯახსა და ერთიანობის სახლს გააჩნდა ღრმა ისტორიული ფესვები. წერილობითი წყაროების ეთნოგრაფიულ მასალებთან შეჯერებით ირკვევა, რომ საკუთრების სფერო, ქონებრივი ნორმები, სოციალური ურთიერთდამოკიდებულებები, სამეურნეო ცხოვრება და მეურნეობრივი ინტერესების თანხვედრილობა ერთიანობის სახლის წევრთა ურთიერთობების რეგლამენტაციის უმთავრეს ქვაკუთხედს წარმოადგენდა, ხოლო ერთიანობის სახლში ოჯახების (ოჯახთა ჯგუფის) თანაცხოვრება, ოჯახის სიცოცხლისუნარიანობა კულტურის ძირითად ფორმებს ტრადიციულ იერ-სახეს უნარჩუნებდა. დასახელებული ტიპის საზოგადოებაში ოჯახის მეშვეობით განხორციელებული ტრადიციების თაობათაშორისი ტრანსმისია ეროვნული ცნობიერებისა და სოციოკულტურული ფასეულობების შემონახულობის განმსაზღვრელ წყაროდ იქცა. საქართველოში, მათ შორის, აჭარაში, ოჯახი მრავალი ფუნქციონალური ნიშნით იყო აღჭურვილი, რის გამოც ის სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას აჭარაზე, სადაც გეიან შუა საუკუნეებში, ოსმალობამ და შარიათის გავრცელებამ, მართალია, გარკვეული ზეგავლენა იქონია ყოფისა და კულტურის ცალკეულ სფეროზე, მაგრამ ცხოვრების ტრადიციული ქართული წესი არსებითად ვერ შეცვალა და საოჯახო გარემოს ნაკლებად შეეხო. ამიტომაც იყო, რომ ოჯახმა და ერთიანობის სახლმა, როგორც კონსერვატორული ბუნების სოციალურმა ინსტიტუტებმა, თავიდან აიცილა უცხო გაელენები და კულტურის ადგილობრივ თუ ლოკალურ და სპეციფიკურ ნიშნებთან ერთად შეინარჩუნა ''სოგადქართული ბუნება.

§2. საზოგადოებრივი ყოფა

ქართულ-კავკასიური ცივილიზაციის ისეთ კერებში, სადაც ფეოდალიზმს სათანადო ეკონომიკური და სოციალური ნიადაგი არ გააჩნდა, წარმოება და საკუთრების ფორმები, მმართველობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტები შესაბამისი იურიდიულ-ადათობრივი სისტემებით, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურებით, საზოგადოების წევრთა ქცევის ნორმებით, კულტურული ფასეულობებით – მთლიანად გამომდინარეობდა ისტორიულად ჩამოყალიბებული თემისა და ტერიტორიული გაერთიანების ბუნებიდან. საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა დონისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების თანაარსებობა კარგად შეინარჩუნა საქართველოს მთიანეთმა, სადაც, როგორც გ. მელიქიშვილი შენიშნავს, დიდხანს შემორჩა შედარებით განუვითარებელი სოციალურ-ეკონომიკური წყობა.[1] ცენტრალური ხელისუფლების პერიოდული შესუსტება ხელს უწყობდა მთიელთა განკერძოებას და, შესაბამისად, სათემო ყოფის ტრადიციული ფორმების კონ-

[1] გ.მელიქიშვილი. ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის. – მაცნე. ისტორიის სერია №1, თბ., 1979, გვ. 19.

სერვაციას.[2] ანალოგიურ პროცესებთან გვქონდა საქმე აჭარაშიც, რომლის მთა და ბარი სოციალური განვითარების დონით მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.[3]

აჭარაში თემი ისტორიულად საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს მოიცავდა. ამ ტიპის ტერიტორიული გაერთიანების წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული სამეურნეო და სოციალური ინტერესებით. თემის არსებობა საქართველოში არა მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალებით, არამედ წერილობითი წყაროებითაც დასტურდება.[4] თემი ხევის ტიპის დასახლება იყო. ამდენად, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ხევი და თემი შესატყვის ცნებებად გამოიყენება.[5] ტერიტორიულ-სათემო გაერთიანება ხევი სოციალური, ხოლო ხევობა – გეოგრაფიული შინაარსით იხმარებოდა.[6] ხევობაში, ჩვეულებრივ, მოქცეული იყო ერთი ან რამდენიმე ხევი//თემი. საკუთრივ ხევი კი რამდენიმე სოფლის საკრებულოს აერთიანებდა. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ტერიტორიით, სამეურნეო, სოციალური ინტერესებითა და საკულტო რიტუალებით. აჭარაში ტერმინი ხევი დღემდე შემოგვრჩა ტოპონიმიკაში. ასეთებია: ხევყრუ (ჯოჯოს ხეობა), ზემო ხევი (ქვანის ხეობა), სოლიხევი და მირატის ხევი (აჭარისწყლის ხეობა),[7] ხევი ხიროსი. ოსმალთა პერიოდში აჭარაში ტერმინ თემის გამომხატველად თურქული წარმოშობის ოლქი//ოლქა[8] წარმოჩნდება, რომელსაც ხშირად თემობის, სათემო შეკრების, სათემო ლაშქრობის თუ სამხედრო, თავდაცვა – თავდასხმის მნიშვნელობაც გააჩნდა.[9]

მოგვიანებით, ქართული თემის ფუნქციები აჭარაში შეითვისა ოსმალურმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა – ნაჰიემ,[10] თემცა ეს იყო გარეგნული და არა თვისებრივი ჩანაცვლება. რადგან თემთან დაკავშირებული სოციალური ინსტიტუტები და სამეურნეო ტრადიციები არ შეცვლილა და იგი ქართული ხასიათის დარჩა. XIX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, როცა აჭარა ოსმალთაგან განთავისუფლდა, თემის აღმნიშვნელ ცნებებს ხშირად ენაცვლება რუსული კალკით მიღებული ტერმინები: „საზოგადოება" ან „სოფლის საზოგადოება".[11]

აჭარაში თემის სამეურნეო, იდეოლოგიური და სოციალური ინტერესების თანხვედრილობა ელინდებოდა მთისა და ბარის საერთო-სასოფლო და საერთო-სათემო გაუნაწილებელი, ე.წ. ჯუმალი, მიწების სარგებლობის წესში,[12] ტერიტორიული გაერთიანების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთდახმარების ფორმებში. ადათობრივი სამართლისა და მმართველობის თავისებურებებში, საკულტო რიტუალების შესრულება-

---

[2] Харадзе Р.Л. Характер сельской общины грузин-горцев по этнографическим материалам (VII КАЭН, Москва, август, 1964 г.). М., 1964, с. I. Анчабадзе З.В., Робакидзе А.И. К вопросу о природе Кавказского горского феодализма. - ИКЯ, Тб., 1979.

[3] ალრობაქიძე, გ.შამილაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში კულტურის ელემენტების კლასიფიკაციისა და სამეურნეო-კულტურულ ტიპოლოგიასთან მისი მიმართების საკითხისათვის (საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასთან დაკავშირებით). – სდსყ, X, თბ., 1983, გვ. 10-29.

[4] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი 1, ტფ., 1930, გვ. 131-135; მისივე: – ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, გვ. 1-2; ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1,. ტფ., 1928.

[5] ჰ.ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. II, თბ., 1941, გვ. 7, 9, 26–27.

[6] რ.ხარაძე, ალ.რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად. თბ., 1964, გვ. 67.

[7] Мгеладзе Н.В. Из истории общественных отношений в Верхней Аджарии. -ОЭА, Тб., 1982, сю 221.

[8] სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. თბ., 1949.

[9] ვლ.მგელაძე. ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში. – ლიტერატურული აჭარა, №13, ბათუმი, 1964, გვ. 81-84.

[10] საქართველოს ცსა, ფ. 545, ცსა. 3117, ფ. 9-10.

[11] ა.ალალიანი. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1960, გვ. 118, 123. 129.

[12] ნ.მგელაძე. მასალები სათემო მიწათმფლობელობის საკითხისათვის აჭარაში. – სდსყ, XI, თბ., 1985, გვ. 101-103.

ში, კალენდარულ დღესასწაულებსა და სხვა სახის წესჩვეულებებში. სახმარი მიწების კომპაქტური განლაგება, საძოვარ-სათიბებითა და ტყით საერთო-სასოფლო და საერთოსათემო სარგებლობის წესი მეურნეობრივი ინტერესების ერთიანობას უწყობდა ხელს. ამასთან, სათიბების მორწყვა, მათი დაცვის აუცილებლობა და მთაბარობის (საქონლის სეზონური გადარეკვა და ფერდასა და მთაში) დაწყება-დამთავრების (მენახირეობა, მეხარეობა, მეცხვარეობა) ორგანიზაცია მთელი სოფლის შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვდა. ნიშანდობლივია, რომ აჭარის მთიანეთის სათემო გაერთიანებებში ამგვარი ერთობა ხელს უწყობდა სამეურნეო და საზოგადოებრივი ურთიერთობებისაოვის, ოჯახისა და საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებული ტრადიციული ნორმების კონსერვაციას.[13]

თემის წევრები ხელისუფლებასა და ადგილობრივ ფეოდალებს შესაბამის გადასახადს უხდიდნენ. თემის მამასახლისის კომპეტენციაში თემის მართვა, გადასახადების შეკრება, მეთემეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე თვალყურის დევნება, თემის წევრებამდე ზემდგომთა გადაწყვეტილებების დაყვანა და გატარება შედიოდა. საგადასახადო ვალდებულებას ასრულებდა არა ცალკეული სახლობა, არამედ მთელი თემი. გადასახადი კომლთა ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით იკრიბებოდა, რაშიც თემის, როგორც დემოკრატიული ორგანოს, თავდაპირველი თვისებები ელინდებოდა. თემის წევრებს შორის დამოკიდებულება ტრადიციული იყო. მამასახლისს თემის ყრილობა ირჩევდა, ხოლო მისი გადაყენება მოსახლეობის მოთხოვნითა და უხუცესთა საბჭოსთან შეთანხმებით სათემო ყრილობას შეეძლო.

აჭარაში თემის თავშეყრის ადგილს მოედანი წარმოადგენდა, რაზეც შემონახულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ავტორთა ფრაგმენტული ცნობები. მაგალითად, ღორჯომის სათემო მოედნის შესახებ გ ყაზბეგი აღნიშნავდა, რომ იგი იყო საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც განიხილებოდა თემისთვის საინტერესო ყველა საკითხი.[14] სოფ. მარადიდში იყო პატარა ბაზარი, ცენტრში ოთხკუთხა ფორმის მოედნით. მისი ერთი ნაწილი ეკავა მეჩეთს, ხოლო წინა მხარეს გამართული იყო წყარო.[15] ი. ადამიამ ყურადღება მიაქცია ძველი სოფლის ტიპურ მოედანს, საზოგადოებრივი თავშეყრის ცენტრს და მისი ჩამოყალიბება ხალხურ დღესასწაულებს, სათემო შეკრებებს, საეკლესიო და რელიგიურ წარმოდგენებს დაუკავშირა.[16]

მოედნები წარმოიქმნენ საზოგადოებრივი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბება იწყო ქართულმა ტრადიციულმა სოფელმა და ტერიტორიულმა თემმა.[17]

ღორჯომის ხეობის ცალკეულ სოფლებში დადასტურებულია მრავალმხრივ საინტერესო სასოფლო და საუბნო თავშესაკრები ადგილებიც: სერობა (სერობის უბანი), საგობრითავი (ვერცხლის უბანი), სერი (დურსუნიენთების უბანი), კარჭლიძირი (ალაბაძენთების უბანი), ნაოსპისერი (აბაზიენთების უბანი). სოფელ ვანაძეებში მოსახლეობა იკრიბებოდა ადგილ კორდზე, მეხალაშვილებში – ბაღრებზე, ეაშაყმაძეებში – სერზე, ხოლო მეკეიძეებში – ზედა კალოზე.

საზოგადოებრივი შეკრების ადგილის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც გამოყენდა: ფოლოტი და ფოლოცი//ფოლორცი.[18] ფოლი და ფოლორცი ქართულ ლექსიკონებშიცაა

---

[13] ვლ. მგელაძე. აჭარელთა შიგასაოჯახო ურთიერთობა. ბათუმი, 1966, ხელნაწერი (ინახება ავტორის პირად არქივში).

[14] გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. 84.

[15] გაზ. „ივერია"№2, 1879.

[16] ი.ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა), თბ., 1956, გვ. 36.

[17] Мгеладзе Н.В. Указ. раб., с. 217.

[18] ვლ.მგელაძე. ეთნოგრაფიული მასალები. ხელნაწერი (ინახება ავტორის პირად არქივში).

შესული. საბას განმარტებით, ფოლორცი შუკაა, ხოლო ფორი – მეიდანი.[19] ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონის" მიხედვითაც, ფოლორცი „შუა ბაზარი, ანუ მეიდანია".[20] ტერმინი ფოლორცი „ქართლის ცხოვრებაშიც" აისახა და იგი განმარტებულია როგორც „ქუჩა".[21] სოფელ აგარის ცენტრში არსებულ საზოგადოებრივი შეკრების ადგილს კორდს უწოდებენ, ხოლო მის გვერდით გამავალ პატარა შუკას – ფოლოცის (ფოლორცის). არაა გამორიცხული, რომ ზემო აჭარაში საზოგადოებრივი შეკრებებისათვის განკუთვნილ მოედნებს ადრეულ ხანაში „ფოლორცი" რქმეოდა.

აჭარაში თავყრილობის ადგილს წარმოადგენდა. აგრეთვე, ე.წ. სალაყბოც. იგი, ჩვეიანდელი წარმოდგენით, ზარმაცთა თავშესაკრებად იყო მიჩნეული, თუმცა სალაყბოების თავდაპირველი დანიშნულება სხვა უნდა ყოფილიყო, კერძოდ, სალაყბოზე განიხილებოდა ზეგების, ხიდებისა და საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გადარეკვისა და მათი სეზონურ საძოვრებზე დაბინავების დრო და პირობები, ასევე, საერთო სათემო პრობლემები. იქ ეწყობოდა აგრეთვე სახალხო გართობა-თამაშობები, სპორტული შეჯიბრებები და სხვ. თანასოფლელები (ოთანამეოემენი) იკრიბებოდნენ აგრეთვე წისქვილებთან, სამჭედლოებთან,[22] გზაჯვარედინებზე, საკულტო ხეებთან.

თემის მოედანზე თავის იერიდა საჩალვადრო თუ საურმე გზები და ბილიკები. ყველა სოფელი მახათან „შარა გზით" იყო დაკავშირებული, რაც ქმნიდა თემის სოფლებთა და უბანთა ერთიანობას.

ოსმალთა დროინდელ აჭარაში მოყრიანობა ანუ სათემო შეკრებები, იგივე ოლქა, ელაე იმარითებოდა, „წინაჲ კაცთა" თუ „მოხუცთა საბჭოს" საქმიანობას თანდათანობით ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციების მქონე სხვა ტიპის ორგანოები ენაცვლება, თუმცა ასეთი ჩანაცვლება ხშირად ფიქტიურ ხასიათს ატარებდა. ისინი გარეგნულად, მართალია, უცხო, მაგრამ შინაარსობრივად უმეტესად ტრადიციულ-ადათობრივი იყო. მაგალითად, სოფლის მმართველობა ოსმალობის ხანაში მეჯლისის ხელში იყო, რომელსაც ყადი თავმჯდომარეობდა და შედგებოდა რამდენიმე არჩეული პირისაგან. გიორგი ყაზბეგის დაკვირვებით, კვირაში ერთხელ (პარასკევობით) მორწმუნენი მეჩეთში იკრიბებოდნენ, სადაც ლოცვის შემდეგ არჩევდნენ მცხოვრებთა საჩივრებს. სოფლის მეჯლისი აქაური ადგილობრივი ადმინისტრაციის ყველაზე ქვედა ინსტანციია იყო.[23] სათემო მოედანი, როგორც აღინიშნა, „მოხუცთა საბჭოს" შესაკრებიც იყო, რომელიც საქმეებს ადათობრივი სამართლის მიხედვით იხილავდა, ხოლო მეჯლისი – შარიათის მიხედვით.[24] სათანადო სასამართლო უძველესი დროიდან არსებობდა და იგი ტრადიციული ყოფის აუცილებელი და ორგანული ნაწილი იყო. ყადების სასამართლო კი თავსმოხვეული რელიგიის თანმხლები იყო, რის გამოც ყადის სასამართლოშიც ადგილობრივი ადათებით ხელმძღვანელობდნენ, ე.ი. 'შარიათის სასამართლო აჭარაში, 'შინაარსობრივად, რამდენადმე ადათობრივი სასამართლო იყო. საუკუნეობით არსებული ყოფის ერთბაშად შეცვლა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და არც მომხდარა.[25] ზოგიერთი მიუთითებს, რომ მმართველობის თურქული სისტემის გვერდით აჭარის ადგილობრივი ხალხური მმართველობის არსებობა დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ თურქეთის ძალაუფლება აჭარაში არ

---

19 სულხან-საბა ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 689.

20 ნ.ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი. თბ., 1961, გვ. 395.

21 ქართლის ცხოვრება. II, თბ., 1959, გვ. 101, 176, 231, 610.

22 ნ.კახიძე. მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974, გვ. 58.

23 გ.ყაზბეგი. დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

24 ვლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973, გვ. 28.

25 ო.ზოიძე. სასამართლო ორგანიზაცია აჭარაში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. – კიეჯს, I, ბათუმი, 1996, გვ. 64-65, 68.

იყო ყოველისმომცველი, რომ აჭარის მოსახლეობა თავის საშინაო საქმეებში უგულებელყოფდა, არ ცნობდა თურქულ ადმინისტრაციას."[26] ეს დასკვნა ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს მეჯლისი, რომელიც თემს განაგებდა და ადმინისტრაციულ ფუნქციებთან ერთად სასამართლო უფლებებითაც იყო აღჭურვილი, საერთოდ არ ფუნქციონირებდა.[27]

სათემო მოედნებზე საზოგადოებრივი ყოფისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხებიც ირჩეოდა. სისხლ-მესისხლეობის პრობლემა და მოსისხლეთა შერიგება პირად-უფლებრივ ურთიერთობათა კატეგორიაში ექცეოდა. თუ დაპირისპირება მწვავე ხასიათს მიიღებდა, შერიგება არ მოხერხდებოდა და შურისძიებაში თემის წევრთა ფართო წრე აღმოჩნდებოდა გახვეული, ასეთ შემთხვევაში თემის უხუცესები სწორედ სათემო მოედანზე საჯაროდ ღებულობდნენ გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულება ყველასათვის სავალდებულო ხდებოდა.

ასევე, მოედანზე, სადაც საკულტო ნაგებობაც იდგა, ხდებოდა ფიცის დადება. თუ ეჭვმიტანილი პირი უარყოფდა დანაშაულში მონაწილეობას, იგი აიძულებდა დასარალებულს მორწმუნე პირისათვის მიემართა. ეჭვმიტანილს თემის წევრების თანდასწრებით აფიცებდნენ. დაფიცების აღსრულება სავალდებულო აქტი იყო ყველასათვის. თუ თემის რომელიმე წევრმა იცოდა სიმართლე, მას ღვთის შიშით ვერ დამალავდა. ლ. ბოჭორიშვილს აჭარაში დაუმოწმებია დაფიცების წესი პურზე და მჭადზე.[28] დაფიცების ეს წესი მჭადზე ხელის დადებაში გამოიხატებოდა და შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „დაიკავე მჭადი ხელში".[29] დაფიცების ამგვარი წესი მხოლოდ აჭარისათვის არ იყო დამახასიათებელი. იგი შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს სამართლებრივი ძეგლებიდანაცაა ცნობილი. ძველ საქართველოში მოფიცრის როლში ნათესავები, უპირატესად, სახლიკაცები გამოდიოდნენ.[30]

აჭარაში საზოგადოებრივი თავყრილობის ადგილებში, განსაკუთრებით იქ, სადაც საკულტო ნაგებობა იდგა, ეჭვმიტანილის გამოსატეხად ადრე იცოდნენ ბედვა ანუ საჯარო წყევლა. თუ დამნაშავის ფიცი დაზარალებული მხარის ნათესაურ ჯგუფს არ აამაყოფილებდა, იწყებოდა ე.წ. ბედვა. აჭარელთა წარმოდგენით, „ნაბედვარი" პირი ვერ გაიხარებდა. სოფელ ხინოში ბედვას ამოყინვას ეძახდნენ. ამ დროს ხდებოდა დამნაშავის გადაცემა თემის ან სოფლის ცენტრში, თავყრილობისათვის განკუთვნილ მოედანზე, პროცესს სოფლის თავკაცები ხელმძღვანელობდნენ. მოყინვება შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში ნიშნავდა პატივის ახდას, სახელის გატეხვას, საქვეყნოდ შერცხვენას.[31] ამდენად, ხინოში „ამოყინვის" სახელწოდებით გამოვლენილი ჩვეულება კავშირშია შუა საუკუნეებში გავრცელებულ „მოყინვებასთან", რაც გვიდასტურებს საჯარო წყევლის ადრეულობას. ანალოგიური წესი საქართველოს ზოგიერთი კუთხის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც არსებობდა.[32]

ამგვარად, სათემო მოედანი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებაში, მაგრამ მისი როლი იურიდიულ-პროცესუალური საკითხების რეგლამენტაციით როდი ამოიწურებოდა. მოედნებზე საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული თითქმის ყველა საერთო-სათემო საჭირბოროტო საკითხი განიხილებოდა. მოედანი, თამაშობდა რა განსაკუთრებულ როლს თემის ცხოვრებაში, იმაყვრიულად,

---

26 ზ.ჩიტაძე. მმართველობისა და თვითმმართველობის ფორმები აჭარაში (XV-XIX სს). ბათუმი, 1978, გვ. 42.

27 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 24.

28 ლ.ბოჭორიშვილი. აჭარაში 1974 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. – სდსკკ, IV, თბ., 1976, გვ. 155.

29 ნ.ნოდიაშელი. ხატოვან სიტყვათა – თქმათა ზოგიერთი ნიმუში აჭარულ დიალექტში. – „ჭოროხი". ბათუმი, 1975, გვ. 75.

30 ი.დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ., 1953, გვ. 33,37, 65, 85, 94,140, 328.

31 იქვე, გვ. 360.

32 ნ.მგელაძე. ბალსზემო სვანეთის (ლატალი-მესტია-უშგული) ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები. რვ. №1, 1997.

ახდენდა ზეგავლენას დასახლების სტრუქტურასა და მის არქიტექტურულ გაანაშენიანებაზე.

თემში გაერთიანებული თითოეული სოფელი უშუალოდ იყო დაკავშირებული მოედანთან. სოფლებში წარმოდგენილ სახლობებს შორის ურთიერთობის ხასიათს კი, როგორც აღინიშნა, სწორედ მოედანი და მოედანზე გამართული სათემო ყრილობა განსაზღვრავდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აჭარაში სათემო თავყრილობისათვის განკუთვნილი მოედნები, ასევე, ითვლებოდა თემის საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ ცენტრად. საკუთრივ სოფლებსა და უბნებსაც გააჩნდათ თავიანთი მოედნები, რომლებიც საერთო-სათემო მოედნებთან ერთობლიობას ქმნიდა.

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა აჭარაში ფეხი მოიკიდეს, მოედნებზე გამოჩნდა მეჩეთები მინარეთებით, რომელთა მახლობლად განლაგებული იყო სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი თუ კერძო ნაგებობები – დუქნები, სამჭედლოები, შადრევნები ტალავარ-ხეირენებით და ა.შ. ზოგიერთ მეკომურს დუქანი კარ-მიდამოშიც კი ჰქონდა, სადაც პირველადი მოხმარების საგნები იყიდებოდა. ნაწარმი შემოჰქონდათ ახალციხიდან, არდაგანიდან (არტაანი), ბათუმიდან. საეკლესიო კონტაქტები ოზურგეთამდე, ფოთამდე და თბილისამდეც კი აღწევდა. გასაყიდად გაპქონდათ რძის პროდუქტები (კარაქი, ნადუღი, ყველი), სანაცვლოდ იძენდნენ ნავთს, მარილს, ასანთს, ქსოვილს და ოჯახისათვის აუცილებელ საჭირველს.[33]

საზოგადოებრივი თავშეყრა ხდებოდა აგრეთვე შადრევნებთან და წყაროს წყლებთან. საერთოდ, საკულტო ნაგებობებთან ახლოს წყარო-შადრევნები გამართული იყო მოედნის მისასვლელთან ან გზის პირას და წარმოადგენდა ნათალი თეთრი ქვისაგან ნაგებ შეიდწახნაგოვან ღია აუზს.[34]

წყაროების, შადრევნების, ისევე როგორც რუს მოედა-პატრონობა, წყლის განაწილება და მათზე ზედამხედველობა საგანგებოდ გამოყოფილ პირს – მეწყლეს ევალებოდა. იგი გაწეული შრომის საფასურად სათანადო ნატურალურ და ფულად ანაზღაურებას იღებდა. მის საქმიანობაში შედიოდა სათემო და სასოფლო გზების მეთვალყურეობა, მონტაჟურ წყალზე კელების „გაყვანა". მიუხედავად ამისა, ხშირად სახმარ და სარწყავ წყლების თავად თემი და მეთემეები უვლიდნენ და მფარველობდნენ, რადგან ეს საზოგადოებრივ საქმედ ითვლებოდა.

აჭარის საზოგადოებრივი ყოფის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სასტუმრო სახლების მშენებლობის ტრადიცია.[35] სასტუმროები სათემო მოედნის ახლოს აიგებოდა. ზოგიერთი სასტუმრო შადრევნის თავზეც შენდებოდა, სადაც მეორე სართული მჭაერთათვის იყო განკუთვნილი. ღამის გამთევი, როგორც წესი, ღამის გათევისა და ყვირბაში საფასურს არ იხდიდა. სტუმართათვის განკუთვნილი სასტუმრო სახლების მოედა-პატრონობა სათემო გამგებლობაში შედიოდა. თითოეული ოჯახი ეალდებული იყო მორიგეობით მომსახურებოდა „სასტუმრო სახლს". დაიცვა წესრიგი, უზრუნველყო სასტუმრო ლოგინით, წყლით, შეშით, ცხენის საკვებით, დროულად შეეკეთებინა სახურავი და ა.შ. უსასყიდლო სასტუმროების მშენებლობის ტრადიცია უძველესია და იმ ეპოქაში ვარაუდობენ, როცა სასოგადოება სოციალურად ჯერ კიდევ არ იყო დიფერენციირებული.

აჭარაში სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებული წესები დაუწერელი კანონი იყო და იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. სასტუმრო სახლებს, ანუ „მეიდან-ოდებს" ცალკეული ოჯახებიც აგებდნენ. მათ ხშირად შეხვდებოდით შავიზღვისპირა ზოლის სოფლებშიც. დადასტურებულია შემთხვევები, როცა კარმიდამოში ორი საცხოვრებელი სახლი იდგა, რომელთაგან ერთი ოჯახის წევრთათვის, ხოლო მეორე – სტუმართათვის იყო გან-

33 ნ.ბგელაძე. საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან ზემო აჭარაში. – „ჭოროხი", №6. ბათუმი, 1980, გვ. 84.

34 ი.ადამია. დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

35 თ.სახოკია. მოგზაურობანი. თბილისი, 1950, გვ. 114.

ქუთაისი. სასტუმროში ერთი ოთ.ახი მაღალი წრის, მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელი სტუმრისათვის იყო გამი'ნული, ხოლო დანარჩენი – ჩვეულებრივი მეთვისათვის. სახლობის უფროსი სტუმრისგან ანსამოუკლოს არ ღებულობდა. სასტუმრო სახლის გარდა, სტუმრის მოსასვენებელი, კეთილმოწყობილი ოთახის სახით, ოჯახის საკეთილ-ვრებელ ბინაშიც იყო განთავსებული.

ამრიგად, აჭარაში საზოგადოებრივი თავშეყრის სამ ტიპის მოედანი გამოიყოფოდა: სათემო, სასოფლო და საუბნო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოედნების საკულტო დანიშნულებაც გაჩენდა, სადაც თემი მართავდა ღღესასწაულებს, აზეობდა მსხვერპლშეწირვასა და სხვადასხვა ხასიათის რიტუალებს, მაშინ ენახავთ, რომ ბაზარი თავშეყრების ადგილები საკმაოდ ფართო ფუნქციას ასრულებდა. თუმცა საზოგადოებრივი თავყრილობის მოედნები და საკულტო ადგილები ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მოედანი უმეტესად თემისა და სოფლის ცენტრში მდებარეობდა და შიდასათემო გზებსა სოფლებსა და სოფლის უბნებში წარმოდგენილ სახლთმეურნეობებს ერთმანეთთან აკავშირებდა. სათემო დასახლება მოედნის ირგვლივ ყალიბდებოდა. მოედანი რჩებოდა იმ ადგილად, სადაც საზოგადოებრივ ყოფასთან და საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა. საზოგადოებრივი შეკრების ადგილის საბაზრო მოედნად ქცევა თემის შიგნით საკვრო ურთიერთობის წარმოქმნისა და აღებ-მიცემობის განვითარებას უკავშირდება. თუმცა აჭარის მთიანეთში საბაზრო მოედანი სუსტი და განუვითარებელი იყო, რაც კუთხის რელიეფმა, ეგზოტიკამ და მეურნეობის თვითკმარმა ხასიათმაც განაპირობა.

§3. ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება (XII ს.– XIX ს. I ნახევარი)

ბათუმის საქალაქო ცხოვრება, რომელიც სათავეს იღებს ანტიკური ხანიდან,[1] დიდ განვითარებას აღწევს XII-XV საუკუნეებში. წინა აზიაში თურქ-სელჩუკების გაბატონებამ (XI-XIII საუკუნეები) მთლიანად გადაკეტა საქართველოდან ბიზანტიაში მიმავალი ხახმეულეთო გზები, რამაც საქართველოსა და ბიზანტიას შორის საზღვაო ურთიერთობა ქალაქ-ნავსადგურების, მათ შორის, ბათუმის მეშვეობით კიდევ უფრო ინტენსიური გახადა.[2] ამას დაემატა ისიც, რომ თურქ-სელჩუკთა წინა აზიაში გაბატონებამ და გამუდმებულმა რბევა-თარეშმა გამოიწვია მსოფლიო სატრანზიტო გზების ("აბრეშუმის გზა") საქართველოში გადმონაცვლება. მისი ერთი შტო გადიოდა ბათუმზე და ახალციხე-თბილისის გავლით მიემართებოდა კასპიისპირეთისა და სპარსეთისაკენ, აქედან კი ინდოე-

---

[1] ს.ყაუხჩიშვილი. ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. – ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ.V. ქუთაისი, 1950-951; ა.ახალაძე. დ.ხახუტაიშვილი. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინა ანტიკური და ანტიკური ხანა). – სდსძ, XVIII, თბ., 1989; ა.ახალაძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1871; მისივე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. – სდსინ (აჭარა), I, თბ., 2007; თ.ყაუხჩიშვილი. ანტიკური წყაროები ბათუმის ისტორიისათვის. – სდსძ, XVI, თბ., 1987; ა.ინანიშვილი. ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. – კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ნ.ვაშაკიძე. აჭარა ელინისტურ ხანაში (მეურნეობა, საერთაშორისო სავაჭრო კავშირები). – სდსინ (აჭარა), I, თბ., 2007; ელ.სიჯანავა. ქალაქ ბათუმის ძველი ისტორიიდან. – ბათუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, ბათუმი. 1962; ჯ.ჩხეიძე. ბათუმი. ბათუმი, 1959; Кальфоглу И.И. Древнейшие известия о Батуме. - ИКОИРГО, XVIII т. №1, Тифлис, 1905.

[2] თ.ბერაძე. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბ., 1981; გვ. 167; მისივე. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, с. 71-72.

თისა და ჩინეთისაკენ.[3] ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაზარდა ბათუმში საქალაქო ცხოვრება, რომელიც განსაკუთრებით წინ წავიდა დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარის მეფობის (1184-1213) ხანაში. ბათუმი გახდა მნიშვნელოვანი საზღვაო ქალაქი, სადაც ღუზას უშვებდნენ გემები ქართული და უცხოური ალმებით.

ბათუმის საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა და გაჩნდა საქალაქო დასახლებები. იგი მოიცავდა მდ. ყოროლისწყლის შესართავიდან მარცხენა სანაპიროს გაყოლებით ერცელ ტერიტორიას ე.წ. მენავეობეთა (თამარის) დასახლების ჩათვლით.[4] ამ ვითარების ანარეკლი უნდა იყოს ტოპონიმი ორთაბათუმი, რაც შუა ბათუმს, ანუ შუა უბანს ნიშნავს. ქალაქის სამხრეთი საზღვარი აღწევდა მდ. ბარცხანამდე. ბათუმი რომ აღნიშნული პერიოდისათვის საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა, ამაზე ნათლად მეტყველებს XIX საუკუნეში შემორჩენილი ქალაქის კედლისა და ეკლესიების ნაშთები. ერთი ეკლესია მდებარეობდა მდ. ყოროლისწყლის შესართავთან; მეორე – ამავე მდინარის მარცხენა სანაპიროზე, შესართავიდან დაახლოებით 1 კმ დაშორებით; ხოლო მესამე – მდ. ბარცხანის შესართავთან ახლოს, მარჯვენა მხარეს.[5] ისტორიკოს დ. ბაქრაძის ცნობით (მან 1874 წ. მოინახულა ბათუმი), წარსულში ბათუმი მდებარეობდა დიდ მოვაკებულზე, ყოროლისწყლის მარცხნივ, სადაც მის დროსაც შემორჩენილი ყოფილა დიდი კედლის და ექვსი-შვიდი ეკლესიის ნაშთები.[6]

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გახშირდა იტალიელთა საჯაჭრო ურთიერთობა ბათუმთან, რაც დაკავშირებულია იტალიელების მიერ აზოესა და შავიზღვისპირეთში საჯაჭრო კოლონიების (კაფა, ტამანი...) დაარსებასთან. საქართველოს ზღვისპირეთში მსგავსი დასახლება იყო სებასტოპოლისი (ცხუმი).[7] შესაბამისად, გაიზარდა ევროპის დაინტერესება ბათუმის მიმართ. ამან ასახვა ჰპოვა საჯაჭრო-სანოტარო დოკუმენტებში, სხვადასხვა დროს შედგენილ რუკებზე.[8] სადაც ბათუმი მოიხსენიება შემდეგი სახელებით: ვატი (Vati), ლოვატი (Lovati), ვათანი (Vathan), ბოთანი (Bothan).[9] ევროპულ საზღვაო რუკებზე ბათუმი მითითებულია ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული ნიშნებით. ჯ. გასტოლდის რუკაზე ბათუმთან ერთად გამოსახულია იალქნიანი გემი, რაც, იმაზე მიანიშნებს, რომ ბათუმი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სანავსადგურო ქალაქს.[10] ამ პერიოდის ბათუმი ფეოდალური ხანის ტიპური ქალაქია, რომლის მოსახლეობა მისდევდა ხელოსნობას, ვაჭრობას, ნაოსნობას და ნავმშენებლობას, თევზის რეწვას. 1426 წ. ბათუმი მოუნახულებია გერმანელ

---

[3] თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[4] Кальфоглу И.И. დასახ. ნაშრომი, გვ. 40-41.

[5] Проскуряков Я. Заметки о Турции. - ИКОПРГО, кн. XXV, Тифлис, 1905; Вількенский Л. История Батумского края. - Сб., Батумское побережье, Батумь, 1911, с. 35, იბეჭდირებული. აჭარის სტუმრები. ბათუმი, 1978, გვ. 4-5.

[6] დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 27.

[7] თ.ბერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 178-180; მისივე: საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან XII-XV ს.ს. – „მაცნე" (ისტორიის სერია), თბ., 1983, №2, გვ. 28-31; გენუელთა საჯაჭრო ფაქტორები შავიზღვისპირეთში XII-XV საუკუნეებში. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I, თბ., 1977, გვ. 585; Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, с. 89-94.

[8] ია. ალთვაბაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004; ე.მამისთვალიშვილი. საქართველოს პანს შილტბერგის „მოგზაურობის წიგნში". – „მაცნე" (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1982, №2; მისივე. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1981; თ.გვანცელაძე. 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფსახთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია. – „ურნ. „არტანუჯი" 1997, №6.

[9] ელ.მამისთვალიშვილი. საქართველოს პანს შილტბერგის „მოგზაურობის წიგნში", გვ. 113. მისივე. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 55, 64; თ.გვანცელაძე. დასახ. ნაშრომი; Берадзе Т. დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[10] თ.გვანცელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

მოგზაურს ჰანს შილტბერგს. თავის „მოგზაურობის წიგნში" იგი ქალაქ ბათუმს, ანუ ვათინს მეგრელის (სამეგრელოს) მხარის მთავარ ქალაქად ახასიათებს.[11]

ბათუმის ისტორიის ერთ-ერთ საყურადღებო ეპიზოდს წარმოადგენს 1445 წ. აპრილში ბურგუნდიელთა თავდასხმა ქალაქზე. ისინი კატარღით ადგნენ ბათუმს, შეეცადნენ გადმოესხათ აქ დესანტი და გაეძარცვათ ქალაქი, სადაც აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა დიდძალი საქონელი. ქალაქის დამცველებმა მომხდურები სასტიკად დაამარცხეს, მათი მეთაური ყოფრუა დე ტუაში კი ტყვედ ჩაიგდეს. ტუაში ბათუმელთა ტყვეობაში ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა. მხოლოდ ტრაბზონის იმპერატორის შუამდგომლობით მოხერხდა ქართველთა ტყვეობიდან მისი განთავისუფლება.[12]

1472 წლის ზაფხულში გენუელ ვაჭრებთან ერთად ბათუმში ჩამოვიდა ვენეციელი დიპლომატი და მოგზაური იოსაფატ ბარბარო და საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ამ პერიოდის ბათუმის შესახებ. ბარბარო ქალაქ ბათუმს Vathi-ის სახელით მოიხსენიებს, სადაც მიმოქცევაში ყოფილა ქართული თეთრი.[13] 1474 წლის ივნისში ბათუმი ახალციხეზე გამოვლით მოინახულა ვენეციის ელჩმა სპარსეთში ამბროჯო კონტარინიმ. მისი დახასიათებით, ბათუმი იყო ციხე-ქალაქი.[14]

XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან მძიმე პერიოდი დაუდგა საქართველოს: ოსმალებმა სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად 1578-1579 წლებში დაიკავეს ბათუმი.[15] ამიერიდან, ვიდრე XIX ს. 80-იან წლებამდე ბათუმი დადმაელობას განიცდის. დაცემის გზაზე დადგა ვაჭრობა, ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება.

1614 წელს ბათუმს ეწვია ფრანგი მისიონერი, იეზუიტების ორდენის წარმომადგენელი ლუი გრანეე. მისი თქმით, აქაური მოსახლეობა განიცდიდა შეეიწროებას იმის გამო, რომ ქრისტიანები იყვნენ. მიუხედავად ამისა, გრანეეს დახასიათებით, „ბათუმი საქართველოს ნავსადგურად"[16] რჩებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პერიოდის ბათუმი გარკვეულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და ოსმალეთისათვის ხარკის გადახდით შემოიფარგლებოდა. ოსმალური წყაროების მიხედვით, XVII საუკუნის პირველ ნახევარში ბათუმის ციხეში დამპყრობთა გარნიზონი არ ჩანს. ოსმალთა მეციხოვნე რაზმი აქ მოგვიანებით, XVII საუკუნის 90-იან წლებში ჩამდგარა. ოსმალებს 1704 წელს ჩაუტარებიათ ციხის აღრეკონსტრუქციო სამუშაოები.[17] ვითარების შესაბამისად, ციხეში იდგა 150-დან 500-მდე მეციხოვნე.[18] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ბათუმი მცირე ქალაქი" იყო, რომელსაც კარგი ციხე ჰქონდა.[19] ოსმალების ბატონობის ხანაში ბათუმი დიდხანს ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. აქ საკმაოდ ჩამოდიოდნენ საქართველოს შიდა რაიონებიდან.[20]

XVIII საუკუნეში იწყება საქალაქო ცენტრის თანდათანობით განადგურება სამხრეთით, ყურეს მიმართულებით, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო XVIII ს. მეორე ნახევ-

---

11 ე.მამისთვალიშვილი. საქართველო ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნში", გვ. 108.

12 თ.ბერაძე. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან. გვ. 38; მისივე. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, с. 145-146.

13 Барбаро Иосафат. Путешествие в Тану. - Барбаро и Контарини о России. Л., 1971, с. 138-139.

14 იქვე. გვ. 215-216.

15 თ.ბერაძე. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, გვ. 82; მისივე. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, с. 214.

16 ვ.თამარაშვილი. ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის. თბ., 1902; გვ. 138; იაპექირიშვილი. უცხოელების თვალით დანახული აჭარა. ჟურნ. „ჭოროხი", 1888, №4, გვ. 82.

17 ის. XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, I, თბ., 1987, გვ. 80-81.

18 იქვე. გვ. 50, 69-70, 178, 185-186. საქართველოს ზღვისპირა რეგიონებთან გართულებული მდგომარეობის გამო 1704 წ. ბათუმის ციხეში ჩააყენეს ოსმალთა 600-კაციანი გარნიზონი (იქვე. გვ. 178; Берадзе Т. დასახ. ნაშრომი, გვ. 221-222).

19 ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 176.

20 რ.უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში. ბათუმი, 2001, გვ. 73.

რიდან. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მდ. ყოროლისწყალის შესართავთან მოწყობილი ქალაქის ძველი ნავსაყუდელი უკვე მოუხერხებელი იყო დიდი სახლვაო გემებისათვის. საშრეთით კი საამისოდ მოხერხებული ბუნებრივი პირობები არსებობდა. ოსმალური გემები სწორედ აქ ნერდებოდნენ.[21] ყურეს გარშემო არსებული ერცელი დაბლობი შესაძლებლობას იძლეოდა ახალი საქალაქო უბნების გასაშენებლად.

XIX საუკუნის დამდეგისათვის უკვე ძირითადად დამთავრებული ჩანს საქალაქო ცენტრის ზღვისპირა ყურესთან გადანაცვლების პროცესი, მაგრამ ბათუმის ციხე XIX ს. 10-იან წლებამდე ფუნქციონირებდა.

აღნიშნული პერიოდის ბათუმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ადრიან დიუპრე, რომელმაც იგი მოინახულა 1807 წელს. მან ბათუმი დაახასიათა, როგორც მოზრდილი ზღვისპირა სოფელი 2000-მდე მცხოვრებით. მოგზაური წერს: „აქა-იქ მიმოფანტული სახლებით იგი უფრო ერცელ სოფელს წააგავს, ვიდრე ქალაქს. ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპიროზე. რეიდი დაცული არ არის სამაგრეებით. ბაზრის შესასვლელთან მხოლოდ ერთი, თხრილით გარშემოვლებული, უქვემეხო, ქვის საძირკველიანი და ხით ნაშენი კოშკი დგას. ბაზარში ორმოცდაათიოდე უხეირო დუქანია, სადაც იაფფასიანი საქონლით ვაჭრობენ. აქ შემოსულ პატარა და დიდი ზომის ხომალდებს ძირითადად შემოაქვთ რკინა, მარილი, საპონი და ქსოვილი.[22]

აღნიშნული ცნობიდან ჩანს, რომ ბათუმში უკვე იგრძნობა საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: მოქმედებს ბაზარი, დუქნები, წარმოებს აღებ-მიცემობა, გემებით შემოაქვთ და გააქვთ სხვადასხვა საქონელი. ქალაქს ჰყავს კომენდანტი.

ბათუმის ახალი უბნების გაშენების მიზნით, 1807 წ. ოსმალეთის ხელისუფლებამ ნება დართო თურქ და ბერძენ ემიგრანტებს ქალაქის ტერიტორიაზე არენდით აეღოთ მიწის ნაკვეთები.[23] სულთნის 1826 წ. ფირმანის მიხედვით, ბათუმის წლიური შემოსავალი შეადგენდა ორი ათას პიასტრს[24] (დაახლოებით 18181 რუბლი).

ბათუმში საქალაქო ცხოვრების განვითარება შედარებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს XIX ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რასაც ბიძგი მისცა ნაოსნობის გამოცოცხლებამ.

ბათუმის მთელი ისტორია, აქ საქალაქო ცხოვრების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ზღვაოსნობასთან. ამ პროცესს ხელი შეუწყო ბათუმის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და უადრესად მოხერხებულმა ბუნებრივმა სანავსადგურო პირობებმა. ვაჭრობისა და სახლვაო ნაოსნობის განვითარებას თავის მხრივ ბიძგი მისცა კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ.

XIX საუკუნიდან იწყება დასავლეთის სახელმწიფოთა სწრაფვა — ბათუმის გზით დაემყარებინათ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთის მდიდარ რაიონებთან. ეს იმით აიხსნება, რომ ჯერ ერთი, შავიზღვისპირეთის პუნქტებს შორის ბათუმი გამოირჩეოდა თავისი სახლვაო-სანავსადგურო პირობებით, იგი ფლობდა მეუდრო ბუნებრივ ნავსაყუდელს. მეორეც, ბათუმიდან უმოკლესი და შედარებით უხიფათო სახმელეთო გზით შეიძლებოდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანასთან, პირველ რიგში, ამიერკავკასიის ქვეყნებთან. ასეთ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალურმა რეჟიმმა რამდენადმე დასცა მხარის სამეურნეო ცხოვრება, მაინც იგრძნობოდა ზღვაოსნობის გამოცოცხლება. ბათუმის გარდა, თითქმის მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ მოიპოვებოდა

---

21 Кальфоглу И. დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

22 ტუტაბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 262-263.

23 Кальфоглу И. დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

24 Батумское побережье. Под ред. Анисимова. Батуми, 1911, с. 31.

ისეთი მოხერხებული საზღვაო პუნქტი, სადაც გემებს ყოველგვარ ამინდში შეეძლებოდათ შესვლა და სატვირთო ოპერაციების წარმოება. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუს" 1878 წელს წერდა: „ბათუმის ნავსადგური ერთადერთი უსაფრთხო ნავსაყუდელია შავი ზღვის მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე. აქ წყალი იმდენად ღრმაა, რომ ყველა დიდ გემს შეუძლია ჩაუშვას ღუზა ნაპირის ახლოს. გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა შეიძლება ყოველგვარ ამინდში. ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ქარები, რომლებიც აღწევენ კავკასიის ნაპირებს, არასოდეს არ უბერავენ ბათუმის ნავსაყუდელის სანაპიროს".[25]

სწორედ მოხერხებული სანავსადგურო პირობების გამო იყო, რომ გემები ფოთსა და სხვა საზღვაო პუნქტებში ღია რეიდზე დგომას ამჯობინებდნენ ბათუმის უხიფათო ნავსადგურში შესვლას. გახშირდა გემების მიმოსვლა. თუ ადრე აქ მხოლოდ თურქეთის გემები შემოდიოდნენ, უკვე 60-იანი წლებიდან სისტემატურად შემოდიან რუსეთის სანაოსნო საზოგადოების, ინგლისის, საფრანგეთის, ნორვეგიის, იტალიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების სავაჭრო გემები. ამის შესახებ წერდა ინგლისის ტრაპიზონელი კონსული ჯ. ჰალგრეკი 1867–1868 წლების ანგარიშებში.[26]

ამავე პერიოდიდან დაიწყო რეგულარული საზღვაო მიმოსვლა ბათუმსა და რუსეთ-თურქეთის შავიზღვისპირა პუნქტებს შორის. 1863 წლისათვის ბათუმს კავშირი ქონდა ყირიმ-კავკასიის სანაოსნოს ხაზის 14 და ანატოლიის სანაოსნოს ხაზის თითქმის ყველა ზღვისპირა პუნქტთან.[27] ბათუმსა და ყირიმ-კავკასიის სანაოსნო პუნქტების შორის მიდიოდნენ რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემები, რომლებიც თვეში ბათუმის მიმართულებით, ასრულებდნენ ორ რეისს. დაწესებული იყო გემებით მგზავრობისა და ტვირთის გადატანის ტარიფები.[28] 70-იანი წლებიდან გემების მიმოსვლა ინტენსიურ ხასიათს ღებულობს. მყარდება საზღვაო კავშირი აზოვის ზღვის ნავსადგურებთან. 1875 წლისათვის ბათუმს საზღვაო კავშირი ჰქონდა შავი და აზოვის ზღვების 31 პუნქტთან. საფუძველებით ყირიმ-აზოვ-კავკასიის სანაოსნოს გემები ბათუმის მიმართულებით ასრულებდნენ კეირაში ორ რეისს, შემოდგომით კი – ერთს. ასეთივე რეისებს ასრულებდნენ ანატოლიის სანაოსნო ხაზის გემები, რომელთაც ემსახურებოდა რუსეთის სანაოსნო საზოგადოება.[29]

ბათუმის საბაჟოს 1867 წლის ცნობებით, ნავსადგურში ყოველწლიურად შემოდიოდა სხვადასხვა ქვეყნის დაახლოებით 470-მდე სავაჭრო გემი, რომელთა 40%-ს შეადგენდა ორთქლის, ხოლო 60%-ს – იალქნიანი გემები. ბათუმის ნავსადგურით წლიური გემთბრუნვის საერთო რაოდენობა შეადგენდა 938 გემს, რაც შესაბამისი პერიოდის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს პორტებით გემთბრუნვის დაახლოებით 40%-ს უდრიდა.

ყოველივე ეს ზრდიდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის მაჩვენებლებს. ძირითადად შემოქონდათ სხვადასხვა მანუფაქტურული ნაწარმი, სპირტიანი სასმელები და სხვა. მაგალითად, ინგლისიდან შემოდიოდა მანჩესტერის საფეიქრო ნაწარმი, რუსეთიდან – ქვანახშირი, რკინა, მარცელეული, საფრანგეთიდან – შაქარი და სხვა. გაქონდათ ხეტყე, აბრეშუმი, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი.

1859 წლისათვის ნავსადგურის ტვირთბრუნვის ღირებულებამ შეადგინა 1.717.953 რუბლი. საბაჟოს მონაცემით, 1867 წლისათვის ტვირთბრუნვის წლიური მოცულობა უდრიდა

---

25 რ.უზუნაძე. საზღვაო ნაოსნობის ისტორიიდან ბათუმის ოლქში (XIX ს-ის 60-70-იანი წლები). – სდსგ, თბ., 1988, გვ. 88.

26 Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области. - Отчет В.Джиффорда Пальгрева о провинциях Анатолии за 1867-1868, 1869-1872 годы. Тифл., 1882, с. 47.

27 Кавказский календарь, Тифл., 1863, с. 7.

28 იქვე. გვ. 10-11.

29 Кавказский календарь, Тифл., 1876, с. 204.

2.268.000 რუბლს, აქედან 1.194.000 რუბლი შემოტანაზე მოდის, 1.074.000 რუბლი გატანაზე.[30]

ამრიგად, საკმაოდ ინტენსიურმა ნაოსნობამ, დასავლეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რაიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ზრდამ, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ბათუმში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას. „ბათუმში ყოველდღე სულ უფრო იგრძნობა გამოცოცხლება და ზრდა, როგორც მოსახლეობის, ისე ვაჭრობის მხრივ", – წერდა იტალიის კონსული ბათუმში მალმუზი.[31]

სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების კვალობაზე 1856 წელს ბათუმში გაიხსნა რუსეთის საკონსულო. ეიცე-კონსულად დაინიშნა ა. ჯუდიჩი.

ბათუმში რუსეთის საკონსულოს გახსნის საკითხი დაისვა ჯერ კიდევ XIX ს-ის 40-იან წლებში. 1846 წელს მეფისნაცვალი ამიერკავკასიაში მ. ვორონცოვი სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს თხოვდა „თურქეთის ნავსადგურ ბათუმში რუსეთის საკონსულოს დაარსების შესახებ."[32] მაგრამ ამ პერიოდში არსებულმა რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ყირიმის ომის დამთავრებამდე გადადო აღნიშნული საკითხის მოგვარება. შემდეგ დაარსდა ირანისა და იტალიის საკონსულოები. 1858 წ. გაიხსნა რუსეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის საზოგადოების სააგენტო, საბაჟო, საკარანტინო სახლი. აგრეთვე სანკტ-პეტერბურგის სადაზღვევო კომპანიის განყოფილება (მდებარეობდა დღევანდელი ლუკა ასათიანის ქუჩაზე №7). პალგრეევის ცნობით, მოქმედებდა სატელეგრაფო სადგური, ფოსტა.

შესამჩნევად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა: თუ 1850-იანი წლებისათვის იგი შედარებით უმნიშვნელო იყო, 1872 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 4970 კაცს. ბათუმში ცხოვრობდნენ ქართველები, აგრეთვე აფხაზები, ჩერქეზები, ბერძნები, სომხები, თურქები.[33] ამას უნდა დაემატოს სხვა დროებით ჩამოსულებიც.

მნიშვნელოვნად იზრდება ბათუმის სანაოსნო გზით მგზავრთა გადაყვანა. რასაც ბიძგი მისცა გემების მიმოსვლის გაფართოებამ და, შესაბამისად, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებამ. მგზავრები მოდიოდნენ თურქეთიდან, დასავლეთ საქართველოს მეზობელი რეგიონებიდან, აგრეთვე უცხო ქვეყნებიდან. ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იყო როგორც ორთქლის, ისე იალქნიანი გემები. 1867 წელს ბათუმში ხელეთ შემოვიდა 32 ათასი კაცი, ხოლო გადაყვანილი იქნა 24 ათასი მგზავრი.[34]

აღსანიშნავია, რომ მგზავრთა გადაყვანა საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა ბათუმ-ფოთის სანაოსნო გზით, რასაც ხელს უწყობდა ქალაქის მოხერხებული სასაზღვრო მდებარეობა და ის განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც მაშინ არსებობდა „ოსმალეთ საქართველოსა" და რუსეთს შორის. აღნიშნულ ხაზზე მგზავრთა გადაყვანას ძირითადად ემსახურებოდა ფრანგული სანაოსნო კომპანიის გემი „რიონი". 1867 წელს ბათუმიდან ფოთში გადაყვანილთ დაახლოებით 16.700 მგზავრი, ხოლო ფოთიდან ბათუმში – 13.000.[35]

როგორც ირკვევა, დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულთა დიდ ნაწილს შეადგენდა მოსახლეობის ღარიბი ფენა. ქართველი გლეხობა ორიოდე გროშის საშოვნელად ბათუმში ძირითადად სეზონურ სამუშაოზე ჩამოდიოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმში ჩამოსულთა რიცხვს საგრძნობლად სჭარბობდა გასულთა რიცხვი. მგზავრთა დიდი ნაწილი, როგორც ჯ. პალგრეევი შენიშნავდა, უკმაყოფილო იყო ოსმალური რეჟიმით და ცდილობდა თავი შეეფარებინა საქართველოს სხვა

30 რ.უზუნაძე. ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1997, გვ. 24-25.

31 Малмуз Г. Состояние города и порта Батуми, август 1873 г. - ИКОИРГО, т. 3, Тифл., 1874-1875, с. 35.

32 Акты КАК, X, Тифл., 1885, с. 183.

33 რ.უზუნაძე. ბათუმის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან. ჟურნ. „ჭოროხი", 1991, №4, გვ. 72.

34 Дж.Палгрев. დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

35 იქვე, გვ. 121.

რაიონებისთვის. როგორც ჩანს, აჭარის მოსახლეობის ოსმალთა რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ეს ფორმა საკმაოდ ფართო ხასიათს ატარებდა.

საქალაქო ცხოვრების ზრდის კვალობაზე იზრდებოდა თვით ქალაქიც. 70-იანი წლებისათვის ქალაქის საზღვრები აღწევდა ნურის ტბამდე, მაგრამ, ფაქტობრივად, დასახლებული იყო ტერიტორია ნაესადგურის ზღვისპირა ზოლიდან მოყოლებული, დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩამდე, რომლის იქით იწყებოდა გაუვალი ჭაობიანი ადგილები. ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ქმნიდა ეკრე და მისი მიმდებარე ტერიტორია. ქალაქი თოფოლა ხეთ უბნად: ახიზიე, ნურიე, ახმედიე, მუფთიე, ხარი-სუ.

ჯ. პალგრევის ცნობით, 1867–1868 წლებისათვის ბათუმში ითვლებოდა 246 სახლი,[36] რომელთა რიცხვი შემდგომ წლებში თანდათანობით იზრდებოდა.[37] ძირითადად გაურკვლებელი იყო ორსართულიანი ხის სახლები, გამონაკლისს შეადგენდა ქვის შენობებიც (რუსეთის ვიცე-კონსულის სახლი, ლაზი მაჰმუდის სასტუმრო და სხვ). ყველა სახლთან გაშენებული იყო ბაღი.[38] მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ქალაქში საგრძნობლად გაძ�irდა მიწა.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან ბათუმი ლაზისტანის საფაშოს მთავარი ადმინისტრაციული ცენტრია. აქ მოთავსებული იყო მუთესერიფის (გუბერნატორის) რეზიდენცია, რომელიც. პალგრევის დახასიათებით, წარმოადგენდა აღმოსაველური ტიპის, უგემოვნოდ ნაგებ ხის დიდ შენობას, აგრეთვე მეჯლისი, სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული დაწესებულებები.

ბათუმში დღითი-დღე ვითარდებოდა ვაჭრობა. ქალაქის ქუჩები და მოედნები მოფენილი იყო დუქნებით, მაღაზიებით.[39]

დ. ბაქრაძის ცნობით, 1873 წლისათვის ბათუმში ითვლებოდა 800-მდე დუქანი. აქ ადგილობრივი და შემოტანილი საქონლით ვაჭრობდნენ ლაზები, ბერძნები, თურქები, სომხები და ადგილობრივი მცხოვრები. გაცხოველებული ვაჭრობა იმართებოდა ქალაქის ცენტრალურ სავაჭრო უბანში, სადაც 200-ზე მეტი დუქანი იყო. აღნიშნული პერიოდის ბათუმის აღმოსაველური ტიპის ბაზრისათვის დამახასიათებელ მჩქეფარე, ხმაურიან, სიცხლსავსე ცხოვრებას 1872 წელს საინტერესოდ აღწერდა ნ. ნიკოლაძე. იგი წერდა: „ბათუმის ბაზარს რომ მიეუახლოვდი, ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო, ხალხი ბაზარში ცოტა ნაკლებად იპოვებოდა, მაგრამ ვაჭრები კი დიდ ამბავში იყვნენ: ზოგი დუქანს ჭკეტავდა, ზოგი მოგებას ითვლიდა, ზოგი მეზობელს ებრძოდა, ზოგი მუშტარზე ლაზღანდარობდა". ნ. ნიკოლაძე აქ შეხვდა ერთ ადგილობრივ მოხუცს, რომელიც კვერნის ტყავით ვაჭრობდა. მოხუცთან საუბარში იგრძნობოდა მოსახლეობის შეურიგებლობა ოსმალო დამპყრობლისადმი. ნ. ნიკოლაძე ამ შეხვედრას ასე გადმოგვცემს: „ერთი მოხუცებული აჭარელი კვერნის ტყავს ითვლიდა თავის დუქანში და თავის შვილს დუქანს ახვევინებდა, დასაკეტად ამზადებინებდა. მე იმას შევეკითხე, და სანამ ის კვერნას მაშინვე ვინებდა, აჭარაზე და ქართულ ენაზე ლაპარაკი ჩამოვეგდე. მოხუცმაც ლაპარაკი გაბიმარია და მითხრა იმ რწმენებით და უეჭველობით, რომელიც მოხუცის ნაამბობს და ნათქვამს ნიადაგ აბეჭდია: — რაის იქს კაცი, თვარა ამ ამდალათი თათრებს თავს რაკი გაეალლეტინებდით. აქ არიან დიდგულები დედაგაქუცულები, თვარა აჭარაში, მთაში რაკი მოკვეკერები: კაი გულის პატრონი უნდა. რომ იქ მოიჭრას. მაშ ხარჯს როგორ კრეფენ-მეთქი. ეკითხე. რაკი და ბეგები ჰყავთ, თავადები, იგი ბოგს (ე.ი. კრეფს) და თათარს აძლევს— ვიდგომაც იცის ბეგმა, მარა თათარი ჩხუბს უქმს, ჯარს შეუსევს, მის თავს ფასად გაკეკმს".[40]

---

36 Дж. Палгрев. დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

37 რ.უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში, გვ. 92.

38 Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. Тифл., 1879, с. 59.

39 იქვე. გვ. 98.

40 ნ.ნიკოლაძე. თხზ. ტ. 3. თბ., 1963, გვ. 75-76.

ბათუმის ზრდის კვალობაზე შეიმჩნევა ქალაქის კეთილმოწყობის ნიშნები. ნაოსნობის ინტენსიური ზრდა მოითხოვდა ნავსადგურის კეთილმოწყობას. იგი დაექვემდებარა უშუალოდ ლაზისტანის მუთუსერიფს. დასავლეთის კონცხზე დიდგა ხის შუქურა ორმაგი სინათლით. აგრეთვე ნავმისადგომის ხის ბაქანი, რომელიც ააგო რუსეთის ეკონომიისა და ნაოსნობის საზოგადოებამ. ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობის ზრდა და ნაოსნობის ინტენსიური ხასიათი მოითხოვდა კეთილმოწყობის გაფართოებას გამოყენებული იქნა სასმელი წყალი. ქალაქის მცხოვრებლები იყენებდნენ ჭის წყალსაც.[41] არსებობდა რამდენიმე საერთო უბანი, სამი მეჩეთი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებელი ეკლესია, სომხურ-კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიები, ორსართულიანი სასტუმრო. სხვა შენობებს შორის გამოირჩეოდა ლაზი მაპშუდის სასტუმრო, რომელიც თურქულ-ევროპული გემოვნებით იყო მოწყობილი: შადრევნით, აბანოთი, ყაყახანიით და საბილიარდო დარბაზით.[42] ქალაქში მოქმედებდა აგრეთვე თურქული და ლაზური სკოლები.

შედარებით კეთილმოწყობილი იყო ქალაქის ზღვისპირა უბანი. ქუჩები ქვიშით იყო მოფენილი. სანაპიროზე ჩამწკრივებული იყო მაღაზიები, დუქნები, ყაყახანები, აღმინისტრაციული შენობები, გუბერნატორის რეზიდენცია, რუსეთის ვიცე-კონსულის სახლი, სასტუმრო, რომლებიც აგებული იყო ევროპული გემოვნებით.

სანაპიროდან ქუჩები მიემართებოდა ქალაქის ცენტრალური ბაზრისაკენ, რომელსაც თურქული ბაზარი ეწოდებოდა (იგი მოიცავდა გოგებაშვილის ქუჩიდან მაჩხიაშვილის ქუჩამდე ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთს და მის მდებარე ტერიტორიას). ამას იქით იწყებოდა „ბაყანტული უბანი".

აღნიშნული პერიოდისათვის ბათუმი მაინც ტოვებდა აზიური ქალაქის შთაბეჭდილებას თავისი მიმოფანტული, უგემოვნოდ ნაგები ხის შენობებით, ეიწრო, ჭუჭყიანი ქუჩებით. გარკვეული ძერების მიუხედავად, ბათუმმა ვერ გამოიყენა არსებული ბუნებრივი შესაძლებლობანი. ნ. ნიკოლაძე გულისტკივილით წერდა: „ცოდვა არ არის, ამისთანა, ბუნებისაგან მდიდრად დაჯილდოებული ბოღაზი, რომელიც აღტაბ-მიცემობით აყვავებული და გაბაბინებული უნდა იყოს, ასე ღარიბად გამოიყურებოდეს?[43] ამის მიზეზს იგი იმაში ხედავდა, რომ დედასამშობლოსგან ჩამოცილებულ ნავსადგურს ჩამოცილებული აქვნდა სასიცოცხლო არტერიები, რომელთაც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაში. ეს გარემოება მართლაც დიდად აფერხებდა მაშინდელი ბათუმის დაწინაურებას. იმდროინდელი გაზეთი „დილი ნიუსი" წერდა: „ბათუმის პორტი ამჟამად უსარგებლოა მსოფლიოსათვის და ასეთნაირი იქნება ყოველთვის, თუ იგი თურქების ხელში დარჩება. საუკეთესო მთავრობის ხელში კი იგი მალე მიაღწევს დიდ წარმატებებს თავის განვითარებაში".

ბათუმში საქალაქო ცხოვრების შემდგომი აღმავლობა და მისი დიდ საეკონომიკო სანაკადგურო პუნქტად გადაქცევა შესაძლებელი იყო მხოლოდ დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარება გზას უხსნიდა ბათუმს მსოფლიო ბაზრებისაკენ. ეს პროცესი მართლაც განსაკუთრებით დაჩქარდა აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ. ბათუმის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დადგა საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარებისა და ამერკავკასიის ერთ-ერთ უმსხვილეს სანავსადგურო სამრეწველო ცენტრად მისი გადაქცევის თვალსაზრისით.

---

41 დ.ბაკრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 24.

42 ემურეე. ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 23.

43 ნ.ნიკოლაძე. თხზ. ტ. 3. თბ., 1963, გვ. 76.

თავი IX

გვარსახელები. ონომასტიკა

§1. გვარსახელები

წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართული გვარსახელები VIII–IX საუკუნეებიდან ჩნდება, მაგრამ მათი წარმოშობა უფრო ადრეული პერიოდიდან ივარაუდება.[1] თაყდაჩირველად გვარებს წარჩინებული პირები ატარებდნენ.[2] ამდენად, გვარებს სოციალური ფუნქციაც გააჩნდა და ამის მიხედვით განასხვავებდნენ პრივილეგიურ (თავადი, აზნაური) და დაბალ წოდებას.[3] ცხადია, ანალოგიურ ვითარებას უნდა ჰქონოდა ადგილი აჭარაშიც.

აჭარაში ცხრაასზე მეტი გვარსახელი გვხვდება, რომელთა უმეტესობა დაბალ სოციალურ წრეს მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი – პრივილეგიურ ფენას. ესენია: აბაშიძე, აბუსერიძე, ბეჟანიძე, თავდგირიძე, შერვაშიძე, ჩიმშიაშვილი, ჯაყელი და ა.შ.

აბაშიძე. გარდა აჭარისა, ეს გვარი საქართველოს სხვა კუთხეებშიცაა გავრცელებული, მის შესახებ არაერთი გამოკვლევა დაიწერა. მიუხედავად ამისა, დღემდე დაუზუსტებელია გვარის ხნოვანება და ეტიმოლოგია. აბაშიძეთა საგვარეულოს წარმომავლობის, მისი ერთი შტოს აჭარაში ჩასახლების შესახებ სხვადასხვა გადმოცემა და მოსაზრება არსებობს.

ერთი გადმოცემით, აბაშიძეთა წინაპარი საქართველოში თითქოს 668 წელს არაბი სარდლის მურვან-ყრუს ლაშქართან ერთად „ადგილით აბაშით", ანუ ეთიოპიიდან მოსულა. მურვან-ყრუს უკუქცევისას მის მხედართაგან მრავალი დაუტყვევებიათ, ნაწილი კი – თავისი ნებით დარჩენილა იმერეთში. მათ შორის ყოფილა „ყრმა ვინმე ბეგისა შთამომავლობისა აბაში". მეფე არჩილს იგი პატივით მიუღია „და ზრდიდა თავისთანა". ერთხელ, ნადირობის დროს, აბაშს მეფის ძე იოანე დაღუპვისაგან უხსნია. ამის გამო მეფეს მისთვის თავადობა და „გვარად აბაშის ძეობა" მიუცია, ხოლო „ხხეკინიცა მასთან მყოფნი აბაშნი" მეფეს „აზნაურობისა ხარისხითა" მიუღია.[4]

მსგავსი გადმოცემები სხვა საგვარეულოთა წარმომაელობის შესახებაც მოგვეპოვება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი სინამდვილეს მოკლებულია. თუმცა მათი ხელადებით უარყოფა არ შეიძლება, რადგან ასეთ გადმოცემებში ზოგჯერ ჭეშმარიტების მარცვალიც ამოიკითხება.

სწორია თუ არა ცნობა აბაშიძეთა გვარის ეთიოპიიდან მოსელის შესახებ, ძნელი საოქმელია.[5] გადმოცემაში სწორად არაა მითითებული მურვან-ყრუს ლაშქრობის თარიღიც (668 წ.) კი. მურვან-ყრუმ საქართველოში 736-738 წლებში ილაშქრა.

---

1 რ.თოფჩიშვილი. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ., 1997, გვ. 100.

2 ი.მაისურაძე. ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია). თბ., 1979, გვ. 13-14. რ.თოფჩიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 3.

3 ზ. ჭუმბურიძე. დედაენა ქართული. თბ., 1987, გვ. 293-294.

4 იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). თბ., 1997, გვ. 23-24.

5 ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 156.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ტექსტებში „ეთიოპელი“ გადმოცემულია შემდეგი ტერმინებით: „ეთიოპელი,“ „ჰაბაში“ („აბაში“), „აბისინიელი“, „ინდო“, „შავი“. არაბული „ჰაბაში“/„აბაში“ ეთიოპელების კრებითი სახელწოდებაა.[6]

„აბაშ“ მამაკაცის საკუთარ სახელად დასტურდება ქართულშიც, რომელიც ამოსავალია ქართული გვარსახელებისა: აბაშიშვილი, აბაშია, აბაშიძე... არის მოსაზრება, რომ საკუთარი სახელი „აბაში“ ისეთივე წარმომავლობისაა, როგორც „ბაღუაში“, „ჯაბაში“, „ხალვაში“...[7]

„აბაში“ მამაკაცის საკუთარ სახელად მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრება-ში,“ რომელშიც ეკითხულობთ: „მეფემ ალექსანდრემ, ძმანი გიორგი მეფისამან, გაჰყარნა სამნი ძმანი – აბაში, გუგუნა და დაეთ.“[8] აბაშა ამოიკითხება შუა საუკუნეების ისეთ ქართულ წერილობით წყაროში, როგორიცაა „ტბეთის სულთა მატიანე“, სადაც ეკითხულობთ: „სულსა გოგლაეთ აბაშისასა შეუნდვენ ღმერთმან“; „სულს დოლისძის აბაშის“_[9] გვიანდელი პერიოდის სამოაერო გვარების მიმოხილვისას ვახუშტი აღნიშნავდა: „ბარათასაგან არიან ბარათიანნი,...ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი...“[10] მამაკაცის საკუთარი სახელი აბაში და გვარსახელი აბაშიძე არაერთხელ მოიხსენიება სხვა ქართულ წერილობით წყაროებშიც.[11] ამდენად, საგვარეულო სახელს „აბაშიძე“ უეჭველად საფუძველად უდევს მამაკაცის საკუთარი სახელი აბაში.

აჭარაში მცხოვრები აბაშიძეების ერთი ნაწილი თავის წარმომაელობას იმერეთის თავად აბაშიძეებს უკავშირებს.[12] იმერელ აბაშიძეთა საგვარეულო დოკუმენტურად XV საუკუნის მეორე ნახევარშია (1488 წელი) დადასტურებული. კერძოდ, ერთ ისტორიულ საბუთში მოხსენიებული არიან აბაშიძეთა გვარის წარმომადგენლები თაყა და აბაში.[13] თუმცა მამაკაცის საკუთარი სახელი აბაში და გვარი აბაშიძე უფრო ადრინდელი ხანის ქართულ წერილობით წყაროშიც ჩანს (მაგ., „ტბეთის სულთა მატიანის“ XII-XIII საუკუნეების ფენებში). ლუკა I აბაშიძე კი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა 1060 წელს, ხოლო ლუკა II მუხაისძე აბაშიძე ამ თანამდებობაზეა 1274 წელს.[14] მაშასადამე, მამაკაცის საკუთარი სახელი აბაში და მისგან ნაწარმოები გვარი აბაშიძე გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ეს იმერელ აბაშიძეთა შესახებ ითქვა.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან ბათუმის მხარეში ჩამოსახლდნენ იმერელი აბაშიძეები, რომელნიც შემდეგ გამაჰმადიანდნენ. თურქეთის მოიარობამ მათ აღგილ-მამულები მისცა და სანჯაყ-ბეგობაც უბოძა. ასე ეწოდათ აბაშიძეებს „სანჯაყბეგ აბაშიძეები“.

ერთი ცნობის მიხედვით, ბათუმის მხარეში აბაშიძეთა ჩამოსახლება, გიორგი აბაშიძის (ძლიერობდა 1684-1711 წლებში) მიერ ზოგიერთი ურჩი თანამოგვარის იმერეთიდან გაძევების შედეგად მოხდა. მეორე ცნობა კი აჭარაში აბაშიძეების დამკვიდრებას თავად

---

6 კ.წერეთელი. სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. თბ., 2000, გვ. 84-102.

7 ზ.სიხარულიძე. „აბაშიძე“. – „ჭოროხი“, №4. ბათუმი, 1981, გვ. 78-79.

8 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ). – „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 33$_{20}$.

9 „ტბეთის სულთა მატიანე“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ენუქიძემ. თბ., 1977. გვ. 90, 106.

10 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 24.

11 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 46-54.

12 ო. სოსელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 208-209; ს. გერსამია. მემედ აბაშიძე. ბათუმი, 1960, გვ. 5-10; თ.კომახიძე. მემედ აბაშიძე. ბათუმი, 1993, გვ. 5-8; თ.კომახიძე. მამულიშვილი. ბათუმი, 1994, გვ. 5-6.

13 ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. – საისტორიო მოამბე, II. 1924, გვ. 23-25.

14 სჯანაშია. აბაშიძენი. – შრომები, VI, თბ., 1998, გვ. 223-226; გაზ. „მეოთხე“, 13-20 სექტემბერი, 2002, გვ. 8.

ზურაბ წერეთლის (1747-1823 წ.წ.) მიერ ორი ძმა აბაშიძის ტყვეებად გაყიდეით ხსნის.[15] სამწუხაროდ, სათანადო წყაროები ჯერჯერობით სრულყოფილად გამოელენილი და სპეციალურად შესწავლილი არაა.

აბაშიძე ერთ-ერთი გავრცელებული გვარია აჭარაში. საგულისმოა, რომ ეს გვარი გეხვდება ისტორიულ სამხრეთ საქართველოშიც. სახელდობრ, ზემო იმერხევის ('შავშეთის რაიონი) სოფ. აგარის ერთ-ერთი უბნის (სადაც ცხოვრობდნენ აბაშიძეები) სახელწოდებაა აბაშიყოი//აბაშეთი. აქაურთა გადმოცემით, აჭარელი აბაშიძეების თაყვანისმცემელი საცხოვრისი სწორედ აქაა (ცნობა მოგვაწოდა პროფესორმა შუშანა ფეტ,ერაძემ).

საკვირველია, რომ მამაკაცის საკუთარი სახელისაგან „აბაშ" საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვარი აბაშიძე (//აბაშიშვილი//აბაშია) სხვადასხვა დროს დამოუკიდებლად წარმოიქმნა.

აბუსერისძე ერთ-ერთი უძველესი გვარია აჭარასა და მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. იგი XI-XVI საუკუნეების საქართველოს დიდ ფეოდალურ საგვარეულოთა რიგს განეკუთვნება. აბუსერისძეთა პირველი წარმომადგენელია არტანუჯის ერისთავი იოანე აბუსერისძე, რომელიც ბაგრატ IV მეფობის (1027-1072) პირველ წლებში იხსენიება. ამავე საგვარეულოდან არიან გამოსული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები: აბუსერ აბუსერისძე და გრიგოლ აბუსერისძე, ამირსპასალარი იოანე აბუსერისძე, მწერალი და მოაზროვნე აბუსერისძე ტბელი და ა.შ. აბუსერისძენი XI საუკუნიდან კლარჯეთის (არტანუჯის) და ხიხათა (აჭარის) ერისთავები იყვნენ. ისინი ციხისჯვრისა და აწყურის სამეფო ციხეებსაც განაგებდნენ. XII-XIII საუკუნეებში კი – მხოლოდ ხიხათა ერისთავთერისთაები არიან.

აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი XI ს. პირველი ნახევრიდან XV საუკუნის დამლევამდე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში აქტიურ როლს ასრულებდა. მისი მემკვიდრეები საუკუნეების მანძილზე ერთიანი საქართველოს სულისკვეთებით მოღვაწეობდნენ და „სრულიად საქართველოს" უერთგულესი მოღვაწეები იყვნენ. აბუსერისძეები უკანასკნელად იხსენიებიან XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს დიდებულთა სიაში.

აბუსერისძეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარდა ცხოვრობენ გურიაშიც. მათი გადმოცემით, აბუსერისძეთა წინაპრები შავშეთიდან ჯერ ზემო აჭარაში მისულან, აქედან კი გურიაში გადასახლებულან.[16]

აბუსერისძეთა საგვარეულოს ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია აბუსერისძე ტბელი (XIII საუკუნე) – იმ დროისათვის ფრიად განათლებული პიროვნება, გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე, ასტრონომიული კალენდრის შემდგენელი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში.

აბუსერისძეთა საგვარეულო სახელის ფუძემდებელია აბუსერისძეთა ერთ-ერთი სახელოვანი წინაპარი აბუსერი. საგულისხმოა, რომ ამ საგვარეულოში რამდენიმე აბუსერი მიიხსენიება: იოანე აბუსერი, მისი მემკვიდრე აბუსერ I, აბუსერისძე ტბელის პაპა აბუსერ II და უფროსი ძმა აბუსერ III.[17]

დღეისათვის აჭარაში ეს გვარი გავრცელებულია ორი ფორმით: აბუსერიძე და აბუსელიძე. პირველადია აბუსერიძე, აბუსელიძე კი მისგანაა მიღებული რ>ლ ბგერათცვლილების გზით.

---

15 ო.სოსელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 208-209.

16 ა.ჟვგრეველიძე. აბუსერისძის ენამოსწრებულობა. – ჟურნ. „ჭოროხი", №4, 1972.

17 ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.ხიხარულიძემ). ბათუმი, 1981, გვ. 69.

პრიეილეგიურ საგვარეულო წოდებას ეკუთვნის ბეჟანიძე. ამაზე ძირისაა ცნობილი ქართული გვარები: ბეჟანიშვილი, ბეჟიაშვილი, ბეჟანეიშვილი და ა.შ. იოანე ბაგრატიონის ცნობით, ბეჟანიშვილების წინაპრები „დაშთენ კალმურთაგან ბეჟან წოდებული საქართველოსა შინა". ერთ-ერთ ბეჟანს თავი გამოუჩენია თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლებში. მისი შთამომაელობა მეფეს ბეჟანიშვილებად მიუღია. მეორე ეარიანტით, ბეჟანიშვილი როსტომ მეფის დროს სპარსეთიდან მოსულა (1638 წ.).[18] ამ გადმოცემის თანახმად, გვარსახელი ბეჟანიშვილი საკმაოდ ძველია, თუმცა იოანე ბაგრატიონის ცნობა ამ შემთხვევაშიც არაა სარწმუნო წყარო აღნიშნული გვარის ხნოვანების დასადგენად. მასში რეალური მხოლოდ ისაა, რომ გვარის ფუძემდებელია ვინმე ბეჟანი. ეს საკუთარი სახელი დაედო საფუძვლად ბეჟანიძეთა გვარსაც.

აჭარაში მცხოვრები ბეჟანიძეების საგვარეულოს ისტორიის შესახებ ადრეული პერიოდის სარწმუნო წერილობითი წყაროები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. ამ გვარის შესახებ მხოლოდ გვიანდელი ნანაწერების მიხედვით თუ შეიძლება მსჯელობა. მაგალითად, ზ. ჭიჭინაძე არაერთხელ მოიხსენიებს სოფ. ზენდიდში (ქედის რაიონი) მცხოვრებ ბეჟანიძეებს. მის მიერ ჩაწერილი ცნობებით, ბეჟანიძეები ანუ ძველად პირმსახურის ძენი (პირმსახურის შვილები) თამარ მეფის პირფარეშები ყოფილან. მათ სოფ. ზენდიდში თავიანთი ციხეც ჰქონიათ, რომელიც ოსმალებს დაუნგრევიათ. ერთ-ერთი ბეჟანიძისაგან ავტორს ისიც ჩაუწერია, რომ ისინი თავადიშვილების შთამომავალი პირმსახურიძენი არიან. მათ დიდხანს უბრძოლიათ ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს დამორჩილებულან. პირმსახურიძეების საგვარეულო ციხეც მთლიანად დაუქცევიათ. ოსმალეთის მოაერობას მათთვის თავადობის ნაცვლად ბეგის წოდება მიუცია. 1850-იან წლებში პირმსახურიძეებს კვლავ დიდი გმირობა გამოუჩენიათ. ბოლოს მაინც გამუსლიმანებულან. მათი ოჯახის წევრთაგან პირველად ბეჟანს მიუღია ისლამი და მისი სახელის მიხედვით მათი საგვარეულო ბეჟანიძედ დაწერილა.[19]

ზ. ჭიჭინაძეს ბეჟანიძეთა შესახებ კიდევ სხვა საინტერესო ცნობა ჩაუწერია, რომლის მიხედვით, პირფარეშის ძენი XII საუკუნეში აღორძინდნენ თამარ მეფის წყალობით. ამის ნიშნად ბეჟანიძეები თამარის ერთგულნი გამხდარან. ნიშნად ერთგულებისა, თამარს მათთვის აჭარა და ზენდიდის ციხე ჩაუბარებია.[20] ერთ-ერთი მათგანი ძველად დიასამიძე იწოდებოდა, რომელსაც პირფარეშის ძეობა თამარ მეფისაგან მიუღია. ოსმალთა წინააღმდეგ ომში აჭარელთაგან ბევრი ეაქკაცი დაღუპულა, რომელთა შორის იყვნენ ძმანი დიასამიძე — პირფარეშის ძენი[21]. თუ ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ სოფ. ზენდიდში მცხოვრები ბეჟანიძეები დიასამიძეების შთამომაელები ჩანან (თუმცა, ეს ისტორიული წყაროებით არ დასტურდება, — მ.ქ.), რომლებიც ძველად თამარ მეფის პირფარეშებად, ანუ შინამოსამსახურეებად ითელებოდნენ. საგულისხმოა, რომ აჭარაში, კერძოდ, ჭვანის ხეობაში, გვარსახელი მსახურაძეც დასტურდება, რომელთა წარმომაელობაც დასახელებულ პირმსახურის თუ პირფარეშის ძეებს უნდა უკავშირდებოდეს.[22]

---

18 იოანე ბაგრატიონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

19 ზ.ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ., 1913, გვ. 26, 108, 121, 135.

20 გადმოცემების საფუძველზე ზ.ჭიჭინაძეს მიაჩნდა, რომ ზენდიდის ციხე ადრე იყო აშენებული, მაგრამ 2001 წელს აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მონაცემებით ზენდიდის ციხე აშენებული ჩანს XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე.

21 ზ.ჭიჭინაძე. ისტორია ოსმალოს ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი. ბათუმი, 1911, გვ.54-55.

22 თავის მხრივ, დიასამიძეებიც ქართულ წარჩინებულ საგვარეულოებს მიეკუთვნებიან. ისინი წერილობით წყაროებში 1443 წლიდან იხსენიებიან. დიასამიძეთა ფეოდალურ საგვარეულოს სამფლობელო ჰქონდა ჩრდილო-აღმოსავლეთ სამცხეში, შემდეგ დაეუფლნენ ხურსიძეთა მამულს ღობეთს — (ფურწყაბლის სამწყსოში). XVI-XVII საუკუნეებში დიასამიძეების გვარიდან იყვნენ გამოსულნი ქართლის

ახლახან გამოვლენილი და შესწავლილი ორი ოსმალური დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ აჭარის ხეობა მის უკანასკნელ ქრისტიან მმართველ ბეჟანს 1561 წელს ჩამოართვეს და დროებით გადასცეს ისპირის სანჯაყ-ბეგს. ერთ დოკუმენტ'ში ეკითხულობთ: „ქრისტიანი ბეჟანი" „უფლების გარეშე" ფლობს აჭარის ხეობას. „იგი აწყობს არეულობებს და დაუმორჩილებელია". ამიტომ არზრუმის ბეგლარბეგის ბრძანებით, ბეჟანისათვის აჭარის ხეობა ჩამოურთმევიათ. მეორე დოკუმენტ'მი (დათარიღებულია 1563 წლის 15 დეკემბრით) საუბარია ბეჟანის მიერ აჭარის ხეობის დაბრუნების შესახებ.[23] ბეჟანი სტამბოლ'ში სულთანთან ჩასულა, გამაჰმადიანებულა, სახელი მიუმეფია და აჭარის ხეობაც დაუბრუნებია.[24] გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ქრისტიანი ბეჟანის" გვარი აბუსერისძე უნდა იყოს, რომელიც იხსენიება „ლარჯული სეინიქარის" ალაპების XVI საუკუნის მოსახსენებლებში. სწორედ ბეჟან აბუსერისძემ აიშენა ზენდიდის ციხე და გამაჰმადიანების შემდეგ საფუძველი ჩაუყარა აბუსერისძეთა საგვარეულოს ასალ შტოს – ბეჟანიძეთა გვარს. ხოლო ზ. ჭიჭინაძის ცნობა ბეჟანიძეების დიასამიძეებისაგან, წარმოშობილობის შესახებ, ასევე სამცხე-საათაბაგოს კათალიკოსის სამწყსოს თავადთა და ხოფლთა სიის მონაცემი, თითქოს „დიასამიძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა", მცდარია. სინამდვილე'ში, დოკუმენტის ეს ადგილი სხეაგან ასე იკითხება: „ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, დიასამიძეთა აქუს, აბუსერისძენი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა".[25] დიასამიძეები, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ ღობიერთა სამკეიდრებელი, სასაფლაოთი, მონასტრით და კარის ეკლესიით შედიოდნენ მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში (1516 წ.)[26]

ბუნებრივია, ბეჟანიძეების გვარის აბუსერისძეებისაგან წარმომაელობის შესახებ აღნიშნული წერილობითი წყარო სარწმუნო დასკვნის გაკეთების საკმაოდ მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა. თუმცა, როგორც შენიშნავენ, ზ. ჭიჭინაძის მიერ შეკრებილი ცნობების ხელაღებით ‘ეარყოფაც არ შეიძლება. საკითხთან დაკავშირებით საბოლოო და ჭეშმარიტი დასკვნისათვის საჭიროა უფრო მკაცრებულებები.[27]

ეახუშტი სამცხის წარჩინებულ საგვარეულოთა შორის მოიხსენიებს თავდგირიძეს.[28] ეს იგივე თაქთირიძეა, რომელიც დ. ბაქრაძემ ამოიკითხა სამცხე-საათაბაგოს თავადებისა და სოფლების აღწერილობის ერთ ძველ სიგელ'ში. მკვლევარი შენიშნავს: „თაქთირი-

---

კათალიკოსები, მცხეთის ბოქაულთუხუცესები და სხვ. ხაგულისხმოა, რომ წერილობით წყაროებში დიასამ//დიასა დასტურდება მამაკაცის საკუთარ სახელად, რაც ამაზე მეტყველებს, რომ მოცემული გვარის საფუძველი უნდა იყოს საკუთარი სახელი დიასამ (იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, 1993, გვ. 77-80, 113-114, 442; ალ. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბ., 1986, გვ. 113; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, 1978, გვ. 503). დიასამიძეთა საგვარეულო აჭარაში მრავალრიცხოვანია, მაგრამ მათი აქ მოღვაწეობის ისტორიასთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

23 ბეჟანის შესახებ ზ.ჭიჭინაძის მიერ შეკრებილი ზემოთ აღნიშნული ხალხური გადმოცემა ძირითადად ემთხვევა დასახელებული დოკუმენტის მონაცემებს, ხოლო ბეჟანიძეების დიასამიძეებისაგან წარმომავლობის საკითხზე ავტორი მხოლოდ ხალხური გადმოცემების მიხედვით მსჯელობს, სხვა საფუძველს არ ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად სოფ. ზენდიდში მცხოვრები ბეჟანიძეები წარსულში დიასამიძეებთან ნათესაურ კავშირს არ ადასტურებენ.

24 ზ.შაშიკაძე. ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XV საუკუნის აჭარის ისტორიიდან. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, ბათუმი, 2002, გვ. 149-151.

25 რ.ხალვაში. ბეჟან აბუსერისძე – აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი. – გაზ.„აჭარა", 20. VI. 2003.

26 პირთა ანოტირებული ლექსიკონი. I, თბ., 1991, გვ. 67.

27 ბ. დიასამიძე. ერთი ოსმალური წყობის შესახებ. – გაზ. „აჭარა", 29. 1.2004.

28 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 25.

ძეები ისტორიაში არ გეხვედებიან, მაგრამ უეჭველია, ისინი უნდა იყვნენ წინაპრები ახლა ცნობილი გურია-ქობულეთის თავდგირიძეებისა ანუ თავდგირიძეებისა".[29] გვარი თავდგირიძე მოხსენიებულია ჯვრის მონასტრის სვინაქსარის ადაპებშიც.[30] ერთ-ერთ შელოცვაში იგი „თაქტირიძე" ფორმითაც დასტურდება.[31]

სამხრეთ საქართველოს თავდგირიძეთა ფეოდალური საგვარეულო წერილობით წყაროებში XIV საუკუნიდან იხსენიება. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ თავდგირიძეთა საგვარეულო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტა.[32]

იოანე ბაღონიშვილის ცნობით, „თადგირ" იყო „თავადი ბუზმუნიელთა, ვანისა მხარეს. წელსა 1211-ს... ამაოი გუარი მოვიდა მეფისა თანა ახალციხეს და მიიღო თადგირიძედ. რომელნიმე დაშთენ ახალციხეს და ზოგნი რომელნიმე დაესახლნენ გურიას".[33]

ამ ცნობაში სარწმუნოდ თვლიან მხოლოდ გვარსახელის — თავდგირიძის „თადგირი" (თუ „თავდგირი") სახელიდან მომდინარეობას. ერთი ცნობით სიტყვა „თაგადირ", საიდანაც მომდინარეობს გვარი თავდგირიძე//თაგდირიძე, ნიშნავს „გვირგვინის დამდგმელს". ანუ იმ პირს, ვინც გამეფების ცერემონიის დროს მეფეს თავზე გვირგვინს ადგამდა.[34]

მოცემული გვარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოება. კერძოდ, საბას ლექსიკონის მიხედვით, „თაგდირი... ესე არს ვარსკელავი, რომელი რა აღმოხდების, სიწიოლეს მისცემს რომელთამე ნიეთთა და რომელთა(მე) ხილთა".[35] საეარაკოდია, აღნიშნული გვარსახელის ამოსავალი არის სწორედ ვარსკვლავის სახელი „თაგდირი". შდრ. გვარები: თეარაძე (<მთეარაძე), თეარელაშვილი (<მთეარელაშვილი). ბუნებრივია, თეარა, თვარე, თვარია, თაგდირი... თავდაპირველად ადამიანის საკუთარი სახელები იყო, რომლებიც შემდგომ საფუძველად დაედო აღნიშნულ გვარებს. შენიშნულია, რომ თაგდირი სპარსული სახელია ერთ-ერთი ვარსკვლავეთისა და სახელია კაცისა, მსგავსად სახელებისა — მზია, მანგია, მუშთარი. თაგდირ-ში მოხდა მეტათეზისი: (გდ>დგ), ე.ი. თაგდირი>თადგირი. შემდეგ თავ-სიტყვით დაწყებულ გვართა ანალოგიით ჩაემატა ვ და მიეიღეთ თავდგირიძე.[36]

სამცხიდან წამოსული თავდგირიძეების ნაწილი გურიაში დასახლდა, რაც XVII საუკუნის შუა წლებში უნდა მომხდარიყო.[37]

ირკვევა, რომ XVII საუკუნის 60-იან წლებში თავდგირიძეებს დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე სამკვიდროდ უბოძეს მამულები აჭყვისთავ'ში, ჭახათში, ჩაქვსა და ქობულეთში. მათ სამფლობელოში შედიოდა ხინო თავისი საეპისკოპოსო კათედრითა და სამწყსოთი. ალამბარში (ქობულეთის რაიონი) თავდგირიძეებს საგვარეულო ციხეც ჰქონდათ.[38] ზ. ჭიკინაძის ცნობით, გამუსლიმანების შემდეგ თავდგირიძეებმა ფეხი მოიკიდეს

---

29 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 75-79.

30 ემეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ., 1962, გვ. 84; ფრ.სახარულიძე. თავდგირიძეთა უძველესი ისტორიიდან. — „ლიტერატურული აჭარა". №4, 1962, გვ. 84.

31 ჯ.ნოდაიდელი. აჭარის სალხური სიტყვიერება. II. ბათუმი, 1940, გვ. 189.

32 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. IV, თბ., 1979, გვ. 564.

33 ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური სანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, თბ., 1981, გვ. 177.

34 С.Думин, П.Гребельский. Дворянские роды Российской империи, т. IV, М., 1998, стр. 203-204.

35 ს.ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. თბ., 1966.

36 ალ.ჭინჭარაული. ზოგი ქართული გვარსახელის წარმომავლობისათვის. — დიალექტოლოგიური კრებული. თბ., 1991, გვ. 131.

37 ო.სოსელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

38 ო.სოსელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 178-179; ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. II. ბათუმი, 1959, გვ. 119.

ქობულეთში და ბეგობაც დაიმსახურეს. 1760 წელს კი ქობულეთიდან ქედაში, კერძოდ, სოფ. ქვედა მახუნცეთში დასახლებულან.[39] დ. ბაქრაძის ცნობითაც, თავდგირიძეებს ქედაში, მდ. აჭარისწყლის პირას, კეადრატული ფორმის ციხე ჰქონიათ, რომელიც მისი აქ მოგზაურობის დროს მიტოვებული ყოფილა.[40] ის თავდგირიძეები, რომლებიც ოსმალთა ბატონობის დროს კინტრიშის მხარესა და ქობულეთის ყაზას (მაზრას) მართავდნენ, სანჯაყ-ბეგებად იწოდე-ბოდნენ, მაგრამ თურქეთში გაჭარებული რეფორმების შემდეგ მათ დაკარგეს სანჯაყ-ბეგობა და სხვა უფლებებიც.[41]

ამრიგად, სანდო წყაროებით ირკვევა, რომ აჭარაში თავდგირიძეთა საგვარეულო საცხიდანია მოსული. ამასთან, თუ ისინი გურიაში XVII საუკუნის შუა წლებში ჩანან, უნდა ვიფარაუდოთ, რომ აჭარაშიც ამ პერიოდში უნდა დასახლებულიყვნენ. მათი სამცხიდან საქართველოს სხვა კუთხეებში გადასვლა კი დაკავშირებულია ოსმალების მიერ ამ მხარის გამუსლიმანებასთან. როგორც ვახუშტი წერდა, გამაჰმადიანდნენ სამცხის წარჩინებულნიც, მაგრამ, „რომელნი სძულობდენ მაჰმადიანობასა“ და „არა ინებეს მაჰმადიანობა“, „ოვლტოდიან“ „ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს“...[42] ამჟამად თავდგირიძეები ცხოვრობენ როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარაში.

ამ საგვარეულოსთან დაკავშირებით საინტერესოა XVII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი დოკუმენტები, რომლებშიც მოხსენიებულია თავდგირიძე //თავდგირიძე//თაუდგირიძე. მაგ., ბოქაულთუხუცესი თაედგირიძე მირზა-ბეგისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ მას უწყალობა გიორგი გურიელმა: „მაჭუტაძისეული ოთანაი ართუმელაძე, პაპუნასშვილები: სეხნიაი, გიორგი, გიორგი კალანდარისშვილი; აჭყეისთაუს – პატიაი, გიორგი, იესე კეჭალმაძეები, შაქარაი ნადირაძე, მიქელაი შარაძე; ჭახათს – იეანაი და მამუკა გოგოძენი, ჩაქეს – თავამია ხალეაში, ბიძინაი ხალეაში. ხახუტაი ჭალეაში, პაატაი გვარელასშვილი, აფხაზაი ჭალეაში, ბიძიაი კეიახი, ხუცესი ჩიბურდანიძე, გაბრიელაი ბასილაძე, შაქარაი ხალეაში, გიორგი დეენაისშვილი, ქობულეთს და ჩაქუს ის, რაც მაჭუტაძეს ჰქონდა სახასო ან ყოფილა მელიმონაძისეული მამული“. დოკუმენტები დათარიღებულია 1664-1701, 1664-1677, 1698-1701 წლებით.[43]

დოკუმენტები საინტერესო ცნობებს შეიცავს თაედგირიძეებისათვის ბოძებულ სოფლებში მცხოვრები საგვარეულოებისა და აქ გავრცელებული საკუთარი სახელების შესახებ, რომელიც ძვირფასი მასალაა აჭარის ისტორიული ონომასტიკის შესწავლისათვის.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყეისთაეში XVII საუკუნის მეორე ნახევარში სახლობდნენ შემდეგი გვარები: კეჭალმაძე, ნადირაძე, შარაძე, რომლებიც ამჟამად აქ არ ცხოვრობენ. ისინი სხვა სოფლებში გადასულან საცხოვრებლად. ამასთან, გვარი კეჭალმაძე კაჭახმაძის ფორმით ამჟამად ცხოვრობს ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირსა და ხალას საკრებულოში, შუახევის რაიონის სოფელ ტბეთში, ხოლო ნადირაძეები – კვირიკესა (ქობულეთის რაიონი) და ეაშაყმაძეებში (ხულოს რაიონი), შარაძე კი – ქვემო აჭარაში.

ქობულეთის რაიონის სოფ. ჭახათში ფიქსირებულია გვარი გოგოძე. მათი წარმომადგენლები ამჟამად ცხოვრობენ მახინჯაურსა და ცხემლარაში (აჭარისაღმართის საკრებულო). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხინოში (კინტრიშის ხეობა) არის ნასოფლარი გო-

39 ზ.ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა... გვ. 112-120.

40 დ.ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

41 ხ.ახალდიანი. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. ბათუმი, 1956, გვ. 49.

42 „ქართლის ცხოვრება“. თბ., 1973, გვ. 726-728.

43 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II. თბ., 1993, გვ. 267.

გოური, რომელიც ადრე გოგოძეების საცხოვრისი უნდა ყოფილიყო. ალი'შნულ დოკუმენტში ნაქვეში ადრე მცხოვრები გვარებიც იკითხება: ხალვაში//ჭალვაში, გვარელასშვილი (ვეარიშვილი), კეიახი (შდრ. გვარსახელი კეიახიძე), ჩიბურდანიძე, ბასილაძე, დეკნაისშვილი, მელიმონაძე. ამათგან დეკნაისშვილი და მელიმონაძე აჭარაში ამჟამად არ დასტურდება.

აჭარაში გვხვდება ვეარი შარვაშიძე//შერვაშიძე. პირველადი უნდა იყოს შარვაშიძე (შდრ. ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული საკუთარი სახელები: შარვაშ//შარვაში, შარვაშე).[44] შერვაშიძე კი მისგან მიღებული. იგი აფხაზეთის მფლობელთა ქველი სამთავერო გვარია.[45] რომლის წარმომაველობას თქმულება შარვანშაპეს უკავშირებს.[46] იოანე ბატონიშვილის ცნობით, ისინი იყვნენ „შირვანთ მთავართაგანი, ესენი რომელნიმე ურჩნი ანაარა დაეთ ალმაშენებელმან და დაასახლა აფხაზეთს შინა... უკანასკნელ ამათი გუარისა იქმნენ მთავრად აფხაზეთს".[47]

შერვაშიძეები აჭარაში XVIII საუკუნის შუა წლებიდან ჩანან. 1805 წელს ბათუმის გარნიზონის უფროსი ყოფილა ქუჩუკ-ბეი შერვაშიძე.[48] ზ. ჭიჭინაძის ცნობითაც, აჭარაში „შარვაშიძეები" აფხაზეთიდან მოსულან და დასახლებულან სოფ. ალიკოშვილებში (ქედის რაიონი).[49] თ. სახოკია აჭარაში მცხოვრები შარვაშიძეების წინაპართა აფხაზეთიდან მოსვლის მიზეზსაც ასახელებდა. კერძოდ, ერთ-ერთ შარვაშიძეს რაღაც დაუშავებია, აფხაზეთის მთავრის რისხვას გამოქცეული და აჭარისთვის შეუფარებია თავი. მისთვის ქედაში შესაფერისი ადგილ-მამული მიუცია თ ან ან ან

ხიმშიაშვილთა საგვარეულოს შესახებ შედარებით ვრცლად მოგვითხრობს თ. სახოკია. იგი წერდა: „აჭარაში, და განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში, გაელენიანი იყო და მთელი მხარის ბატონად და პატრონად იმ თაეითეე ითელებოდა ხიმშიაშვილის გვარი. ეს გვარი, როგორც ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, მონათესაეეა არაგვის პირის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებისა. მათ წინაპარს XVII საუკუნეში კაცი შემოკედომია არაგვის ხეობაში, მეფის რისხვას გაქცეეია და აჭარაში შეხიზნულა. აქ, როგორც ეაქკაცს, თაეი გამოუჩენია და მალე მთელი მხარის ბატონობაც ხელთ ჩაუგდია. იგივე ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ აწინდელი ხიმშიაშვილების წინაპარი აბდულა-ბეგი უბრალო, მშეიდობისმოყეარე მწყემსი ყოფილა და ქვეყნის უფროსობა ფიქრადაც არ გაუკლია, როცა მწყემსის ჩომბახი ეჭირა ხელში და საქონელს უკლიდა, მაგრამ ბეკნერიეემა ჭკეამ და სიმდიდრემ ხალხში გაელენა მოუპოვა, თაეის თაეს „ბეგი“ უწოდა და სხვამაც არ გაუტეხა ხათრი“. ამ აბდულას, ერთ დროს მწყემსად ყოფილს, ჩვენ უკეე ვხედაეთ აჭარელთაგან შედგენილ მეომართა რაზმის უფროსად, ძლეეამოსილების მაძიებელს, გურიის სოფელ აკეთში თაეად მამუკა თავდგირიძესთან მებრძოლს. მაგრამ ბრძოლის ეელიდან ცოცხალი არ გასულა. ეს იყო 1782 წელს.[54] აბდულა პირველი ხიმშიაშვილი იყო, რომელსაც ისტორია იცნობს და, რომელმაც სათაეე დაუდო ზემოაჭარაში ხიმშიაშვილთა გვარეულობას. აბდულა ბეგს დარჩა შვილი სელიმი, ისიც მამის კეალს ადგა და იმდენი მოახერხა, რომ ფაშობაც კი მიიღო და სელიმ-ფაშად იწოდებოდა[55] თ. სახოკიას ამ ცნობას სხვა ავტორებიც უკომენტაროდ იყენებენ.[56]

თაეის დროსე აჭარაში მცხოვრები ხიმშიაშვილების ისტორიით დაინტერესდა კაეკასიის მეფისნაცვალი. შერიფ ხიმშიაშვილის თხოვნით, კაეკასიის არმიის მთაეარსარდალმა 1879 წელს საკითხის შესწაელა დააეალა თბილისის გუბერნიის თაეადაზნაურთა საკრებულოს და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს. თაეადაზნაურთა საკრებულოს თაემჯდომარე დაეით სუმბათაშვილი კაეკასიის სამეფისნაცვლოში 1879 წლის 19 ივლისს გაგზაენილ ცნობაში იუწყებოდა, რომ ხიმშიაშვილები ქართველ თაეადაზნაურთა წოდებას ეკუთვნიან, მაგრამ აჭარელი ხიმშიაშვილების დუშეთის მაზრიდან წარმომაელობა არ დასტურდებაო.

კომისიამ, რომელსაც მეთაურობდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კ. კომაროეი, ხიმშიაშვილების გვარზე მხოლოდ უკანასკნელი 200 წლის ისტორიის (XVII საუკუნის 70-იანი–XIX საუკუნის 80-იანი წლები) მასალების შეგროვება შეძლო. იგი 1879 წელს კაეკასიის არმიის მთაეარსარდალს მოახსენებდა, რომ აჭარელი ხიმშიაშვილები წარმომაელობით ეკუთვნიან იმერეთის თაეადთა საგვარეულოს.[57]

ამდენად, აჭარაში მცხოვრები ხიმშიაშვილების წარმომაელობის შესახებ ერთიანი სარწმუნო ცნობა არ მოგვეპოვება. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხიმშიაშვილიც მიღებულია საკუთარი სახელისაგან ხიმში თუ ხიმშია.[58] ცნობილია ისიც, რომ ხიმშია თემურ-ლენგის წინაალმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი ქართველი ფეოდალის სახელიც იყო.[59]

---

54 თ. სახოკიას ცნობით, აბდულ ხიმშიაშვილი 1782 წელს სოფელ აკეთთან ბრძოლაში დაიღუპა. ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს. სინამდვილეში აკეთთან ბრძოლა 1784 წელს მოხდა (იხ. თ.ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 389; ო.სოსელია. ნარკეეები ფეოდალური ხანის დასაელეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. II. თბ., 1981, გვ. 183).

55 თ. სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 184-185.

56 შ.მეგრელიძე. სამხრეთ-დასაელეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1963, გვ. 19.

57 აჭარის სახ. მუზეუმის რუსული ხელნაწერების ფონდი, №172, ფ. 157, 241.

58 ალ.ღლონტი. დასახ. ნაშრომი; საქართველოს სიძველენი, II. ე.თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1909, გვ. 62.

59 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI. თბ., 1987, გვ. 483.

საინტერესოა ჯაყელთა გვარის წარმომაელობისა და მათი აჭარაში დასახლების საკითხი. ზ. ჭიჭინაძე სოფ. კეკაშტის (ქედის რაიონი) აღწერისას წერდა: „აქ სცხოვრობენ საქართველოს ისტორიაში ცნობილი ბექა ჯაყელის საფირ ფაშის შთამომავალნი, აწ ბეგებად ხმობილნი"...[60]

ვახუშტი ჯაყელს სამცხის წარჩინებულ საგვარეულოთა შორის მოიხსენიებს.[61] მათ შესახებ ცნობები ისტორიულ წყაროებში XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდება.[62] ამ პერიოდიდან დაწყებული, XIX საუკუნის 20-იან წლებამდე ჯაყელები უწყვეტლივ ჩანან სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ზ. ჭიჭინაძის ცნობებით, გვარი ჯაყელი წარმომდგარი უნდა იყოს ჯაყის ხეობიდან, რომელსაც ოსმალთა ბატონობის დროს ჯაყისმანი ეწოდა. ისინი აჭარაში სამცხიდან არიან მოსული.[63] ჯაყი ისტორიული სოფელია სამცხეში, რომელიც ამჟამად მოქცეულია თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში.[64] ჯაყელი გვარადქცეული სადაურობის სახელია, რომელიც ფეოდალური ხანის სამოსახლო პუნქტების, სათავადო თუ ააზნაურო ადგილმამულების, ციხეების მფლობელობას უკავშირდება (შდრ. თმოგველი, თორელი, გურიელი...). ჯაყელი სამცხის ათაბაგთა დინასტიური გვარია.[65]

ზ. ჭიჭინაძე აჭარაში მცხოვრებ წარჩინებული წოდების სხვა საგვარეულოებსაც ასახელებს, რომლებიც კეთილის სხვადასხვა მხარეში ყოფილან განსახლებულნი. ესენია: აბულაძე, აკალიანი, გვარიშვილი, დეკაძე, ერისთავი, ზაქარიაძე, თურმანიძე, ირემაძე, კობალაძე, ნაკაშიძე, საფარაშვილი//საფარაძე, ქავთარაძე, ჩხეიძე, წინწკარაშვილები და სხვ. იგი მოიხსენიებს აგრეთვე აჭარაში მებატონედ ცნობილ სხვა გვარებსაც: შოთიძე, გოგორისშვილი (იგივე გოგოლიშვილი), ჭინკაძე, ბოლქვაძე (სოფ. ბზუბზუ), ბაბუჩაშვილი (სოფ. ბაბუჩაშვილები), შარაბიძე (სოფ. შარაბიძეები), კიკინაძეები (>კიკნაძეები; სოფ. კაპნისთავი), თოფალაშვილები. შოთიძეები ბზუბზუში მაჭახლის ხეობიდან გადასახლებულან. თიფალაშვილები კი, რომლებიც ადრე თოფალოღლებად იწოდებოდნენ, დღეგანდელი ყახაბრის ველის მიდამოებში სახლობდნენ (ამჟამად ისინი მიქელაძედ იწერებიან). ზ. ჭიჭინაძის ცნობებს[66] ნაწილობრივ ავსებს გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახების სია, რომელშიც მოიხსენიება ქვემო აჭარის თავადაზნაურული წარმომაელობის გვარები. მაგალითად, ხინოს თემში: ცეცხლაძე და ქათამაძე (ქათამაძეებს XIX ს-ში გამოეყო შტო — კაიკაცაშვილი); ქობულეთის თემში: თაედგირიძე, გუგუნავა, მაჭუტაძე, მახაძე, კობალაძე, ართიმელაძე (თავადები); მანელიშვილი, ციციძე, გოგიტიძე, შაქარაშვილი//შაქარიშვილი, ჯაში, ჭყონია, წილოსანი, გიორგაძე, კომახიძე,[67] პაპუნაიშვილი, თამაზაშვილი, გოგოლიშვილი, ბოლქვაძე, ქარციკაძე, ბერიძე, ჯიჯავაძე (ჩიჯავაძე), ნაკაიძე, წულუკიძე, შარაძე

---

60 ზ.ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა. — გვ. 104.

61 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

62 დ.კლდიაშვილი. ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიისათვის (XI ს.). — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 98, №2, 1980.

63 ზ.ჭიჭინაძე. ისტორია ოსმალოს ყოფილ— გვ. 18.

64 ხ.ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. III. თბ., 1958, გვ. 455.

65 ი.მაისურაძე. ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია). თბ., 1979, გვ. 29-47; ი.მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები). თბ., 1990.

66 ზ.ჭიჭინაძე. ისტორია მუსულმან— გვ. 101-188

67 აჭარაში კომახიძეები სახლობენ ხულოს (ს. უჩხო), ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში.

ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წინაპრის სახუტა კომახიძის შთამომაელობა სახუტაიშვილის გვარს ატარებს (თ.კომახიძე, ერთი გვარის ისტორია. ბათუმი, 1996, გვ. 4). კომახიძე ძველი ფეოდალური გვარი ყოფილა ტრაპიზონის იმპერიაში, იგი ბერძნულ წყაროებში გვხვდება კომახიტების ფორმით (ტ.ფოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი. თბ., 1962, გვ. 199-200; ი.მაისურაძე. ქართული გვარსახელები — სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები. თბ., 1990).

(ასნაურები). XVI–XVII სს. წერილობითი წყაროებით მხარის ასნაურები იყვნენ: ფარსადიძე, ია'შელი, მელიქიშვილი, ქობულია (შესაძლოა, ასნაურელი წარმოშობისა იყვნენ. ამავე თემში მცხოვრები სხვა გვარებიც: ინანიშელი, დავითელიშელი, ბაკურანიშელი, რიმელეანი; ოსმალთა ბატონობის დროს აღებად იწოდებოდნენ: ს. ქვის თემში ბეგლიშელი (პირმსაღვრიძე, ოსმალეთის ბატონობის დროს აკარის სოფელ ხეფოდიდან გადმოსახლებული ბეგი), ერისიანელი (ახალციხისა), ხიჯაგაძე (ხელეგლიანი), ალავერდი (ბალეგლიშელი), ალავერდი ბათუმისა და ჯაჭარის თემებში (ესაკაძე, ბობინიშელი, ქოქია, ლომსრეშელი, ბაღაფარიშელი, ზეიმბაია (ოფხანელიდან). შარაბიძე, ხურმანიძე (აკარის სოფელ ძეწნიდან).[68]

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით XIX ს. 20-ია ნა ("ალეთელი ოთომანი და ჯაჭარის მხარეთა გამგებელი (ხანუკოტრეგები) იყვნენ ანაბიანები. მათ საგამგებლოში შედიოდა ("ერიეროთა აკარის სოფელ დოლოგანიდან ზღვამდე და (ესისხორეთის ქორეის ძმეგ (ცხალთა. აკარაში გავრცელებული გვარსახელთა სია სრული არ არის. მისი აღდგენა კი აუცილებლად ქორ.რ. დეკან თურქეთში ეწ. „ოსმანიანთან" (რეფორმის) ომიანობაში (XIX ს. 30-70-იანი წლები) მოსახლეობამ დაკარგოდა ქართველ მხარეში გავაქმა ძველი ქართული მიწისმფლობელობა. ხელმიწაში გადასული ქართველ თავადასაზურთა საგვარეულო დოკუმენტები და ოჯახური დოკუმენტებია.[69] ამ დოკუმენტებში სხვა თავადასაზურელი გვარებიც ეძება ეფიდელი.

რეფორმა; ოთქვა. ბიბალი საოჯახო წარმოშობის საგვარეულოების შესახებ ისტორიული ცნობები ძალზე მწირია. ამ მხრივ გამონაკლისია XII–XVII საუკუნეების წერილობითი წყარო „ტბეთის სულთა მატიანე". რომელშიც შესულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისტორიულად გავრცელებული გვარების ნუსხა. ძველის ძირითადი ფენა XII–XIII საუკუნეებს ეხება. ძირითადი – XIII–XVII საუკუნეების ქრონოლოგიურ ფენებს განეკუთვნება.[70] მატიანისეული გვარების დიდი ნაწილი მაჯახელის ხეობისა და საერთოდ ქვემო აკარაზე მოდის და დღემდე ფუძეულია შემდეგნაირი: ბერსალიძე, ოთელიძე, ფალავანდიშვილი, ქოქოლაძე, ხინკოლაძე, ჯაფარიძე, ფოფოლეიძე, ბენინაძე, ლასტაკანიძე, ნაკაშიძე, ბალაძე, ბაღიანიძე, ფაფიანიძე, ფანიძე, ფოლიძე, ქობულიძე, ფეფრიფლიძე, ქოქოლაძე, ფეფრიანიძე (ქა.ბ ბალიანიძის, ოფრიფლიანის, ქოთარაშვილის, ფეფიანიანის ფეფრიანი)[71] და ...ტბეთის სულთა მატიანე" სასეფერეო ადგილას გვაქვს ბაბაკეთი და ქალთა სალეთარ ხალეგებზე; რომელნიც; ხოფეფლად ეფიეს ანაიერთ მაჯიანისეული და საერთოდ ქართველ გვარებს. ბაბა. ანდალი (ანდალიანშვილი), ეფეი (ეფეფლიშვილი), ბაბალი

---

68 სურმანიძე ერთ-ერთი ბაერ(ელებული გვარია აჭარაში. სურმანი საკუთარ სახელადაა მიჩნეული (ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები... 1990). ამ საგვარეულოსთან დაკავშირებით, ზ.ჭინჭაბიასათვის ქცდაში ერთ-ერთ სურმანიძეს უთქვამს; „სურმანიძეები საბერძნეთის სურმანდან მოსულან საქართველოში. ჯერ გაქართველებულან და სურმანიძე უწოდებიათ ქართველთ და მერე გათათრებულან" (ზ.ჭინჭაბიძე, მუსულმან ქართველობა... გვ. 108). შესაძლებელია, სურმანიძეების თავდაპირველი საცხოვრისი მართლაც სურმანი იყო, მაგრამ იგი არა საბერძნეთში, არამედ ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზეა საგულვებელი. სურმანი სოფელი ყოფილა. ამ ტოპონიმის მსგავსი სახელებია სურმენე და სურმენათი, ნავსადგური სურმენე შავი ზღვის ნანაპირზე, ხოლო სოფ. სურმენათი მდებარეობს ჭანურ სოფელ ათინასთან ახლოს. ყველა მათგანი ამჟამად მოქცეულია თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში (იხ. საქართველოს ისტორიული რუკა, 1923; რ. სურმანიძე. სურმანიძეები. ბათუმი, 2001, გვ. 8-36).

აღსანიშნავია, რომ ლაზეთში მოგზაურობის დროს ნ.მარს აქაური სოფლებს შორის ჩაწერილი აქვს სახელებიც: სურმენათი (Марр Н. Я. Из поездки в турецкой Лазистан. - Известия императорской Академии Наук. С.-П., 1910, с. 609-610). შესაძლებელია, სოფლის სახელწოდება სურმენათიც (ასევე სურმენე და სურმანი) დაკავშირებული იყოს სურმანიძეთა გვართან. თუმცა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სურმანი მამაკაცის საკუთარ სახელად საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება.

69 გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები (ზ.ჭუმბურიძისა და ქვაჩატარაიშვილის რედაქციით). თბ., 1993, გვ. 14-15.

70 „ტბეთის სულთა მატიანე"... გვ. 55.

71 ნ. კახიძე. მაჯახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 10-12.

(ბაბილონის), მეგელა (ბაბელის), ანაძ, ანალა, გეთრეკი, გოგა, ვარდან, თეკელორე, თინა, ია, ბოთა, ნინა, ინოფორე, ოქრიალი, ოქრიალი, ქბილ და ა.შ. (შდრ. გვარები: ანაძიძე, ანალაძე, გოგაძე, ვარდანიძე, თეკელორაძე, თეკელორაძე, თინაძე, ია, ბოთაძე, ია, ბოთაძე, ნინიაშვილი, ინოფორიშვილი, ოქრიალიძე, ქბილაძე და ა.შ.).

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ისმალურ დოკუმენტურ წყაროში ზემო აჭარის ლიეთის ველ (ბორჩხა) (XVIII ს. დასაწყისი) მოხსენიებულია სოფელი მელიქშინდა. რომელიც ეფესელ ბეგიანს, შემდეგ ბეგლის ხანელმა ოსმალეთის წინააღმდეგ გაიმარჯვა.[74]

ასევე ხან მიკავშირებულ იქნა ავრეთვე თურქეთის სულთან სელიმ II (1566–1574 წ.წ.) დროს შედგენილი „ზემო აჭარის ლიეთის ოთხი დაფთარი", რომელშიც მოიხსენიება აჭარისწყლის ხეობის ექვსი სოფელი ხანელი. აქვე მოხსენიებულია თოთხმეტ-ოთხმოცი სოფელი მელიქშინდა.[75]

---

72 ზ.ჭიჭინაძე. ქართველთა გამაჰმადიანება. ტფ., 1907, გვ. 11-12; მისივე. მუსულმან ქართველობა... გვ. 195-196.

73 ნ.ყაციშვილი. პეტრე მელიქიშვილი (თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა). თბ., 1950. გვ. 7; ე.წულაძე. პეტრე მელიქიშვილი. – ორი ქიმიკოსი. თბ., 1957. გვ. 152-153.

74 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დაფთარი (1694-1732 წ.წ.), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცაბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 117.

75 ზ.შაშიკაძე. აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში. – გაზ. „აჭარა". 17. I. 2004.

ხოლო მეკვლეური თელის, რომ ჯერე მელიქიშვილის ("ინანერები" წარმოშობილი ყველა აკარიელის, ეკრძალვენის ხეობის ხოფ. ვანიერიდან (შეახვეის რაიონი) ორიგინალი; ეს ლა; (ეხოვრობს რამდენიმე კილო მელიქიმ. ამ ხოფლის ძველი სახელი ეწოდა ეოფლიფი მელიქეშინდა.[76] სხვათა თეალსაზრისით, მელიქეშინდა ეწოდა ეფის ხოფელ მეკვლაურის (შეახვეის რაი) ამ დასახლებული ეფის თავლაურველი სახელი. რომელსაც ამჟამად ეწოდება მელიქიდლები ("მელიქეშვილები") (ეხოვრობენ მელიქიდლელი – ქრისტიანის ერთი შტო).[77] "მელიქეშინდა" რელიგიური სახელია და "შინდა ადგილთან ერის დაკავშირებული. მეკვლურში ერის დიდი ნაკლებობა. ეტყობა; და შესაძლოა სახელწოდება მელიქეშინდა სწორედ ამ ადგილსთან ეფის დაკავშირებული. რომელსაც; ადრე "ხალდრიკერიც;" ეწოდებოდა.[78]

ისტორიულ შენიშვნისა ოსმალთა ბატონობის დროს აკარიის გადასახლული მრავალს აკარელის სახელი (ვგარი ყურადღებით ეტყობა. ეს ეფი XVII საუკუნის მეორე სახელების გამოსვლილი ქართველი მწიგნობარი და ეკლესიწერი. რომელიც; ბრძოლის ველზე მოკლეულ ეფილ. ეს ეფ. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საპატიოდ ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული ეფეფორე აკარელი წმინდანად შერაცხა და მისი სასენაკის დღედ დაადგინა 17 ოქტომბერი (ეს. ხელოვნ.)[80]

აკარაში გავრცელებული ისტორიული ვგარსახელების სრული ნუსხა ყურადღებით არ მოგროვებია. ეკლესიის შეფეგად მოსახლეობაში შეიძლება ეფლე სხვა ვგარები; გამოეფლინდეს. რომელთა; მნიშვნელოვანი ფენა მოუფლია მსარის ისტორიაში.

§2. ონომასტიკა

აკარის ონომასტიკა მდიდარია ლექსიკურ ფენრმოა ნაოვეარობით. ლექსიკის ამ ფენელის ფეხზე. გასაკვირველია კი ტოპონიმიაში. საეკლესიოდ ანფორმაციია შენახულა. წარსულის შესახებ ეფი ტოფონიმი მსარის ეკლესია ისტორიის. ისტორიული ვეოგრაფიის. ხოვალური ეფოფ. ხარეკრნელი ეხოვრების და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესასწავლად.

აკარის ტოპონიმები ვეოგრაფიული სახელები წარმოქმნის თვალსაზრისით ამ ძირითად ჯგუფად იყოფა: მარტივი. წარმოქმნილი (აფიქსური) და რთული (თხზული. ხოვ

-ფშვერთეებით ნაწარმოები).

მარტივფუძიანი ვეოგრაფიული სახელები. რომლებიც; ტოპონიმის ეკლესიას ფენოდა მინაფელი. აკარაში არცთუ ისე ფენოთად ვეხვდება. ასეთია: ანა. ბარი. ბაკა. ბაღ. ხაო. დუბ. ფერე და ა.შ. ეს სახელები არ დაირთავენ მწარმოებელ აფიქსებს და ხასიათდებიან

76 რ.სურმანიძე. მელიქეშვილები. თბ., 2003, გვ. 12-17.

77 ზ.შაშიკაძე. დასახ. ნაშრომი; ე.მაკარაძე. პეტრე მელიშვილის წარმომავლობის შესახებ. – ჟურნ. „ახალი ერა", №3, 2002, გვ. 39-40.

78 ზ.შაშიკაძე. დასახ. ნაშრომი.

79 რ.სურმანიძე. ეინ იყო მარკოზ აკარელი. – სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. ბათუმი. 1978.

80 შ.ფუტკარაძე. წმიდა თეოდორე აკარელი. – გაზ. „ლიტერატურული საქართველო", №48 (29 ნოემბერი – 5 დეკემბერი), 2002; მისივე.

ლექსიკური თვალსაზრისითაც, რაც მეტწილად მათი არქაულობითაა გამოირჩეული. ხოვა მათანი ასევე ისარგებლა/ადგილობრივია მეტყველებაში. ნაწილი კი მიეწერება ულა. ბერძნულია, ეტიმია მათი სემანტიკაც: ბაგ. ხაბას განმარტებით, ბაგ არის „მკერდ ხელილ".[1] ეს სიტყვა აკარულ ენაში ამგვარად ხაბახეული განმარტების მსგავსად პირველი მნიშვნელობით ისარგებლა. ბაგი აკარულშიც ადრე ახალი ენახის აღმოსავლეთ ენა ტიპიანი. ბაგრ. ამ ეტიკეტად დიალექტურ მეტყველებაში ამგვარად ადარ ძეორია. ავტორიტეტულ ნიმენკლატურაში ანალოგიური მაგალითები ბევრია. ამდენად, ეტიმოლოგ ზანადან დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.[3]

აკარის ეტიმოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წარმოქმნილ (აფიქსებით გაფორმებულ) სახელებსაც. მაწარმოებელთაგან ეფრი ბრიფექტულია სუფიქსები. შემდეგ – არეფექ-სუფიქსები. საერთო ქართული ეტიმონიმის მსგავსად, ოდენ ბრეფექტული წარმოება მეხვეულია.

ოდენ არეფექტად ეფექტება წინა ეთიარების ნა- და დანიშნულების ხა- თავსაბრალოები. ხა- აწარმოებს მყოფადი დროის მიმდეობას ხაშეალი და ენებითი ეფარის ზმნებისაგან. ნა- ნაწილი დროის მიმდეობას. აკრეთვე ხაშეალი და ენებითი ეფარის შინაარსია.[4] აკარაში ამ ეტიმის სახელებია: ნაფალეი, ნაკაფი. ნამოსენი, ნანეხი. ნათიბი. ნათაკი. ნაკეთი. ნალეხი. ნაკეი. ნაკარი. ნამწეი. ხათიბი. ხასეენი. ხარეკი. ხაწეპი. ხამლეი. ხაწილი. ხასრდილი და ა.შ.

რაოდენობრივად დანიშნულების სახელებს კარბოს წინა ეთიარების გამომხატველი ეტიმონიმები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიეთითებს მათ სამეურნეო დანიშნულებასე (ნამოსენი. ნათიბი. ნაკეთი. ხათიბი და სხვ.).

აკარის ეტიმოლოგიური ნიმენკლატურისათვის ეფრი ნიშანდობლივია სუფიქსური წარმოება. ეტიმონიმების ხაწარმოებლად გამოყენებულია ქართულისათვის ცნობილი ეფელა ბოლოსართი. მათ მიერის ინტენსიურობით გამოირჩევა -ა სუფიქსი. რომელიც მიმდეველია ენა ნამბოლის მწარმოებლად. ხელი მისი ფუნქციები ეტიმონიმებში საკმაოდ მრავალფეროვანია.[5] აკარის ეტიმონიმებში -ა სუფიქსი ეტიმოლოგიურ სახელების მარცვალი ფუძისაგან აწარმოებს და დ ერთვის ავრეთვე წარმოქმნილსა და რთულ სახელებსაც: აკეანა. ეკერდა. ბარეკალა. ეკალდაფა. ეკეტანეკა. თხოფეხა. ასევე სახელებს სმირად დაერთვის სახელთა ბოლო ბრეფექს ნიშნი -ი. რომელიც სესრეფება და დის სასითაა წარმოდგენილი: ეკრეკალი. ეფშილი. ეფა. ეფალი. ასალოგიური ფორმები ნიშანდობლივია აკარული მეტყველებისათვის და ბერძენურია. თავს ისეს ეტიმონიმებიც.

ეკეტიდ ეპირი ეფალა-ეფრების გამომხატველი -ანა- სუფიქსით გაფორმებული ა. ხელეი (ეკალანი. ეკალანი. შეკრანი). ზოგჯერ გვხვდება -ებ სუფიქსიანი სახელები (ეფეკალები. ლეკებანი). ეფალ-ეფრებით აშენებია -ია დაბოლოებიანი ეტიმონიმები (ლაშია. ხეენია. ეკრია)

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I. თბ., 1966.

[2] იქვე.

[3] ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I. თბ., 1989, გვ. 198.

[4] არნ.ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ., 1942, გვ. 183.

[5] ა.შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973, გვ. 120-126; სვანურში. თაბალ-თუბალი, ტიბარენი, იბერი. – შრომები, III. თბ., 1959, გვ. 45; თ.ზურაბიშვილი. ტოპონიმიკის შესწავლისათვის. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II. თბ., 1961, გვ. 151.

-იან- (-ეან-) სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო კუთვნილების, ან ვისიმე მიმდევარის აღნიშვნა (მაგ., ქრისტიანი). -იან- სუფიქსით გვარებიც იწარმოება სვანურსა და რაჭა-ლეჩხუმურში. ძველად ასეთი გვარები აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ -იან-ი შემდეგ -ძე-ს ან -შვილ-ს შეუცვლია, რის გამოც ამ ფორმანტს დაუკარგავს თავდაპირველი მნიშვნელობა და რიგ შემთხვევაში შემონახულა ჩამომაყალიბებისა და კუთვნილების აღსანიშნაად.[6]

აჭარაში ამჟამად იშვიათად დასტურდება -იან დაბოლოების გვარები, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებიდან უნდა იყვნენ მიგრირებულნი. სამაგიეროდ, -იან სუფიქსი ანთროპონიმული წარმომაყალობის გეოგრაფიულ სახელებს შემოუნახავს (ჭედლიანთი, ხუციანთები). ასეთი სახელწოდებანი შტოგვარების სახელადანაა მიღებული მეტონიმიის გზით.[7] როგორც მაგალითებიდან ჩანს, -იან-ს ემატება მრავალობითის -თ და -ებ სუფიქსები.

ჭედლიანთი, ხუციანთები და მისთანა სახელწოდებები მიუთითებენ მჭედლის, ხუციანის შთამომაყალობასა და მათ კუთვნილ საცხოვრებელ უბნებზე. ანალოგიური შინაარსის ტოპონიმები, ოდნავ შეცვლილი გაფორმებით, განსაკუთრებით ხშირად დასტურდება ზემო აჭარაში (ცეცხლიენთი, ჭედლიენთები, ხუციენთი და ა.შ.).[8]

აჭარული მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ფორმებია ოთარასანი, კირილესანი, ზურაბასანი.[9] აქ საკუთარ სახელს მიერთვის -ან სუფიქსი და იწარმოება ოჯახის სახელი, ზოგჯერ კი — ადგილის, დასახლებული უბნის სახელწოდება (დუდიასნები, გოზოსნები, ისლოსნები). ამ სახელწოდებებში ამოსავალია პერსონული სახელები (დუდია, გოზო, ისლო).

აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში -ებ— ფორმანტიანი ანთროპონიმებიც გეხვდება (ხილაძიები, მაკარაშვილები, შავაძიები, წულუკიძიები და სხვ.), რომლებიც მიღებულია აქ მცხოვრები გვარების მიხედვით.

სპეციფიკური ჯგუფისაა კომლის (ოჯახის) აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც მრავლობითის ორმაგი აფიქსაციისთაა ნაწარმოები: ნაკაშიძნები, მელაძნები, ბოლქვაძნები.[10] ამ ტიპის სახელების წარმოება აჭარის ზღვისპირა ზოლში, უპირატესად, ქობულეთურში შეინიშნება.

აჭარულში ოჯახის სახელთა წარმოება, კილოკავებისა და ქცევების მიხედვით, სამი ფორმანტითაა წარმოდგენილი: -ნ -ებ- დაბოლოებით (ბოლქვაძნები, ხალვაშნები...), ნანათესაობითარი მრავლობითის -ნ სუფიქსიანი ფორმით (დუდიასანი, უზეირასანი...) და -ენ-თ (ისმეილაღიენთი, ფოთელანთი...) ფორმანტით.[11]

ოჯახის სახელთა ამგვარი წარმოება საყურადღებო ფაქტია ტოპონიმიისა და დიალექტის ურთიერთმიმართების შესწავლისათვის.

ტოპონიმიის მეცნიერული შესწავლა მნიშვნელოვანი წყაროა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის სოციალურ-კულტურული ყოფის ისტორიის გასაცნობად. გეოგრაფიულ სახელებში ხშირადაა ასახული ეთნონიმიაც, ე.ი. იმ ტომთა თუ თემთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესღაც უცხოერიათ ამ ტერიტორიაზე.[12] ასე მაგალითად,

---

6 ა.შანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 122-123.

7 ბ.ჯორბენაძე. ონომასტიკური გულანი. თბ., 1993, გვ. 41.

8 ტიპური სახელების შესახებ იხ.: ელ.მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973; Мгеладзе Н.В. Система кровного родства в Аджарии. Батуми, 1988.

9 ტ.ფუტკარაძე. „ან“ ფორმანტის რაობისათვის ერთი ტიპის ფორმებში. — XVII რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. ბათუმი, 1985.

10 ბ.ჯორბენაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

11 იქვე, გვ. 45.

12 გ.ახელედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. — „მნათობი“, №2, 1957, გვ. 107.

აჭარის ზღვისპირა ზოლში თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ზანური წარმომავლობის სახელები. რომლებიც უძველეს პერიოდში ამ ტერიტორიაზე ზანების განსახლებაზე მიუთითებს. ტოპონიმიაში ნათლად აირეკლება აგრეთვე ადგილის პირველმფლობელის ან მის შემდეგ აქ მცხოვრები პიროვნების ეინაობა. ამდენად, ისტორიული ანთროპონიმიის შესწავლაში ტოპონიმიას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მნიშვნელოვანია ანთროპონიმები, მათში ხშირად ჩანს პირთა ისეთი სახელები თუ გვარები, რომლებიც ისტორიული ბედუკუღმართობის მსხვერპლნი გამხდარან და დღეს აქ უკვე აღარ ცხოვრობენ. კერძოდ, ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში აჭარაში ზოგიერთმა გვარსახელი შეიცვალა, ზოგმა კი მიატოვა აქაურობა და საქართველოს სხვა კუთხეში გადასახლდა. მაგრამ ოდესღაც მათი აქ ცხოვრების კვალი ტოპონიმიამ შემოგვინახა. ამის მაგალითს იძლევა ქვეყნის ხეობის სოფელი ინწკირეთი, სადაც ამ გვარის არც ერთი წარმომადგენელი ამჟამად აქ არ ცხოვრობს. ისინი ოზურგეთის რაიონის სოფელ ვაკიჯვარში გადასახლებულან.

აჭარაში ბევრი ანთროპონიმი -ურ (//-ულ) სუფიქსითაა გაფორმებული: ბარათაული, ბუთურაული, ვარჯანაული, გუნდაური, გოგინაური, იაკობაური, შამანაური, ესაური, ჯინჭარაული და ა.შ. ესენი უნდა უკავშირდებოდეს ისეთ საკუთარ სახელებს თუ გვარებს, როგორიცაა: ბარათა, ბეთური, ვარჯანა, გუნდაძე, გოგინა//გოგინიძე,[13] იაკობაძე, ბაიაძე, შამანაძე, ესაძე, ჯინჭარაძე და ა.შ.

მოცემულ მაგალითებში -ურ (-ულ) მაწარმოებელი წარმომავლობა-კუთვნილებაზე მიუთითებს. ე.ი. გუნდაურის, იაკობაურის ტიპის სახელებში აღნიშნულია გუნდას (გუნდაძის), იაკობას (იაკობაძის) შთამომავლობის კუთვნილი ადგილი. აღნიშნული სუფიქსის ეს ფუნქცია აჭარის ტოპონიმიაში კერძო შემთხვევა არაა. იგი ასეთივე ფუნქციით ხასიათდება საქართველოს სხვა მხარეების ტოპონიმიაშიც.[14]

ზემო და ქვემოაჭარულში დასტურდება -ეულ- და ოულ- სუფიქსიანი ტოპონიმები: ბერძანასეულა, შუქრიასეულაი. გიორგისოული, გოგაისოული და სხვები, რომლებიც პირთა სახელებიდან (ბერძანა, შუქრია, გიორგი, გოგა) მომდინარეობს. თვით ტოპონიმში კი გამოხატულია მათდამი ამ ადგილების თავდაპირველი კუთვნილება. მსგავს წარმოებას საქართველოს სხვა კუთხეების ტოპონიმიაც იცნობს.[15]

აჭარის გეოგრაფიული სახელების მაწარმოებლად ხშირად გეხვდება -ეთ სუფიქსი, რომელიც მეტწილად ანთროპოტოპონიმებს აწარმოებს (გონიტეთი, პატარეთი, ვახტანგეთი, ჭურკვეთი, ლომსიანეთი, სამოლეთი, ინწკირეთი, ლაკლაკეთი, კახიეთი). შუახევის რაიონში ახლაც ცხოვრობენ გონიტიძეები, პატარიძეები, ჭურკვეიძეები, ვახტანგიძეები, ხოლო ლომსანიძეები და სამველიძეები აჭარის სხვა სოფლებში გადასულან საცხოვრებლად. გვარსახელები ლაკლაკიძე და ინწკირველი კი მეეიდრთაგან ამჟამად აჭარაში აღარ სახლობენ. კახიეთი ჰქვია კახიძეებით დასახლებულ უბანს სოფელ ზედა ჩხუტუნეთში (ხელვაჩაურის რაიონი).

აჭარაში იშვიათად. მაგრამ მაინც გვხვდება „საბარათიანო"-ს ტიპის გეოგრაფიული სახელები. ერთი მათგანია ტოპონიმი საბერაძო, რომელიც ბერაძეების კუთვნილ ადგილს, უბანს უნდა ნიშნავდეს. ზოგჯერ ადგილის სახელად გვხვდება ანთროპონიმი აფიქსაციის

---

[13] გვარსახელი გოგინიძე (გოგინისძის ფორმით) მოხსენიებულია „ტბეთის სულთა მატიანეში" (XII-XVII სს.).

[14] გ.ბედოშვილი. ერწო-თიანეთის ტოპონიმია. თბ., 1980, გვ. 25; გ.ხორნაული, მთები და სახელები. თბ., 1983, გვ. 39-44; მ. ბერიძე. ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი)- თბ., 1992, გვ. 46-47.

[15] გ.ხორნაული. დასახ. ნაშრომი, გვ. 40; ვ. ჩიქოვანი. ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით. —პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1949, გვ. 235; ფ.მაკალათია. ფშავის ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 46.

გარეშე (როსტომი, აბრამაი, კახაბერი, ჯიმშერი, გოგუაძე). ასეთი სახელები ადრე როული შედგენილობის უნდა ყოფილიყო (აბრამას ჭალა, როსტომის ყანა...), მაგრამ დროთა განმავლობაში საზღვრული (ჭალა, ყანა) ჩამოსცილდა და ადგილის სახელად მხოლოდ პირის სახელი თუ გვარი დარჩა. ამ რიგის სახელებია მილიუტინი, მუატი, ჰასიკი, რომლებიც დასტურდება აჭარის ზღვისპირა საკურორტო ზონაში. ისინი მომდინარეობენ იმ მოაგარაკეთა გვარებისაგან, რომლებიც აქ XIX ს-ის 80-იან წლებში გამოჩნდნენ.

აჭარის ტოპონიმია იცრობს აგრეთვე სხვა სუფიქსებით გაფორმებულ სახელებს: არ-ენალი, დიდგულნარი, ბირკნალა, თხემლნარა, ხრამთა, ქვაბთა, მაღალთი, თხილთი, გვალა-თი, ეაშლათა, ცხემლისი, ვარჯანისი, ცხმორისი, წონიარისი, თეთრობი, ყელობა, ბაკო, ტბანი, გეალანი, გეერდუნაი, დუდგულეეი, ყორეანი (←ყოროეანი), ბალვანა (←ბალოეანა) და სხვა. მრავალი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრეფიქს-სუფიქსებიან სახელწოდებებსაც. პრეფიქსებად ძირითადად გამოყენებულია წინა ეითარების ნა- და დანი-შნულების სა-თაესარიები, სუფიქსები კი სიმრავლით ხასიათდება.

ბევრი ტოპონიმი დაკავშირებულია მარცვლეულ კულტურებთან, კერძოდ, პურეულთან (დიკა, ოყქლი, ფეტეი, ჭვავი, ღომი), რომელიც მხოლოდ გეოგრაფიულ სახელებს (ნადიკარი, ნაიფქლარი...) შემოუნახავს. კულტურულ მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები (ნაპურალი, ნაქერალი) აჭარის მთის ზონაშიც დასტურდება. ეს ადგილები ამჟამად საზაფხულო საძოვრებადაა გამოყენებული.

საერთოდ, გეოგრაფიულ ნომენკლატურაში სამეურნეო ტოპონიმიას წამყვანი ადგილი უჭირავს, რომელშიც აირეკლება თითოეული კუთხის მეურნეობრივი ყოფის თავისებურებანი, კერძოდ, მემინდვრეობის, მეევნახეობა-მეღვინეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, ხელოსნობის ტრადიციული დარგები.[16]

მეურნეობის ამსახველი ტოპონიმები სხვადასხვა აფიქსითაა გაფორმებული. ისინი გვეელინება აგრეთვე კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად და მარტივი ფორმითაც: ახო, ბოსტანი, ბაგა, ეენახი, სათიბი, ნაასლები, ნადოლვარი, ნადიეარი, ნაპურეალი, ნაჭეაეები, ნაქერეალი, ნაღომვარი, ეეერული, სახბოვრია, საბერწია, სათიენია, საკამბეჩე, ცხენისაეურა და ა.შ. განსაკეთრებით ხშირია ტოპონიმები ახოს სახელწოდებით, რაც საახოე მეურნეობის განვითარების ინტენსიეობაზე მიუთითებს. იგივე შეიძლება ითქვას სახელწოდება კალოს შესახებ, რომელიც პურეულის ლეწვას, კალოობას უკავშირდება. ხოლო ტოპონიმები — მოდული, მოდულები — გამოფიტული ადგილის აღმნიშვნელია.

აჭარა წარსულში მეევნახეობა-მეღვინეობითაც მდიდარი მხარე იყო. ვახეშტის დახასიათებით, აჭარა „ეენახ-ხილიანი" მხარე იყო. ოსმალთა ბატონობის დროს მეევნახეობაც დაცემის გზაზე დადგა. ამ და სხვა მიზეზების გამო, აჭარაში ეაზის ბევრი ჯიში განადგურდა, საეენახე ადგილები ნაეენახარად იქცა. ამ ეითარების ანარეკლია ტოპონიმები ეენახი, ეენახები, ნაეენახარი...

მდიდარია მესაქონლეობასთან დაკაეშირებული სამეურნეო ტოპონიმიაც. დადგენილია, რომ მოზარდი საქონლის საძოვრებად ალპურ ზონაში დროებითი საბინადროს (იაილების) მახლობელი ტერიტორია იყო გამოყოფილი, მოშორებით მდებარე საძოვრები მეწველ საქონელს ეთმობოდა, ხოლო მუშა პირუტყვის საძოვრები სრულიად განცალკევებული იყო. იგი იაილების ზონისაგან და მეწველი საქონლის საძოვრებიდან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული.[17] საძოვრების ასეთ დაყოფაზე მიუთითებს აჭარის ალპურ ზონაში დადასტურებული გეოგრაფიული სახელები: სახბოვრია, ხარისაწოლი, ხარიათაღი, საბერწია, სათხიები, საკამბეჩე, სათიენია, ცხენისაყუარა და სხვ.

---

16 მ.ფეფეშიძე. ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკა (არაგვისა და ქსნის ხეობების მასალების მიხედვით). — თსუ შრომები, XXXV. II, თბ., 1949, გვ. 156.

17 ვ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969, გვ. 113.

აჭარის ტოპონიმიაში მეფუტკრეობაც ფართოდ აისახა. ამაზე მიუთითებს სოფლის სახელი საფუტკრეთი და სოფლის უბნის სახელი მეფუტკრიეთი (მაჭახლის ხეობა), ასევე ბოგილი, სასკეთი, სასკე (ადგილები, სადაც ხეებზე სკები იყო შემოწყობილი).

საინტერესოა, აგრეთვე, მიწის საზიაროდ დამუშავებასთან დაკავშირებული ტოპონიმები: სამზიარი, ორზიარი, ოთხზიარი, ზიარყანა.

ტოპონიმთა ერთი ნაწილი აჭარაში ქრისტიანობასა და ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებს უკავშირდება (ნასაყდარი, ნასაყდრები, საყდარი, ნაქილისეული და სხვ.).[18] ზოგიერთი სოფლის სახელწოდება (სამება, კეირიკე, ხუცუბანი და სხვ.) აქ ეკლესიების არსებობას უკავშირდება.

აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში რთული ტოპონიმების ხვედრითი წილიც დიდია. თხზულ სახელებში წყობა ძირითადად მსაზღვრელ-საზღვრულიანია (წითელტბა, ხმელტბა, ეწრიანახო, რუშავი). იშვიათად დასტურდება პოსტპოზიციური წყობის შემთხვევებიც (გზსაპატარა, კილდეგაჭრილი, ტყეგზიდილი). გვხვდება ორ, სამ, იშვიათად – ოთხშემადგენლიანი (წყალთავაკე, ჩიტისწყარო, დეეთაბაგა, ბტყეელკილდიქვეში, ტყეკაციბუდები, ბიჭებისანიეკითავი, ლორიბუდის კილდიძირი, ურთხნალიღელის ჩანჩქრიძირი) სახელები. რთული ტოპონიმების გაფორმებაში მონაწილეობს არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, სახელზმნები, ზმნიზედები.

ონომასტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ანთროპონიმია (პატრონიმები და პერსონთა სახელები).

ფონეტიკური, გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებების მიხედვითაც, აჭარაში გავრცელებული პატრონიმები საკმაოდ მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს. აჭარის პატრონიმია ძირითადი ფონდი ქართველურია, მაგრამ დასტურდება უცხო წარმომაქლობის გვარსახელებიც, რომლებსაც ატარებენ ახლო წარსულში აქ ჩამოსახლებული სხვა ეთნიკური ჯგუფების (ბერძნები, რუსები, აფხაზები და სხვ.) წარმომადგენლები.

ანთროპონიმები, როგორც წესი, საზოგადო სახელებისაგან მომდინარეობს, რომელთა უმრავლესობას შენარჩუნებული აქვს ის პირველადი სემანტიკური ნიშანი, რაც საფუძველად დაედო მათ წარმოშობას.[19] ასეთებია, მაგალითად, საგვაროვნო სახელები: ხახუტაიშვილი, მჭედლიშვილი, ჩაქველიძე. პირველ გვარსახელში ნათლად ჩანს, რომ ხახუტაიშვილის წინაპარი მამაკაცი ხახუტა იყო, როგორც საგვარეულო შტოს ფუძემდებელი. ხოლო ვინმე მჭედლის შთამომაველობა მჭედლიშვილებად იწოდა, ჩაქველიძე კი ჩაქველი (ჩაქვიდან მოსული) კაცის მემკვიდრეა. პატრონიმის მნიშვნელობასთან დაკავშირებული ამგვარი ინფორმაციები მეტწილად საგვაროვნო სახელებშია შემონახული.

სემანტიკური თვალსაზრისით, აჭარაში გავრცელებული გვარები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1. ეპონიმური გვარსახელები; 2. ხელობა-მოსაქმეობისა და წოდებათანამდებობის ტერმინთა შემცველი გვარსახელები; 3. ეთნონიმური წარმომაველობის გვარსახელები; 4. სადაურობის აღმნიშვნელი გვარსახელები.

ქართველური გვარსახელების უმეტესობას საფუძვლად უდევს საგვარეულო შტოს დამწყებ პერსონთა სახელები (ეპონიმები), რომელთა ნაწილი ამჟამად არ გამოიყენება, უკვალოდ გამქრალა, ან გვარებშია შემონახული. ზოგიც წერილობით ძეგლებსა თუ ხალხურ სიტყვიერებაში შემორჩა.

აჭარაში გავრცელებული გვარსახელები, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, მეტწილად ეპონიმერია. ასეთი წარმომავლობის გვარსახელებში ნათლად ჩანს საკუთარი

---

18 ნ.ალბიძე. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები მაჭახლის ხეობაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდბარობა". ხულო – დიდბარა. 2009.

19 ი.ბერაძისურაძე. ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია). თბ., 1979, გვ. 24.

სახელები. მაგალითად, გვარებში: აბაშიძე, ბასილაძე, ბახტაძე, გვიანიძე, ზაქარაძე, ზაქარიაძე, ივანაძე, კვირიკაძე, მახარაძე, მგელაძე, ოქროპირიძე, ქაფთარაძე, ხინკილაძე, (ციკარაძე და სხვ. ამოსავალია პიროვნული სახელები: აბაშ, ბასილი, ბახტა (←ბახატა), გუიანა (←გვიანა), ზაქარა, ზაქარია, ივანა, კვირიკა (←კვირიკა), მახარა, მგელა, ოქროპირი, ქაფთარ. ხინკილა, ციკარა. ეს სახელები ასეთივე ფორმებით მოიხსენიება XII-XVII საუკუნეების ზემოთ დასახელებულ წერილობით წყაროში.[20] მათი უმეტესობა საკუთარ სახელად აჭარაში ამჟამად არ გვხვდება.

- უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, XX ს. 20-იანი წლებამდე საქართველოში შემორჩენილი იყო ბავშვისათვის ორი სახელის დარქმევის ტრადიცია. ამათგან, ერთი ქრისტიანული უნდა ყოფილიყო, სახელდობრ, იმ წმინდანისა, რომელიც მონათლულის მფარველად ითვლებოდა, მეორე ნებისმიერად შერჩეული და საყოველთაოდ გავრცელებული სახელიდან მომდინარე. ამგვარი სახელები უმთავრესად ზმნური ფუძეებითაა წარმოდგენილი და მეტწილად გვარებშია შემონახული.[21] აჭარაში ასეთი სახელებისაგან მომდინარე გვარებია: მახარაძე, დარჩიძე და სხვ. (შდრ. გიმეზარდაშვილი, გამახარაშვილი, დარჩიაშვილი...).

ეპონიმურ გვარსახელებში ერთიანდება, აგრეთვე, მეტსახელებისაგან მომდინარე გვარები. აღსანიშნავია, რომ მეტსახელის შერქმევა ქართველურ მოდგმაში ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული და დღესაც არაა დავიწყებული. მეტსახელი ანუ თიკუნი (შდრ. აჭარული ლაღაბი, კილი) საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება და ზოგჯერ ადამიანს ასეთი მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე ნამდვილი სახელით.[22] ამ მხრივ არც აჭარაა გამონაკლისი. აქაც საკმაოდ მრავალად დასტურდება ფორმითა და სემანტიკურად საინტერესო მეტსახელები, რომელთა ერთი ჯგუფი მონაწილეობს აჭარაში გავრცელებული ისეთი გვარების წარმოქმნაში, როგორიცაა: კვკელიძე,[23] მართალიშვილი, ჩხაკუაძე, სუქნიშვილი, გამარჯობაშვილი, გამარჯობაძე, გრძელიძე, დიდიძე, მესხრიკაძე, წითელაძე, წინწკალაძე, კაიკაციშვილი და სხვ. ასეთ გვარებს საფუძვლად უდევს პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები.[24]

ქართული გვარსახელების ერთი ნაწილის წარმომავლობა, მსგავსად ტოპონიმებისა, სამეურნეო საქმიანობას ან თანამდებობა – წოდებას უკავშირდება: ნამჭედური, ჭედლური, ჭედლეთი, ჭედლიანთი, ჭედლიეთები, მენაღარიშვილი, მექურიძე, მჭედლიშვილი, მენაფირე, მემარნე, მენაბდე, ხარაზი, ხაბაზი. გვარსახელი მემარნე (მემარნიშვილი) მეღვინეობას უკავშირდება და მარნის მცველს, მარნის გამგებელს ნიშნავს.[25] საინტერესოა, აგრეთვე, გვარი მენაღარიშვილი. მისი ამოსავალია ტოპონიმი აღმნიშვნელი სიტყვა მენაღარე (ნაღარის დამკვრელი თუ მკეთებელი).[26]

არაბული წარმომავლობისაა საგვარეულო სახელები: ხაბაზი („პურის მცხობელი. მეპურე"), ხარაზი („წულა-ჩუსტების მკერავი").[27] გვარი მაწარმოებლის გარეშე ქცეული გვარად.

---

20 ტბეთის სულთა მატიანე. თბ., 1977, გვ. 158-161.

21 ი.მაისურაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

22 ალ.ლილოტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბ., 1967, გვ. 24.

23 კვკელიძის გვარის ამოსავალია კვკელა, რომელიც წინათ მამაკაცსაც რქმევია და ნიშნავს ლაზაზს, კოხტას (ა.შანიძე. კვკელა, კვკლუცი. – კორნელი კვკელიძის დაბადების 80-წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1959, გვ. 23-32; ზ.ჭუმბურიძე. დედაენა ქართული. თბ., 1987, გვ. 303).

24 ზ.ჭუმბურიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 304-306.

25 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. V. თბ., 1958.

26 ი.მაისურაძე. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990.

27 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. VIII. თბ., 1964.

სოციალური ტერმინია ამოსავალი გვარსახელისა აზნაურიძე//აზნაურიშვილი. სამოხელეო ტერმინებისაგან მომდინარეობს გვარები კალანდარიშვილი და მელიქიშვილი. პირველის ფუძე – ქალანთარი თურქულ-სპარსული სამოხელეო ტერმინია და ნიშნავს „ქალაქის თავს"), პოლიციის უფროსს", მელიქი (არაბ. მალიქ – მეფე) კი კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველს, გამგებელს, მამასახლისის აღმნიშვნელია.[28]

ქართულში აღმოსავლური წარმომავლობის კიდევ არაერთი სახელია შემოსული, რომელთა ადაპტაციით შეიქმნა არა ახალი სახელი, არამედ მისი ვარიანტი. შემოსული სახელები ითვისებენ ქართულ გრამატიკულ პარადიგმებს და სიტყვათმაწარმოებელ ფორმანტებს და სხვ. აღმოსავლური სახელების ადაპტაციისა და მათგან ქართული პატრონიმების გაფორმებისას ძირითადად გამოყენებულია ქართულში საყოველთაოდ მიღებული სადერივაციო ფუნქციით აღჭურვილი ფუძე-ფორმანტები – -შვილი და -ძე.[29]

ამ რიგისაა გვარები: ქუფთიშვილი, ავჯიშვილი, ყულეჯიშვილი, თოფჩიძე, ქიბარიშვილი, შიშმანიძე და სხვ. ამ გვარების ამოსავალია აღმოსავლური სიტყვები: თოფჩი (მესარბაზნე), ავჯი (მონადირე), შიშმანი (მსუქანი),[30] ყულეჯი (თურქ. კულეჯი: მეკოშკე, კოშკის მფლობელი, კოშკის მცველი),[31] მუფთი (მაღალი თანამდებობის მუსლიმანური სასულიერო პირი).[32] ქიბარი (თავმომწონე, ამპარტავანი, ამაყი, ქედმაღალი, პატიმოყვარე).[33]

აჭარაში გეხვდება საგვარეულო სახელი ათაბაგი, რომელსაც საფუძვლად უდევს თურქული წარმომავლობის თაბეგი, რაც ნიშნავს „მამა ბატონს". ათაბაგი სამცხის მმართველთა სამთავრო წოდება იყო, მაგრამ იგი გვარსახელად იქცა.[34] აღმოსავლური ყლეგონჩი შემონახულია სხვა გვარებშიც (უზუნაძე, ხაჯიშვილი, ყურბანიძე). ცხადია, ისინი ეპონიმებად. სამოხელეო თუ სხვა მნიშვნელობითაა ქართულში შემოსული და შემდეგ მაი პატრონიმების წარმოქმნაშიც მიუღიათ მონაწილეობა.

საინტერესო გვარია მენაფირე, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან ნაფირი. იგი, საბას განმარტებით, „სხეათა ენაა. ქართულად ზოოხაკუდი ჰქვიან", ზოოხაკუდი კი „საყეფრი(ა) მომცრო".[35] მაშასადამე, მენაფირე გვარადქცეულიხელობის აღმნიშვნელი ტერმინია ('მდრ. გვარი მებუკე), რაც ნიშნავს ნაფირის, ანუ ერთგვარი საყეფრის დამკვრელს.

საეკლესიო ტერმინებისგან უნდა იყოს მიღებული გვარები მგალობლიშვილი, ხუციშვილი, დეკანაძე[36] და სხვ.

ქართულ გვარსახელებში გარკვეულწილად ასახულია ეთნონიმებიც. აჭარაში დასტურდება შემდეგი ეთნონიმური გვარები: ლაზიშვილი, სანიკიძე (სანიგიძე), მეგრელიშვილი, მეგრელიძე, მესხიძე, მესხი, სვანიძე, ჩერქეზიშვილი, ქართველიშვილი, დვალიძე, ჭანკურიძე, ჭანიძე, ჯავახიძე და სხვ. დვალიძე, ჭანიძე, ჯავახიძე მოხსენიებულია ტბეთის სულთა მატიანეშიც.[37] ამასთან გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ყველა ეთნონიმური გვარი

---

28 იქვე. ტ. V, თბ., 1958.

29 ნ.გურგენიძე. თურქულიდან ნასესხებ პატრონიმთა სტრუქტურისა და სემანტიკისატვის ქართულში. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია), №4, 1984, გვ. 162.

30 ნ.გურგენიძე, მ. ჯიჯია. თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში. თბ., 1994.

31 ი.მაისურაძე. დასახ. ნაშრომი.

32 შ.ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი, 1971.

33 იქვე.

34 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. I. თბ., 1950.

35 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. I, თბ., 1966.

36 გვარის ამოსავალი უნდა იყოს დეკანი (ლათ.), რომელიც კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიაში უფროსი მღვდლის, დეკანოზის აღმნიშვნელია (იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1989).

37 „ტბეთის სულთა მატიანე". თბ., 1977.

შეიძლება არ ასახავდეს სინამდვილეს, რადგან არის შემთხვევა, როცა ეთნიკური სახელი მეტსახელად ან ადამიანის საკუთარ სახელადაა გამოყენებული და უკვე შემდეგ მონაწილეობს გვართწარმოქმნაში (მაგ., კახიძე, კახაძე).[38] ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ეთნიკური სახელი ფაქტობრივად ანთროპონიმიზებულია და ეპონიმების წყებას გაინაკუთვნება.

აჭარაში არცთუ ისე ხშირად დასტურდება სადაურობის აღმნიშვნელი გვარსახელები. ასეთებია: კირჩხელი, ბაჯელიძე, იშხნელიძე, ქედელიძე, ჩაქველიძე, ყარსილაძე, ღორჯომელაძე, ნოღაიდელი. უკანასკნელის ამოსავალი უნდა იყოს გეოგრაფიული სახელი ნოღაიდა, რომელიც ფიქსირებულია სოფელ ხინოში (ქობულეთის რაიონი).[39] ნოღაიდელის ანალოგიურია ამაღლობელი, რომელიც ადგილის სახელ ამაღლებას უკავშირდება და ნიშნავს სოფელ ამაღლების მკვიდრს. თუმცა ამ გვარს რელიგიური წარმომავლობაც აქვს და მაცხოვრის ზეცად ამაღლების ღვთაებრივ ფაქტთანაა დაკავშირებული.[40]

გვარსახელთა ჩამოთვლილ ჯგუფში შეიძლება ორი ტიპი გამოიყოს: პირველია პატრონიმები, რომელთაც არა აქვთ დართული სპეციალური ონო-მორფემები (ჯაველი, ამაღლობელი, კირჩხელი, ნოღაიდელი), მეორე კი პატრონიმიული სუფიქსებით გაფორმებული გვარსახელები.

კირჩხელი და მისთანა გვარები ფაქტობრივად პატრონომებადქცეული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვებია, რომლებსაც აწარმოებს -ელ– სუფიქსი. გვარი ბაჯელიძეც სადაურობის აღმნიშვნელია (ბაჯი-ბაჯელი-ბაჯელიძე). ოღონდ მათ დაერთვის სპეციალური საგვაროვნო სუფიქსი -ძე. აქაც ორგვარი მოდელი შეიძლება გამოიყოს: ერთ შემთხვევაში უცველელად წარ-მოდგენილ სადაურობის სიტყვას ერთვის -ძე (ჩაქველიძე, ჯაველიძე). მეორე შემთხვევაში სადაურობის სიტყვა ნაწარმოებია -ა სუფიქსით (ყარსელაძე, ღორჯომელაძე), რომელიც მაკერძოებელი ფუნქციის მქონე ხმოვნადაა მიჩნეული. იგი საზოგადო სახელს საკუთარ სახელად აქცევს.[41] ამდენად, თუ ჩაქველიძე, ჯაველიძე ტიპის გვარები უეჭველად სადაურობის აღმნიშვნელია, ყარსილაძე, ღორჯომელაძე მოდელის პატრონიმებში შესაძლოა ყარსილა და ღორჯომელა საკუთარი ან მეტსახელები უნდა იყოს.

სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან მიღებული პატრონიმი მეორეულია, რადგან მის მატარებელს ადრე სხვა გვარი უნდა ჰქონოდა. მაგრამ საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ახალი გვარი მიიღო, რომელშიც მისი თავდაპირველი საცხოვრისი ადგილი აისახა, ნამდვილი გვარი კი უმეტეს შემთხვევაში მეხსიერებას არ შეუნახავს.

აჭარაში გავრცელებული პატრონიმები მეტწილად გვარის მაწარმოებელი სუფიქსებით (-ძე, -შვილი) არის გაფორმებული. რაოდენობრივად უფრო ხშირია -ძე დაბოლოების გვარები, შედარებით ნაკლები -შვილ-ზე დაბოლოებული, ხოლო იშვიათი -იან- (აკალიანი, ლადიანი, ჯაიანი, ახვლედიანი), -ან- (წიღოსანი), -ურ- (ვახტანგური), -ოვან- (ჩიქოვანი), -იონ- (ბაგრატიონი) და სხვა სუფიქსებით ნაწარმოები პატრონიმები.

აჭარაში გვხვდება აგრეთვე ზანური წარმოების გვარები, რომლებიც გაფორმებულია ზანურისათვის ნიშანდობლივი სუფიქსებით: ხალვაში, ჯაში, მემიშიში. თანდილავა, გუგუნავა, ქიქავა, ფალავა, წუწუნავა, ჭყონია, ყორდანია, ხეიჩია და ა.შ.

დასტურდება აგრეთვე იშვიათი გაფორმების გვარებიც, რომელთაგან აღსანიშნავია

---

38 იხ. ზ.ჭუმბურიძე. რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 93.

39 გ.ბედოშვილი. ზოგიერთი ქართული გვარის წარმოშობის ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი. თბ., 1987, გვ. 67-68).

40 გ.ბედოშვილი. ანთროპონიმული დაკვირვებანი. IV. – ეტიმოლოგიური ძიებანი, VI. თბ., 1977, გვ. 31-32.

41 ი.მაისურაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

მოწყობილი. იგი არსებითად -ილ- სუფიქსით ნაწარმოები წარსული დროის მიმღეობური ფორმაა. გვხვდება ორმაგი სუფიქსაციით (ეა+ძე, იან+ძე) ნაწარმოები რამდენიმე გვარი: ჯიჯავაძე, ჟიჟავაძე, ჩიჯავაძე, დადიანიძე, ციციანიძე და სხვ.

ამგვარად, განხილული ონომასტიკური მასალა ძვირფას ინფორმაციას იძლევა აჭარის მოსახლეობის სოციალური და სამეურნეო ყოფის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, მონათესაესა და არამონათესაესა ხალხებთან ურთიერთობის, ენის ისტორიისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ამ აზრით, აჭარის ონომასტიკური მასალა პირველხარისხოვანი წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ყოფისა და კულტურის მნიშვნელოვანი საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის.

მოხრეულნელ ანკარელთა ფოტოები

[illegible] წლის [illegible]
[illegible]
[illegible] [illegible]

ნაცვალ ალიევი 90 წლის
ასაკში [illegible]
1970 წ.

[illegible] [illegible] 95 წლის
[illegible] [illegible] 1982 წ.

[illegible]
[illegible] [illegible]
1973 წ.

[illegible]
[illegible] [illegible]
1973 წ.

ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲗᲐ (XIX ს. II ნახევარი)

ᲐᲯᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲘ
1877-1878 (?)

ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲚᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲯᲐᲠᲔᲗᲘᲡ (XIX ს. მეორე ნახევარი)

ᲜᲐᲯᲐᲠᲝᲑ ᲐᲠᲡᲐᲜᲐᲨᲘᲐᲜᲘ

[illegible]
(1826–1890)

[illegible]
(1836–1904)

ზაქარია ქერქაძე
(1854–1931)

[illegible]
(1862–1911)

შემოკლებანი

ადდლ	– აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა
ამყს	– აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები
ამსყს	– აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები
ბსკთშ	– ბათუმის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის შრომები
ენიმკი	– ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
თსუ	– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ითშ	– ისტორიის ინსტიტუტის შრომები
კეკ	– კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული
კეკს	– კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში
მსე	– მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
მსკი	– მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
სინ	– საქართველოს ისტორიის ნარკვევები
სის	– საქართველოს ისტორიის საკითხები
სსმმ	– საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
სცსა	– საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი
რსპა	– რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი (რუს. «Архив внешней политики России»)
სდსზ	– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება
სდსინ	– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები
სდსის	– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები
სდსძ	– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები
სდსყკ	– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა
სდსკყს	– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურისა და ყოფის საკითხები
სდსეპ	– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები
სსიეს	– სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები
ფსაძ	– ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები
ქეი	– ქართველი ერის ისტორია
ქცა	– ქართლის ცხოვრება
ძქალძ	– ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები
Абхаз ИЯЛИ	– Абхазский институт языка, литературы и истории
АКАК	– Акты, собранные Кавказской Археологической Коммисией
ВВ	– Византийский Вестник
ВЭГ	– Вопросы Этнографии Грузии
ЖМНП	– Журнал Министерства Народного Образования
ЗКОИРГО	– Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества
ИАН	– Известия Академии Наук
ИКОИРГО	– Известия Кавказского отдела Императорского Российского Географического Общества
КЕС	– Кавказский Этнографический Сборник
МГК	– Материалы для Геологии Кавказа
ОЭА	– Очерки Этнографии Аджарии
СА	– Советская Археология
СМИОБГКЭК	– Свод материалов по изучению экономического быта Закавказского края
СМОМПК	– Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
ТКОСХ	– Труды Кавказского общества сельского хозяйства

გამომცემლობის დირექტორი
ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ლალი კონცელიძე
ტექნ. რედაქტორი და დამკაბადონებელი რუსუდან მებრელიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 08.04.2010
ქაღალდის ზომა 60X84 1/8
ფიზიკური თაბახი 38

ტირაჟი 1000

შასი სახელშეკრულებო

ტომის ილუსტრაციათა ნაწილში გამოყენებულია მხატვარ-არქიტექტორების: ეიქტორია (ალა) პალავსკაიას, ვალერიან ილიუშინის, ალფრედ ეპიტაშვილის, ჯემალ მიქელაძის, რეზო მიქელაძის, ანზორ ჯაველიძის, ხიმონ ართმელაძის, ანზორ ქალდანის, გურამ ყეანიას, გორა არჩვაძის ნამუშევრები. სვირან ბაროიანის, ნოდარ კახიძის, ჯემალ ვარშალომიძის, ჯემალ მიქელაძის, ნეჯად ჩიჯავაძის, შოთა მამულაძის, რევაზ კახიძის მიერ გადაღებული ფოტოები (ინახება ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის ეთნოლოგიის გამოფენილების არქივში), აგრეთვე საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, აჭარის სასულმწიფო მუზეუმში, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში, სარეკლამო სააგენტო შ.პ.ს. „GL DESIGN GROUP"-ში დაკეული მასალები.

გამომცემლობა „ქართა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"

კომპიუტერული მომზადება შპს „ART+"